საქართველოს ისტორია

ტომი 3 - ლაშა-გიორგის მეფობიდან საქართველოს ანექსიამდე

ავტორები: დ. მუსხელიშვილი, ო. ჯაფარიძე, გ. მელიქიშვილი, ა. აფაქიძე, მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, მ. სამსონაძე, ნ. ასათიანი, გ. ჯამბურია, გ. ოთხმეზური, მ. ნათმელაძე, ალ. ბენდიანიშვილი, ალ. დაუშვილი

შინაარსი

წინათქმა 3

თავი I. ლაშა-გიორგის მეფობა 7

თავი II. მონღოლთა ვინაობა და მათი პირველი ლაშქრობა საქართველოში 12

თავი III. რუსუდანის გამეფება და ჯალალ ედდინის შემოსევები....16

თავი IV. საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ 24

თავი V. მონღოლური მმართველობის შემოღება საქართველოში 29

თავი VI. საქართველოს აღწერა მონღოლთა მიერ და მონღოლური საგადასახადო სისტემა. დავით ულუს აჯანყება....33

თავი VII. კვლავ ორმეფობა და დავით ულუს შერიგება მონღოლებთან 38

თავი VIII. მეფე დემეტრე II თავდადებული 41

თავი IX. საქართველო XIII საუკუნის ბოლოს 47

თავი X. საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში....53

გიორგი ბრწყინვალე....53

თავი XI. საქართველო XIV საუკუნის მეორე ნახევარში. 63

თემურლენგის შემოსევები 63

თავი XII. საქართველო XV საუკუნის I ნახევარში 76

თავი XIII. საქართველო XV საუკუნის შუა წლებში....79

თავი XIV. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები 83

თავი XV. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად 86

თავი XVI. აყყოინლუს თურქმანთა შემოსევები 91

თავი XVII. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის ბოლოს....97

თავი XVIII. ქართული კულტურა XIII-XV საუკუნეებში 101

თავი XIX. ქართლის სამეფო XVI საუკუნის პირველ მეოთხედში 110

თავი XX. იმერეთის სამეფო და სამცხე-საათაბაგო XVI საუკუნის პირველ ნახევარში 115

თავი XXI. ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVI საუკუნის 40-50-იან წლებში 119

თავი XXII. სიმონის მეფობის პირველი პერიოდი 123

თავი XXIII. კახეთის სამეფო ლევანის მეფობის დროს....125

თავი XXIV. ირან-ოსმალეთის მეორე ომი და საქართველო 129

თავი XXV. საქართველო XVI საუკუნის ბოლოს 136

თავი XXVI. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XVII ს. პირველ მესამედში 139

თავი XXVII. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-50-იან წლებში .. 167

თავი XXVIII. დასავლეთ საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში 178

თავი XXIX. ვახტანგ V და საქართველოს გაერთიანების ცდები. ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში (60-90-იანი წლები) 183

თავი XXX. მმართველობის სისტემა და აპარატი საქართველოს სამეფო-სამთავროებში XVI-XVII სს. 192

თავი XXXI. ქართული კულტურა XVI-XVII საუკუნეებში 199

თავი XXXII. საქართველო XVIII ს. პირველ მეოთხედში 208

თავი XXXIII. დასავლეთ საქართველო XVIII ს. I ნახევარში 234

თავი XXXIV. აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება 246

თავი XXXV. ქართლ-კახეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა XVIII საუკუნის შუა ხანებში 257

თავი XXXVI. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა 60-70-იან წლებში 272

თავი XXXVII. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათი XVIII საუკუნეში 283

თავი XXXVIII. რუსეთ-თურქეთის 1769-1774 წწ. ომი და საქართველო 294

თავი XXXIX. ვითარება საქართველოში რუსეთთურქეთის ომის დამთავრების შემდეგ. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების ცდა 309

თავი XXXX. საქართველოში რუსეთის ექსპანსიის გაძლიერება. 1783 წ. ხელშეკრულება 319

თავი XXXXI. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის “მფარველობაში” (1784-1787 წწ.) . 325

თავი XXXXII. დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო 80-90-იან წლებში. ქვეყნის გაერთიანების საკითხის დაყენების არსი 332

თავი XXXXIII. აღა მაჰმად ხანის 1795 წ. თავდასხმა 341

თავი XXXXIV. ქართული კულტურა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში 361

თავი XXXXV. გიორგი XII მეფობა 370

წინათქმა

წინამდებარე ტომი ქრონოლოგიურად XIII-XVIII საუკუნეების ისტორიას მოიცავს. პირობითად მას გვიანი შუა საუკუნეები შეიძლება ვუწოდოთ.

XIII საუკუნის მსოფლიოს ისტორიის განვითარების ხასიათს ორი დიდი მოვლენა განაპირობებდა: დასავლეთში ჯვაროსნული მოძრაობა, აღმოსავლეთით კი ერთ-ერთ უდიდეს და უსასტიკეს დამპყრობთა — მონღოლთა გამოჩენა და მოქმედება. ორივე ეს მოვლენა სხვადასხვა ფორმით და დონით საქართველოსაც შეეხო.

ჩვენი ქვეყნის ამ პერიოდის ცხოვრება თანადროული მსოფლიოს ისტორიის ნაწილია: აქაც ბატონობს ფეოდალური ურთიერთობების ევროპული მოდელი, აქაც ადგილი აქვს რენესანსული კულტურისა და სულიერი ცხოვრების არსებობის ფაქტს, რამაც შემდგომში გაცილებით ლაღად გაშალა ფრთები აგრესიულ მომალადეთაგან გაცილებით ნაკლებად შეწუხებულ ევროპაში.

ქართველი ხელისუფალნი ცდილობდნენ გაეთავისებიათ მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების სატკივარი, თუმცა შესაბამის უკუგებას იშვიათად თუ გრძნობდნენ.

აქ გაცილებით მეტი თვითდაჯერებით და სისასტიკით თარეშობდნენ მსოფლიოს უდიდესი დამპყრობლები და მათი მიმბაძველი თუ დამხმარე უფრო მცირე ავაზაკები.

მკითხველი დაინახავს აღნიშნული აგრესორების ძალისხმევით და მათგან წაქეზებულ შინაურ რენეგატთა და სეპარატისტთა დახმარებით როგორ დაემცრო ერთ დროს დიდებული, მსოფლიო კულტურული, ეკო-ნომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით სამაგალითო სახელმწიფო.

იმ დროს, როდესაც ევროპის, განსაკუთრებით მისი დასავლეთი ნაწილის ხალხები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლის, ახალი კომუნიკაციების აღმოჩენის საფუძველზე პოლიტი-კურ-ეკონომიკურ წინსვლას განიცდიდნენ, როდესაც მოწინავე ცივილიზებულ ქვეყნებში მკვიდრდებოდა რენესანსი, განმანათლებლობა, ყველა დარგისა და მიმართულების კულტურის, აზრის, მეცნიერების არნახული განვითარება, ტექნიკა და მექანიკის უჩვეულო წინსვლა, ახალი ბურჟუაზი-ული ურთიერთობების ჩასახვა-გაძლიერება, რასაც თან ახლდა უბრალო ადამიანის ბედზე დაფიქრება — მაჰმადიანურ რკალში მომწყვდეული საქართველოს მთავარი საზრუნავი თავისი თვითმყოფადობის შენარჩუნება იყო.

განსახილველი პერიოდის საქართველოს ისტორია არის ქართველი ხალხის დიდი თუ პატარა, აშკარა თუ ფარული, აგრესორების წინააღმდეგ შეურიგებელი, თავგანწირული, პერმანენტული ბრძოლა თავისი ეროვნების, კულტურის, სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლებისა და თვითმყოფადობისათვის. ამ ბრძოლამ დიდი მსხვერპლი მოითხოვა... ერთ დროს ერთიანი, მტკიცე და ძლიერი ქვეყანა დაიშალა, დასუსტდა, დაცოტავდა. მისი ცალკეული მხარეები მტრისა და ორგულის წაქეზებით და ხელშეწყობით ხშირად ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, მაგრამ ამ ქარტეხილიდან საქართველო საერთო ჯამში გამარჯვებული გამოვიდა, რადგან ყველაფერთან ერთად საკუთარი სახელმწიფოებრიობის გადარჩენა და ამიერ-

კავკასიაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცენტრის ფუნქციის შენარჩუნება მაინც მოახერხა.

დიდი თამარის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ტახტი მისმა ღირსეულმა და ამბიციურმა ვაჟმა — ლაშა გიორგიმ დაიკავა და თავიდანვე ხელთ აიღო რა სახელმწიფოს მართვის სადავეები, გაბედულად დაუპირისპირდა აღზევებულ ფეოდალთა ფენას, განიზრახა თამარის დროს რამდენადმე შესუსტებული სახელმწიფო მართვის სისტემის განმტკიცება და ქვეყნის პოლიტიკური განვითარების მისი დიდი წინაპრების, დავით IV და გიორგი III დონეზე აყვანა.

ახალგაზრდა მეფე მსოფლიო პოლიტიკის მიმდინარეობაში აქტიურად ჩარევას გეგმავდა და იმ დროს უკვე დაწყებული ჯვაროსნული მოძრაობის დასახმარებლად ემზადებოდა, როდესაც საქართველოს საზღვართან მონღოლთა ჯგუფები გამოჩნდნენ. ისინი, მართალია, თავდაპირველად დაზვერვითი ხასიათის ოპერაციას აწარმოებდნენ, მაგრამ ქვეყნის საზღვრებთან მოქმედებამ ქართველთა შეშფოთება გამოიწვია და მათთან საბრძოლო დაპირისპირებამ ადრევე შეწყვიტა საქართველოს ახალგაზრდა მეფის შორს მიმავალი გეგმები და სიცოცხლეც კი.

რაც შეეხება მონღოლებს, რამდენიმე წლის (1235-1243 წწ.) განმავლობაში საქართველოში, ისევე როგორც წინა აზიის სხვა ქვეყნებში, სასტიკი დაპყრობები განახორციელეს, რასაც საქართველოში ულმობელი მტრის ასწლოვანი ბატონობა მოჰყვა (მანამდე, კარგა ხნით ადრე მათი სასტიკი ბატონობა ევროპისა და აზიის არაერთმა სახელმწიფომ გამოსცადა).

საქართველოს მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მის მეთაურთა ჭკვიანი, გაწონასწორებული პოლიტიკის და ქართველი ხალხის თავდადებული, უკომპრომისო ბრძოლის შედეგად, ქვეყანამ დამპყრობთა ძალადობა შედარებით ჩქარა მოიცილა.

არაერთ სხვა უბედურებასთან ერთად, რაც ამ აგრესიამ საქართველოს მოუტანა, ისიც იყო, რომ ამ ხანებში ჩაეყარა საფუძველი ქვეყნის ცალკე-ულ პოლიტიკურ ერთეულებად დაყოფას.

XIV საუკუნის დასაწყისიდან ქართველთა გამოჩენილმა მეფემ, გიორ-გი (V) ბრწყინვალემ შორსმჭვრეტელური დიპლომატიით და პოლიტიკით დამპყრობთა კეთილგანწყობა მოიპოვა, შემდეგ კი ისარგებლა რა ილხანთა სახელმწიფოს დასუსტებით, ჯერ ხარკი შეუწყვიტა, შემდეგ კი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა, რასაც საქართველოს განვითარება და აღზევება მოჰყვა. დიდი მეფის გულისყური ქვეყნის ინტერესთა თითქმის ყველა მიმართულებას წვდებოდა. ნიშანდობლივია, რომ მის დროს განახლდა ევროპის ქვეყნებთან ძნელბედობის დროს შეფერხებული სავაჭრო-ეკონომი-კური და კულტურული კავშირები. სამწუხაროდ, ეს წარმატებები დიდხანს არ გაგრძელდა. XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნის დასაწყისში საქართველოს და მის მეზობელ ხალხებს ახალი, უსასტიკესი აგრესორის — თემურ ლენგის გამანადგურებელი შემოსევები დაატყდა თავს, რომლებიც ქართველთა ქედუხრელობისა და საკუთარი სისასტიკის (სისხლისმსმელობის) შესაბამისად 1386-1403 წლებში რვაჯერ გამეორდა და სამეფოს არნახული ზიანი მოუტანა, მაგრამ ხალხის გმირობისა და თავდადების გამო მაინც

ვერ შეარყია ქართული სახელმწიფოებრიობა, ქრისტიანული სარწმუნოება, უზომოდ დაცოტავებული მოსახლეობის თვითმყოფადობა.

თემურ ლენგის ურდოების თარეშის პარალელურად, თითქმის იმავე ხანებში (XV ს. დასაწყისი) რუმის სასულთნოს ნანგრევებზე ჩამოყალიბდა არანაკლებ აგრესიული გაერთიანება — ოსმალთა იმპერია.

ორმა დამპყრობმა თითქმის გაიყვეს ასპარეზი: ოსმალები ბიზანტიის სამფლობელოებსა და ევროპის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ, თემურ ლენგის ბრბოები კი წინა აზიაში.

მაგრამ მათი ინტერესები მაინც გადაიკვეთა — 1402 წელს თემურ ლენგმა სასტიკად დაამარცხა ოსმალთა ლაშქარი და ერთ ხანს დაპყრობითი ომების წარმოების ხასიათი დაუკარგა. თვითონ კი საქართველოსკენ გამოეშურა და ერთხელ კიდევ მოაოხრა იგი. მეტის გაკეთება მას აღარ დასცალდა, 1405 წელს იგი გარდაიცვალა და მისი შეკოწიწებული იმპერი-აც დაიშალა.

ოსმალები კი ახალი სულთნის ხელში კვლავ მოძლიერდნენ, ევროპა-სა და მის სამფლობელოებს შევიწროებასთან ერთად, დაპყრობის საშიშროებაც კი შეუქმნეს.

სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური აღმავლობის გზაზე შემდგარი ევროპა შეშფოთდა. საჭირო იყო გაერთიანება, რასაც ეკლესიათა გათიშვა უშლიდა ხელს. ამ დაბრკოლების აღმოფხვრას ისახავდა მიზნად 1437 წელს ფერარაში მოწვეული მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელსაც კათოლიკური და მართლმადიდებლური ქვეყნები უნდა გაეერთია-ნებინა. რამდენად დიდი იყო იმ დროს მრავალ ჭირგადატანილი მართლმადიდებელი საქართველოს მსოფლიო ავტორიტეტი, რომელსაც სათავეში ალექსანდრე დიდი ედგა, იქიდან ჩანს, რომ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები ერთობ საპატიო ფორმით იქნენ მიწვეული მსოფლიო თავყრილობაზე. აღნიშნული საეკლესიო კრება უშედეგოდ დამთავრდა. გა-ერთიანება არ შედგა. დასავლეთის მიმართულებით ოსმალეთის აგრესია მას შემდეგაც არ შეწყვეტილა, როცა კონსტანტინოპოლი აიღო (1453 წ.) და ბიზანტიის დიდი ნაწილი მის კონტროლს დაექვემდებარა. მაგრამ მათ სტრატეგიაში გარკვეული ცვლილება მაინც მოხდა, ახლა მეტი ყურადღება აღმოსავლეთისაკენ გადაიტანეს: დაიპყრეს ტრაპიზონი, დაიმორჩილეს ყირიმის სახანო, ასტრახანი, დაუახლოვდნენ საქართველოს.

კონსტანტინოპოლის დაცემამ მნიშვნელოვნად იმოქმედა საქართველოს შემდგომ ბედზე. კულტურული, მაღალგანვითარებული ქრისტიანული სახელმწიფოს ნაცვლად მას დაუმეზობლდა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი, აგრესიული, მეტად ძლიერი მუსლიმური იმპერია, რომელმაც დაუყოვნებლად გადაკეტა გზა, რომლითაც საქართველო ევროპასთან ეკონომიკურ, კულტურულ თუ პოლიტიკურ პრობლემებს აგვარებდა, საქართველო მოწყვიტა კაცობრიობის სულიერი, პოლიტიკური, მეცნიერების აზრობრივი განვითარების კერებს, რითიც აშკარა დაღი დაამჩნია მის შემდგომ განვითარებას.

1514 წელს დაწყებული ოსმალეთ-ირანის ომი კარგა ხანს გაგრძელდა და უკანასკნელის დამარცხებით დამთავრდა; ამ ომით დაიწყო ახალი ეპოქა ამიერკავკასიის ცხოვრებაში. მით უმეტეს, რომ ამ ორი დიდი აგრე-სორის დაპირისპირებას საქართველოზე ჩრდილო კავკასიის მთიელთა პერმანენტული ავაზაკური თავდასხმებიც ემატებოდა.

ამ დროიდან მოკიდებული კიდევ უფრო გამწვავდა ქართველი ხალხის შეურიგებელი, თავგანწირული, დაუსრულებელი ბრძოლა დიდი და პატარა, აშკარა და ფარული აგრესორების წინააღმდეგ თავისი ქართველობის, ენის, სარწმუნოების, კულტურის და სოციალურ-ეკონომიკური წყობის შესანარჩუნებლად. ამ ბრძოლამ დიდი მსხვერპლი მოითხოვა. ერთია-ნი ქვეყანა დაიშალა, დაცოტავდა, ცალკეული მხარეები ხშირად ერთმა-ნეთსაც დაუპირისპირდნენ, მაგრამ საქართველო მაინც გადარჩა, რადგან ენასა და სარწმუნოებასთან ერთად სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაც შესძლო და ამიერკავკასიაში წამყვანი პოზიცია განიმტკიცა.

საქართველო არა მარტო ფიზიკურად გადარჩა, არამედ განვითარების სტიმულიც კი შეინარჩუნა და მსოფლიოს პროგრესული განვითარებისათვის ფეხის შეწყობასაც ცდილობდა. ხშირად საკმაოდ წარმატებითაც, რა-შიც თვალნათლივ დარწმუნდება ის მკითხველი, რომელიც წინამდებარე ნაშრომს გაეცნობა.

მაჰმადიანურ ალყაში მოქცეული ქართული პოლიტიკური ერთეულები ზოგჯერ ზედმეტ ნდობასაც კი ამჟღავნებდნენ იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც მას ქრისტიანობის დროშით თანდათან უახლოვდებოდა და ეროვნულ გადარჩენაში, სარწმუნოების შენარჩუნებაში, მტრისაგან დაცვასა და მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფაში დახმარებას აღუთქვამდა.

მართალია, წინა წლების გამოცდილებით ქართველებმა იცოდნენ, რომ მათთან დაკავშირებული რუსი დიპლომატები ქედმაღლური განცხადებებისა და უსაგნო ბაქიაობის გარდა ქვეყნისთვის ფაქტობრივად სასიკეთოს არაფერს აკეთებდნენ. მაგრამ რეგიონში ფეხჩადგმული დიდი ქრისტიანული სახელმწიფოს სიტყვიერ დაპირებებს მაინც დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, როდესაც დამოკიდებულების ერთობ მაღალ ხარისხზე დგებოდა საკითხი, ქართველები მაინც ყოყმანობდნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ რუს პოლიტიკოსთა ფუჭი დაპირებების უკან მათი ვერაგული მიზნები იმალებოდა, რაც საბოლოოდ რა დონის დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა, ძნელი განსასაზღვრი იყო.

XVIII საუკუნეს გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიაში. მართალია მარცხი და გამარჯვებები აქაც ცვლიდნენ ერთმანეთს, მაგრამ ჩვენი ისტორიის ოქროს ხანიდან მოკიდებული ქვეყანას განვითარების ასეთი სტიმულისა და დონისთვის აღარ მიუღწევია.

ვახტანგ VI ქართლის განმგებლობის დროს (1703-1724) პატარა სამეფომ შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო-პოლიტიკური თუ იდეურ-კულტურული განვითარების თვალსაზრისით. აქ მან ისეთ სიმაღლეების დაპყრობა შესძლო, რომ განვითარების თვალსაზრისით ევროპულ დონეს გაუსწორა თვალი. მართალია ქვეყნის სხვა ნაწილები ქართლს ვერ უტოლდებოდნენ, მაგრამ მის მაგალითს ბაძავდნენ და წარმატებებსაც იზიარებდნენ. განვითარების მიღწეულმა დონემ გააქტიურა ქვეყნის გაერთიანების საუკუნოვანი იდეა, რამაც ვახტანგის პროგრესისტთა გუნდი რუსეთის დიდ იმპერიასთან დააკავშირა.

რუს მოღვაწეთა ქედმაღლობის, უპირობისა და უპასუხისმგებლობის გამო ეს კავშირი უდღეური აღმოჩნდა და ერთიანი საქართველოს და შე-იძლება ერთიანი კავკასიის მეთაურად

მოწოდებული დიდი ვახტანგ VI ჩქარა სამეფოს გარეშე დარჩა და ემიგრაციაში დაასრულა სიცოცხლე.

ვახტანგ VI სავალალო მაგალითმა განაპირობა მისი მომდევნო ხანის საქართველოს სათავეში მდგომი ბრწყინვალე სამეფო ოჯახის (დედოფალი თამარ ვახტანგის ასული, მეფე თეიმურაზ II და ერეკლე II) პოლიტიკა, რომელიც თავის მთავარ გეგმებს საქართველოს გაერთიანებას უკავშირებდნენ: გულგრილად გაეანალიზებინათ ამ საქმეში დამხმარისა და მფარველის საკითხი და რუსეთის ორიენტაციაზე (პირველ ხანებში მაინც) უარი ეთქვათ. და კიდეც შეძლეს გეგმის მთავარი ნაწილის ქართლ-კახეთის სამეფოს რუსთა დაუხმარებლად გაერთიანება. რითაც დიდი სახელი მოიპოვეს არა მარტო გარემომცველ მაჰმადიანურ სამყაროში, არამედ ევროპაშიც.

საქართველოს გაერთიანების პრობლემა იმდენად ძლიერი და ეროვ-ნულად მომწიფებული იყო, რომ დიდი ქართველი მოღვაწეები მას პირად ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო დასავლეთ საქართველოს დიდმა მეფემ სოლომონ პირველმა და ქვეყნის დინასტიური გაერთიანება რომ განეხორციელებინა უარი თქვა ტახტის თავისი შვილიშვილისთვის გადაცემაზე და იგი ერეკლეს შვილიშვილს და სოლომონის ძმისშვილს დავით არჩილისძეს შემდგომში სოლომონ II დაუმტკიცა.

მაგრამ საქართველოს მომავალი მის ფარგლებს გარეთ წყდებოდა. დიდი ხანი მწიფდებოდა რუსეთის შავი და კასპიის ზღვების აუზზე და-პატრონების იდეა. ამ იდეის განსახორციელებლად იგი დასაყრდენად საქართველოს მიიჩნევდა.

რუსეთი თავის გეგმას თანმიმდევრულად აყალიბებდა და ანხორციელებდა. ქართლ-კახეთის შედარებით პოლიტიკურად მომაგრებული მეფეები ვარაუდობდნენ რუსეთის ინტერესები თავის გამაერთიანებელი გეგმის განსახორციელებლად გამოეყენებინათ. ამიტომ ამ ტიპურ აგრესორთან "მე-გობრული" კავშირი გააბეს. მაგრამ რუსეთის ხელისუფალთა გაუმაძღარი ბუნების დაშოშმინება მეტად რთული იყო. ქართველთა სურვილის საწინა-აღმდეგოდ, აიძულეს რუსეთის "მფარველობა" მიეღო, შემდეგ კი მთელი თავისი ძალისხმევა ორი მიმართულებით წარმართეს: 1. თანდათანობით რაც შეიძლება გაეზარდათ საქართველოზე ბატონობის ფორმები: მფარველობა, ქვეშევრდომობა, ფაქტობრივი შეერთება, სახელმწიფოებრიობის გა-უქმება და 2. ყველა ზომები ეხმარათ, რათა საქართველო (ქართლ-კახეთი) თანდათანობით ისე დასუსტებულიყო, რომ ფაქტობრივად "მფარველობა-ში" მყოფ ქვეყანას დამოუკიდებლად ყოფნა აღარ შეძლებოდა.

მთელი თავისი პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური თუ სტრატეგიული არსენალის გამოყენებით რუსეთმა განზრახულს მიაღწია და საქართველო, რომელიც სახელმწიფოებრიობის 30 საუკუნოვან ისტორიას ითვლიდა, XIX საუკუნეს დაპყრობილი და რუსეთის გუბერნიად ქცეული შეხვდა.

თავი I. ლაშა-გიორგის მეფობა

კონფლიქტი დიდგვაროვნებთან. ლაშა-გიორგი თამარ მეფის უფროსი შვილი იყო, იგი დაახლ. 1192-1193 წწ. დაბადებულა და მისთვის მი-სი სახელოვანი პაპის, გიორგის სახელი

დაურქმევიათ, ლაშა კი საალერსო ზედწოდებაა . 1206 წ. დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ თამარმა თავისი 13 წლის ვაჟი თანამოსაყდრედ დაისვა. რამდენ ხანს გაგრძელდა ლაშას თანამოსაყდრეობა — ზუსტად ცნობილი არ არის — თამარის გარდაცვალების და ლაშა-გიორგის დამოუკიდებელი მეფობის დაწყების თარიღი ჯერ კიდევ დაუდგენელია . აშკარაა მხოლოდ, რომ ლაშა-გიორგის გამეფებას მალე სერიოზული გართულებები მოჰყვა როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპარეზზე. როგორც ჩანს, ლაშა-გიორგი, მისი სახელოვანი დედი-საგან განსხვავებით, დიდგვაროვანთა მიმართ უფრო მტკიცე პოლიტიკის გატარებას აპირებდა. მას ამ საქმეში თანამოაზრეები და თანამზრახველნიც ჰყოლია. ამან იმთავითვე დიდი კონფლიქტი წარმოქმნა მასსა და სამეფო კარზე მოკალათებულ გავლენიან დიდგვაროვნებს შორის.

პირველად ეს კონფლიქტი გამომჟღავნდა განძის ათაბაგის წინააღმდეგ ლაშქრობისას. განძის საათაბაგო საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. ყმადნაფიცი ქვეყნები საქართველოს ხარკს უხდიდნენ და მოთხოვ-ნისთანავე მოვალენი იყვნენ ჯარი გამოეყვანათ. თამარის გარდაცვალება და სამეფო ტახტზე ახალგაზრდა მეფის ასვლა განძის ათაბაგმა ხელსაყრელ დროდ მიიჩნია საქართველოს ყმობისაგან თავის დასაღწევად და განდგომა იწყო.

ყმადნაფიცების სიმრავლე საქართველოს ძალის მოწმობა იყო და არა მისი სიძლიერის საფუძველი. ასეთი ქვეყნები მხოლოდ ძალით ემორჩილებოდნენ პატრონს, ამიტომ როგორც კი დრო მიეცემოდათ ისინი კვლავ განდგომას ცდილობდნენ. ამჯერად განძის საათაბაგოს მაგალითს სხვა ყმადნაფიცი ქვეყნებიც უყურებდნენ და, გასაგებია, სხვა ყმადნაფიც ქვეყ-ნებზე საქართველოს მფლობელობის შენარჩუნება დამოკიდებული იყო იმაზე, შესძლებდა თუ არა საქართველო განძის კვლავ დამორჩილებას. ისე რომ, ლაშა-გიორგი გამეფებისთანავე სერიოზული გამოცდის წინაშე დად-გა. ახალგაზრდა მეფის მოწოდებაზე დიდებულებმა ერთსულოვნად დაას-კვნეს ლაშქრობა განძის ათაბაგის წინააღმდეგ. ეს ლაშქრობა წარმატებით დამთავრდა, ქართველთა ლაშქარმა აიძულა განძის ათაბაგი კვლავ ხარკი ეკისრა და თავი საქართველოს მორჩილად ეცნო.

ამ ლაშქრობასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს კონფლიქტი, რომელიც წარმოიშვა ლაშა-გიორგისა და საქართველოს ლაშქრის სარდლებს შორის. რა თქმა უნდა, სარდლები ეს იგივე დიდგვაროვნები იყვნენ და ეს კონფლიქტიც ახსნას შინაკლასობრივ ბრძოლაში პოულობს.

როდესაც ქართველთა ჯარი საათაბაგოს ტერიტორიაზე შეიჭრა ათაბაგმა ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა და იძულებული გახდა განძის ციხისთვის შეეფარებინა თავი. განძა კარგად გამაგრებული ქალაქი იყო და მისი იერიშით აღება გაძნელდა. ქართველთა სარდლობამ გადაწყვიტა ციხექალაქს შემოსდგომოდა და ხანგრძლივი ალყით იძულებული გაეხადა ურჩი ყმა დანებებულიყო. ახალგაზრდა მეფის ბუნება, როგორც ჩანს, ასეთი ტაქტიკით ბრძოლის წარმოებას ვერ ეგუებოდა და რამდენიმე ხნის შემდეგ გადაწყვიტა, სარდლობასთან შეუთანხმებლად, მტკვრის მხრიდან გარშემოევლო ქალაქისათვის და შეერჩია ადგილი იერიშისათვის. მეფეს თან ახლდა 4000-იანი რაზმი. როდესაც განძელებმა შენიშნეს, რომ მეფე შედარებით მცირერიცხოვანი ჯარით იყო, მათ “მსწრაფლ განახვნეს კარნი ქალაქისანი და ვითარ მხეცნი მიუხდეს”. მტრის 10000-იანი ლაშქარი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ქართველებს, მაგრამ ლაშა-გიორგიმ და მასთან ერთად მყოფმა თანამებრძოლებმა: ყვარყვარე ჯაყელის ძემ

ბიბილა გურკელმა, ბოცო ბოცოს ძემ, ასევე უბრალო მოლაშქრეებმა დიდი სიმამაცე და თავდადება გამოიჩინეს, რათა არ შეერცხვინათ ახალგაზრდა მეფე მის პირველ ომში. ბრძოლის მსვლელობას ქალაქის მცხოვრებნი ციხის კედლებიდან ადევნებდნენ თვალყურს. როდესაც განძელთა ლაშქარი დამარცხებულ იქნა და ქალაქში ქალების წივილ-კივილი ატყდა, თვითონ ბრძოლის ხმაურმა ქართველთა სარდლობის ბანაკამდეც მიაღწია, ალყად მდგარი ქართველთა ლაშქარი სასწრაფოდ გამოემართა მეფის დასახმარებლად, მაგრამ უკვე ყველაფერი დამთავრებული დახვდათ. დამარცხებული მტერი უკუქცეული და ქალაქში შერეკილი იყო. მაგრამ ქართველებსაც მნიშვნელოვანი ზარალი მოსვლოდათ.

ქართველ სარდლებს, საქართველოს ამირსპასალარის ივანე ათაბაგის მეთაურობით, არაფრად ეპიტნავათ მეფის დამოუკიდებელი მოქმედება. მისი ასეთი ნაბიჯი კიდევ უფრო გაათამამებდა ახალგაზრდა მეფეს და შემდეგშიც დაუკითხავად და მხოლოდ თავისი ნებით იმოქმედებდა. ლა-შა-გიორგი მართლაც იმისკენ მიისწრაფოდა, რომ იგი ყოფილიყო მისი პა-პისა და დიდი პაპის, გიორგი III-ისა და დავით აღმაშენებლის ძალაუფლების მქონე მეფე “ნებითა ღვთისათა” და არა მეფე “ნებითა დიდებულთა”, როგორც ეს თამარის დროიდან მეფის კარზე მოკალათებულ დიდ-გვაროვნებს სურდათ, რომლებსაც უკვე მიეღწიათ “ერთნებობისა და თა-ნადგომის” უფლებისათვის. დიდებულები მეფეს დაემუქრნენ, რომ თუ იგი კვლავ ასე თვითნებურად, მათთან შეუთანხმებლად იმოქმედებდა, ისინი “დაამტკიცებდეს არრარა ყოფად მოლაშქრედ და არცა ყოფად კარსა მეფისასა”. ეს ჰგავდა იმავე გაფიცვას, რომელიც დიდგვაროვნებმა განახორციელეს თამარის გამეფებისას და თავისას მიაღწიეს კიდეც. ამჯერად მეფე იძულებული იყო ცხენიდან ჩამომხტარიყო და ბოდიში მოეხადა. ეს იმას ნიშნავდა, რომ მეფის კარზე რეალური ძალაუფლება ჯერ კიდევ ამ დიდებულების ხელთ იყო და ახალგაზრდა მეფეს არ გააჩნდა დასაყრდე-ნი ამ მდგომარეობის შესაცვლელად. ეს მეფის პირველი მარცხი იყო და მისი სისუსტის პირველი საჯარო აღიარება.

როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, ლაშა გიორგი ვერ ეგუება თავისი ხელისუფლების ასეთ შეზღუდვას, იგი ცდილობს სამეფო კარიდან ჩამოიცილოს განდიდებული დიდგვაროვნები და მათ მაგივრად თანამო-აზრენი და თანამოასაკენი შემოიკრიბოს. ეს დაპირისპირება თამარის დროს დაწინაურებულ დიდგვაროვნებსა და ლაშა-გიორგისთვის სასურველ “ახალკაცთა” შორის ჩანს არა მარტო პოლიტიკურ ასპარეზზე, არამედ იდეოლოგიურ და ცხოვრებისეულ სფეროშიც. ამ ამბების აღმწერი მემატი-ანე ე. წ. “ჟამთააღმწერელი” პირდაპირ მიუთითებს, რომ ლაშა-გიორგიმ “განიშორნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და მეფისა (თამარის) წესთა მასწავლელნი, შეიყვარა თანამოასაკენი...” ესენი იყვნენ, ამ ისტორიკო-სის შეხედულებით, “უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არაყოფნისაღირსნი და აწ კარსა ზედა მყოფნი”. ეს, რა თქმა უნდა, ისტორიკოსს არ მოსწონს და შექმნილ ვითარებას საკმაოდ მუქ ფერებში ხატავს. იგი ძალღონეს არ იშურებს, რომ რაც შეიძლება უარყოფითად დაახასიათოს ლაშა-გიორგის ეს “თანამოასაკენი”, მათ მოქმედებას ქრისტიანული მორალისათვის ყოვლად მიუღებლად თვლის და მათთან სიახლოვის გამო ლაშა-გი-ორგისაც დიდ ცოდვებს აბრალებს, რაც მისი რწმენით, გახდა მიზეზი საქართველოზე ღვთის მიერ თავს დატეხილი რისხვისა: “ამისთვის აღმოცენდეს მიზეზნი ცოდვათა სიმრავლითა საქართველოსა მოოხრებისანი”.

რინდები. ლაშა-გიორგი მართლაც თავისებური ბუნების კაცი ჩანს. “ჟამთააღმწერლის” დახასიათებით იგი იყო “ტანით ძლიერი, მხნედ მოი-სარი, ნადიმობათა შინა მოსწრაფე, ლაღი და თვითბუნება”. მისი ასეთი განლაღება უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ მისი საყმო “უშფოთველად და წყნაროზით დაეტევა” მის სახელოვან დედას, მეფე თამარს, თვით ლაშა იყო “ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვი და არავისთვის მოშურ-ნე, მლოცველ, მმარხველ, განმკითხველ და მოწყალე”. ამასვე აღნიშნავს ლაშას დროინდელი მემატიანე: “ლომი ძალითა და უმანკო გონებითა, მოყვარული ყოველთა კაცთა დიდთა და მცირეთა, მთავართა მათითა პატივითა, მონაზონთა და მღვდელთა მათითა პატივითა, მშვიდი და განურისხებელი ბუნებითა, შვიდთა სამეფოთა მეფე, მონისაცა ერთისა მათრახისა არა მკვრელი, მშვილდოსანი და ცხენოსანი, გულოვანი და შემმართებელი”. მაგრამ ბოლო დროს იგი “მიდრკა სიბოროტედ თანამიყოლითა უწესოთა კაცთათა”. ეს “უწესონი კაცნი” იყვნენ, მემატიანეს მტკიცებით, სწორედ ისინი, რომლებიც ლაშამ დაიახლოვა და თავის კარზე შემოიკრიბა. მათთან ერთად იგი ეწეოდა თავაშვებულ ცხოვრებას და ამით წინა თაობის დიდგვარიანთა და საეკლესიო წრეების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა.

როგორც ვხედავთ, დაპირისპირება ამ ორ თაობას შორის, კერძოდ, თამარის დროს კვლავ აღზევებულ დიდგვარიანებსა და ლაშას “თანამოჰა-საკეებს” (ე. ი. ახალგაზრდა მეფის თაობის და შეხედულების პირებს) შორის უკიდურესად გამწვავებულია. ეს დაპირისპირება ჩანს თვით ისტორი-კოსების პოზიციაშიც. მაშინ, როდესაც ე. წ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე მხოლოდ დადებითად აფასებს ლაშას მთელ მოქმედებას და ამით აშკარად ამჟღავნებს თავის მომხრეობას მეფის პოლიტიკისადმი, მეორე ისტორიკოსი — “ჟამთააღმწერელი” (უფრო სწორად, ის ავტორი, რომლის ცნობებსაც ჟამთააღმწერელი ეყრდნობა ლაშას ისტორიის გადმოცემი-სას) სრულიად საპირისპიროდ, უარყოფითად და მუქ ფერებში გვიხატავს ლაშას პიროვნებასა და მოქმედებას. მართალია იგი თავდაპირველად ლა-შას დადებით თვისებებსაც აღნიშნავს, მაგრამ განსაკუთრებით ვრცლად და ფართოდ ჩერდება ლაშას ნაკლოვან მხარეებზე.

რაში ხედავენ ისინი ლაშას პიროვნულ უარყოფით თვისებებს? პირველ რიგში იმაში, რომ მან ჩამოიშორა სამეფო კარზე თამარის დროს დაწინაურებული დიდგვაროვნები და მათ მაგივრად სულ სხვა პირები დაი-ახლოვა. ესენი იყვნენ ძირითადად ლაშას “თანამოჰასაკენი”, რომლებთანაც ერთად იგი ეწეოდა დროს ტარებას და “უწესო” ცხოვრებას (“შეიყუარნა თანამოჰასაკენი მოსმურობითა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა”). საამისო მაგალითიც მოაქვს ჟამთააღმწერელს: ლაშას “თანამოჰასაკეებს” კავ-შირი ჰქონიათ რინდებთან, რომლებთან ერთადაც ისინი დროს ატარებდნენ. ერთხელ ლაშაც წაუყვანიათ ასეთ დროსტარებაზე, მაგრამ ღვინით მთვრალ რინდებს მეფე ვერ უცვნიათ და ჩხუბში მისთვის თვალიც დაუზიანებიათ.

ვინ იყვნენ ეს რინდები? “რინდ” სპარსულად დამამცირებელი მნიშვნელობისაა და აღნიშნავს მოქეიფეს, ლოთს, უდარდელს, დროსტარებას გადაყოლილს, ცბიერს, მატყუარას, ეშმაკს. აქედან ჩანს, რომ აღმოსავლური ქვეყნების ოფიციალურ წრეებში ამ რინდებს ათვალწუნებით და დაცინვით უყურებდნენ, სინამდვლეში კი რინდები სულ სხვა თვისების, მრწამ-სის და შეხედულების პირები იყვნენ. ისინი არ სცნობდნენ ორთოდოქსალურ რელიგიებს, არც ისლამს და არც ქრისტიანობას და უპირისპირდებოდნენ რა ამ სარწმუნოებებს, ღმერთთან დაკავშირების

საშუალებად ღვი-ნის სმა და ქალის სიყვარული მიაჩნდათ. ისინი ადამიანურ თავისუფლებას ქადაგებდნენ და არ სწამდათ რელიგიური თვითგვემა და ასკეტიზმი.

ამ მრწამსის მიმდევარნი იყვნენ ცნობილი აღმოსავლელი პოეტები და ფილოსოფოსები. მაგალითად, სახელგანთქმული მეცნიერი — მედიკოსი და ფილოსოფოსი იბნ-სინა (938-1037 წწ.), რომელიც ევროპაში ავიცენას სახელითაა ცნობილი, დიდი პოეტი, მათემატიკოსი და ფილოსოფოსი ომარ ხაიამი (დაახლ. 1048-1122 წწ.), შესანიშნავი ლირიკოსი პოეტი ჰაფეზი (1320-1389 წწ.) და სხვა. ისინი აიდეალებდნენ ღვინის კულტს და მას თვლიდნენ ამქვეყნიური ბოროტებისაგან ადამიანის გათავისუფლების სა-შუალებად.

როგორც ჩანს, ლაშა-გიორგის მრწამსი ახლოს იდგა რინდების შეხედულებებთან და მისი "უცნაურობაც" ამით აიხსნება. ჟამთააღმწერლის გადმოცემით, ახალგაზრდა მეფეს თავდავიწყებით შეყვარებია ერთ-ერთი თავისი ქვეშევრდომის, ველისციხელი აზნაურის ცოლი. მან ეს ქალი თავისთან სასახლეში წამოიყვანა, მაგრამ კათალიკოსმა და დიდებულებმა მასზე დაქორწინების ნება არ დართეს. ამ ქალთან ლაშას ვაჟიშვილი შეეძინა, რომელსაც დავითი დაარქვეს. ამის მიუხედავად დიდებულებმა ეს ქალი ჩამოაშორეს და ისევ ქმარს დაუბრუნეს. ლაშა-გიორგი მაინც ერთგული დარჩა თავისი სიყვარულისა და სხვა ქალი აღარ შეურთავს. ამ ფაქტშიც ნათლად ჩანს საქართველოს ახალგაზრდა მეფის რინდების შეხედულებებთან ახლო დგომა, ხოლო ოფიციალური წრეები მის ასეთ მოქმედებას "მრუშობად" თვლიდნენ.

ამრიგად, ამ ფაქტებში კარგად ჩანს საქართველოს სამეფო კარზე ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელთა დაპირისპირება როგორც სახელმწიფოებრივ პოლიტიკაში, ისე იდეოლოგიისა და ეთიკის სფეროშიც. ქვეყანაში კრიზისული მოვლენები ღვივდება. ახალგაზრდა მეფე ფაქტობრივად ვერ ახერხებს დიდგვაროვნების დამორჩილებას და თავისი თვითმპყრობელური ხელისუფლების განმტკიცებას. ეს მოვლენები შემდეგში კიდევ უფრო გამწვავდა და საგარეო ძალასთან შეჯახებაში საქართველოს დამარცხების მიზეზად იქცა.

საგარეო პოლიტიკური ვითარება. გიორგი ლაშას დროს საქართველო კვლავ ძლიერი სახელმწიფოა. მისი ავტორიტეტი მსოფლიო ასპარეზზე საკმაოდ მაღალია. მისი მეფობის ბოლო წლებში ზოგიერთმა ყმადნაფიცმა ქვეყანამ საქართველოსაგან დამოუკიდებლობის მოპოვება სცადა, მაგრამ ლაშა-გიორგიმ ძლევამოსილი ლაშქრობებით ისინი კვლავ დაიმორჩილა. მაგალითად, 1219 წ. საქართველოს მეფემ სამხრეთდასავლეთის მიმართულებით ილაშქრა და აიღო ოროტნი და სხვა ციხეები ნახი-ჭევანამდე. ასევე გაილაშქრა ხლათის სულთნის წინააღმდეგაც და ისიც დაამარცხა და ისევ მორჩილებაში მოიყვანა. დაიმორჩილა კარნუქალაქიც.

ამ პერიოდში ლაშას რომის პაპ ჰონორიუს III-სგან ეპისტოლე მოუვიდა, რომელშიც პაპი საქართველოს მეფეს პალესტინის გასათავისუფლებლად ბრძოლაში მონაწილეობას სთხოვდა. ამ დროს ჯვაროსანთა V ლაშქრობა (1217-1221 წწ.), რომელიც ეგვიპტის წინააღმდეგ იყო მიმართული, უშედეგოდ დამთავრდა. ჯვაროსნებს ქართველთა ლაშქრის დახმარების იმედი ჰქონდათ. ჯვაროსანთა შორის გავრცელდა კიდეც ხმა, რომ საქართველოს მეფემ ეს ლაშქრობა დაიწყო. ამას აღნიშნავდა ფრანგი რაინდი დებუა ბეზანსონის არქიეპისკოპოსისადმი გაგზავნილ თავის წერილში: "აწ ისმინეთ სხვა რამ საკვირველი და საყურადღებო. ამბად მივიღე, და საქმის

სიჭეშმარიტე სანდო მოციქულისაგან გავიგეთ, რომ ივერიითგან ვინმე ქრისტიანენი, გიორგიანებად წოდებულნი, ურიცხვი მხედრობით და ქვეითი ჯარით ღვთის აღმაფრთოვანებელ დახმარებით ძალათა ფრიად აღ-ჭურვილით, ურწმუნო წარმართთა წინააღმდეგ სწრაფად აღდგნენ და, აიღეს რა უკვე 300 ციხე და 9 დიდი ქალაქი, მაგარნი დაიპყრეს, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქციეს. აღნიშნულ ქალაქთაგან ერთი, ევფრატზე მდებარე, ყველა წარმართთა ქალაქთაგან უფრო წარჩინებული ყოფილა... ზემოაღნიშნული წმინდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და მთელ საწარმართოს დაიმორჩილებენ. მეფე მათი წარჩინებული, თექვსმეტი წლისაა, ალექსანდრეს ბადალი ძალით და სიკეთით, თუმცა არა სარწმუ-ნოებით. ჭაბუკი ესე დედისმისის დედოფლის უძლიერესის თამარის ნეშტს თან ატარებს, რომელმაც სანამ ცოცხლობდა, იერუსალიმად წასვლის აღთქმა დადვა, და შვილსა თვისსა სთხოვა, თუ მიიცვლებოდა, რომ ძვლები მისი უფლის საფლავთან წაესვენებინათ". როგორც ჩანს, ლაშა გი-ორგის მართლაც დაუწყია სამზადისი ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ სწორედ ამ დროს საქართველოს საზღვრებთან გამოჩნდნენ თათარ მონღოლები, რომლებმაც არათუ ამ ლაშქრობის გეგმა ჩაშალეს, არამედ მკვეთრად შეცვალეს საქართველოს ისტორიული განვითარების გეზიც.

თავი II. მონღოლთა ვინაობა და მათი პირველი ლაშქრობა საქართველოში

მონღოლთა საზოგადოებრივი წყობა და სამხედრო ორგანიზაცია. თათარმონღოლები ცენტრალური აზიის ვრცელ ველებში მომთაბარე ტომები იყვნენ, რომლებიც XI-XII საუკუნეებში ჯერ კიდევ პატრიარქალურთემური წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ. მონღოლთა ტომებს შორის წარმოებულ ხანგრძლივ ბრძოლაში წარმატებას მიაღწია ერთ-ერთმა ნოინმა თემუჩინმა, რომელიც 1206 წ. მონღოლი თავკაცების ყრილობამ — ყურულთაიმ — მონღოლთა სახელმწიფოს უზენაეს მბრძანებლად აირჩია და მას ჩინგიზხანი ეწოდა.

ჩინგიზხანმა კარგად შეუთავსა ერთმანეთს თემურ-გვაროვნული წყობის ტრადიციები მის მიერ შექმნილი სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციას. კერძოდ, მან თავისი ქვეშევრდომი მონღოლები დაჰყო სამხედრო ერთეულებად: ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და ათიათასეულებად (დუმნებად). ასეთ ერთეულებში ძირითადად გაერთიანებულები იყვნენ შესაბამისად ერთი ოჯახისა, გვარისა თუ ტომის წარმომადგენლები. ამრიგად, ბრძოლის ველზე ერთმანეთის გვერდით იბრძოდნენ უახლოესი ნათესავები. გვარი პასუხისმგებელი იყო თითოეული წევრის მოქმედებაზე, ისევე როგორც თითოეულ წევრს უნდა დაეცვა გვარის ინტერესები. ამიტომ ღალატი ან ბრძოლისაგან თავის არიდება მონღოლებთან გამორიცხული იყო. თუ ვინმე ღალატს ჩაიდენდა, ბრძოლის ველიდან გაიქცეოდა ანდა თუნდაც ტყვედ ჩავარდებოდა, მთელ გვარს სიკვდილით სჯიდნენ. მათგან განსხვავებით ფეოდალურ ლაშქარში უაღრესად სუსტი იყო დისციპლინა. მაგალითად, ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდნა დიდ სირცხვილად არც ითვლებოდა. ეს მხოლოდ ეკონომიკური ზარალი იყო, რადგან ჩვეულებრივ დატყვევებულის გამოსყიდვა ხდებოდა ხოლმე.

ყველა განვითარებულ ფეოდალურ ქვეყანაში სამხედრო ორგანიზაცია პატრონყმურ პრინციპზე იყო აგებული. ყმის პატრონისადმი ერთგულება ძირითადად სამამულო-ეკონომიკურ ინტერესებს ემყარებოდა და ჩვეულებრივად ყმამოლაშქრე პატრონს ემორჩილებოდა და ემსახურებოდა იმ პირობით, თუ იგი უზრუნველყოფდა მის კეთილდღეობას. შიდაკლასობრივი და კლასობრივი ურთიერთობის გამწვავების ვითარებაში ეს ერთგულებამორჩილება მეტად სათუო იყო და ადვილად ირღვეოდა. ამას გარდა, ფე-ოდალები ფუფუნებას არ იკლებდნენ ლაშქრობაშიც. მონღოლებს კი ამ მხრივ დიდი უპირატესობა ჰქონდათ. ისინი შეჩვეულნი იყვნენ ცხოვრების მკაცრ პირობებს: სიცხეს, სიცივეს, შიმშილს, გაჭირვებას. რომის პაპის ელ-ჩი პლანო კარპინი, რომელიც 1246 წ. იმყოფებოდა მონღოლთა მთავარ ურდოში გაკვირვებით შენიშნავს: “ისინი ჭამენ ყველაფერს, რის დაღეჭვაც შეიძლება: ძაღლებს, მელიებს, ცხენებს, გაჭირვების დროს ადამიანის ხორცსაც... ჩვენ დავინახეთ, რომ ისინი თვით ტილებსა და თაგვებს სჭამდნენ. არც პური აქვთ, არც მწვანილი და ბოსტნეული და არც სხვა რამე, გარდა ხორცისა... ხელები ძალიან უჭუჭყიანდებათ ქონით. როცა გაძღებიან ჩექმებზე, ბალახზე ან რაც მოხვდებათ იმაზე იწმენდნენ... ჭურჭელს არ რეცხავენ, ხოლო თუ ხანდახან ხორცის წვენს გამოავლებენ, ხორცთან ერთად ისევ ქოთანში ასხამენ... ტანისამოსსაც არ რეცხენ და არც არეცხინებენ”...

ქართველი მემატიანე, ჟამთააღმწერელიც აღნიშნავდა, რომ “ესენი მცირედთა საზრდელთა განეშორებოდეს, ყოველსა სულიერსა სჭამდეს, ხორცსა კატისა, ძაღლისა და ყოველსა”.

მონღოლები ძირითადად მომთაბარემეჯოგეები იყვნენ. მათი მეურნე-ობა მესაქონლეობა და ნადირობა იყო. ისინი აშენებდნენ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიან საქონელს, მაგრამ განსაკუთრებული ადგილი მათ მე-ურნეობაში და ყოფაცხოვრებაში ცხენის მოშენებას ეკავა. ცხენი მათთვის ყველაფერი იყო — როგორც გადაადგილების საშუალება, ისე მეწველი და სახორცე საქონელი. მათთვის საუკეთესო საკვები ცხენის ხორცი იყო, სასმელი — ცხენის რძისაგან დამზადებული კუმისი, რომელიც წმინდა სასმელად და ბოროტებისაგან განმკურნებელ მაგიურ საშუალებად მიაჩნდათ. მონღოლთა საკვების მნიშვნელოვან ნაწილს ნანადირევი შეადგენდა.

როგორც მეჯოგემესაქონლეობა, ისე მონადირეობა მონღოლისაგან მოითხოვდა ხშირ გადაადგილებას, სწრაფ მანევრირებას, დიდ გამძლეობას და სიმამაცეს, მშვილდ-ისრის ხმარების მაღალ ოსტატობას. ყოველივე ეს მათ გამორჩეულ სამხედრო თვისებებსაც უყალიბებდა.

მონღოლები, როგორც წესი, თავიანთ ჯალაბობასთან და ჯოგებთან ერთად მიემართებოდნენ სალაშქროდ. ეს მათ უადვილებდა ლაშქრის სურსათით უზრუნველყოფასაც და მეომართა დანაკლისის სწრაფად შევსებასაც. ყოველივე ეს მონღოლებს დიდ უპირატესობას ანიჭებდა მოწინააღმდეგეებთან შედარებით. ამიტომ იყო, რომ მათ ადვილად შესძლეს ისეთი უძლიერესი სახელმწიფოების დამარცხება, როგორიც იყო ჩინეთი, ხორეზმი, რუსეთი, რუმის სასულტნო, ბაღდადის სახალიფო, საქართველო.

მონღოლები წარმოუდგენელ სისასტიკეს იჩენდნენ მოწინააღმდეგეების მიმართ. ისინი დაუნდობლად სპობდნენ ყველას, ვინც არ დაემორჩილებოდა. პლანო კარპინის გადმოცემით, მონღოლები “ისეთი სასტიკები არიან, რომ არავითარ სიბრალულს არ გრძნობენ არც მოხუცებისა

და არც ბალღებისადმი. სისხლის დაღვრას ისინი ისე უცქერიან, როგორც წყლის დაღვრას... ისინი ყოყოჩობენ ადამიანთა დახოცვითა და სულიერად მეტისმეტად სტკბებიან, როცა ბევრ ადამიანს ჰკლავენ". მათ მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის ასეთი წესი ჰქონდათ: დატყვევებულ მშვიდობიან მცხოვრებლებს ანაწილებდნენ თავიანთ მეომრებს შორის, თითოეული მეომარი მის წილხვდომილ ადამიანებს აიძულებდა მუხლებზე დამდგარიყვნენ და შემდეგ თავიანთი მოღუნული ხმლებით თავებს ჰკვეთდნენ. მთელი ქვეყნების განადგურება და მოსახლეობის პირწმინდად ამოხოცვა იყო მონღოლთა მიზანმიმართული პოლიტიკა.

პირველად ჩინგიზხანმა ბრძოლა ჩინეთის წინააღმდეგ დაიწყო. მან გაანადგურა ეს დიდად განვითარებული ქვეყანა და მისი ჩრდილოეთი ნაწილი ქალაქ ბეიპინითურთ (დღევანდელი პეკინი) თავის ბატონობას დაუმორჩილა. ჩინეთიდან ჩინგიზხანი კიდევ უფრო გაძლიერებული დაბრუნდა, რადგან მან აქ დიდძალი საბრძოლო იარაღი და სამხედრო ტექნიკა იგდო ხელთ. მათ შორის ლოდსატყორცნი და კედელსანგრევი მანქანები, რომლებსაც შემდეგ მონღოლები წარმატებით იყენებდნენ. მათ დახვეწეს ბრძოლის წარმოების ტაქტიკაც.

მონღოლების პირველი ლაშქრობა საქართველოში. ჩინეთიდან გამარჯვებით დაბრუნებულმა ჩინგიზხანმა გეზი უკვე დასავლეთისაკენ აიღო. ამ დროს შუა აზიაში არსებობდა ხორეზმის ძლიერი სახელმწიფო.

XII საუკუნის მეორე ნახევარში ხორეზმშაჰებმა ისარგებლეს თურქ-სელჩუკთა დასუსტებით და გააფართოვეს თავიანთი სამფლობელოები, დაიპყრეს მავერანაჰრი და ხორასანი, ირანის აღმოსავლეთი ნაწილი. ძლიერების ზენიტს ხორეზმმა მუჰამედ ხორეზმშაჰის დროს (1200-1220 წწ.) მი-აღწია, მაგრამ გარეგნული სიძლიერის მიღმა შუა აზიის ამ უდიდეს სახელმწიფოს სერიოზული შინაგანი სისუსტეები გააჩნდა. ხორეზმის სახელმწიფო წარმოადგენდა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი და ზოგჯერ სხვადასხვა სარწმუნოების აღმსარებელი ხალხების იძულებით გა-ერთიანებას. მუჰამედ ხორეზმშაჰის ცენტრალისტურ პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა სამხედრო არისტოკრატია და სამღვდელოება. შაჰის ხელისუფლება ეყრდნობოდა უმთავრესად დაქირავებულ სამხედრო ძალას, რომელიც გარნიზონებად იყო განლაგებული სანაპირო ციხეებში. მონღოლებმა ადვილად შეძლეს ამ გარნიზონების ცალცალკე განადგურება და თავზარდაცემული მუჰამედი აიძულეს ხორეზმიდან გაქცეულიყო.

ჩინგიზხანმა მუჰამედს თავისი ორი რჩეული დუმან-ნოინი ჯებე და სუბუდაი დაადევნა, რომლებსაც დასავლეთის ქვეყნების დაზვერვაც დაევალა. დევნილმა მუჰამედმა კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულს შეაფარა თავი, სადაც მალე გარდაიცვალა. ჯებე და სუბუდაიმ გააგრძელეს ლაშქრობა და სწორედ მათი ლაშქარი იყო, რომელიც 1220 წელს შემოიჭრა საქართველოში.

ამ დროს ლაშა-გიორგი "წმინდა ადგილების" დასახსნელად და ევროპელი ჯვაროსნების დასახმარებლად ლაშქრობისათვის ემზადებოდა. როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო კარმა სათანადოდ ვერ შეაფასა მონღოლებიდან მომდინარე დიდი საფრთხე. ჯებე და სუბუდაი 1220 წლის ზამთრის დასაწყისში უკვე ირანის აზერბაიჯანის ფარგლებში იყვნენ. აზერბაიჯანის ილდეგიზიანმა ათაბაგმა უზბეგმა მონღოლებთან შეთანხმება სცადა. მან დიდძალი ფულის და

საქონლის გაღებით დაიხსნა თავი. მონღოლებმა ჩრდილოეთისაკენ გააგრძელეს ლაშქრობა და მდ. არაქსი გადაკვეთეს.

მდ. არაქსი იმ დროს საქართველოს სამხრეთ საზღვარს წარმოადგენდა. მონღოლები ვარამ გაგელის სანაპირო საერისთაოში შემოიჭრნენ. ვარამ გაგელი მონაპირეთა 10000-იანი ლაშქრით შეეგება მონღოლებს, მაგრამ დამარცხდა და დიდი ზარალიც ნახა. ამ პირველი გამარჯვების მიუხედავად მონღოლები საქართველოში არ დარჩენილან — ისინი გამოსაზამთრებლად მუღანისაკენ წავიდნენ. უკან გაბრუნებულ მონღოლებს ლაშა-გიორგი დაედევნა თავისი ლაშქრით: "შექცეულთა მიეწია ბალის წყალთა ზედა და პირველი წყლულება მათგან იქმნა" — წერს ამ ამბების თანამედროვე ისტორიკოსი და აგრძელებს — "შემდგომ მოხედვითა ღმრთისათა და ლმობიერქცევითა მეფისა გიორგისათა გააქცივნეს და ამოსწყვიდნეს გაქცეულ-ნი".

როგორც ვხედავთ, ამ ბრძოლაში ლაშა-გიორგი დაჭრილა, მონღოლები კი საქართველოს გაეცალნენ და მუღანში გამოსაზამთრებლად გადავიდნენ. ქართველებს მონღოლების საქართველოდან წასვლა თავიანთ გამარჯვებად ჩაუთვლიათ, მაგრამ მაინც მათი საფრთხე ამჯერად გაუთვალისწინებიათ. საქართველოს სამეფო კარმა ელჩები გაუგზავნა აზერბაიჯა-ნის ილდეგიზიან განმგებელ უზბეგს და ხლათის პატრონს მალიქ-აშრაფს და მონღოლთა წინააღმდეგ ერთიანი ძალით გამოსვლა შესთავაზა. ეს ამბავი მონღოლებმა შეიტყვეს და დასწრება გადაწყვიტეს. ისინი 1221 წლის დამდეგს კვლავ საქართველოსკენ დაიძრნენ.

თბილისის მიმართულებით წამოსულ მტერს ქართველთა ლაშქარი დახვდა და ბრძოლა გაუმართა. მონღოლებმა ამჯერადაც შეძლეს ქართველთა დამარცხება. ამ გამარჯვების მიუხედავად ისინი უკან გაბრუნდნენ და მარაღას მიაშურეს. მონღოლებმა მოაოხრეს ეს ქალაქი, აიღეს ჰამადანი, ნახიჭევანი და აზერბაიჯანის სხვა ქალაქებიც. ისინი ყველგან დიდ სისასტიკეს იჩენდნენ და დაუნდობლად მოქმედებდნენ: უწყალოდ ჟლეტდნენ მოსახლეობას, ანადგურებდნენ კულტურულ ნაგებობებს. ამ ლაშქრობაში გაილია 1221 წლის ზაფხული და შემოდგომა. ამ წლის და-სასრულს მონღოლები კვლავ საქართველოსკენ წამოვიდნენ. ეს უკვე მონღოლთა ამ დამარბეველმზვერავი ლაშქრის მესამე შემოსევა იყო.

ქართველები მონღოლების ამ გამოლაშქრებას მომზადებულები დახვდნენ. უკანასკნელი ბრძოლა ხუნანის ველზე მოხდა. ამჯერად მონღოლებმა თავიანთ ჩვეულებრივ სამხედრო ხერხს მიმართეს: ჯარის ნაწილი ჩაასაფრეს, ხოლო დანარჩენები შეტევაზე გადავიდნენ. მცირე ბრძოლის შემდეგ მონღოლები უკუიქცნენ და ქართველები მონღოლთა ჩასაფრებული ადგილისაკენ გაიტყუეს. აქ კი ქართველთა ლაშქარს მოულოდნელად ზურგიდან დაჰკრა ჩასაფრებულმა რაზმმა და დიდი ზიანი მიაყენა. სასტიკ ბრძოლაში 30 000 ქართველი მეომარი დაეცა. ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი ასე აღწერს ამ ბრძოლას: "ნახევარი ივლტოდეს თათარნი, და ნახევარ მზირ იყო, და უკანით მოუხდეს... და ივლტოდეს ქართველნი და სპანი და თვით მეფე ლაშა, ურიცხვი სული ქრისტიანე მოკუდა".

ამ გამარჯვების მიუხედავად მონღოლებმა საქართველოს სიღრმეში შეჭრას თავი აარიდეს და შირვანისაკენ გაბრუნდნენ. მათ შემახა აიღეს, გაძარცვეს, მცხოვრებთა ნაწილი გაჟლიტეს, ნაწილი კი ტყვედ გაირეკეს. შირვანის მოოხრების შემდეგ მონღოლებმა გადაიარეს დარუბანდის

გადა-სასვლელი და ყივჩაყეთში შეიჭრნენ. “განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყივჩაყეთს, რომელთა ბრძოლა აჰკიდეს და მრავალგან შემოებნეს ყივჩაყნი და ყოველგან თათარნი მძლე ექმნეს”. მონღოლები რუსეთის სამთავროების საზღვარსაც მიადგნენ. 1223 წ. მდ. კალკასთან სასტიკად დაამარცხეს რუსთა და ყივჩაყთა გაერთიანებული ლაშქარი. ამის შემდეგ შემოუარეს კასპიის ზღვას ჩრდლოეთიდან და ჩინგიზხანთან დაბრუნდნენ, თან ჩაიტანეს დიდძალი ტყვე-ნადავლი და მოთარეშებული ქვეყნების შე-სახებ ცნობები.

მონღოლების წასვლის შემდეგ ლაშა-გიორგის დიდხანს აღარ უცოცხლია. 1223 წლის 18 იანვარს იგი გარდაიცვალა, როგორც ჩანს, მონღოლებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობებისაგან. ლაშა-გიორგის კანონიერი მემკვიდრე არ დარჩენია, ამიტომ საქართველოს სამეფო ტახტზე ისევ ქალის ასვლის საკითხი დადგა.

თავი III. რუსუდანის გამეფება და ჯალალ ედდინის შემოსევები

საქართველო ჯალალ ედდინის შემოსევების წინ. საქართველოს სამეფო დარბაზმა სამეფო ტახტზე ლაშა-გიორგის და რუსუდანი აიყვანა. მისი მეფედ კურთხევა სათანადო ცერემონიალით შესრულდა 1223 წლის თებერვალში.

რუსუდანი დააქორწინეს არზრუმის მფლობელის მუღის ედდინ თორღულ-შაჰის ძეზე, ღიას ედდინზე, რომელიც გარეგნობით მოხდენილი ახალგაზრდა ყოფილა და თანაც რუსუდანზე უზომოდ შეყვარებული. მთავარი პირობა — მაჰმადიანობის უარყოფა და ქრისტიანულ სარწმუნოებაზე გადმოსვლა — ღიას ედდინმა უყოყმანოდ შეასრულა და ამის მერე იგი საქართველოს მეფექალის ქმრად შეიქმნა. მისგან რუსუდანს ორი შვილი შეეძინა — თამარი და დავითი.

სამწუხაროდ, რუსუდანს არ აღმოაჩნდა ქვეყნის მმართველისათვის ესოდენ აუცილებელი თვისებები — სიბრძნე, ნებისყოფა, წინდახედულება. იგი უფრო პირად სიამოვნებასა და დროსტარებაზე ფიქრობდა, ვიდრე ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობაზე. საქართველოს ცაზე კი უბედურების მომასწავებელი შავი ღრუბელი იკრიბებოდა.

1225 წლამდე საქართველოს წვრილწვრილი ომები ჰქონდა, როგორც განმდგარ ყმადნაფიც ქვეყნებთან, ისე ჩრდილოეთ კავკასიიდან მონღოლთა მიერ გამოდევნილ ყივჩაყებთან. თითქმის ყველა ბრძოლა საქართველოს სამხედრო ძალის მარცხით დამთავრდა. ვერც რუსუდანი და ვერც საქართველოს ათაბაგი და ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი ვერ იჩენდნენ სათანადო მზაობას და წინდახედულობას. საქართველოს სამეფო კარზე აღზევებული დიდგვაროვანი ფეოდალები ქვეყნის ინტერესების თვალსაზრი-სით ყოვლად წინდაუხედავად მოქმედებდნენ. მათ უფრო უგვარო-ახალკაცების სამეფო კარიდან ჩამოშორება და თავიანთი ფეოდალური მდგომარეობის განმტკიცება აინტერესებდათ, ვიდრე ქვეყნის მომზადება მოახლოებული საფრთხის შესახვედრად.

მონღოლთა მზვერავ რაზმთან განცდილ მარცხს ქართველთა სარდლობა და სამეფო კარი უსათუოდ უნდა დაეფიქრებინა და ამის კვალობაზე ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო მათი ხელმეორე შემოსევის მოსა-გერიებლად. აუცილებელი იყო ქვეყნის ახლებური სამხედრო

რეორგანიზაცია, შინაგანი წესრიგის დამყარება, ცენტრის განმტკიცება. ეს ყველაფერი ალბათ გაკეთდებოდა, ქვეყნის ხელმძღვანელობა რომ კვლავ პროგრესულ ძალებს დარჩენოდა და ის გარდაქმნები კანონზომიერად გაგრძელებულიყო, რომლებიც წამოწყებული იყო დავით IV-ის და გიორგი III-ის დროს. პროგრესული ძალები ჯერ კიდევ იმდენად ძლიერნი არ იყვნენ, რომ თავიანთი ნება განუხრელად განეხორციელებინათ. ამისთვის დრო და ობიექტური პირობები იყო საჭირო, რათა ისინი მომძლავრებულიყვნენ და რეაქციული ძალები დაეთრგუნათ. სამწუხაროდ, ამ საპასუხისმგებლო ვითარებაში ქვეყნის სათავეში ვერ აღმოჩნდა ისეთი პიროვნება, რომელიც მტკიცე ხელით წარმართავდა ამ საქმეს და ქვეყნის შიგნით კრიზისულ მოვლენებს აღმოფხვრიდა. ამიტომ ჯერ კიდევ გარდაქმნების შუა გზაზე მდგარმა საქართველომ ამ დიდ განსაცდელს ვერ გაუძლო და მწარედ დამარცხდა. მონღოლების ხელმეორედ შემოსვლამდე საქართველომ მძიმე დარტყმა მიიღო ჯალალ ედდინ ხორეზმშაჰისაგან.

ჯალალ ედდინი მუჰამედ ხორეზმშაჰის მემკვიდრე იყო. მას უდავოდ მხედართმთავრული ნიჭი ჰქონდა, მაგრამ პოლიტიკაში საბედისწერო შეცდომები დაუშვა. მისი მთავარი მიზანი იყო ძალების მოკრება მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლის გასაგრძელებლად და ხორეზმიდან გასადევნად. სინამდვილეში ხორეზმშაჰმა თავისი წინდაუხედავი მოქმედებით ხელიც კი შეუწყო მონღოლების წარმატებას წინა აზიასა და ამიერკავკასი-აში.

ირანში გადმოხვეწილმა ჯალალ ედდინმა ძალით თუ ნებით დაიმორჩილა ირანის ტერიტორიის დიდი ნაწილი. მან თავისი დროშის ქვეშ მოუწოდა სხვადასხვა მაჰმადიან მფლობელებს, მათ შორის საქართველოს ყმადნაფიც ქვეყნებსაც, ქრისტიანი საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლველად. ჯალალ ედდინი დემაგოგიურად აცხადებდა, რომ დრო დადგა შური ვიძიოთ ქრისტიან ქართველებზე მათ მიერ მაჰმადიანების შევიწროვებისათვისო. ხორეზმშაჰი მდიდარ ნადავლს აღუთქვამდა ყველას, ვინც ამ ლაშქრობაში მიიღებდა მონაწილეობას. მის ამ მოწოდებას ბევრი აჰყვა და საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქრით (ჟამთააღმწერლის ცნობით, 140 000 მეომარი ჰყავდა, ხოლო სომეხი ისტორიკოსი სებასტაცი 200 000-ს ასახელებს) საქართველოში შემოიჭრა. ეს, რა თქმა უნდა, ჯალალ ედდინის მხრივ დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო. იმის მაგივრად, რომ მას მთელი ძალები თავისი ძირითადი მტრის, მონღოლების წინააღმდეგ საბრძოლველად დაერაზმა და ამ საქმეში საქართველოსთან დაკავშირება ეცადა, იგი დაჟინებით შეუდგა უაზრო სისხლისღვრას და ამით თავისი თავიც დაიზიანა და აქაური ქვეყნებიც იმდენად დაასუსტა, რომ მონღოლებს ფაქტობრივად გაუადვილა ხორეზმშაჰის საბოლოო განადგურებაც და ამი-ერკავკასიისა და წინა აზიის სხვა ქვეყნების დაპყრობაც.

წინდაუხედავად იქცეოდა და მოუქნელად მოქმედებდა ქართველთა სარდლობაც. არაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ ჯალალ ედდინის ეს შემოსევა თავიდან აცილებულიყო, ხოლო როდესაც მტერი საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა, სამხედრო ძალების მობილიზება ქართველებს დამთავრებულიც არ ჰქონდათ. ფეოდალურმა ქიშპმა კი ქართველებს მწარე მარცხი აგემა.

გარნისის ბრძოლა. ჯალალ ედდინი საქართველოში 1225 წლის ზაფხულში სამხრეთიდან შემოიჭრა და ქ. დვინის მიდამოების მოოხრებას შეუდგა. ქართველთა შეკრებილი ლაშქარი

გარნისთან დაბანაკდა. რუსუდანმა სარდლობა საქართველოს ამირსპასალარს, უკვე ხანშიშესულ ივანე ათაბაგს ჩააბარა. მის განკარგულებაში 60 000 მეომარი იყო. ქართველები აქ ახალი ძალის მოსვლას ელოდებოდნენ. ეს გარემოება გაითვალისწინა ჯალალ ედდინმა, ქ. დვინის აღებას აღარ დაუცადა და მთელი თავისი ძალით გარნისისაკენ გამოემართა.

ქართველთა ბანაკი მაღალ ადგილას მდებარეობდა, წინ მდ. გარნისის წყლის საკმაოდ ღრმა ხეობა ჩამოუდიოდათ. ჯალალის ჯარები ქვემოთ დაბანაკდნენ. ხორეზმშაჰმა თავისი ჯარი თავდასაცავად განაწყო და ქართველთა შემოტევას ელოდა. ქართველთა ჯარი ჩვეული სამხედრო წყობით იყო განლაგებული: მემარჯვენეებს იმერ-აფხაზნი შეადგენდნენ, მემარცხენეებს ჰერ-კახნი, ხოლო მეწინავეებს მესხთორელნი. მეწინავეებს სარდლობდნენ ცნობილი ქართველი მხედართმთავრები შალვა და ივანე ახალციხელები, თორელთა გვარიდან. სამეფო დროშის ლაშქარი, რომელიც ძირითადად ქართლიდან გამოყვანილი ჯარისაგან შედგებოდა, თადარიგში იდგა, მას უშუალოდ ამირსპასალარი ივანე ათაბაგი სარდლობდა. ჩვეულებისამებრ, ბრძოლას მეწინავენი იწყებდნენ ხოლმე, მაგრამ თანდათან ბრძოლაში ებმებოდნენ მარცხენა და მარჯვენა ფრთები, სადაც განსაკუთრებით გამწვავდებოდა ვითარება, იქ მთავარსარდლის სადროშოს ჯარიც ჩაერთვოდა.

ჯალალ ედდინის მოლოდინი არ გამართლდა. იმ დღეს ქართველებმა, რომლებსაც უფრო მოხერხებული პოზიციები ეკავათ, ომი არ დაიწყეს. ხორეზმშაჰი მიხვდა, რომ ქართველები დროის გაყვანას ცდილობდნენ, რათა ახალი ძალები შემომატებოდათ, ამიტომ მან დასწრება ამჯობინა და მეორე დღის დილისათვის შეტევაზე გადასვლა ბრძანა. მიუხედავად იმი-სა, რომ მისი პოზიცია შეტევისათვის უაღრესად არახელსაყრელი იყო — მის ჯარს ქართველთა პოზიციამდე მისაღწევად მძიმე აღმართი უნდა აევლო, იგი მაინც გადავიდა იერიშზე და ქართველთა ცენტრს და მარჯვენა ფრთას შეუტია. მოიერიშეებს წინ თვითონ წარუძღვა, ხოლო მარცხენა ფრთას თავისი ძმა უსარდლა. მიუხედავად იმისა, რომ მათ “მეტეორივით” თავს დაატყდათ ისრების “ქარბუქი”, მოიერიშეებმა სწრაფად ავლეს აღმართი და ქართველთა მეწინავეებთან ჩაებნენ ხელჩართულ ბრძოლაში. როგორც ჩანს, მეწინავეთა ლაშქარი ანუ წინამბრძოლნი არ იყვნენ მრავალრიცხოვანი, იერიშზე გადმოსული მოწინააღმდეგე რიცხობრივად მათ აშ-კარად სჭარბობდა, ამიტომ ძმებმა ახალციხელებმა დაუყოვნებლივ აფრი-ნეს კაცი ამირსპასალართან და მეფის სადროშოს ჯარის მოშველიება ითხოვეს. მაგრამ ივანე ათაბაგი ყოვლად გაუმართლებელ გულგრილობას იჩენდა. მიუხედავად იმისა, რომ წინამბრძოლთ უაღრესად უჭირდათ, იგი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ახალციხელებმა ხელმეორედ აფრინეს კაცი დახმარების თხოვნით, მაგრამ ათაბაგი არც ამჯერად მიშველებია. ჟამთააღმწერელი ამას ივანე ათაბაგის ახალციხელთადმი შურით ხსნის (“იტყვიან შურითა ყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა”). როგორც ჩანს, აქ ჩვეულებრივი ფეოდალური ქიშპი იყო და ივანე მხარგრძელს ამ ახლად აღზევებული და მეფის სამსახურში თავდადებით ჩამდგარი ნიჭიერი სარდლების წარმატებანი არაფრად მოსწონდა და მათი მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებით მათთან ანგარიშის გასწორებას ფიქრობდა. ამ ქიშპის შესახებ ლაპარაკობენ სომხური წყაროებიც. ასეთი წინდაუხედაობა საქართველოს ამირსპასალარს და მთელ საქართველოს ძვირად დაუჯდა1.

უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულ შალვა და ივანე ახალციხელებს ცხენები მოუკლეს, მაგრამ მათ ქვეითად გააგრძელეს ბრძოლა. გააფთრებულ შერკინებაში მათ ხმლებიც დაემტვრათ. წინამბრძოლებმა მტრის მოძალებას ვეღარ გაუძლეს და უკან დახევა იწყეს. ივანე ახალციხელი კლდიდან მოწყვეტილმა ლოდმა დაიტანა და დაიღუპა, ხოლო შალვას ხვარაზმელებმა შემოარტყეს ალყა და ტყვედ იგდეს. მეწინავე ლაშქრის უკუქცევამ ქართველთა ჯარში პანიკა გამოიწვია და უწესრიგოდ გაიქცა. ივანე ათაბაგმა გაქცეული ჯარის შეკავება ვეღარ შეძლო. გარნისთან ბრძოლაში ბევრი ქართველი მეომარი დაიღუპა, ბევრიც გადაიჩეხა ღრმა ხეობა-ში. ქართველთა ზარალი დიდი იყო. ბრძოლის ველზე 4000 მოკლული ქართველი მებრძოლი დარჩენილა. ივანე ათაბაგმა ბიჯნისის ციხეს შეაფარა თავი.

თბილისის აღება. გარნისთან მოპოვებული გამარჯვების მიუხედავად ჯალალ ედდინი დაუყოვნებლივ თბილისისაკენ არ წამოსულა. იგი უკან მიბრუნდა და ქ. დვინი აიღო, ხოლო აქედან თავრიზს წავიდა, რად-გან მიიღო ცნობა, რომ იქ მის წინააღმდეგ აჯანყება მზადდებოდა. მან საქართველოში თავისი ჯარის ნაწილი დატოვა, რომელსაც დაავალა ქვეყნის დარბევა და მოსახლეობის აწიოკება. თავრიზიდან ხორეზმშაჰმა თავისი ერთ-ერთი სარდალი გაგზავნა ქ. განჯის ასაღებად. 1225 წ. დეკემბერში უკვე თვითონ დაიძრა თბილისისაკენ. მას თან ახლდა შალვა ახალციხელი. ამ ქართველ სარდალს იმდენად დიდი სახელი ჰქონდა მოპოვებული, რომ ჯალალ ედდინმა ტყვედ ჩავარდნილ ქართველ დიდებულს დიდი პატივი მიაგო და ადარბადაგანში ქალაქებიც მისცა სამფლობელოდ. ქართველმა პატრიოტმა საკუთარ კეთილდღეობაზე მაღლა ქვეყნის ინტერესები დააყენა და როდესაც ჯალალ ედდინი საქართველოს წინააღმდეგ წამოვიდა, მან საქართველოს სამეფო კარს წერილობით შეატყობინა ჯალალ ედდინის გეგმები. ეს წერილები ჯალალ ედდინს ჩაუვარდა ხელთ და შალვა ახალციხელის სიკვდილით დასჯა ბრძანა.

საქართველოს ფარგლებში შემოსულმა ჯალალ ედდინმა ქართველთა სარდლობასთან მოლაპარაკების გამართვა სცადა. კერძოდ, იგი წინადადებას იძლეოდა მისთვის ცოლად შეერთოთ რუსუდანი და ქართველხორეზმელთა ძალები გაეერთიანებინათ თათარმონღოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად. საქართველოს სამეფო კარმა ეს წინადადება უარყო. ამასობა-ში ქართველებს ჯალალ ედდინთან შესაბრძოლებლად ახალი ძალები მო-უწვევიათ. კერძოდ, იმიერკავკასიიდან გადმოუყვანიათ ალანთა, ლეკთა და ყივჩაყთა დამხმარე ჯარი და ჯალალ ედდინის შესახვედრად წამოსულან. ხორეზმშაჰმა სამხედრო ხერხს მიმართა. მან ჩაასაფრა თავისი ჯარის ნაწილები და საქართველოს ლაშქარი მახეში შეიტყუა. მოულოდნელი დარტყმით მან ხელახლა დაამარცხა და გააქცია ქართველთა ჯარი. ამის შემდეგ იგი უკვე თბილისს შემოადგა.

მტრის თბილისისაკენ წამოსვლისთანავე რუსუდანმა დედაქალაქი დატოვა და თავის კართან ერთად დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ქალაქის დაცვა ძმებს მემნა და ბოცო ჯაყელებს ჰქონდათ დავალებული. თბილისი დიდი და კარგად გამაგრებული ქალაქი იყო. იგი მდ. მტკვრით ორ ნაწილად იყოფოდა. მარცხენა ნაპირას, კლდოვან პლატოზე მეფის სა-სახლე და ციხე მდებარეობდა, ხოლო მარჯვნივ საკუთრივ ქალაქი იყო განლაგებული. ქალაქის ორივე ნაწილი ხიდით იყო ერთმანეთთან დაკავ-შირებული. ვიდრე იერიშს დაიწყებდა ჯალალ

ედდინმა თვითონ შემოუ-არა ქალაქს, გულდაგულ დაათვალიერა მისი საფორტიფიკაციო ნაგებობანი და დარწმუნდა, რომ ქალაქის იერიშით აღება ძალზე ძნელი იქნებოდა, ამავე დროს მის თანმხლებ რაზმს ქართველებმა ბრძოლა გაუმართეს და მნიშვნელოვნად დააზიანეს. მაგრამ აქ თავი იჩინა შინაგამცემლობამ.

თბილისის მოსახლეობა, ისევე როგორც შუა საუკუნეების ქალაქების დიდი ნაწილი, უაღრესად ჭრელი და მრავალფეროვანი იყო. აქ გარდა ქართველი ქრისტიანებისა, ბევრნი იყვნენ არაქართველი მცხოვრებლებიც, მაჰმადიანები და სხვა რელიგიის მიმდევარნი. ჯალალ ედდინმა შეძლო მათთან კავშირის დამყარება და დაითანხმა ღალატზე.

ქალაქს რამდენიმე კარი ჰქონდა, მათ შორის აღმოსავლეთის კარს "განძის კარი" ეწოდებოდა. ჯალალ ედდინმა სწორედ ამ კარზე გადაწყვიტა იერიშის მიტანა. ქართველთა სარდლობაც ემზადებოდა მტრის შე-სახვედრად, მაგრამ ქალაქის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მემნა ჯაყელი განძის კართან ღალატით იქნა მოკლული. როდესაც იგი აპირებდა ჯართან ერთად გარეთ გასვლას, რათა მოიერიშე მტრისათვის ბრძოლა გაემართა, მას რომელიღაცა სპარსელმა მოქალაქემ უმუზარადო თავში აფთი (ბრტყელი და ტანგრძელი მახვილი) უხეთქა და უსულოდ ძირს დასცა. მოღალატეებმა კარი გააღეს და იერიშზე გადმოსული მტერი ქალაქში შემოუშვეს. ეს მოხდა 1226 წლის 9 მარტს.

თბილისში შემოჭრილ მტერს ამის შემდეგ აღარ გასჭირვებია ქალაქის დაკავება. ქართველთა ჯარი ბოცო ჯაყელის მეთაურობით ისნის ციხეში ჩაიკეტა, ხოლო მტკვრის მარჯვენა ნაპირის ქალაქს ხვარაზმელები დაეპატრონნენ. ჯალალ ედდინის ბრძანებით, ქალაქში უმაგალითო ხოცვა-ჟლეტა ატყდა. დაუნდობლად ხოცავდნენ ყველას, დიდს თუ პატარას, ქალს თუ კაცს. ამ ამბების მოწმე ვინმე ბერი მღვიმელი დაწვრილებით აგვიწერს ხვარაზმელთა მხეცობის შემზარავ სურათებს: "ესოდენ მძვინვარედ იწყეს მოსვრად, ვითარ ჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაციან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თვალნი წარსცვიდიან და რომელსამე ტვინი დაეთხიის და უკანის დედანი მოიკვლიდიან, ბერნი უწყალოდ ფოლოცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვოდის, ჭაბუკნი დაეკვეთებოდეს, სისხლისა მდინარენი დიოდეს, ტვინი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჩვილთა, თმა და სისხლი, თავი მხართაგან განშორებული, ნაწლავნი ცხენთა თანა დათრგუნვილი, ურთიერთისა აღრეულ იყო... ეკლესიანი და ყოველნი პატიოსანნი მღვდელნი ეკლესიათა შინა თვით ხატთა და ჯუართავე თანა შეიმუსვროდეს...".

ჯალალ ედდინის ბრძანებით, სიონის ეკლესიის გუმბათი მოუნგრევიათ და იქ მისთვის ტახტი დაუდგამთ, საიდანაც თვალყურს ადევნებდა ქალაქის აოხრებას და აწიოკებას. ხიდის თავში სიონის ეკლესიიდან გამოტანილი იესო ქრისტეს და ღვთისმშობლის ხატები პირაღმა დაუყრიათ და აქ მორეკილი ტყვე ქართველი და სომეხი ქრისტიანებისათვის უბრძანები-ათ, ისინი ფეხით დაეთრგუნათ. ვინც ამას არ შეასრულებდა, თავს კვეთდნენ. ისტორიკოსის მტკიცებით მრავალმა მოწამებრივი სიკვდილი არჩია ასეთ ღვთისგმობას. სულ თბილისში ამოუხოციათ 100000ზე მეტი მცხოვრები.

ისნის ციხეში გამაგრებული ქართული გარნიზონი შემოჭრილ მტერთან ბრძოლას განაგრძობდა, მაგრამ რუსუდანის ბრძანებით, მათაც დატოვეს ეს ციხესიმაგრე. ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტის ძალით და დაუნდობლობით იწყო ქალაქის დარბევა ჯალალ ედდინმა.

ჯალალ ედდინმა თბილისში უზარმაზარი სიმდიდრე იგდო ხელთ. მისი ისტორიკოსის სიტყვით, ამ სიმდიდრის აღსაწერი ნუსხების შესადგე-ნად გრაგნილთა მთებიც არა კმაროდაო. ძარცვარბევის დროს ხვარაზმელებს არც მაჰმადიანები დაუნდვიათ და ამ უკანასკნელთ სანანებელი გა-უხდათ ქართველთა ღალატი და მომხდურთადმი მიმხრობა.

ხვარაზმელების ბრძოლები საქართველოს დასაპყრობად. თბილისის აღება საქართველოს დაპყრობას ჯერ კიდევ არ ნიშნავდა. მტრის მარბიელ ლაშქარს ქართველებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამეფო კარს და მთავარსარდლობას სრული დაბნეულობა ეტყობოდათ, ხვარაზმელებმა საქართველოს ძირითადი ციხეების აღება ვერ შეძლეს. ამასობაში ჯალალ ედდინი იძულებული გახდა თავისი ჯარის ძირითადი ნაწილით კვლავ ირანში გაბრუნებულიყო, ხოლო საქართველოში დარჩენილი ხვარაზმელები მშვიდობიანი მო-სახლეობის რბევა-აწიოკებას განაგრძობდნენ. ჯალალ ედდინი საქართველოში 1226 წლის სექტემბერში დაბრუნდა.

ივანე ათაბაგი ანისის ციხეში იყო გამაგრებული. ჯალალ ედდინი მის წინააღმდეგ დაიძრა. ქალაქ ანისთან ბრძოლა თითქმის მთელ თვეს გაგრძელდა, მაგრამ მისი აღება ჯალალ ედდინმა ვერ შეძლო. სულტანმა ანისის წინააღმდეგ საბრძოლო მანქანებიც გამოიყენა, მაგრამ ციხექალაქის დამცველები გულადად და თავგანწირვით იბრძოდნენ და მომხდურებმა ვერაფერი გააწყეს. ჯალალ ედდინმა ანისთან ერთად მეორე ასევე მნიშვნელოვანი ქალაქის — კარის აღებაც სცადა. აქაც დიდი ლაშქარი იქნა გაგზავნილი, მაგრამ ხვარაზმელებმა ვერც მისი აღება შეძლეს, ჯალალ ედდინმა ორივე ქალაქთან მოალყე ჯარი დატოვა და თვითონ თბილისში დაბრუნდა. თბილისში ის მხოლოდ ათ დღეს დარჩა და სათანადო სამზადისის შემდეგ მთელი თავისი ძალით ხლათისაკენ გაემართა.

ხლათი შაჰ-არმენების სასულტნოს მთავარი ქალაქი იყო. დროდადრო იგი საქართველოს ყმადნაფიცადაც ითვლებოდა, თუმცა მისი საბოლოო დამორჩილება საქართველომ ვერ შეძლო. ბოლო წლებში საქართველოსა და ხლათის სასულტნოს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა. ამ-ჯერად, ჯალალ ედდინის შემოსევების პერიოდში, შაჰ-არმენების სახელმწიფო საქართველოს მოკავშირედ გამოდიოდა. ხლათისაკენ დაძრული ჯალალ ედდინი მოულოდნელი თავდასხმით აპირებდა ამ ძნელადასაღები ქალაქის დაპყრობას, მაგრამ ჯალალ ედდინის განზრახვა ხლათელებს ქართველებმა აცნობეს და მათაც მოასწრეს ქალაქის თავდასაცავად მომზადება. მიუხედავად გააფთრებული ბრძოლებისა, ჯალალ ედდინმა ვერც ხლათის აღება შეძლო. ხორეზმშაჰის ამ მარცხით ისარგებლეს ქართველებმა და თბილისში დატოვებულ მტრის გარნიზონს თავს დაესხნენ. აღსანიშ-ნავია, რომ თბილისში მცხოვრები მაჰმადიანები ისე იყვნენ შევიწროვებული ხვარაზმელთა ძალადობით, რომ მათ თვითონ შეუტყობინებიათ ქართველთა სარდლობისათვის ქალაქში დატოვებული მეციხოვნეების სიმცირე. თბილისი განთავისუფლებულ იქნა 1227 წლის თებერვალში. ასევე ქართველებმა გაილაშქრეს საქართველოს ყმადნაფიც სამფლობელოებში — შაქ-ში და ყაბალაში, საიდანაც ჯალალ ედდინის

ჯარები განდევნეს. ქართველთა ამ წარმატებებმა ჯალალ ედდინი შეაშფოთა. მან თავი მიანება ხლათს და მთელი ძალით ისევ თბილისაკენ წამოვიდა. საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა წინააღმდეგობა არ გაეწია და დედაქალაქი უბრძოლველად დაეტოვებინა. თბილისიდან გასვლის წინ ქართველა ჯარმა ქალაქი გადაწვა, რათა იგი კვლავ მტერს არ ჩავარდნოდა ხელში.

ჯალალ ედდინის უსაფუძვლო პრეტენზიებმა, წარმოუდგენელმა სი-სასტიკემ და რბევათარეშმა მის წინააღმდეგ აამხედრა თვით მაჰმადიანური ქვეყნების მბრძანებლებიც. მასთან კავშირზე უარი თქვა ბაღდადის ხალიფამაც. ჯალალის ჯარმაც რამდენჯერმე მარცხი განიცადა ირანის ტერიტორიაზე შემოჭრილ მონღოლებთან ბრძოლაში. ამით ისარგებლეს ქართველებმა და სცადეს კოალიციური ძალა დაეპირისპირებინათ ხორეზმშაჰისთვის. მათ მოლაპარაკება გამართეს მცირე აზიის სელჩუკ სულტან ალა ადდინ ქეიყობადთან, ასევე შამისა და ხლათის მაჰმადიან მმართველებთან. ეს მოლაპარაკება უცნობი არ დარჩენილა ჯალალ ედდინისათვის და მან გადაწყვიტა მომავალი მოკავშირეები ცალცალკე დაემარცხებინა. პირველ რიგში საქართველოს შემოუტია.

ქართველთა სარდლობამ კვლავ გადმოიყვანა ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსნი, დურძუკნი და სხვა მთიელები, აგრეთვე ყივჩაყები და ჯარის თავმოყრა იწყო შიდა ქართლში, ნაჭარმაგევთან. აქედან ქართველთა ლაშქარი თბილისის გავლით ქვემო ქართლში გადავიდა. ჯალალ ედდინს დიდძალი ჯარი შემოეყვანა და ბოლნისთან იყო დაბანაკებული, ქართველებს კი მაჰმადიანი მოკავშირეები ჯერ არ მოსვლოდნენ. ჯალალ ედდინმა კვლავ დაასწრო და მოწინააღმდეგეებს მანამ გაუმართა ბრძოლა, ვიდრე ისინი გაერთიანებას მოასწრებდნენ. ამავე დროს ჯალალ ედდინმა კვლავ ნაცად ხერხს მიმართა. ქართველთა ლაშქარი სულ 40 000 მეომრისა-გან შედგებოდა. აქედან თითქმის ნახევარს ყივჩაყები შეადგენდნენ. ხორეზმშაჰმა ყივჩაყებთან ფარული მოლაპარაკება გამართა და ისინი დაითანხმა ბრძოლაში არ მიეღოთ მონაწილეობა. მართლაც, ბრძოლის დაწყების წინ ყივჩაყები განზე გადგნენ და ამით ქართველთა მარცხიც განაპირობეს. მართალია, ბრძოლა უაღრესად სასტიკი იყო, როგორც ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს: “მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი კაცი”, ქართველებმა დასაწყისში ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ საბოლოო შედეგში ჯალალ ედდინმა კვლავ გამარჯვება მოიპოვა. ეს მოხდა 1228 წლის დასაწყისში.

ბოლნისთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ უფრო მეტი სისასტიკით იწყო ჯალალ ედდინმა საქართველოს რბევა. შემდეგ კი ისევ ხლათს მია-შურა. ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლების შემდეგ 1230 წლის 14 აპრილს მან ხლათი აიღო. ეს იყო მისი უკანასკნელი წარმატება.

ჯალალ ედდინის დაღუპვა. მისი ლაშქრობების შედეგები. ხლათის აღების შემდეგ ჯალალ ედდინმა მანასკერტისაკენ გასწია, იქიდან კი დიარბექირის ოლქში გადავიდა. რაკი სულტანმა შეძლო ქართველების დამარცხება, იგი უკვე საქართველოს მოკავშირეების წინააღმდეგ დაიძრა, მაგრამ ბრძოლის წინ ავად შეიქმნა და იძულებული გახდა უკუქცეულიყო. მალე მას აცნობეს, რომ მონღოლთა ჯარმა ჩორმაღუნ ნოინის მეთაურობით მდ. ამუდარია გადმოლახა. ხორეზმშაჰმა სცადა მოლაპარა-კება დაეწყო რუმისა და სირიის გამგებლებთან, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. მას მომხრეები ყოველმხრივ შემოეცალა და ბოლოს დევნილი 1231 წ. აგვისტოში ქურთისტანში დაიღუპა. გადმოგვცემენ, რომ მონღოლთაგან გამოქცევისას სადღაც, წყაროს პირას

ჩასძინებოდა, იგი უნახავთ ქურთ მწყემსებს და მის მდიდარ ტანსაცმელს დახარბებულებს მოუკლავთ.

ამრიგად, მარცხით დამთავრდა ჯალალ ედდინის მცდელობა, რომ წინა აზიისა და ამიერკავკასიის ძალები გაეერთიანებინა მონღოლების წი-ნააღმდეგ, პირიქით, მან ვერც ქრისტიანული საქართველო დაიმორჩილა და თავისი წინდაუხედავი მოქმედებით წინა აზიის მაჰმადიანური ქვეყნებიც აიმხედრა. მის მიერ წარმოებულმა ბრძოლებმა ადგილობრივი ძალები კიდევ უფრო დაქსაქსა და დაასუსტა.

ხორეზმშაჰის ხუთწლიანმა თარეშმა დიდად დააზარალა საქართველო. ქვეყანა გაძარცული და განადგურებული იყო. დაინგრა ასეულობით სოფელი და ქალაქი. მოსახლეობის ბრძოლისუნარიანი ნაწილიდან ბევრი მარცხიანი ბრძოლების შედეგად ფიზიკურად განადგურდა ან დატყვევდა. მომხდურებმა საქართველოდან გაიტაცეს წლების მანძილზე ქართველი ხალხის შრომით შექმნილი თუ მშვიდობიანი განვითარებით დაგროვილი სიმდიდრის დიდი ნაწილი, ტყვედ გაირეკეს ათასობით მცხოვრები. გადარჩენილები აყრა-გაქცევით ცდილობდნენ თავის გადარჩენას, ყოველივე ეს კი ინტენსიურ მეურნეობას და ქვეყნის ეკონომიკას ძირს სცემდა. საქართველოს ჩამოშორდა მისი ყმადნაფიცი ქვეყნების დიდი ნაწილი, რაც საერთაშორისო პრესტიჟის შერყევასთან ერთად ნიშნავდა იმასაც, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს მოაკლდა შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც ხარკის სახით შემოდიოდა. ეს შემოსავალი ფეოდალური საქართველოს ბიუჯეტის მცირე ნაწილი როდი იყო... შესუსტდა ცენტრალური ხელისუფლების სიმტკიცე. ქუთაისში ლტოლვილი სამეფო კარი უზენაეს უფლებას საქართველოს უდიდეს ნაწილზე ვეღარ ახორციელებდა და ჯალალის თარეშს ფეოდალთა სრული თვითნებობა კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა. “უსამართლობა” და “მიმძლავრება” ყოვლად დაუსჯელად შლიდა ფრთებს და მწარმოებელ კლასებს სასტიკად ავიწროვებდა” (ნ. ბერძენიშვილი).

რა თქმა უნდა, საქართველოს მეფის ხელისუფლებას თავისთავად კი არ მიუტოვებია უყურადღებოდ თავისი ქვეყნის სამართალი, მაგრამ შექმნილი ვითარების და მეფის კარის ქუთაისში გადახვეწის შედეგად იგი ვეღარ ახორციელებდა კონტროლს აღმოსავლეთ საქართველოზე. ეს კი ფართოდ აძლევდა საშუალებას ყველას, ვისაც კი სხვისი მიმძლავრების ძალა შესწევდა, ისე მოქცეულიყო, როგორც ეწადა და შეეძლო.

ყოველივე ამან შეარყია მეფის ცენტრალური ხელისუფლება და მისი პოლიტიკური ავტორიტეტი, რეაქციონერმა მსხვილმა ფეოდალებმა სავსებით აიშვეს თავი. ამ უდიდესი მატერიალურ-ეკონომიკური, მორალურფსიქოლოგიური, საშინაო და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორება უახლოეს წლებში შეუძლებელი აღმოჩნდა. ყოველივე ამან კიდევ უფრო გაუადვილა თათარმონღოლებს საქართველოს დაპყრობა.

რუმელი თურქების შემოსევა სამხრეთ საქართველოში. ჯალალ ედდინის ხუთწლიანი თარეშის შემდეგ, ვიდრე მონღოლები უშუალოდ საქართველოს დაპყრობას შეუდგებოდნენ, ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ რუმელი თურქები და ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი საქართველოს სამხრეთი ტერიტორია მოარბიეს.

1232 წელს რუმის თურქთა დიდძალი ჯარი ქემალ ადდინ ქამიარის სარდლობით სამხრეთ საქართველოში შემოიჭრა. მათ ერთი კვირის განმავლობაში 30მდე ციხე-სიმაგრე აიღეს და მშვიდობიანი მოსახლეობა სასტი-კად დაარბიეს. საქართველოს სამეფო კარმა ამ გართულებულ საგარეო-პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც თათარმონღოლთა დამპყრობელი ჯარის შემოსევა იყო მოსალოდნელი, რუმის სასულტნოსთან ომის გამართვას ზავის დადება და კავშირის შეკვრა არჩია. მეფე რუსუდანმა თურქთა სარდალს საგანგებო წერილითა და საჩუქრებით ქართველი წარჩინებულები გაუგზავნა და აუწყა, რომ მორჩილებას უცხადებდა სულთანს. საქართველოს მეფე თხოვდა შეეწყვიტათ ქვეყნის აოხრება და ჯარები უკან გაეყვა-ნათ. საქართველო მზად იყო შეეკრა კავშირი რუმის სასულტნოსთან, და ამ კავშირის განმტკიცების მიზნით, რუსუდანი თანახმა იყო მისი ქალიშვილი დაექორწინებინა სულტნის მემკვიდრეზე. სულტანი დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამ წინადადებას და დაუყოვნებლივ გამოუგზავნა ფირმანი თავის სარდალს, რათა რუმის ლაშქარი საქართველოდან უკან გაეყვანა. სულთნის კარზე დიდი ზეიმით აღინიშნა მისი ლაშქრის წარმატება საქართველოში. რაც შეეხება საქართველოს მეფესთან დანათესავებას, ეს ქორწი-ნება უფრო გვიან მოხდა, რადგან მაშინ რუსუდანის ქალიშვილი თამარი ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო.

თავი IV. საქართველოს დაპყრობა მონღოლთა მიერ

მონღოლთა ლაშქრობის დაწყება. ჯალალ ედდინის ხუთწლიანი თარეშის და რუმელი თურქების შემოსევებისაგან მიყენებული ჭრილობების მოშუშება საქართველომ ვერ მოასწრო. 1235 წ. მის საზღვრებთან გამოჩნდნენ ქვეყნის დასაპყრობად წამოსული მონღოლები. ჩინგიზხანი 1227 წელს გარდაიცვალა. მან ჯერ კიდევ 1224 წელს თავის 4 ვაჟიშვილს გაუნაწილა მის მიერ შექმნილი იმპერიის ტერიტორია, აგრეთვე დაუსახა მიმართულებანი შემდგომი დაპყრობითი ბრძოლებისათვის. უფროს ვაჟიშვილს — ჯუჩის ერგო ხაზარეთი და დეშთიყიფჩაყი (ყივჩაყთა ველი), აგრეთვე დასაპყრობი მიწები დასავლეთის მიმართულებით (რუსეთი, აღმოსავლეთ ევროპა), ჯუჩი ჩინგიზხანზე ადრე გარდაიცვალა და დაპყრობითი ბრძოლები რუსეთის და აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით მისმა ვაჟიშვილმა ბათომ გააგრძელა. მეორე შვილს — ჩაღათას შეხვდა მავერანაჰრი, შვიდმდინარეთი და აღმოსავლეთ თურქესტანის სამხრეთი ნაწილი; მესამე შვილს — უგედეს, აღმოსავლეთ თურქესტანის ჩრდილოეთი ნაწილი, ხოლო მეოთხე შვილს უმცროსს — თულის, მონღოლთა წესის მიხედვით, ერგო თავისი მამის მთავარი იურტა (ურდო) — ცენტრალური მონღოლეთი, აგრეთვე ჩრდილოეთი ჩინეთი.

მონღოლთა სახელმწიფო ერთხანს თეორიულად კვლავ ერთიანი რჩებოდა, ერთი მთავარი ყაენის ძალაუფლების ქვეშ, მაგრამ ჩინგიზხანის მემკვიდრეების დროს ერთიანობის შენარჩუნება სულ უფრო ძნელი ხდებოდა.

1229 წელს დიდ ყაენად უგედე აირჩიეს. უგედემ ძირითადად ბრძოლები სამხრეთ და ცენტრალური ჩინეთის დასაპყრობად წარმართა. რუსეთის სამთავროებისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წინააღმდეგ ჯუ-ჩის ძე ბათო აგრძელებდა ბრძოლებს. რადგან ჩაღათა გარდაცვლილი იყო და მას მცირეწლოვანი შვილები დარჩენოდა, ირანში ლაშქრობა უგედემ თავის ცნობილ სარდალს ჩორმაღუნ ნოინს დაავალა.

მონღოლებმა შედარებით მოკლე დროში დაიპყრეს თითქმის მთელი ირანი და ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ. ცალკეული დამარბეველი ლაშქრობების შემდეგ 1235 წელს ისინი ქ. განძას შემოადგნენ. განძა საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო და ამდენად მონღოლების მიერ ამ ქალაქის დალაშქვრა საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებას ნიშნავდა. მონღოლებმა განძელებს უბრძოლველად დამორჩილება მოსთხოვეს, მაგრამ განძის მცხოვრებლებმა მონღოლი ელჩები დახოცეს და წინააღმდეგობის გასაწევად გაემზადნენ. მონღოლებმა ქალაქი აიღეს და მოსახლეობა უმოწყალოდ ამოხოცეს. აქედან ისინი უშუალოდ საქართველოს ფარგლებში შემოიჭრნენ და ქალაქ შანქორს მოუახლოვდნენ. შანქორის მცხოვრებლებმა საქართველოს ამ მხარის მონაპირე ერისთავს ვარამ გაგელს სთხოვეს მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლაში ხელმძღვანელობა, მაგრამ მონღოლების სისასტიკით შეშინებული ვარამ გაგელი არც თვითონ მისულა და არც შვილისთვის მიუცია ნება, რომ შანქორელებს მიშველებოდა. მონღოლებმა შანქორიც აიღეს და მთლიანად გადაწვეს. მონღოლთა ჯარი ქალაქ გარდაბანისაკენ დაიძრა. გარდაბნელები მტერს უბრძოლველად დაემორჩილნენ.

ამ საერთო კრიტიკულ ვითარებაში საქართველოში კვლავ არ იგრძნობოდა ერთიანი ხელმძღვანელობა, არსად ჩანდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი გეგმა. მეფე რუსუდანი, რომელიც ჯალალ ედდინის წასვლის შემდეგ თბილისში ახალი დაბრუნებული იყო, როგორც კი მონღოლთა საქართველოში შემოჭრის ამბავი შეიტყო, ისევ დასავლეთ საქართველოში გადავიდა. თბილისის დაცვა მან მუხასძეს დაავალა, თუმცა უბრძანა, როგორც კი მონღოლები დედაქალაქს მოუახლოვდებოდნენ, ქალაქი მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, გადაეწვა. ერთი სიტყვით, გამე-ორდა ის, რასაც ჯალალ ედდინის შემოსევებისას ჰქონდა ადგილი. მონღოლები კი საქართველოს წინააღმდეგ მარტო სამხედრო ძალით როდი მოქმედებდნენ. ამ მძიმე მომენტში ქართველ დიდგვაროვან ფეოდალებში სრულიადაც არ სუფევდა თანხმობა. კიდევ უფრო გამწვავებული იყო სა-ადგილმამულო და შინაფეოდალური ბრძოლები. საქართველოს დაპყრობის დროს თათარმონღოლთა სარდლობამ კარგად გამოიყენა მისთვის ერთობ ხელსაყრელი ქვეყნის საშინაო პოლიტიკური ვითარება. კერძოდ, ერთი მხრივ, ქართველ ფეოდალურ საგვარეულოებს შორის წარმოებული მწვავე სამამულო ბრძოლა და, მეორე მხრივ, მეფესა და დიდგვაროვნებს შორის დაძაბული ურთიერთობა.

ქართველ დიდებულთა პოზიცია. მონღოლთა სარდალი ასლან ნოინი შემოადგა სომხეთში მდებარე ჰრაშკაბერდის ციხეს, რომელშიც გამაგრებული იყო ელიგუმ ორბელი. ეს ორბელი ჩამომავალი იყო ორბელთა იმ ძლიერი ფეოდალური გვარისა, რომელიც რეპრესირებული და მამულჩამორთმეული იყო ჯერ კიდევ გიორგი III-ის დროს, 1177 წლის ამბოხების შედეგად. მათი სამფლობელოების დიდი ნაწილი ამჟამად მხარ-გრძელებს ეპყრათ. ელიგუმ ორბელმა გადაწყვიტა მონღოლებისადმი უომრად დანებება და შეთანხმება. ასეთი გზით ფიქრობდა იგი თავისი უფლებების აღდგენას საგვარეულო მამულებზე. მონღოლები კმაყოფილნი შეხვდნენ ელიგუმის განზრახვას და მას არა მარტო მისი მამულები შეუ-ნარჩუნეს, არამედ სხვა ფეოდალების ხარჯზე მოუმატეს და გაუფართოვეს სამფლობელო.

ელიგუმის მოქმედებამ ყველაზე მეტად ორბელთა მამულების მფლობელი მხარგრძელები შეაშფოთა და როდესაც დუღადა ნოინი შემოადგა კაენის ციხეს სომხეთში, სადაც საქართველოს

ამირსპასალარი ავაგ ივანეს ძე მხარგრძელი იყო გამაგრებული, ეს უკანასკნელი გადაწყვეტს იგივე გა-აკეთოს, რაც ელიგუმმა, ამით მისი უპირატესობა გააბათილოს და თავისი მამულების დაკარგვა როგორმე თავიდან აიცილოს. მონღოლები კმაყოფილებით შეხვდნენ საქართველოს ამირსპასალარის ასეთ წინადადებას. ბრძოლის დასაწყისშივე ქვეყნის მთავარსარდლის დანებება და მათ მხარეზე გადასვლა მონღოლებს წარმატების კარგ პერსპექტივას უსახავდა და სხვა გავლენიან ფეოდალებსაც ანალოგიური მოქმედებისათვის აქეზებდა.

მონღოლებმა ავაგის საგამგეო ციხექალაქების წინააღმდეგ ბრძოლა შეწყვიტეს, ხოლო ვინც ტყვედ წაყვანილი ჰყავდათ ავაგის ქვეშევრდომებისაგან, ბევრი გაათავისუფლეს, ავაგს მთელი სახელო ქვეყანა ისევ დაუბრუნეს.

ავაგის მაგალითი მიმზიდველი აღმოჩნდა აქამდე დამფრთხალი და ბრძოლისუნარდაკარგული საქართველოს თავკაცებისათვის. მათ ერთმანეთის თანმიყოლებით იწყეს მონღოლებთან შეთანხმება და მათ მხარეზე დადგომა. ავაგის კვალდაკვალ მონღოლებს შეუთანხმდა მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი.

როდესაც მონღოლებმა ქ. სამშვილდე აიღეს, რომელიც საქართველოს დედაქალაქის მთავარი ზღუდე იყო სამხრეთიდან, მათ უკვე დაბრკოლება აღარ შეხვედრიათ თბილისამდე. თბილისიც, რუსუდან მეფის ბრძანებით, დაცლილი და გადამწვარი დახვდათ, ისე რომ, საქართველოს დედაქალაქიც მონღოლებმა უომრად დაიკავეს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს დამარცხების ამბავი ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქების დაცემამ კი არ განაპირობა, როგორიც იყო თბილისი, ლორე, კარი, გაგი და სხვა, არამედ იმ შინაპოლიტიკურმა ამბებმა, რომლებიც შედარებით უმნიშვნელო ჰრაშკაბერდის და კაენის ციხეებთან გადაწყდა.

მთავართა ასეთი მოღალატური მოქმედების მიუხედავად ქართველი ხალხი, საქართველოს მოსახლეობა შეურიგებლად ებრძოდა შემოსეულ მტერს და ქვეყანაში ფეხის მოკიდების საშუალებას არ აძლევდა. საჭირო იყო ბრძოლის ერთიანი გეგმით წარმართვა და ახალი ძალების ორგანიზება. მონღოლებს ხომ თავდაუზოგავად ებრძოდნენ ქალაქების მცხოვრებნი და დაბალი ფენები. მონღოლები სასტიკად უსწორდებოდნენ საქართველოს უბრალო მოსახლეობას: “ხოლო ჰერეთი და კახეთი, სომხითი და ქართლი და აღმართ კარნუქალაქამდის, — ყოველი ქუეყანა მწარესა ოხრებასა შინა იყო: არბევდეს, ტყუე ჰყოფდეს, სრვიდეს მამაკაცთა, ვიდრე დედათა და ყრმათა ტყუედ წარიყვანებდეს”.

მონღოლების წინააღმდეგ სახალხო ბრძოლის ორგანიზებისა და წინა-აღმდეგობის სულის განმტკიცების ნაცვლად მონღოლებთან შეთანხმების გზას დაადგნენ სხვა მთავრებიც: “მთავარნი საქართველოსანი ყოველნი მი-ენდვნეს თათართა, ჰერ-კახნი და ქართველნი, თორელი გამრეკელი, თმოგველი სარგის, კაცი სწავლული და ფილოსოფოსი და მრავალღონე”. მხოლოდ მესხეთი, რომელიც აგრძელებდა წინააღმდეგობას მონღოლებისადმი და დანებებას არ აპირებდა, განცალკევებული აღმოჩნდა. მისმა მთავარმა ივანეყვარყვარე ციხისჯვრელ-ჯაყელმა, რომელიც ამავე დროს საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესიც იყო, სწორედ რუსუდანისაგან მიიღო თანხმობა, მონღოლებისადმი დამორჩილებისა და შეთანხმებისა. სამცხის დაკავების შემდეგ

მონღოლებმა დასავლეთ საქართველოშიც სცადეს შეჭრა, მაგრამ ეს ვერ შეძლეს. იმერეთი მთა-გორიანი და ტყიანი ქვეყანაა და იქ მონღოლთა ცხენოსან ლაშქარს მოქმედება უჭირდა. საქართველოს დაპყრობილი ნაწილი ოთხ მონღოლ სარდალს შორის იქნა განაწილებული, საიდანაც ისინი იღებდნენ ხარკს და სათანადო წესით აგზავნიდნენ დიდ ყაენთან.

ევროპასთან და რუმთან დაკავშირების ცდა. დასავლეთ საქართველოში გადახვეწილი საქართველოს მეფის ხელისუფლება უკანასკნელ საშუალებებს ცდიდა მონღოლთა წინააღმდეგ დამხმარე ძალის მისაღებად. რუსუდანმა რომის პაპს მიმართა სპეციალური წერილით და ევროპის ქვეყნების დამხმარე ჯარის მოშველიება ითხოვა. სამაგიეროდ პირდებოდა, რომ დახმარების მიღების შემთხვევაში კათოლიკურ წესზე გადავიდოდა და რომის პაპის უზენაესობას აღიარებდა. საპასუხო წერილში, რომელიც 1240 წელს გამოიგზავნა, რომის პაპი გრიგოლ IX თავის გაჭირვებაზე და უსუსურ მდგომარეობაზე მიუთითებდა და სინანულს გამოთქვამდა, რომ არ შეეძლო საქართველოსადმი სამხედრო დახმარება, სამაგიეროდ აგზავნიდა მოწვეს ბერებს, რომლებსაც საქართველოში უნდა ექადაგათ რომის ეკლესიისადმი შეერთების აუცილებლობა.

ევროპიდან დახმარების მიღების გეგმის ჩაშლის შემდეგ ერთადერთ იმედად ისღა რჩებოდა, რომ მონღოლებს მოელოდათ დიდი ბრძოლა რუმის სელჩუკთა სახელმწიფოსთან და შესაძლებელი იყო აქ მათ მარცხი განეცადათ. ამავე დროს, მონღოლები ამ ბრძოლისათვის რომ ემზადებოდ-ნენ, შესაძლებელი იყო საქართველოს მიმართ გარკვეულ დათმობებზე წა-სულიყვნენ, რათა ომის ვითარებაში ზურგი უზრუნველყოფილი ჰქონოდათ და საქართველოდან ძალებიც გამოეთავისუფლებინათ. ამდენად, მო-სალოდნელი იყო, რომ მონღოლები საქართველოსთან ზავს შეღავათიანი პირობებითაც კი დადებდნენ. რუსუდანმა მონღოლთა სარდლებთან მოციქულებად წარგზავნა თავისი დიდებულები შანშე, ავაგ და ვარამ მხარ-გრძელები, აგრეთვე ჰერეთის ერისთავი შოთა კუპარი. საქართველოს მეფემ მარტო სარდლებთან მოლაპარაკება საკმარისად არ ჩათვალა და ბათო ყაენთან მიავლინა თავისი პირველი ვეზირი, არსენ ჭყონდიდელმწიგნობართუხუცესი, რომელსაც ოქროს ურდოში უნდა გაერკვია, თუ რა პირობებით იყო შესაძლებელი მონღოლებთან დაზავება. რუსუდანს, პირველ რიგში, სურდა უშუალოდ ყაენისაგან მიეღო მისი და მისი მემკვიდრის უვნებლობის გარანტია.

მონღოლთა სარდლებმა ამჯერად დაზავება არ ისურვეს. მათ ქართველი დიდებულები სომეხქართველთა ლაშქართან ერთად რუმის თურქებთან საბრძოლველად თან წაიყვანეს. ამის შემდეგ ბევრი რამ დამოკიდებული იყო იმ გადამწყვეტ ბრძოლაზე, რომელიც მონღოლებსა და რუმის თურქებს შორის უნდა გამართულიყო.

ქოსედაღის ბრძოლა. 1237 წელს რუსუდანმა, 5 წლის წინ დადებული ზავის პირობისამებრ, თავისი ქალიშვილი თამარი დააქორწინა სულტნის ტახტზე ახლად ასულ მელიქ ყიას ადდინ ქეიხუსრევზე.

ყიას ედდინის ჯარის მხედართმთავარი დარდინ შარვაშიძე იყო. ასევე მაღალი სამხედრო მდგომარეობა ეკავა შალვა ახალციხელის ვაჟს ფარხადავლას, რომელიც დარდინ შარვაშიძესთან ერთად რუმის ჯარში "წი-ნამბრძოლად" იყო განჩენილი. უბედურება ის იყო, რომ ქართველებს

ორივე მხარეს უნდა ებრძოლათ. რუმის სულტნის ჯარში, ისე როგორც თათარმონღოლთა მხარეს ქართველი დიდებულები და საქართველოდან გამოყვანილი ლაშქარი იღებდა მონაწილეობას. ბრძოლა მოხდა 1243 წ. 26 ივნისს არზრუმისა და ერზინკას შორის მდებარე ქოსედაღის ველზე.

ქართველი ჟამთააღმწერელი დაწვრილებით აღგვიწერს ამ ბრძოლას: "ვითარ განთენდა და მოვიდა სულტანი სპითა საზარელითა, რამეთუ იყო ოთხასი ათასი მხედარი, და განაწყვეს რაზმი, აქეთ თათართა განაწყვეს რაზმი და ურჩეულესი მათი მარცხენასა მხარესა დააწესნეს. ესრეთ აქუნდათ წესად, უმჯობესთან ვიდრემე მარცხენასა კერძოსა დააწესებდიან... ხოლო დროშა მათთა სიმეწამულე მოასწავებდა სისხლსა დამოღურილობა-სა მტერთასა. ამათ რა ესრეთ ყოველი ნათესავი ქართველთა წინამბრძოლყვეს და ვითარცა მიიახლნეს ურთიერთას... მყის მიეტივნეს. ხოლო ქართველნი უპირატეს და უმხნეს ძლიერად ეწყუნეს და იქმნა ომი სასტიკი. მოწყდა სიმრავლე ურიცხვი სპათაგან სულტნისა, სადა სახელოვანიცა შარვაშისძე დარდინ აფხაზი, მხედართმთავარი მათი, მოიკლა და ივლტოდეს სპანი სულტნისანი და დევნა — უყვეს რა თათართა და ქართველთა, ურიცხვი მებრძოლი მოსრეს და შეიპყრეს".

უკუქცეულ სულტნის ბანაკში ღალატმა იჩინა თავი. რუმელი ამირების ნაწილმა მონღოლებისადმი დამორჩილება გადაწყვიტა. როგორც ჩანს, იგივეს აპირებდა ფარხადავლა ახალციხელიც, მაგრამ სულტანმა იგი შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა. თვითონ კი სასწრაფოდ მიატოვა ბანაკი. დამარცხებულმა სულტანმა ზავი ითხოვა. რუმის სასულტნო მონღოლთა მოხარკედ იქცა. ასევე, მონღოლებს მორჩილება გამოუცხადა კილიკიის სომხეთმაც. უკან გამობრუნებულმა თათარმონღოლებმა ხლათიც დაიმორ-ჩილეს.

რუსუდანის დაზავება მონღოლებთან. მონღოლთა ლაშქრობა რუმის სულტნის წინააღმდეგ სამ თვეს გაგრძელდა. ხლათიდან მობრუნებულმა მონღოლებმა გელაქუნისა და არარატის მთის საზაფხულო საძოვრებზე დაიბანაკეს. აქედან მათმა სარდლებმა საქართველოს მეფეს თანხმობა შეუთვალეს ზავის შესახებ მოლაპარაკებაზე.

საქართველოს სამეფო კარის ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო ქვეყნის ერთიანობისა და მეფის ხელისუფლების შენარჩუნება. რუსუდანი განსა-კუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართველოს სამეფო ტახტზე მისი შვილის, დავითის მემკვიდრედ დამტკიცებას. როგორც აღნიშნული იყო, ზავის დადების წინადადება რუსუდანმა თვითონ შესთავაზა მონღოლთა სარდლებს რუმის წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყების წინ. ამავე დროს მას გაგზავნილი ჰყავდა თავისი პირველი ვაზირი ბათო ყაენის კარზე დაზავების პირობების შესათანხმებლად. ამჯერად მონღოლმა ნოინებმა თანხმობა განაცხადეს დაზავებაზე და რუსუდანს მოსთხოვეს მორჩილების ნიშნად ან თვითონ გამოცხადებულიყო მათთან, ან თავისი მემკვიდრე გამოეგზავ-ნა. რუსუდანმა უპასუხა, რომ იგი მათთან გამოცხადდებოდა მხოლოდ ყა-ენთან გაგზავნილი მისი დესპანის დაბრუნების შემდეგ. არსენ ჭყონდიდელის დესპანობა ყაენის კარზე წარმატებით დამთავრდა. ბათო ყაენმა ბრძა-ნება გამოსცა, რომ რუსუდანი თბილისში დაესვათ მეფედ. მონღოლ ნოი-ნებს ამისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ამრიგად, 1243 წ. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ საქართველო გარ-კვეული შეღავათიანი პირობებით დაექვემდებარებოდა მონღოლებს. საქართველოში ხელუხლებლად დარჩებოდა

ადგილობრივი მეფის ხელისუფლება და მონღოლებს ქვეყნის მმართველობაში ცვლილება არ უნდა შეეტა-ნათ. რუსუდანი კვლავ “ყოველი საქართველოს” მეფედ რჩებოდა, მხოლოდ ეს უფლება მას მონღოლებისაგან უნდა მიეღო. მასვე უბრუნდებოდა მონღოლთა მიერ დაკავებული დედაქალაქი თბილისი და სხვა ქალაქები. რუსუდანის ვაჟი დავითი მემკვიდრედ ცხადდებოდა. აღმოსავლეთ საქართველო, როგორც ძალით დაპყრობილ ქვეყნებში, მონღოლთა ჯარი იდგებოდა, ხოლო დასავლეთ საქართველო, რომელიც მონღოლთა მიერ არ იყო დაპყრობილი და ნებაყოფლობით დაემორჩილა მონღოლ ხელისუფალთ, დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებულ მდგომარეობაში ექცეოდა. იგი, როგორც ერთიანი საქართველოს ნაწილი, მონღოლთა ქვეშევრდომობაში ჩაითვლებოდა, მაგრამ იქ მონღოლთა ჯარი და მონღოლი მოხელენი ვერ შევიდოდნენ, ხარკს კი ერთიანად, საქართველოს დანარჩენ ნაწილებთან ერთად გადაიხდიდნენ. ხარკის რაოდენობა განსაზღვრული იყო 40-50 ათასი პერპერას რაოდენობით. საქართველოს ევალებოდა აგრეთვე მონღოლთა მოთხოვნით ჯარის გამოყვანა, რაც საქართველოს მამა-კაცი მოსახლეობის დაახლოებით 20%მდე რაოდენობით იყო განსაზღვრული. საქართველოს მთავრები ჩარიცხულ იქნენ მონღოლთა სამხედრო-პრივილეგირებულ წრეში და მათ ხელუხლებლად დაუტოვეს თავიანთი საგანმგებლოები და მამულ-საქონლები.

პირობის თანახმად, რუსუდანი და მისი მემკვიდრე დავითი იმავე 1243 წ. იმერეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდნენ. აქ მათ შეეგებნენ საქართველოს დიდებულები, რომლებიც უკვე მონღოლთა სამ-სახურში ჩამდგარიყვნენ. შეთანხმებისამებრ, მონღოლმა ნოინებმა რუსუდა-ნის ვაჟი დავითი მის მემკვიდრედ გამოაცხადეს და დასამტკიცებლად ოქროს ურდოში, ბათო ყაენთან გააგზავნეს. ბათო ყაენმა ქართველი უფლისწულის საქართველოს მეფის მემკვიდრედ დამტკიცება თვითონ თავს ვერ იდო და დასამტკიცებლად მთავარ ურდოში, ყარაყორუმში გააგზავნა. გზას ყარაყორუმამდე რამდენიმე თვე მაინც სჭირდებოდა. ამას გარდა, იმ პერიოდში დიდი ყაენი უგედე (1229-1241) გარდაცვლილი იყო და ახალი დიდი ყაენი ჯერ არ აერჩიათ. ამიტომ დავით რუსუდანის ძეს ყარაყორუმ-ში დიდხანს მოუხდა ცდა. საქართველოში კი მის შესახებ არავითარი ცნობა არ ჰქონდათ. ამდენი უბედურების გადამტანი რუსუდანი დაავადდა და 1245 წელს გარდაიცვალა.

თავი V. მონღოლური მმართველობის შემოღება საქართველოში

საქართველოს დროებითი ადმინისტრაციული მოწყობა და კოხტასთავის შეთქმულება. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სამეფო ტახტზე მეფე აღარ იჯდა, მონღოლებმა საქართველოს მართვა-გამგეობა თავიანთი წესის მიხედვით მოაწყვეს. ქვეყანა დაყოფილ იქნა 8 დუმნად, ე. ი. ისეთ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად, საიდანაც 10 ათასი მეომრის გამოყვანა შეიძლებოდა. საქართველო მონღოლთა სახელმწიფოში მაინც ერთიან ვასალურ ქვეყნად ითვლებოდა და “გურჯისტანის ვილაიეთად” იწოდებოდა. მას ჩამოაცილეს ყმადნაფიცი მუსლიმანური ქვეყნები, მაგრამ სომხური თემები ძველებურად საქართველოს შემად-გენლობაში დატოვეს. საქართველოს დუმნების სათავეში მონღოლთა სამსახურში ჩამდგარი ქართველი დიდებულები ჩააყენეს. თითოეულ დუმანს ქართველ დიდებულებთან ერთად მეთვალყურედ მონღოლი მოხელე ნოი-ნიც დაუყენეს. მართალია ასეთი მმართველობის სისტემა დროებით იყო

შემოღებული, ვიდრე საქართველოს მეფეს დაამტკიცებდნენ, მაგრამ იგი მაინც საფუძველშივე არყევდა საქართველოს პოლიტიკურ და სოციალურ სისტემას.

ქართველი დიდებულები მალე მოეგნენ გონს. ისინი დარწმუნდნენ, რომ საქართველოში მონღოლთა გაბატონებით მათ მარტო პატრონი კი არ შეეცვალათ, არამედ მთლიანად უქმდებოდა მათი სოციალური და პოლიტიკური ბატონობისა და პრივილეგიების საფუძველი, ქართული სახელმწიფოებრიობა. ქართული ფეოდალური სისტემა სრული გადაშენების საფრთხის წინაშე იდგა.

ქართველმა დიდებულებმა მკვეთრად შეიცვალეს თავიანთი დამოკიდებულება მონღოლებისადმი და ქვეყნის გასათავისუფლებლად ერთიანი გამოსვლისათვის იწყეს ფარული მზადება. მემატიანე გადმოგვცემს, რომ "შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტასთავს იმერნი და ამერნი". მათ შორის იყვნენ ეგრასლან ბაკურციხელი, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპარი , თორღვა პანკელი, გამრე-კელთორელი, სარგის თმოგველი და სხვანი — "ჰერ-კახნი, ქართველნი... მესხნი, ტაოელნი". თათბირზე დაუსვამთ საკითხი რა ეღონათ თათართა ბატონობისაგან ქვეყნის გასათავისუფლებლად. მათ სწორად განუსაზღვრავთ აქამდე თათრებთან მარცხის მიზეზი: "ჩუენ ერთი ერთისაგან განდგომილი ვართ, ვერ წინააღუდგებით თათართა". საჭირო იყო ძალების გაერთიანება და თათარმონღოლთა წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლა. ტახტის მემკვიდრის ყაენის ურდოში წასვლის და იქ შეყოვნების შედეგად საქართველოში მეფის გამაერთიანებელი ხელისუფლება აღარ არსებობდა, ამიტომ საქართველოს მთავრებს თვითონ უნდა ეღონათ: "დაღათუ უმეფო ვართ, არამედ შევკრბეთ და ვბრძოდეთ თათართა". გადაწყდა ერთიანი აჯანყება და დათქვეს პაემანი ჯარის შესაკრებად. ყველაზე ადრე უფრო შორეული ქვეყნების პატრონები — ცოტნე დადიანი და რაჭის ერისთავი წავიდნენ. შეთქმულების ამბავი მონღოლებს ვიღაცამ შეატყობინა. მონღოლები ბიჩო და ანგურაყ ნოინების მეთაურობით სასწრაფოდ შემოადგნენ კოხტასთავის ციხეს და შეთქმულები დააპატიმრეს. დატყვევებული შეთქმულები ანისში წაიყვანეს, სადაც მათ დაკითხვა დაუწყეს. შეთქმულებმა მოასწრეს შეთანხმება, რომ შეკრების მიზნად მხოლოდ მონღოლთა სასარ-გებლო ხარკის აკრეფის ორგანიზება დაესახელებინათ. ამიტომ მთავარსარდლის შეკითხვაზე "რა არს შეკრება თქვენი, უკეთუ არა იქმთ განდგომილებასა?" ისინი ერთსულოვნად პასუხობდნენ "არა განდგომად შევკრბეთ, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქვენი და ხარკი განგიჩინოთ". მონღოლთა სარდალმა, რა თქმა უნდა, არ ირწმუნა შეთქმულთა ასეთი განცხადება და მათი გამოტეხვის მიზნით ბრძანა ისინი გაეშიშვლებინათ და მხარშეკრულები უპატიოდ მცხუნვარე მზის ქვეშ დაეყარათ. მათ მშიერმწყურვალებს ასეთი წამებით სიკვდილი მოელოდათ. წამების მიუხედავად ქართველი მთავრები მაინც ერთსა და იმავეს ამტკიცებდნენ: შევიკრიბენით "რათა განვაჩინოთ ხარაჯა"-ო.

ამასობაში მოვიდა პაემნის დრო და ცოტნე დადიანი ჯარშეყრილი შიდა ქართლში შემოვიდა. აქ მან შეიტყო თავისი თანამზრახველების შეპყრობის ამბავი. იგი ორი მსახურის ამარა დაუყოვნებლივ გამოეშურა ანი-სისაკენ. როდესაც იხილა ქალაქის მოედანზე ასე უპატიოდ დაყრილი და სასიკვდილოდ განწირული თანამემამულენი "გარდახდა ჰუნესაგან და და-აბნია სამოსელი თვისი, გაწშიშვლდა და შეიკრა მხარი და დაჯდა წარჩი-ნებულთა თანა".

გაკვირვებულ მონღოლებს ცოტნესთვის ასეთი საქციელის მიზეზი უკითხავთ. მანაც იგივე უპასუხა, რასაც მისი თანაშეფიცულნი დაჟინებით იმეორებდნენ. მონღოლებს კარგად ახსოვდათ, რომ სულ მცირე ხნის წინ ქართველთა დიდებულები თავიანთი კეთილდღეობისა და სამამულო მფლობელობის შენარჩუნების მიზნით თვით ქვეყნის ღალატსა და მტრის სამსახურში შესვლას არ თაკილობდნენ, ცოტნე დადიანი კი ნებაყოფლობით თავს საფრთხეში იგდებდა. ეს მაშინ, როდესაც მას თვითონ არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. ამდენად მონღოლებს სხვა არაფერი დარჩე-ნოდათ, თუ არა "დაეჯერებინათ" ცოტნეს და ქართველთა თავკაცების მტკიცება და ყველა ისინი გაეთავისუფლებინათ.

ცოტნე დადიანის ასეთი თავდადება და ჟამთააღმწერლის მიერ ამ ფაქტის წინ წამოწევა იმას მოწმობდა, რომ უკვე მკვეთრად შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი მონღოლებთან დამოკიდებულებაზე. ყველასათვის აშკარა გამხდარა, რომ მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატების მო-პოვება უსათუოდ ყველასგან დიდ თავდადებას მოითხოვდა.

კოხტასთავის შეთქმულების ამბავი ფართოდ გახმაურებულა და უკვე 1246 წელს თვით მონღოლთა ურდოს ცენტრში, ყარაყორუმშიც ჩაუღწევია. ამ დროს იქ იმყოფებოდა რომის პაპის ელჩი პლანო კარპინი, რომელიც წერს, რომ, როგორც გავიგე, ქართველები აჯანყებას აპირებენო.

მონღოლთა სარდლობა მაინც შეაშფოთა ქართველ დიდებულთა ასეთმა ერთსულოვნებამ და შესაძლო აჯანყებამ, ამიტომ მათ მიზანშეწო-ნილად ჩათვალეს ადგილობრივი მეფის ხელისუფლების აღდგენა და დათანხმდნენ მეფობის ახალი კანდიდატი გაეგზავნათ ყაენის ურდოში მეფედ დასამტკიცებლად. მეფობის ეს ახალი კანდიდატი იყო ლაშა-გიორგის უკანონო შვილი — დავითი, რომელიც აქამდე რუმის სულტნის კარზე იმყოფებოდა.

Øდავით გიორგის ძის ურდოში გაგზავნა და საქართველოს მეფის დამტკიცების საკითხი. უმეფობისა და მონღოლთა მიერ შემოღებული მმართველობის პირობებში ზოგიერთმა ქართველმა მთავარმა დიდ წარმატებას მიაღწია, მაგალითად კახეთ-ჰერეთის განმგებელი ეგრასლან ბაკურციხელი იმდენად იყო განდიდებული, რომ "კნინღაღა სახელი მეფობისა ეპყრა". სხვა მთავრები მას ემორჩილებოდნენ და მის სიტყვას ულაპარაკოდ ასრულებდნენ. "ყოველი ქართველთა ნათესავი ბრძანებასა მისსა მორჩილებდეს, ვითარცა მეფესა" აღნიშნავს ჟამთააღმწერელი. ეგარ-სლან ბაკურციხელი საკმაოდ ნიჭიერი და კარგი მჭევრმეტყველი ყოფილა და სხვა ქართველ მთავრებთან შეადრებით შესამჩნევად დაწინაურებულა. ეს ამბავი დიდებულთა დიდ ნაწილს არაფრად მოსწონდა და სხვა მიზეზებთან ერთად ამანაც დააჩქარა მათი მცდელობა საქართველოს სამეფო ტახტზე მეფობის ახალი კანდიდატი გამოენახათ.

დავით გიორგის ძე რუსუდანმა თავის ქალიშვილს გააყოლა რუმის სულტნის — ყიას ედდინის კარზე. ამით რუსუდანს სურდა საქართველოდან მოეცილებინა მისი შვილის შესაძლო მეტოქე. ჟამთააღმწერლის მტკიცებით საქართველოს მეფექალს ცდა არ დაუკლია, რომ როგორმე დაეღუ-პა თავისი ძმისშვილი, მაგრამ ეს უკანასკნელი ყოველთვის სასწაულებრივ გადარჩებოდა ხოლმე. რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ დავით გიორ-გის ძის შესახებ არავითარი ცნობა აღარ ჰქონიათ და მხოლოდ გულდა-გულ ძებნის შემდეგ ჩამოუყვანიათ იგი საქართველოში და მონღოლთა სარდლობისათვის წარუდგენიათ მეფედ დასამტკიცებლად. მონღოლთა სარდლებმა

ისევე როგორც დავით რუსუდანის ძე, დავით გიორგის ძეც ბათო ყაენთან გააგზავნეს მეფედ დასამტკიცებლად, ხოლო ბათომ თავის მხრივ ყარაყორუმში გაისტუმრა. ყარაყორუმში ჩასულ დავით გიორგის ძე-სა და მის ამალას მოულოდნელად ცოცხალი დახვდათ დავით რუსუდა-ნის ძე, რომელიც აქამდე დაღუპული ეგონათ. 1241 წელს გარდაცვლილი დიდი ყაენის უგედეს შემდეგ ახალი დიდი ყაენი ჯერ კიდევ არ იყო არ-ჩეული. მის მაგივრად იმპერიას განაგებდა მისი ცოლი თურაქინხათუნი. მის მიერ ამუდარიის დასავლეთით მდებარე ქვეყნების უმაღლეს ზედამხედველად დანიშნული იყო არღუნ ამირა. მან განსხვავებით სხვა მონღოლთა უმრავლესობისაგან შეისწავლა უიღურული დამწერლობა და ყაე-ნის კარზე ბითიგჩის (მდივანმწიგნობრის) თანამდებობაზე დაწინაურდა. თავისი ნიჭისა და უნარის წყალობით მან მაღალ თანამდებობებს მიაღწია.

1246 წელს მონღოლ თავკაცთა ყრილობამ, ყურულთაიმ დიდ ყაენად განაწესა ჩინგიზ ყაენის უმცროსი ვაჟის თულის შვილი გუიუქი (1246-1248 წწ.). სწორედ ამ გუიუქს უნდა დაემტკიცებინა საქართველოს მეფობის ერთ-ერთი კანდიდატი. ამ ამბებს მონღოლთა კარზე შეესწრო რომის პაპის ელჩი პლანო კარპინი, რომელიც აგვიწერს აქ გამართულ დავას ქართველ დიდებულთა შორის. დავით გიორგის ძის მომხრეები იმ დებულებას იცავდნენ, რომ მემკვიდრეობის განსაზღვრისას ქალის მემკვიდრეობის წი-ნაშე უპირატესობა უნდა მინიჭებოდა მამრობითი სქესის შთამომავალს, თუნდაც იგი "უკანონო" შვილი ყოფილიყო. დავით რუსუდანის ძის მომხრეები კი კატეგორიულად მოითხოვდნენ ქართული სამართლის დაცვას, რომლის ძალითაც "უკანონო" შვილს მამის მემკვიდრეობის უფლება არ ქონდა. მით უმეტეს, რომ დავით რუსუდანის ძე უკვე 1230 წელს თანამო-საყდრედ იყო გამოცხადებული.

მონღოლთა ახალმა ყაენმა ეს სადავო საკითხი მონღოლური სამართლის მიხედვით გადაწყვიტა, რომელიც არ არჩევდა "კანონიერ" და "უკა-ნონო" შვილებს და მემკვიდრეობა ყველა შვილზე გადადიოდა, მხოლოდ ერთ-ერთი უფროსად ცხადდებოდა. ლაშა-გიორგის შვილი დავით VII უფროსი იყო ასაკით და თანაც მამაკაცის შთამომავალი, ამიტომ იგი უფროს მეფედ განაწესეს და უწოდეს ულუ (ულუღ — მონღოლურად უფროსს ნიშნავს), ხოლო დავით რუსუდანის ძე (დავით VI) მას დაუქვემდებარეს და ისიც მეფედ დაამტკიცეს. დავით რუსუდანის ძეს ნარინიც ეწოდებოდა ზედსახელად (ნარინი — უმცროსს, მცირეს ნიშნავს), ხოლო საქართველოს სამეფო ტახტზე ორი მეფის დამტკიცებით საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობას აშკარა საფრთხე შეექმნა, რაც მალე საქართველოს ორ სამეფოდ გათიშვით დამთავრდა. ორივე დავითი რამდენიმე ხანს დარჩა მონღოლთა ყაენის კარზე. დავით ულუმ იქ ცოლად შეირთო მონღოლთა ბატონიშვილი ჯიგდახათუნი. ამით მან კიდევ უფრო მეტი ნდობა მოიპოვა მონღოლთა თვალში. საქართველოში ორივე დავითი 1247 წელს დაბრუნდა.

ორმეფობა საქართველოში და 1249 წლის აჯანყება. საქართველოში დაბრუნებული ორივე დავითი ერთხანს თბილისში ისხდნენ და ერთად განაგებდნენ ქვეყანას. რა თქმა უნდა, მათი საქართველოში დაბრუნებით ქვეყნის დუმნებად დაყოფა გაუქმდა, მაგრამ ორი მეფის მეფობა მაინც არანორმალურ ვითარებას ქმნიდა. ნაწილი დიდებული ფეოდალები-სა დავით ულუს ირგვლივ იყო დაჯგუფებული, ნაწილი კი დავით ნარი-ნისა. დავით ულუ მაინც და მაინც მონღოლების უკმაყოფილო არ უნდა ყოფილიყო, რადგან იგი სასიკვდილოდ განწირული და

ყველასაგან მივიწყებული მონღოლებმა გამოძებნეს და საქართველოს უფროს მეფედ დასვეს. რაც შეეხება დავით ნარინს, იგი ვერაფრით ვერ ეგუებოდა მონღოლთა განწესებას, რომლის ძალითაც იგი თავის "უკანონო" ბიძაშვილს დაუქვემდებარეს. ამის გარდა დავით რუსუდანის ძე განსაკუთრებით განიცდიდა თავისი ქვეყნის ბედს, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ აყვავებულ და მთელს წინა აზიაში უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომლის კა-ნონიერ მეფედაც იგი თავის თავს თვლიდა. XIII საუკუნის სომეხ ისტორიკოსთა (კირაკოს განძაკელის, გრიგოლ აკანელის, ვარდან დიდის და სხვ.) ცნობით, 1249 წელს თბილისში მეფე დავითთან შეკრებილ ქართველ დიდებულებს დაუწყიათ მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის ჯარის გამოყვანა შეეძლოთ. გაირკვა, რომ ქართველებს და სომხებს საკმა-ოდ დიდი სამხედრო ძალა გააჩნდათ და ამდენად, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების იმედი უნდა ჰქონოდათ. აჯანყების იდეის წინააღმდეგ ავაგ ათაბაგი გამოსულა. თვით სომეხი ისტორიკოსებიც ამ იდეას ალმაცერად უყურებდნენ და მას ქართველთა წინდაუხედაობად თვლიან. იმასაც აღნიშნავენ, რომ ქართველების ჩვეულებაა მუდამ ამპარტავნობა და გრძელსიტყვაობა, განსაკუთრებით სუფრასთან დროსტარებისა და ღვინის სმის დროს. ამჯერადაც ქართველ მეინახეებს ვერ დაუცავთ კონსპირაცია და მათი განზრახვა აჯანყების შესახებ ვიღაცას შეუტყობინებია მონღოლი ნოინებისათვის. შეშფოთებული მონღოლთა სარდლები დაუყოვნებლივ შე-იარაღებულან და თავს დასხმიან შეთქმულებს. მათ დიდებულებთან ერთად შეუპყრიათ მეფე დავითიც და ყველას სიკვდილით დასჯას უპირებდნენ. უფრო მეტიც, მათ მთელი მოსახლეობის ამოხოცვა განუზრახავთ, მაგრამ ამის წინააღმდეგ გამოსულა ჩაღათა ნოინი, რომელსაც კარგი ურთიერთობა ჰქონია ავაგ ათაბაგთან. მას შეუხსენებია მონღოლთათვის, რომ ყაენის ბრძანების გარეშე ამის გაკეთების უფლება არ ჰქონდათ. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ არ იყო გამოკვლეული, ქართველები ნამდვილად აპირებდნენ აჯანყებას თუ არა. ამის შემდეგ მონღოლებს ხელი აუღიათ მოსახლეობის მთლიანად ამოხოცვის განზრახვაზე, მაგრამ საქართველოს ზოგიერთი ადგილები მაინც აუოხრებიათ. კირაკოს განძაკელის ცნობით, მონღოლებმა "შეუტიეს ქართველთა მხარეს, მრავალ კუთხეს, როგორც იმათ, ვინც აჯანყდა, ისე იმათ ვინც არ [აჯანყდა], მრავალი დახოცეს და უმრავლესი კიდევ ტყვედ წაიყვანეს: კაცები, ქალები და ბავშვები. მრავალი მათგანი მდინარეში დაახრჩეს". შეპყრობილი დიდებულები მონღოლებმა მხოლოდ დიდი გამოსასყიდის ფასად გაათავისუფლეს, მეფე დავითს კი გაქცევა მოუხერხებია.

მონღოლთა ბანაკიდან გამოქცეული დავით ნარინი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც ადგილობრივი მთავრები მას სიხარულით შეხვდნენ. მონღოლებმა ვერც ამჯერად გაბედეს დასავლეთ საქართველოში გადასვლა. ამრიგად, ლიხთ-იმერეთი მოწყდა აღმოსავლეთ საქართველოს და იქ ცალკე სამეფო ხელისუფლება შეიქმნა. მონღოლები იძულებული იყვნენ გარკვეულ დრომდე ამ ვითარებას შეგუებოდნენ.

თავი VI. საქართველოს აღწერა მონღოლთა მიერ და მონღოლური საგადასახადო სისტემა. დავით ულუს აჯანყება

მონღოლთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების აღწერა. XIII ს-ის 50-იანი წლებისათვის მონღოლთა წარმატებული დაპყრობითი ომები ძირითადად დამთავრდა. ამასთან ერთად იკლო იმ

შემოსავალმაც რაც მონღოლებს ნადავლისა და ალაფის სახით შემოსდიოდათ. მათ მიერ შექმნილ უზარმაზარ სახელმწიფოს შესანახად დიდძალი სახსრები სჭირდებოდა, ამასთანავე მონღოლებს უკვე მადა გაეხსნათ და სულ უფრო და უფრო ეძალებოდნენ ფუფუნებით ცხოვრებას, რაც აგრეთვე დიდ ქონებრივ შეძლებას მოითხოვდა. ბუნებრივია, ისინი დაპყრობილ ქვეყნებს მეტი სიმძიმით დააწვებოდნენ და ეცდებოდნენ მაქსიმალურად ამოექაჩათ ამ ქვეყნებიდან ის სიმდიდრე, რაც მათ გადიდებულ მადას დააკმაყოფილებდა.

1254-1256 წლებში მთელს მონღოლთა იმპერიაში დაიწყო და ჩატარდა აღწერა, რომლის მიზანიც იყო, გაერკვიათ ამა თუ იმ ქვეყნიდან მაქსიმალურად რა რაოდენობის გადასახადის ამოღება და რა რაოდენობის სამხედრო ძალის გამოყვანა შეიძლებოდა. აღწერის ჩატარებას ხელმძღვანელობდა არღუნ ნოინი. მონღოლებმა აღწერეს ყველაფერი, რაც კი შემოსავალს იძლეოდა: ვენახი, ბაღი, ყანა, ბოსტანი, წისქვილები, ზეთსახდელები, საძოვრები, საქონელი, სათევზაო ადგილებიც კი. გადასახადებით დაიბეგრნენ, როგორც სოფლის მეურნენი, ასევე ვაჭრები, ხელოსნები, მეთევზეები, მაღაროში მომუშავენი. გადასახადების რაოდენობა განსაკუთრებულ დავთრებში შეჰქონდათ. ასეთ დავთრებში არ შეუტანიათ მხოლოდ ეკლე-სიის მსახურნი და საეკლესიო მიწები. აღწერა ჩატარდა საქართველოშიც. როგორც ჟამთააღმწერელი წერს, მონღოლებმა “იწყეს აღწერად კაცით პირუტყვამდე, ყანით ვენახთამდე, წალკოტით ბოსტნამდე”.

აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობას შემდე-გი ძირითადი გადასახადები შეაწერეს: სოფლის მეურნეობაზე დადებულ გადასახადს მალი ეწოდებოდა და მოწეული მოსავლის 2/3-ს, დაახლ. 60%-ს შეადგენდა. იგი აიღებოდა როგორც ნატურით, ისე ფულით.

გადასახადი პირუტყვზე იყო ყაფჩერი ანუ “საბალახე” — 100 სულ საქონელზე ყოველწლიურად ერთი სული უნდა მიეცათ მონღოლებისათვის. უფრო გვიან ამ გადასახადს ფულადაც იღებდნენ 1დან 10 დინარამდე.

ულუფა — ქართული “ძღვენი” — გადასახადი ადგილობრივი მონღოლი მოხელეების სასარგებლოდ. გადასახადი უნდა გამოეღო სოფელს ათა-სეულის თავისათვის თითო კრავი და 1 დრაჰკანი, ხოლო დუმან ნოინი-სათვის ანუ ათიათასეულის თავისათვის 1 ცხვარი და 2 დრაჰკანი. ამას გარდა სოფელში მოსული მონღოლი მოხელის ცხენის ქირაც ანუ “მიზდი” სოფელს უნდა გამოეღო დღეში 3 თეთრის რაოდენობით.

დამღა (ტამღა) ანუ სავაჭრო გადასახადი — გაყიდული საქონლის 3% მონღოლების სასარგებლოდ უნდა გამოეღოთ.

ამათ გარდა იყო ერთდროული გადასახადები (ტუზღუ, ნემარი, თარხი, თერნაგირი, საელჩო და სხვ.).

ჰულაგუ ყაენმა (1256-1265 წწ.) შემოიღო თაღარი მონღოლთა ჯარის შესანახად. მას კრეფდნენ სოფლებში იქ ჩაყენებული ან ლაშქრად მიმავალი ჯარის გამოსაკვებად. დავთარში შეტანილ თითოეულ პირს უნდა გამოეღო 100 ლიტრა პური, 50 ლიტრა ღვინო, 2 ლიტრა ბრინჯი, 3

თოფრა-კი, 2 თოკი, 1 ისარი, 1 ნალი, 1 თეთრი. აგრეთვე 20 პირუტყვზე 1 პირუტყვი და 20 თეთრი.

მონღოლებმა საქართველოს მოსახლეობას დააკისრეს შრომითი და ნატურალური ბეგარაც. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საიამე. თავიანთი უზარმაზარი სახელმწიფოს მართვის გაადვილებისა და ცალკე-ულ კუთხეებთან სწრაფად დაკავშირებისათვის მონღოლებმა გაიყვანეს ახალი გზები და კეთილმოაწყვეს. გარკვეულ მანძილზე განსაკუთრებული სადგურები — იამები ააგეს, სადაც გზად მიმავალი მონღოლი მოხელეები-სათვის უნდა ყოფილიყო გამზადებული ცხენები და საკვები. ამ გზების გაყვანა და შეკეთება, იამების აგება და მუდმივად მომარაგება ცხენებითა და პროდუქტებით ახლო მდებარე სოფლებს ევალებოდათ. ეს იმდენად მძიმე ბეგარა იყო, რომ გზისპირა სოფლებიდან მოსახლეობა მასობრივად იყრებოდა და გარბოდა, რათა თავი დაეღწია ამ საბეგრო ვალდებულები-საგან.

აღწერის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ბრძოლისუნარი-ანი მამაკაცების აღრიცხვასაც. დავთრებში შეჰქონდათ 15 წლიდან 60 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცი. ჟამთააღმწერლის ცნობით, საქართველოში “ცხრასა გლეხსა სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან. და გამოხდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმანი მხედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელი არს ცხრა ბევრი”. მაშასადამე, ცხრა სრულფუძიან გლეხის კომლს ერთი მოლაშქრე მხედრის გამოყვანა ევლებოდა. ამათვე უნდა მოემარაგებინათ ეს მოლაშქრე ცხენით, იარაღით, სურსათით. ამ გამოსაღებს ყალანი ერქვა. საფიქრებელია, რომ მოლაშქრე განსაკუთრებული, პრივილეგირებული კატეგორიის გლეხი იყო, რომელ-საც თვითონ ყალანი არ ევალებოდა და თავისი მოლაშქრეობით იხდიდა ვალდებულებას. ყალან ვალდებული (მოყალნე) გლეხები უშუალოდ სამხედრო სამსახურს არ ეწეოდნენ და ამ ყალნის გამოღებით იხდიდნენ სამხედრო ბეგარას. ჟამთააღმწერლის ცნობის საფუძველზე შესაძლებელი ხდება დაახლოებით განისაზღვროს მაშინდელი მოსახლეობის რაოდენობა. საქართველოს უნდა გამოეყვანა სულ ცხრა დუმანი, ანუ ცხრა ბევრი ე. ი. 90 ათასი მოლაშქრე ცხრა სრულფუძიანი გლეხიდან ერთი მოლაშქრის ან-გარიშით. აქედან ჩანს, რომ გლეხური მოსახლეობა აღმოსავლეთ საქართველოში (დასავლეთ საქართველო აღწერილი არ ყოფილა, სამაგიეროდ აქვე შედიოდა სომხური პროვინციები, ასევე სამცხეც) ყოფილა სულ 810000 კომლი. დასავლეთ საქართველო ამ პერიოდის სრულიად საქართველოს დაახლოებით 1/4 -ს შეადგენდა ე. ი. აქაც 200000 კომლზე მეტი უნდა ვი-ანგარიშოთ. ამას უნდა დაემატოს ქალაქის მცხოვრებლები და ფეოდალური კლასის წარმომადგენლები, რაც პროპორციულად დაახლოებით ამდე-ნივეს უნდა უდრიდეს ე. ი. საქართველოში (სომხურ პროვინციებთან ერთად) სულ 1 200 000 კომლი მცხოვრები უნდა ყოფილიყო. სტატისტიკო-სები სულადობრივად ჩვეულებრივ კომლზე 5 კაცს ანგარიშობენ. ამის მიხედვით საქართველოს მცხოვრებთა რაოდენობა 6 მილიონზე მეტი გამოდის.

მონღოლებისადმი დამორჩილებულ საქართველოს მეფეებს სისტემატურად უხდებოდათ მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა. მართალია, იმდენი მოლაშქრის გამოყვანა, რამდენიც აღწერით იყო განსაზღვრული ერთდროულად არასოდეს მომხდარა, მაგრამ 10-15 ათასი და ზოგჯერ მეტიც, ქართველ მეფეებთან ერთად თითქმის გამუდმებით დაკავებულნი იყვნენ შორეულ ლაშქრობებში.

ილხანთა სახელმწიფოს წარმოქმნა და ბრძოლა დასავლეთ საქართველოს დასამორჩილებლად. როგორც აღნიშნული იყო, დავით რუსუდანის ძე ადრევე (1249 წ.) განუდგა მონღოლებს და თავი დასავლეთ საქართველოს შეაფარა. მაშინ მონღოლებმა ვერ შეძლეს დასავლეთ საქართველოში გადასვლა და აჯანყებული ქართველი მეფის დამორჩილება. მონღოლებს მაინცდამაინც თავი არც გამოუდვიათ დასავლეთ საქართველოს დაკავების მცდელობით, რადგან დაზავების პირობებით საქართველო ერთიანად იხდიდა ხარკს და დავით ნარინის დასავლეთ საქართველოში გადასვლას საქართველოს მიერ გაღებული ხარკის რაოდენობაზე გავლენა არ უნდა მოეხდინა. მონღოლებს მაშინ არც ჰქონდათ შესაძლებლობა დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ დაეწყოთ ბრძოლა. მთელი მათი ყურადღება მიმართული იყო ირანის ტერიტორიაზე მულჰიდების ანუ ისმაილიტების და დასავლეთით ბაღდადის ხალიფას წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ადგილობრივი ძალები მონღოლებს არ ჰყოფნიდათ, ამიტომ 1251 წ. როდესაც მონღოლთა დიდ ყაენად მანგუ (მუნკე) აირჩიეს, გადაწყდა, ირანის ტერიტორიაზე დამატებითი ძალების გამოგზავნა დიდი ყაე-ნის ძმის, ჰულაგუს მეთაურობით. ამ ლაშქრობისათვის მზადება 1252 წელს დაიწყეს და უკვე შემდეგ წელს ჰულაგუ 70000-იანი ლაშქრით და-იძრა ყარაყორუმიდან ირანისაკენ. მისი ეს უზარმაზარი ურდო მეტისმეტად ნელა მოძრაობდა და მხოლოდ 1256 წელს გადმოლახა მდ. ამუდარია. ამავე წელს მათ ალყა შემოარტყეს ისმაილიტების რამდენიმე ციხეს. მთავარი ბრძოლები ალამუთის ციხესთან გაიმართა. ამ ბრძოლებში საქართველოდან გამოყვანილი ჯარიც იღებდა მონაწილეობას. ბოლოს, 1256 წლის დასასრულს აღებულ იქნა ალამუთის ციხე და შემდეგ სხვა 40 ციხეც. ამით ისმაილიტთა თეოკრატიულ სახელმწიფოს ბოლო მოეღო. უკვე შემდეგ წელს ჰულაგუ ბაღდადისაკენ დაიძრა. ბაღდადისათვის ბრძოლა-შიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართველები. 1258 წლის 10 თებერვალს დიდი ბრძოლების შემდეგ აღებულ იქნა ბაღდადიც. მაჰმადიანთა ამ სა-სულიერო ცენტრის დაუფლებით მონღოლებმა დიდძალი სიმდიდრე იგდეს ხელთ. უკანასკნელი აბასიდი ხალიფა — მუთასიმი სიკვდილით იქნა დასჯილი.

ჰულაგუ ყაენი თავის ურდოსთან ერთად ირანში დარჩა და იქ ახალი მონღოლური სახელმწიფო შეიქმნა (1258 წ.). 1259 წელს გარდაიცვალა მანგუ ყაენი. ახალმა დიდმა ყაენმა ყუბილაიმ ჰულაგუს გამოუგზავნა ინვესტიტურა, როგორც ახალ დაპყრობილ ტერიტორიაზე, ისე ირანის ძველ სამფლობელოებზე უფლებამოსილების შესახებ და უბოძა ილხანის ტიტული. ამრიგად, საქართველოს სამხრეთით სათავე დაედო ახალ მონღოლურ სახელმწიფოს, რომელსაც ჰულაგუიდური ირანი ანუ ილხანის საყაენო ეწოდება.

ჰულაგუ ყაენი თავისი სახელმწიფო საქმეების მოწესრიგებას შეუდგა. ამ ამბებში მისი თანაშემწე იყო არღუნ ამირი, რომელმაც ენერგიულად დაიწყო საქმიანობა. დაწვრილებით იქნა შემოწმებული გადასახადების აკრეფის საქმე. რამდენიმე დიდმოხელე დასჯილ იქნა. ჰულაგუ ყაენმა არღუნი საქართველოშიც გამოგზავნა ხელახალი აღწერის ჩასატარებლად და გადასახადების მოსაწესრიგებლად. მულჰიდების სახელმწიფოს განადგურებისა და ბაღდადის აღების შემდეგ ჰულაგუ ყაენმა გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოც დაემორჩილებინა და დაეხარკა.

1259 წლის ზაფხულში დავით ნარინის წინააღმდეგ დიდი ჯარი გამოიგზავნა, რომელიც მონღოლი და მუსლიმი მოლაშქრეებისაგან შედგებოდა. აქვე გაემართა თავისი რაზმით არღუნ ამირაც. მათ შესახვედრად დასავლეთ საქართველოს ჯარით გადმოვიდა დავით ნარინი. ბრძოლა უკომპრომისო და სასტიკი იყო. ორივე მხარემ დიდი ზარალი განიცადა. საბოლოოდ მონღოლებმა ვერ შეძლეს დასავლეთ საქართველოში გადასვლა. არღუნი იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო და ჰულაგუ ყა-ენს ხლებოდა თავრიზში. მან ყაენს მოახსენა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა და ახალი დამხმარე ძალები ითხოვა. ილხანმა ბრძანება გასცა შეეკრიბათ ლაშქარი როგორც მონღოლთაგან, ისე ერაყიდან და საქართველოს დამორჩილებული ნაწილიდან. ქართველ დიდებულებს და დავით ულუს ებრძანათ თავიანთი ლაშქრით გამოსულიყვნენ არღუნ ყაენის დროშის ქვეშ. მაგრამ საქართველოში ჩამოსულ არღუნს დავით ულუც აჯანყებული დახვდა.

გ) დავით ულუს აჯანყება. დავით ულუს განდგომა და აჯანყება იმანაც გააბედვინა, რომ სწორედ ამ ხანებში დავით ნარინმა ფაქტობრივად შეძლო მონღოლების დამარცხება. როგორც ჩანს, მონღოლები ითვალისწინებდნენ დავით ულუს შესაძლო შეყოყმანებას დავით ნარინის წინა-აღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობის მიღების თაობაზე, ამიტომ მათ ოფიცი-ალურად მოსთხოვეს ჯარის გამოყვანა, თითქოსდა ეგვიპტეში გასალაშქრებლად.

დავით ულუმ სათანადო თადარიგი დაიჭირა. მან თავისი მეუღლე დედოფალი გვანცა და ახლად შეძენილი ვაჟი, დიმიტრი ბიჯნისის ციხე-ში შეაფარა, თვითონ კი ქართველთა ლაშქრით ჯავახეთისაკენ გაემართა. აქ მან მოიწვია დიდებულთა თათბირი და შეკრებილთ აცნობა თავისი გადაწყვეტილება, რომ მონღოლებს აღარ დაემორჩილებოდა. მან დიდებულებს თავისუფალი მოქმედების უფლება მისცა. სხვანაირად მას, ალბათ, არც შეეძლო. ქართველ დიდებულთა ნაწილი მონღოლების სამსახურში იყო ჩამდგარი და მედროვეობის გზას ადგა. მათ მიმართ ულუ დავითს არავითარი ძალა არ გააჩნდა. ურჩ და მეფის მიერ შერისხულ დიდებულებს მონღოლები მფარველობდნენ ხოლმე და საქართველოს მეფეს მათი დასჯის ან გადაყენების უფლებას არ აძლევდნენ. ამიტომ წერს მემატიანე, რომ მეფემ “ვერ სცვალნა ერისთავნი შიშისათვის მონღოლთაო”, ამდენად დიდებულთა ნაწილი აჯანყების მომხრე ვერ იქნებოდა და მეფეს მათი იძულების საშუალება არც გააჩნდა. დავითის მოწოდებას მონღოლთა წი-ნააღმდეგ გამოსვლის შესახებ დიდ ფეოდალთაგან მხოლოდ სამცხის მთავარმა სარგის ჯაყელმა დაუჭირა მხარი.

დავით ულუს და სარგის ჯაყელს მხოლოდ 8000-იანი ლაშქარი ჰყავდათ. მეფემ მხედართმთავრობა სარგის ჯაყელს დაავალა.

ზამთრის ყინვიანი დეკემბრის თვე იდგა. მტრის დანახვისთანავე ქართველები საბრძოლველად განეწყვნენ და “მყის ზედამიეტევნეს”. მათი შეტევა ისეთი ძლიერი და ფიცხი იყო, რომ თათრებმა ვერ გაუძლეს და ოტებულნი გაიქცნენ ბრძოლის ველიდან. მონღოლთა ამ რაზმიდან მცირედნიღა გადარჩნენ. გაქცეულებმა არღუნის ძირითად ბანაკს მიაშურეს და “შეიხვეწნეს რაზმსა შინა არღუნისასა შინდარას გორისასა”. გამარჯვებული ქართველთა მეწინავენი თავიანთ ბანაკში დაბრუნდნენ და სარგის ჯაყელს მონღოლთა დამარცხების ამბავი მიუტანეს.

ამ წარმატებით გამხნევებულმა ქართველთა სარდლობამ დაუყოვნებლივ მტრის ძირითად ძალაზე შეტევა გადაწყვიტა და მტკვრის ვიწროებიდან გამოვიდა. ეს ალბათ შეცდომა იყო, რადგან მონღოლთა უფრო მრავალრიცხოვან მხედრობასთან ქართველებს მტკვრის ვიწროებში უფრო გა-უადვილდებოდათ შებრძოლება და უკეთესი იქნებოდა თვითონ იქ დაეცადათ და მტრის შემოტევას დალოდებოდნენ. მაგრამ გამარჯვებით გალაღებული ქართველები დაუყოვნებლივ შეტევას ეშურებოდნენ.

ბრძოლა დაიწყო მესხთა შეტევით. თვითონ "სარგის ჯაყელი უპირველეს ყოველთასა მიუხდა რაზმსა და უმხნესი მათი, ჩინბაადური, ჰოროლითა ცხენისაგან ქუეყანად დასცა". გაიმართა სასტიკი ბრძოლა ("იქმნა ძლიერი ომი"). არღუნის ლაშქრიდან ბევრი დაიღუპა. ბოლოს მონღოლებმა ვეღარ გაუძლებს მეფის ჯარის შემოტევას და ბრძოლის ველიდან უკუ იქცნენ. აქ კი მათ თავიანთი ჩვეული ხერხი გამოიყენეს: "ვითა არს ჩვეულება თათართა ლტოლვა და გარე უკუქცევა, ანაზდათ გარე უკუნიაქცეს". თათართა ამ მანევრმა გაჭრა და მტერს დადევნებული და გაფანტული ("მიმოდაბნეული") ქართველთა ჯარი შემობრუნებულმა და ჩასაფრებულმა მონღოლებმა შუაში მოიქციეს და სასტიკად დაამარცხეს. როგორც ჟამთა-აღმწერელი აგვიწერს "სულმოკლექმნილნი სპანი მეფისანი ილტვოდეს მსწრაფლ. ესრეთ განწირული და მიმოდაბნეულნი თათართა მიერ მოისროდეს... უწყალოდ ხოცდეს, და მრავალნი სახელოვანნი მოსრნეს თათართა". ქართველთა ჯარიდან მხოლოდ მცირედი ნაწილი გადარჩა. დავით ულუ და სარგის ჯაყელი შერჩენილი ჯარით სამცხეში გადავიდნენ. არღუნმა ქართველთა მეფის დადევნება ვერ გაბედა. მისი ზარალიც საკმაოდ დიდი იყო, ამიტომ იგი უკან, ურდოში გაბრუნდა.

მომდევნო, 1261 წელს არღუნი ახალი ჯარით შემოვიდა საქართველო-ში და სამცხეს შეესია. სამცხეს რბევა ოც დღეს გაგრძელდა, მაგრამ მთავარი ციხესიმაგრე ციხისჯვარი მონღოლებმა მაინც ვერ აიღეს. სამცხის მორბევის შემდეგ 1261 წლის ივნისში არღუნი უკან გაბრუნდა. მან თავის მიზანს ვერც ამჯერად მიაწია. მონღოლებმა ჯავრი ტყვეებზე იყარეს. დედოფალი გვანცა სიკვდილით დასაჯეს, ასევე მოკლეს მათთან ტყვედ მყოფი ამირსპასალარი ზაქარია, რომელსაც აჯანყებულებთან საიდუმლო ურთიერთობა შეუტყვეს. დავით ულუ და სარგის ჯაყელი დარწმუნდნენ, რომ მათი სამცხეში დარჩენა და ბრძოლის გაგრძელება უიმედო იყო, ამავე დროს მონღოლთა შემოსვლით ქვეყანა სასტიკად ირბეოდა, ამიტომ გადაწყვიტეს დასავლეთ საქართველოში გადასულიყვნენ.

თავი VII. კვლავ ორმეფობა და დავით ულუს შერიგება მონღოლებთან

მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში. დავით ულუს დასავლეთ საქართველოში გადასვლით იქ თავისებური ვითარება შეიქმნა. თუკი ერთიანი საქართველოსათვის ორი მეფის ერთობლივად სამეფო ტახტზე ჯდომა არაბუნებრივი და შეუთავსებელი იყო, ახლა კი ორი მეფის მეფობა დასავლეთ საქართველოში კიდევ უფრო შეუფერებელი იქნებოდა. ბუ-ნებრივია, დაისმებოდა საკითხი ამ ორი მეფიდან რომელი უნდა ყოფილიყო უფროსი, ანდა რომელ მათგანს უნდა მინიჭებოდა უპირატესობა. მეფეების თანხმობით ყოფნის მიუხედავად მათ მომხრეებს შორის ატყდა ცილობა. ეს დავა დავით ულუს ამალის წევრებმა წამოიწყეს. მათ გადაუწყვეტიათ

დავით ნარინის მეფობიდან გადაყენება და დავით ულუს ერთმეფობის დაწესება, მაგრამ დავით ნარინის მომხრეებმა ეს განზრახვა ჩაშალეს. ბოლოს მომხდარა შეთანხმება და ორივე დავითს საქართველოს შემოსავალზე უფლება შუაზე გაუყვიათ.

დავით ულუს შერიგება მონღოლებთან. დავით ულუს იმერეთში ყოფნის დროს მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველოს მმართველობის მეთვალყურედ სომეხი დიდვაჭარი ვინმე შადინი დანიშნეს და მას საქართველოს მმართველადაც უპირებდნენ დასმას. ამ ცნობამ შეაშფოთა დასავლეთ საქართველოში გადახვეწილი დავით ულუ და ისევ მონღოლებთან შერიგება სცადა.

დავით ულუმ თავდაპირველად თავისი მოციქულები გაგზავნა ყაენის კარზე წინასწარი მოლაპარაკებისათვის და თანხმობის მიღების შემდეგ, 1262 წელს თვითონაც გადმოვიდა აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო შემდეგ სარგის ჯაყელთან ერთად გაემგზავრა ჰულაგუ ყაენის ურდოში.

ჰულაგუ ყაენმა დავით ულუს აჯანყების სასამართლო გამოძიება მო-აწყო.

მონღოლური სასამართლოს წარმოების საქმეში დიდი როლი ენიჭებოდა თარჯიმნებს, რომლებიც კარგად იცნობდნენ მონღოლურ წესებს და შეხედულებებს და ხშირად საქმეს ისე წარმართავდნენ და წარმოაჩენდნენ, როგორც ეს მათ სურდათ. რა თქმა უნდა, ისინი უანგარონი როდი იყვნენ და თავიანთი ასეთი როლით ხელს კარგად ითბობდნენ. მათ შეეძლოთ სრულიად უდანაშაულო პირი, ვინც ქრთამს არ მისცემდა, დასაღუპად გა-ეწირათ. ასევე დიდი ქრთამის მეოხებით შეეძლოთ მონღოლებისათვის საქმე ისე მოეჩვენებინათ, რომ თვით აშკარა დამნაშავეც კი გაემართლები-ნათ. დავით ულუს სასამართლო პროცესზე თარჯიმანობდა სადუნ მანკაბერდელი, მონღოლთა კარზე დაწინაურებული მედროვე, რომელიც წარმოშობით საქართველოდან იყო. ამ დროისათვის დამახასიათებელია მისი პიროვნება: იგი იყო გასომხებული ქურთი და შემდეგ გაქართველებული სომეხი. იგი ავაგ ათაბაგის ყმა-აზნაური იყო. ავაგ ათაბაგის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც დავით ულუმ მისი ქვრივი გვანცა ცოლად შეირთო, ავაგის ერთადერთი ქალიშვილის და მამულის მეურვედ სწორედ ეს სადუნი დაინიშნა.

სადუნი ნიჭიერი და უაღრესად გაქნილი პიროვნება იყო. იგი ფლობდა რამდენიმე ენას. რა თქმა უნდა, არა ბერძნულლათინურს, რომლის ცოდნაც სულ ცოტა ხნის წინ კულტურული და განათლებული ქართველისათვის ასე აუცილებელი და დამახასიათებელი იყო, არამედ უკულტურო, მაგრამ პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობის მონღოლურ-უიღურულს, მას უკვე მოეპოვებინა მონღოლთა თვალში საკმაო ავტორიტეტი.

სადუნის რჩევით, სარგის ჯაყელმა აჯანყების მიზეზი შემდეგნაირად წარმოადგინა: მონღოლთა მოხელენი, მეტადრე კი გადასახადების ამკრეფ-ნი, საქართველოში დიდ უსამართლობას სჩადიოდნენ, ისინი ატყუებდნენ თვით ყაენსაც. საქართველოს მხარეს მონღოლთა მოხელეების ამ უსამართლო მოქმედებისაგან თავდაცვის არავითარი საშუალება არ გააჩნდა, რადგან მათ ქრთამით ჰქონდათ შეკრული ყაენის კარი და საჩივარი ყაე-ნის ყურამდე ვერ აღწევდა. ამის გამო თითქოს სხვა გზა, გარდა აჯანყები-სა, არ არსებობდა რომ ყაენს მათთვის ყურადღება მიექცია.

ჰულაგუ ყაენი იძულებული იყო ეს გულუბრყვილო საბუთიანობა დაეჯერებინა, რადგან სწორედ ამ დროს მას აცნობეს, რომ ჩრდილოეთიდან ოქროს ურდოს დიდი ლაშქარი, თვით ბერქა ყაენის მეთაურობით ილხანთა სამფლობელოსაკენ მოემართებოდა. ჰულაგუ ყაენმა შეწყვიტა სა-სამართლო გამოძიება და დავით ულუს უბრძანა სასწრაფოდ შეეკრიბა ქართველთა ლაშქარი და თავისი ლაშქრით მასთან გამოცხადებულიყო.

ბრძოლა ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის და საქართველო. 1262 წლიდან დაიწყო დიდი ომი ოქროს ურდოსა და ილხანებს შორის. დავით ულუ და სარგის ჯაყელი ილხანთა ლაშქარში იმყოფებოდნენ. თავდაპირველად ილხანებმა შეძლეს ბერქას ჯარის უკუქცევა. უკან გაბრუნებულ ოქროს ურდოს ჯარს დაედევნა ჰულაგუს ჯარი მისი მემკვიდრის აბაღას სარდლობით, მაგრამ იმიერკავკასიაში გადასულ ილხანთა ჯარს მო-ულოდნელად თავს დაესხა ბერქა ყაენი და სასტიკად დაამარცხა. აბაღა უფლისწულმა გაქცევით უშველა თავს. დიდად დაზარალებულმა მისმა ლაშქარმა უწესრიგოდ დაიხია უკან. ჰულაგუ ყაენიც იძულებული გახდა ირანში გაბრუნებულიყო და იქ ჯავრი ოქროს ურდოს ვაჭრებზე ეყარა. ყველა ისინი უმოწყალოდ ამოხოცეს. ასეთივე ზომით უპასუხა ბერქამაც. ამის შემდეგ მათ შორის შებრძოლება ყოველ წელს იყო მოსალოდნელი, ამიტომ ჰულაგუმ საქართველო-შარვანის საზღვართან მდინარე თეთრიწყლის (მონღ. ჩალან-უსანის) ნაპირზე სიმაგრეების მთელი სისტემა შექმნა (მონღ. სიბა), სადაც ყოველწლიურად მონღოლებთან ერთად ქართველებ-საც ევალებოდათ დგომა და ჩრდილოეთის მონღოლთა შემოსევისაგან ამიერკავკასიისა და ირანის ტერიტორიის დაცვა.

1265 წელს გარდაიცვალა ჰულაგუ ყაენი და ამ ცნობის მიღებისთანავე ოქროს ურდოს მბრძანებელი ბერქა ყაენი 300 000-იანი არმიით ამიერ-კავკასიაში შემოიჭრა. მტრის ლაშქარმა მდინარე მტკვრამდე მოაღწია, მაგრამ რადგან გაზაფხულის წყალდიდობა იყო, მდინარე ვერ გადალახა და მის დინებას აჰყვა საქართველოს მიმართულებით. სამხრეთიდან ბერქას წინააღმდეგ ილახანთა ასევე მრავალრიცხოვანი ჯარით ახალი ყაენი აბაღა მოადგა და ისიც მტკვრის ნაპირებს გამოჰყვა. ამდენად, ორივე ეს უზარმაზარი ლაშქარი აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში შემოიჭრა. მონღოლთა ლაშქრის მოძრაობამ დიდი ზარალი მიაყენა საქართველოს ტერიტორიას. ქვეყანა აოხრდა და მოსახლეობა მასობრივად ამოწყდა. როგორც მემატიანე წერს: ბერქამ “მოაოხრა შარვანი, ჰერეთი, კახეთი და ყოველი იორის პირი და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე და მრავალი სული ქრისტიანი მოწყვიდეს”. ამის შედეგად საბოლოოდ მოისპო ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქები, როგორიც იყო ხორნაბუჯი და რუსთავი, განადგურდა დიდებული გარეჯის სამონასტრო ცენტრები მათი მეურნეობით, მიწის პირისაგან აღიგავა ბევრი სოფელი. იორ-ალაზნის ქვემო წელსა და მდინარე მტკვარს შორის მდებარე ტერიტორია იმდენად გაოხრდა, რომ ამის შემდეგ ეს მხარე ბოლო დრომდე უდაბნოდ იყო ქცეული.

თვითონ ბერქა ყაენმა გარეჯის მთებამდე მოაღწია, საიდანაც იგი უკვე საქართველოს დედაქალაქ თბილისზე აპირებდა თავდასხმას, მაგრამ ავად შეიქმნა და მოულოდნელად გარდაიცვალა. მისმა ლაშქარმა პირი იბრუნა და უკან გაემართა. მათ წაასვენეს თავიანთი გარდაცვლილი ყაენი და დარუბანდის გზით კვლავ თავიანთ სამფლობელოში დაბრუნდნენ.

თავი VIII. მეფე დემეტრე II თავდადებული

სადუნ მანკაბერდელი. დავით ულუ გარდაიცვალა 1270 წ. მუცლის მოარული სენით. ამავე სენით მასზე ადრე გარდაიცვალა მისი უფროსი ვაჟი და მემკვიდრე გიორგი. დავით ულუს დარჩა მცირეწლოვანი დემეტრე, რომელიც მას გვანცა დედოფლისაგან ჰყავდა. როგორც ვიცით, დავით ულუს აჯანყებისას მონღოლებმა დააპატიმრეს დედოფალი გვანცა დემეტრე უფლისწულთან ერთად და დედა-შვილი ურდოში წაიყვანეს. იქ დედოფალი სიკვდილით იქნა დასჯილი, ხოლო დემეტრე აღსაზრდელად ტარსაიჭ ორბელს გადასცეს. დავით ულუს გარდაცვალებისას დემეტრე II თორმეტი წლის ბავშვი იყო. აბაღა ყაენმა (1265-1282 წწ.) დემეტრე საქართველოს მეფეთამეფედ დაამტკიცა და მისცა მისი სამკვიდრებელი, რო-გორც ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, “თვინიერ სარგის ჯაყელისა” ე. ი. სარ-გის ჯაყელის სამფლობელოს გამოკლებით, რომელიც ხას-ინჯუდ იყო გამოყოფილი და უშუალოდ ყაენს ექვემდებარებოდა. უამისოდაც საქართველოს სახელმწიფოებრივი სხეული მნიშვნელოვნად იყო შემცირებული და დანაწევრებული. დასავლეთ საქართველო უკვე დიდი ხანია ცალკე სამეფოდ იყო გამოყოფილი და აქ დავით ნარინი განმგებლობდა. საქართველოს აღმოსავლეთის საზღვარი მდინარე თეთრწყალზე ანუ ჩალან-უსუნზე გადიოდა და მისი ყოფილი ყმადნაფიცი ქვეყნები: შარვანი, რანი, ხლათი, ვალაშკერტი, ალატაღი და სხვა უკვე მას აღარ ექვემდებარებოდნენ. თუმცა სომხეთის ტერიტორიის ნაწილი, ქალაქები ანისი და კარი მათი სანახებითურთ კვლავინდებურად საქართველოს ფარგლებში შემოდიოდა.

მცირეწლოვან მეფეს ქვეყნის დამოუკიდებელი განმგებლობა არ შეეძლო, ამიტომ მას მეურვედ დაუნიშნეს მონღოლთა ყაენის კარზე უკვე ნდობა მოპოვებული და თავიანთ კაცად მიჩნეული სადუნ მანკაბერდელი. დემეტრე მეორემ სადუნს მონღოლთა კარნახით ათაბაგობა უბოძა. რო-გორც გახსოვთ სადუნი ტიპური მედროვე იყო, რომელიც კარგად შეეგუა მონღოლთა ბატონობას და დიდი სიმდიდრე და გავლენა მოიპოვა. იგი კვლავ დაუცხრომლად მეცადინეობდა, რომ თავისი სიმდიდრე კიდევ უფრო გაეზარდა და თავისი გავლენაც აემაღლებინა. ამ საქმეში მან დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა. მაგალითად, დემეტრეს მცირეწლოვნობის დროს მეფეს გამოსტყუა ქალაქები თელავი, ბელაქანი და სხვა მნიშვნელოვანი სამფლობელოები. როცა საქართველოს მეფეს მონღოლებმა დიდი თანხის გადახდა მოსთხოვეს, ამ ფულის გადახდა სადუნმა იკისრა, სამა-გიეროდ თავისთვის მოითხოვა დმანისი და მისი სანახები. სადუნი დაე-უფლა აგრეთვე ისეთ მნიშვნელოვან ციხექალაქს როგორიც იყო კარი (ყარსი). ეს ციხექალაქი მან თავის რეზიდენციად აქცია. ამას გარდა, თავისი სიმდიდრის წყალობით ამ მედროვემ მრავალი ქვეყანა და სამფლობელო სყიდვით შეიძინა. მიწის სამფლობელოების ხელში ჩასაგდებად იგი სხვა საშუალებებსაც არ თაკილობდა. სადუნმა ცოლად შეირთო ახალციხელის ასული და მზითვად მიიღო კარის მახლობლად მდებარე ქვეყანა. ივანე ჯავახიშვილის დახასიათებით “სადუნ მანკაბერდელი თავისებური პიროვნება იყო: ის მონღოლს მონღოლად ეჩვენებოდა, ქართველთან ქართველი, სომეხთან სომეხი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად ის მონღოლთა ზნე-ჩვეულებას შეეგუა. მათი აზროვნება და საოჯახო წესები მისი უაღრე-სად მოჭარბებული მადიანობის დაკმაყოფილებას კარგად უწყობდა ხელს. მონღოლთა წაბაძვით მან სამი ცოლი შეირთო”. ერთ-ერთი მისი ცოლი დემეტრე II-ის და, თამარი გახდა.

თამარი არღუნ ნოინის შვილზე იყო დაქორწინებული, მაგრამ საქართველოს მეფის ქალს არაფრად მოსწონდა წარმართი მონღოლის ცოლობა და როდესაც მისმა ქმარმა იგი თბილისში ჩამოიყვანა, თამარი მას გაექცა და მთიულეთს შეაფარა თავი. ამით ისარ-გებლა სადუნ მანკაბერდელმა და მონღოლური წესისამებრ მონღოლ ბატონიშვილს შეევაჭრა და მისი ცოლი ფულით შეისყიდა. მეფის სიძეობით სადუნს ყველაფერთან ერთად გარეგნული ბრწყინვალებაც მოემატა. სადუ-ნის ხელთ იყო არა მარტო ქვეყნის მართვა-გამგეობა, არამედ "საქართველოს ლაშქრის საქმე და განგება".

მისი ასეთი გაძლიერება და აღზევება არაფრად მოსწონდათ ქართველ დიდგვაროვან ფეოდალებს, მაგრამ სადუნის წინააღმდეგ ბრძოლა ძნელი იყო, რადგან ამ მედროვეს ზურგს მონღოლები უმაგრებდნენ. მან-კაბერდელის ყოფაქცევით და ზნეობით განსაკუთრებით აღშფოთებულნი იყვნენ უმაღლესი საეკლესიო წრეები. საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზი ცდილობდა მისთვის ჩაეგონებინა, რომ მოეშალა მრავალცოლიანობა და ქრისტიანული წესით მხოლოდ ერთ ცოლს დასჯერებოდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. სადუნი ეკლესიის კეთილგანწყობის მოპოვებას გულუხვი ქველმოქმედებებით ცდილობდა. მაგალითად, "მან მისცა ყალანი და მალი ათორმეტთა უდაბნოთა გარესჯისათა და განათავისუფლა ქუეყანა გარეჯი-სა". ამას გარდა, სადუნი ყაენის კარზე თავის გავლენას და რეპუტაციას იყენებდა იმისათვის, რომ მონღოლი მოხელეების უწესობა ("თათართაგან ძალი და უსამართლობა") აღეკვეთა და ამით გამოჩენილიყო ქვეყნის ინტერესების დამცველად. სამართლიანად არის აღნიშნული რომ "ის ძალი და უსამართლობა", რაც "დღეთა მისთა" ამ მედროვემ ჩაიდინა ქვეყანაში არა თუ ჩამოუვარდებოდა თათართა მოხელეების ძალადობას, არამედ სა-ეჭვოცაა, რომ რომელიმე მათგანს ამდენი სივერაგის ჩადენა შეძლებოდა.

სადუნი 1282 წელს გარდაიცვალა. დემეტრე IIმ სადუნის მემკვიდრეს ხუტლუბუღას ათაბაგობა აღარ მისცა. ამ ამბავმა სადუნის ნაშიერი გაანაწყენა, რადგან მასაც მამამისივით ქვეყანაში პირველკაცობა უნდოდა. მართალია ხუტლუბუღას ამირსპასალარის თანამდებობა მისცეს, მაგრამ ამით მისი წყენა არ განელებულა და გულბოროტმა მედროვემ მწარედ გადაუხადა სამაგიერო თავის მეფეს.

დემეტრე II-ის მოღვაწეობა. დემეტრე II-ს მონღოლთა ლაშქრობა-ში მონაწილეობის მიღება უხდებოდა თავისი ყმაწვილკაცობის დროსაც. ეს ლაშქრობანი კი ისეთი წარმატებულნი აღარ იყვნენ, როგორც ადრე. პირიქით, ახლა სულ უფრო ხშირად მონღოლები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ და დიდ ზარალსაც ნახულობდნენ. დემეტრეს სიცოცხლეც არა-ერთხელ ჩავარდნილა საფრთხეში.

საქართველოს მეფის ასეთი თავგანწირული მოქმედება ილხანების მხარეზე ბრძოლებში იმით იყო განპირობებული, რომ იგი ცდილობდა მეტი ნდობა და პატივისცემა დაემსახურებინა მონღოლთა მხრიდან და ასეთი გზით გარკვეული შეღავათები მოეპოვებინა თავისი ქვეყნისათვის. ჟამთააღმწერელი შემდეგნაირად ახასიათებს მის გარეგნობას და რაინდულ თვისებებს: "რამეთუ იყო ესე დიმიტრი ტანითა ახოვან, ფერითა ჰაეროვან, შესახედავად ტურფა. თმითა და წუერითა მწყაზარ, თუალითა გრემან ბეჭბრტყელ და შეწყობილ, სამხედროთა წესთა

სრული, ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეული, უხვი, მოწყალე გლახაკთა და მდაბალი, რომელ არა მსმენელ არს ნათესავ მეფეთა, გინა სხუა კაცთა”.

მეფე დემეტრე II მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. მონღოლთა საგადასახადო სისტემამ და გაუთავებელმა ომებმა ქვეყანა ეკონომიკურად გაანად-გურა. 1273 წელს მონღოლებმა ჩაატარეს აღწერა და გაირკვა, რომ მათი დაპყრობილი ქვეყნების დიდი ნაწილი მოოხრებული იყო. განსაკუთრებით დიდი ზიანი განიცადა საქართველომ, რომლის “უმრავლესი მოოხრებულ იყო”. მოსახლეობა საშინელ გაჭირვებასა და სიღატაკეში იყო ჩავარდნილი. ქალაქები და გზები სავსე იყო დავრდომილებითა და მათხოვრებით. მემატიანე გადმოგვცემს, რომ მეფე დემეტრე ხშირად გამოდიოდა ქალაქის ქუჩებში და მოწყალებას ურიგებდა გაუბედურებულ ადამიანებს, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა ოდნავადაც არ შეეძლო ხალხის მძიმე მდგომარეობის გამოსწორება. გაჭირვება ყველა ფენას შეეხო. თვით ერთ დროს ზვიადი და ქედმაღალი ფეოდალებიც კი არ თაკილობდნენ თავიანთი უმწეო მდგომარეობის საჯაროდ აღიარებას. ამ დროის დოკუმენტებში აღ-ნიშნულია “იწროება ჟამთა”, “ნაკლულოვანება სახმართა”.

ამ საერთო გაჭირვებას ზედ დიდი კატასტროფული მიწისძვრაც და-ერთო. 1275 წლის 10 აპრილს აღდგომის წინა ოთხშაბათს “შეიძრა მძაფრად ქუეყანა”, ხუთშაბათს, 11 აპრილს “მცირედ შეიძრა”, პარასკევს, 12 აპრილს “კუალადცა შეიძრა ქუეყანა”, ხოლო შაბათს 13 აპრილს, დღის 3 სა-ათზე “საფუძვლიანად შეიძრა ქუეყანა და შეძრწუნდა ესეოდენ, რომელ დაიქცეს საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლნი, ნაშენებნი მოოხრდეს, მთანი და ბორცვნი მაღალნი დაიზულეს, კლდენი სახედ მტუერისა დაიგალნეს, და მიწა განიპო და შავი წყალი მსგავსი კუპრისა აღმოიჭრა, ხენი მაღალნი დაეცნენ და ირყეოდნენ ძვრასა ქუეყანისასა”. — ასე აგვიწერს ჟამთააღმწერელი ამ საშინელ უბედურებას. მიწისძვრის ეპიცენტრი სამცხეში ყოფილა. რა თქმა უნდა მას დიდი ნგრევა და მსხვერ-პლი მოჰყვა, ბევრი დაიღუპა და უფრო მეტი უსახლკაროდ და უსახ-სროდ დარჩა. მიწისძვრა ქართლსაც შეეხო, იმდენად, რომ მცხეთის საყდარიც დაანგრია.

ეკონომიკურმა გაჭირვებამ და უკულტურო მონღოლთა აღვირახსნილმა ძალმომრეობამ ძლიერი დაღი დაასვა საზოგადოების ყველა ფენის მორალურ და ზნეობრივ სახეს. თვით ეკლესიაც რომელიც ზნეობრივი სიმტკიცის მაგალითის მიმცემი უნდა ყოფილიყო ამ საერთო უბედურებას ვერ აცდა. როგორც ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, არაერთი მღვდელმთავარი და მღვდელი ამპარტავანი, ანგარი და ბოროტისმყოფელი გამხდარა. ისინი ქვეყნის საერთო გაჭირვებას არაფრად დაგიდევდნენ და მეტწილად მხოლოდ თავიანთი კეთილდღეობის შენარჩუნებას ცდილობდნენ. ქრისტიანული ეთიკურმორალური ნორმებიდან გარკვეულ გადახვევას ჰქონდა ადგილი თვით მეფის ოჯახურ ამბებშიც. ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში დემეტრეს ცოლად შერთეს ტრაპიზონის კეისრის ასული, რომლისგანაც მას ოთხი ვაჟიშვილი — დავითი, ვახტანგი, მანუელი და ლაშა და ერთი ქალიშვილი — რუსუდანი შეეძინა. უფრო გვიან, 1284 წელს, უსათუოდ პოლიტი-კური მოსაზრებით, დემეტრეს ცოლად მოუყვანია მონღოლი ბატონიშვილი — სოლღარი, რომლისაგანაც სამი შვილი შესძენია — ორი ვაჟი და ერთი ქალი. და ბოლოს მან მოიყვანა მესამე ცოლიც — სამცხის მთავრის ბექას ასული ნათელა, რომლისგანაც შეეძინა ვაჟი გიორგი, შემდეგში ბრწყინვალედ წოდებული. მეფის მრავალცოლიანობის ამბავმა უაღრესად აღაშფოთა საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზი, იგი ცდილობდა შეგო-ნებით

დაერწმუნებინა მეფე, რომ ქრისტიანული წესის მიხედვით მხოლოდ ერთი ცოლი ჰყოლოდა, მაგრამ რადგან ვერაფერს გახდა გადადგა კათალიკოსობიდან და თავისი ადგილი მეფის ჯვარისმტვირთველს აბრა-ამს დაუთმო.

დემეტრე II-ეს ასეთი ცოდვიანობა ისტორიამ მაინც აპატია, რადგან მან თავისი პიროვნული თვისებებით და განსაკუთრებით ამ უაღრესად მძიმე პერიოდში ქვეყნისათვის თავდადებით და მშობლიური ხალხის გადასარჩენად სიცოცხლის განწირვით გამოისყიდა ეს ეთიკური დარღვევანი. მით უმეტეს, რომ არ არის გამორიცხული მისი ორი უკანასკნელი ქორწი-ნება გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით ყოფილიყო ნაკარნახევი. მეფე დემეტრე ყოველნაირი საშუალებით ცდილობდა შეღავათი მოეპოვებინა თავისი ქვეყნისათვის და ხალხის აუტანელი მდგომარეობა შეემსუბუქები-ნა. იგი ცდილობდა თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინა ის შინა პოლიტიკური მოვლენები, რაც ამ პერიოდის ილხანთა სახელმწიფოში იჩენდა თავს.

მონღოლთა მიერ შექმნილი სახელმწიფო წყობა სრულიად არ შეეფერებოდა ადგილობრივი ხალხების განვითარების დონეს და ინტერესებს. ეს იყო ნაძალადევი სამხედრო სისტემა, რაც მონღოლთა ძალით ბატონობას ემსახურებოდა და ყოველმხრივ აფერხებდა დაპყრობილი ქვეყნების ნორმალურ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო, დაპყრობილი ხალხები თვითონ ახდენდნენ გავლენას დამპყრობლებზე. მონღოლებში განუხრელად დაიწყო ფეოდალიზაციის პროცესი, რაც მათ სამხედრო ნომადურ სისტემას საფუძველს უთხრიდა. ეს გამოჩნდა თუნდაც იმ ფაქტში, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ დაეშვათ ინჯუს ანუ ხასის ინსტიტუტი, ე. ი. ისეთი სამფლობელოები, სადაც ხელუხლებლად დატოვებული იყო ძველი მფლობელობა და ადგილობრივი ფეოდალური სტრუქტურები, სადაც არ მოქმედებდა მონღოლთა საგადასახადო სისტემა. აშკარად ჩანდა, რომ ასეთი ქვეყნები ეკონომიკურად გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე დივნის ქვეყნები. მონღოლთა ნოინებიც ნელა მაგრამ მაინც გადადიოდნენ ასეთ მფლობელობაზე, რაც ფაქტობრივად მონღოლობაზე უარის თქმა იყო. ეს იყო მონღოლი დიდკაცების თანდათანობით გაფეოდალება. ამის შედეგად მონღოლებში თავი იჩინა ერთიანი სამხედრო სისტემის დაშლის ტენდენციამ, შინაურმა ბრძოლებმა. ჩვეულებრივ ამბად იქცა ბრძოლა უფლისწულებს შორის. საქართველოც ძალაუნებურად ჩათრე-ული აღმოჩნდა ამ ბრძოლებში. მას მონაწილეობა უნდა მიეღო რომელიმე მხარეზე. ეს საქართველოს მეფეებს უაღრესად სახიფათო მდგომარეობაში აყენებდა. დემეტრე II მაინც ცდილობდა ამ შინაპოლიტიკური ბრძოლების ვითარებაში თავისი ქვეყნისთვის სარგებელი მოეპოვებინა. მას კარგი ურთიერთობა ჰქონდა ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ნოინთან — ბუღასთან, რომლის ვაჟზეც დააქორწინა თავისი ქალიშვილი რუსუდანი.

აბაღა ყაენი გარდაიცვალა 1282 წლის აპრილში. საილხანოს ტახტზე ავიდა მისი ძმა თეგუდარი, რომელიც მაჰმადიანი იყო და მაჰმადიანური სახელი — აჰმედი მიეღო. ახალი ყაენის მაჰმადიანობა იმას მოწმობდა, რომ მონღოლები უკვე დაპყრობილი ხალხების ძლიერი კულტურული გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. ილხანთა სახელმწიფოს მოსახლეობის უმრავლესობას მაჰმადიანი სპარსელები შეადგენდნენ, ამიტომ მათი სახელმწიფო ენა და მალე სარწმუნოებაც სპარსულმაჰმადიანური გახდა. თუმცა მონღოლური ნომადური არისტოკრატია

კვლავ ჯიუტად ეჭიდებოდა თავის ძველ მომთაბარულ ტრადიციებს და მმართველობის სისტემას. აჰმედს მალე აუჯანყდნენ და ყაენად აბაღას შვილი არღუნი გამოაცხადეს. აჰმედსა და არღუნს შორის ატეხილ ბრძოლაში დემეტრე ქართული ლაშქრითურთ აჰმედის მხარეზე იბრძოდა. თავდაპირველად წარმატება აჰმედის მხარეზე იყო ესეც ქართველების დახმარების შედეგად. ამიტომ იყო, რომ ყაენმა დაუმადლა დემეტრეს და "პატივიცა უყო დიდი და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი მოსცნა" ე. ი. დემეტრემ თავისი ხელისუფლება განიმტკიცა და საქართველოს მთავარნი მისადმი ურჩობას და მონღოლთა იმედით თვითნებობას ვეღარ ბედავდნენ.

მაგრამ მალე აჰმედთეგუდარს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სრული უუნარობა აღმოაჩნდა და უკვე 1284 წელს ნოინების უმრავლესობა მას გადაუდგა. ბუღას მოწოდებით საქართველოს მეფემ მხარი აღარ დაუჭირა აჰმედს და არღუნს მიემხრო. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი აჰმედი მონღოლმა ნოინებმა შეიპყრეს და წამებით მოკლეს. სასტიკად გაუსწორდნენ ისინი აჰმედის მომხრეებსაც. დემეტრე ამჯერად მშვიდობით გადარ-ჩა. უფრო მეტიც, გამარჯვებულმა არღუნმა ბუღას შეგონებით ("რამეთუ ყაენი ხელთა შინა ბუღასათა იყო, და ბუღა მოყვარეცა იყო და მზახალი მეფისა" — შენიშნავს ჟამთააღმწერელი) დემეტრე II-ს "მოსცა ყოველი სამეფო მისი" და აგრეთვე უწყალობა "სახლი ავაგ ათაბაგისა". ე. ი. ავაგ ათაბაგის სამფლობელო, რომელიც მონღოლი დიდმოხელის, საყაენოს ფინან-სების გამგებლის — საჰიბდივნის მფლობელობაში იყო, კვლავ საქართველოს დაუბრუნდა. დემეტრემ ეს ქვეყანა საუფლისწულოდ აქცია და თავის უფროს შვილს დავითს მისცა. ბუღა ნოინთან კარგი ურთიერთობის მეოხებით, რომელიც ილხანთა სახელმწიფოს ჩინგსანგი ე. ი. უმაღლესი მოხელე იყო, საქართველოში უწესობას და ძალმომრეობას ვეღარ ბედავდნენ. დემეტრეს სხვა შეღავათებიც მიუღია, რის შედეგადაც ქვეყანა მალე მო-შენდა და ეკონომიკურად მოღონიერდა. ამის მოწმობაა დემეტრეს მიერ აგებული მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი ქ. თბილისში, მეფის სასახლის კარზე: "აღაშენა პალატასა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა" — წერს ისტორიკოსი.

დემეტრემ გამოაკეთა ურთიერთობა სამცხის მთავართანაც, ბექა სარ-გისის ძემ საქართველოს მანდატურთუხუცესის ხელი მიიღო. ეს არ იყო მხოლოდ ფორმალური აქტი, არამედ რეალური შინაარსითაც ივსებოდა. ამის მოწმობაა თუნდაც ის, რომ სწორედ ბექამ დაიწყო ქართული სამართლის წიგნის შედგენა, რაც მის სამოხელეო ვალდებულებას — ქვეყანაში წესრიგის დაცვას — ესადაგებოდა. ამით სამცხის მთავარი საქართველოს მეფის უზენაესობას აღიარებდა. ამ მდგომარეობის განმტკიცებას ემსახურებოდა დემეტრეს მიერ ბექას ასულის, ნათელას ცოლად შერთვაც. აღნიშ-ნული მოვლენები კარგ პერსპექტივას სახავდნენ, მაგრამ ეს პროცესი ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი. მალე მეფე დემეტრეს ბედი ტრაგიკულად შებრუნდა.

დემეტრე II-ის თავგანწირვა. 1288 წელს საილხანოში გამომჟღავ-ნდა არღუნ ყაენის საწინააღმდეგო შეთქმულება, რომლის ხელმძღვანელობა ბუღა ჩინგსანგს ბრალდებოდა. ბუღა და მისი მომხრეები შეპყრობილ იქნენ და სასტიკად დაისაჯნენ. ასეთივე დღე ელოდა ბუღას ყველა ახლობელს. საქართველოს მეფე დემეტრე, როგორც ბუღას უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, ყაენის ურდოში დაიბარეს.

სამეფო დარბაზს მეფისათვის ერთხმად ურჩევია, რომ თავი განერიდებინა და მთიულეთს შეხიზნულიყო, ან აფხაზეთს გადასულიყო, რო-გორც მოიქცა მისი მამა დავით ულუ. მაგრამ მეფე დემეტრეს მტკიცედ განუცხადებია “მე დავდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა და არა დავიშლი ურდოსა წასვლას”. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მეფე დარწმუნებული იყო, რომ უსათუოდ (“დასტურობით უწყი”) დაიღუპებოდა, მაგრამ ამ ნაბიჯზე მაინც მიდიოდა, რათა ქვეყანა ეხსნა მონღოლთა მხრივ აოხრებისა და განადგურებისაგან. იგი ყაენის კარზე გაემართა საქართველოს კათალი-კოსთან და თავის მემკვიდრესთან ერთად: “რომელ უეჭველ იქმნას ყაენი, და ჰგონოს ერთგულება მისი”. ამას გარდა, მას თან თავისი სიმდიდრე წაუღია, რომელიც მონღოლებმა დაუყოვნებლივ ჩამოართვეს. ჟამთააღმწერელი წერს, როდესაც “მივიდა ყაენს წინაშე საჭურჭლე მეფისა, და გან-კვირდა და მცირედ დასცხრა გულისწყრომისაგან, და არღარა ეგრე გონებდა ბოროტისა ყოფასა”. მაგრამ აქ საქმეში ჩაერია სადუნ მანკაბერდელის გულბოროტი ნაშიერი, ყუთლუბუღა, რომელიც დემეტრეზე განაწყენებული იყო იმის გამო, რომ მეფემ მას ათაბაგობა და მამამისის სრული უფლებები არ დაუტოვა და სასტიკად იძია შუარი.

როდესაც არღუნ ყაენი შეყოყმანდა და საქართველოს მეფის სიკვდილით დასჯა აღარ უნდოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ამით ქვეყანა არ არე-ულიყო, რადგანაც მეფობის შესაფერისი კანდიდატი არ ჰყავდა, ყუთლუს შეუთავაზებია გეგმა, რომ იგი დასავლეთ საქართველოდან გადმოიყვანდა დავით ნარინის უფროს ვაჟს, ვახტანგს, რადგან ვახტანგი იმერეთის ტახტის მემკვიდრეც იყო, მისი აღმოსავლეთ საქართველოში გამეფებით, მონღოლები უმტკივნეულოდ დასავლეთ საქართველოსაც დაიმორჩილებდნენ. ამის შემდეგ არღუნ ყაენი დათანხმდა დიმიტრი სიკვდილით დაესაჯათ.

საქართველოს მეფეს დემეტრე II-ს თავი მოჰკვეთეს 1289 წლის 12 მარტს, მოვაკანში, მდ. მტკვრის პირას. იგივე ბედი მოელოდა დემეტრეს უფროს ვაჟს, ყრმა დავითს, მაგრამ მეფის კარის მღვდელი, მოსე შევედრებია მონღოლთა მხედართმთავარ ტოღაჩარ ნოინს და მისი შუამდგომლობით ყაენს აღარ მოუკლავს დავით ბატონიშვილი.

მეფის თავმოკვეთილ გვამს მრავალი დღის განმავლობაში იცავდნენ მონღოლთა სპეციალური დარაჯნი, რათა ქართველებს არ მოეტაცათ და საქართველოში არ წაეღოთ, აბრაამ კათალიკოსს და მოსე მღვდელს მაინც მოუხერხებიათ თავდადებული მეფის ცხედრის ფარულად საქართველოში გადატანა. აბრაამ კათალიკოსის და მოსე მღვდლის მიერ მოსყიდულ კაცებს ღამით მოუპარავთ მეფის გვამი და ფარულად ჩაუყვანიათ საქართველოში. მეფე დემეტრე II პატივით დაკრძალეს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში “სამარხოსა მამათა მათთასა”.

ივ. ჯავახიშვილი ამ თავდადებული ქართველი მეფის შესახებ წერდა: “დემეტრე II-ის გმირულმა გამბედაობამ ცხადჰყო, რომ მას ადამიანის ზნეობრივი მოვალეობა კარგად ჰქონდა შეგნებული და ამიტომაცაა, რომ მისმა ამ ნაბიჯმა თანამედროვეთა შორისაც აღტაცება გამოიწვია და ყველა ის უარყოფითი მხარეებიც აპატიებინა, რომლებიც მას ჰქონდა. შთამომავლობამაც და ისტორიამაც საქართველოს მეფეთაგან თავდადებულის წოდებულებაც მხოლოდ მას მიაკუთვნა, რადგან საქართველო და ხალხი თავისი სიცოცხლის განწირვით მონღოლთა ყაენის არღუნის მრისხანებისა და აოხრებისაგან მართლაც იხსნა”.

თავი IX. საქართველო XIII საუკუნის ბოლოს

მეფე ვახტანგ II, დავით ნარინის ძე. დავით ნარინს ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა, რომელთა შორის უფროსი იყო ვახტანგი, რომელიც უკვე გამოცხადებული იყო თანამოსაყდრედ და ამდენად დავით ნარინის მემ-კვიდრედ ითვლებოდა. არღუნ ყაენის დავალებით ხუტლუბუღა გადავიდა იმერეთში და მეფე დავითს შესთავაზა მისი მემკვიდრის აღმოსავლეთ საქართველოში გამეფება. ამას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ დავით ნარი-ნის გარდაცვალების შემდეგ ვახტანგი მემკვიდრეობით მიიღებდა დასავლეთ საქართველოსაც, რასაც მოჰყვებოდა საქართველოს ორივე ნაწილის კვლავ გაერთიანება ერთი მეფის მფლობელობის ქვეშ. მართალია, ეს იქნებოდა მონღოლთა ბატონობის გავრცელება დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ საქართველოს ერთიანობის აღდგენა ამჯერად დავით ნარინს უფრო მნიშვნელოვნად ჩაუთვლია და ილხანთა ყაენის წინადადებაზე თანხმობა განუცხადებია. ხუტლუბუღამ ვახტანგი არღუნ ყაენს წარუდგინა. ყაენმა იგი ლიხთ-იქითა და ლიხთ-აქეთა (ე. ი. იმიერ და ამიერ) საქართველოს ("ყოველი საქართველოს") მეფედ დაამტკიცა და ცოლად თავისი და — ოლჯათი შერთო. ხუტლუბუღა თავის საწადელსაც ეწია — მას ათაბაგობა მისცეს. თითქოს ყველაფრიდან ჩანდა, რომ სადუნის ნაშიერი მამამისივით ხელთ იგდებდა ქვეყნის მმართველობის სადავეებს, მაგრამ ვახტანგი სრულიადაც ისეთი პიროვნება არ გამოდგა, როგორის იმედიც ამ მედროვეს ჰქონდა. მემატიანე ვახტანგს ახასიათებს, როგორც ყოველმხრივ დადებითი თვისებების მქონე პიროვნებას: თავმდაბალს, მოწყალეს, პირუთვნელს, მართლმსაჯულებაში სამართლიანობის მოყვარეს და, რაც მთავარია, საკმაო ნებისყოფის მქონეს, რომელიც თავს სათამაშო ბურთად არავის აქცევინებდა. მისი აღმზრდელი ყოფილა იმდროინდელი ცნობილი მეცნიერი ფარ-სმანიშვილი. თავისი ამ თვისებებით ვახტანგს მაღალი ავტორიტეტი მოუ-პოვებია თვით მონღოლთა ყაენის კარზეც. ხუტლუბუღა დარწმუნდა, რომ მის მიერ შერჩეული მეფე მას თავისუფალი პარპაშის საშუალებას არ მისცემდა, ამიტომ მკვეთრად შეცვალა თავისი დამოკიდებულება ვახტან-გისადმი. ახლა საქართველოს მეფედ დემეტრეს უფროსი ვაჟის, დავითის დასმა მოინდომა. დავითი ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი იყო და ხუტლუ იმედოვნებდა, რომ ამ ახალგაზრდა ბატონიშვილს ადვილად მოაქცევდა თავის გავლენის ქვეშ. ამ დროს არღუნყაენი მძიმედ ავად იყო, მონღოლმა ნოინებმა კი ხუტლუბუღას მხარი არ დაუჭირეს, საქართველოს გავლე-ნიანი მოხელეებიც ვახტანგის მეფობის მომხრენი იყვნენ. ხუტლუბუღამ თავისი მიზნის განხორციელება ვერ შეძლო, მაგრამ სამწუხაროდ ვახტანგ II-ს საქართველოში ხანგრძლივი მეფობა არ დასცალდა. იგი 1292 წ. ავად შეიქმნა და გარდაიცვალა. უდროოდ გარდაცვლილი ვახტანგი დასავლეთ საქართველოში წაასვენეს და გელათის მონასტერში დაკრძალეს. გამორჩეული შვილის სიკვდილით თავზარდაცემული მეფე დავით ნარინიც ერთი წლის შემდეგ (1293 წ.) აღესრულა.

ხუტლუბუღამ ვერც ვახტანგის გარდაცვალებით ისარგებლა. იგი თავისი ინტრიგების მსხვერპლი შეიქმნა. რაშიდ ედდინის ცნობით, 1293 წლის აგვისტოში იგი სიკვდილით დასაჯა ახალმა ყაენმა ქეღათუმ (1291-1295).

ჯერ ვახტანგ II-ის და შემდეგ დავით ნარინის გარდაცვალებას და-სავლეთ საქართველოში მოჰყვა ხანგრძლივი ბრძოლები ტახტის მემკვიდრეობისათვის. იმერეთში გამეფდა ვახტანგის

მომდევნო ძმა კონსტანტინე, მაგრამ მას აუჯანყდა უმცროსი ძმა მიქელი და რაჭა და არგვეთი დაიკავა. ძმებს შორის ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა და ამდენად აქამდე მშვიდად მყოფი დასავლეთ საქართველო XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე შინაური ბრძოლების ასპარეზად იქცა.

შინაური ბრძოლები გაიშალა საილხანოშიც. როგორც აღნიშნული იყო, მონღოლებში დაწყებული ფეოდალიზაციის პროცესის შედეგად და-ირღვა ძველი სახელმწიფოებრივი ორგანიზებულობა და სიმტკიცე. ამას მოჰყვა არა მარტო ბრძოლები ყაენის მემკვიდრე ბატონიშვილებს შორის, არამედ ცალკეული ნოინების და დაპყრობილი ქვეყნების მმართველების განდგომა და აჯანყებანი. რა თქმა უნდა, საქართველო ამ ამბებში აქტიურად ჩართული აღმოჩნდა.

დავით VIII-ის გამეფება. ვახტანგ II-ის გარდაცვალების შემდეგ სა-ილხანოს კარზე კვლავ დადგა საქართველოს მეფობის კანდიდატურის სა-კითხი. ეს უფლება ყველაზე მეტად დემეტრეს უფროს ვაჟს დავითს ეკუთვნოდა, მაგრამ ყაენის კარი მას არ ენდობოდა. ეს გასაგებიცაა. იგი იყო შვილი მონღოლთა მიერ სიკვდილით დასჯილი დემეტრე II-ისა. საქართველოშიც მონღოლთა საწინააღმდეგო განწყობილება იზრდებოდა. ასეთ შემთხვევაში საილხანოს მმართველი წრეები დარწმუნებული უნდა ყოფილიყვნენ დავითის ერთგულებაში, იგი რომ საქართველოს მეფედ და-ემტკიცებინათ.

ქეღათუს გაყაენებისთანავე მისი სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში აჯანყებები დაიწყო. მათ ჩასახშობად ყაენს მოუხდა დიდი ბრძოლების წარმოება. აი, აქ გამოიჩინა თავი დავით დემეტრეს ძემ. მან მონაწილეობა მიიღო მცირე აზიის აჯანყებული ქალაქის ტონღუზლუს (თანამედროვე დენიზლი, ანტიკური ლაოდიკია) დამორჩილების საქმეში. ბრძოლები 5 თვეს გაგრძელდა და დავითს მონღოლთათვის დიდად ერთგულად უჩვე-ნებია თავი. ირანში დაბრუნებულმა ქეღათუ ყაენმა საქართველოს მეფობა დავით დემეტრეს ძეს უბოძა, ამავე დროს, მონღოლური ჩვეულებისამებრ, მას ცოლად შერთეს ვახტანგ II-ის ქვრივი, ქეღათუ ყაენის და, ოლჯათი.

დავით VIII-ის გამეფებისას საქართველოში მწვავედ მდგარა ოსების საკითხი. ქართველი ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს: “იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყუენვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენნეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა”.

ოსების ასეთი თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ქართლის ერისთავთ-ერისთავის, ბექა სურამელის ძე, ჰამადა, რომელმაც ოსების მიერ დაკავებულ გორს ალყა შემოარტყა. როდესაც გორის ციხეში მყოფ ოსებს გაუჭირდათ, მათ ფარულად კაცი გაგზავნეს დახმარების თხოვნით მუხრანთან დაბანაკებულ მონღოლებთან. მონღოლებმა მაშინვე ოსების მხარე დაიჭირეს და არ მისცეს ქართველებს იმის საშუალება, რომ ოსები გაეძევებინათ. როგორც ჟამთააღმწერელი წერს, მონღოლები “ჩამოდგეს შუა, შუელა ქმნეს და ზავი და მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა”. მონღოლების მხარდაჭერით გათამამებულმა ოსებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ქართული მოსახლეობის ძარცვარბევა, აწიოკება და მოტაცება. მონღოლების ასეთი პოზიციის გამო საქართველოს მეფე ოსების წინააღმდეგ მოქმედებაში ხელფეხშეკრული აღმოჩნდა.

დავით VIII-ს სხვა მხრივაც ჰქონდა მოსაგვარებელი საქმე. მას ფაქტობრივად არ ემორჩილებოდა სამცხის მთავარი, როდესაც დავით VIII გამეფდა და საქართველოში მისი მეფედ კურთხევა შედგა, ბექა არ გამოცხადდა მეფის კარზე და მხოლოდ თავისი შვილი სარგისი გამოგზავნა, რომელმაც დავითს გადასცა დემეტრე მეფის მიერ მიბარებული ქონება. როგორც აღნიშნული იყო, მანდატურთუხუცესობა ბექას დემეტრე მეფის დროს ჰქონდა მიღებული და ამით იგი გარკვეულად საქართველოს მეფის უზენაესობას აღიარებდა, მაგრამ დავითის გამეფებისას ეს დამოკიდებულება კვლავ დარღვეულა. ამიტომ წერს ჟამთააღმწერელი, რომ დავით VIIIმ "დაიპყრო ყოველი სამეფო მამისა მისისა დიმიტრისი, თვინიერ ბექას, სამცხის მპყრობელისა მთავრისა".

დავით მეფეს ხშირად უხდებოდა ყაენის კარზე ყოფნა და ძალაუნებურად მონაწილე უნდა გამხდარიყო იქ გაშლილი შინაბრძოლებისა და ინტრიგებისა. წყაროების მოწმობით, ქეღათუ ყაენი "ღვინის სმის მოყვარული, მსუბუქი და ცრუ, კაცთაგან საძულველი" ყოფილა. 1295 წელს მის წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი თუ-კალ ნოინი იყო. შეთქმულებს სურდათ ყაენის ტახტზე დაესვათ ჰულაგუს შვილიშვილი ბაიდუ. აღსანიშნავია, რომ ბაიდუ ქრისტიანი ყოფილა (ნესტორიანი).

აჯანყების შესახებ ცნობის მიღებისთანავე ქეღათუ ყაენმა დავით მეფეს უბრძანა ქართველთა ჯარი მიეშველებინა, მაგრამ დავითმა ველარ მი-უსწრო. აჯანყებულებმა ქეღათუ ყაენი შეიპყრეს და მოკლეს. ყაენის ტახტზე ბაიდუ აიყვანეს. დავითი ამ შინაბრძოლებში მშვიდობით გადარჩა. ქართველთა ჯარის დახმარებას მებრძოლი მხარეებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ გამარჯვებულმა თუკალ ნოინმა დავით მეფეს ელ-ჩი გაუგზავნა და თავისთან იხმო. დავითი ეახლა და ერთგულების ფიცი მისცა, თან დაუნათესავდა კიდეც — თუკალ ნოინს თავისი და შერთო ცოლად, ყოველივე ამან დავითის მდგომარეობა გარკვეულად განამტკიცა, მაგრამ მალე ყველაფერი შეიცვალა. სულ რაღაც 7 თვისა და ათი დღის მეფობის შემდეგ ბაიდუ ყაენი ტახტიდან ჩამოაგდეს და გააყაენეს არღუნ ყაენის ვაჟი ყაზანი, რომელიც აქამდე ხორასანს განაგებდა.

მონღოლური წესის მიხედვით ყაზანმა წინა ყაენის ყველა მომხრის დასჯა დაიწყო. თუკალ ნოინი საქართველოში გამოიქცა. მან სამცხეს შეაფარა თავი, თავისი ვაჟიშვილი კი დავით მეფესთან შეხიზნა. ყაზან ყაენმა დავით VIII-ეს მოსთხოვა საქართველოში შემოხიზნული თუკალ ნოინისა და მისი შვილის გაცემა, მაგრამ დავითმა ამ ბრძანების შესრულების მა-გივრად შუამდგომლობა დაიწყო და მათთვის პატიება და უვნებლობის ფიცი მოითხოვა. ყაენი იძულებული გახდა ასეთი ფიცი და აღთქმა მიეცა. რა თქმა უნდა, ამ ამბავმა ირანის ახალი მბრძანებელი მეტად გაანაწყენა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ ყაზან ყაენი მაჰმადიანი იყო და ქრისტიანი ქართველების შევიწროება სარწმუნოებრივი ნიშნით დღის წესრიგში დგებოდა.

დავით VIII-ის აჯანყება ყაზან ყაენის წინააღმდეგ. XIII საუკუ-ნის ბოლოს მონღოლთა ჰულაგიდების სახელმწიფო კრიზისით იყო მოცული. ამ კრიზისის ნიშნები ყველა სფეროში ჩანდა. მონღოლებში სწრაფი ტემპით მიდიოდა ფეოდალიზაციის პროცესი, რაც გამოიხატებოდა, პირველ რიგში, მიწისმფლობელობის ფეოდალური ფორმების გავრცელებასა და მმართველობის

სისტემის შეცვლაში. მონღოლები სულ უფრო და უფრო მეტად ექცეოდნენ დაპყრობილი ხალხების საზოგადოებრივი და კულტურული გავლენის ქვეშ. ამის მოწმობა იყო ის, რომ ყაენის კარმა და მონღოლი არისტოკრატიის დიდმა ნაწილმა მაჰმადიანობა მიიღო. საქართველოსთვის ამას დიდად უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ კი აქამდე მონღოლები დაპყრობილი ქვეყნების სარწმუნოებრივ ამბებში არ ერეოდნენ, პირიქით, კულტის მსახურებს გარკვეულ შეღავათებსაც კი ანი-ჭებდნენ, ეხლა გამაჰმადიანებულმა მონღოლებმა ქვეშევრდომი ქრისტიანების შევიწროება და დევნა დაიწყეს.

ჟამთააღმწერლის გადმოცემით ყაენის დიდმა ვაზირმა ნავროზმა საქართველოში თავისი ნათესავი ამირა გამოგზავნა ეკლესიამონასტრების ასაოხრებლად და გასაძარცვად. მას განსაკუთრებით უნდოდა ვარძიის მო-ნასტრის სიმდიდრის ხელში ჩაგდება, მაგრამ მოხდა სასწაული და ეს ამირა “მეხდატეხილ იქმნა და განიგალა სრულიად და დაიწვა ძვალითურთ”.

ამგვარად, შინაფეოდალური ბრძოლები და ცალკეული ბატონიშვილების ამბოხებანი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, ასევე გაფეოდალებული ამირების თუ ნოინების განდგომა და ბრძოლა ცენტრალური ხელი-სუფლების წინააღმდეგ უკვე საილხანოს ცხოვრების ნორმად ქცეულიყო, მონღოლთა ძველი სიძლიერე, სამხედრო ორგანიზებულობა და სიმტკიცე წარსულს ჩაბარდა. ბუნებრივია, ასეთი ვითარებაში ქართველ პოლიტიკო-სებს მონღოლთა ბატონობისაგან თავის დაღწევის იმედი გასჩენოდათ.

1297 წელს ყაზან ყაენმა თავისთან დაიბარა დავით მეფე. დავითი შეყოყმანდა. იგი შიშობდა, რომ ილხანთა ყაენი მას არ აპატიებდა მის წინა-აღმდეგ ნოინებთან და ბაიდუ ყაენთან ურთიერთობას და კავშირს, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დარბაზის წევრებმა მას ურჩიეს ყაენის ბრძანება შეესრულებინა და მასთან გამოცხადებულიყო, დავითმა ირანში წასვლას თავი აარიდა და მთიულეთში გამაგრდა. ეს უკვე მონღოლთა წი-ნააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა.

დავით VIIIმ ჟინვალთან სიბა შეკრა და დახმარების მისაღებად ოქროს ურდოს ულუსში თავისი ელჩობა გაგზავნა. ამ ელჩობას მეთაურობდა მისი ძმა ვახტანგი. ჟამთააღმწერლის მტკიცებით, ელჩობა წარმატებით დამთავრებულა. ოქროს ურდოს ყაენს დახმარება აღუთქვამს.

დავითის განდგომის ამბავი ყაზან ყაენმა თავრიზიდან ბაქოს საზამთრო რეზიდენციისაკენ მიმავალმა გზაზე შეიტყო 1297 წლის 7 ნოემბერს. მან დაუყოვნებლივ საქართველოსკენ წასვლა უბრძანა თავის ცნობილ სარდალს ხუტლუშაჰ ნოინს. ხუტლუშაჰმა თბილისი დაიკავა და აქედან მოლაპარაკება გამართა მთიულეთში გამაგრებულ დავით მეფესთან. იგი საქართველოს მეფისაგან მოითხოვდა ყაზან ყაენისადმი ერთგულებას და ოქროს ურდოს მონღოლებისადმი მიუმხრობლობას. დავითმა მოსალაპარა-კებლად თავისი სარწმუნო კაცები — კათალიკოსი აბრაამი, ივანე ბურსელი და ტფილელი ყადი გამოუგზავნა. იგი მონღოლთაგან, მისი უშიშროების უზრუნველსაყოფად, მძევლებს მოითხოვდა. ხუტლუშაჰმა მონღოლთა სჯულისაებრ ფიციც მისცა და მძევლებიც, რომელთა შორის მისი შვილიც იყო. ამის შემდეგ დავით მეფე გამოცხადდა მონღოლთა სარდალთან და ყაზან ყაენთან წასვლის პირობა მისცა. ყუთლუშაჰი უკან გაბრუნდა, ხოლო დავითმა მძევლები დიდად დასაჩუქრებულნი გაანთავისუფლა.

შეთანხმება მალე დაირღვა. უკან გაბრუნებულ ყუთლუშაჰს გზად ოქროს ურდოდან დაბრუნებული საქართველოს ელჩობა შემოხვდა, რომელსაც დავითის ძმა ვახტანგ ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა. მონღოლთა სარდალმა იგი დააპატიმრა და ყაზან ყაენს მიჰგვარა. ყაზან ყაენმა ვახტანგი ადვილად დაითანხმა დავითის მაგივრად საქართველოს მეფობა მი-ეღო და დიდად დასაჩუქრებული საქართველოში დააბრუნა. ჩვენამდე მოღწეულია ვახტანგ III-ის მიერ 1298 წელს მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, რაც ამ წელს ვახტანგის საქართველოში მეფობას ადასტურებს.

დავით VIII-ეს ქართლის დიდი ნაწილი მაინც უჭერდა მხარს, ხოლო ვახტანგის "მეფობა" მხოლოდ ქვემო ქართლზე და სომხეთის საათაბაგოზე ვრცელდებოდა. საქართველოს მეფის ხელისუფლების ასეთი დაქუცმაცებით ყაენის კარი საქართველოს წინააღმდეგობის შესუსტებას ცდილობდა.

ჩვენ არ ვიცით როგორ, მაგრამ დავით მეფემ ვახტანგის შეპყრობა მოახერხა და იგი ჟინვალის ციხეში გამოკეტა, ამავე დროს ახალი ელჩობა მიავლინა ოქროს ურდოს ყაენთან, რომლის სათავეშიც თავისი მეორე ძმა ბაიდუ ჩააყენა. იგი ოქროს ურდოს ყაენს არაგვის ხეობის გზის მიცემას აღუთქვამდა და საილხანოს წინააღმდეგ სალაშქროდ ეპატიჟებოდა. ამ ამბავმა უაღრესად შეაშფოთა ყაზან ყაენი და ყუთლუშაჰს საქართველოზე ხელახალი ლაშქრობა უბრძანა.

1298 წელს მონღოლთა დიდი ჯარი შემოვიდა საქართველოში. მათ მოაოხრეს სომხითი, ქვემო ქართლი, თრიალეთი, ერწო და ბანაკად დად-გნენ სხვადასხვა ადგილას: მუხრანთან, ხერკს, ბაზალეთს, ერწოს და თია-ნეთს. ჯარის სიმრავლის გამო "ვერ ეტეოდეს სადგომად" და განუწყვეტლივ არბევდნენ ქვეყანას. დიდძალი მოსახლეობა ამოწყვიტეს, ბევრიც და-ატყვევეს, მაგრამ მათი მთავარი მიზანი მაინც მიუღწეველი რჩებოდა: ვერც მეფე დავითი დაატყვევეს და ვერც არაგვის ხეობა დაიკავეს. ყუთლუშაჰმა ისევ მოლაპარაკება არჩია. მონღოლთა სარდალი დავით მეფეს უვნებლობას აღუთქვამდა, თუ იგი ოქროს ურდოს ყაენს, თოხთას გზას არ მისცემდა და ყაზან ყაენს ერთგულებას შეჰფიცებდა. დავითი ამ პირობას დათანხმდა და მოსალაპარაკებლად წარგზავნა თავისი დედა, ტრაპიზონის კეისრის ასული, ასევე უმცროსი ძმა, მანოველი, კათალიკოსი აბრაამი და თავისი მეუღლე, მონღოლი ბატონიშვილი, ოლჯათ დედოფალი. ხუტლუ-შაჰი და მონღოლი ნოინები განსაკუთრებული პატივით შეხვდნენ ოლჯათ დედოფალს ("ვითარ ყაენს, ეგრეთ პატივ-სცეს") და საქართველოს მეფეს მშვიდობა აღუთქვეს, თუ იგი მათთან გამოცხადდებოდა. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ საქართველოს ელჩები უკან დააბრუნეს, დედოფალ ოლჯათს გარდა. დავით მეფემ ეს ამბავი საეჭვოდ მიიჩნია და მონღოლთა სარდალთან აღარ გამოცხადდა. მეფე კვლავ მთიულეთში, გველეთის ციხე-ში გამაგრდა. ყუთლუშაჰმა არაგვის ხეობაში შეღწევა ვერც ამჯერად შესძლო, სამაგიეროდ მოაოხრა ქართლის დანარჩენი ნაწილი და უკან გაბრუნდა.

1299 წ. ყაზან ყაენმა დარუბანდის დასაცავად თავისი ემირი ნურინი გამოგზავნა, საქართველოში კი დავითის წინააღმდეგ ნოინები ბურუმჩი და ერინჯი მოავლინა. ამავე დროს დავითის წინააღმდეგ მეფედ მისი შვილიშვილი, 10 წლის გიორგი დემეტრეს ძე გამოაცხადა.

ქართველ ფეოდალთა შორის ბექა უძლიერესი მთავარი იყო. მისი სამფლობელო გადაჭიმული იყო “ტასისკარიდან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნაგალისხევი და ჭა-ნეთი” მის სამფლობელოში შედიოდა. მასვე ეკუთვნოდა “უმრავლესი ტაო, არტაანი, კოლა, კარნიფორი და კარი, და ამათ შინა ქუეყანანი და ციხენი, და არტანუჯი და უდაბნონი ათორმეტი კლარჯეთისანი, და დიდებულნი აზნაურნი და მონასტერნი ყოველნი მას აქუნდეს” — შენიშნავს ჟამთააღმწერელი. როგორც აღნიშნული იყო, სამცხის მთავარი მხოლოდ ნომინალურად იყო საქართველოს მეფისადმი დამოკიდებული. ასევე, მონღოლთა ყაენის მიმართ იგი ძველებურად “ულუსიანად” (ე. ი. ყაენის უშუალო სამფლობელოს მმართველად) კი აღარ ითვლებოდა, არამედ მხოლოდ ყმადნაფიცად, რომელსაც ყაენის სასარგებლოდ ხარაჯა და ლაშქრით “შეწევნა” ევალებოდა.

ბექა ჯაყელმა დიდი წარმატება მოიპოვა რუმის თურქეთთან ბრძოლაში. ამავე დროს იგი აქტიურ პოლიტიკას ეწეოდა ტრაპიზონის იმპერია-ში საქართველოს გავლენის შესანარჩუნებლად. მან თავისი ქალიშვილი ცოლად შერთო ტრაპიზონის იმპერატორს, ალექსი II დიდს (1297-1330 წწ.) და ამ დანათესავებით მფლობელობაში მიიღო ჭანეთი.

ბექა ენერგიული და წინდახედული მმართველი იყო თავის ქვეყანა-ში. მის სახელთან არის დაკავშირებული შესანიშნავი სამართლის წიგნის “წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე” — შედგენა, რომელიც შემდეგ მისმა შვილიშვილმა აღბუღამ გააგრძელა და შეავსო. ეს სამართალი მთელს საქართველოში მოქმედ სამართლის წიგნად იქცა. ბექა ჯაყელისათვის უაღრესად სასურველი იყო მისი აღზრდილი შვილიშვილის საქართველოს მეფედ დასმა, ამიტომ კმაყოფილებით დაეთანხმა მონღოლთა წინადადებას და მეფობის ახალ, მცირეწლოვან კანდიდატს “თანაწარატანა ლაშქარი დიდი”. ამრიგად, 1299 წელს საქართველოს მეფედ გამოცხადდა გიორგი V დემეტრეს ძე, რომლის შესახებაც ჟამთააღმწერელი შენიშნავდაÚ “დაღაცათუ მცირე იყო, არამედ წინადაუსახვიდეს უძლეველობისა მეფობისასა და წინამოასწავებდეს”. მიუხედავად ასეთი ძლიერი თანადგომისა ქართლის დიდი ნაწილი მაინც ისევ დავით VIII-ეს ემორჩილებოდა და “ყრმა მცირე გიორგი” ფაქტობრივად მხოლოდ თბილისის მეფედ ითვლებოდა.

მონღოლთა ბრძოლები დავით VIII-ის დასამორჩილებლად. 1300 წლის გაზაფხულზე საქართველოში მონღოლთა დიდი ჯარი შემოვიდა. მონღოლებმა დაარბიეს ქართლის დიდი ნაწილი. მეფე დავითი ხადას ხეობაში იყო გამაგრებული. ზოგიერთი სულმოკლე ქართველი ფეოდალი მეფეს გამოექცა და მონღოლების მხარაზე დადგა. მაგალითად, ქსნის ერისთავი შალვა ქვენიფნეველი წამოუვიდა მეფეს და მონღოლებს ეახლა. მონღოლთა სარდალმა იგი პატივით მიიღო და თავისი ჯარის წინამძღოლად დანიშნა. ასევე მონღოლების მხარეზე იბრძოდა შანშე ივანეს ძე მხარგრძელი. აქვე იბრძოდა ბექას მიერ გამოგზავნილი სამცხის ჯარიც.

აჯანყებულთა წინააღმდეგ განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩე-ოდნენ ოსები. მათი მთავარი ბაყათარი შალვა ქვენიფნეველთან ერთად მოუძღოდა დამსჯელ ლაშქარს მთიულეთში გამაგრებული დავით მეფის წინააღმდეგ. მონღოლებმა აჯანყებულებს ქსნის ხეობიდან შეუტიეს ცხრაძმისხევის გზით და გადავიდნენ ლომისის მთით არაგვის ხეობაში. დავით მეფე მიუვალ ციკარის ხეობაში გამაგრდა. მონღოლებმა სტეფანწმინდამდე მიაღწიეს. მაგრამ მეფის კვალს ვერ

მიაგნეს. უკან გამობრუნებულებს კი დავით მეფემ თავისი ლაშქარი დაახვედრა და ვიწროებში შეიმწყვდია. “იქმნა ომი ძლიერი, და მოსწყდა თათარი ურიცხვი, — წერს მემატიანე, — რამეთუ იყვნეს ვიწროსა გზასა კაცი მეომარი ვითარ ხუთასი, რომელნი ვერღარა გამოესწრეს გზასა სივიწროისაგან. შეიპყრეს ხუთასივე, რომელი მოკლეს და რომელი დარჩათ, მოჰგვარეს მეფესა, ხოლო სხვანი ილტვოდეს”. ბრძოლა გაგრძელდა ციკარის პირისპირ მთაზე. თავი გამოუჩენიათ (“კეთილად ბრძოდდეს”) მეფის უშუალო მოლაშქრეებთან ერთად ადგილობრივ ხადელებს და მოხევებს. მეფის მხარეზე ერთგულად იდგნენ ქართლის მსხვილი ფეოდალები ჰამადა სურამელი, ამირეჯიბი ჭილა აბაზასძე, თავდადებით იბრძოდნენ ქართლისა და სომხითის აზნაურები. ად-გილი ისეთი იყო, რომ ცხენოსნებს არ შეეძლოთ მოქმედება და ქვეითად მებრძოლ თათრებს ძალიან უჭირდათ. ყუთლუშაჰ ნოინი დარწმუნდა, რომ აქ ვერაფერს გახდებოდა და დიდად დაზარალებული უკან გაბრუნდა. დამარცხების ჯავრი მან ქართლზე იყარა “დაღათუ ვინმე დარჩომილ იყო, მოსრა და ტყუყო და მოაოხრეს ქართლი და წარვიდეს ყაზან ყაენის წინაშე”.

მონღოლთა ჯარის საქართველოდან გასვლის შემდეგ დავით VIII მოღალატე ფეოდალების დასჯას შეუდგა. ყაზან ყაენმა საქართველოს მეფედ კვლავ ვახტანგ III დაამტკიცა (1302 წ.). ამან ძმებს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბა. ამასობაში დავით VIII მიკრისის სენით დაავადდა (“მით სენიცა შედვა ბოროტი, მიკრისი ხელითა და ფეხითა, და უხმარ იქმნა”), მას ბრძოლის გაგრძელება აღარ შეეძლო. ძმებს შორის მოხდა შეთანხმება, დავითს ვახტანგმა ჯავახეთი დაუთმო, რომლის ცენტრიც ალასტანი იყო. ყაენის კარიც ამაზე თანხმდებოდა, რადგან მისთვის მთავარი იყო აჯანყებული მეფე არაგვის ხეობიდან გამოეყვანა — დავითი ხომ ამ გზით უკავშირდებოდა ჩრდილოეთის მონღოლურ სახელმწიფოს და აქედანვე მოსალოდნელი იყო ოქროს ურდოს შემოტევა.

საქართველოს მეფედ გამოცხადებული ვახტანგ III ქართველთა ლაშქრით გამუდმებით მონაწილეობდა მონღოლთა ბრძოლებში სირიაში, გილანსა თუ სხვაგან. ბოლოს, 1308 წ. ამ ლაშქრობაშივე გარდაიცვალა (“შე-ედვა სალმობა მუცლისა”). იგი წამოასვენეს და დაკრძალეს დმანისში. 1304 წელს კი გარდაიცვალა ყაზან ყაენი და საილხანოს ტახტი დაიკავა მისმა ძმამ ოლჯაითუმ, რომლის მაჰმადიანური სახელი იყო მუჰამედ ხუდაბანდე (1304-1316 წწ.).

თავი X. საქართველო XIV საუკუნის პირველ ნახევარში. გიორგი ბრწყინვალე

მრავალმეფიანობა XIV საუკუნის დასაწყისის საქართველოში. გიორგი V-ის ერთპიროვნული გამეფება. ვახტანგ III-ის გარდაცვალებისას გიორგი V უკვე სრულწლოვანი იყო. იგი ბექამ ირანში გააგზავნა პირველ ვაზირ ჩობანთან, რომელთანაც სამცხის მთავარს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ჩობანმა გიორგი ოლჯაითუ ყაენს წარუდგინა მეფედ ხელახლად დასამტკიცებლად, მაგრამ ყაენმა გიორგი მთავარ მეფედ არ დაამტკიცა, არამედ მზრუნველად და “საქმის მოურავად” დაუნიშნა მთავარ მეფედ გამოცხადებულ დავით VIII-ის მცირეწლოვან ვაჟს გიორგი VI-ს. ეს შეიძლება ყაენმა დავით მეფის მოთხოვნით გააკეთა. 1311 წელს დავით VIII გარდაიცვალა. მონღოლებმა, როგორც წერს ჟამთააღმწერელი, “დაუტევეს ნაცვლად მისა ძე მისი გიორგი, ორ

წელ მეფე ქმნული”. 1311 წლის ერთ დოკუმენტში საქართველოს მეფედ მოხსენიებულია აგრეთვე დიმიტრი ვახტანგის ძე. როგორც ჩანს, გიორგი V-ს, დემეტრე თავდადებულის ძეს, როგორც აქტიურსა და ენერგიულ პიროვნებას, ოლჯაითუ ყაენი არ აძლევდა საშუალებას ქვეყნის მმართველობას ჩასდგომოდა სათავე-ში. მას უფრო აწყობდა მცირეწლოვანი ან უმნიშვნელო პიროვნება ჰყოლოდა ქვეყნის სათავეში, ხოლო ქვეყანა დაქუცმაცებული ყოფილიყო. ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს სათავეში ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მეფეა: გიორგი V, გიორგი VI, დიმიტრი ვახტანგის ძე; ასევე, სამცხე ცალკე სამთავროდაა გამოყოფილი, ხოლო დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის მემკვიდრეები ეცილებიან ერთმანეთს მეფობას. მეფის ხელისუფლების ასეთი დანაწევრება (მრავალმეფიანობა) ასუსტებდა საქართველოს წინააღმდეგობის უნარს და საილხანო კარი ამას ხელს უწყობდა. გიორგი V ხშირად იმყოფებოდა ურდოში და იძულებული იყო მონღოლთა ლაშქრობებში მიეღო მონაწილეობა, კერძოდ, გიორგი Vმ მონაწილეობა მიიღო აჯანყებული რუმის გამგებლის, მაჰმუდ ფარვანეს წინააღმდეგ მოწყობილ ერთწლიან ლაშქრობაში (1315-1316 წწ.), რომელსაც ჩობან ნოინი მეთაურობდა და რომელთანაც ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ლაშქრობის დამთავრების შემდეგ გიორგი საქართველოში დაბრუნებულა.

1316 წლის 16 დეკემბერს ოლჯაითუ ყაენი გარდაიცვალა, ხოლო 1317 წ. მისი 12 წლის ვაჟი, აბუსაიდი გაყაენდა. აბუსაიდის მცირეწლოვნების გამო ქვეყანას ჩობანი განაგებდა. ამ ამბების გაგების შემდეგ გიორგი ურდოში ჩავიდა. ჟამთააღმწერლის თქმით, “განიხარა ჩოფან და შეიტკბო (გიორგი) ვითარცა შვილი, და მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი, და შვილნი ბექასანი”. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩობანმა გიორგის უფლება მისცა, რომ გაეერთიანებინა ყოველი საქართველო, მოესპო მრავალმეფობა თუ მრავალმთავრობა და განემტკიცებინა ცენტრალური ხელისუფლება. ამ ეტაპზე ილხანების სახელმწიფოს აღარ აწყობდა დაქუცმაცებული საქართველო. ახლა მათ ინტერესებში შედიოდა ერთიანი საქართველო, რომლის მეფე პასუხისმგებელი იქნებოდა მთელი სამეფოს ხარკზე და მოლაშქრეობაზე. ჩობანისა და გიორგის “მეგობრობა”, ცხადია, პოლიტიკურ ანგარიშიანობას ემყარებოდა. ეს მეგობრობა ორივეს პოლიტიკურ მიზნებს პასუხობდა.

ურდოდან მობრუნებული გიორგი, ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, თბილისში აკურთხეს მეფედ 1318 წელს. ეს იყო გიორგის ხელმეორედ გამეფება, ახლა უკვე ერთპიროვნულად.

გიორგი V-ის მეფობა აღსავსეა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენებით. მის მეფობაში აღდგენილ იქნა საქართველოს ერთიანობა და საერთა-შორისო ავტორიტეტი, განმტკიცდა ცენტრალური ხელისუფლება, გამოცოცხლდა ქვეყნის ეკონომიკა და განვითარდა საქალაქო ცხოვრება, გამოცოცხლდა და განვითარდა კულტურული საქმიანობა, განდევნილ იქნა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოხიზნული მომალადენი. და, რაც მთავარია, გადაგდებულ იქნა მონღოლთა ბატონობის უღელი, აღდგა ევროპის ქვეყ-ნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირები და სხვ. ყოველივე ამის გამო გიორგი V-ის მოღვაწეობას უაღრესად მაღალი შეფასება მისცა როგორც იმდროინდელმა საზოგადოებამ, ისე მომდევნო თაობებმა. მისი ქება ისმის როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში.

ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი, რომელიც მოესწრო გიორგი V-ის მეფობას, მონღოლთა ბატონობის გადავარდნას, გიორგის მეფობის ისტორი-აც დაწერა (სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოაღწია) და აღტაცებულ სტრიქო-ნებს უძღვნის მას. ისტორიკოსის სიტყვით, გიორგი იყო "უმჯობესი ყოველთა კაცთა მის ჟამთა, არა ოდენ ხელმწიფეთა, არამედ ყოველთა კაცთა". იგივე ისტორიკოსი გიორგის გამეფებასთან დაკავშირებით წერს: "და იწყო მთიებმან აღმოჭÂრვებად, ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკÂრველისა და საშინელისად თქმად". იგივე და მომდევნო ხანის ისტორიკოსები უწოდებდნენ მას ბრწყინვალეს, დიდს, სახელგანთქმულს, წარჩინებულს და სხვ.

გიორგი V-ის ტახტზე ასვლა დაემთხვა ილხანთა სახელმწიფოს გართულებულ მდგომარეობას. აჯანყდა საქართველოს ნაცვალი ყურმიში და ხორასნის უფლისწული. ილხანთა სახელმწიფოს თავს ესხმოდნენ ოქროს ურდოს ყაენი და ეგვიპტის სულტანი. საქართველოში მონღოლთა მხოლოდ 10000-იანი ლაშქარი იდგა და ისიც საზღვრების დასაცავად. ამავე დროს საქართველოს ხასობა ჰქონდა მოპოვებული, რაც ქართველ მეფეს უფლებას აძლევდა, სამონღოლო ხარკი თვითონ აეკრიფა თავისი მოხელე-ებით. ამის შედეგად ქვეყანა დაცული იყო მონღოლთა საგადასახადო უწყების მოხელეთა თვითნებობისაგან. თითქოს იქმნებოდა მონღოლთა ბატონობის გადაგდების პირობები. მაგრამ გიორგი მეფემ სწორად განსაზღვრა, რომ პირველ რიგში საჭირო იყო ქვეყნის საშინაო საქმეების მოწესრიგება და არა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების გაგრძელება, რასაც შე-იძლება კატასტროფა მოჰყოლოდა საქართველოსთვის. ამიტომ გიორგი მეფემ ყაენს და ჩობან ნოინს დაუჭირა მხარი, სამაგიეროდ მხარდაჭერა ჩობანისგანაც ჰქონდა გიორგის.

ოსთა განდევნა შიდა ქართლიდან. საქართველოს ერთიანობის აღდგენა. ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც გი-ორგიმ გაატარა საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულ ოსთა რაზმების წინააღმდეგ გალაშქრება იყო.

XIII ს-ის 30-იან წლებში მონღოლთა ხელშეწყობით გახშირდა ოსთა თარეში შიდა ქართლში. "იწყეს ოვსთა ოÃრებად, Ãოცად, და რბევად, და ტყუევნად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენეს და თვისად დაიჭირეს ოვსთა... და დაწვეს გორი სრულიად". ქართველები მანამდეც იბრძოდნენ ოვსთა უკუსაგდებად, მაგრამ, ჟამთააღმწერლის სიტყვით, მხოლოდ "მეფეთა შორის ბრწყინვალემან დიდმან სახელგანთქმულმან გიორგი განასხნა და აღფხურნა" ისინი. გორის აღებას სამ წელს მონდომებიან ქართველები, რის შემდეგაც მთლიანად გაუწმენდიათ შიდა ქართლი. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, გიორგი მეფემ დაიკავა და გაამაგრა ჩრდილო კავკასიიდან გადმომავალი გზებიც და ასე "დაამშვიდა ქართლი ოსთაგან". ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით გიორგი მეფე იძულებული გახდა, უკიდურესი ზომებისათვის მიემართა. ცნობილია, რომ ილხანთა ყაენები ხელს უწყობდნენ და აქეზებდნენ კიდეც ქართველი მეფეების ურჩ ერისთავებსა და მთავრებს. ახლა კი, რადგან ჩობან ნო-ინის კეთილგანწყობილება მოპოვებული ჰქონდა გიორგის, თან ილხანთა სახელმწიფოში შინაური აშლილობა იყო, ისარგებლა ამით და ის ერისთავები, რომლებიც არ დაემორჩილნენ მეფეს, კერძოდ, "ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომელნიც ჩინგიზთ (ე. ი. მონღოლებს) მიუდგნენ, კახეთს ცივზედ მოაწვივა და ამოსწყვიტა". ამ რადიკალური ზომებით გი-ორგი Vმ ცენტრალური ხელისუფლება მნიშვნელოვნად გააძლიერა.

თავიდანვე გიორგი მეფის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავ საქმეს საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის აღდგენა წარმოადგენდა. დასავლეთ საქართველოში XIV ს-ის პირველ მეოთხედში ტახტისათვის ბრძოლა წარმოებდა დავით რუსუდანის ძის შვილებს – კონსტანტინესა (1293-1327 წწ.) და მიქელს (1327-1329 წწ.) – შორის. შინაური შფოთი ხანგრძლივად გრძელდებოდა, "რამეთუ რომელსა ჟამსა დაიზავნიან, მყის შეიშალნიან". მიქელს დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი ბაგრატი, რომელსაც განდიდებულმა მთავრებმა მხარი არ დაუჭირეს და ყრმა ბაგრატმაც "ვერ იკადრა მეფობა", ამით ისარგებლა გიორგი Vმ, დაუკავშირდა იმერეთის დიდებულებს, მათი თანხმობით გადავიდა დასავლეთ საქართველოში და "აღიხუნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი და სიმაგრენი იმერეთისანი" და დანიშნა თავი-სი ერისთავები (ბაგრატ მიქელის ძეს მისცა შორაპნის საერისთავო). ქუთა-ისში გიორგის ეახლნენ დადიანი, გურიელი, აფხაზთა და სვანთა ერისთავები "ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა". შემდეგ თავად მეფემ იმოგზაურა ოდიშში, აფხაზეთსა და გურიაში და "განაგნა მუნებურნი საქმენი".

ასევე მშვიდობიანად იქნა შემოერთებული სამცხეც. 1334 წ. გიორგი V სამცხეში ჩავიდა და თვითვე დაადგინა სამცხის მთავრად გარდაცვლილი მთავრის, სარგისის ძმა ყვარყვარე. ეს უკვე ნიშნავდა მეფის უზენაესი უფლების აღდგენას სამცხეზე, მის დაბრუნებას საქართველოს მონარქიის ფარგლებში. მოთარეშე ოსთა განდევნისა, საქართველოს ერთიანობის აღდგენისა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ დღის წესრიგში დგებოდა მონღოლთა ბატონობის მოცილებისა და საქართველოს სრული დამოუკიდებლობის საკითხი.

საქართველოს განთავისუფლება მონღოლთა ბატონობისაგან და ქვეყნის მმართველობის მოწესრიგება. 1327 წელს აბუსაიდ ყაენმა მოაკვლევინა თავისი მეურვე და საყაენოს ფაქტობრივი გამგებელი ემირი ჩობანი თავისი ორი შვილითა და მომხრეებით. ჭკვიანი და ძლიერი ხელისუფლის დაღუპვამ დააჩქარა ილხანთა სახელმწიფოს კიდევ უფრო დაქვეითება და დაშლა. ახალგაზრდა და სუსტმა პოლიტიკოსმა აბუსაიდ ყაენმა ვეღარ შეძლო საყაენოს უკუსვლის შეჩერება. 1335 წელს, აბუსაიდის გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანაში სრული არეულობა გაბატონდა და ფაქტობრივ საილხანო ერთმანეთის მოწინააღმდეგე რამდენიმე სახელმწიფოდ დაიშალა.

შექმნილი ვითარებით კარგად ისარგებლა გიორგი Vმ. მან ხარკი შე-უწყვიტა მონღოლებს და მონღოლთა ჯარი საქართველოდან განდევნა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, გიორგი ბრწყინვალემ "განასხნა თათარნი საქართველოსგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსრნა ყოველნი საზღვართაგან თÂსთა". ეს იყო ხან-გრძლივი პროცესი, რომლის დროსაც გამოყენებული იყო როგორც დიპლომატიური თუ მშვიდობიანი, ისე ძალისმიერი საშუალებანი (გრძელდებოდა ეს პროცესი 1327-1335 წლებში). მართალია, XIV ს-ის 30-40-იან წლებში მონღოლებმა მოაწყვეს რამდენიმე ლაშქრობა აღმოსავლეთ საქართველოში ბატონობის აღდგენის მიზნით, მაგრამ მათ წარმატება არ ჰქო-ნიათ.

საქართველოს ერთიანობის აღდგენისა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ მოსაგვარებელი რჩებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის, არაგვისა და თერგის ხეობების საკითხი. მონღოლთა ასწლოვანი ბატონობის შედეგად მთაში მნიშვნელოვნად

შესუსტებულიყო სახელმწიფოს გავლენა და ფეოდალური წყობილება. მთიელები უარს ამბობდნენ ფეოდალურ სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებაზე, მათ შორის ხშირად სალაშქრო ვალდებულებებზეც, ხოცავდნენ მეფის მიერ დანიშნულ მოხელეებს: ერისთავებს, გამგებლებს, ხევისთავებს, ციხისთავებს და სხვ. მთავრობის მოხელეთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ არა მარტო ცალკეული პირები, არამედ ხშირად მთელი “სოფელი”, მთელი “ხევი” და მთელი “ქვეყანაც” — ე. ი. აჯანყებებსაც ჰქონდა ადგილი. როგორც გიორგი მეფის მიერ მთიელებისათვის დაწერილ სამართლის წიგნში — “მეგლის დადებაში” აღნიშნულია, მთაში გავრცელებული ყოფილა აგრეთვე “ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება, და მრავალფერნი ულუსობა”.

ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე — “მეგლი ერისთავთა” მოგვითხრობს, რომ განსაკუთრებით მწვავე ბრძოლები და ურთიერთთავდასხმები ყოფილა ქსნისა და არაგვის საერისთაოთა მოსახლეობას შორის. ერთ-ერთი შეტაკების დროს ცხავატელთათვის, გარდა “წვრილი ერისა”, თვრამეტი “თავადი ხევისბერი” დაუხოციათ. ხშირი იყო მეკობრეობა, საქონლისა და ნივთების გატაცება და სხვ.

მთაში არსებული უწესრიგობის მიზეზად “მეგლის დადებაში” დასახელებულია, ერთი მხრივ, “ულუსობა” (მონღოლთა ბატონობის გავლენა), მეორე მხრივ – წერილობითი კანონების უქონლობა და სასჯელთა სიმსუბუქე. რადგან მთის საზოგადოებრივი წყობილება ჩამორჩებოდა ბარისას, ჯერ კიდევ ძლიერი იყო გვაროვნული წყობილების გადმონაშთები და, ამდენად, ბარში მომქმედი კანონები არ გამოდგებოდა მთისთვის, ამიტომ გიორგი მეფემ გადაწყვიტა, ადგილზე გაცნობოდა ვითარებას და მთის საზოგადოებისათვის შესაფერი სამართლის წიგნი შეედგინა.

ამ მიზნით, გიორგი მეფე წავიდა “მთიულთა შიგან მოსავლელად” დიდი ამალით. თბილისიდან გამგზავრებული მეფე და მისი ამალა არაგვის ხეობას აუყვნენ და ჟინვალის სამეფო საზაფხულო სასახლეში მისულან, იქიდან ხადაცხაოტში ასულან, შემდეგ ხევში გადავიდნენ და დარი-ალამდის მივიდნენ. მობრუნებულნი ლომისაზე გავლით ცხრაძმის ხევში ჩასულან და მუხრანში სამეფო სასახლეში გამოვლით თბილისში დაბრუ-ნებულან.

გიორგი მეფე ადგილზე გაეცნო ვითარებას, მეფის მოხელეებსა და ჰეროვანებს (“ჰეროვანი” — თავისუფალი მეთემე, სიტყა ერიდან). მან მთი-ულეთიდან თან ჩამოიყვანა “თემის ერისთავნი და Ãევისთავნი და Ãევისბერნი და ჰეროვანნი”, მოიწვია დარბაზის (სამეფო საბჭოს) საგანგებო სა-კანონმდებლო კრება, რომელმაც მიიღო მთიულთათვის განკუთვნილი სამართლის წიგნი — “მეგლის დადება” (შედგება 46 მუხლისაგან).

გიორგი მეფემ, მთაში სამეფო ხელისუფლების გავლენის გაზრდისა და ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, ბარში არსებული სასჯელთა სისტემა დააწესა მთიელებისთვისაც, მხოლოდ სასჯელის ზომა მნიშვნელოვნად გაზარდა. ასე მაგალითად, ბარის მწარმოებლის, გლეხის სისხლი (ჯარიმა გლეხის მოკვლისათვის) დაწესებული იყო 400 თეთრი, მთის მწარმოებლის – ჰეროვნის სისხლის ფა-სად განსაზღვრული იქნა 1200 თეთრი. კიდევ უფრო დიდი ჯარიმა იქნა დაწესებული ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიის შეწირული გლეხის მოკვლისათვის – 1500 თეთრი. მნიშვნელოვნად გადიდებული იქნა

აგრეთვე მეფის მიერ დანიშნულ მოხელეთა (გამგებელი, ხევისთავი, ხევისბერი, ციხისთავი) და მათი ოჯახის წევრთა სისხლის ფასი. ეს მოხელეები ჰეროვანთა წრიდან ინიშნებოდნენ და “თემისა და თემის ერისთავებთან” ერთად მეფის ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდნენ მთაში. რაც შე-ეხება ერისთავის, რომელიც წოდებრივად დიდებული უნდა ყოფილიყო, და გამგებლის (აზნაური) სისხლს, “ძეგლის დადებაში” განსაზღვრული არ არის, რადგან მათ სისხლი “გვარსა ზედა (წოდების მიხედვით) სდის”, რომელიც განსაზღვრული იყო ბარისათვის განკუთვნილ სამართლის წიგ-ნში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ “ძეგლის დადებაში” გათვალისწინებულია ადათობრივი სამართლის ზოგიერთი ნორმა (“მამულისაგან გაძევება” ანუ თემისაგან გაძევება, ზოგიერთ შეთმხვევაში დაზარალებულის თვითნებური მოქმედება და სხვ.).

მთაში სამეფო ხელისუფლების შესუსტებასთან ერთად შესუსტებული იყო ქრისტიანული რელიგიის გავლენაც. გახშირებული იყო “რჯულის შეცოდებანი” (ეკლესიის გატეხვა, უბრალოდ ცოლის დაგდება, უქორწინო შეუღლება, ქრისტიანული რიტუალების შეუსრულებლობა...), მიუხედავად იმისა, რომ დარბაზის საგანგებო საკანონმდებლო კრებას ქართული ეკლე-სიის უმაღლესი პირები ესწრებოდნენ, “სასჯულო საქმეები” არ განუხილავთ, რადგან საკანონო საქმეების განხილვა დარბაზის კომპეტენციაში არ შედიოდა. “ძეგლის დადების” შესავალში პირდაპირ არის ნათქვამი: “ჩვენ მსოფლიო (საერო) სასაქმო გაგვიჩენიაო” მხოლოდ. “რჯულის შეცოდების” საქმეების განხილვა კათალიკოსის, ადგილობრივი ეპისკოპოსებისა და მათი მოხელეების კომპეტენციას შეადგენდა. არაგვის საერისთაოს ეკლესიას განაგებდა უშუალოდ ქართლის კათალიკოსი, ქსნის საერისთავოს ეკლესი-ას კი – წილკნელი და სამთავნელი ეპისკოპოსები. ეკლესიისადმი განსა-კუთრებული ყურადღებისა და პატივისცემის ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ დარბაზის დადგენილება იმის შესახებ, რომ ლომისის წმინდა გიორგის შეწირული გლეხის სისხლი შეფასებულია 1500 თეთრად (თითქმის ოთხჯერ უფრო მეტად, ვიდრე საერო პირთა გლეხებისა)

“ძეგლის დადება” მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ცხოვრებაში. დაწერილმა კანონებმა და გიორგი V-ის სხვა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს სამეფო ხელისუფლებისა და ქართული ეკლესიის გავლენა მთაში, რასაც მოჰყვა ე. წ. “ულუსობის” მოსპობა და საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა.

მონღოლთა ასწლოვანი ბატონობის შედეგად დარღვეული იყო საქართველოს სახელმწიფო წყობილება და სამოხელეო სისტემა. მნიშვნელოვ-ნად შემცირდა სამოხელეო აპარატის გავლენა და ფუნქციები, კერძოდ, ძლიერ დაკნინდა ზოგიერთი ვაზირის (მწიგნობართუხუცესის, მანდატურთუხუცესის...) და, საერთოდ, მთელი სავაზიროს როლი. მნიშვნელოვნად გაიზარდა ათაბაგის, ამირსპასალარის და სამხედრო უწყების სხვა მოხელე-ების მნიშვნელობა. იმის გამო, რომ მონღოლები ხელს უწყობდნენ დეცენტრალიზაციის პროცესს და აქეზებდნენ ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე დიდებულებს, გაძლიერდნენ ერისთავთ-ერისთავები, რომლებიც “ხელმწიფობას” იჩემებდნენ. ამავე პროცესის შედეგი იყო ე. წ. “პროვინციის მეფეების” (ბაგრატიონთა საგვარეულოდან გამოყოფილი მფლობელები) გაჩენა და გამრავლება... ფართო გასაქანი მიეცა მედროვეებს (სადუ-ნი და ხუტლუბუღა მანკაბერდელები...), რომლებიც პირადი გამდიდრების მიზნით მეფისა და ქვეყნის ღალატსაც არ ერიდებოდნენ.

საქართველოს პოლიტიკურმა გაერთიანებამ და ცენტრალური ხელი-სუფლების გაძლიერებამ საშუალება მისცა გიორგი ბრწყინვალეს აღედგინა ძველი, თამარ მეფის დროინდელი სახელმწიფო წყობილება და სამოხელეო სისტემა. ამ მიზნით, გიორგი მეფის მითითებით, იქნა შედგენილი ე. წ. “ხელმწიფის კარის გარიგება”, რომელმაც ჩვენამდე ნაკლული სახით მოაღწია და რომლის ავტორი სამეფო კარის ერთ-ერთი მოხელე უნდა იყოს. “კარის გარიგებაში” ძირითადად ასახულია წინარე ხანის ანალოგიური ძეგლების მონაცემები, მაგრამ გათვალისწინებულია დროის მოთხოვნებიც.

“კარის გარიგების” მიხედვით მეფე თვითმპყრობელია. სამეფო კართან არსებობს სამეფო საბჭო – ე. წ. დარბაზი, რომლის შემადგენლობაში შედიან ვაზირები, ერისთავები, ქართლის კათალიკოს-პატრიარქი, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველო) კათალიკოსი, გელათის მოძღვართმოძღვარი და სხვა დიდი საეკლესიო პირები, აგრეთვე მეფის დომენის მოურავნი და ზოგიერთი “უÃელო დიდებულიც”.

დარბაზის კომპეტენციაში შედიოდა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეების განხილვა და გადაწყვეტა, კანონების მიღება, ომისა და ზავის სა-კითხი, თანამდებობაზე დანიშვნა, მნიშვნელოვანი სასამართლო საქმეების გარჩევა და სხვ. დარბაზს იწვევდნენ “დიდისწესითა” ან “უმცროსთა” მეფის ნების მიხედვით. იყო აგრეთვე საზეიმო დარბაზობა-პურობა დღესასწაულებთან ან მეფეთა თუ ელჩთა მიღებასთან დაკავშირებით.

“კარის გარიგებაში” განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს სავაზიროს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს, რომლის ფუნქციები იმდენად იყო შემცირებული და შებღალული, რომ ზოგიერთი ვაზირი არც კი ასრულებდა თავის მოვალეობას და ხშირად არც კი ცხადდებოდა სამეფო კარზე. ვაზირის თანამდებობა ზოგიერთ შემთხვევაში სამკაულის როლს ასრულებდა მხოლოდ. ახლად აღდგენილ ერთიან სამეფოს კი ესაჭიროებოდა მტკიცე ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლება. ამიტომაც “კარის გარიგებაში” მკვეთრად არის განსაზღვრული ვაზირის და მისი უწყების უფლებამოვალეობანი.

სავაზიროს (მთავრობის) სხდომას მეფე იწვევდა. ვაზირობას, გარდა მეფისა, ესწრებოდა ექვსი ვაზირი (მწიგნობართუხუცესი, ათაბაგი, ამირსპა-სალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი)და ვაზირთა სამი თანაშემწე (ამილახორი, საწოლის მწიგნობარი, ამირეჯიბი). სავაზიროს გადაწყვეტილება სავალდებულო იყო ყველა ხელქვეითი მოხელისა და მოქალაქისათვის. სავაზიროს ზოგიერთ გადაწყვეტილებას განიხილავდა და ამტკიცებდა დარბაზი.

“კარის გარიგებაში” განხილულია აგრეთვე ცენტრალური აპარატის იმ მოხელეთა ფუნქციები, რომლებიც სავაზიროში არ შედიოდნენ, მაგრამ ცალკე უწყებას ხელმძღვანელობდნენ. ასეთები იყვნენ მეღვინეთუხუცესი და მონადირეთუხუცესი.

მონღოლთა ბატონობის შედეგად, რასაც საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის დარღვევა მოჰყვა, საქართველოს ეკლესიის ერთიანობაც დაზიანდა. კერძოდ, დასავლეთ საქართველოს სამეფოს ჩამოყალიბების შედეგად შესუსტდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კავშირი აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიასთან და სამეფო ხელისუფლებასთან.

ასევე, სამცხის სამთავროს ჩამოყალიბების შემდეგ, იმ მხარის ეპისკო-პოსები, მაწყვერელი ეპისკოპოსის მეთაურობით, სეპარატისტი მთავრების პოლიტიკას უჭერდნენ მხარს. საქართველოს სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენის შემდეგ, გიორგი Vმ ეკლესიის ერთიანობის აღდგენას მიაქცია ყურადღება და მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა ამ საქმის მოსაგვარებლად, რომელიც ნაწილობრივ აისახა "ხელმწიფის კარის გარიგებაში".

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის შემომტკიცებას ისახავდა მიზნად საქართველოს სამეფოს გვირგვინისა და სკიპტრის შესანახ ადგილად ქუთაისის საკათედრო ტაძრის დადგენა და ქუთათელი ეპისკოპოსის პატივით იშხნელთან გათანაბრება. ასევე ბედიელი და ქუთათელი ეპისკოპოსების ერთიან საქართველოს მეფეების (ბაგრატ III-ისა და გიორგი I-ის) "მესაფლავეებად", ანუ მწირველ ეპისკოპოსებად დადგენა და სხვ.

გიორგი V-ს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია სამხრეთ საქართველოს საეპისკოპოსოებისათვის, რომლებიც სახელდობრ არის დასახელებული "კარის გარიგებაში" (იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევარი, გოლგოთელი). მათი სამეფო კარზე მიღების წესიც ცალკეა განსაზღვრული. იშხნელის პატივიც გადიდებულია (მაწყვერელის საპირისპიროდ) და სხვ. ყველაფერი ეს გაკეთებულია სამცხის ეკლესიის ცენტრთან კავშირის აღდგენისა და განმტკიცებისათვის.

"კარის გარიგებაში" სამხრეთ საქართველოს მღვდელმთავართა შორის მოხსენიებულია გოლგოთელი – იერუსალიმის გოლგოთის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი. გოლგოთა დიდი ხნის განმავლობაში მაჰმადია-ნებს ჰქონდათ მიტაცებული, რომელიც გიორგი V-ის მცდელობით იქნა განთავისუფლებული.

აღნიშნული ღონისძიებებით გიორგი Vმ მნიშვნელოვნად განამტკიცა ქართული ეკლესიის ერთიანობა და იგი საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენა.

ეკონომიკა. ქვეყნის ერთიანობის აღდგენამ, მონღოლთა ბატონობის მოსპობამ, ქვეყანაში წესრიგის დამყარებამ ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომი-კის გამოცოცხლებას. მნიშვნელოვნად განვითარდა საქართველოს ქალაქებ-ში ვაჭრობა და ხელოსნური მრეწველობა, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები აღდგა არა მარტო ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქალაქებთან, არამედ ევროპის, კერძოდ, ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ-სახელმწიფო-ებთან. აქტიურ სავაჭრო ურთიერთობათა მოწმობად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ თბილისის გარდა ზარაფხანები არსებულა ქუთაისში, დმანის-ში, ყარაღაჯსა და ანისში. აღმოსავლეთ საქართველოში და საქართველოს გავლენის ქვეშ მყოფ ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც, უმთავრესად იჭრებოდა მონღოლური ან, უფრო ზუსტად, ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები, რომელთა მიზანი იყო სავაჭრო კავშირების აღდგენა და გაღრმავება აღმოსავლეთის ქალაქებთან.

მონღოლური ფულის პარალელურად გიორგი Vმ მოაჭრევინა ვერცხლის მონეტა, რომლის მთავარი დანიშნულება საშინაო ბაზრის მომსახურება უნდა ყოფილიყო. ამ ფულს შემდგომ ფართო გავრცელება მოუპოვებია. მაგალითად, სამცხეში XIV ს-ის დასაწყისში ბექა

მანდატურთუხუცე-სის მიერ შედგენილ სამართლის წიგნში ქონებრივი საზღაურის გადახდა “ყაზანური” თეთრით ყოფილა დაწესებული. XIV ს-ის 80-იან წლებში კი აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის მიერ შემოღებულ სამართლის წიგნში საზღაურად უკვე “დიდისა, წარჩინებულისა მეფისა გიორგის ჟამის თეთრი” გაუჩენიათ. ქართულ წყაროებში ეს ფული “გიორგაულის” სახელით იხსენიება1.

დასავლეთ საქართველოში იმავე პერიოდში იჭრებოდა ე. წ. “კირმა-ნეული თეთრი”, რომელიც ტრაპიზონის ვერცხლის ასპრების მინაბაძს წარმოადგენდა.

“ხელმწიფის კარის გარიგების” შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგსაც მნიშვნელოვანი წარმატებისათვის მიუღწევია. კერძოდ, მევენახეობამეღვინეობასა და მებაღეობამებოსტნეობას. ამ დარგების განვითარებისათვის აუცილებელი იყო დანგრეული და გაუქმებული სარწყავი სისტემის აღდგენა და ახლების მშენებლობა, რადგან აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში მორწყვის გარეშე აღნიშნულ დარგებს დიდი წარმატება ვერ ექნებოდათ.

საქართველოს საერთო ეკონომიკური წარმატებისა და პოლიტიკური სიძლიერის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ რომის პაპმა იოანე XXIIმ აღმო-სავლეთის კათოლიკური სამისიონერო ცენტრი ქ. სმირნიდან (ბიზანტია) ქ. თბილისში გადმოიტანა, საეპისკოპოსო ქალაქად დააწესა და საკათედრო ტაძრის აშენებაც ბრძანა. რომის პაპმა 1330 წ. თბილისის კათოლიკეთა ეპისკოპოსად დანიშნა იოანე ფლორენციელი (1330-1348 წწ.). რომის პაპის ეპისტოლეებში თბილისი დახასიათებულია “მეტად შესანიშნავ, ხალხმრავალ, მარჯვე და მდიდარ ქალაქად”.

ამავე რიგის მოვლენად უნდა განვიხილოთ კათოლიკეთა საეპისკოპო-სოს დაარსება ქ. სოხუმში, სადაც ეპისკოპოსად დაინიშნა პეტრე გერალდი.

საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი. ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებამ და ტერიტორიული ერთიანობის აღდგენამ საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი მნიშვნელოვანად გაზარდა. ქართული და უცხოური წყაროები ერთხმად აღნიშნავენ გიორგი V-ის დიდ საერთა-შორისო ავტორიტეტს.

გიორგი მეფეს პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნებთან: ბიზანტი-ასთან, ტრაპიზონის საკეისროსთან, საფრანგეთთან, რომის პაპთან, ეგვიპტის სასულტნოსთან და სხვ.

XIV ს. არაბი ისტორიკოსის – ელ-ომარის ცნობით, ეგვიპტის სულთანთა წერილებში გიორგი დახასიათებულია, როგორც დიდი მოღვაწე და პოლიტიკოსი: “...ხელმწიფე სახელოვანი და სახელგანთქმული... თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანი, მართლმადიდებელ მეფეთა შორის საუ-კეთესო, ქართველთა სულტანი, რუმისა და ერანის ქვეყნების დამცველი... წმიდათა ადგილთა (პალესტინა-იერუსალიმის) განმადიდებელი... რომის პაპის მშველელი, მუსლიმანთა მეგობარი, მეფეთა და სულტანთა უგულითადესი მეგობარი”. ამ რამდენადმე ზეაწეული ტონით დახასიათებაში კარგად ჩანს გიორგი, როგორც ნიჭიერი პოლიტიკოსი და დიპლომატი, კეთილად განწყობილი სხვა ხალხებისა და რელიგიებისადმი. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ელ-ომარის

ცნობები გიორგი მეფეს “ფართო და თავისუფალი აზროვნების პოლიტიკოსად გვაგულისხმებინებს”.

როგორც ცნობილია – იერუსალიმის ქართველთა ეკლესიამონასტრები მაჰმადიანებმა მიიტაცეს XIII ს-ში, ჯვრის მონასტერი 1305 წ. თუ 1310 წ. დაუბრუნებიათ ქართველებს მეფე დავით VIII-ის მცდელობით, სხვები კი – ქრისტეს “აღდგომის” ეკლესია, “გოლგოთა” და ქრისტეს “საფლავი” მაჰმადიანების ხელში რჩებოდა.

გიორგი Vმ თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებშივე მიაქცია ყურადღება იერუსალიმის ქართულ სავანეებს. პირველი ელჩობა მას ჯერ კიდევ 1316 წ. გაუგზავნია (როცა ის ჯერ კიდევ გიორგი მცირეს მეურვედ ითვლებოდა); მეორედ კი – 1320 წელს. გიორგი მეფემ ეგვიპტის სულტანს ძვირფასი საჩუქრები და წერილი გაუგზავნა. როგორც ჩანს, გიორგი თხოვდა ქართული სავანეების დაბრუნებას და ყველა ქრისტიანის შეურაცხმყოფელი წესების – მათ შორის ქრისტიანი მლოცველებისათვის ცხენზე ნორმალური ჯდომის აკრძალვის (ორივე ფეხი ერთ მხარეს უნდა ჰქონოდათ) გაუქმებას. სამაგიეროდ, გიორგი სულტანს სამხედრო დახმარებას ჰპირდებოდა საჭიროების შემთხვევაში.

ელჩებად გაგზავნილი ყოფილან პიპა ქსნის ერისთავის შვილი და დეკანოზი იოანე ბანდაისძე. ეგვიპტის სულტანმა შეასრულა გიორგი მეფის თხოვნა: დაუბრუნებიათ ქრისტეს საფლავის კლიტენი და გაუუქმები-ათ ქრისტიანთა შეურაცხმყოფელი წესი ცხენზე ამხედრებისა. გარდა ამისა, ქართველი მლოცველები გაუნთავისუფლებიათ ხარკის გადახდისაგან და ნება მიუციათ ამხედრებულები “გაშლილი დროშებით შესულიყვნენ ქალაქში”.

გიორგი მეფეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა რომის პაპებთან, რისი შედეგიც იყო ზემონახსენები კათოლიკეთა საეპისკოპოსოს დაარსება თბილისში.

ცხოველი პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონია გიორგი V-ს საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუასთან. ამის მოწმობაა ამ ბოლო დროს გამოქვეყნებული საფრანგეთისა და საქართველოს მეფეების მიწერმოწერა. გი-ორგი V საფრანგეთის მეფეს სწერდა, რომ მზად იყო მასთან ერთად მონაწილეობა მიეღო სირია-პალესტინის “წმინდა მიწების” განთავისუფლებაში, რისთვისაც მზად ჰყავდა 30 000 ჯარისკაცი. 1332-1333 წლებში გიორგი მეფეს პატივით მიუღია საფრანგეთის მეფის წარგზავნილები (ელჩები) – რი-კარდო მერჩერი (რიშარ მერსიე) და ალექსანდრე ინგლისელი.

გიორგი Vმ სცადა საქართველოს გავლენის აღდგენა ტრაპიზონის სა-კეისროში. როგორც დავინახეთ, მონღოლთა საქართველოში გაბატონების შედეგად საქართველოს გავლენა ტრაპიზონში მნიშვნელოვნად შესუსტდა, მაგრამ სულ არ მოსპობილა. ბიზანტიელთა და ქართველთა მომხრე “პარტიები” ერთმანეთს ებრძოდნენ ხელისუფლებისათვის. 1332 წ. ტრაპიზონში ბიზანტიის დახმარებით გამეფდა ბასილი, რომელსაც ცოლად შერთეს ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე III-ის “უკანონო” შვილი, ირინე. ბასილმა გააძევა თავისი ძმისშვილი კეისარი მანუილი და დახოცა ტრაპიზონის მთავრობის დიდი მოხელეები – დიდი დუქსი ლეკის ჭიჭანჭეოსი თავისი მეუღლით სარიკენათი და შვილი დიდი დომესტიკოსი ჯაბა. ისინი საქართველოს მომხრეთა პარტიის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. 1340 წ. ბასილი

გარდაიცვალა, კონსტანტინოპოლის მთავრობამ ტრაპიზონში ბა-სილის პირველი მეუღლე – ირინე პალეოლოგოსი გაამეფა. ამან ტრაპიზო-ნის მმართველ წრეებში განხეთქილება გამოიწვია. როგორც ჩანს, უკმაყოფილო დარჩა ქართული ორიენტაციის პოლიტიკოსთა დასი. ამას ზედ და-ერთო თურქთა შემოსევა, რომლის შედეგად "დაიწვა მთელი ტრაპიზონი". ბასილი კეისარს აუჯანყდა მისი უფროსი და, მონაზონი ანახუტლუ, რომელმაც "სამონაზნო სამოსი გაიძრო, წავიდა ლაზიკაში (ე. ი. საქართველო-ში) და იქ გამაგრდა", ორ კვირაში უკან დაბრუნდა ქართველთა ჯარით და 1342 წ. 17 ივლისს ირინე დედოფალი განდევნა და თავად გამეფდა. ქართველთა ჯარის ნაწილი იქვე დარჩა, რომელთა დახმარებით ანამ მოი-გერია ბიზანტიელთა ერთი შემოტევა, რომლის მიზანი ანას ჩამოგდება და მიხეილ კომნენოსის გამეფება იყო (1341 წ. 30 ივლისი).

ანახუტლუმ მხოლოდ წელიწადი და ორი თვე იმეფა. 1342 წ. სექტემბერში ბიზანტიის მომხრეთა დასმა გაიმარჯვა და კეისრად იოანე მიხეილისძე კომნენოსი დასვეს. ანახუტლუ და მისი მომხრეები სიკვდილით დასაჯეს. მიუხედავად ამ მარცხისა, საქართველოს ორიენტაციის პოლიტი-კური დასი შემდეგაც აგრძელებდა ხელისუფლებისათვის ბრძოლას.

მეფე გიორგი V გარდაიცვალა 1346 წელს. მის მოღვაწეობას იმთავითვე უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი პოლიტიკოსები და მთელი ქართველი ხალხი. ამას მოწმობს ის, რომ ქართველ მეფეთაგან მხოლოდ მას უწოდეს "ბრწყინვალე". ამის შესახებ ვახუშტი წერდა: "ხოლო ამისთვის ეწოდა მეფესა ამას გიორგი ბრწყინვალე, რამეთუ იყო ჰაეროვნებითა, შუენიერებითა და ახოვანებითა უებრო, მოწყალე, უხÂ, ობოლთა და ქურივთა და დავრდომილთა შემწყნარებელი. მეორედ, ვი-ნაÁთგან იყო ივერია დაფანტული, სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, ამან სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თÂსითა კუვალად შემოკრიბნა და იგონა, ვითარცა აღმაშენებელმან განავსნა და აღაშენნა ქუეყანანი, რჯული და სამოქალაქო წესი განაბრწყინვა, ეკლესიანი დარღვეულნი და მო-ოხრებულნი აღაშენნა, განაახლნა და განანათლნა; ხოლო რანი, შარვანი და მოვაკანი მოხარკედ ჰყვნა თავისად; სძლო ყოველთა, სადა ჯერ იყო ბრძოლითა და ძლიერებითა და სადა Ãამდა სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებითა თვისითა დაამშვიდნა...".

თავი XI. საქართველო XIV საუკუნის მეორე ნახევარში. თემურლენგის შემოსევები

გიორგი V ბრწყინვალის მემკვიდრეები. გიორგი ბრწყინვალის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი დავით IX (1346-1360 წწ.). ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტული ცნობების მიხედვით, დავითის მეფობის პირველ პერიოდში საქართველოში საკმაოდ რთული პოლიტიკური ვითარება შექმნილა. 1349-1350 წლებში საქართველოს შემოესია ირანის ილხანი ანუშირვანი, რომელსაც საქართველომ გადაუხადა ხარკი 400 000 დინარი. ამავე დროს საქართველოში ფართოდ გავრცელებულა შავი ჭირის ეპიდემია. ჯერ კიდევ 1346 წლიდან შავი ჭირი გავრცელდა ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, ოქროს ურდოში, კავკასიაში და სხვ., რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში. ერთი საეკლესიო წიგნის (პარაკლიტონის) ანდერძში ავგაროზ ბანდაისძე აღნიშნავს, რომ მან ეს წიგნი გადაწერა "დიდისა

სიგლახაკესა და ეტრატის სიძვირესა და შფოთსა და უცალობასა შინა წელსა მას, რომელსა იყო სიკვდილობა, ქორონიკონი იყო ლე” (1348 წ.), ე. ი. შავი ჭირის ეპიდემიის შედეგად საქართველოში მრავალი ადამიანი დაღუპულა, დიდი ეკონომიკური გაჭირვება ჩამოვარდნილა და “შფოთი” ანუ შინაფეოდალური ბრძოლები გაჩაღებულა. შავი ჭირის ეპიდემიას შემდეგაც XIV ს-ის 60-იან წლების შუახა-ნებშიც უჩენია თავი.

მიუხედავად აღნიშნული მძიმე ვითარებისა, დავით IX სახელმწიფო-ებრივ აღმშენებლობით მუშაობას ეწეოდა. თმოგვის ციხის 1350 წლის წარწერის მიხედვით ჩანს, რომ დავით მეფის მითითებით თმოგვის ციხის ზღუდის განახლება ჩატარდა. დავით მეფეს ყურადღება მიუქცევია აგრეთვე მონღოლთა ბატონობის დროს საერო ფეოდალების მიერ საეკლესიო მამულების მიტაცების ფაქტებისათვის. მან მცხეთის ეკლესიას დაუბრუნა დავით ულუს მიერ დიდებულ აზნაურებზე ორბოძლელებზე გადაცემული მცხეთის ეკლესიის გლეხები და მიწები ძამისა და ხვედურეთის ხეობიდან (დავით მეფეს ორბოძლელისათვის 12000 თეთრი გადაუხდია, რომ მას ეკლესიის მამულები დაეთმო).

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, დავით მეფის მეუღლე ყოფილა დედოფალი სინდუხტარი, რომელიც თითქოს სამცხის მთავრის აღბუღას და ყოფილა. დავით მეფის ერთი ქალიშვილი გულშარი იოანე ქსნის ერისთავზე გაუთხოვებიათ, მეორე ქალი გულქანხათუნი კი უფრო გვიან, 1378 წ., ტრაპიზონის იმპერატორის უმცროს ვაჟზე, მანუილზე დაუქორწინებიათ (იქ მას ევდოკია უწოდეს). ეს ქორწინება, რა თქმა უნდა პოლიტიკური ანგარიშით იყო მოწყობილი და მიზნად ისახავდა საქართველოსა და ტრა-პიზონის საკეისროს პოლიტიკურ კავშირს.

დავითის მეფობაში, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1357 წელს საქართველოში ადგილი ჰქონია მზის დაბნელებას. მზის დაბნელება მომხდარა საქართველოში 1361 და 1372 წლებშიც.

დავით მეფე გარდაიცვალა ქუთაისში 1360 წელს, დაკრძალულია გელათში.

1360 წელს ქუთაისში საქართველოს მეფედ აკურთხეს დავით IX-ის ვაჟი ბაგრატ V (1360-1393 წწ.). ბაგრატი, ვახუშტის ცნობით, ძლიერი პიროვნება და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ყოფილა. ტრაპიზონელი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი კი ბაგრატს “გამოჩენილ სარდალს” უწოდებს. ასევე, XIV ს-ის ერთ სომხურ წყაროში ბაგრატი “ძლევამოსილ მამაც მეფედ” არის მოხსენიებული. ზოგიერთ ქართულ წყაროში კი ბაგრატი “დიდის” ეპითეტით არის სახელდებული. ბაგრატ მეფის ასეთი შეფა-სება, როგორც ივანე ჯავახიშვილმა აღნიშნა, უნდა ეხებოდეს მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდს (თემურლენგის შემოსევების წინარე ხანას), როცა ბაგრატ მეფემ შეძლო ქვეყნის ერთიანობის განმტკიცება და საგარეო მტრების მოგერიება. ამას შედეგად მოჰყვა “დიდი მშვიდობიანობა საქართველოში”, როგორც ეს აღნიშნულია XIV ს-ის ზემოხსენებულ სომხურ წყაროში.

ბაგრატ მეფის პირველი მეუღლე იყო ელენე, რომელიც დაიღუპა 1366 წელს, შავი ჭირის ეპიდემიის დროს. მისგან დარჩა ორი ვაჟი – გი-ორგი და კონსტანტინე. ბაგრატი მეორედ დაქორწინდა ტრაპიზონის იმპერატორის ასულზე – ანაზე 1367 წელს, რის შედეგადაც ამ ორ სამეფოს შორის ადრე არსებული პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა გრძელდებოდა.

ბაგრატის მეფობაში საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა აღდგენილი იყო თითქმის მთელი ამიერკავკასიის ფარგლებში ყმადნაფიცი ქვეყნების ჩათვლით. სამხრეთდასავლეთის საზღვარი მაკრიალის ხეობაზე გადიოდა. ქალაქი ანისი და მისი ოლქიც საქართველოს საზღვრებში შემოდიოდა. ჩრდილოეთითაც დვალეთი და ოსეთი საქართველოს ემორჩილებოდა.

ბაგრატის მეფობის პირველი პერიოდის შესახებ მხოლოდ მცირე და ფრაგმენტული ცნობებია შემორჩენილი. ამ ცნობების მიხედვით XIV ს-ის 60-იან წლებში დიდ სიძნელეებს უჩენია თავი, როგორც შინაური შფოთის, ისე მტრის შემოსევების შედეგად. 1362 წელს აჯანყებულა სვანეთის ერისთავი ვარდანისძე, რომელიც დიდი ლაშქრით თავს დაესხა ქუთაისს – გაძარცვა და გადაწვა იგი. ბაგრატ მეფემ სწრაფ და ენერგიულ ღონისძიებათა შედეგად დაამარცხა აჯანყებულები და სვანთა ერისთავი ვარდანისძე დააპატიმრა (რომელიც მოგვიანებით შეუწყალებია და გურიის ერისთავად დაუნიშნავს). სვანთა ერისთავად მეფემ დანიშნა გელოვანი, რომელსაც და-ეკისრა ხარკის (სახელმწიფო გადასახადის) მოკრეფა და სამხედრო სამსახური სვანთა რაზმებით.

საქართველოს შინააშლილობით უსარგებლიათ მცირე აზიაში მომთაბარე თურქებს, თავს დასხმიან სამცხეს, დაურბევიათ, გაუძარცვავთ და ტყვეები წაუსხამთ. ამ ამბის გაგებისთანავე ბაგრატი რჩეული 12 000-იანი ლაშქრით დაედევნა თურქებს, სამი დღის მერე დაეწია მდ. არაქსთან და თითქმის მთლიანად გაანადგურა, ტყვეები გაათავსიუფლა, ალაფიც უკან წამოიღო და თბილისს დაბრუნდა.

60-იანი წლების შუახანებში საქართველოს მეზობელ ქვეყნებში და შემდეგ საქართველოშიც კვლავ იფეთქა შავი ჭირის ეპიდემიამ, რომლის დროსაც, ვახუშტის სიტყვით, “მოისპნეს სულნი ურიცხუნი” და დაიღუპა დედოფალი ელენე (1366 წ.).

1373 წ. საქართველოში თურქთა კიდევ ერთი მარბიელი რაზმი შემო-იჭრა, ბრძოლა მოხდა ჯავახეთში ს. ალასტანთან, სადაც დაიღუპა ე. წ. “პროვინციის” მეფე გიორგი ალანსტანელი და ქსნის ერისთავი ქვენიფნეველი. მაგრამ თურქთა ეს ეპიზოდური შემოსევები ვერ ცვლიდნენ ქვეყნის საერთო მდგომარეობას, რომელიც გიორგი ბრწყინვალეს დროიდან ეკო-ნომიკურ და კულტურულ აღმავლობას განიცდიდა. ამის შედეგი უნდა იყოს ევროპელ კათოლიკე მისიონერთა მიერ ყურადღების გაძლიერება საქართველოსადმი. 1370 წელს საქართველოში ჩამოსულა სალონიკის არქიე-პისკოპოსი 25 ფრანცისკანელ მამასთან ერთად. 1373 წელს ფრანცისკანელი პატრები ქ. ახალციხეს სწვევიან. 1382 წ. კათოლიკურ “მოქადაგე ძმათა საზოგადოებას” თავისი რეზიდენცია დაუარსებია თბილისსა და ახალციხე-ში. ყველა ამ მისიის მიზანი იყო კათოლიკური სარწმუნოების გავრცელება საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში.

ვითარება მკვეთრად შეიცვალა 1386 წლიდან, როცა საქართველოს პირველად შემოესია ერთ-ერთი ყველაზე პირსისხლიანი დამპყრობელი თემურლენგი.

თემურლენგი. XIV ს-ის 80-იანი წლებიდან საქართველოსა და მის მეზობელ ხალხებს თავს დაატყდა უდიდესი და უსასტიკესი დამპყრობლის – თემურლენგის ურდოები. 1386-1403 წლებში თემურლენგი რვაჯერ შემოესია საქართველოს და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა მას.

თემურლენგი იყო შვილი ბარლასთა გათურქებული მონღოლური ტომის ერთ-ერთი ბეგის – თარაღაისა. თემური დაიბადა 1336 წ. სოფ. ხო-ჯა-ილგარში, ქ. შაჰხრისიაბზის ახლოს. თემური ახალგაზრდობიდანვე გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭითა და სიმამაცით. მან შექმნა ყაჩაღთა რაზმი, თავს ესხმოდა ვაჭართა ქარავნებს, მწყემსებს და ძარცვავდა. ბარლასთა ტომი მოღოლისტანიდან გადასახლდა ქაშქადარის ველზე მავერა-ნაჰრში (მდინარეების სირდარიასა და ამუდარიას შორის მდებარე ტერიტორიაა შუა აზიაში), მოღოლისტანის სამხედრო ნომადური არისტოკრატია მომთაბარულ ცხოვრებას აგრძელებდა, მავერანაჰრის მონღოლები კი ბინადარ ცხოვრებას და ინტერსიურ მეურნეობას მისდევდნენ. ჩაღატაის ულუსის ეს ორი ნაწილი ერთმანეთს ებრძოდა პირველობისათვის. საბოლოოდ მოღოლისტანის ხანმა თოღლუყთემურმა 1360 წელს დაიკავა მავე-ნარაჰრი. თემური თოღლუყთემურის სამსახურში ჩადგა, თუმცა მალე გა-ნუდგა და ბალხის ემირთან, ჰოსეინთან ერთად ებრძოდა მას. მალე თემურმა თავისი მოკავშირეც მოიცილა და მავერანაჰრის ერთპიროვნული მმართველი გახდა. 1370 წელს, მან მოიწვია ყურულთაი, რომელმაც თემური დიდი ემირის ტიტულით მავერანაჰრის მმართველად გამოაცხადა. თემურმა ხანის ტიტული ვერ მიიღო, რადგან იგი ჩინგიზიდების ჩამომავალი არ იყო. ხანად მან ჩინგიზიდების ერთ-ერთი ჩამომავალი სოიურღათმიში გამოაცხადა, რომლის სახელით მართავდა ქვეყანას. თავად თემურმა “ქურაქანის” ანუ ხანის სიძის ტიტული მიიღო – მან ცოლად შეირთო მისი ყოფილი მოკავშირის, ჰოსეინის ერთ-ერთი ცოლი, რომელიც ჩინგისიდების ჩამომავალი იყო.

თემურმა შეძლო ქვეყანაში შინაფეოდალური ბრძოლების აღკვეთა და მტკიცე ცენტრალური ხელისუფლების შექმნა. ადმინისტრაცია და ჯარი მონღოლური დუმნების სისტემის მიხედვით მოაწყო. დიდ სახელმწიფო თანამდებობებზე და ლაშქრის სარდლებად თავის შვილებს, შვილიშვილებს და ნათესავებს ნიშნავდა. სახელმწიფოს დედაქალაქად სამარყანდი გამოაცხადა, სადაც მან ნაძარცვი ქონებითა და ტყვედ წაყვანილი ხელოს-ნების წყალობით მრავალი დიდებული სასახლე, მაჰმადიანთა სალოცავები, ციხე-კოშკები და მშვენიერი ბაღები სარწყავი სისტემებით გააშენა.

მაშინდელი ისტორიკოსების ცნობით თემური უწიგნური, მაგრამ მეც-ნიერებით დაინტერესებული კაცი ყოფილა. მას მშობლიური თურქულის გარდა სცოდნია სპარსული ენაც, რომელზედაც ის ესაუბრებოდა მეცნეირებს. თემურს სასახლეში “წიგნის წამკითხველები” ჰყოლია, რომელთა სა-შუალებით ეცნობოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგებს, განსაკუთრებით დაინტერესებული ყოფილა სხვადასხვა ქვეყნების ისტორიით, გატაცებული ყოფილა ჭადრაკით და საკმაოდ წარმატებებიც ჰქონია. ამ ადამიანური თვისებების გარდა თემურს არაადამიანური და არანორმალური თვისებებიც მრავლად ჰქონდა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მხეცური სისასტიკე დაპყრობილი ხალხებისადმი, თემურლენგი დაპყრობილ ქვეყნებს ძარცვავდა, ქალაქებს და ნაგებობებს წვავდა, მოსახლეობას ხოცავდა ან ტყვედ მიჰყავდა. მაგალითად, ქ. ისპაჰანის აღების შემდეგ 70000 კაცს თავი მოჰკვეთეს და თავებისაგან კოშკები ააგეს. ინდოეთში ლაშქრობისას 100000 კაცს თავი მოჰკვეთეს თავიანთი ცოლ-შვილის თვალწინ, კიდევ უფრო საშინელება ჩაიდინა თემურლენგმა ქ. ისფაზარის აღებისას, როცა კოშკის

მშენებლობისას 2000 ცოცხალი კაცი ჩაატანეს კედელ-ში და დუღაბი დაასხეს; სივასის აღებისას კი ცოცხლად დამარხეს 4000 მცხოვრები.

თემურლენგმა მიზნად დაისახა ჩინგიზ ხანის იმპერიის აღდგენა. და-ამთავრა თუ არა შუა აზიის გაერთიანება, დაიწყო მზადება ირანისა და მის დასავლეთით მდებარე ქვეყნების დასაპყრობად. ამ მიზნით მან სამი დიდი ლაშქრობა მოაწყო. ეს იყო ე. წ. სამწლიანი (1386-1389 წწ.), ხუთწლიანი (1392-1397) და შვიდწლიანი (1399-1405) ლაშქრობანი.

თემურის ლაშქრობათა მიზეზს მისივე ისტორიკოსები, განსაკთრებით არამუსლიმანურ ქვეყნებში, მაჰმადიანობის გავრცელების საჭიროებით ხსნიან. ეს მომენტი იყო არა მთავარი მიზანი, არამედ საშუალება დაპყრობისათვის, მთავარი მიზანი კი იყო ახალ-ახალი ქვეყნების დაპყრობა, ნადავლის მოპოვება, დახარკვა და მიწების მითვისება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით თემურის დაპყრობის მიზეზი მისი უზომო პატივმოყვარეობა და მსოფლიო ბატონობისაკენ მისწრაფებაც იყო. თემურს მიეწერება გამოთქმა: "მსოფლიო იმად არა ღირს, რომ მას ორი მეფე ჰყავდესო".

თემურის მისწრაფებას წინ აღუდგა ჩრდილოეთის ანუ ოქროს ურდოს ყაენი თოხთამიში, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა აზერბაიჯანსა და ირანზე.

თემურლენგის პირველი და მეორე ლაშქრობა საქართველოში. თემურლენგის პირველი შემოსევა საქართველოში მოხდა 1386 წელს. იგი დაკავშირებულია თოხთამიშის ლაშქრობასთან აზერბაიჯანში. 1385 წელს თოხთამიში 90 000-იანი ლაშქრით შემოიჭრა ამიერკავკასიაში დარუბანდი-სა და დარიალის გადმოსასვლელებით, შარვანზე გავლით გადავიდა სამხრეთ აზერბაიჯანში და ალყა შემოარტყა ქ. თავრიზს, რომელიც დიდი ბრძოლითა და ვერაგობით აიღო, გაძარცვა და გაანადგურა. თემურის ისტორიკოსთა ცნობით თოხთამიშის ლაშქარში "ურწმუნოებიც" ერივნენ – ე. ი. ქრისტიანები და, შესაძლოა, ქართველებიც. ივ. ჯავახიშვილის აზრით, თოხთამიშს ქართველებთან შეთანხმების გარეშე გაუჭირდებოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გადმოსვლა დარუბანდისა და დარიალის გზით. მათ შორის კავშირი უნდა არსებულიყო. ამით უნდა აიხსნას თემურლენგის მიერ თავრიზის აღების შემდეგ თბილისზე გამოლაშქრება და არა თოხთამიშის წინააღმდეგ წასვლა. 1386 წ. თემურლენგი სამხრეთ აზერბაიჯანში შეიჭრა, თავრიზი აიღო, გაძარცვა და დაარბია, თოხთამიშის მომხრეები დახოცა ან განდევნა. იმავე წლის ზაფხულის მიწურულს საქართველოსკენ გამოემართა. გზად სომხური თემები დაარბია, დიდი ბრძოლებით აიღო და დაანგრია გარნისის და სურმალუს ციხეები, შემდეგ ყარსის ციხეც აიღო და სამცხეში შემოიჭრა. იქიდან თრიალეთსა და ალ-გეთზე გამოვლით თბილისს მიადგა დიდი ჯარით და ალყა შემოარტყა.

ბაგრატ მეფე ელოდებოდა თემურლენგის შემოსევას და სათანადო მომზადებაც ჩაუტარებია. ქართველებს გაშლილ ველზე ბრძოლა თემურლენგის უზარმაზარ ლაშქართან მიზანშეუწონლად მიუჩნევიათ და ციხე-სიმაგრეების გამაგრება და იქ დახვედრა გადაუწყვეტიათ. ბაგრატ მეფე კარგად გამაგრებულ თბილისის ციხეში იმყოფებოდა. თბილისის წინააღმდეგ ბრძოლას თემურლენგი ხელმძღვანელობდა, თბილისის დამცველებს კი თვით ბაგრატ მეფე. მისი ხელმძღვანელობით მეციხოვნეები დღეში ორ-სამჯერ გამოიჭრებოდნენ გალავნის გარეთ, თავს

ესხმოდნენ მოალყეებს და დიდ ზიანსაც აყენებდნენ. თემურლენგმა თბილისის გალავნის დასან-გრევად კედლის სანგრევი მანქანები და ცეცხლსასროლი იარაღი, ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, ზარბაზნები გამოიყენა, რომელსაც ქალაქში და ციხეში ჩაისროდნენ და დიდი ეფექტიც მოახდინა. ბრძოლა რამდენიმე კვირა გრძელდებოდა. ბოლოს მოალყეებმა რკინის ჩელტები (დიდი ფარები) მოიმარჯვეს და თვით თემურის მეთაურობით მიიტანეს იერიში, გალავანი გადალახეს და ქალაქში შეიჭრნენ. ბაგრატი ერთხანს კიდევ იგერიებდა მტერს შიდა ციხეში, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა ბრძოლა შეეწყვიტა. თემურმა ბაგრატი, დედოფალი ანა, ბატონიშვილი დავითი და მათი მხლებლები ტყვედ აიყვანა. ბიზანტიელი ისტორიკოსის, მიქელ პანარეტოსის ცნობით, ეს მოხდა 1386 წლის 21 ნოემბერს.

თემურის მოლაშქრეებმა ქალაქი გაძარცვეს, მრავალი მცხოვრები დახოცეს და ტყვეც ბევრი წაივყანეს. სამეფო სახლში დაცული ცნობების მიხედვით, თემურლენგს თბილისიდან მდიდარი სამეფო ბიბლიოთეკაც წაუღია.

თემურლენგმა თბილისის ციხეში დიდი გარნიზონი ჩააყენა, რამდე-ნიმე რაზმი ქართლის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა დასარბევად და ნადავლის შესაგროვებლად, თავად კი მთავარი ლაშქრით აღმოსავლეთისაკენ წავიდა. გზად, ყარაიის ველზე, გამარჯვების აღსანიშნავად დიდი ნადირობა მოაწყო. შემდეგ კავკასიონის სამხრეთის კალთებს შეუყვა და იქაური მოსახლეობა დაარბია. თემურის მთელმა ლაშქარმა ჯერ ქ. კაბალაში მოიყარა თავი, შემდეგ კი მტკვარი გადალახა, ქ. ბარდავი უბრძოლველად დაიკავა და ყარაბაღში დადგა გამოსაზამთრებლად. თემურლენგის ბანაკში იმყოფებოდა ტყვედწაყვანილი ბაგრატ მეფე თავისი ოჯახითა და ამალით.

თემურლენგის პირველი ლაშქრობისას აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებიდან მხოლოდ შარვანი გადარჩა დარბევა-აოხრებას. შარვანის მმართველი შარვან-შაჰი შეიხ იბრაჰიმ დერბენდი (1382-1417 წწ.) დიდი საჩუქრებითა და მორჩილებით ეახლა თემურს და ქვეყანა აოხრებას გადაარჩი-ნა. სამაგიეროდ მას დაევალა მოლაშქრეობა თემურის მხარეზე. საქართველოს ყოფილმა ყმადნაფიცმა ქვეყანამ იძულებით თემურის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ რამდენიმე ლაშქრობაშიც კი მიიღო მონაწილეობა.

თემურლენგმა ბაგრატ მეფეს ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას შესთავაზა გამაჰმადიანება, სამაგიეროდ დიდ წყალობას დაჰპირდა. ყარაბაღში კი, როცა ბაგრატი დარწმუნდა, რომ ამის გარეშე თავს ვერ დააღწევდა ტყვეობას, მოჩვენებით მიიღო მაჰმადიანობა და თემურის “წყალობაც” და-იმსახურა – დამტკიცებულ იქნა საქართველოს მეფედ. თემურმა ბაგრატ მეფე და მისი გამაჰმადიანებული ამალა საქართველოში გამოისტუმრა და მოსახლეობის გამაჰმადაინება დაავალა, თან 12000-იანი ლაშქარი გამოაყოლა, რომელიც ბაგრატის დამხმარე იქნებოდა ამ საქმეში, ბაგრატმა მოახერხა შიკრიკის, აზნაურ რუს ეგნატაშვილის ფარულად გაპარება ბანაკიდან. ბაგრატი შვილებს უთვლიდა, ჯარით დახვედროდნენ და გაეთავი-სუფლებინათ მეფე ტყვეობიდან. გიორგი ბატონიშვილი მარჯვე ადგილას ჩაუსაფრდა, მოულოდნელად დაესხა თავს თემურის ლაშქარს და მთლია-ნად გაანადგურა. მეფე და მისი ამალა განთავისუფლებულ იქნა.

ამ ამბის გაგებამ, ცხადია, თემურლენგი მეტად აღაშფოთა, მაგრამ შუა ზამთრის გამო მაშინვე გამოლაშქრება შეუძლებელი იყო. ამიტომ ზამთარი ყარაბაღში გაატარა. 1387 წლის ადრე გაზაფხულზე, მარტში, როცა ჯერ კიდევ თოვდა და წვიმდა, მთელი მისი დიდი ლაშქრით საქართველოს დასასჯელად გამოემართა. ქართველები, რა თქმა უნდა, მოელოდნენ ხელახლა შემოსევას და სათანადო სამზადისიც ჩაუტარებიათ. ხალხი ციხესიმაგრეებში და კავკასიონის მთებში გახიზნეს და ჯარიც გაამზადეს სა-ომრად. ქართველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს და დიდი ზიანიც მიაყენეს, მაგრამ ბოლოს ჯარის სიმრავლით მაინც თემურლენგმა სძლია ქართველებს. მიუხედავად ამისა, თემურლენგმა საქართველოს დაპყრობა მაინც ვერ შეძლო – ჯერ კიდევ ბევრი კარგად გამაგრებული ციხე იყო ასაღები, თანაც დარუბანდის გზით აზერბაიჯანში კვლავ შემოიჭრა თოხთამიშის ლაშქარი და თემური იძულებული გახდა საქართველოდან გასულიყო. თოხთამიშის ეს ლაშქრობა, როგორც ჩანს, ქართველებთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული. თემურმა თოხთამიშს თავისი ვაჟი მირანშა-ჰი დაადევნა, რომელმაც თოხთამიში დაამარცხა და განდევნა ამიერკავკა-სიიდან. შემდეგ თემურმა ნახიჭევანში კარგად გამაგრებული ციხის – ალინჯის აღება სცადა, მაგრამ ვერ აიღო. ალყაშემორტყმულ ციხესთან თავისი ჯარის ნაწილი დატოვა, თავად კი შუააზიაში დაბრუნდა. 1394 წლამდე თემური საქართველოში აღარ გამოჩენილა.

თემურლენგის მესამე და მეოთხე შემოსევა საქართველოში 1394 წ. თემურლენგმა შუა აზიაში და ირანში "წესრიგის" დამყარების შემდეგ რამდენჯერმე თოხთამიშის წინააღმდეგ ილაშქრა. 1391 წ. 18 ივნისს დიდი ბრძოლა მოხდა თემურლენგისა და თოხთამიშის არმიებს შორის კუნდუხჩასთან ჩისტიპოლსა და სამარას შორის. გაიმარჯვა თემურლენგმა. შემდეგ შუა აზიაში დაბრუნდა და დაიწყო მზადება ახალი ლაშქრობი-სათვის ირანისა და მისი მიმდგომი ქვეყნების, მათ შორის ამიერკავკასიის დასაპყრობად.

1392-1393 წლებში თემურლენგმა ილაშქრა და ააოხრა ცენტრალური ირანის ქალაქები, შემდეგ ბაღდადი, სირია და სხვ. 1394 წლის გაზაფხულზე მიადგა სამხრეთ საქართველოს და 4 სარდალი 40 000-იანი ლაშქრით გააგზავნა სამცხე-საათაბაგოს დასარბევად. სამცხიდან დაბრუნებული ლაშქარი კოლის ველზე შეუერთდა თემურლენგის მთავარ ლაშქარს. სამცხის ლაშქრობის მიზანი, როგორც ჩანს, უნდა ყოფილიყო ნადავლის მოპოვება და მთავარი ლაშქრის მომზადება ახალი უფრო დიდი ლაშქრობისათვის, რომელიც შედგა იმავე წლის შემოდგომაზე არაგვის ხეობაში თვით თემურლენგის მეთაურობით.

1394 წლის 13 სექტემბერს თემური დიდი ლაშქრით კოლის ველიდან თრიალეთისა და ქვემო ქართლის გამოვლით არაგვის ხეობისაკენ გაემართა. გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდა, მოსახლეობას ძარცვავდა და ხოცავდა. დიდი ბრძოლები გაიმართა არაგვის ხეობაში. როგორც ჩანს, თემურის მიზანი იყო დარიალის გასასვლელის ხელში ჩაგდება, რათა საბოლო-ოდ აღეკვეთა ქართველთა მოკავშირე ჩრდილო კავკასიელი მოლაშქრეების გადმოყვანა და თოხთამიშის შესაძლო შემოსევა. საქართველოში თემურის ყოველი გამოჩენისთანავე თოხთამიში ცდილობდა აღმოსავლეთ ამიერკავ-კასიაში შემოჭრილიყო. ასე მოხდა ამჯერადაც. თემურლენგმა მთიელთა დიდი წინააღმდეგობის გამო ვერ შეძლო დარიალის ხელში ჩაგდება. იგი იძულებული გახდა მთიდან დაშვებულიყო, თბილისზე გავლით შაქისკენ გაემართა. ამ

დროს თემურმა შეიტყო, რომ თოხთამიში დერბენდის გზით შარვანში შეჭრილიყო და იქაურობას აოხრებდა. თემური სწრაფად გაემართა იქითკენ, მაგრამ ამ უკანასკნელმა ბრძოლას თავი აარიდა და სწრაფად დაბრუნდა უკან. თემური და მისი ლაშქარი მტკვრის პირას მაჰმუდ-აბადს გამოსაზამთრებლად დაბანაკდა და დაიწყო მზადება თოხთამიშის წინააღმდეგ დიდი ლაშქრობის მოსაწყობად. თემურისათვის სავსებით ცხადი გახდა, რომ იგი ამიერკავკასიას და, კერძოდ, საქართველოს საბოლოოდ ვერ დაიმორჩილებდა, თუ თოხთამიშს არ გაანადგურებდა.

1395 წ. გაზაფხულზე თემური დარუბანდის გზით ჩრდილოეთ კავკა-სიაში გადავიდა. თოხთამიშიც მომზადებული იყო თემურის დასახვედრად. ბრძოლა მოხდა მდინარე თერგის პირად, გაიმარჯვა თემურლენგმა: მან გადაწვა და გაანადგურა ოქროს ურდოს დედაქალაქი სარაიბერქე და სხვა ქალაქები, გაძარცვა და დაატყვევა დიდძალი მოსახლეობა. ამის შემდეგ თოხთამიშს რაიმე დიდი ღონისძიება თემურის წინააღმდეგ არ განუხორციელებია. უკან დაბრუნებულმა თემურლენგმა დალაშქრა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ საქართველოსთან, და-უნგრია ქრისტიანული რელიგიის ძეგლები და ძალით მიაღებინა ისლამი.

თემურლენგი დერბენდის გამოვლით შარვანში (რომლის მმართველი თან ახლდა მას თოხთამიშთან ბრძოლაში) მივიდა და იქვე დაბანაკდა. მან ირანი და მისი მიმდგომი ქვეყნები, რომელთა შორის საქართველოც იგულისხმებოდა, თავის ვაჟს – მირანშაჰს დაუმტკიცა. 1397 წ. თემური სამარყანდში დაბრუნდა და დაიწყო მზადება ინდოეთში გასალაშქრებლად.

თემურლენგის მეხუთე და მეექვსე შემოსევა საქართველოში შვიდწლიანი ლაშქრობის დროს. 1398 წ. თემური ინდოეთთან ომით იყო დაკავებული. ამით ისარგებლეს ამიერკავკასიის ხალხებმა და აჯანყდნენ. გიორგი მეფემ (1393-1407) კავშირი დაამყარა ჯალაირიანთა დინასტიის წარმომადგენლებთან, რომელნიც ჯერ კიდევ აგრძელებდნენ ბრძოლას თემურის წინააღმდეგ. ჯალაირიანთა ერთ-ერთი ბატონიშვილი თაჰერი ნახიჭევანში, ალინჯის ციხეში იყო ალყაშემორტყმული უკვე ათი წელი. უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილმა მეციხოვნეებმა მეფე გიორგის სთხოვეს დახმარება. გიორგის სთხოვა დახმარება აგრეთვე აჯანყებულმა შაქის მმართველმა სიიდი ალიმაც.

გიორგი მეფემ საქართველოს ლაშქარი შემოიკრიბა, ჩრდილოეთ კავ-კასიელებიც მოიშველია და სიიდი ალი შაქისელთან ერთად ალინჯის ციხეს შეუტია. გიორგი მეფემ მოალყეები დაამარცხა და გარეკა. ციხე ახალი მოლაშქრეებითა და იარაღით გააძლიერეს და სურსათ-სანოვაგით მოამარა-გეს. ბატონიშვილი თაჰერი საქართველოში წამოიყვანეს. უკან გამობრუნებულებს გზად მირანშაჰის მიერ გამოგზავნილი ჯარი შემოეყარათ. ქართველთა ლაშქარმა ისინიც დაამარცხა (სიიდი ალი ამ მბრძოლაში დაიღუ-პა).

ამიერკავკასიის აჯანყების შესახებ ცნობა თემურლენგს ინდოეთშივე მიუვიდა. 1399 წლის გაზაფხულზე უკვე სამარყანდში დაბრუნებულა და დაუწყია მზადება შვიდწლიანი ლაშქრობის მოსაწყობად. ამ ლაშქრობის მთავარი მიზანი საქართველოს საბოლოო დაპყრობა და გამუსლიმანება, ან მისი განადგურება იყო. შუა აზიიდან წამოსული თემურლენგი 1399 წლის ბოლოს მოვიდა ამიერკავკსიაში და ყარაბაღის ველზე დაბანაკდა. აქ მას ეახლა შარვანშაჰი

იბრაჰიმი და შაქის მმართველი სიიდი ახმედი, რომელ-საც აპატია მამამისის აჯანყება, შაქის მმართველად დაამტკიცა და ორივეს საქართველოს წინააღმდეგ ომში მონაწილეობა უბრძანა.

თემურმა თავისი ლაშქრის ყოველი ათეულიდან სამი რჩეული მებრძოლი გამოიყვანა და ასე შეადგინა 100000-იანი არმია, რომელთაც უბრძა-ნა 10 დღის საგზლის წაღება. მათ მიემატა შარვანისა და შაქის ჯარებიც. ეს დიდი ლაშქარი შეიჭრა ჰერეთ-კახეთში, რომელსაც სპარსულ წყაროებ-ში "ხიმშიას ხევი" ეწოდება. მკვლევართა აზრით, ხიმშიას ხევი იგივე ჰერეთის საერისთავო უნდა იყოს . ამ ლაშქრობის მიზანი უნდა ყოფილიყო ნადავლის და საკვების მოპოვება მთავარი ლაშქრობისათვის.

თემურის ლაშქარი ჰერეთში შეიჭრა ტყიანი გზით. ჯარისკაცები ცულებით იკაფავდნენ გზას. 20 დღის განმავლობაში განუწყვეტლივ თოვდა. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ხიმშიას ლაშქარი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს, ბრძოლა ერთი თვე გაგრძელდა. თემურის მოლაშქრეები ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს. ჩეხავდნენ ხეხილს, ვენახებს, კაკლის ხეებს. ბოლოს, დიდთოვლობაში, საქონლის საკვების სიმცირის გამო, იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ ლაშქრობა და უკან დაბრუ-ნებულიყვნენ. მტრის ჯარმა ჰერეთიდან გამოიტანა დიდძალი ქონება. გან-საკუთრებით ბევრი იყო ცხვრის ფარები და საქონლის ჯოგები, აგრეთვე საკვები პროდუქტები, ჰერეთიდან გამოსული ლაშქარი ყარაბაღში შეუერთდა მთავარ ბანაკს.

1399-1400 წლის ზამთარი თემურლენგმა ყარაბაღში გაატარა. საკვების მომარაგებისა და ლაშქრის შევსების შემდეგ თემურლენგი 1400 წლის გაზაფხულზე საქართველოსკენ გამოემართა და საქართველოს საზღვართან დაბანაკდა. გიორგი მეფეს ელჩი გამოუგზავნა და მორჩილება და ბატო-ნიშვილ თაჰერის გაცემა მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს აოხრებით იმუქრებოდა. სპარსული წყაროების მიხედვით, გიორგიმ მოციქულს "უხეში პასუხი" გასცა. ქართლის ცხოვრების გაგრძელების მიხედვით გიორგის ელჩისთვის განუცხადებია: "მე მეფისა შენისა უმცირესი არა ვარ... უკეთუ არ აღასრულოს საქმე ეგე, იყოსმცა დიაცი და არა კაცი". გიორგი მეფის ამ ზედმეტად "გაბედულმა" პასუხმა, ცხადია, უაღრესად პატივმოყვარე თემურლენგი დიდად განარისხა. ის მთელი თავისი უზარმაზარი ლაშქრით საქართველოში შემოიჭრა. მისი მიზანი საქართველოს მთლიანი განადგურება იყო.

გიორგი მეფესაც დიდი სამზადისი ჩაუტარებია. მობილიზებული იყო "ყოველი საქართველო", დამხმარე ჯარი გადმოიყვანეს ჩრდილოეთ კავკა-სიიდანაც.

თემურლენგისა და ქართველთა ლაშქარი გოგჩის ტბასთან შეებნენ ერთმანეთს, ქართველთა ლაშქარს უკეთესი პოზიცია ეჭირა. ქარიანი დღე იყო და მტერს პირდაპირ სახეში აყრიდა მტვერს. ქართველები თავგანწირვით ეკვეთნენ მტერს და მისი მეწინავე რაზმები თითქმის მთლიანად გაა-ნადგურეს. "ამისთანა მარცხი და ზიანი არაოდეს შემთხვევია სპათა ლან-გთემურისათა", ნათქვამია ქართლის ცხოვრების გაგრძელებაში. მაგრამ მტრის ლაშქარი სიმრავლით დიდად სჯობდა ქართველებისას. მთელი დღის ბრძოლის შედეგად მოღლილ ქართველებს საღამოს ახალი დიდი ძალებით შემოუტია თემურლენგმა. ქართველები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ და "წარვიდეს მთათა და სიმაგრეთა".

ქართველები ქვემო ქართლის ციხესიმაგრეებსა და გამოქვაბულებში გამაგრდნენ და იქიდან განაგრძობდნენ ბრძოლას. თემურლენგის მეომრები თოკებზე გამობმული კალათებით ეშვებოდნენ გამოქვაბულების წინ და ისრებით ცეცხლმოკიდებულ ჩვრებს შეისროდნენ. ასე გამოვლეს ქვემო ქართლის მთიანი ნაწილი. შემდეგ თბილისს მოადგნენ და დიდი ბრძოლით ისიც აიღეს. თემურს გიორგი მეფის შეპყრობა სურდა და ყველაფერს აკეთებდა ამისათვის. მან სპეციალური რაზმები დაადევნა გიორგის. გიორგი ბრძოლით იხევდა უკან. მოწინააღმდეგეები ისე ახლო-ახლო იბრძოდნენ, რომ გიორგის ამალის ზოგიერთი წევრი ტყვედაც კი ჩაიგდეს მონღოლებმა. გზადაგზა მტერი ანადგურებდა ეკლესიებს, ციხესიმაგრეებს, საცხოვრებელ სახლებს, ნათესებს, ხეხილის ბაღებს. ასე გავლეს მუხრანი და მისი მიდამოები. შემდეგ ქსნის მიდამოებში შეიჭრნენ. ქსნის ერისთავი ვირშელი ნახიჭევანის ლაშქრობის მონაწილე იყო. როგორც ჩანს, იქიდან წამოყვანილი ტყვეები ქსნის ხეობაშიც ყოფილან. თემურის ქსნის საერისთავოში შეჭრის ერთ-ერთი მიზანი მათი განთავისუფლებაც ყოფილა. ვირ-შელი ქნოღოს ციხეში გამაგრდა და დიდი წინააღმდეგობაც გაუწია მომხდურებს. მტერმა ვიწრო ხეობაში დიდი ლაშქრის გაშლა ვერ მოახერხა და ბოლოს იძულებული გახდა უკან გამოსულიყო, თუმცა ქსნის ხეობას მაინც დიდი ზიანი მიაყენა. ქსნის ხეობის შემდეგ მონღოლები ჯანიბეგის მამულში შეიჭრნენ. ჯანიბეგი, ბერი ეგნატაშვილის ცნობით, “მთავარი ქართლისა” (ე. ი. დიდებული) იყო. იგი ზედგინიძეთა ფეოდალური სახლის უფროსი უნდა ყოფილიყო. ჯანიბეგი ერთხანს დიდ წინააღმდეგობას უწევდა თემურლენგს, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა დამორჩილებოდა. თუმცა მისი სამფლობელო აოხრებას მაინც ვერ გადაურჩა. აღსანიშნავია, რომ ჯანიბეგის სამფლობელოშიც ყოფილა ნახიჭევანიდან წამოყვანილი მუსლიმანი ტყვეები.

შემდეგ დიდი ბრძოლა გაიმართა გორის ციხესთან. ქართველთა დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, თემურლენგმა მაინც აიღო ციხე. გიორ-გი მეფე ბრძოლით იხევდა უკან. თემური გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდა. შვიდი დღის განმავლობაში იცავდნენ ქართველები კარგად გამაგრებულ ძამის ციხეს. შემდეგ გიორგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ციხე, ალყა გაარღვია და კვლავ დასავლეთისაკენ დაიხია. თემურის ჯარებმა იქაურობა ააოხრეს და მოსახლეობა დახოცეს. ბოლო ბრძოლა გიორგი მეფემ ლიხის ქედის მიდამოებში გაუმართა მტერს. გიორგი მეფე იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო. თემურლენგმა და-სავლეთ საქართველოში გადასვლა ვერ გაბედა.

ამის შემდეგ თემურლენგი სამცხეს შეესია, გაძარცვა და ააოხრა. ტყვეებიც მრავლად მოაგროვეს. იქიდან თრიალეთზე გამოვლით თეძმის ხეობაში ჩავიდნენ და იქაურობაც გაძარცვეს და ააოხრეს, მათ შორის რკონის მონასტერიც. შემდეგ ქვათახევის მიდამოები დაარბიეს, მონასტერს კი ცეცხლი წაუკიდეს და იქ თავშეფარებული ხალხი, მათ შორის ბერმო-ნაზონნი გამოწვეს. შემდეგ თათრები მცხეთას შეესივნენ და სვეტიცხოველი გაძარცვეს და დაანგრიეს. დიდი ბრძოლები გაიმართა არაგვის ხეობა-შიც. არაგვის მოსახლეობამ დიდი ზარალი განიცადა. აქედან თემურლენგი სამხრეთით კოლის მინდვრისაკენ გაემართა, გზად ფანასკერტის ციხე აიღო, მისი მიდამოები გაანადგურა და კოლის მინდორზე დაბანაკდა.

1400 წლის ლაშქრობა, რომელიც გაგრძელდა მთელი გაზაფხულზაფხული, ყველაზე ხანგრძლივი და ულმობელი იყო. დაანგრიეს, გაძარცვეს და გადაწვეს მრავალი ქალაქი და

სოფელი, ციხესიმაგრე და ეკლესიამო-ნასტერი, ყანები და ხილის ბაღები: ტყვედ წაიყვანეს 60000 და გაჟლიტეს გაცილებით მეტი ადამიანი. ყოველივე ეს, თემურლენგის ისტორიკოსების თქმით, იმიტომ მოხდა, რომ გიორგი მეფემ ნახიჭევანში ალინჯას ციხის მოალყე თათრები დახოცა, ციხეში მომწყვდეული ბატონიშვილი თაჰერი გამოიყვანა და თემურის მოთხოვნის შემდეგ არ გადასცა მას.

თემურლენგის მეშვიდე ლაშქრობა. ზავის დადება. თემურლენ-გის საქართველოდან წასვლის შემდეგ გიორგი მეფე აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და შინაური საქმეების მოწესრიგებას შეუდგა. გი-ორგი მეფემ და ვირშელ ქსნის ერისთავმა დალაშქრეს და დასაჯეს დვალები, რომლებმაც ისარგებლეს თემურლენგის შემოსევით და ქსნის ხეობა დაარბიეს და გაძარცვეს.

1401 წელს თემურლენგის ჯარებმა, როგორც იქნა, ათი წლის ალყის შემდეგ აიღეს ნახიჭევანში ალინჯას ციხე. იმავე წელს თემურლენგი საქართველოს საზღვრებს მოადგა აღმოსავლეთიდან და შამქორში დაბანაკდა.

შამქორში თემურლენგს გიორგი მეფის ელჩი კონსტანტინე ბატონიშვილი ეახლა დიდი საჩუქრებით და მეფის სახელით ზავი შესთავაზა. თემურლენგი ოსმალეთის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდა და ამიტომ ზავი მისთვის სასურველი იყო. ზავის პირობის მიხედვით საქართველო კისრულობდა ხარკს, ჯარის გარკვეული რაოდენობის გამოყვანას, ქართველებს არ უნდა შეევიწროვებინათ მუსლიმანები და სხვა. სამაგიეროდ, თემურლენგი უსაფრთხოებას აღუთქვამდა საქართველოს. ზავი დაიდო 1401 წ. სექტემბერში. თემურლენგი გამოსაზამთრებლად ყარაბაღში დადგა. გაზაფხულზე თემურლენგის დიდი ლაშქარი ოსმალეთისაკენ გაემართა. გზად თორთუმის ციხეს მიადგა, რომელშიც 200მდე ქართველი მეციხოვ-ნე იყო გამაგრებული, ხუთი დღის ბრძოლის შემდეგ აიღო და დაანგრია, მეციხოვნეები კი გაწყვიტა.

თემურლენგის მერვე ლაშქრობა. 1402 წლის 28 ივლისს ანგორასთან (ანკარა) თემურლენგმა სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის სულთანი ბა-იაზეთი და ტყვედ იგდო იგი. დაარბია ოსმალეთის ქალაქები, ოსმალთა სახელმწიფო გაყო ოთხ ნაწილად და ბაიაზეთის შვილებს დაუნაწილა. “ოსმალეთის საკითხის” მოგვარების შემდეგ თემურლენგმა კვლავ საქართველოსთვის მოიცალა.

1403 წ. გაზაფხულზე თემურლენგი საქართველოსკენ გამოემართა და ყარსში დაბანაკდა. ამ ლაშქრობის მიზეზად თემურის ისტორიკოსს, ნიზამ ადდინ შამის, დასახელებული აქვს 1401 წ. დადებული ზავის შეუსრულებლობა.

თემურლენგმა თავის მორჩილ ვასალს, შარვანშაჰ შეიხ იბრაჰიმს დაავალა აღმოსავლეთიდან შესეოდა საქართველოს.

ასეთ ვითარებაში გიორგი VIIმ კვლავ მოლაპარაკებით სცადა შემო-სევის თავიდან აცილება. ელჩად კვლავ თავისი ძმა კონსტანტინე ბატონიშვილი გაგზავნა სათანადო საჩუქრებით. მაგრამ თემურლენგმა მოლაპარაკება არ ინდომა და არც საჩუქრები მიიღო, მეფეს კი, ბერი ეგნატაშვილის სიტყვით, შემოუთვლია: “უკეთუ გინდა წაუხდენლობა ქვეყნისა ამის, მოდი

ჩემთანა, გათათრდი, და თუ გათათრდები, არცა გთხოვ ხარკსა... და უკეთუ არ გათათრდები, დაიდევ ხარკი ჩემი... და მოგცემ ქვეყანასა მაგას, და, როგორც განუტევე შვილი კეისრისა, ეგრეთვე შენცა არას გავნებ და განგიტევებ მშვიდობით, რამეთუ იგიცა შენის სჯულისა (ე. ი. ქრისტიანი) იყო".

გიორგი დროის გაყვანას ცდილობდა, რომ ხალხს მოსავლის აღებადაბინავება მოესწრო. თემურმა არ დააცალა. სწრაფად შემოიჭრა საქართველოში, ქვემო ქართლში შევიდა და ალგეთის ხეობაში მდებარე ბირთვი-სის ციხეს შემოარტყა ალყა.

ბირთვისის ციხე 75მეტრიან მაღალ და ციცაბო კლდეზე იყო აღმართული. კარგად გამაგრებულ ციხეს იცავდა ციხისთავი, ოცდაათი დიდებული და "სხუანი მრავალნი აზნაურნი და მსახურნი". ციხე კარგად იყო მომარაგებული საკვებით, წყლით და ღვინითაც კი. ციხისათვის ბრძოლას თვით თემური ხელმძღვანელობდა. ციხის ახლოს მაღალი სამეთვალყურეო კოშკი ააგეს, ციხეს კედლის სანგრევი მანქანები მიუყენეს და ლოდებს უშენდნენ. ციხის მიუვალობაში დაიმედებულმა მეციხოვნეებმა საჭირო სიფრთხილე ვერ გამოიჩინეს. ამით ისარგებლეს მოალყეებმა და ღამით, როცა ჯარის მიერ ხელოვნურად ატეხილი ხმაურით დაღლილმა მეციხოვ-ნეებმა ჩაიძინეს, ციცაბო კლდეზე მცოცავები ავიდნენ და თოკის კიბე აიტანეს. კიბით 33 მებრძოლი გადავიდა ციხეში, მათ შეძლეს ციხის გალავ-ნის კარების გაღება, რომელშიც მოალყეები შეცვივდნენ. ქართველები ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდნენ, მაგრამ მტრის უსაზღვრო სიმრავლემ სძლია. უმეტესობა ბრძოლაში დაიღუპა, ციხისთავი და რამდენიმე დიდებული ტყვედ შეიპყრეს და თავები მოჰკვეთეს. ციხისთავის ცოლი, თემურლენგის ბრძანებით, შარვანშაჰს აჩუქეს. სხვა დიდებულთა ცოლ-შვილი კი მებრძოლებს დაურიგეს. თემურმა ბირთვისი და მისი მიდამოები ერთ-ერთ თავის სარდალს გადასცა და დაავალა იქაურობის ქრისტიანთაგან გაწმენდა. ეს მოხდა 1403 წ. 12 აგვისტოს.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ თემურლენგმა ყურულთაი მოიწვია, რომელზედაც დასავლეთ საქართველოში ლაშქრობა დაადგინეს. თემურლენგმა გადაწყვიტა საბოლოოდ მოეთხარა საქართველო და მის უკიდურეს დასავლეთ საზღვრებამდე მისულიყო. იმერეთში გადასასვლელი გზები მთიანი და ტყით დაფარული იყო. მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობის პირობებში მტრის ლაშქარი ნელა მიიწევდა წინ. გზადაგზა მათ გაა-ნადგურეს მრავალი სოფელი, ეკლესიამონასტერი, ბაღვენახები და სხვ., სულ 700მდე ობიექტი. იმერეთში სექტემბერში დაწყებული ლაშქრობა დეკემბრამდე გაგრძელდა. მნიშვნელოვანი ზარალი მოსდიოდა თემურის ლაშქარსაც. ამას ემატებოდა მოლაშქრეთა და სარდალთა უკმაყოფილება გაუთავებელი ლაშქრობებით. მოსალოდნელი იყო დიდთოვლობის ვითარებაში იმერეთში გადასასვლელი გზების ჩაკეტვა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, თემური იძულებული გახდა 12 დეკემბერს ბრძოლა შეეწყვიტა. ამ დროს, "მეგლი ერისთავთა"-ს ავტორის ცნობით, "ლაშქარი მათი ქუთათისამდე იყო მიწევნული".

თემურლენგი ფაქტობრივად თვითონ გამოვიდა ზავის დადების ინიციატორად. მან თავის ბანაკში ტყვედმყოფ ქართველ სარდლებს აგრძნობი-ნა, რომ გიორგი მეფის თხოვნის შემთხვევაში არ იქნებოდა დაზავების წინააღმდეგი. ამ ცნობის მიღების შემდეგ გიორგი მეფემ ელჩები გაგზავნა თემურთან დიდი საჩუქრებით. ეს იყო თემურის სახელზე მოჭრილი ათა-სი ოქროს

ფული, ათასი ცხენი, ძვირფასი ქსოვილები, ოქროს, ვერცხლისა და ბროლის ფიალები, თვრამეტმისხლიანი მანათობელი ლალი და ბევრი სხვა. დაიდო ზავი, რომლის თანახმად გიორგი მეფე კისრულობდა ხარკის გადახდასა და მაშველი ჯარის გამოყვანას, რაც შეეხება თემურლენგის ადრინდელ კატეგორიულ მოთხოვნას, რომ გიორგი მეფე თავად უნდა გამოცხადებულიყო თემურლენგთან და მორჩილება აღეთქვა, ახლა ამაზე სა-უბარი აღარ ყოფილა. ეს ზედმეტად პატივმოყვარე თემურისათვის უსიამოვნო ვითარება იყო, მაგრამ იგი იძულებული გახდა ამასაც შერიგებოდა.

ზავის დადების შემდეგ თემური თავისი ლაშქრით იმერეთიდან გადმოვიდა და აღმოსავლეთისაკენ გაემართა. გზად, მიუხედავად ზავისა, თბილისი და მისი მიდამოები დაარბია (ეტყობა მას არ სწამდა, რომ გი-ორგი ზავის პირობებს აასრულებდა). თემური ყარაბაღის გავლით სამარყანდს მივიდა.

1404 წ. თემურმა ახალი ლაშქრობის სამზადისში გაატარა. 1405 წ. და-საწყისში იგი დიდი ლაშქრით ჩინეთის დასაპყრობად გაემართა, მაგრამ გზაში, ქ. ოთრარში, ცხელებით გარდაიცვალა, სამარყანდში მიასვენეს და თავისივე აგებულ აკლდამაში დაკრძალეს.

თემურლენგის უზარმაზარი იმპერია მისი გარდაცვალებისთანავე დაი-შალა. მისი შვილები და შვილიშვილები ერთმანეთს ებრძოდნენ ხელისუფლებისათვის. დაპყრობილ ხალხთა უმრავლესობა განთავისუფლდა, მათ შორის იყო ქართველი ხალხიც.

ჩვიდმეტი წლის განმავლობაში (1386-1403) თემურლენგის რვაგზისმა შემოსევამ უდიდესი და გამოუსწორებელი ზარალი მიაყენა საქართველოს. ქართველმა ხალხმა უმაგალითო გმირული ბრძოლების შედეგად შეძლო ფიზიკური არსებობის, სახელმწიფოებრიობის და სარწმუნოების შენარჩუ-ნება, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ან ბრძოლაში დაიღუპა, ან ტყვედ იქნა წაყვანილი. დანგრეული, გაძარცვული და გადამწვარი იყო მრავალი ქალაქი, სოფელი, ციხესიმაგრე, ეკლესიამონასტერი. გაჩეხილი და გადამწვარი იყო მრავალი ბაღვენახი, თუთისა და კაკლის ხეები და სხვა. ამ ზარალის აღდგენა საქართველომ საუკუნეების განმავლობაში ვეღარ შეძლო.

რაც შეეხება მეფე გიორგი VII-ს, იგი უაღრესად მამაცი და გამბედავი პიროვნება ყოფილა. მაგრამ ივ. ჯავახიშვილის აზრით, "როგორც პოლიტიკოსსა და სამხედრო საქმის ხელმძღვანელს... ზოგიერთი აუცილებელი საჭირო თვისება ჰკლებია". აქ იულისხმება საკუთარი ძალებისა და მიუვალ ციხესიმაგრეთა "გადაჭარბებული მოიმედეობა", მეორე მხრივ, იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების არასათანადო გათვალისწინება. მას შემდეგ, რაც თემურლენგმა ოქროს ურდო და თოხთამიში დაამარცხა, დაიპყრო მთელი ირანი და ინდოეთიც კი, ამასთანავე შარვანის ძლიერი მმართველი იბრაჰიმიც თემურლენგის მხარეს იყო, ასეთ ვითარებაში აქტი-ური საგარეო პოლიტიკის წარმოება შესაძლოა შეცდომაც კი იყო. ნახჭევა-ნის დარბევა, ალინჯის ციხის ალყის გარღვევა და ციხიდან ბატონიშვილ თაჰერის გამოყვანა, შემდეგ თემურის მოთხოვნაზე, გადაეცა მისთვის თა-ჰერი, უარის თქმა და "უხეში პასუხის" გაგზავნა, ავადმყოფურად პატივმოყვარე თემურლენგისათვის გამოწვევა იყო. 1399 წლისა და მომდევნო

ლაშქრობანი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა და, თითქოს, შურისძიებით იყო ნაკარნახევი.

თავი XII. საქართველო XV საუკუნის I ნახევარში

გიორგი VII და კონსტანტინე I. თემურლენგი 1405 წლის 18 თებერვალს გარდაიცვალა. როგორც ქართველი ისტორიკოსი შენიშნავდა: "ბოროტი იგი ბოროტად წარწყმდა". ამდენი სისხლითა და ნგრევა-აოხრებით შეკოწიწებული იმპერია მის სიკვდილს თან გადაჰყვა. თემურლენგის მემკვიდრეებს შორის ატეხილი ბრძოლის შედეგად ჩაღათაელთა სახელმწიფო დაიშალა. ჰულაგუიანთა ირანის სამფლობელოებს ერთმანეთს ეცილებოდნენ თემურის შვილი მირანშაჰი და მისი ვაჟები ომარი და აბუბექარი. შექმნილი ვითარებით ისარგებლა გიორგი VII-ემ და თემურის ნაში-ერთა წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. მან არა მარტო განდევნა საქართველოს ციხეებში ჩაყენებული მონღოლები, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეთაც აქტიური მოქმედება იწყო.

საქართველოს მეფემ ალატაღთან დაამარცხა მირზა ომარის მიერ მის წინააღმდეგ გაგზავნილი 15-ათასიანი ლაშქარი.... ქართველების ამ წარმატებით კარგად ისარგებლა შარვან შაჰმა შეიხ იბრაჰიმმა და შარვანში ხელი-სუფლება განიმტკიცა. ბუნებრივია, იგი ქართველების მოკავშირედ გამოდიოდა.

როგორც შარვანს, ასევე საქართველოს ამჯერად შავბატკანიანი (ყარაყონილუს) თურქმანები დაემუქრნენ. ამ ტომების მეთაურმა ყარა-იუსუფმა თემურ ლენგის შემოსვლის შემდეგ აჰმად ჯალაირთან ერთად ოსმალეთს, შემდეგ კი ეგვიპტეს შეაფარა თავი. როცა ირანში თემურის მემკვიდრეებს შორის დაიწყო ბრძოლა, იგი დაბრუნდა და მათთან ბრძოლაში ჩაერთო. მან დაამარცხა როგორც თემურის ვაჟი მირანშაჰი, ისე თავისი ყოფილი მოკავშირე აჰმედ ჯალაირიც და შავბატკნიან თურქმანთა ახალ სახელმწიფოს ჩაუდგა სათავეში. 1407 წ. სწორედ შავბატკნიან თურქმანებთან ბრძოლაში დაიღუპა საქართველოს მეფე გიორგი VII. სამწუხაროდ, გიორგი მეფის დაღუპვის კონკრეტული გარემოებანი უცნობია. იგი საქართველოს სამეფო ტახტზე მისმა ძმამ კონსტანტინემ შეცვალა.

კონსტანტინე I-იც (1407-1412 წწ.) აგრძელებს ბრძოლებს ყარაყოინლუს თურქმანთა წინააღმდეგ. ამჯერად იგი შაქის მმართველ სიიდი აჰმედთან ერთად შარვან-შაჰ შეიხ იბრაჰიმის დასახმარებლად გამოვიდა. საქართველოს ტრადიციული სამოკავშირეო თუ პატრონყმური ურთიერთობა ჰქონდა შარვან-შაჰთან და როდესაც შეიხ იბრაჰიმმა საქართველოს მეფეს დახმარება სთხოვა, კონსტანტინე I 2000-კაციანი სამხედრო ძალით მის მხარდასაჭერად გამოვიდა. მოკავშირეები მდ. მტკვრის პირას, ჩალაღანთან დაბანაკდნენ. ყარა-იუსუფმა ღამით მტკვარი გადალახა და მოულოდნელად თავს დაესხა მძინარე ბანაკს. შეიხ იბრაჰიმმა გაქცევა სცადა, მაგრამ ხანდაკზე გადასვლისას ხელი მოიტეხა და მოწინააღმდეგეს ტყვედ ჩაუვარდა. სპარსელი ისტორიკოსების ერთობლივი აღიარებით, ქართველები მტერს მამაცურად ებრძოდნენ, მაგრამ ძალები უთანაბრო იყო და მათი დამარცხებაც გარდუვალი. მეფე კონსტანტინე თავის 300 აზნაურთან ერთად ტყვედ ჩაუვარდა თურქმანებს. სპარსელი

ისტორიკოსის ცნობით, ქართველებს ტყვეობაში თავი ამაყად ეჭირათ და თურქმანებს თავს არ უყადრებდნენ. ყარა-იუსუფის ბრძანებით როგორც კონსტანტინე, ისე მისი აზნაურები უკლებლივ ამოხოცეს. საქართველოს მეფეს თვითონ ყარა-იუ-სუფის ვაჟმა ფირბუდაყმა მოჰკვეთა თავი. დიდი ცდის შემდეგ ქართველებმა მეფე კონსტანტინეს გვამი საქართველოში ჩამოასვენეს და მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

ალექსანდრე I (დიდი). კონსტანტინეს მემკვიდრე ალექსანდრე I კონსტანტინეს დაღუპვის შემდეგ, 1412 წლის თებერვალში ერთიანი საქართველოს მეფედ აკურთხეს. იგი მაშინ 22 წლის ჭაბუკი იყო.

თავისი მეფობის დასაწყისში ალექსანდრე აგრძელებს ბრძოლებს ყარაყოინლუს თურქმანების წინააღმდეგ. როგორც თვითონ აღნიშნავს: "ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და განვასხენ ზღვართაგან ჩვენთა და ქრისტია-ნენი ფრიადს მშვიდობასა და მყუდროებასა მიეცნეს". საგარეო საფრთხესთან ერთად ალექსანდრეს სხვა არანაკლები მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრა უხდება, კერძოდ, ქვეყნის მთლიანობის დაცვა და ქვეყანაში წესრიგის დამყარება. უკვე 1414 წელს იგი გადავიდა დასავლეთ საქართველო-ში და იქ წარმოქმნილი კონფლიქტი ძალით მოაწესრიგა. სამეგრელოს მთავარმა მამია დადიანმა აფხაზეთზე ილაშქრა, მაგრამ დამარცხდა და თვითონაც დაიღუპა. სამეგრელოში გადასულ ალექსანდრე მეფეს მამია დადიანის შვილმა ლიპარიტმა პატიება და სამეგრელოს მთავრად დამტკიცება სთხოვა. ასევე მასთან მორჩილებით გამოცხადდა აფხაზეთის მთავარი შარვაშიძე. მთავართა ეს ურთიერთბრძოლა ქვეყნის ერთიანობას საფუძველს ურყევდა. ალექსანდრე ამჯერად რადიკალური ზომების გატარებას მოერიდა და ორივე მთავარს თავიანთი სამფლობელოები დაუმტკიცა. უკვე შემდეგ 1415 წელს ალექსანდრეს გალაშქრება მოუხდა სამცხის მთავრის ივანე ათაბაგის წინააღმდეგ, რომელიც ასევე ურჩობას და თვითნებობას იწყებდა. მეფემ განმდგარი მთავარი კოხტასთავს დაამარცხა და დაატყვევა კიდეც. მაგრამ მის მიერ დანაშაულის შენდობის თხოვნას და ერთგულების ფიცს ენდო და ისევ მთავრად დატოვა, თუმცა სამცხის ციხეები დაი-კავა, ურჩნი დასაჯა და იქ თავისი ერისთავები დასხა. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად მთავართა ურჩობანი ალექსანდრემ თითქოს ალაგმა, მაინც ყველაფრიდან ჩანდა, რომ ძველი სახელმწიფოებრივი ერთიანობა და ერთიანი სახელმწიფოებრივი მმართველობა წარსულს ბარდებოდა. მაგალითად, ამ პერიოდში ვაზირთა ხელისუფლება უკვე გაუქმებული ჩანს და ხელმწიფის კარზე მხოლოდ წვრილი მოხელეები ფუნქციონირებენ, რომელთა სამოქმედო ასპარეზი ძირითადად მეფის ისედაც შემცირებული დომენითღა იფარგლება.

ალექსანდრე I აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებასაც ცდილობს. ამ საქმეში მას ჰქონდა მარცხიცა და წარმატებაც. 1416 წ. ახალციხეში ყარაყოინლუს თურქმანები შემოიჭრნენ და დიდძალი მოსახლეობა ამოხოცეს. ამ ლაშქრობის შედეგად ყარა-იუსუფს ახალციხიდან დიდძალი ნადავლი და ტყვეები წაუყვანია.

ალექსანდრე I დაუკავშირდა შარვანისა და შაქის მფლობელებს, აგრეთვე ირანის მბრძანებელს შაჰ რუხს და ერთობლივი ძალით 1421 წ. და-ამარცხა ყარა-იუსუფის ვაჟი ისკანდერი. ალექსანდრე შეტევაზეც გადავიდა და სცადა თურქმანთა მიერ მიტაცებული მიწაწყლის უკან დაბრუნება.

1431 წ. საქართველოს ლაშქარმა აიღო ლორეს ციხე და დაიკავა მისი მიმდგომი მიწები, რომლებიც თემურლენგის პირველი შემოსევებისას ყოფილა მიტაცებული და იმჟამად თურქმან მომთაბარეებს ეჭირათ. ამ საქმე-ში დიდი როლი შეუსრულებია საქართველოს კათალიკოს თეოდორეს, რომელსაც ბრძოლის წინ პატრიოტული სიტყვითაც მიუმართავს ქართველ მეომართადმი და ამით მათი საბრძოლო სულისკვეთება აუმაღლებია. ლორეს ველის შემოერთება მრავალმხრივ იყო მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, აქ აღდგა ქართველ ფეოდალთა მიწათმფლობელობა, მეორეც, საქართველომ დაიბრუნა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მხარე და ციხე, რომელიც ჰკეტავდა სამხრეთიდან შემოსასვლელ გზას.

1434-1435 წლებში შემოერთებულ იქნა სივნიეთის მხარეც (დღევანდელი ყარაბაღი და მისი მიმდგომი ტერიტორია). აქ თავი გამოუჩენია ბეშქენ ორბელიანს, სუმბატის ძეს, რომელსაც ამ დამსახურებისათვის ლორეს ციხე გადასცეს. ეს ციხე მის საგვარეულოს ძველადვე ეკუთვნოდა, მაგრამ ჩამორთმეული ჰქონდა გიორგი III-ის დროს მოწყობილი ამბოხების გამო. სივნიეთისა და მახლობელი ტერიტორიების შემოერთებით საქართველოს შეთხელებულ მოსახლეობას 60 000ზე მეტი კომლი შეემატა. ამ მხარის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობაც დიდი იყო, რადგან იგი ძლიერ დაბრკოლებას შეუქმნიდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან, კერძოდ, ირა-ნის ტერიტორიიდან შემოსულ მტერს.

აღდგენითი სამუშაოები. ეკლესიის მდგომარეობა. ალექსანდრე I-ის მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თემურლენგის მიერ აოხრებულ საქართველოში აღდგენითი სამუშაოების ფართოდ გაშლა. რადგან სამეფო ხაზინა დაცარიელებული იყო, საჭირო სახსრების მოპოვების მიზნით 1425 წლიდან შემოღებულ იქმნა კომლობრივი სახელმწიფო გადასახადი 40 თეთრის (ვერცხლის ფული) რაოდენობით. ეს გადასახადი იკრიფებოდა ყოველწლიურად 1440 წლამდე. სათანადო სიგელში მეფე ალექსანდრე აღნიშნავს, რომ “რაოდენნი საქართველოს ციხენი, საყდარნი და მონასტერნი არიან, ყოველნივე სრულიად ახლად აღვაშენენ და შევამ-კუენ და აწ ჩუენსავე ჟამსა ამოგვიკვეთიაო”. რაც არ უნდა დიდი სამუშა-ოები ჩაეტარებინათ აღნიშნული 15 წლის განმავლობაში, დანგრეული შე-ნობების დიდი ნაწილის აღდგენა მაინც ვერ მოესწრებოდა, მით უმეტეს, რომ არც აკრეფილი სახსრები იქნებოდა საკმარისი.

ალექსანდრეს მეფობის ბოლო წლებში შეინიშნება მისი ოჯახის წევრების — შვილების, ძმების და სხვათა სულ უფრო აქტიური ჩარევა სახელმწიფო საქმეებში. ფეოდალები, მთავრები და თავადები, ჯგუფდებიან სამეფო ოჯახის ამა თუ იმ წარმომადგენლის გარშემო და ასეთი მიმხრობით ცდილობენ თავიანთი უფლებების კიდევ უფრო გაზრდას და განმტკიცებას. მეფე იძულებული ხდება თავისი ოჯახის წევრებს საუფლისწულოებად მისცეს ქვეყნის ესა თუ ის ნაწილი. მაგალითად, უფროს ვაჟს ვახტანგს მიეცა იმერეთის და ქართლის ნაწილი, ქართლში მასთან ერთად დააყენა მისი ძმა დიმიტრი ბატონიშვილი, გიორგი ალექსანდრეს ძეს მიეცა კახეთი. ეს ღონისძიება თითქოს საქართველოს ერთიანობის ინტერესებ-საც ემსახურებოდა, რადგან ცალკეულ ერისთავთა თუ ერისთავთ-ერისთავთა სეპარატისტული განწყობილების საპირისპიროდ მათ სათავეში თავისი ახლობლების დადგენით მეფე ვარაუდობდა ამ კუთხეების მტკიცედ შე-ნარჩუნებას. დასაწყისში თუ ეს მართლაც ქვეყნის ერთიანობის გარკვეული გარანტია იყო, შემდგომში მდგომარეობის შეცვლამ საწინააღმდეგო შედე-გი გამოიღო. ასეთი

საუფლისწულოები “ბატონიშვილობას” აღარ სჯერდებიან და უკვე “მეფეებად” იწოდებიან. მართალია, ქვეყნის სათავეში ჯერ კიდევ დგას “მეფეთამეფე”, მაგრამ მისი ხელისუფლებაც დღეებს ითვლის...

1440 წელს საქართველოს შემოესია ყარა-იუსუფის მემკვიდრე ჯეჰან-შაჰი, რომელმაც ქ. სამშვილდე აიღო და დიდძალი ხალხი ამოხოცა და დაატყვევა. სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფელის ცნობით, მან აქ 1664 მოკვეთილი თავისაგან მინარეთი დადგა, ხოლო 9400 ტყვე თან გაირეკა. იგი თბილისსაც შემოადგა, აიღო იგი და დედაქალაქის მოსახლეობას მხეცურად გაუსწორდა. ადგილობრივ ქრისტიანებს დიდი რაოდენობის ხარა-ჯა დააკისრა.

1442 წელს ალექსანდრე I-მა მეფობას თავი დაანება და ბერად შედგა.

თავი XIII. საქართველო XV საუკუნის შუა წლებში

ვახტანგ IV. გიორგი VIII-ის მეფობის პირველი პერიოდი. ალექსანდრე I-ის ბერად აღკვეთის შემდეგ საქართველოს “მეფეთამეფედ” შეიქმნა მისი უფროსი ვაჟი ვახტანგ IV (1442-1446 წწ.). მისი მცირე ხნით მეფობის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. გვიანდელი წყაროების ცნობით, 1444 წელს საქართველოს ჯეჰან-შაჰი კვლავ შემოსევია, მაგრამ ბრძოლაში განცდილი დიდი ზარალის გამო უკანვე გაბრუნებულა. ვახტანგ IV 1446 წელს გარდაიცვალა და სამეფო ტახტი მისმა ძმამ, გიორგი VIIIმ და-იკავა.

გიორგი VIII ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფეა. მისი მეფობის დასაწყისშივე ცალკეული სამთავროები — საბედიანო (სამეგრელო-აფხაზეთი), გურია და სამცხე სულ უფრო მეტად ამჟღავნებდნენ დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას.

1447 წ. სამცხეში მთავრის ხელისუფლებისათვის ბრძოლა ატყდა. ივა-ნე ჯაყელის უფროს ვაჟს, აღბუღას, მისი ძმა ყვარყვარე აუჯანყდა და სამცხის ათაბაგობა თვითონ იგდო ხელთ. ლტოლვილი აღბუღა გიორგი მეფეს ეახლა და დახმარება სთხოვა. საქართველოს მეფე ჯარით შევიდა სამცხეში. კონფლიქტი ამჯერად მშვიდობიანად დამთავრდა. ყვარყვარემ შებრძოლება ვერ გაბედა და მეფეს მორჩილებით ეახლა. გიორგიმ იგი დააპატიმრა (“დაიმჭირა კარსა თვისსა ზედა”), ხოლო ათაბაგობა კვლავ აღბუღას დაუბრუნა. 1451 წ., როდესაც აღბუღა გარდაიცვალა, სამცხის მთავრად მეფემ ყვარყვარე დასვა, მაგრამ განაწყენებული ყმის გული მაინც ვერ მო-იგო. იგდო რა ხელთ სამცხის მთავრის ხელისუფლება, ყვარყვარემ ყველა საშუალებით დაიწყო მცდელობა საქართველოს მეფის ქვეშევრდომობიდან თავის დასაღწევად.

პირველ რიგში მან სცადა თავისი სამთავრო დანარჩენი საქართველო-საგან ეკლესიურად ჩამოეშორებინა. ყვარყვარემ ისევე, როგორც მისმა მამამ, ივანემ, კვლავ წინ წამოსწია მაწყვერელი ეპისკოპოსი და იგი სამცხის ეპისკოპოსთა მეთაურად გამოაცხადა. ამის შემდეგ მაწყვერელსა და სხვა ეპისკოპოსებს ათაბაგი თვითონ ნიშნავდა და როგორც მათ, ისე მღვდელდიაკვნებს მცხეთაში აღარ აგზავნიდა დასამტკიცებლად, სამცხის ეკლესი-ებში წირვალოცვის დროს საქართველოს მეფეს და კათალიკოს-პატრიარქს აღარ ახსენებდნენ. ამ საქმეში ფორმალურ საბაბად გამოუყენებიათ სამცხე-ში შესაწირავების შესაგროვებლად ჩამოსული ვინმე ბერძენი მიტროპოლიტის (“მცბიერი ბერძენის”) ქადაგება, რომელიც მოუწოდებდა სამცხის

სამღვდელოებას მცხეთას აღარ დამორჩილებოდნენ და თავიანთ მეთაურად ანტიოქიის პატრიარქი ეღიარებინათ. სამცხის ეკლესიასა და მცხეთის საკათალიკოსოს შორის ასეთი განხეთქილებით ყვარყვარე ათაბაგი თავისი სამთავროს დამოუკიდებლობის განმტკიცებას ცდილობდა, მაგრამ ამჯერად მან მიზანს ვერ მიღწია. სამცხის მთავრის და სამღვდელოების ასეთი მოქმედების წინააღმდეგ ენერგიულად გაილაშქრა კათალიკოსმა დავით IVმ (1445-1459 წწ.). იგი თვითონ ჩავიდა სამცხეში და საფარის ეკლესიაში სა-ჯაროდ შეაჩვენა განდგომილი მღვდელმთავრები. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მათ და მათ მხარდამჭერებს ჩამოერთმეოდათ საეკლესიო მსახურების უფლება და დაედებოდათ მკაცრი სასჯელი — უზიარებლობა. ასეთ სამღვდელოებას მოსახლეობაც აღარა სცნობდა და მათ მღვდელმსახურებას არ მოინდომებდა. მცხეთის ავტორიტეტი ხალხში ჯერ კიდევ მაღალი იყო, ამიტომ "შეჩვენებულ-განკვეთილი" სამცხის სამღვდელოება იძულებული შეიქმნა მცხეთის კათალიკოსისათვის შენდობა და სასჯელის მოხ-სნა ეთხოვა. კათალიკოსი დავითი ყოველ ასეთ მომნანიებელ პირს ფიცისა და პირობის წიგნს ადებინებდა, სადაც ეს უკანასკნელნი აღნიშნავდნენ თავიანთ დანაშაულს და აღთქმას დებდნენ, რომ ასეთ საქმეს აღარ გაიმე-ორებდნენ.

ამრიგად, საერთო ქართული ეკლესიიდან სამცხის ეპარქიის გამოყოფის მცდელობა ამჯერადაც მარცხით დამთავრდა, მაგრამ ყვარყვარესა და სხვა მთავრების ბრძოლა საქართველოს მეფის ქვეშევრდომობიდან გამოსვლისათვის კვლავ გრძელდებოდა. ეს ბრძოლა მცირე ხნით შეაჩერა შეცვლილმა საგარეო-პოლიტიკურმა ვითარებამ, კერძოდ, თურქ-ოსმალთა მი-ერ კონსტანტინოპოლის აღებამ და დასავლეთიდან ამ აგრესორის მოახლოებამ.

კონსტანტინოპოლის დაცემა და თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობის მოწყობის ცდა. 1453 წლის 29 მაისს ხან-გრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ სულთანმა მეჰმედ IIმ შეძლო ბიზანტიის დედაქალაქის, კონსტანტინოპოლის აღება.

თურქ-ოსმალებთან უთანასწორო ბრძოლაში, როგორც მამაცი ჯარის-კაცი, დაიღუპა ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორი კონსტანტინე XI პალეოლოგი. აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე XI ცოტა ხნის წინ ოფიციალურად დანიშნული იყო საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის ქალიშვილზე. ეს ქორწინება, რა თქმა უნდა, ვეღარ შედგა. ბედის ირონია იყო, რომ იმპერატორის ეს სარძლო, მოგვიანებით დააქორწინეს არაგვის ერისთავის, ვამიყ შაბურის ძის ვაჟზე. ამრიგად, საქართველოს სამეფო კარმა იმთავითვე მწვავედ იგრძნო ბიზანტიის იმპერიის განადგურების მთელი უბედურება. ქვეყნისათვის ამას გამოუსწორებელი ზიანი მოჰქონდა. ჯერ ერთი, საქართველოს ბიზანტიის კულტურული და მაღალგანვითარებული სახელმწიფოს ნაცვლად გაუმეზობლდა უკულტურო და საზოგადოებრივად დაბალ საფეხურზე მდგომი უძლიერესი იმპერია, რომელიც მეზობლებს მხოლოდ ჩასანთქავად უყურებდა. ოსმალეთმა კონსტანტინოპოლის დაპყრობით გადაკეტა ის "ოქროს ხიდი", რომლითაც აღმოსავლეთის ქვეყნები და, პირველ რიგში, საქართველო ყველაზე მოხერხებული და მოკლე გზით უკავშირდებოდა ევროპის ქვეყნებს, საქართველო მოწყდა მსოფლიო ბაზრებს, ჯერ ერთი, თვითონ ბიზანტიას, რომელთანაც საქართველოს ყოველთვის ცხოველი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებდა, ასევე იტალიის სავაჭრო ქალაქრესპუბლიკებს (ვენეციას, გენუას) და და-სავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს. ეს იმ დროს, როდესაც ევროპა ეკონომი-კურ და კულტურულ

აღორძინებას იწყებდა, სადაც ფეხს იდგამდა და ვრცელდებოდა ჰუმანიზმისა და რენესანსის მოწინავე იდეები. გავიხსე-ნოთ, რომ სწორედ ამ დროიდან გამოჩნდნენ ევროპის ასპარეზზე საკაცობრიო აზროვნებისა და კულტურის გიგანტები: ლეონარდო და ვინჩი და მიქელანჯელო, იოჰან გუტენბერგი და ნიკოლოზ კოპერნიკი, სანდრო ბოტიჩელი და რაფაელი. საქართველოს, შოთა რუსთაველისა და იოანე პეტრიწის სამშობლოს, არა მარტო დაეხშო გზა ევროპასთან ურთიერთობისა და აღარ შეეძლო თავისი წვლილი შეეტანა კაცობრიობის პროგრე-სულ განვითარებაში, არამედ მისთვის უკვე მიღწეულის შენარჩუნებაც შე-უძლებელი შეიქმნა. ამ უძლიერეს, მაგრამ საზოგადოებრივად და კულტურულად ჩამორჩენილ აგრესორთა ბლოკადაში მოქცეულ ქვეყანას მხოლოდ თავის გადარჩენაზე შეეძლო ეფიქრა და მოკავშირე გამოცლილს, მარტოდმარტოს ეწარმოებინა უთანასწორო ბრძოლა თავისი ეროვნული სახის, ძირძველი სახელმწიფოებრიობის და დამპყრობლებთან შედარებით უფრო მაღალი საზოგადოებრივი წყობისა და კულტურის გადასარჩენად.

კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ოსმალები აგრძელებდნენ ევრო-პაზე შეტევას. ევროპის მესვეურები ახლა კი შეფიქრიანდნენ და ძალების გაერთიანებაზე იწყეს ფიქრი. განსაკუთრებით აქტიურობდა პიუს II, რომელიც რომის პაპად 1458 წელს აირჩიეს. მისი ინიციატივით, დაიწყო სამზადისი ქ. მანტუაში საერთაშორისო ყრილობის ჩატარებისათვის. მოწვეულ იქნენ ევროპის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები, აღმოსავლეთის ქვეყნებ-ში კი გაიგზავნა პაპის ლეგატი ლუდოვიკო ბოლონიელი, რომელიც ჯერ კიდევ 1456-1457 წლებში ნამყოფი იყო საქართველოში და აქაურ ვითარებას კარგად იცნობდა.

ლუდოვიკო ბოლონიელის მტკიცებით, მისი საქართველოში ყოფნი-სას აქ წარმოებდა ბრძოლები მეფემთავრებს შორის, მაგრამ მისი ჩასვლის შემდეგ, როდესაც ქართველი პოლიტიკოსებისათვის ცნობილი გამხდარა თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობის მომზადების ამბავი, პაპის მოციქულის რჩევით შეუწყვეტიათ ურთიერთშორის ბრძოლა.

ლუდოვიკო ბოლონიელის ჩამოსვლისას საქართველოში, მართლაც წარმოებდა მეფემთავრებს შორის ბრძოლა და ოსმალთა წინააღმდეგ და-სავლეთის ქვეყნებთან ერთად ომის სამზადისის პირობებში ისინი დაზავებულან და მთელი თავისი ძალით გამოსვლა გადაუწყვეტიათ. მარტო საქართველოდან განზრახული ყოფილა 100 ათასამდე მეომრის გამოყვანა, ამათთან ერთად აპირებდა გამოსვლას ტრაპიზონის მეფე დავითი 30 ათა-სი მეომრით და 30 კატარღით და კილიკიის სომხეთის მეფე 20000 მებრძოლით. ქართველებს ურჩევიათ ლუდოვიკო ბოლონიელისათვის, რომ მიემართა აყყოინლუს თურქმანი მბრძანებლისათვის, უზუნ-ჰასანისათვის, რომელსაც შეურიგებელი მტრობა ჰქონდა ოსმალებთან. უზუნ-ჰასანმაც აღ-უთქვა მთელი თავისი ძალით გამოსვლა. ამრიგად, აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ოსმალთა წინააღმდეგ საკმაოდ დიდი ძალა იყრიდა თავს. სიტყვა დასავლეთზე იყო.

დასავლეთში კი მოვლენები საწინააღმდეგოდ განვითარდა. მანტუაში დანიშნული კონგრესი 1460 წლის იანვარში დამთავრდა, ფაქტობრივად უშედეგოდ. პაპმა პიუს IIმ ევროპის ხელისუფალთაგან მხოლოდ დაპირებები მიიღო, მაგრამ შესრულებას არავინ ჩქარობდა. აღმოსავლეთიდან პა-სუხმა და ელჩობამაც დაიგვიანა. პიუს II კი ფიქრობდა, რომ აღმოსავლეთის

ქრისტიანი ქვეყნების წარმომადგენელთა გამოჩენა კონგრესის მონაწილეებზე ზეგავლენას მოახდენდა და ოსმალთა წინააღმდეგ ერთიანი ჯვაროსნული ომის დაწყების გადაწყვეტილებას მიაღებინებდა. მაგრამ საქართველოდან ლუდოვიკო ბოლონიელი და აღმოსავლეთის ელჩები მხოლოდ მას შემდეგ გაემგზავრნენ დასავლეთში, როდესაც კონგრესი უკვე დამთავრებული იყო.

საქართველოდან ევროპაში გამგზავრებული ელჩობა შემდეგი შემად-გენლობისა იყო: გიორგი VIII-ის ელჩი ნიკოლოზ თბილელი, ყვარყვარე ათაბაგის — ქასადანი (ფარსადანი?), დავით ტრაპიზონელი კეისრისა — მიხეილი, კილიკიის სომხეთის მთავრისა — მორალო, უზუნ-ჰასანისა — მაჰმედი.

1460 წლის 20 დეკემბერს ელჩები უკვე რომში არიან და წარუდგნენ პიუს II-ეს. რომის პაპმა მათ სამწუხარო ამბავი ამცნო, რომ მანტუაში, მი-უხედავად დიდი ძალისხმევისა, მისი ყველა ცდა, დაეთანხმებინა ევროპელი მონარქები რეალური ნაბიჯები გადაედგათ ოსმალთა წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის მოსაწყობად, უშედეგოდ დამთავრდა. მან ურჩია ქართველ და მათ მოკავშირე ელჩებს თავად გამგზავრებულიყვნენ საფრან-გეთსა და ბურგუნდიაში და ეცადათ დაეთანხმებინათ საფრანგეთის მეფე და ბურგუნდიის მთავარი ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლაზე. რომის პაპმა სათანადო სარეკომენდაციო წერილები მისცა.

რომიდან საქართველოს და მისი მოკავშირეების ელჩები ლუდოვიკო ბოლონიელის მეთაურობით საფრანგეთში ჩავიდნენ და 1461 წლის მაისის თვეში პარიზში შარლ VII-ეს წარუდგნენ. ეს ის შარლ VII, რომლის დრო-საც, 1453 წელს დამთავრდა ასწლიანი ომი ინგლისთან და ქვეყანა შეუდგა მიყენებული ჭრილობების მოშუშებას. ეს იყო მისი მეფობის უკანასკნელი დღეები. იგი უკვე კარგა ხანია ავადმყოფობდა. საფრანგეთის მეფის კარზე სათანადო ზეიმით მიიღეს აღმოსავლეთის ელჩები, მაგრამ რეალურად ვერაფერს შეჰპირდნენ. ფრანგი მემატიანეები საქართველოს მეფის ელჩის ნი-კოლოზ ტფილელის შესახებ აღნიშნავდნენ, რომ იგი იყო ლამაზი და წარმოსადეგი იერის მოხუცი, ძველებური და მშვენიერი მანერებით. სამა-გიეროდ უცნაურად მოსჩვენებიათ ყვარყვარეს ელჩის გარეგნობა და ჩაცმულობა.

საფრანგეთის სამეფო კარს მაშინ სხვა საკითხები ჰქონდა გადასაწყვეტი. გრძელდებოდა კონფლიქტი მეფესა და ბურგუნდიის დიდ მთავარს ფილიპე III-ს შორის. ამჟამად კი საფრანგეთი ემზადებოდა ამ საჰერცოგოს გასაუქმებლად. ლუდოვიკო ბოლონიელი და მისი თანმხლები პირები ბურგუნდიაში გადავიდნენ და წარუდგნენ ჰერცოგ ფილიპე III-ს (“კეთილს”). როგორც ჩანს, ევროპელ პოლიტიკოსებს ჯერ კიდევ ჰქონდათ შერჩენილი გარკვეული წარმოდგენა საქართველოზე, უმთავრესად ძველი ბერძნული გადმოცემების მიხედვით. 1429 წ. ფილიპე “კეთილმა” დააარსა რაინდთა ორდენი, რომელსაც “ოქროს საწმისი” უწოდეს. ქართველი ელ-ჩები ბურგუნდიაში (კერძოდ, ქალაქებში სენტომერში, გენტში) სათანადო პატივით მიიღეს. მათ პატივსაცემად დიდი ზეიმი გამართეს. ელჩებმა ჰერცოგს გადასცეს მეფე გიორგი VIII-ის, ყვარყვარე ათაბაგის, ტრაპიზონის კეისრისა და რომის პაპის წერილები, მაგრამ სასურველი პასუხი ვერც აქ მიიღეს. ბურგუნდიის დუკას წინ დიდი ბრძოლები მოელოდა საფრანგეთის მეფესთან, ამდენად ასეთი შორეული ლაშქრობისათვის იგი ვერ მო-იცლიდა.

ბურგუნდიიდან წამოსული ელჩები ისევ საფრანგეთში დაბრუნდნენ. აქ მათ დახვდათ ამბავი, რომ მეფე შარლ VII გარდაცვლილიყო. ისინი 1461 წლის 15 აგვისტოს დაესწრნენ ახალი მეფის, ლუი XI-ის საზეიმო კურთხევას რეიმსის ტაძარში. ზეიმის დამთავრების შემდეგ მათ იმავე წი-ნადადებით მიმართეს საფრანგეთის ახალ მეფეს, მაგრამ პასუხად ისევ ზოგადი დაპირება მიიღეს. რომში დაბრუნებულ ელჩებს პაპი პიუს IIც განაწყენებული დახვდათ. მან ეჭვიც კი შეიტანა მათ კეთილსინდისიერება-ში და უაღრესად ცივად გამოისტუმრა სამშობლოსაკენ.

1471 წელს საქართველოს სამეფო კარმა კიდევ ერთხელ სცადა დასავლეთ ევროპასთან დაკავშირება, მაგრამ ქართველთა ელჩობა ვენეციასა და რომში ისევ უშედეგოდ დამთავრდა.

თავი XIV. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობები

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა XV საუკუნეში. XV საუკუნის დასაწყისში ქვეყანა თემურლენგის შემოსევების შედეგად ერთია-ნად იყო გაპარტახებული. მონღოლთა მრავალწლიანი ბატონობით მიყენებული ჭრილობების მოშუშება საქართველომ საფუძვლიანად ვერ მოასწრო, რომ ეს სტიქიური უბედურების მსგავსი კატასტროფა დაატყდა თავს. ქართველი ხალხის შეურიგებელი წინააღმდეგობით გააფთრებული თემურლენგი თავისი მრავალგზისი შემოსევების დროს ქვეყნის ერთიანი მოსპობის ღონისძიებებს ახორციელებდა. მართალია, მან ამას ვერ მიაღწია, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური სიძლიერე და სამეურნეო-ეკონომიკური მდგომარეობა საბოლოოდ დასცა და დააკნინა. აკად. ი. ჯავახიშვილი შე-ნიშნავდა, რომ "ამ ხანის საბუთებში ქალაქის, სოფლის, ფუძის, სახლისა და ვენახის გვერდით ჩნდება და ხშირად გვხვდება ნაქალაქევი, ნასოფლარი, ნაფუძარი, ნასახლარი, ნავენახარი, პარტახი და სხვა ამის მსგავსი ტერმინები. ცხოვრების სინამდვილემ წარმოშვა ეს ქვეყნის გაოხრების მომასწავებელი სიტყვები, ურომლისოდაც საქართველოს მაშინდელი მდგომარეობისა და მეურნეობის პირობათა დასათაურება შეუძლებელი იყო". საქართველოს მოსახლეობა რიცხობრივად მნიშვნელოვნად შემცირდა, გავერანდა და მოიშალა სარწყავი არხები, გაკაფული ბაღვენახებისა და სამეურ-ნეო ნაგებობების აღდგენას დიდძალი მუშახელი და ხანგრძლივი მშვიდობა სჭირდებოდა, საამისო პირობები კი საგარეო და საშინაო ბრძოლებით მოცულ ქვეყანაში აღარ იყო. დაეცა მეურნეობის კულტურული დონეც. გამუდმებული ომისა და თავდასხმების მომლოდინე მიწის მუშა მეურნე-ობის რთული დარგების წარმოებას ვეღარ ჰკიდებდა ხელს და მოსავლია-ნობის მინიმუმით კმაყოფილდებოდა.

უკიდურესად მოიშალა და დაქვეითდა საქალაქო ცხოვრებაც. ერთ დროს აყვავებული და უმდიდრესი ქალაქი თბილისის XV საუკუნეში დანგრეული და ნახევრად დაცარიელებული იყო . შავი ზღვისპირა ქალაქები: ბათუმი, ფოთი, სოხუმი მხოლოდ უმნიშვნელო ციხესიმაგრეებს ან უბრალო დაბებსღა წარმოადგენდნენ, ხოლო ისეთი სახელგანთქმული ქალაქები, როგორც იყო სამშვილდე, თმოგვი, დმანისი, ჟინვანი — ამ დროი-სათვის საბოლოოდ გაქრნენ, როგორც ქვეყნის ეკონომიკური, ხელოსნური წარმოების და სავაჭრო ცენტრები. თითქმის მთლიანად შეწყდა ქვეყნის ცალკეულ კუთხეებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობა.

აღნიშნულ მდგომარეობას უაღრესად არახელსაყრელი საგარეო პოლიტიკური ვითარებაც დაემთხვა. კონსტანტინოპოლის თურქ-ოსმანთა მიერ დაკავებამ (1453 წ.) და ბიზანტიის მაღალკულტურული სახელმწიფოს საბოლოო განადგურებამ, თურქ-ოსმანთა პოლიტიკური გავლენის გავრცელებამ ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთზე და იმიერკავკასიაზე, ასევე, მათ მი-ერ მთელი მცირე აზიის დაკავებამ და უშუალოდ საქართველოსთან გამეზობლებამ, ჩვენს ქვეყანას დაუხშო გასასვლელი ევროპის ქვეყნებისაკენ, შეწყდა ასე დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობა იტალიის ქალაქებთან თუ ევროპის სხვა სახელმწიფოებთან. აღმოსავლეთის ბაზრების და-კარგვით შეშფოთებული ევროპა თურქთა განდევნას შეეცადა ბოსფორისა და დარდანელის გასასვლელებიდან, მაგრამ კოალიციური ლაშქრობის მოწყობა (1459-1461 წწ.), როგორც დავინახეთ, ვერ განხორციელდა და ევროპის ვაჭრებმა ახალი გზების ძიება დაიწყეს. ამ ძიებამ ევროპას ამერიკა და სხვა ახალი ქვეყნები აღმოაჩენინა, საიდანაც უფრო იოლად შეიძლებოდა ნაძარცვი სიმდიდრის შემოტანა და ევროპის ქვეყნების ყურადღებაც აქეთკენ იქნა გადატანილი. სავაჭრო გზებმა თანდათან ხმელთაშუა ზღვის აუზიდან ატლანტისა და ინდოეთის ოკეანეში გადაინაცვლა, ნაწილობრივ ჩრდილოეთის გზებსაც (ბალტიის ზღვა, თეთრი ზღვა) დაედო ფასი. ამრიგად, საქართველო საბოლოოდ მოწყდა მსოფლიო საქონლის გამტარებელ არტერიებს და ამას არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ირანის ტერიტორიაზე და ნაწილობრივ ამიერკავკასიაშიც (სომხეთისა და აზერბაიჯანის დიდ ნაწილში) XV საუკუნის მანძილზე სხვადასხვა თურქმანი ტომები ბატონობდნენ, მათთან მეზობლობაც საქართველოს კარგს არაფერს უქადდა. უკულტურო თურქმანები საქართველოს მშვიდობიან სავაჭრო პარტნიორებად ვერ გამოდგებოდნენ, პირიქით, ისინი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ძარცვასა და საბოლოო დაპყრობას ეშურებოდნენ.

აღნიშნული საშინაო და საგარეო ეკონომიკური პირობები ქმნიდა საფუძველს ქვეყნის შიგნით მთელი რიგი უარყოფითი სოციალური და პოლიტიკური მოვლენების აღმოცენება-განვითარებისათვის.

ცვლილებები საზოგადოებრივი კლასების მდგომარეობაში. ყმა-გლეხთა ექსპლოატაციის ზრდა. XV საუკუნისათვის საქართველოს მწარმოებელი საზოგადოების მიწისმოქმედი ნაწილი ძირითადად ყმა-გლეხთა რიგებშია გაერთიანებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში საბოლოოდ შემოსულია ბატონყმობა, გამქრალია თავისუფალ მიწისმოქმედთა ფენა, რომელსაც ადრე მხოლოდ მეფის კარისადმი სამსახური და მოლაშქრეობა ევალებოდა. ამდენად, მწარმოებელთა დიდი ნაწილი სხვადასხვა მებატონეების მიერაა დაბეგრილი და მიწაზეა მიმაგრებული. ამასთან, გლეხთა ექსპლოატაცია უზომოდაა გაზრდილი.

სათავადოთა სისტემის აღმოცენება. საგლეხო გადასახადების ასეთი არაპირდაპირი ზრდა გლეხთა სასტიკ წინააღმდეგობას იწვევდა.

სამეფო ხელისუფლება ამ პერიოდის საქართველოში ერთობ შესუსტებულია. მას აღარ ძალუძს თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულება — ყმა-გლეხობის მორჩილებაში მოყვანა და ქვეყნის შიგნით ფეოდალებსა და ყმაგლეხებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება. წვრილი

აზნაურობაც, რომელიც აქამდე მეფის ხელისუფლების დასაყრდენი იყო საშინაო თუ სა-გარეო მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში, თანდათანობით მსხვილ ფეოდალთა ყმობაში ექცევა და მეფის დასაყრდენიდან მის საწინააღმდეგო ძალად იქცევა. გამქრალია თავისუფალ მოქალაქეთა ფენაც, რომელიც ადრე ასევე მეფის დასაყრდენი იყო. მეფე კარგავს კონტროლს ყოფილი სახელმწიფო და სამეფო-სახასო მიწების დიდ ნაწილზე, რომელიც დიდებულ აზნაურებს ჰქონდათ გადაცემული საგამგებლოდ ან დროებით სამფლობელოდ. ამ მიწებზე მეფეს ფაქტობრივად ხელი აღარ მიუწვდება. ამავე დროს მსხვილი ფეოდალები თავიანთ მამულებში თანდათან თითქმის სრულ შე-უვალობას (იმუნიტეტს) აღწევენ. მეფეს აღარ ძალუძს ამ მამულებში აღარც სამართლის წარმოება და არც სხვა რამ გზით მის საშინაო საქმეებში ჩარევა. აღნიშნული პროცესები საზოგადოებაში დიდი მნიშვნელობის ცვლილებებს იწვევს. ყოველივე ამის შედეგად საქართველოს დიდ ნაწილში აღმოცენდნენ სათავადოები.

თავადი ადრე საერთოდ უფროსს, მსხვილი ფეოდალური საგვარეულოს მეთაურს ეწოდებოდა, ხოლო XV საუკუნიდან თავადობა უკვე ფეოდალთა კლასის უმაღლესი და უძლიერესი ფენის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. ასევე, თავადი ფეოდალთა ახალი სახის გაერთიანების სათავეში მდგომ პირსაც ეწოდებოდა. ჯერ კიდევ აკად. ი. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ ამ დროისათვის ფეოდალური სახლების "გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესს უთმობს ადგილს". შექმნილი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აღარ იძლეოდა საშუალებას, რომ განვითარებულიყო კერძო-ინდივიდუალური მიწისმფლობელობა და მეურნეობა.

ასეთი პროცესი ადრევე იყო დაწყებული და ფეოდალური საზოგადოების აღმავალ ხანაში მას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა. ეს ეკონომიკური წინსვლის შედეგიც იყო და, თავის მხრივ, თვითონაც უწყობდა ხელს სამეურნეო პროგრესული ფორმების დანერგვას. კერძო-ინდივიდუალური მიწისმფლობელობა და მეურნეობა ვრცელდება საერთო-საგვარეულო მიწისმფლობელობის საპირისპიროდ. XII საუკუნის საქართველოში ეს პროცესი საერთო პროგრესული განვითარების ორგანული ნაწილი იყო. ყოველივე ეს ამზადებდა ნიადაგს უფრო მაღალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ელემენტების ჩასახვისათვის. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შე-ნიშნავდა: "ქვეყნის სამეურნეო განვითარება, მამულების ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა-აღებმიცემობის განვითარება ქმნის პირობებს იმისათვის, რომ უფრო განვითარდეს ინდივიდუალური მეურნეობა, არ განმტკიცდეს სასახლო-საგვარეულო მეურნეობა, არ წარმოიშვას ჩაკეტილი სათავადო, არამედ შემზადდეს ქვეყანა წინაბურჟუაზიული გაერთიანების საბოლოო გამარჯვებისათვის".

ძლიერი მეფის ხელისუფლების არსებობის ვითარებაში, როდესაც ცენტრი წარმატებით ასრულებდა ფეოდალთა თვითნებობის აღკვეთას და წესრიგის დაცვის ფუნქციებს, ფეოდალურ საგვარეულოთა ერთიანობის შენარჩუნებას აზრი არ ჰქონდა, პირიქით, ამ საგვარეულოს ცალკეულ წარმომადგენელთა მცდელობა აღზევებისა (რის ძირითადი საშუალება მეფი-სადმი ერთგული სამსახური იყო) და სახელმწიფოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმატების მოპოვებისათვის, აპირობებდა მათ მისწრაფებას საგვარეულოს დანარჩენი წევრებისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ, მაგრამ შემდეგ საუკუნეებში ასეთი განვითარება და

ტენდენცია შეფერხდა, მოიშალა ის საფუძვლები (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური), რაც აღნიშნულ პროცესს კვებავდა. ქვეყნის განვითარება ჩიხში მოექცა. ასეთ ვითარებაში, გასაგებია ფეოდალთა მისწრაფება თვითორგანიზაციისაკენ, ძველი საგვარეულო ერთობის აღდგენისა ან ახალი ერთობის ("ძმად შეფიცულობა", "შეყრილობა") წარმოქმნისაკენ. მეფის ხელისუფლება იძულებულია ხელიც კი შეუწყოს ამ პროცესს და თავისი ფუნქციებისა და პოლიტიკური პრეროგატივების ნაწილი მათ გადაულოცოს, თუმცა ეს მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დასუსტებას იწვევს. ასე წარმოიქმნებიან სათავადოები.

სათავადოთა სისტემის აღმოცენება უაღრესად რეაქციული მოვლენა იყო. ეს ფაქტობრივად ძველი, საქართველოს გაერთიანების წინადროინდელი სამთავროთა სისტემის ახალი ფორმით აღორძინება იყო. ამდენად ეს შეიძლება შეფასდეს როგორც უკუსვლა, დაბრუნება უკვე განვლილი, დრომოჭმული სისტემისაკენ. იგი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური რეგრესის შედეგიც იყო და შემდეგში თვითონაც წარმოადგენდა ამ რეგრესის ხელშემწყობ პირობას. სათავადოების კარჩაკეტილი მეურნეობა ხელს უშლიდა ფართო სამეურნეო კავშირების კვლავ აღორძინებას და განვითარებას. სათავადოების სათავეში მდგომი ფეოდალები მიისწრაფოდ-ნენ კიდევ უფრო მეტი დამოუკიდებლობისაკენ, სრული შეუვალობისა და თვითნებობისაკენ, ამდენად ისინი მეფის ძლიერი ხელისუფლების მოწინა-აღმდეგენი იყვნენ და მხარს უჭერდნენ ცალკეულ მთავრებს თუ განცალ-კევების მსურველ უფლისწულებს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ცენტრალური ხელისუფლება ამ ბრძოლაში მარცხს გა-ნიცდის, რის შედეგადაც საქართველოს ერთიანი სახელმწიფო დაიშალა დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროებად. ამ პოლიტიკურ პროცესში ხალი-სით ერევა საგარეო ძალაც, რაც კიდევ უფრო აჩქარებს დაშლას და ცალ-კეული სამეფო-სამთავროების დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად გაფორმებას.

თავი XV. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად

შინაფეოდალური ბრძოლა XV საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში და მისი შედეგები. ბრძოლა მეფის ცენტრალური ხელი-სუფლებისა და საქართველოს დაშლის მომხრე ძალებს შორის განსაკუთრებით გამწვავდა XV საუკუნის 60-იან წლებში. ბრძოლა სამცხის მთავარმა ყვარყვარე ჯაყელმა დაიწყო. როგორც დავინახეთ, ჯერ კიდევ 50-იან წლებში მან სცადა სამცხის ეკლესიის ჩამოშორება ერთიანი ქართული ეკლესიისაგან, მაგრამ მის ასეთ მცდელობას წინ აღუდგა საქართველოს პატრიარქი დავით IV, რომელმაც შეძლო ათაბაგის ამ განზრახვის ჩაშლა. მაგრამ ეს ფაქტი თავისთავად მოწმობდა, თუ რა შორს იყო წასული ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლებისა და მის მოწინააღმდეგე ძალებს შორის.

ანტიოსმალური კოალიციის ჩაშლის შემდეგ ყვარყვარე ათაბაგი უკვე აშკარად დაადგა საქართველოს მეფეთამეფის წინააღმდეგ ბრძოლის გზას. 1461 წელს მან დამხმარედ მოიწვია თეთრბატკნიან თურქმანთა მბრძანებელი, უზუნ-ჰასანი და თავისი მეფე დაამარცხა. უზუნ-ჰასანის ეს დახმარება უანგარო როდი იყო. ამის შემდეგ მისი მეციხოვნეები ლორეს ციხეში დგანან და ლორეს ველიც თურქმან მომთაბარეებს უკავიათ. მეფე გიორ-გის მარცხით ისარგებლა დასავლეთ საქართველოს ხელისუფალმა ბაგრატმა (რომელიც ალექსანდრე I-ის ძმის, გიორგის ძე

იყო და საქართველოს მეფობაზე ჰქონდა პრეტენზია) და გიორგი VIII-ის წინააღმდეგ იწყო მოქმედება.

1462 წ. გიორგი VIII ბაგრატის დასასჯელად იმერეთში გადავიდა. ბაგრატს ერთგულად დაუჭირეს მხარი დასავლეთ საქართველოს მთავრებმა: გურიელმა, დადიანმა, შარვაშიძემ, აგრეთვე სამცხის მთავარმა ყვარყვარე ჯაყელმაც. ყველა ესენი იმედოვნებდნენ, რომ საქართველოს მეფეთამეფის დამარცხებით მეტ დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ. თვით გიორგი VIII-ს ხელქვეით მყოფ ჯარშიც ყველა როდი იყო თავიანთი მეფის გამარ-ჯვების მოსურნე. ყოველივე ამის შედეგად გიორგი მეფე ბაგრატთან ბრძოლაში დამარცხდა. ეს ბრძოლა ჩიხორთან მოხდა. ამ ფაქტთან დაკავ-შირებით ქრონიკულ მინაწერში აღნიშნულია "ქკ˜სარნ (1462 წ.) მეფეთ ყმობისაგან განთავისუფლდნენ მთავარნი: დადიანი, ათაბაგი, გურიელი და შარვაშიძე". ამდენად, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა ეს იყო ფაქტობრივად არა საქართველოს მეფობის მაძიებელი ბაგრატის, არამედ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მთავართა გამარჯვება. ბაგრატი იძულებული იყო "მეფეთა ყმობისაგან გაეთავისუფლებინა" მის მხარეზე ერთგულად მდგომი მთავრები. ამრიგად, საქართველოს დაშლის მომხრე ძალები სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევენ.

გიორგი VIII ფარხმალს არ ყრის. მან სასტიკად დასაჯა ბაგრატის მომხრეობაში შემჩნეული ქართლის თავადები, სათანადოდ მოემზადა და 1465 წ. სამცხის მთავრის დასასჯელად გაილაშქრა. ყვარყვარე ათაბაგიც ჯარშეყრილი დახვდა მეფეს ფარავნის ტბასთან. ბრძოლის წინა დღით მეფის ბანაკში შეთქმულება გამომჟღავნდა. მეფე შეუდგა საქმის გამოძიებას და დამნაშავეთა შეპყრობადასჯას. ამ არეულობით ისარგებლა ყარყვარემ, თავს დაესხა მეფის ბანაკს და გიორგი VIII დაატყვევა. გამარჯვებულმა მთავარმა მეფე და მისი ამალა ვაჰანის ქვაბებში გამოჰკეტა.

ყვარყვარეს ტყვეობიდან თავის დაღწევა შესძლო ბანაკში მყოფმა მისმა ძმისშვილმა კონსტანტინე დიმიტრის ძემ, რომელმაც გორის ციხეს შეაფარა თავი. შემდეგ იგი ქუთაისის ციხეში გამაგრდა.

ამრიგად, ერთიანი საქართველოს მეფეთამეფე, გიორგი VIII მისმა ყმა მთავარმა დაატყვევა და ამით ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ანარქია კიდევ უფრო გაძლიერდა. დაიწყო ბრძოლა საქართველოს ტახტის დაუფლებისათვის. მასზე პრეტენზიას ძირითადად ორი პიროვნება აცხადებდა — იმერეთის ხელისუფალი ბაგრატ VI და გიორგი მეფის ძმისშვილი კონ-სტანტინე დემეტრეს ძე. ქართლისა და იმერეთის თავადები ძირითადად ამ ორი პრეტენდენტის გარშემო დაჯგუფდნენ, ხოლო კახეთის ფეოდალებმა (ვახუშტით: "ერისთავებმა და წარჩინებულებმა") ერთ-ერთი ადგილობრივი ერისთავთაგანი, დავითი გაამთავრეს. ამ უკანასკნელის ხელი-სუფლებას კახეთის ერისთავწარჩინებულები თავდადებით უჭერდნენ მხარს "რათა აქუნდათ თავისუფლება შლილობათა ამათ შინა" (ვახუშტი). ამ "თავისუფლებაში" ცხადია იგულისხმებოდა კახეთის "ერისთავთა და წარჩინებულთა" სწრაფვა განთავისუფლებულიყვნენ მეფის მტკიცე ხელი-სუფლებისაგან, რათა თავიანთი სამფლობელო და საგამგებლო ტერიტორია "ხელშეუვალად" ექციათ, უშუალოდ დაექვემდებარებინათ კახეთის წვრილი და საშუალო ფეოდალები (აზნაურები), ერთი სიტყვით, კახეთშიც გა-ეფორმებინათ ისეთივე სამთავროები და

სათავადოები, როგორიც ქართლსა და დასავლეთ საქართველოში იყო იმ დროისათვის ჩამოყალიბებული.

სრულიად საქართველოს ტახტისათვის ბრძოლაში ბაგრატ VI-ს უფრო მეტი მომხრე აღმოაჩნდა, ამიტომ კონსტანტინემ დათმობა ამჯობინა. 1468 წლის წინა ხანებში ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის შეთანხმება მოხდა. კონსტანტინემ ბაგრატი მეფეთამეფედ სცნო, თუმცა თვითონაც მეფობაზე ხელი არ აუღია. ბაგრატი იძულებული იყო შეჰგუებოდა თავისი ძალაუფლების ქვეშ ასეთი ნახევრად დამოუკიდებელი მეფეებისა თუ მთავრების არსებობას. მისი დროებითი წარმატების საფუძველი სწორედ ასეთი დათმობითი პოლიტიკა იყო. ბაგრატმა კახეთის დამორჩილება სცადა, მაგრამ აქ მარცხი განიცადა.

ყვარყვარე ათაბაგი დარწმუნდა, რომ გიორგი მეფის დატყვევებით მა-ინცდამაინც ვერაფერს მიაღწია. გიორგის მაგივრად საქართველოს სამეფო ტახტზე სხვა მეფე დაჯდა, რომელიც მის მიმართ შეიძლება უფრო მეტი პრეტენზიებით ყოფილიყო. ამიტომ იგი ისევ გიორგი მეფის ტახტზე დაბრუნებას არჩევს. სამცხის მთავარმა დაისიძევა მეფე (მას თავისი ქალიშვილი — თამარი შერთო ცოლად), იგი ქართლში დააბრუნა და თან ჯარიც გამოატანა. ქართლის თავადები გიორგი მეფეს მტრულად შეხვდნენ. ისინი შიშობდნენ, რომ გიორგი VIII ღალატსა და ბაგრატის მიმხრობისათვის მათზე შურს იძიებდა, ამიტომ ისევ ბაგრატის ერთგულად დარჩნენ. გი-ორგი VIIIმ ქართლში ბრძოლა წააგო და იძულებული გახდა კახეთში გადასულიყო, სადაც მას უფრო მეტი მომხრე ეგულებოდა.

კახეთის დამოუკიდებელი სამეფოს წარმოქმნა და იმერეთი XV საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში. გიორგი VIII-ის დატყვევების შემდეგ, როგორც აღნიშნული იყო, კახეთის მსხვილმა ფეოდალებმა, "ერისთავებმა და წარჩინებულებმა", თავიანთი მთავარი "განიჩინეს" და როდესაც ბაგრატი კახეთის დამორჩილებას შეეცადა, მის წინააღმდეგ მიიმხრეს კახეთის მოსახლეობის ფართო ფე-ნები — "ჰერ-კახნი". ეს უკანასკნელნი ამ ბრძოლაში იმიტომაც უჭერენ მხარს თავიანთ "ერისთავწარჩინებულებს", რომ ბაგრატი უზურპატორად მიაჩნდათ და მის ხელისუფლებას კანონიერად არ სცნობდნენ.

ამრიგად, კახეთში ერთხანს ადგილობრივმა ერისთავებმა და წარჩინებულებმა თავიანთვის სასურველი ხელისუფლების შენარჩუნება შესძლეს. მათ მიერ მთავრად დასმული დავითის დროს ისინი ყოველმხრივ ეცდებოდნენ (და თვითონაც ამის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა), რომ განემკვიდრებინათ საერისთავონი და თავიანთ მფლობელობაში მოექციათ კახეთის წვრილი და საშუალო ფეოდალები (აზნაურები), ე. ი. გადაქცეულიყვნენ ისეთივე შეუზღუდველ თავადებად, როგორიც ეს ქართლში იყო. გასაგებია, ამის გამო შიდაკლასობრივი წინააღმდეგობა ფეოდალებს შორის უსათუოდ გამწვავდებოდა. ამიტომ იყო, რომ როდესაც კახეთში საქართველოს კანონიერი მეფე გიორგი VIII გამოჩნდა, როგორც ვახუშტი აღნიშ-ნავს, "მაშინ კუალად დაუტევეს ჰერ-კახთა დავით და მიერთუნენ მეფესა გიორგის და დაიპყრა მეფემან გიორგი ჰერ-კახნი". ერისთავწარჩინებულნი კი კვლავ თავიანთი "განჩენილი" მთავრის ერთგულად დარჩნენ. ისინი დაჟინებით ცდილობდნენ დავითისთვის ხელისუფლების შენარჩუნებას, მაგრამ საბოლოოდ ბრძოლა წააგეს. დავითი დედაწულიანად დიდოეთში გადაიხვეწა და იქიდან განაგრძობდა ბრძოლას კახეთში ხელისუფლების დასაბრუნებლად.

ამრიგად, გიორგი VIII-ს კახეთში დიდი ძალისხმევით უხდება ძალა-უფლების შენარჩუნება და, გასაგებია, მას ქართლისა და საქართველოს სხვა ნაწილების დასაბრუნებლად ბრძოლის თავი აღარა აქვს. ვერც ბაგრატმა შეინარჩუნა თავის მფლობელობაში ქართლი. ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის თანხმობა მალე დაირღვა და კონსტანტინემ უკვე 1470 წელს ბაგრატისადმი დამოკიდებულებისაგან თავი გაითავისუფლა და საზეიმოდ მეფედაც ეკურთხა. 1471 წ. იგი უკვე თავის ელჩობასაც აგზავნის ვენეცია-ში და ევროპას თავს დამოუკიდებელ მეფედ აცნობს.

ქართლისა და იმერეთის პოლიტიკურ გათიშვას მალე აღმოსავლეთდასავლეთ საქართველოს საეკლესიო განცალკავების ოფიციალური გაფორმება მოჰყვა. ამ საქმის ინიციატორად დასავლეთ საქართველოს უძლიერესი მთავარი შამადავლე დადიან-გურიელი გამოვიდა. თვითონ ბაგრატიც, რომელიც ამ დროს მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მეფედღაა დარჩენილი, შექმნილ ვითარებაში შესაძლებლად მიიჩნევს მხარი დაუჭიროს ამ აქტს. მათ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მეთაურად — “აფხაზეთის კათალიკოსად” — წამოსწიეს აქამდე ცაიშელბედიელი მთავარეპისკოპოსი იოაკიმე. ამ დროს იმერეთში იმყოფებოდა ანტიოქელ-იერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი, რომელმაც იკისრა ამ იოაკიმეს მცხეთისაგან დამოუკიდებელ კათალიკოსად დამტკიცება. ასე შეიქმნა ამ აქტის გამაფორმებელი დოკუმენტი ე. წ. “მცნებაÁ სასჯულოÁ”.

“მცნებაÁ სასჯულოÁ”-ში ისიცაა მითითებული, რომ აფხაზეთის მო-სახლეობა “ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს”. ეს იმის გამო, რომ ამ პერიოდის აფხაზეთის ტერიტორიაზე ძლიერდება იმიერკავკასიელ მთიელთა (ჯიქების, ადიღე-ჩერქეზების და სხვ.) ჩამოწოლა ბარში, რომლებსაც თან ჩამოჰქონდათ ჩამორჩენილი თემურ-გვაროვნული ცხოვრების წესები და წარმართული სარწმუნოება. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთი მაღალგანვითარებული ფე-ოდალური მხარიდან, რომელსაც ღირსეული ადგილი ეკავა ერთიანი ქართული ქრისტიანული კულტურის შექმნასა და განვითარებაში, თანდათან გადაიქცა ჩამორჩენილ პროვინციად, პრიმიტიული პატრიარქალური წყობითა და მეურნეობით, რეანიმირებული წარმართული რწმენაწარმოდგენებით. ადგილობრივი მთავრები, შარვაშიძეები, ხელსაც კი უწყობდნენ მათ დამკვიდრებას და აქტიურად იყენებდნენ აფხაზმთიელებს შინაფეოდალურ ბრძოლებში.

შინაპოლიტიკური ბრძოლები კი მთელი საქართველოს მასშტაბით გრძელდება. კახეთში მერყევი მდგომარეობაა. ერისთავწარჩინებულნი არ ემორჩილებიან გიორგი მეფეს და კვლავ დავითის გამთავრებას ცდილობენ. გიორგის წინააღმდეგ ისინი კონსტანტინესაც კი უკავშირდებიან და მის ქვეშევრდომობაში გადასვლას არჩევენ. მათი ასეთი სიმპათიები კონ-სტანტინესადმი გასაგებია: კონსტანტინეს ხელქვეით მყოფ ქართლში სათავადოთა სისტემა სრულ აყვავებაშია. ქართლის თავადებმა განიმკვიდრეს მათ ხელთ მყოფი საგამგებლო თუ დროებითი სამფლობელო ტერიტორი-ები და მეფეც მათი ნების უსიტყვო ამსრულებელია. ამას კი კახეთის მსხვილი ფეოდალები გიორგი მეფის ხელისუფლების პირობებში ვერ ახერხებენ. გიორგი ადგილობრივ ერისთავწარჩინებულთა წინააღმდეგ ეყრდნობა კახეთის წვრილ ფეოდალთა ფართო ფენას და ამავე დროს იძულებული ხდება დაუკავშირდეს ბაგრატსაც. ამ უკანასკნელს თავის მხრივ გიორგის მხარდაჭერა სჭირდება კონსტანტინეს წინააღმდეგ. ამრიგად,

ერთ დროს შეურიგებელ მოწინააღმდეგეებს, ბაგრატსა და გიორგის შორის შე-იკრა კავშირი, რომლითაც ორივე მხარემ კარგად ისარგებლა. გიორგიმ შეძლო კახეთში თავისი ხელისუფლების განმტკიცება, ხოლო ბაგრატმა აიძულა კონსტანტინე ქართლს გასცლოდა: “ქ˜სა რÁ (1472 წ.) აქა ქართლი დაიჭირა ბაგრატ მეფემ და კონსტანტინე გარდააგდო” — აღნიშნულია ამ დროის კინკლოსურ მინაწერში.

ცვლილებები კახეთის სახელმწიფოებრივ წყობილებაში. მას შემდეგ, რაც გიორგიმ ხელისუფლება განიმტკიცა კახეთში და საბოლოოდ დაამარცხა ადგილობრივი ერისთავწარჩინებულნი, მან ამ უკანასკნელთ ჩამოართვა მათი საგამგეო ტერიტორიები და სამმართველოდ გადასცა მოურავებს. ამას ჰგულისხმობდა ვახუშტი, როდესაც აღნიშნავდა, რომ გიორგი მეფემ “მაშინ მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი დიდთა და მცირეთა ადგილთა, ვითარცა არიან დღემდე: მოურავი ქისიყისა, ელისენისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შილდაყვარელისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა და სხვანიცა”. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო, რის შედეგადაც სამეფო-სახასო ტერიტორიის გამგებლობა ერისთავებს ჩამოერთვათ და იგი უფრო მცირე ერთეულებად დაიყო და მათ სათავეში მოურავები ჩააყენეს.

ამრიგად, XV საუკუნის 70-იანი წლებიდან საერითავოები, როგორც ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეულები კახეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა ნაწილებში, აღარ არსებობდნენ. მაგრამ საერისთავოების გადაშენება კახეთში განსხვავებულ ვითარებაში მოხდა და შედეგიც გან-სხვავებული იყო. კახეთში მეფე პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც ძლიერი დარჩა და მისი სიძლიერის შენარჩუნებაში გარკვეული როლი ითამაშა სამოურავოთა სისტემამ. მეფე სამეფო-სახასო მამულიდან გარკვე-ულ ტერიტორიას (ყმამამულს) უბოძებდა “სახელოდ” ე. ი. სამოურავო განსაგებლად ფეოდალური საგვარეულოების ცალკეულ წარმომადგენლებს. სამოურავო უფრო მცირე ერთეული იყო, ვიდრე საერისთავო. ამიტომ შე-ნიშნავდა აკად. ნ. ბერძენიშვილი: “მცირე ტერიტორიის მმართველი მოურავები ერისთაობას ვერ დაიჩემებდნენ, მეფის ურჩობას ისინი ვერ გაბედავდნენ, მათ საამისო ძალა არ შესწევდათ, ამიტომ მოურავი მხოლოდ სახელით კი არა, არსებითადაც მეფის ადგილობრივი ფეოდალური მოხელე იყო”. აქ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სამოურავო ხელის მქო-ნე კახელი ფეოდალი მეფის კარის წინაშე პასუხისმგებელი იყო როგორც თავისი საგამგეო-სამოურავო ტერიტორიით, ისე თავისი საკუთარი ყმამამულითაც, ორივეგან იგი აწარმოებდა სამართალს, ჯარის შეკრებას, სამეფო გადასახადების აკრეფას, ამდენად მისი საკუთარი სამფლობელო და სამოურავოდ განსაგებელი ტერიტორია (“საყმო და სახელო”) ფაქტობრივად ერთ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულს ჰქმნიდა. ქართლში კი (ისევე როგორც იმერეთში), ძირითად პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულს მსხვილი სათავადო წარმოადგენდა.

მოურავობის ინსტიტუტი კახეთის მეფეების ხელში ადგილობრივ ფე-ოდალურ სახლებზე ზემოქმედების და მორჩილებაში ყოლის ეფექტურ საშუალებად იქცა. ჯერ ერთი, ამ სახელოს იღებდნენ კახეთის ფეოდალური საგვარეულოს ცალკეული წარმომადგენლები სხვა თანამოგვარეებისაგან (სახლისკაცებისაგან) დამოუკიდებლად და ისევე, როგორც ერთმანეთისა-

გან დამოუკიდებელ სახლებად ცხოვრობდნენ, ამ სახელოსაც იღებდნენ ან კარგავდნენ მხოლოდ მეფის ნებით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად .

მოურავის სახელოს ფლობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის ცალკეული ფეოდალური სახლის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისათვის, ამიტომ ისინი მეფის ურჩობას და თვითნებობას ასე ადვილად ვერ ბედავდნენ, როგორც ქართლის ძლიერი თავადები, ეს, ამავე დროს, ხელს უწყობდა ერთი საგვარეულოდან მომდინარე ფეოდალური სახლების ერთმანეთისაგან გათიშვას, მათი ინდივიდუალური, "სათავისო" მფლობელობის განმტკიცებას, საწინააღმდეგოდ ქართლში და საქართველოს სხვა ნაწილებში ასე გავრცელებული ფეოდალური სახლების "შეყრილობისა" და საფეოდალოს ერთიანობის შენარჩუნებისა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო კახეთის სამეფო ხელისუფლების მიერ გატარებული მეორე ღონისძიებაც. კახეთის მეფესა და ერისთავებს შორის ზემოაღნიშნული ბრძოლების დროს, ბუნებრივია, ეკლესიას მეფის მხარე დაეჭირა. საეკლესიო სამფლობელოები უძლიერესი ფეოდალების მხრივ მომძლავრების საშიშროების წინაშე იდგნენ, ამიტომ ეპისკოპოსები მეფის მტკიცე ხელისუფლების მომხრენი იყვნენ. მეფეც ეყრდნობა რა ეკლესიას, თუნდაც იმიტომ, რომ უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებზე დანიშვნა მეფის კომპეტენციას შეადგენდა და თანაც ეს თანამდებობანი არ იყო მემ-კვიდრეობითი. მეფეს შეეძლო გამოეყენებინა თავისი ეს უფლება ეკლესიაზე მუდმივი ზემოქმედებისათვის. საერისთავოების გაუქმების შემდეგ კახეთში მსხვილ ტერიტორიულ ერთეულებად, რომელშიც გაერთიანებული ივყნენ მცირე საფეოდალოები, სამოურაოები და სხვა ფეოდალურ-ადმი-ნისტრაციული ერთეულები, საეპისკოპოსოებიღა რჩებოდნენ. ამიტომ სამხედრო ხელისუფლება, სადროშოების მეთაურობა, ეპისკოპოსებსვე დაე-კისრათ. შედარებით უფრო მცირე მნიშვნელობის საეპისკოპოსოები სამხედრო საქმეში უფრო გავლენიან საეპისკოპოსოებს დაუქვემდებარეს და ამდენად კახეთში ძირითადად ოთხი სადროშო ჩამოყალიბდა, რომლის სათავეშიც ეპისკოპოსები იდგნენ. შემდეგში ეს რამდენადმე შეიცვალა და ცალკეული სადროშოს სათავეში ესა თუ ის ბატონიშვილი ან ფეოდალი აღმოჩნდა, მაგრამ ძირითადში მაინც სადროშოები საეკლესიო ხელისუფალთა ხელთ იყო და არა ძლიერი ფეოდალებისა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა ნაწილებში.

თავი XVI. აყყოინლუს თურქმანთა შემოსევები

უზუნ-ჰასანის ლაშქრობანი საქართველოში. 1472 წ. საქართველოდან გაძევებულ კონსტანტინეს ზოგიერთი ქართველი თავადი (მაგ. ბარათაშვილები) და მცირე სამხედრო ძალა გაჰყვა. იგი გამოცხადდა უზუნ-ჰა-სანთან, რომელიც ოსმალეთთან ახალი ომისთვის ემზადებოდა.

ამ დროს უზუნ-ჰასანს დიდი წარმატებები ჰქონდა მოპოვებული. 1467 წ. აყყოინლუს ლაშქარმა სამხრეთ სომხეთში გაანადგურა ყარაყოინლუს ჯარები და ბოლო მოუღო მათი სახელმწიფოს არსებობას. 1468 წლის გაზაფხულზე კი უზუნ-ჰასანმა სამხრეთ აზერბაიჯანიც დაიკავა და თავრიზი თავის სატახტო ქალაქად გამოაცხადა. ამავე წლის შემოდგომაზე თეთრბატკნიანმა მბრძანებელმა სასტიკად დაამარცხა ხორასნის მმართველი და ირანის ტერიტორიის დიდი ნაწილი თავის სამფლობელოში გააერთია-ნა. ამრიგად, აყყოინლუს

სახელმწიფოს შემადგენლობაში ამ დროისათვის შედიოდა მთელი სამხრეთ აზერბაიჯანი (სეფიანთა არდებილის სამფლობელოს გარდა), ყარაბაღი, ქურთისტანი, დიარბექარი, ირანის ერაყი, არაბეთის ერაყი და მთელი ტერიტორია ხორასნიდან სპარსეთის ყურემდე.

ამავე ხანებში არანაკლებ წარმატებებს მიაღწია ოსმალეთმაც. მან ბოლო მოუღო ტრაპიზონის იმპერიას და გაბატონდა სამხრეთ შავიზღვისპირეთში. ასევე თანდათანობით წაართვა ვენეციას თითქმის მთელი მისი სამფლობელოები ხმელთაშუაზღვისპირეთში. ვენეცია თურქეთთან მომავალ ომში მოკავშირეებს ეძებდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ოსმალთა წინააღმდეგ უზუნ-ჰასანი კვლავ აემხედრებინა. 1472 წ. ვენეციელმა ელჩმა, კატერინო ძენომ დაითანხმა უზუნ-ჰასანი ომი დაეწყო ოსმალეთის წინააღმდეგ. კ. ძენოს ჩანაწერებიდან ჩანს, რომ უზუნ-ჰასანს ოსმალეთთან ომის განახლების წინ საკუთარი ხელით მოუწერია წერილი საქართველოს მეფი-სათვის და მოუწოდებია, რათა მასაც მიეღო მონაწილეობა ოსმალეთთან ომში. ამ ავტორის მტკიცებით ოსმალეთთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ შეთანხმება საქართველოსა და უზუნ-ჰასანს შორის ადრევე ყოფილა დადებული (ამაში ალბათ იგულისხმება 1459-1460 წლებში ანტიოსმალური კოალიციის შედგენის მცდელობა, როდესაც ქართველებმა უზუნ-ჰასანს შესთავაზეს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა). მას შემდეგ საქართველოს საშინაო პოლიტიკურ მდგომარეობაში დიდი ცვლილებები მოხდა. ასევე შეიცვალა ქართველი პოლიტიკოსების დამოკიდებულება უზუნ-ჰასანისადმი. ამ დროს უზუნ-ჰასანი უკვე მთელ ირანზეა გაბატონებული და ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილიც მის ხელთაა (საქართველოს წაართვეს ყარაბაღი). თურქმანები ბატონობდნენ საქართველოს ზოგი-ერთ ნაწილშიც (მაგ. ლორეს ველზე) და ამასვე უმზადებდნენ მთელ საქართველოს. ასეთ ვითარებაში, გასაგებია, ქართველი პოლიტიკოსები მის შემდგომ გაძლიერებას და წარმატებას ვერ დაუჭერდნენ მხარს. შინაპოლიტიკური გართულების გამოც ქართველ პოლიტიკოსებს აქტიური საგარეო მოქმედების თავიც არ ჰქონდათ. ამიტომ უზუნ-ჰასანთან გამოცხადდა მხოლოდ ამ შინაურ ბრძოლაში დამარცხებული და საქართველოდან იძულებით გადახვეწილი კონსტანტინე დიმიტრის ძე, რომელიც თავის მხრივ ერთგული სამსახურის სამაგიეროდ თურქმანთა მბრძანებლისაგან მხარდა-ჭერასა და დახმარებას მოელოდა.

ოსმალებსა და აყყოინლუს თურქმანებს შორის 1473 წ. მალათიასთან გამართულ ბრძოლაში უზუნ-ჰასანის მხარეზე კონსტანტინე და მასთან ერთად მოსული ქართველებიც იბრძოდნენ. ეს ბრძოლა თავდაპირველად უზუნ-ჰასანის გამარჯვებით დამთავრდა. თურქმანთა მბრძანებელმა თავისი შვილი ხალილი და მასთან ერთად ყველა ქართველი მეომარი ნადავლისა და აღალის დასაცავად დატოვა, თვითონ კი გააგრძელა დამარცხებული მტრის დევნა. მეორე შებრძოლება იმავე 1473 წ. აგვისტოში მოხდა მდ. თერჯანასთან. აქ აყყოინლუს ლაშქარი დამარცხდა. რუმიდან გამობრუნებულმა უზუნ-ჰასანმა, თავისი ზარალი რომ ცოტათი მაინც შეემცირებინა, საქართველოზე გაილაშქრა იმ საბაბით, რომ საქართველო მთელი თავისი ძალით მას არ დაეხმარა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. პოლიტიკურად დაშლილ და შინაური ბრძოლებით მოცულ ქვეყანას არ შეეძლო სათანადო წინააღმდეგობა გაეწია თურქმანებისათვის. მომთაბარეებმა სასტიკად ააოხრეს ქვეყანა, ბაგრატ მეფეს ხარკი შეაწერეს და დიდძალი ნადავლით დაბრუნდნენ თავრიზში.

1477 წელს უზუნ-ჰასანი ხელახლა გამოემართა საქართველოს წინააღმდეგ. ისტორიკოს მუნეჯიმ ბაშის ცნობით, ამ ლაშქრობის მიზეზი ის ყოფილა, რომ ქართველებს ხარკის გადახდა დაუგვიანებიათ. უზუნ-ჰასანს ამ ლაშქრობაში თან ახლდნენ ვენეციელი ელჩები ჯოზეფო ბარბარო და ან-ჯოლელო, რომლებმაც შემოგვინახეს ამ ამბების დაწვრილებითი აღწერილობანი.

სათანადო სამზადისის შემდეგ უზუნ-ჰასანი თავრიზიდან დაიძრა დასავლეთისაკენ. მისი ლაშქარი შედგებოდა 20-24 ათასი მხედრისა და 4-5 ათასი ქვეითისაგან (ანჯოლელო 11 ათას ქვეით მეომარს ასახელებს). ამათ გარდა ლაშქარს მოჰყვებოდა 6 ათასამდე დამხმარე პირი, რომელთაც ევალებოდათ ბანაკის მოვლა და მომსახურება. უზუნ-ჰასანს განზრახ დაუყრია ხმები, რომ იგი ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად მიდიოდა და 7 დღის განმავლობაში ჯარი უტარებია ოსმალეთის მიმართულებით, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად მარჯვნივ აუღია გეზი და საქართველოში შემოჭრილა. მისი ასეთი მანევრის მიზანი იყო მოედუნებინა საქართველოს მესვეურთა ყურადღება და მოუმზადებელ ქვეყანაში ადვილად შემოჭრილიყო. მართლაც, ამ ხერხმა გაჭრა და საქართველომ სათანადო წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოახერხა. ქვეყანამ მხოლოდ გახიზვნა მოასწრო და ამდე-ნად თავდამსხმელს სოფლები და ქალაქები დაცარიელებული დახვდა. უზუნ-ჰასანმა თავის ჩვეულებისამებრ წინ 5 ათასი ცხენოსანი გაგზავნა, რომლებიც ტყეებს ჩეხავდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ. ამით ისინი გზა-საც უმზადებდნენ ძირითად ლაშქარს და თან მიმართულებასაც უჩვენებდნენ. საქართველოში შემოჭრის შემდეგ ორ დღეში თურქმანები თბილისს მოადგნენ, რომელსაც, ანჯოლელოს შენიშვნით, მეტად კარგი მდებარეობა ჰქონდა ხეობაში, მაგრამ მას აღარავინ იცავდა. მომხდურებს ქალაქი დაცარიელებული დახვდათ.

ამ ამბებში კარგად გამოჩნდა ის უარყოფითი შედეგები, რაც საქართველოს შინაპოლიტიკურ გათიშულობას მოჰყვა. სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს შეეძლო ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის მისაღებად 60-70 ათასი მეომრის გამოყვანა, ამჯერად კი მტრის არც თუ ისე მრავალრიცხოვანი (დაახლ. 30 ათასიანი) ჯარისადმი ღირსეული წინააღმდე-გობის გაწევა ვერ მოახერხა. უზუნ-ჰასანმა უბრძოლველად დაიკავა თბილისი, შემდეგ აქედან გორისაკენ გაემართა და მისი მიდამოები მოაოხრა. ასევე მოეპყრო იგი ქვეყნის დიდ ნაწილს. ამის შემდეგ ბაგრატმა და ყვარყვარე ათაბაგმა თურქმანთა მბრძანებელთან ზავზე მოლაპარაკება გამართეს. უზუნ-ჰასანმა მათ მოსთხოვა გადაეხადათ 16 000 დუკატი. სამაგიეროდ აღუთქვამდა, რომ საქართველოს გაეცლებოდა, ოღონდ თბილისს თავის მფლობელობაში დაიტოვებდა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ქართველებმა გადაიხადეს აღნიშნული თანხა და უზუნ-ჰასანიც საქართველოს გაეცალა. მან თან 5000 ტყვე გაირეკა და თბილისშიც თავისი გარნიზონი დატოვა.

თეთრბატკნიანთა ხელში თბილისი დიდხანს არ დარჩენილა. 1478 წ. უზუნ-ჰასანი გარდაიცვალა და მის სახელმწიფოში არეულობა დაიწყო. ქართული წყაროს ცნობით, ამის შემდეგ “დააგდეს თათართა ტფილისი და სომხითი და დაიჭირა მეფემან ბაგრატ”. ამ ცნობას სპარსელი ისტორი-კოსებიც ეთანხმებიან.

საქართველოს საშინაო-პოლიტიკური ვითარება XV ს. 70-80-იანი წლების მიჯნაზე და იაყუბყაენის შემოსევები. 1478 წელსვე გარდაიცვალა ბაგრატ VI-ეც. მისი სიკვდილით ისარგებლა

კონსტანტინე დიმიტრის ძემ და ქართლ-იმერეთის ტახტი დაიკავა. ბაგრატის მემკვიდრე ალექსანდრე რაჭალეჩხუმში გამაგრდა. ქვეყნის შიგნით დაძაბული ვითარება კვლავ გრძელდება.

კახეთში 1476 წლიდან გიორგი VIII-ის (კახეთში – გიორგი I) ვაჟი ალექსანდრე მეფობს. მან ბოლომდე მიიყვანა მამამისის მიერ დაწყებული საქმე და კახეთში ხელისუფლება კიდევ უფრო განიმტკიცა.

კონსტანტინე მეფისაგან სრულიად დამოუკიდებელია სამცხის მთავარი ყვარყვარეც. ყვარყვარე მარტო თავისი სამთავროთი არ იფარგლება. იგი ყოველმხრივ ცდილობს თავისი გავლენა გაავრცელოს საქართველოს სხვა ნაწილებზეც, კერძოდ, ქართლზე. მას დიდი ბრძოლების გადატანა უხდება სამხრეთიდან თურქმანთა ახალი შემოტევების მოსაგერიებლად. ერთ-ერთი კინკლოსური მინაწერი გვამცნობს, რომ "ქორონიკონსა რÁზ (ე. ი. 1479 წ.) გაუმარჯუდა პატრონსა ყუარყუარეს ელალდისა ზედა. 447 თათარი მოკუდა". მაგრამ ყოველთვის გამარჯვებით ვერ მთავრდებოდა საქართველოს ამ გამდგარი მთავრის ბრძოლები ძლიერ მტრებთან.

უზუნ-ჰასანის გარდაცვალების შემდეგ ირანის ტახტი მისმა ვაჟმა სულთანხალილმა დაიკავა, მაგრამ მალე იგი მისმა ძმამ იაყუბმა შეცვალა. 1482 წლის ოქტომბერ-ნოემბერში იაყუბყაენი დიდი ჯარით სამცხეს შემო-ესია. ადრე დაწყებული მკაცრი ყინვების მიუხედავად თურქმანებმა მაინც შეძლეს ახალციხესთან მისვლა. ქალაქის აღებისა და დანგრევის შემდეგ მათ ალყა შემოარტყეს შიდაციხეს, რომელიც მეციხოვნეთა გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად იერიშით აიღეს და შიგ გამაგრებული აზნა-ურები დაატყვევეს. აქედან იაყუბყაენი აწყურის ციხისაკენ დაიძრა. აქ ათაბაგის მეუღლის ქონება და ძვირფასეულობა ინახებოდა. ქართველი ისტორიკოსის აღწერით, იაყუბყაენის ჯარებმა "მოწვეს აწყური და მოაოხრეს ქალაქი, და ციხეს ვერა უძლეს ბრძოლითა აღებაი და წასვლა ინებეს". ე. ი. ციხის აღების იმედი აღარ ჰქონდათ და წასვლას აპირებდნენ, მაგრამ როგორც ჩანს მტრის ეს განზრახვა დროზე ვერ შეიტყვეს ვერც ციხის დამცველებმა და ვერც იქ მყოფმა მაწყვერელმა მთავარეპისკოპოსმა. მათ იმედგადაწურულებმა მოციქული მიუგზავნეს წასასვლელად გამზადებულ იაყუბყაენს და ციხის ჩაბარება შესთავაზეს იმ პირობით, თუ იგი ხელს არ ახლებდა აწყურის ეკლესიას და ციხეში მყოფთ. იაყუბყაენმა ციხე უბრძოლველად ჩაიბარა და აქაც დიდძალი ქონება და ტყვეები იგდო ხელთ. ახალციხისა და აწყურის დაკარგვის შემდეგ ყვარყვარე იძულებული გახდა მორჩილება გამოეცხადებინა დამპყრობლისათვის და იაყუბს თავისი ვაჟიშვილი აახლა. ყვარყვარე აღუთქვამდა ხარაჯას და ერთდრო-ულ გადასახადს 500 თუმანის რაოდენობით. ამის შემდეგ იაყუბყაენი უკან გაბრუნდა. მისი ასეთი ნაბიჯი იმანაც დააჩქარა, რომ მის მიერ გაგზავნილი მარბიელი ლაშქარი დმანისსა და სომხით-საბარათიანოში ქართველებმა დაამარცხეს და დიდად დაზარალებული უკუაქციეს. იაყუბყაე-ნის ლაშქრობა საქართველოში 40 დღეს გაგრძელდა.

თურქმანთა შემოსევები ჯერ კიდევ ქვეყნის საბოლოო დაპყრობას არ ისახავდა მიზნად. საქართველოში თარეში მათ ძირითადად ნადავლის ჩა-საგდებად და ქვეყნის დასახარკავად უნდოდათ. მაგრამ უახლოესი მომავლისათვის ისინი საქართველოს საბოლოო დაპყრობას და აქ თავიანთი მიწისმფლობელობის ფორმებისა და მმართველობის სისტემის დანერგვასაც შეეცდებოდნენ. ამ მზარდი საფრთხის მიუხედავად ქართველ თავადთა უმრავლესობა მაინც

ვიწრო პარტიკულარული ინტერესებით იყო შემოფარ-გლული და მხოლოდ თავიანთი ძალაუფლების გაზრდა-განმტკიცებისათვის იბრძოდა. იაყუბყაენის შემოსევიდან უკვე შემდეგ წელს, 1483 წელს მოხდა ბრძოლა კონსტანტინე მეფესა და ყვარყვარე ათაბაგს შორის. ეს ბრძოლა არადეთის ბრძოლის სახელით არის ცნობილი. მის შესახებ თავის დროზე ბევრი გადმოცემა და თქმულება შექმნილა, რომელიც XVIII ს-ის ისტორიკოსებმა თავიანთ თხზულებებში შეიტანეს. კერძოდ, ერთ-ერთი გადმოცემა გვამცნობს: ყვარყვარე ათაბაგს შაქში, ქალაქ არეშში გაულშაქრია 500 კაციანი რაზმით, რადგან იქ მის ვაჭარს შეურაცხყოფა მიაყენეს და თვითონ ათაბაგიც აუგად მოიხსენიეს. არეშში ჩასულმა ყვარყვარემ დასაჯა თავისი შეურაცხმყოფელი და უკან გამობრუნებულმა გამოვლო კახეთი, მცხეთა და მოვიდა ქართლს. აქ მას გზა გადაუღობეს ციციშვილებმა, ასევე ქართლის სხვა თავადებმა და მისი შეპყრობა მოინდომეს. ყვარყვარე მათ შეებრძოლა, დაამარცხა და გამარჯვებული დაბრუნდა თავის სამფლობელოში. მეორე გადმოცემის მიხედვით კი ვითარება სხვაგვარად არის ასახული: ყვარყვარეს უნდოდა უკან დაებრუნებინა თურქმანთა შემოსევების დროს ქართლში შეხიზნული თავისი ქვეშევრდომი მესხები, მაგრამ ამის ნებას კონსტანტინე მეფე არ რთავდა. ამის გამო ბრძოლა მომხდარა არადეთთან, სადაც კონსტანტინე დამარცხებულა:Ý”ქორონიკონსა “როა” (ე. ი. 1483 წ.), თუესა აგვისტოსა იგ (13), ათაბაგს და მესხთ გაემარ-ჯუა და ესევითარი ძლევა აღადგინეს მესხთა ქართველთა ზედა, რომლისა მსგავსი არა სადა სმენილ არს, და მოსრნეს მრავალნი წარჩინებულნი მეფისანი. ხოლო მეფე ლტოლვილი მცირედითა მხედრითა განერნა და უკუნ იქცა სახედ თვისად”.

არადეთის ბრძოლაში მარცხმა სერიოზულად გაართულა მეფე კონ-სტანტინეს მდგომარეობა. რაჭალეჩხუმში შეხიზნულმა ალექსანდრე ბაგრატის ძემ დაუყოვნებლივ ისარგებლა ამ მდგომარეობით და იმერეთში გამეფება სცადა. ვახუშტის სიტყვით: “შემოიკრიბა რაჭალეჩხუმი ალექსანდრე, ძემან ბაგრატ მეფისამან, მოვიდა და აღიღო ქუთათისი. ქ˜ს ჩუპდ (ე. ი. 1484 წ.), ქ˜რ რობ (172). დაჯდა მეფედ, ეკურთხა და დაიპყრა იმერეთი”. ამრიგად, ქართლ-იმერეთის ერთიანობას კვლავ გამოეცალა საფუძველი. მართალია, ალექსანდრე ბაგრატის ძემ ამჯერად ვერ შეძლო ქუთაისში გამაგრება, რადგან მას წინ კვლავ აღუდგა სამეგრელოს მთავარი ლიპარიტ დადიანი, რომელმაც კონსტანტინეს დაუჭირა მხარი და ალექსანდრე იძულებული შეიქმნა ამჯერადაც მთებს შეხიზნოდა, მაგრამ სულ მალე, გართულებული საგარეო ვითარების პირობებში, ალექსანდრემ უფრო მტკიცედ დაიჭირა ქუთაისის ტახტი და იმერეთიც საბოლოოდ ქართლის მეფის სამფლობელოს ჩამოაშორა. ეს ამბავი დაკავშირებულია იაყუბყაენის საქართველოში მეორედ შემოსევასთან.

1487 წ. იაყუბყაენმა საქართველოში გამოგზავნა თავისი სარდალი ხალილბეგ ბეგთაში (იგი უზუნ-ჰასანის დროს თბილისის განმგებლად იყო დანიშნული), რომელსაც დაევალა საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყება და ციხეების აშენება. ხალილბეგი ქვემო ქართლში შემოიჭრა. აქ მან ორი ციხის — აღჯაყალისა და ქაოზიანის — აგება დაიწყო, ამავე დროს ბრძოლით დაიძრა თბილისისაკენ. მოსახლეობა თავგანწირულ წინააღმდე-გობას უწევდა თურქმანებს და მტერს დიდი ზარალი მოსდიოდა. ხალილმა თბილისამდე ძლივს მოაღწია, მაგრამ შემდგომი მოქმედების ძალა აღარ ჰქონდა. ამავე დროს, ჭანდარს დაბანაკებულ მტერს

ქაიხოსრო ციციშვილი, ჯავახ ჯავახიშვილი და ბარათიანნი თავს დაესხნენ და საგრძნობლად დააზიანეს. ამ მარცხმა თბილისთან მდგომი ხალილბეგი შეაფიქრიანა. მას შეეშინდა ქართველებს მისთვის უკან დასახევი გზა არ შე-ეკრათ და თბილისიდან სწრაფად გაცლა დაიწყო. კუმისის ბოლოს მას ქართველებმა ბრძოლა გაუმართეს. ასევე დიდი ბრძოლა მოახვიეს თავს ორბეთის ძირშიც. ამ ბრძოლებში გამარჯვება ქართველებს დარჩათ.

1488 წ. თვითონ იაყუბყაენი მოვიდა ყარაბაღს თავის ურდოსთან ერთად. აქ მასთან გამოცხადდა ხალილბეგი და მოახსენა, რომ ყარაღაჯისა და ქაოზიანის ციხეების აგება დამთავრებული ჰქონდა, მაგრამ თბილისის ასაღებად და ბრძოლების გასაგრძელებლად ახალი ლაშქარი სჭირდებოდა. იაყუბყაენმა საქართველოს წინააღმდეგ საღვთო ომის დაწყება ბრძანა. თურქმანთა უზარმაზარი ლაშქარი ყარაღაჯის ტყეებიდან თბილისისაკენ დაიძრა. მდ. ალგეთთან მას კიდევ ახალი დამხმარე ძალა შეუერთდა. დიდი ყინვიანი ზამთარი იდგა. თბილისის მისადგომებთან თურქმანებმა კოჯრის ციხეს შემოარტყეს ალყა. სპარსელი ისტორიკოსის მხატვრული გამოთქმით, ეს ციხე ისეთი მაღალი იყო, რომ კაცს ეგონებოდა მის ქონგურებზე გადამდგარი ღამის ყარაულები თვით მოწყვეტილ ვარსკვლავებზე ანთებდნენო ჩირაღდნებს. თურქმანებმა ზარბაზნების ცეცხლი დაუშინეს კოჯრის ციხეს და ბოლოს შესძლეს მისი აღება. მათ აქ ბევრი ტყვე და დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ. ციხე დააქციეს, ციხის დაცვის მეთაურებს თავები მოჰკვეთეს და იაყუბს გაუგზავნეს ყარაბაღში. ამის შემდეგ თურქმანებმა თბილისსაც შემოარტყეს ალყა.

ამასობაში მეფე კონსტანტინე ჯარშეყრილი ნიჩბისის წყალზე იდგა და აქ ცდილობდა დამხმარე ძალების მიღებას. მან წინადადებით მიმართა სამცხის მთავარსა და კახეთის მეფეს შეერთებული ძალით მტრის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ, მაგრამ როგორც სამცხის მთავარმა, ისე კახეთის მეფემ იაყუბყაენთან შებრძოლებას თავი აარიდა.

თბილისის ალყის პერიოდში თურქმანებმა მარბიელი ლაშქარი გაუ-სიეს ქართლის სოფლებს, მაგრამ მოსახლეობა გახიზნული იყო მთებსა და ხეობებში. როდესაც მომხდურებმა იქ შეღწევაც სცადეს, მწარე მარცხი იწვნიეს. კონსტანტინე მეფემ მტრის ძირითადად ძალებთან შებმა ვერ გაბედა და ზავის ჩამოგდება სცადა. თურქმან ამირებთან მოსალაპარაკებლად ქართლის მეფემ თავისი დედა გააგზავნა, მაგრამ ვერც ამით მიაღწია რამეს და იძულებული გახდა თბილისი უბრძოლველად გადაეცა მტრისთვის. 1489 წლის თებერვალში თურქმანებმა თბილისი დაიკავეს. ხალილბეგმა აქ თავისი გარნიზონი დატოვა და თვითონ ძირითადი ჯარით ყაე-ნის კარზე დაბრუნდა.

საქართველოს დაშლის იურიდიული გაფორმება.. თურქმანთა შემოსევებმა აშკარა გახადა თუ რამდენად შორს იყო წასული საქართველოს პოლიტიკური გათიშულობა. ამ უდიდესი საერთო საფრთხის ვითარებაში საქართველოს ძალების გაერთიანება ვერ ხერხდებოდა და ცალკე-ული სამეფო-სამთავროების სათავეში მდგომი პოლიტიკოსები ამ ამბებს უყურებდნენ მხოლოდ თავიანთი ვიწრო კუთხური ინტერესებით. ძველი ქართველი ისტორიკოსების მტკიცებით, ისინი მოსურნენიც კი იყვნენ თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების “მტერთაგან დამდაბლებისა”. საგარეო ვითარების გართულებამ და იაყუბყაენის ლაშქართან ბრძოლაში კონსტანტინეს საბოლოო მარცხმა კიდევ უფრო გააქტიურა დამშლელი ძალების

მოქმედება. აკად. ი. ჯავახიშვილის შენიშვნით, ასეთ ვითარებაში შეეძლო ალექსანდრე ბაგრატის ძეს ქუთაისის კვლავ ხელთ გდება და იმერეთის დაპატრონება. 1489 წლიდან იმერეთი უკვე საბოლოოდ ჩამო-შორდა ქართლს და აქ დამოუკიდებელი სამეფო ხელისუფლება გაფორმდა. დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად განაგრძობს არსებობას კახეთის სამეფო და სამცხის სამთავრო. სულ უფრო და უფრო მცირდება ქართლის მეფის, როგორც საქართველოს ერთიანობის იდეური განსახიერების, რეალური ძალაუფლება და მორალური ავტორიტეტი. შექმნილ პოლიტიკურ სინამდვილეს მხოლოდ ფორმალური აღიარებაღა აკლდა და ესეც მალე მოხდა.

1490 წ. იაყუბყაენი გარდაიცვალა და ირანი შინაომმა მოიცვა. ასეთ ვითარებაში კონსტანტინემ შეძლო თურქმანთა განდევნა როგორც თბილი-სიდან, ისე ქართლიდან საერთოდ. მეფემ აიღო და დაარღვია თურქმანთა შემოტევის ბაზად ქცეული აღჯაყალისა და ქაოზიანის ციხეები. ქართლის განთავისუფლების შემდეგ კონსტანტინე აპირებდა დაეწყო ახალი ბრძოლები კახეთისა და სამცხე-იმერეთის კვლავ შემოსაერთებლად. ამ მიზნით მან მოიწვია დარბაზის სხდომა: “შემოკრიბა კათალიკოსი, ეპისკოპოსსნი და წარჩინებულნი თვისნი”. სხდომაზე მან დასვა საკითხი: “თუ რაი ჰყონ განდგომილებისათვის ქვეყანათა და ვითარ მოაგონ კვალად მეფობასავე თვისსა”. დარბაზმა ერთხმად ურჩია, რომ ხელი აეღო ამ ბრძოლებზე: “ვინაითგან მტკიცედ სდგან ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთათა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისთვის არა გაგიზრახავთ ბრძოლასა, რამეთუ მრე (ე. ი. მომრევი) ვექმნეთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ნებასა, არამედ ვაცადოთ ჟამი, უკეთუ კვალად აგოს ღმერთმან მეფობასა შენსა”. რა თქმა უნდა, ღვთის ნებისადმი მინდობა არსებული მდგომარეობისადმი შეგუებას ნიშნავდა. ქართლის დიდებულებს არც მაინცდამაინც ეხალისებოდათ მეფის კვლავ გაძლიერება და “თვითმპყრობელად” გადაქცევა. ეს მათ სოციალურ და პოლიტიკურ ძალაუფლებას უსათუოდ შეაკვეცავდა ფრთებს. ამგვარად, 1490 წლის დარბაზის გადაწყვეტილებამ იურიდიულადაც გააფორმა საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლა.

თავი XVII. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის ბოლოს

ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო-პოლიტიკური კურსი XV საუკუნის ბოლოს. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შემდეგ უკვე შეუძლებელი იყო ერთიანი სახელმწიფოებრივი საგარეო პოლიტიკის წარმოება. ცალკეულმა ქართულმა სამეფომ თუ სამთავრომ თავისი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური ხაზი გამოიმუშავა, რაც იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ როგორი იყო ამა თუ იმ სამეფო-სამთავროს კონკრეტული პოლიტიკური ვითარება.

დასავლეთ საქართველოს ოსმალეთის მზარდი აგრესიული სახელმწიფო უახლოვდებოდა, მაგრამ მისი უშუალო შემოტევა მხოლოდ XVI საუ-კუნიდან დაიწყო. რაც შეეხება ქართლის სამეფოსა და სამცხის სამთავროს, მათ, როგორც დავინახეთ, მძიმე ბრძოლების წარმოება უხდებოდათ თეთრბატკნიან თურქმანთა შემოსევების წინააღმდეგ. მტერმა რამდენჯერმე თბილისის დაკავებაც მოახერხა, მაგრამ საბოლოოდ საქართველოს ამ ნაწილებში თურქმანებმა

ფეხის მოკიდება ვერ შეძლეს, თუმცა როგორც ქართლი, ისე სამცხეც არაერთხელ სასტიკად ააოხრეს და გაძარცვეს. ეს იყო თურქმანთა შემოტევის მხოლოდ დასაწყისი ეტაპი. შემდეგში ისინი უსათუოდ ეცდებოდნენ ქვეყნის საბოლოო დაპყრობას, აქ მომთაბარეთა ურდოების ჩამოსახლებასა და საქართველოში თავიანთი მიწისმფლობელობის ფორმებისა და მმართველობის წესების შემოღებას, როგორც ეს მეზობელ სომხეთში განახორციელეს.

მესაქონლე თურქმან ტომთა ჩამოსახლება და ქვეყანაში ნომადთა ბატონობისა და წესების დამყარება უდიდესი უბედურება იყო ინტენსიური მეურნეობის მქონე ქვეყნებისათვის. მართალია, ფეოდალური საქართველოს სოფლის მეურნეობა ნატურალურბატონყმური ხასიათის იყო, მაგრამ თავისი საფუძვლებით იგი გაცილებით უფრო პროგრესული იყო, ვიდრე მომთაბარეთა ექსტენსიური მეურნეობა. ქართული ფეოდალური მეურნეობა ემყარებოდა მიწისმფლობელობის იმ პროგრესულ ფორმებს, რაც აუცილებელი იყო მეურნეობის მაღალკულტურული დარგების (მევენახეობა, მებაღეობა, მემინდვრეობა) წარმოებისათვის, ემყარებოდა აგრეთვე ქართველი გლეხის სამეურნეო კულტურას, რაც თაობიდან თაობაზე გადმოცემულ მდიდარ გამოცდილებას გულისხმობდა. ქართული ფეოდალური ურთიერთობა გარკვეულად შეფარდებული იყო ამ აუცილებელ მოთხოვნებთან. მომთაბარეთა ჩამოსახლება და გაბატონება კი უსათუოდ გამოიწვევდა ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობის წესის შეცვლას ჩამორჩე-ნილი მომთაბარული მიწისმფლობელობით, ინტენსიური მეურნეობა პოზიციებს დაუთმობდა ექსტენსიურ მეურნეობას, მწარმოებელი საზოგადოება მოექცეოდა თურქმანთა სამხედრო-ნომადური არისტოკრატიის მტაცებლური ექსპლოატაციის ქვეშ. ქართველებისათვის საამისო თვალნათელ მაგალითს მეზობელი სომხეთი წარმოადგენდა, სადაც თურქმან მომთაბარეთა გაბატონების შედეგად უკიდურესად დაეცა კულტურული მეურნეობა, ხოლო ადგილობრივ მიწისმფლობელთა კლასი თანდათან განადგურდა და მათი ადგილი დაიკავა თურქმანთა სამხედრო-ნომადურმა არისტოკრატიამ. სომეხი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა მოშორებოდა მშობლიურ მიწაწყალს და მასობრივად გადასახლებულიყო მეზობელ საქართველოსა თუ სხვა ქვეყნებში. ქართველი ხალხის თავდადებული წინააღმდეგობის გამო მომთაბარე თურქმანებმა ამჯერად საქართველოში დამკვიდრება ვერ შეძლეს. ამ ამბავში ძირითადი დამსახურება ქართლის სამეფოს მიუძღვის. კახეთის მმართველი წრეები კი ცდილობდნენ უფრო სხვა გზებით ეხსნათ თავი მომთაბარეთა ძლიერი ძალის შემოტევისაგან. სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს კახეთის ტრადიცი-ული საგარეო პოლიტიკური ხაზი, რომ ყოველგვარი ღონისძიებით (მოხერხებული დიპლომატიით, გარკვეული დათმობებით, ფორმალური ყმობით, მცირე ხარკით და სხვა) მიეღწიათ იმისათვის, რათა ძლიერი დამ-პყრობელი თავიანთი ქვეყნის ფარგლებში არ შემოეშვათ.

მომთაბარეთა მხრივ დაპყრობის მზარდი საფრთხის ვითარებაში გარ-კვეულ მნიშვნელობას იძენს ამიერკავკასიის ქვეყნების ურთიერთობის დაწყება რუსეთის გაძლიერების გზაზე მდგარ სახელმწიფოსთან.

ურთიერთობა რუსეთთან. ქართული სამეფო-სამთავროებს შორის პირველი, რომელმაც ურთიერთობა დაამყარა რუსეთთან, იყო კახეთის სამეფო. კახეთი გეოგრაფიულად ახლო

მდებარეობდა იმ გზასთან, რომელიც აბრეშუმის წარმოების დიდმნიშვნელოვან ცენტრებს — გილანს, მაზანდერანს, აგრეთვე შაქი-შარვანის ქვეყნებს, კასპიის ზღვითა და ვოლგის სანაოსნო გზით მოსკოვს და შემდეგ დასავლეთ ევროპასთან აკავშირებდა. ეს გზა ამ ხანებში ჯერ კიდევ სათანადოდ ათვისებული არ იყო აქ მომთაბარე თათართა ურდოებისა და სხვა იმიერკავკასიელი აბრაგების თავდასხმების გამო, მაგრამ ვაჭრები სულ უფრო და უფრო ახერხებდნენ ამ გზით სარგებლობას და სავაჭრო ქარავნების მიმოსვლა კავკასიასა და რუ-სეთს შორის XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის უკვე იშვიათობას აღარ წარმოადგენდა.

სავაჭრო კავშირს მალე პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებაც მოჰყვა. 1465 წელს შარვანშაჰმა ფარუხ იასარმა მოსკოვს, დიდ სავაჭრო ქარავანთან ერთად, თავისი ელჩობაც გააგზავნა და მოსკოვის დიდ მთავარს პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება შესთავაზა. მოსკოვში დიდი პატივით იქნა მიღებული ეს ელჩობა და შემდეგ წელსვე საპასუხო ელჩობა გამოიგზავნა. ეს იყო პირველი რუსული ელჩობა არა მხოლოდ ამიერკავკა-სიაში, არამედ საერთოდ აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ ელჩობას თან ახლდა ცნობილი რუსი ვაჭარი და მოგზაური ათანასე ნიკიტინი, რომელიც თავისი მოგზაურობის აღწერილობაში საქართველოსაც ახსენებს. როგორც ჩანს, კახეთის მმართველი წრეებისათვის უცნობი არ დარჩენილა მეზობელი ქვეყნის მიერ რუსეთთან დამყარებული ურთიერთობის ფაქტი და რუ-სეთის პოლიტიკური მდგომარეობა.

1483 წელს მოსკოვში ჩავიდა კახეთის მეფის ალექსანდრეს ელჩობა ნარიმანის, დამიანეს და შაქელი ვაჭრის ხოზემარუმის შემადგენლობით. კახეთის ელჩებმა ივანე III-ეს მიართვეს წერილი, რომელშიც ალექსანდრე კახთა მეფე რუსეთის დიდ მთავარს ქრისტიანული ქვეყნების მფარველს და სარწმუნოების სიმტკიცის იმედს უწოდებს. რუსი პოლიტიკოსებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი უძველესი ქრისტიანული ქვეყ-ნის და დიდი ავტორიტეტის მქონე ეკლესიის მიერ, როგორიც საქართველო და ქართული ეკლესია იყო, რუსეთის ასეთი მისიისა და უზენაესობის აღიარებას, ამიტომ ამ ურთიერთობის დამყარებას მოსკოვში სათანადო ყურადღებით მოეპყრნენ.

ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან. ქართლის სამეფო კარი, განსხვავებით კახეთისაგან, მაჰმადიან აგრესორთა წინააღმდეგ მოკავშირე-ებს დასავლეთში ეძებდა. კონსტანტინე ქართლის მეფე ირანიდან მოძალებულ თურქმანთა წინააღმდეგ ბრძოლის დროსაც არ ივიწყებდა ამ დიდ საფრთხეს, რაც საქართველოს დასავლეთის მხრიდან უახლოვდებოდა თურქ-ოსმალთა სახით. ამ გზის გახსნა, როგორც უკვე ითქვა, ჯერ კიდევ 1459-1461 წლებში სცადა მეფე გიორგი VIIIმ და სხვა ქართველმა მთავრებმა ევროპის ქვეყნებთან ერთიანი გამოსვლით. მაგრამ, როგორც დავინახეთ, ქართველი ელჩების მოგზაურობა იტალიასა თუ საფრანგეთბურგუნდიაში უშედეგო გამოდგა. თურქების წინააღმდეგ განზრახული კოალიცი-ური ლაშქრობის გეგმა მაშინ ვერ განხორციელდა. შემდეგაც ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ კავშირი დაემყარებინათ თურქეთის გაძლი-ერებით შეშფოთებულ ვენეციის სახელმწიფოსთან. ამჯერად კი ქართლის მეფე კონსტანტინეს ყურადღება მიიპყრო ესპანეთმა, სადაც სწორედ ამ დროს დამთავრდა ქვეყნის გაერთიანება და ბოლო მოეღო არაბთა ბატო-ნობის ნაშთებსაც . საამისო ცნობა კონსტანტინე მეფეს ჩამოუტანა მისმა ელჩმა კირ-ნილოსმა, რომელიც ქართლის მეფის მიერ ქაიროში იყო გაგზავნილი ეგვიპტის სულტანთან თურქმანების წინააღმდეგ კავშირის შესაკვრელად. უკან გამობრუნებული კირ-

ნილოსი იერუსალიმში შეხვდა იქ მყოფ ესპანელ ელჩებს, მათგან მან შეიტყო ესპანეთიდან არაბების საბოლოო განდევნა და საჭიროდ დაინახა ეს ელჩები საქართველოში წამოეყვა-ნა. კონსტანტინე მეფემ საკმაოდ შორს მიმავალი გეგმები დაუკავშირა და-სავლეთ ევროპაში შექმნილ ამ ახალ ვითარებას. მან კვლავ სცადა გაეცოცხლებინა ის გეგმა, რომელიც თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და საქართველოს ერთობლივ გამოსვლას ითვალისწი-ნებდა და დასაყრდენ სახელმწიფოდ ამჯერად გაძლიერებული ესპანეთი მიიჩნია. მან 1495 წ. იგივე კირ-ნილოსი გააგზავნა ესპანეთის დედოფალ იზაბელასთან საამისო წინადადებით, თან დაავალა გზად ევროპის ქვეყნების მესვეურთათვის გაეცნო მათი მიზანი. კირ-ნილოსმა ეს დავალება გულმოდგინედ შეასრულა. ვარშავის არქივში აღმოჩნდა კონსტანტინე მეფის ესპანეთში გაგზავნილი წერილის ასლი (თარგმანი). როგორც ჩანს, პოლონეთზე გავლისას საქართველოს ელჩმა ლიტვა-პოლონეთის პოლიტიკო-სებს გააცნო თავისი მოგზაურობის მიზანი და მეფის წერილიც. შეიძლებოდა პოლონეთსაც გამოეთქვა თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ მომავალ ომში მონაწილეობის მიღების სურვილი. პოლონეთი არა ნაკლებად იყო შეშფოთებული თურქ-ოსმალების გაძლიერებით და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გაბატონებით. მას უკვე რამდენიმე სამხედრო შეჯახება, თანაც წარუმატებელი, ჰქონდა ოსმალებთან. ამდენად, პოლონეთის ჩაბმა ოსმალეთის საწინააღმდეგო მომავალ კოალიციაში უსათუოდ რეალური ჩანდა.

ესპანეთში ჩასულმა საქართველოს მეფის დესპანმა კირ-ნილოსმა დედოფალ იზაბელას გადასცა კონსტანტინე მეფის წერილი, რომლითაც ქართლის მეფე ულოცავდა ესპანეთის დედოფალს დიდ გამარჯვებას, რეკონ-კისტას დამთავრებას და თან თავისი ქვეყნის მძიმე მდგომარეობას აცნობებდა: “უღვთო სპარსთაგან მარად ჟამს წამებულნი ვართ და მრავალი ბოროტება მოგვაგეს ჩუენ, — ვკითხულობთ ამ წერილში. — სამ რამეს ითხოვენ ისინი ჩვენგან: ან უზომო დიდი ხარკი გვაძლიეთო, ან ჩვენთან ერთად იბრძოლეთ, ანდა ჩვენს სარწმუნოებაზე მოექცითო. ისინი მრავალი არიან. კონსტანტინოპოლისა, ტრაპიზონისა და სხვა ქრისტიანულ ქვეყანათაგან ჩვენ მარტო დავრჩით და ძალიან მცირენი ვართ”-ო. თავის მხრივ კონსტანტინე მეფე პირდებოდა, რომ მთელი ძალით გამოვიდოდა ოსმალთა წინააღმდეგ. წერილი დათარიღებულია 1495 წლის 10 მარტით.

ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს გეგმა, ისევე როგორც პირველი წამოწყება, იმთავითვე განუხორციელებელი დარჩა. ესპანეთი მართალია, დიდის გულმოდგინებით ეძებდა გზას აღმოსავლეთისაკენ და მოხარული იქნებოდა თუ ოსმალეთს ამ გზიდან ალაგმავდა, მაგრამ ეს მის ძალებს აშკარად აღემატებოდა. ევროპის ქვეყნებს შორის არსებული დიდი წინააღმდეგობის გამო მათი ძალების გაერთიანება ამჯერად შეუძლებელი იყო. ამას გარდა, ეს ქვეყნები უკვე თურქებთან მორიგების გზას დასდგომოდნენ. ამიტომ ესპანეთმა სხვა მიმართულებით დაიწყო გზის ძიება აღმოსავლეთის ქვეყ-ნებისაკენ — დასავლეთით, დედამიწის გარშემოვლით და, როგორც ცნობილია, ამ ძიებამ ესპანეთიდან გაგზავნილ ქრისტეფორე კოლუმბს მართლაც მიაკვლევინა “ინდოეთი”, რომელიც სრულიად ახალი კონტინენტი — ამერიკა აღმოჩნდა. ესპანელი და დასავლეთ ევროპელი პოლიტიკოსების ყურადღება ამის შემდეგ ატლანტის

ოკეანეს გადაღმა იქნა გადატანილი და მაჰმადიანთა გარემოცვაში მოქცეული მცირე ქრისტიანული ქვეყანა, საქართველო ევროპაში დიდი ხნით მიივიწყეს.

ესპანეთიდან უკან გამობრუნებული ქართველი დესპანი, 1498 წ. რომის პაპს, ალექსანდრე VI-ს ეწვია და მასაც მიართვა კონსტანტინე მეფის წერილი. საქართველოს მეფე დასავლეთიდან დახმარების მიღების სანაცვლოდ იმ დათმობაზედაც კი მიდიოდა, რომ მიიღებდა კათოლიკურ სარწმუნოებას და ცნობდა ფლორენციის უნიას, რომელსაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ ასე კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ქართველი წარგზავნილები თვით ფერარაფლორენციის მსოფლიო კრების მსვლელობის დროს. რომის პაპმა სანუგეშო ვერაფერი აცნობა ქართველ ელჩს და მხოლოდ იმ სამწუხარო ფაქტზე მიუთითა, რომ "სულის ძველმა მტრებმა" განხეთქილება ჩამოაგდეს ევროპის ქრისტიან მთავრებს შორის და მათი ერთიანი გამოსვლა კონსტანტინოპოლის და სხვა ქრისტიანი ქვეყნების თურქთა ბატონობისაგან გასათავისუფლებლად, ამჯერად ვერ მოხერხდებოდა. სამაგიეროდ რომის პაპმა საქართველოს მეფეს გამოუგზავნა ფლორენციის კრების გადაწყვეტილების ტექსტი მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების რომის პაპის უზენაესობით გაერთიანების (უნიის) შესახებ. ასეთი "დახმარება" მაჰმადიანთა აგრესიით მეტისმეტად შეწუხებულ ქართლის მეფეს ყველაზე ნაკლებად სჭირდებოდა, დასავლეთ ევროპასთან ქართველი მეფემთავრების ურთიერთობა ამის შემდეგ კარგა ხნით შეწყდა.

თავი XVIII. ქართული კულტურა XIII-XV საუკუნეებში

საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დაცემა-აღმავლობის შესაბამისად ხდებოდა ქართული კულტურის პერიოდული აღორძინება და დაქვეითება. ჯალალ ედდინის და თემურლენგის გამანადგურებელმა შემოსევებმა, მონღოლთა ასწლოვანმა ბატონობამ თავისი ღრმა უარყოფითი კვალი დაატყო ქართული კულტურის განვითარებასაც. განადგურდა ქართული მწერლობისა და ხელოვნების უამრავი ძეგლი. მიყენებული ზიანის მასშტაბების წარმოსადგენად საკმარისია გავიხსენოთ, რომ თემურლენგი საქართველოში "საფუძვლითურთ" ანგრევდა ეკლესიამონასტრებს; ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, მან საქართველოშიც პირწმინდად გაძარცვა სამეფო ბიბლიოთეკა და სხვა წიგნთსაცავები; მავერანნაჰრში გადაასახლა ხუროთმოძღვრები, ოსტატხელოსნები, მხატვრები, მწიგნობრები... ესეც არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ იმ ხანის ქართულ საისტორიო მწერლობის მხოლოდ სამოიოდე ძეგლმა მოაღწია ჩვენამდე. მაგრამ რაც შემოგვრჩა, ისიც ნათლად ადასტურებს ქართული საისტორიო აზროვნების განვითარების მაღალ დონეს; მიუთითებს, რომ XIII-XV სს-ის ქართული საისტორიო მწერლობა წინარე ხანის (განსაკუთრებით XI-XII სს-ის) შესა-ნიშნავი ქართული ისტორიოგრაფიის ტრადიციების გამგრძელებელია.

1125-1223 წწ-ის საქართველოს ისტორიას (დემეტრე I-ის, დავით V-ის, გიორგი III-ის, თამარის, გიორგი IV ლაშას მეფობა) გადმოგვცემს გიორგი IV-ს თანამედროვე უცნობი ქართველი ისტორიკოსი. ივ. ჯავახიშვილმა მას ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე უწოდა. ეს მცირე მოცულობის (სულ რამდენიმე გვერდი) თხზულება დაწერილია ლაშა-გიორგის გარდაცვალებისა

და რუსუდანის გამეფების წელს (1223 წ.). მისი მთავარი ღირსება ქრონოლოგიური ცნობების სიუხვე და სიზუსტეა. სამწუხაროდ, ზოგი-ერთი თარიღი გვიანდელი გადამწერის დამახინჯებულია, ზოგი კი – დაზიანებულია. ეს თხზულება ერთადერთი ეროვნული წყაროა, რომელშიც დაცულია ცნობები დავით V-ის შესახებ. აგრეთვე მხოლოდ ამ თხზულებაშია მითითებული ზოგიერთი თარიღი, რაც მის მნიშვნელობას კიდევ უფრო ღირებულს ხდის. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულება შეტანილი იყო "ანასეულ ქართლის ცხოვრებაში", ანუ ქართლის ცხოვრების იმ ნუსხაში, რომელიც გადაწერილ იქნა კახეთის მეფის, ალექ-სანდრე I-ის მეუღლის – ანა დედოფლის ბრძანებითა და ხარჯით 1479-1495 წწ-ში. ამ ნუსხაში შესულია აგრეთვე ლეონტი მროველისა და ჯუან-შერის თხზულებები, მატიანე ქართლისა და დავით აღმაშენებლის ისტორია. გადამწერის ვინაობა უცნობია. ხელნაწერს მიაკვლია ივ. ჯავახიშვილმა 1913 წ. სოფ. ლამისყანაში, ჯამბაკურ-ორბელიანების საოჯახო წიგნთსაცავში. აღნიშნული ხელნაწერი უძველესია დღემდე ცნობილ "ქართლის ცხოვრების" ნუსხათა შორის. "ქართლის ცხოვრებას" ფეოდალურ საქართველოში საკითხავი წიგნისა და ეროვნული ისტორიის სახელმძღვანელოს დანიშნულება ჰქონდა. XV ს-ის ბოლოს, კახეთის სამეფო კარზე "ქართლის ცხოვრების" გადაწერა, საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის მიუხედავად, ეროვნული თვითშეგნების სიმტკიცისა და ერთიანობისაკენ სწრაფვის მანიშნებელია.

როგორც ცნობილია, "ქართლის ცხოვრების" ძველი ციკლი ჟამთააღმწერლის "ასწლოვანი მატიანე"თი მთავრდებოდა. გიორგი V ბრწყინვალეს თანამედროვე უცნობი ქართველი ისტორიკოსი, რომელსაც დაწერილი აქვს საქართველოს ისტორია ლაშა-გიორგის გამეფებიდან გიორგი ბრწყინვალეს გამეფებამდე, ისტორიას ჟამთააღმწერლობას, ხოლო ისტორი-კოსს ჟამთააღმწერელს უწოდებს. ამიტომ ივ. ჯავახიშვილმა მას ჟამთააღმწერელი უწოდა. მისი აზრით, "ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტების მეტყველება არს და არა თუალაბმა ვისთუისმე". პატრიოტი ისტორიკოსი ხატოვ-ნად აღწერს ცოტნე დადიანის, დემეტრე თავდადებულის და სამშობლო-სათვის სხვა თავგანწირულთა გმირობის ამბებს. მსოფლიო ისტორიისა და უცხო ენების (ბერძნული, სპარსული, მონღოლური) მცოდნე მემატიანე საქართველოს ისტორიას ფართო საერთაშორისო ფონზე მოგვითხრობს. მნიშვნელოვანი ცნობები აქვს მონღოლებისა და მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების ისტორიისთვისაც.

აღსანიშნავია ჟამთააღმწერლის კრიტიკული დამოკიდებულება წყარო-ებისადმი, ამა თუ იმ მოვლენის ახსნის მცდელობა. ამავე დროს, მისთვი-საც დამახასიათებელია ფეოდალიზმის ხანის ქართულ (და არა მარტო ქართულ) ისტორიოგრაფიაში გავრცელებული პროვიდენციალიზმი (მოვლენების ახსნა ღვთის ნებით). სავარაუდოა, რომ ჟამთააღმწერელს, გიორგი V ბრწყინვალეს მეფობაც ჰქონდა აღწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი თხზულების ამ ნაწილმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ასევე დაკარგულია ბაგრატისა და კონსტანტინეს მეფობის ისტორია. ვახტანგ VI-ის "სწავლულ კაცთა" კომისიის განცხადებით, მათ "ძველთა წიგნთა შინა" უპოვიათ ბაგრატ V-ისა (1360-1393 წწ.) და მისი ძის, კონ-სტანტინე I-ის (1407-1411 წწ.) ცალკე დაწერილი ისტორია და მისი ცნობები შეუტანიათ "ახალ ქართლის ცხოვრებაში".

საქართველოს ერთიანი ისტორიის აღწერასთან ერთად ხდებოდა კერძო საგვარეულო მატიანეების შედგენაც.

XV ს-ის დასაწყისშია შექმნილი ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატი-ანე "ძეგლი ერისთავთა". დაწერილია ერისთავთ-ერისთავის — ვირშელ III-ის სიცოცხლეში, იმ დროის ცნობილი ლარგველი მოღვაწის, მწიგნობრის, კალიგრაფისა და მხატვრის ავგაროზ ბანდაისძის მიერ. თხრობა მიყვანილია 1405 წმდე. თხზულება ავგაროზის გარდაცვალების შემდეგ (+1400 წ.), როგორც ჩანს, დაასრულა მისმა ვაჟმა, გრიგოლმა. XIV ს-ის დასასრულისათვის ცხრაძმისხევის, იგივე ქსნის საერისთავო ნახევრად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად – სათავადოდ ჩამოყალიბდა. ქსნის ერისთავებს ესაჭიროებოდათ, რომ თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ისტორი-ული დასაბუთება და ლეგიტიმური საფუძველი მიეცათ და აღნიშნული თხზულების სახით შეიქმნა კიდეც ქსნის ერისთავთა "დამოუკიდებლობის დამადასტურებელი" დოკუმენტი. XIV-XV სს-ის მიჯნაზე, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტის პირობებში "ძეგლი ერისთავთას" შედგენა სავ-სებით კანონზომიერი და ეპოქის შესაფერისი მოვლენა იყო. ძეგლში მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, მთიანეთის მოსახლეობის სოციალური განვითარებისა და ფეოდალური ინსტიტუტების ჩამოყალიბების შესასწავლად.

ქსნის ერისთავთა ხელშეწყობით, განსაკუთრებით XIII-XIV სს-ის მიჯ-ნის ქვენიფხეველი ერისთავის — შალვას დროიდან მოყოლებული, ლარ-გვისის მონასტერი მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კერად ჩამოყალიბდა მდიდარი ბიბლიოთეკით. უაღრესად ნაყოფიერი იყო მამა-შვილი ბანდაისძეების მოღვაწეობა. ავგაროზმა XIV ს-ის შუახანებში გადაწერა პარაკლიტონი (კვირის დღეებისათვის განკუთვნილი საგალობლების კრებული), აგრეთვე მოხატა მისი თანამედროვე, ასევე ლარგველი გიორგი თაბაურის მიერ გადაწერილი სახარების ერთი ხელნაწერი. გრიგოლ ბანდაისძემ აღადგინა და მოხატა ლარგვისის ძველი ეკლესია, შემატა ახალი დამხმარე ნაგებობები და შესწირა ხელნაწერები.

ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და მეცნიერის – ზაზა ფანასკერტელციციშვილის სახელთანაა დაკავშირებული საციციანოს კულტურული დაწინაურება, ძლიერი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა მძოვრეთში (საციციანოს ცენტრი) XV ს-ის 60-იანი წწდან. ზაზამ განაახლა ყინწვისის მონასტერი და მიაშენა ეკვდერი. მის კალამს ეკუთვნის ორიგინალური სამედიცინო წიგნი კარაბადინი, რომელშიც აღწერილია სხვადასხვა დაავადებები და მათ მკურნალობის წესები. ზაზას ფრესკული გამოსახულება დაცულია ყინწვისის ეკლესიაში.

მონღოლთა ბატონობამ მნიშვნელოვნად დააქვეითა სწავლა-განათლების საქმე, მაგრამ იგი სავსებით მაინც არ ჩამკვდარა. XIV ს-ის დასაწყისში მარტო აღმ. საქართველოს მთიან ნაწილში 7 სკოლა იყო, სადაც ღვთისმეტყველებას, ფილოსოფიას, საქართველოს ისტორიას და სხვა საგნებს ასწავლიდნენ.

ქართული კულტურის ცენტრებად საზღვარგარეთ კვლავ რჩება იერუ-სალიმის ჯვრის მონასტერი და პეტრიწონის მონასტერი. დავით VIII-სა და გიორგი V-ს მეცადინეობით დაბრუნებულ ჯვრის მონასტერში მათივე ინიციატივით მნიშვნელოვანი სარესტავრაციო

სამუშაოები ჩატარდა, ხოლო ლიხთ-იმერეთის მეფის, დავით ნარინისძის, კონსტანტინე I-ის სახსრებით მონასტერი ხელახლა იქნა მოხატული. გაწეული დამსახურების აღსანიშნავად დავით, გიორგი და კონსტანტინე მეფეებისთვის მონასტრის კრებულმა აღაპები დააწესა. ქართველების ხელში დაბრუნებულ მონასტერში გა-ნახლდა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. XIV ს-ის I ნახ-ში აქ დაიწერა ლუკა იერუსალიმელისა და ნიკოლოზ დვალის მარტვილობები. “ლუკა იერუსალიმელის მარტვილობაში” აღწერილია მამლუქების მიერ მონასტრის მიტაცება 1273 წ. და მისი წინამძღვრის – ლუკა იერუსალიმელის (მუხაისძის) მოწამეობრივი სიკვდილი. “ნიკოლოზ დვალის მარტვილობაში” 1314 წ. მამლუქების მიერ მონასტრის მიტაცებისა და ქრისტიანობისათვის წამებული ბერის თავგადასავალია მოთხრობილი. ორივე ჰაგიოგრაფიული თხზულება მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. იერუსალიმში იყო ქართული დედათა მონასტერიც, სადაც ლუკა იერუსალიმელის დედა შემონაზვნებულა. ნიკოლოზ დვალის ცხოვრებიდან ვიგებთ კვიპროსზე ქართული მონასტრის არ-სებობის შესახებ. არც გიორგი ბრწყინვალეს შემდგომ ხანებში მოკლებია საქართველოს სამეფო კარის, ქართული ეკლესიისა თუ ქართველ დიდგვაროვანთა ყუარდღება იერუსალიმის ჯვრის მონასტერს და წმ. მიწას საერთოდ. ამას მიუთითებს ჯვრის მონასტრის აღაპებში დავით IX-ს, ბაგრატ V-ს და ალექსანდრე დიდის მოხსენიება. 1400 წ. თემურლენგისგან აოხრებული ჯვრის მონასტერი სპეციალურად მოინახულა და მატერიალური დახმარება გაუწია პიმენ მაწყვერელმა.

იერუსალიმში მრავლად იყო ქართული მონასტრები. ყველა მონასტერს თავისი მოსახსენებელი ჰქონდა. XVIII ს-ის ქართველი მწერალი, მეცნიერი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი თავის “მიმოსვლაში” ამ მოსახსენებელზე დაყრდნობით მოგვითხრობს ქართველთა საამშენებლო მოღვაწეობის შესახებ იერუსალიმში. XIV-XV სს-ის მიჯ-ნაზე ქსნის ერისთავთ შალვას, ვირშელს და ივანეს აუგიათ წმ. დიმიტრის მონასტერი, ხოლო ამილღამბარ ფანასკერტელციციშვილს და მაჩაბელთ წმ. ეკატერინეს მონასტერი. მნიშვნელოვანი ღვაწლი აქვთ გაწეული იერუ-სალიმის ჯვრის მონასტრისა და წმ. მიწის სხვა ქართული სავანეებისადმი აგრეთვე დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენლებს.

წმ. მიწაზე ქართველთა კანონიერ მფლობელობას ძალიან ხშირად ეჭვქვეშ აყენებდნენ და ეცილებოდნენ სხვა ეროვნებისა და მრწამსის მიმდევრები. მათგან თავდასაცავად 1400 წ. “გოლგოთის სვინქსარზე” გაკეთდა მინაწერი საბუთი. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია ქართველთა უფლებები გოლგოთაზე, მათი მონაწილეობა და ვალდებულებები ღვთისმსახურებისას. მიუხედავად ამისა, XV ს-ის 60-იან წწ-ში კათოლიკურმა ეკლე-სიამ მაინც შეძლო “გოლგოთის” მიტაცება. გიორგი VIII-ის მიერ იერუსალიმში ჯვარისმამად გამწესებულმა სახლთუხუცესმა ბეენა ჩოლოყაშვილმა იაკობწმინდის მონასტრის დაცვაც მოახერხა სომეხთაგან და ფრანგებიც (ე.ი. კათოლიკეები) გამოყარა გოლგოთიდან: “ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყუელა გარეთ გამოუყარე... მე ცოდვილმან ბეენ”.

პეტრიწონის მონასტერში დღემდე ინახება ღვთისმშობლის ხატი ქართული ასომთავრული წარწერით. წარწერაში დაცულ ცნობებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურის ისტორიისათვის. წარწერის თანახმად ხატი მოუჭედიათ 1311 წ., ტაოელი ძმების,

მოძღვარ ათანასი და ოქროპირ ეგნატიშვილების სახსრებით. მათი ქართველობა და ათანასის მასწავლებლობა (მოძღვარი ნიშნავს მასწავლებელს) იმის მაუწყებელია, რომ პეტრიწონის მონასტერში კვლავ მოქმედებდა გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ დაარსებული სემინარია და იქ სწავლება ქართულ ენაზე მიმდი-ნარეობდა. როგორც ჩანს, გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონით გათვალსიწინებული მოთხოვნა, რომ მონასტერში მხოლოდ ქართული წერა-კითხვის მცოდნე ბერები უნდა ყოფილიყვნენ, ძალაშია XIV ს-შიც.

მონღოლთა ბატონობის მიუხედავად, ქართული ეკლესიის ძალისხმევით ხდება ქრისტიანული რელიგიისა და მასთან ერთად ქართული კულტურის გავრცელება კავკასიის მთიანეთში. XIII ს-ის 80-იან წწ-ში ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწეების, პიმენ სალოსისა და ანტონ ნაოხრბელის ძის სამისიონერო მოღვაწეობის შედეგად ქრისტიანობა იმდენად ფართოდ გავრცელდა დაღესტანში, რომ XIV ს-ში ხუნზახში ეპისკოპოსი იჯდა. საქართველოს გავლენის გავრცელებას ამ ტერიტორიაზე XIV ს-ში დაღესტანში აღმოჩენილი ქართული წარწერებიც ადასტურებენ.

ქართულ კულტურაში ტრადიციულად წამყვანი ადგილი უკავია ხუროთმოძღვრებას. ლაშა-გიორგის მეფობის პერიოდში აგებული ძეგლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია წუღრუღაშენისა (ბოლნისის რ-ნი) და ფიტარეთის (თეთრი წყაროს რ-ნი) ეკლესიები. ფიტარეთის ტაძარი, მასზე დაცული წარწერის თანახმად, თავისი “ხრმლითა მოგებულისა” აუგია ამირეჯიბ ქავთარ ქაჯაფაისძეს. ქართველ ოსტატთა მაღალი დონის მაჩვენებელია დმანისის ეკლესიის კარიბჭე, სათხის ეკლესიის (ნინოწმინდის რ-ნი) ქვის კანკელი (ჩართულია ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიციაში) და გრი-გოლ მაწყვერლის ბრძანებით აგებული ქარზამეთის (ასპინძის რ-ნი) ეკლე-სიის შესანიშნავი ორნამენტებით შემკობილი სამხრეთის შესასვლელი. ეკლესიებზე შემორჩენილ წარწერებში დაცულია მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურის ისტორიის სა-კითხებზე. აბელიის (თეთრი წყაროს რ-ნი) და კარნეთის (ახალქალაქის რ-ნი) ეკლესიათა სამშენებლო წარწერები მოწმობენ, რომ “თათართა” ბატო-ნობის ხანაშიც, ეკონომიკური გაჭირვების მიუხედავად, გრძელდებოდა ეკლესიათა მშენებლობა.

დემეტრე II თავდადებულის მეფობაშია აგებული თბილისის მეტეხის ტაძარი. ის აღმართულია V ს-ის ეკლესიის ნანგრევებზე, სადაც ქართული საისტორიო ტრადიციით წმ. შუშანიკი იყო დაკრძალული.

ქართველთა განმანათლებლის, წმ. ნინოს დაკრძალვის ადგილზე, სოფ. ბოდბეში (სიღნაღის რ-ნი), ადრეფეოდალურ ხანაში სამონასტრო კომპლექსი იქნა აშენებული. კომპლექსის მთავარი ეკლესია, სამნავიანი ბაზილიკა რამდენჯერმე იქნა შეკეთებული და რესტავრირებული (უკანასკნელად XIX ს-ის 20-იან წწ-ში, სიღნაღისა და ქიზიყის მიტროპოლიტ იოანე მაყაშვილის თაოსნობით). ტაძრის დას. ფასადზე ამოკვეთილი წარწერის თანახმად, ერთ-ერთი “აღშენება” (ანუ განახლება) ეკლესიისა მომხდარა დემეტრე თავდადებულის ზეობისას. კიდევ ერთი შესანიშნავი ქართველი ხუროთმოძღვრის, ჭიჭაფორისძის, სახელი შემოგვინახა გუდარეხის ეკლე-სიის სამშენებლო წარწერამ. XIII ს-ის დასაწყისში აღმართული ტაძარი, როგორც ჩანს, იმდენად დაზიანდა, რომ ხელმეორედ იქნა აგებული დემეტრე თავდადებულის ასულ,

დედოფალ რუსუდანისა და მისი მეუღლის, თაყა ფანასკერტელციციშვილის თაოსნობით. ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უბრწყინვალეს ძეგლს, განათლებისა და მეცნიერების უპირველეს კერას, გელათის მონასტერს XIII ს-ში სამხრ. და ჩრდ. ეკვდერები მიაშენეს. სამხრ. ეკვდერის მხატვრობამ შემოგვინახა დავით ნარინის ორი პორტრეტი (ერისკაცობისა და შემონაზვნების პერიოდების); აგრეთვე XIII ს-შია აგებული სხალთის (ხულოს რ-ნი) ბრწყინვალე ეკლესია.

XIII ს. II ნახ. — XIV ს. I ნახ.-ის მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლების უმეტესობა სამცხეშია თავმოყრილი, რაც საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით სამცხე-საათაბაგოს დაწინაურებული მდგომარეობით იყო განპირობებული.

ბექა ჯაყელის ათაბაგობის პერიოდშია აგებული ქართული ხუროთმოძღვრების უბრწყინვალესი ძეგლები: ზარზმისა და საფარის მონასტრები. ზარზმის მონასტერი სერაპიონ ზარზმელის მიერ დაარსებული ეკლესიის ადგილზეა აღმართული. ძველ ეკლესიაზე ამოკვეთილი იყო წარწერა, რომელიც მოგვითხრობს ტაოს მეფის, დავით III-ის ძლევამოსილ ლაშქრობაზე ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ 979 წ. წარწერიანი ქვა, როგორც წარ-სული დიდებისა და ძლიერების უტყუარი მატიანე, ეკლესიის ხუროთმოძღვარს საგანგებოდ სამლოცველოს შესასვლელის თაღში ჩაუსვამს. ტაძრის კედლებზე ბექას და მისი ოჯახის წევრების პორტრეტებია გამოსახული. ზარზმის სამრეკლო ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში და საუკეთესო ნიმუშია ამ ტიპის ქართულ ნაგებობათა შორის.

საფარა ჯაყელთა ერთ-ერთი რეზიდენცია და საძვალე იყო. წმ. საბას ეკლესიის ფასადებზე ამოკვეთილი წარწერები გვაუწყებენ ამ დიდებული ტაძრის ხუროთმოძღვრის სახელს – ფარეზას ძე. ტაძრის კედლებზე აქაც ბექას და მისი ოჯახის წევრების პორტრეტებია გამოსახული. ეკლესიასთან სამრეკლოც არის აშენებული, რომლის პირველი სართული ჯაყელების მსახურთუხუცესის — ლასურიძის საგვარეულო სამარხი იყო. ამ ეკლესიათა კარ-სარკმელები უხვადაა შემკობილი ჩუქურთმებით.

ჭულეს (ადიგენის რ-ნი) წმ. გიორგის გუმბათიანი ეკლესია საფარისა და ზარზმის მონასტრების ხუროთმოძღვრულ ჯგუფს განეკუთვნება. აქ, ისევე როგორც საფარასა და ზარზმაში, სამცხის ათაბაგთა პორტრეტები იყო. მხატვრობა, წარწერის თანახმად, დაუსრულებიათ 1381 წ.

ჯაყელები დიდ ყურადღებას იჩენდნენ წმ. მიწის ქართული სავანეების მიმართ. ამიტომაცაა, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კრებულმა დაადგინა აღაპები XIII-XV სს-ის ჯაყელთა საგვარეულოს თითქმის ყველა თაობის წარმომადგენლებისათვის, სარგის Iდან მოყოლებული (+1285 წ.) ყვარყვარე II-ს (+1498 წ.) ჩათვლით.

სამცხის ათაბაგთა დაკვეთით შესრულდა ბექა ოპიზარის ცნობილი ანჩისხატის კარედის შიდა პირის მოჭედილობა (XIV ს.)

გიორგი ბრწყინვალეს მეფობის მეცხრამეტე წელსაა აგებული მეფის მოლარეთუხუცესის მიერ სოფ. დაბის (ბორჯომის რ-ნი) ერთნავიანი დარბაზული ეკლესია, უხვად მოჩუქურთმებული ფასადებით.

XIV-XV სს-შია განახლებული სოფ. დორეთკარის (ახალგორის რ-ნი) წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია. ინტერიერი მთლიანად მოხატულია სცენებით წმ. ბარბარეს ცხოვრებიდან. დასავლეთ ფასადზე მავედრებლის პოზაში არიან წარმოდგენილნი ქტიტორები, ადგილობრივი ფეოდალები. დაზიანების გამო საამშენებლო (განახლების) წარწერამ მხოლოდ ფრაგმენტულად მოაღწია და მათი სახელები აღარ იკითხება.

ამავე პერიოდში და ამავე რეგიონშია (შიდა ქართლის ჩრდ. ნაწილი, ცხინვალის რეგიონი) აგებული თავად ფალავანდიშვილთა საგვარეულო მონასტრები ოჟორასა და გომართაში (ყორნისის რ-ნი), საინტერესო კედლის მხატვრობითა და ასომთავრული წარწერებით (XIV-XV სს-ის მიჯნა); ასევე, XIII ს-ის დასასრულის თირის (ცხინვალის რ-ნი) სამონასტრო კომ-პლექსი (ღვთისმშობლის ეკლესია, სატრაპეზო და კლდეში ნაკვეთი სენა-კები). XIV ს-ის ბოლოს ადგილობრივმა ფეოდალებმა, თავხელიძეებმა სამრეკლო ააგეს, ხოლო ღვთისმშობლის ეკლესიას თავიანთი საძვალე – ეკვდერი მიაშენეს.

გერგეტის სამების გუმბათოვანი ტაძარი დაბა ყაზბეგთან აგებულია XIV ს-ის 30-იან წწ-ში. XIV ს-ის II ნახ-ში აქ აგებულ იქნა სამრეკლო, ხოლო XV ს-ში ტაძრის სამხრეთ კედელზე მიშენებულ იქნა მცირე ზომის საბჭეო. საბჭეოში იკრიბებოდა უხუცესთა საბჭო თემის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად. სამება ხევის უმთავრესი სალოცავი იყო. დღესაც, მარიამობა დღეს (28 აგვისტო), აქ მოდის სალოცავად ჩრდ. კავკასიის ქრისტიანი მოსახლეობა.

XIV ს-შია მოხატული უბისის (ხარაგაულის რ-ნი), წალენჯიხის, ხობის, სორის და სხვა ეკლესიები.

უბისის მხატვრობა ერთი მხრივ აგრძელებს ქართული მონუმენტური მხატვრობის ტრადიციებს, მეორე მხრივ კი პალეოლოგოსთა ხელოვნების ძეგლებთან ავლენს მჭიდრო კავშირს. უბისის მხატვრობის მსგავსი სტილით არის შესრულებული რაჭის სოფ. სორის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა.

წალენჯიხის ტაძრის ინტერიერი, შემორჩენილი ქართული და ბერძნული წარწერების თანახმად, სამეგრელოს მთავრის, ვამეყ დადიანის (1384-1396 წწ.) ბრძანებით მოუხატავს კონსტანტინოპოლიდან საგანგებოდ მოწვეულ მხატვარ კირ მანუელ ევგენიკოსს. ეს მოხატულობა XIV ს-ის დასასრულის კონსტანტინოპოლის სკოლის ერთადერთი შემორჩენილი, ზუსტად დათარიღებული და მხატვრის მიერ ხელმოწერილი ნიმუშია.

XIII ს-ის დასასრულს აგებული ხობის ტაძრის ეკვდერი ვამეყ დადი-ანმა საგვარეულო საძვალედ გადააკეთა. შესასვლელის თავზე საგანგებოდ გათლილ დიდ ქვაზე ამოკვეთილი წარწერის ცნობით "ერისთავთ-ერისთავმა და მანდატურთუხუცესმა დადიანმან ვამეყ... ურწმუნოებისა და ორ-გულობისათვის მოარბილნა" ჯიქეთი, წამოიღო იქიდან "სვეტნი და ფიქალნი მარმარილოსანი", რომლითაც ეკვდერის კედლები ამოაშენა. ეკლე-სიის აგების თანადროული მხატვრობის გვერდით ვამეყ დადიანის, მისი მეუღლის მარეხის და შვილის გიორგის გამოსახულებებია.

ვანის ქვაბები 1204 წდან თმოგველთა ფეოდალური სახლის საგვარე-ულო მონასტერია. 1204 წდან 1283 წმდე, სანამ ძლიერი მიწისძვრა დაან-გრევდა ვანის ქვაბებს, თმოგველებმა აქ ააშენეს წმ. გიორგის ტაძრის კარიბჭე, სამრეკლო და დარბაზული ეკლესია. თმოგველთა საგვარეულოს ფუძემდებლის, სარგის ვარამისძის შვილმა მხარგრძელმა 1225-1230 წწ-ში მონასტერს შეუდგინა ტიპიკონი (სამონასტრო წესდება). "ვაჰანის ქვაბთა განგება" ერთადერთი (პეტრიწონის ტიპიკონის გარდა) შედარებით სრული სახით შემორჩენილი ქართული სამონასტრო სამართლის ძეგლია. იგი ქართული სამონასტრო ტიპიკონის ნიმუშია და გვამცნობს არა მარტო ვა-ნის ქვაბთა მონასტრის მდგომარეობას, არამედ ზოგადად მთელ მაშინდელ სამონასტრო ცხოვრებაზე გვიქმნის წარმოდგენას.

XIV-XV სს-ში ვანის ქვაბში აღსდგა სამონასტრო ცხოვრება. ჟამთა სი-ავის დროს ვანის ქვაბები სახიზარის როლსაც ასრულებდა. თექვსმეტ იარუსად განლაგებულ გამოქვაბულთა ბოლო სართულზე კლდეში ჩაშენებულ იქნა მომცრო ზომის გუმბათოვანი ეკლესია. ეკლესიის ინტერიერის შელესილობაზე (ბათქაშზე) მელნით შესრულებული ორმოცდაათამდე მხედრული წარწერა, ფრინველთა სურათები და ნადირობის სცენებია აღბეჭდილი. წარწერებს შორის გამოიყოფა XV ს-ის II ნახ-ში აქ შემოხიზნული ადგილობრივი ფეოდალური საგვარეულოების (ღარიბასძეთა, თმოგველთა, რჩეულიშვილთა...) წარმომადგენელ ქალთა ლექსები. აგრეთვე ქართული ხალხური პოეზიის ძველი ნიმუშები, რომელთა უმრავლესობაც მხოლოდ ამ წარწერებითაა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ "ვეფხისტყაოს-ნის" ყველაზე ძველი ჩანაწერი (ორი სტროფი ნესტანის წერილიდან) ამ მონასტერში მოღვაწე ქალის ხელითაა შესრულებული. ვანის ქვაბები საბოლოოდ გაუკაცრიელდა XVI ს-ის შუახანებში ჯერ სპარსელების (1551 წ.), ხოლო შემდეგ ოსმალების (1576 წ.) დარბევის შედეგად.

XIII-XIV საუკუნეებში უთარგმნიათ ქართულად "ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა". პეტრე იბერის (412-482 წწ.) ცხოვრება მეხუთე საუკუნის გასულს აღუწერია მის მოწაფესა და თანმხლებელს, ზაქარია ქართველს ასურულ ენაზე, ხოლო ქართულად გადმოუკეთებია მღვდელ მაკარი მესხს. მაკარის შრომა ჩვენამდე პირვანდელი სახით არ შემონახულა, მისთვის რედაქცია გაუკეთებია ვინმე პავლე დეკანოზს.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დანგრეული ეკლესიამონასტრების აღდგენას ალექსანდრე I დიდი. ამისათვის მან სპეციალური გადა-სახადი დააწესა (1 კომლზე 40 თეთრი), რომელიც 15 წლის განმავლობაში (1425-1440 წწ.) მოქმედებდა.

რუისის ღვთაების ტაძრის კარიბჭის თავზე ამოკვეთილი წარწერა გვაუწყებს ალექსანდრე დიდის მიერ თემურლენგისაგან "ძირითურთ აღმოფხრული" ეკლესიის "კვალად აღშენებას".

1265 წ. ოქროს ურდოს ყაენის – ბერქას ლაშქრობისას აოხრებული და გიორგი ბრწყინვალეს მიერ აღდგენილი დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი კვლავ გაპარტახდა თემურლენგის შემოსევების შედეგად. ალ-ექსანდრე დიდის ძალისხმევით, 1424 წლისათვის გარეჯის მონასტრები ხელმეორედ იქნა აღდგენილი.

ასევე თემურლენგის გაძარცვული და “დარღვეული წმინდა კათოლი-კე ეკლესია მცხეთისა”-ს (ე.ი. სვეტიცხოვლის) რესტავრაცია დაიწყო ალექ-სანდრე დიდის ბებიამ, ქუცნა ამირეჯიბის თანამეცხედრე რუსამ და ალექ-სანდრე მეფემ დაასრულა. ალექსანდრე დიდმა, სხვა ქართველ მეფეთა მსგავსად, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართველოს უპირველეს, კათედრალურ ტაძარს. სპეციალური სიგელებით უწყალობა დიდძალი ყმამამული, განუახლა და დაუმტკიცა წინარე ხანის შეწირულებები. ეს დოკუმენტები, ისევე როგორც ქართული ისტორიული საბუთები ზო-გადად, თავისი შინაარსით, შედგენილობით, აგებულებით, დამოწმებადამტკიცების წესით ქართული სიგელთმცოდნეობის ანუ დიპლომატიკის განვითარების მაღალ დონეს ადასტურებენ.

ქუცნა ამირეჯიბის მიერ ფაქტობრივად ხელახლა იქნა აგებული მათი საგვარეულო ულუმბის მონასტერი, რამეთუ “უღმრთოსა დემურს” ისე “წარეტყუენნა... რომელ საძირკველიცა არა დაშთომილიყო” — აღნიშნულია ამირეჯიბთა შეწირულების წიგნში ულუმბის ღვთისმშობლისადმი.

XV ს-ის დასაწყისშია აგებული და მოხატული ნაბახტევის ეკლესია. ტაძრის კედლებზე ალექსანდრე დიდის, მისი მეუღლის, ქტიტორის, ქუც-ნა ამირეჯიბის (ეკლესიის მოდელით ხელში) და მისი ოჯახის წევრების პორტრეტებია გამოსახული (ნაბახტევის მოხატულობის ფრაგმენტები ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში).

ფართო აღმშენებლობით და სარესტავრაციო მოღვაწეობას აწარმოებდა კახეთში ალექსანდრე I კახთა მეფე. “ანასეული ქართლის ცხოვრების” ანდერძში “დედოფალთა დედოფალი ნესტანდარეჯან და ძე მათი მეფე ალექსანდრე და დედოფალი ანა” დახასიათებულნი არიან როგორც “უმეტეს ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა მორწმუნენი, მაშენებელნი ეკლესიათანი, რამეთუ ალავერდი წარტყუენულ იყო წარმართთაგან, რომელ სხუათა მეფეთა ვერ ხელ-ეყო განწმენდად და აღშენებად, ამათ აღა-შენეს...” ალავერდის დას. კარიბჭის საფეხურის ორ ქვაზე ამოკვეთილი ალექსანდრე I კახთა მეფის საამშენებლო (განახლების) წარწერის ტექსტისა და “ანასეული ქართლის ცხოვრების” მონაცემების შეჯერებით ალავერდის რესტავრაცია 1476-1495 წლებშია სავარაუდებელი.

XIV ს-ში შექმნილი ქართული საკანონმდებლო ძეგლები საქართველოში სამართლის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია. 1335 წ. გი-ორგი ბრწყინვალეს უშუალო მონაწილეობით შედგენილი სისხლის სამართლის კანონთა კრებული — “ძეგლის დადება” საქართველოს მთიანეთში შერყეული კანონიერებისა და სამართლის აღდგენას ისახავდა მიზნად. სახელმწიფო სამართლის წიგნის, “ხელმწიფის კარის გარიგების” შედგენამ მონღოლთა ბატონობამდელი საქართველოს პოლიტიკური წყობილების რესტავრაცია განაპირობა. მასში დადგენილია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა და ამ უწყების მოხელეთა უფლებამოვალეობანი.

ამავე პერიოდში საქართველოში მოქმედებდა ქართული ფეოდალური სამართლის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრულყოფილი ძეგლი — “წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველთავე”. XIII-XIV სს-ის მიჯნაზე ბექა ჯაყელის მიერ შედგენილი კანონთა კრებული, XIV ს-ის

80-იან წწ-ში მისმა შვილიშვილმა, აღბუღამ ახალი კანონების “ზედა დართვით” დაამტკიცა საკანონმდებლო კრებაზე. ძეგლს, ჩვეულებრივ, ბექა-აღბუღას სამართალს უწოდებენ. მართალია, ბექა-აღბუღას სამართალი მხოლოდ სამცხე-საათაბა-გოსთვის იყო შედგენილი, მაგრამ მასში ეპოქისათვის დამახასიათებელმა ყველა მოვლენამ პოვა ასახვა, რის გამოც მისი სავალდებულო ძალა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა.

ამრიგად, XIII-XV სს-ში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურ-ეკონომი-კურმა მდგომარეობამ უარყოფითი გავლენა იქონია ქართული კულტურის აღმავლობაზეც. მიუხედავად ამისა, ქართული კულტურა, მართალია გარ-კვეული ხარვეზებით წინარე ხანის ქართულ კულტურულ მემკვიდრეობასთან შედარებით, მაინც განაგრძობდა განვითარებას.

თავი XIX. ქართლის სამეფო XVI საუკუნის პირველ მეოთხედში

დავით X-ის გამეფება. ბრძოლა იმერეთისა და კახეთის შემოტევის წინააღმდეგ. 1505 წელს, კონსტანტინე დიმიტრის ძის სიკვდილის შემდეგ, ქართლის სამეფო ტახტზე ადის მისი უფროსი ვაჟი დავით X. დავითს თავისი მეფობის პერიოდში უხდება ბრძოლის წარმოება როგორც უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ისე მეზობელ ქართულ სამეფო-სამთავროებთან.

1509 წელს ქართლს დასავლეთიდან შემოუტია იმერეთის მეფე ალექ-სანდრე ბაგრატის ძემ და მალე ქალაქ გორს შემოადგა. დავითმა ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა და მოწინააღმდეგემ ქ. გორი ადვილად აიღო. მიუხედავად ამ წარმატებისა იმერლები მალე იძულებულნი გახდნენ ქართლს გასცლოდნენ. 1510 წელს იმერეთში მოულოდნელად შემოიჭრნენ თურქ-ოსმალები სულთნის ტახტის მემკვიდრის სელიმფაშას მეთაურობით და იმერეთის პოლიტიკოსებს ქართლისათვის აღარ ეცალათ. ამის შემდეგ დავით Xმ შეძლო დასავლეთელი მეზობლის მიერ დაკავებული თავისი სამფლობელოს უკან დაბრუნება.

1511 წლიდან კი ქართლის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო კახეთის ახალმა მეფემ, გიორგიმ, რომელიც “ავ-გიორგის” სახელით არის ცნობილი. მან ასეთი აუგი სახელი იმით დაიმსახურა, რომ მეფობას სისხლიანი გზით მიაღწია. მან მოკლა თავისი მამა, ალექსანდრე I კახთა მეფე, რომელიც ქართლთან ომის დაწყების წინააღმდეგი იყო. ავ-გიორგიმ მიზნად დაისახა ქართლის სამეფოს შემოერთება და თავისი მომხრეებითურთ ქართლში შეჭრა. იგი მოულოდნელი თავდასხმით აპირებდა ხელთ ეგდო დავით X, რომელიც ამ დროს ატენის ციხეში იდგა. კახეთის მეფეს ატე-ნის ციხის ასაღებად ძალები არ ეყო, ამიტომ ციხეს თავი მიანება და მეზობელი სოფლების რბევას შეუდგა. ავ-გიორგიმ ამის შემდეგაც არაერთხელ ილაშქრა ქართლზე, მაგრამ დავითის ხელთ გდება ვერ შეძლო.

სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმები ქართლში. ერთიანი საქართველოს დროს ქართლიდან გამოსული ჯარი ერთი დროშის ქვეშ დგებოდა. ჯარის შეკრება ხდებოდა საერისთავოების მიხედვით. ერისთავები თავიანთი სამმართველო ტერიტორიიდან გამოყვანილი ჯარის სარდლები იყვნენ და სამხედრო თვალსაზრისით ექვემდებარებოდნენ ქართლის სადროშოს მეთაურს. ამჯერად კი, როდესაც საქართველოს ერთიანი სახელმწიფო აღარ არსებობდა, ბუნებრივია ძველი სამხედრო სისტემა ძალადაკარგული იქნებოდა. ერისთავებმაც დიდი ცვლილება განიცადეს. ისინი უკვე მეფის “ადგილზე გამრიგე” მოხელეები აღარ იყვნენ,

თავიანთი სამმართველო ტერიტორია სამემკვიდრეო სამფლობელოდ გადაექციათ და საერისთავოს ადგილას, რომელიც ადრე ქვეყნის მხოლოდ სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო, თავიანთი ნახევრად დამოუკიდებელი საფეოდალო — სათავადო შეექმნათ. ამ პერიოდისათვის ძველი საერისთავოების უმრავლესობა გარკვეული ტერიტორიული თუ ორგანიზაციული ცვლილებებით უკვე სათავადოებად გადაქცეულიყვნენ. ერთიანი საქართველოს დაშლისა და ცალკეულ სამეფო-სამთავროებში სათავადოთა სისტემის გაბატონების შედეგად ძველი ადმინისტრაციული და სამხედრო სისტემა ფაქტობრივად გაუქმებული იყო. საჭირო იყო ახალი ვითარების შესაბამი-სად ქვეყნის ახლებურად მოწყობა. უამისოდ ქართლის ფეოდალურ საზო-გადოებას გარეშე ძალისადმი სათანადო წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. ამის თვალსაჩინო მაგალითი იყო ქართლის სრული უსუსურობა ჯერ იმერეთის, შემდეგ კი კახეთის წინააღმდეგ ბრძოლებში. ეს გარემოება ნათელი იყო თვით ქართლის გავლენიანი ფეოდალებისთვისაც. ამიტომ ამ რეორგანიზაციის აუცილებლობას ისინიც გრძნობდნენ და მხარს უჭერდნენ. ინიციატივა ამ საქმეში გამოიჩინა დავით მეფის ძმამ ბაგრატმა.

ქართული ნარატიული წყაროების მტკიცებით ბაგრატს გამოუთხოვია თავისი ძმისთვის სამეფო მამულიდან საუფლისწულოდ მუხრანი (ამით საფუძველი ჩაეყარა ახალი სათავადოს — სამუხრანბატონოს წარმოქმნას) და მოითხოვა სამხედრო ხაზით მისთვის დაექვემდებარებინათ თავადები — ქსნისა და არაგვის ერისთავები. ამით ეს ტერიტორია გაერთიანებული იქნა ერთ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად — სადროშოდ და აქაური ფეოდალები სამხედრო საქმეში დაექვემდებარა მეფის უახლოეს პირს. ასევე მოხდა ქართლის სხვა ნაწილებშიც. სულ ქართლი დაყოფილ იქნა ოთხ სადროშოდ, რომელთა სარდლებსაც ქართლის მეფე ნიშნავდა. დანიშნული სარდლები არა მხოლოდ სარდლობდნენ თავიანთ დროშის ქვეშ მდგარ ჯარს, არამედ პასუხისმგებელნი იყვნენ მეფის წინაშე თავიანთი სადროშოდან ჯარის მომზადებისა და გამოყვანის საქმეში. მათ ევალებოდათ სრულ მზადყოფნაში ჰქონოდათ სადროშოს ტერიტორიაზე მდებარე ციხესიმაგრე-ები და შექმნილი ვითარების მიხედით შიგ ჩაეყენებინათ მეციხოვნეები. სარდლის მოვალეობა იყო აგრეთვე მეზობელ ქვეყნებში დაზვერვა ეწარმოებინათ და მეფისათვის დროულად შეეტყობინებინათ მოწინააღმდეგის საომარი მზადების თუ ჯარის მოძრაობის შესახებ. სადროშოს სარდლებს ამ მოვალეობის შესრულებისათვის მნიშვნელოვანი სარგო ჰქონდათ. კერძოდ, ნადავლის და ჯარიმის გარკვეული ნაწილი მათ ერგებოდათ, მათვე ევალებოდათ სადროშოში შემავალ სათავადოთა ურთიერთობის მოწესრი-გება და მცირე სამართლის ქმნა, მეფის ერთდროული დავალების შესრულება. სარდალს ხელისუფლების ნიშნად მეფისაგან დროშა ჰქონდა მიცემული.

ამ რეორგანიზაციას უსათუოდ დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის სამხედრო სიძლიერის განმტკიცებისათვის, რაც თვალნათლივ დადასტურდა შემდგომი სამხედრო წარმატებებით. მაგრამ თავადურმა ქართლმა ეს სამხედრო ორგანიზაციაც თავის ყაიდაზე მალე გარდაქმნა. თანდათანობით სადროშოს სარდლობა მემკვიდრეობით სახელოდ გადაიქცა და სადროშოების მეთაურობა ამა თუ იმ სათავადო სახლმა დაისაკუთრა. მაგალითად, ამილახვრები მეთაურობდნენ ზემო ქართლის სადროშოს; მეწინავე სადროშოს სათავეში, რომელიც ქვემო ქართლს აერთიანებდა — ბარათაშვილები მოექცნენ; მესამე სადროშოს მემკვიდრეობით

სარდლობდნენ მუხრანბატონები, ხოლო მეოთხე — მეფის სადროშო იყო, რომლის სარდლობასაც მეფე უბოძებდა რომელიმე თავადის სახლს. ასე რომ, აღნიშ-ნულმა რეფორმამ საბოლოო შედეგში ვერ შეარყია დიდი თავადების სიძლიერე, პირიქით, დიდმა თავადებმა, ხელთ იგდეს რა ამა თუ იმ სადრო-შოს სარდლობა, ეს გამოიყენეს თავიანთი ძალაუფლების კიდევ უფრო გა-საძლიერებლად.

ავ-გიორგის დამარცხება და ბრძოლა კახეთის დაუფლებისათვის. ბაგრატ ბატონიშვილი სათავეში ჩაუდგა ავ-გიორგის წინააღმდეგ ბრძოლას. მან ციხე ააშენა მდ. მტკვრისა და ქსნის შესართავთან (“მტვრის ციხე”) და აქ შეუდგა ძალების შეკრებას. ავ-გიორგი ხელახლა შემოიჭრა ქართლში და შემოადგა “მტვრის ციხეს”, მაგრამ სამი თვის უშედეგო ალყის შემდეგ უკან გაბრუნდა. იმავე წელს კახთა მეფემ ახალი ლაშქრობა მოაწყო ქართლის წინააღმდეგ. ამჯერად მან მუხრანისაკენ გაილაშქრა და მოარბია აქაური სოფლები. მას ჯერ კიდევ ქართლის ორგანიზებული წი-ნააღმდეგობა ვერ ხვდება და ამიტომ გათამამებულმა სიფრთხილეს უკლო. მოწინააღმდეგის ყურადღების ასეთ მოდუნებაზე ააგო ბაგრატ ბატონიშვილმა თავისი გეგმა. იგი ჩაუსაფრდა ქვეყნის რბევითა და ნადირობით გართულ ავ-გიორგის და სოფელ ძალისთან ტყვედ იგდო იგი. შეპყრობილი ავ-გიორგი ბაგრატმა მუხრანის ციხეში გამოჰკეტა, სადაც კახეთის მეფე მალე გარდაიცვალა (1513 წ.), ამბობენ მოაშთვესო (ვახუშტი).

ქართლის პოლიტიკოსების წინაშე ახალი პერსპექტივა დაისახა. გი-ორგი კახთა მეფეს მემკვიდრედ მცირეწლოვანი ლევანი დარჩა. დავით X ჯარით შევიდა კახეთში და ქვეყანა დაიკავა. კახეთის ფეოდალებმა დიდი ერთგულება გამოიჩინეს თავიანთი სამეფო ტახტის მემკვიდრისადმი და დავით მეფეს იგი არ დაანებეს. ქართლის მეფეს კახეთის შემოერთებაში ხელი შეუშალა საგარეო გართულებებმაც და ამდენად ქართლ-კახეთის გა-ერთიანების ამბავი ვერც ამჯერად განხორციელდა.

კახეთიდან უკუქცეულმა დავით მეფემ შემოსეული თურქები დაამარცხა, ნაძარცვ-ნაალაფევი დაატოვებინა და მძიმედ დაზარალებულნი უკუაქცია. თურქების ეს შემოსევა ჯერ კიდევ არ ისახავდა მიზნად ქვეყნის დაპყრობას (სანამ სამცხე-საათაბაგოს არ დაიპყრობდნენ, მანამ მათ ამის მიღწევა არც შეეძლოთ), მაგრამ მათი გამოჩენა უკვე აშკარა ნიშანი იყო იმისა, რომ ქართლისა და კახეთის სამეფოებს სამხრეთდასავლეთის მხრიდან უახლოვდებოდა ახალი უძლიერესი აგრესიული ძალა.

ვერც ამის შემდეგ შეძლო ქართლის მეფემ კახეთის დაკავება და ლევანის ხელთ გდება. 1518 წელს დავით მეფე დამარცხდა სოფ. მაღაროსთან ბრძოლაში და იძულებული შეიქმნა ლევანი კახეთის მეფედ ეცნო. ამის შემდეგ ლევანსა და ქართლის მეფე დავითს შორის შეთანხმება დაიდო. შუამავლად ამ დაზავების საქმეში ლევანის სასიმამრო, მამია გურიელი გამოვიდა. ქართლის ეპისკოპოსდარბაისელებიც კახეთის წინააღმდეგ ომის შეწყვეტასა და კავშირის შეკვრას მოითხოვდნენ: “განიზრახებოდნენ კათალიკოს-ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი ყოფად ზავისად. ამისათვის სათ-ნოყო მეფემანცა და ჰყვეს ზავი”. დადებული შეთანხმების მიხედვით მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა მყარდებოდა და გარეშე მტრების წი-ნააღმდეგ საერთო ბრძოლის კავშირი იკვრებოდა, რაც ასე აუცილებელი იყო საქართველოს მაშინდელ მძიმე საგარეო პირობების ვითარებაში: “გა-ნაჩინეს საზღვარი და სიყვარული ურთიერთთა, მტრობა და

მოყვროზა ერბამად მტერთა და მოყვარეთა ზედა”. ასეთი კავშირის შეკვრა კი საქართველოს მაშინდელი მძიმე საგარეო პირობების ვითარებაში აუცილებელი იყო.

თელეთის ბრძოლა და თბილისის აღება შაჰ-ისმაილის მიერ. ქართველი პოლიტიკოსები სწორად აფასებდნენ შექმნილ საფრთხეს და ცდილობდნენ ესარგებლათ შაჰ-ისმაილის მძიმე მდგომარეობით. შაჰ-ისმაილის ოსმალთაგან დამარცხება ქართველებმა ხელსაყრელ მომენტად მიიჩ-ნიეს, რომ ყიზილბაშთა მოხარკეობისაგან გათავისუფლებულიყვნენ და ქართლის სამხრეთ საზღვრებში ჩამოსახლებული თურქმანები განედევნათ.

შაჰ-ისმაილი შიშობდა, რომ ქართველები ოსმალებს მიემხრობოდნენ, ქართლის დაკარგვით კი საფუძვლიანად შეირყეოდა ყიზილბაშთა ბატო-ნობა ამიერკავკასიაში. იგი მთელი თავისი ძალით დაიძრა და შემოიჭრა ქართლში. აქ ის გაჩერდა აღჯაყალის ციხესთან და მისი გამაგრება იწყო. ყიზილბაშთა მბრძანებელმა მოლაპარაკებით სცადა დავით X-ის კვლავ დამორჩილება, მაგრამ ქართლის მეფე ყაენს არ ეახლა, პირიქით, იგი ენერგიულად შეუდგა მტრის დასახვედრად მზადებას. დავით მეფემ და-სახმარებლად მოიხმო კახეთის მეფე და სამცხის ათაბაგი, დაიქირავა კავ-კასიის მთიანეთისა და იმიერკავკასიის მოხალისე მეომრები, გაამარგა ქალაქი თბილისი და ქართლის სხვა ციხეები. შეიტყო რა ქართლის მეფის სამზადისი, შაჰ-ისმაილმა სასწრაფოდ დაძრა თავისი რჩეული ჯარის ნაწილები. დავით X ყიზილბაშებს თელეთთან დახვდა და აქ გაუმართა გადამწყვეტი ბრძოლა (1520 წ. სექტემბერში).

ბრძოლა თავდაპირველად ქართველთა წარმატებით წარიმართა. გაბედული შეტევით ქართველებმა დაამარცხეს და უკუაქციეს ყიზილბაშთა მთავარსარდალი. უკუქცეულ ყიზილბაშებს ახალი ჯარი წამოეშველა და განახლებული ძალით შეუტიეს ქართველებს. ამ კრიტიკულ მომენტში დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა დავითის ძემ ლუარსაბმა. ვახუშტი ბატონიშვილი ბრძოლის ამ მომენტს შემდეგნაირად გადმოგვცემს: “იხილა რა ლუარსაბ ძემან მეფისამან ძლიერება ყიზილბაშთა, განვიდა სპითა თვისითა და ეკუ-ეთა ძლიერად მარცხენით ყიზილბაშთა, მაშინ ძალითა ჯუარისათა განხეთქა რაზმი მათი, შევლო და მოსწყვიდნა მრავალნი. ხოლო ყიზილბაშნი ილტვოდნენ და მოისვრიდნენ ქართველნი და ალაფობდნენ ალაფთა მათთა”. ლუარსაბი აგრძელებდა უკუქცეული მტრის დევნას. შაჰ-ისმაილმა უკანასკნელ საშუალებას მიმართა. აღჯაყალიდან თავის ხელქვეით მყოფი სარეზერვო ჯარით იაღლუჯის მთაზე გადმოვიდა და ქართველთა ჯარს ზურგიდან მოექცა. მან გაშმაგებული შეტევით სცადა მდგომარეობის გამოსწორება. ზურგიდან მტრის ახალი ჯარის გამოჩენამ გატეხა ბრძოლით დამაშვრალი ქართველთა ლაშქრის სიმტკიცე. მტერს დადევნებული ქართველთა მხედრობის კვლავ თავმოყრა და ყიზილბაშთა ახალი ძალები-სადმი ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი შეიქმნა. დავით მეფემ უკან დახევა იწყო. თბილისთან მას შეუერთდა ლუარსაბის მხედრობაც. ქართველები თავდაცვისათვის მზადებას შეუდგნენ.

თბილისი საკმაოდ კარგად იყო გამაგრებული და მის აღებას შაჰ-ისმაილი ადვილად ვერ შეძლებდა. ყიზილბაშები შემოადგნენ ქალაქს, მაგრამ მის ასაღებად მათ ხანგრძლივი ბრძოლა არ დასჭირვებიათ. თბილისის ციხისთავი მოღალატე გამოდგა. შაჰ-ისმაილმა დიდძალი ქრთამი აღუთქვა ციხისთავს ქალაქის გაცემისათვის და ამ უკანასკნელმაც გაუღო ციხის კარები და მტრის ურდოები ქალაქში შემოუშვა. საქართველოს დედაქალაქ-ში შემოჭრილმა მტერმა მშვიდობიანი

მოსახლეობის ძარცვარბევა, ხოცვა-აკლება და დატყვევება იწყო. მომხდურებმა შებილწეს სიონის ეკლესია და ქართველთა სხვა სამლოცველოები. შაჰ-ისმაილის ბრძანებით, მეტეხის ხიდის ყურეში აგებულ იქნა მაჰმადიანური სამლოცველო მეჩეთი, ხოლო თბილისის ციხეში ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენეს. თბილისის აღების მიუხედავად, ქვეყნის საბოლოოდ დასაკავებლად ძალები არ ჰყოფნიდათ და შაჰ-ისმაილი იძულებული გახდა ირანში დაბრუნებულიყო. ყიზილბა-შებმა მოარბიეს ქართლისა და მესხეთის სოფლები და დიდძალი ტყვეები გაირეკეს წინ.

ქართლის განთავისუფლება ყიზილბაშთაგან და დავით მეფის ბერად აღკვეცა. მტრის წასვლის უმალ ქართველები ახალი დიდი ომისა და შურისგებისათვის მზადებას შეუდგნენ. მანამ კი დავით X თავისი ხელქვეითი მხედრებით თავს ესხმოდა შემოსახლებულ თურქმანებს და ციხეებში გამაგრებულ ყიზილბაშებს.

შაჰ-ისმაილი 1524 წელს გარდაიცვალა, მისი მემკვიდრე თამაზი ამ დროს მხოლოდ 10 წლისა იყო. ირანი მოიცვა გაუთავებელმა შინა ომმა. ყიზილბაშ ტომთა მეთაურებს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლები დაიწყო მცირეწლოვანი თამაზის მეურვეობისა და ირანში პირველობისათვის. სეფიანთა სახელმწიფოს საშინაო სიძნელეები 40-იან წლებამდე გაგრძელდა. ასეთ ვითარებაში ქართველებს ყიზილბაშთა დამარცხება და ქართლიდან განდევნა არ გაძნელებიათ. დავით მეფე მთელი თავისი ძალით თავს და-ესხა თბილისში გამაგრებულ ყიზილბაშ მეციხოვნეებს, აიღო ქალაქი და მტრის გარნიზონი ერთიანად გაანადგურა. იგი აღჯაყალისკენ დაიძრა, აიღო ყიზილბაშთათვის ეს მეტად მნიშვნელოვანი ციხეც და დაანგრევინა იგი. ამის შემდეგ შემოსახლებულ თურქმანთა განდევნა ძნელი აღარ იყო. ამრიგად, წარმატებით მოხერხდა ყიზილბაშური შემოტევის მოგერიება და ქვეყნისთვის “გაყიზილბაშების” საფრთხის აცილება.

თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში ასეთი წარმატებული საგარეო პოლიტიკის მიუხედავად დავით მეფემ მწარე მარცხი იწვნია. 1525 წელს იგი იძულებული გახდა მეფობისათვის თავი მიენებებინა და ბერად შემდგარიყო. მისი ბერად შედგომის შემდეგ ქართლის მეფე გახდა არა მისი კანონიერი მემკვიდრე ლუარსაბი, არამედ მისი ძმა გიორგი. უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგიმ ქართლში გამეფება შეძლო მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ.

გიორგი IX-საც დიდხანს არ უმეფია. 1527 წელს მეფედ უკვე დავითის კანონიერი მემკვიდრე ლუარსაბ I იხსენიება და გიორგი ამის შემდეგ თავისი ძმის მსგავსად ბერად ჩანს აღკვეცილი. ლუარსაბს ქართლის ტახტის დაბრუნებაში ეხმარებოდა იმერეთის მეფე ბაგრატი, რომლის ქალი თამარი მან ცოლად შეირთო. ამის შემდეგ ვიდრე 40-იანი წლების დასაწყისამდე ქართლში შედარებით მშვიდობა ჩამოვარდა.

თავი XX. იმერეთის სამეფო და სამცხე-საათაბაგო XVI საუკუნის პირველ ნახევარში

ოსმალთა შემოტევის დაწყება. XVI საუკუნის დასაწყისიდან იმერეთის სამეფო და სამცხის სამთავრო ოსმალეთის მხრივ უშუალო დაპყრობის საფრთხის ქვეშ მოექცნენ. ქვეყნისათვის ამ მძიმე დროს სამცხის მთავრები თავიანთი ბეცი და წინდაუხედავი პოლიტიკით მტერს უადვილებდნენ მიზნის მიღწევას. იმის მაგივრად, რომ მათ საქართველოს სხვა ნაწილებთან შეკავშირება ეცადათ და ერთიანი ძალით აღმდგარიყვნენ უძლიერესი დამპყრობლების წინააღმდეგ, ისინი შიშობდნენ რა, რომ კვლავ საქართველოს მეფეთა დამოკიდებულებაში მოხვდებოდნენ, სულ უფრო და უფრო აღრმავებდნენ გათიშულობას და საბოლოო შედეგად ოსმალებისა და სპარსელების ლუკმად იქცეოდნენ

1498 წელს ღრმად მოხუცებული ყვარყვარე ათაბაგი გარდაიცვალა. მის მაგივრად მთავრად შეიქმნა მისი უფროსი ვაჟი ქაიხოსრო. ქაიხოსროს მთავრობის დროს (1498-1500 წწ.) ოსმალებმა სამცხესა და ჭანეთს შემოუტიეს. აღსანიშნავია, რომ აქამდე ოსმალეთი ჯერ კიდევ არ ისახავდა მიზ-ნად სამხრეთდასავლეთ საქართველოს დაპყრობას და მხოლოდ მოხარკე-ობით კმაყოფილდებოდა. ამ დროიდან კი თანდათან იცვლება ოსმალეთის პოლიტიკა საქართველოს ამ ნაწილების მიმართ. მას უკვე აღარ აკმაყოფილებს სამცხე-საათაბაგოს მოხარკეობა და მის სრულ ინკორპორაციას (დაპყრობას) ცდილობს. ასეთ დროს სრულიად უგუნური ჩანს სამცხის მთავრის მზეჭაბუკის (1500-1515 წწ.) პოლიტიკა, რომელიც ენერგიულად ცდილობდა მესხეთის ეკლესია ჩამოეშორებინა მცხეთის საპატრიარქოსაგან და ამით გაეწყვიტა ის უკანასკნელი ძარღვი, რაც საქართველოს ამ სისხლხორცეულ კუთხეს ჯერ კიდევ აკავშირებდა ქვეყნის ერთიანობის იდეის მატარებელ საეკლესიო-სულიერ ცენტრთან. მართალია, სამცხის მთავრის ეს ცდა ამჯერადაც წარუმატებლად დამთავრდა, მაგრამ მისი შემდგომი მოქმედება უკვე ქვეყნის ერთიანობის აშკარა ღალატი იყო.

1510 წელს ოსმალთა დიდი ჯარი სულთნის მემკვიდრე სელიმფაშას მეთაურობით, რომელიც ამ დროს ტრაპიზონის საფაშოს განაგებდა, საქართველოს დასალაშქრავად დაიძრა. მზეჭაბუკ ათაბაგმა, თავისი სამფლობელოს ხსნის მიზნით, მტერს უბრძოლველად მორჩილება გამოუცხადა და თავისი სამსახურიც შესთავაზა. ოსმალებმა დაუბრკოლებლივ გადმოვლეს სამცხე, გადმოიარეს ზეკარის გადმოსასვლელი და იმერეთში შეიჭრნენ.

გვიანი შემოდგომა იყო. ქვეყანა ამ მიმართულებით მტრის შემოსევას არ ელოდა, ამიტომ იმერეთის ახალგაზრდა მეფე ბაგრატ ალექსანდრეს ძეს (1510-1556 წწ.), რომელიც ის იყო ტახტზე ასულიყო, სათანადო წინა-აღმდეგობის გაწევა არც შეეძლო. მოსახლეობამ ძლივს მოასწრო გახიზვნა. ოსმალებმა აიღეს ქუთაისი და გადაწვეს, აიღეს და დაარბიეს ახლომახლო სოფლები და დაბები, დაწვეს ეკლესიები. მტრის მსახვრალ ხელს ამჯერად ვერ გადაურჩა დიდებული ბაგრატისა და გელათის ტაძრები. მაგრამ მომხდურებს ხანგრძლივად ქვეყანაში დარჩენა არ შეეძლოთ. ახალგაზრდა და ენერგიული ბაგრატი წინააღმდეგობის გასაწევად ემზადებოდა და ძალებს აგროვებდა. ამავე დროს ზამთრის პირი იდგა და საცა იყო თოვლი ზეკარის გადასასვლელს გაუვალს გახდიდა. საქართველოში ჩარჩენილ ოსმალთა ჯარს დიდი საფრთხე

ელოდა, ამიტომ სელიმფაშამ სასწრაფოდ უკან დაიხია და ნაალაფევითა და ტყვეებით ქვეყანას გაეცალა.

მართალია, მტრის ეს ლაშქრობა მხოლოდ ასეთ უსიამოვნო ეპიზოდად დარჩა, მაგრამ ეს იყო აშკარა ნიშანი იმისა, თუ რა დიდი საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს ოსმალეთის მხრიდან.

ოსმალები საქართველოს სხვა მხრიდანაც უახლოვდებოდნენ. რო-გორც აღნიშნული იყო, XV საუკუნის ბოლოს ოსმალებმა თავიანთ გავლე-ნას დაუმორჩილეს ყირიმი და მთელი ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთი. საქართველოს ჩრდილოდასავლეთის საზღვრებთან მცხოვრები ჯიქებიც მათი გავლენის ქვეშ მოექცნენ. საჭირო იყო ამ მიმართულებით შემოსასვლელის გამაგრება. მით უმეტეს, რომ ჯიქები ოსმალთა მხარდაჭერით და წაქეზებით თავს ესხმოდნენ გურია-ოდიშ-აფხაზეთის ზღვის სანაპირო ზოლს და აოხრებდნენ.

1533 წლის იანვრის თვეში სამეგრელოს მთავარმა მამია დადიანმა და გურიის მთავარმა მამია გურიელმა ბაგრატ მეფის თაოსნობით მოაწყვეს ზღვით ლაშქრობა ჯიქეთზე. პირველი ბრძოლა მოხდა 30 იანვარს, გაგრასთან. ამ ბრძოლაში ჯიქები დამარცხდნენ, მაგრამ მეორე დღეს, 31 იანვარს, ღალატისა და ფეოდალური ლაშქრის არაორგანიზებულობის გამო დადია-ნისა და გურიელის ლაშქარი სასტიკად დამარცხდა. მამია დადიანი ამ ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო მამია გურიელი თავისი სამი ძმით, ეპისკოპო-სითა და ჯარის დიდი ნაწილით ტყვედ ჩავარდა. უფრო გვიან გურიელი და მისი ამალა ტყვეობიდან დიდი სასყიდლის გაღებით გამოიხსნა იმერეთის კათალიკოსმა მალაქიამ.

ბაგრატ მეფის ბრძოლა სამცხის დაუფლებისათვის. ამ წარუმატებლობას ბაგრატ მეფის ენერგია არ მოუდუნებია. იგი კარგად ხედავდა, რომ ოსმალთა შემოტევის საფრთხე უფრო სამცხის მხრიდან იყო საშიში. თუ ისინი სამცხეს დაიპყრობდნენ, იმერეთის დაპყრობაც არ გაუძნელდებოდათ. ამ დროს გრძელდება 1514 წელს დაწყებული ირან-ოსმალეთის ომი, რომელიც ცვალებადი წარმატებით ვითარდებოდა.

1534 წელს ოსმალთა დიდი ჯარი ირანის წინააღმდეგ შეტევას იწყებს და მოსალოდნელი იყო მათი სამცხეშიც შემოჭრა. სამცხის მთავარს ყვარყვარე III-ს (1516-1535 წწ.) მძიმე მდგომარეობა შეექმნა. მას ადგილობრივი ფეოდალები აუჯანყდნენ. ასეთ ვითარებაში მოსალოდნელი იყო მისი ოსმალების მხარეზე გადასვლა. დრო მეტს არ ითმენდა, საჭირო იყო გადამწყვეტი მოქმედება და ბაგრატ მეფე თავისი ჯარით სამცხეში შევიდა. ამ ლაშქრობაში იმერეთის მეფეს ენერგიულად უჭერდა მხარს გურიის მთავარი როსტომ გურიელი, სამცხის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობდა დადიანიც.

1535 წლის 12 აგვისტოს, ახალქალაქის მახლობლად, სოფელ მურჯახეთთან მოხდა ბრძოლა მეფე ბაგრატსა და ყვარყვარე ათაბაგს შორის. ბრძოლა ბაგრატ მეფის სრული გამარჯვებით დამთავრდა. მეფემ თვით ყვარყვარე ათაბაგი იგდო ტყვედ და მთელი სამცხე დაიკავა. სამცხის თავადების ნაწილი, ოთარ შალიკაშვილის მეთაურობით, ოსმალეთში გადაიხვეწა და იქ სულთანს წარუდგინეს ყვარყვარეს მცირეწლოვანი ვაჟიშვილი ქაიხოსრო. ბაგრატი სავსებით სწორად ითვალისწინებდა, რომ ოსმალების საპირისპიროდ აუცილებელი იყო ირანის შაჰთან დაკავშირება. ირანიც მოხარული იქნებოდა კავშირი დაემყარებინა ოსმალეთის წინააღმდეგ

მებრძოლ იმერეთის მეფესთან. ქართული წყაროების ცნობით, შაჰთამაზმა იმერეთის მეფეს “მისცა საბოძვარი მრავალი, და შემწე ეყო. და წარვიდა ბაგრატ მპყრობელი იმერეთისა სამცხეს”. ბაგრატ მეფემ ამის შემდეგ შეძლო უკან დაებრუნებინა ოსმალთა მიერ დაპყრობილი ტაო-კლარჯეთის ციხეები, სამცხის გზააბნეული თავადები ოსმალების დახმარებით ცდილობდნენ ქაიხოსროს გაათაბაგებას. თავის მხრივ თურქები კარგად ხედავდნენ, რომ ბაგრატ მეფე სამცხის სასაზღვრო ციხეებს ამაგრებდა და შემდგომი დაყოვნება მათ მეტად გაუძნელებდა სამცხის დაკავებას, ამიტომ სულთნის ბრძანებით არზრუმის მმართველი მუსაფაშა (ქართული წყაროებით მუსტაფაფაშა) 60 სანჯაყის ამირათი და 22 ათასიანი ლაშქრით ტაო-ში შეიჭრა და ციხეების დაკავებას შეუდგა. მათ ალყა შემოარტყეს ოლთი-სის ციხეს და, როგორც სპარსელი ისტორიკოსი გვამცნობს: “სიბები გამართეს და ევროპული ზარბაზნებით და სხვა იარაღით დაუწყეს ციხეს ბრძოლა”.

ბაგრატ მეფემ საბრძოლო თადარიგი დაიჭირა. მან კვლავ მიმართა თავის ყმებს, დადიანსა და გურიელს, მტრის წინააღმდეგ ერთობლივი გამოსვლისათვის. დადიანი მეფეზე განაწყენებული იყო, რადგან მურჯახეთის ომში გამარჯვების შემდეგ გურიელს აჭარა და ჭანეთი გადასცა (უფრო სწორად — დაუბრუნა), ხოლო დადიანს არაფერი ერგო. ამიტომ ამჯერად მეფესთან მხოლოდ გურიელი გამოცხადდა, დადიანმა კი უარი შემოუთვალა დახმარებაზე.

ბაგრატ მეფეს თავისი ჯარით მტრის პირისპირ შებმა გაუჭირდებოდა, ამიტომ ხერხს მიმართა. მან მოჩვენებითი მორჩილება გამოუცხადა ოსმალთა სარდალს და დაითანხმა იგი უკან გაბრუნებულიყო. მუსაფაშამ ოლთისის ციხესთან თავისი ჯარის ნაწილი და არტილერია დატოვა, ძირითადი ჯარით კი უკან, არზრუმისაკენ გაეშურა. მეფემ ამით ისარგებლა და მტერი ნაწილ-ნაწილ გაანადგურა. თურქებისათვის წართმეული ზარბაზნები ბაგრატმა ქუთაისში გაგზავნა. ეს ბრძოლა სოფელ ქარაღაქთან მოხდა 1543 წელს. ოთარ შალიკაშვილმა ქაიხოსრო ბატონიშვილთან ერთად ისევ ოსმალთა სულთანს მიაშურა, მაგრამ ასეთი დამარცხებით გაშმაგებული სულთანი მათი თხოვნის გარეშეც სასწრაფო ზომების მიღებას აპირებდა.

1545 წელს ოსმალთა დიდი ჯარი არზრუმის და დიარბექირის ფაშების სარდლობით საქართველოსკენ დაიძრა. ბაგრატმა ერთობლივი გამოსვლისათვის ისევ გურიელსა და დადიანს მიმართა. გურიელი თავისი ლაშქრით გამოცხადდა მეფესთან, დადიანმა კი ამ საერთო საქმეს კვლავ უღალატა და მეფეს დახმარებაზე უარი შემოუთვალა. ბაგრატ მეფემ თავის სიძეს, ქართლის მეფე ლუარსაბსაც სთხოვა დახმარება. ლუარსაბი დაუყოვ-ნებლივ გამოეშურა იმერეთის მეფის დასახმარებლად. ბაგრატის, ლუარსაბის და გურიელის ლაშქარს მესხი აზნაურებიც შეუერთდნენ და ქართველთა ეს გაერთიანებული ლაშქარი მტერს ბასიანთან დახვდა. ბრძოლა მოხდა სოხოისტას ველზე. ბრძოლის ბედი მესხთა ღალატმა გადაწყვიტა. ბაგრატი არ დაეთანხმა მესხების მოთხოვნას, რომ მეწინავედ ისინი გაემწესებინა. როგორც ჩანს, ბაგრატი ბოლომდე მაინც ვერ ენდობოდა მათ, რადგან ბევრი სამცხელი ფეოდალი თურქების ბანაკში იმყოფებოდა და მეფე შიშობდა, რომ მესხ აზნაურებს მათთან კავშირი ჰქონდათ. მესხმა აზნაურებმა ეს გამოიყენეს საბაბად და როდესაც ქართველთა ლაშქარი მტერს თავგანწირვით ეკვეთა, “მაშინ შურითა ბოროტითა აღსავსეთა მესხთა ინებეს განდრეკილება და არღარა მიჰყვნენ ომსა შინა”, — წერს ქართველი მემატიანე. ამ ამბავმა უკუღმა შემოაბრუნა ბრძოლის ბედი.

ღალატმა და მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა, საქართველოს ლაშქარი დამარცხდა. მეფეები თავიანთ სამეფოებში დაბრუნდნენ, ქაიხოსრო ბატონიშვილი ათაბაგობას ეღირსა, მაგრამ სამცხის დიდ ნაწილში ოსმალები გაბატონდნენ. მათ დაიკავეს სამცხის დასავლეთი მხრის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ციხე. მხოლოდ ჯავახეთი ეპყრა კვლავ ლუარსაბ მეფეს, რომელსაც ერთგულად უჭერდნენ მხარს ადგილობრივი თავადები — დიასამიძეები. ქაიხოსრო ათაბაგი საწადელს მაინც ვერ ეწია. მისი ხელისუფლება სამცხეში მხოლოდ ფორმალური იყო, ფაქტობრივად კი ქვეყანას ოსმალები ფლობდნენ.

თურქებმა უფრო გააძლიერეს შემოტევა მესხეთის მიმართ. 1549-1550 წლებში მათ ტაოს ქვეყანა დაიპყრეს და უშუალოდ ოსმალეთს შეუერთეს. ოსმალებმა ჭანეთი წაართვეს გურიელს და იქაც ოსმალური წესები შემოიღეს. 1551 წელს ოსმალთა ჯარმა უკვე მტკვრის სათავეების ქვეყნები ქალაქ არტაანითურთ დაიპყრეს და ამდენად სამცხის დასავლეთი ნაწილი მთლი-ანად ოსმალთა ხელთ გადავიდა.

ბაგრატ იმერთა მეფის შინაპოლიტიკური ღონისძიებანი. ბაგრატ მეფე კარგად ხედავდა, რომ ოსმალების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლისათვის აუცილებელი იყო ქვეყნის ძალების გაერთიანება, განდგომის გზაზე დამდგარი მთავრების დამორჩილება. საამისოდ მას სხვა საშუალება არა ჰქონდა, თუ არა თვითონ მთავრებს შორის დაპირისპირების გამოყენება. როგორც დავინახეთ, მას განუდგა სამეგრელოს მთავარი ლევან I დადიანი, მეფემ ნადირობის საბაბით თავისთან მოიხმო სამეგრელოს მთავარი და დააპატიმრა. ასევე განზრახული ჰქონდა ხელთ ეგდო გურიელიც და ისიც თავისთან მიიწვია ოდიშში სალაშქროდ. მეფე გურიელს სამეგრელოს სამხრეთ ნაწილს ჰპირდებოდა, მაგრამ გურიელი მას არ ენდო და არ ეახლა.

ქაიხოსრო ათაბაგს ხელსაყრელი დრო დაუდგა. მან გურიელისა და დადიანის თავის მხარეზე გადაბირება გადაწყვიტა და მეფის ერთგულ მომხრეთა ბანაკშიც გარია ხელი. მან მოისყიდა ხოფილანდრე ჩხეიძე, რომელსაც გელათის სამრეკლოში გამოკეტილი ლევან დადიანის დარაჯობა ჰქონდა მეფისაგან დავალებული, მოქრთამულ თავადს დატყვევებული მთავარი გამოაპარებინა და დადიანი ახალციხეში გადაიყვანა. მალე მათ გურიელიც შეუერთდა და ამათი დახმარებით ლევანმა სამეგრელოში ხელისუფლება დაიბრუნა. მალე ეს მთავრები, იმის შიშით, რომ ბაგრატი კვლავ ეცდებოდა მათ დამორჩილებას და დასჯას, ოსმალებს მიუვიდნენ.

ბაგრატი შემდეგაც აგრძელებდა ამ მთავრების დაქვემდებარების მცდელობას, მაგრამ მისი ხელქვეითი თავადები უფრო ამ მთავრებს თანა-უგრძნობდნენ, ვიდრე საკუთარ მეფეს. სათავადოთა სისტემის ბატონობა იმერეთის ამ ნიჭიერ და ენერგიულ მეფეს ხელფეხს უკრავდა და არ აძლევდა საშუალებას თავისი მიზნისათვის მიეღწია — დაემორჩილებინა მთავრები და შეექმნა მეფის ძლიერი ხელისუფლება. ამის მიუხედავად ბაგრატმა შეძლო გაეტარებინა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებმაც დროებით მაინც გამოიღეს დადებითი შედეგები.

ბაგრატ მეფემ იმერეთში აღადგინა ან შექმნა ახალი საეპისკოპოსო ცენტრები. მაგალითად, დააარსა გელათის (1529 წ.), ხონის (1529 წ.) და ნიკორწმინდის საეპისკოპოსოები. ახალი საეპისკოპოსო კადრების განმგებლობას მეფე თავის ერთგულ პირებს ანდობდა. მის სახელთანვეა დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ცენტრის ბიჭვინთიდან გელათში

გადმოტანა. ასეთი გზით მან ეკლესია თავის გავლენას დაუქვემდებარა და ურჩ თავადებს დაუპირისპირა.

ბაგრატ იმერთა მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც უაღრე-სად საჭირბოროტო საზოგადოებრივი საკითხები განიხილა. კრებამ მიიღო დადგენილება ქვეყანაში ასე გავრცელებული “ტყვის სყიდვის”, ქურდობა-ავაზაკობის, მკვლელობის, ეკლესიების ძარცვის და სხვა ბოროტების წინა-აღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. საეკლესიო კრებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო “ტყვის სყიდვის” საკითხს და მკაცრი სასჯელი განაწესა მათთვის, ვინც ამ საქმიანობაში იქნებოდა შემჩნეული — ტყვის გამყიდველი განუკითხავად სიკვდილით უნდა დასჯილიყო. მაგრამ ამ გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარება სათავადოთა სისტემის ბატონობის ვითარებაში მეტად გაძნელებული იყო და მათ თუ ბაგრატ მეფის სიცოცხლეში ასე თუ ისე რეალური მნიშვნელობა ჰქონდათ, მომდევ-ნო მეფეთა დროს ვითარება კვლავ საწინააღმდეგოდ შეიცვალა, ტყვის გამყიდველ ავაზაკ მებატონეებს უძლიერესი და თავგამოდებული დამცველი გაუჩნდათ. ეს იყო ოსმალეთი, რომელიც სულ უფრო და უფრო აძლიერებდა თავის გავლენას დასავლეთ საქართველოზე.

თავი XXI. ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVI საუკუნის 40-50-იან წლებში

შაჰთამაზის პირველი ლაშქრობა ქართლში. ოსმალო და ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართლის თავდადებული ბრძოლების მეთაური XVI საუკუნის 40-60-იან წლებში იყო ლუარსაბ I (1527-1556 წწ.). ლუარსაბის მეფობის პირველ ხანებში ქართლში შედარებით მშვიდობა სუფევდა, მაგრამ 40-იანი წლებიდან საქართველოს ეს მცირე ქვეყანა ჩაება უთანასწორო და სისხლისმღვრელ ბრძოლებში უძლიერესი აგრესორების წინააღმდეგ. ეს ბრძოლები რამდენადმე უკავშირდება ირან-ოსმალეთის პირველ ომს (1514-1555 წწ.), რომლის ხანძარი სწორედ ამ ხანებში განსა-კუთრებული სიმძაფრით დაენთო.

1540 წელს შაჰთამაზი დიდი ჯარით ყარაბაღში შემოვიდა. აქ მასთან მდიდარი ძღვენმისართმეველით გამოცხადდა კახეთის მეფე ლევანი და მესხეთიდან გამოძევებული ქაიხოსრო. ლუარსაბმა ყიზილბაშთა მბრძანებელთან გამოცხადება არ იკადრა. 1541 წ. შაჰმა თავისი ჯარიდან საგანგებოდ 12 000 მხედარი შეარჩია და თბილისზე თავდასხმა უბრძანა. ყიზილბაშთა მხედრობა თბილისს ღამით მოულოდნელად მოადგა და ქალაქში შემოიჭრა.

ლუარსაბი შემთხვევით თბილისში არ იმყოფებოდა. მას უმცროსი ვა-ჟიშვილი გარდაცვლოდა და დასაკრძალავად მცხეთას იყო წასული. თბილისის დაცვა ქალაქის მოურავსა და ციხისთავს გულბაათს ჰქონდა დავალებული, მაგრამ მტრის მოულოდნელი შემოსევით დამფრთხალმა მოღალატემ ციხე უომრად დათმო და თვითონაც დამპყრობლის მხარეზე გადავიდა. შაჰთამაზმა თბილისის ციხეში თავისი გარნიზონი ჩააყენა და დანარჩენი ჯარი ლუარსაბის შესაპყრობად გაგზავნა.

ლუარსაბ მეფე ამ მძიმე მომენტში სულით არ დაცემულა. მტერთან პირისპირ შესაბმელად მას ძალა არ ჰყოფნიდა, ამიტომ პარტიზანულ ბრძოლებზე გადავიდა. ქართლის მეფე მტერს

დიდგორთან დახვდა, დიდად დააზარალა და ბრძოლით გაეცალა. მისი რაზმები მტერს უსაფრდებოდნენ და მოულოდნელი თავდასხმებით ანადგურებდნენ. შაჰთამაზი იძულებული იყო შეეწყვიტა ბრძოლები და თავისი შეთხელებული ლაშქრით უკან გაბრუნებულიყო. ამ ლაშქრობით შაჰთამაზმა მართალია თბილისი დაიკავა, მაგრამ თავის მთავარ მიზანს ვერ მიაღწია — ვერც ლუარ-საბი დაატყვევა და ვერც ქართლი დაიმორჩილა.

შაჰთამაზის მეორე ლაშქრობა. ქართლის მდგომარეობას ამის შემდეგ ისიც ართულებდა, რომ სამხრეთდასავლეთიდან მის საზღვრებს ოსმალები უახლოვდებოდნენ. მართალია, ოსმალთა აგრესიის საგანი ამჯერად სამცხე იყო, მაგრამ სამცხის დაკავების შემდეგ ისინი საქართველოს სხვა ნაწილებსაც შეუტევდნენ. ამიტომ იყო, რომ ბაგრატ იმერთა მეფე ცდას არ აკლებდა, რათა ოსმალები სამცხეში არ შემოეშვა. როგორც დავი-ნახეთ, იმერეთის მეფემ სამცხის დროებით დაკავება შეძლო და 10 წლის განმავლობაში შეუპოვარი ბრძოლით მის შენარჩუნებას ცდილობდა. ამ ბრძოლებში ბაგრატს ზურგს უმაგრებდა ლუარსაბი, რომელსაც იმერეთის მეფემ სამცხის აღმოსავლეთი ნაწილი — ჯავახეთი დაუთმო. 1545 წელს სოხოისტასთან ბრძოლებში ლუარსაბ მეფე თავისი ჯარით ბაგრატ იმერთა მეფის მხარდამხარ იბრძოდა, მაგრამ ამ ბრძოლაში ქართლ-იმერეთის მეფე-ები დამარცხდნენ. ამის შემდეგ სამცხის დიდი ნაწილი ოსმალებმა დაიკავეს და ათაბაგად ქაიხოსრო III ყვარყვარეს ძე გამოაცხადეს (1545-1573 წწ.). სამცხეს ფაქტობრივად ოსმალები დაეუფლნენ და ქვეყნის საბოლოო დაპყრობის ღონისძიებების გატარებას შეუდგნენ. ქაიხოსრომ ირანს მიმართა და შაჰს ოსმალთა ძალმომრეობისაგან დაცვა და ლუარსაბის ხელთ შერჩე-ნილი ჯავახეთის მისთვის დაბრუნება სთხოვა. შაჰთამაზისთვის ეს თხოვ-ნა მეტად სასურველი იყო. მას არც ოსმალთა მიერ სამცხეში ფეხის მოკიდება აწყობდა და არც ურჩი ლუარსაბის გაძლიერება. ახალი ყმა — ქაიხოსრო თავისი მდგომარეობით მის ერთგულებას ვერ გადაუხვევდა, ამიტომ ათაბაგის თხოვნას იგი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა.

1546 წლის ბოლოს შაჰთამაზი შარვანში იმყოფებოდა. აქედან თავისი ჯარით მესხეთისაკენ გამოეშურა, გამოვლო ანისი, შორაგელი და ახალქალაქს მოადგა. შუა ზამთარი იყო (1547 წ. იანვარი). მეტად მკაცრი ყინვები დაიჭირა: "მტკვარი ასრე გაეყინა, რომ ლაშქარი მასზედ გადიოდ-გამოდი-ოდა" — წერს მემატიანე. ხოლო "თოვლს საქართველო ასრე გაეხადა, რომ მთა და ბარი გასწორებული ჩანდა". ჯავახეთში შაჰთამაზმა ლუარსაბის მომხრე თავადების — დიასამიძეების მამულები მოარბია და აქედან ქვემო ქართლში გადმოვიდა. ეს კუთხეც საშინლად ააოხრა და დიდი ტყვე-ალაფით განჯაში დაბრუნდა. ლუარსაბი, მართალია, მტრის უზარმაზარ ჯარს პირისპირ ვერ შეება, მაგრამ გამუდმებული თავდასხმებით დიდად აზარალებდა.

ამრიგად, შაჰთამაზმა ვერც ამჯერად შეძლო ლუარსაბის დამორჩილება, ხოლო ქართლელებმა სხვა შეტაკებებში "მრავალნი ყიზილბაშნი ამოწყვიტეს". შაჰმა ტყვეები გაირეკა და ნაძარცვით ბარდასაკენ გაემართა. უკან მიმავალ შაჰს იმერეთის მეფე ბაგრატი და კახეთის მეფე ლევანი ეახლნენ. ქართლის დაუმორჩილებლობით გაწბილებული ირანის მბრძანებელი იძულებული იყო ისინი მდიდარი საჩუქრებით დაეჯილდოვებინა და მათ სიტყვიერ ერთგულებას დასჯერებოდა.

შაჰთამაზის მესამე ლაშქრობა (1551 წ.). ქაიხოსრო ათაბაგის ირანის ყმობაში გადასვლას თურქ-ოსმალთა მხრივ აგრესიის გაძლიერება მოჰყვა და მალე სამცხე-საათაბაგოს დიდი ნაწილი

დაიპყრეს. სამცხის ფე-ოდალები უკვე კარგად ხედავდნენ, თუ საით მიჰყავდა მათი ქვეყანა ქაიხოსრო ათაბაგისა და ზოგიერთი თავადის ბეც პოლიტიკას და ამიტომ ისინი ლუარსაბ მეფის მხარეზე დადგნენ. ლუარსაბი თავისი ჯარით სამცხეში შევიდა და მისი აღმოსავლეთი ნაწილი კვლავ დაიკავა. უცხოელ დამპყრობთა მხრივ კარს მომდგარმა საფრთხემ ქაიხოსრო ათაბაგს მაინც ვერაფერი ასწავლა და მან საკუთარი მეფის წინააღმდეგ ისევ საგარეო ძალას მიმართა. ათაბაგმა თავისი ერთგული აზნაურები აფრინა შაჰთამაზის კარზე და ლუარსაბის წინააღმდეგ დახმარებას შეევედრა. შაჰთამაზი შაქ-ში ლაშქრობდა. აქედან იგი დაუყოვნებლივ წამოვიდა ლუარსაბის წინააღმდეგ. ეს იყო შაჰთამაზის მესამე შემოსევა (1551 წ.). ყიზილბაშები აღმოსავლეთ სამცხეში შემოიჭრნენ და დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის უმოწყალო ჟლეტა. აი, როგორ აღწერს ამ ამბებს სპარსელი ისტორიკოსი: ყიზილბაშები “მთასა და ველს მოედვნენ და ყოველი მთა და ფერდობი, სადაც ხალხის თავშესაფარი იყო, მიწასთან გაასწორეს და ვერც ერთმა ურჯულომ (ე. ი. ქრისტიანმა ქართველმა) ცოცხალმა ვერ გააღწია ბრძოლის ველიდან. მოკლულთა ცოლ-შვილი, მოწყობილობა და ქონება გადაეცა (ირანელ) მკვლელებს, როგორც კანონიერ მემკვიდრეებს, ფერიების მსგავსი ქართველი ლამაზმანები ტყვედ წაიყვანეს”. ყიზილბაშთა სიმკაცრის მიუხედავად ქართველები მაინც თავგამოდებით იბრძოდნენ და მტერს ძვირად უჯენდნენ ყოველ წარმატებას.

ამ შემოსევის დროს იყო, რომ განადგურდა ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი, კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ქალაქი ვარძია. აქ მესხი თავადების ერთი ნაწილი ცოლ-შვილით იყო თავშეფარებული. ყიზილბაშებმა გააფთრებული იერიშით და დიდი მსხვერპლის ფასად ამ ციხესიმაგრედ ქცეულ ქვაბთა ქალაქში შეჭრა მაინც შეძლეს. უთანასწორო ბრძოლაში მონასტრის დამცველთა დიდი ნაწილი ცოლ-შვილით ამოწყდა, მაგრამ მომხდურნიც ბევრი დაიხოცნენ. ბრძოლის დასასრულს კლდეში ნაკვეთი ქალაქის სანახავად თვითონ შაჰთამაზიც მოვიდა. მისი ბრძანებით, ტყვედ ჩაგდებული ბერები უმოწყალოდ ამოხოცეს. მტერმა ქალაქმონასტრიდან დიდძალი სიმდიდრე, მათ შორის მრავალი ძვირფასი წიგნი გაზიდა. აოხრებული და გავერანებული სამცხის ქვეყანა, აგრეთვე ლორე, ბამბაკი და აღჯაყალა შაჰმა ქაიხოსროს გადასცა.

სამცხიდან ირანის შაჰი ქართლში გადმოვიდა და ქვეყნის მოთარეშებას შეუდგა, მაგრამ მოსახლეობის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა. არა-ერთი მისი მოთარეშე რაზმი ქართველებმა სასტიკად დააზარალეს და უკუაქციეს. ქართლში საბოლოო წარმატებას შაჰთამაზმა ვერც ამჯერად მიაღწია.

შაჰთამაზის მეოთხე ლაშქრობა. შაჰთამაზის ძირითადი ძალების გასვლისთანავე ლუარსაბ მეფემ ქართლში ჩაყენებული ყიზილბაშები გაწყვიტა და თბილისიც გაათავისუფლა.

ლუარსაბის ასეთი წარმატებით შეშფოთებული შაჰთამაზი 1554 წ. ქვემო ქართლში, საბარათიანოში შემოიჭრა. ლუარსაბ მეფემ სათანადო თადარიგი დაიჭირა. მან მოსახლეობა ციხესიმაგრეებსა და მიუვალ მთებში გახიზნა და თვითონაც ერთ-ერთ ციხეში გამაგრდა და იქიდან ქვეყნის თავდაცვას ხელმძღვანელობდა. სახიზრებისა და ციხესიმაგრეების წინააღმდეგ მებრძოლი ყიზილბაშები დიდ ზარალს ნახულობდნენ, მაგრამ მაინც შეუპოვრად იბრძოდნენ და ლუარსაბ მეფის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. თანდათანობით შაჰთამაზის ჯარებმა მთელი

საბარათიანო დაიკავეს, მაგრამ ლუარსაბ მეფე მაინც ხელიდან გაუსხლტათ და მისი შეპყრობა ვერც ამჯერად შეძლეს. ლუარსაბი შიდა ქართლში გადავიდა და ქვეყ-ნის ამ ნაწილის გამაგრებას შეუდგა. ყიზილბაშებს აქაც დიდი ბრძოლების გადახდა დასჭიდათ. მათ ხელახლა დაიკავეს თბილისი, ააოხრეს მცხეთა და ბრძოლით გორისკენ გაემართნენ, რადგან ლუარსაბ მეფე იქ ეგულებოდათ. მომხდურებმა შემუსრეს გორის ციხე, მაგრამ ლუარსაბი ხელთ მაინც ვერ იგდეს. შაჰთამაზმა ჯარები მახლობელ ციხეებს გაუსია. მან აიღო წედისის ციხე და მთელი ძალით ატენისკენ დაიძრა, რადგან შეიტყო, რომ აქ თავშეფარებული იყო ლუარსაბის დედა და ბევრი თავადის ცოლ-შვილი. ამათი ხელთგდებით იგი თვით მეფის დამორჩილებასაც ვარაუდობდა.

ატენის ციხე მიუვალ კლდეზე იყო აღმართული და მისი აღება იერიშით შეუძლებელი შეიქნა. ციხეში მყოფმა ქართველებმა მრავალი ყიზილბაში ამოწყვიტეს. როგორც ისტორიკოსი აღნიშნავს: “ციხის აღება გაძ-ნელდა”, რადგან “არც სიბა მიიტანებოდა, არც შეეთხრებოდა, არც სითმე ზარბაზანი მიუდგებოდა”, თანაც ციხე ფარული წყალსადენით წყაროს წყლით მარაგდებოდა. მაგრამ ყიზილბაშებს აქ ერთი ქართველის სულმოკლეობამ უშველა. მათ შემთხვევით დაატყვევეს ციხიდან გამოსული დედოფლის მსახური კავთისხეველი ვინმე ბეთიაშვილი, რომელმაც სიკვდილის შიშით მტერს წყაროს სათავე უჩვენა. ყიზილბაშებმა ციხეს წყლის მიწოდება შეუწყვიტეს და უწყლობით შეწუხებული მეციხოვნენი ბოლოს მტერს დანებდნენ.

ძვირფასი ტყვეების ხელთ გდებით გახარებული შაჰთამაზი აიყარა და სასწრაფოდ თავისი ქვეყნისაკენ გაეშურა. მას თან 30 000 ტყვე, მრავალი თავად-აზნაურის ოჯახობა და მეფის მოხუცი დედა მიჰყავდა. შაჰს იმედი ჰქონდა, რომ ამ ტყვეებით ლუარსაბზე და ქართველ პოლიტიკო-სებზე ზემოქმედებას მოახდენდა. აჩაბეთის ციხეში მდგომმა ლუარსაბ მეფემ, როგორც კი გაიგო დედის დატყვევების ამბავი, დაუყოვნებლივ დაედევნა უკუქცეული მტრის ლაშქარს, რამდენჯერმე შეება კიდეც მის არი-ერგარდს, მაგრამ უშედეგოდ. მართალია ბრძოლებში ყიზილბაშებს დიდი ზიანი მიაყენა, მაგრამ დედა და სხვა ტყვეები ვერ დაიხსნა. შაჰთამაზმა ისინი წინ გაუშვა და თვითონაც სასწრაფოდ გაეცალა ქართლს. მაგრამ ლუარსაბის დედამ მტერს თავი სამშობლოს წინააღმდეგ სამოქმედო იარაღად არ აქცევინა. დედოფალმა საწამლავი შესვა და თავი მოიკლა. ამრი-გად, შაჰთამაზს ლუარსაბ მეფის დამორჩილების ეს ხერხიც ჩაეშალა.

ქართლი ამასიის ზავის შემდეგ. გარისის ბრძოლა. 1555 წლის 29 მაისს ირანსა და ოსმალეთს შორის ქ. ამასიაში დაიდო ზავი, რომლითაც დამთავრდა ამ ორ ქვეყანას შორის ხანგრძლივი, თითქმის 40წლიანი ომი. ამასიის ზავის მიხედვით ქართლი და კახეთი, ასევე სამცხის აღმო-სავლეთი ნაწილი ირანმა ირგუნა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხის დასავლეთი ნაწილი — ოსმალეთმა. ქართველ ხალხს ირან-ოსმალეთის ეს გარიგება არ უცვნია. დამპყრობელთა მიერ განაწილებული საქართველო ფაქტობრივად მათ მიერ დაპყრობილი არ ყოფილა. ქართველი ხალხი განაგრძობდა შეურიგებელ ბრძოლას მოძალადეთა წინააღმდეგ.

ამ მბრძოლების მედროშე კვლავ ლუარსაბ I იყო. მან უფრო მეტი ენერგიით შეუტია შიდა და ქვემო ქართლში შემოსახლებულ ყიზილბა-შებს და თანდათან ხელიდან გამოგლიჯა აქაური ციხესიმაგრეები. ასევე შეავიწროვა თბილისში ჩაყენებული ყიზილბაშური გარნიზონი. საქართველოს ამბებისადმი ყურის მიგდება შაჰთამაზისაგან დავალებული ჰქონდა ყარაბაღის

მმართველს შაჰვერდი სულტანს. ლუარსაბ მეფის მოქმედების აღსაკვეთად მან დაუყოვნებლივ შეკრიბა დიდი ჯარი და 1556 წელს ქართლისაკენ გამოემართა. ლუარსაბ მეფეც თავისი ჯარით გორიდან წამოვიდა და მდ. ქციის (ხრამის) ხეობაში, სოფ. გარისთან დახვდა.

ამ დროს უკვე ხანდაზმულმა მეფემ (“მაშინ ლუარსაბ მოუძლურებულ იყო დღითა”), ქართველთა ჯარის სარდლობა თავის უფროს ვაჟიშვილს სიმონს ჩააბარა და თვითონ სხვა მოხუცებულებთან და მღვდელმთავრებთან ერთად ერთ-ერთ მომაღლო გორაკზე დაბანაკდა და ბრძოლის დამთავრების ამბავს ელოდა. სიმონმა ქართველთა ჯარით თავდადებით შეუტია მტერს და დიდად დაზარალებული გაჰფანტა. შაჰვერდი სულტანმა გაქცევით უშველა თავს, ასევე გაიფანტნენ მისი სარდლები. ერთ-ერთი ყიზილბაში სარდალი, მაჰმად სულტანი, თავისი რაზმის ნაშთით ტყეში დამალულიყო და აქედან გაქცევას აპირებდა, როდესაც მოულოდნელად გადააწყდა გორაკზე დაბანაკებულ ლუარსაბ მეფესა და მის ამალას. მოხუცები არ შედრკნენ და მტრის რაზმთან ბრძოლაში ჩაებნენ. ლუარსაბ მეფე ბრძოლის შუაგულში ტრიალებდა. მემატიანე გადმოგვცემს: “და იხილა მეფემან ლუარსაბ მაჰმად სულტანი, მაშინ შუბი გატეხილი ჰქონდა მეფესა ლუარსაბს და ყოველი საბრძოლო იარაღი დაემტვრია, შე-უტია ცხენითა და შეაძგერა ცხენი მაჰმად სულტნისა ცხენსა და ქუე დაახეთქა ცხენ-კაცითურთ”, მაგრამ მის ცხენსაც ფეხი ჩაუვარდა თხრილში და წაიქცა. მიწაზე დავარდნილი მეფე ყიზილბაშებმა ისრით განგმირეს. მეფის მკვლელი ყიზილბაში ქართველებმა იქვე გაათავეს, ასევე ერთიანად გაანადგურეს მტრის ის გადარჩენილი რაზმიც, გამარჯვებული დაბრუნდა მტერს დადევნებული სიმონიც, მაგრამ ამ დიდი გამარჯვების სიხარულს გმირი მეფის ტრაგიკული დაღუპვა მწუხარების ჩრდილს აყენებდა. სასიკვდილოდ დაჭრილი მეფე თავის თანამებრძოლებს უბარებდა, ჩემს გლოვას დაეხსენით და ქვეყნის შენახვას გაუფრთხილდითო. მეფე დიდი პატივით მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

ქართლის ბრძოლის მნიშვნელობა. აკად. ნ. ბერძენიშვილი, აფა-სებდა რა ამ ბრძოლების მნიშვნელობას, ხაზგასმით აღნიშნავდა: “ქართლის ეს მრავალწლოვანი უმაგალითო ბრძოლა მხოლოდ მის საკუთარ კუთხურ ინტერესებს კი არ ემსახურებოდა, არამედ მთელი საქართველოს დამოუკიდებლობას”. მართლაც, ლუარსაბ მეფის მეთაურობით ქართლის ეს შეურიგებელი ბრძოლა იყო მიზეზი იმისა, რომ მტერი იძულებული იყო დაეთმო საქართველოს სხვა ნაწილებისათვის და იმის შიშით, რომ ისინიც მებრძოლ ქართლს არ მიმხრობოდნენ, მათს შედარებით შეღავათი-ანი პირობებით მორჩილებას თანხმდებოდა. ამას გარდა, ლუარსაბი თავი-სი ძალით ყოველთვის გაჩნდებოდა ხოლმე იქ, სადაც საქართველოს რომელიმე მხარეს უჭირდა. ბერი ეგნატაშვილი შენიშნავდა: “უკეთუმცა მეფე-სა ლუარსაბს ესოდენი ბრძოლა არ ექმნა, ახლამცა საქართველო სრულ სარკინოზ ქმნილიყო და რაოდენიცა დღეს სახელნი არიან საქართველოსანი, ყოველნივე ხრმლისა მისისაგან არიან”.

თავი XXII. სიმონის მეფობის პირველი პერიოდი

მარცხი ციხედიდთან. შაჰის კარის ახალი პოლიტიკა. ლუარსაბის პოლიტიკას აგრძელებს მისი მემკვიდრე სიმონ I (1556-1559; 1578-1600). ისიც ცდილობდა განემტკიცებინა კავშირი მეზობელ ქართულ სამეფო-სამთავროებთან და ერთობლივი ძალით დაპირისპირებოდა

ყიზილბაშ დამ-პყრობლებს. ამ მიზანს ემსახურებოდა 1559 წ. მისი ქორწინება კახეთის მეფის ლევანის ასულზე, ნესტანდარეჯანზე. სიმონი ცდილობდა ყიზილბა-შებისაგან გაეწმინდა ქართლის მთელი ტერიტორია, მათ კი თვით მისი დედაქალაქი თბილისი ეპყრათ. სიმონი შეუდგა ძალების შეგროვებას, რათა დამპყრობლები თბილისიდან და ქართლის სხვა ადგილებიდან საბოლოოდ განედევნა. მან დახმარებისათვის მოუხმო კახეთის მეფესაც. ლევანმა გამოუგზავნა კახელთა ჯარი თავისი მემკვიდრის, გიორგი ბატონიშვილის მეთაურობით. ქართველთა ძალები სოფელ ციხედიდთან, საგანგებოდ გამაგრებულ ბანაკში, გროვდებოდა. ბანაკის მისადგომებთან ხანდაკები (თხრილები) გაიყვანეს, ამავე დროს ძირითად გზებზე ყარაულები დააყე-ნეს, რათა მტრის მოულოდნელი თავდასხმა თავიდან აეცილებინათ.

ქართველთა ეს სამზადისი მტერს არ გამოჰპარვია. გარისთან ბრძოლა-ში დამარცხებული და გაწბილებული შაჰვერდი სულტანი უფრო დიდი ძალით გამოეშურა საქართველოსკენ, რათა დაესწრო სიმონისათვის და ვიდრე იგი ძალებს მოიკრებდა, მანამ გაენადგურებინა.

1561 წლის ადრიან გაზაფხულზე, აღდგომის წინა ღამით ყიზილბაშთა ჯარმა ისარგებლა მცხეთის გზაზე, მუხათგვერდთან დაყენებული ქართველთა ყარაულის დაუდევრობით, უჩუმრად მიუახლოვდნენ ქართველთა გამაგრებულ ბანაკს ციხედიდში და მოულოდნელად დაესხნენ თავს ქართველთა მძინარე ჯარს. როდესაც განგაში დასცეს და ქართველები გონს მოვიდნენ, მტერი უკვე შემოჭრილი იყო მათ ბანაკში და ბრძოლა ერთობ გაძნელდა. სიმონ მეფე იძულებული გახდა უკან დაეხია და გორის ციხისთვის შეეფარებინა თავი. გამარჯვებული ყარაბაღის ხანი თბილისში დაბრუნდა. ყიზილბაშებთან ამ მუდმივი ომიანობის პირობებში განსაკუთრებით ქვემო ქართლი სომხით-საბარათიანო ზიანდებოდა. საქართველოს ამ ნაწილის მოსახლეობა, როგორც ჩანს მოიღალა მუდმივი რბევა-აწიოკებით, სისხლის ღვრითა და აყრადატყვევებით. ამ ადგილების მეპატრონე ფეოდალები, ბარათაშვილები და სხვა თავადები, თუკი აქამდე სამაგალითო თავდადებით ებრძოდნენ მტერს, ახლა უკვე დამპყრობლებთან მორი-გებას მოითხოვდნენ. მით უმეტეს, რომ შაჰის კარი დიდ წყალობას ჰპირდებოდა მის მხარეზე გადასულ ქართველ თავადებს.

ციხედიდთან მარცხმა საბოლოოდ განსაზღვრა მათი ორიენტაცია. მალე მათ მიემხრო თვით მეფის ძმა, დავით ბატონიშვილი. ეს უკანასკნელი და ქვემო ქართლის ზოგიერთი თავადი 1561 წლის 25 დეკემბერს ყაზვინ-ში ეახლა შაჰთამაზს და თავისი სამსახური შესთავაზა. შაჰ თამაზმა დიდი ზეიმით მიიღო რენეგატი ბატონიშვილი და მისი ამალა, ისინი გაამაჰმადიანა და საქართველოში სხვადასხვა წყალობით დასაჩუქრებული გამო-ისტუმრა. გამაჰმადიანებულ დავით ბატონიშვილს დაუდხანი უწოდეს.

შაჰის კარის ანგარიში არ გამართლდა. ქართლის დიდი ნაწილი კვლავ სიმონ მეფის ერთგული რჩებოდა. დაუდხანმაც თავის ძმასთან ბრძოლაში, მიუხედავად ყიზილბაშთა მხრიდან დიდი დახმარებისა, წარმატებას ვერ მიაღწია. პირიქით, 1567-1568 წლებში სიმონ მეფემ სასტიკად დაამარცხა დაუდხანი და თბილისსაც ალყა შემოარტყა. სიმონი იმედოვ-ნებდა რომ თბილისის მოქალაქენი მის მხარეზე დადგებოდნენ, ასევე მასთან მივიდოდნენ გაყიზილბაშების პერსპექტივით უკმაყოფილო ბარათაშვილები, მაგრამ ასე არ მოხდა. სიმონ მეფე იძულებული

შექმნილა თბილისისათვის ალყა მოეხსნა და ახალი ბრძოლებისათვის უფრო საფუძვლი-ანად მომზადებულიყო.

ფარცხისის ბრძოლა და სიმონ მეფის დატყვევება. სიმონის სამზადისით შეშინებულმა დაუდხანმა სასწრაფოდ აფრინა კაცები შაჰთამაზთან დახმარების სათხოვნელად. ირანის შაჰმა სათანადოდ შეაფასა შექმნილი ვითარება, სწორად განსაზღვრა, რომ სიმონის შემდგომი წარმატება საბოლოოდ ამოაკვეთინებდა ყიზილბაშებს საქართველოდან ფეხს და და-უყოვნებლივ საპასუხო ზომების მიღებას შეუდგა. მისი ბრძანებით, განძასთან თავი მოუყარეს შაქისა და ყარაბაღის ჯარებს, დაიქირავეს საშამხლოს ჯარები და ეს საკმაოდ დიდი ლაშქარი 1569 წელს საქართველოსკენ დაძრეს. ყიზილბაშებს ზოგიერთი მოღალატე ქართველი თავად-აზნაურიც მი-უვიდა. სიმონ მეფეს ხელთ მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა. ამის მიუხედავად მან გადაწყვიტა მტრის ლაშქარი ალგეთის ხეობაში შეეჩერებინა და გაბედული თავდასხმებით სისხლისაგან დაეცალა. ბრძოლა სოფელ ფარცხისთან მოხდა. ყიზილბაშები და მათი დამქაშები ქართველებს ბევრად აღემატებოდნენ. მაგრამ სიმონ მეფემ მაინც გულსრულად შეუტია მომხდურთ და მოწინავე ნაწილი უკუაქცია კიდეც. თვითონ მეფე თავისი ჯარის პირველ რიგებში იბრძოდა და არაერთი ყიზილბაში ჩამოაგდო ცხე-ნიდან. ბრძოლაში გართულმა მეფემ ვერ შენიშნა როგორ დაშორდა თავი-სი ჯარის ძირითად ნაწილებს. მტრის ლაშქარში მყოფმა მოღალატე აზნა-ურმა კახაბერ ყორღანაშვილმა იცნო მცირე ძალის ამარად დარჩენილი მეფე და ეს მტრის სარდლობას აცნობა. ყიზილბაშებმა მთელი ძალები მის წინააღმდეგ გადმოისროლეს და მალე მეფე და მისი ამალა ალყაში მოაქციეს. ერთ-ერთმა მოღალატემ მეფეს ზურგიდან შუბი აძგერა და ცხენიდან გადმოაგდო. თანამებრძოლთა მცირერიცხოვანი ჯგუფი მტერს პირწმინდად შეაკვდა, მაგრამ მეფე დატყვევებას მაინც ვერ გადაარჩინა. დატყვევებული სიმონ მეფე დაუყოვნებლივ ირანში, ყაზვინს გაგზავნეს.

შაჰთამაზი ბევრს ეცადა გაემაჰმადიანებინა სიმონი, რადგან კარგად იცოდა მისი დიდი ავტორიტეტი საქართველოში. სიმონმა შორს დაიჭირა შაჰის მიერ დიდი წყალობის აღთქმა და გამაჰმადიანებაზე მტკიცე უარი უთხრა. გაწბილებულმა შაჰთამაზმა ქართლის მეფე ალამუტის ციხეში გამოკეტა.

თავი XXIII. კახეთის სამეფო ლევანის მეფობის დროს

კახეთის სამეფო კარის საგარეო პოლიტიკა XVI საუკუნის 50-იან წლებამდე. განსხვავებით სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისაგან კახეთის სამეფო XVI საუკუნის განმავლობაში შედარებით მშვიდობიანად ვითარდებოდა. მას შემდეგ, რაც კახეთის სამეფო ტახტზე ლევან გიორგის ძე დამკვიდრდა (1518 წ.), იგი განუხრელად დაადგა მისი პაპის, ალექსანდრე I-ის საგარეო-პოლიტიკურ გეზს, რაც ასე დამახასიათებელი იყო კახეთის პოლიტიკის მესვეურთათვის — ძლიერი მოწინააღმდეგისათვის დათმობა, მოხერხებული დიპლომატია, მცირე ხარკის გამოღებით და ფორმალური ყმობის აღიარებით აგრესორის ქვეყნის შიგნით არ შეშვება და სხვ. გარკვეულ დრომდე ასეთი პოლიტიკა სასურველ ნაყოფს იღებდა და მართლაც მთელი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში, ვიდრე 1614 წლამდე კახეთს მტრის სერიოზული შემოსევა არ განუცდია.

მას შემდეგ, რაც ქართლის მეფე დავით X იძულებული გახდა ეცნო კახეთში ლევანის გამეფება, ამ ორ სახელმწიფოს შორის დაიდო შეთანხმება გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ, მაგრამ ეს კავშირი არ იყო მტკიცე. ყიზილბაშური ირანი სხვადასხვა პირობებს უყე-ნებდა ქართლსა და კახეთს და ამით ადვილად ახერხებდა მათ გათიშვას. მართალია თელეთის ომში (1520 წ.) შაჰ ისმაილის წინააღმდეგ ქართლელებთან ერთად კახელებიც იბრძოდნენ, მაგრამ შემდეგ ხანებში კახეთისა და ქართლის ძალების გაერთიანება სულ უფრო ძნელად ხერხდებოდა. ქართლში შაჰთამაზის შემოსევების დროს კახეთის მეფე განზე იდგა და შაჰის გულის მოგებით ცდილობდა ყიზილბაშთა ურდოები კახეთში არ შემოეშვა.

ლევანი აქტიურ პოლიტიკას ეწეოდა აღმოსავლეთელი მეზობლების — შაქისა და შარვანის ქვეყნების მიმართ. 1524 წ. ლევან მეფე შაქის ქვეყა-ნას შეესია და მისი დაპყრობა სცადა. კახეთის მეფემ დაამარცხა ადგილობრივი მმართველი ჰასანბეგი და იგი დაღუპა კიდეც, მაგრამ ქვეყანაში ფეხის მოკიდება ვერ შეძლო. შაქელებმა დახმარებისათვის თავიანთ "ბატონს", ირანის შაჰს მიმართეს. ირანთან გართულების თავიდან ასაცილებლად ლევანმა ქვეყანა დაცალა და დიდი ალაფით დატვირთული უკან დაბრუნდა.

1541 წელს, როდესაც შაჰთამაზი საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა და შაქის ქვეყანაში მოვიდა, აქ მას მორჩილებით ეახლა "მრავალის ძღვნითა და ბევრის ფეშქაშით" ლევან მეფე. შაჰთამაზი მოერიდა კახეთთან ურთიერთობის გამწვავებას, რადგან მას ქართლთან დიდი ომის გადახდა უწევდა და ლევანის მიერ მორჩილების ასეთ სიტყვიერ გამოცხადებას დაჰყაბულდა.

ქართლის წინააღმდეგ მოწყობილი შემდეგი ლაშქრობების დროსაც კახეთის მეფე განზე დადგა და ირანისადმი მოჩვენებითი მორჩილების გზისთვის არ გადაუხვევია. ქართლის მიერ წარმოებული შეურიგებელი ომის გამო ირანის შაჰი იძულებული იყო კახეთის მხოლოდ ასეთი ფორმალური მორჩილებით დაკმაყოფილებულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სამართლიანად შიშობდა, რომ კახეთი მებრძოლ ქართლს შეუერთდებოდა.

კახეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე შეიქმნა მას შემდეგ, რაც ირანის შაჰმა საბოლოოდ დაიპყრო შაქისა და შარვანის ქვეყნები. ყიზილბაშებმა შარვანის ინკორპორაცია მოახდინეს 1538 წელს, 1551 წელს კი შაქიც დაიპყრეს. ამ ბრძოლაში ლევან მეფემაც მიიღო მონაწილეობა. შაქის ხანი დარვიშ მაჰმადხანი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა, მაგრამ ამ "გამარჯვების" შედეგად კახეთს აღმოსავლეთიდან უშუალოდ გაუმეზობლდნენ ყიზილბაში დამპყრობლები.

დიდ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი XVI საუკუნისათვის კახეთის ჩრდილოეთითაც. იმიერკავკასიაში ამ დროისათვის მრავალი ფეოდალურტომობრივი ერთეული არსებობდა. ამათ შორის ყველაზე უფრო გაძლიერდა შამხალის სამთავრო, რომელიც ცდილობდა მთელი აღმოსავლეთი იმი-ერკავკასიის, კერძოდ, დაღესტნელი ტომების თავის ხელქვეით გაერთიანებას. აქ თანდათანობით ფეხი მოიკიდა ოსმალურმა გავლენამ. სარწმუნოებაც მათ სუნიტური ჰქონდათ. საშამხლოს ჩრდილოდასავლეთიდან ყაბარდო-ჩერქეზთა ერთ-ერთი სამთავრო ესაზღვრებოდა. ამათ შორის მტრობა და ქიშპი იმთავითვე არსებობდა. კახეთის მეფე ლევანი ცდილობდა სა-შამხლოს მთავრები თავისი გავლენის ქვეშ ჰყოლოდა. იგი ხშირად ერეოდა

შამხალისა და მის სახლისკაცთა შორის ამტყდარ უთანხმოებაში. შამხალზე ზეგავლენის მიზნით უკავშირდებოდა მის მოწინააღმდეგე ჩერქეზთა მთავარსაც. შამხალთან ურთიერთობის მოგვარების ინტერესებს ემსახურებოდა მის მიერ შამხალის ასულის ცოლად მოყვანა. როგორც ცნობილია, ლევანი გასცილდა თავის პირველ ცოლს, თინათინს, რომელიც გურიელის ასული იყო და მეორე ქორწინებით დაქორწინდა შამხალის ქალზე, რომელიც ადრე ხარჭად ჰყავდა.

კახეთის სამეფო ამასიის ზავის შემდეგ. ურთიერთობა ირანთან. როგორც აღნიშნული იყო, 1555 წ. ქ. ამასიაში დადებული ზავით ოსმალეთმა აღმოსავლეთ ამიერკავკასია, მათ შორის ქართლისა და კახეთის სამეფოები ყიზილბაშური ირანის საკუთრებად ცნო. მაგრამ ამ ორი მტაცებლის შეთანხმება ქართველ პოლიტიკოსებს თავისთვის სავალდებულოდ არ უცვნიათ. ქართლი განაგრძობდა თავდადებულ ბრძოლებს ყიზილბაშთა წინააღმდეგ და მათ აქ ფეხის მოკიდების საშუალებას არ აძლევდა. კახეთის მმართველი წრეებიც კარგად ხედავდნენ, რომ დღეს თუ არა ხვად კახეთის რიგიც დადგებოდა და სპარსელი შაჰები აქაც ეცდებოდნენ "ყიზილბაშობის" დამყარებას. ამავე დროს ოსმალეთი ყირიმის ხანის მეშვეობით სულ უფრო მეტი დაჟინებით ცდილობდა თავის გავლენის დამყარებას იმიერკავკასიაში. დაღესტნელი მთავრები ოსმალეთის კარნახით მოქმედებდნენ და კახეთზე თავდასხმებს აძლიერებდნენ. ასეთ ძნელ ვითარება-ში კახეთის მესვეურები, ბუნებრივია, ყურადღებას მიაქცევდნენ რუსეთის მზარდ სახელმწიფოს.

1552-1556 წლებში რუსეთის მეფემ ივანე IVმ დაიმორჩილა ყაზანისა და ასტრახანის სახანოები და ამით მთლიანად ხელთ იგდო უმნიშვნელოვანესი სანაოსნო გზა მდინარე ვოლგაზე. ამავე დროს, უშუალოდ გაუმეზობლდა კავკასიასაც. მალე, 1557 წ. ყაბარდოს სამთავრო რუსეთის მფარველობაში შევიდა. აღსანიშნავია, რომ ამ წელს მოსკოვში ჩასული ყაბარდოელი ელჩები რუსეთის მთავრობას მოახსენებდნენ, რომ მათთან ერთად "ერთი ფიცითა და პირობით შეკრულნი არიან ივერიის მთავარი და ივერიის მთელი ქვეყანა", რომ ქართველებსაც სურთ რუსეთის მფარველობის მიღება და დახმარება მოძალადე მტრების წინააღმდეგ. 1563 წ. ივანე IVმ თერგთან, მდ. სუნჟის შესართავის მახლობლად, ააგო ციხესიმაგრე და შიგ თავისი გარნიზონი ჩააყენა. კახეთის მეფე ლევანი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს მოვლენების განვითარებას იმიერკავკასიაში. რუსეთის ქრისტიანული სახელმწიფოს გამოჩენა საქართველოს სიახლოვეს უსათუოდ დიდ იმედებს სახავდა მაჰმადიანური ქვეყნების "ბარბაროსულ" გარემოცვაში მოქცეული ქრისტიანული ქვეყნის გამოხსნის საქმეში. ლევან მეფემ უკვე 1561 წ. მოსკოვში გაგზავნა წერილი. ხოლო 1562-1563 წლებში რუსეთის მეფემ ივანე IVმ უკვე გამოგზავნა ჯარი, თავისი სიმამრის, ჩერქეზთა მთავრის, თემურყვას დასახმარებლად, რომელიც იბრძოდა შამხალის წინა-აღმდეგ. სწორედ ამ ჯარის ნაწილები იქნა ჩაყენებული კახეთის სანაპირო ციხეებში შამხალის მხრიდან თავდასხმების მოსაგერიებლად, თუმცა ეს სამხედრო ძალა არ იყო მრავალრიცხოვანი და არც დიდ ხანს გაუჩერები-ათ. უკვე შემდეგ წელს ეს ჯარი უკან გაიწვიეს.

ლევან მეფე კარგად გრძნობდა, თუ რა საფრთხე ელოდა მის ქვეყა-ნას ამასიის ზავის შემდეგ, როდესაც ირანის შაჰმა დაიმარტოხელა ქართული ქვეყნები და ყველა საშუალებით ეცდებოდა მათ სრულ დაპყრობას. ლევან მეფემ სცადა კვლავ აემხედრებინა ოსმალეთი ირანის წინააღმდეგ, მაგრამ სულთნის კარმა ირანთან ზავის დარღვევა ამჯერად მიზანშეწონილად არ ჩათვალა.

კახეთის საშინაო მდგომარეობა XVI საუკუნეში. კახეთის საში-ნაო მდგომარეობა განსხვავებით სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისაგან, სტაბილურია და ადგილი არა აქვს შინაფეოდალურ ბრძოლებს. ამის მიზეზია კახეთში მეფის ხელისუფლების სიმტკიცე. ვახუშტის დახასიათებით ლევანის მეფობის პერიოდში “კახეთი იყო ფრიად შენი და მაგარი”. კახეთის სამეფოს ჩამოყალიბების პერიოდში და შემდეგ ქართლ-კახეთს შორის ომების ხანაში კახეთის მთიანეთმა, თუშფშავხევსურეთმა სცადა კახეთის სამეფო ხელისუფლებისადმი მორჩილებისაგან თავის დაღწევა, მაგრამ ეს რეგიონი იმდენად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეკონომიკურად კახეთის ბართან, რომ ლევანმა ამ ფაქტორის გამოყენებით ადვილად შეძლო კახეთის მთიანეთის კვლავ დამორჩილება. მთისა და ბარის ურთიერთობას კახეთის საშინაო ცხოვრების განვითარებაზე სხვა მხრივაც ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რამაც შემდეგ ხანებში განსაკუთრებით ძლიერად იჩინა თავი. პირიქითა კავკასიიდან დაღესტნელ მთიელთა დიდი ნაწილი, “ლეკნი”, როგორც მათ ქართულ წყაროებში ეწოდებათ, საქართველოს ხელისუფლებას აღარ ემორჩილებიან, მაგრამ ჯერჯერობით თავდასხმებით ვერ აწუხებენ საქართველოს ბარის მოსახლეობას. ლევანმა რამდენიმე ასეთი ავის მოხარკული, საძარცვავად მოსული გადამთიელი სასტიკად დასა-ჯა, თუმცა ხელიც კი შეუწყო კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ფიფინეთში ლეკთა დასახლებას, რომლებსაც დაავალა ზაფხულობით მეფის სამზარეულოსათვის კავკასიონიდან ყინულის ზიდვა.

აღსანიშნავია ლევანის საეკლესიო პოლიტიკა. კახეთის მეფემ შეძლო თავის გავლენის ქვეშ მოექცია სრულიად საქართველოს საეკლესიო ცენტრი, მცხეთის საკათალიკოსო ტახტი. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქად შეიქმნა მისი ერთ-ერთი ვაჟი, კათალიკოსად კურთხევის შემდეგ ნი-კოლოზად სახელდებული, რომელსაც ბავშვობიდანვე ზრდიდა და სათა-ნადოდ ამზადებდა მცხეთის ეკლესიიდან მოწვეული მოძღვარი გედეონ მაღალაძე, ლევანი დიდ ყურადღებას უთმობდა კახეთში ეკლესიამონასტრების განახლებამშენებლობას, მათ სათანადოდ აღჭურვას, საეკლესიო მიწისმფლობელობის გაფართოება-განმტკიცებას. მის დროს აშენდა გრემის მთავარანგელოზის, შუამთის ღვთისმშობლის სახელობის, ალვანის “ნათლისმცემლის” ეკლესიები შესანიშნავი ფრესკებით, ხირსის წმ. სტეფანეს სახელობის, ფუძნარის ღვთისმშობლის სახელობის, ნეკრესის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიები და სხვ.

ლევანი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული ეკლესიის საზღვარგარეთულ ცენტრებს. ჯერ კიდევ მისი მამის, გიორგი II-ის დროს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გაიგზავნა ჯვარის მამად ბეენა ჩოლოყაშვილი (1511-1514 წწ.), რომლის მრავალმხრივ მოღვაწეობას აგვიწერენ იერუსალიმის ხელნაწერთა მრავალრიცხოვანი ანდერძმინაწერები. ლევანმა კი ჯვარის მამად 1538 წელს მიავლინა იოაკიმე და დაავალა ქრისტეს საფლავისა და გოლგოთის აშენება. აღსანიშნავია, რომ ლევანმა 1540 წ. ქალკედონის ნახევარკუნძულზე, ათონის მთაზე დააარსა ფილოთეოსის მონასტერი, რომლის კედელზეც შემორჩენილია უკვე ხანშიშესული ლევანის გამო-სახულება. უფრო გვიან ამ მონასტრის მეტოქე ეკლესია აშენდა ზემო ხოდაშენში, რომელსაც შესწირეს საკმაო რაოდენობის ყმამამული.

ლევანს ცოლად ჰყავდა მამია I გურიელის ასული თინათინი, რომლისგანაც თავდაპირველად რამდენიმე ქალიშვილი შეეძინა. როგორც ჩანს ამიტომ ლევანს ხარჭად

მოუყვანია შამხალის ასული, რომლისგანაც მას შეეძინა უფროსი ვაჟიშვილი გიორგი, რომელიც თავის მემკვიდრედ გამო-აცხადა. ამის შემდეგ თინათინსაც შეეძინა ვაჟიშვილები — იესე, ალექსანდრე და სხვ., ისე რომ, ტახტის მემკვიდრეობის საკითხი გართულდა. გი-ორგი ბატონიშვილი ციხედიდთან ბრძოლაში დაიღუპა, იესე მძევლად იყო წაყვანილი ირანში, სადაც იგი გაამაჰმადიანეს და ალამუტის ციხეში გამოჰკეტეს. ლევანის გარდაცვალების (1574 წ.) შემდეგ კახეთში გამეფები-სათვის გაიმართა ბრძოლა მის შვილს ალექსანდრესა და შვილიშვილებს (გიორგის შვილებს) — ქაიხოსროსა და ვახტანგს შორის. ეს ბრძოლა ალექსანდრეს გმარჯვებით დამთავრდა.

თავი XXIV. ირან-ოსმალეთის მეორე ომი და საქართველო

ქართული სამეფო-სამთავროები ირან-ოსმალეთის მეორე ომის წინ. სიმონ მეფის დატყვევების შემდეგ 1569-1578 წლებში ქართლის გამ-გებლად დაუდხანი ითვლებოდა, მაგრამ თბილისისა და ქვემო ქართლის გარდა რენეგატ ბატონიშვილს ქართლის დანარჩენი ნაწილი არ ემორჩილებოდა. კახეთში ლევანის გარდაცვალების შემდეგ 1574 წ. ატყდა ბრძოლა მის მემკვიდრეებს შორის. ალექსანდრეს დაეხმარნენ ქართლის დიდი თავადები ბარძიმ ამილახორი, ელიზბარ ქსნის ერისთავი, აგრეთვე ქართლის მმართველი დაუდხანი. ალექსანდრემ შეძლო თავისი ძმისშვილების დამარცხება და კახეთის ტახტზე განმტკიცება.

იმერეთში ბაგრატ ალექსანდრეს ძის შემდეგ მეფობს მისი მემკვიდრე გიორგი II (1565-1585 წწ.), რომლის დროსაც დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. გაძლიერდა ბრძოლები როგორც მთავრებსა და მეფის ხელისუფლებას შორის, ისე მთავართა და თავადთა ცალკეულ დაჯგუფებებს შორის. ურთიერთ თავდასხმა, ერთმანეთის მამულების აკლება, ტყვეების წასხმა და ოსმალებზე გაყიდვა ჩვეულებრივ ამბად იქცა. ამას ზედ დაერთო ჟამიანობა, რამაც ასევე დიდი ზიანი მიაყენა იმერეთის მოსახლეობას. მთავრები ერთმანეთთან თუ მეფესთან ბრძოლის დროს ხშირად მიმართავდნენ დახმარებისათვის ოსმალეთს და ეს უკანასკნელიც ხალისით ერეოდა დასავლეთ საქართველოს საშინაო საქმეებში და ამით აძლიერებდა იმერეთზე თავის პოლიტიკურ გავლენას.

კიდევ უფრო მძიმე იყო სამცხის მდგომარეობა. როგორც დავინახეთ, ჯერ კიდევ ამასიის ზავამდე ადგილობრივი თავადების ნაწილი მხარს უჭერდა ქაიხოსრო ათაბაგის სეპარატისტულ პოლიტიკას. ეს გზააბნეული მთავარი ხან ოსმალეთის და ხან ირანის მხარეს გადადიოდა. მხოლოდ მცირე ნაწილი სამცხელი თავადებისა საქართველოს მეფეების (ბაგრატ იმერთა მეფის, ან ლუარსაბ ქართლის მეფის) მხარეზე რჩებოდა. ამასიის ზავის შემდეგ სამცხე ორად გაყოფილი აღმოჩნდა. დასავლეთში (ტაო-კლარჯეთ-შავშეთში) ოსმალები გაბატონდნენ, ხოლო აღმოსავლეთში (მტკვრის ზემო ხეობაში) ჯერ კიდევ ფორმალურად მთავრობდა ქაიხოსრო ათაბაგი, მაგრამ მისი სამფლობელოც მუდმივად განიცდიდა ოსმალთა თავდასხმებს. ქაიხოსრო 1570 წ. ყაზვინში ეახლა შაჰ თამაზს და ოსმალთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვა, მაგრამ ისე გარდაიცვალა იქვე (1573 წ.), რომ შაჰის კარისაგან ყურადღებას ვერ ეღირსა.

ყვარყვარე IV-ის (1573-1581 წწ.) მთავრობის დასაწყისში სამცხის საქმე-ებს ფაქტობრივად განაგებდა მისი დედა, დედისიმედი, ძალაუფლების მოყვარე და ენერგიული ქალი. მან

მოაკვლევინა თავადური რეაქციის თავ-კაცი ვარაზა შალიკაშვილი, რასაც მოჰყვა გაუთავებელი შინა ომი. კერძოდ, 1576-1577 წლებში, თითქმის 20 თვის განმავლობაში არ შეწყვეტილა ურთიერთმიხდომა, ძარცვა, ხოცვა-ჟლეტა, ყმა-გლეხების აყრადატყვევება, სოფლების გადაწვა, ციხესიმაგრეების ნგრევა და სხვა.

ასეთ მდგომარეობაში ხვდებოდა საქართველო ირან-ოსმალეთის ახალ ომს, რომლის ბრძოლების ასპარეზი პირველ ხანებში ძირითადად საქართველოში იყო.

ირან-ოსმალეთის მეორე ომის დასაწყისი და საქართველო. 1578 წელს ოსმალეთმა დაარღვია ამასიის ზავი და ირანის წინააღმდეგ შეტევა დაიწყო. მან ისარგებლა შაჰთამაზის გარდაცვალების შემდეგ მის მემ-კვიდრეებს შორის ატეხილი ბრძოლით და კავკასიის მიმართულებით დაძრა დიდი ჯარი მუსტაფა ლალაფაშის სარდლობით. ამჯერად ოსმალეთი მიზნად ისახავდა დაეკავებინა მთელი ამიერკავკასია. გასულიყო კასპიის ზღვამდე. აქ მის ჯარს შეუერთდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის გზით წამოსული ყირიმის ხანის ლაშქარი და გაერთიანებული ძალით ირანს შეუტევდა ჩრდილოდასავლეთის მხრიდან. საქართველოსკენ წამოსულმა მუსტაფა ლალაფაშამ მოწოდებით მიმართა ქართველ მეფემთავრებს, რათა ირანის წინააღმდეგ ომში ოსმალეთის მხარეზე დამდგარიყვნენ. მის მოწოდებას ქართველ მეფემთავართა დიდი ნაწილი არ გამოეხმაურა. მასთან მხოლოდ ყვარყვარე ათაბაგის ძმა მანუჩარი გამოცხადდა. სამცხის თავადების ნაწილმა უომრად ჩააბარა ციხეები ოსმალებს. მოსახლეობა კი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ოსმალო დამპყრობლებს.

გადამწყვეტი ბრძოლა ოსმალებსა და ყიზილბაშებს შორის მოხდა სამცხეში, ჩილდირის ტბის ჩრდილოეთით 1578 წლის 9 აგვისტოს. გამარ-ჯვება ოსმალებს დარჩათ. აი აქ გამოცხადდა მანუჩარი გამარჯვებულ ფა-შასთან თავისი 6000-იანი ლაშქრით, მანამდე კი შორიახლოდან ადევნებდა თვალყურს ბრძოლის მსვლელობას და ელოდა გამარჯვებულის გამოვლი-ნებას. ოსმალთა სარდალმა ზეიმით მიიღო ათაბაგის ძმა და სასტიკი შურისძიების მოწმე გახადა: მის თვალწინ თავები წააცალეს რამდენიმე ათას ტყვე ყიზილბაშს, ხოლო ქართველი ტყვეები კოცონზე ცოცხლად დაწვეს. სამცხის დაპყრობილი ნაწილი ოსმალებმა სანჯაყებად დაყვეს, მანუჩარს ხახულის სანჯაყი მისცეს სამმართველოდ. მალე ოსმალებმა ახალციხეც დაიკავეს. სამცხის მთავარი ყვარყვარე და დედოფალი დედისიმედი ამის შემდეგ იძულებულნი გახდნენ ოსმალებს დამორჩილებოდნენ. სამცხის დაპყრობის შემდეგ ოსმალებს გზა გახსნილი ჰქონდათ თბილისისაკენ და 24 აგვისტოს ისინი უკვე საქართველოს დედაქალაქს მოადგნენ. დაუდხანმა უბრძოლველად მიატოვა თბილისი, ქალაქი გადაწვა და ლორეს ციხეს შეაფარა თავი. ქართლის გავლენიანი თავადები — ვახტანგ მუხრანბატონი, ბარძიმ ამილახორი და ელიზბარ ქსნის ერისთავი მუსტაფა ფაშას მორჩილებით ეახლნენ. ოსმალებს წინააღმდეგობა მხოლოდ ქვემო ქართლის სათავადოებმა გაუწიეს. აქ დამპყრობლებმა დიდი ზარალი ნახეს, მაგრამ ეს მხოლოდ გამონაკლისი იყო — ქართლის დიდი ნაწილი ოსმალებმა უომრად დაიკავეს. მუსტაფა ლალაფაშამ მეციხოვნეები შეიყვანა თბილისში, გორში და მარბიელი ლაშქარი გაუსია იმერეთსაც. მართალია, იმერეთის სამეფო ამასიის ზავის შემდეგ ცნობდა ოსმალეთის უზენაესობას, მაგრამ ახალ ვითარებაში ოსმალებს ეს აღარ აკმაყოფილებდათ და დასავლეთ საქართველოს სრული დაპყრობა გადაეწყვიტათ. იმერეთის ჯარი გაბედულად დაუხვდა

ლალაფაშას მოთარეშეებს და დიდად დაზარალებული უკუაქცია. იმერლებმა ასევე დაამარცხეს ოსმალთა მეორე ლაშქარიც. მუსტაფა ლალაფაშამ აქ შეყოვნება მიზანშეუწონლად ჩათვალა, იმერეთს თავი მიანება და მთელი თავისი ჯარით შარვანისაკენ დაიძრა.

კახეთის ახალი მეფე ალექსანდრე II მას სართიჭალასთან შეეგება და ზავი შესთავაზა. გაიმართა მოლაპარაკება, რომლის დროსაც გამოჩნდა ალექსანდრეს დიდი დიპლომატიური ნიჭი. ოსმალები თავდაპირველად კახეთის სრულ დაპყრობას აპირებდნენ, უკიდურეს შემთხვევაში აქ მაჰმადიანი მმართველი ფაშას დასმას მაინც. მაგრამ მოხდა პირიქით. ალექსანდრემ, მართალია, თავი ოსმალთა მორჩილად ცნო და ოსმალთაგან მიიღო კახეთის მმართველობის სიგელი, მაგრამ ქრისტიანობა შეინარჩუნა და ყოველწლიურ ხარკად მხოლოდ 30 საპალნე აბრეშუმს, 20 ტყვე ქალვაჟსა და კიდევ სხვა მცირე მისართმეველს შეჰპირდა. სამაგიეროდ მას მიენდო შაქის დაპყრობა, სადაც მმართველად შაჰის ნდომით აღჭურვილი მისი მეტოქე ძმა, გამაჰმადიანებული იესე (ისახანი) იჯდა. ალექსანდრე თვითონ იყო დაინტერესებული ამ იესეს თავიდან მოშორებით, რომელიც კახეთის ტახტზე თავის მეტოქედ მიაჩნდა. ირანის შაჰის კარი ხომ მის მაგივრად კახეთში ამ ისახანის გამეფებას გეგმავდა. ალექსანდრემ შაქი დაიკავა, ისახანი გააძევა და შაქის მმართველად თავისი შვილი ერეკლე დასვა. ამრი-გად, კახეთის მეფეთა ტრადიციულმა პოლიტიკამ ჯერჯეროზით კვლავ სასურველი შედეგი გამოიღო: ქვეყანა არა თუ გადაურჩა ოსმალთაგან დაპყრობას და დარბევას, არამედ ფორმალური ყმობის აღიარებით იგი გაძლიერდა კიდეც და მისი გავლენა მეზობელ შაქზეც გავრცელდა.

ამასობაში ოსმალებმა აღმოსავლეთ ამიერკავკასია თითქმის მთლიანად დაიმორჩილეს, შარვანი 14 სანჯაყად დაყვეს და ცალკე საბეგლარბეგოდ აქციეს. ოსმალთა ჯარს ადგილობრივი მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ოსმალთა მდგომარეობას ართულებდა ის ამბავი, რომ ქართლის მოსახლეობა ბრძოლას არ წყვეტდა და თავდასხმებით ანადგურებდა ოსმალთა ლაშქრის მოსამარაგებლად გამოგზავნილ აღალსა თუ დამხმარე ძალას. თბილისში და გორში ჩაყენებული გარნიზონებიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მათი მომარაგება ერთობ გაძნელებული იყო. 8 ოქტომბერს ოსმალთა სარდალი იძულებული გახდა შარვანიდან უკან გაბრუნებულიყო. თბილისში და გორში მცირე ხნით შეჩერების შემდეგ, სამცხის გავლით მუსტაფა ლალაფაშა თავისი ჯარის ძირითადი ნაწილით არზრუმ-ში დაბრუნდა გამოსაზამთრებლად.

ახალციხის საფაშოს დაარსება. სამცხეზე გზად მუსტაფა ლალაფა-შას ახალციხეში ეახლა დედოფალი დედისიმედი. ოსმალთა სარდალმა მას მოსთხოვა, რომ სტამბოლში გაეგზავნა ყვარყვარე და მანუჩარი. 1579 წ. ზაფხულში ოსმალეთის სატახტო ქალაქში ჩავიდნენ ძმები ჯაყელები. სულთანმა მურად III-ემ მათ გამაჰმადიანება მოსთხოვა. ყვარყვარე ამის კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა, მანუჩარი კი დათანხმდა. ყვარყვარეს ქრისტიანობით მხოლოდ ერთი სანჯაყი დაუტოვეს გამგებლობაში, ხოლო მანუჩარს, რომელსაც გამაჰმადიანების შემდეგ მუსტაფაფაშა უწოდეს, მთელი სამცხე მისცეს საგამგებლოდ, მაგრამ არა როგორც ქართველ მთავარს, არამედ როგორც სულთნის მოხელეს — ბეგლარბეგს. სამცხე ჩილდირის ვილაიეთად გამოცხადდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი ჩვეულებრივ ოსმალურ ადმინისტრაციულ ერთეულებს გაუთანაბრეს, მისი მფლობელი — ოსმალო მოხელედ,

ბეგლარბეგად ანუ ფაშად აქციეს. მანუჩარის გამაჰმადიანება და ჩილდირის ბეგლარბეგად (ფაშად) დანიშვნა ოფიციალურად გამოცხადდა 1579 წლის 25 ივნისს. ყვარყვარე 1581 წელს გარდაიცვალა და მუსტაფაფაშა (მანუჩარი) სამცხის ერთმმართველი გახდა. იგი ძალაუნებურად ოსმალებთან ერთად ქართლის წინააღმდეგ ბრძოლების მონაწილეც ხდებოდა.

ქართველი ხალხის ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ სიმონ მეფის მეთაურობით. ოსმალეთთან მარცხის შემდეგ ირა-ნის შაჰის კარი იძულებული გახდა შეეცვალა თავისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, გაეთვალისწინებინა ქართველი ხალხის დაუოკებელი სიძულვილი და შეურიგებლობა დამპყრობლებისადმი და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა საქართველოში გაშლილი გამათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველოში კვლავ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარ-გებლობდა გმირი მეფე სიმონი, რომელიც ირანში იყო ტყვედ წაყვანილი. ხუდაბანდე შაჰმა სიმონ მეფეს ქართლში დაბრუნების პირობად გამაჰმადიანება მოსთხოვა. ქართლის მეფემ შექმნილ ვითარებაში მოსაჩვენებლად აღიარა მაჰმადიანობა. მას თან გამოატანეს სხვა ქართველი ტყვეები, ირა-ნის დამხმარე ძალა და ქართლისაკენ გამოისტუმრეს.

1578 წლის ოქტომბერში სიმონი უკვე ქართლშია და სათავეში უდგება ქვეყნის ბრძოლას ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. სიმონ მეფეს ქართლის მოსახლეობა აღტაცებით შეხვდა. მანაც მაშინვე უარყო ისლამი და ქრისტიანობას დაუბრუნდა. შაჰის კარი იძულებული იყო ამას შერიგებოდა. მუსტაფა ლალაფაშას სარდლობით ოსმალთა ძირითადი ძალის საქართველოდან გასვლის შემდეგ სიმონ მეფემ დამპყრობელთაგან გაწმინდა გორი, ლორე და 1579 წლის 30 მარტს თბილისს ასაღებად შემოადგა. თბილისის ოსმალური გარნიზონის დასახმარებლად ლალაფაშამ არზრუმიდან რამდენჯერმე გამოგზავნა ლაშქარი სურსათითა და სხვა დამხმარე ძალით, მაგრამ ქართველები მათ უსაფრდებოდნენ და დიდ ზარალს აყე-ნებდნენ. თბილისის ოსმალური გარნიზონის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო, ქართლის დიდი ნაწილი სიმონს ემორჩილებოდა. ამრიგად, ოსმალებმა ფაქტობრივად დაკარგეს კონტროლი ქართლზე, რაც მათ კავკასიის სხვა ქვეყნებიდანაც ფეხის ამოკვეთას უქადდა. ოსმალთა ასეთი წარუმატებლობა იყო იმის მიზეზი, რომ სულთანმა მურად IIIმ სარდლობიდან გადააყენა მუსტაფა ლალაფაშა და მის მაგივრად დანიშნა სინანფაშა (1580 წ.), რომელსაც დიდი ვეზირის თანამდებობაც ებოძა.

სინანფაშამ თავრიზზე ლაშქრობის წინ მთელი ყურადღება ქართლის კვლავ დამორჩილების საქმეს მიაპყრო. პირველ რიგში აუცილებელი იყო თბილისის გარნიზონისადმი დახმარება. ოსმალთა ახალი სარდალი დიდი ჯარით დაიძრა თბილისისაკენ. გზად აიღო ლორე, დმანისი და ქართლში შემოაღწია. აქ მისი მეწინავე რაზმი სიმონ მეფემ გაანადგურა. სინანფაშამ ჯარის გადარჩენილი ნაწილით თბილისში შესვლა შეძლო. ოსმალო დამ-პყრობნი ერთგვარ დათმობაზე წავიდნენ: მათ გადააყენეს თბილისის ოსმალო ბეგლარბეგი აჰმედფაშა და მის მაგივრად გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილი (როგორც ფიქრობენ, იმერეთის მეფის გიორგის ვაჟი) იუსუფფაშა დანიშნეს. ასეთი მოჩვენებითი დათმობა სულთნის კარს უსათუოდ სჭირდებოდა, რათა გაეთიშა მის წინააღმდეგ აღმდგარი ქართველი ხალხის ერთიანობა, ასეთი პოლიტიკა ფეოდალურად დაქუცმაცებულ საქართველოს მიმართ უკვე ნაცადი ხერხი იყო და გარკვეული შედეგებიც გამოეღო — სამცხის ყოფილი მთავრები, როგორც დავინახეთ, უკვე

ოსმალთა სამსახურში იდგნენ, კახეთის მეფეც, ნებით თუ უნებურად, ოსმალებს უკრავდა თავს და ამ ბრძოლებიდან განზე იდგა. უფრო მეტიც, ალექსანდრე კახთა მეფესა და სიმონს შორის სხვადასხვა მიზეზით აშკარა მტრობას ჰქონდა ადგილი. ასეთ ვითარებაში ოსმალებმა ქართლს იმერეთიც დაუპირისპირეს. ქართველი პოლიტიკოსები ცდას მაინც არ აკლებდნენ, რომ ძალები გაეერთიანებინათ. მათ შეძლეს სიმონისა და ალექსანდრეს შერიგება. მალე ოსმალებს მანუჩარიც აუჯანყდა და სიმონ მეფის მხარეზე გადმოვიდა.

ოსმალთა ამ საერთო წარუმატებლობის ვითარებაში კახეთის მეფე კვლავ ირანის მხარეზე გადავიდა. შაჰმა ალექსანდრე მეფეს მძევლად გამოსთხოვა უმცროსი ვაჟი კონსტანტინე, ამავე დროს გადაახდევინა მთელი წინა წლების მიუცემელი ხარკი. ოსმალების წინააღმდეგ აღდგნენ შამხალიცა და დაღესტნის გამგებლებიც. ისინი შეუკავშირდნენ ქართლის მეფეს და განჯის გამგებელს იმამყული ხანს. ჯარი გამოგზავნა ირანის შაჰმაც. გაერთიანებული ლაშქარი თბილისისაკენ დაიძრა. თბილისის ოსმალური გარნიზონის მდგომარეობა მეტად კრიტიკული შეიქმნა. სულთნის მთავრობამ სასწრაფო ზომები მიიღო. ჯარის ერთი ნაწილი გაიგზავნა ყირიმით ჩრდილო კავკასიაში, ხოლო თბილისის დახმარება დაევალათ დიარბექარის ბეგლარბეგს ჰადიმ მეჰმედ ფაშას და სამცხის გამგებელს მუსტაფაფა-შა მანუჩარს. ხონთქარმა იმერეთის მეფემთავრებსაც მოთხოვა ქართლზე თავდასხმა.

1582 წლის აგვისტოს ბოლოს ოსმალთა 20000-იანი ჯარი საქართველოზე წამოვიდა. ისინი ბორჯომის ხეობით შიდა ქართლში შემოვიდნენ, აიღეს გორი და მუხრანის ველზე დაბანაკდნენ. აქ ოსმალთა ბანაკს თავს დაესხა სიმონ მეფე და სასტიკად დაამარცხა. ოსმალთაგან მხოლოდ მცირე ნაწილმა შეაღწია თბილისში. ქართველებმა დიდი რაოდენობით ჩაიგდეს ტყვეები და ნადავლი, მათ შორის თბილისისათვის გამოგზავნილი ხაზი-ნაც. შერცხვენილმა ჰადიმ ფაშამ თავისი მარცხი მანუჩარს გადააბრალა, სიმონთან მის ფარულ კავშირზე აიღო ეჭვი და გადაწყვიტა მუხანათურად მოეკლა.

ეს ამბავი დაწვრილებით აქვს აღწერილი ამ ამბების თანამედროვე ავტორს ტომაზო მინადოის. მეჰმედ ფაშას შეუმუშავებია მანუჩარის მოკვლის საიდუმლო გეგმა, კერძოდ, იგი უნდა მიეწვიათ სამხედრო თათბირზე და იქ გასწორებოდნენ. როგორც ჩანს, მანუჩარს გაუთვალისწინებია საქმის ასეთი შემობრუნებაც და თათბირზე 50 შეიარაღებული ქართველი მეომრის თანხლებით გამოცხადდა. უიარაღო და მხლებლებჩამოცილებული მანუჩარი სათათბიროდ კარავში მიიწვიეს. ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ, როდესაც მანუჩარი უკვე კარავიდან გამოდიოდა, ერთ-ერთი თურქი სარდალი უიარაღო მანუჩარს ხმალამოღებული გადა-უდგა, მაგრამ მანუჩარმა თვალის დახამხამებაში გამოსტაცა ხმალი და ისეთი ძალით დაჰკრა მას, რომ თავიდან მუცლამდე შუაზე გააპო. ამის შემდეგ ხმლით მეორე ფაშაც დაჭრა და მივარდა თვით მეჰმედ ფაშასაც, რომელსაც 5 ჭრილობა მიაყენა. ხმაურზე კარავში შემოცვივდნენ მანუჩარის თანმხლები ქართველი მეომრები და თავიანთი პატრონი სამშვიდობოს გაიყვანეს. ამ ამბის შემდეგ სამცხეში სახალხო აჯანყება დაიწყო. მანუჩარმა ოსმალთაგან გაწმინდა სამცხის მრავალი ციხე და სოფელი, ამასთანავე უარყო მაჰმადიანობა, მიიღო ქრისტიანობა და თავი სამცხის მთავრად გამოაცხადა. იგი სიმონ მეფეს დაუკავშირდა, ცოლად მისი ქალიშვილი ელენე შეირთო, ამით ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს

ეს ორი ძლიერი ხელისუფალიც გაერთიანდა. სიმონმა ლორე და სამშვილდე გაათავისუფლა და კვლავ თბილისს შეუტია. ამრიგად, ოსმალთა ბატონობას ამიერკავკასიაში დიდი საფრთხე შეექმნა.

1584 წელს სულთანმა ახალი მთავარსარდალი ფერჰადფაშა გამოგზავნა დიდი ჯარითა და არტილერიით. ოსმალთა ჯარი ნახიჭევანის მხრიდან შემოიჭრა ქვემო ქართლში და ცეცხლითა და მახვილით მიაღწია ლორემდე. ლორეს აღების შემდეგ ოსმალებმა ეს ციხექალაქი გაამაგრეს ზარბაზ-ნებითა და რამდენიმე ათასიანი გარნიზონით. აქედან დმანისისაკენ წავიდნენ. დმანისიდან ფერჰად ფაშამ 20000-იანი ჯარი თბილისზე გაგზავნა. ხატისოფელთან მტრის ჯარს სიმონი და მანუჩარი დაესხნენ თავს და დიდად დააზარალეს. როგორც მინადოი წერს, სიმონმა ამ ბრძოლის შედე-გად "დატოვა უეჭველი კვალი თავისი გმირული წინააღმდეგობისა მოკლული და დაჭრილი, სახტად დარჩენილი და განცვიფრებული მტრების სახით". ფერჰად ფაშა თავისი ძირითადი ჯარით სამცხეში გადავიდა, მაგრამ ზამთრის სიცივეებმა და მის ჯარში დაწყებულმა ამბოხებამ აიძულა იგი საქართველოს გასცლოდა. სიმონი დაუყოვნებლივ თავს დაეცა ლორეს და კვლავ წაართვა თურქებს. თურქებმა ახალი ჯარი გამოგზავნეს, კვლავ აიღეს ლორე, დამატებითი ძალით გაამაგრეს გორის ციხე და მოაოხრეს და აიკლეს ახლომახლო სოფლები. საქართველოში წინააღმდეგობის ცეცხლი მაინც გიზგიზებდა და ქვეყანა ოსმალებისადმი დამორჩილებას არ აპირებდა.

1587 წელს ოსმალებმა კიდევ ერთხელ სცადეს საქართველოს წინააღმდეგობის გატეხვა. მათ სამხედრო ძალასთან ერთად ნაცად ხერხს მიმართეს. კერძოდ, იწყეს სამცხელი თავადების თავის მხარეზე გადაბირება. მალე ოსმალთა სარდალთან გამოცხადდა მანუჩარის მოწინააღმდეგე თავადთა დაჯგუფების მეთაური კოკოლა ვარაზის ძე შალიკაშვილი და თავისი სამსახური შესთავაზა. თავადთა ასეთი ღალატისა და ოსმალთა დიდი ჯარის მოქმედების შედეგად მანუჩარს სამცხეში აღარ დაედგომებოდა.

შექმნილ ვითარებაში სიმონ მეფემ ოსმალებთან დაზავება ამჯობინა. მან მოლაპარაკება გამართა ფერჰად ფაშასთან და ზავის საბოლოოდ დასადებად ელჩობა გაგზავნა სტამბოლში სულთან მურად III-ის კარზე. დაზავების პირობით, სიმონი კისრულობდა ყოველწლიურ ხარკს, სამაგიეროდ ოსმალეთი ცნობდა მას ქართველთა მეფედ ქრისტიანობით, აღიარებდა მის მემკვიდრეობით უფლებას და არ ჩაერეოდა მის საშინაო საქმეებში. ეს, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავდა, რომ ოსმალეთი ამჯერად ხელს იღებდა ქვეყნის სრულ დაპყრობაზე და მხოლოდ ვასალური დამოკიდებულებით კმაყოფილდებოდა. ეს "ქართველობისათვის" მებრძოლთა დიდი გამარჯვება იყო.

ჩამოვარდნილი მშვიდობით ისარგებლა სიმონ Iმა და 1588-1590 წწ. დასავლეთ საქართველოს შემოერთებაც სცადა. მან სამჯერ ილაშქრა იმერეთზე, მაგრამ ადგილობრივ მთავართა და თავადთა წინააღმდეგობის გამო, ეს დიდი საქმე ვერ განხორციელდა.

კახეთის შესვლა რუსეთის მფარველობის ქვეშ. ოსმალთა მიერ სამხრეთკავკასიის დაპყრობამ მათ იმიერკავკასიაშიც გამოუჩინა მოკავშირე-ები. დაღესტნის მფლობელი შამხალი თურქეთთან

კავშირისა და სამსახურის გზას დაადგა და თავისი ახალი მფარველის მხარდაჭერითა და წაქეზებით კახეთის წინააღმდეგ შემოტევა იწყო.

80-იანი წლებიდან კახეთი მოექცა დაღესტნელი მთიელების მუდმივი თავდასხმების ქვეშ. ისინი ძირითადად ქურდულად მოდიოდნენ პატარ-პატარა რაზმებად და დასტებად. ღამით მოულოდნელად თავს ესხმოდნენ კახეთის მშვიდობიან სოფლებს და იტაცებდნენ ყველაფერს და ყველას, რის წაღებას და წაყვანასაც შესძლებდნენ. ამრიგად, მართალია ოსმალეთს კახეთი უშუალოდ არ დაუპყრია, მაგრამ მისი ზეგავლენა კახეთისათვის საბედისწერო შეიქმნა. ამავე დროს კახეთის მმართველი წრეები კარგად გრძნობდნენ, რომ ოსმალეთი როგორც კი ირანსა და ქართლში ომს მოათავებდა, კახეთისთვისაც მოიცლიდა და მის ვასალურ დამოკიდებულებას აღარ დასჯერდებოდა.

კავკასიაში ოსმალეთის გაბატონებამ შეაშფოთა რუსეთიც. ოსმალები ასტრახანს დაკავებით ემუქრებოდნენ და საამისოდ რამდენიმე ლაშქრობაც მოაწყვეს. ამასობაში ივანე IVმ ლივონიაში ომი დაამთავრა (1583 წ.), მაგრამ რაიმე რეალური ღონისძიების გატარება სამხრეთში თავისი პოზიციის განსამტკიცებლად ვერ მოასწრო, იგი 1584 წ. გარდაიცვალა. ტახტზე მისი ყოვლად უნიათო შვილი თევდორე (1584-1598 წწ.) ავიდა, თუმცა მმართველობა ფაქტობრივად ხელთ იგდო მისმა ჭკვიანმა და ენერგიულმა ცოლის ძმამ ბორის გოდუნოვმა, რომელმაც დიდი ყურადღება დაუთმო კავკასიის ამბებს.

1585 წ. ასტრახანიდან კახეთში გამოგზავნილ იქნა ადგილობრივ მეთოფეთა ასისთავი რუსინ დანილოვი, რომელმაც კახეთის მეფეს რუსეთის მეფის თევდორეს წერილი გადასცა. რუსეთის ახალი მეფე კახეთს შეწყვეტილი პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენას და მფარველობაში მიღებას სთავაზობდა. ალექსანდრე II წინდახედულად შეხვდა ამ წინადადებას. ირანი დამარცხებული და კავკასიიდან გაძევებული იყო, მას კახეთზე პრეტენზიის თავი აღარა ჰქონდა, პირიქით, იგი რუსეთთან კავშირს თვითონ ეშურებოდა, რათა ეს მძლავრი ქვეყანა თურქეთის წინააღმდეგ გამო-ეყენებინა. ამრიგად, კახეთის დაკავშირება რუსეთთან ირანის მხრივ პროტესტს ვერ გამოიწვევდა. ყველაზე მოხერხებული გზა, რომლითაც შეიძლებოდა კახეთი ასტრახანს დაკავშირებოდა, დაღესტან-საშამხლოზე გადი-ოდა. რუსეთის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური კავშირის პრაქტიკული განხორციელებისათვის აუცილებელი იყო ამ გზის გახსნა, ე. ი. რუსეთის მიერ საშამხლოს დაკავება და ამ გზაზე ციხეების ჩადგმა. ეს კი იქ-ნებოდა გარანტია იმისა, რომ შეწყდებოდა დაღესტნელი მთიელების ქურდული თავდასხმები, გაირღვეოდა ბარბაროსული ავბედითი რკალი.

უკან გამობრუნებულ რუსინ დანილოვს კახეთის მეფემ თავისი ელჩები გააყოლა. მოსკოვში ჩასულმა ქართველმა ელჩებმა რუსეთის მეფეს ალექსანდრე კახთა მეფის სიგელები და მოსაკითხი გადასცეს. ამ სიგელებით კახეთის მეფე მოსკოვის სამეფო კარს მფარველობას თხოვდა და კონ-კრეტულად აყენებდა საკითხს, რათა რუსეთს თერგზე ციხე აეგო, შიგ დიდი ჯარი ჩაეყენებინა და დაეჭირა გზა თერგიდან კახეთამდე, რომელიც საშამხლოზე გადიოდა. ამით შამხალის კახეთზე თავდასხმებს ბოლო მოეღებოდა. საჭიროების შემთხვევაში რუსეთი ქმედითად შეძლებდა კახეთისათვის დახმარების გაწევას. მეორე მხრივ, ეს რუსეთისთვისაც მეტად სასარგებლო იქნებოდა, რადგან ასეთი ღონისძიებანი შესამჩნევად გააძლი-ერებდა

რუსეთის პოზიციებს კავკასიაში და უზრუნველყოფდა ვოლგის დიდი სავაჭრო გზის უშიშროებას.

ქართველ ელჩებს რუსეთის მეფემ თავისი ელჩები როდიონ ბირკინი და პეტრე პივოვი გამოატანა. ამათ ევალებოდათ რუსეთ-კახეთის პოლიტი-კური დაკავშირება ოფიციალურად გაეფორმებინათ. 1587 წლის 28 აგვისტოს მეფე თევდორეს ელჩები უკვე კახეთის მეფის კარზე იყვნენ და და-იწყეს მოლაპარაკება ამ ორ სახელმწიფოს შორის მფარველობახელდებულობის აქტის პირობების შესამუშავებლად. მოსკოვიდან მათ ჩამოიტანეს "ფიცის წიგნის" ტექსტი, რომელიც კახეთის მეფეს უნდა მიეღო.

ერთი თვის მოლაპარაკების შემდეგ, 1587 წლის 28 სექტემბერს ალექ-სანდრე მეფემ თავისი შვილებითა და დარბაისლებით მოსკოვის მეფის ხელდებულობის ფიცი მიიღო. თავის მხრივ, რუსეთის მეფე თევდორემ 1589 წელს გამოუგზავნა "წყალობის სიგელი" და ამით ორივე მხარის მი-ერ დამტკიცებულ იქნა ხელშეკრულების პირობები: რუსეთის მეფე კახეთის სამეფოს თავის მფარველობაში იღებდა და კისრულობდა კახეთის დაცვას საგარეო მტრებისაგან; კახეთის მეფეს, თავის მხრივ, რუსეთის მტრები თავის მტრებად უნდა ჩაეთვალა, ხოლო მოყვარემოკავშირენი თავის მოყვრებად; მოსკოვის მეფეს ციხე უნდა აეგო თერგზე და თერგ-კახეთის გზა დაეჭირა; ამ ციხის გარნიზონის შენახვას თვითონ რუსეთი კისრულობდა, ამის სამაგიეროდ კახეთის მეფეს ყოველწლიურად ძღვენმი-სართმევლები უნდა გაეგზავნა მოსკოვში.

ამრიგად, 1587-1589 წლების აქტი არის პირველი ოფიციალური ხელ-შეკრულება, რომელიც გაფორმდა რუსეთსა და საქართველოს შორის. ამ ხელშეკრულების პირობით, რუსეთმა ააგო მდინარე თერგზე ციხესიმაგრე (1588 წ.) შიგ თავისი მეციხოვნე ჯარი ჩააყენა. ამავე დროს დაიწყო სამზადისი შამხალის წინააღმდეგ სალაშქროდ. უფრო გვიან, 1593-1594 წწ. ეს ლაშქრობა მოეწყო კიდეც. მაგრამ ამან ისეთი შედეგი ვერ მოიტანა, რაც ორივე მხარეს სურდა: რუსეთმა ფეხი ვერ მოიკიდა დაღესტნის ტერიტორიაზე და კახეთის დაკავშირებამ რუსეთთან ოსმალეთი მეტისმეტად გააღიზიანა, და თუ არა ალექსანდრე მეფის მოხერხებული მოქმედება (ხარ-კის წესიერი გადახდა, უფროსი ვაჟიშვილის სტამბოლის კარზე გაგზავნა და სხვ.), სულთნის რისხვას ვერ გადაურჩებოდა. კახეთის სამეფო მტკიცედ იდგა რუსეთთან კავშირის გამნტკიცების პოზიციაზე. ამის შემდეგ მთელი ოცი წლის განმავლობაში კახეთიდან სისტემატურად იგზავნებოდა ელჩები რუსეთში, ისევე როგორც რუსეთიდან კახეთში, ვიდრე ეს ურთი-ერთობა ერთი დაკვრით არ ჩაშალა ირანის ახალმა მბრძანებელმა შაჰ აბას პირველმა (1587-1629 წწ.).

თავი XXV. საქართველო XVI საუკუნის ბოლოს

ქართლის ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ XVI ს. 90-იან წლებში. 1587 წ. ირანის ტახტზე ავიდა სეფიანთა დინასტიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო წარმომადგენელი, უაღრესად ნი-ჭიერი და ენერგიული, მაგრამ უსასტიკესი და ვერაგი პიროვნება შაჰ აბას პირველი. იგი დაუყოვნებლივ შეუდგა ირანის მძიმე მდგომარეობის გამო-სასწორებლად ღონისძიებების გატარებას. 1590 წლის 21 მარტს მან მიაღწია ზავს ოსმალეთთან, რომლის პირობითაც, მართალია, დათმო დიდი ტერიტორია, მათ შორის მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასია, მაგრამ მშვიდობა მოიპოვა, რაც აუცილებელი იყო ახალი ომისათვის

მოსამზადებლად. ირა-ნის ახალი შაჰი ოსმალეთის წინააღმდეგ ომის განახლებას არა მარტო სა-შინაო ღონისძიებების გატარებით ამზადებდა, არამედ ცდილობდა შეექმნა ფართო კოალიცია, რომელშიც ევროპის ქვეყნებთან ერთად რუსეთის ჩაბმაც ჰქონდა გამიზნული. ამიტომ იყო, რომ შაჰ აბასი თავდაპირველად კახეთის რუსეთთან დაკავშირებას დიპლომატიური დუმილით შეხვდა, უფრო მეტიც, მან სწორედ ქართველი ქრისტიანი მეფეების — სიმონისა და ალექსანდრეს — მეშვეობით სცადა ევროპის უძლიერეს ქრისტიან ქვეყნებთან საერთო ენის გამონახვა. ევროპის სახელმწიფოებიც, შეშფოთებულნი იმ ამბით, რომ 1590 წლის ზავის შემდეგ ოსმალეთი მთელი თავისი ძალით ევროპას მიუბრუნდებოდა, სასწრაფოდ აგზავნიან თავიანთ აგენტებს ირანსა და საქართველოში და მოუწოდებენ ოსმალეთის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის განახლებას.

მეფე სიმონი დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა ამ მოწოდებას. შემორჩენილია წერილები, რომლებიც მას გაუგზავნია რომის პაპის, გერმანი-ის იმპერატორისა და ესპანეთის მეფისათვის, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ ოსმალთა წინააღმდეგ გაერთიანდნენ ქართლისა და კახეთის მეფეები და სპარსეთის შაჰი და მზად არიან დაიწყონ გადამწყვეტი ბრძოლა საერთო საქმისათვის. რა თქმა უნდა, ამას სიმონ მეფე შაჰ აბასის თანხმობით და რჩევით წერდა, მაგრამ ამ ბრძოლის განახლება და მისი საბოლოო გამარჯვებით დამთავრება ყველაზე მეტად მის მიზანში შედიოდა. ამიტომ იყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ევროპასთან შეთანხმება ვერ მოხერხდა და ირანიც ომს ჯერ არ იწყებდა, ქართლის მეფემ 1598 წელს განაახლა ომი ოსმალეთთან და გორის ციხეს ასაღებად შემოადგა.

გორის ციხე ოსმალებს საგულდაგულოდ ჰქონდათ გამაგრებული, ამიტომ მისი აღება გაძნელდა. 9 თვის ალყის შემდეგ 1599 წლის გაზაფხულზე, დიდმარხვის დადგომისას სიმონ მეფემ გორს ალყა მოხსნა; ოსმალებმა იცოდნენ, რომ ქართველები დიდმარხვისას ომს ერიდებოდნენ და სიფრთხილეს უკლეს. მეფემ კი ციხის აღების გეგმა მტრის ამ ვარაუდზე ააგო. მისი ბრძანებით სულხან თურმანიძემ და ფარსადან ციციშვილმა სა-იდუმლოდ დაამზადეს დიდი კიბეები. ქართველთა ჯარი დანიშნულ დროს ლიახვისა და მტკვრის შესართავთან შეიკრიბა. მოიერიშე ჯარის მეთაურად დაინიშნენ მეფის ძმა ვახტანგი და მეწინავე სადროშოს სარდალი გოჩა. უკუნ ღამით ქართველები ჩუმად მიუახლოვდნენ ციხეს, კიბეები აღმართეს და ციხის კედლებზე იწყეს გადასვლა. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელიც გათენებამდე გაგრძელდა. მტერი საბოლოოდ დამარცხდა და ქართველებმა გორი აიღეს. ამის შემდეგ სიმონი თბილისის განსათავისუფლებლად იწყებს მზადებას.

ქართლთან ერთად აჯანყდა სამცხეც მანუჩარ ათაბაგის მეთაურობით. აჯანყებულთა წარმატებით შეშინებულმა სულთანმა დიდძალი ჯარი გამოგზავნა საქართველოში. ალგეთზე მოსული მტერი ნახიდურთან დაბანაკდა და თბილისისაკენ წამოსასვლელად ემზადებოდა. სიმონმა ლაშქრის თავმოყრა ვერ მოასწრო და გადაწყვიტა მის ხელთ მყოფი მცირე ძალებით შებმოდა მტერს. მემატიანე გადმოგვცემს, რომ ბრძოლის წინ ქართველები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ, ზიარება მიიღეს და სასიკვდილოდ განწირულებმა თავდადებით შეუტიეს მტერს. უთანასწორო ბრძოლა 5 სა-ათს გაგრძელდა. ქართველებმა უკანდახევა იწყეს. ფარცხისის ახლოს, ვიწრო გზაზე, შემთხვევით მეფის ცხენი ტალახის ღრმა საფლობში ჩაეფლო და მისი ამოყვანა გაძნელდა. ამასობაში ოსმალებიც წამოეწივნენ. მეფე ბოლომდე მხნედ იბრძოდა და

მტერს არ ნებდებოდა. ოსმალების მხარეზე გადასულმა მოღალატეებმა მეფე იცნეს და სარდალს მოახსენეს. ოსმალთა სარდალმა ჯაფარფაშამ მისი ცოცხლად შეპყრობა ბრძანა. დატყვევებული სიმონი სტამბოლს გაგზავნეს.

სომეხი ისტორიკოსის არაქელ თავრიზელის ცნობით, სულთანმა, როდესაც სიმონ მეფის დატყვევების ამბავი შეიტყო, ბრძანა მთელი თავისი იმპერიის ქალაქებში ქუჩები მოერთოთ და სამი დღის განმავლობაში ეუქმათ და ეზეიმათ. მეფე სიმონი სტამბოლში ჩაიყვანეს 1600 წლის 21 ივ-ნისს. გიორგი ბატონიშვილი ბევრს ეცადა, რომ მამა, მეფე სიმონი ტყვეობიდან დაეხსნა. სამეფო ხაზინიდან, ასევე ოჯახებიდან და ეკლესიამონასტრებიდან გამოტანილი სიმდიდრე დაუშურებლად გაიგზავნა სტამბოლში, თან მძევლად სიმონის შვილიშვილებიც გააყოლეს, რომ როგორმე დაეთანხმებინათ სულთნის კარი გმირი მეფის გათავისუფლებაზე. მაგრამ უშედე-გოდ. იედიყულის ციხეში ხანგრძლივი ტყვეობის შემდეგ სიმონი გარდა-იცვალა. მეფის გამოსახსნელად ჩატანილი ძვირფასეულობის სამაგიეროდ ქართველებმა მხოლოდ მეფის ნეშტი მიიღეს. სიმონი საქართველოში ჩამო-ასვენეს და მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში, მისი სახელოვანი მამის, ლუარსაბის გვერდით დაკრძალეს.

ქართლის ამ მრავალწლიან შეურიგებელ ბრძოლას ყიზილბაში და ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი საქართველოსთვის. ამ ბრძოლების შედეგად ქვეყნის დიდი ნაწილი გადაშენებას გადაურჩა. აქ ძირითადად შენარჩუნებულ იქნა ქართული სახელმწიფოებრიობა და სოციალ-ეკონომიკური წყობა, მაგრამ უძლიერეს აგრესორთა დაჟინებულმა შემოტევამ მაინც თავისი გაიტანა და საქართველოს სამხრეთდასავლეთში ოსმალებმა ფეხი შედარებით მტკიცედ მოიკიდეს.

სამცხე-საათაბაგოს ინკორპორაცია თურქ-ოსმალთა მიერ. 1590 წლის ზავის შემდეგ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამცხე-საათაბაგოში. ამ ზავის პირობით ეს ქართული ქვეყანა მთლიანად ოსმალეთს დარჩა, მანუჩარი და მისი მომხრეები იძულებული გახდნენ სამცხე დაეტოვებინათ. სულთნის ხელისუფლება ენერგიულად შეუდგა აქ ოსმალური მიწისმფლობელობისა და მართვა-გამგეობის თავიანთი წესების შემოღებას. სამცხე-საათაბაგო 8 სანჯაყად ანუ ლივად (ოსმალურ ადმინისტრაციულ ერთეულებად) დაყვეს. ესენი იყო: ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, პეტრას, ფანაკის და დიდი არტაანის ლივები. 1595 წ. ოსმალო მოხელეებმა შეადგინეს საქართველოს ამ ნაწილის აღწერის დავთარი, რომელსაც “გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი” ეწოდება . ამ დავთრის მიხედვით, სულ სამცხეში აღწერილი იყო 1160 სოფელი, რომლებსაც ოსმალური გადასახადები შეაწერეს. ქვეყანაში თანდათანობით ქართული მიწისმფლობელობა იცვლებოდა ოსმალური მიწისმფლობელობით. ქართული სამამულომემკვიდრეობითი მიწისმფლობელობა, რომელიც სოფლის მეურნეობის ტრადიციულ ინტენსიურ ხასიათს კარგად შეეფარდებოდა, უფრო პროგრესული იყო, ვიდრე ოსმალური სამხედროლენური მიწისმფლობელობა. ამდენად, აქ ოსმალური მიწისმფლობელობის ფორმების იძულებით დანერგვა მოასწავებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ დაკნინებას, რეგრესს, რაც ასე თვალნათლივ დასტურდება ამ კუთხის შემდგომი საერთო განვითარების მდგომარეობით. ქართველი ფეოდალის წინაშე დგებოდა ალტერნატივა — ან უნდა მიეღო მაჰმადიანობა და შესულიყო ოსმალეთის სამსახურში და ასეთი

გზით შეე-ნარჩუნებინა თავისი სამფლობელო, ვინაიდან ოსმალური წესით მიწის მფლობელი (ისიც დროებითი) შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მხედარი და ისიც მაჰმადიანი, — ან უნდა დაეკარგა თავისი მამა-პაპეული მიწა-ადგილი და ქვეყანას გასცლოდა. მის სამფლობელოს ოსმალო მხედარს გადასცემდნენ. ოსმალეთის მთავრობა ისედაც ართმევდა მამულებს იმ ქართველ ფეოდალებს, რომლებიც ოსმალთა წინააღმდეგ ენერგიულ ბრძოლებში იყვნენ შენიშნულნი. ამავე დროს, ოსმალები სასტიკად დევნიდნენ და ავიწროებდნენ ქართულ ეკლესიას, ართმევდნენ მას სამფლობელო მამულებს და ვაკუფად (მუსლიმი სასულიერო პირების სამფლობელოდ) აქცევდნენ. ეკლესიების დიდი ნაწილი მეჩეთებად გადააკეთეს. ქრისტიანობაში დარჩენილ მოსახლეობას დამატებით გამოსაღები უნდა ეხადა და ა. შ. ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი კიდევ დიდხანს ინარჩუნებდა ქრისტიანობას, "ქართველობას" და მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ოსმალო ხელისუფალთ. სულთნის მთავრობა ქართული მოსახლეობის წინააღმდეგობის დასათრგუნავად და გათურქების პროცესის დასაჩქარებლად, ისევე როგორც სხვაგან (მაგალითად, ბალკანეთში) ასახლებდა აქ თურქ მომთაბარეებს და სხვა ტომებს (მაგ. ქურთებს).

ადგილობრივ ქართველ მიწისმოქმედ მოსახლეობას მძიმე გადასახადები დააკისრეს. ამას ემატებოდა რელიგიური და ეროვნული ჩაგვრა და განუკითხაობა. გლეხები ამ მძიმე პირობებს და გადასახადებს ვერ აუდი-ოდნენ და მასობრივად გარბოდნენ თავიანთი მამა-პაპური მიწა-ადგილიდან.

თურქეთის მთავრობა იძულებული იყო გარკვეულ დათმობებზე მა-ინც წასულიყო და ქართველ თავად-აზნაურთა ერთი ნაწილისათვის შეე-ნარჩუნებინა როგორც ქრისტიანობა, ისე მიწის საკუთრებაც. ზოგიერთ გამაჰმადიანებულ ქართველ ფეოდალს ქართული წესით უტოვებდნენ სამფლობელოს. ესენი ძირითადად ისინი იყვნენ, ვინც გარკვეული სამსახური გაუწია ოსმალებს ქვეყნის დაპყრობის საქმეში. მაგრამ მათი ასეთი შეღავათიანი მდგომარეობაც დროებითი იყო. საბოლოო შედეგად მთელ ამ ქვეყანას გათურქება-გაოსმალება მოელოდა.

ამრიგად, XVI საუკუნის მიწურულისათვის ფეოდალური საქართველოს ყველაზე დიდი მარცხი იყო მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილის სამცხე-საათაბაგოს დაკარგვა და აქ ოსმალთა ბატონობის ("ოსმალობის") დამყარება. "საქართველოს მოწყდა და მისი ეროვნული კულტურის შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს შეადგენდა. გადაგვარების გზას დაადგა ფეოდალური საქართველოს ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურული შემოქმედების უნარით დაჯილდოებული ნაწილი, — სამშობლო ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებისა, ბექა ოპიზარისა და შოთა რუსთაველისა" (ნ. ბერძენიშვილი).

თავი XXVI. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XVII ს. პირველ მესამედში

ირან-ოსმალეთის ახალი ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები. XVII ს. დასაწყისისათვის საქართველოში ოსმალეთი ბატონობდა. მიუხედავად ამისა, ოსმალეთის დამოკიდებულება საქართველოს სამეფო-სამთავროებისადმი არ იყო ერთგვარი.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები, რომლებიც ჯერ კიდევ 1555 წ. ზავით ოსმალეთის გავლენის სფეროდ იყო გამოცხადებული, მის უზენაესობას აღიარებდნენ, მაგრამ საშინაო პოლიტიკაში დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ.

ქართლის მთავარ ციხეებში – თბილისში, გორში, დმანისში, ლორეში – ოსმალთა გარნიზონები იდგა, მაგრამ ქართლი ქედს არ იდრეკდა და ბრძოლას განაგრძობდა. სიმონ I-ის დატყვევების შემდეგ ქართლის ბრძოლას მისი მემკვიდრე მეფე გიორგი X (1600-1605) ხელმძღვანელობდა.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სამცხე-საათაბაგო. ოსმალები ცეცხლითა და მახვილით ნერგავდნენ ქართველთათვის უცხო წესწყობილებას და ძალით ამაჰმადიანებდნენ მოსახლეობას. სამცხის გმირი პატრიოტები თავგანწირვით იბრძოდნენ მოძალადეთა წინააღმდეგ, მაგრამ ბრძოლა მეტისმეტად უთანასწორო იყო. დახმარებას მოკლებული სამცხის ქართველობა თანდათან თმობდა პოზიციებს.

კახეთის სამეფო XVI ს. ბოლოსათვის ფაქტობრივად სამი დიდი სახელმწიფოს (ირანი, ოსმალეთი, რუსეთი) ვასალი გახდა. ამ გარემოებამ კახეთს ერთხანს მშვიდობიანობა შეუნარჩუნა, მაგრამ მალე ეს სამეფო სახლისა და ქვეყნის ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი შეიქმნა.

კახეთის საგარეო პოლიტიკის გართულებულმა და მერყევმა მდგომარეობამ სათანადო გავლენა მოახდინა ქვეყნის შინაპოლიტიკურ ვითარებაზეც. გაძლიერდა ბრძოლა ფეოდალებს შორის, რომლებიც დავით და გი-ორგი ბატონიშვილების ირგვლივ დაჯგუფდნენ. ამ ბრძოლას შედეგად მოჰყვა ალექსანდრე მეფის გადაყენება და გიორგი ბატონიშვილის დაპატიმრება. კახეთის მეფედ დავითი გამოცხადდა (1601 წ.).

1602 წ. პირველ ივლისს კახეთში დაბრუნდნენ ალექსანდრეს მიერ 1598 წ. რუსეთში გაგზავნილი ელჩები, თავადი სოლომონი და მდივანი ლევანი (ალექსანდრემ რუსეთის მეფეს კვლავ სთხოვა ლაშქარი გაეგზავნა საშამხლოს დასაპყრობად, რასაც თერგ-კახეთის გზის გახსნა უნდა მოჰყოლოდა). ქართველ მოციქულებს რუსეთის ახალი მეფის ბორის გოდუნოვის (1598-1605 წწ.) ელჩები: ნაშჩოკინი და ლეონტიევი ჩამოყვნენ. ელჩებმა ჩამოიტანეს ბორის მეფის დაპირება, რომ გაილაშქრებდნენ საშამხლოზე და სამეფო კარს ახალი მეფის, ბორისის, ერთგულებაზე დაფიცება მოსთხოვეს.

რუსეთის ელჩები დავით მეფემ მიიღო. აუდიენციას მონაზონი ალექ-სანდრეც ესწრებოდა. დიდი მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, განეახლები-ნათ რუსეთის მეფის ერთგულების ხელშეკრულება. მალე დავით მეფემ, მისმა მემკვიდრე თეიმურაზმა და მეფის მამამ ალექსანდრემ ბორის მეფის ერთგულების ფიცი მიიღეს.

1602 წ. 21 ოქტომბერს მოულოდნელად გარდაიცვალა დავით მეფე. ტახტზე კვლავ ალექსანდრე ავიდა. გიორგი ბატონიშვილი კი ციხიდან გა-ათავისუფლეს.

რუსი ელჩები ალექსანდრემ 1603 წ. ივნისში გაისტუმრა. თან თავისი ელჩები გააყოლა: არქიმანდრიტი კირილე და მდივანი საბა. წარგზავნილები 1604 წ. 18 თებერვალს მივიდნენ მოსკოვში. ალექსანდრე კვლავ შამხალზე ლაშქრობას სთხოვდა რუსეთის მეფეს. ამჯერად

კავკასიაში შექმნილი მდგომარეობის გავლენით რუსეთის მთავრობა დადებითად მოეკიდა ალექსანდრეს თხოვნას და მონდომებით შეუდგა საშამხლოზე ლაშქრობის სამზადისს.

ქართველი ელჩები, რომელთაც ბორის მეფემ თავისი ელჩებიც (ტატიშჩევი და ივანოვი) გამოაყოლა, დიდი საჩუქრებით იმავე 1604 წ. მაისს გამოემგზავრნენ საქართველოსკენ. ელჩებს ალექსანდრესათვის საშამხლოზე ლაშქრობის სამზადისი უნდა ეცნობებინათ და, როცა ეს ლაშქრობა დაიწყებოდა, ალექსანდრესაც კახეთიდან უნდა შეეტია საშამხლოსათვის.

ამასობაში ამიერკავკასიაში ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. 1603 წ. შაჰ-აბასმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ამ ომისათვის მზადებას იგი ჯერ კიდევ 1590 წ. ზავის დადებისთანავე შეუდგა.

შაჰ-აბასმა დიდი ყურადღება მიაქცია ქვეყნის ეკონომიკის გამოცოცხლებას. გაიყვანა გზები, არხები, ააშენა ხიდები, ქარვასლები, სასახლეები. ეს აღმშენებლობითი მუშაობა მიმდინარეობდა სახელმწიფოს განაპირა პროვინციების და განსაკუთრებით ამიერკავკასიის ქვეყნების: სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს გაჩანაგების ხარჯზე.

ირანის სახელმწიფოს ცენტრალიზაციისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შაჰ-აბასის მიერ ჩატარებულ სამხედრო რეფორმებს. მან შექმნა თოფებითა და ზარბაზნებით შეიარაღებული, კარგად გაწვრთნილი მუდმივი ჯარი, რომლის შემადგენლობაში იყო ღულამთა ათიათასიანი ცხენო-სანი კორპუსი. ეს კორპუსი შაჰის გვარდია იყო. იგი ირანში აღზრდილი და ძალით გამაჰმადიანებული ქართველი და სომეხი ახალგაზრდებისაგან იყო დაკომპლექტებული. ღულამთა რიგებიდან გამოვიდა ირანის მრავალი გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, მათ შორის ირანის მთავარსარდლები ქართველი ალავერდიხანი (უნდილაძე) და სომეხი ყარჩიღა მუჰამედხანი.

აღნიშნულ ღონისძიებათა ჩატარების შედეგად ირანი ცენტრალიზებულ და ძლიერ სამხედრო სახელმწიფოდ იქცა. "ირანის ლომმა" შაჰ-აბასმა კი დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ირანის მოსახლეობის ფართო წრეებ-ში.

შაჰ-აბასმა შექმნა აგრეთვე ჯალათთა რაზმები, რომელთა მთავარი მოვალეობა შაჰის მოწინააღმდეგეთა განადგურება იყო. ერთ ასეთ რაზმს "თაჯიბიუკ", ხოლო მეორეს "ჩი-იან" ეწოდებოდა.

შაჰ-აბასის მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი მომენტია ამიერკავკასიის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლა. იგი განსაკუთრებული ენერგიით იბრძოდა ამიერკავკასიის ქრისტიანული მოსახლეობის წინააღმდეგ. მისმა ბრძოლებმა უდიდესი განადგურება და გაჩანაგება მოუტანა სომხეთისა და საქართველოს მოსახლეობას. მან მიზნად დაისახა ქართლ-კახეთის სამეფოების აღ-გვა პირისაგან მიწისა და მოსახლეობის სრული ამოწყვეტა. ასეთი საშინელი მიზნის დასახვა რამდენადმე მისი პიროვნების ადამიანური მანკიერებითაც აიხსნება. როგორც აკად, ივ. ჯავახიშვილი წერდა, "დიდი სახელმწიფო მოღვაწის უტყუარ ნიჭთან ერთად მას თანდაყოლილი ჰქონდა პირადი ხასიათის ისეთი თვისებები, რომლებიც მას ხშირად ადამიანურ სახეს უკარგავდნენ და კაცურ ქცევას ავიწყებდნენ. შაჰ-აბასი მცირე რამის გამოც ისეთს თავშეუკავებელ მრისხანებას იჩენდა ხოლმე, ისე ხშირად სრულიად უაზრო სისხლისღვრა, შემაძრწუნებელი

ვერაგობა და შემზარავი შურისძიება იცოდა თავის მახლობელთა წრეშიც, რომ უნებლიეთ მისი გონებრივი ნორმალურობის შესახებ ეჭვი იბადება... მისი მთელი პოლიტი-კა ვერაგობითა და სისხლის გაუმაძღრობით იყო აღსავსე. ჭორებისა და ჯაშუშობის ქსელის მოტრფიალე, ის თავის გარშემო ისეთ ჯოჯოხეთურ მუხანათობისა, ინტრიგებისა და ეჭვიანობის ბუდესა ქმნიდა, რომ მას ხშირად თვითონაც საშუალება აღარა ჰქონდა სიმართლე შეეტყო და გაბმული მახისგან თავი დაეღწია”.

სწორედ ასეთი უაღრესად ეჭვიანობისა და ვერაგობის შედეგად შაჰ-აბასმა მრავლად დაღუპა როგორც მისი უახლოესი თანამშრომლები, ისე საკუთარი ოჯახის წევრებიც კი.

როგორც იმდროინდელი ირანელი ისტორიკოსები მოგვითხრობენ, შაჰ-აბასმა გამეფებისთანავე სიკვდილით დასაჯა თავისი უახლოესი თანამ-შრომლები და მათ შორის სარდალი მურშიდყული ხანი, რომლის წყალობითაც ის შაჰის ტახტზე ავიდა. შემდეგ სიკვდილით დასაჯა თავისი ვაჟი სეფიმირზა, რომელსაც მამის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა დააბრალა.

შაჰ-აბასს ამით არ დაუმთავრებია “ანგარიშსწორება” თავის შვილებთან. შემდეგ, კვლავ ეჭვიანობის ნიადაგზე, შაჰმა თვალები დასთხარა თავის ორ ვაჟს. ერთ-ერთმა მათგანმა, ხუდაბანდამ, მამას სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ საკუთარი ხელით დაახრჩო თავისი პატარა გოგონა ფატიმა, რომელიც შაჰს ძალიან ჰყვარებია. ამის შემდეგ ხუდაბანდამ საწამლავი დალია და თავი მოიკლა.

ასეთი იყო შაჰ-აბასი შინაურ წრესა და ოჯახურ გარემოში.

შაჰ-აბასის მრავალრიცხოვან ცოლებში ოთხი ქართველი ქალი იყო: ანდუყაფარ ამილახორის და თამარი, სიმონ მეფის და ფახრიმჯანბეგუმ, თეიმურაზ მეფის და ელენე და ლუარსაბ მეფის და ლელა. გადმოგვცემენ, რომ შაჰ-აბასს კარგად სცოდნია ქართული ენა. ოსმალეთისა თუ ევროპის ქვეყნების ელჩების მიღების დროს თავის კარისკაცებს თურმე ხშირად ქართულად ელაპარაკებოდა.

სამხედრო მზადების პარალელურად შაჰ-აბასმა პოლიტიკური და დიპლომატიური მოსამზადებელი სამუშაოც ჩაატარა. თავისი ელჩების პირით შაჰი რუსეთისა და ევროპის ხელმწიფეებს კავშირს სთავაზობდა და ოსმალეთის წინააღმდეგ მოუწოდებდა.

1603 წელს დიდი მზადების შემდეგ შაჰ-აბასმა ომი დაიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ. ეს ომი მცირე ინტერვალებით 1639 წლამდე გაგრძელდა. შაჰ-აბასის მიზანი ამ ომში 1590 წ. ზავით დაკარგული პოზიციების დაბრუნება და აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ოსმალების განდევნა იყო. XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე კი შაჰ-აბასს კავკასიაში, კერძოდ საქართველო-ში, ახალი მეტოქე გამოუჩნდა ძლიერი რუსეთის სახით, რომელსაც უკვე დაედო მფარველობის ხელი კახეთისათვის. შაჰ-აბასს რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიაში არანაკლებ სახიფათოდ ეჩვენებოდა, ვიდრე ოსმალეთისა, მით უმეტეს, რომ ქართველი მოღვაწეები დიდ იმედებს ამყარებდნენ დახმარებაზე როგორც ოსმალეთის, ისე ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. ირანის ინტერესები მოითხოვდა ოსმალეთთან ერთად რუსეთის უკუგდებასაც. ამდენად, “გურჯისტანის

საკითხის” მოგვარება (აღმოსავლეთ საქართველოს საბოლოო დაპყრობა) ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო შაჰ-აბასისათვის ახლად დაწყებულ ომში.

ირანისა და ოსმალეთის ჯარებს შორის პირველი დიდი შეტაკება მოხდა 1603 წ. ზაფხულში სალმასის ოლქში სოფელ სუფიანთან. ოსმალები დამარცხდნენ. შაჰ-აბასმა სწრაფად დაიკავა თავრიზი, გადმოლახა მდ. არაქსი, აიღო ჯულფა, ნახიჩევანი და ალყა შემოარტყა ერევნის ციხეს. ერევნის ციხესიმაგრეში თავმოყრილი იყო ოსმალთა ძირითადი ძალები, რომელთაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს შაჰ-აბასის ჯარებს. რვა თვის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ ერევნის ციხე აღებულ იქნა ირანის ჯარების მიერ (1604 წ. 8 ივნისს). შაჰ-აბასმა ერევნის ბეგლარბეგად დანიშნა სარდალი ამირგუნეხანი ყაჯარი. ოსმალეთის არმიასთან მოსალოდნელი შეხვედრა რომ თავიდან აეცილებინა, უდაბურ ადგილად აქცია მთელი დასავლეთ სომხეთი. შაჰ-აბასის ჯარებმა აყარეს და ირანში გადაასახლეს სამა-სორმოცდაათი ათასი სომეხი, რომლის ნაწილი გზაში დაიღუპა (ნაწილი კი, უფრო გვიან, უკან დააბრუნა ამირგუნეხანმა), ათეულათასობით მუსლიმანი და ქრისტიანი იქნა გადასახლებული აზერბაიჯანიდანაც.

შაჰ-აბასს ამიერკავკასიის ფრონტზე დიდი წარმატება ხვდა. მის წარმატებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამიერკავკასიის ხალხები, მათ შორის ქართლისა და სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა, უკვე იბრძოდ-ნენ ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ. აბას I-ის ბრძანებით, ალექსანდრე IIმ და გიორგი Xმ თავიანთი ჯარებით მონაწილეობა მიიღეს ერევნის ციხის აღებაში. შაჰ-აბასმა ომში მონაწილეობისათვის გიორგი მეფეს 300, ხოლო ალექსანდრე მეფეს 700 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა. ეს იყო ქართველ მეფეთა ირანის მოხელეებად გადაქცევის ცდა. სამაგიეროდ შაჰმა გიორგი მეფეს ქართლის სამხრეთი პროვინცია ლორე და დებედა ჩამოართვა და იქ სახანო შექმნა. ალექსანდრე II-ს კი კახეთის აღმოსავლეთი პროვინცია კაკ-ენისელი ჩამოართვა და იქ სასულტნო შექმნა. ამით ქართლ-კახეთის თავდაცვისუნარიანობას დიდი ზიანი მიაყენა.

შაჰ-აბასმა გიორგი ქართლის მეფე თავისი ჯარით საქართველოში და-აბრუნა და ქართლის ციხეებში მდგარი ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა. ალექსანდრე კახთა მეფე კი, როგორც არა სანდო პიროვნება, თავისთან დაიტოვა და ირანში იახლა.

შაჰ-აბასი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის განვითარებას. მისთვის ცნობილი იყო, რომ 1604 წ. აგვისტოში კახეთში ჩამოვიდა რუსეთის ახალი ელჩობა, რომელიც ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ამავე დროს, შაჰის ელჩი მაჰმად ბეგი უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში კახეთში იმყოფებოდა და თეიმურაზ ბატონიშვილისა და მისი დის, ელენეს, ირანში წაყვანას ცდილობდა. კახელ ფეოდალთა ერთი ნაწილიც ალექსანდრეს რუსული ორიენტაციის წინააღმდეგი იყო და შაჰ-აბასთან დაახლოებას მოითხოვდა. ალექსანდრეს დასტურით გიორგი ბატონიშვილმა თეიმურაზი და ელენე ირანში გაგზავნა (ელენე ცოლად შეირთო აბასმა), მაგრამ მალე, 1605 წ. 1 იანვარს, რუსეთის ელჩების მოთხოვნით, გიორგი ბატო-ნიშვილმა რუსეთის ხელმწიფის ერთგულების ფიცი მიიღო; ასეთი პოლიტიკის შედეგად მდგომარეობა კვლავ დაძაბული რჩებოდა.

1605 წლის დასაწყისში ოსმალეთის არმია ირანის წინააღმდეგ შეტევი-სათვის ემზადებოდა. ალექსანდრეს ირანში გაჩერება კი კახეთის მესვეურთა უკმაყოფილებას იწვევდა. ასეთ ვითარებაში შაჰმა შესაძლებლად ჩათვალა ალექსანდრეს კახეთში დაბრუნება. ალექსანდრე კახეთში გამოისტუმრეს და მას შირვანიდან ოსმალების გაძევება დაავალეს. შაჰ-აბასმა ალექ-სანდრესთან ერთად ჯარით გამოგზავნა მისივე ვაჟი კონსტანტინე მირზა, რომელიც ბავშვობიდანვე (7 წლიდან) მძევლად იმყოფებოდა ირანში და გამაჰმადიანებულ-გასპარსებული იყო. იგი შირვანის დაპყრობის შემდეგ მისი მმართველი უნდა გამხდარიყო. კონსტანტინეს საიდუმლო დავალებაც ჰქონდა: იმ შემთხვევაში თუ ალექსანდრე სათანადო ერთგულებას არ გამოიჩენდა, კონსტანტინეს უნდა მოეკლა ისიც, ბატონიშვილი გიორგიც და კახეთი დაეჭირა.

მამა-შვილი მარტის დასაწყისში ჩამოვიდნენ კახეთში. კონსტანტინე შარვანში საჩქარო გალაშქრებას მოითხოვდა. ალექსანდრე კი ყოყმანობდა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ რუსეთის ჯარი დაღესტანში ლაშქრობდა და მოსალოდნელი იყო, რომ რუსეთი კახეთს უშუალოდ გაუმეზობლდებოდა. ასეთ ვითარებაში გადაჭრით ირანის მხარეზე გამოსვლა სასურველი არ ჩანდა.

1605 წ. 12 მარტს ქ. ძეგამში ალექსანდრეს რუსი ელჩები უნდა მიეღო. ელჩებთან აუდიენციის დაწყებამდე კონსტანტინე და მისი მხლებლები ყიზილბაში ამირები ალექსანდრეს სადგომს ეწვივნენ შირვანზე გალაშქრების შესახებ თათბირის საბაბით. თათბირზე მწვავე კამათი გაიმართა. მოულოდნელად კონსტანტინემ ხმალი იშიშვლა, ძმას დაჰკრა და იქვე გაათავა. ყიზილბაშებმა მეფე ალექსანდრე, რუსთაველი ეპისკოპოსი და მათი მხლებელი ექვსი თავადი იქვე დახოცეს. გადაგვარებულმა კონსტანტინემ მამისა და ძმის მოჭრილი თავები შაჰ-აბასს გაუგზავნა, გვამები კი ალავერდის მონასტერში დაკრძალა, მათ ხაზინას დაეპატრონა და თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა.

ალექსანდრე ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე იყო. მისი ჭკვიანი პოლიტიკის წყალობით კახეთში დიდხანს იყო მშვიდობიანობა. კახეთი მოშენდა და მოსახლეობა გამრავლდა. მაგრამ, ეტყობა, ამ ჭკვიანმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმაც კი სათანადოდ ვერ შეაფასა შაჰ-აბასის, ამ ვერაგი პიროვნების, სამხედრო და პოლიტიკური სიძლიერე.

შექმნილი ვითარების გამო რუსეთის ელჩებმა დატოვეს კახეთი და ქართლში გადავიდნენ. იქიდან კი მალევე რუსეთს გაემგზავრნენ.

კონსტანტინეს გამეფება კახეთის სამეფოს ირანის სახანოდ გადაქცევას მოასწავებდა. ეს ფაქტი ამიერკავკასიაში რუსეთის დიპლომატიის მარცხიც იყო. ამას ისიც დაერთო, რომ შამხალმა ოსმალების დახმარებით რუსეთის რაზმი ბუტურლინის ხელმძღვანელობით, რომლის მიზანი იყო საშამხლოს დამორჩილება და თერგ-კახეთის გზის გახსნა, მთლიანად გაანადგურა. რაზმის სარდალი ბუტურლინიც ბრძოლაში დაიღუპა. კახეთს რუსეთის დახმარებაც მოეშალა და მისი მდგომარეობა მეტად გართულდა, მას "გაყიზილბაშების" საფრთხე დაემუქრა.

მალე კახეთის მესვეურებმა, რომელთაც სათავეში ჩაუდგა ქეთევან დედოფალი, აჯანყება წამოიწყეს. 1605 წ. 22 ოქტომბერს, ბელაქნის წყალზე აჯანყებულებმა ყიზილბაშთა ჯარი დაამარცხეს, კონსტანტინე კი მოკლეს. კახელების მედგარმა ბრძოლამ შაჰ-აბასი აიძულა

დროებით უკან დაეხია და კახეთის ტახტზე ქრისტიანი თეიმურაზი დაემტკიცებინა (1606 წ. დასაწყისი).

1606 წ. გაზაფხულზე შაჰ-აბასი კვლავ შემოიჭრა ამიერკავკასიაში. აიღო ყარაბაღი, განჯა და ქართლში შევიდა, ადვილად განდევნა ოსმალები, და ქართლის ციხეებში თავისი მეციხოვნეები ჩააყენა. იმავე ხანებში აბასმა უეცრად გარდაცვლილი გიორგი მეფის ნაცვლად ქართლის ტახტზე ლუ-არსაბ გიორგის ძე დაამტკიცა.

მართალია, შაჰ-აბასმა ქართლსა და კახეთში ქრისტიანი მეფეები დასვა და ქართლის ციხეებიდან ოსმალები განდევნა, მაგრამ ქვეყანას თავი-სუფლება მაინც არ ღირსებია. ქართლის ციხეებში ოსმალების მაგივრად ახლა ყიზილბაშები იდგნენ. ორივე სამეფო ვალდებული იყო ირანის მხარეზე ჯარით გამოსულიყო.

ქართლიდან წასული შაჰ-აბასი ფრიად გამაგრებულ შემახას ციხეს მიადგა და თეიმურაზს უბრძანა, რომ თავისი ჯარით იქ გამოცხადებულიყო. მაგრამ თეიმურაზმა მას ბოდიში მოუხადა და ამჯერად ლაშქრობისა-გან გათავისუფლება სთხოვა. შაჰ-აბასს, როგორც ისქანდურ მუნში გადმოგვცემს, ეს ამბავი ძალიან ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია, ამის შემდეგ შა-ჰი, უკვე შესაფერ მომენტს ელოდა “მოღალატე” თეიმურაზის დასასჯელად.

შემახის დაპყრობის შემდეგ შაჰ-აბასი ირანში დაბრუნდა. 1610-1611 წწ. ოსმალეთი დიდი მონდომებით ცდილობდა ირანის უკუგდებასა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში კვლავ გაბატონებას, მაგრამ მან ვერ შეძლო შაჰ-აბასის ჯარების დამარცხება.

1612 წლის 20 ნოემბერს ქ. სტამბოლში დაიდო ზავი ირანსა და ოსმალეთს შორის, რომლის ძალითაც ძირითადად აღდენილ იქნა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები. რაც შეეხება აღმოსავლეთ სამცხეს ქ. ახალციხითურთ, რომელიც ამასიის ზავის მიხედვით ირანს ეკუთვნოდა, ახალი ზავის დადების დროს ოსმალეთს ეპყრა და მასვე დარჩა.

ტაშისკარის ბრძოლა. 1607 წ. სამცხის მმართველს ელენე დედოფალსა და ქართლის მეფეს ლუარსაბს II-ს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც აღიარებულია სამცხის დამოკიდებულება ქართლზე საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში. იმავე დროს ელენემ თავისი მცირეწლოვანი ვაჟი მანუჩარი ირანის შაჰთან გაგზავნა, ვასალობა შესთავაზა და ოსმალეთის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. შაჰმა ელენეს თხოვნა დააკმაყოფილა. შაჰ-აბასს იმ დროს აკმაყოფილებდა სამცხის ვასალური დაქვემდებარება, ოსმალეთი კი სამცხის სრულ ინკორპორაციას ახორციელებდა. ამ გარემოებამ განაპირობა შაჰისა და სამცხის მესვეურთა დროებითი კავშირი. 1607 წ. ელენე დედოფალმა ქართველთა და ირანელთა რაზმების დახმარებით შეძლო ახალციხის გათავისუფლება და ციხესიმაგრის დაკავება, მაგრამ მცირე ხნით. მალე ოსმალებმა დიდი ლაშქრობა მოაწყვეს სამცხე-საათაბა-გოში და ახალციხე დაიპყრეს (1608 წ.). 1608 წ. ბოლოს და 1609 წ. დასაწყისში კვლავ მოეწყო ქართლისა და ირანის რაზმების ლაშქრობა ახალციხეში, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ, ეტყობა, ოსმალების ქართლში შემოსევას ელოდნენ, ქართველებსაც სათანადო თადარიგი დაუჭერიათ. ამ დროს ლუარსაბ II მეფეთა საზაფხულო რეზიდენციაში – ცხირეთის ციხე-ში იმყოფებოდა მცირე ამალით.

1609 წლის ივნისში მართლაც შემოიჭრა ქართლში ოსმალთა მრავალათასიანი არმია, რომელთა შორის ორი ათასი ყირიმელი თათარიც ერია. ისინი ოსმალეთის მხარეზე იბრძოდნენ ჯელალიების წინააღმდეგ და ახლა შინ ბრუნდებოდნენ. იოლი ნადავლის სურვილით გაბრიყვებული ყირიმელები ოსმალო ფაშებს ქართლში სალაშქროდ წამოუყვანიათ. ოსმალეთის არმიაში ყოფილან აგრეთვე "სამცხისა, შავშეთისა და ნიგალის ხევის ფაშები" (ეს ქართული პროვინციები ოსმალეთს კარგა ხნის დაპყრობილი ჰქონდა და მათ ფაშები მართავდნენ).

ოსმალეთის არმია უეცრად შემოიჭრა ქართლის საზღვრებში, სწრაფად გამოიარა შავშეთი, თრიალეთი და მანგლისს მიადგა. მტერმა რამდე-ნიმე სოფელი გადაწვა და გაანადგურა, მშვიდობიანი მოსახლეობიდან ვინც ვერ გაასწრო, ტყვედ აიყვანა. ქართველთა საყარაულო რაზმებმა იარალისა და ზაქარიას მეთაურობით გვიან გაიგეს მტრის შემოჭრა. როგორც ჩანს, მტერს ცნობა ჰქონდა, რომ ლუარსაბი ცხირეთში მცირე ამალით იმყოფებოდა და ყოველ ღონეს ხმარობდა სწრაფად გაჭრილიყო ცხირეთისა-კენ. გზად, სოფ. კველთას, ოსმალებმა თედორე მღვდელი დაიჭირეს და მეგზურობა უბრძანეს. მხარშეკრული ხუცესი ორ ჯარისკაცს ცემატყეპით მიჰყავდა და გზის ჩვენებას ავალებდა. თედორე მღვდელმა დიდი გმირობა ჩაიდინა. სამშობლოსათვის თავი გაწირა და მტერი სხვა გზით წაიყვანა. ოსმალებმა გმირი ხუცესი ჯერ აწამეს და მერე თავი მოჰკვეთეს. მისმა თავგანწირვამ მრავალი ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

მაშინ ცხირეთში მეფესთან ერთად იმყოფებოდა თბილისის მოურავი გიორგი სააკაძე და სარდალი ზაზა ციციშვილი, რომლებმაც ჯარი სასწრაფოდ შეაგროვეს და ოსმალთა წინააღმდეგ აამხედრეს. ბრძოლა მოხდა სოფ. ნიაბის ბოლოს სხერტის ჭალაზე. ქართველთა გამბედაობამ და სიმამაცემ გატეხა მტრის ჯარი. ოსმალებმა პირი იბრუნეს და მტკვრის დინებას ზემოთ აუყვნენ. ისინი მტკვარზე გადასვლას და გორში შეჭრას აპირებდნენ, მაგრამ ერთმა გორელმა სომეხმა მტრის მოახლოება შეამჩნია და სასწრაფოდ აჰყარა ხიდის ფიცრები, მაშინ ოსმალებმა მტკვრის გაყოლებით განაგრძეს გზა და ცდილობდნენ, რომ ტყვეებითა და ნადავლით ახ-ალციხეში გადასულიყვნენ. ქართველებმა მტერს გზა მოუჭრეს ტაშისკართან, სადაც მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა.

ბრძოლის წინა დღეს სამხედრო თათბირი გაიმართა. თათბირს, რომელსაც ლუარსაბ მეფე მეთაურობდა, ესწრებოდა ქართველთა ყველა გამოჩენილი სარდალი (გიორგი სააკაძე, ზაზა ციციშვილი და სხვ.) და თბილისის ირანული გარნიზონის უფროსი დელუ – მოჰამედხანი, რომელიც 700 კაცით მოსულიყო ბრძოლის ველზე. თათბირზე სააკაძის საბრძოლო გეგმა მიიღეს და სარდლობაც მასვე დაავალეს.

გარიჟრაჟზე დაწყებული ბრძოლა დაბინდებამდე გაგრძელდა და ქართველების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მტრის რაზმები თითქმის მთლიანად განადგურდა. მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა თავს გაქცევით. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი გიორგი სააკაძემ.

ქართველებს მრავალი ტყვე და დიდძალი ქონება დარჩათ. ტყვეთა შორის იყო ოსმალთა ჯარის ორი სარდალი – ფერჰად ფაშა და მოჰამედ ფაშას შვილი. ქართლის მესვეურებმა შემთხვევით ისარგებლეს (ამ დროს ირან-ოსმალეთის ომი კვლავ გრძელდებოდა) და

დამარცხებული მტრის მოჭრილი თავები და ორივე სარდალი შაჰ-აბასს გაუგზავნეს, თან გამარჯვება ახარეს. ამით ქართველები ვასალურ "ერთგულებას" უმტკიცებდნენ შაჰს.

ოსმალთა დამარცხების შემდეგ, მალე 1610 წელს შაჰ-აბასს ქართლისა და კახეთის მეფეები, ლუარსაბი და თეიმურაზი, თავისთან დაუბარებია. ორივენი დიდი ამალით ეახლნენ შაჰს, რომელსაც დაუკმაყოფილებია ქართლის მეფის თხოვნა და მისთვის თბილისის ციხე დაუბრუნებია (იქ 1606 წლიდან ირანული გარნიზონი იდგა). ამრიგად, ქართველმა მეფეებმა ძლი-ერ შაჰთან ურთიერთობის დროებით მოგვარება შეძლეს. შაჰ-აბასის კარზე ექვსი თვის ყოფნის შემდეგ ლუარსაბი და თეიმურაზი სამშობლოში დაბრუნდნენ. ქართლის ერთგვარ წარმატებაში გარკვეული წვლილი მიუძღოდა თბილისის მოურავ გიორგი სააკაძეს.

გიორგი სააკაძე. გიორგი სააკაძე და მისი წინაპრები სამეფო აზნაურები იყვნენ. ეს გვარი საქართველოს ისტორიაში, არაპირდაპირი წყაროების მიხედვით, XII-XIII საუკუნეებიდან არის ცნობილი. განსაკუთრებით გაძლიერდნენ და დაწინაურდნენ სააკაძეები XVI ს. მეორე ნახევარში, სიმონ I-ის მეფობაში. გიორგის მამა სიაუშ გიორგის ძე სააკაძე 1588 წლის დოკუმენტის მიხედვით მეფის სალაროს მოლარეა, 1590 წლიდან კი – თბილისის მოურავი. ბიძა, ზურაბ სააკაძე, ქართლის დედოფლის კარის სახლთუხუცესი იყო. სააკაძეთა "ძველი სამკვიდრო" ატენის ხეობის ზემო წელში მდებარეობდა. მათ იქ ჰქონდათ საგვარეულო ციხეები (ფელი, კი-კანთაბერი), სასახლე და ეკლესია. შემდეგ კი თეძამის ხეობაშიც მოიკიდეს ფეხი. გიორგი სააკაძის ფეოდალური სამფლობელო სწორედ ამ ხეობაში ჩამოყალიბდა. მისი ცენტრი იყო სოფ. ნოსტე. აქ ჰქონდა მას სასახლე ციხე-კოშკით და კარის ეკლესია. სოფ. ერთაწმინდაში კი გაიჩინა საგვარეულო მონასტერი, სადაც შემდეგ მის მემკვიდრეებს მარხავდნენ. სააკაძეები ფლობდნენ მრავალ სოფელს, ყმა გლეხებსა და აზნაურებსაც.

გიორგი სიაუშის ძე სააკაძე დაიბადა 1570 წ. ახლო ხანებში სააკაძეთა "ძველ სამკვიდრო სოფელ ფელში". მას, როგორც მაღალი სამოხელეო არისტოკრატიის ოჯახის შვილს, იმ დროის შესაფერისი განათლება უნდა მიეღო. სააკაძემ იცოდა სპარსული და თურქული ენები, გამოირჩეოდა სამხედრო საქმის დიდი ცოდნითა და განსაკუთრებული ნიჭით.

სააკაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XVI ს. 90-იან წლებში. იგი მეფე სიმონ Iთან ერთად იბრძოდა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. შემდეგ ქართლის მეფის გიორგის X-ის თანამებრძოლი იყო. ფართო გასაქანი მიეცა გიორგის სახელმწიფოებრივ და სამხედრო ნიჭს ლუარსაბ II-ის მეფობისას.

სააკაძე ლუარსაბის გამეფებისთანავე მისი უახლოესი თანამშრომელი და მრჩეველი შეიქმნა. მალე იგი თბილისის მოურავად დანიშნა მეფემ (1608 წ. გიორგი უკვე თბილისის მოურავად იხსენიება). თბილისის მოუ-არვი სამეფო საბჭოს წევრი და მეფესთან ახლომდგომი დიდი მოხელე იყო. სააკაძე გარდა თბილისისა, ქ. ცხინვალისა და დვალეთის მოურავიც ყოფილა.

ლუარსაბის მეფობის დასაწყისში გიორგიმ შეძლო ცენტრალური ხელისუფლების ერთგვარი განმტკიცება. ამან ქართლის თავდაცვისუნარიანობა რამდენადმე გააძლიერა, რის გამოც ოსმალეთის მარბიელი ექსპედიცი-ის განადგურება 1609 წ. შედარებით ადვილად მოხერხდა.

სააკაძეს კარგად ესმოდა, რომ ეს გამარჯვება ვერ უზრუნველყოფდა ქვეყნის უშიშროებას. მისი აზრით, საჭირო იყო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება და თავადების ალაგმვა, შინაფეოდალური ომების აღ-კვეთა, გლეხობის ნორმალურ პირობებში ჩაყენება, რათა ქვეყანას ეკონომიკური განვითარებისა და თავდაცვის საშუალება ჰქონოდა. სააკაძე მფარველობდა და აწინაურებდა "დაბალ კაცს", "არავის სჭირდა ძალობა", ხელს უწყობდა გაბნეული გლეხობის თავის სამკვიდროზე მობრუნებას და სხვა.

ქართლის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა მთელი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის წინა პირობა იყო. ლუარსაბის მეფობაში ამ იდეის ყველაზე რელიეფური გამომხატველი გი-ორგი სააკაძე ჩანს. სააკაძე აპირებდა დიდ ფეოდალთა ალაგმვას და საქართველოს გაერთიანებას. ეს იყო საქართველოს გაერთიანების აზნაურული იდეა (აზნაურების დიდი ნაწილი თავადის ვასალები იყვნენ. ისინი ვასალობიდან განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ). თავადებს კი საქართველოს გაერთიანება მეფემთავართა კავშირად ჰქონდათ წარმოდგენილი. თავადებისა და სააკაძის გეგმები ერთმანეთის საწინააღმდეგო იყო. სწორედ ეს შეიქმნა უმთავრესი მიზეზი თავადების სააკაძესთან მტრობისა, რომლის გამოც ის იძულებული გახდა ორჯერ გადახვეწილიყო სამშობლოდან.

გ. სააკაძეს მომხრეები ჰყავდა თავადთა წრეშიც, რომელნიც სააკაძის მომხრე აზნაურებთან ერთად ქმნიდნენ პოლიტიკურ დაჯგუფებას, რომელსაც სააკაძის "მოკიდებულნი კაცნი" ანუ სააკაძის "პარტია" ეწოდებოდა. გ. სააკაძის მომხრეთა დასი საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური დაჯგუფება ჩანდა 1608-1611 წლებში. ამ პოლიტიკური დასის სიძლიერის შედეგი იყო გ. სააკაძის აღზევება და მის მიერ წამოწყებული ზოგიერთი საქმის წარმატებაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პოლიტიკური დასი მხოლოდ მომხრე იყო გ. სააკაძის საქმისა და არა მისი სოციალური დასაყრდენი. ასეთი დასაყრდენი იყო საშუალო და წვრილი აზნაურობა და აგრეთვე გლეხობაც.

გ. სააკაძეს და მის ძლიერ მომხრეებს არანაკლები სიძლიერის მოწი-ნააღმდეგენი ჰყავდათ გიორგის პოლიტიკით უკმაყოფილო მსხვილი თავადების მრავალრიცხოვანი ჯგუფის სახით. ამ ფეოდალური პოლიტიკური დასის (რომელიც მსხვილ ფეოდალთა ინტერესებს გამოხატავდა) მეთაურები იყვნენ დიდი გავლენის მქონე თავადები ფარსადან ციციშვილი და შადიმან ბარათაშვილი. აღნიშნულ ორ ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის ქიშპი ეს იყო შინაკლასობრივი ბრძოლა გაბატონებული ფეოდალური კლასის შიგნით, მის იმდროისათვის პროგრესულ და რეაქციულ ფრთას შორის. სააკაძე პროგრესული საქმის მეთაურად გამოდიოდა1.

1611 წ. შემოდგომაზე ლუარსაბ მეფემ ცოლად შეირთო სააკაძის და. სააკაძის დის გადედოფლებამ და მოურავის განდიდებამ მის მოწინააღმდეგე თავადთა ჯგუფის მოთმინების ფიალა საბოლოოდ აავსო.

სააკაძის მოწინააღმდეგეებმა შეძლეს მეფის გადაბირება და შეთქმულების მოწყობა. 1612 წ. 20 მაისს შეთქმულები თავს დაესხნენ სააკაძეს მოკვლის მიზნით, მაგრამ გადარჩა და სიმამრთან ნუგზარ არაგვის ერისთავთან ერთად ირანში გადაიხვეწა.

შაჰ-აბასის შემოსევები საქართველოში. ირან-ოსმალეთის ომი, როგორც უკვე აღინიშნა, 1612 წ. დამთავრდა ირანის გამარჯვებით. შაჰმა საქართველოსთვის მოიცალა. მას არ აკმაყოფილებდა

ქართლ-კახეთის სამეფოების ვასალური დამოკიდებულება. შაჰი ხედავდა, რომ ოსმალეთმა მხოლოდ დროებით აიღო ხელი აღმოსავლეთ საქართველოზე. ამიერკავკა-სიის საქმეებში რუსეთის ხელახალი ჩარევაც გამორიცხული არ ყოფილა, ამიტომ შაჰი თავის გადაუდებელ ამოცანად სახავდა ქართლ-კახეთის სამეფოების მოსპობას, იქ მუსულმანური მოსახლეობის ჩასახლებას და სახანო-ების შექმნას. შაჰი ფარულად დიდ სამზადისს ეწეოდა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ. ამ სამზადისის ერთი მომენტი ქართულ სამეფოთა გავლენიან წრეებში დასაყრდენის მოპოვება იყო. გარდა ამისა, მან მოახერხა და ირანში სამუდამო სამსახურში წაიყვანა ქართლისა და კახეთის მრავალი გამოჩენილი მოღვაწე. საფიქრებელია, საკაძის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაშიც შაჰის ხელი ერია. მრავლად იყვნენ ირანში "მოხალისე" მოლაშქრეებიც აზნაურთა წრიდან. ამავე დროს, შაჰი აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს ერთიმეორეს უსისინებდა და ინტრი-გების ქსელს აბამდა.

1612 წ. ზაფხულში შაჰმა თეიმურაზი და ლუარსაბი ნადირობის საბაბით მაზანდარანს დაიბარა. მეფეები არ ენდვნენ მას, არც წავიდნენ. ლუ-არსაბისა და თეიმურაზის საქციელი აჯანყებას უდრიდა – ამით ისინი ირანის შაჰის ვასალობაზე უარს ამბობდნენ.

გამოირკვა, რომ ქართლ-კახეთში ანტიირანულ ორიენტაციას გაემარ-ჯვა. ანტიირანული ორიენტაციის მოღვაწეთა ჯგუფის მეთაური კახეთის დიდებული თავადი შერმაზან ჩოლოყაშვილი ყოფილა. მისი მცდელობით ქართლ-კახეთს კავშირი შეუკრავთ, რომლის მიზანი საგარეო მტრის წინა-აღმდეგ ერთობლივი ბრძოლა უნდა ყოფილიყო. ამ კავშირს, სამწუხაროდ, შესაბამისი სამხედრო და პოლიტიკური მზადება არ მოჰყოლია. ახალგაზრდა თეიმურაზ Iმა ვერ შეძლო ქვეყნის დარაზმვა მოსალოდნელი საშიშროების წინაშე.

უკეთესი მდგომარეობა არც ქართლში იყო. ნიჭიერი ორგანიზატორი-სა და სარდლის გ. საკაძის გაძევების შემდეგ, ქართლის მეფე ლუარსაბი დიდ ფეოდალთა ნება-სურვილების მორჩილ აღმსრულებლად ქცეულიყო. ფეოდალები კი თავიანთი სამფლობელოების გაზრდა-გაფართოებაზე ზრუ-ნავდნენ და ხშირად ერთმანეთსაც არ ინდობდნენ.

1613 წლის 10 ოქტომბერს შაჰ-აბასი დიდი ლაშქრით ირანიდან საქართველოსკენ დაიძრა. გამოვლო არდებილი, ყარაბაღი და განჯაში დაბანაკდა. თან ხმებს ავრცელებდა, ოსმალეთის წინააღმდეგ სალაშქროდ ვემზადებიო. ამავე დროს, ოსმალეთს დარხეული ხმები სინამდვილედ რომ არ მიეღო და ეს ამბავი ზავის დარღვევად არ მიეჩნია, სულთანს ელჩი გაუგზავნა და თავისი ნამდვილი მიზანი – ქართლ-კახეთში ლაშქრობა აცნობა.

განჯიდან შაჰ-აბასმა თეიმურაზს კაცი გაუგზავნა და მძევლად შვილები მოსთხოვა. თეიმურაზს არ უნდოდა მძევლის მიცემა, მაგრამ კახეთის მესვეურებმა მხარი არ დაუჭირეს და იგი იძულებული გახდა ჯერ უმცროსი შვილი ალექსანდრე და ქეთევან დედოფალი გაეგზავნა შაჰთან, მერე კი უფროსი შვილი – ლევანიც. ამის შემდეგ შაჰმა თეიმურაზიც და-იბარა თავისთან, მაგრამ თეიმურაზი არ წავიდა. კახი მოღვაწეებიც მიხვდნენ, რომ შაჰ-აბასს ბაგრატიონების ამოწყვეტა და კახეთში შეჭრა ჰქონდა გადაწყვეტილი.

შაჰმა მძევლები – თეიმურაზის ვაჟები და დედა – ირანში გაგზავნა, თავად კი დიდძალი ჯარით სწრაფად გადმოლახა საზღვარი და კახეთში შეიჭრა (1614 წ. გაზაფხული).

კახეთის მესვეურები დიდ დაბნეულობას შეეპყრო, ზოგი მათგანი თეიმურაზს შაჰთან მისვლას, ზოგი კიდევ გაქცევას ურჩევდა და მხოლოდ მცირე ნაწილი მოითხოვდა შებმას. თეიმურაზმა წინააღმდეგობის ორგანიზება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა კახეთი დაეტოვებინა, გზა ბრძოლით გაიკაფა და ქართლში გადავიდა.

მუხრანში თეიმურაზს ამალითა და მცირე ჯარით ელოდებოდა ქართლის მეფე ლუარსაბი. გამოირკვა, რომ არც ქართლს შეეძლო წინააღმდე-გობის გაწევა. მეფეები აქაურობას გაეცალნენ და თავი იმერეთს შეაფარეს.

შაჰ-აბასის ჯარებმა კახეთი დაიკავეს. შაჰი ჯერ კახეთის სატახტო ქალაქ გრემში მივიდა, იქიდან კი ალავერდს მიაშურა, ეს ეკლესია და მისი გალავანი სასწრაფოდ ციხესიმაგრედ გადააკეთეს და შიგ ირანელთა გარ-ნიზონი დააყენეს. ირანელებმა, ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, აიღეს აგრეთვე თორღას ციხესიმაგრე, სადაც კახეთის მეფის განძეულობას ინახავდნენ. თეიმურაზის მთელი ქონება შაჰის ხელში გადავიდა. შაჰის ჯარებმა დაარბიეს ერწოთიანეთიც. ამ მხრიდან 30 000 ტყვე და 40 000მდე მსხვილფეხა საქონელი გამოიყვანეს. ამის შემდეგ კახეთის ძარცვარბევა დაიწყეს. ამათ გარდა, შაჰ-აბასმა აჰყარა და ირანის შიდა პროვინციებში გადაასახლა მრავალი ათასი შირვანელი და ყარაბაღელი გლეხი, რომელ-ნიც, ოსმალთაგან შევიწროებულნი, ჯერ კიდევ ალექსანდრე კახთა მეფის დროს ჩამოსახლებულან კახეთში.

შაჰ-აბასი და მისი ჯარები 50 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ კახეთში და ყოველნაირად აოხრებდნენ მას. შემდეგ შაჰმა კახეთის მმართველად ირანში გაზრდილი და გამუსლიმანებულ-გასპარსებული ბატონიშვილი ისახანი (გიორგი ალექსანდრეს ძის ვაჟი) დანიშნა, რომელსაც ვექილად კახეთის დიდი თავადი დავით ჯანდიერი დაუნიშნა, თავად კი თავისი ჯარით ქართლში გადავიდა, სადაც გორისა და სურამის ციხეები შე-აკეთა და შიგ ყიზილბაშთა გარნიზონები ჩააყენა.

ქართლში მყოფი შაჰი გიორგი იმერთა მეფეს დაუკავშირდა და მასთან მყოფ თეიმურაზსა და ლუარსაბს მოითხოვდა. თეიმურაზი არ ენდო შაჰს. ლუარსაბი კი შადიმან ბარათაშვილის ჩაგონებით შაჰს ეახლა (1614 წ. ოქტომბერი). რაინდი მეფე ფიქრობდა, რომ შაჰთან მისი გამოცხადებით ქართლი დამპყრობლის რისხვას გადაურჩებოდა. უეჭველია, ლუარსაბის ხლებამ რამდენადმე დააცხრო შაჰ-აბასის მრისხანების ცეცხლი და ქართლიც შედარებით იოლად გადაურჩა შაჰის “სტუმრობას”.

საქართველოში ლაშქრობის დაწყების წინ შაჰის მიერ ოსმალეთში გაგზავნილი ელჩი დაბრუნებულიყო და საქართველოში ეახლა აბასს. მან ოსმალეთის სულთნის უკმაყოფილების ამბავი ჩამოიტანა. თეიმურაზსა და ლუარსაბს წერილები მიეწერათ სულთნისათვის: თქვენი ყმობა გვინდა და შაჰ-აბასის წინააღმდეგ ომში მოგვეხმარეო. ამ გარეომებამ, როგორც ჩანს, ლუარსაბის მდგომარეობა გააუარესა.

შაჰ-აბასი თავისი ლაშქრითა და ქართლ-კახეთიდან წაყვანილი დიდძალი ტყვეებით ირანში დაბრუნდა. შაჰმა ლუარსაბი თან წაიყვანა და გამუსლიმანება მოსთხოვა. ლუარსაბმა მტკიცე უარი განაცხადა. ამის გამო ლუარსაბი გულაბის ციხეში გამოკეტეს.

1615 წლის მაისში ოსმალთა არმია დიდი ვეზირის მეჰმედ ფაშას მეთაურობით ირანისაკენ დაიძრა და საზღვართან დადგა. ეს ამბავი აცნობეს თეიმურაზს, რომელიც მაშინ იმერეთში იმყოფებოდა. თეიმურაზმა თავის მხრივ კაცები აფრინა კახეთში. ისინი აჯანყების სამზადისს უნდა შედგომოდნენ. აჯანყებისთვის ნიადაგი უკვე მზად იყო. დიდი უკმაყოფილება სუფევდა მეზობელი შირვანის მოსახლეობაშიც. როცა კახეთში ოსმალეთის საომარი სამზადისი გაიგეს, კახელი მოღვაწეები გამხნევდნენ და აჯანყება დააჩქარეს.

აჯანყება, რომელსაც სათავეში დავით ჯანდიერი ჩაუდგა, 1615 წლის 15 სექტემბერს ალავერდობას დაიწყო. თეიმურაზს მალემსრბოლი გაუგზავნეს და კახეთში მიიწვიეს. თეიმურაზ მეფე, რომელიც ქუთაისში იმყოფებოდა, გამოემართა კახეთისაკენ. არაგვთან მას დავით ჯანდიერის მეთა-ურობით კახელები შეეგებნენ. თეიმურაზი სათავეში ჩაუდგა აჯანყებას და ყიზილბაშთაგან კახეთის ციხეების გაწმენდა განაგრძო.

კახეთის აჯანყებას შირვანიც აჰყვა, რომელიც არანაკლებ შევიწროვებული და დარბეული იყო შაჰ-აბასისაგან. შირვანელებს სათავეში ჩაუდგა ერთ-ერთი თურქმანული ტომის მეთაური დულუმელიქი. ერთობლივი ღონისძიებებით თეიმურაზმა და დულუმელიქმა კახეთისა და შირვანის ციხეები აიღეს, მეციხოვნეები გაწყვიტეს და ორივე ქვეყანა ყიზილბაშთა-გან გაათავისუფლეს. აჯანყების ამბავი შაჰ-აბასმა შეიტყო და საომარ სამზადისს შეუდგა. შაჰის მდგომარეობა ძალიან შეამსუბუქა ოსმალეთის არმიის სარდლობის უნიათო მოქმედებამ, რომელმაც ირანში შეჭრა მომავალი წლის გაზაფხულისათვის გადადო. ამ გარემოებამ აჯანყებულები შეაშფოთა, შაჰ-აბასს კი საშუალება მისცა აჯანყების ჩასაქრობად დამსჯელი ექსპედიცია გამოეგზავნა.

შაჰ-აბასმა რჩეული ჯარისაგან შემდგარი 15 ათასიანი არმია შეადგინა, რომელსაც ცნობილი სარდალი ალი ყულიხანი დაუნიშნა მთავარსარდლად და სასწრაფოდ საქართველოში გამოისტუმრა.

ალი ყულიხანი ქართლში შემოვიდა, თბილისი გაიარა და არაგვზე დადგა წიწამურთან ახლოს. მისი მიზანი იყო გზა გადაეჭრა თეიმურაზი-სათვის, თუ იგი იმერეთში გადასვლას მოინდომებდა. ალი ყულიხანმა მეგზურებად და მზვერავებად მის ჯარში მყოფი ქართველი შაჰისევანები1 დანიშნა, რომელნიც არასწორ ცნობებს აწვდიდნენ ირანელ სარდლობას თეიმურაზის ჯარის მოძრაობის შესახებ. თეიმურაზის ჯარი 5-6 ათასი კაცისაგან შედგებოდა, მაშინ როცა ირანელთა ჯარი 15000 კარგად შეიარაღებული მეომარი იყო. მან კარგად ისარგებლა შექმნილი ვითარებით, არაგვი გადალახა და ირანელებს მოულოდნელად შეუტია. ბრძოლა, რომელიც შუადღეზე დაიწყო და დაღამებამდე გაგრძელდა, თეიმურაზის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ირანელთა მთელი ბანაკი – კარვები, ცხენები, აქლემები, ძვირფასეულობა, დიდძალი იარაღი – ქართველებს დარჩა.

თეიმურაზის ეს გამარჯვება თავისთავად დიდი მნიშვნელობისა იყო. იგი თავისი ძალებისადმი რწმენას უნერგავდა სამშობლოს თავისუფლები-სათვის მებრძოლ ქართველებს, მაგრამ ამ დიდი გამარჯვების სიხარულს ანელებდა ის გარემოება, რომ კახელებს თითქმის მარტოდმარტო უხდებოდათ მრავალრიცხოვანი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა. ქართლის

მესვეურები ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ, მხოლოდ აქა-იქ თუ ვინმე გაბედავდა კახელებს დახმარებოდა (ისიც ფარულად). არც ოსმალეთიდან ჩანდა დაპირებული დახმარება.

ალი ყულიხანის არმიის განადგურების ცნობამ შაჰ-აბასი საშინლად განარისხა.

საგანგებო მომზადების შემდეგ, 1616 წლის ადრიან გაზაფხულზე შაჰ-აბასი უზარმაზარი ლაშქრით საქართველოსკენ გამოემართა. გზაზე მას ამიერკავკასიის მაჰმადიანური სამფლობელოების მმართველები შეუერთდნენ თავიანთი ჯარებით. განჯის მიდამოებში შაჰ-აბასს ალი ყულიხანი შეეგება თავისი ჯარის ნარჩენებით.

შაჰი ქართლში შემოვიდა და თბილისს მივიდა. ქართლის მმართველად ბაგრატხანი (დაუდხანის შვილი) დანიშნა. შემდეგ კახეთში გადავიდა და იქ დაბანაკდა. შაჰმა თავისი ჯარი რამდენიმე ჯგუფად გაყო და კახეთის სხვადასხვა მხარეს გაუსია. თეიმურაზის ვარაუდით, გაზაფხულზე ოსმალებს, რომელთა ლაშქარი ჯერ კიდევ შემოდგომიდან ირანის საზღვრებთან იდგა, შეტევა უნდა დაეწყო და ირანში შეჭრილიყო. ამ შემთხვევაში შაჰ-აბასი საქართველოსთვის ვერ მოიცლიდა, მაგრამ თეიმურაზს იმედები არ გაუმართლდა, მან შაჰის უზარმაზარ არმიასთან შებმა ვერ გაბედა, კახეთს გაეცალა და თავისი ამალით კვლავ იმერეთში გადავიდა. ხელმძღვანელობასა და სარდლობას მოკლებული ქვეყანა უდიდეს გასა-ჭირში ჩავარდა.

ხალხისთვის გახიზვნის საშუალება რომ მოესპო, შაჰ-აბასმა კახეთიდან გასასვლელ გზებზე თავისი ჯარი დააყენა; თან დაღესტნელ ფეოდალებს შეუთვალა მთებში შეხიზნული კახელები გაეჟლიტათ ან დაეტყვევებინათ.

კახელებმა ხელოვნური სიმაგრეები ააგეს, ცოლშვილი და საქონელი შიგ შეიყვანეს და თავდასაცავად მოემზადნენ. სამი თვის განმავლობაში არ შეწყვეტილა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კახეთში. კახელები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. შაჰის მრავალრიცხოვანი ჯარი ზედიზედ იღებდა გამაგრებულ ადგილებს და ვინც ცოცხალი რჩებოდა, დედაწულიანად ტყვედ მიჰყავდა.

კახელები უბრძოლველად არ ტოვებდნენ არც ერთ ქალაქს, ციხესიმაგრეს, სოფელს, სასახლეს, ეკლესიას და ქოხსაც კი. ბრძოლა უაღრესად დაუნდობელი იყო. შაჰ-აბასის ჯარები ჩეხავდნენ ხეხილის ბაღებს და ვე-ნახს, ანგრევდნენ და წვავდნენ სახლებს, ეკლესიებს – ყველაფერს, რაც კი ხვდებოდათ. კახეთი – ეს მდიდარი და აყვავებული ქვეყანა – ნანგრევებად იქცა.

ამ ხანებში შაჰ-აბასს ცნობა მოუვიდა – ოსმალეთის არმია ირანში შე-საჭრელად ემზადებაო. შაჰი იძულებული გახდა საქართველოდან გასულიყო და საკუთარი საზღვრების დაცვაზე ეფიქრა. კახეთში მან ყიზილბაშური გარნიზონები დატოვა, მერე ქართლის საქმეებიც თავის სასარგებლოდ "მოაგვარა" და სევანის, ანუ გოგჩის ტბისაკენ გაეშურა.

ამ შემოსევის დროს, ისკანდერ მუნშის ცნობით, მოკლულთა რიცხვი სამოცდაათ ათასამდე იყო, ტყვედ წაყვანილთა რიცხვი კი 130 000-ს აჭარბებდა. ეს იყო ქართველი ხალხის უდიდესი ტრაგედია.

ოსმალეთის არმია, რომელიც უკვე მაისში არზრუმს მიადგა, რომლის მიზანიც არზრუმის, ყარსის, ერევნისა და სხვა ქალაქების აღება იყო, კვლავ მეტისმეტად უნიათოდ, გაუბედავად მოქმედებდა და ვერცერთი ქალაქი ვერ აიღო. იმავე წლის ბოლოს შაჰ-აბასმა და ოსმალეთის დიდმა ვეზირმა დროებითი ზავი დადეს. შაჰ-აბასმა მისთვის მეტად საჭირო შესვენება მიიღო და კვლავ კახეთისათვის მოიცალა.

გავიდა თუ არა შაჰ-აბასი საქართველოდან, გახიზნული კახელები კვლავ მოგროვდნენ და თავიანთ ადგილ-სამყოფელთა შენებას მიჰყვეს ხელი. იმერეთიდან გადმოვიდნენ დავით ჯანდიერი, თამაზ ვაჩნაძე და დელუმელიქ შირვანელი (1615 წ. 15 სექტემბერს დაწყებული აჯანყების მეთაურები) და ქვეყნის შენებას მოჰკიდეს ხელი. ისინი თავის სამკვიდროზე აბრუნებდნენ კახეთის გაფანტულ მოსახლეობას. ოსმალეთის არმიის მოქმედების დაწყებით გამხნევებული კახელები ახალი ენერგიით შეუდგნენ ციხესიმაგრეთა აღდგენა-შეკეთებას. მათ მიიმხრეს და აჯანყეს განჯის სახანოს მოსახლეობის ერთი ნაწილიც.

როგორც კი ამ ამბავმა შაჰის ყურამდე მიაღწია, მან დიდი ლაშქარი შეჰყარა და თავისი სიძის ისახან ყორჩიბაშის სარდლობით კახეთში გამო-ისტუმრა (1616 წ. ბოლო). კახეთში კვლავ დიდი ბრძოლები გაიმართა. ამ ლაშქრობის დროს ირანელებმა ტყვედ წაასხეს დაახლოებით 20 000მდე მცხოვრები.

უპატრონოდ დარჩენილ კახეთს ახლა დაღესტნის ფეოდალთა ყაჩაღური რაზმები შემოესია. კახეთი თითქმის მთლიანად დაიცალა მოსახლე-ობისაგან. შაჰმა სასტიკად დასაჯა განჯის სახანოს მოსახლეობის ნაწილიც, რომელიც კახეთს მიეშველა და აჯანყდა.

1617 წლის ადრე გაზაფხულზე შაჰ-აბასი კვლავ გამოემართა საქართველოსკენ. მსხვერპლი ამჯერადაც დიდი იყო. თავიანთ მიწებზე დაბრუ-ნებული კახელები ისევ ჟლიტეს, ნაწილი დაატყვევეს, ნაწილმა კი კვლავაც გაქცევით უშველა თავს. შაჰ-აბასმა კახეთი ორად გაყო. მდინარე ივრის აღმოსავლეთი მხარე განჯის მმართველს ფეიქარხანს ჩააბარა, დასავლეთი კი ქართლის მმართველს ბაგრატხანს. დაცარიელებულ კახეთში თურქმენების ჩამოსახლება დაიწყეს. ამის შემდეგ შაჰი ქართლში გადავიდა, თავისი ლაშქრისათვის მეომრები შეაგროვა და მალე ირანში გაბრუნდა.

აღნიშნული ოთხი შემოსევის დროს (1614-1617 წწ.) კახეთმა უდიდესი და გამოუსწორებელი ზარალი ნახა. თითქმის მთლიანად დანგრეული და გადამწვარი იყო კახეთი. მაშინ დანგრეული მრავალი ქალაქი და სოფელი არასოდეს აღარ აღმდგარა. კახეთმა თავისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაკარგა. ასი ათასამდე მტერს შეაკვდა, ორასი ათასამდე კი ტყვედ იქნა წაყვანილი, რომლებიც ირანის შიდა პროვინციებში დაასახლეს. იმ დროს გადასახლებულ ქართველთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ფერეიდანში, ისპაანის პროვინციაში, აგრეთვე ხორასანში, მაზანდარანსა და სხვ. ძირითადად მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ მშობლიური ენა და ზნე-ჩვეულებანი. სარწმუნოებით მუსლიმები არიან.

როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: “კახეთის მოთხრით შაჰაბასი რამდენიმე მიზნის მიღწევას ცდილობდა. საქართველოს წინააღმდე-გობა საბოლოოდ უნდა გატეხილიყო, კახეთში ჩამოსახლებული თურქმა-ნები კი შაჰის ერთგული დასაყრდენი უნდა გამხდარიყვნენ შორეულ

კავ-კასიაში; ირანს გადასახლებული კახელები კულტურული სოფლის მეურნე-ები და შაჰის ხელის შემყურე ერთგული მეომრები იქნებოდნენ, ასე ფიქრობდა შაჰი, მართლაც ყულის ჯარში, რომელშიაც ამ დროიდან 12 ათასი მხედარი და 10 ათასი ქვეითი ითვლებოდა, დიდი უმრავლესობა ქართველები იყვნენ”.

რაც შეეხება გ. სააკაძეს, იგი თავიდანვე თავის მოწინააღმდეგეებთან ქართლის დიდ თავადებთან შერიგებას და დაახლოებას ცდილობდა, რათა საჭიროების შემთხვევაში ქართლის ძალების გაერთიანება შესაძლებელი ყოფილიყო. მაგრამ, იმ დროს ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, გიორგის მტრები შაჰს ეახლნენ, ერთგულება გამოუცხადეს და მასთან თანამშრომლობა დაიწყეს. სააკაძის მტრობას კი არ ეხსნებოდნენ. ასეთ ვითარებაში სააკაძე თავისი ავტორიტეტითა და შაჰისადმი მოჩვენებითი ერთგულებით მისი მრისხანების დაცხრომას ცდილობდა. მას უსათუოდ დიდი წვლილი მიუძღვის ქართლის დარბევისაგან ხსნის საქმეში. შაჰი დაითანხმეს, რომ ირანში გადასახლების მაგივრად ქართლში დაეტოვებინა ხორნაბუჯისა და მისი მიდამოების მცხოვრებთა ერთი ნაწილი, ამ საქმის ინიციატორები გ. სააკაძე და მისი სახლისკაცი სახლთუხუცესი ბეჟან სააკაძე უნდა ყოფილიყვნენ.

ბაგრატხანის მეფობა (1616-1619 წწ.) არაფრით ყოფილა აღსანიშნავი. მას არც ავტორიტეტი ჰქონდა და არც უნარი სახელმწიფო მოღვაწისა. იგი ფაქტობრივად მხოლოდ ქვემო ქართლს ფლობდა, რისთვისაც ქართველები დაცინვით “უხმობდნენ საბარათიანოს ბატონს”. მართალია, ქართული წყაროები ბაგრატს მეფეთ მოიხსენიებს, მაგრამ ნამდვილად იგი ირანის ტიპური მოხელე – ხანი იყო, რომელიც მთლიანად შაჰ-აბასზე იყო დამო-კიდებული. ბაგრატი ძირითადად ბოლნისში ცხოვრობდა, სადაც გარდა-იცვალა კიდეც 1619 წ.

ქართლ-კახეთის აჯანყება და ყიზილბაშთა გაწყვეტა მარტყოფში. 1619 წელს შაჰ-აბასმა ქართლის მმართველად ბაგრატის მცირეწლოვანი შვილი, მუსლიმანი სიმონი დანიშნა. ისიც ირანის მოხელე – ხანი იყო; თუმცა ქართულ წყაროებში სიმონი მეფედ იხსენიება. შაჰმა მცირეწლოვანი სიმონის ვექილად და მრჩევლად დანიშნა სააკაძე. იგი ქართლის ფაქტობრივი გამგებელი გახდა.

იმდროინდელ ქართლში სრული ანარქია მეფობდა. სააკაძის წინაშე ქვეყნის ერთიანობის აღდგენისა და განმტკიცების ამოცანა იდგა. ამ მიზ-ნით, იგი შეურიგდა თავის მოსისხლე მტრებს ქაიხოსრო ჯავახიშვილსა და ფარსადან ციციშვილს. ამავე დროს, იგი თავის მომხრეთა წრის გასაფართოებლად იღვწოდა.

იმავე ხანებში სააკაძე და მისი მომხრეები გიორგი იმერთა მეფეს და-კავშირებიან და მომავალ ბრძოლაში მისი მხარდაჭერის მოპოვებას ცდილან. გამარჯვების შემთხვევაში მისთვის ქართლის ტახტი აღუთქვამთ. ეს სააკაძის გეგმის – საქართველოს გაერთიანების დასაწყისი იქნებოდა.

გიორგი სააკაძე მოსალოდნელი აჯანყებისათვის, როგორც ჩანს, საგარეო მოკავშირესაც ეძებდა. აღნიშნულ პოლიტიკურ მიზანს უნდა ისახავდეს სააკაძის ქალიშვილისა და ფარად ფაშას (იგი ათაბაგების გამუსლიმებული ჩამომავალი უნდა იყოს) ქორწინება, რომელიც სწორედ აჯანყების სამზადისის პერიოდში, 1620-1624 წლებში მოხდა. ფარად ფაშას, რომელიც ოსმალეთის მოხელე იყო, საჭიროების შემთხვევაში, სააკაძის ოსმალეთთან დაკავშირება შეეძლო.

იმ დროს კახეთს მართავდა შაჰ-აბასის მიერ დანიშნული ყიზილბაში ფეიქარხანი, რომელსაც რეზიდენცია ხორნაბუჯის ციხეში ჰქონდა. მან კახეთში მრავლად ჩამოასახლა მუსლიმი მომთაბარეები, მაგრამ ქვეყნის დიდი ნაწილი მაინც ცარიელი რჩებოდა. თანდათან მთებსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული კახელებიც მოგროვდნენ და თავიანთ კერებს მიაშურეს. ქართველების მომრავლებას ფეიქარხანი შეუშფოთებია და ეს ამბავი შაჰისთვის უცნობებია.

თეიმურაზი იმ ხანებში ოსმალეთში იყო და დახმარების მიღებას ცდილობდა. ის დიდ იმედებს ამყარებდა 1618 წ. ოსმალთა მიერ ირანის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაზე. რომლის მიზანი იყო სამხრეთ აზერბაიჯანის დაკავება და ქ. არდებილის დანგრევა. ამ ლაშქრობის სარდალს, დიდვეზირ ხალილ ფაშას ევალებოდა აგრეთვე საქართველოდან ყიზილბაშთა განდევნა და თეიმურაზის ტახტზე აღდგენა. ოსმალთა არმია, რომლის მეწინავე რაზმშიც თეიმურაზი თავისი კახელებით იბრძოდა, ირანში შეიჭრა. მაგრამ ოსმალებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს.

თეიმურაზმა დახმარება რუსეთსაც სთხოვა (1618, 1623 წწ.) მაგრამ ვერც იქიდან მიიღო სასურველი პასუხი. რუსეთს იმ დროს, საშინაო და საგარეო გართულებების გამო, ჯარით დახმარების საშუალება არ ჰქონდა. დიპლომატიური გზით კი ცდილობდა შაჰ-აბასზე გავლენა მოეხდინა და ლუარსაბი და თეიმურაზი თავიანთ სამეფოებში დაებრუნებინა, მაგრამ ამ ცდებს სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა.

თეიმურაზის გაუტეხელობითა და აგრეთვე მისი ოსმალეთთან და რუსეთთან კავშირით გაცოფებულმა შაჰ-აბასმა ჯავრი მისი ოჯახის წევრებზე იყარა. თეიმურაზის ვაჟები – ლევანი და ალექსანდრე – დაასაჭურისებინა, რის შედეგად უმცროსი ვაჟი გარდაიცვალა, უფროსი კი ჭკუიდან შეიშალა. შაჰ-აბასმა 1622 წ. სიკვდილით დასაჯა ლუარსაბ მეფეც. უფრო გვიან, დიდი წამების შემდეგ, სიკვდილით დასაჯეს თეიმურაზ მეფის დედა ქეთევან დედოფალიც. გახურებული შანთებით დადაღეს და ისე გამოასალმეს წუთისოფელს (1624 წ.). ქართულმა ეკლესიამ სამშობლოსათვის წამებული დედოფალი წმინდანად აღიარა. მისმა ვაჟმა, თეიმურაზ მეფემ, რომელიც პოეტიც იყო, პოემა უძღვნა დედას — “წამება ქეთევან დედოფლისა”.

1624 წ. ფეიქარხანს განმეორებით მიუწერია შაჰ-აბასისათვის, რომ კახელები აჯანყებისათვის ემზადებოდნენ. არც ქართლიდან მისდიოდა კარ-გი ამბები შაჰს. შეშფოთებული შაჰ-აბასი საქართველოში გამოსაგზავნი დიდი ლაშქრის სამზადისს შეუდგა. გიორგი სააკაძე და ზურაბ ერისთავი 1624 წლის ბოლოს ირანში გაიწვიეს.

შაჰ-აბასი, რომელიც აქამდე მხოლოდ კახეთის ამოგდებას ცდილობდა, ახლა ქართლსაც ისეთსავე ბედს უმზადებდა. თეიმურაზი ქედს არ იხრიდა და ხან ოსმალეთს, ხან კიდევ რუსეთს უკავშირდებოდა ირანის წინააღმდეგ. ირანელ დამპყრობელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაკარ-გვის საფრთხე მოელოდა.

შაჰ-აბასმა დიდი არმია შეადგინა და ყარჩიხახანის მეთაურობით საქართველოში გამოგზავნა.

შაჰ-აბასმა ყარჩიხახანს კახელების მთლიანი გაწყვეტა და ქართლელების ირანში გადასახლება დაავალა. გ. სააკაძე მის მრჩევლად დანიშნა. ყარჩიხახანს სააკაძესთან ერთად მოჰყვებოდა ზურაბ ერისთავიც. ფრთხილმა და ვერაგმა შაჰმა, ყოველი შემთხვევისათვის გიორგის ვაჟი პაატა და ზურაბის მეუღლე თავისთან მძევლებად დაიტოვა. ამით ის თავისი ბოროტი გეგმების შესრულების საქმეში სააკაძისა და ერისთავის მხარდაჭერის უზრუნველყოფას ფიქრობდა.

ირანელთა ჯარები 1625 წ. ადრე გაზაფხულზე მოვიდნენ საქართველოში. ყარჩიხახანი თავისი ლაშქრით მუხრანს მიადგა და აღაიანის ველზე დაბანაკდა. მან იქ კახელთა ლაშქარი დაიბარა იმერეთში ლაშქრობის საბაბით და მათი განიარაღება და ამოწყვეტა სცადა. სააკაძის ფარული გაფრთხილების შედეგად კახელებმა “გაიკრეს Ãრმალს ხელი”, ბრძოლით გზა გაიკაფეს და კახეთს მიაშურეს.

ყიზილბაშთა მთვარი ბანაკი მარტყოფის ველზე დადგა – კახეთში შესაჭრელად ემზადებოდა. სააკაძე და ზ. ერისთავი გაცხოველებით ემზადებოდნენ აჯანყებისათვის: ქართლსა და კახეთში ფარულად ჯარებს აგროვებდნენ და გადამწყვეტი დარტყმისათვის ემზადებოდნენ. ყარჩიხახანმა, სააკაძის რჩევით, თავისი ჯარების საგრძნობი ნაწილი კახეთის სხვადასხვა კუთხეში გაგზავნა. ამით გიორგიმ ყიზილბაშთა ძალები დაქსაქსა, რომ უფრო ადვილი ყოფილიყო მათი მთავარი ბანაკის განადგურება.

მტრის ბანაკში გიორგისთან ერთად იმყოფებოდა ოთხი მისი თანამებრძოლი. ესენი იყვნენ: გიორგის ვაჟი ავთანდილი, თავადიშვილები – ელია დიასამიძე და პაატა ხერხეულიძე და გიორგის განუყრელი მხლებელი, მსახური პაპუნა ვაშაყაშვილი – ოთხივე უმაგალითო სიმამაცისა და შეძლების ვაჟკაცები.

1625 წლის 25 მარტს, გარიჟრაჟზე, ხარება დღე რომ თენდებოდა, მარტყოფის ველზე დაბანაკებული მტრის ჯარს ქართველ ვაჟკაცთა რაზმები მიუახლოვდნენ. ხმაურზე გუშაგებმა განგაში დასცეს. ირანელთა ჯარის სარდლობამ სასწრაფოდ მოიყარა თავი ყარჩიხახანთან, აგრეთვე სააკაძეს უხმეს. გიორგი და მისი მხლებლები მზად იყვნენ ამ მომენტისათვის, ხმლები იშიშვლეს და მტრის ჯარის მეთაურები იქვე დახოცეს. უსარდლოდ დარჩენილ ლაშქარს ქართველებმა მუსრი გაავლეს. მტრის ბანაკიდან, რომელშიც 30 ათასამდე ყიზილბაში იყო, მხოლოდ სამი ათასმა უშველა თავს გაქცევით. დანარჩენები აჯანყებულებმა გაჟლიტეს. ქართველებს დიდძალი ქონება და იარაღი ჩაუვარდათ ხელში.

მოურავმა სულის მოთქმის საშუალება არ მისცა მტერს. თბილისს დაეცა, ციხეს ალყა შემოარტყა. სააკაძე შემდეგ ზურაბ ერისთავთან ერთად კახეთში გადავიდა და უკვე გაქცეულ ფეიქარხანს დაედევნა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მცირე ამალით მტკვარი გადალახა და ბარდავს მიაშურა. ყიზილბაშთა დიდი ჯგუფი ქართველებს ჩაუვარდა ტყვედ. შემდეგ აიღეს ხორნაბუჯის ციხე, რომელიც ფეიქარხანის რეზიდენციას წარმოადგენდა. მცირე სამზადისიც და მოურავმა განჯაყარაბაღის სახანოებზე გაილაშქრა, იქ მყოფ ყიზილბაშთა ჯარებს დაერია. მრავალი გაწყვიტეს და მრავალიც ტყვედ იგდეს, გაქცეულებს მდ. არაქსამდე სდიეს და დიდძალი ქონება

დაატოვებინეს. სააკაძე და მისი ჯარი, ალაფითა და ტყვეებით დატვირთულნი, ქართლში მობრუნდნენ.

აჯანყებულებმა რამდენიმე დღეში ქართლ-კახეთი თითქმის მთლია-ნად გაწმინდეს ყიზილბაშთა ჯარებისაგან. თეიმურაზი, რომელიც იმ დროს ოსმალეთის საზღვრებში, გონიოს ციხეში იმყოფებოდა და დახმარების სათხოვნელად რუსეთში წასასვლელად გამზადებულიყო, ქართლ-კახეთში მოიწვიეს და გაერთიანებული სამეფოს ტახტზე დასვეს. ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. საქართველოს გაერთიანების მოღვაწეთა ოც-ნება თანდათან ხორციელდებოდა.

ქართველებმა თბილისის ციხე ვერ აიღეს, მაგრამ ამას ჩრდილი არ მიუყენებია იმ დიდი ზეიმისათვის, რომელიც გამოიწვია აჯანყების წარმატებამ. რასაც შედეგად მოჰყვა ყიზილბაშთა გაწყვეტა და ქართლ-კახეთის გაერთიანება. ქართლ-კახეთის მოსახლეობა კიდევ ერთხელ გადარჩა ამოწყვეტას და აყრა-აოხრებას. ამ დიდი საქმეების ორგანიზატორი გ. სააკაძე იყო.

ყარჩიხახანის უზარმაზარი არმიის ერთიანმა გაწყვეტამ თავზარი დასცა შაჰ-აბასს. უაღრესად შეშფოთებული შაჰ-აბასი საქართველოში გამო-საგზავნი დიდი დამსჯელი ექსპედიციის სამზადისს შეუდგა. გაბოროტებული შაჰის ბრძანებით, წამებით მოკლეს სააკაძის ვაჟი პაატა. საყვარელი ვაჟის მოკვეთილი თავი მამას გამოუგზავნეს საქართველოში.

სააკაძე შაჰ-აბასის ახალ შემოსევას მოელოდა. მან მრავალი სამხედრო და ადმინისტრაციული ღონისძიება განახორციელა ქვეყნის თავდაცვის გა-საძლიერებლად.

სააკაძემ კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ქართლ-კახეთს შაჰ-აბასის წი-ნააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდებოდა და დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართა. მან დახოცილ ყიზილბაშ სარდალთა მოჭრილი თავები და ტყვეთა ერთი ნაწილი დამარცხებული მტრის დროშებითა თუ საჩუქრებით გაუგზავნა ოსმალეთის დიდ ვეზირს, მთავარსარდალ ჰაფიზ ფაშას, რომელიც თავისი ჯარებით ირანის საზღვრების მახლობლად დიარბექირში იდგა.

სააკაძე, როგორც მის მიერ ჰაფიზ ფაშასადმი გაგზავნილ წერილიდან ჩანს, შაჰ-აბასის მძარცველური პოლიტიკით დიდად უკმაყოფილო აღმო-სავლეთ ამიერკავკასიის ხალხების მიმხრობას ფიქრობდა და ოსმალეთის დახმარებით თვით ირანში შეჭრას და შაჰ-აბასის იმპერიის დამხობას აპირებდა. მაგრამ ოსმალეთის უნიჭო და მექრთამე სარდლობას არ აღმოაჩ-ნდა უნარი სწორად შეეფასებინა სააკაძის დიადი გეგმა და ის რთული მდგომარეობა, რომელიც ქართლის აჯანყების შედეგად შაჰ-აბასს შეექმნა. სააკაძის გეგმა უარყვეს. ჰაფიზ ფაშამ, ბაღდადზე ლაშქრობის საბაბით (ეს ლაშქრობა ქართველების აჯანყებამდე იყო დაგეგმილი), სააკაძეს უარი უთხრა დახმარებაზე.

მარაბდის ბრძოლა. შაჰ-აბასმა უზარმაზარი არმია შეყარა და თავი-სი სიძის ისახან ყორჩიბაშის სარდლობით საქართველოში გამოისტუმრა. მას შაჰმა "მოურავის ჯანყის მოსპობა და საქართველოს საქმეების მოწესრიგება დაავალა", რაც შაჰ-აბასის სურვილის აღსრულებას – ქართლ-კახეთის მთლიანად მოსპობას გულისხმობდა. ისახან ყორჩიბაშის არმია 1625 წ. ივნისის ბოლოს შემოვიდა საქართველოში და მდ. ალგეთის ხეობაში მარაბდის ველზე დადგა.

ქართველებს, რომელნიც მოელოდნენ ირანელთა ახალ შემოსევას, დიდი სამზადისი ჩაუტარებიათ და 20 ათასიანი არმიით კოჯორტაბახმელას მიდამოებში დაბანაკებულან. ქართველთა ბანაკში თავი მოუყრიათ ქართლ-კახეთის ყველა გამოჩენილ სარდალს, აქვე იყვნენ თეიმურაზ მეფე. გიორგი სააკაძე და ახალციხიდან ლტოლვილი მანუჩარ ათაბაგი სამასი რჩეული ვაჟკაცით.

ირანელები თავრიზის ბეგლარბეგს შაჰბენდეხანს და მის ჯარს, რომელიც ჯერ კიდევ არ შემოერთებოდა ყიზილბაშთა მთავარ ბანაკს, ელოდნენ და შეტევაზე გადასვლას არ ჩქარობდნენ, ქართველთა ბანაკში კი სხვა განწყობილება იყო.

სამხედრო თათბირზე მტერთან შებმის თაობაზე აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამომჟღავნდა. სააკაძე მოითხოვდა დაეცადათ, სანამ მტერი თვითონ არ გადმოვიდოდა შეტევაზე, რადგან, მისი აზრით, იმ დიდი სიცხის გამო, რომელიც იმ დღეებში იდგა ქართველებს და განსაკუთრებით ქვეითებს, მარაბდის დაბალ ველზე ომი ძალიან გაუჭირდებოდათ და თან, რაც მთავარია, კოჯორტაბახმელას ვიწროხევებიან მიდამოებში მტერს თავისი მთელი ძალების გაშლის, ამასთან არტილერიის გამოყენების საშუალება არ ექნებოდათ და გამარჯვებაც ქართველებს დარჩებოდათ. სა-აკაძის ამ გონივრულ რჩევას მხოლოდ ბაადურ ციციშვილი მიემხრო. სხვები, თითქმის ყველა, ომის დაუყოვნებლივ დაწყებას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში წასვლით იმუქრებოდნენ.

სამხედრო თათბირმა სააკაძის გეგმა უარყო. გადაწყდა ბრძოლა მეორე დღეს, 1625 წლის 1 ივლისს დაეწყოთ. მთავარსარდლობა თეიმურაზ მეფემ იკისრა. ეს გადაწყვეტილება, როგორც შემდეგ ნათელი გახდა, შეცდომა იყო. ქართველთა მხარე ომს მისთვის უაღრესად ძნელ პირობებში იწყებდა. ამას ისიც დაემატა, რომ ქართველების ყველაზე ნიჭიერი სარდალი, სააკაძე, ჩამოცილებულ იქნა ომის წარმოების საერთო ხელმძღვანელობისაგან, რაც კიდევ უფრო დიდი შეცდომა იყო. ყველაფერი ეს ქართველი ფეოდალების ინტერესთა შეზღუდულობამ გამოიწვია.

ქართველებმა, რომელთა დევიზი იყო გამარჯვება ან სიკვდილი (მათ კარგად იცოდნენ, რომ, ამ ბრძოლაში მთელი ქართლ-კახეთის მოსახლეობის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა), ბრძოლის წინაღამეს ზიარება მიიღეს, შემდეგ კი ღამით, კოჯრის მაღლობებიდან მარაბდის ველისაკენ დაეშვნენ და ყიზილბაშთა ბანაკს მიუახლოვდნენ.

გარიჟრაჟზე ქართველები თავგამოდებით ეკვეთნენ მტერს და მეწინავე რაზმები მთლიანად გადათელეს.

ქართველთა მთელი სარდლობა – ერი თუ ბერი, თვით ეპისკოპოსებიც პირადად მონაწილეობდნენ ბრძოლაში. სააკაძემ მუზარადი აიხადა, რომ ყიზილბაშებს ეცნოთ იგი და თავზარი დასცემოდათ.

ქართველების გამარჯვება თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ გამოცდილი მთავარსარდალი ისახან ყორჩიბაში ბრძოლის ველს არ თმობდა და უკანასკნელ ძალებს იკრებდა საქმის გამოსასწორებლად. ასეთი ვითარება იყო ბრძოლის ველზე, როცა ყიზილბაშებს ახალი დიდი ძალები მო-უვიდათ აზერბაიჯანის ბეგლარბეგის შაჰბენდეხანის მეთაურობით.

ბრძოლით დაღლილმა და სიცხისაგან მეტისმეტად შეწუხებულმა ქართველთა ჯარმა ყიზილბაშთა ახალი რაზმების დარტყმას ვეღარ გაუძლო და გატყდა. პირველმა ცხენოსანმა ჯარმა მიატოვა ბრძოლის ველი და კოჯრის ვიწროებს მიაშურა. ცხენოსანი ჯარისაგან მიტოვებული, უზომოდ დაღლილი ქვეითობა, რომელიც გლეხობისაგან შედგებოდა, დიდ გასაჭირში ჩავარდა, მაგრამ იარაღს მაინც არ ყრიდა. გუნდგუნდად მებრძოლი გლეხობა უკანასკნელ კაცამდე შეაკვდა მტერს, თუმცა დამპყრობლებსაც დიდი ზიანი მიაყენა.

ქართველები დამარცხდნენ. 10 ათასამდე ქართველი მეომარი დაიღუ-პა მარაბდის ველზე. ყიზილბაშებს კი ძვირად დაუჯდათ ეს გამარჯვება, 14 ათასი დამპყრობელი გაჟლიტეს ქართველმა მეომრებმა. სამშობლოს თავისუფლებისათვის დაღუპულთა შორის იყვნენ გმირი სარდლები და რაინდები – დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრანბატონი, აღათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი, ეპისკოპოსები: რუსთველი და ხარჭაშნელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი და სხვა მრავალი. განსაკუთრებით გლეხობა დაზარალდა.

ახლა ყველასათვის ნათელი გახდა, რომ სააკაძის გეგმა სწორი იყო. მართლაც, ქართველები ყიზილბაშთა უზარმაზარ არმიას მთაგორიან და ვიწრო ადგილებში უფრო გაუმკლავდებოდნენ, ვიდრე გაშლილ ველზე, სანგრებში ჩამჯდარს და უკეთ შეიარაღებულს, მაგრამ უკვე გვიანი იყო. “თავადთა პოლიტიკური სიბეცე-შეზღუდულობა, ფეოდალური ლაშქრის უდისციპლინობა და შეიარაღებაში ჩამორჩენილობა იყო მარაბდას ქართველთა დამარცხების უმთავრესი მიზეზი” (ნ. ბერძენიშვილი).

ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ იარაღი არ დაუყრიათ, მეორე დღეს კოჯრის მიდამოებში გაგრძელდა ბრძოლები. მტერი შიდა ქართლში შეჭრას ჩქარობდა. სააკაძემ პატარ-პატარა რაზმებით პარტიზანული ომი გაუმართა ყიზილბაშებს. რამდენიმე დღის განმავლობაში აკავებდნენ გმირები მტრის მთავარ ძალებს და არ აძლევდნენ საშუალებას ქვეყნის გულ-ში შეჭრილიყვნენ, რომ მოსახლეობას გახიზვნა მოესწრო.

ისახან ყორჩიბაშმა თავის ჯარიდან 12 ათასიანი რაზმი გამოჰყო, სათავეში საუკეთესო სარდლები, შირვანის ბეგლარბეგი ყაზახხანი და ხოსრო მირზა ჩაუყენა და არშის ციხის (თერგის ხეობაში) ასაღებად გაგზავნა, სადაც ქართველების მიერ დაპატიმრებული ანდუყაფარ ამილახვარი (გამაჰმადიანებული) და მისი მეუღლე, იმამყულიხან უნდილაძის ასული იყვნენ დამწყვდეულნი. ირანელებმა ეს ტყვეები გაათავისუფლეს და ქსნის ხეობით თბილისისაკენ ბრუნდებოდნენ, როცა გიორგი სააკაძემ და მისმა ლაშქარმა მათ გზა შეუკრეს. სასტიკი ბრძოლა გაიმართა და სამი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა. მთლიანად განადგურდნენ შაჰბენდე ხანის რაზმები, თვითონ კი ბრძოლაში დაიღუპა.

ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. დიდძალი იარაღი, ცხენები და ტყვეები იშოვეს. ყიზილბაშთა ამ დამარცხებით საბოლოოდ გაქარწყლდა ის უპირატესობა, რაც მარაბდის ბრძოლით მოიპოვეს.

ყიზილბაშებს უკვე ძალა აღარ შესწევდათ, რაიმე დიდი ღონისძიების ჩატარებისა და ისევ ქართლის მოღალატე თავადებს დაუყვავეს. საჩუქრებითა და დაპირებებით ქართლის მრავალი ძლიერი თავადი თავის მხარეზე გადაიბირეს. მოღალატე თავადთაგან გარიყული სააკაძე

იძულებული გახდა ქართლს გასცლოდა. იგი სამცხეში გადავიდა. იმავე ხანებში თეიმურაზი იმერეთს წავიდა.

მალე ისახან ყორჩიბაში და მისი ჯარიც გავიდა ქართლიდან. მან თბილისისა და ქართლის ზოგ ციხეში ყიზილბაში მეციხოვნეები ჩააყენა. ქართლის მმართველად კვლავ სიმონხანი აღადგინა და შაჰ-აბასის ბრძანებისამებრ საზამთროდ ყარაბაღში დადგა. მას ებრძანა ახლა იქიდან განეგრძო ბრძოლა სააკაძის წინააღმდეგ და შეენარჩუნებინა სამცხე-საათაბაგოს ციხეები, რომელნიც 1624 წ. ირანელთა ხელში გადასულა.

მართალია, ქართლ-კახეთი დროებით კვლავ ირანელთა ხელში გადავიდა, მაგრამ მტერმა თავისი ძირითადი ამოცანის – ქართველთა გაჟლეტისა და აყრის – შესრულება მაინც ვერ შეძლო.

ბაზალეთის შინაომი და გიორგი საკაძის მარცხი. გიორგი საა-კაძე სამცხეში 1625 წლის ზაფხულის ბოლოს ჩავიდა სამშობლოს დამცველ გმირთა რჩეული რაზმით. მისი მიზანი სამცხის აჯანყება და ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება იყო. საკაძეს გვერდში ამო-უდგა იქაურ ფეოდალთა ნაწილი და ერთიანი ძალებით ყიზილბაშებს შე-უტიეს.

ისახან ყორჩიბაშმა დიდი რაზმი გაუსია სამცხეს საკაძის წინააღმდეგ. ბრძოლა ასპინძის ახლოს მოხდა და ყიზილბაშთა სასტიკი დამარცხებით დამთავრდა.

სამცხიდან საკაძემ ელჩი, გიორგი ქავთარიშვილიბარათაშვილი, გაგზავნა ოსმალეთის სულთანთან და ქართლ-კახეთის ყიზილბაშთაგან განთავისუფლებაში დახმარება სთხოვა. მაგრამ იმ დროს ოსმალეთი ბაღდადის აღებას ცდილობდა და საკაძის დასახმარებლად არ ეცალა.

საკაძე სამცხიდან თავისი ამალით დასავლეთ საქართველოში გადავიდა და გიორგი იმერთა მეფეს ეწვია ქუთაისში. ქართლის გმირი სარდალი დიდი პატივით მიიღეს მეფის კარზე. საკაძისა და იმერეთის მეფის მოლაპარაკება, რომელშიც კათალიკოსი და სამეფოს სხვა მესვეურნიც მო-ნაწილეობდნენ, წარმატებით დამთავრებულა, ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში მხარის დაჭერასა და დახმარებას დაჰპირდნენ. საკაძე ქუთაი-სიდან ოდიშში გადავიდა და ლევან დადიანს ესტუმრა. აქაც ანალოგიურ მოლაპარაკებას ჰქონდა ადგილი. საკაძე იმერეთიდან ისევ სამცხეში მიბრუნდა და მთელი ზამთარი იქ დარჩა.

1626 წ. საკაძე თავისი მომხრეებით ქართლში გადმოვიდა და თეიმურაზთან ერთად ქართლ-კახეთის ციხეებიდან ყიზილბაშებს ერეკებოდა. მხოლოდ თბილისის ციხე რჩებოდა მტრის ხელში. მთელი დანარჩენი ქართლი საკაძეს და თეიმურაზს ემორჩილებოდა.

საკაძის ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ხალხის წრიდან გამოსულმა გმირებმა: მსახურმა ინაშვილმა, პაპუნა ვაშაყაშვილმა, თამაზ ქარციძემ და მრავალმა სხვამ.

საკაძემ ქვეყნის საშინაო მდგომარეობაც რამდენადმე მოაწესრიგა. მან თავგასული ფეოდალები ალაგმა, რითაც დიდად შეამსუბუქა მოსახლეობის მდგომარეობა.

ქართლ-კახეთი გაერთიანებული იყო. მის სათავეში თეიმურაზ მეფე იდგა. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის საქმე დაიწყო და დიდი მოურავი ახლა ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანებაზე ოც-ნებობდა.

ქვეყნის ამ წარმატებებში უდიდესი როლი შეასრულა გ. სააკაძის მი-ერ ორგანიზებულმა მარტყოფის აჯანყებამ, ასევე იმ დიდმა ზარალმა, რომელიც მტერს მარაბდაში, ქსნის ხეობაში, ასპინძასთან და პარტიზანულ ბრძოლებში მოუვიდა. შაჰ-აბასმა 1625 წლის განმავლობაში საქართველოში დაახლოებით 70 000მდე მოლაშქრე დაკარგა. ეს იყო მისი არმიის საუკეთესო ნაწილები (მათ შორის რეგულარული არმიის ნაწილები და არტილერია). ირანის ძლიერება კი, რომელიც ამ დროს ზენიტში იყო, საფუძვლიანად შეირყა. შაჰ-აბასის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში სააკაძის აჯანყებას "დიდ და საშიშ ამბებს" უწოდებს. მისი აზრით, სააკაძის აჯანყებამ სხვა დაპყრობილი ხალხებიც აამოძრავა — "ყველგან შფოთი გაჩნდაო". იმდროინდელი თურქი ისტორიკოსის იბრაჰიმ ფეჩევის აზრით, "ორმოცი წლის განმავლობაში ასეთი ზარალი (შაჰს) არ მოსვლია".

სააკაძემ დაამარცხა შაჰ-აბასი. ქართველებმა დიდი მსხვერპლის ფასად გაიმარჯვეს. ირანის შაჰი იძულებული გახდა ხელი აეღო თავისი საზარელი გეგმის – ქართლ-კახეთის სამეფოების მოსპობის – განხორციელებაზე.

მაგრამ სააკაძის საქმიანობა და მისი განდიდება არ მოსწონდათ ქართლის დიდ თავადებს. მათ შეძლეს თეიმურაზ მეფესა და დიდ მოურავს შორის განხეთქილების ჩამოგდება, რასაც ბაზალეთის შინაომი მოჰყვა. საა-კაძე, გამარჯვების შემთხვევაში, ქართლ-კახეთის მეფედ იმერეთის ტახტის მემკვიდრის ალექსანდრეს გამოცხადებას აპირებდა, რასაც საქართველოს სამი სამეფოს გაერთიანება უნდა გამოეწვია. სააკაძეს დამხმარე ჯარი მოუვიდა იმერეთიდან და სამცხიდან. მის მხარეზე იყო ქაიხოსრო მუხრანბატონი (რომელიც სააკაძემ ქართლის გამგებლად დანიშნა), იასე ქსნის ერისთავი და სამეფო აზნაურების დიდი ნაწილი. ქართლის დიდ თავადთა ერთი ჯგუფი კი, რომელთაც ისქანდერ მუნშის სიტყვებით რომ ვთქვათ, "სძაგდათ მოურავის ბატონობა და უფროსობა", თეიმურაზს მიემხრნენ, მათ შორის იყო ქართლის ორი უდიდესი ფეოდალი ზურაბ არაგვის ერისთავი და იოთამ ამილახვარი.

ძმათაშორისი ბრძოლა 1626 წ. შემოდგომაზე ბაზალეთის ტბასთან მოხდა. იგი თეიმურაზისა და ზურაბ ერისთავის გამარჯვებით დამთავრდა. მსხვერპლი ორივე მხრიდან დიდი იყო. ამ ბრძოლაში ფაქტობრივად სააკაძის მოწინააღმდეგე დიდმა ფეოდალებმა გაიმარჯვეს.

ბაზალეთის ბრძოლა ქართველი ხალხის ტრაგედია იყო არა მარტო იმიტომ, რომ იქ მოძმეთა სისხლი დაიღვარა, არამედ იმიტომაც, რომ "ჩა-იშალა ის დიდი საქმე, რომელსაც სააკაძემ თავისი უზარმაზარი ენერგია შეალია და ურომლისოდაც საქართველოს განთავისუფლება-გაძლიერება შეუძლებელი იყო" (ნ. ბერძენიშვილი).

სააკაძე იძულებული გახდა ხელმეორედ გადახვეწილიყო. იგი თავისი ოჯახითა და მხლებლებით (ქაიხოსრო მუხრანბატონი, იესე ერისთავი და სხვ.) ჯერ სამცხეში, ხოლო შემდეგ ოსმალეთში გადავიდა და სულთანს ჯარით დახმარება სთხოვა (1627 წ.). იმ დროს კვლავ გრძელდებოდა ირან-ოსმალეთის ომი, რომელიც 1623 წ. განახლდა. სააკაძე, როგორც ჩანს, ოსმალეთის ჯარის დახმარებით ფიქრობდა ქართლ-კახეთის ყიზილბაშთაგან საბოლოო გათავისუფლებასა და საქართველოს გაერთიანებას.

1629 წ. გარდაიცვალა შაჰ-აბას I. ირანის ტახტზე აიყვანეს მისი შვილიშვილი სეფიმირზა.

1629 წ. 3 ოქტომბერს სააკაძე, მისი ვაჟი ავთანდილი და მისივე ორმოცამდე მხლებელი მოღალატურად დახოცეს ოსმალეთის დიდი ვეზირის ხუსრევ ფაშას ბრძანებით. უცხოობაში დაიღუპა დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, რომელმაც საკუთარი და თავისი შვილების სიცოცხლე ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა.

თეიმურაზ I ბაზალეთის ომის შემდეგ. ბაზალეთის ომის შემდეგ თეიმურაზმა შიდა ქართლი დაიკავა, თბილისი და ქვემო ქართლი კი კვლავ სიმონხანს ემორჩილებოდა.

ქართლ-კახეთის საბოლოო განადგურებისა და მისი სახანოდ გადაქცევის გეგმა შაჰ-აბასმა ვერ შეასრულა. ამით აიხსნება, რომ მან თეიმურაზთან მოლაპარაკება გამართა და იგი ფაქტობრივად ქართლ-კახეთის მეფედ ცნო, მხოლოდ არაოფიციალურად, რადგან სიმონხანი არ გადაუყენებია. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1631 წლამდე.

1631 წ. თეიმურაზის მითითებით ზურაბ ერისთავმა სიმონხანი ღალატით მოკლა, ქართლი მთლიანად თეიმურაზის ხელში გადავიდა, მაგრამ მალე თეიმურაზსა და ზურაბ ერისთავს შორის მოხდა განხეთქილება, რა-საც ზურაბის დაღუპვა მოჰყვა. ზურაბის მოკვეთილი თავი თეიმურაზმა ირანის შაჰს სეფი I-ს (1629-1642 წწ.) გაუგზავნა. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, თითქოს "ეს ყაენს (შაჰ სეფის) იამა და ქართლიცა და კახეთიც ბატონს თეიმურაზს მისცეს და ხალათი და რაყამი გამოუგზავნეს". აღნიშნული "რაყამით" ირანის შაჰმა, ერთი მხრივ, თეიმურაზი ოფიციალურად ცნო ქართლ-კახეთის მეფედ, მეორე მხრივ, ქართლ-კახეთის სამეფო ირანის ვასალად გამოცხადდა.

თეიმურაზმა ზურაბის ქვრივი, თავისი ქალიშვილი დარეჯანი, პოლიტიკური მოსაზრებით, იმერეთის მეფის მემკვიდრეს, ალექსანდრე გი-ორგის ძეს მიათხოვა (ეს ის ალექსანდრეა, რომლის ქართლში გამეფება გ. სააკაძემ 1626 წ. სცადა).

იმ ხანებში თეიმურაზმა დაღესტნელ ლეკებს შეუტია. ქართლ-კახეთის ჯარის ეს ლაშქრობა წარმატებით დამთავრდა. ქვეყანამ, მართალია დროებით, მოისვენა დაღესტნელთა მოთარეშე ბრბოების შემოსევებისაგან, მაგრამ თეიმურაზმა ვერ შეძლო სამეფოს შინაური მდგომარეობის განმტკიცება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის ყოფილა, რომ სამეფოს უმაღლეს მოხელეებში კახელი თავადები სჭარბობდნენ და ქართლის თავადობა თავს დაჩაგრულად გრძნობდა.

1629 წელს ევროპიდან დაბრუნდა თეიმურაზის ელჩი ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 1625 წელს გაგზავნა თეიმურაზმა რომის პაპთან და დასავლეთ ევროპის მეფეებთან ირანის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად. თეიმურაზს დახმარების მაგივრად ელჩმა რომის პა-პის წერილი და ლოცვა-კურთხევა ჩამოუტანა. 1630 წლის დასაწყისში თეიმურაზმა ერთ-ერთი მისიონერი (პეტრე ავიტაბილე) ელჩად გაგზავნა რომის პაპთან, მაგრამ ისიც ხელმოცარული დაბრუნდა.

ოსმალეთის ლაშქრობა ირანის წინააღმდეგ, რომელიც აბასის გარდაცვალებისთანავე დაიწყო (იგი გარდაიცვალა 1629 წ.), წარუმატებლად მიმდინარეობდა, საგარეო დახმარებაზე იმედგაცრუებული თეიმურაზი კვლავ საკუთარი თავის მოიმედე რჩებოდა, ქართლში კი განწყობილება მისი საწინააღმდეგო იყო. ამას ზედ ერთვოდა როსტომხანისა და მისი აგენტურის მცდელობა შაჰის კარზე თეიმურაზის შესაცვლელად.

ასეთ მძიმე ვითარებაში საჭირო იყო დინჯი და აუჩქარებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარება. თეიმურაზი იმის მაგივრად, რომ თავი ირანის ერთგულ ვასალად მოეჩვენებინა და ქვეყნის საშინაო მდგომარეობის მოწესრიგებაზე ეზრუნა, საკმაოდ მოუმზადებელი, ირანის წინა-აღმდეგ შეტევაზე გადავიდა და ბარდა და ყარაბაღი დაარბია (1632 წ. გაზაფხული).

თეიმურაზმა ამ ლაშქრობით უარი თქვა ირანის ვასალობაზე და ირანთან ომი დაიწყო. თეიმურაზის ეს ლაშქრობა შეცდომა იყო. საპასუხოდ ირანის შაჰმა სეფი Iმა თეიმურაზი გადააყენა და ქართლის მმართველად მაჰმადიანი ბაგრატიონი როსტომხანი, ხოლო კახეთის მმართველად ყიზილბაში სელიმხანი დანიშნა და ორივე ირანის ჯარით საქართველოში გამოისტუმრა. თეიმურაზი იძულებული გახდა იმერეთში გადასულიყო, როსტომმა ქართლი 1633 წ. თებერვალში დაიკავა.

დასავლეთი საქართველო და სამცხე-საათაბაგო XVII ს. პირველ მესამედში. დასავლეთ საქართველოში აღნიშნულ ხანაში აღსანიშნავია პოლიტიკური დაშლილობის შემდგომი გაღრმავება. ოდიშისა და გურიის სამთავროებმა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში მოიპოვეს ფაქტობრივი დამოუკიდებლობა. XVII ს. ათიანი წლების ბოლოს კი, იმ ხანებში, როცა შესამჩნევად გაძლიერდა ოსმალეთის აგრესია შავი ზღვის სანაპიროებზე, ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა აფხაზეთიც. მანამდე აფხაზეთი, რომელიც რამდენიმე წვრილი ფეოდალური ერთეულისაგან შედგებოდა, ოდი-შის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. XVII ს. დასაწყისიდან აფხაზეთში დაწინაურდა შარვაშიძეთა ფეოდალური სახლი, რომელმაც შეძლო აფხაზ ფეოდალთა შეკავშირება და აფხაზეთის ოდიშისაგან გამოყოფა. ამი-ერიდან შარვაშიძეები მთავრის ტიტულით მართავდნენ აფხაზეთს, რომლის ცენტრი შეიქმნა ზუფუ (ლიხნი), საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროებს შორის XVII ს. 90-იან წლებამდე მდ. კოდორზე გადიოდა.

მთავრები დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ და იმერეთის მეფეს როგორც ტოლს, ისე განიხილავდნენ. იმერეთის მეფე კი მათ თავის ვასალებად თვლიდა.

XVII ს. 20-იანი წლების დასაწყისამდე დასავლეთ საქართველოს მეფემთავრები ძირითადად შეთანხმებულად მოქმედებდნენ ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ. ისინი მხარს უბამდნენ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დამპყრობთაგან დაცვისა და განთავისუფლებისათვის მებრძოლ ძალებსაც.

1609 წ. გურიის მთავარმა მამია II (1600-1625 წწ.) და ოდიშის მთავარმა მანუჩარ დადიანმა (1590-1611 წწ.) თავდაცვითი ომი განაახლეს ოსმალეთის წინააღმდეგ.

XVII ს. დასაწყისიდან უკრაინის კაზაკობა იწყებს ორგანიზებულ თავდასხმებს ყარიმისა და თურქეთის სანაპიროებზე, აგრეთვე თურქეთის გემებზე, რომლებიც შავ ზღვაზე მიმოდიოდნენ. კაზაკთა მცირე მარბიელი ფლოტილიები დიდ ზიანს აყენებდნენ თურქეთის სავაჭრო და სამხედრო ფლოტს. ისინი თანდათან მნიშვნელოვან ძალად იქცნენ შავ ზღვაზე. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებს და ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში კაზა-კებთან კავშირის შეკვრა უცდიათ. კაზაკებისთვისაც,

როგორც ჩანს, ხელ-საყრელი ყოფილა ქართველებთან ურთიერთობა და კავშირი, რადგან მათ ნავთსაყუდელი და თავშესაფარი სჭირდებოდათ თურქეთის სანაპიროების ახლოს.

წყაროები მიუთითებენ, რომ ყოფილა ცდები ირანის, პოლონეთის, კაზაკების (დნეპრის) და დასავლეთ საქართველოს მეფემთავართა კოალიციის შეკვრისა ოსმალეთის წინააღმდეგ, მაგრამ ანტიოსმალური კოალიცი-ის შექმნის ცდებს რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

XVII საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში, ოსმალეთმა, გურიისა და სამეგრელოს დამორჩილების მიზნით, საქართველოს შავი ზღვის სანაპირო-ების ბლოკადა მოაწყო. შეწყდა მარილისა (იგი უმთავრესად ყირიმიდან შემოჰქონდათ) და რკინის შემოზიდვა. ამ გარემოებამ დიდი სიძნელეები შეუქმნა ორივე სამთავროს. ამ სიძნელეებს ისე შეუწუხებია მთავრები, რომ 1614 წლის გაზაფხულზე თვით მათ გაუგზავნიათ ელჩები სტამბოლში მო-სალაპარაკებლად და ზავის დასადებად. ოსმალეთი ზავის მძიმე პირობებს აყენებდა. დიდი ყოყმანის შემდეგ მთავრები დათანხმდნენ ზავის პირობებს.

1614 წლის 13 დეკემბერს გურიის მთავარი მამია II და ოსმალეთის ელჩის ომერ ფაშას კაცი ერთმანეთს შეხვდნენ ნავსადგურ ბათუმში და ხელი მოაწერეს ზავს, რომლის პირობით გურიამ ოსმალეთის ხარკი იკისრა. თვენახევრის შემდეგ, 1615 წლის თებერვალში დადიანმაც ხელი მოაწერა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას. ამ ზავის პირობით დადიანმაც ოსმალეთის ხარკი იკისრა. ოსმალეთის მოხარკე იყო აფხაზეთიც (ხარკს უმთავრესად იხდიდნენ ტილოს ქსოვილით და ტყვე ქალვაჟებით).

იმერეთიც ოსმალეთის მოხარკე იყო დაახლოებით იმავე ხანებიდან. ეს ხარკი შეადგენდა კომლზე ერთ რუბს (ანუ 1/4 მარჩილს). ამას გარდა, იხდიდნენ რამდენიმე ასეულ არშინ ტილოს და "საჩუქრების" სახით რამდენიმე ათეულ ტყვეს.

მაშასადამე, მთელი დასავლეთი საქართველო ოსმალეთის მოხარკე და მისი ვასალი იყო. მიუხედავად ამისა, სამეფო-სამთავროები შინაგან დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. ხშირად კი დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკასაც აწარმოებდნენ. დასავლეთ საქართველოს მეფემთავრები ერთსულოვნად მოქმედებდნენ შაჰ-აბასის აღმოსავლეთ საქართველოში შემო-სევების დროს. მათ შეიფარეს და დიდი მორალური, მატერიალური მხარდაჭერა აღმოუჩინეს ქართლ-კახეთის გადმოხვეწილ მეფეებს – ლუარსაბსა და თეიმურაზს. მათ არად ჩააგდეს შაჰ-აბასის მუქარაც. მეფეების გაცემის მოთხოვნას მტკიცე უარით დახვდნენ და საომარ სამზადისსაც კი შეუდ-გნენ. დადიანი და გურიელი მონაწილეობდნენ გიორგი მეფის (1604-1639 წწ.) მიერ მოწვეულ იმ თათბირში, რომელიც ურჩევდა ლუარსაბ მეფეს არ წასულიყო შაჰ-აბასთან. 1615 წლის ბოლოს, როცა კახეთში აჯანყება დაიწყო და თეიმურაზი მეფედ მიიწვიეს, გიორგი მეფემ, გურიელმა და დადი-ანმა თავიანთი ჯარებით თეიმურაზი არაგვამდე მიაცილეს.

მას შემდეგ, რაც შაჰ-აბასი ხელმეორედ შემოესია აღმოსავლეთ საქართველოს (1616 წ.) თეიმურაზი კვლავ იმერეთში გადავიდა და მეფემთავართა შორის კავშირის განმტკიცებისათვის ზრუნავდა. მისი ინიციატივით დასავლეთ საქართველოს მეფემთავრებმა რუსეთის ხელმწიფის ვასალობა ითხოვეს. დასავლეთ საქართველოდან 1618 წ. გაგზავნილ ელჩს თან მიჰქონდა თეიმურაზის, გიორგისა და გურიელის წერილები. ისინი რუსეთის მეფეს აცნობებდნენ, რომ ჩვენ

გავერთიანდით და საერთო ძალებით ვიბრძვით ირანის აგრესიის წინააღმდეგ, მაგრამ რადგან ეს ძალები საკმარისი არ არის, გთხოვთ ჯარი მოგვაშველეთო.

ოდიშის სამთავროს ტახტი მანუჩარის შემდეგ დაიკავა მისმა შვილმა ლევან II დადიანმა (1611-1657 წწ.), მაგრამ ლევანის ახალგაზრდობის გამო სამთავროს განაგებდა მისი ბიძა გიორგი ლიპარტიანი. გიორგის მმართველობის დროს ოდიშში მშვიდობიანობა იყო. ქვეყანა მოშენდა და მოსახლეობა მომრავლდა. კეთილი ურთიერთობა ჰქონდა მას იმერეთსა და გურიასთანაც.

მიუხედავად თეიმურაზის მცდელობისა, დასავლეთ საქართველოს მეფემთავართა თანხმობა და კავშირი მალე დაირღვა. ეს დაემთხვა იმ დროს, როცა მთავრის უფლებები ხელში აიღო ლევან II დადიანმა (1620 წ. ახლო ხანები).

პირველად უთანხმოება იმერეთის მეფესა და გურიელს შორის ჩამოვარდა. ამით მოხერხებულად ისარგებლა ლევან დადიანმა და იმერეთის მეფის საწინააღმდეგო კავშირი შეკრა გურიელთან. ამ პოლიტიკურ მიზანს ისახავდა ლევან დადიანის დის მარიამისა და მამია გურიელის ვაჟის სიმონის ქორწინება 1621 წ. ამავე წელს უნდა მომხდარიყო ლევან დადიანი-სა და აფხაზეთის მთავრის შარვაშიძის ასულის ქორწინება, რაც ცხადია, დადიანისა და შარვაშიძის პოლიტიკურ კავშირს მოასწავებდა.

დასავლეთ საქართველოში ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ბანაკი ჩამოყალიბდა. ერთ მხარეს იყო გიორგი იმერთა მეფე, რომელსაც თეიმურაზი უჭერდა მხარს, მეორე მხარეზე კი ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის მთავრები. დასავლეთ საქართველოში თანდათან შფოთი ჩამოვარდა. არქან-ჯელო ლამბერტის სიტყვით, “ამ შფოთმა ნელ-ნელა იზარდა და ბოლოს ისე გადიდდა, რომ არია მთელი ქვეყანა და მოსპო ყოველივე მშვიდობია-ნობა”.

მალე გაფუჭდა ურთიერთობა დადიანსა და შარვაშიძეს შორისაც. კავ-შირის დარღვევის უშუალო საბაბი გახდა ლევანის მიერ თავისი ცოლის, შარვაშიძის ასულ თანურიას გაძევება. მას ქმარმა პირველ ვეზირ პაატა წულუკიძესთან ღალატი დასწამა და ცხვირი მოაჭრა. ლევანი დიდი ჯარით თავს დაესხა აფხაზეთს, მოაოხრა იქაურობა, ცოლი იქ დააგდო, მრავალი ნადავლი წამოიღო და სამეგრელოში მიბრუნდა.

ლევანმა ცოლად შეირთო ჭილაძის ასული დარეჯანი, რომელიც ბიძამისს, სამეგრელოს ყოფილ მმართველ გიორგი ლიპარტიანს წაართვა. ამ საქმემ სამეგრელოში დიდი უკმაყოფილება და შინაური შფოთი გამოიწვია. საქმე ბიძასა და ძმისშვილს შორის ომამდეც კი მივიდა, მაგრამ გი-ორგის უეცარმა სიკვდილმა სამეგრელო იხსნა შინაური შფოთისაგან.

ლევანის მოწინააღმდეგეთა ბანაკი გაიზარდა. ახლა გიორგი იმერთა მეფის გარდა ლევანს აფხაზებიც მტრობდნენ. დადიანის გაძლიერებას გურიის მთავარიც შეუშფოთებია. ამ გარემოებით ისარგებლა დადიანის მიერ დასჯილმა ვეზირმა პაპუნამ და ლევანის წინააღმდეგ ფართო შეთქმულება მოაწყო. ლამბერტის გადმოცემით, ამ შეთქმულების მონაწილენი ყოფილან გიორგი მეფე, შარვაშიძე და გურიელი. შეთქმულების მიზანი ლევანის მოკვლა და მისი ძმის იოსების დადიანად დასმა იყო. თავდასხმა მოეწყო, მაგრამ ლევანი შემთხვევით გადარჩა.

ლევანი სასტიკად გაუსწორდა შეთქმულებს. მას შემდეგ, რაც დასაჯა თავისი ძმა იოსები (“თვალები დათხარა”) და მისი მომხრეები სამეგრელოში, აფხაზეთზე გაილაშქრა, დაარბია იქაურობა, მრავალი ტყვე და ნადავლი იშოვა და ხარკიც კი დაადო (მწევარი ძაღლებისა და სანადირო ფრინველის სახით).

შემდეგ ლევანი თავს დაესხა გურიის მთავარ სიმონს, რომელმაც იმ ხანებში ღალატით მოკლა საკუთარი მამა მამია და თვით გამთავრდა. ლევანმა დაამარცხა სიმონი, ტყვედ შეიპყრო და დააბრმავა იგი. მისი ცოლ-შვილი კი სამეგრელოში წაიყვანა.

ლევანმა გურიის მთავრად მამიას ძმა აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია დასვა (1625-1639 წწ.). ამით მან არა მარტო გურია დაუქვემდებარა თავის გავლენას, არამედ აფხაზეთის კათალიკოსიც მიიმხრო.

ლევანის პოლიტიკური სიძლიერე კიდევ უფრო გაიზარდა. მან იმერეთის დამორჩილებაც გადაწყვიტა. ლევანი წელიწადში რამდენჯერმე ესხმოდა თავს და არბევდა იმერეთს, მიჰქონდა ქონება, მიჰყავდა ტყვეები, რომელთაც შემდეგ ან ფულით თავს ახსნევინებდა, ან ოსმალებზე ჰყიდდა. ლევანმა გაჩანაგების პირზე მიიყვანა იმერეთი.

* * *

რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს, XVII ს-ის პირველ მესამედში სამცხის მთავრები აგრძელებდნენ ბრძოლას ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ. ამ პერიოდში კვლავ გრძელდება ომი ირანსა და ოსმალეთს შორის ამიერ-კავკასიაში გასაბატონებლად. სამცხის მესვეურები ცდილობენ გამოიყენონ ირანსა და ოსმალეთს შორის არსებული დაპირისპირება და აღადგინონ მთავრის ხელისუფლება ვასალობის პირობით. ამ ბრძოლას 1607 წლიდან მანუჩარ II-ის ქვრივი ელენე დედოფალი (მეფე სიმონ I-ის ასული) და მათი ძე მანუჩარ III (1591-1628 წწ.) ხელმძღვანელობენ. ქართველთა და ირა-ნელთა ჯარის დახმარებით 1607 წ. დედოფალმა ელენემ ახალციხე გაანთავისუფლა. ახალციხის განთავისუფლების შემდეგ დედოფალმა ელენემ შაჰ-აბასს სთხოვა, რომ 16 წლის მანუჩარი სამცხე-საათაბაგოს მთავრად ეცნო ვასალობის პირობით. შაჰმა ელენეს თხოვნა დააკმაყოფილა. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ოსმალებმა ისევ დაიპყრეს ახალციხე. მანუჩარი იძულებულია ხან ოსმალეთის მხარეზე იყოს, ხან – ირანისა. 1625 წ. მანუჩარმა მცირე რაზმით მონაწილეობა მიიღო მარაბდის ბრძოლაში ირანელთა წინააღმდეგ და თავიც გამოიჩინა. ეს აქტი ოსმალეთის მთავრობის მიერ შეფასებულ იქნა მანუჩარის ოსმალთა მომხრეობად და როცა მანუჩარი 1625 წ. სტამბოლში ჩავიდა მორჩილების გამოცხადების მიზნით, რათა ქრისტია-ნობით დაემტკიცებინათ სამცხის მთავრად, სულთანმა მანუჩარის თხოვნა დააკმაყოფილა და, ვახუშტის ცნობით, “მისცა ქრისტიანობით ათაბაგობა”. ოსმალეთიდან

დაბრუნებული მანუჩარი ბიძამ, ბექამ, ისტუმრა და მოაწამლინა. ბექამ, საფარფაშას სახელით, თავი ახალციხის გამგებლად გამოაცხადა, რაც სულთანმაც დაადასტურა 1628 წ.

ამიერიდან სამცხე-საათაბაგოს განაგებდნენ გამაჰმადიანებული ჯაყელები, რომელთაც ოსმალეთის სულთანი დანარჩენი საქართველოს წინააღმდეგ წარმატებით იყენებდა.

თავი XXVII. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-50-იან წლებში

კომპრომისი ირანისა და ქართლის ურთიერთობაში. როსტომხანის გამეფება. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის გმირულმა ბრძოლებმა XVII ს. პირველ მესამედში ირანის მესვეურები აიძულა ხელი აეღოთ ქართლ-კახეთის სამეფოების მოსპობის გეგმაზე და კომპრომისის გზას დადგომოდნენ. ეს კომპრომისი გამოიხატა იმაში, რომ ირანი უცვლელად ტოვებდა ქართულ სოციალ-ეკონომიკურ წყობას, ტახტი ბაგრატიონთა დინასტიის ხელში რჩებოდა მაჰმადიანობის პირობითა და "ვალის" ტიტულით. "გურჯისტანის ვალს" ხარკი და საჩუქრები უნდა ეძლია ირანისათვის.

აღნიშნული კომპრომისის გამოხატულება იყო როსტომის მეფობა ქართლში (1633-1658). როსტომს სასტიკი ბრძოლის გადატანა მოუხდა, რათა ქართული ფეოდალური საზოგადოების დიდი ნაწილი თავის მხარეზე გადაეყვანა. ქართული საზოგადოების მეორე ნაწილი, რომელსაც თეიმურაზ I მეთაურობდა, არ ცნობდა როსტომის მეფობას და სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას განაგრძობდა.

სანამ მეფე გახდებოდა, როსტომს ხოსრომირზას (ანუ ქაიხოსრო ბატონიშვილის) სახელით იცნობდნენ. იგი იყო სიმონ I-ის ძმის, დავითის (დაუდხანის) "უკანონო" შვილი. როსტომი დაიბადა დაახლოებით 1565 წ. ისპაანში. აღიზარდა ირანშივე, თავიდანვე მუსლიმანი იყო და, შეიძლება ითქვას, გასპარსებულიც. მიუხედავად ამისა, ქართული ენა კარგად იცოდა და საქართველოს საქმეებსაც კარგად იცნობდა. როსტომი ერთხანს სიღარიბეში ცხოვრობდა. იგი წამოუწევია გიორგი სააკაძეს ირანში ყოფნის დროს. როსტომს ეს გარემოება ერთ თავის სიგელში საგანგებოდ აქვს აღ-ნიშნული: "გიორგი მოურავი ჩვენზე და საქართველოზედაც დიდად ნამსახური იყო".

ხოსრომირზამ შაჰის კარზე თავი გამოიჩინა თავისი გონიერებით, სიმამაცით და მის სამსახურში დაწინაურდა. იგი მალე შაჰის გვარდიის – ყულის ჯარის – სარდალი გახდა. ხოსრომირზა, როგორც ირანის ყულარაღასი და ისპაანის მოურავი, დიდი გავლენით სარგებლობდა მთელ ირანში. როცა შაჰ-აბასი გარდაიცვალა, როსტომმა ყულის ჯარის დახმარებით შაჰ-აბასის შვილიშვილი შაჰ-სეფი ირანის ტახტზე დასვა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა ხოსრომირზას ავტორიტეტი ირანში. შაჰი მისი გავლენის ქვეშ მოექცა. ასეთ ვითარებაში (მას შემდეგ, რაც თეიმურაზი ირანს აუჯანყდა), რა თქმა უნდა, ხოსრომირზასთვის ძნელი არ იყო ქართლის ტახტის შოვნა, რაზედაც იგი დიდი ხანია ოცნებობდა.

როსტომი ქართლში გამეფებისას 67 წლისა ყოფილა. მისი საქმიანობა გამოირჩეოდა დიდი ენერგიულობით, გონიერებითა და ტაქტით. საერთოდ, როსტომი ჭკვიანი, ნიჭიერი და მამაცი

კაცი ყოფილა. ამასთანავე საკმაოდ ეშმაკი და ცბიერიც. ვახუშტის დახასიათებით, როსტომი “საქმით ხუანჯიანი, სოფლის ფრიად ჭკუიანი” იყო.

ქართულ საბუთებში როსტომი თავის თავს “მეფეთმეფესა და პატრონს” უწოდებს, ისე როგორც ჩვეულებრივ იწოდებოდნენ ქრისტიანი მეფეები. ირანის შაჰის ოფიციალურ საბუთებში კი როსტომი ასეა მოხსენიებული: “ჩემი ძმა ქართლის ვალი როსტომხანი”. ეს ნიშნავს იმას, რომ ქართველების თვალსაზრისით როსტომი მეფეა, რომელიც თავს ირანის ვა-სალად აღიარებს, შაჰის თვალსაზრისით კი ქართლი ქვეშევრდომი ტერიტორიაა და როსტომი როგორც ვალი, ირანის შაჰის მოხელეა. როსტომის გამეფებით ირანისა და ქართლის პოლიტიკურ ურთიერთობაში ახალი ვითარება შეიქმნა. ირანის მთავრობა ცნობდა ბაგრატიონის მეფობას მაჰმადიანობის პირობით, ხოლო ქართლის მაჰმადიანი მეფე ირანის ვასალად და მოხელედ აღიარებდა თავს. ასეთი მდგომარეობა თითქმის ასი წელი გაგრძელდა.

XVII ს. ირანში სულ ოთხი ვალი (არაბისტანის, ლურისტანის, გურ-ჯისტანის და ქურთისტანის) ყოფილა, რომელნიც ადგილობრივ მემკვიდრეობით დინასტიას ეკუთვნოდნენ და ბეგლარბეგებთან, ხანებთან და ირა-ნის სხვა მოხელეებთან შედარებით მეტი დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ქართლის ვალი კი ირანის სხვა ვალისაგანაც განსხვავდებოდა, რადგან შაჰმა ვერ მოახერხა ქართლის მიწების გამოცხადება ირანის დივა-ნის (სახელმწიფოს) მიწებად.

რაც შეეხება კახეთს, იქ სხვაგვარი ვითარება შეიქმნა. ირანის მთავრობა თავიდანვე დიდი მონდომებით ცდილობდა კახეთის სახანოდ გადაქცევას. ჯერ კიდევ 1616 წ. დანიშნეს კახეთში ყიზილბაში ფეიქარხანი რომელიც, როგორც არაადგილობრივი დინასტიის წარმომადგენელი, იწოდებოდა მხოლოდ მმართველად და მთლიანად ირანზე იყო დამოკიდებული. როსტომის დროსაც კახეთში გამოგზავნილი ხანი სელიმი მმართველ ხანად იხსენიებოდა (ასე იწოდებოდნენ კახეთის შემდგომი ყიზილბაში ხანებიც). ამასთანავე, კახეთის სამეფოს შემოსავალი, ქართლისაგან განსხვავებით, ირანის სახელმწიფო შემოსავალში იყო აღრიცხული. მიუხედავად ამისა, არსებითად უცვლელი დარჩა კახეთის შინაგანი წყობილება (სამამულო სისტემა და სხვ.).

ქართლში შემოსვლის უმალ როსტომმა, თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ქართლის ციხეების გამაგრებას მიაქცია ყურადღება. თბილისში მანამდეც ყიზილბაშური გარნიზონები იდგა. როსტომმა შეაკეთებინა გორისა და სურამის ციხეები და იქ ყიზილბაშთა გარნიზონები ჩააყენა. ამით მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად განმტკიცდა.

როსტომმა შემდეგ სამოხელეო აპარატი განამტკიცა. თეიმურაზის მი-ერ დანიშნული მოხელეები გადააყენა და თავისი ერთგულები დანიშნა. ამას გარდა, “თანმოყოლილ თავადთა და აზნაურთა თავიანთ მამული უბოძა”. ჩვენამდე მრავლად მოუღწევია 1633-1634 წლებში გაცემული სახელოებისა და მამულების ბოძების წიგნებს. როსტომი თავისი ხელისუფლების დასაყრდენის განმტკიცებას ცდილობდა და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია.

როსტომს მემკვიდრე არ ჰყავდა. მას საქართველოში ჩამოსვლისთანავე ცოლად შეურთავს გორჯასპი აბაშიშვილის ასული ქეთევანი. რომელიც, როგორც ჩანს, მალე გარდაცვლილა. მემკვიდრის საკითხი ძალიან აწუხებდა როგორც როსტომს, ისე მის მომხრეებს. ამის გამო ახალი

დედოფლის შერჩევისათვის ზრუნვა ქეთევანის გარდაცვალებისთანავე – იმავე 1633 წელს – დაუწყიათ. საგანგებო თათბირს ქართლის დედოფლად ლევან დადიანის და მარიამი აურჩევია. ამ არჩევანს პოლიტიკური მოსაზრებები ედო საფუძვლად. როგორც ცნობილია, თეიმურაზი, რომელიც იმერეთის მეფის მოყვარე იყო, ირანელთა წინააღმდეგ მთელი თავისი ხანგრძლივი ბრძოლის მანძილზე მხარდაჭერას დასავლეთ საქართველოში და განსა-კუთრებით იმერეთში პოულობდა. როსტომის საქართველოში შემოსვლის დროსაც თეიმურაზი დახმარებას იმერეთიდან მოელოდა, მაგრამ ეს დახმარება ვერ მიიღო, რადგან სწორედ იმ დროს ლევან დადიანი თავს და-ესხა იმერეთს. ამ ფაქტს კარგად უნდა დაენახვებინა როსტომისა და მისი მომხრეებისათვის, რომ დადიანთან დამოყვრებას და მასთან კავშირს დიდი მნიშვნელობა ექნებოდა თეიმურაზის წინააღმდეგ ბრძოლაში.

როსტომმა ლევან დადიანს მოციქულები გაუგზავნა თბილელი ეპის-კოპოსის მეთაურობით და მარიამი სადედოფლოდ სთხოვა. დადიანმა თანხმობა განაცხადა.

ამ მოლაპარაკების დროს დადიანის ირანთან პოლიტიკური დაკავშირების საკითხებიც განუხილავთ. დადიანისთვის უაღრესად ხელსაყრელი ჩანდა ირანთან კავშირი. ერთი მხრივ, მას ირანი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოადგებოდა, მეორე მხრივ კი, როსტომი დადიანს იმერეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა. რაც შეეხება როსტომს, მისთვის ხელსაყრელი იყო დადიანთან კავშირი. მას შემდეგ, რაც ირანმა აღმოსავლეთ საქართველო ასე თუ ისე დაიმორჩილა, დღის წესრიგში დასავლეთ საქართველო დგებოდა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქართლის მეფი-სა და ოდიშის მთავრის დამოყვრებას ოსმალეთში უარყოფითი რეაქცია გამოუწვევია.

ამ ქორწინებას, ეტყობა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თვით როსტომიც, რაც იქიდან ჩანს, რომ დადიანთან დამოყვრების დასტური ირანის შაჰისათვის უთხოვია. მას, როგორც ირანის ერთგულ “ყმადნაფიცსა” და ვასალს, საგარეო კავშირების დამოუკიდებლად წარმოების უფლება არ ჰქონდა. ფ. გორგიჯანიძის გადმოცემით, ირანის მთავრობას მოუწონებია როსტომის ნაბიჯი და მისთვის ძვირფასი საქორწილო საჩუქრებიც გამო-უგზავნია ირანის დიდი მოხელის, შირვანის ბეგლარბეგის ფარუხანის ხელით.

მექორწინეებმა პაემანი საჩხეიძოში, ბაღდადთან, კაკას ხიდზე დანიშ-ნეს. გასაგებია, რომ იმერეთის მეფე, თეიმურაზ I და გურიელი დადიანისა და როსტომის გაძლიერებაში საფრთხეს ხედავდნენ ამიტომ საჩხეიძეოში დადიანს ბრძოლა გაუმართეს. დადიანმა ამ ბრძოლაში გაიმარჯვა. დაატყვევა იმერთა მეფე გიორგი, თეიმურაზმა კი გაქცევით უშველა თავს. როსტომმა საცოლე გადმოიყვანა თბილისში და ქორწილი გადაიხადა.

როსტომმა დადიანს გადასცა შაჰის მიერ გამოგზავნილი საჩუქარი 50 000 მარჩილი, თან ისიც აცნობა, რომ შაჰს “წელიწადში ათასი თუმანი ჯამაგირი გაეჩინა დადიანისათვის”. ამ “ჯამაგირით” დადიანი ირანის ხელდებული და როსტომის მოკავშირე ხდებოდა. ამ ამბავს, ისქანდერ მუნშის გადმოცემით, მალე მოჰყოლია დადიანის მიერ ირანში ელჩის გაგზავნა.

როსტომი, რომელიც უმთავრესად ყიზილბაშთა ძალას ეყრდნობოდა, დიდი მონდომებით ცდილობდა ურჩ თავადთა უფლებების შეზღუდვასა და ცენტრალური ხელისუფლების

განმტკიცებას. როსტომის ცდებმა მალე ფეოდალთა უკმაყოფილება გამოიწვია. პირველი აჯანყდა არაგვის ერისთავი დათუნა. ერისთავი არაგვის ხეობაში შევიდა და გამაგრდა. რამდენიმე ხნის შემდეგ როსტომმა შერიგების საბაბით იგი მუხრანს მიიწვია და ღალატით მოაკვლევინა. შემდეგ როსტომი არაგვის საერისთავოში შეიჭრა და მთლად ააოხრა იქაურობა. მაგრამ დათუნას ძმა, ზაალი, რომელიც დათუ-ნას მოკვლის შემდეგ მისმა მომხრეებმა "გააერისთავეს", ხელთ ვერ ჩაიგდო. ზაალმა თუიმურაზ მეფეს კაცი გაუგზავნა საფიცრის წიგნებით და მეფედ მიიწვია. თეიმურაზმაც არ დააყოვნა და დიდოეთის გზით ანანურს მივიდა. აქედან ზაალ ერისთავის, იასე ერისთავისა და კახი თავადების დახმარებით როსტომზე გაილაშქრა. ბრძოლა სასტიკი იყო. ორივე მხარე თავგამოდებით იბრძოდა. რამდენიმე შეტაკებაში თეიმურაზმა წარმატება-საც მიაღწია, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა, იძულებული გახდა ქართლს გასცლოდა და კახეთში გადავიდა. სელიმხანი, რომელსაც მოსაბრუნში (ლაგოდეხის რაიონში) სასახლე აეგო და იქ დამდგარიყო, გააძევა და 1634 წ. კახეთი დაიკავა.

ამ დროს როსტომს ყიზილბაშთა მაშველი ძალა მოუვიდა. ქართველთა და ყიზილბაშთა ჯარით მან კახეთს შეუტია. თეიმურაზს მძიმე მდგომარეობა შეექმნა და შერიგება გადაწყვიტა. როსტომმა ლაშქრობა მოშალა და ქართლში დაბრუნდა.

როსტომმა თეიმურაზთან შერიგების ამბავი შაჰს აცნობა. იმ ხანებში ოსმალეთის დიდი ლაშქარი თვით სულთან მურად IV-ის სარდლობით ირანზე შეტევისათვის გამზადებულიყო. ირანს საქართველოს საქმეებისათვის არ ეცალა. ასეთ ვითარებაში თეიმურაზის წინადადება სიხარულით მიუღია და როსტომისათვის უბრძანებიათ: თეიმურაზის ქალი თინათინი ირანში გაეგზავნა.

როსტომმა თინათინი კახელი თავადების ამალითა და თავისი ვეზირის აღა მოინას თანხლებით ირანში გაგზავნა. შაჰმა თინათინი ცოლად შეირთო. თეიმურაზს კი საჩუქრები და შეწყალების "რაყამი" გამოუგზავ-ნეს. ამგვარად, შაჰმა კვლავ ოფიციალურად ცნო ქრისტიანი თეიმურაზი კახეთის მეფედ.

ბრძოლა თეიმურაზსა და როსტომხანს შორის. ერთხანს მართლაც მშვიდობიანობა ჩამოვარდა თეიმურაზსა და როსტომს შორის. როსტომმა შეირიგა ქართლის თავადები: ორივე ერისთავი, იოთამ ამილახორი და სხვები. მაგრამ, მშვიდობა მალე დაირღვა. თეიმურაზი კვლავ დიდი მონდომებით ცდილობდა როსტომის გაძევებასა და ქართლის ტახტის და-ჭერას. ამ საქმეში მას მხარს უჭერდა ქართლის თავადთა ერთი ჯგუფი ნოდარ ციციშვილისა და ზაალ ერისთავის მეთაურობით. მათ რამდენჯერმე მოაწყვეს გამოსვლა როსტომის წინააღმდეგ (1636, 1639 წლებში), მაგრამ ისინი მარცხით დამთავრდა. შეთქმულებმა ერთხელ როსტომის ღალატით მოკვლაც მოინდომეს აბანოში, მაგრამ შემთხვევამ აქაც იხსნა იგი.

როსტომისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში თეიმურაზი საგარეო მოკავშირესაც ეძებდა. 1635 წ. ე. ი. იმ წელს, როცა თეიმურაზი ირანს შეურიგდა, მან ელჩები გაგზავნა რუსეთში და სამხედრო დახმარება ითხოვა. რუსეთიდან ამჯერადაც საჩუქრები და დაპირება მოუვიდა. თანაც კვლავ მოსთხოვეს რუსეთის მეფისადმი ერთგულების ფიცი. თეიმურაზმა ესეც შეასრულა (1639 წ.), მაგრამ სასურველი შედეგი არც ამას მოჰყოლია.

თეიმურაზმა საგანგებო ლაშქრობა მოაწყო დიდოეთს ჩრდილოეთის გზის გახსნის მიზნით, რათა რუსეთის ჯარს საქართველოში გადმოსვლის საშუალება ჰქონოდა, როგორც ბერი ეგნატაშვილი გადმოგვცემს, “სწადდა იქიდამე რუსეთის გზის შოვნა და ზურგის მობმა რუსეთის Ãელმწიფისა-გან და მუნითგან რუსის ჯარის მოსვლა”. დიდოელებს სხვა დაღესტნელი ფეოდალებიც მიეშველნენ და თეიმურაზი დაამარცხეს. მას ძვირად დაუჯდა ეს ლაშქრობა და ვერც გზა გახსნა.

თეიმურაზი დიდ იმედებს ამყარებდა ოსმალეთის მიერ ირანის წინა-აღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაზე, რომელიც 1635 წელს დაიწყო და დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ მისთვის სასურველი შედეგი არც ამ ლაშქრობას მოჰყოლია. 1639 წელს ზავი დაიდო ირანსა და ოსმალეთს შორის, რომლის მიხედვითაც აღდგენილ იქნა 1555 წლის ზავი – ე. ი. აღმო-სავლეთი საქართველო ირანს ერგო, დასავლეთი კი ოსმალეთს. რაც შეეხება სამცხეს, იგი მთლიანად ოსმალეთის ტერიტორიად იქნა ცნობილი (გან-სხვავებით 1555 წლის ზავისა, როცა სამცხეც შუაზე გაიყო). ამ ზავმა, რომელიც 1723 წლამდე არ დარღვეულა, დიდი ხნით დააკანონა საქართველოს პოლიტიკური გათიშულობა. ირანი და ოსმალეთი ხელს უშლიდნენ იმიერ და ამიერ საქართველოს მეფემთავართა შეკავშირებას, არ სურდათ, რომ ამით მათი დამპყრობლური ინტერესები შელახულიყო.

თეიმურაზს მისი სიძე ალექსანდრე იმერთა მეფე ვერ მიეშველა. მას ლევან დადიანის ყაჩაღური თავდასხმებისაგან თავის დაცვაც უჭირდა და სხვისი დახმარება სადღა შეეძლო.

დაუღალავი თეიმურაზი მაინც არ გატყდა. კახეთისა და ქართლის თავადთა ერთი ჯგუფის დახმარებით დაჟინებით ცდილობდა როსტომის გაძევებას და ქართლის დაჭერას. მისი სანუკვარი ოცნება იყო გაერთიანებული ქართლ-კახეთის ტახტი და ირანის ბატონობის თავიდან მოცილება.

1642 წელს დიდი შეთქმულება მოეწყო როსტომის წინააღმდეგ. შეთქმულებაში მონაწილეობდნენ: ზაალ ერისთავი, იოთამ ამილახორი, ნოდარ ციციშვილი, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე (მისი სიძე იყო თეიმურაზის ვაჟი დავითი), გიორგი გოჩაშვილი, რევაზ ბარათაშვილი, სომხითის მელიქი ყორხმაზბეგ და სხვა. შემთქმულების მიზანი იყო როსტომის მოკვლა და თეიმურაზის ქართლში გამეფება.

გადამწყვეტ მომენტში შეთქმულება გასცა სომხითის მელიქმა. როსტომი გორის ციხეში გამაგრდა. თეიმურაზმა, რომელიც უკვე მეტეხს მი-სულიყო, გაიგო შეთქმულების გაცემა და კახეთს გაბრუნდა. ქართლელი შეთქმულებიდან ზოგი – რევაზ ბარათაშვილი, ივანე სააკაძე – გადაიხვეწა. ზოგი – გოჩაშვილი, კათალიკოსი, ზურაბ სააკაძე, ერისთავისშვილი ლარგველი როსტომმა შეიპყრო, გოჩაშვილსა და ზ. სააკაძეს თვალები დასთხარეს, კათალიკოსი ჯერ თბილისის ციხეში დაატყვევეს, მერე კი სიკვდილით დასაჯეს. ასე სასტიკად გაუსწორდა შეთქმულებს როსტომი.

ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, როსტომს ირანის შაჰისთვის მიუწერია თეიმურაზისა და ქართლის თავადთა ახალი აჯანყების შესახებ. მოთმინებიდან გამოსულმა შაჰმა დიდი ჯარი შეჰყარა, ადამ სულთან ანდრონიკაშვილი, როსტომ მეფის დისწული სარდლად დანიშნა და

საქართველოში გამოგზავნა, როსტომს კი შემოუთვალა: “ბატონი თეიმურაზი გააგდონ და მის ალაგზედ კახეთში ადამ სულთანი გააბატონონო”.

ყიზილბაშთა დიდი ჯარი კახეთში შევიდა. როგორც ჩანს, თეიმურაზი და მისი მომხრე თავადები: ნოდარ ციციშვილი და ზაალ ერისთავი შეშფოთებულან და როსტომისათვის შერიგება უთხოვიათ. როსტომი ზა-ალს შეურიგდა იმ პირობით, რომ იგი ირანში წავიდოდა. ზაალი დათანხმდა. ზაალი და ნოდარი მეფესთან მივიდნენ და “ფეხს აკოცეს”. მან ნოდარს საციციანო დაუბრუნა. ზაალი კი ცოტა მოგვიანებით ირანში წავიდა. მას თან გაჰყვა ხელახლა შემორიგებული იოთამ ამილახვარიც. რაც შეეხება თეიმურაზს, როგორც ჩანს, როსტომს იგიც “შეუნდვია”, რადგან კახეთში ლაშქრობა მოშალეს და “ადამ სულთანი ერანის ლაშქრით ისრევ დააბრუნეს” უკან (ფ. გორგიჯანიძე).

არც ეს შერიგება გამოდგა ხანგრძლივი.

1648 წ. შაჰის მითითებით როსტომი ქართლისა და ყიზილბაშის ჯარით კახეთს შეესია. დამარცხდა თეიმურაზი, რომელიც თიანეთს იყო. დამარცხდა კახეთის მეორე რაზმიც, რომელიც ქიზიყში შეება ყიზილბაშებს. აქ მოკლეს თეიმურაზის ვაჟი დავითი და თეიმურაზის მომხრე ბევრი კახელი თავადი. ერთადერთი ვაჟის, დავითის სიკვდილი დიდი დანაკლისი იყო თეიმურაზისა და მისი მომხრეებისათვის. თანამედროვეთა აზრით, დავითი “განთქმული იყო თავის სიმამაცით და გამბედაობით” (მოჰამედ თაჰერი).

დამარცხებული თეიმურაზი მისმა მომხრე კახელებმაც მიატოვეს. თე-იმურაზის მიერ წარმოებული ბრძოლების შედეგად კახეთის ბარი გადაშე-ნების პირზე იყო მისული. ამ გარემოებამ კახელ თავადებს გული გაუტეხა და როსტომთან შერიგების გზას დაადგნენ. ამაში უთუოდ კახეთის ტახტის მემკვიდრის დაღუპვამაც გარკვეული როლი შეასრულა. თეიმურაზი უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

როსტომს თეიმურაზის დაპატიმრებას სთავაზობდნენ სწორედ ის კახელი თავადები, რომლებმაც თეიმურაზთან ერთად გადაიტანეს ყიზილბა-შების წინააღმდეგ მრავალწლიანი ბრძოლების მთელი სიმძიმე. თეიმურაზი ფაქტობრივად უკვე ტყვე იყო, მას გაქცევის საშუალება აღარ ჰქონდა. მი-უხედავად ამისა, როსტომმა თეიმურაზის დაპატიმრება არ ინდომა, პირიქით, მატერიალური დახმარება გაუწია და იმერეთში გადასასვლელი გზა დაანება.

ბუნებრივად ისიმის კითხვა: რატომ დაზოგა როსტომმა თეიმურაზი, რომელიც 14 წლის განმავლობაში ებრძოდა მას ქართლის ტახტისათვის და მრავალი აჯანყება და შეთქმულება მოუწყო? სწორედ თეიმურაზის წყალობით ხომ რამდენჯერმე ბეწვზე ეკიდა როსტომის სიცოცხლე.

საფიქრებელია, რომ როსტომის საქციელი უნდა აიხსნას არა მისი “რაინდობით” არამედ უფრო სხვა და ღრმა მიზეზებით. ჭკვიანი პოლიტი-კოსი როსტომი, ეტყობა, კარგად გრძნობდა, რომ თეიმურაზის ენერგიული ბრძოლა ირანის წინააღმდეგ რამდენადმე განაპირობებდა შაჰის შედარებით ლოიალურ პოლიტიკას ქართლისა და თვით როსტომისადმი. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ თეიმურაზი აღარ იქნებოდა და კახეთში ყიზილბაში ხანი დაჯდებოდა, ირანი როსტომისაგან უფრო მეტს მოითხოვდა – ე. ი. ეცდებოდა ქართლიც, კახეთის მსგავსად, სახანოდ გადაექცია და

შესაძლოა თვით როსტომიც – ყიზილბაში ხანით შეეცვალათ. შაჰის გადაწყვეტილება – გადაეცა კახეთი როსტომისათვის, უთუოდ იმან განა-პირობა, რომ თეიმურაზი შეპყრობილი არ იყო და მას კიდევ ჰქონდა სა-შუალება ბრძოლის გაგრძელებისა. ასეთ ვითარებაში შაჰისათვის როსტომი ყველაზე მეტად სასურველი კანდიდატი იყო, რომლის ზომიერი პოლიტი-კა როგორც ირანისათვის, ისე ქართველებისათვის ასატანი იყო.

სწორედ ამაშია თეიმურაზის ბრძოლის მნიშვნელობა. მისმა შეური-გებლობამ ირანი აიძულა დათმობაზე წასულიყო და როსტომს საშუალება მისცა მშვიდობიანი გზით ეკეთებინა ის საქმე, რომლის გაკეთებასაც თეიმურაზი იარაღით ცდილობდა.

შაჰმა კახეთიც როსტომს უბოძა. იგი უკვე “ქართლისა და კახეთისა ორისავე მპყრობელ მეფეთმეფე Ãელმწიფე პატრონად” იწოდება. ამიერიდან ქართლ-კახეთში მშვიდობა ჩამოვარდა. შეწყდა გაუთავებელი აჯანყება-შეთქმულებები. თეიმურაზისა და როსტომის ბრძოლა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს: “როსტომმა სწორედ იმით გაიმარჯვა, რომ ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა. როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივსა და სამეურნეო წყობას არ შეხებია... არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს ქართლში აშკარა დევნას”.

ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ როსტომი და ქართველები აღმშენებლობით მუშაობას შეუდგნენ.

თეიმურაზი დამარცხდა, მაგრამ ბრძოლის შეწყვეტას მაინც არ აპირებდა. ის დიდი გულმოდგინებით ცდილობდა იმერთა მეფე ალექსანდრეს და ლევან დადიანის შერიგებას. ამით მას როსტომის წინააღმდეგ მოკავშირეთა მოპოვება უნდოდა. თეიმურაზი ლევან დადიანს ესტუმრა, მაგრამ უშედეგოდ დამთავრდა ყველა ცდა ზავი ჩამოეგდო იმერეთსა და ოდიშს შორის. ამ ზავის გარეშე კი ალექსანდრესაც არ შეეძლო თეიმურაზს მიშველებოდა, რადგან როგორც ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს, “მეფე ალექსანდრე თუ იმერეთით დაიძვრებოდა, დადიანი იმერეთს ჩამო-უდგებოდა”. დადიანის ალაგმვა კი ალექსანდრემ ვერ შეძლო.

იმ დროს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი იყო. ამდენად, თეიმურაზს არც ოსმალეთის დახმარების იმედი უნდა ჰქონოდა, მის ერთადერთ იმედად ისევ რუსეთი რჩებოდა.

ურთიერთობა რუსეთთან. როსტომის მეფობის ბოლო წლები. თეიმურაზის აგიტაციის შედეგად იმერეთის მეფემ გადაწყვიტა ელჩი გა-ეგზავნა რუსეთის ხელმწიფისათვის და მისი მფარველობა ეთხოვა, იმერეთის ელჩს თეიმურაზმა თავისი ელჩიც გააყოლა და ისინი 1649 წლის 13 აგვისტოს მოსკოვში ჩავიდნენ. თეიმურაზი რუსეთის მეფეს სთხოვდა 20 000-იანი არმიის გამოგზავნას საქართველოში. თანაც თავისი უფროსი შვილიშვილის ლუარსაბ დავითის ძისთვის მეფის დის ხელი და ფინანსური დახმარება სურდა. იგი ეტყობა ითვალისწინებდა რუსეთის კარის შე-საძლო უარს ჯარის გამოგზავნაზე. ასეთ შემთხვევაში თეიმურაზი რუსეთს სთხოვდა დიპლომატიური ზეგავლენა მოეხდინა ირანის შაჰზე, რომ ამ უკანასკნელს მისთვის კახეთი დაებრუნებინა.

იმერეთის მეფე რუსეთის მფარველობაში მიღებას და დადიანის წინა-აღმდეგ დონელი კაზაკების გამოგზავნას სთხოვდა. ასეთ შემთხვევაში, თუ დადიანი დაკავებული იქნებოდა

კაზაკებთან ბრძოლით, იმერეთი მოისვე-ნებდა დადიანის გაუთავებელი გამაჩანაგებელი ლაშქრობებისაგან და ალექსანდრეს საშუალება ექნებოდა თეიმურაზს მიშველებოდა.

მაგრამ რუსეთს ამჯერადაც არ აღმოაჩნდა საქართველოს საქმეებში ჩარევის საშუალება. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, თითქმის მთელი XVII ს-ის მანძილზე, ამიერკავკასიის საკითხი მეორე პლანზე იყო გადაწე-ული, რადგან საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა ჩრდილოეთისა და დასავლეთის საზღვრების მოწესრიგება იყო. რუსეთის სავაჭრო ინტერესები ირანთან (იგი აბრეშუმს აწვდიდა რუსეთს) კარგი ურთიერთობის შენარჩუ-ნებას მოითხოვდა.

1650 წლის 10 ივნისს რუსეთის მთავრობამ თეიმურაზთან და ალექ-სანდრესთან საპასუხო ელჩობა გამოგზავნა ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსი იევლევის მეთაურობით. მათ თან გამოყვნენ თეიმურაზ-ალექსანდრეს ელჩებიც, რომლებმაც საჩუქრები და დაპირებები ჩამოიტანეს. ჯარი ვერც თეიმურაზს მიაშველეს და ვერც ალექსანდრეს მიერ ნათხოვნი კაზა-კები გაგზავნეს დადიანის წინააღმდეგ (ასეთი აქტი თურქეთს თავის საქმეებში ჩარევად მიაჩნდა. რუსეთი კი, როგორც ჩანს, ამას ერიდებოდა). რაც შეეხება ალექსანდრეს თხოვნას ვასალად მიეღო რუსეთის მეფეს, მოწონება გამოუწვევია რუსეთში და ელჩებიც დიდი მონდომებით ცდილობდნენ ალექსანდრეს სათანადო ფიცი მიეღო. ასეთი ფიცი დადებული იქნა და ხელი მოაწერეს მას ალექსანდრემ და მისმა დიდებულებმა 1651 წ. 9 ოქტომბერს.

1652 წ. როსტომ მეფემაც გაგზავნა ელჩი რუსეთში. ჩვენ მასალების უქონლობის გამო არ ვიცით ამ ელჩობის მიზეზი, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ირანთან იყო შეთანხმებული და მისი მთავარი მიზანი კვლავ თეიმურაზის იზოლირება უნდა ყოფილიყო.

საქართველოს საკითხებით რუსეთის უფრო დაინტერესების მიზნით თეიმურაზმა თავისი ერთ-ერთი შვილიშვილი ერეკლე 1653 წელს რუსეთში გაგზავნა. ამ აქტს რუსეთში მოწონებით შეხვდნენ. ამავე მიზნით უნდა იყოს მოწყობილი თუშფშავხევსურთა ელჩობა მოსკოვში XVII ს. 50-იან წლების შუა ხანებში. ამით ისინი ცდილობდნენ რუსეთის მეფისათვის ეჩვენებინათ, რომ თეიმურაზი სულ გაგდებული არაა საქართველოდან, მას საქართველოს მთიანეთის ნაწილი მაინც ეკუთვნის.

1658 წ. თვით თეიმურაზი გაემგზავრა მოსკოვში დახმარების სათხოვ-ნელად. იგი დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ დამხმარე ჯარზე კვლავ უარი უთხრეს. იმედგაცრუებული თეიმურაზი იმერეთში ჩავიდა. გზაზე, სარატოვში, თავისი უფროსი შვილიშვილის – ლუარსაბის სიკვდილი აცნობეს. იმერეთში ჩასულს კი დედოფალი ხორეშანიც გარდაცვლილი დახვდა (1660 წ.). ყველაფერმა ამან გაუტეხელი თეიმურაზიც გატეხა, სასოწარკვეთილმა პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი აიღო და ბერად აღიკვეცა (1661 წ.).

თეიმურაზი ერთხანს სკანდის ციხეში ცხოვრობდა “ფრიად უპოვარი”, შემდეგ, ვახტანგ Vმ ეს ციხე აიღო და თეიმურაზი მისი საპატიო ტყვე შეიქმნა. მალე თეიმურაზი მისივე სურვილით და დიდი ამალის თანხლებით ირანში გაემგზავრა, რათა შაჰს ხლებოდა.

როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს: “ეს ირანის დიდი გამარჯვება იყო. მტერს დამორჩილდა სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი ბრძოლის მესაჭე. საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისითაც რუსეთის თავდადებული მომხრის შაჰისადმი

დამორჩილება ირანის დიდი წარმატება იყო. ამდენადვე ეს იყო ამიერკავკასიაში მოსკოვის მეფის საგარეო პოლიტიკის მარცხი”.

თეიმურაზი ირანში დიდი პატივით მიიღეს, მაგრამ მალე, მას შემდეგ, რაც შაჰის მიერ დაბარებული ერეკლე ბატონიშვილი ირანში არ ჩავიდა (იგი ამ დროს თუშეთში იმყოფებოდა და კახეთის ტახტის დაჭერას ცდილობდა), თეიმურაზს გაურისხდნენ და ასტრაბადის ციხეში დაამწყვდიეს, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1663 წელს 74 წლის ასაკში. იგი საქართველოში ჩამოასვენეს და ალავერდის მეფეთა სასაფლაოზე დაკრძალეს.

როსტომ მეფის მდგომარეობაც არ იყო სახარბიელო. მას მემკვიდრე არ ჰყავდა, რაც მომავალი საშინაო შფოთის საწინდარი იყო. მემკვიდრის არჩევის რამდენიმე ცდა როსტომს მარცხით დაუმთავრდა. თავადების რჩევით, 30-იან წლებში როსტომს მემკვიდრედ გიორგი იმერთა მეფის ვაჟი მამუკა აურჩევია. იგი იმ დროს დადიანის მიერ გაგდებული ყოფილა იმერეთიდან და თავს სამცხეში აფარებდა. იგი ქართლში გადმოჰყავდათ, როცა შეთქმულება გახსნილა: თავადებს როსტომის მოკვლა და მამუკას გამეფება გადაეწყვიტათ. ამის შემდეგ მისი მემკვიდრედ დანიშვნა უარყოფილ იქნა.

შემდეგ, 1642 წელს, როსტომმა შვილად და მემკვიდრედ აიყვანა ლუ-არსაბ I-ის შვილიშვილის შვილი ლუარსაბი, რომელიც ირანში იყო აღზრდილი და გასპარსელებული. ამ აქტმა თავადების უკმაყოფილება და აჯანყება გამოიწვია. 1652 წელს, ნადირობისას შემთხვევით ტყვია მოხვდა ლუარსაბს და დაიღუპა. ფარსადან გორგიჯანიძის აზრით, იგი როსტომის ფარულმა მტრებმა მოკლეს.

1653 წელს როსტომის მემკვიდრედ ამორჩეულ იქნა ბაგრატიონების გვერდითი შტოს, მუხრანბატონების, წარმომადგენელი ვახტანგი. იგი ამ მიზნით 1654 წ. ირანში გაიგზავნა, სადაც გაამაჰმადიანეს, მემკვიდრედ და-ამტკიცეს, ქართლის გამგებლად დანიშნეს და საქართველოში დააბრუნეს.

ღრმად მოხუცებული როსტომი ბოლოს ავადმყოფობდა და ქართლის საქმეებს ვახტანგი განაგებდა. როსტომი 1658 წ. გარდაიცვალა. იგი ირანში წაასვენეს და ყუმში დაასაფლავეს.

ქართლის მეფობა ირანის შაჰმა ვახტანგ მუხრანბატონს (მეფობაში შაჰნავაზს) უბოძა.

სახალხო აჯანყება კახეთში 1660 წ. კახეთის გაუტეხლობამ და თეიმურაზ მეფის დაუცხრომელმა საქმიანობამ ირანის წინააღმდეგ, რაც მის მიერ რუსეთთან კავშირის გაძლიერებაში გამოიხატა (შვილიშვილის რუსეთში გაგზავნა, შემდეგ მისი მოსკოვში ჩასვლა, თეიმურაზის მოკავშირის იმერეთის მეფის ალექსანდრეს მცდელობა რუსეთთან დაახლოებისათვის, თუშფშავხევსურების ელჩობა რუსეთში და სხვ.), კვლავ გააცოცხლა ირანში შაჰ-აბას I-ის ძველი გეგმა, რომელიც კახეთის მოთხრას – იქ თურქმანების ჩასახლებას და სახანოს შექმნას – ისახავდა მიზნად. 1656 წ. როსტომს კახეთი ჩამოართვეს და კვლავ განჯის ხანს, სელიმს დაუქვემდებარეს.

გადაწყვეტილი იყო კახეთში ჩაესახლებინათ თურქმანთა 15000 ოჯახი. შიდა და გარე კახეთის საუკეთესო მიწები მათთვის უნდა გაენაწილებინათ და ეს მომთაბარემეჯოგე მოსახლეობა მიწაზე დაემაგრებინათ, რომ "ხვნათესვას, შენებას და დასახლებას შედგომოდნენ".

შაჰ-აბას მეორეს (1642-1666) სახსრები არ დაუზოგავს თურქმანთა გადასახლებისა და მათი დაცვის ორგანიზაციისათვის. ამ საქმის მოწყობა შაჰს ირანის ყულარაღასისა და სარდალ ალავერდი ხანისათვის დაუვალებია. მასვე დაევალა კახეთში სამი ციხის აგება, რომელთა გარნიზონებს უნდა დაეცვა თურქმანები ქართველთა თავდასხმებისაგან. ციხეების ასაშე-ნებლად კახეთში გაუგზავნიათ ხუროთმოძღვარი, კალატოზები, მშენებელი მუშები და საჭირო ფული.

ირანელებმა ალავერდის მონასტრის გალავანი ციხესიმაგრედ გადააკეთეს და შიგ ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენეს.

ბახტრიონის ციხე, როგორც ჩანს, პირველად ალავერდიხანის ხელმძღვანელობით აშენდა ალაზნის მარცხენა ნაპირზე მდებარე პატარა სოფელ ბახტრიონში. ციხე, რომლის სიგრძე ას მეტრს აღემატებოდა, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობისა იყო. იგი კონტროლს უწევდა კახეთის მთიანეთიდან ბარში ჩამომავალ გზებს და ალაზნის ზემო წელში დასახლებულ თურქმენებს მთიელთა თავდასხმებისაგან იფარავდა.

მესამე ციხე უნდა იყოს ყარაღაჯი, რომელიც XVII ს. კახეთის ყიზილბაში ხანების რეზიდენციას წარმოადგენდა.

ციხეების აგების შემდეგ კახეთი ჩამოართვეს განჯის მმართველს სელიმხანს და ორად გაყვეს. კახეთის დიდი ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე ყარაბაღის ბეგლარბეგს მურთუზ ყულიხანს, ხოლო დანარჩენი ნახ-ჩევანის მმართველს ალი ყულიხან ქენგერლუს გადაეცა. დასახელებულ ხანებს დაევალათ მათზე დაქვემდებარებული ელების კახეთში გადაყვანა. ამ დიდი ღონისძიებების შედეგად კახეთის ბარის ადგილებში დაახლოებით 80 ათასამდე თურქმანი ჩაასახლეს.

მომთაბარე ელები ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ და ვრცელი საძოვარი ველები სჭირდებოდათ. კახეთის კულტურულ მეურნე-ობას, ძირითადად მევენახეობას, გადაშენების საფრთხე დაემუქრა. ასეთი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა მთიანეთის მოსახლეობაც, რომელიც ბარის პურითა და ღვინით, ბარის საზამთრო საძოვრებით ირჩენდა თავს. ამას ემატებოდა ყიზილბაშ მეციხოვნეთა სიმკაცრე და თავხედობა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ.

კახეთში საყოველთაო უკმაყოფილება ჩამოვარდა. უკმაყოფილო იყო არა მარტო ბარისა და მთის მშრომელი მოსახლეობა, არამედ ფეოდალთა წრეებიც, რომელთაც ხელიდან ეცლებოდათ საკუთარი ყმამამული.

სახალხო მოძრაობა ელების წინააღმდეგ მათი ჩამოსახლებისთანავე დაიწყო. მთიელთა, განსაკუთრებით თუშების, პარტიზანული გუნდები თავს ესხმოდნენ როგორც ელებს, ისე ყიზილბაშ მეციხოვნეებს. ქართულ ხალხურ საისტორიო პოეზიაში დაცული ცნობების მიხედვით ამ მოძრაობის ბელადი ყოფილა სახალხო გმირი ზეზვა გაფრინდაული.

შეთქმულებისა და აჯანყების იდეაც, რომელსაც ფეოდალებმაც დაუჭირეს მხარი, ხალხის დაბალ წრეებში დაბადებულა.

ხალხის წარმომადგენელი იყო თურქმანებისაგან შეურაცხყოფილი ის ხუცესი, რომელიც დუშეთში ეახლა ზაალ ერისთავს, დაუჩოქა და შესჩივლა: “გააოÃრეს სრულიად კახეთი ურჯულოთა აგარიანთა... და აწ ამისი მაგიერი პასუხი ღმერთს შენ მიეც და შენ უნდა გასცე, ვინათგან შენდა რწმუნებულ არს კახეთიო”.

ზაალ ერისთავმა, რომელსაც მოსახლეობის ფართო წრეებმა, მათ შორის ფეოდალებმაც, დაუჭირეს მხარი, აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა ითავა. თუმცა აჯანყების დაწყების შემდეგ მას აშკარა მონაწილეობა ბრძოლაში არ მიუღია, აჯანყების უშუალო ხელმძღვანელები და ორგანიზატორები კი იყვნენ თეიმურაზ I-ის თანამებრძოლი ბიძინა ჩოლოყაშვილი, ალავერდელი ეპისკოპოსი, შალვა ქსნის ერისთავი და მისი ძმა ელიზბარი. აჯანყების ერთ-ერთი მოთავე და ორგანიზატორი იყო თუში ზეზვა გაფრინდაული. აჯანყების აქტიური მონაწილენი იყვნენ ხევსური ნადირა ხო-შარაული, ფშავი გოგოლაური და სხვ.

დიდმა განსაცდელმა ფეოდალური საზოგადოების ყველა ფენა გააერთიანა. სამშობლოს დასაცავად აღსდგა მთელი კახეთის მოსახლეობა. აჯანყებას მხარი დაუჭირა ქართლმაც.

არაგვის ლაშქარი ზაალ ერისთავის ვაჟის ზურაბის სარდლობით და ქსნის ერისთავის ჯარი შალვასა და ელიზბარის მეთაურობით თიანეთის გზით ახმეტაში ჩავიდნენ. ნაქერალას მთაზე მოგროვდა თუშფშავხევსურთა ლაშქარიც. კახეთის ბარის ლაშქარი ბიძინა ჩოლოყაშვილის წინამძღოლობით ალავერდს მიუახლოვდა. აჯანყებულთა რაზმებმა თითქმის ერთდროულად ბახტრიონსა და ალავერდს შეუტიეს.

ქართველთა ლაშქარი ბახტრიონის ციხის გალავანში შეიჭრა. ყიზილბაშ მეციხოვნეთა დიდი ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, სხვები გაიქცნენ და თავშესაფარებლად ალავერდის ციხეს მიაშურეს.

ამასობაში კახელებს ალავერდის ციხე აეღოთ, იქიდან გამოქცეული მტერი ბახტრიონისაკენ მირბოდა თავშესაფარებლად. ლტოლვილები ალვა-ნის მინდორზე შეეფეთნენ ერთმანეთს. სწორედ იქ მიუსწრეს მათ ქართველებმა და მტერს მუსრი გაავლეს, იმ ადგილს, სადაც ეს მოხდა, ხალხი ახლაც “გაწყვეტილას” ეძახის.

შემდეგ აჯანყებულებმა სხვა ადგილებში დასახლებულ თურქმანებს შეუტიეს და “ამოწყვიტეს დედაწულითურთ”, ელების ნაწილი დაიფანტა და გაქცევით უშველა თავს.

ქართველებმა გაიმარჯვეს. კახეთი გადაურჩა გადაშენების საფრთხეს.

აღსანიშნავია, რომ აჯანყებულები აღჯაყალის ციხეს, სადაც კახეთის ერთი ნაწილის მმართველი მურთუზ ყულიხანი იჯდა, თავს არ დაესხნენ, მიზეზი წყაროებში ნათლად არ ჩანს. საფიქრებელია, რომ ეს ხერხი იყო აჯანყებულებისა. აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი ზაალ ერისთავი, უარყოფდა რა აჯანყებაში მონაწილეობას, შაჰის კარზე გაგზავნილ არზებში აჯანყების მიზეზად კახეთის მეორე ნაწილის მმართველის ალი ყულიხან ქენგერლუს “ცუდ ქცევას” ასახელებდა. შაჰის მიერ დანიშნულმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ ზაალი აჯანყების მოთავე

იყო, დასაჯეს კიდეც, მაგრამ ალი ყულიხან ქენგერლუც გადააყენეს, რადგან შაჰის კარზე “საეჭვოდ მიიჩნიეს ალი ყულიხანის ქცევა”. მთელი კახეთი მურთუზ ყული ხანს დაუმორჩილეს. ეს იყო ერთგვარი დათმობა კახეთის პატრიოტები-სადმი. შაჰს ახალი დამსჯელი ექსპედიციის გამოგზავნის თავი აღარ ჰქონდა. კახეთის გმირულმა ბრძოლამ აიძულა შაჰი ხელი აეღო თავის საზარელ გეგმაზე.

მას შედმეგ, რაც აჯანყების უახლოესი მიზანი – თურქმანების განდევნა – მიღწეული იყო და ირანიც იძულებული გახდა უკან დაეხია, მურთუზ ყულიხანმა შეძლო აჯანყებულთა გათიშვა და დაქსაქსვა. მან მრავალი ფეოდალი გადაიბირა და შაჰს დაუმორჩილა. ამ გარემოებამ შე-უძლებელი გახადა აჯანყების შემდგომი წარმატება, ირანელთა ბატონობის საბოლოო მოსპობა და მეფობის აღდგენა.

აჯანყების მთავარი ორგანიზატორი ზაალ ერისთავი, შაჰის ბრძანებით, ვახტანგ Vმ მოაკვლევინა ზაალისავე ძმისწულებს. ზაალის შვილები კი შეიპყრეს და შაჰს გაუგზავნეს. ამის შემდეგ აჯანყების სხვა მეთაურებიც გატყდნენ. ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ერისთავები შაჰს მიუვიდნენ და პატიება ითხოვეს. მათი მიზანი იყო კახეთისათვის აეცილებინათ ყიზილბაშთა ახალი შემოსევა. შაჰმა ისინი თურქმანთა ტომებს გადასცა, გმირები საშინელი წამებით დახოცეს1.

გადმოცემის მიხედვით, ბიძინა ჩოლოყაშვილი ევროპელ კათოლიკე-ებს ფარულად დაუკრძალავთ, შალვასა და ელიზბარის ცხედრები კი, რამდენიმე ხნის შემდეგ გმირების ქვრივებს სამშობლოში ჩამოუსვენებიათ და ერისთავების საგვარეულო მონასტერში, იკორთაში დაუკრძალავთ.

რაც შეეხება ზეზვა გაფრინდაულსა და მის თანამებრძოლებს, რო-გორც ხალხური საისტორიო პოეზია მოწმობს, ერთხანს კიდევ განაგრძობდნენ პარტიზანულ ომს კახეთში დარჩენილი ყიზილბაშების წინააღმდეგ და დიდ ზიანსაც აყენებდნენ მტერს.

როგორც ჩანს, ზეზვასაც ის ბედი უნდა სწვეოდა, როგორც მის თა-ნამემამულეებს – შალვას, ელიზბარს და ბიძინას. ქართულმა ფეოდალურმა ისტორიოგრაფიამ სახალხო გმირი თავის ისტორიაში არ შეიყვანა, სამაგიეროდ, ხალხმა ზეზვას მრავალი ლექსი და სიმღერა უძღვნა, რითაც სამუდამოდ უკვდავყო მისი სახელი.

1660 წელს სახალხო აჯანყების შედეგად კახეთის მოსახლეობა გადა-ურჩა ფიზიკურ გადაშენებას, მაგრამ ირანის ბატონობა საბოლოოდ მაინც ვერ იქნა უკუგდებული. თავისუფლებისათვის ბრძოლა კვლავ გრძელდებოდა.

თავი XXVIII. დასავლეთ საქართველო XVII საუკუნის 30-50-იან წლებში

ფეოდალური შინაომები. ლევან II დადიანი. როგორც უკვე აღი-ნიშნა, როსტომ მეფემ და ლევან დადიანმა 1633 წელს შეკრეს კავშირი, რაც მიმართული იყო თეიმურაზისა და გიორგი მეფის წინააღმდეგ. ამასთანავე, ლევანი ირანის ხელდებული გახდა – შაჰისაგან ყოველწლიურ ჯამაგირს იღებდა. ამ კავშირს, რომლის პირველი აქტიც როსტომ მეფისა და მარიამის ქორწინება იყო, გიორგი იმერთა მეფისა და დადიანის ომი მოჰყვა. გიორგი დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა

ლევანს. მან ორი წელი ტყვეობაში დაჰყო (1634-1635 წწ.). ამ ხნის განმავლობაში იმერეთის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე მოლაპარაკებას აწარმოებდა დადიანთან გიორგი მეფის განთავისუფლების თაობაზე. ხანგრძლივი მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრდა. გიორგი მეფის განთავისუფლების საფასურად დადიანმა მიიღო ტერიტორია მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე – ჭილაძეებისა და მიქელაძეების მამულები. ამით ოდიშის სამთავროს საზღვარმა, რომელიც ცხენისწყალზე გადიოდა, მდინარის აღმოსავლეთით გადაიწია, დადიანისავე მოთხოვნით, მთლიანად აყარეს ქ. ჩხარში მოსახლე სომეხი ვაჭრები, რომლებიც ლევანმა ზუგდიდის მახლობლად რუხში დაასახლა. გარდა ამისა, ლევანმა მიიღო დიდძალი ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი, იარაღი, აგრეთვე თვალმარგალიტი.

გიორგი მეფის დატყვევებამ და შემდეგ მისი გამოხსნისათვის გაღებულმა მსხვერპლმა დიდად დააზიანა იმერეთის სამეფო როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად – შესამჩნევად დაეცა იმერეთის მეფის ავტორიტეტი დასავლეთ საქართველოში. დიდი ზიანი მიადგა იმერეთის სამეფოს თავდაცვისუნარიანობასაც. დადიანმა ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე გაბატონებით მნიშვნელოვანი სტრატეგიული დასაყრდენი გაიჩინა თვით იმერეთის სამეფოს ტერიტორიაზე, რომელსაც უკვე აღარ იცავდა ბუნებრივი საზღვარი – მდ. ცხენისწყალი. ამის გამო იყო, რომ დადიანი დიდი წარმატებით თარეშობდა ქვემო იმერეთში და ფაქტობრივად მიტაცებული ჰქონდა მთელი ტერიტორია ქუთაისამდე.

ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი მეფეს დიდხანს არ უცოცხლია, 1639 წ. გარდაიცვალა და იმერეთის ტახტი მისმა პირმშომ ალექსანდრე IIIმ (1639-1660 წწ.) დაიკავა.

ლევან დადიანის ირანთან დაკავშირებამ გამოიწვია ოსმალეთის აგრე-სიის გაძლიერება დასავლეთ საქართველოსადმი. ოსმალეთს ლევანის დას-ჯა იმის გამოც უნდოდა, რომ იგი ადრე თავშესაფარს აძლევდა დონელ კაზაკებს, რომლებიც თურქეთის სანაპიროებსა და მის ფლოტს არბევდნენ. ხანდახან კაზაკები საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებსაც არბევდნენ. 1634 წლის მაისში ოსმალებმა დიდი სამხედრო-საზღვაო დესანტი გადმოსხეს კოდორთან. მათ ააოხრეს და გაანადგურეს კოდორის მიმდებარე რაი-ონები და დრანდის მონასტერი. 1635 წელს, როცა თურქეთის დიდი არმია სულთან მურად IV-ის მეთაურობით აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შეიჭრა და ერევანს მიადგა, მან ლევან დადიანს უბრძანა მონაწილეობა მიეღო მის ლაშქრობაში, მაგრამ ლევანმა უარი შეუთვალა. ლევანმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, რომ ოსმალეთის გაბატონება აღმოსავლეთ კავკასიაში დიდ საფრთხეს შეუქმნიდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს და განსაკუთრებით ოდიშს. უთუოდ უსიამოვნო ფაქტი იყო დადიანისათვის ისიც, რომ 1634 წ. თეიმურაზ Iმა კვლავ შეძლო კახეთის ტახტის და-ჭერა და ენერგიულად იბრძოდა ლევანის მოკავშირე როსტომის ქართლიდან გასაძევებლად. დადიანს გართულებული მდგომარეობა ჰქონდა ახალციხის ფაშასთან და დასავლეთ საქართველოს მეფემთავრებთანაც (იმერეთი, აფხაზეთი, სვანეთი). ასეთი ვითარების შედეგად უნდა მისულიყო ლევან დადიანი იმ გადაწყვეტილებამდე, რომ დაკავშირებოდა რუსეთს და დახმარება მიეღო მისგან.

ლევან დადიანმა მოსკოვში ელჩად გაგზავნა თავისი კარის მღვდელი გაბრიელ თედორეს ძე გეგენავა, რომელიც 1636 წ. 11 აგვისტოს უკვე თერ-გის ციხესიმაგრეში მივიდა. აქ ის თითქმის

ორი წელი გააჩერეს, ელოდ-ნენ ნებართვას მოსკოვში გაშვების შესახებ. 1638 წლის 16 ნოემბერს ის უკვე მოსკოვში, საელჩო “პრიკაზში” იყო. დადიანი რუს ხელმწიფეს სწერდა, რომ დიდი ხანია გადაწყვეტილი აქვს ემსახუროს მას მაგრამ აქამდე ვერ მოახერხა ამ სურვილის ასრულება. ლევანი ხელმწიფეს სთხოვდა გამოეგზავნა ელჩები და მიეღო იგი თავის მფარველობაში. წერილში მეტი არაფერია ნათქვამი, მაგრამ, როგორც სხვა მასალებიდან ჩანს, ლევანის მიზანი ყოფილა მიეღწია იმისათვის, რომ რუსეთის მეფე დახმარებოდა მას ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ და აეკრძალა კაზაკებისათვის სამეგრელოს სანაპიროების რბევა.

საფიქრებელია, რომ დადიანის მიერ გაგზავნილ ელჩობას კიდევ სხვა, არანაკლები მნიშვნელობის მიზანიც უნდა ჰქონოდა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1635 წ. თეიმურაზმა ელჩი გაგზავნა რუსეთში და ირანისა და მისი აქაური წარმომადგენლის – როსტომ მეფის წინააღმდეგ დახმარება ითხოვა. თავისთავად იგულისხმება, რომ თეიმურაზის ეს ელ-ჩობა როსტომისა და დადიანის, როგორც მოკავშირეების, წინააღმდეგაც იყო მიმართული. ამდენად, დადიანის ელჩობის ერთ-ერთი მიზანი სწორედ თეიმურაზის იზოლირება უნდა ყოფილიყო. ეს მით უფრო სავარაუდებელია, რომ დადიანის ელჩი მოსკოვში იმ დროს ჩავიდა, როცა თეიმურაზის ელჩი ჯერ კიდევ იქ იყო და ბევრს ცდილობდა, რათა დადია-ნის ელჩობა ჩაეშალა.

დადიანის ელჩი გეგენავა სამი წლის შემდეგ, 1639 წ. ნოემბერში დაბრუნდა ოდიშში. მას თან ჩამოჰყვა რუსეთის ხელმწიფის მიხეილ თედორეს ძის ელჩები ფეოდოტ ელჩინი და პავლე ზახარიევი. რუსთ ხელმწიფის საპასუხო წერილში გამოთქმული იყო კმაყოფილება ლევანის ინიციატივის გამო და მას მფარველობას აღუთქვამდნენ. ფეოდოტ ელჩინს თან მოჰქონდა ფიცის წიგნის ნიმუში იმ შემთხვევისათვის, თუ დადიანი რუსთ ხელმწიფის ერთგულების ფიცის მიღების სურვილს გამოთქვამდა. მაგრამ რუს ელჩებს ასეთ შემთხვევაშიც კი არ უნდა მიეცათ ლევანისათვის რაიმე კონკრეტული დაპირება დახმარების თაობაზე.

რუსეთის ელჩებს საკმაოდ ცივად დახვდნენ ოდიშში. ამის მიზეზი უთუოდ ისიც იყო, რომ თვით დადიანის ელჩი, რომელიც თერგის ციხე-სიმაგრეში თითქმის ორი წელიწადი გააჩერეს, ძალიან ცივად და უპატი-ოდ მიიღეს მოსკოვში. მთავარმა მგლოვიარედ ყოფნა მოიმიზეზა (დარე-ჯან დედოფალი გარდაიცვალა 1639 წ. 1 ივლისს) და ელჩები მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ მიიღო (1640 წ. 27/IV-სა და 18 V-ს). თან უსაყვედურა მათ, რომ მისი ელჩი “სამი წელი ტყვეობაში ჰყავდათ”. ლევანს არავითარი სურვილი არ გამოუჩენია ხელმწიფის ერთგულებაზე დაფიცებისა. 1640 წ. 19 მაისს რუსი ელჩები ოდიშიდან რუსეთს დაბრუნდნენ. ასე უშედეგოდ დამთავრდა ლევანის ცდა რუსეთთან კავშირის დამყარებისა.

ლევან დადიანს არც ალექსანდრე III-ის მეფობაში შეუწყვეტია იმერეთის წინააღმდეგ ბრძოლა. იგი თითქმის ყოველ წელს თავს ესხმოდა და აწიოკებდა იმერეთის მოსახლეობას.

ალექსანდრე მეფემ ისღა მოახერხა, რომ ქუთაისს ზღუდე მოავლო და ციხესიმაგრეს შეაფარა თავი. მან თავისთან მიიწვია დიდებულებიც ცოლ-შვილით, რათა ისინი დადიანის მხარეზე არ გადასულიყვნენ. მაგრამ ლევანი მაინც არ დაცხრა. ლევანმა ერთი ფრანგი ხელოსნის დახმარებით, რომელიც მასთან ტყვეობაში იმყოფებოდა, ოცდაათიოდე ზარბაზნისაგან შექმნა არტილერია. ოდიშის მთავარი დიდი ჯარითა და არტილერიით შემოადგა ქუთაისს, მართალია

ქალაქი ვერ აიღო და ვერც მეფე შეიპყრო, მაგრამ დიდი ზიანი კი მიაყენა ქალაქს არტილერიის ცეცხლით.

განსაკუთრებით დიდი თავდასხმა მოაწყო ოდიშის მთავარმა იმერეთზე 1646 წ. თებერვალში. დადიანი დიდძალი ჯარით შეესია იმერეთს: გადაწვა ქ. ჩიხორი, დაანგრია ქ. ჩხარი, მიწასთან გაასწორა სოფლები და მრავალი ტყვე წაასხა.

ოდიშელთა მარბიელი ლაშქრობების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას ცდილობდა ალექსანდრეს უმცროსი ძმა მამუკა ბატონიშვილი, რომელიც ჭკვიანი, ენერგიული და მამაცი ახალგაზრდა ყოფილა. მან ამ საქმეში გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. მამუკა მცირე რაზმებით უსაფრდებოდა დადიანის ლაშქარს და დიდ ზიანს აყენებდა მას. მაგრამ მალე მას ბედმა უმტყუნა – ერთ-ერთ ბრძოლაში ტყვედ ჩაუვარდა დადიანს. მამუკა ბატონიშვილის შეპყრობა დიდი დანაკლისი იყო იმერეთისათვის, ალექსანდრე მეფე ეცადა მის განთავისუფლებას. მისი თხოვნით თეიმურაზი, რომელიც 1648 წ. ჩავიდა იმერეთში, რამდენჯერმე ეწვია კიდეც დადიანს ზუგდიდში. მისი მიზანი მამუკას განთავისუფლება და მეფემთავრის შერიგება იყო. ასეთ შემთხვევაში თეიმურაზი მათი დახმარებით კახეთის ტახტის დაბრუნებას აპირებდა. მაგრამ ყველა ცდამ ამაოდ ჩაიარა. ალექ-სანდრე მეფემ მამუკას გასათავისუფლებლად თავისი ერთადერთი ვაჟი ბაგრატიც კი გაიმეტა. იგი მძევლად გაუგზავნა დადიანს, მაგრამ ვერაგმა მთავარმა არათუ მამუკა გაათავისუფლა, ბაგრატიც აღარ გამოუშვა უკან და დიდი ხნით თავისთან დაიტოვა.

როცა ცხადი შეიქმნა, რომ შეუძლებელი იყო დადიანისა და ალექ-სანდრე მეფის შერიგება და თეიმურაზიც დასავლეთ საქართველოდან ვერავითარ დახმარებას ვერ მიიღებდა, თეიმურაზმა და ალექსანდრე მეფემ რუსეთს სთხოვეს დახმარება როსტომისა და დადიანის წინააღმდეგ (1649-1651 წწ.). ალექსანდრე რუსეთის ხელმწიფეს დადიანის წინააღმდეგ კაზაკების გამოგზავნას სთხოვდა (ცოტა ადრე ლევანი იმავე ხელმწიფეს კაზაკებისაგან დაცვას ევედრებოდა). როგორც უკვე აღინიშნა, არც ამ ელჩობას მოჰყოლია რაიმე შედეგი.

თეიმურაზისა და ალექსანდრეს ღონისძიებათა პასუხად გაბოროტებულმა მთავარმა გააძლიერა იმერეთის რბევა. ერთ-ერთი თავდასხმის დროს გადაწვა და ააოხრა ქ. ქუთაისი. სასტიკად გაუსწორდა ლევანი მამუკა ბატონიშვილსაც. მისი ბრძანებით მამუკას თვალები დასთხარეს ციხე-ში, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1653 წ. დეკემბერს.

მამუკა ბატონიშვილის ულმობელ სიკვდილს ძალიან შეუწუხებია იმდროინდელი ქართული საზოგადოება როგორც დასავლეთ საქართველო-ში, ასევე აღმოსავლეთ საქართველოშიც და არა მარტო დადიანის მტრები, არამედ მისი მოკავშირენიც კი. ამ ფაქტში შეიძლება დავინახოთ იმდრო-ინდელი ფეოდალური საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ლევან დადიანის მარბიელი ლაშქრობებისადმი, აგრეთთვე მთავრის საქციელისა და მისი სიმკაცრის საერთო გაკიცხვა. ლევანის მარბიელი ლაშქრობების გაკიცხვა ოდიშის მოსახლეობის ფართო ფენების მიერ ფიქსირებული აქვთ რუს ელჩებს ჯერ კიდევ 1640 წ. გლეხის “წინასწარმეტყველების” სახით. ტრადიციული საეკლესიო დღესასწაულზე ერთ მოხუც გლეხს, რომელიც წმ. გიორგის

სახელით ლაპარაკობდა, “უწინასწარმეტყველებია”, რომ, თუ ლევანი კიდევ ილაშქრებს იმერეთზე, ბრძოლაში დაიღუპებაო.

ოდიშის მთავარს გამუდმებული ომები ჰქონდა აგრეთვე აფხაზეთის მთავართან. ეს ომი დაიწყო 20-იანი წლების ბოლოს, მას შემდეგ, რაც ლევანი გაეყარა პირველ მეუღლეს, აფხაზეთის მთავრის ასულს. დადიანმა თავისი ყოფილი მოკავშირე რამდენჯერმე დალაშქრა და ხარკიც დაადო. 30-იანი წლების დასაწყისში ოდიშის მთავარმა ორჯერ ილაშქრა აფხაზეთ-ში და დიდი ზიანი მიაყენა მას. მაგრამ არც აფხაზეთის მთავარი და აფხაზი ფეოდალები რჩებოდნენ ვალში. ისინიც ხშირად ესხმოდნენ თავს ოდიშის სოფლებს, ძარცვავდნენ ელკესიებს, მიჰყავდათ ტყვეები და სხვა.

განსაკუთრებით გაძლიერდა აფხაზ ფეოდალთა თავდასხმები ოდიშზე 40-იან წლებში, სწორედ იმ დროს, როცა ოდიშის მთავარი იმერეთთან ბრძოლით იყო დაკავებული. დადიანმა აფხაზი ფეოდალების შემოტევის შესაჩერებლად სიმაგრეთა მთელი სისტემა შექმნა აფხაზეთის საზღვარზე. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი წერს, “ანაკოფიის აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე, შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმა, აფხაზთა გამოუსვლელობისათÂს”. ამ კედელს, რომელშიც შიგადაშიგ დატანებული იყო ხის კოშკები, მორიგეობით იცავდნენ ოდიშის თავადებისა და ეპისკოპოსების ჯარები. იმ დროს ოდიშში მყოფი მისიონერის ა. ლამბერტის მოწმობით “თითოეული თითო თვეს იცავს ამ ადგილებს თავის კაცებით”. ამ დიდ ღონისძიებათა გატარების შედეგად დადიანმა დროებით შეძლო აფხაზ ფეოდალთა შემოტევების შეჩერება.

დასავლეთ საქართველო ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ. 1657 წ. 17 მარტს ლევან დადიანი უეცრად გარდაიცვალა. დასავლეთ საქართველოს ძარცვითა და მრავალი ასეული კაცის ოსმალეთში გაყიდვით ლევანმა დიდძალი ქონება დააგროვა. ამ ქონებით მან ოდიშში მრავალი სასახლე და ეკლესია ააშენა თუ განაახლა. მან ეკლესიას შესწირა ბევრი ოქროვერცხლი და ხატები, რომლებზედაც დაწვრილებით აღწერა თავისი მძარცველური თავდასხმები მეზობელ სამფლობელოებზე. ლევანმა ერთგვარად ხელი შეუწყო ვაჭრობამრეწველობის გამოცოცხლებასაც, მაგრამ ყველაფერი ეს არ იყო ქვეყნის შინაგანი ძალების განვითარების შედეგი და, ამდენად, არ აუმჯობესებდა მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების პირობებს, რომელთა ერთი ნაწილი ფეოდალებთან ერთად ტყვედ მიჰყავდათ ოსმალებს. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ნაწილებს, განსაკუთრებით კი იმერეთს, დადიანმა მათ სრული ეკონომიკური გაჩანაგება მოუტანა.

ლევან დადიანის გაუთავებელმა მარბიელმა ლაშქრობებმა უკიდურე-სად გააღრმავა ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობაც. XVII საუკუნის 60-ია-ნი წლებიდან დასავლეთ საქართველოში სრული პოლიტიკური ანარქია გაბატონდა, დაეცა ქვეყნის ეკონომიკა, რასაც შედეგად მოჰყვა ოსმალთა ბატონობის გაძლიერება. ეს გამოიხატა იმაში, რომ 1669 წ. ქუთაისის ციხე-ში ოსმალთა დიდი გარნიზონი იქნა ჩაყენებული. დადიანის პოლიტიკი-სათვის დამახასიათებელი იყო ის გარემოებაც, რომ იგი მონაწილეობას არ იღებდა და არავითარ დახმარებას არ უწევდა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას ყიზილბაშ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამდენად, ლევანის მთელი მოღვაწეობა რეაქციონერი ფეოდალის მოღვაწეობად უნდა შეფასდეს.

ლევან II-ს პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩენია. მთავრის ტახტი დაი-კავა ლევანის ძმისწულმა ლიპარიტ იესეს ძემ. მის წინააღმდეგ გამოვიდა ვამიყ ლიპარტიანი (ლევანის მეორე ცოლის დარეჯანის შვილი პირველი ქმრის გიორგი ლიპარტიანისაგან). ამ გარემოებით ისარგებლა ალექსანდრე იმერთა მეფემ და დიდი ლაშქრით შეიჭრა ოდიშში, განდევნა ლიპარიტი და მთავრად დასვა ვამიყი. იმერეთისა და ოდიშის საზღვრად ალექსანდრემ ნაცვლად მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირისა, უნაგირას მთა დადო. მან ხელთ იგდო აგრეთვე ლევანის საგანძური, რომლის ერთი უკეთესი ნაწილი თავისთვის წამოიღო, მეორე კი ვამიყს დაუტოვა. ალექსანდრემ გავლენიან თავადთა შვილები მძევლებად წაიყვანა, რითაც ვამიყის მდგომარეობა განამტკიცა.

მაგრამ ლიპარიტი არ შერიგებია ბედს. მან დახმარება სთხოვა ქართლის მეფე როსტომს და ახალციხის ფაშას. მათგან მცირე დამხმარე ჯარები მიიღო. ლიპარიტს მიეშველა აგრეთვე ქაიხოსრო გურიელი და ჭილაძემიქელაძენი. ლიპარიტისა და ალექსანდრევამიყის ჯარები ბანძას შე-ებნენ ერთმანეთს (1658 წ. ივნისი). ლიპარიტი ბრძოლაში დაიღუპა, გამარ-ჯვება ალექსანდრე მეფეს დარჩა. ალექსანდრემ ოდიშის მთავრად ვამიყი აღადგინა, გურიელად კი ქაიხოსროს მაგივრად დემეტრე სვიმონის ძე დასვა. ამით კვლავ აღდგა დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფის ჰე-გემონობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1660 წ. მარტში ალექსანდრე მეფე გარდაიცვალა და დასავლეთ საქართველოში შინაფეოდალური ომები კვლავ განახლდა.

თავი XXIX. ვახტანგ V და საქართველოს გაერთიანების ცდები. ფეოდალური ანარქია დასავლეთ საქართველოში (60-90-იანი წლები)

ვახტანგ V შაჰნავაზი. ვახტანგ V-ის, ანუ შაჰნავაზხანის (1658-1675 წწ.) მეფობა აღმოსავლეთ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებით და საქართველოს გაერთიანებისაკენ მიმართული ღონისძიებებით აღინიშნა.

როსტომის გარდაცვალების შემდეგ ირანის შაჰმა აბას IIმ ქართლის მეფედ (“ვალად”) ვახტანგი, შაჰნავაზხანი, დაამტკიცა.

ვახტანგმა, შაჰის ბრძანებით, ცოლად შეირთო მარიამ დედოფალი. როსტომ მეფის ქვრივი. იმ დროს ვახტანგი ცოლშვილიანი იყო. მას ცოლად ესვა ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილის ასული როდამი. ვახტანგსა და როდამს ექვსი ვაჟი – არჩილი, გიორგი, ალექსანდრე, ლევანი, ლუარ-საბი, სოლომონი და ორი ქალი – ანუკა და თამარი ჰყავდათ. ანუკა შაჰ-აბას IIმ შეირთო ცოლად, თამარი კი გივი ამილახვრის მეუღლე იყო. ვა-ჟებიდან ალექსანლრე ირანში იზრდებოდა შაჰის კარზე.

ვახტანგის გამეფებით ქართლში დასაბამი მიეცა ბაგრატიონების უმცროსი შტოს – მუხრანბატონების – მეფობას. მუხრანბატონების დინასტი-ის წარმომადგენელნი, მათ შორის ვახტანგიც, გამოირჩეოდნენ ქართული მწერლობისა და ისტორიის კარგი ცოდნით, საერთოდ ისინი განათლებული მოღვაწეები იყვნენ და ქართული კულტურის განვითარებას ხელს უწყობდნენ. ვახტანგი მუსლიმანი იყო, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. არ-სებითად ის ხელს

უწყობდა ქარისტიანული ეკლესიის გაძლიერებას. ქრისტიანული ეკლესია კი მაშინ დიდ როლს ასრულებდა მაჰმადიანურ სახელმწიფოთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში (ისე კი, ხშირად ქრისტიანი ქართველები დიდი ხალისით იბრძოდნენ მუსულმან აზერბაიჯანელებთან ერთად საერთო მტრის – ირანელ და თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ).

ვახტანგისა და მისი მემკვიდრეების ირგვლივ შემოკრებილი იყო ქართველ პატრიოტ მოღვაწეთა დიდი დასი. "თავადების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფო, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული წინსვლი-სათვის ხელის შეწყობა ამ დასის საშინაო სამოქმედო პროგრამას შეადგენდა. მეორე მხრივ, ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გადაქცევა, ხოლო "იმერეთის მპყრობელთაგან და სხვა მთავრებთან კავშირი ქართლის ჰეგემონი-ით მისივე პოლიტიკის მიზანი იყო" (ნ. ბერძენიშვილი).

საგარეო პოლიტიკაში ვახტანგი თავისი წინამორბედის – როსტომის "ზომიერი" პოლიტიკის გამგრძელებელი აღმოჩნდა. იგი ქართლ-კახეთს ირანის ვასალად აღიარებდა და მშვიდობიანი გზით ქართული პოლიტი-კის გატარებას და ქართლ-კახეთის გაერთიანებას ცდილობდა. ამ "ზომიერი" პოლიტიკის შედეგი უნდა იყოს ის, რომ მან არ მიიღო აშკარა მონაწილეობა კახეთის 1660 წლის აჯანყებაში. ისე კი, საფიქრებელია, რომ იგი თანაუგრძნობდა ამ ჯანაყებას. მართალია, აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვა-ნელი ზაალ ერისთავი ვახტანგის წაქეზებით მოკლეს, მაგრამ ამის მიზეზი ის კი არ იყო, რომ ზაალი აჯანყებაში ერია, არამედ ის, რომ იგი არ ცნობდა ვახტანგის მეფობას. უფრო მეტიც, ზაალისა და ვახტანგის ბრძოლაში სიმართლე ამ უკანასკნელის მხარეზე იყო. ვახტანგი ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის იბრძოდა, ზაალს კი კახეთი თავისთვის უნდოდა. თუ ეს არ გამოვიდოდა, თანახმა იყო არაგვის საერისთავო და ერწოთიანეთი მაინც არ ყოფილიყო ქართლის მეფის ქვეშევრდომი ტერიტორია და მისი მეთაურობით პირდაპირ ირანის შაჰს დაქვემდებარებოდა. ის იყო ტიპიური ფეოდალი – თავადური რეაქციის ინტერესების გამომხატველი. ვახტანგმა ზაალის მოსპობით ქვეყნის ერთიანობა რამდენადმე განამტკიცა. კახეთი, რომელსაც ფაქტობრივად ზაალი განაგებდა, ვახტანგის გავლენის სფეროში მოექცა.

ზაალის დაღუპვის შემდეგ ვახტანგმა ზაალის ძმისწულები: ოთარი, ედიშერი, იასონი, პაპუა და დათუნა გიორგის ძენი (ესენი ვახტანგის დისშვილები იყვნენ) დააწინაურა. ოთარს არაგვის ერისთავობა, ედიშერს მსაჯულთუხუცესობა, ხოლო იასონს დედოფლის სახლთუხუცესობა უბოძა. ქსნის ერისთავად ელიზბარის ნაცვლად იასე დანიშნა. იმავე ხანებში გარდაცვლილ კათალიკოს ქრისტეფორეს ნაცვლად ვახტანგმა თავისი ბიძაშვილი დომენტი მუხრანბატონი, "კაცი ღირსი საყდრისა" დასვა კათალიკოსად (1660 წ.), ვახტანგმა ამ ღონისძიებებით, აღნიშნავს ბერი ეგნატაშვილი, "დაიერთგულნა სრულიად ქართველნი" და განამტკიცა ქვეყნის ერთიანობა.

მდგომარეობა დასავლეთ საქართველოში და იმერეთის შემო-ერთების ცდა. ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთში გამეფდა ბაგრატ IV ალექსანდრეს ძე (1660-1681 წლები, ინტერვალებით). ბაგრატმა თავის დედინაცვლის (დედოფალ დარეჯანის) სურვილისამებრ ცოლად შეირთო დარეჯნის ძმისწული ქეთევანი (თეიმურაზ I-ის ვაჟის დავითის ასული). დარეჯანი უაღრესად პატივმოყვარე და დიდი ნებისყოფის ქალი იყო, ფ. გორგიჯანიძის

გადმოცემით, “თვითონ მეფეც იყო და დედოფალიცა. ბაგრატს არაფერი ეკითხებოდა”. მალე, ექვსი თვის შემდეგ, დარეჯანმა შეთქმულება მოაწყო, ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდო, თვალები დასთხარა და ცოლიც წაართვა. მან ქმრად შეირთო ვახტანგ ბაგრატიონი, იმერეთის ბაგრატიონების შორეული ნათესავი, ჭუჭუნიაშვილის ზედწოდებით ცნობილი და მეფედ გამოაცხადა. დარეჯანი იმერეთის ფაქტობრივი მმართველი გახდა. მაგრამ დიდხანს არც მისი ბატონობა გაგრძელებულა. დარეჯანის საქციელით უკმაყოფილო თავადთა ერთმა ნაწილმა (ქვემო იმერეთიდან) ვამიყ დადიანი, მეორე ნაწილმა კი (ზემო იმერეთიდან) ქართლის მეფე ვახტანგი მიიწვია იმერეთში. ორივემ სასწრაფოდ მიაშურა იმერეთს. ვამიყმა შეიპყრო დარეჯანი და ვახტანგი (ამ უკანასკნელს თვალები დათხარა) და თავი მეფედ გამოაცხადა. ამასობაში ვახტანგ Vმ ზემო იმერეთი დაიკავა. დადიანი და ვახტანგი შეთანხმდნენ და იმერეთი შუაზე გაიყვეს. საზღვრად მდ. ბუჯისწყალი დადვეს (1660 წ.) დადიანმა ქუთაისიდან ზუგდიდში დიდძალი ქონება წაიღო ოქროვერცხლის სახით. ამ შეთანხმების დროს დამოყვრდნენ ვახტანგი და დადიანი. ამ უკანას-კნელმა თავისი ქალი ვახტანგის ვაჟს, არჩილს, აღუთქვა. მაგრამ მალე თვითონვე დაარღვია პირობა და არჩილისათვის აღთქმული ქალი იმერეთის თავად ბეჟან ღოღობერიძეს მისცა.

ვახტანგმა კავშირი დაამყარა დემეტრე გურიელთან (1660-1664 წლები) და ზემო იმერეთის თავადებთან, რომელთაც ღოღობერიძე მოკლეს და ვახტანგი ქუთაისში მიიწვიეს. ვახტანგი დიდი ჯარით შევიდა იმერეთში. ვამიყ დადიანი საჩხერესთან დახვდა ვახტანგ მეფეს, მაგრამ შებრძოლება ვერ გაბედა და ოდიშში დაბრუნდა. ვახტანგმა აიღო სვერის, კაცხისა და სკანდის ციხეები (ამ დროს, 1660 წ. სექტემბერში დანებდა ვახტანგს თეიმურაზ I, რომელიც სკანდის ციხეში იმყოფებოდა) და ქუთაისი დაიკავა. შემდეგ მან ოდიშზე გაილაშქრა, აიღო ზუგდიდი, ხელთ იგდო ვამიყის ცოლ-შვილი და დიდძალი ქონება. ვახტანგმა დადიანად დასვა ლევან II-ის ძმისწული შამადავლე იოსების ძე, რომელმაც ბიძის პატივსაცემად ლევანი დაირქვა (ლევან III, 1661-1680 წწ.). ვახტანგმა მას ცოლად შერთო სილამაზით განთქმული ძმისწული თამარი. ეს ქალი შემდეგ დიდი ცილობის საგანი იყო დასავლეთ საქართველოს მეფემთავრებს შორის.

ვამიყმა თავი შეაფარა სვანეთს, სადაც იგი მოკლულ იქნა ვახტანგის მომხრის, ლეჩხუმის მფლობელი ხოსია ლაშხიშვილის შეჩენილი კაცების მიერ.

ზუგდიდში ვახტანგს ეახლა აფხაზეთის მთავარი შარვაშიძე “ძღვენითა დიდითა” და მორჩილება გამოუცხადა. ვახტანგი ზუგდიდიდან ქუთა-ისში მიბრუნდა, სადაც მას დიმიტრი გურიელი ეახლა ასევე “ძღვენითა დიდითა” და მორჩილების გამოცხადების მიზნით.

ვახტანგმა ქუთაისში იმერეთის მეფედ გამოაცხადა თავისი პირმშო 14 წლის არჩილი (1661 წელი), შემდეგ ქართლში დაბრუნდა და უსინათლო ბაგრატ IVც თან წაიყვანა. მას ახლა თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო ემორჩილებოდა. რაც შეეხება კახეთს, მართალია, ის ყარაბაღის ბეგლარბეგს მურთუზ ყულიხან ზიადოღლის ჰქონდა ჩაბარებული, მაგრამ კახეთის 1660 წლის აჯანყებისა და ზაალ ერისთავის დაღუპვის შემდეგ თითქმის მთელი კახეთი (გარდა იმ ციხეებისა, სადაც ყიზილბაში მეციხოვნეები იდგნენ და მურთუზა ყულიხანს ემორჩილებოდნენ) ვახტანგის მმართველობაში იყო გადასული. ამგვარად, ვახტანგმა იმ ხანისათვის თითქმის მთელი საქართველო გააერთიანა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს გაერთიანება მეტისმეტად

არამყარი იყო და, ამასთან, ისეთ წინა-აღმდეგობას წააწყდა, რომლის გადალახვაც იმდროინდელ საქართველოს საკუთარი ძალებით აღარ შეეძლო.

საქმე იმაშია, რომ 1639 წლის ირან-ოსმალეთის ზავის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველო – ირანს, ხოლო დასავლეთი საქართველო ოსმალეთის ვასალად იყო აღიარებული. ვახტანგის დასავლეთ საქართველოში გაბატონება ოსმალეთმა ირანის თავის საქმეებში ჩარევად მიიჩნია და კატეგორიულად მოსთხოვა ირანს არჩილის უკან გაწვევა. არჩილმა მხოლოდ ორ-ნახევარი წელი იმეფა იმერეთში და 1663 წელს ირანის მოთხოვნით ვახტანგმა იგი ქართლში წაიყვანა.

იმერეთში კვლავ გამეფდა ბაგრატ IV, რომელიც შინაურ პატიმრობა-ში იმყოფებოდა ვახტანგთან თბილისში. მან ბაგრატს გაატანა იორამ სააკაძე, იორამმა იგი ქუთაისში მიიყვანა და ტახტზე დასვა.

შაჰის მოთხოვნით ვახტანგმა არჩილი ირანში გაგზავნა. იგი იქ გაამაჰმადიანეს და შაჰნაზარხანი უწოდეს, შემდეგ კახეთის მეფობაც უბოძეს და საქართველოში გამოისტუმრეს.

მანამდე, 1661 წელს, ერეკლე ბატონიშვილი (თეიმურაზ I-ის შვილიშვილი) ჩამოვიდა რუსეთიდან, სადაც 1654 წლიდან იმყოფებოდა და თუ-შეთს დადგა. იგი ირანში დაიბარეს, მაგრამ არ წავიდა. ერეკლე თუშების დახმარებით კახეთში გამეფებას ცდილობდა, მაგრამ ვახტანგი არ ანებებდა. ერეკლეს კახეთში ყოფნამ უთუოდ ხელი შეუწყო შაჰის გადაწყვეტილებას – კახეთის მეფედ დაენიშნა არჩილი.

არჩილის გამეფება კახეთში. არჩილმა კახეთი 1664 წელს დაიკავა. იმ ხანებში ერეკლე თავს დაესხა ვახტანგსა და არჩილს, მაგრამ დამარცხდა და თორღას ციხეში შეიკეტა. ვახტანგმა ციხეს შემოარტყა ალყა, რომელიც 7 თვეს გაგრძელდა. ალყით შეჭირვებული მეციხოვნეები დანებებას აპირებდნენ, რომ ერეკლეს დედა, რომელიც აგრეთვე ციხეში იმყოფებოდა, ფარულად, მამაკაცის ტანსაცმელში გადაცმული გამოვიდა ციხიდან და ვახტანგთან მივიდა. მან ვახტანგს ციხიდან ერეკლეს გაშვება სთხოვა, ვახტანგი დათანხმდა და დედა-შვილი ციხიდან გააპარეს. ვახტანგმა ასეთი ნაბიჯი პოლიტიკური მოსაზრებით გადადგა და ეს საქციელი (ერეკლეს გაშვება) იმავე მიზანს ისახავდა, როგორც როსტომ მეფისა, რომელმაც 1648 წელს ალყაში მოქცეული თეიმურაზი უვნებლად გააცილა იმერეთში. ის სწორად მსჯელობდა, რომ ქრისტიანი ერეკლეს თავისუფლად ყოფნა და მისი ბრძოლა კახეთისათვის (იგულისხმებოდა, რომ ერეკლე რუსეთის მომხრე იყო) ირანის შაჰს აიძულებდა ეცნო ქართლ-კახეთის გაერთიანება და გარკვეული ანგარიში გაეწია ვახტანგისა და არჩილისათვის, რომლებიც, მართალია, გარეგნულად, მაგრამ მაინც მაჰმადიანები იყვნენ და ირა-ნის ვასალობას აღიარებდნენ.

ერეკლე და ელენე ერთხანს თუშეთში იყვნენ. ბოლოს იძულებული გახდნენ კვლავ რუსეთში წასულიყვნენ (1666 წ.).

ვახტანგმა კახელები არჩილის ერთგულებაზე დააფიცა, თავად კი ქართლში დაბრუნდა.

ახალგაზრდა არჩილი, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელ პოლიტიკას არ აწარმოებდა. ქართლ-კახეთს არსებითად ვახტანგი განაგებდა. ევროპელ მოგზაურს, შარდენს, არჩილი "მეფის (იგულისხმება ვახტანგი) მოადგილედ" მიაჩნია. არჩილმა კახეთის დედაქალაქი გრემიდან

თელავში გადაიტანა (კახეთის ყიზილბაში ხანები ყარაღაჯში ისხდნენ), განაახლა ეკლესიები, ააშენა მრავალი შენობა, დაამყარა წესრიგი, ალაგმა ლეკების თარეში და სხვ.

არჩილმა, კახეთის ტახტზე მისი ლეგიტიმისტური უფლების განმტკიცების მიზნით, 1667 წ. ცოლად შეირთო თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ბაგრატ IV-ის ცოლყოფილი ქეთევანი, რომელიც იმხანად ახალციხეში იმყოფებოდა მძევლად. ვახტანგმა 20 000 მარჩილი გადაუხადა ახალციხის ფა-შას და ქეთევანი გამოიხსნა.

ვახტანგი და არჩილი არსებითად როსტომ მეფის პოლიტიკას აგრძელებდნენ, მხოლოდ საშინაო პოლიტიკაში უფრო მეტ დამოუკიდებლობას იჩენდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგი საერთოდ ხელს უწყობდა ვაჭრულხელოსნური წრეების საქმიანობას და ცდილობდა ქვეყანა სამეურნეო განვითარების გზაზე დაეყენებინა. მან გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. როსტომის გამეფებიდან დაწყებული შედარებით მშვიდობიანობა ვახტან-გის მეფობაშიც გრძელდებოდა, რამაც ხელი შეუწყო აღმოსავლეთ საქართველოს და განსაკუთრებით ქართლის მოშენებასა და ეკონომიკურ მოღო-ნიერებას.

ვახტანგის პოლიტიკა და ქართლ-კახეთის მოძლიერება ირანის მთავრობას აღარ მოსწონდა. ქართლ-კახეთის მორჩილება რომ უფრო რეალური გაეხადა, ირანის შაჰმა სულეიმანმა (1666-1694 წწ.) ერეკლე, რომელიც ჯერ კიდევ რუსეთში იმყოფებოდა, თავისთან დაიბარა და, როგორც წყაროები მოწმობენ, მას ქრისტიანობით კახეთის ტახტი აღუთქვა. ვახუშტი ბატო-ნიშვილის აზრით, შაჰ-სულეიმანმა ერეკლე "ვახტანგ და არჩილ მეფისათა მეტოქად" ჩაიყვანა ირანში.

1674 წელს ერეკლე კახეთში ჩამოვიდა. იგი არჩილმა პატივით მიიღო და რამდენიმე ხნის შემდეგ ირანში გაისტუმრა შესაფერისი ამალით. ეტყობა, არჩილი ფიქრობდა, რომ შაჰი კახეთს ერეკლეს ქრისტიანობით მისცემდა და 1675 წ. დასაწყისში მან თავი მიანება კახეთს და იმერეთის ტახტის დაკავებას შეეცადა. ეს საქმე არჩილმა ვახტანგის სურვილის წინააღმდეგ გააკეთა, რასაც არ შეიძლება უკმაყოფილება არ გამოეწვია მამა-შვილს შორის. უკმაყოფილების მიზეზი ისიც შეიქმნა, რომ არჩილის ძმა ლუარსაბი, რომელიც რაჭის მფლობელის სიძე იყო, უფრო ადრე ახალციხეში წავიდა და იქიდან ცდილობდა იმერეთის ტახტის დაკავებას.

არჩილი შემდეგ ოთხჯერ გამეფდა იმერეთში: 1678-1679, 1690-1691, 1695-1696 და 1698 წწ., მაგრამ ოთხივეჯერ გაძევებულ იქნა. არჩილმა დახმარებისათვის რამდენჯერმე მიმართა რუსეთს თხოვნით, იყო კიდეც რუ-სეთში (1682-1688 წლები), მაგრამ ვერც მისი დახმარებით მიაღწია სასურველ მიზანს. 1699 წელს იგი მეორედ და საბოლოოდ გადასახლდა რუ-სეთში. მას მოსკოვის გარეუბანში, სოფ. ვსესვიატსკოეში მამულები უბოძეს. არჩილი ფაქტობრივად ჩამოსცილდა პოლიტიკურ ცხოვრებას და ლიტერატურულ და სამეცნიერო მუშაობას მიჰყო ხელი. გარდაიცვალა 1713 წ. 16 აპრილს, დასაფლავებულია დონის მონასტერში.

არჩილის წასვლის შემდეგ კახეთი კვლავ ვახტანგს მორჩილებდა. მაგრამ მალე ვახტანგს საქმეები ცუდად წაუვიდა. არჩილისა და ლუარსაბის ახალციხეში წასვლა მას დანაშაულად ჩაუთვალეს და ახსნა-განმარტები-სათვის ირანში გაიწვიეს. იმავე 1675 წელს ირანში მიმავალი ვახტანგი ხოშ-კარს გარდაიცვალა. იგი ირანში წაასვენეს და დაასაფლავეს ყუმში, სადაც მისი წინამორბედი როსტომი იყო დაკრძალული.

ქართლ-კახეთი XVII ს. ბოლოს. ვახტანგმა ირანში წასვლის წინ ქართლის განმგებლად თავისი მეორე ვაჟი გიორგი დანიშნა. მალე გიორ-გი, მეფედ დამტკიცების მიზნით ირანში გაიწვიეს, მაგრამ ეს საქმე შეაფერხა ვახტანგის ერთ-ერთმა ვაჟმა ალექსანდრემ, რომელიც ირანში აღიზარდა და ისპაჰანის მოურავი იყო. ალექსანდრეს ქართლში გამეფება სურდა. ამის საწინააღმდეგოდ არჩილი ახალციხიდან გადმოვიდა, სადგერში დადგა და ქართლის შემომტკიცება დაიწყო. ამ გარემოებამ გავლენა მოახდინა ირანის მთავრობაზე, შაჰმა გიორგი ქართლის მეფედ დაამტკიცა, მუსლიმანობა მიაღებინა, შაჰნავაზხანი (II) უწოდა და საქართველოში გამოისტუმრა. ეს 1677 წ. მოხდა.

1677 წელსვე კახეთში გამაჰმადიანებული ქართველი, გორჯასპი კახაბრიშვილი (მაჰმადიანობაში ბეჟანხანი) დასვეს მმართველად. 1683 წლიდან 1703 წლამდე კახეთს ყიზილბაში ხანები მართავდნენ. ამრიგად, ვახტანგის მიერ გაერთიანებული აღმოსავლეთი საქართველო კვლავ დაიშალა, დასავლეთ საქართველოში სრული ფეოდალური ანარქია გაბატონდა.

გიორგი XI-ის, ანუ შაჰნავაზ II-ის მეფობა (1677-1688 წლები) აღინიშნა ქართლში ფეოდალური ანარქიის რამდენადმე გაძლიერებით. თანაც გიორ-გი დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებას მამამისზე მეტად ცდილობდა. ირანის მთავრობამ მალე გამოამჟღავნა თავისი უკმაყოფილება გიორგის პოლიტიკით. ირანის შაჰს არჩილის ახალციხის ფაშასთან ურთიერთობაც არ მოსწონდა. შაჰმა გიორგის არჩილის შეპყრობა და ირანში გაგზავნა და-ავალა. გიორგიმ დავალება არ შეასრულა. უფრო მეტიც, გაანადგურა ქართლის სპარსოფილი თავადები, სცადა კახეთის დაკავება და სხვ. ყველაფერ ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ შაჰმა გიორგი გადააყენა და მის მა-გივრად ქართლის მეფედ ახლად გამაჰმადიანებული ერეკლე, ნაზარალიხანი (1688-1703 წლები) დანიშნა. გიორგი იძულებული გახდა დასავლეთ საქართველოში გადასულიყო.

1691 წელს გიორგი ისევ გადმოვიდა ქართლში და 4 წლის განმავლობაში ებრძოდა ერეკლეს ქართლის ტახტისათვის. იმერეთიდან ხელახლა გამოძევებული არჩილიც გიორგისთან ერთად იბრძოდა ყიზილბაშების წინააღმდეგ. მისი მიზანი კახეთის ტახტის დაჭერა იყო. ქართლისა და კახეთის მრავალი თავადი ეხმარებოდა გიორგისა და არჩილს, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდნენ. გიორგი ჯერ დასავლეთ საქართველოში გადავიდა, შემდეგ კი ირანში წავიდა და შაჰს მორჩილება გამოუცხადა (1695 წ.). არჩილი კიდევ დიდხანს იბრძოდა იმერეთის ტახტისათვის, გამეფდა კიდეც იქ 1698 წელს, მაგრამ კვლავ გაძევებული 1699 წ. რუსეთში გადა-სახლდა.

ერეკლემ, რომელიც ჯერ რუსეთში იყო თითქმის ოცი წელი, ხოლო შემდეგ კი ირანში 14 წელი, ვერ შეძლო შინაგანი ძალების მობილიზება და გაერთიანება. ცენტრალური ხელისუფლება კიდევ უფრო დასუსტდა, ყიზილბაში მეციხოვნეების პარპაში გაძლიერდა, ქართლის ფეოდალური საზოგადოების დიდი ნაწილი მისი უკმაყოფილო იყო. დიდ გაჭირვებაში ჩავარდა მოსახლეობის დაბალი ფენებიც. ქართლის გლეხები ყიზილბაშთა-გან შეწუხებულნი კახეთს აფარებდნენ თავს. თუმცა არც აქ იყო სასურველი მშვიდობიანობა.

1703 წელს ირანის შაჰმა სულთან ჰუსეინმა გიორგის კვლავ უბოძა ქართლის მეფობა, მაგრამ ირანში დატოვა. ამავე დროს მას ებოძა ირანის სპასალაროზა და ავღანთა წინააღმდეგ

საბრძოლველად გაიგზავნა. ქართლში, გიორგისავე თხოვნით, მის მოადგილედ ვახტანგ ლევანის ძე და-ნიშნეს.

ერეკლე I ირანში გაიწვიეს და კახეთის მეფობა და ირანის ყულარსაღობა უბოძეს. ისიც ირანში დატოვეს. კახეთში კი მის მოადგილედ მისი ვაჟი დავითი (იმამ ყულიხანი) გამოგზავნეს (1703 წ.).

იმერეთი და სამცხე XVII ს. ბოლოს. არჩილის იმერეთიდან გაწვევის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნავდით, 1663 წელს იმერეთის ტახტზე კვლავ უსინათლო ბაგრატ IV დასვეს. ამჯერად მან 7 წელი გაძლო ტახტზე. მთელი ამ ხნის განმავლობაში არ შეწყვეტილა სისხლისმღვრელი შინაფეოდალური ომები. ხელმეორედ გამეფების წელსვე მას თავს დაესხა ლევან II დადიანი. დადიანი დამარცხდა – იგი ტყვედ ჩაუვარდა ბაგრატს. ამ ვითარებით ისარგებლა ბაგრატმა "მოაყვანინა ცოლი თამარ, წარგვარა მას და შეირთო თვით". თავის ცოლს თათიას, თამარის დას, კი გაეყარა. ლევანს ცოლად შერთო თავისივე და, გოშაძის ნაცოლარი, თინათინი.

ლევანი არ შერიგებია ცოლის დაკარგვას და კვლავ ცდილობდა მის დაბრუნებას. მალე ბაგრატსა და ლევანს ახალი მეტოქე გამოუჩნდათ გი-ორგი გურიელის (1664-1684 წწ.) სახით. გიორგი გურიელი, ვახუშტის დახასიათებით იყო "მესისხლე და ტყვის მსყიდველი უწყალო". იგი "ეტრფოდა ცოლსა ბაგრატ მეფისასა თამარს". ბაგრატმა, რათა თავიდან მოეცილებინა ჯიუტი მოტრფიალე და ტახტის მაძიებელი (გიორგი ცოლის წართმევის გარდა ტახტის წართმევასაც უპირებდა უსინათლო ბაგრატს), თავისი ქალიშვილი მიათხოვა მას.

1678 წელს იმერეთში კვლავ არჩილი გამეფდა. ბაგრატმა თავი გური-ელს შეაფარა. დედოფალი თამარი კი, რომელიც სკანდის ციხეში იმყოფებოდა, არჩილმა ლევან დადიანს დაუბრუნა.

1679 წელს ბაგრატმა მოახერხა არჩილის გაძევება და იმერეთში გამეფება. იგი უმალ თავს დაესხა დადიანს, წაართვა თამარი და "მოვიდა ქუთაისს გამარჯვებული".

1681 წ. ბაგრატი გარდაიცვალა. იმერეთის ტახტზე გიორგი გურიელი დაჯდა, გიორგიმ დრო იშოვა "განუტევა ცოლი თვისი დარეჯან, ასული ბაგრატ მეფისა და შეირთო სიდედრი თვისი, დედოფალი თამარ ცოლად" (თამარი გარდაიცვალა 1683 წელს).

ამ ფაქტზე ასე დაწვრილებით იმიტომ შევჩერდით, რომ მასში ცხადად ჩანს დასავლეთ საქართველოს მაღალი ფეოდალური არისტოკრატიის ზნეობრივი და მორალური დაქვეითება. ასეთ მოღვაწეთაგან, რა თქმა უნდა, არ იყო მოსალოდნელი სამშობლოსა და ხალხის ინტერესებისათვის თავის გაწირვა. მათ უფრო ეხერხებოდათ ქალებისა და ბავშვების უცხო-ეთში გაყიდვა, ვიდრე სამშობლოსათვის თავის დადება. იმერეთის ტახტი-სათვის ბრძოლა, რომელსაც სრული ანარქია მოჰყვა, საუკუნის ბოლომდე (და შემდეგაც) გრძელდებოდა.

იმერეთის ტახტის პრეტენდენტების ხანგრძლივმა ბრძოლამ და გაუთავებელმა შინაფეოდალურმა ომებმა იმერეთის სამეფო გაჩანაგების პირას მიიყვანა. შემცირდა მოსახლეობა, დაეცა საქალაქო ცხოვრება, მოიშალა სოფლის მეურნეობა, შეირყა ქრისტიანული სარწმუნოება და სხვ. ყველაზე დიდი ეროვნული უბედურება მაინც იმერეთში, ისე როგორც მთელ და-სავლეთ

საქართველოში, ტყვეთა გაყიდვა იყო. ამ მოვლენამ კატასტროფული ხასიათი სწორედ XVII ს. ბოლო ხანებში მიიღო. “ტყვეთა სყიდვას” ეწეოდნენ ფეოდალები, ეპისკოპოსები, კათალიკოსი და ზოგიერთი მეფეც კი. ქვეყნის საერთო დაქვეითებას შედეგად მოჰყვა ის, რომ იმერეთში საბოლოოდ გაბატონდა ოსმალეთი, რაც ოსმალთა გარნიზონის მიერ 1669 წ. ქუთაისის ციხის დაკავებაში გამოიხატა. მათი განდევნა მხოლოდ XVIII ს. 70-იან წლების დასაწყისში მოხერხდა.

ოსმალეთის ბატონობა გაძლიერდა აგრეთვე გურიაში, ოდიშსა და აფხაზეთში. XVII საუკუნის ბოლოს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს თითქმის ყველა ციხე ოსმალების ხელში იყო გადასული.

ოსმალეთის აგრესიას ოდიშში თან დაერთო იმერეთის, გურიისა და აფხაზეთის ფეოდალების მძარცველური თავდასხმები. განსაკუთრებით გახშირდა აფხაზეთის ფეოდალთა შემოსევები 70-80-იან წლებში.

ოდიშის ამ მძიმე მდგომარეობას დაემატა შინაფეოდალური ომებიც. ლევან III-ის დროს, 70-იან წლებში, დაწინაურდა გორდელი აზნაური მედროვე კაცია ჩიქვანი. კაციამ თავისი ძმის, ჭყონდიდელის დახმარებით ლევანისაგან სამართავად მიიღო სალიპარიტიანო (სამთავრო სახლის გვერდითი შტოს საუფლისწულო). კაცია ჯერ კიდევ მთავრის სიცოცხლეში ოდიშის ფაქტობრივი ბატონ-პატრონი შეიქმნა. მან გაანადგურა ბევრი თავისი მოწინააღმდეგე ძირძველი ფეოდალი. მათი ყმები კი ოსმალებს მიჰყიდა. ამ საქმეში კაციას “ღირსეული” მემკვიდრე აღმოჩნდა მისი ვაჟი გი-ორგი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო სალიპარიტიანო. ვახუშტის გადმოცემით, გიორგი ლიპარტიანი “სვრიდა უწყალოდ და ჰყიდდა ტყვედ ოდიშართა”.

აღნიშნულმა ვითარებამ ძლიერ შეარყია ოდიშის თავდაცვისუნარია-ნობა. ამ გარემოებით ისარგებლეს აფხაზმა ფეოდალებმა და თანდათან დაიკავეს ტერიტორია მდ. კოდორიდან მდ. ენგურამდე. ამ ტერიტორიაზე გაბატონდა აფხაზეთის მთავრის სუსტარ შარვაშიძის ვაჟი სორეხ შარვაშიძე, რომელმაც თავი მთავრად გამოაცხადა. მოსახლეობის დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ოდიშარნი (მეგრელნი) იყვნენ. ფეოდალთა წრეში კი გაბატონებული მდგომარეობა თანდათან აფხაზმა ფეოდალებმა მოიპოვეს.

სორეხ შარვაშიძემ და მისმა სახლიკაცმა ყვაპუმ მათი მომხრე აფხაზი ფეოდალების დახმარებით რამდენჯერმე სცადეს ენგურის აღმოსავლეთით გადასვლა, მაგრამ ყოველთვის უკუგდებულ იქნენ. სამაგიეროდ, მტკიცედ დამკვიდრდნენ ოდიშის ჩრდილოეთ ნაწილში ენგურის მარჯვენა მხარეს. ასე შეიქმნა XVII ს. ბოლოს მდ. ენგური აფხაზეთისა და ოდიშის სამთავროს საზღვრად.

გიორგი ლიპარტიანმა ოდიშის მთავრად დასვა ლევან III-ის უკანონო შვილი ლევან IV (1683-1691 წწ.) მაგრამ ქვეყანას ძველებურად მაინც თვითონ განაგებდა. ლიპარტიანისაგან შევიწროვებულმა მთავარმა 1691 წელს მიატოვა ოდიში და თავი შეაფარა ოსმალეთს, სადაც გარდაიცვალა 1694 წელს. ამით დასრულდა ოდიშის მთავართა ძველი დინასტია. სამთავროს კი კვლავ გიორგი ლიპარტიანი განაგებდა. მან 1704 წ. თავისი პირმშო კაცია მთავრად გამოაცხადა. ამიერიდან ოდიშის სამთავროს ტახტზე ჩიქვანთა გვარი დამკვიდრდა.

რაც შეეხება სამცხე-საათაბაგოს, იგი როგორც უკვე აღინიშნა, ოსმალებმა დაიპყრეს. 1628 წ. ახალციხის (ჩილდირის) საფაშოს გამგებლად და-ინიშნა გამაჰმადიანებული მესხი ბატონიშვილი ბექა, რომელიც ამიერიდან საფარ ფაშად იწოდებოდა. საფარ ფაშას მმართველობით (1628-1651 წწ.) დაიწყო ახალი ეტაპი სამცხე-საათაბაგოს გაოსმალებისა. საფარ ფაშამ ოსმალების დავალებით აღწერა სამცხე-საათაბაგო და "შეჰკვეთა ხარკი ქრისტი-ანთა სულზედ დრაჰკანი და ყოველსა მოსავალსა ზედა ხილითურთ შვიდისთავი, ცხვარზედ ორი შაური, ზროხაზედ აბაზი, ცხენსა და კამეჩზედ ექვსი შაური, ხოლო საფაშო ხარკი დრაჰკანის მესამედი, რომელ არს ათი შაური". ეს აღწერა, როგორც ვახუშტი აღნიშნავს, "წესისამებრ ოსმალთა" მომხდარა. ამიერიდან ახალციხის საფაშოში თანდათან უქმდებოდა ქართული მიწათმფლობელობა და ფეხს იკიდებდა ოსმალური მიწათმფლობელობა და საგადასახადო სისტემა.

ოსმალები ცეცხლითა და მახვილით ნერგავდნენ მაჰმადიანობასა და ოსმალურ წესებს. ქართველობა თავგამოდებით იბრძოდა მოძალადეთა წი-ნააღმდეგ, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში თანდათან თმობდა პოზიციებს. მოსახლეობის ნაწილი ბრძოლაში დაიღუპა, ზოგმა თავი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს შეაფარა, ზოგი კი იძულებული შეიქმნა გამაჰმადიანებულიყო. მოსახლეობის ერთმა ნაწილმა კი (გლეხობიდან) ბოლომდე შეი-ნარჩუნა ქრისტიანობა. რაც შეეხება ქართულ ენასა და კულტურას, იგი ოსმალებმა დიდად დააზიანეს, მაგრამ საბოლოო აღმოფხვრა მაინც ვერ შეძლეს.

ახალციხის საფაშო დაიყო სანჯაყებად (ლივებად). სანჯაყები კი ნაჰი-ებად (რაიონებად). XVII ს. ახალციხის საფაშო 13 სანჯაყისაგან შედგებოდა: ოლთისი, ხერთვისი, არტანუჯი, დიდი არტაანი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი, მაჭახელი, აჭარა, ფანაკი (ბანა), ფერთექრექი, ლივანა, ნისფილივანა და შავშეთი. სამცხე-საათაბაგოს ზოგი პროვინცია კი – ისპირი, თორთუმი, პატარა არტაანი, ნამერვანი – ოსმალებმა სხვა ვილაიეთებში გააერთიანეს.

ქართველთა თავგამოდებული ბრძოლის შედეგი იყო უთუოდ ის მცირე კომპრომისი, რომელზედაც ოსმალეთის მთავრობა დათანხმდა. კერძოდ, სულთანმა სამცხის ათაბაგებს ახალციხის ფაშობა მემკვიდრეობით უბოძა, რაც გამონაკლისი იყო ოსმალეთში მიღებული საერთო წესიდან. 1628 წ. დაწყებული XVIII ს. მეორე ნახევრამდე ახალციხის საფაშოს ჯაყელთა (ათაბაგის) სახლის წევრები განაგებდნენ. ასევე, საფაშოს ზოგ კუთხეში მცირე ცვლილებებით შენარჩუნდა ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობა ("მამული" და "შეუვალობა").

საქართველო XVII საუკუნიდან დიდად დაზარალდა. კერძოდ, სამცხე-საათაბაგოს სახით საქართველომ მისი ტერიტორიის თითქმის მესამედი დაკარგა. სხვა სამეფო-სამთავროების მოსახლეობაც შაჰ-აბასის შემოსევების, "ტყვის სყიდვისა" და შინაომების შედეგად დიდად დაზარალდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი არ გატყდა, შეინარჩუნა ფიზიკური არსებობა და თავისი სახელმწიფოებრიობა, დაკარგული პოზიციების და-საბრუნებლად ბრძოლას კი კვლავ განაგრძობდა.

თავი XXX. მმართველობის სისტემა და აპარატი საქართველოს სამეფო-სამთავროებში XVI-XVII სს.

საქართველოს ერთიანი მონარქიის დაშლის შედეგად XV ს. ბოლოსთვის ოთხი პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა: ქართლის, იმერეთის, კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს სამთავრო. სამივე სამეფოში ბაგრატიონთა დინასტიის შთამომავლები მეფობდნენ. სამცხის სამთავროში კი – ჯაყელები ათაბაგის ტიტულით.

საქართველოს პოლიტიკური დაშლის პროცესი ამაზე არ შეჩერებულა. XVI ს-ში იმერეთის სამეფოს გამოეყო და ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად ჩამოყალიბდა ოდიშისა (სამეგრელოს) და გურიის სამთავროები. XVII ს-ის პირველი ნახევარი ამ პროცესის შემდგომი გაღრმავების ხანაა. XVII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ოდიშის სამთავროს გამოეყო და ცალკე პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა სვანეთიც. სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის სამთავროები ოდიშის, ცხუმისა და სვანეთის საერისთავოებიდან შეიქმნენ, გურიის სამთავრო კი ვარდანის ძეთა მამულიდან უნდა იყოს წარმოშობილი. სამეგრელოში ოდიშის ყოფილი ერისთავების, დადიანების ჩამომავლები მთავრობდნენ, რომლებიც მხოლოდ XVII ს. ბოლოს შეცვალა ჩიქვანების საგვარეულომ. აფხაზეთში ასევე ცხუმის ყოფილი ერისთავების, შარვაშიძეთა ჩამომავლები გამთავრდნენ. სვანეთში კი ჯერ გელოვანები, ხოლო შემდეგ დადეშქელიანები მთავრობდნენ.

სამეფო-სამთავროების ტერიტორია საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს ტერიტორიასთან შედარებით მნიშვნელოვნად იყო შემცირებული. XVII საუკუნის პირველი ნახევარი ამ მხრივაც პროცესის შემდგომი გაღრმავების ხანაა.

XVII საუკუნის პირველ მესამედში ოსმალეთმა საბოლოოდ დაიპყრო სამცხე-საათაბაგო. სამცხე-საათაბაგო საქართველოს უმდიდრესი და უდიდესი პროვინცია იყო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საათაბაგოს სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ამიერკავკასიისთვისაც.

შაჰ-აბასის აგრესიის შედეგად შემცირდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაც: კახეთმა დაკარგა თავისი მნიშვნელოვანი პროვინცია კაკ-ენი-სელი, რითაც ძლიერ შესუსტდა კახეთის თავდაცვისუნარიანობა აღმოსავლეთის მხრიდან. ქართლმა კი დაკარგა ლორე და დებედას ხეობა, რითაც უაღრესად გაუარესდა ქართლის სამხრეთის საზღვრის დაცვის შესაძლებლობა.

ირანსა და ოსმალეთს შორის 1555 წელს ამასიაში დადებული ზავის თანახმად აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო, დასავლეთი კი – ოსმალეთს. 1612 და 1639 წლების ზავებმა კვლავ დაადასტურა საქართველოს გაყოფა. საქართველოს მეფემთავრები ამ გაყოფას არ ცნობდნენ და დამო-უკიდებლობისათვის ბრძოლას განაგრძობდნენ. ირანი და ოსმალეთი საქართველოს სამეფო-სამთავროების ვასალობას არ სჯერდებოდნენ და ქვეყ-ნის სრული დაპყრობისათვის იბრძოდნენ.

მიუხედავად იმ მძიმე მდგომარეობისა, რომელშიც საქართველო მო-ექცა გვიანსაშუალო საუკუნეებში, ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის იდეა არასოდეს გამქრალა. ფეოდალური

საქართველოს მოწინავე ადამიანები და-უღალავად იღვწოდნენ ქვეყნის გაერთიანებისა და განთავისუფლებისათვის. XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამჯერ მოხდა ქართლ-კახეთის სამეფო-ების გაერთიანება (1615 წელს თეიმურაზ I-ის, 1625-1632 წწ. თეიმურაზ I-ისა და გიორგი სააკაძის მეთაურობით, 1648-1656 წწ. როსტომ მეფის ხელ-ში), მაგრამ სამივე გაერთიანება არამყარი და ხანმოკლე აღმოჩნდა. აღმო-სავლეთ საქართველოს ხანმოკლე გაერთიანებას ადგილი ჰქონდა XVII ს. მეორე ნახევარშიც (ვახტანგ V-ისა და არჩილ II-ის დროს). XVIII ს. შუა ხანებში კი ქართლ-კახეთი გაერთიანდა ერეკლე II-ის მეთაურობით, მაგრამ ეს გაერთიანებაც ზედაპირული იყო. იგი უფრო ორი ტახტის გაერთი-ანება იყო, ვიდრე ორი ქვეყნისა (სრულიად უცვლელი დარჩა ორივე სამეფოს ორგანიზაციული სტრუქტურა და სამმართველო აპარატი). XVII საუ-კუნის პირველი ნახევარი დასავლეთ საქართველოში აღინიშნა ეკონომიკის შემდგომი დაქვეითებით და პოლიტიკური დაშლილობის შემდგომი გაღრმავებით.

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ოსმალეთის ვასალებად ითვლებოდნენ და ხარკსა და ძღვენსაც იხდიდნენ, მაგრამ ეს ვასალობა ხშირად ფიქტიურ ხასიათს ატარებდა, რადგან მეფემთავრები ვასალურ ვალდებულებას ყოველთვის არ ასრულებდნენ. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების მდგომარეობა თანდათან გაუარესდა მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ციხეებში – ბათუმ-ში, ციხისძირში, სოხუმში – თავისი გარნიზონების ჩაყენება მოახერხა.

საქართველოს სამეფო-სამთავროები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პოლიტიკას ანხორციელებდნენ და ხშირად ერთმანეთსაც ებრძოდნენ. სა-ერთო მტრის წინააღმდეგ იშვიათად გამოდიოდნენ ერთიანი ძალებით.

ყოველ სამეფო-სამთავროში საკუთარი მმართველობის აპარატი შეიქმნა; მხოლოდ ერთიანობის ხანასთან შედარებით წინ წამოიწია კერძოუფლებრივი საწყისი საჯაროუფლებრივი საწყისის საზიანოდ. მოისპო სავაზირო და ერისთავი, რომლებიც სახელმწიფო მოხელეები და სახელმწიფო ტერიტორიების გამგებლები იყვნენ და წინა პლანზე გამოვიდნენ მეფის სასახლისა და დომენის “ხელშინაური” მოხელეები – სახლთუხუცესი, მო-ურავი და სხვა. ამით სახელმწიფო ტერიტორია სეფექვეყანას შეუერთდა და მეფის მამულად გადაიქცვა. ნაწილი სახელმწიფო ტერიტორიებისა ეკლესიისა და თავადების მამულებს შეუერთდა. ეს რეგრესი იყო ერთიანობის ხანასთან შედარებით. ამავე დროს, საბოლოოდ დამკვიდრდა მოხელე-ობის მემკვიდრეობით გადაცემის პრინციპი. ამ ვითარებამ თავის მხრივ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება გამოიწვია.

მეფის ხელისუფლება თეორიულად შეუზღუდავად ითვლებოდა. სამეფო კართან არსებული სამეფო საბჭო — “დარბაზი”, რომელსაც მნიშვნელოვანი საქმეების გადასაწყვეტად იწვევდნენ, მხოლოდ სათათბირო უფლებით სარგებლობდა, მაგრამ, ფაქტობრივად, მეფის ხელისუფლება დიდებულ თავადთა ნებით იყო შეზღუდული.

აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები (სიმონ I, ალექსანდრე II, თეიმურაზ I, ბაგრატხანი, სიმონხანი, როსტომხანი) ირანის მთავრობის მიერ გურჯისტანის მოხელეებად (ვალი) განიხილებოდნენ. მაგრამ რელურად მხოლოდ ბაგრატხანი, სიმონხანი და როსტომხანი იყვნენ

ირანის მოხელეები, თუმცა ქართული ფეოდალური საზოგადოებისთვის ისინიც ქართველი მეფეები იყვნენ, მხოლოდ მაჰმადიანები, რომლებიც თავიანთ თავს ქართულ საბუთებში მეფეებად მოიხსენიებენ.

ირანის მთავრობა თავიდანვე დიდი მონდომებით ცდილობდა კახეთის სახანოდ გადაქცევას. XVII ს. კახეთში ხშირად ნიშნავდნენ ყიზილბაშ ხანებს, რომლებიც მთლიანად ირანზე იყვნენ დამოკიდებულნი. მიუხედავად ამისა, არსებითად უცვლელი დარჩა კახეთის შინაგანი წყობილება.

როსტომის დროს შემოიღეს ყიზილბაშური თანამდებობანი ვეზირის (მრჩეველი), მუსტოფის (მთავარი აღმწერელი, ფინანსების მოხელე) და მუნშის (მწერალი) სახით. სამივე ეს თანამდებობა განასახიერებდა ირანის შაჰის სამეთვალყურეო აპარატს მეფის კარზე. ისინი, ჩვეულებრივ, შაჰის მიერ ინიშნებოდნენ. ასეთი სამეთვალყურეო აპარატი ირანის იმპერიაში ყველა დიდ მოხელეს ჰყავდა მიჩენილი (ვალის, ბეგლარბეგს, ხანს).

ცენტრალური მმართველობა. მმართველობის ცენტრალური აპარატის მოხელეებს “დარბაზის რიგის მოხელენი” ანუ “კარის გამრიგენი” ეწოდებოდათ. ეს აპარატი საქართველოს სამეფო-სამთავროებში დაახლოებით ერთნაირი იყო და არსებითი ხასიათის განსხვავება მათ შორის არ ყოფილა.

მმართველობის ცენტრალური აპარატი სამეურნეო-საფინანსო, პოლიციური სამსახურის, მეფის დაცვისა და მართლმსაჯულების დარგებს შეიცავდა. ცენტრალური აპარატის მოხელეთა შორის პირველი ადგილი მეფის სახლთუხუცესს ეკავა.

ცენტრალური მმართველობის პოლიციური სამსახურისა და მეფის დაცვის აპარატი შედგებოდა მანდატურთუხუცესის, ბოქაულთუხუცესის, მსაჯულთუხუცესისა და მონათუხუცესის სახელოებისაგან,

პოლიციური სამსახური და მეფის დაცვის ორგანიზაცია მოწოდებული იყო დაეცვა ფეოდალური სახელმწიფოსა და ფეოდალთა კლასისათვის სასურველი წესრიგი. პოლიციური აპარატის მოხელეებს სისრულეში მოჰყავდათ ხელისუფლების ბრძანება-განკარგულებანი, სასამართლოს განაჩენი, აწარმოებდნენ გამოძიებას, ჩხრეკას, დამნაშავეთა დევნას და სხვ.

საპოლიციო სამსახურის მთავარი ხელმძღვანელი მანდატურთუხუცესი იყო, რომელსაც მრავალი ხელქვეითი მოხელე ჰყავდა. მათ შორის მთავარი იყო ბოქაულთუხუცესი, იგი მანდატურთუხუცესის მოადგილედ ჩანს. ამ უკანასკნელს, თავის მხრივ, ბოქაულები, იასაულები და სხვ. ემორჩილებოდნენ. მანდატურთუხუცესი და მისი ხელქვეითი მოხელეების ერთი ნაწილი სასახლის წესრიგს, დარბაზობასა და მეჯლისის ორგანზაციას ხელმძღვანელობდა.

მეფის დაცვის ორგანიზაციას მონათუხუცესი და მსახურთუხუცესი განაგებდნენ. ვახუშტის განმარტებით, “მონათუხუცესის ხელისა იყო ყველანი მეფის როქის სპანი. თÂნიერ ციხექალაქთა”. მონათუხუცესი სასახლის გვარდიის მეთაური იყო. მას ემორჩილებოდნენ ასისთავები და მეთოფეები. მეფის დაცვის საქმეს ემსახურებოდა მსახურთუხუცესიც, მაგრამ მას

მონათუხუცესისაგან განსხვავებით სასახლის შინაური მეურნეობის მოხელეები და მეფის პირადი მოსამსახურენიც ემორჩილებოდნენ.

სამეფო-სამთავროებში, ისე როგორც ერთიანი სახელმწიფოს არსებობის ხანაში, უმაღლეს მსაჯულად მეფე (ან მთავარი) ითვლებოდა. მას შე-ეძლო ყოველგვარი საქმის გარჩევა, მაგრამ, ჩვეულებრივ, მეფე მხოლოდ დიდ საქმეებს ("მეფეთ ორგულობა", "მეფის სალაროს გატეხვა", "დიდებულთა შორის დავა" და სხვ.) არჩევდა. ეკლესიას, კათალიკოსსა და ეპის-კოპოსებს, გარდა იმისა რომ თავისი ყმების მოსამართლენი იყვნენ, ზოგი-ერთ მნიშვნელოვან საქმეზე ხელი მიუწვდებოდათ მთელი სამეფოს მას-შტაბით. ასეთ მნიშვნელოვან საქმეებად მიჩნეული იყო ცოლქმარს შორის დავა, "უკანონო" ქორწინება, შვილის მიერ მამის მკვლელობა და სხვა მრავალი.

სასამართლოს საქმეს განაგებდნენ ფეოდალებიც: თავადები, ეკლესიამონასტრები, აზნაურები თავიანთ მამულებში და მოხელეები (სარდალი, მოურავი, მამასახლისი, ხევისთავი და სხვ.) თავიანთ საგამგეო ტერიტორი-აზე. მხოლოდ ამ უკანასკნელთა სასამართლო კომპეტენციიდან ამოღებული იყო სისხლისა და სამოქალაქო დიდი საქმეები. ასეთ საქმეებს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, მეფის მითითებით, სამეფო კარის მსა-ჯულნი არჩევდნენ. მეფის კარის სასამართლოს "სამდივნო სახლი" ან უბრალოდ "დივანი" ეწოდებოდა.

მთავარ მსაჯულს მსაჯულთუხუცესი, ანუ მდივანბეგი ეწოდებოდა. მდივანბეგის სასამართლო კომპეტენციაში შედიოდა ყველა ის საქმე, რომელიც გამორიცხული იყო ფეოდალთა და ადგილობრივ მოხელეთა კომ-პეტენციიდან; აგრეთვე ის საქმეები, რომელთაც მეფე ან კათალიკოსი არ-ჩევდნენ უშუალოდ. მსაჯულთუხუცესი არჩევდა აგრეთვე წვრილ სამოქალაქო საქმეებსაც იმ შემთხვევაში, როცა მომჩივარნი სხვადასხვა საფეოდალოდან ან სხვადასხვა საგამგეო ერთეულიდან იყვნენ.

მსაჯულთუხუცესი საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროში იყო, თა-ნაც არა ერთი, არამედ რამდენიმე. საერთოდ, გვიანი შუა საუკუნეების სამეფოებისათვის დამახასიათებელია ერთი და იმავე სახელოების გამრავლება. მაგალითად, XVII-XVIII სს. ასევე რამდენიმე იყო ეშიკაღასბაში, ბოქა-ულთუხუცესი და სხვ.

მსაჯულთუხუცესი, ანუ მდივანბეგი მხოლოდ მეფემთავრებს ჰყავდათ. ეს იმას მოწმობს, რომ ფეოდალთა სასამართლო იმუნიტეტი შეზღუდული იყო მეფის ხელისუფლების მიერ.

გვიანსაშუალო საუკუნეებში აღმოსავლური სამყაროს გავლენით მოხდა ზოგიერთი თანამდებობის ქართული სახელოს შეცვლა უცხოურით. მაგალითად XVI ს. ქართლში გვხვდება მინბაშის (თბილისის ციხისთავის) თანამდებობა; მოურავის გვერდით და მის სინონიმად ვრცელდება ტარუღა, გვხვდება მელიქის თანამდებობაც. 1620 წ. მსაჯულთუხუცესის ნაცვლად დამოწმებულია მდივანბეგი. როსტომის მეფობაში (1632-1656 წწ.) კი ეს ტენდენცია მკვეთრად გაიზარდა. როსტომ მეფემ, ვახუშტის სიტყვით, მრავალი თანამდებობის ქართული სახელი ყიზილბაშურით შეცვალა. ასე მაგალითად, მსახურთუხუცესს უწოდა ყორჩიბაში (ყორჩების – მეთოფეთა თავი), მონათუხუცესს – ყულარაღასი (ყულების – მონასპის უფროსი), მანდატურთუხუცესს – ეშიკაღასბაში ("ზღურბლის კარის ბატონი"), ეზოსმოძღვარს – ნაზირი, მესტუმრეთუხუცესს – მეჰმანდარი, ხუროთმოძღვარს – სარაიდარი და სხვ. მართალია, ამ

ცვლილებებს მთლად უკვალოდ არ ჩაუვლია – რამდენადმე შეიცვალა ზოგიერთი სახელოს ბუნებაც, მაგრამ არსებითად ქართული სახელმწიფო აპარატი არ შეცვლილა.

ადგილობრივი მმართველობა. XVI-XVII სს. სამეფო-სამთავროების ადგილობრივი მოხელეები, ანუ "საქვეყნოდ გამრიგენი" სამეურნეო, ადმი-ნისტრაციულ, სამხედრო და სამოსამართლეო საქმეებს ხელმძღვანელობდნენ.

საქართველოს ერთიანი მონარქიის დაშლის შედეგად ცვლილებები მოხდა მმართველობის ადგილობრივ აპარატშიც. ერთიანობის ხანაში ძირითადი სამხედრო-ადმინისტრაციულ და საფინანსო ერთეულს საერისთავო წარმოადგენდა, რომელსაც მეფის, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლის, მიერ დანიშნული მოხელეები – ერისთავთ-ერისთავები და ერისთავები – განაგებდნენ. რაც შეეხება მეფის პირად მამულს (სეფე ანუ დომენი), მას მეფის – როგორც კერძო ფეოდალის მიერ დანიშნული მოხელეები – მოურავები მართავდნენ, ასევე, ეკლესიამონასტრებისა და დიდებულთა სამკვიდრო მამულებსაც მათივე მოხელეები – აგრეთვე მოურავები და სხვ. განაგებდნენ.

საქართველოს პოლიტიკური დაშლის პროცესს დაემთხვა ერისთავთა ინსტიტუტის თანდათანობით მოშლა1. საგამგეო ტერიტორიების ნაწილი ფეოდალების სამკვიდრო მამულად, ნაწილი კი მეფემთავრების დომენად იქცა. ამრიგად, სამეფო-სამთავროები დაყოფილი აღმოჩნდა მეფის, ეკლე-სიამონასტრებისა და თავადების მამულებად, რომლებსაც ცალკე ფეოდალების მიერ დანიშნული მოხელეები მართავდნენ. ამ ვითარებამ წინა პლანზე წამოსწია კერძოუფლებრივი საწყისი საჯაროუფლებრივი საწყისის ხარჯზე. ეს არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს სამეფო-სამთავროები ფეოდალების მამულებად დაიშალა და საბოლოოდ გაქრა საერთო-სამმართველო აპარატი. ფეოდალებს კლასობრივი ინტერესები აიძულებდათ, რომ გაერთიანებულიყვნენ მეფის ირგვლივ და ერთად ებრძოლათ როგორც ყმა გლეხობის დასათრგუნავად, ისე უცხოელთა შემოსევების წინააღმდეგ.

აღებულ ხანაში ადგილობრივი სამოხელეო აპარატის ინსტიტუტად გვევლინება სადროშო, რომელიც წარმოადგენდა სამხედრო-ადმინისტრაცი-ულ ერთეულს.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შედეგად, ბუნებრივია, მოიშალა ძველი სამხედრო წყობილება. ახლად ჩამოყალიბებულ პოლიტი-კურ ერთეულებში, ძველის მსგავსად, ოთხ-ოთხი სადროშო ჩამოყალიბდა. კახეთში ეს რეორგანიზაცია ძირითადად XV ს. 70-იან წლებში განხორცი-ელდა, ქართლსა და დასავლეთ საქართველოში – XVI ს. დასაწყისში.

ქართლის სამეფოს მეწინავე სადროშოს ქვემო ქართლი შეადგენდა. სარდლებად ჯერ ბარათაშვილები, შემდეგ კი ყაფლანიშვილები ინიშნებოდნენ. მემარჯვენე სადროშოს (რომელიც ზემო ქართლს მოიცავდა) სარდლად, ჩვეულებრივ, ამილახვრები იყვნენ. მუხრანი, არაგვის და ქსნის ხე-ობები მემარცხენე სადროშოში ერთიანდებოდნენ და მას მუხრანბატონები სარდლობდნენ. მეფის, ანუ მეოთხე სადროშო თბილისიდან ტაშისკარამდე მტკვრის მარჯვენა ნაპირს მოიცავდა. ამ სადროშოს სარდლებად მეფეები უფრო ხშირად ციციშვილებს ნიშნავდნენ. ამავე სადროშოში შედიოდა ქართლის კათალიკოსის ლაშქარი, როგორც ცალკე ერთეული. ამ ლაშქარს კათალიკოსის მიერ დანიშნული სარდალი ხელმძღვანელობდა.

როგორც აღნიშნული იყო კახეთის სადროშოების სათავეში თავადები კი არ ჩააყენეს, როგორც ეს ქართლსა და იმერეთში მოხდა, არამედ ეპის-კოპოსები. ეპისკოპოსობა კი მემკვიდრეობითი თანამდებობა არ იყო, ამიტომ ვერც სარდლობა გადავიდოდა მემკვიდრეობით. ამ ღონისძიების მიზანს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება წარმოადგენდა.

კახეთის სამეფოს მეწინავე სადროშოს შეადგენდა ქიზიყი, რომელსაც ბოდბელი ეპისკოპოსი სარდლობდა. მემარჯვენე სადროშოში შედიოდა გაღმა მხარე – ნეკრესელი ეპისკოპოსის სარდლობით. მემარცხენე სადრო-შოს შეადგენდა გარე კახეთი (მარტყოფ-საგურამოთი), მისი სარდალი რუსთაველი ეპისკოპოსი იყო. მეოთხე სასარდლოს შესახებ პირდაპირი მითითება არა გვაქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი მეფის სასარდლო უნდა ყოფილიყო. XVII-XVIII სს. კახეთში სარდლის მოვალეობას ხშირად თავადები ასრულებდნენ. ეს გარემოება, ცხადია, რამდენადმე ამცირებდა იმ უპირატესობას, რაც კახეთის მეფეებმა მოიპოვეს თავიდანვე, როცა სადრო-შოს სათავეში ეპისკოპოსები დააყენეს.

იმერეთის სამეფოშიც ოთხი სადროშო იყო. პირველ სადროშოს შე-ადგენდა საჩხეიძო-სალომინაო და ვაკე. მეორეს – არგვეთი, მესამეს – რაჭა და მეოთხეს – ოკრიბალეჩხუმი. იქაც, ისე როგორც ქართლში, სადროშოს სათავეში მსხვილი თავადები იდგნენ.

სადროშოს მეთაურს სარდალი ეწოდებოდა. სარდლის ინსიგნიები იყო დროშა და ხმალი, რომლებსაც თანამდებობაზე დანიშვნისას მეფე საზეიმოდ გადასცემდა სარდალს. სარდალს ემორჩილებოდნენ სადროშოს ტერიტორიაზე მცხოვრები თავადები, ეპისკოპოსები, მოურავები და სხვა. აქ დასახლებული ფეოდალები თუ მოხელეები თავიანთ საფეოდალოდან თუ საგამგეო ტერიტორიიდან გამოსული ჯარით სარდლის დროშის ქვეშ დგებოდნენ. სარდლის მთავარი მოვალეობა იყო ომის დროს ჯარის გამოყვანა, მშვიდობიანობის დროს კი ჯარის გაწვრთნა და მომზადება (“ლაშქარ-ნადირობა”). სარდალს, გარდა სამხედრო საქმისა, ეკითხებოდა აგრეთვე სამართალი და სხვა “გარიგებაც” სასარდლოსი.

ამგვარად, სადროშოები წარმოადგენდნენ როგორც სამხედრო ერთე-ულს, ისე ადგილობრივ სამოქალაქო ადმინისტრაციულ ერთეულსაც.

ადგილობრივი მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოხელე იყო მოურავი. მოურავები ჰყავდათ როგორც მეფესა და ეკლესიამონასტრებს, ისე თავადებს თავიანთ მამულებში.

მეფის მოურავი მეფის სახასო მამულებს განაგებდა. მას ხელი არ მი-უწვდებოდა ეკლესიისა თუ თავადის მამულებზე. ამიტომ ხშირად ერთი და იგივე სოფელში რამდენიმე მოურავი იყო (მეფის, ეკლესიის, თავადის). ზოგი მოურავი სოფლის ნაწილს განაგებდა, ზოგი კი, თუ ეს სოფელი ერთ მებატონეს ეკუთვნოდა, მთელ სოფელს. იყო ისეთი სამოურავოებიც, რომლებშიც რამდენიმე სოფელი და მთელი პროვინცია შედიოდა.

მოურავი უვლიდა მამულს, კრებდა გადასახადს, სარდლობდა მის საგამგეო ტერიტორიას, ასამართლებდა მოსახლეობას, სჯიდა ურჩებს და სხვ. მოურავი საგამგეო ტერიტორიის მოსახლეობის ხარჯზე ცხოვრობდა. იგი შემოსავლიანი თანამდებობა იყო. ფეოდალები ცდილობდნენ სამემ-კვიდრეოდ დაეჩემებინათ მოურავობაც და ხშირად წარმატებებსაც

აღწევდნენ. მეფის მოურავებად თავადები ან სამეფო აზნაურები ინიშნებოდნენ, ეკლესიამონასტრებისა და თავადების მოურავებად კი – მათივე აზნაურები.

მოურავს ემორჩილებოდნენ ნაცვალი (მოურავის მოადგილე) და მამა-სახლისი. ნაცვლებად წვრილი აზნაურები ინიშნებოდნენ. მამასახლისებს კი მეფე ან ფეოდალი ნიშნავდა ადგილობრივი გლეხებისაგან, სოფლის მოხელეთა შორის გვხვდება აგრეთვე გზირი, რომელიც ადგილობრივი ადმი-ნისტრაციის განკარგულებათა აღმასრულებელი იყო.

საქართველოს მთავარი ქალაქები – თბილისი, გორი, გრემი, ქუთაისი და სხვ. – მეფეთა საკუთრებად ითვლებოდა. სამეფო ქალაქებს მეფის მო-ურავები განაგებდნენ.

საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს არსებობის ხანაში ქალაქის მმართველს ამირთ-ამირა ეწოდებოდა. XV-XVI საუკუნეებიდან კი მათ ნაცვლად მოურავი მკვიდრდება. ეს პროცესი ჯერ პატარა ქალაქებს გორს, ატენს, სურამს და სხვ. შეეხო. XVII საუკუნეში კი თბილისსა და ქუთაისშიც დამკვიდრდა. ტერმინთა ამ შენაცვლებაში აისახა დიდი ტეხილი, რომელსაც ადგილი ჰქონდა გვიანსაშუალო საუკუნეებში კერძოუფლებრივი საწყისის გაძლიერების სახით. ერთიანი სახელმწიფოს არსებობის ხანაში ქალაქი სახელმწიფოს საკუთრება იყო, ამირა და ამირთ-ამირა კი სახელმწიფოს მოხელე, რომელიც ემორჩილებოდა მეფეს, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს. ერთიანი სახელმწიფოს დაშლის შედე-გად, როცა ფაქტობრივად შეერთდა სახელმწიფოსა და მეფის როგორც ფე-ოდალის საკუთრება, ქალაქებში მეფემ თავისი პირადი დომენის მოხელეები – მოურავები დანიშნა. ეს პროცესი, როგორც ჩანს, დამთავრდა XVII ს. დასაწყისში თბილისის სახელმწიფო ქალაქიდან სამეფო ქალაქად გადაქცევით.

მოურავს ქალაქის მმართველობაც ეკისრებოდა. მას ეკითხებოდა ქალაქის ყველა საქმე – სავაჭრო და სახელოსნო საქმეების მოწესრიგება, ნიხრების დაწესება, ბაჟის აკრება, გადასახადების განაწილება და აღება, სასამართლო საქმეების გარჩევა, გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა, დამნაშავის დაპატიმრება, უცხოელი სტუმრების მიღებადაბინავება, მათზე ზრუნვა და სხვ. მოურავს მრავალი ხელქვეითი მოხელე და იასაულთა რაზმი ჰყავდა.

მოურავების მოადგილეებად ინიშნებოდნენ ნაცვლები, თბილისში კი, გარდა მოურავის ნაცვლისა, იყო კიდევ მეფის მიერ დანიშნული ნაცვალი, რომელიც, როგორც ჩანს, მეფეს ემორჩილებოდა.

მოურავის ხელქვეითი მოხელეები იყვნენ მამასახლისი და მელიქი. ეს უკანასკნელი XVI ს. შუა ხანებში ჩნდება და სომხური მოსახლეობის გამრავლებას უკავშირდება. ორთავე სახელო დიდი თანამდებობა იყო. ამ მოხელეებსაც მეფე ნიშნავდა. აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების მოხელეთა შორის გვხვდება აგრეთვე ქეთხუდების სახელო. ქეთხუდა შინაარსით მამასახლისს ნიშნავს. ქეთხუდებს ირჩევდნენ ქალაქის ვაჭრები საზოგადო-ებრივ და ქალაქის საქმეებში მონაწილეობის მისაღებად. ისინი ქალაქის შეძლებული ნაწილის წარმომადგენლები იყვნენ და ქალაქის მართვა-გამგე-ობის ორგანოებში მონაწილეობდნენ.

XVII ს. საქართველოს სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური წყობილება დაქვეითებული ფეოდალური ეკონომიკის შესაბამისი იყო.

თავი XXXI. ქართული კულტურა XVI-XVII საუკუნეებში

XVI-XVII სს. მძიმე პერიოდია საქართველოს ისტორიაში. კვლავ გრძელდება ირანელთა (აღმოსავლეთ საქართველოში) და ოსმალთა (სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში) შემოსევები. XVI ს-ის ბოლოს სამცხე დაიპყრეს ოსმალებმა. საქართველომ დაკარგა თავისი ტერიტორიის თითქმის მესამედი, რომელიც ქართული ფეოდალური კულტურის, მეცნიერებისა და ქრისტიანობის ერთ-ერთი ბურჯი იყო. XVII ს. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. განსაკუთრებით დაზარალდა კახეთის სამეფო, რომელმაც შაჰ-აბას I-ის შემოსევების შედეგად თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა. განადგურდა კულტურის ბევრი ძეგლი (ეკლესიამონასტრები, სკოლები, წიგნთსაცავები, ოქრომჭედლობის, ფრესკული თუ მინიატურული მხატვრობის ნიმუშები და სხვა). ბიზანტიის დაცემის შემდეგ (1453 წ.) საქართველო მოწყდა და-სავლეთ ევროპის კულტურულ სამყაროს და მაჰმადიანურ მტრულ გარემოცვაში აღმოჩნდა. ამას დაემატა ლეკიანობის (აღმოსავლეთ საქართველო-ში) და ტყვის სყიდვის (დასავლეთ საქართველოში) გაძლიერება, რის შედეგადაც ათასობით ქართველი ახალგაზრდა ოსმალეთისა და ეგვიპტის ბაზრებზე იყიდებოდა.

მიუხედავად აღნიშნული მძიმე ვითარებისა, ქართული კულტურის განვითარება არ შეწყვეტილა. ქართულ სამეფო-სამთავროებში თუნდაც დროებით ჩამოვარდნილი მშვიდობიანობისას სწრაფად ხდებოდა კულტურის ამა თუ იმ დარგის განვითარება. უფრო მეტიც, XVI-XVII საუკუნეები ქართულ კულტურაში, განსაკუთრებით ლიტერატურის დარგში, “აღორძი-ნების” ხანად არის სპეციალისტების მიერ მიჩნეული. ეს აღორძინება, რა თქმა უნდა, არ არის ევროპული რენესანსის ტოლი, მაგრამ XII ს-ის საქართველოში არსებული ე. წ. ადრეული რენესანსის ნიშნები მთლად არასოდეს მოსპობილა და აღებულ ხანაში აშკარად დაეტყო გამოცოცხლება გან-საკუთრებით ლიტერატურას.

განათლება. XVI-XVII სს-ში სწავლა-განათლების საქმე კლასიკურ ხანასთან (XI-XII სს.) შედარებით საგრძნობლად იყო დაქვეითებული. პო-ეტ დავით გურამიშვილის ერთ სტროფში დახატული ვითარება, რომელ-შიც იგულისხმება XVIII ს-ის დასაწყისი, თავისუფლად შეიძლება გავავრცელოთ წინა პერიოდზედაც:

“...ჩემსა ყრმობაში

სულ გარს მტრად გვადგა თურქყიზილბაში,

მით იკლო სწავლამა. ჩვენში ლეკთ დავლამა

წიგნი წარსტყვენნა.

დარჩნენ უწიგნო ბერებხუცები

ჩემის დროს ყრმანი უწვრთელ-უცები”.

აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით ეხებოდა მოსახლეობის დაბალ ფენებს, სადაც სათანადო პირობების უქონლობის გამო, გავრცელებული იყო წერა-კითხვის უცოდინარობა. რაც

შეეხება ფეოდალურ არისტოკრატი-ასა და ქალაქური მოსახლეობის ზედაფენებს, იქ სწავლა-განათლებას ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა.

სწავლა-აღზრდის სისტემა მოიცავდა როგორც სასულიერო, ისე საერო განათლების სფეროს. მაგრამ, დროის შესაფერისად, ხალხის მისწრაფება უფრო საერო და პრაქტიკული საგნების შესწავლისაკენ იყო მიდრეკილი. დიდი იყო ინტერესი ფილოსოფიის, ისტორიის, უცხო ენების, ასტრონომიის, მათემატიკის, მედიცინისა და სხვა საგნების შესწავლისადმი. გულისტკივილით აღნიშნავდა მეფე-პოეტი თეიმურაზ I: "არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთაო".

ადრეული განმანათლებლობის წარმომადგენელმა მეფე-პოეტმა არ-ჩილმა წამოაყენა პროგრესული პედაგოგიური იდეები, რომლის მიხედვით სწავლა-განათლება მოსახლეობის ფართო წრეებისათვის უნდა ყოფილიყო ხელმისაწვდომი. მისი აზრით, სწავლა-განათლება ერის კეთილდღეობის ერთ-ერთი საფუძველია. განათლებული კაცი უნდა იყოს არა მარტო ქართული ენისა და კულტურის მცოდნე, არამედ: "ბევრი სხვაც უნდა იცოდეს, სულ არ უბნობდეს ქართულად".

არჩილის პედაგოგიური შეხედულების მიხედვით სწავლა-აღზრდის საქმეში მთავარი როლი მასწავლებელს ენიჭება. რომელიც ადვილიდან რთულისაკენ თანდათანობით გადასვლის მეთოდით უნდა ხელმძღვანელობდეს და "მცირედმცირედის სწავლებით ძნელის საცოდნს გაუადვილებდეს".

სკოლები ძირითადად ეკლესიამონასტრებთან არსებობდა, სადაც თავადაზნაურების შვილებთან ერთად მოსახლეობის დაბალი ფენებიდან გამოსული ბავშვებიც სწავლობდნენ. სკოლები არსებობდა აგრეთვე მეფემთავართა და დიდებულ თავადთა რეზიდენციებში.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებელს, შემორჩენილი გადმოცემის მიხედვით, ასეთი სასწავლებელი ე. წ. აკადემია თითქოს არსებობდა კახეთის სამეფოს დედაქალაქში, გრემში, რომელიც განადგურდა შაჰ-აბასის შემოსევების შედეგად 1614-1617 წლებში. კახეთში საუკუნე-ნახევრის განმავლობაში (1466-1614 წწ.) დიდ შემოსევებს ადგილი არ ჰქონია, მოსახლე-ობა გამრავლდა, ახალი ქალაქები გაჩნდა და საქალაქო ცხოვრება განვითარდა. არაა გამორიცხული, რომ სამეფოს დედაქალაქში დაარსებულიყო უმაღლესი სასწავლებელიც.

XVII ს-ში გამოცოცხლდა ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესი-ასა და საქართველოს შორის. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები კათოლიკე მისიონერების მეშვეობით ევროპის პოლიტიკური დახმარების მიღებას ცდილობდნენ ოსმალეთისა და ირანის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა-ში. ევროპის სავაჭრო წრეები დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოთი, რომელიც შეიძლება მოხერხებული სატრანზიტო სავაჭრო გზა ყოფილიყო ირანისაკენ, თბილისი კი, საიმედო საწყობი ევროპელი ვაჭრებისა. რომის პაპის მიზანი კი კათოლიკობის გავრცელება იყო საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში. ამ ორმხრივი ინტერესის შედეგი იყო ის ცხოველი ურთიერთობა, რომელიც მთელი XVII ს. მანძილზე არსებობდა საქართველოსა და რომის კათოლიკურ ეკლესიას შორის. კათოლიკე მისიონერებს შორის იყვნენ არა მარტო კათოლიკობის მქადაგებელნი, არამედ ექიმი, ინ-ჟინერი, ასტრონომი, მხატვარი, მწერალი, პედაგოგი, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ჩვენში სწავლა-განათლებასა და "საერო ცოდ-

ნის” დაწინაურებაზე. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო კათოლიკე მისიო-ნერთა მოღვაწეობა XVII ს-ის 30-იანი წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მტრის დიდ შემოსევას აღარ ჰქონია ადგილი.

მისიონერებმა შექმნეს საკვირაო და დაწყებითი სკოლები. საკვირაო სკოლებში უკითხავდნენ სახარებას და ესაუბრებოდნენ კათოლიკური მოძღვრების შესახებ. დაწყებით სკოლებში კი ენების გარდა (ქართული, იტალიური, ლათინური) ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას, მათემატიკას, ისტორიას, ხატვას და სხვა. მისიონერები, ზოგიერთ შემთხვევაში, ბავშვებს ხელოსნობასაც ასწავლიდნენ (ოქრომჭედლობას, ხუროობას და სხვ.).

მისიონერთა სკოლა თბილისში პირველად 1630 წ. დაარსებულა, გურიაში – 1634 წ., შემდეგ სამეგრელოში, ქუთაისში, 1670 წ. გორში და სხვ. ამ სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობაც დაახლოებით 20დან 40მდე მერყეობდა. მხოლოდ თბილისში 1668 წ. 25 მოსწავლე ყოფილა, 1675-1676 წლებში კი – 50მდე. მისიონერები სკოლებს თავიანთი ხარჯით ინახავდნენ. წარჩინებულ ახალგაზრდებს აგზავნიდნენ პაპის მიერ დაარსებულ კოლეჯში, რომელშიც იღებდნენ სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებს და სადაც ამზადებდნენ კათოლიკე მღვდლებს. 1633-1657 წლებში იქ გა-ნათლება მიუღია 27 ქართველს. 1679 წელს ამ სკოლაში გასაგზავნად 5 მოსწავლე ყოფილა მომზადებული.

რომში ახალგაზრდების გაგზავნა სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ თბილისში მოღვაწე პატრი ბერნარდეს წინადადება წამოუყე-ნებია, ნიჭიერ ყმაწვილებს რომში გაგზავნის მაგივრად, აქვე, “მისიონერების სახლებშივე”, “საუკეთესო მასწავლებლების ხელმძღვანელობით”, მიაღებინონ “სამოქალაქო თუ საეკლესიო მეცნიერებანი”, რისთვისაც კოლე-ჯის ხელმძღვანელობას უნდა გაეღო იმდენი ხარჯი, რამდენიც საჭირო იქ-ნებოდა რომში ოთხი ახალგაზრდის აღსაზრდელად. მაგრამ უსახსრობის გამო ეს საქმე ჩაიშალა.

საქართველოდან საზღვარგარეთ ყმაწვილებს აგზავნიდნენ არა მარტო საღვთისმეტყველო საგნების შესასწავლად. მაგალითად, 1681 წ. ნეაპოლის საშუალო სკოლაში ერთი ქართველი თავადიშვილი სწავლობდა “სამოქალაქო მეცნიერებას”. ასეთი შემთხვევები სხვაც უნდა ყოფილიყო.

საქართველოში, განსაკუთრებით ფეოდალურ წრეებში, ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდას და სამხედრო ვარჯიშს. სამხედრო ვარჯიშის ერთი სახე იყო ნადირობაც, რომლის დროს ახალგაზრდა ეჩვეოდა ცხენოსნობასა და იარაღის ხმარებას, სიფხიზლეს, სისწრაფეს და სხვ. “Ãრმლის ცემა, ლახტის თამაში, ბევრგვარ ბრუნება შუბისა” აუცილებელი პირობა იყო სამხედრო ვარჯიშისა.

მეცნიერება. სამეცნიერო და საერთოდ კულტურის მთავარი ცენტრი კვლავ ქალაქი თბილისი იყო. იქ მეფეთა სასახლეებში, განსაკუთრებით XVII ს-ის მეორე ნახევარში, თავს იყრიდნენ პროგრესული მოღვაწეები – მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები. XVII ს. 30-იანი წლების ბოლოს როსტომ მეფის მეუღლის, მარიამ დედოფლის ინიციატივით გადაწერილ იქნა “ქართლის ცხოვრების” კრებული. მარიამ დედოფალი ხელს უწყობდა დატაცებული წიგნების შეგროვებას. მაგალითად, 1645 წელს მას “თათრებისაგან” დაუხსნია “ჟამის წიგნი”.

მეფე ვახტანგ V-ის სამეფო კარზე დიდი შემოქედებითი მუშაობა იყო გაჩაღებული. მისი შვილებიდან არჩილი თავად იყო პოეტი და მეც-ნიერი, ლევანიც “ბრძენი და მეცნიერი” ყოფილა და “განსწავლული სამეც-ნიერო წიგნითა”, რაც შეეხება ვახტანგის უფროს შვილს გიორგი XI-ს, იგი სამეცნიერო მუშაობის ორგანიზატორი ყოფილა. მან შეუკვეთა სულხან-საბა ორბელიანს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენა. მისივე დავალებით გაულექსავს იაკობ დუმბაძეს ბაგრატ ბატონიშვილის პოლემი-კური ნაშრომი მაჰმადიანობის წინააღმდეგ. გიორგის კარზე მოღვაწეობდა ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე, მისივე დავალებით დაუმზადებია ბეგთაბეგ თანიაშვილს “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერი. სეხნია ჩხეიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე თბილისის წიგნთსაცავის დაარსების საქმეში და სხვ.

სამეცნიერო თუ ლიტერატურული შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობდა აგრეთვე სხვა სამეფო-სამთავროების ცენტრებშიც (გრემი, თელავი, ქუთაისი, ზუგდიდი და სხვ.), ასევე საეპისკოპოსო ცენტრებში (სვეტიცხოველი, გელათი, ალავერდი, ცაიში, ბედია...) და მონასტრებში, სადაც ხელ-ნაწერთა საცავებიც იყო. XVI ს-ის შუახანებში ირანის შაჰს თამაზს, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ვარძიის მონასტრის წიგნთსაცავიდან დიდი რაოდენობით ძვირფასი ხელნაწერი წიგნები გაუტაცია. რაც შეეხება მესხეთის ეკლესიამონასტრებში არსებულ სამეცნიერო-კულტურულ ცენტრებს, XVI ს-ში ჯერ კიდეც მიმდინარეობდა შემოქმედებითი მუშაობა (“ქრონი-კონების” შედგენა, ხელნაწერთა გადაწერა-გამრავლება და სხვ.). მაგრამ XVII ს-ში, მხარის ოსმალთა მიერ დაპყრობის შედეგად, საბოლოოდ შეწყდა შემოქმედებითი საქმიანობა.

XVI ს-ში არ შექმნილა არც ერთი მნიშვნელოვანი საისტორიო თხზულება. როგორც აღნიშნული იყო, ჩვენამდე მოღწეული “ქრონიკებიდან” აღსანიშნავია ე. წ. “მესხური დავითნის ქრონიკა” (მესხური მატიანე), რომელიც შეიცავს 26 წლის ამბავს (1561-1587 წწ.). მასში დღიურის ფორმით ძირითადად მოთხრობილია სამცხე-საათაბაგოში მომხდარი ამბები და, ამდენად, მეცნიერულ ანალიზს ან ერთიანი საქართველოს მასშტაბით მოვლენების შეფასებას აქ ვერ ვხვდებით.

XVII ს. მოღვაწეობდა ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე (1626-1696 წწ.), რომლის ცხოვრება და შემოქმედება ზემოთ უკვე იყო განხილული. აქ მხოლოდ იმას დავუმატებთ, რომ ფარსადანი, როგორც ისტორიკოსი, არ გამოირჩევა კვლევის მეთოდებითა და ხერხებით, არც სათანადო კრიტიკული ალღო გააჩნია (ამის გამო მრავლადაა შეცდომები მის ნაშრომში).

ფარსადან გორგიჯანიძემ 1691 წელს გადმოთარგმნა მუსლიმანური სამართლის წიგნი “ჯამი აბასი” და შეადგინა სპარსულ-არაბულქართული ლექსიკონი. მას მნიშვნელოვანი წვილილი მიუძღვის აგრეთვე ფირდოუსის “შაჰნამეს” ქართული ვერსიების შექმნის საქმეში.

საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დაქვეითების შედე-გად დაქვეითება დაეტყო ქართულ სამართალსაც, რამაც გამოიწვია ადათობრივი სამართლისა და პრიმიტიული სამართლის ნორმებისა და ინსტიტუტების გამოცოცხლება. მცირდება წერილობითი საბუთებისა და მოწმეთა ჩვენების მნიშვნელობა. სასამართლო პროცესში დიდი მნიშვნელობა ეძლევა ფიცს. XVI-XVII სს-ში პრაქტიკაში ყოფილა ე. წ. “ღვთის სამსჯავროს” — ორდალიების სისტემა. ა. ლამბერტის, შარდენის და ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, XVII ს. გამოყენებული ყოფილა

მდუღრით გამოცდა და ორთაბრძოლა, თუმცა იყო შემთხვევები, როცა სასამართლო უარს ამბობდა ხმლით გამოცდაზე. მაგალითად 1620 წ. სასამართლო განა-ჩენში ნათქვამია, რომ მოსამართლეებმა უარი თქვეს ორთაბრძოლის გამოყენებაზე და ბრალდებულს დაავალეს ფიცით ემართლებინა თავი.

XVI-XVII სს-ში გამოიცა იურიდიული ხასიათის ცალკეული დადგე-ნილებები – მეფეთა სიგელები, რომლებშიც სამართლის ცალკეული ნორმები იყო განსაზღვრული. მაგალითად, 1594 წ. სიმონ მეფის სიგელის მიხედვით ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაულის მცდელობა არ ისჯებოდა.

XVI ს-ის 40-იან წლებში გელათში მოუწვევიათ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება, რომელსაც აფხაზეთის კათალიკოსთან ევდემონ ჩხეტიძესთან ერთად ესწრებოდა ქართლის კათალიკოსი მალაქია. კრებამ მიიღო "საკათალიკოსო კანონები" (იგივე ("სამართალი კათალიკოსთა"). ძეგლში განხილულია სასულიერო საქმეები და ზოგიერთი სისხლის სამართლის საქმე (მკვლელობა, ეკლესიათა ძარცვა და სხვ.). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას. "საკათალიკოსო კანონები" თავიდანვე დასავლეთ საქართველოსთვის შედგა, მაგრამ შემდეგ ის აღმოსავლეთ საქართველოშიც გავრცელდა და XVI-XVII სს-ში მთელ საქართველოში მოქმედებდა.

აღებული ხანიდან ჩვენამდე მოაღწია დავით XI-ის (იმავე დაუთხა-ნის) მიერ XVI ს. 80-იან წლებში შედგენილმა სამედიცინო სახელმძღვანელომ — "იადიგარ დაუდი" (დავითის მოსაგონებელი), რომელიც მას შე-უდგენია სტამბოლში ყოფნისას, როცა ის იძულებული გახდა ჩამოშორებოდა პოლიტიკას. დავითის ნაშრომი კომპილაციური ხასიათისაა, როგორც ჩანს, მას კარგი სამედიცინო განათლება ჰქონია. დავითს აღნიშნულ სახელმძღვანელოში საკუთარი დაკვირვებებიც შეუტანია. დავითი წერს, რომ თუ ავადმყოფთან ექიმი არ არის, მაშინ "ესე წიგნი დაიდვან წინა და ამა წიგნითა უაქიმონო".

იმ დროის საქართველოში წამლობით მკურნალობის გვერდით გამოყენებული იყო ქირურგიული და ფიზიკური მეთოდები აგრეთვე დიეტა და სხვ.

მხატვრული ლიტერატურა და ხალხური სიტყვიერება. XVI-XVII საუკუნეების ლიტერატურას სპეციალისტები "აღორძინების" ხანის მწერლობას უწოდებენ. აღებული ხანის ლიტერატურას ახასიათებს მთელი რიგი სიახლეები როგორც თემატიკის, ისე ჟანრობრივი თვალსაზრისით: ეროვნული მოტივისა და ორიგინალური შემოქმედების გაძლიერება, სპარ-სული პოეზიის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა (განსაკუთრებით XVII სში), საერო პოეზიის გაძლიერება, რეალიზმის ელემენტები, პოეზიის უპირატესობა პროზასთან შედარებით, სტილის დემოკრატიზაცია და სხვა.

აღებულ ხანაში, ერთი მხრივ (განსაკუთრებით XVI ს-ში), გრძელდება სპარსული პოეზიის ნიმუშების თარგმნა და გადმოქართულება და, მე-ორე მხრივ, იქმნება "ვეფხისტყაოსნის" გაგრძელებათა თუ ჩამატებათა მთელი ციკლი, "ვეფხისტყაოსნის" გაგრძელებათა ავტორები იყვნენ: სარ-გის თმოგველი, ვინმე მესხი მელექსე, ნანუჩა თუ მანუჩარ მწერალი, იო-სებ ტფილელი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და სხვა.

ფირდოუსის “შაჰნამეს” ნაწილი, “როსტომიანი”, გადმოუკეთებია XVI ს-ის პირველი ნახევრის მწერალს სერაპიონ საბაშვილს (კედელაურს), მისი შრომა გაუგრძელებია პოეტ ხოსრო თურმანიძეს. პოემა ქართული და ქრისტიანული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი, რის გამოც იგი ქართველი ხალხის საყვარელ წიგნად იყო ქცეული. სპარსულიდან გადმოკეთებული პოემებია “უთრუთიან-საამიანი”, “ზააქიანი” და სხვა.

XVII ს-ის მეორე ნახევარში ძმებს სულხან და ბეგთაბეგ თანიაშვილებს გაულექსავთ მოსე ხონელის “ამირანდარეჯანიანი”, XVII ს-ში შედ-გენილი საზღაპრო პროზის შესანიშნავი ძეგლი “რუსუდანიანი” და სხვა.

XVII ს-ის დასაწყისში მომხდარმა ამბებმა, შაჰ-აბასის შემოსევებმა, ქართველი ხალხის უმაგალითო ბრძოლებმა უძლიერესი დამპყრობლების წინააღმდეგ სარიოზულად ჩააფიქრა იმდროინდელი ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილი. ისინი ხედავდნენ, რომ ქართველი ხალხი ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე იდგა და მხოლოდ ხმლით ბრძოლა ვერ უზრუნველყოფდა მოზღვავებული მტრის უკუგდებას.

სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობას თავისი იდეოლოგიაც გა-უჩნდა ისტორიულლიტერატურულ თხზულებათა სახით. ესაა თეიმურაზ I-ის “წამება ქეთევან დედოფლისა”, არჩილის “გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა”, იოსებ ტფილელის “დიდმოურავიანი”, ფეშანგი ხითარიშვილის “შაჰნავაზიანი” და სხვ. ამ თხზულებებში ასახულია XVII ს-ის გამოჩენილ მოღვაწეთა განსაკუთრებული დამსახურება ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამ თხზულებათა ავტორების მიზანი იყო გაეღვივებინათ ეროვნული ერთიანობის გრძნობა, გამოეწვიათ პატრიოტული აღტკინება, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისათვის.

თეიმურაზ I-ის (1589-1663 წწ.) “წამება ქეთევან დედოფლისა” პირველი ისტორიული პოემაა, რომლითაც საფუძველი ეყრება ჩვენში საერთოდ ამ ჟანრს. პოემა დაწერილია 1625 წელს, ქეთევან დედოფლის წამებიდან (1624 წ. 12. IX) შვიდი თვის შემდეგ, ცოცხალი შთაბეჭდილებების ქვეშ. პოემაში დაწვრილებითაა მოთხრობილი ქეთევანის გმირობა და მოწამეობრივი სიკვდილი. ქეთევანის მოწამეობრივ სიკვდილს თეიმურაზი აფასებს, როგორც სამშობლოს თავისუფლებისათვის გაღებულ მსხვერპლს.

აღორძინების ხანის ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე არჩილი განსაკუთრებული ფიგურაა XVII ს. ქართული აზროვნების ისტორიაში. მისი მთელი შემოქმედება სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ადრეული განმანათლებლობის იდეოლოგიაა. არჩილი დაუპირისპირდა ძველ ლიტერატურულ მიმართულებას, რომლის წარმომადგენლები, მისივე თქმით, “ზღაპრულ ამბებს” გადმოსცემდნენ. არჩილისა და მისი სკოლის პრინციპია “მართლის თქმა”. მან დაამკვიდრა ლიტერატურაში ეროვნულ-პატრიოტული მოტივი, რომლის საწყისებს ვხვდებით თეიმურაზ I-ის შემოქმედებაში ზემოგანხილული პოემის სახით. არჩილის შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი მოტივია ქართული კულტურისა და ყოფის, ქართული ენის დაცვა, მისი სიწმინდი-სათვის

ბრძოლა მაჰმადიანური ყოფისა და კულტურის გავლენის წინააღმდეგ. არჩილის მთელი შემოქმედება მოწოდებაა ქართველი ხალხის თავი-სუფლებისა და საქართველოს გაერთიანებისაკენ.

არჩილის პოემაში — "გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა" ანუ "თეიმურაზიანში" — განხილულია მოკლედ ლიტერატურის ისტორიისა და პოეტიკის საკითხები, მაგრამ მასში მთავარი ადგილი მაინც XVII საუკუ-ნის პირველი ნახევრის ისტორიას უჭირავს, რომელიც შედარებულია თამარის ეპოქასთან. ესაა თეიმურაზ I-ის დროინდელი საქართველოს ისტორია. ასე განიხილავდა მას თვით ავტორი და, როგორც ჩანს, იმდროინდელი საზოგადოებაც. იოსებ ტფილელი "დიდმოურავიანში" წერს:

"მეფესა ქართლის ცხოვრება ებრძანა გალექსულობით,

ზოგი რუსთველისა ბაასი, კახთ მეფის საქმე სრულობით".

არჩილი ცდილობს გაარკვიოს საქართველოს მარცხის მიზეზები. ამ მიზეზთაგან ის გამოყოფს სამ მთავარ ფაქტორს: 1) საგარეოს – გარეშე მტრის გამრავლებას; 2) საშინაოს – შინაფეოდალურ ომებს და 3) სოციალურს. არჩილი, როგორც ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილის წარმომადგენელი და პროგრესული მოღვაწე, ფეოდალთაგან გლეხობისადმი გონიერ და "ზომიერ" დამოკიდებულებას მოითხოვს. ის აფრთხილებს ფეოდალურ საზოგადოებას: "თუ ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდესო" და მოუწოდებს: "გლეხს ძალი მოაშორეთაო". არჩილი საყვედურებს გამოთქვამს ფეოდალური საზოგადოების მიმართ: "დაბალ კაცს არ ახსენებენო".

"სოციალური სამართლიანობის" დამყარება, არჩილის აზრით, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ეროვნული ერთიანობისა და სახელმწიფოს განმტკიცებისათვის.

თეიმურაზისა და სააკაძის ცხოვრება, ბრძოლა არჩილს სამაგალითოდ მიაჩნია მომავალი თაობებისათვის. მათი საგმირო საქმეების გადმოცემით იგი ცდილობს ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში გააღვიძოს პატრიოტული და ეროვნული ერთიანობის იდეები.

არჩილის ისტორიულმა პოემამ დიდი გავლენა მოახდინა შემდეგი დროის საისტორიო მეცნიერებაზე. ამ პოემით დიდად არის დავალებული ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტის თხზულებანი.

იოსებ ტფილელი არჩილის სკოლის ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგე-ნელი და თვალსაჩინო ფიგურაა XVII ს-ის ქართული აზროვნების ისტორიაში. ისიც, მსგავსად არჩილისა, წინააღმდეგია "სპარსთა ნათქვამი, ნაჭორი" ამბის გალექსვისა და "მართლის თქმის" პრინციპის მომხრეა. იოსებ ტფილელს "დიდმოურავიანი" დაუწერია არჩილის დავალებით (1684-1688 წწ.). კერძოდ, არჩილს აინტერესებდა თურმე თეიმურაზი "ვით გაუწყრა მოურავსა, მეფეს ანუ ვით ენება". მაგრამ ი. ტფილელი არ შეიზღუდა ამ დეტალის განმარტებით. მან დაწერა პოემა, რომელშიც XVII ს-ის პირველი მესამედის საქართველოს ისტორიის ფონზე წარმოდგენელია გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის, გიორგი სააკაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მთავრი მომენტი.

იოსებ ტფილელი, მსგავსად არჩილისა, თავის პოემას საისტორიო თხზულებად მიიჩნევს:

“ქართლის ცხოვრება სხვათა თქვეს (იგულისხმება არჩილი)

მე ამის ვიქმენ ბრალევად,

რომ დამეკარგა ამბავი (ე. ი. ისტორია)

ქმნილ იყო შესაბრალევად”.

ტფილელმა, შეიძლება ითქვას, დოკუმენტური სიზუსტით გადმოსცა გიორგი სააკაძის ცხოვრების მთავარი ფაქტები. იგი გ. სააკაძეს ხატავს, როგორც სახალხო გმირს, რომელმაც “ქართლს მოავლო გალავანი” და სამშობლოს კეთილდღეობას შესწირა მთელი ცხოვრება და პირადი ბედ-ნიერება, შვილებისა და საკუთარი სიცოცხლე. იგი გ. სააკაძის საგმირო საქმეთა მაგალითით ცდილობს პატრიოტული გრძნობები გააღვიძოს ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში.

ფეშანგი ხითარიშვილიც (ფაშვიბერტყაძე) არჩილის სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელია. ისიც “მართლის თქმის” პრინციპის მომხრე ყოფილა: “მართალს ვიტყვი არა ჭორადო”, ამბობს ფეშანგი. არჩილის დავალებით დაუწერია მას პოემა “ფირმალიანი”, რომელიც არჩილისავე სიტყვით ვერ გამოსულა “მარილიანი”. ამ პოემას ჩვენამდე არ მოუღწევია. ფეშანგის მთავარი ნაშრომია პოემა “შაჰნავაზიანი” (დაიწერა 1664-1665 წწ). მასში მოთხრობილია ვახტანგ V-ის (1658-1675 წწ.) ისტორია 1658დან 1664 წლამდე. პოემა, ფეშანგისავე სიტყვით, ვახტანგ V-ის დავალებით დაუწერია და გასამრჯელოსაც ელოდა თურმე. შეიძლება ამითაც აიხსნას ფეშანგისაგან ვახტანგ მეფისა და მისი საქმიანობის მეტისმეტი ქება და დიდება. ფეშან-გის აზრით, ვახტანგმა “მორთო ქვეყანა სიმდიდრით მეტისმეტითა, იყო მოთქმა და ზეიმი, თვალნი ვერ გაძღის ჭვრეტითა”. პოემაში მოკლედაა მოთხრობილი არჩილის შესახებაც.

XVI-XVII საუკუნეების ქართულ ხალხურ პოეზიაში აღსანიშნავია პატრიოტული და კლასობრივი მოტივი. XVI ს-ში ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის გამოძახილია ლექსი:

“კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი,

ისე არ ამოსწყდებიან, ჯავრი შესჭამონ მტრისანი”.

მეფისა და სამშობლოს მოღალატეობაა დაგმობილი ნაკვესში: “ყორღა-ნასძე ქარაფინდა ხელი ჰკრეს და გადაფრინდა”.

ხალხური ლექსების მთელი ციკლი შეიქმნა ბახტრიონის აჯანყების მონაწილე თუშფშავხევსურთა და მათი ხელმძღვანელების ზეზვა გაფრინდაულის, ხოშარაულის, გოგოლაურისა და სხვათა გმირობის შესახებ.

კლასობრივი ბრძოლის ფაქტები ასახულია ფშავხევსურთა და სვანურ ხალხურ სიტყვიერებაში. სვანურ გადმოცემებში და საფერხულო სიმღერა-ში ასახულია ბეჩოს ხევის მმართველის სორთმან დადეშქელიანის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების მეთაურების ძმების – ვაცბილისა და მაცბილის გმირობის შესახებ.

ხალხური ლექსების მთელი ციკლი მიეძღვნა ფშავხევსურების ბრძოლას ნუგზარ და ზურაბ ერისთავების წინააღმდეგ.

კათოლიკე მისონერს ბერნარდე ნეაპოლელს, რომელიც საქართველო-ში მოღვაწეობდა ხანგრძლივად, XVII ს-ის 70-იან წლებში შეუდგენია ქართული ხალხური ზღაპრების კრებული, რომელმაც ჩვენ დრომდე მოაღწია, კრებულში 12 ზღაპარია. ზღაპრებში დაგმობილია ორგულობა, ცილისწამება, ტყვეებით ვაჭრობა, ღალატი და სხვა მანკიერებანი.

ხელოვნება. XVI-XVII სს-ში ხელოვნებასაც, დაცემადაქვეითების შემდეგ, მნიშვნელოვანი გამოცოცხლება დაეტყო. განსაკუთრებით ეს ითქმის XVI ს-ის კახეთზე, სადაც მთელი საუკუნის განმავლობაში მშვიდობიანობა იყო და ეკონომიკურ აღმავლობას ჰქონდა ადგილი. აშენდა ახალი ქალაქები, მათ შორის გრემი, რომელიც კახეთის დედაქალაქს წარმო-ადგენდა და დამშვენებული იყო დიდებული ხუროთმოძღვრული ნაგებობებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მაღალ გორაკზე წამომართული მთავარანგელოზთა ეკლესია, აშენებული ლევან კახთა მეფის მიერ 1565 წ., მეფის სასახლე-კოშკი და სხვა ნაგებობები, რომლებიც დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ადგილის შერჩევითა და შესრულების მაღალი ტექ-ნიკით. გარდა მთავარანგელოზთა ანსამბლისა, ქალაქში ყოფილა სხვა მნიშვნელოვანი შენობები: აბანოები, საცხოვრებელი სახლები და სასახლეები, საბაზრო მოედანი გარშემორტყმული ქულბაქებით, "აკადემია" და სხვა.

XVI საუკუნეშია აშენებული ახალი შუამთის მონასტერი, რომელიც დაუარსებია ლეონ კახთა მეფის მეუღლეს დედოფალ თინათინს, გრემისა და შუამთის მონასტრის ეკლესიები და ამ ეკლესიის სამრეკლო, სამივე აგურის ნაგებობაა, რაც დამახასიათებელია გვიანსაშუალო საუკუნეების კახეთის ხუროთმოძღვრებისათვის.

თელავში არჩილ მეფეს XVII ს-ის მეორე ნახევარში აუგია სამეფო სა-სახლე, რომელიც შემდეგ ერეკლე II-ს გადაუკეთებია, დიდი გალავანი შემოურტყამს და დღეს "ბატონის ციხის" სახელითაა ცნობილი.

"ყიზილბაშთა რიგის" სასახლე აუგია როსტომ მეფეს თბილისში, როსტომის აგებულია ხიდი მდინარე ქციაზე (ე. წ. "გატეხილი ხიდი" ან "წითელი ხიდი"), რომლის ბურჯებში ქარვასლა იყო მოწყობილი. 1668 წელს ქვის ხიდი აუგია მდ. ჭიშურაზე, ქუთაისთან ახლოს გენათელ გედეონ ლორთქიფანიძეს.

XVII ს-ის მნიშვნელოვანი ძეგლია არაგვის ერისთავთა რეზიდენცია – ანანურის ანსამბლი, ანსამბლში შედის ციხე ქვის გალავნით, რომელშიც რამდენიმე კოშკია ჩადგმული. გამოირჩევა შვიდსართულიანი სწორკუთხა კოშკი, რომელსაც "შეუპოვარი" ეწოდება. გალავნის შიგნით არის ორი ეკლესია, რომელთაგან ერთ-ერთი აუშენებია ბარძიმ ერისთავს 1689 წელს. ეკლესიები მორთულია ჩუქურთმებითა და ფიგურული რელიეფით, რომლებიც მაღალმხატვრულობით არ გამოირჩევა.

XVII ს-ის მნიშვნელოვანი ძეგლებია მაღალაანთ კოშკები კავთურის ხეობაში, დომენტი კათალიკოსის მიერ 1668 წელს აშენებული მჭადიჯვრის ეკლესია (დუშეთის რაიონში) და 1675 წელს აშენებული ანჩისხატის სამრეკლო თბილისში.

XVI-XVII სს-ში აღმოსავლეთ საქართველოში შეიმჩნევა ირანული ხელოვნების გავლენა. ზოგ ნაგებობებში თლილი ქვის ნაცვლად იყენებენ აგურს და ქვის ჩუქურთმის ნაცვლად აგურისაგან გამოყვანილია სახეები და ფორმები.

სახვითი ხელოვნებიდან XVI-XVII სს-ში გავრცელებული იყო კედლის მხატვრობა. მეფემთავრები და დიდი ფეოდალები თავიანთ ეკლესიამონასტრებში სასულიერო სიუჟეტების გვერდით ათავსებდნენ თავისი და საკუთარი ოჯახის წევრების პორტრეტებს. ისტორიული პირების პორტრეტები მოთავსებულია გელათის ტაძარში (XVI ს-ის მეფეები), გრემისა და ძველი შუამთის ეკლესიებში, ნიკორწმინდის ტაძარში, ხობში, მარტვილში და სხვ. ძირითადად კედლის მხატვრობას ასრულებდნენ ადგილობრივი მხატვრები, მაგალითად, სვეტიცხოვლის ე. წ. სვეტის მოხატულობა შესრულებული ყოფილა "მოქალაქე გრიგოლ გულჯავარასშვილის" მიერ. იწვევდნენ უცხოელ მხატვრებსაც. XVI-XVII სს-ში, მაგალითად, კახეთში უმუ-შავიათ რუს მხატვრებსაც. მათ აღუდგენიათ მხატვრობა ალავერდში, მოუხატავთ გრემის სასახლის ეკლესია და სხვა.

ოქრომჭედლობაც დაწინაურდა XVI ს-ის კახეთში და XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის სამთავროში. ლევან II დადიანის ხელის შეწყობით ოქრომჭედლობის ბევრი ნიმუში შეიქმნა (ხატები, საეკლესიო ნივთები და სხვ.) ოდიშში, მაგრამ მათი მხატვრული დონე გაცილებით დაბალი იყო კლასიკურ ხანასთან შედარებით.

ლევან დადიანის ინიციატივით მის კარზე მყოფმა პოეტმა და მხატვარმა მამუკა თავაქალაშვილმა 1646 წ. გადაწერა ვეფხისტყაოსანი, რომელიც შეამკო 39 მინიატურით. გარდა ილუსტრაციებისა იქ მოთავსებულია რუსთაველისა და თვით მხატვრის პორტრეტები.

პირველი ქართული ბეჭდური წიგნი გამოიცა იტალიაში, რომში, თე-იმურაზ I-ის ელჩის, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის (ნიკიფორე ირბახის) ევროპაში ელჩობის დროს. 1628 წ. რომში კონგრეგაცია პროპაგანდა ფიდეს სტამბაში სტეფანო პაოლინის ხელმძღვანელობით და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის მონაწილეობით დამზადდა ქართული შრიფტი და დაიბეჭდა ქართული ანბანი ლოცვებითურთ. 1628-1629 წწ. კი გამოქვეყნდა "ლექსიკონი ქართული და იტალიური შედგენილი სტეფანო პაოლინის მიერ, ქართველი ნიკიფორე ირბახის... დახმარებით". იმავე სტამბაში დაიბეჭდა კათოლიკური ლოცვის "ლიტანია ლაურეტანას" ქართული თარგმანი. 1643 წ. კი დაიბეჭდა ფრანჩესკომარია მაჯოს "ქართული გრამატიკა" (მეორე გამოცემა 1670 წ.). ეს წიგნები მზადდებოდა კათოლიკე მისიონერებისათვის, რომლებიც XVII ს-ში მრავალად ჩამოდიოდნენ საქართველოში.

იტალიელმა მისიონერებმა (პ. ავიტაბილე, არქანჯელო ლამბერტი, ჯ. ჯუდიჩე, ქრ. კასტელი და სხვ.) თავიანთი მოგზაურობის აღწერილობებში თუ მოხსენებით ბარათებში საკმაოდ ვრცლად დაახასიათეს იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქრ. კასტელის "ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ" (ქართული გამოცემა 1977 წ.). მასში მრავალი საინტერე-სო ჩანახატებია ქართული ყოფაცხოვრების შესახებ, აგრეთვე პოლიტიკური, საეკლესიო და ხელოვანთა პორტრეტები საყურადღებო მინაწერებით.

თავი XXXII. საქართველო XVIII ს. პირველ მეოთხედში

კავკასიის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი. მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპაში განმანათლებლობის ეპოქა ძალაში შედიოდა და კაცობრიობის ისტორიის ახალი ერა

იწყებოდა, წინა აზიის ქრისტიანული ცივილიზაციის ფორპოსტი — კონსტანტინოპოლი დაეცა და ოსმალეთის იმპერიამ რეგიონის ხალხებს ევროპასთან ურთიერვთობის უკანასკნელი არტერია გადაუკეტა. საქართველოსთვის ეს იყო უდიდესი კულტურულ-პოლიტიკური მარცხი, რომელმაც მისი ისტორიული განვითარების მაგისტრალური ხაზი მნიშვნელოვნად შეცვალა, არსებითად მარტოდმარტო დატოვა უცხო, მუსლიმური გარემოცვის ოკეანეში.

გარკვეული დროის შემდეგ კი გამოირკვა, რომ სოციალურ-ეკონომი-კური განვითარების თვალსაზრისით, ამ მოვლენას ქვეყნისთვის რამდენადმე განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა. მან სამხრეთ კავკასია (და შეიძლება მთელი კავკასიაც), გადააქცია ერთგვარ დაჩიხულ, თვითკმარ რეგიო-ნად, რომელზეც, მომდევნო ხანებში, რაიმე არსებით ზეგავლენას ვერ ახდენდა ევროპის აღმავალი კაპიტალიზმის სისტემა. კიდევ უფრო ნაკლები იყო ეს გავლენა (კონკურენცია) აღმოსავლეთის მეზობელი ქვეყნებიდან, მათი სოციალური ჩამორჩენილობის და პოლიტიკური დასუსტების გამო. ყოველივე ამან განაპირობა კავკასიის რეგიონის დამოუკიდებელი, თავისუფალი და რამდენადმე თავისებური განვითარება. ასეთ ვითარებაში მაღალი სოციალურ-ეკონომიკური ტრადიციების, უკეთეს გეოგრაფიულ პირობებსა და პოლიტიკურ ვითარებაში მყოფი ქართული მეურნეობა წამყვან ზეგავლენას ახდენდა მთელი კავკასიის, განსაკუთრებით მისი მთიანი ნაწილის ეკონომიკაზე. საქართველოს რეალურად დაეკისრა კავკასიის ეკო-ნომიკური ცენტრის როლი ისე, რომ ამ რეგიონის უმეტესი რაიონები ამ მხრივ მასზე დამოკიდებულნი შეიქნენ, ეს კი ქართული მეურნეობის შემდგომი განვითარების საფუძველი გახდა.

საქართველოს, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილის, სოციალურ ეკონომიკური გამოცოცხლება კავკასიაში მისი ეკონომიკური ცენტრის როლის შესრულებას დაუკავშირდა და ეს ფაქტი უკვე XVII საუკუ-ნეში, მიუხედავად პოლიტიკური თვალსაზრისით უმძიმესი სირთულეები-სა, თვალსაჩინო იყო.

XVIII საუკუნიდან პროცესი გაძლიერდა და აშკარად გამოხატული სახე მიიღო, რასაც დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი, მკაფიოდ აღნიშნავს თითქმის ყველა კავკასიური ტომის დახასიათებისას. დიდოელები “ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა, რათა ვიდოდ-ნენ სავაჭროდ კახეთს, ვინაიდან ზიდვენ კახეთიდამ საზრდელსა საშიშვლოსა და სახმარსა თვისსა”; ოსებზე “არა არს ქვეყანათა მათთა შინა მარილი, სელი, კანაფი და ბამბა და აბრეშუმი, რათამცა ჰყონ სამოსნი თვისნი. ამისთვის უმეტესნი ცხოვრობენ ცხოვართა ტყავითა, გარნა ამათაც ზიდვენ ქართლიდან, რაჭიდამ... და ამისთვისცა მორჩილებენ თვისთვისთა მხარეთა და კუალად უმეტესად საზრდელთათვისცა” და ა. შ.

მოგვიანებით ანალოგიურ ვითარებას აკად. გიულდენშტედტი დასავლეთ საქართველოს მიმართაც ადასტურებს; იგი მიიჩნევს, რომ ამ მხარეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ეკონომიკური ცენტრია ონი: აქ ცხოვრობენ იმერლები, სომხები და ებრაელები, ყველანი ლაპარაკობენ ქართულად, ერთმანეთში კი თავიანთ ენაზე, სომხები და ებრაელები ვაჭრობენ წედისიდან (რაჭა) მოტანილი რკინის ნივთებით, ბამბის ქსოვილებით ქართლიდან და მარილითა და ფეტვით; ამიტომ ოსები მოდიან აქ დვალეთიდან და დუგორიდან, ბალყარელები, ბასიანელები, აგრეთვე სვა-ნებიც მოდიან”. თავის მხრივ მთიანი კავკასიის მოსახლეობაც

ქართულ ბაზარზე წარმატებით ასაღებდა თავის პროდუქციას, ძირითადად ნედლე-ულს. თუმცა ამ ოპერაციებსაც ისინი ქართველი ვაჭრების მეშვეობით ანხორციელებდნენ.

არაერთი სანდო ისტორიული წყარო ადასტურებს, რომ კავკასიის მთიელი და ზოგიერთი სხვა ხალხებისთვის საქართველო იყო სასიცოცხლოდ აუცილებელი საქონლის (პურეული, სხვადასხვა ქსოვილები და ა. შ.) ერთადერთი მიმწოდებელი. "დიდი ვაჭრობა აქვთ მთიელ და სპარსელ ახლო მეზობლებთან თავისი ხელსაქნარით, ანუ სპილენძის ჭურჭლით. მოჩითული შეღებილი და თეთრი ბამბის ტილოებით, ცხენის მოსართავებით, ხმლებითა თუ ხანჯლებით, რკინის წვრილმანი საქონლით, ლაბადებით, ქუდებითა და ფეხსაცმლით, რამეთუ ამ საჭიროებებით კავკასიის თითქმის ყველა ხალხები თბილისელი სომხების (იგულისხმება ვაჭარხელოსნები — მ. ს.) შრომისმოყვარეობით სარგებლობენ". ეს სიტყვები XVIII საუკუნის ბოლოსაა დაწერილი, საქმეში ჩახედული და საგანგებოდ დაინტერესებული პიროვნებისაგან, მაგრამ თვით პროცესი გაცილებით ადრეა დაწყებული. სხვა ადგილას რუსეთის წარმომადგენელი პოლკოვნიკი ს. დ. ბურნაშოვი საქართველოში დიდი რაოდენობით სხვადასხვა ფაბრიკების არსებობას მიუთითებს.

ქართული კაპიტალის ეგიდით განხორციელებული სამეურნეო ურთი-ერთობა მარტო ვაჭრობით როდი შემოიფარგლებოდა. არაერთი წყარო ადასტურებს, რომ მთიელ ტომთაგან შემოდიოდა ნახევარფაბრიკატები: მატყლი, შალის ქსოვილები, ნაბდები და ა. შ. რაც აქაურ საწარმოებში მუშავდებოდა (კერვა, შეღებვა და სხვ.), შემდეგ კი ქართველ საქმოსნებს უკანვე გაჰქონდათ გასაყიდად.

საქართველოს ქალაქები კვლავ ინარჩუნებდნენ წამყვან მნიშვნელობას საგარეო ვაჭრობაში, მაგრამ, რაც მთავარია, XVII საუკუნიდან ფიქსირდება სავაჭრო კაპიტალის ჩართვა ქვეყნის საშინაო ვაჭრობაში.

საქართველოს საერთო სამეურნეო ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურად ებმებოდნენ, დასავლეთ საქართველოს, მათ შორის მტრის ხელთ მოქცეული, პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორებული, ქართული პუნქტები: ახალციხე, ახალქალაქი, ოლთისი, ართვინი, შავიზღვისპირა ცენტრები და ა. შ. აქვე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ ითქვა, ხოლო მსგავსი ფაქტების მოტანა არაერთის მოხერხდება, შე-იძლება წარმოისახოს ურთიერთობის ობიექტური სურათი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ქართული სავაჭრო-სახელოსნო კაპიტალის (ბურჟუაზიის) ეგიდით ერთიან სამეურნეო ცხოვრებაში ებმებოდა სრულიად კავკასია, რის შედეგადაც საფუძველი ეყრებოდა საერთო კავკასიური ბაზრის ჩამოყალიბებას, რომლის ცენტრად და წარმმართველად საქართველო და უპირატესად თბილისი გამოიდიოდა.

ამრიგად საქართველოს ფაქტობრივი პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრის — ქართლის მეთაურად ვახტანგ ლევანის ძის დამკვიდრება (1703 წელს) ახალი ბურჟუაზიული წყობის ყლორტების ჩასახვა-განმტკიცებას დაემთხვა, რაც მას თავისი სამოღვაწეო პროგრამის განხორიცელებაში ერთგვარ დასაყრდენად უნდა გამოეყენებინა.

ვახტანგი VI პირველი ნაბიჯები ქართლის სამეფოს სათავეში. შაჰ სულთან ჰუსეინის ნების შესაბამისად, ვახტანგმა ქართლის ტახტზე ჯანიშინის სტატუსით ერეკლე პირველის ადგილი დაიკავა1; იმ ერეკლე პირველის, რომელსაც რუსები ნიკოლაი დავითის ძეს, ხოლო სპარსელები ნაზარალი ხანს უწოდებდნენ. სიყმაწვილეში იგი მისმა პაპამ, თეიმურაზ პირველმა, საქართველოში გაჩაღებულ უსასტიკეს არეულობას გააცალა და პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცების იმედით რუსეთს გაისტუმრა. ყმაწვილი საიმპერატორო კარზე გამორჩეული პატივით იზრდებოდა და სამეფო ოჯახთანაც დაახლოებული იყო. ამის მიუხედავად სრულწლოვანებას რომ მიუახლოვდა, გულმა სამშობლოსაკენ გამოუწია. 1662 წელს საქართველოში ჩამოვიდა და კახეთის ტახტის დაკავება სცადა. აქ მის განზრახვას წინ ვახტანგ V აღუდგა, რომელმაც 1664 წელს კახეთის ტახტზე თავისი შვილი, არჩილ II აიყვანა, რითაც, როგორც ქვევით დავინახავთ, სავარაუდოა, დიდი სამსახური გაუწია რუსეთის ისტორიას.

გაწბილებულმა ერეკლე დავითის ძემ ისევ რუსეთს მიაშურა და სამეფო კარის მჩქეფარე ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთო. იგი იმდენად დაახლოებული იყო სამეფო კართან, რომ, როდესაც რუსეთის ხელმწიფემ, ალექსი მიხეილის ძემ, მეორე ქორწინებით ნატალია კირილეს ასულ ნარიშკინაზე ჯვარი დაიწერა, ხელის მომკიდედაც კი (რაც უდიდეს პატივად და ნეფის უახლოეს პიროვნებად ითვლებოდა) მიიწვიეს. ჩქარა, ამის შემდეგ, სასახლესთან დაახლოებულ წრეებში გავრცელდა ხმა მეფის ხელის მომკიდესა და ახალგაზრდა დედოფალს შორის გაჩაღებული ამურული ურთიერთობის შესახებ. მართალია, რუსეთის სამეფო კარისთვის ამ-გვარი სასიყვარულო ურთიერთობები მაინცდამაინც უცხო არ ყოფილა, მაგრამ ქართული რაინდულ ტრადიციებზე აღზრდილი ბატონიშვილისთვის კი სრულიად უკადრის საქციელად უნდა ჩაითვალოს და მის მაღალ მორალურ თვისებებზე არ მეტყველებს. ისე, რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე ვიტყვით, რომ მაღალი მორალური თვისებებით ქართველი ბატონიშვილი საქართველოში მეორედ დაბრუნების შემდეგაც არ გამოირჩეოდა.

რაც შეეხება გავრცელებულ მითქმამოთქმას “ნიკოლაი დავიდოვი-ჩის” და რუსეთის დედოფლის სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ, მი-სი ჭეშმარიტების დასადგენად პირდაპირი საბუთი (რაც სრულიად ბუნებრივია) ქართველი ისტორიკოსებისთვის უცნობია, გარდა სიძის საკმაო ხანდაზმულობისა და ახალგაზრდა ხელის მომკიდის არაჩვეულებრივი მამაკაცური სილამაზისა. ამ უკანასკნელ გარემოებას, როგორც ჩანს, ისეთი მნიშვნელობა ეძლეოდა და ჭაბუკიც იმდენად გამორჩეული გარეგნობისა ყოფილა, რომ რუსეთის სამეფო კარს თეიმურაზ I ოფიციალურ მიმოწერაშიც კი აყვედრიდა: “ისეთი ლამაზი უფლისწული გამოგიგზავნეთ, რომლის ბადალი თქვენს ბარობაზე არ მოიძებნებაო”. ერთი სიტყვით, აშკარაა, თუ არჩევანზე მიდგებოდა საქმე, მოხუცი ალექსი მიხეილის ძე მას სასიყვარულო საქმეებში კონკურენციას ვერ გაუწევდა. (ისიც აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანებში არც რუსი ისტორიკოსები ერიდებიან წერას ერეკლესა და დედოფლის ურთიერთობისა და ამ ურთიერთობის შედეგად ქვეყანაზე რუსეთის ტახტის მემკვიდრის, მომავალში დიდი იმპერატორის, პეტრე პირველის შესაძლო, მოვლინების თაობაზე, რაც დიდხანს ტაბუდადებულ თემად ითვლებოდა).

მაგრამ პიკანტურ ისტორიაში ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ მომავალი იმპერატორის ქვეყნად მოვლინების შემდეგ, რაკი სასახლის კარზე სულ უფრო დაბეჯითებით

ვრცელდებოდა ხმები, ქართველი ხელისმომკიდის ჩვილი ბატონიშვილის მამობაზე, საიმპერატორო კარის მშვენება და მეფის უახლოესი პიროვნება, ქართველი ბატონიშვილი, რუსეთიდან სწრაფად და ზედმეტად ცივად, ყოველგვარი განმარტების გარეშე, გამოისტუმრეს, რაც კაცმა რომ თქვას, მისთვის საუკეთესო გამოსავალი იყო; უფრო გვიან, თვით პეტრე დიდმა მისი მეუღლის (შემდეგში ეკატერინე I-ის) საყვარელს, ახალგაზრდა გერმანელ კამერდინერს ვილიამ მონსს საშინელი წამებით მოუსწრაფა სიცოცხლე.

სასახლის ჭორების დონეზე გავრცელებულ ქართველი ბატონიშვილის ამ სასიყვარულო ინტრიგას რამდენადმე ის გარემოებაც ამაგრებს, რომ სამ-შობლოში დაბრუნებულმა ერეკლემ, რომელიც ფაქტობრივად რუსეთის სამეფო კარზე იყო გაზრდილი, ისე შეიძულა თავისი "მშობლიური" გარემო, რომ დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე იქით არც კი გაუხედავს. მეტიც, შაჰის პირველსავე მოთხოვნაზე მაჰმადიანობა მიიღო, ქართლის ტახტი დაიკავა და ისეთი პროსპარსული პოლიტიკის გატარება დაიწყო, რომ ყველა გამაჰმადიანებულ ქართველ მეფეს გადააჭარბა.

ყოველივე ამის გამო, ერეკლეს შემდეგ, 1703 წელს, ქართლის სათავე-ში ჩამდგარი 28 წლის ვახტანგ VI, იძულებული იყო თავისი დიდი საქმი-ანობა პირველ რიგში, ერეკლე — ნაზარალი ხანის მიერ სპარსულ ყაიდაზე გარდაქმნილი ქართლის სამეფოს მართვა-გამგეობის ისევ ქართულ ნიადაგზე გადმოკეთებით დაეწყო.

თავდაპირველად მან გადააყენა ნაზარალი ხანის მხარდამჭერი სახელმწიფო მოხელეები და გააუქმა, მის დროს დადგენილი უცხო ტრადიციაზე დაყრდნობილი წესები. ამასთან სახელმწიფოს მართვის საქმეში თავის პოლიტიკის მომხრე და ერთგული პირები ჩააბა.

ახალ მმართველს კარგად ესმოდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური სიძლი-ერის გარეშე იგი ვერავითარ შორს მიმავალ გეგმებს ვერ განახორციელებდა. ამ მიზნის მისაღწევად კი პირველი რიგის ამოცანად სოციალური ურთიერთობის მოწესრიგება მიიჩნია.

მწარმოებელი მოსახლეობის ბედზე დაფიქრება და მისი ინტერესების გათვალისწინება, ახალმა ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში, ამაში მმართველმა ელიტამ საკუთარი კეთილდღეობის საფუძველი და გარანტი დაი-ნახა ("რა ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდეს" — არჩილი).

ქართლის ახალგაზრდა მმართველმა სწორად აუღო ალღო დროის მოთხოვნას და სოციალური საკითხების მოგვარება უპირველესად ბატონსა და გლეხს შორის ურთიერთობის მოგვარებით დაიწყო.

პირველ რიგში იგი ტყვის სყიდვის "ბარბაროსულ სენს" მკაცრად დაუპირისპირდა და სასტიკად აკრძალა. მან შეზღუდა ფეოდალთა თვით-ნებობა და კანონმდებლობით მოაწესრიგა ბატონისა და ყმის ურთიერთდამოკიდებულება, მშრომელთა სამეურნეო და საოჯახო უფლებები, სა-კუთრების ფორმები, ბეითალმანი და ა. შ.

იგი განსაკუთრებული სიმკაცრით მიუდგა ყმისთვის განსაზღვრული ბეგარა გადასახადის გაზრდის ტენდენციას და კანონით “უდების დადება” კაცის კვლის თანაბარ დანაშაულად იქნა აღიარებული.

ვახტანგს თვალწინ ჰქონდა უახლოესი მაგალითები, როდესაც გლეხობა გაძლიერებულ ექსპლუატაციას გაქცევა, გადაკარგვით პასუხობდა. ამიტომ იგი კატეგორიულად აფრთხილებდა მებატონეეს “...ნურა კაცი თავის ყმას ძალას ნუ დაატანს, თორემ წავა” და ამ დებულებით გლეხთა სამართლიან კლასობრივ ბრძოლას საკანონმდებლო დასტური მისცა.

ერეკლე — ნაზარალი ხანის დროს ქართლში გამეფებულმა უმოწყალო ექსპლუატაციამ, გლეხთა მნიშვნელოვანი ნაკადის კახეთისაკენ მიგრაცია გამოიწვია. ქართლის ახალი გამგებელი ენერგიულად შეუდგა ამ მოვლე-ნის აღკვეთას და უკუპროცესის დაწყებას.

გახიზნული გლეხთა ოჯახების უკან დაბრუნების ორგანიზება საკმა-ოდ რთული და შრომატევადი აღმოჩნდა ე. წ. “მყრელობის” გატარებაში მან სპარსეთის ხელისუფლებაც დაიხმარა და მთელი რიგი წამახალისებელი ზომებიც გამოიყენა.

მიუხედავად სირთულეებისა, ჩაფიქრებული ღონისძიება წარმატებით დასრულდა და შესაძლებელი გახდა მთელი რიგი, დიდი ხნის მიტოვებული სოფლების აღდგენა.

სამეურნეო ხასიათის ღონისძიებები. ქვეყნის ეკონომიკური დაწი-ნაურების გეგმის განხორციელებით გატაცებული ქართლის გამგებელი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მეურნეობის კულტურის ამაღლებას და ახალი პროგრესული ფორმების დანერგვას. აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი კლიმატის ვითარებაში მთავარი მნიშვნელობა მორწყვის პრობლემას ჰქონდა. ამიტომ ვახტანგის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი ძველი, მივიწყებული სარწყავი სისტემების აღდგენა და ახლების მშენებლობა იყო. მისი ინიციატივით და მეთაურობით აგებულ იქნა ყარაიას არხი, მოეწყო მთელი ქსელი ქციის, მაშავრის, ლისის, შოლის, სალთავისის და სხვა სარწყავი არხებისა, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი მოსავლიანობის რეგულირებას და ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებას.

აღვნიშნეთ, რომ XVII საუკუნიდან მოყოლებული ინტენსიურად მიმდინარეობდა ქვეყნის შინა ვაჭრობის განვითარება და ამის საფუძველზე ერთიანი ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბება. ეს სტიქიური პროცესი ხელი-სუფლების მხრიდან მხარდაჭერას და ხელშეწყობას საჭიროებდა. XVIII სა-უკუნის დასაწყისში საქართველოში (ქართლის სამეფოში) ფართო საგზაო მშენებლობა გაიშალა. კომუნიკაციების გაფართოებამ მნიშვნელოვნად გაამარტივა ქვეყნის ცალკეულ რაიონებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობა, მათი ინტეგრაცია.

გაჩაღებული მშენებლობა მარტო გზების და შესაბამისი ინფრასტრუქტურებით, როდი შემოიფარგლებოდა. იგი ფართო საეკლესიო და საერო სფეროსაც წვდებოდა. ახალგაზრდა მმართველი ცდილობდა ყველაფერში მაღალი დონისთვის მიეღწია. მისი ძალისხმევით აგებული თბილისის სა-სახლე და სხვა ღირსშესანიშნაობები, როგორც თვითმხილველები მოწმობენ, უშესანიშნავესი და სამაგალითო იყო მახლობელ აღმოსავლეთში.

სახელმწიფო და სამართლის საკითხების მოწესრიგება. განსა-კუთრებით დიდი და ნაყოფიერი შრომა გასწია ჯანიშინმა ქართული სამართლის გამართვაში, ფაქტობრივად, ახალი, ევროპული დონის სამართლის შექმნაში. მან შეაგროვა და საფუძვლიანად შეისწავლა ძველი ქართული და უცხოური სამართლის ძეგლები. მათი გაანალიზების საფუძველზე, თანამედროვე ქართული ვითარების გათვალისწინებით, შეადგინა თავისი საკუთარი სამართლის კოდექსი და ყველაფერი ეს, ერთ წიგნად შეკრული ქართულ სინამდვილეში დააფუძნა. არსებული ნაშრომი ასახავს იმ დროს საქართველოში არსებულ სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას, მისი განვითარების პერსპექტივებს ეხმიანება.

რაც მთავარია, ეს ნაშრომი არა თუ უტოლდებოდა თანადროულ ევროპის იურიდიული მეცნიერების განვითარების დონეს, არამედ ზოგჯერ წინაც უსწრებდა მას. რუსი იურისტის ა. ფრენკელის რწმუნებით XVIII სა-უკუნის დასაწყისში შედგენილი ვახტანგის სამართლის წიგნი გაცილებით უფრო ჰუმანური იყო ვიდრე იმდროინდელი ევროპის სახელმწიფო სამართლის კოდექსები". როგორც ჩანს, თანამედროვენი ვახტანგ VI მრავალმხრივ და მრავალპლანიან, ყოველმხრივ წარმატებულ საქმიანობაში, სამართლის წიგნის შექმნას მაინც გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ამიტომ უწოდა ხალხმა მას "რჯულმდებელი". ვახტანგის კანონთა წიგნი მთავარი იურიდიული კოდექსი იყო მთელ საქართველოში თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში.

ერთ-ერთი პირველი რიგის ღონისძიებად ვახტანგმა აუცილებლად მიიჩნია ორიგინალური ქართული ადმინისტრაციული წესდების დამუშავება, რაც წარმატებით განახორციელა; "დასტურლამალის" სახელით ცნობილმა ამ დოკუმენტმა, დიდი გავლენა მოახდინა სახელმწიფო ადმინისტრაციული წესრიგის დამყარებაზე და მის შეუფერხებელ ფუნქციონირებაზე.

ქვეყნის რეალური სამხედრო პოტენციალის დადგენას და ხელისუფლების ე. წ. ფისკალური ამოცანების შესრულებას ემსახურებოდა მოსახლე-ობის აღწერის ღონისძიებები.

ახალგაზრდა ჯანიშინი თავის მოღვაწეობაში მკვეთრად დაუპირის-პირდა რეაქციონერ ფეოდალებს, რომლებმაც მისი სახით თავისი ტრადიციული უფლებების ხელყოფის საშიშროება დაინახეს. მტერი და არაკეთილისმსურველი მას ქვეყნის შიგნითაც ბევრი ჰყავდა და მის გარეთაც. ამდენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა რეგულარული სამხედრო შენაერთის ე. წ. "მცველთა ჯარის" ინსტიტუტის შემოღებას, რომელიც მის ერთგულ თავად-აზნაურთა და მსახურთაგან შედგებოდა და ხაზინიდან ფინანსდებოდა, გარდა ამისა ამ რაზმის წევრები მთელი რიგი პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ.

ვახტანგის ფართო პატრიოტული საქმიანობის გაშლა და მისი დიაპაზონი, რამდენადმე, განპირობებული იყო შაჰის ხელისუფლების სისუსტით და მის კარზე ქართველი ლაშქრის დიდი ავტორიტეტით. შექმნილი გარემოება ქართლის მმართველმა მოხერხებულად გამოიყენა თბილისის სპარსული გარნიზონის უფლებების შესაზღუდად, რაც თავის მხრივ საფუძვლად დაედო ტყვეთა სყიდვის აკრძალვისა და აღკვეთის საქმეს.

ვახტანგს შესანიშნავად ესმოდა, რომ საკუთარი ფულის მოჭრა სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტია, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი ინიციატივით

გახსნილ ზარაფხანას, სადაც ქართული მონეტები იჭრებოდა.

ერის სულიერი კულტურის ამაღლება. ქართლის ჯანიშინის ყველა გადაწყვეტილება, მის მიერ გატარებული ყველა ღონისძიება და დასმული ყველა პრობლემა, განმსჭვალული იყო ერის გამთლიანებისა და აღორძინების დიდი იდეით და მას ემსახურებოდა. ამგვარ ღონისძიებათა რიგში გამორჩეული ადგილი უნდა მიეკუთვნოს სასტამბო საქმის ორგანიზებას.

თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ თანამედროვენი ქართული სტამბის ორგანიზებას, იმ ძალისხმევიდანაც ჩანს, რაც ვახტანგმა და მისმა თანამებრძოლებმა მის მოსაგვარებლად გასწიეს. ამ საქმეში იერუსალიმის პატრი-არქიც კი ჩარიეს და, საბოლოოდ, ანთიმოზ ივერიელის აქტიური მხარდა-ჭერით, მოახერხეს მისი მოწაფის უნგრელი მიხეილ იშტვანოვიჩის ჩამოყვანა, რომლის ხელმძღვანელობით 1709 წელს ქართულ სტამბაში პირველი წიგნი დაიბეჭდა.

ეს იყო ეპოქის უდიდესი მონაპოვარი, რომელიც ხელს უწყობდა ქართული სიტყვიერების, განათლების, კულტურის მასობრივ გავრცელებას, რაც ქართველთა ერთიანობის, ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცების საფუძველი უნდა გამხდარიყო.

ვახტანგს და მის თანამოაზრეებს შესანიშნავად ჰქონდათ შეგნებული ვეფხისტყაოსნის ეროვნული მნიშვნელობა. ეს მათთვის მარტო უმაღლესი დონის მხატვრული ნაწარმოები არ ყოფილა. უპირველესად ის იყო ერთი-ანი ქართული ენის მთავარი ბურჯი, რადგან ერთნაირად მშობლიური იყო დაშლილი და დაქუცმაცებული საქართველოს ყველა კუთხისთვის. ვეფხისტყაოსანი ამასთანავე იყო მსოფლიო კულტურასთან ზიარებული ქართული ცოდნისა და მეცნიერების ულევი სალარო, სადაც მკითხველი პასუხს იღებდა მისთვის საინტერესო კითხვებზე. ამავე დროს, ვეფხისტყა-ოსანი იყო მწვერვალი რომლისკენაც მიისწრაფვოდა და რომლის გატოლებასაც ოცნებობდა ყველა შემოქმედი. ამიტომ იყო იგი ქართველთათვის განუმეორებელი, შეუდარებელი და ფასდაუდებელი.

XVIII საუკუნისთვის ამ დიდებულმა ქმნილებამ საკმაოდ შელახულად მოაღწია სხვადასხვა გადამწერთა, ყალბისმქნელ-გამგრძელებელთა და სხვა დილეტანტ მოხალისეთა მცდელობებით. ვახტანგი ამ ნაკლის გამოსწორებასაც შეეცადა, რათა მკითხველისთვის მიეწოდებინა მეცნიერულად დადგენილი, გამართული და დახვეწილი ტექსტი. მან თავის სტამბაში გამოცემული პოემა აღჭურვა შესაბამისი აპარატით, შენიშვნებით, ლექსიკო-ნით, და, რაც მთავარია, დაურთო ბოლოსიტყვაობა, რომელსაც “თარგმა-ნი” (განმარტება) უწოდა და რითაც დასაბამი დაუდო მეცნიერულ რუსთველოლოგიას.

ქართული სტამბა დიდი დატვირთვით მუშაობდა და ერთობ სასარ-გებლო საქმეს აკეთებდა, მაგრამ წიგნზე მოთხოვნილების ზრდის პირობებში მას არ შეეძლო მთელი საქართველო დაეკმაყოფილებინა. ამიტომ განათლების, წიგნების გამრავლება-გავრცელების ცენტრების ფუნქციას კვლავ ინარჩუნებდნენ ეკლესიამონასტრები, რომლებიც მთელ საქართველოს იყვნენ მოდებულნი და რომლებშიც გადამწერთა “თაბუნები” (გაერთიანებები) მუხლჩაუხრელად შრომობდნენ. ეს იყო უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის კერები საიდანაც ქართველ ხალხს, მისი ყოველი კუთხის შვილს უმნიშვნელოვანესი სულიერი საზრდო მიეწოდებოდა.

ვახტანგ VI და საქართველოს ისტორია. ქვეყნის პროგრესულად მოაზროვნე ხელისუფალთ კარგად ესმოდათ ისტორიის აღმზრდელობითი და სამაგალითო როლი მასების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში და ეროვნული თვითშეგნებისა და სიამაყის გრძნობის ჩამოყალიბებაში. ამიტომ ქართული ისტორიის თანადროული მეცნიერების მიღწევების დო-ნეზე გამართვა დროის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო.

XVIII საუკუნის I მეოთხედი ისტორიული გარდატეხის ხანაა, ისევე როგორც სხვა მეცნიერებების განვითარებაშიც. ვახტანგის ინიციატივით შედგენილ იქნა ე. წ. "სწავლულ კაცთა" კომისია, ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით, რომელსაც ერთი მხრივ უნდა გაემართა საქართველოს ისტორიის არსებული ტექსტი, გაეგრძელებინა იგი XVIII საუკუნემდე. კომისიამ წარმატებით გაართვა თავი ამოცანას. მან "ქართლის ცხოვრება" დაჰყო თავებად და ქვეთავებად. ამასთან შეავსო იგი ქართულ და უცხო-ურ წყაროებში დაცული ცნობებით.

ასე შეიქმნა პროგრესული ხასიათის ისტორიული ნაშრომი, რომელიც "ახალი ქართლის ცხოვრების" სახელითაა ცნობილი.

კომისიამ ვერ მოასწრო მისი ნაღვაწის მთელ საქართველოზე გავრცელება, თუმცა ეს ნაკლი მნიშვნელოვანწილად შეავსეს მომდევნო ხანის მეცნიერებმა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია დიდ ისტორიკოსს და გეოგრაფოსს, ვახტანგ VI-ის ვაჟს, ვახუშტი ბატონიშვილს, რომელმაც საქართველოს ისტორია, გეოგრაფია და მათთან მომიჯნავე დარგები ევროპული მეცნიერების დონეზე აიყვანა.

ცხადია, ნათქვამით არ ამოიწურება ის გრანდიოზული შრომა, რაც ქართლის ენერგიულმა მეფემ სულ ათიოდე წლის განმავლობაში გასწია. თუ დავით აღმაშენებელს არ ჩავთვლით, შეიძლება ითქვას, რომ მას ამ მხრივ ვერც ერთი ქართველი ქვეყნის მეთაური ვერ შეედრება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ის, რაც ვახტანგის ხელმძღვანელობით მოხდა, მარტო მისი და მისი თანამებრძოლების დამსახურება არ ყოფილა, ეს დროის მოთხოვნა იყო და მას საფუძვლად ედო ის სოციალურ-ეკონომიკური ძვრები, რასაც XVII-XVIII საუკუნის მიჯნის საქართველოში ჰქონდა ადგილი.

ვახტანგისა და მისი თანამებრძოლების მჩქეფარე და დაუღალავმა მოღვაწეობამ, ქართლი და, გარკვეული აზრით, საქართველოს სხვა პროვინციებიც, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური მხრივ, თანადროული ეპოქის შესაბამის პროგრესის გზაზე დააყენა, ამ მხრივ მათ ჩამოიტოვეს მის გარშემო მყოფი მტრული სახელმწიფოები, თუ პროვინციები და დასავლეთის მოწინავე ქვეყნების მსგავს განვითარების მიმართულებას ეზიარნენ, რითაც მნიშვნელოვანი საძირკველი ააგეს საქართველოს თავდახსნისა და გაერთიანების გზაზე.

ვახტანგ VI და ქართული კულტურა. XVIII საუკუნის დასაწყისს ივ. ჯავახიშვილი ქართული მწერლობის ენციკლოპედიურ ხანას უწოდებს. ამ ხანებში ქართლში მოღვაწეობდნენ კულტურის გამოჩენილი წარმომად-გენლები: სულხან-საბა ორბელიანი, ონანა ქობულაშვილი, გივი თუმანიშვილი, დომენტი ბაგრატიონი და სხვ.

ვახტანგ მეექვსის სახელთანაა დაკავშირებული ენერგიული მოღვაწე-ობა მანამდე დამცრობილი სწავლა-განათლების საქმის ასაღორძინებლად. ამ საშვილიშვილო საქმის დიდი მოამაგე იყო სულხან-საბა ორბელიანი. სასწავლო წიგნად იყო გამიზნული მისი "ლექსიკონი", ხოლო მისი "სიბრძნე სიცრუისა" დიდაქტიკურმორალისტური ნაწარმოების თვალსაჩინო ნიმუშია, რომლის ავტორმა დიდაქტიკური აზროვნება მაღალ მეცნიერულ დონეზე აიყვანა.

ვახტანგის ძალისხმევით აღმოსავლეთ საქართველოში განათლების კერები მნიშვნელოვნად გამრავლდა, რასაც ხელს უწყობდა ქართული სტამბის მიერ სასწავლო სახელმძღვანელოების გამოცემა.

განათლების კერების რაოდენობით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დასავლეთ საქართველო, თუმცა პროგრესულ მოღვაწეთა მონდომებით (გიორგი IX გურიელი) აქაც გარკვეული ძვრები შეინიშნება.

მიუხედავად თბილისის სტამბის ნაყოფიერი მუშაობისა იგი ქვეყანაში წიგნზე მოთხოვნილებას მაინც ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ განათლებისა და წიგნთა გამრავლება-გავრცელების არაერთი ცენტრი ეკლესია მონასტრების სახით კვლავ აგრძელებდა მუხლჩაუხრელ შრომას. ქართველი მწიგ-ნობრები არ იფარგლებოდნენ მარტო საქართველოს საზღვრებით. ნიშანდობლივია, რომ 1715 წელს ბესარიონ ორბელიანმა გადაწერა რომისა და იტალიის ისტორია. სავარაუდოა რომ მსგავსი ფაქტი სხვაც არაერთი იყო, მაგრამ მათ შესახებ ცოდნამ ჩვენამდე ვერ მოაწია ისევე, როგორც ეკლე-სია მონასტრებსა თუ დიდებულთა სასახლეებში დაცულმა არაერთმა მდიდარმა ბიბლიოთეკამ და დოკუმენტთსაცავმა.

XVIII საუკუნის დასაწყისში, გარშემორტყმული მაჰმადიანური გარემოს ზეგავლენით ქართულ ენაში უხვად იჭრებოდა სპარსულთურქული სიტყვები რაც მას, როგორც საერთოდ საქართველოს, გადაგვარების საშიშროებას უქმნიდა. ამ საშიშროების თავიდან ასაცდენად ჯერ კიდევ 1685 წელს ქართული ენის გაწმენდის, მისი ლექსიკური ნორმების დადგენისა და პრაქტიკაში გამოყენებისათვის სულხან-საბა ორბელიანს ქართული ლექსიკონის შედგენა დაავალეს. დიდმა მოაზროვნემ და მამულიშვილმა ამ საქმეს 33 წელი მოანდომა და 1716 წელს დაამთავრა ქართული ენის ჭეშმარიტი საუნჯის, ენციკლოპედიური ნაშრომის შექმნა, რომელიც ეჭვი არ არის, კიდევ საუკუნეების განმავლობაში დარჩება ქართული ენის ნამდვილ ბურჯად.

განსახილველ ხანაში გაიზარდა ინტერესი მეცნიერების სხვა დარგებისადმი. ვახტანგ მეექვსემ სპარსეთში ყოფნის დროს თარგმნა ცნობილი ასტრონომის ულულბეგის ნაშრომი "ვარსკვლავთ მრიცხველობა". იქვე თარგმნა ავტონომიური კოსმოგრაფიული შინაარსის წიგნი ნასირთუსელის "სტროლაბის სასწავლო წიგნი" და სხვ.

განსახილველ პერიოდში აღორძინებას იწყებს ფილოსოფიური აზროვნებაც. ამ მეცნიერებით დაინტერესება გამოვლინდა ბერძენრომაელ ფილოსოფოსთა ნაშრომების გადმოქართულებისა და გავრცელებაში. ფილოსოფიის ღრმა ცოდნა მჟღავნდება იმ დროის არაერთი ავტორის შემოქმედებაში.

XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი ქართული მწერლობის ახლებური განვითარების პერიოდი იყო. მისი ძირითადი და მოწინავე გამოხატულება დიდი სულხან-საბას სწორუპოვარი ნაშრომებია.

ქართული ლიტერატურისა და მეცნიერების განვითარებაში წონადი წვლილი შეიტანა დიდმა მოღვაწემ კულტურტრეგერმა ვახტანგ VI. ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურით და-ინტერესება. აქაც მაგალითის მომცემებად გვევლინებიან სულხანი და ვახტანგ VI.

ლიტერატურული საქმიანობის გაცხოველებაც დასავლეთ საქართველოშიც შეინიშნება.

ქართული სულიერი კულტურის ამაღლების საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსკოვის ქართული კოლონიის ნაყოფიერი საქმიანობა, რომლის დაარსება დიდი სახელმწიფო მოღვაწისა და პოეტის არჩილის სახელთანაა დაკავშირებული (1791 წ.). ამ კოლონიის საქმიანობა განსაკუთრებით მაღალ დონეზე აიყვანა ვახტანგ VI-სთან ერთად გადასახლებულმა ქართველ პროგრესისტთა დიდმა ჯგუფმა. იმ ხანებში ამ კოლონიის ცენტრალური ფიგურა და წარმმართველი არჩილი იყო, რომელმაც იმ ხანებში ქართული ლიტერატურა არაერთი მაღალი დონის ნაწარმოებებით გაამდიდრა. ამასთან, ეწეოდა ერთობ ნაყოფიერ მთარგმნელობით მოღვაწეობა-საც.

XVIII საუკუნის I ნახევარში არ შეწყვეტილა ქართული ხელოვნების განვითარებაც. რაც უპირატესად ქართული საკულტო დანიშნულების ძეგლების განახლებით აღინიშნა. აქაც ავანგარდში ვახტანგ VI დგას, რომელმაც განაახლა თბილისის სიონის პერანგი და შეაკეთა არაერთი ტაძარი. ამასთან, ღირსშესანიშნავია თანადროული ეპოქისათვის მაღალი დონის მი-სი სასახლე.

ვახტანგისა და მისი მიმდევრების სახელთანაა დაკავშირებული ქართული სახიობის შენარჩუნება და აღიარება. ამ დროის ქართული სახიობის მთავარი ნიშანია მისი პატრიოტულობა, ხალხურობა და ტრადიციულობა.

XVIII საუკუნის ქართული კულტურა ღირსეულად აგრძელებდა წარ-სულის ტრადიციებს და მნიშვნელოვან საძირკველს ქმნიდა შემდგომი განვითარებისათვის.

ქვეყნის გაერთიანების საკითხის იდეოლოგიური მომზადება. საქართველოს დაშლის დღიდანვე ცოცხლობდა ქვენის ერთიანობის იდეა. XVII საუკუნეში ქვეყანაში განვითარებულმა პროცესებმა — დამპყრობთა წინააღმდეგ ზეადამიანურმა ბრძოლამ და იმ დიდმა ტრაგედიებმა, რაც ამის შედეგად ქვეყანაში დატრიალდა, ქართველთა ერთიანობის იდეა კიდევ უფრო გააღრმავა და მისი განხორციელების საკითხი დღის წესრიგში დააყენა. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ამ იდეების მედროშედ ჯერ ვახტანგ V, შემდეგ კი გამოჩენილი პოლიტიკოსი და მხედართმთავარი, ქართლის მეფე გიორგი XI მოსჩანს. მთელი თავისი მოღვაწეობით იგი ქვეყნის გაერთიანებას უყრიდა საფუძველს; ყოველ შემთხვევაში, დამოკიდებულება დასავლეთ საქართველოს მეფე მთავრებისადმი, კახეთის შემო-ერთების ცდა და სხვა ღონისძიებები, ამგვარი დასკვნის საშუალებას იძლევა.

მისი წინამორბედისაგან განსხვავებით, რომლებიც საქართველოს გა-ერთიანებას ერთგვარად საფუძველს უყრიდნენ, ვახტანგი ამ საქმეს ენერ-გიულად ამზადებდა (მთელი მისი მოღვაწეობა ამ მიზანს ემსახურებოდა) და პრაქტიკულად გეგმავდა.

ქვეყნის გაერთიანების საქმეში ყველაზე მძიმე და რთული უბანი და-სავლეთ საქართველო იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პოლიტიკურად ეს რეგიონი სხვა (ოსმალეთის) გავლენის სფეროში ითვლებოდა. მეორე ის გარემოება იყო, რომ რეგიონში ერთი — იმერეთის სამეფო ითვლებოდა, რომელიც ყველაზე მძიმე ვითარებაშიც კი, დასავლეთ საქართველოს ხელისუფლის პრეტენზიას არ თმობდა. ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა მეცადინეობა იმერეთის ტახტზე სასურველი კანდიდატის გაყვანისა და ამ რეგიონზე ქართლის მფლობელთა გავლენის თანდათანობით გაძლიერებისაკენ იყო მიმართული.

ვახტანგის მოღვაწეობის ე. წ. ჯანიშინობის პერიოდი საქართველოს გაერთიანების იდეოლოგიური და პრაქტიკული მომზადების ხანა იყო. ვი-ნაიდან ქვეყნის გაერთიანების იდეოლოგიური საფუძველი ქრისტიანული რელიგია უნდა ყოფილიყო, ეს მისია მას უნდა ეკისრა. ამიტომ ქრისტია-ნული ეკლესიის სიწმინდისა და სიმტკიცის საკითხებს ქართველი პროგრესისტები განსაკუთრებული გულისხმიერებით ეკიდებოდნენ. სამღვდელოების დიდი ნაწილი უკმაყოფილო იყო, როგორც ნიკოლოზ კათალი-კოსისა, რომელიც გიორგი XI მხარდამჭერად ითვლებოდა, ისე ნაზარ ალი ხანის ინიციატივით უმაღლეს მღვდელმთავრად აყვანილი ევდემოსი-სა. პირველს მეტისმეტ სოფლიერებას1 უწუნებდნენ, მეორეს კი რელიგიურ საკითხებში უვიცობას და ასეთი მაღალი იდეოლოგიური პოსტისთვის შე-უფერებლობას. ამიტომ ვახტანგის ენერგიული მცდელობით, საეკლესიო კრებამ კათალიკოსად რუსეთიდან ახლად დაბრუნებული (თუ ვახტანგის ინიციატივით ჩამოყვანილი), მისი ძმა — დომენტი აირჩია (1705 წ.), რომელმაც შემდგომში დიდი როლი შეასრულა არა მარტო საეკლესიო საქმე-ების მოგვარებაში, არამედ ვახტანგის გამაერთიანებელი პოლიტიკის ცხოვრებაში გატარებაში საერთოდ. ქვეყნის გაერთიანების დღის წესრიგში დაყენებას ის ვითარებაც უწყობდა ხელს, რომელიც მოცემულ პერიოდში ერთი მხრივ ირანსა და თურქეთში, მეორე მხრივ კი კახეთსა და იმერეთის სამეფოებში შეიქმნა.

ქართლის ტახტის დაკავების საკითხი. ვახტანგის მჩქეფარე მოღვაწეობას, ისევე როგორც მის პატრიოტულ გეგმებს, დიდი წინააღმდეგობა გადაეღობა: 1711 წელს იგი ქართლის ტახტზე ოფიციალურად დასამკვიდრებლად ირანში გაიწვიეს.

ქართლის მომავალი მეფე შაჰის კარზე გამოცხადდა, მაგრამ ეს დიდ სირთულეებთან არ იყო დაკავშირებული. სირთულეები შემდეგ იწყებოდა. ვახტანგმა იცოდა, რომ ქართლის მეფედ დამტკიცების პირობად ირანის ხელისუფლება მას გამაჰმადიანებას მოსთხოვდა. ასეც მოხდა და ჯანიშინმა ამ პირობის შესრულებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. არავითარმა ზემოქმედებამ არ გაჭრა. ვახტანგს ტახტის დაკარგვისა და ირანში სამუდმოდ ტყვედ დარჩენის, ან უფრო მძიმე სასჯელის საშიშროება დაემუქრა. ის კი კვლავ შეუპოვრად იდგა თავის პრინციპზე.

არსებობს ცნობა, რომ შაჰი იმდენად დიდ ანგარიშს უწევდა ვახტან-გის პიროვნებას, რომ მზად იყო იგი ქრისტიანობის შენარჩუნებით დაემტკიცებინა ქართლის მეფედ, მაგრამ ამას კატეგორიულად წინ აღუდგნენ უმაღლესი სასულიერო პირები (ომარები) და ძალაგამოცლილმა, ტახტზე არამყარად მჯდომმა, ირანის მბრძანებელმა მათი წინააღმდეგობა ვერ გაბედა.

ვახტანგის სიჯიუტე, ერთი შეხედვით, თითქოს გაუგებარი და გაუმართლებელი საქციელი იყო ასეთი ჭკვიანი პოლიტიკოსისთვის. მიუხედავად თანამედროვეთა მტკიცებისა, ძნელია იგი წარმოვიდგინოთ ისეთ ორთოდოქს ქრისტიანად, რომლისთვისაც რჯულის ფორმალური გამოცვლა გადაუტანელი ტრაგედია იქნებოდა. იგი ამგვარი ფინალისთვის არ შეიძლება მორალურად შემზადებული არ ყოფილიყო, რადგან, როგორც ითქვა, ტახტის მიღების სპარსელთაგან დაკანონებული წესი ამას ითვალისწი-ნებდა და მისი ოჯახის ვერც ერთმა წევრმა ამგვარ განსაცდელს თავი ვერ დააღწია (ბიძებმა, ბიძაშვილმა, მამამ, ძმებმა, შვილმა). ბოლოს ხომ მანაც აღიარა მაჰმადის რჯული და, მართალია ჩქარა უარყო, მაგრამ ამითაც ქვეყანა არ დაქცეულა. ამდენად უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ქართლის მეფობის კანდიდატის ამგვარი სიჯიუტე პოლიტიკური პრინციპებით აგვეხსნა.

საუკუნოვანი გათიშულობისა და ფეოდალური დაჩიხულობის პირობებში ქართველთა სისხლით ნათესაობისა და თვით ენობრივ ერთიანობის მიუხედავად საერთო ეროვნული თვითშეგნება ძლივს ბოგინობდა და იგი საზოგადოების პროგრესულ ნაწილსღა შერჩენოდა. ქრისტიანობა იყო ერთადერთი დუღაბი, რომელიც ქართველობას აკავშირებდა. ქრისტიანობის დაკარგვა მასების თვალში ქართველობის დაკარგვას ნიშნავდა, გამაჰმადია-ნება კი — გალეკებას, გათათრებას, გაყიზილბაშებას. ქვეყნის გაერთიანება მხოლოდ ქრისტიანობის იდეოლოგიური დროშით შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ამ დიდ საქმეში საგარეო ძალის გამოყენების პერსპექტივაც, მხოლოდ ქრისტიანობას უკავშირდებოდა. ამიტომ აყენებდნენ ვახტან-გი და სხვა პროგრესული მოღვაწენი ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცების და მოწესრიგების საკითხს უპირველესი რიგის ამოცანად.

გამაჰმადიანებული მეფე იმ დიდი, ეროვნული საქმის მეთაურად, რომელიც ქრისტიანობის ეგიდით უნდა განხორციელებულიყო, ვერ გამოდგებოდა, ამიტომ ვახტანგის თავდადებას ქრისტიანობის შენარჩუნებისთვის არა მარტო რელიგიური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც ენი-ჭებოდა, მაგრამ არც ირანის კარი აპირებდა დათმობას. ვახტანგი ტყვედ იყო, საქართველოში კი მისი დაწყებული დიდი საქმე იშლებოდა. ასეთ ვითარებაში პროგრესულმა ძალებმა ევროპაში ელჩობის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღეს.

ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის ელჩობის მიზნები. საფიქრებელია, რომ ქვეყნის განთავისუფლებისა და გაერთიანების საქმეში გარე-შე ძალის გამოყენების საკითხს ქართველი პატრიოტები ადრევე გეგმავდნენ და ამუშავებდნენ. ორი შესაძლო ვარიანტიდან: რუსეთი და ევროპა, პირველმა ქართველთა მოლოდინი რამდენჯერმე ვერ გაამართლა. ამჯერადაც იგი ჯერ საკმაოდ მოღონიერებული არ ჩანდა და მისი დახმარება მხოლოდ მორალური მხარდაჭერით შეიძლებოდა შემოფარგლულიყო. ევროპა იმედის მომცემად გამოიყურებოდა, ამაზე მეტყველებდა მისი მაღალი ავტორიტეტი ირანისა და ოსმალეთის კარზე. როგორც ჩანს, ამ აზრს და იმედს ავრცელებდა და ამაგრებდა საქართველოში მომრავლებული კათოლიკური მისიები. ეს

გარემოება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ქართველ ხელისუფალთა შემწყნარებლურ და წამახალისებელ დამოკიდებულებას მათდამი. როგორც ჩანს, ქართველი პოლიტიკოსებისთვის ცნობილი იყო მაშინდელი ევროპის სახელმწიფოთა ცხოველი დაინტერესება შავსა და კასპიის ზღვებს შორის სავაჭრო მაგისტრალის ამოქმედებით და, შესაბამისად, საქართველოთი.

ეტყობა ვახტანგმა და მისმა თანამზრახველებმა ელჩობის გამგზავრებამდე გაცილებით ადრე დაამყარეს კავშირი ევროპის მონარქებთან; ასევე ადრევე დაგეგმილი ჩანს თვით ელჩობის მომზადებაც. მაგრამ ეს რთული და საფრთხილო საქმე საგანგებო ორგანიზებას და შესაფერისი საერთაშორისო ამინდის დადგომას ელოდა.

შექმნილმა გამოუვალმა მდგომარეობამ, ქვეყნის მართვისგან ვახტან-გის ჩამოცილებამ და ფაქტობრივად, ტყვეობაში ყოფნამ, ელჩობის გამ-გზავრება დააჩქარა და, შესაბამისად, მისი წარმატების შანსი შეამცირა.

ირანში ჩასვლიდან სამი თვის შემდეგ ვახტანგმა სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც თან ახლდა, ქართლში, ევროპაში გასამგზავრებლად გამოისტუმრა, ხოლო უკვე 1714 წლის იანვარში საბა მარსელში ჩავიდა.

ისტორიოგრაფიაში ორბელიანის ელჩობა ირანისა და თურქეთის ძალადობისაგან ქვეყნის გამოხსნის გზების ძიებისა და გაჭირვებაში ჩავარდნილი ვახტანგის განთავისუფლების აუცილებლობითაა გაგებული. ამგვარი ახსნა ზოგადია და არაზუსტი. როგორც ითქვა, ელჩობის დაჩქარება ვახტანგისთვის დახმარების გადაუდებლობამ განაპირობა, მაგრამ მისი ტყვეობიდან დახსნა გამაჰმადიანებასთან იყო დაკავშირებული. მაშასადამე, საქმე მისთვის ქრისტიანობის შენარჩუნებას ეხებოდა.

ელჩობა გასაიდუმლოებული იყო. როგორც ჩანს, თვით მეფის ოჯახის წევრებმაც კი არ იცოდნენ მისი ჭეშმარიტი ამოცანები. ოფიციალურად იგი თითქოს მხოლოდ სულხანის პირადი ინიციატივით ეწყობოდა, მისი ნამდვილი მიზნები კი საგულდაგულოდ იყო შენიღბული. ამ მხრივ ნიშანდობლივია სიტყვები რომელიც საბას კონსტანტინოპოლში საფრანგეთის მინისტრისთვის უთქვამს: “ჩემი ყოფნა აქ გრძლად არ ვარგა მისთვის, რომ ვინ იცის, თუ ჩემი რამ ითქვა და საჯაროდ გამოვიდა მრავალი საქმე წახდება”.

მიუხედავად ამგვარი გასაიდუმლოებისა ელჩობის მასალების გულდასმითი გაცნობა და ანალიზი, მისი ჭეშმარიტი მიზნების ამოცნობის სა-შუალებას იძლევა.

სულხან-საბამ ლუი XIV-ეს ვახტანგის ტყვეობიდან დასახსნელად ფულადი დახმარება სთხოვა, რომლითაც, თითქოს, მას სპარსეთის კარის გავლენიანი მოხელეები უნდა მოექრთამა; ხოლო პროპაგანდა ფიდესადმი მიწერილ წერილში იგი საკითხს აყენებდა, პაპმა იშუამდგომლოს ლუი XIV-სთან, “რომ ჩუენს ქუეყანას მართალი სარწმუნოება გამრავლდეს: — იმისი უკეთესი ღონე ეს არის, რომ ფრანციის დიდი მეფე ჩუენის მეფის მოხმარებას ეცადოს”.

უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველივე ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა და ელჩობის მთავარი ამოცანის კონსპირაციისთვის არის წინ წამოწე-ული. ნამდვილი მიზნები კი იმ დაპირებებიდან მჟღავნდება, რომელსაც ქართველი ელჩი საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებს გაწეული

დახმარების სანაცვლოდ სთავაზობს: ესაა მთელი საქართველოს და მეზობელი პროვინციების კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევა და შავი ზღვიდან სპარსეთამდე, საქართველოს გავლით, საფრანგეთისთვის სავაჭრო გზის გახსნა. სულხანის რწმუნებით, საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში ვახტანგი ვალდებულებას იღებდა, რომ "უზრუნველყოფს დაიცვას საფრთხისაგან საქონელი, რომელსაც ფრანგები ჩამოიტანდნენ საფრანგეთიდან და რომელ-საც ისინი გაატარებდნენ საქართველოზე სპარსეთში წასაღებად, ან პირიქით, რომელსაც ისინი ჩამოიტანდნენ სპარსეთიდან საქართველოში" და სხვ.

თუ იგი სამშობლოში მხოლოდ ქართლის მეფის უფლებებით დაბრუნდებოდა ამ პირობების შესრულება ვახტანგს არ შეეძლო. ეს კარგად ესმოდათ როგორც ელჩობის წევრებს, ისე რომისა და საფრანგეთის რელი-გიურ და პოლიტიკურ წრეებს.

ამ ვალდებულების შესრულება მხოლოდ ერთიანი საქართველოს მმართველს (ხელმწიფეს) შეეძლო ეკისრა, რომლის სამეფოს შემადგენლობაშიც თავმოყრილი იქნებოდა ის პროვინციები და ხალხები, რომელთა გაკათოლიკობასაც ელჩები ასე საზეიმოდ კისრულობდნენ, ხოლო მათი სამეფოს ფარგლებში მოექცეოდა მთელი გზა შავი ზღვიდან სპარსეთამდე, რომლის უსაფრთხოებაც მას უნდა უზრუნველეყო.

საქართველოს გაერთიანება, ვახტანგ VI-ის მეთაურობით, ის საფუძველი უნდა ყოფილიყო, რომელზედაც დამყარდებოდა ქართველთა ელჩობის მთელი შინაარსი. ცხადია, ეს მოტივი ორივე მხარის მიერ საგანგებოდ იყო შენიღბული, რადგან მისი ნაადრევად გამჟღავნება წამოწყების წარუმატებლობას მოასწავებდა.

სულხან-საბას ელჩობამ შედეგი არ გამოიღო. ევროპელთა საქართველოთი დაინტერესება ზედაპირული გამოდგა. გაწეული დახმარების სანაცვლოდ მიღებული უკუგება მათ საეჭვოდ ეჩვენებოდათ. ის მცირედი წარმატება, რომელიც ამ ელეჩობას თითქოს უნდა ჰქონოდა, მატერიალური დახმარების მიღების თვალსაზრისით, საბოლოოდ გააქარწყლა ლუი XIV-ის გარდაცვალებამ (1715 წ. სექტემბერი).

ვახტანგის მიერ რჯულის ფორმალური შეცვლის პოლიტიკური მიზანი. ირანში ტყვეობაში მყოფმა ვახტანგმა, რომელიც, როგორც ჩანს, ევროპიდან ელჩობის მსვლელობის თაობაზე პერიოდულად იღებდა ინფორმაციას, ჩქარა წამოწყების მარცხი შეიტყო და ტაქტიკის შეცვლის აუცილებლობის წინაშე დადგა. მისი მდგმოარეობა ერთბაშად უკიდურესად გართულდა.

რაკი ვახტანგი გამაჰმადიანებაზე ვერ დაიყოლია, 1714 წელს შაჰ-სულთან ჰუსეინმა ქართლი მის გამაჰმადიანებულ ნახევარ ძმას იესეს (ალი ყულიხანს) უბოძა. იესე ვახტანგისადმი მტრულად იყო განწყობილი და მისი მოთხოვნით შაჰმა ქართლის ყოფილი გამგებელი თეირანიდან ქირმანში გადაიყვანა. აქ იგი თავისუფალ ცხოვრებას ეწეოდა და ლიტერატურული საქმიანობით იქცევდა თავს, თარგმნა "ქილილა და დამანა" და სხვ. მაგრამ მარტო ლიტერატურული საქმიანობისთვის მისი ენერგიის გაფლანგვა დიდი უაზროზა იქნებოდა. დიდი ეროვნული საქმე იღუპებოდა. საჭირო იყო სასწრაფო ღონისძიებების მიღება. საჭირო იყო პროგრესის წი-ნააღმდეგ მებრძოლი იესე მეფის ნეიტრალიზება, საჭირო იყო ვახტანგის სამშობლოში დაუყოვნებლივ დაბრუნება და მოხდა ფაქტი, რომელიც ისტორიაში სრულიად

უპრეცენდენტოა: ქართულმა ეკლესიამ, კათალიკოსის მეთაურობით, მეფეს, რომელიც ქრისტიანობისადმი ერთგულებას და თავდადებას იჩენდა და მოწამეობრივ ტყვეობაში აღსასრულს ელოდა, ქრისტიანობის დათმობა და მაჰმადიანობის მიღება ურჩია. მან ეს რჩევა უყოყმანოდ მიიღო.

ამ ღონისძიებამ თავისი შედეგი გამოიღო, რითაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა შაჰის კარზე ვახტანგის დიდი ავტორიტეტი: იესეს სასწრაფოდ ჩამოართვეს ქართლის ტახტი და იგი ვახტანგს დაუმტკიცეს, მის ნაცვლად კი ქვეყნის გამგებლობა ერთხანს მის ვაჟს — ბაქარს დაავალეს.

ბაქარმა ენერგიულად დაიწყო ირანიდან მამის ნაკარნახევი პოლიტი-კის გატარება. შერყეული საშინაო ვითარება თანდათან სწორდებოდა.

ვახტანგის მოთხოვნით იესე შეიპყრეს. მკაცრად დასაჯეს მისი მომხრეები.

ევროპიდან მოსალოდნელ მხარდაჭერაზე იმედის გაცრუების შემდეგ საჭირო იყო ახალი გზის ძიება.

საგარეო ორიენტაციის შეცვლა. სწორედ ასეთ ვითარებაში წინა აზიის პოლიტიკურ ასპარეზზე ხელახლა გამოჩნდა ძალა, რუსეთის ახალ-გაზრდა და ძლიერი სახელმწიფოს სახით, რომელიც ამ რეგიონში თავისი შორსგამიზნული პოლიტიკის გატარებას შეუდგა. პეტრე დიდისა და ვახტანგ VI-ის შორის კონტაქტები დამყარდა. ქვეყნის გაერთიანების და განთავისუფლების საქმეს ახალი პერსპექტივა დაესახა.

1719-1720 წლებში ვახტანგსა და პეტრე პირველის წარმომადგენლის ვოლინსკის შორის შეთანხმება გაფორმდა, რომელიც ირანში რუსეთის გავლენის დასამყარებლად ერთობლივი ლაშქრობის ორგანიზებას ითვალისწი-ნებდა. 1721 წელს ვახტანგ VI და რუსეთის წარმომადგენელი ერთობლივი ლაშქრობის მოწყობაზე შეთანხმდნენ.

ამგვარად მოხდა პოლიტიკური ორიენტაციის რადიკალურად შემობრუნება. შესაბამისად საჭირო იყო შეცვლილი საგარეო პოლიტიკის მოქნილი გატარება. რუსეთი აღმოსავლეთში მართლმადიდებელთა დაცვის ლოზუნგით მოდიოდა. ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა სიმპათიები კათოლიკობისადმი და მათი ევროპული ორიენტაცია, ახლა უკვე არახელსაყრელად ჩანდა. პეტრე პარველისთვის, ცხადია, ცნობილი იყო სულხან-საბას ევროპაში ელჩობის ფაქტი. ამ დროს კი რუსეთში კათოლიკობისადმი არა-კეთილგანწყობილი დამოკიდებულება სუფევდა. ამდენად სულხან-საბას ელჩობის აფიშირება არც რუსული ორიენტაციის და არც ირანთურქეთთან დამოკიდებულების თვალსაზრისით იყო ხელსაყრელი. ამით უნდა აიხსნას კიდევ ერთი “უცნაური” ეპიზოდი განსახილველი ხანის საქართველოს ცხოვრებაში: ყველასთვის პატივსაცემ, ღვაწლმოსილ და ამაგდარ საბას, რომელიც საზოგადოებამ და კონკრეტულად მეფის ოჯახის წევრებმა, ევროპაში ცრემლების ფრქვევითა და გულის შეწუხებებით გააცილეს, ამდენი წვალების, გაჭირვების, ტანჯვის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულს, გადაჭარბებით ცივად და შეიძლება ითქვას სასტიკადაც კი შეხვდნენ. იგი ერთხანს შერისხულიც ჰყავდათ და პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოაშორეს.

ეს ყველაფერი, ეტყობა, ახალი ვითარებით განპირობებული დიპლომატიური საქციელი იყო: ვახტანგის პარტიამ ამით მეზობელ ქვეყნებს აჩვენა, რომ სულხან-საბას ყველა მოქმედება ევროპაში, მხოლოდ მისი პირადი ინიციატივით შედგა და ქართლის სამეფოს პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა, ამ მოსაზრების საფუძვლიანობა იმით დასტურდება, რომ სამშობლოში ჩამოსულმა ვახტანგმა იგი ჩქარა კვლავ შემოირიგა და ჩვეულ, მჩქეფარე, სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჩააბა.

ვახტანგ VI-ის ღონისძიებები ქართლის ტახტის დაკავების შემდეგ. 1719 წელს ქართლში დაბრუნებულმა ვახტანგმა საჯაროდ უარყო ისლამი და ქრისტიანობა აღიარა. ეს სპარსეთისადმი, რომლის ფორმალურ ქვეშევრდომად ის ჯერ კიდევ ითვლებოდა, გამოწვევას უდრიდა. დასუსტებულმა ირანის შაჰმა ეს გამოწვევა გადაყლაპა და იმჯერად არავითარი რეაგირება არ გამოუჩენია.

ვახტანგმა კი მალე განიმტკიცა შერყეული მდგომარეობა: ურჩი თავადები დასაჯა, განსაკუთრებული სიმკაცრე გამოიჩინა მათდამი, ვინც მისი არყოფნის დროს იესეს მიუდგა და უერთგულა. როგორც ჩანს, იმერეთშიც და კახეთშიც მისი მომხრე დასები მოქმედებდნენ და 1720-1721 წლებში საქართველოში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ გაერთიანების საქმეს, ერთი შეხედვით, ქვეყნის შიგნით რაიმე არსებითი დაბრკოლება თითქოს არ უნდა შეხვედროდა.

1720 წელს ფეოდალებმა (დადიანმა, რაჭის ერისთავმა, აბაშიძემ), გი-ორგი იმერეთის მეფე მოკლეს. ვახტანგის გავლენა იმერეთში კიდევ უფრო გაიზარდა.

არა ნაკლებ ძლიერი იყო მისი გავლენა კახეთშიც.

კახეთის შემოერთების ცდა. ამ ხანებში ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის არსებული ურთიერთობა იმ დასკვნის საფუძველს იძლევა, რომ ვახტანგი კახეთის შემოერთებას პრაქტიკულად ანხორციელებდა.

კახეთის მმართველობა 1715 წელს ირანიდან დაბრუნებულმა დავით ერეკლეს ძემ იმამყულიხანმა მიიღო. და პირველ რიგში ქართლის მეფის გამაერთიანებელი პოლიტიკის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას შეუდგა. ამის მაგალითებად შეიძლება გამოდგეს მისი დამოყვრება და კეთილი ურთიერთობა იასე მეფესთან, კიდევ უფრო მავნე და ქართველთა ერთიანობისთვის საზიანო იყო მის მიერ ლეკთა საკითხის ე. წ. “გადაწყვეტა”: თავისი საგამგებლო რომ გადაერჩინა იგი ქართლის სოფლებზე თავდასასხმელად შეკრებილ ლეკთა ურდოებს კახეთზე თავისუფალ გასასვლელს და გამყოლებსაც კი აძლევდა, სამაგიეროდ კი ნადავლში წილს იღებდა, ბლოკავდა ქართლის პოლიტიკოსთა თავდასაცავ ღონისძიებებს და სხვ.

ყოველივე ეს იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ქართლის მეფის გამა-ერთიანებელი განზრახვები დავით მეფისთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა და მას უპირისპირდებოდა.

დავით მეფეს, ისევე, როგორც მის ვაჟს, კონსტანტინეს, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ირანის იმდროინდელი მდგომარეობა და წონა არ იძლეოდა იმის იმედს, რომ მასზე

დაყრდნობით ისინი კახეთის ტახტზე განმტკიცებას შეძლებდნენ. ამის გამო, ცხადია, ირანის კარისადმი მათი ერთგულება, ისევე, როგორც მათი მაჰმადიანობა, მოჩვენებითი იყო. შესაბამისად, ახალ ძლიერ სახელმწიფოსთან დაკავშირებადამეგობრება კახელი პოლიტიკოსებისთვის სასურველი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, რო-გორც ჩანს, ისინი გრძნობდნენ და ხვდებოდნენ, რომ ვახტანგის და პეტრეს კავშირი კახეთის სამეფოს გაუქმებას და იქ ქართლის ბაგრატიონთა გაბატონებას ითვალისწინებდა, რის გამოც ამ კავშირში მათი ადგილი არ რჩებოდა. გამორიცხული არაა, რომ რუსეთისა და კახეთის სამეფოს დაახლოებას თვით ვახტანგმა შეუშალა ხელი, რადგან ამგვარი ალიანსი მის გეგმას არ ესადაგებოდა.

აშკარაა, კახეთში ვახტანგის გამაერთიანებელი პოლიტიკის მომხრეთა ძლიერი დასი მოქმედებდა. 1721 წელს მათ ხელსაყრელი ვითარება შეექმნათ. ამ წელს ქართლ-კახეთის ფორმალურმა ხელმწიფემ, ირანის შაჰმა, ვახტანგ VI-ს ჭარის დალაშქვრა და ლეკთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტა უბრძანა (დაღესტნელთა ურდოები ირანის განაპირა პროვინციებზეც აწყობდნენ ყაჩაღურ თავდასხმებს)

შაჰი სულთან-ჰუსეინი ცდილობდა ვითარების გაკონტროლებას და კახეთში სიმშვიდის შენარჩუნებას თავის მოვალეობად მიიჩნევდა. მან აქ ლეკების წინააღმდეგ დასახმარებლად შირვანის ხანი გამოგზავნა. მაგრამ მას გზაში იგივე ლეკები დახვდნენ და სიცოცხლეს გამოასალმეს. ამრიგად ლეკების და მათი დასაყრდენის — ჭარის წინააღმდეგ ბრძოლა, ვახტანგის კომპეტენციაში მოექცა და, ჩანს, მან ამ ვითარების გამოყენება თავის გამა-ერთიანებელი, ამოცანის განსახორციელებლად ხელსაყრელ მომენტად მი-იჩნია. რადგან ჭარის წინააღმდეგ ბრძოლა ქართლის ლაშქრის კახეთის ტერიტორიაზე მოქმედებას გულისხმობდა: “მცნობნი წავიდნენ, ეპისკო-პოსნი და წარჩინებულნი და ვედრებდნენ ვახტანგ მეფეს, რათა ჰყოს ბრძანებული ყაენისა, მან აღუთქვა და წარმოვიდა სპითა დიდით” — გვა-უწყებს ვახუშტი ბატონიშვილი.

კახეთის მესვეურებმა ამ აქტში, არა უსაფუძვლოდ, ტახტის დაკარ-გვის რეალური საფრთხე დაინახეს. მემატიანის გადმოცემით “ეს ეფიქრებინათ. “თუ მეფემ ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერსო”.

ცხადია გაერთიანების მოწინააღმდეგე ძალები კონტრზომების მიღებას შეეცდებოდნენ, რაში გამოიხატა ეს, უცნობია. ფაქტი ისაა, რომ მოულოდნელად შაჰმა ქართლის მეფეს ლაშქრობის მოშლა უბრძანა. ვახტანგი ბრძანებას დამორჩილდა.

კახეთის ხელისუფალთა პოზიცია გასაგებია. ისინი შიშით ადევნებდნენ თვალს ქართლის მეფის ძალაუფლების ზრდას და მის გამაერთიანებელ მიზნებს კახეთის მიმართ. მაგრამ ვერსაიდან რეალურ დახმარებას რომ ვერ პოულობდნენ ერთხანს ისევ მასთან ურთიერთობითა და სიამტკბილობით შეეცადნენ თავის გადარჩენას. ნიშანდობლივია დავით მეფის სიტყვები ვახტანგისადმი მიწერილ ერთერთ წერილში: “...ჩვენი თავი და ჩვენი ქვეყანა ყველა თქვენს ხელში ჩამოვაგდეთ და თქვენ მოგაბარეთო”... ამ სიტყვებში შეიძლება საქართველოს კონფედერაციული გაერთიანების ერთგვარი შეთავაზება დავინახოთ. ამგვარი გაერთიანება, ცხადია, ნაკლებად მტკიცე და ნაკლებად ეფექტური, სამაგიეროდ გაცილებით მარტივი და

ყველასთვის მისაღები იქნებოდა, რადგან ლეგიტიმიზმის პრინციპის დაცვას ითვალისწინებდა და ამდენად ადვილად მისაღწევი იყო. ქართულ სამეფო სამთავროებს ხომ ძირითადად ერთი გლობალური მტერი — მაჰმადიანური სამყარო ჰყავდათ და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას ყველა აღიარებდა. საჭირო იყო არჩეულიყო ყველასთვის მისაღები მეთაური. ამ შემთხვევაში ასეთი ვახტანგ VI იყო. მაგრამ ვახტანგი სა-კითხის რადიკალურ გადაწყვეტას ესწრაფვოდა და ეს ცხადია უკეთესი გზა იყო, რადგან კახეთის სამეფოს ქართლთან შეერთებას ითვალისწინებდა. ამიტომ კახეთთან საერთო მოქმედების სავარაუდო შესაძლებლობიდან არაფერი გამოვიდა.

გასაგებია ირანის კარის პოზიციაც: იგი აშკარად ხედავდა, რომ ვახტანგ VI ქართლის ვალის (ირანის სახელმწიფო იერარქიაში ქართლის მეფე, ირანის მოხელედ, ქართლის პროვინციის გამგებლად — ვალად ითვლებოდა) უფლებამოსილებას დიდი ხანია გასცდა. იგი მარტო კახეთის კი არა სხვა პროვინციებსაც თავისად უყურებდა.

შაჰი სულთან ჰუსეინი კახეთში თავისი პოზიციების დათმობას არ აპირებდა, რადგან მთელს რეგიონში მისი ძირითადი დასაყრდენი ეს სამეფო იყო. ამიტომ მოულოდნელად გარდაცვლილ დავით (ერეკლეს ძე) იმამყულიხანის მაგიერ კიდევ უფრო პირწავარდნილი რენეგატი და სპარსოფილი, მისი ძმა კონსტანტინე — იმამ ყული ხანი გაამწესა.

ირანის ხელისუფლებისათვის არც ვახტანგის რუსეთთან ურთიერთობის დეტალები იქნებოდა უცნობი. შესაბამისად იგი ეცდებოდა არ დაეშვა ქართლის მეფის გაძლიერება, რაც მის დამორჩილებას კიდევ უფრო გაართულებდა.

მაგრამ გასარკვევია თვით ვახტანგის პოზიცია. რატომ შეწყვიტა მან ასე საგულდაგულოდ მომზადებული და მომწიფებული ოპერაცია? ირანის კართან იმ დროს ისეთი დამოკიდებულება ჰქონდა, რომ მისთვის ანგარი-შის გაწევის გამო ასეთი დიდი საქმე თითქოს არ უნდა მოეშალა.

საქმე იმაშია, რომ შაჰმა ჭარზე ქართლ-კახელთა შეერთებული ლაშქრობა ორჯერ აკრძალა. არის ცნობა, რომ ერთ-ერთი ამგვარი მითითების მიღების შემდეგ “ვახტანგმა მოიხმო შაჰის დესპანი, ამოიღო ქარქაშიდან ხმალი და დაიფიცა, რომ ამიერიდან აღარ იბრძოლებდა შაჰის სამსახურად და ირანის დასაცავად”. და მართლაც, შემდგომში მას ირანის არცერთი ბრძანება აღარ შეუსრულებია. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ფაქტი ლაშქრობის პირველი აკრძალვის შემდეგ მოხდა, რადგან მეორე ლაშქრობისთვის მზადების დროს მისი აკრძალვის ბრძანება რომ მიიღო, იგი არაფრად ჩააგდო და სამზადისი განაგრძო. თუმცა ეს ლაშქრობა სპარსელთა მოქმედების გამო კვლავ ჩაიშალა.

მართალია, ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე ვახტანგის მიერ ლეკების საწინააღმდეგო ლაშქრობის შეწყვეტას ირანის კარის შესაბამისი მითითებით ხსნის, მაგრამ იგი, გარკვეული მოსაზრებით, თავის ნაშრომში ყველაფერს არ ამხელს. მაგალითად, არაფერს ამბობს იმაზე, რომ იმ ხანებში ქართლის მეფემ პეტრე პირველთან ელჩობა გაგზავნა, რომლის ერთ-ერთი წევრი სეხნიაც იყო. თუ ეს ცნობა რომელიც თ. ჟორდანიას ქრონიკებში წყაროს მიუთითებლადაა შესული, ზუსტია, მაშინ სრული უფლება გვაქვს, ქართლის მეფის მიერ აღნიშნული წამოწყების შეწყვეტა ამ ელჩობას დავუკავ-შიროთ.

პეტრე პირველი და საქართველოს გაერთიანების პრობლემა. რაკი, როგორც ვფიქრობთ, კახეთისა და იმერეთის შემოერთებას (არსებითად საქართველოს გაერთიანებას) პრაქტიკულად გეგმავდა, რისთვისაც ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია თითქოს მომწიფებული ჩანდა, ვახტანგს გადაწყვეტილება თანამებრძოლთან უნდა შეეთანმხებინა, მისგან დასტური მიეღო. მაგრამ პეტრე პირველი იმხანად მას ამგვარ დასტურს ვერ მისცემდა.

როგორც ითქვა, რუსეთის მიზანი კასპიისპირეთში გაბატონება იყო. მას ეს პრობლემა ისე უნდა გადაეწყვიტა, რომ თურქებისთვის საქმეში ჩარევის საბაბი არ მიეცა. დაღესტნისადმი თურქეთის დამოკიდებულება რადიკალურად განსხვავდებოდა ირანისაგან. ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდა, სხვათა შორის, რუსეთსაც. ქართულ ლაშქარს რუსთა გეგმებში ცენტრალური ფუნქცია ეკისრებოდა. გაერთიანებისაკენ მიმართული ვახტანგის პოლიტიკა კი ქვეყანაში, სამოქალაქო ომის თუ არა, დიდი არეულობის საშიშროებას ქმნიდა. ამის დაშვება არ შეიძლებოდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კასპიისპირეთის ლაშქრობაში ქართველთა მონაწილეობა პრაქტიკულად იხსნებოდა. მეორეც ეს აქცია თურქებს ამიერკავკასიის საქმეებში ჩარევის საბაბს მისცემდა, რაც რუსეთის იმპერატორს ძალიან არ აწყობდა.

ყოველივე ეს რუსეთის ხელისუფალთ კარნახობდა ვახტანგისთვის ამ დიდი წამოწყებისაგან თავის შეკავება ერჩიათ და იგი რუსეთის კასპიის-პირეთის პროგრამის წარმატებით განხორციელების შემდგომი პერიოდისთვის გადაეწია.

სავარაუდოა, ამგვარი ლოგიკა დაედო საფუძვლად ჭარის დალაშქვრის, კახეთის შემოერთების და საქართველოს გაერთიანების დიდი ეროვნული ღონისძიების გადადებას (ფაქტობრივად ჩაშლას).

ირანის საშინაო ვითარება XVIII ს. დასაწყისში. ამასობაში ირა-ნის შაჰი სულთან ჰუსეინი ავღან აჯანყებულთა ვერაგმა მეთაურმა მირვე-ისმა ტახტიდან ჩამოაგდო და შაჰის გვირგვინი თვითონ დაიდგა.

ირანი ფაქტობრივად დაიშალა. მისი გადარჩენა, როგორც ფიქრობდნენ, მხოლოდ ვახტანგ VI-ს შეეძლო, მაგრამ მან ეს არ ისურვა, რადგან თავისი ქვეყნის განთავისუფლების და გაერთიანების რეალურ პერსპექტივას ხედავდა. ეს პერსპექტივა თავის დროზე ირანმა დაამუხრუჭა, როდე-საც ფაქტობრივად წინ აღუდგა ქართლის მეფის მიერ კახეთის შემოერთების ცდას. ამჟამად კი საქართველოს გაერთიანების ვახტანგ VI-ის გენერალური პროგრამა კასპიისპირეთში რუსეთის ინტერესებს დაუკავშირდა.

ისპაანის გარემოცვაში მყოფმა, შაჰ სულთან ჰუსეინის ვაჟმა, თავრიზ-ში გადაინაცვლა და ჩქარა იქ თავი ყაენად გამოაცხადა.

ირანის დასუსტებით ხელის მოთბობა მეზობელმა ხელისუფლებმაც განიზრახეს. სულთან ჰუსეინს ავღანელებთან საკუთარი ძალებით დაპირისპირება არ შეეძლო. მას გარეშე დახმარებაზე უნდა ეფიქრა. სუნიტური თურქეთი არც რელიგიური და არც პოლიტიკური ნიშნით მას არ გამოად-გებოდა. საერთო საზღვრებისა, სუნიტური მოსახლეობის სურვილისა და ინტერესების დაცვის შესაბამისად, თურქეთს საკმაო პრეტენზიები ჰქონდა ამ მხარეზე და, უნდა ვიფიქროთ, ირანის იმპერიის ტერიტორიების ავღა-ნელებთან გაყოფას გეგმავდა. ერთადერთ

შესაძლო დამხარედ რუსეთი შე-იძლებოდა განხილულიყო, და შესაბამისად 1722 წლის ივლისში ირანის შაჰის, ჰუსეინის, მემკვიდრემ ტახმასპ მირზამ პეტრე პირველთან ელჩი გაგზავნა მირ მაჰმუდის (მირვეისის ვაჟის, რომლის მფლობელობაში ამ დროს თითქმის მთელი ირანი ითვლებოდა) წინააღმდეგ კავშირის დადების თაობაზე. შესაბამისად 20 წლიან ომში გამარჯვებული, ძლევამოსილი რუსეთის იმპერიად ქცეული სამეფო, ირანის ლეგიტიმური ხელისუფლების გარკვეული თანხმობით და ამიერკავკასიის ქრისტიანული ხალხების მხარდაჭერით, გულმოცემული, კასპიისპირეთში თავის შორს გამიზნული გეგმების განხიორციელებას იმედოვნებდა. ჯერ კიდევ შაჰ სულთან ჰუსე-ინის სიცოცხლეში, მისი თხოვნით გათამამებულმა რუსეთის მეფემ 30 000-იანი ლაშქრით დაიკავა ბაქო და გილანს და ასტრაბადს დაემუქრა. ახლა დადგა დრო მას თავის მიზანდასახულობანი გაეფართოვებინა და სისრულეში მოეყვანა. ამ განზრახვაში მთავარი დასაყრდენი ვახტანგ VI იყო, რომელიც მთელი რეგიონის ქრისტიანობის ლიდერად გამოდიოდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. პეტრეს და ვახტანგის ინტერესები ურთიერთს დაემთხვა.

1718 წლიდან, მას შემდეგ რაც ჩრდილოეთის ომის ბედი, ფაქტობრივად, რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვეტილი იყო, პეტრემ ყურადღება მნიშვნელოვანწილად კასპიისპირეთზე გადაიტანა და შესაბამისი პროექტების შედგენა დაიწყო. ამ გეგმების შემზადების მიზნით, მან ასტრახანში, რომელიც კასპიისპირეთში რუსეთის ბატონობის ფორპოსტად მოიაზრებოდა, გუბერნატორად თავისი თანამებრძოლი და სანდო პიროვნება ვოლინ-სკი დანიშნა, რომელსაც ამ რეგიონში პეტრეს წამოწყებათა კურირება დაავალა. ჯერ კიდევ 1718-1720 წწ. ვოლინსკის ინტენსიური მოლაპარაკება და-უწყია ქართლის მეფესთან ერთობლივი მოქმედების თაობაზე.

პეტრე I და ვახტანგ VI ერთობლივი მოქმედების გეგმა. 1722 წლისთვის, როცა ისპაანი ავღანელებმა ალყაში მოაქციეს და შაჰი სულთან ჰუსეინი მმართველობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, როცა ირანის არმიის დემორალიზებისა და უსუსურობის გამო ქვეყნის ყველა პროვინცია აჯანყების ალში იყო გახვეული და შველა არსაიდან ჩანდა, როცა ირანის ხელისუფალნი მზად იყვნენ მთელი კასპიისპირეთი რუსეთისთვის დაეთმოთ, ოღონდ თავი გადაერჩინათ, ერთობლივი ოპერაციისთვის ყველაზე სასურველი დრო დადგა. მთავარი ის იყო, რომ კასპიისპირეთში ერთობლივი მოქმედება თურქეთისთვის დაესწროთ, რომელიც ირანის ხარჯზე ხელის მოსათბობად ასევე ენერგიულად ემზადებოდა. პეტრემ ეს გარემო-ება კარგად იცოდა და ამიტომ ჩქარობდა.

1721 წლის ნოემბერში ვახტანგ VI-ს მიერ პეტრე პირველისადმი მიწერილი წერილით ირკვევა, რომ რუსებსა და ქართველებს შორის ერთობლივი მოქმედების შესახებ შეთანხმება მიღწეული იყო. მაგრამ, როგორც ასეთი დონის პიროვნებას შეეფერება, ქართლის მეფე ფრთხილობდა, რათა მიზნები ნაადრევად არ გამოეაშკარავებინა და წამოწყება საფრთხის წინაშე არ დაეყენებინა. ერთდროულად იგი ენერგიულად ირჯებოდა, თანამზრახველთა ძიებისა და ერთობლივი მოქმედების გეგმის შემუშავების თვალ-საზრისით. ამ მიმართულებით ყველაზე დაინტერესებული და საიმედო მოკავშირეები სომხები იყვნენ. ვახტანგმა მოლაპარაკება დაიწყო სომეხ მელიქებთან და ფრთხილად, მაგრამ ენერგიულად შეუდგა სომხური ჯარის ორგანიზებას. საამისოდ მან ოთხასკაციანი რაზმი გააგზავნა, რომელშიც სომეხი მეომრებიც შედიოდნენ. ერთ-

ერთი მათგანი იყო დავით ბეგი, რომელიც, ეჭვი არ არის, ვახტანგთან წინასწარი შეთანხმებისამებრ სათავეში ჩაუდგა სომხეთის აღმოსავლეთის ოლქებში დაწყებულ განმათავისუფლებელ მოძრაობას და თავისი ერის ისტორიაში ეროვნული გმირის სახელი დაიმკვიდრა.

შეტევა ყოველმხრივ მომწიფებული იყო. ირანის საშინაო მდგომარეობა წარმატების გარანტიას იძლეოდა, დაგვიანება საქმეში თურქეთის ჩარევას და წამოწყების შეფერხებას მოასწავებდა.

1722 წ. 3 აგვისტოს პეტრემ ვახტანგს კასპიისპირეთში ოპერაციის დაწყება აუწყა. თითქმის ერთდროულად ქართლის მეფეს თურქეთის წი-ნადადებაც მოუვიდა იმის შესახებ, რომ იგი ირანზე გალაშქრებას აპირებდა, მასში ვახტანგს მონაწილეობას თხოვდა და სამაგიეროდ მთელი საქართველოს მფლობელობას თავაზობდა. ცხადია, ვახტანგს ამ წინადადების მიღება არ შეეძლო და ყველაფერი პეტრეს შეატყობინა.

ამავე ხანებში, ქართლის მეფეს შაჰის ბრძანებაც მოსვლია შირვანში გალაშქრების თაობაზე, რომელსაც ლეკები დაპატრონებოდნენ. ამდენად ვითარება თავისთავად დალაგდა. ვახტანგი განჯაზე ილაშქრებდა, შაჰის ბრძანების შესაბამისად "ლეკების განდევნის" მიზნით, ფაქტობრივად კი პეტრესთან შესახვედრად. სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით, რომ, რო-გორც ჩანს, ქართლის მეფეს ლეკთა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლები უწარმოებია და შაჰის დავალებაც შეუსრულებია. ამაზე მეტყველებს დავით გურამიშვილის სიტყვები: "წავიდა განჯის მიდამოს სისხლის ღვართ მიადინებდა".

1722 წლის აგვისტოს მიწურულს, ქართული ლაშქარი განჯისკენ გაემართა, სადაც, როგორც ფიქრობენ, სომხური სახელმწიფოს აღდგენის იმედით აღფრთოვანებული, სომეხთა 10 000-იანი გაწვრთნილი ლაშქარიც შე-უერთდა.

წინასწარი გეგმის თანახმად, ქართულ-სომხური ლაშქარი რუსებს დარუბანდსა და ბაქოს შორის უნდა შეხვედროდა, ამიტომ მათ განჯასთან დაბანაკება არჩიეს.

საქმე საშური იყო. ვითარება ერთობ ხელსაყრელი: შაჰ სულთან ჰუ-სეინი ჯერ კიდევ ისპაანში იყო ბლოკირებული, მისი ვაჟი თამაზი ყაზვინს მისულიყო და ჯარის შეგროვებას ცდილობდა, რისთვისაც ვახტან-გსაც თხოვდა დახმარებას, მაგრამ ქართლის მეფეს შეთანხმების ძალით პეტრეს გარეშე დამოუკიდებელი მოქმედება არ შეეძლო.

23 აგვისტოს რუსის ჯარმა დარუბანდს მიაღწია; აქ რუსული გარნიზონი ჩააყენა, ხოლო მდინარე სოლუხზე ციხე-სიმაგრის მშენებლობა და-იწყო, მაგრამ საქმე ამის იქით აღარ წასულა. პეტრემ ლაშქრობის შეწყვეტა და ასტრახანში დაბრუნება ბრძანა.

გაერთიანებული ლაშქრობის ჩაშლა. ქართველთა მდგომარეობის გართულება. ქართულ ისტორიოგაფიაში მიღებულია საუბარი პეტრეს მხრიდან ღალატზე, ქართველების მოტყუებაზე და ა. შ. ცხადია, რომ იმპერატორმა შექმნილი გარემოების (თურქეთის მხრიდან კონკურენციის) გამო ექსპედიცია არა სათანადოდ მომზადებულად დაიწყო. ტრანსპორტის საკითხი კიდევ უფრო გაართულა ზღვაზე მძლავრმა ღელვამ და რუსული გეგმების დაღუპვამ, არანაკლები

მნიშვნელობა ჰქონდა რუსის ჯარში ავადმყოფობის გავრცელებას. ამავე ხანებში გამომჟღავნდა ასტრახანის გუბერნატორის ა. ვოლინსკის არაპატიოსანი საქციელი და ხაზინის სახსრების მითვისება და ამის გამო დიდი მატერიალური ზარალი.

ყოველივეს მიუხედავად, პეტრე ასტრახანში დაბრუნდა, რომ თითქოს კარგად მომზადებულიყო და წამოწყება შემდეგ წელიწადს გაეგრძელებინა, მაგრამ მომენტი დაკარგული იყო. თანდათან ვითარება დაიძაბა თურქეთთან, რაც შესაძლებელია ომში გადაზრდილიყო. იმ დროს თურქეთთან ომი რუსეთს აშინებდა და პეტრემ საქმის მშვიდობიანად მოგვარება არჩია.

პეტრე I იმედოვნებდა და მოკავშირეებსაც აიმედებდა, რომ საგანგებოდ მომზადებული 1723 წელს ლაშქრობას განაახლებდა. თურქეთის მო-სალოდნელი თავდასხმისაგან დასაცავად კი, გულწრფელად თუ მოჩვენებით, საქართველოში რუსული რაზმის შემოყვანასაც კი აპირებდა.

ყველა ამ გეგმას განხორიცელება არ ეწერა.

ვახტანგის მდგომარეობა კი თანდათან კატასტროფულად რთულდებოდა. უკან გაბრუნებულმა პეტრე Iმა შაჰთან მოლაპარაკება ვახტანგს და-ავალა, მას უნდა დაერწმუნებინა იგი, რომ პეტრე ლაშქრობას ირანის გადსარჩენად აპირებდა, რომ მას ამ საქმეზე ხელი არ აუღია და მომავალ წელს ლაშქრობას გააგრძელებდა.

ახალგაზრდა შაჰის მოტყუება ადვილი არ აღმოჩნდა. თამაზმა ჯერ კიდევ შაჰ სულთან ჰუსეინის სიცოცხლეში ქართლის მეფე, დახმარებაზე უარის თქმისა და ზოგ სხვა ცოდვაშიც დაადანაშაულა და მისი საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება დაიწყო. დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ, კახეთის ტახტი კონსტანტინეს ჩააბარა, რომელიც დავითისაგან განსხვავებით, სავარაუდოა, შაჰის მითითებით, ვახტანგისადმი მტრულად იყო განწყობილი. ქართლში საშინაო ურთიერთობებიც აირია — შინაფეოდალური ბრძოლა გაჩაღდა. ცოტა ხანში კახეთის გამგებელმა კონსტანტი-ნემ შაჰს ქართლის ტახტიც გამოსთხოვა და იქ მისი პოლიტიკის გატარებას დაჰპირდა.

თბილისზე გამოლაშქრებულ კონსტანტინეს ქალაქის სპარსულმა გარ-ნიზონმაც დაუჭირა მხარი, ვახტანგის წინააღმდეგ განჯისა და ერევნის ხა-ნებიც იბრძოდნენ, მხოლოდ დასავლეთ საქართველო უწევდა ქართლის მეფეს დახმარებას. მეორე მხრივ, კი არზრუმის ფაშა ვახტანგს კატეგორიულად თხოვდა სულთნის უზენაესობა ეცნო და ამით ტახტი შეენარჩუნები-ნა. ქართლის მეფე მედგრად იგერიებდა შემოსეულ მტერს იმ იმდით, რომ ჩქარა რუსეთიდან შეპირებული დამხმარე რაზმი მოუვიდოდა, მაგრამ ამაოდ. 3 თვიანი წინააღმდეგობის შემდეგ ვახტანგმა თბილისი დატოვა.

გამაერთიანებელი პოლიტიკის მარცხი. ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის გამოხსნისა და განთავისუფლებისთვის მებრძოლი დიდი კულტურტრეგერი, მეცნიერი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურების შემოქმედი, მრავალჭირნახული მეფე გაჭირვების ჟამს თითქმის მარტოდმარტო აღმოჩნდა (თუ არ ჩავთვლით დასავლეთ საქართველოდან მიღებულ მცირეოდენ დახმარებას). იგი თავის შემოქმედებაში გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მის წინააღმდეგ ყაენთან და ხონთქართან ერთად “ამთონი მეზობლებიც” იბრძოდნენ.

კასპიისპირეთში რუსეთ-საქართველოს გაერთიანებული ლაშქრობის ჩაშლამ ვახტანგის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაართულა. გარდა ირა-ნისა და თურქეთისა, რაც მთავარია, მას დაუპირისპირდნენ ქართველი მეფემთავრები, რადგან, როგორც ჩანს, ამასობაში მისი გამაერთიანებელი გეგმები საბოლოოდ გამომჟღავნდა. აქ საგულისხმოა ერთი ფაქტის ხელახლა გახსენება: პეტრე პირველთან მოლაპარაკების პერიოდში, სულთანმა ვახტანგს სპარსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყება აცნობა, მასში მონაწილეობა შესთავაზა და თანხმობის შემთხვევაში მთელი საქართველოს მფლობელობაში გადაცემას შეჰპირდა. ძნელი სათქმელია, რამდე-ნად გულწრფელი იყო სულთნის წინადადება. ქართლის მეფეს ამ დროს რუსეთთან შეთანხმება ჰქონდა და მისი დარღვევა არ შეეძლო. მით უმეტეს, რომ თურქეთისაგან მიღებული წინადადება უკანასკნელის უზენაესობის აღიარებას ნიშნავდა. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ისაა, რომ სულთნის კარი მას ზუსტად იმას სთავაზობდა, რისი სურვილით და იმედითაც ვახტანგი პეტრე პირველის წამოწყებას უერთდებოდა, რაც იმის ნიშანია, რომ მისი სურვილები და გეგმები ცნობილი იყო არა მარტო ქართველი მეფე მთავრებისთვის, არამედ თურქეთის კარისთვისაც.

ამ გეგმების გამჟღავნებამ ჯერ კიდევ სათანადოდ მოუმზადებელი და მოუმწიფებელი ქართული საზოგადოების ნაწილი ქართლის მეფის საწინააღმდეგოდ განაწყო. ეროვნული და პატრიოტული პროექტი მას ქართველი სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ აგრესიად ჩაუთვალეს. აქ უჩვე-ულო და მოულოდნელი არაფერია, რადგან ფეოდალური (და არა მარტო) მენტალიტეტით ერთობა, ერთიანობა, გაერთიანება, საერთო მტრის წინააღმდეგ ცალკეულ, დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულთა ერთობლივ, შეთანხმებულ ბრძოლად ესმოდათ, მთელი ქვეყნის ერთი მმართველის ხელქვეით მოქცევას (ქვეყნის რეალური გაერთიანება), არალეგიტიმურ მოქმედებად, აგრესიად, ტახტის მიტაცებად და ა. შ. აღიქვამდნენ ამის გამო ისეთმა დიდმა პატრიოტმა და ბრწყინვალე გონების პიროვნებამაც კი, როგორიც დავით გურამიშვილი იყო, საღად ვერ შეაფასა ქართლის მეფის დიდი, გამაერთიანებელი, პოლიტიკის არსი და ეროვნული მნიშვნელობა. ამით უნდა აიხსნას მისი ნეგატიური დამოკიდებულება ვახტანგის საგარეო პოლიტიკისადმი და ის აშკარა სიმპატიები, რომელთაც ვერ მალავს რენეგატის და სპარსოფილის, კახეთის მეფის, კონსტანტინეს მიმართ, როდესაც ქართლის დასაკავებლად მის ბრძოლას აღწერს.

1723 წლის 4 მაისს ყიზილბაშური გარნიზონის დახმარებით და ქართველთა ბანაკში ღალატის გამო კონსტანტინემ თბილისი აიღო, მაგრამ მას ამ გამარჯვების სიხარულით დატკბობა არ დასცალდა. 1723 წელს თბილისს თურქები მოადგნენ და ქალაქი თითქმის უბრძოლველად დაი-კავეს. ამიერკავკასია თურქეთის ბატონობის ფაქტის წინაშე აღმოჩნდა. რუ-სეთის მთავრობა ამ რეგიონის შენარჩუნებას მხოლოდ ბრძოლით თუ მოახერხებდა. ბრძოლა მას არ შეეძლო და ჩანს იმჟამად არც ამიერკავკასიის ტერიტორია უღირდა დიდად. მისი მთავარი მიზანი კასპიისპირეთის პროვინციების დაკავება იყო და მისი განხორციელებისთვის აქტიურობდა. 1722 წლის ნოემბერში რუსის ჯარი ენზელის ყურეში შევიდა, რეშტსაც დაეუფლა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლეოდა ბაქოს აღებას, რაც 1223 წლის ბოლოსთვის მოხერხდა. ჩქარა რუსის ჯარმა მტკვრის შესართავიც დაიკავა და 1724 წლის 12 ივნისს კონსტანტინოპოლში დაიდო ზავი,

რომლითაც რუსეთმა და თურქეთმა დაკავებული ტერიტორიები გაიყვეს. თურქეთმა რუსეთის კასპიისპირეთის მონაპოვარი ცნო, რუსეთმა კი აღიარა მისი უფლებები აღმოსავლეთ საქართველოზე, აღმოსავლეთ სომხეთზე და ჩრდ. ირანის ზოგიერთ ტერიტორიაზე.

ვახტანგ VIმ, რომელიც რუსეთიდან დაპირებულ რაზმის ჩამოსვლას ვერ ელირსა, ისევ თურქეთთან სცადა საქმის მოგვარება, ამ მიზნით მან დიდი განძეულიც გაიღო ქრთამის სახით, მაგრამ ამან ვერ უშველა. თურქებმა მისი პირადი გამოცხადება მოითხოვეს. ვახტანგი არ გამოცხადდა. თურქეთთან შეთანხმებით, ქართლის გამგებლობა ვახტანგის უფროსმა ვაჟმა ბაქარმა იკისრა, რომელიც ეტყობა მამის რადიკალურ პოლიტიკას მთლიანად არ იზიარებდა.

ამ ღონისძიებამ საქმეს ვერ უშველა, შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში, ბაქარმა ქართლის მეფობა ვერ შეძლო. ჩქარა მან ტახტი მიატოვა და ერთხანს კავკასიის მთებს შეფარებული მეფეყოფილი მამა-შვილი თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდა. მაგრამ, როცა ყველა დასაყრდენი გამოეცალათ და ყველა გზა მოეჭრათ, ქვეყანაში მათი დარჩენა შეუძლებელი შეიქნა. მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ როგორც თურქეთის ხელისუფლების დამქაშები, ისე ირანული ორიენტაციის მომხრეები, როგორც მეზობელი მეფე მთავრები (გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა), ისე პარტიკულარიზმის მსურველი დიდებულები.

ასეთ ვითარებაში ქვეყნის გაერთიანების მომხრე და დასაყრდენი, ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა დასი იზოლირებული აღმოჩნდა, ვახტანგი და მისი ახლობლები კი გარიყული.

ვახტანგ VI პოლიტიკური კურსის შეფასება. გვიან, როცა რუ-სეთში გადახვეწილი, მეფე პოეტურ შემოქმედებაში თავის მოღვაწეობას აფასებდა და აჯამებდა, სინანულით აღნიშნავდა, რომ თანამემამულეებმა მას ვერ გაუგეს, მისი ბრძოლის მნიშვნელობა ვერ შეაფასეს, მას გადაუდგნენ და კიდეც ამხედრდნენ მის წინააღმდეგ.

“ყმაზე წამიხდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები,

ამხანაგზედა სიკეთე, სხვათაგან შესაშურები,

ძმათა და თვისთა მოყვრობა, რა ჩემგან მოსასურები,

განმაძეს ასე უბრალოდ თვალთ ცრემლი მომაწურები”.

ან კიდევ: “თუცა ვიყავ ამათ რჯულზე მაშ, ესენი რას მტერობდნენ?

თუ ქრისტესთვის თავი დავსდევ მაშ ისინი რას მაქრობდენ?

უცხო არის ჩემი საქმე, საარკაო თუ ფიქრობდენ.

მილთონთა ვსჩან მეფედ მათად, თვის ტომსა სწადს,

რომ მაქრობდენ”.

ვახტანგი კარგა ხანს იკავებდა თავს ქვეყნის დატოვებისაგან. კიდევ ბჟუტავდა იმედი, რომ უკუქცეული მოკავშირის დახმარებით მდგომარეობას გამოასწორებდა, მაგრამ ჩქარა უკანასკნელი იმედიც გადაეწურა: საიმ-პერატორო კარი კასპიისპირეთში მიღწეული წარმატების შენარჩუნებაზე ზრუნავდა და შექმნილ ვითარებაში ახალ წარმატებებზე ფიქრი არ შეეძლო.

იმჯერად მას თურქეთთან ომის არც ძალა ჰქონდა და არც სურვილი. ამიტომ პეტრე დიდი თურქეთთან მორიგების პოზიციას ადგა და კასპი-ისპირეთში მის მიერ დაკავებული პროვინციების სანაცვლოდ, როგორც ითქვა, პორტას მთელ ამიერკავკასიაზე ბატონობის უფლება დაუთმო.

ამრიგად ყველა დიდი იმედი და პერსპექტივა გაურკვეველი ვადით შეწყდა. ვახტანგს, სამშობლოდან გადახვეწის გარდა, გზა აღარ რჩებოდა. იმავე წლის ივლისში ქართლის მეფეყოფილმა უჩვეულოდ დიდი ამალით (1200 სულზე მეტი), საქართველოს ფარგლები დატოვა და რაჭის გზით რუსეთში გადავიდა, რათა იქ ქართული კულტურისა და რუსეთის დიპლომატიის სამსახურში დაელია ნატანჯი სული და ბოლოს ასტრახანის ჭა-ობიან მიწაში მოესვენებინა საქართველოს თავისუფლება-ერთობისთვის ბრძოლაში დაღლილი სხეული*. მას, როგორც ჩანს, სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ ასვენებდა თავისი დიდი პოლიტიკის მარცხისა და თითქმის უპატრონოდ მიტოვებული სამშობლოს დარდი:

“დავუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი ტომნი, მონაძები,

დავკარგულვარ უცხო თემსა, ვარ არვისგან მონაძები.

ვინ დამბადე, შემიწყალე ყველასაგან მონაძები!

შემომმძარცვეს რაც მაცვია, ჭირი, ჭმუნვა, საძაძები”.

რუსეთს გამგზავრებული ქართველი პოლიტიკოსები იმედოვნებდნენ, რომ ძლიერი მოკავშირე მათ ღვთის ანაბარად არ დატოვებდა, რომ კონ-სტანტინოპოლის ხელშეკრულება მხოლოდ დროის მოგებისა და ხელსაყრელი პოლიტკური ამინდის დადგომის მოლოდინში გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯი იყო, რომ მოკავშირე რუსის ჯართან ერთად, ისინი მალე დაბრუნდებოდნენ სამშობლოში და დასახულ პროგრამას განახორიცელებდნენ... მაგრამ მათ ახალი იმედგაცრუება ელოდათ.

ასტრახანიდან პეტერბურგს მიმავალმა ემიგრანტებმა ცარიცინთან შე-იტყვეს, რომ მათი მთავარი მოკავშირე და იმედი, რუსეთის დიდი იმპერატორი, მოულოდნელად გარდაცვლილიყო. მის უნიათო მემკვიდრეებს კი დიდი გეგმის და წამოწყებების გაგრძელების არც სურვილი ჰქონდათ და არც შესაძლებლობა.

მათ მხოლოდ ის მოახერხეს რომ 7 წლის შემდეგ (1732 წ.), როცა ამიერკავკასიაში დამყარებული ოსმალობა თანდათან ძალას კარგავდა და გაჯანსაღების გზაზე დამდგარი ირანი ამიერკავკასიაში კვლავ ჩვეული პოზიციების დაბრუნებისთვის ემზადებოდა, სპარსეთთან გააფორმეს ხელშეკრულება, რომელშიც დააფიქსირეს, რომ: “რადგან მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის და შაჰური უდიდებულესობის საერთო ერთგული მეფე ვახტანგი მოცილებულია თავის სამფლობელოს, როცა საქართველო სპარსეთში, შაჰის პროტექციაში იქნება, შაჰი მას ჰპირდება... ძველი ჩვეულებისამებრ, აღუდგინოს საქართველოში მფლობელობა და მმართველობა”...

იმ დროს, როდესაც ეს ხელშეკრულება ფორმდებოდა, ამიერკავკასია ჯერ კიდევ თურქეთის ხელში იყო, მაგრამ ირანი ძალას იკრებდა და სარდალ თამაზ ყული ხანის (შემდეგში ნადირ შაჰი)

შემართებით და მეცადინეობით, ქვეყნის ტერიტორიის ტრადიციულ ფარგლებში აღდგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა. ჩქარა მან მართლაც დაიბრუნა რეგიონში ჩვეული პოზიცია, მაგრამ ვერც ვახტანგი და ვერც მისი შთამომავალები ამ მუხლის ცხოვრებაში გატარებას ვერ ეღირსნენ. მიუხედავად ამისა, როგორც ქვემოთ დავინახავთ ამ, არსებითად ფორმალურმა, ჩანაწერმა მეტად დიდი როლი ითამაშა შემდგომი პერიოდის საქართველოს პოლიტიკის განვითარებაში და განსაკუთრებით აქ რუსეთის ფაქტორის არნახულად წინ წამოწევაში.

ქვეყნის განთავისუფლებისა და გაერთიანებისაკენ მიმართული ქართველ პატრიოტთა დიდი წამოწყება დამარცხდა. იგი ჩაშალა შექმნილმა არახელსაყრელმა შიდაპოლიტიკურმა და, განსაკუთრებით, საგარეო ვითარებამ. მაგრამ საქართველოს გაერთიანების დიდი იდეა არ მომკვდარა. იგი მუდამ ღვიოდა ქართველ პროგრესულ მოღვაწეთა გულებში და მალე ახალი ძალით იჩინა თავი ჯერ ვახტანგ VI-ის ქალიშვილის და სიძის (თამარ დედოფალი, თეიმურაზ II) შემდეგ კი მისი სახელოვანი შვილიშვილის ერეკლე II პოლიტიკაში.

თავი XXXIII. დასავლეთ საქართველო XVIII ს. I ნახევარში

ზოგადი მიმოხილვა. დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნეს გან-საკუთრებით მძიმე ვითარებაში შეხვდა. სამთავროთა სეპარატიზმი და ფე-ოდალთა პარტიკულარიზმი ქვეყანას წელში გამართვის საშუალებას უს-პობდა. აქ სრული პოლიტიკური ქაოსი სუფევდა. იმერეთის მეფის ხელი-სუფლება არამყარი და ნომინალური იყო. ქვეყანას ფეოდალები განაგებდნენ და გაუთავებელ ქიშპსა და ურთიერთბრძოლაში, ისედაც დაუძლურებული ქრისტიანული სარწმუნოების დასუსტება, უცხო რჯულის დამ-პყრობთა ძალისხმევით და ადგილობრივ რენეგატთა ჩუმი ხელშეწყობით, თანდათან რომ მატულობდა, ეროვნულ თუ მორალურ ღირებულებათა გა-უფასურებას განაპირობებდა და არაერთი მეფემთავარი თუ ფეოდალი ხშირად უღირსი, ანტიეროვნული ქმედებებით ამახსოვრებდა თავს თანამემამულეებს. მაღალ ფეოდალთაგან მაგალითმიცემულნი, ქვეყნის დაქცევის საქმეში მდაბიო ხალხიც აძლიერებდნენ მონაწილეობას “განრყვნილნი, ფიცის მტეხელნი, ტყვისმსყიდველნი, მხდომნი მკრეხელნი, უკეთურნი არათუ წარჩინებულნი, განა მდაბიურნიცა მოქმედნი ამის ყოველთა”.

“ამ საყოველთაო დაცემა-გაველურებისას ტყვის სყიდვა უკიდურესობამდე მისულიყო. ტყვეებს ჰყიდდნენ ყველანი, მეფეებიც, მღვდელმთავრებიც, მთავრებიც, თავადებიც, აზნაურებიც და გაყაზახებული გლეხებიც”.

1683-1695 წლებში იმერეთს ალექსანდრე მეფე განაგებდა. მემატიანის სიტყვებით: “მხნე, ახოვანი, ჰაეროვანი და უხვი, არამედ ხელად მქცევი, ცუნდრუკი, უღვთო ტყვის მსყიდველი”.

ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს სუვერენად თვლიდა თავს, მაგრამ იმპერიის საერთო დასუსტების გამო, მას ერთდროულად მთელი რე-გიონის გაკონტროლება არ შეეძლო. საუკუნის დასაწყისში, გამაჰმადიანებულ ქართველთაგან შემდგარი, მისი მცირერიცხოვანი გარნიზონები მხოლოდ ქუთაისის და სოხუმის ციხეებში იდგნენ. ამიტომ ოსმალეთის ხელისუფლება რეგიონში თავის დასაყრდენის, — ჩილდირის (ახალციხის) ფაშის მეშვეობით თავის ინტერესებს მეფემთავართა თუ ფეოდალთა ურთიერთ წაქეზებით და დაპირისპირებით, შემდეგ

დამარცხებულთა დახმარებით, ხოლო გაძლიერებულთა წინააღმდეგ მტრული ღონისძიებებით, ქვეყნის შიგნით ცენტრიდანული ძალების ხელშეწყობით ახორციელებდა და ძალთა სასურველ ბალანსს ინარჩუნებდა.

იმერეთის მეფეს, გურიის, აფხაზეთის და სამეგრელოს მთავრებს ტახტზე სულთნები ამტკიცებდნენ. დასავლეთ საქართველო დაშლილი იყო მაგრამ ამ ფაქტს იმერეთის მეფეები არ ურიგდებოდნენ და გაერთიანების იმედს არ ჰკარგავდნენ, მაგრამ ეს მისწრაფება სამთავროების წინააღმდე-გობას აწყდებოდა, თუმცა თვით სამთავროებიც თითქმის ღაფავდნენ სულს. გურიის სამთავრო თურქთა მოწოლისაგან თანდათან მცირდებოდა და თვითმყოფადობას ძლივს ინარჩუნებდა, აფხაზეთი ფაქტობრივად თურქთა ხელში იყო. დიდი გაჭირვებით უხდებოდა პოლიტიკური არსებობის შენარჩუნება ოდიშის სამთავროს, რომელიც ზღვას თითქმის მოწყვეტილი იყო.

იმ ხანებში ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მთელი საქართველოს გა-ერთიანების გეგმა მწიფდებოდა (ვახტანგ VI). ამიტომ იქ განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებოდნენ რეგიონის ცალკეული პოლიტიკური ერთეულის პოზიციას, თითოეული დიდი ფეოდალის აზრსაც კი. იმერეთის სამეფოს სუსტი გამაერთიანებელი ლეგიტიმური ლტოლვა და თურქეთის ფაქტობრივი ძალაუფლებით გაუმაგრებელი ანექსიური ინტერესები, მთელი საქართველოს გაერთიანების პროგრესულ იდეას არ ემთხვეოდა, რაც კიდევ უფრო ხლართავდა და ამძიმებდა ერთიან ეროვნულ სულის-კვეთებას.

ამგვარი არასტაბილური და ურთიერთსაპირისპირო განწყობები იყო იმის მიზეზი, რომ XVII-XVIII სს. მიჯნაზე როგორც სამეფოში, ისე სამთავროებში გამგებლები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდნენ.

ახალციხის ფაშის ძალისხმევით 1698 წელს იმერეთში ალექსანდრე IV-ის უკანონო შვილი სვიმონი გაამეფეს. იმ ხანებში გიორგი აბაშიძე იმერეთში ყველაზე ძლიერი თავადი იყო. მან სასწრაფოდ ისარგებლა ახალ-გაზრდა მეფის პოლიტიკური სისუსტით და დაუყოვნებლივ თავისი ქალი ანიკა შერთო ცოლად, რითაც სამეფოში პოზიცია კიდევ უფრო გაიმყარა. სამეფოს მართვაში მასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა გიორგი აბა-შიძის პატივმოყვარე უფროსი ასული, იმერეთის დედოფალყოფილი თამარი. ამ ორი პიროვნების სრულიად თვითნებურმა და თავაშვებულმა მმართველობამ სვიმონ მეფე აიძულა ტახტი მიეტოვებინა და კვლავ ახალციხე-ში გადასულიყო. იმერეთში ხელისუფლება მთლიანად გიორგი აბაშიძემ და მისმა ქალმა თამარმა განიმტკიცეს. უკანასკნელმა ისიც მოახერხა, რომ ჩქარა ოდიშის დედოფლობაც ჩაიგდო ხელში. 1701 წელს გურიის მთავარმა მამიამ ახალციხეში გაქცეული სვიმონი იმერეთში ჩამოიყვანა და მეფედ აღადგინა. თუმცა გიორგი აბაშიძის გავლენას გურიის მთავარმა მაინც ვერ დააღწია თავი და, ამ ყოვლისშემძლე თავადთან ერთად, თავისივე დასმული სვიმონი სიცოცხლეს გამოასალმა. იმერეთის ტახტი კი თვითონ, მამიამ დაიკავა, თუმცა ნომინალურად, რადგან ყველაფერს კვლავ გიორგი აბაშიძე განაგებდა. ამგვარი ვითარების შეგუება მამია გურიელმა არ ისურვა, 1702 წელს მან იმერეთის ტახტი მიატოვა და თავის სამთავროში დაბრუნდა. სამეფოს ერთპიროვნულ მმართველად დარჩენილმა გიორგი აბაშიძემ 1702 წელს დროებით, აფხაზეთის მთავარიც კი დაიმორჩილა.

დასავლეთ საქართველოში თურქეთის ბატონობა ყველა კლასის და ფენის, ყველა პოლიტიკოსისთვის, მიუღებელი იყო, ამიტომ მოუთმენლად ელოდნენ საფუძველს რათა ამ დამამცირებელ მორჩილებაზე უარი ეთქვათ. ასეთი ბიძგი გამოჩნდა, ეს იყო 1703 წელს რუსეთის მზადება თურქეთის წინააღმდეგ. უკვე 1696 წელს პეტრემ თურქეთს აზოვი წაართვა და ინტენსიურად შეუდგა სამხედრო ფლოტის მშენებლობას, რომლის მეშვეობითაც შავ ზღვაზე გაბატონებას გეგმავდა.

ერთი მხრივ რუსეთის გეგმებმა, მეორე მხრივ კი თურქეთში განვითარებულმა მწვავე პოლიტიკურმა კრიზისმა, ქართველების ანტითურქული განწყობილება კიდევ უფრო გააღვივა.

რუსეთის გეგმებზე და მასთან დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების დამოკიდებულებებზე თურქეთის აგენტურა ინფორმირებული იყო. ამის გამო 1703 წელს დასავლეთ საქართველოს სამეფო სამთავროების მიერ თურქეთის მორჩილებაზე და ხარკის გადახდაზე უარის თქმა სტამბოლში რუსეთის მხრიდან შეტევის დაწყების ნიშნად მიიღეს და გადაწყვიტეს: ვიდრე მთავარ მტერთან დაპირისპირება მოუხდებოდათ, სასწრაფოდ ქართველები დაესაჯათ და დაემორჩილებინათ (ანუ საბოლო-ოდ დაეპყროთ).

თურქებმა მოახერხეს დიდი ანტიქართული ლაშქრობის ორგანიზება.

დასავლეთ საქართველოში მტერი სამი მხრიდან: გურიიდან, სამეგრელოდან და იმერეთიდან შემოიჭრა. ქართველები არ შედრკნენ და მედ-გრად დაუხვდნენ მომხდურთ. ბრძოლას სათავეში გიორგი აბაშიძე ჩაუდ-გა. მიუხედავად ამ პიროვნების არაერთი ოდიოზური ქმედების და ამორალური საქციელისა, იგი თურქთაგან განთავისუფლებით სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული და ამიტომ მტრის წინააღმდეგ ქართველთა გაერთიანების და დარაზმვის საქმეს მთელი მონდომებით მოჰკიდა ხელი. მან შემოიფიცა ქვეყნის მთავარი ფეოდალები და მტერს შემოსასვლელები ჩაუკეტა. თურქები ყოველ ნაბიჯზე მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდ-ნენ. მიუხედავად ამისა, მათ რიგ სტრატეგიულ პუნქტებში შეჭრა მაინც მოახერხეს, თუმცა მერე წარმატება ვეღარ განავითარეს, რადგან ქართველთა შეუპოვარ წინააღმდეგობას ისიც დაემატა, რომ თვით თურქეთში ვითარება მეტისმეტად დამძიმდა. დიდი აჯანყების შედეგად, რომელშიც განსაკუთრებით იანიჩართა შენაერთები აქტიურობდნენ, სულთანი მუსტაფა II ტახტიდან ჩამოაგდეს და მისი ადგილი ახალმა სულთანმა ახმად III დაიკავა. აჯანყებულებმა დიდ ვეზირად გურჯი ახმად ფაშა დასვეს. დედაქალაქში სიმშვიდე აჯანყებულ იანიჩართა ულმობელი დასჯით დამყარდა (15000 აჯანყებული ზღვაში დაახრჩეს).

განმდგარი ქართველების წინააღმდეგ სიმკაცრის გამოჩენის საშუალება თურქებს აღარ მიეცათ. მიუხედავად იმისა, რომ პეტრე პირველისაგან ნავარაუდევი სამხედრო დახმარება ქართველებმა ვერ მიიღეს, მტრის მიმართ პატრიოტული შემართება შეინარჩუნეს. ქართველთა დასასჯელად ჯარით გამოგზავნილი სერასკირი ახალმა სულთანმა გზიდან უკან გააბრუ-ნა, მაგრამ ქართველებმა უკუქცეულ მტერს გზა გადაუღობეს და მათი უმეტესი ნაწილი გაანადგურეს.

საბოლოოდ ქართველთა მედგარი წინააღმდეგობის შედეგად თურქებმა კარდინარლურ მიზანს, ქვეყნის საბოლოო დაპყრობას, ვერ მიაღწიეს, მაგრამ სადამდეც მიწვდნენ ქვეყანას დიდი

ზიანი მიაყენეს: დაანგრიეს ეკლესიამონასტრები, ააოხრეს სოფლები, გურიაში მაჰმადიანური გარნიზო-ნები დატოვეს და ა. შ.

საბოლოოდ ოსმალთა მთავარსარდალმა გიორგი აბაშიძესთან გამართა მოლაპარაკება და შეუთანხმდა შორაპნის ციხე დაენგრიათ, ხოლო იმერეთის მეფედ მოკლული სვიმონის ძმა, გიორგი ბატონიშვილი დაესვათ, რომელიც გიორგი აბაშიძემ იშვილა, რითაც იმერეთში თავისი ძალაუფლების სიმტკიცეს გაუსვა ხაზი.

გიორგი VI-ის გამეფება იმერეთში. ქვეყნის ფაქტობრივი მმართველობა კვლავ გიორგი აბაშიძის ხელში რჩებოდა, რასაც ეს ვერაგი ფეოდალი თავის სასარგებლოდ აქტიურად იყენებდა. მაგალითად, "ტყვის სყიდვის" წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, მან ამ ბარბაროსულ საქმიანობაზე საკუთარი მონოპოლია დაამკვიდრა.

მეფემთავართა და ფეოდალთა ერთგვარი თანხმობა (სოლიდაროობა) თურქთა წინააღმდეგ ხანმოკლე აღმოჩნდა. გიორგი აბაშიძის ბატონობის მოწინააღმდეგე ფეოდალები, შეკავშირდნენ და გიორგი აბაშიძეს დაუპირისპირდნენ. მათ შორის ყველაზე მეტად გიორგი მიქელაძე აქტიურობდა, რომელსაც ქართლის მეფე უჭერდა მხარს, მან იმერეთის ახალ მეფესთან დამოყვრება მოახერხა, რითაც უკანასკნელის მდგომარეობა საგრძნობლად განამტკიცა.

მართალია გიორგი აბაშიძე ჯერ კიდევ საგრძნობ ძალას ინარჩუნებდა და მომხრე ფეოდალებზე დაყრდნობით ერთი პირობა თავისი შვილიშვილი — მეფე, იმერეთიდანაც კი განდევნა, მაგრამ საბოლოოდ საკითხი გი-ორგი VI-სთან დამოყვრებული ქართლის სამეფო სახლის განწყობილებამ გადაწყვიტა: გიორგი VI ტახტი დაიბრუნა, მაგრამ ამ ფაქტმა მისი მდგომარეობა რადიკალურად ვერ შეცვალა. პირადი ოდიოზური თვისებების გამო, ქვეშევრდომთა ერთგულება და კეთილგანწყობილება ვერ მოიპოვა. ამის გამო რამდენიმე ფეოდალი შეითქვა, გიორგი მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს და 1711 წელს იმერეთში მამია გურიელი გაამეფეს.

გიორგი VIმ დიდი გაჭირვებით, წერეთლისა და აგიაშვილზე დაყრდნობით, ძირითადად კი ვახტანგ VI-ის ხელშეწყობით, ჯერ ქართლში, შემდეგ კი ახალციხეში გადასვლა მოახერხა, იქ ლაშქარი მიიღო, იმერეთ-ში შემოვიდა და 1712 წელს ტახტი დაიბრუნა, შემდეგ კი გიორგი აბაშიძესაც შეურიგდა. ასეთი არეულობა იმერეთში კიდევ დიდხანს გრძელდებოდა, ვიდრე ვახტანგ VI-ის და ახალციხის ფაშის შეთანხმებით აქ მეფედ ალექსანდრე V არ დასვეს.

მეფე ალექსანდრე V. ამ ხანებში გიორგი VI-ის მემკვიდრე ბატო-ნიშვილი ალექსანდრე ქართლში ვახტანგ VI-ის კარზე იმყოფებოდა. ეტყობა ვახტანგი და ახალციხის ისაყ ფაშა შეთანხმდნენ და შეერთებული ძალებით იგი გასამეფებლად იმერეთში ჩამოიყვანეს (ქართლის ძალებს ვახუშტი ბატონიშვილი სარდლობდა). გამეფებულმა ალექსანდრემ უცხოურ დამხმარე ძალებზე დაყრდნობით დაიკავა ზურაბ აბაშიძის ციხე ცუცხვათი, შემდეგ კი ბეჟან აბაშიძის საწინააღმდეგოდ ლეჩხუმიც დალაშქრა. უკანასკნელმა ოსმალებთან მოლაპარაკება არჩია: ფაშას 12 ქისა ფული გადაუხადა მეფის საქმეთა მეურნედაც კი დაინიშნა. ოსმალების მხარდაჭერით გულმოცემული ბეჟანი, ალექსანდრეს მეფობის პირველ წლებში, ფაქტობრივად მთელ იმერეთს განაგებდა.

ახალგაზრდა მონარქი გაორებულ მდგომარეობაში მოექცა. იგი ერთი მხრივ ვახტანგ VI-ის პოლიტიკის მომხრე და მიმდევარი იყო, მეორე მხრივ მისი სამეფოს რეალური მდგომარეობა აიძულებდა თურქეთისთვის ანგარიში გაეწია და მისი მაამებლური კურსი გაეტარებინა.

პეტრე პირველთან ურთიერთობაში ალექსანდრეს მიერ დაკავებულ პოზიციას და ვახტანგ VI-ის ლაშქარში იმერელთა აქტიურ მონაწილეობას, დასავლეთ საქართველოში თურქთა აგრესიის გაძლიერება მოჰყვა. 1723-1736 წლებში თურქებმა ძირითადად დაიკავეს შავი ზღვის სანაპირო ციხე-ები და ქართველებს პრაქტიკულად ზღვაზე გასასვლელი გადაუკეტეს. მათ ფოთში ფაშა დასვეს და სანაპირო ზოლის გამგებლობა დააკისრეს. დამპყრობლებმა მოხერხებულად ისარგებლეს თავადებსა და მთავრებს შორის ურთიერთშუღლით და დასავლეთ საქართველოს ციხეებში თავისი გარნიზონები ჩააყენეს.

ლიხთიმერეთის მოსახლეობა არ შერიგებია თურქთა ბატონობას და ბრძოლას არ ანელებდა, მაგრამ მიუხედავად ამ ბრძოლის საერთო ხასიათისა, ფეოდალური შუღლი და გათიშულობა მას სასურველ ეფექტს უკარგავდა. მხოლოდ ხალხის შეუპოვრობამ, თურქთა ძალების შესუსტებამ და ახალციხის ფაშის ოსმალო ხელისუფლებისადმი ორპირმა დამოკიდებულებამ, გადაარჩინა დასავლეთ საქართველო თურქეთის პროვინციად ქცევას.

ალექსანდრეს მდგომარეობა მძიმე იყო, ქუთაისში თურქთა გარნიზო-ნი იდგა. მეფე დედაქალაქში ვერ შედიოდა, ამასთან დიდ მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა და ვახტანგ VI დახმარებაც ვერ შველოდა. მით უმეტეს, რომ ქართლის მეფესაც კრიზისული ხანა უახლოვდებოდა. იმერეთის ახალგაზრდა მეფის მდგომარეობა ყოველმხრივ არამყარი ჩანდა: მთავრები და ფეოდალები მას არ ემორჩილებოდნენ. განსაკუთრებით რაჭის ერისთავი შოშიტა თავხედობდა. 1725 წელს მან მეფის წინააღმდეგ გამოილაშქრა. ააოხრა სოფლები, გაიტაცა ხალხი და რაჭას დაბრუნდა. მეფის შურისძიებამაც არ დაახანა, ახლა იგი შეესია რაჭას და ერისთავს სამაგიერო გადაუხადა.

ამგვარი ქმედებები ქვეყანას ასუსტებდა. ამით კი ყველაზე მეტად დამპყრობი ოსმალები სარგებლობდნენ. მათ ჯარი შეიყვანეს სოხუმში, 1725 წელს ფოთში ააშენეს ციხე და ოდიშის მთელი ზღვისპირეთი აქ დასმულ ფაშას დაუმორჩილეს, ზღვიდან დაშორებული რუხის ციხე დაან-გრიეს და ამ მასალით ანაკლიის ციხე ააგეს.

ალექსანდრეს ცდები ქვეშევრდომთა ფაქტობრივად დასამორ-ჩილებლად. მეფე თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად ძალღონეს არ იშურებდა. ადგილობრივ ფეოდალებში სათანადო დასაყრდენი ძალა რომ ვერ მოიძია, იძულებული გახდა კვლავ ოსმალებისთვის მიემართა, რითაც კიდევ უფრო გაიმწვავა ურთიერთობა დადიანთან, რაჭის ერისთავთან და აბაშიძის სახლთან.

ფეოდალები ცენტრალური ხელისუფლების გარდა არც ერთმანეთს ინდობდნენ. გიორგი აბაშიძის ჩამოცილების შემდეგ სააბაშიოს დაქვემდებარება მისმა შვილმა ლევანმა სცადა. მაგრამ მეტი ძალა გიორგის ძმას ლევანის ბიძას ზურაბს აღმოაჩნდა, რომელიც უკვე მთელ იმერეთში პირველობდა. ასეთ ვითარებაში, რათა მამისეული პოზიცია აღედგინა ლევანმა მეფის მხარე დაიჭირა.

თავადების მეფის საწინააღმდეგო კოალიცია მაინც ძლიერი რჩებოდა. მითუმეტეს, რომ როგორც მოსალოდნელი იყო, მეფეს ბეჟან დადიანთან გაურთულდა ურთიერთობა, რომელიც მეფის მოკვლასაც კი აპირებდა თურმე, მაგრამ მოყვრული დამოკიდებულების (ქალიშვილი ჰყავდა ცოლად) და ალექსანდრეს მსახურთა ერთგულების გამო ვეღარ იკისრა.

თავის მხრივ ალექსანდრე ძალისხმევას აძლიერებდა. მან გადმოიბირა შოშიტა ერისთავის ძმა, გედევან გენათელი, რომელმაც უარი თქვა მღვდელმთავრობაზე და თავის ძმისწულს, მამუკას ცოლიც კი წაართვა. მეფემ კი მას მამულები უბოძა, რის შემდეგაც ბარის ერისთავად იწოდებოდა.

თავადთა კოალიციის ბრძოლა, ახალციხის ფაშის ჩარევის გარეშე მა-ინც არაეფექტური იყო. ალექსანდრეს თხოვნით იგი იმერეთში ჩამოვიდა, ბეჟან დადიანი თავისთან მიიწვია და კარავში შესული მსახურებს მოაკვლევინა. დადიანის მხლებლები შეეცადნენ გაქცევით ეშველათ თავისთვის, მაგრამ დაედევნენ და უმეტესობა დახოცეს.

ბეჟან დადიანის სიკვდილის შემდეგ ალექსანდრემ პოზიციები გაიმაგრა, ფაქტობრივად სამეფოს დამოუკიდებლად განაგებდა და ძლიერ ფე-ოდალთა ურთიერთდაპირისპირებით ცდილობდა ხელისუფლების განმტკიცებას, რაც ადვილი საქმე არ იყო. ალექსანდრე მეფეს, როგორც მოსალოდნელი იყო, არც რუსეთის იმედი გაუმართლდა.

ბეჟანის შემდეგ დადიანად მისი ვაჟი ოტია დაჯდა. ალექსანდრე მეფემ ზურაბ აბაშიძისთვის შორაპნის ციხის ჩამორთმევა განიზრახა, რომელიც უკანასკნელმა ლევან აბაშიძეს (ძმისწულს) წაართვა; მაგრამ ზურაბმა მეფის განზრახვა შეიტყო და ციხეში ოსმალები ჩააყენა. ამგვარად, ეს მეტად მნიშვნელოვანი ციხე თურქებმა დაიკავეს.

1732 წელს გარდაიცვალა მეფის მეუღლე, რომელიც ბეჟან დადიანის ასული იყო. ალექსანდრეს დიდხანს არ უგლოვია და ცოლად ლევან აბა-შიძის ქალიშვილი შეირთო. ამავე დროს გურიის შემომტკიცების მიზნით გურიელს თავისი ასული გაურიგა.

ყველაფერმა ამან დიდ ფეოდალებში საბრძოლო განწყობილება გააძლიერა (დადიანთან, გრიგოლ რაჭის ერისთავთან და ზურაბ აბაშიძესთან ერთად). მათ გადაიბირეს მეფის ძმა მამუკა, რომელიც დადიანის დაზე დააქორწინეს.

შეთქმულებმა მეფის ტახტიდან ჩამოგდება განიზრახეს, მაგრამ უკა-ნასკნელმა ქუთაისის ციხეში შესვლა მოასწრო და თავი გადაირჩინა.

1733 წელს ოსმალებმა ზღვის სანაპიროთი აზოვზე გალაშქრება გა-ნიზრახეს (რომელიც მათ პეტრე პირველმა წაართვა) და ლაშქრობაში იმერეთის მეფემთავრებიც მიიწვიეს. ეს ღონისძიება არავის არ აწყობდა და ფეხს ითრევდნენ. დადიანმა კი პირდაპირ განაცხადა უარი, რის გამოც თურქებმა სამეგრელო ააოხრეს. საბოლოოდ ეს ლაშქრობა მაინც არ შედ-გა.

დადიანი თურქთა დამსჯელი ექსპედიციის მოწყობას ალექსანდრეს აბრალებდა და სამაგიეროს გადასახდელად ემზადებოდა.

1734 წელს ჩიხორთან დიდი ბრძოლა გაიმართა. ერთ მხარეს იდგნენ მამუკა ბატონიშვილი და დადიანი, მეორე მხრივ ალექსანდრე, მამია გურიელი, დადიანის ძმა, კაცია და ბარის ერისთავი. მეფის ბანაკმა გაიმარ-ჯვა. დაჭრილი ოტია დადიანი მოარჩინეს და ტყვედ დაიტოვეს.

მაგრამ ძმათა შორის ბრძოლა და შფოთი კვლავ გრძელდებოდა და მეფემ დახმარებისთვის ისევ ახალციხის ფაშას მიმართ, მისგან დამხმარე ჯარი მიიღო, რომლის შემადგენლობაში ქართლში აჯანყებული გივი ამილახვარიც ირიცხებოდა.

ალექსანდრეს ძმის გიორგის იმერეთში გამეფება. ზურაბ აბაშიძე, გრიგოლ რაჭის ერისთავი და დადიანი კვლავ განუდგნენ ალექსანდრეს. იმერეთში ვითარება კიდევ ერთხელ აირია. ალექსანდრემ 500 კაცია-ნი ლეკის ჯარი ჩამოიყვანა (რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ახალციხესთან რაღაც გართულება ჰქონდა) მოწინააღმდეგენი დაამარცხა, მათი სამფლობელოები ააოხრა. შემდეგ ქართლში შეიჭრა, დაესხა ზურაბ აბაშიძის ძმას, ვახტანგ VI-ის სიძეს, ვახუშტი აბაშიძეს, დაატყვევა და გამოსახსნელად 500 ქისა ოქრო და ვახანის ციხის გადმოცემა მოთხოვა. საქმეში ვახუშტის მეუღლე ანუკა ბატონიშვილი ჩაერია და დახმარება ისაყ ფაშას სთხოვა (აღმოსავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ ოსმალობაა). უკანას-კნელმა ვახუშტის გათავისუფლების სანაცვლოდ ძვირფასი ძღვენი გამოგზავნა, მაგრამ უარი მიიღო, რასაც თავადების დადიანის, ერისთავის და აბაშიძის მეფეზე თავდასხმა და იმერეთის სოფლების აოხრება მოჰყვა. შემდეგ კი აქ თურქთა ჯარი შემოვიდა და ტახტზე ალექსანდრეს ძმა გი-ორგი აიყვანა. ალექსანდრემ ცოლ-შვილი გახიზნა, თვითონ კი დახმარების მისაღებად შანშე ქსნის ერისთავთან გაეშურა. უკანასკნელი ამ დროს (1740 წ.) სპარსელთაგან განმდგარი იყო და არავის დახმარების თავი არ ჰქონდა. ალექსანდრემ ვახუშტი აბაშიძე გაუშვა, ხოლო დაღესტანს მყოფ შაჰნადირთან ბარის ერისთავი გიორგი გააგზავნა თხოვნით. შაჰნადირმა მას ისაყ ფაშასთან უშუამდგომლა. რის საფუძველზეც, იმავე წელს ალექსანდრე ტახტზე აღადგინეს და მთავრებთანაც მოარიგეს, მაგრამ 1752 წლის მარტში იგი გარდაიცვალა.

იმერეთში ქაოსი გაძლიერდა.

სამხრეთ საქართველო XVIII საუკუნეში. XVIII ს-ის დასაწყისში ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორია (აჭარის ზოლითურთ) ოსმალეთის იმპერიის ოთხ ვილაიეთში (საფაშო, ოლქი) იყო გაერთიანებული: 1) ჩილდირის ანუ ახალციხის; 2) ტრაპიზონის; 3) ერზერუმის და 4) ყარსის.

ყოფილი სამცხე-საათაბაგოს უდიდესი ნაწილი ახალციხის საფაშოში (ჩილდირის ვილაიეთში) იყო მოქცეული სანჯაყების (ლივების) სახით: ახალციხის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, ხერთვისის, არტანუჯის, ოლთისის, დიდი არტაანის, ასპინძის, ალთუნკალას (ოქროსციხე) კოლის და სხვა. ბათუმის სანჯაყი ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა; თორთუმი, ისფირი, ბასიანი-არზრუმის ვილაიეთში, ხოლო პატარა არტაანი — ყარსის ვილაიეთში.

სანჯაყი ქართულ სადროშოს შეესატყვისებოდა. სანჯაყბეგი განაგებდა სანჯაყის სამოქალაქო და სამხედრო საქმეებს. მის მთავარ მოვალეობას ომის დროს ჯარის გამოყვანა, წესრიგისა და კანონების დაცვა შეადგენდა. ზოგიერთი სანჯაყბეგი, სანჯაყის სიდიდიდან და სიძლიერიდან

გამომდი-ნარე, ფაშობის ტიტულამდე იყო ამაღლებული. ასეთები იყვნენ მაგ. კოლის (ქართულად გოლაფაშა) და ჯავახეთის ანუ ახალქალაქის ფაშები. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ახალციხის ფაშას ექვემდებარებოდნენ. ცნობილია ზოგიერთი სანჯაყის მმართველი ქართველი ბეგების გვარები: ფალავანდიშვილები (ახალქალაქში), ვაჩნაძენი (ხერთვისში), ხიმშიაშვილები (აჭარაში), ერისთავები (აბასთუმანში)...

როგორც ვხედავთ ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი ახალციხის საფაშოში შედიოდა. ასეთმა დანაწილებამ და ქართველი ხალხის შეურიგებელმა წინააღმდეგობამ განაპირობა ახალციხის საფაშოს განსაკუთრებული მდგომარეობა ოსმალეთის იმპერიაში. თურქული კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ სულთნის კარი იძულებული იყო ქართველი ფეოდალებისათვის თავიანთი ძველი უფლებები შეენარჩუნებინა, მათთვის მამულები სამემკვიდრეო მფობელობაში და სრული საკუთრების უფლებით დაემტკიცებინა. ამ გზით ოსმალეთის ხელისუფლება ცდილობდა გამაჰმადიანებული მმართველი ზედაფენა თავის სამსახურში ჩაეყენებინა, რათა მათი დახმარებით გაადვილებოდა დაპყრობილი ქვეყნის მართვა. ამის დადასტურება იყო ის კომპრომისიც, რაც ოსმალეთის მთავრობამ დაუშვა სამცხის ათაბაგთა, ჯაყელების მიმართ. ასევე თურქული კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ, გამონაკლისის სახით, ჯაყელთა საგვარეულოს ახალციხის ფაშობა მემკვიდრეობით გადაეცემოდა.

ამრიგად, ახალციხის ფაშებთან მიმართებაში, ფაქტიურად გაუქმებული იყო ის წესი, რომლის ძალითაც სულთანი სპეციალური ბარათით ყოველწლიურად ამტკიცებდა ფაშებს თავიანთ თანამდებობაზე.

ახალციხის ფაშათა სიძლიერესა და შედარებით პრივილეგირებულ სტატუსს საფაშოს გეო-პოლიტიკური მდგომარეობა განაპირობებდა. საზღვრისპირა ვილაიეთს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ის უშუალოდ ემეზობლებოდა ქართლისა და იმერეთის სამეფოებს. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში თავისი გავლენის გავრცელებას ოსმალეთი სწორედ ახალციხის საფაშოს გავლით და მისი უშუალო მონაწილეობით ახდენდა. დიდწილად ამან განაპირობა, რომ ჯაყელთა გამაჰმადიანებულმა მემკვიდრეებმა ოსმალთა ბატონობის პირობებში, რო-გორც ახალციხის ფაშებმა შეინარჩუნეს ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება. ამასთანავე სულთანი ცდილობდა მუდმივი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა ახალციხის ფაშები. ამიტომაც იყო, რომ იმ ოთხი ფაშადან, რომლებიც ისტორიულ ქართულ მიწებს განაგებდნენ, პირველობა ერზრუმის ფაშას ჰქონდა მინიჭებული. ამ ოთხი ვილაიეთის ჯარების სერასკირად (მთავარსარდლად) ის ითვლებოდა. შეზღუდული იყო ჯაყელთა უფლებები საფაშოს შიგნითაც. თავის საგამგებლოში ახალციხის ფაშას არ ჰქონდა სანჯაყბეგების დასჯისა და გადაყენების უფლება. ეს სულთნის პრეროგატივა იყო.

გამაჰმადიანებულმა ჯაყელებმა სრულიად “დაივიწყეს” თავიანთი ქართული წარმომავლობა. ისინი ისლამის აქტიური გამავრცელებლები იყვნენ, საქართველოსთან მიმართებაში ისე მოქმედებდნენ, როგორც ოსმალეთის ხელისუფლების წარმომადგენლები. ზოგიერთი მათგანი, შეიძლება ითქვას, ოსმალებზე უფრო მეტი გულმოდგინებითაც იბრძოდა სამცხე-საათაბაგოში მაჰმადიანური წეს-ჩვეულებების დანერგვისათვის. მაგ. იუსუფ II ჯაყელის (1677-1690 წწ.) მმართველობის ხანაში “ამის მიერ უმეტეს მოოხრდებოდნენ ეკლესიანი და

აღშენდებოდნენ ჯამნი და დაიტევებოდა ზნე-ნი ქართულნი თვინიერ ენისა, და განდიდდებოდნენ მათ შორის მაჰმად და ნეშტნი ხატთა და ჯუართა შეიმუსვროდა...” (ვახუშტი ბაგრატიონი). ქართველი ხალხის შეგნებაში ქრისტიანობის შენარჩუნება ქართველობის შენარჩუნების ტოლფასი იყო. ეს იმპერიის ხელისუფლებასაც კარგად ესმოდა. ამიტომაც იყო, რომ ოსმალური კანონებით ქრისტიანები ყოველმხრივ შევიწროვებასა და დევნას განიცდიდნენ, ისლამის მიღება კი წყალობითა და პატივით აღინიშნებოდა: გლეხები ქრისტიანებზე დაკისრებული მძიმე გადასახადებისაგან თავისუფლდებოდნენ, ხოლო დიდგვაროვ-ნებს თავიანთ მამულს სამემკვიდრეო მფლობელობაში უტოვებდნენ. საპატიო პირებს გამაჰმადიანების შემთხვევაში ხანდახან განსაკუთრებულ პატივსაც მიაგებდნენ. მაგ. მღვდელი ფირიაღასაშვილი (ფირალისშვილი) 1680 წ. გამაჰმადიანდა, ჩავიდა სტამბულში, ხონთქარს ქრთამი შეაძლია და სა-ნაცვლოდ ჯავახეთის სანჯაყფაშობა მიიღო.

ვახუშტი ბაგრატიონი ხაზგასმით აღნიშნავს იმ ცვლილებებს, რაც ოსმალეთის ხელისუფლებისა და მათი მხარდამჭერი ახალციხის ფაშების ეროვნულ-სარწმუნოებრივმა პოლიტიკამ მოიტანა საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში: “ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მხნენი, შემმართებელნი, შუენიერნი, ცოდნახელოვნების მოყუარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო არღარა. სარწმუნოებით იყვნენ წლისამდე ქრისტესა ჩქკვ, ქართულისა ტიდ (=1626 წელს) სრულიად ქრისტიანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი წარ-ჩინებულნი არიან მაჰმადიანნი, გლეხნი ქრისტიანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიცა უმეტესნი მაჰმადიანნი. გარდა ვინანიცა არიან ქრისტიანენი, იგინიცა უმწყსელნი არიან, ვინაითგან არღარა რაისა მორჩილებენ ქართლის კათალიკოზსა, და ბერძენთა არა სცალს მათთვის. ამისთვის უეფიზ-კოპოსონი და უხუცონი არიან, თვინიერ რომელნიმე ქართლს იკურთხიან. ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თვისთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე. სამოსელით მოსილნი არიან წარჩინებულნი და მაჰმადიანნი ვითარცა ოსმალნი, და ქრისტეანენი ვითარცა ბერძენნი, ხოლო ჯავახეთისანი და ვიეთნიმე მესხნიცა, ვითარცა თრიალეთელნი და გულისხმა ჰყავ ეგრეთვე ქალნიცა მათთნი”.

როგორც მოტანილი ამონარიდიდან ჩანს, 1626 წლისათვის “სრული-ად ქრისტიანენი” ოსმალეთის ქართველობა, მისი ფეოდალური ზედაფენა ასი წლის განმავლობაში, XVIII-ის 20-30-იან წწ-ში (ამ დროს წერს ვახუშტი ბაგრატიონი თავის “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”-ს) მთლიანად გამაჰმადიანებულია, ჩაცმადახურვაც ოსმალური შეუთვისებია და ოფიციალურ (სახელმწიფო) ენად თურქული მიუღია. მშობლიურ ქართულს მხოლოდ ოჯახში, შინაურობაში სასაუბროდ იყენებდნენ. გლეხობა ისევ ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი რჩებოდა.

ახალციხის საფაშო იყო ის პლაცდარმი, საიდანაც ოსმალეთი ანხორციელებდა თავის აგრესიას, როგორც დასავლეთ,ისე აღმოსავლეთ საქართველოში. ოსმალეთის ხელისუფლების დავალებით ახალციხის ფაშები აქტიურად ერეოდნენ ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხშირად თვითონ ქართველი მეფემთავრები მიმართავდნენ დახმარების თხოვნით გამაჰმადიანებულ ჯაყელებს. მათი უშუალო მონაწილეობით

მიმდინარეობდა შინაფეოდალური ომები დასავლეთ საქართველოში XVII ს-ის განმავლობაში ახალციხის ფაშებს სულთნის ბრძანებით დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების მეურვეობა ჰქონდათ დაკისრებული. ოსმალეთის იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე მათი სამხედრო ძალა ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა დადიანების, გურიელების თუ თვით იმერეთის მეფეების ბედის გადაწყვეტაში. ოსმალები დასავლეთ საქართველოში დაკავებულ ციხე-სიმაგრეებში მეციხოვნეებად აჭარა-სამცხის გამაჰმადიანებულ ქართველებს აყენებდნენ, რომლითაც ადგილობრივ მოსახლეობასთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა (ნათესაური, სავაჭრო) ჰქონდათ. ეს კი ოსმალთა ბატონობას სხვა შინაარს აძლევდა, უადვილებდა მათ თავისი გავლენის განმტკიცებას. როგორც ცნობილია, ოსმალეთის მიზანი მთელი საქართველოს დაპყრობა იყო. აქ ირანისა და ოსმალეთის ინტერესები ეჯახებოდნენ ერთმანეთს. ქართლის მეფეები ცდილობდნენ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ არსებული ვითარება. ხანდახან აღწევდნენ კიდეც მიზანს. მაგ. ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავის შედე-გად ოსმალეთს (ახალციხის საფაშოს) ჩამოსცილდა და კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა ბორჯომის ხეობა ქვიშხეთიდან აწყურამდე.

თითქმის მთელი XVIII ს-ის I ნახ. განმავლობაში ახალციხის საფაშოს გამგებელი ისაყფაშა ჯაყელი (1701-1745 წწ.) იყო.

იგი აგრძელებდა თავისი წინაპრების პოლიტიკას. იყო ოსმალეთის ინტერესების ერთ-ერთი უპირველესი დამცველი და გამტარებელი დასავლეთ საქართველოში. უშუალოდ მონაწილეობდა 1703 წ. დას. საქართველოს მეფემთავრების მიერ მოწყობილი აჯანყების ჩახშობაში. აქტიურად ერეოდა დასავლეთ საქართველოს მეფემთავართა შორის ატეხილ შინაფე-ოდალურ ომებში. ასევე მისი მონაწილეობითა და მხარდაჭერით დაიკავეს იმერეთის სამეფოს ტახტი ჯერ გიორგი VIმ (1703-1720 წწ.), შემდეგ გი-ორგი IV გურიელმა (1717-1719 წწ.) და ალექსანდრე Vმ (1721-1752 წწ.)

დასავლეთ საქართველოს სრულად დაპყრობა და ოსმალეთის შემად-გენლობაში შეყვანა არ შედიოდა ახალციხის ფაშების ინტერესებში. ამ შემთხვევაში ახალციხის საფაშო მონაპირე პროვინციიდან შიდა პროვინცი-ად გადაიქცეოდა და ახალციხის ფაშებსაც ოსმალეთის სხვა ვილაიეთების მსგავსად შორეულ და მძიმე ლაშქრობებში მოუწევდათ მონაწილეობის მიღება. საზღვრის დაცვის საბაბით კი ანარქიით მოცულ დასავლეთ საქართველოში ხშირი ლაშქრობები ნაკლებ სახიფათო და სარფიანი (ნადავლი, ტყვეები) იყო.

ვახტანგ VI-ის რუსეთზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკური კურსის კრახის შემდეგ ისაყფაშა ოსმალთა მიერ ქართლის სამეფოს დაპყრობისათვის იბრძვის. 1723 წ. ის თბილისში შემოვიდა და ქართლის გამ-გებლად ვახტანგ-VI-ის ძმა იესე (1724-1727 წწ.) დაადგინა. ისაყფაშამ და იესემ ერთად ილაშქრეს ცხინვალში გახიზნული ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ და აიძულეს დაეტოვებინა საქართველო. იესეს გარდაცვალების შემდეგ სულთანმა ისაყფაშა მთელი საქართველოს გამგებლად დანიშნა: “იქმნა ესე ისაყფაშა შემდგომ იესეს სიკუდილისა მპყრობელი და განმგებელი ხონთქრისაგან, სრულიადისა ძალითა ყოვლისა საქართველოსი, სახელით სამცხე-საათაბაგოსი, სრულიად იმერეთისა, ქართლისა, ლორეყაზახ—შამშადილისა და

კახეთისა”. ორთუღიან ისაყფაშას მესამე თუღიც უბოძეს და სულთნის ვეზირის დონემდე აღაზევეს.

1735 წელს, როდესაც “ოსმალობა” “ყიზილბაშობით” შეიცვალა ისაყფაშა იძულებული გახდა თბილისი დაეტოვებინა და კვლავ ახალციხეს დაბრუნებოდა. სულთნის ბრძანებით მას ერთი თუღი ჩამოაკლეს. შელახული პატივის აღსადგენად ისაყფაშამ ლეკებთან შეკრა კავშირი, რომელთა რაზმებსაც ახალციხის გზით ქართლს უსევდა. 1737 წელს ისაყ Iმა ახალციხის ფაშად თავისი შვილი იუსუფ III (1737-1744 წწ.) დაამტკიცები-ნა. მამის რჩევით მოქმედი იუსუფფაშა წინაპართა პოლიტიკის “ღირსეული” გამგრძელებელი აღმოჩნდა: დამსჯელი ექსპედიცია მოაწყო აჭარაში, კავშირი დაამყარა დაღესტნელებთან. მათი დახმარებით ცდილობდა ოსმალეთის გავლენის აღდგენას ქართლში.

1744 წელს დაღესტნელი ლეკების დასაქირავებლად მიმავალი იუსუფფაშა ერეკლე IIმ სასტიკად დაამარცხა. იტალიელი მისიონერი ლეონის ცნობით, რომელიც იმ დროს ახალციხეში იყო, დამარცხებული იუსუფფა-შა მისმა სიძემ (დის ქმარმა), ახალქალაქის სანჯაყბეგმა სოლოღა ფირაღისშვილმა მოწამლა.

ახალციხის საფაშოს ტახტი კვლავ ისაყფაშამ დაიკავა, მაგრამ შვილის სიკვდილით დადარდიანებულს დიდხანს არ უცოცხლია, 1745 წ. გარდა-იცვალა.

ისაყფაშას შემდეგ ახალციხის ფაშა გახდა მისი უმცროსი ვაჟი ჰაჯი აჰმედფაშა (1745-1758 წწ.) უაღრესად განათლებული პიროვნება. მისი გან-კარგულებით ახალციხეში აგებულ იქნა მეჩეთი, რომელთანაც დაარსა სა-სულიერო სასწავლებელი და ბიბლიოთეკა. მის დროს განსაკუთრებულ ზეწოლას განიცდიდა იმერეთის სამეფო. საბოლოოდ ჰაჯი აჰმადფაშა სოლომონ Iთან დაპირისპირებას შეეწირა. ხრესილის ბრძოლაში (1757 წ. 14 დეკემბერი) განცდილი მარცხისათვის სულთანმა ის ჯერ თანამდებობიდან გადააყენა და ციხეში ჩასვა, ხოლო შემდეგ სიკვდილით დასაჯა.

იმავე მიზეზით, სოლომონ Iთან განცდილი დამარცხების გამო, 1767 წელს ტახტიდან იქნა გადაყენებული ახალციხის მომდევნო ფაშა, ჰაჯი ახმედ ფაშას ბიძაშვილი, “ცათასწორი ხელმწიფის მაღალი მოსამართლე, ტახტის სერასკირი და ვეზირი”, ასლან II-ის ძე ჰასანფაშა (1758-1767 წწ.). სოლომონ I-ის მიერ ბრძოლის ველზე მოპოვებული წარმატებები იმერეთ-ოსმალეთის 1767 წ. საზავო ხელშეკრულებაშიც აისახა.

1768-1791 წწ-ში ახალციხის საფაშოს განაგებდა სულეიმან ჯაყელი. მას მეუღლე ქართველი ჰყავდა — გურიაში გადასახლებული მესხი თავადის შალიკაშვილის ასული. სულეიმანფაშას დანიშვნას კმაყოფილებით შეხვდა ადგილობრივი მაჰმადიანი და ქრისტიანი მოსახლეობაც. სულეიმანფაშა “სულთნის ვეზირი და მუშრიბი, ფაშა ჩილდირისა და მეურვე იმერეთისა, სამეგრელოსი, აფხაზეთისა, გურიისა და მთელი ფაზის მხარისა”, თავის წინამორბედთა მსგავსად წმინდა თურქულ პოლიტიკას ატარებდა, თუმცა ამავე დროს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა. ამიტომაც იყო, რომ ოსმალეთის ხელისუფლება შეეცადა ბოლო მოეღო ჯაყელთა დინასტიის ბატონობისათვის ახალციხის საფაშოში და 1768 წ. სულეიმანფაშა თურქი ნომანფაშათი შეცვალეს (ეს იყო ერთადერთი შემთხვევა XVII-XVIII სს-ში,

როდესაც ახალციხის საფაშოს ტახტზე არაქართული წარმომავლობის ფაშა იჯდა). მაგრამ ნომანფაშამ ვერ გაამართლა სულთნის კარის ნდობა. ასპინძის ომში (1770 წ.) დამარცხების შემდეგ ის თანამდებობიდან გადააყენეს. ახალციხის საფაშოს ტახტს კვლავ სულეიმანფაშა ჯაყელი დაუბრუნდა.

რუსეთთურქეთის 1768-1774 წწ-ის ომის დროს საქართველოსა და ახალციხის საფაშოს შორის ურთიერთობა უკიდურესად გამწვავდა. ერეკლე II და სოლომონ I რუსეთის დახმარებით ფიქრობდნენ ახალციხის საფაშოს ტერიტორიის დაკავებას და ურთიერთშორის დანაწილებას, მაგრამ გენერალ ტოტლებენის ავანტიურამ ეს გეგმები ჩაშალა. ერეკლე II ახალციხის საფაშოში არსებული შიდა დაპირისპირების გამოყენებას შეეცადა. სულეიმანფაშას მოწინააღმდეგე ხერთვისელი იბრაჰიმბეგის დახმარებით ხერთვისი აიღო. ეს იბრაჰიმ ბეგი 1772 წ. ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის რუსეთის ელჩობაშიც იღებდა მონაწილეობას. მაგრამ სწორედ რუსეთმა მოთხოვა ერეკლე II-ს ჯარების გამოყვანა ხერთვისიდან. ერეკლე II ყოველთვის აყენებდა რუსეთის წინაშე ახალციხის საფაშოს სა-კითხს, როგორც საქართველორუსეთის მოკავშირეობის ერთ-ერთ მთავარ პირობას. როგორც ცნობილია, გეორგიევსკის ტრაქტატში ცალკე პუნქტადაც კი იყო შეტანილი რუსეთის ვალდებულება დაებრუნებინა საქართველოსთვის ოსმალთა და ლეკთაგან მიტაცებული ისტორიული ქართული მიწები. მიუხედავად ამისა XVIII ს-ში ამ პრობლემის მოგვარება არ მოხერხდა. საქმე იმაში იყო, რომ იმ ეტაპზე რუსეთის ამოცანას შეადგენდა არა ისტორიული ქართული მიწებიდან თურქეთის განდევნა, არამედ ქართველების გამოყენება ოსმალეთის წინააღმდეგ ომში.

რუსეთთურქეთის ომის დასრულების შემდეგ (1774 წ.) სულეიმანფა-შასა და სოლომონ I-ს შორის თანდათანობით აღსდგა ნორმალური ურთი-ერთობა. ძველი ჩვეულების თანახმად ახალციხის ფაშა იმერეთის მეფეს შვილობილს ეძახდა. ქართლ-კახეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოს შორის კი კვლავ დაძაბული ვითარება იყო. სულეიმან ფაშა ჯაყელი ვერ ეგუებოდა ერეკლეს პრეტენზიებს მის სამფლობელოზე. განსაკუთრებით გამწვავდა ურთიერთობა მას შემდეგ, რაც გეორგიევსკის ტრაქტატში ახალციხის საფაშო ქართველ მეფეთა სამემკვიდრეოდ იქნა მოხსენიებული. სულეიმანფაშამ ისე გამოიჩინა თავი ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლებში, რომ 1783 წ. სულთანმა მას სერასკიროზა მიანიჭა და არზრუმამდე ტერიტორია დაუქვემდებარა. სულეიმანფაშა მეთაურობდა 1783 წ. მაჰმადიანთა კოალიციურ ლაშქრობას ქართლ-კახეთზე. მისი ორგანიზებული და დაფი-ნანსებული იყო 1785 წ. ომარხანის ლაშქრობა საქართველოში. ამავე დროს სულეიმანფაშა ერეკლე II-ს დაზავებას სთავაზობდა. ერეკლე IIმაც სცადა დიპლომატიურად მოეგვარებინა ურთიერთობა ახალციხის საფაშოსთან. 1786 წ. მათ შორის მოლაპარაკება გაიმართა. ერეკლე II სულეიმან ჯაყელს ახალციხის საფაშოს კანონიერ მემკვიდრედ აღიარებდა. სულეიმანფაშა თავის მხრივ ვალდებულებას იღებდა, რომ რუსეთის თურქეთზე გამარჯვების შემთხვევაში ახალციხის საფაშო რუსეთის შემადგენლობაში შევიდოდა. ამავე დროს, რუსეთთურქეთის 1787-1891 წწ-ის ომის დროს კვლავ გრძელდებოდა ლეკთა თავდასხმები ქართლ-კახეთზე ახალციხის საფაშოს მხრიდან და საფაშოს სამხედრო მხარდაჭერით, რასაც ქართველთა საპასუხო ლაშქრობაც მოჰყვა: 1789 წ. ერეკლე II-ს შვილიშვილმა დავით გიორ-გისძემ ჯავახეთყარსის მიდამოები დაარბია. ასევე მხოლოდ

ფორმალურ შეთანხმებად დარჩა რუსეთთურქეთის საზავო ხელშეკრულების (იასის ზავი, 1791 წ.) მეხუთე პუნქტი, რომლის ძალითაც ახალციხის ფაშასა და სხვა მენაპირე მმართველებს ქართლ-კახეთის სამეფოზე თავდასხმა ეკრძალებოდათ. ახალციხის საფაშო აღა მაჰმად ხანის ჯარსაც კი ამარაგებდა სურსათით 1795 წ-ის ლაშქრობის დროს.

სულეიმან ფაშას გარდაცვალების (1791 წ.) შემდეგ ახალციხის საფაშო-ში არეულობა დაიწყო. საფაშოს ტახტზე სულეიმანფაშას შვილი შერიფი და ჰასანფაშას შვილი ისაყ II აცხადებდნენ პრეტენზიას. ამ დროისათვის ერეკლე II-ს აღარ შესწევდა იმდენი ძალა, რომ აქტიური პოლიტიკა ეწარმოებინა ახალციხის საფაშოს მიმართ, ხოლო ერეკლე II-ს მემკვიდრეს, ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფეს გიორგი XII-ს ამის საშუალება საერთოდ აღარ მისცემია.

XIX ს-ის დასაწყისიდან, საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, ისტორიული სამცხე-საათაბაგოს პრობლემა უკვე რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი საკითხი გახდა.

ასეთი იყო ვითარება სამხრეთ საქართველოში XVIII ს-ში. ოსმალეთის იმპერიამ, მათი ხელქვეითი, გადაგვარებული სამცხის ათაბაგების მეშვეობით, სახელისუფლებო ბერკეტების გამოყენებით, პოლიტიკური და ეკო-ნომიკური ზეწოლის შედეგად შეძლო ფაქტიურად მოეშალა აქ ქრისტია-ნული საეკლესიო მმართველობა. სულთნის კარზე კარგად ესმოდათ, რომ საქართველორუსეთის დაკავშირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო. ამიტომ ჰქონდა განსაკუთრებული შეურიგებელი ბრძოლა გამოცხადებული ქართულ მართლმადიდებლობას. უკანასკნელი ქრისტიანულმართლმადიდებლური საეპისკოპოსო სამცხე-ჯავახეთში XVIII ს-ის 60-იან წწ-ში იქნა გაუქმებული. მხოლოდ ზოგიერთ ადგილებში (საფარის მონასტერში, ჯავახეთის ზოგიერთ სოფლებში) შემორჩა ქრისტიანული მღვდელმსახურება. მოსახლეობის დიდი ნაწილი გამაჰმადიანდა, ნაწილი კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადავიდა და მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი (მათ შორის ათაბაგთა ოჯახის ცალ-კეული წევრებიც კი) დარჩნენ ბოლომდე მართლმადიდებლები. მიუხედავად ამისა დამპყრობელმა მაინც ვერ მოახერხა “ქართველობის” სრული აღმოფხვრა. ქართული ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებაში გადამწყვეტი როლი ქართულ ენას დაეკისრა, რომელიც მოსახლეობის ძირითადი სალაპარაკო ენა იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში.

თავი XXXIV. აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება

ოსმალთა ბატონობა ქართლ-კახეთში. კასპიისპირეთში რუსეთის წინსვლის შეჩერების შემდეგ, ოსმალეთს ირანის წინააღმდეგ აქტიური მოქმედებისთვის ხელები გაეხსნა. საამისო საბაბად მას შეეძლო 1722 წელს შირვანიდან მიღებული თხოვნა გამოეყენებინა შიიტების ძალადობისაგან სუნიტების დაცვის შესახებ. ამ თხოვნის საპასუხოდ, თურქული პოლიტი-კის განხორციელებისთვის შესაბამისი პირობების მომწიფებით გულმოცემულმა, ოსმალეთის შეიხ ულ ისლამმა ჯარისადმი გამოსცა ფეტვა*, რაც ფაქტობრივად შიიტობის მოსპობას, შიიზმის საბოლოოდ აღმოფხვრის მოწოდებას შეიცავდა.

1723 წელს მაჰმადყული ხანმა (ქართლ კახეთის მმართველი კონსტანტინე), ლეკთაგან დარბეული თბილისის კლიტეები უომრად ოსმალეთს გადასცა. სტამბულში ამ ფაქტმა უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია; საერთო სახალხო ზეიმი ილუმინაციებით დაამშვენეს.

თბილისის გამგებლობა კი არზრუმის სერასკირმა, იბრეიმ ფაშამ, სასტიკმა და თვითნება პიროვნებამ, ჩაიგდო ხელში. მან ადგილობრივ ხელი-სუფალთაგან ვერავისთან ვერ შეძლო ურთიერთობის მოგვარება, ამიტომ შეცვალეს და ახლა სერასკირად ყარსის მუსტაფა ფაშა დანიშნეს. უკანასკ-ნელმა ქართლის გამგებლობა იესეს (ვახტანგის ნახევარ ძმას) გადასცა, რომელიც ახლა სუნიტურად მონათლულიყო და მუსტაფა ფაშად იწოდებობა. იესეს ძალაუფლება ქართლში ნომინალური იყო. მისი გარდაცვალების (1727 წ.) შემდეგ კი დამპყრობლებმა აქ მეფობა საერთოდ გააუქმეს და ქვეყანა 6 დიდ თავადს შორის გაანაწილეს, რომელთაც ახალციხის (ჩილდირის) ფაშა ხელმძღვანელობდა. კონსტანტინემ კვლავ კახეთს მიაშურა. მან ოსმალთა ბატონობის პირობებში კახეთში კიდევ ექვსი წელი იმეფა — ეს იყო მეტად მშფოთვარე და უბედური წლები მისთვის და ქვეყნისთვი-საც. იგი ხან ლეკებთან კავშირში ოსმალეთს ებრძოდა, ხან ოსმალების დახმარებით ლეკთა ალაგმვას ცდილობდა. ერთხანს (იესეს სიკვდილის შემდეგ), კახეთში ლეკთა მოძალების გამო, ქართლში გადმოვიდა და აქაური ტახტის დაპატრონებასაც კი აპირებდა; ვერც ქართლელებთან გამონახა საერთო ენა; ვიდრე ოსმათლაგან დაგებულ მახეში არ გაება.

უკანასკნელთ არც კახეთის დათმობა ემეტებოდათ და ვერც მაჰმად ყული ხანის განდგომას ურიგდებოდნენ. ამიტომ ვერაგული გეგმა განახორციელეს: ისაყ ფაშას ძემ, უსუფ ფაშამ იგი, ვითომ კახეთის გადაცემის თაობაზე სულთანის ბრძანების საბოძებლად, თავისთან დაიბარა. კონსტანტინე ოსმალებს არ ენდობოდა, მაგრამ, ალავერდელი ეპისკოპოსის ჩაგო-ნებით, მაინც გამოცხადდა ფაშასთან; იგი პატივით მიიღეს, ხოლო, როცა ნადიმის შემდეგ ცხენზე ჯდებოდა, მიპარვით ზურგში ხანჯალი ჩასცეს და იქვე გაათავეს. შემდეგ მის თანმხლებ კახელებს დაერივნენ და ერთია-ნად გაჟუჟეს; მათ შორის, თურქებთან გამოცხადების მრჩეველი და ინიცი-ატორი, ალავერდელი ეპისკოპოსიც.

1723 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობა დამყარდა. ახალი დამპყრობელი ახალი ენერგიით შეუდგა ქვეყნის ძარცვა-აოხრებას. ოსმალებმა საგანგებო გადასახადები დააწესეს: “აღწერეს ქართლი სრულად და დასდვეს ხარკი კაცს სულზე დრაჰკანი, ცხვარზედ ორი შაური, ზროხზედ აბაზი, კამეჩსა და ცხენზედ ექვსი შაური, მოსავლის ზედა ხუთისთავი ხილითურთ და ამის გამო იქმნა ჭირი დიდი”.

ქვეყანაში არ დარჩენილა არც ერთი კლასი თუ ფენა, რომელსაც მტ-კივნეულად არ განეცადა ახალი დამპყრობის უღელი. ოსმალ მოხელეთა ძალადობა, მექრთამეობა, უვიცობა, მათი უგულობა, სისასტიკე, თავხედობა, მეტნაკლებად აწუხებდა ქვეყნის ყველა მოსახლეს. აბუჩად აგდებას თვით დიდებული თავადებიც ვერ აღწევდნენ თავს: “გარნა დაიმორჩილეს... ოსმალთა ესრეთ, რამეთუ უკეთუ მალემსრბოლისად არა მიეცათ მყის ცხენი, შესხდიან თვით მას ზედა, ვითარცა უყვეს მანუჩარ ყაფლანი-შვილს და გიორგი ქავთარიშვილსა, აღუდვეს ლაგამნი, შესხდნენ და ჩხუტელდნენ დეზითა წასვლად”. ყველაფერმა ამან ხალხის არნახული აღშფოთება და რისხვა გამოიწვია. ოსმალთა ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოში 12 წელიწადს

გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში “არც ერთი დღე არ გასულა, რომ ქვეყანა მთლად დამშვიდებული ყოფილიყოს. ყველგან აჯანყებების ცეცხლი ღვიოდა. მისი ალი ხან ერთ კუთხეში ამოვარდებოდა ხან მეორეში”.

დამპყრობნი, კონსტანტინეს ვერაგული მკვლელობის შემდეგ, კიდევ ერთხელ დაერივნენ კახეთს. “უსუფ ფაშას დავალებით სულხავი მოვიდა და მოადგა თელავს... მერმე შემუსრა შილდა, ყუარელი და გავაზი, მო-სრნა, მოტყვევნა, წარიყვანა მრავალნი სულნი” (ვახუშტი).

ქართლსა და კახეთში უმძიმესი ვითარება შეიქმნა; მოსახლეობა ამოწყვეტის პირას იყო მისული. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო კახეთი; ლეკთა თარეშისა და ურთიერთ რბევის გამო, ტყვის ყიდვა მომა-კვდინებელ სენად ექცა ისედაც გავერანებულ ქვეყანას. ვინც სიკვდილს და ტყვეობას გადაურჩა, ბევრი მათგანი პერმანენტულ შიშს და მუდმივ ძალადობას მაჰმადიანობაზე გადასვლას არჩევდა. მთელი ქიზიყი და ალაზნის გაღმა მხარე თითქმის გალეკდა და გადაგვარების გზაზე იყო დამდ-გარი, მხოლოდ ზოგიერთი თავდადებული, ჯერ კიდევ იცავდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და ეროვნებას. კახეთის ჩრდილოეთი ნაწილის მოსახლეობა, ფაქტობრივად, მუდმივად ციხეებში იყო ჩაკეტილი.

კონსტანტინეს (მაჰმადყული ხანს) შვილი არ დარჩენია და კახეთის ტახტის მემკვიდრედ მისი უმცროსი ძმა თეიმურაზი ითვლებოდა (ვახტანგ VI-ის სიძე), მაგრამ ერთი მხრივ ლეკთა, ხოლო მეორე მხრივ ოსმალთა მოძალების ვითარებაში, მას კახეთში არ დაედგომებოდა და ოჯახით ფშავს შეაფარა თავი. დიდებულთა დაძალებით და მეუღლის, დიდი ვახტანგ VI-ის ქალიშვილის, დედოფალ თამარის რჩევით, კახეთში დაბრუნება გადაწყვიტა.

როგორც ითქვა, ქართლ-კახეთის ფაქტობრივი ხელისუფალი ამ დროს ახალციხის ისაყფაშა იყო, კახეთის გამგებლობა კი მის შვილს იუსუფ ფა-შას ჰქონდა მინდობილი. მაგრამ იგი რეალურ ძალაუფლებას ვერ ანხორციელებდა; ამიტომ, 1732 წელს, ისაყ ფაშამ თეიმურაზი თბილისში დაიბარა და ქრისტიანობით კახეთის გამგებლობა უბოძა.

ყიზილბაშობის აღდგენა აღმოსავლეთ საქართველოში. ამასობა-ში ირანში მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა. შაჰ თამაზ ყაენის ნიჭიერმა და მამაცმა სარდალმა ნადირ ხანმა, 1728 წელს ავღანელები ისპა-ჰანიდან განდევნა, ხოლო 1730 წელს მათგან მთელი სპარსეთი გაწმინდა, რის შემდეგაც თამაზ ყული ხანად იწოდებოდა (თამაზის მონა). იგი მეთოდურად იბრუნებდა ირანის კუთვნილ ტერიტორიებს და, ერთდროულად, უმაღლესი ხელისუფლების დასაკავებლად ემზადებოდა.

ნადირმა, ერთ-ერთი პირველი, თავისი მახვილი თურქეთის მიერ და-პყრობილ ტერიტორიების გასაწმენდად მიმართა. 1734 წელს ირანელთა სარდალი ამ მიზნით შირვანში შევიდა, ერთდროულად მან განჯისა და ერევნის წინააღმდეგაც გაილაშქრა.

შექმნილი ვითარება, კახელმა პოლიტიკოსებმა ოსმალთა საძულველი რეჟიმის გადაგდებისთვის ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს. ქართველთა რაზმები ოსმალთა შემახიისკენ მიმავალი დამხმარე ჯარს დაესხა და გაანადგურა. შესაბამისად, თამაზ ყული ხანს კარგი სამსახური გაუწია. ამით გულმოცემული თეიმურაზი ეპისკოპოსთა და დიდებულთა თანხლებით თამამად წარუდგა ირანელ სარდალს. ნადირმა იგი საკმაოდ ცივად მიიღო*, მაგრამ

ჯარი მაინც გამოატანა და ჭარის დალაშქვრა უბრძანა. თეიმურაზმა დავალება წარმატებით შეასრულა და მშვიდად გაემგზავრა ერევ-ნისაკენ, სადაც ირანის ფაქტობრივმა გამგებელმა ხელმეორედ დაიბარა. აქ კი კახეთის განმგებელი მოულოდნელად დაიჭირეს, თბილისისკენ წამოიყვანეს და თამარ დედოფლის იქ დაბარებაც უბრძანეს. გზაზე თეიმურაზმა გაქცევა მოახერხა, კახეთს მიაშურა და, ბუნებრივია, დედოფალთან ერთად თბილისს ჩასვლა არც უფიქრია, თუშეთს შეაფარა თავი.

თამაზ ყული ხანმა კახეთი დალაშქრა, აქედან ჭარს შეუტია, მაგრამ დიდი ზარალი ნახა და უკან გაბრუნდა. კახელი და ქართლელი პატიმრების დიდი პარტია კი ირანს გააგზავნა. გზაზე ტყვეებმა დრო იხელთეს და მათმა დიდმა ნაწილმა გაქცევით უშველა თავს.

ნადირი თბილისში შემოვიდა, მაგრამ აქ მხოლოდ 17 დღე დაჰყო და ოსმალთა დასახმარებლად დაგვიანებით მოსული ყირიმელი თათრების ლაშქრის გასანადგურებლად სასწრაფოდ დარუბანდისკენ გაეშურა. ყირიმელები უკუიქცნენ, ხოლო გამარჯვებული ხანი მუღანს მივიდა, იქ მთელი ირანის დიდებულები დაიბარა და თავი შაჰად გამოაცხადა. ეს ნაბიჯი მან წინასწარ ფრთხილად მოამზადა: ჯერ 1732 წ. 26 აგვისტოს, ხანებთან შეთანხმებით, შაჰ თამაზი ტახტიდან გადააყენა და ყაენად მისი 6 თვის ვა-ჟი დასვა, რომლის რეგენტობა თავადვე იკისრა. მუღანში ღრმად ჩაფიქრებული სპექტაკლის მხოლოდ ბოლო აქტი გათამაშდა. ნაურუზობის დღე-სასწაულის დროს აქ მოვიდა ცნობა, ყმაწვილი შაჰ აბას III-ის გარდაცვალების შესახებ. ეს ამბავი რომ საგანგებოდ იყო დამთხვეული ნადირის მუღანში ყოფნას და ნაურუზობის დღესასწაულს, ეს აშკარაა. ვინაიდან ჩვილი შაჰ აბას III სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო, ნადირის ტახტზე ასვლას წინ არაფერი ეღობებოდა.

ოსმალები იძულებულნი შეიქნენ ამიერკავკასიაში ირანელთა გამარჯვებას შერიგებოდნენ და ეს რეგიონი ისევ ძველი “პატრონისთვის” დაებრუნებინათ.

1735 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალობა ისევ ყიზილბა-შობით შეიცვალა, რასაც ახალი გადასახადები, დარბევები დაპატიმრებები და გადასახლებები მოჰყვა.

ქართლ-კახეთი კვლავ აჯანყებათა ცეცხლმა მოიცვა.

მოძრაობა ირანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1735 წელს ნადირმა ქართლ-კახეთის მმართველობა თეიმურაზის ძმისწულს ალექსანდრე დავითის ძეს (ალიმირზას) უბოძა, რომელიც მუღანის თათბირს ესწრებოდა და ნადირის შაჰად გამოცხადებაში მონაწილეობდა. მუღანიდან ახალმა შაჰმა იგი ჯარით საქართველოში გამოისტუმრა. ამ ჯარს სეფი ხანი (იგივე ხანჯალ ხანი, გასპარსებული ქართველი ორბლიშვილი) სარდლობდა, რომელმაც, ფაქტობრივად, ხელში ჩაიგდო ქართლ-კახეთის მართვა-გამგეობა.

ქართლ-კახეთი აჯანყების ცეცხლში იყო გახვეული, მაგრამ აჯანყებულთა შეუთანხმებელი მოქმედების და დამხმარე ძალების არყოლის გამო, ბრძოლის ეფექტი დიდი არ ყოფილა. ირან-ოსმალეთის ახალი ზავის გაფორმების შემდეგ ქართველებს ოსმალთა მხარდაჭერის იმედი არ შეიძლება ჰქონოდათ. ერთადერთ, სავარაუდო დამხმარე ძალად მათ ალბათ ისევ რუსეთი წარმოედგინათ და სულ რაღაც 2-3 წლის განმავლობაში საქართველოდან იქ რამდენიმე ელჩობა ჩავიდა. უნდა ითქვას, რომ მათ ორგანიზებაში თეიმურაზს პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღია,

რაც მის დიპლომატიურ შორსმჭვრეტელობაზე მიუთითებს. დიდებულთა მიერ რუსეთ-ში დახმარების თხოვნით გაგზავნილ ელჩობებს კი, ბუნებრივია, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. რაც შეეხება თეიმურაზს, იგი რუსეთის ხელი-სუფლებას მხოლოდ საქართველოში ირანრუსეთის 1735 წლის შეთანხმების საფუძველზე, ქართლის ტახტის დასაკავებლად ბაქარ ვახტანგისძის გამოგზავნას ითხოვდა. სხვათა შორის, ბაქარს ამასვე ურჩევდნენ რუ-სეთის ხელისუფლების წარმომადგენლებიც. მაგრამ იმჯერად სამშობლოში დაბრუნება თვით ბაქარმა არ ისურვა ნადირ შაჰის ვერაგობის და მოსალოდნელი უპირობის შიშით. ა. ოსტერმანისადმი გაგზავნილ ბარათში იგი აყალიბებს თავის პოზიციას, ანუ პოზიციას ვახტანგის და მისი მომხრე დასისას, რომლის განხორციელების იმედით უკანასკნელნი, თავის დროზე, რუსეთს დაუკავშირდნენ, რომლის, რუსთა დახმარებით გადაწყვეტის იმედი, ჯერაც არ დაუკარგავთ: “და უკეთუ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მაღალი წყალობა მოხდა, ჩემი განზრახვა იმაში მდგომარე-ობს და ვიმედოვნებ, რომ საქართველო (როგორც ვხედავთ საუბარია მთელ საქართველოზე — ავტ.), მისგან (შაჰისგან – ავტ.) ნებაყოფილობით თუ სხვა რაიმე საშუალებით მოვიპოვო და ასევე სხვა იქაურ ხალხთა მიწებიც შემოვიერთო და სრულიად რუსეთის იმპერიის მტრებს ბოროტად მოვეკიდო, ხოლო მოკეთეებს კეთილად მოვექცე”. როგორც ვხედავთ, აქ არსებითად გამჟღავნებულია ის კურსი საქართველოს გაერთიანებისა, რომელსაც ასე დაბეჯითებით ანხორციელებდა ვახტანგ VI და მისი მომხრეები.

დახმარებაზე რუსეთის უარის შემდეგ ქართველი აჯანყებულები მარტონი დარჩნენ. ასეთ ვითარებაში, საქართველოში ყიზილბაშთა ჯარის სარდალმა სეფი ხანმა, აჯანყების მოთავეებს პატიება, ყაენთან შუამდგომლობა და ხარკის შემცირება აღუთქვა და მოსალაპარაკებლად თავისთან მიიწვია. შემდეგ სიტყვა გატეხა, მისულები დააპატიმრა და ისპაჰანში, ნადირ შაჰთან, გააგზავნა. მათ შორის იყო თეიმურაზ IIც.

თეიმურაზ II კახეთის ტახტზე. ვერც გამაჰმადიანებულმა ქართველმა მმართველებმა და ვერც მათ დასახმარებლად გამწესებულმა ყიზილბაშმა სარდლებმა, ქართლ-კახეთში ირანელთათვის სასურველი წესრიგი ვერ დაამყარეს. სეფი ხანსა და ალექსანდრე დავითის ძეს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო, ნადირმა უკანასკნელს ტახტი ჩამოართვა და სამართავად იესეს გამაჰმადიანებულ ვაჟს არჩილს ანუ აბდულა ბეგს მი-სცა.

ნადირ შაჰმა ისპაჰანში თეიმურაზი წყალობით მიიღო. ქართველთა გაუთავებელმა აჯანყებებმა ირანის მბრძანებელი დათმობების განწყობაზე დააყენა. მან თეიმურაზს კახეთის ტახტზე დამტკიცება შესთავაზა, სამაგიეროდ კი ვაჟის, ერეკლეს და ქალიშვილის, ირანში გამოძახება მოსთხოვა. ერეკლე ამ დროს მხოლოდ 15 წლის იყო, მაგრამ სახელმწიფო საქმეებში აქტიურად ერეოდა. სამხედრო შეტაკებებშიც მონაწილეობდა. თეიმურაზმა კახეთში შაჰის პირობები შემოთვალა და შვილები ირანში დაიბარა.

კახელი პოლიტიკოსები საგონებელში ჩავარდნენ. ბატონიშვილებს რომ ხელში ჩაიგდებდა, არავინ იცოდა, შეასრულებდა თუ არა ვერაგი ნადირი თეიმურაზისთვის მიცემულ სიტყვას. ქვეყანა უპატრონოდ რჩებოდა და ამ მოტივით, დიდებულები ერეკლეს გამგზავრებას არ გაუპირდნენ; მაგრამ საკითხი ახალგაზრდა ბატონიშვილის პრინციპულმა პოზიციამ

გადაწყვიტა. “მამა ჩემი იქ უნდა ჰყავდეთ და ჩემის იქ მისვლით გამოუტევებდნენ და მე ამაზე დავბრკოლდე და არ წავიდე, ჩემგან შეუძლო არი-სო” — განუცხადებია მას.

1737 წლის თებერვალში ბატონიშვილები ირანს გაემგზავრნენ, მარტში კი შაჰთან გამოცხადდნენ. ნადირმა თეიმურაზის ქალიშვილი თავის ძმი-სწულს მისცა ცოლად, ერეკლე თავისთან დაიტოვა, რათა ინდოეთის ლაშქრობაში ეახლა, თეიმურაზს კი კახეთის მეფობა ქრისტიანობით უბოძა და საქართველოში დააბრუნა.

თითქმის ორნახევარი წელი დაჰყო “პატარა კახმა” ნადირთან. ახალ-გაზრდა ბატონიშვილისთვის ეს იყო შესანიშნავი სკოლა, სადაც მან საფუძვლიანად შეისწავლა ირანის სამხედრო და სამოქალაქო წყობა, გაიწაფა აღმოსავლეთის პოლიტიკაში, დიპლომატიასა და სტრატეგიაში.

1739 წლის 28 მაისს შაჰმა სახელოვნად ნამსახური ბატონიშვილი დიდი ქებითა და საჩუქრებით სამშობლოში გამოისტუმრა. იმავე წლის 13 დეკემბერს ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილი ჭაბუკი ღამის 4 საათზე ალავერდის სასახლეში გამოცხადდა, სადაც იმჟამად მეფე და დედოფალი იმყოფებოდნენ.

ირანიდან დაბრუნებული ბატონიშვილი ჩქარა ჩაება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ პერიოდში შეუდგნენ თეიმურაზის კარზე ქვეყნის გაერთიანების გეგმის დამუშავებას, რაც პირველ რიგში ქართლ-კახეთის გაერთიანებით უნდა დაწყებულიყო და რომლის ერთ-ერთი მთავარ ინიციატორად და წარმართველად ვახტანგ VI-ის ასული, კახეთის დედოფალი თამარი გვევლინება.

თეიმურაზის და თამარ დედოფლის საშინაო პოლიტიკა. 1739 წელს ქსნის ერისთავმა შანშემ არაგვის საერისთაოს შეუტია, დაიმორჩილა და ახლა სამუხრანბატონოს და საამილახვროს დაადგა თვალი. ამდენად, შანშე ერისთავი გივი ამილახვარს, დაუპირისპირდა და როცა 1741 წელს, დაღესტნის დასალაშქრავად ამიერკავკასიაში მოსულმა ნადირმა ქართლის თავადები თავისთან მიიწვია, წყალობას შეჰპირდა და შანშეს წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა, გივი ამილახვარმა ეს დავალება სიხარულით მიიღო. ქართველთა და ყიზლბაშთა ერთობლივი ლაშქარი ქსანს შეასია. შანშე დამარცხდა და ახალციხეში გაიქცა. ქსნის ერისთავობა გივი ამილახვარმა შეითავსა.

თეიმურაზი ამ დაპირისპირებაში არ გარეულა, იგი ამ ხანებში დაღე-სტნელთა წინააღმდეგ იბრძოდა.

1741-1742 წწ. ქართლში ყიზილბაშთა წინააღმდეგ დიდი შეთქმულება მზადდებოდა, რომელსაც თურქეთიც მხარს უჭერდა. ამ შეთქმულების მეთაურად გივი ამილახვარი გვევლინება. აჯანყების საბაბი გახდა ნადირ შა-ჰის მიერ ქართლისთვის ხარკის სანაცვლოდ პურის მოთხოვნა: 1741-1742 წლებში ქართლში დიდი მოუსავლიანობა იყო. პური ზღაპრულად გაძვირდა. ხალხი შიმშილობდა და ამ დროს ყიზილბაშებმა ხარკის მაგივრად პურის ჩაბარება მტკიცე ფასში მოითხოვეს. ქვეყანას ამბოხება მოედო. გივი ამილახორმა აჯანყებაში მონაწილეობა თეიმურაზსაც შესთავაზა, მაგრამ კახეთის მეფე მას არ აჰყვა.

როგორც ჩანს, თეიმურაზმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო: გივი ამილახვარი ყიზილბაშებთან ბრძოლას ოსმალეთის მხარდაჭერით აპირებდა, გამარჯვების შემთხვევაში ქვეყანაში მათი ბატონობა დამყარდებოდა; ოსმალები კი, როგორც ქართველებმა სულ ცოტა ხნის წინ გამოსცადეს, ყიზილბაშებზე უარესი დამპყრობლები იყვნენ.

დაღესტნის ლაშქრობაში ნადირ შაჰმა რაიმე არსებით წარმატებას ვერ მიაღწია. ამან მისი ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შელახა. თურქეთთან ომი კი კარზე იყო მომდგარი.

ქართლში კახ პოლიტიკოსთა პოზიციების განმტკიცება. 40-იან წლებში თამარი და თეიმურაზი მოხერხებულად იყენებდნენ ქართლში შექმნილ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას და იქ თავის გავლენას მეთოდურად აძლიერებდნენ.

ქართლ-კახეთში ირანის ბატონობის სიმშვიდის ერთ-ერთი მთავარი დამრღვევი გივი ამილახვარი ჩანს. მას საამილახვრო და ქსნის საერისთაო ეჭირა, არაგვის ერისთავი კი მისი მოკავშირე იყო. ამდენად ეს ფეოდალი ფაქტობრივად ქართლის მთელ ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილს აკონტროლებდა.

1742 წელს არაგველები ბეჟან ერისთავს აუჯანყდნენ. ამილახვარმა მო-კავშირეს დაუჭირა მხარი და აჯანყება სასტიკად ჩაახშო. ქართლის ფლობისთვის არაგვის საერისთაოს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და მისი გივი ამილახვრისთვის ჩამოცილება, ქართლზე ბატონობის ერთერთი მთავარი პირობა იყო. ამის გამო, ნადირმა კახეთის გამგებლები თავისთან სათათბიროდ მიიწვია: “გამოეგზავნა ხელმწიფეს ერთი მახლობელი ყული, ფრიდონბეგ, დაეპატიჟა დედოფალი კახეთისა თამარ და მეუღლე აბდულ ბეგისა, ბატონიშვილისა, რომელი იყო ასული კახეთის ბატონისა — ბეგუმ”. იანვარში აღნიშნული მანდილოსნები და მათთან ერთად თეიმურაზ IIც ყაენს ეახლნენ. ნადირმა ისინი გამორჩეული პატივით მიიღო. “მიიჩნივა ფრიად. დასდვა პატივი უზომო. უბოძა ხალათი მძიმე და ინამი ფრიადი” — გვაუწყებს პ. ორბელიანი.

აშკარაა, ქართლში დაძაბული ვითარების დროს, ასეთი წარმომადგენლობითი დელეგაცია, ყაენმა რაღაც დიდმნიშნელოვან საკითხზე მოსათათბირებლად დაიბარა. თუ რა საკითხებზე იყო მსჯელობა შეხვედრისას, ამაზე წყაროები არაფერს ამბობენ. მაგრამ ამ საიუდმლოების ამოხსნაში იმ ამბების ანალიზი გვეხმარება, რაც აღნიშნულ თათბირს მოჰყვა. პირველ რიგში ქართლში სახელგატეხილი ყიზილბაშური ადმინისტრაცია შეიცვალა. ჩანს, ეს ფაქტი ხალხის თვალში დამპყრობთა ბატონობის უღლის შემ-სუბუქების მანიშნებლად უნდა აღქმულიყო და გივი ამილახვრის ბანაკის შესუსტებას ისახავდა მიზნად. მალე კი არაგვის ხეობაში ახალი შეთქმულება მომზადდა: “მას ჟამსა შინა უღალატეს არაგვის ერისთავს ბეჟანს და მის ბიძაშვილს ოტიას არაგვის კაცთა და ორივე მოკლეს, იავარ-ჰყვეს საქონელი” — გვაუწყებს პ. ორბელიანი.

ამრიგად, არაგვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ხეობა აჯანყების შემდეგ კახეთის ბატონმა დაიკავა, ხოლო ირანის შაჰმა მას საერისთაოს მფლობელობა ოფიციალურად დაუმტკიცა, თან შეჰპირდა: “თუცა ქსნის ხევსაც დაიჭერო, ორსავ საერისთაო შენთვის მოგვიცემიაო”.

არაგვის ხეობის დაუფლების შემდეგ, ქსნის ხეობის ხელში ჩაგდება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მაგრამ თავდაპირველად, თეიმურაზი და მისი მომხრეები შეეცადნენ ეს პრობლემა ძმათა შორის სისხლისღვრის გარეშე გადაეჭრათ, ამიტომ "ეცადა მეფე თეიმურაზ მრავლის წყალობის დაპირებითა და ქსნის ხევის კაცნი ვერ შემოირიგა". მაშინ იძულებული შეიქნა კახეთიდან ერეკლე ეხმო ჯარით და მართლაც ჩქარა შევიდა კახი ბატონი თეიმურაზ დაიმონა ხმლით ქსნის ხევი დადგა შიგ".

საამილახვროს შემოერთება. იმ ხანებში ნადირ შაჰს საკმაოდ გაურთულდა მდგომარეობა: ოსმალეთთან ომი გრძელდებოდა. იმპერიის არაერთ კუთხეში აჯანყების ალი მძვინვარებდა. თურქეთის წაქეზებით დაიმედებული, აჯანყების პირს იყო ამიერკავკასიის არაერთი სუნიტური სახანო. ასეთ ვითარებაში გივი ამილახვრის ბრძოლა, რომელიც უშუალოდ თურქეთის მოსაზღვრე ქართულ ტერიტორიას აკონტროლებდა, საქართველოში ირანის ბატონობას სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა. მაგრამ აჯანყების ჩაქრობა ირანს უჭირდა, რადგან ქვეყნის ეს ტრადიციული მტერი ხალხის მასებში სიძულვილს და უნდობლობას იწვევდა. ნადირისთვის ყველაზე კარგი გამოსავალი ის იყო, რომ ქართველ ფეოდალთა აჯანყები-სთვის ისევ ქართველები დაეპირისპირებინა. ამ ამოცანისთვის იგი თეიმურაზზე უკეთეს კანდიდატურას ვერ იპოვიდა. ქრისტიანი მეფე ქვეყანაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ამდენად თანამემამულეთა მხარდა-ჭერა მას გარანტირებული ჰქონდა. მაგრამ ეს შესაძლებლობა, რომ გამოეყენებინა კახეთის მეფის აქტიური დაინტერესება იყო აუცილებელი და აქ თამარის და თეიმურაზის გამაერთიანებელი მისწრაფებები ნადირის გე-გმებს დაემთხვა.

კახეთის მესვეურთა ბრძოლა იდეოლოგიურადაც გამართლებული იყო, რადგან გივი ამილახვრის აჯანყება ოსმალთა მხარდაჭერას ითვალისწინებდა და, შესაბამისად, ქვეყანაში მათი გავლენის გაძლიერებას მოასწავებდა, რომელნიც, როგორც ქართველებმა სულ ცოტა ხნის წინ გამო-სცადეს, სპარსელებზე უფრო მკაცრი და მიუღებელი დამპყრობლები იყვნენ.

არაგვისა და ქსნის ხეობების შემოერთების შემდეგ, კახეთის ხელი-სუფალთ გზა ეხსნებოდათ უშუალოდ გივი ამილახვარზე შეტევისთვის. როგორც ჩანს, შესაბიმისი ვალდებულება მათ რეგიონის დაუფლების სანაცვლოდ და ამასთან ახალი ტერიტორიის მიღების იმედით, ნაკისრი ჰქო-ნდათ. ომან ხერხეულიძის თქმით: "ხოლო შაჰ-ნადირ უბოძა არაგვის საერისთაო მეფეს თეიმურაზს და მოუმცნო ბრძოლა და კირთება გივი ამილახვრისა".

ამრიგად, 1743 წლიდან, აჯანყებული გივი ამილახვრის საკითხის გადაწყვეტა ირანის კარმა უშუალოდ თეიმურაზს დააკირსა. ამ ბრძოლას კახეთის მესვეურთა გამაერთიანებელ მისწრაფებებთან ერთად, მორალურად და იდეოლოგიურად ის გარემოება ამაგრებდა, რომ საციციანოს და ბორჯომის ხეობის დაუფლების შემდეგ, ეს ფეოდალი უშუალოდ ახალციხის საფაშოს დაუკავშირდა და ქვეყანას თურქთა შემოსევის საშიშროება შეუქმნა.

ამავე დროს, ნადირ შაჰი ხედავდა, რომ საყიზილბაშო გადასახადის სიმძიმე ქართლის მოსახლეობას აჯანყებულთა სასარგებლოდ განაწყობდა და ბრძოლისთვის რაზმავდა, ამიტომ, იძულებული შეიქნა, ეს გადასახადები მნიშვნელოვანწილად შეემსუბუქებია, რითაც პროტესტის განწყობილება არსებითად შეანელა.

გივი ამილახვრის აჯანყების ხანებში კახელ პოლიტიკოსთა პოზიცია, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ისინი ვერ აფასებდნენ, ან ურიგდებოდნენ ირა-ნელთა ბატონობას. ისინი რეალურად აანალიზებდნენ ვითარებას და მიიჩ-ნევდნენ, (ჩვენი აზრით სწორად) — რომ იმჯერად ეს პოლიტიკა ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის — ქვეყნის გაერთიანების ინტერესებით იყო გამართლებული.

გივი ამილახვრის წინააღმდეგ ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა. ქსნის ხეობის აღების შემდეგ ქართველთა და ყიზილბაშთა ლაშქარი უშუალოდ ამ ფეოდალს დაუპირისპირდა, რომელსაც "ჰქონდა გამაგრებული სხვილოს ციხე, ორი ჭალა, სურამი, ქეხვი, ქ. ცხინვალი და საქართლის ციხე ქსნაზე, კიდევ წიქორი". აღნიშნული ციხეების აღება არტილერიის გამოყენებას მოითხოვდა. ამიტომ თეიმურაზის ბრძანებით, ერეკლემ თბილისიდან "წამოიღო თოფხანა ჯაბახანით და შეეყარა მამასა თვისსა".

ამასობაში აჯანყებულთა დასახმარებლად ოსმალთა დიდი ლაშქარი გამოემართა. მოკავშირეებმა ეს ლაშქრობა დიდი მონდომებით მოამზადეს, ქართლის თავადებს მოწოდებები, წყალობის დაპირებები გამოუგზავნეს და ზოგიერთი მათგანის გადაბირებაც მოახერხეს.

მაგრამ თეიმურაზი და ერეკლე ენერგიულად და ხერხიანად მოქმედებდნენ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან პოზიციებს ეუფლებოდნენ. მაგალითად, როდესაც ოსმალთა და ამილახვრის ლაშქარი, აჩაბეთის ციხეს მიადგა, აღმოჩნდა, რომ იქ ერეკლე იყო გამაგრებული. ციხისელებმა მტრის შეტევა მოიგერიეს და მომხდურნი სასტიკად დაამარცხეს. აჩაბეთის ციხის შეტევის ჩაშლის შემდეგ ოსმალებს ცხინვალის ციხის დათმობაც მოუხდათ. რასაც მათ მიერ ქართლის საზღვრების დატოვება მოჰყვა. ამილახვარი კი, თავისი მომხრეებით სურამის ციხეში გამაგრდა.

თეიმურაზ II ქართლის ტახტზე. ამრიგად კახეთის ხელისუფლებმა ქართლში პოზიცია მნიშვნელოვნად განიმტკიცეს და მისი პოლიტიკური შეერთების საკითხიც დღის წესრიგში დააყენეს. თეიმურაზის და ერე-კლეს ერთგული სამსახურით მადლიერი ნადირი მზად იყო მათთვის ქართლის სამეფო მფლობელობაში დაემტკიცებინა, მაგრამ ამ პრობლემის წარმატებით გადაწყვეტას არა ერთი სერიოზული დაბრკოლება ეღობებოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ, როგორც ჩანს, ირანის მბრძანებელი მაინცდამაინც არ ჩქარობდა ქვეშევრდომისთვის ესოდენ სასურველი "სა-ჩუქრის" მიძღვნას. მას ამ საკითხის გაჭიანურება აწყობდა, რათა პრეტენდენტი თავდადებულ სამსახურზე კიდევ უფრო წაექეზებინა. მაგრამ იყო სხვა უფრო მნიშვნელოვანი ობიექტური გარემოებაც, ქართლ-კახეთის პოლიტიკურ შეერთებას რომ ეღობებოდა. მართალია ყიზილბაშთა ბატონობის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ქართლში არაერთი განმგებელი (ხანი) გამოიცვალა, მაგრამ ისინი ირანის ჩვეულებრივი მოხელენი იყვნენ, რომელთაც ამ სახელოს მემკვიდრეობით გადაცემის არც უფლება ჰქო-ნდათ და არც პრეტენზია. ქართველი პროგრესული მოღვაწენი, თეიმურაზისა და თამარის მეთაურობით ქართლის ტახტის მემკვიდრეობით მიღებისთვის იბრძოდნენ.

მეფეთა ბრძოლის ენერგიამ ყველა დაბრკოლება დაჩრდილა და 1744 წლის ივლისში ნადირ შაჰმა, ქართლის ბატონობა თეიმურაზს, ხოლო კახეთისა ერეკლეს უბოძა.

ამ ცნობას ხალხის არნახული აღფრთოვანება გამოუწვევია, რადგან მემატინის სიტყვებით “კ(20) წელს გადევლო და მემკვიდრე მეპატრონე აღარავინ მჯდარიყო ქართლსა. ამისთვის უფრო სიხარული ჰქონდათ, მემ-კვიდრე ქრისტესმოყვარე მეფე დაუჯდათ და ამით ყველა შეჭირვება დაავიწყდათ ქართველთა” (ხაზი ჩემია — ავტ.)

თანამემამულეებმა ღირსეული პატივი მიაგეს ამ დიდი ისტორული მოვლენის ინიციატორსა და შემოქმედს. ირანიდან სასიხარულო ცნობა რომ მოვიდა, თამარ დედოფალი კახეთში ბრძანდებოდა. თეიმურაზმა მა-სთან დელეგაცია გაგზავნა და მისი თბილისში ჩამოსვლა საგანგებო ზეიმით მოაწყო: “ქალაქს დააყენა სიძე თავისი, მანდატურთუხუცესი, გასა-გებად საქმისა და მზადყოფად ბატონის დედოფლის დასახდომელ. მსწრაფლ აღასრულა ბრძანებანი მეფისანი, მოამზადნა და მოაფარდაგნა სარაია საყოფელნი. კუალად განაწესნა მოქალაქენი ანუ დასი სამღუდელონი, რომელნიმე მიმგებელ და შემსხმელ ქებათა, რომელიმე შლად ფიანდაზთა, მიმრთმეველ შაქარ საყნოსელთა და რომელიმე იყვნენ ცდად მეჯლისისათა”. თამარს ერეკლე მეფე და ანტონ კათალიკოსი მოაცილებდნენ, რადგან დედოფალს მათ გარეშე წამოსვლა არ უსურვებია. “გაეგებნენ დასნი სამღვდელონი ანუ ერთა გუნდნი და დედათა ბანაკნი, შეასხეს ქება და მადლობდნენ ღმერთსა... შემობრძანდა ქალაქში და დაბრძანდა ტახტსა ზედა დედისა თვისისა, რუსუდან დედოფლისათა”.

ქართლ-კახეთის ფაქტობრივი გაერთიანების დასრულება. ირან თურქეთის ომი გრძელდებოდა. საქართველო (ქართლ-კახეთი) ამ ომში თურქეთის წინააღმდეგ ორ ფრონტზე იბრძოდა: ერთი ბორჯომის ხეობის ყელთან გადიოდა, სადაც გივი ამილახვარი იყო გამაგრებული, მეორე — ქვემო ქართლში, სადაც თურქებს დმანისის ციხე ეჭირათ. ცხადია ამგვარი ვითარება ძალთა დაქსაქსვას იწვევდა და ბრძოლის ეფექტს ამცირებდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ თურქეთის წაქეზებით საქართველოში ლე-კთა შემოსევები გახშირდა. მაგრამ ენერგიული მოქმედების შედეგად თეიმურაზმა დმანისის ციხის აღება შეძლო, შემდეგ კი მთელი ქვემო ქართლიც გაწმინდა მტრისაგან და აქედან უკვე ჯავახეთში გადაიტანა საბრძოლო მოქმედება.

იმ ხანებში ირანის ლაშქარი ყარსის აღებას ცდილობდა, მაგრამ ზამთრის სიცივეების გამო ნადირმა ალყა მოხსნა და ჯარით უკან გამობრუ-ნდა. ირანში გზად მიმავალმა თეიმურაზი, ერეკლე და თამარ დედოფალი თავისთან დაიბარა. ჯერ ქართლისა და კახეთის მეფეები ეახლნენ ხელმწიფეს; შემდეგ კი აღჯაყალას, სადაც ნადირი იყო გაჩერებული, თამარ დედოფალიც ჩავიდა ბეგუმისა და ანუკა ბატონიშვილის თანხლებით. შაჰმა მანდილოსნები არაჩვეულებრივი პატივით მიიღო და უეჭველია ქართლ-კახეთის პოლიტიკოსებთან მნიშვნელოვანი თათბირი გამართა. თუ რა საკითხები განხილეს აქ, ამაზე მონაცემები არ გვაქვს. ის კი ცნობილია, რომ შაჰმა ამიერკავკასიაში მოქმედი ირანის ჯარების ხელმძღვანელობა თეიმურაზს მიანდო, თან მრავალმნიშვნელოვნად დააიმედა: “ვითა შვილი ჩემი ეგრე გიყურებო, მარტო ქართლი შენი საკადრისი არ არისო, სხვის ქვეყნი-საც მოიმედე იყავიო”. ეს დაპირება ქართლ-კახეთის პოლიტიკოსთა პერს-პექტიული პროგრამის თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა და, ცხადია, შემთხვევით არ გაჩენილა. იგი მოკავშირეთა ინტერესების გათვალისწინებით აღჯაყალას თათბირის შინაარსის, სავარაუდო, წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

ნადირ შაჰის მიზნები და მოთხოვნები ნათელია. მას ოსმალეთთან ომი ჰქონდა; ომის ასპარეზი საქართველოს გარშემო იყო გაშლილი. მა-გრამ ირანის წარმატებას მნიშვნელოვნად აფერხებდა ზემო ქართლში გივი ამილახვრის განდგომა და მტრული ოპერაციები. შესაბამისად ირანი ხედავდა, რომ ქართლი და კახეთი მისი ნიჭიერი და ერთგული მეფეების ხელმძღვანელობით მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი დასაყრდენები იყვნენ. მაშასადამე, აღნიშნულ თათბირზე იგი ქართველ პოლიტიკოსებს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას თხოვდა და კონკრეტულ ოპერაციებს უგეგმავდა. უნდა ვიფიქროთ, თავის მხრივ ქართველი დიპლომატები ხელმწიფეს თავდადებულ ბრძოლას ჰპირდებოდნენ და მტერზე გამარჯვების შემთხვევაში, დამარცხებული თურქეთის ხარჯზე ტერიტორიების შემომტკიცებას თხოვდნენ. ნადირ შაჰს ამგვარი მოთხოვნის საწინააღმდეგო, ერთი შეხედვით, არაფერი უნდა ჰქონოდა და საფიქრებელია, რომ მან ამგვარი დაპირება იოლად გასცა. სხვა საქმეა, თუკი მიზანი მიღწეული იქნებოდა, როგორ შეასრულებდა ირანის მბრძანებელი ამ და-პირებას. მისი კეთილგანწყობა ხომ მოცემულ მომენტში ირანის ინტერესებით იყო განპირობებული.

აღჯაყალის თათბირიდან შაჰის დავალებითა და დაპირებებით გულმოცემული და ყიზილბაშური ჯარის ნაწილებით გაძლიერებული, მეფეები პირდაპირ განმდგარი გივი ამილახვრის წინააღმდეგ ილაშქრებენ. აქ მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ: რამდენიმე გავლენიან თავადს თავის მხარეს იბირებენ, რითაც მოწინააღმდეგის ბანაკს მნიშვნელოვანწილად ასუსტებენ. შემდეგ საერთო ენას ნახულობენ ამილახვრის ვაჟთან — დიმიტრი-სთან, რომელიც ახალდაბის ციხეში იდგა, მას ამილახვრობას (სახელოს) ჰპირდებიან და ციხეს ხელთ იგდებენ. ჩქარა მათ ხელში კეხვის ციხეც გადავიდა.

ამ მარცხის შემდეგ, აჯანყებულთა მდგომარეობა მნიშვნელოვნად გართულდა, რადგან ახალდაბის ციხის დაკარგვით მოკავშირესთან (ახალციხის საფაშოსთან) უშუალო კომუნიკაცია დაეხშოთ და აქედან დახმარების მიღების შესაძლებლობა ფაქტობრივად მოესპოთ. ამავე დროს, ქართველ მეფეებს ახალციხეზე პირდაპირი შეტევისთვის გზა გაეხსნათ და მათაც მაშინვე ისარგებლეს: სურამის ციხეს სადაც გივი ამილახვარი იყო გამაგრებული ღრმა თხრილი შემოავლეს და მოალყეები დაუყენეს.

ამის შემდეგ, კვლავ თამარ დედოფლის, აქტიური ჩარევისა და ავტორიტეტის წყალობით მეფეებმა ამილახვრის აჯანყების ჩაქრობა მოახერხეს. მოკავშირეთა დახმარებას მოკლებული, ეს ძლიერი თავადი დედოფლის სიტყვას ენდო და სურამის ციხიდან გამოვიდა. ქართლი მთლიანად თეიმურაზ მეორის მფლობელობაში მოექცა. ამდენად დასრულდა ქვეყნის გაერთიანების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი.

ქართლისა და კახეთის ფაქტობრივი შეერთებით, ეს ქართული პოლიტიკური ერთეული ამიერკავკასიაში უმნიშვნელოვანეს ძალად იქცა, რომელსაც შეეძლო ქვეყნის გაერთიანების მიმართულებით შემდგომ წინსვლაზე ეზრუნა.

თავი XXXV. ქართლ-კახეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა XVIII საუკუნის შუა ხანებში

ქართლ-კახეთის ძალაუფლების განმტკიცება და გაფართოება. 1745-1750 წლებში ქართლ-კახეთი თანდათან ძალას იკრებდა და ამიერკავკასიაში თავის გავლენას აფართოებდა. ეს მეტად რთული და მტკივნეული პროცესი იყო: მარცხი და წარმატება, სიხარული და იმედგაცრუება, ერთმანეთს ცვლიდნენ. ჯერ იყო და ამდენ ნაფერებ და ნაპატიებ ქართველებს ნადირშაჰი მოულოდნელად შემოსწყრა და უზარმაზარი გადასახადი (200 000 მ.) შეაწერა. ასეთი გაავება, სავარაუდოა, რუსეთს და ირანს შორის ურთიერთობის გამწვავებას, მათ შორის მოსალოდნელ ომს და ქართველთა ტრადიციულ რუსოფილურ მისწრაფებებს უკავშირდებოდეს.

მეფეები ომისთვის მოემზადდნენ, ხალხი მთებში გაიხიზნა. შემდეგ ყაენი თითქოს მოლბა და ქვეყანას გადასახადი აპატია. მაგრამ ერეკლე მეფე თავისთან დაიბარა. ერეკლეს წასვლას ქართველი პოლიტიკოსები არ გაუპირდნენ და ეს მისია თეიმურაზმა იკისრა. არავინ იცის რით დასრულდებოდა მისი ვიზიტი ირანის ცბიერ გამგებელთან, მაგრამ 1747 წელს, ვიდრე თეიმურაზი ირანს მიაღწევდა, ნადირ შაჰი შეთქმულებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

ირანის საქმეები კლავ აიშალა. ტახტის მაძიებლები ერთმანეთს დაერივნენ.

თეიმურაზმა ირანში ორი წელი დაჰყო, ამ ხნის განმალობაში იქ არა-ერთი ხელმწიფე შეიცვალა, მაგრამ გამოცდილი დიპლომატი ყველასთან ახერხებდა საერთო ენის გამონახვას და იმასაც კი მიაღწია, რომ ახალი ტერიტორიების დაუფლებით სამეფოს საზღვრები მდინარე აღსტაფის ხეობამდე გააფართოვა.

1749 წელს თეიმურაზი სამშობლოში დაბრუნდა.

იმ ხანებში, ირანის კარზე დაწყებული არეულობების გამო, უპატრო-ნოდ დარჩენილი ამიერკავკასიის მცირე სახანოები ერთმანეთს დაერივნენ. შექმნილი ვითარებით მოხერხებულად სარგებლობდნენ ერეკლე და თეიმურაზი და რეგიონში თავის გავლენას ზრდიდნენ. გაერთიანებული ქართლ-კახეთი ამიერკავკასიაში ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ერთეული იყო. მეზობლის მიერ შევიწროვებული ესა თუ ის ხანი “დახმარებამფარველობას” ქართლ-კახეთის მეფეებთან ეძებდა. როდესაც, 1749 წელს ერევ-ნის ხანმა მისი სამფლობელოს დასაპყრობად წამოსული მაჰმად ხანის წი-ნააღმდეგ დახმარება ითხოვა, ქართველებმა მომხვდური დაამარცხეს და გააქციეს, ხოლო ერევანს ყოველწლიური ხარკი განუწესეს.

იმავე წელს, ქართლ-კახეთმა ნახიჩევანის ბამან ხანის მფავრელობაც იკისრა და ეს სახანოც თავის გავლენის სფეროში მოაქცია.

იმ დროს ყარაბაღის გაძლიერებული ფანა ხანი განჯასა და ნახიჩევანს ავიწროვებდა. განჯის შავერდიხანმა დახმარებისთვის ქრისტიან მეფე-ებს მიმართა და ისეთივე ხარკი და მორჩილება იკისრა, როგორც, ერევნი-სამ. საქართველოსთვის განჯას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სტრატეგიული, ისე პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით.

მეფეებმა კოალიციური ლაშქრის შეკრება მოახერხეს, რომელშიც გან-ჯის ხანის, გიულისტანის მელიქის, განძასარის (ყარაბაღის სომეხთა) კათალიკოსის და სხვ. გარდა გაერთიანებულნი იყვნენ აგრეთვე "იმერნი, ოსნი, კავკაზნი, ერევნელნი, ყაზახი, შამშადილნი, ლეკნი". გაერთიანებულმა ქართულმა ლაშქარმა ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია. განჯის ხანმა ლაშქრობის საზღაურად მეფეებს ფულადი გასამრჯელო გადაუხადა, შამშადილუს პროვინცია დაუთმო, ამასთან ყოველწლიური ხარკი და მორჩილება ივალდებულა.

ყარაბაღის ლაშქრობის ძლევამოსილი დასრულება უდაოდ გარკვეული ეტაპი იყო ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ბარგუშეთში ქართველებმა და ყარაბაღის ფანა ხანმა ქართველებისთვის სასურველი ხელშეკრულება დადეს, რომლითაც ხანი ქართველთა პირველობას აღიარებდა და მის მოკავშირეობას კისრულობდა. ქართველთა ძალა და ავტორიტეტი მთელს ირანში იყო განთქმული. 1750 წელს შაჰ როჰმა, რომელ-საც ერთხელ უკვე ედგა შაჰის გვირგვინი და თუმცა ჩქარა დაკარგა, ბრძოლას მაინც არ წყვეტდა და ქართველთათვის სასურველ პრეტენდენტად ითვლებოდა, ერეკლეს და თეიმურაზს მხარდაჭერა და 30 ათასი მა-ნეთის გაგზავნა თხოვა.

სპარსეთის ტახტის გარშემო დიდი ცილობა იყო გამართული. შაჰ როჰს ქართველთა მხარდაჭერამ არ უშველა, მისი პოზიციები შესუსტდა. ამასობაში ერთობ გაძლიერდა ალი გარდან ხანი, რომელმაც ისპაანიც კი დაიკავა. 1751 წელს მის წინააღმდეგ ერეკლეს წინამძღოლობით ქართველთა ჯარი ამხედრდა. ლაშქარმა თავრიზს მიაღწია და აქედან ცენტრალურ სპარსეთში აპირებდა შეჭრას, მაგრამ მისი წინსვლა ავღანთა საპასუხო მოქმედებებმა შეაფერხა. მათ ტახტის პრეტენდენტის აზატ ხანის მეთაურობით, არეზი გადმოლახეს და ნახიჭევანს და ერევანს დაემუქრნენ, რომელთა დაკავების შემდეგ ყარაბაღის და განჯის დაკავებას გეგმავდნენ. ერეკლე 4 ათასიანი რაზმით ერევნის სახანოში გადავიდა. მის საწინააღმდეგოდ აზატ ხანმა 18 ათასიანი ლაშქარი დაძრა. პირველ შეტაკებაში ავღანელებმა ქართველთა მოწინავე რაზმი დაამარცხეს. მაშინ ძირითად შენაერთებს თვით ერეკლე ჩაუდგა სათავეში და ისე ხერხიანად და ნიჭიერად წარმართა ბრძოლა, რომ ავღანთა 4-ჯერ აღმატებული ლაშქარი დაამარცხა და გა-აქცია. ქართველებს უამრავი დავლა დარჩათ. ეს იყო ბრწყინვალე გამარ-ჯვება, რომელიც სამხედრო ხელოვნების ნებისმიერ სახელმძღვანელოს და-ამშვენებდა.

ქართველთა გამარჯვებები ძილს უფრთხობდა მაჰმადიან ხანებს, თუ-კი ქრისტიანი მეფეები ირანში თავის კანდიდატურას გაამეფებდნენ, მათი გავლენა უზომოდ გაიზრდებოდა და მთელს ამიერკავკასიაზე გავრცელდებოდა.

ამიტომ მაჰმადიან მფლობელებში ანტიქართული კოალიციის შექმნის სულისკვეთება გაძლიერდა.

ამ ხანებში ქართლ-კახეთის საერთაშორისო ავტორიტეტი შესამჩნევად გაიზარდა: "გაითქვა ხმა ყველგან ადრიბეჟანის ქვეყანაში: ქართლის ჯარი ჩამოდგაო" და პირველისებრ ადრიბეჟანის ქვეყანა ბატონმა დაიჭირაო, შე-შინდა ყოველი ქვეყანა და მონებდნენ მეფესა ქართლისასა თეიმურაზს და ძესა მისსა, მეფესა კახეთისასა ერეკლეს" გვაუწყებს პაპუნა ორბელიანი. მი-სივე თქმით: "შეშინდა ყოველი ქვეყანა და მონებდნენ ქართველ ბატონს ხმლის ძალით გარეშემონი

ქვეყანანი”. ქართველთა გამარჯვებების ექო შორს გასცდა კავკასიის ფარგლებს და ევროპის საზოგადოებრივი აზრის ყურადღებაც კი მიიქცია.

ქვეყნის პოლიტიკური გაძლიერება ქრისტიანობის განმტკიცებაშიც გამოიხატა. მრავალი რენეგატი, რომელმაც პირადი ინტერესების გამო უღალატა მშობლიურ ეკლესიას, კვლავ მას უბრუნდებოდა, ოსური მოსახლე-ობა ინტენსიურად ექცეოდა მართლმადიდებლურ რჯულზე.

ქართული სამღვდელოების სამისიონერო მოღვაწეობა ჩრდილოეთ კავკასიაში. აღნიშნულმა ტენდენციამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართველი სამღვდელოების სამისიონერო მოღვაწეობას ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ რეგიონის ხალხებთან საქართველოს უძველესი დროიდან მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა. საქართველოს სამეფო კარი და ქართული ეკლესია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ხელს უწყობდნენ სამისიონერო მოღვაწეობას ჩრდ. კავკასიაში, რადგან ქრისტიანულ რელიგიას აქ ქართული კულტურის და ქართული პოლიტიკური ორიენტაციის გაძლიერება მოჰყვებოდა. თემურლენგის მიერ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის გამაჰმადიანებისა და განსაკუთრებით ირან-ოსმალეთის კავკასიაში გაბატონების შემდეგ ქართულ-ჩრდილო კავკასიური ურთიერთობები საგრძნობლად შე-სუსტდა. ფაქტიურად შეწყდა ქართული სამღვდელოების სამისიონერო მოღვაწეობაც.

1724 წ. საქართველოდან ლტოლვილი ვახტანგ VI ამალაში სასულიერო პირებიც შედიოდნენ. ზოგიერთმა მათგანმა ჩრდ. კავკასიაში გააგრძელა მოღვაწეობა. მათ შორის აღსანიშნავია იოანე მანგლელის (სააკაძე) ღვაწლი დაღესტანში, ოსეთსა და ინგუშეთში ქრისტიანობის გავრცელება-ში. თავის აღზრდილ გერმანე თბილელთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად XVIII ს-ის 20-40-იან წწ-ში მან ეკლესიები აღაშენა დარუბანდში, ასტრახანსა და ყიზლარში, სადაც მრავალი ადამიანი იქნა მონათლული. ყიზლარის ეკლესიასთან კი სასულიერო სასწავლებელი დააარსა. იოანეს მატერიალურად დიდად ეხმარებოდა ვახტანგ VI.

ეს პროცესი განსაკუთრებით ფართედ გაიშალა და გეგმაზომიერი ხა-სიათი მიიღო “ოსეთის სასულიერო კომისიის” დაარსების შემდეგ (მოზდოკი, 1744 წ.). იოსებ სამებელმა და ნიკოლოზ ქართველმა 1742 წ. რუსეთის იმპერატორს წარუდგინეს მოხსენება “ოსეთში სამისიონერო მიზნით ქართველი სასულიერო პირების გაგზავნის მიზანშეწონილობის შესახებ”.

რუსეთის საიმპერატორო კარსაც კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული, რომ ოსმალეთთან დაპირისპირების ვითარებაში ქრისტიანობა მძლავრი იარაღი იქნებოდა ჩრდ. კავკასიელ ხალხთა რუსეთის მხარეს გადმოსაბირებლად. სარწმუნოების საკითხს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შე-ეძლო პოლიტიკური ორიენტაციის არჩევაში. ამან განაპირობა, რომ წმ. სი-ნოდმა უყოყმანოდ დაამტკიცა იოსებ სამებელის, იოანე მანგლელისა და ნიკოლოზ ქართველის შედგენილი და იოსებ სამებელის ხელმოწერით წარდგენილი პროექტი კავკასიის მთიანეთში სპეციალური მუდმივმოქმედი მისიის დაარსების შესახებ. არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში რუსეთი იძულებული იყო “ოსეთის სასულიერო კომისია” მთლიანად ქართველებით დაეკომპლექტებინა. 1739 წ-ის ბელგრადის ზავის პირობებით ყაბარდო და მისი ვასალი ოსეთი ნეიტრალურ ზონად იყო გამოცხადებული რუსეთსა და ოსმალეთს შორის. რუსეთის

ხელისუფლებამ სწორედ განსაზღვრა, რომ ქართველთა და ჩრდ. კავკასიის ხალხთა ისტორიული ურთი-ერთობა გააადვილებდა მთიელებში ქრისტიანობის გავრცელებას და თან თავიდან აცილებდა ირან-ოსმალეთის პრეტენზიებს . "კომისიის" დაარსებაში დიდი წვლილი შეიტანა ბაქარ ბატონიშვილმა (ვახტანგ VI ძემ), რომლის 1743 წ-ის ელჩობის შედეგად ყაბარდოელები დათანხმდნენ ოსეთში მისიონერების მიღებას. მისიის ხელმძღვანელად დანიშნულ იქნა იოანე მანგლელი (1751 წ.), ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ, ასევე ქართველი, არქიმანდრიტი პახომი. მართალია ოფიციალურად მისიას მხოლოდ ოსეთის ტერიტორიაზე უნდა ემოღვაწა, მაგრამ მან საქმიანობა მთელი ჩრდილო კავკასიის მასშტაბით გააჩაღა. "კომისიის" მოღვაწეობა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ რომის პაპმა მაშინვე გაგზავნა ოსეთში კათოლიკე მისიონერები, მაგრამ რუსეთის მთავრობამ ისინი უკან დააბრუნა.

მისიის მოღვაწეობა უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა. "კომისიამ" პირველსავე წელს აცნობა სინოდს, რომ ოსების თავკაცებს სურდათ პეტერბურგში ჩასვლა და რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების თხოვნა . სინოდისადმი გაგზავნილ პირველივე წერილში (1745 წ. 12 ივლისი) აღწერილია ოსების ზნე-ჩვეულებები და მათი ცხოვრების პირობები. 1751 წ. მისიის ხელმძღვანელმა არქიმანდრიტმა პახომმა რუსეთის მთავრობის წინაშე ქურთაულის ხეობაში სკოლის გახსნის საკითხი დააყენა, მაგრამ სკოლის გახ-სნა მხოლოდ 1764 წელს მოხერხდა მოზდოკში. ცოტა მოგვიანებით, XVIII ს-ის 60-იანი წწდან, "კომისიის" ინიციატივითა და მხარდაჭერით ოსეთში სამი სამთო ექსპედიცია მოეწყო.

მიუხედავად იმისა, რომ "კომისია" რუსული ორგანიზაცია იყო, რუ-სეთიდან ფინანსდებოდა და სინოდის ინსტრუქციით მოქმედებდა, ქართველი მისიონერები ცდილობდნენ თავისი ძალისხმევა ჩრდ. კავკასიაში ქართული გავლენის გავრცელებისაკენ მიემართათ. ოსთა შორის ქართულ მწიგნობრობას ავრცელებდნენ; სინოდის მოთხოვნით ოსურად თარგმნიდ-ნენ საეკლესიო წიგნებს და საამისოდ ოსურ ანბანს ქართული გრაფიკა დაუდევს საფუძვლად (1771 წდან რუსებმა ქართული ანბანი რუსულით ჩაანაცვლეს). აგროვებდნენ შემოწირულობებს სპეციალურად ჩრდ. კავკასი-აში ტყვეობაში მყოფი ქართველების დასახსნელად და სხვ. "კომისიის" მოქმედების პირველ წლებში ადგილი ჰქონდა ქართველი მისიონერების მცდელობას ოსეთი ქართული სამეფოების ქვეშევრდომობაში შემოეყვანათ. ამ მიზნით თბილისში ჩამოვიდნენ "კომისიის" წევრები: ეფრემ ჯანდიერი, თეიმურაზ II და ანტონ I, რომელნიც დიდი პატივით მიიღეს და ყოველმხრივი დახმარებაც აღუთქვეს. სამწუხაროდ "კომისიის" წევრებმა ნიკოლოზ და ქაიხოსრო მახათელიშვილებმა ამ საქმის ინიციატორი პახომი სი-ნოდში დაასმინეს და ეს საქმე ჩაიშალა.

"კომისიის" წევრებს საკმაოდ მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. ზოგ შემთხვევაში მათი სიცოცხლეც კი საფრთხის ქვეშ იდგა. მაგ.: გერმანე თბილელი ლეკებმა ისე მძიმედ დაჭრეს, რომ ძლივს გადარჩა; არქიმანდრიტი პახომი ყაბარდოელმა მთავრებმა გაძარცვეს — წაართვეს ქართველი ტყვეების გამოსახსნელად შეგროვებული ფული; "კომისიის" წევრი გრიგოლ რომანიშვილი თურქეთის აგენტებმა მოკლეს გურიაში 1768 წ. და სხვ. მიუხედავად ამისა ქართველმა მისიონერებმა ღირსეულად შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა. მათ უაღრესად პროგრესული როლი ითამაშეს ჩრდ. კავკასიის ხალხთა

განვითარებაში XVIII ს-ის I ნახ-სა და შუა ხანებში. მათი უანგარო და თავდაუზოგავი მოღვაწეობის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანული რელიგიის აღორძინებასა და განმტკიცებას, ზნე-ჩვეულებების, ცხოვრების წესისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლის საქმეს. ეს კი თავის მხრივ მთიელთა განათლებისა და კულტურის განვითარების და საქართველორუსეთ-ჩრდ. კავკასიის ხალხთა პოლიტიკური დაახლოების საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო.

ლეკთა საკითხის სირთულეები. ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერების პროპორციულად მწიფდებოდა ჭარბელაქანის საკითხი. ეს იყო დაღესტნის მოავაზაკო ელემენტების მეზობელ ბარელებზე თავდასხმის ფორ-პოსტი და თავშესაფარი; მათი საკითხის გადაწყვეტა XVII საუკუნიდან იდგა ირანის ქვეშევრდომობაში მყოფი ხალხების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად. მაგრამ მისი მოგვარება ირანის ტახტის მესვეურებმაც კი, მათ შორის ნადირ შაჰმა, ვერა და ვერ შეძლო.

მომაგრებული ქართლ-კახეთის სამეფო თავს მშვიდად მანამდე ვერ დაიგულებდა, ვიდრე ჭარბელაქნის პრობლემა არ გადაწყდებოდა. მართალია, ქართველთა ძალა რომ იგრძნეს, იქაურმა აღალარებმა ერთგულების პირობების გაცემა დაიწყეს, მაგრამ ამ ცრუ დაპირებებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია. მეტიც, ქართველთა წარმატებებმა კავკასია შეაშფოთა. მაჰმადიანური სახანოები საქართველოს დაქცევადასუსტებას ესწრაფოდნენ. ამ-ჯერად ბრძოლის ინიციატიორად ჭარბელაქანის "უბატონო თემები" გამოვიდნენ (ისინი გრძნობდნენ, რომ ქართველთა პოლიტიკა იქითკენ მიდიოდა, რომ ჩქარა ჭარბელაქანისა და კაკ-ენისელის ქართლ-კახეთის შემად-გენლობაში დაბრუნების საკითხს დააყენებდნენ).

1750 წელს ლეკებმა ქართლ-კახეთზე გენერალური შეტევა წამოიწყეს, მათმა 7000-ანმა ლაშქარმა ერთდროულად კახეთს და ყაზახს შეუტია. ქართველებმა ენერგიული მოქმედებით, ამ საფრთხის უკუგდება მოახერხეს; მტერი სასტიკად დაამარცხეს და ახლა უბატონო თემების დაპყრობისთვის სამზადისს შეუდგნენ. ყველაფერი ისე იყო ორგანიზებული, რომ საქმის წარმატებით დაგვირგვინებას თითქოს ვერაფერი დააბრკოლებდა, მაგრამ ამ დიდ წამოწყებას წინ შექი-შირვანის ხანი, აჯი ჩალაბი აღუდგა, რომელიც ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უძლიერესი მაჰმადიანი მფლობელი იყო და ქართველთა წარმატებებს ერთდროულად შურის და შიშის თვალით უყურებდა. 1751 წელს ჭარელების წინააღმდეგ გალაშქრებულ მეფეებს მო-ულოდნელად სწორედ აჯი ჩალაბის რაზმთან მოუხდათ შეტაკება. უკანას-კნელმა სამხედრო ხერხი იხმარა. ქართველები მის ფანდს წამოეგნენ და 15 თებერვალს აგრიჩაის ნაპირებთან სასტიკად დამარცხდნენ.

ამრიგად ჭარბელაქნის და კაკ-ენისელის საკითხის გადაწყვეტა კიდევ ერთხელ გადაიდო. აგრიჩაისთან მოულოდნელი მარცხის ტკივილი ერთგვარად გაანელა აზატხანზე ბრწყინვალე გამარჯვებამ ყარაბულახთან. მაგრამ აჯი ჩალაბის დასჯა ამიერკავკასიაში ქართლ-კახეთის პრესტიჟს უკავშირდებოდა. ქართველთა მოკავშირე ჯარები (განჯა, ერევანი, ყარაბაღი, ნახიჭევანი) განჯასთან იდგნენ და თითქოს შაქში შესაჭრელად ემზადებოდნენ. აქ ცნობილი გახდა, რომ მათ მტერთან ფარული ურთიერთობა დაამყარეს. მოღალატე ხანების შეპყრობამ და დასჯამ საქმეს ვერ უშველა და მეფეებმა უკან გაბრუნება გადაწყვიტეს. მაგრამ მოულოდნელად მათ გზა ჩასაფრებულმა აჯი ჩალაბის ლაშქარმა გადაუკეტა და 1752 წლის აპრილში ფიცხელ

ბრძოლაში ქართველები კვლავ დამარცხდნენ. ვითარებამ კრიტიკული ხასიათი მიიღო. ქართლ-კახეთი სამი თვე ემზადებოდა შერყეული პრესტიჟის აღსადგენად. ამ ხნის განმავლობაში მეზობელი ხა-ნებისგან წაქეზებული ლეკები საქართველოს წუთითაც არ ასვენებდნენ. არბევდნენ, ანადგურებდნენ, ყაჩაღობდნენ. ერთი პირობა ყუბის, ყარაყაიდდაღის და ავართა მფლობელებთან კავშირში აჯი ჩალაბმა თბილისზე ლაშქრობაც კი განიზრახა, მაგრამ მეფეებმა ენერგიული ღონისძიებები გაატარეს: ლაშქარი შეყარეს და შეფიქრიანებულმა შაქის ხანმა თეიმურაზს ზავი შესთავაზა, მაგრამ უკანასკნელმა შეთავაზება არ მიიღო. მისი გულწრფელობა არ დაიჯერა. იმ ხანებში ერეკლემ ყაბარდოში 2000 მებრძოლი დაიქირავა და ერთგვარად თავისი ლაშქარი გააძლიერა.

აჯი ჩალაბის რაზმები თბილისიდან 60 კილომეტრზე იდგნენ. ერთდროულად ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ავართა დიდი ლაშქარი მოქმედებდა.

ამასობაში ქართველებმა მზადება დაასრულეს. ერთი პირობა რუსეთ-საც კი სთხოვეს დახმარება, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, უარი მიიღეს. სამაგიეროდ ჩრდილოეთ კავკასიაში მოახერხეს გარკვეული კონტინგენტის შეგროვება. ძირითადად კი საკუთარი ძალებით ემზადებოდნენ მტრის დასახვედრად.

1 სექტემბერს თბილისიდან 20 კილომეტრზე ქართველებმა ლეკთა დიდი ლაშქარი გაანადგურეს, 5 სექტემბერს კი გადამწყვეტი ბრძოლა გა-უმართეს აჯი ჩალაბის ლაშქარს და თულქი თაფასთან, ყაზახისა და შამ-შადილის საზღვარზე, მისი ჯარი მთლიანად გაჟლიტეს. ამასთან სამაგალითოდ დასაჯეს ყაზახი და შამშადილელი მოღალატეები.

აზატ ხანმაც ხელი აიღო საქართველოს დაპყრობის განზრახვაზე და ზავი შემოთვალა.

ქართველებმა ამიერკავკასიაში თავისი უპირატესობა განიმტკიცეს.

მაგრამ მეფეებს ესმოდათ, რომ ეს დროებითი წარმატება იყო და ყველაფერი იმაზე იქნებოდა დამოკიდებული თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები მის გარშემო, განსაკუთრებით სპარსეთში.

აშკარა იყო, რომ ქართველი მეფეები ამიერკავკასიის შეკავშირება-განმტკიცებით და ირანში საკუთარი კანდიდატის დასმით, სათანადო პოლიტიკის გატარებას ესწრაფვოდნენ. ამ გარემოებამ განსაკუთრებით შეაშფოთა თურქეთი, რომელიც მზად იყო დახმარება აღმოეჩინა ყველა ძალისთვის, რომელიც ქართლ-კახეთს გაანადგურებდა. მისი წაქეზებით ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლის ავანგრადში კვლავ აჯი ჩალაბი ივარაუდებოდა.

რუსეთში 1752 წლის ელჩობის მომზადება. ქართველთა გეგმები. ასეთი იყო ქართლ-კახეთის მდგომარეობა იმ ხანებში, როცა თეიმურაზმა და ერეკლემ (1752 წ. 30 მაისს) რუსეთში ელჩობა გააგზავნეს მიტროპოლიტ ათანასე თბილელისა და თავად სვიმონ მაყაშვილის მეთაურობით. მეფეები ელჩობას რუსეთში ცარიელი ხელებით როდი ისტუმრებდნენ; მათ მიჰყვებოდათ ამიერკავკასიაში ქართველთა ბრწყინვალე გამარ-ჯვებების ექო და მოპოვებული დიდი ავტორიტეტი. მეფეები ხედავდნენ, რომ წინა აზიაში შექმნილი ამინდი ისეთი იყო, რომ თუ ძლიერი და და-ინტერესებული მოკავშირე ეყოლებოდათ, მათ ახალ, უფრო შორს მიმავალ,

გამარჯვებებს ვერაფერი აღუდგებოდა. ამ მოკავშირედ ისინი რუსეთს მიიჩნევდნენ, რადგან კარგად იცოდნენ კასპიისპირეთში მისი ინტერესები და მისწრაფებები. გაძლიერებული ქართლ-კახეთის და რუსეთის მიზნები თითქოს ერთმანეთს ემთხვეოდნენ.

ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ელჩობის ამოცანა ზოგადად "ატეხილი მტრების წინააღმდეგ" დახმარების თხოვნა იყო. ეს დებულება ზოგადად, რა თქმა უნდა, სწორია, რადგან მტრულად განწყობილი პოლიტიკური ერთეულებით გარშემორტყმულ ქვეყანას დამხმარე და გულშემატკივარი ყოველთვის სჭირდებოდა, მაგრამ ელჩობის გაგზავნის კონკრეტულ პირობებში საქართველო უშუალო მტრებს თვითონაც უმკლავდებოდა. თუ არ ჩავთვლით ლეკთა ავაზაკურ თავდასხმებს, რომლის აღკვეთის ფორმა, ვერა და ვერ მოიძებნა კავკასიაში.

ლეკების საკითხი მთელი XVIII საუკუნის მანძილზე (ადრეულ პერი-ოდებზე, რომ არაფერი ვთქვათ) მართლაც, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო ქართველთათვის: მიუხედავად სერიოზული წარმატებებისა და სამეფოს გავლენის სფეროების მნიშვნელოვანი გაფართოებისა, თეიმურაზმა და ერეკლემ ეს პრობლემა არა თუ ვერ გადაჭრეს, ამ მიმართულებით რაიმე არსებით წარმატებასაც ვერ მიაღწიეს. მართალია, ქართული რაზმები წარმატებით ებრძოდნენ ლეკთა მსხვილ ურდოებს, მაგრამ მცირე ჯგუფების გაუთავებელი, სისხლისმღვრელი შემოტევები იმდენად საზიანო იყო, რომ მეფეთა დიდ წარმატებებს ანეიტრალებდა.

რუსეთს ამ საქმეში მართლაც არსებითი დახმარება ხელეწიფებოდა. იმ 3000-იან რაზმსაც კი, რომელსაც მეფეები ითხოვდნენ, (გაწვრთნილ, რე-გულარულ შენაერთებს) მართლაც დიდი ამოცანები შეეძლო გადაეწყვიტა, ამ შენაერთს ერთ მხრივ გამამხნევებელი და იმედის ჩამნერგავი, ხოლო მეორე მხრივ მტერზე მორალური ზემოქმედების როლი უნდა ეთამაშა.

საკითხთა ჯაჭვში, რომლის დაყენება ელჩებს ევალებოდათ, ცენტრალური ადგილი ირანის პოლიტიკურ მდგომარეობას ეკავა. ქართველმა მეფეებმა შესანიშნავად იცოდნენ ირანის მიმართ პეტრე I-ის პოლიტიკის არ-სი, რომელიც მან შთამომავლობას დაუტოვა გადასაწყვეტად და რაც კას-პიის ზღვაზე გაბატონებას და, დასუსტებული ირანის ხარჯზე თურქთა მოსალოდნელი გაძლიერების აღკვეთას ითვალისწინებდა. პერსპექტივაში კი მთელ ირანზე გაბატონებას და დიდი სავაჭრო გზის ხელში ჩაგდების ოცნებასაც შეიცავდა.

ქართლ-კახეთისთვის ასეთი პერსპექტივა მიმზიდველი იყო, რადგან მაჰმადიან სიუზერენს ქრისტიანი მეზობელი ჩაენაცვლებოდა. მთავარი ის იყო, რომ, რაკი საქართველო პოლიტიკურად და იურიდიულად ირანის ქვეშევრდომ ქვეყნად ითვლებოდა, მისგან თავის დახსნა, განთავისუფლება, ირანის დაცემის გარეშე შეუძლებელი იყო. ქართველები ვარაუდობდნენ, რომ, თუკი მათ მეზობლად რუსეთი მოიკიდებდა ფეხს, იგი ქრისტიან ქვეყანას დახმარების გარეშე არ დატოვებდა (რაშიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ სასტიკად ცდებოდნენ); მაგრამ როგორც არ უნდა განვითარებულიყო მომავალში მოვლენები, მათ არ შეეძლოთ არ ეზრუნათ, რათა ირანში შექმნილი გართულებები თავის სასარგებლოდ და დამპყრობთა უღლის გადასაგდებად გამოეყენებინათ. ამგვარ პერსპექტივას მათ უმტკიცებდა ქართველთა უდიდესი ავტორიტეტი ირანის იმპერიაში და ის გავლენა, რომლითაც მეფეები მთელს აღმოსავლეთში სარგებლობდნენ.

ირანში შექმნილი ვითარება ქართველთა გეგმის განხორციელებას ესადაგებოდა. ისინი კარგად იყვნენ ინფორმირებულნი რუსეთის პოლიტიკის დეტალებზე. როგრც ჩანს, მათ შესანიშნავად იცოდნენ, რომ 1747-1748 წლებში, ჯერ კიდევ ნადირის სიცოცხლეში და მის შემდეგაც, რუსეთსა და ირანს შორის ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ კინაღამ ომამდე მივიდა საქმე. საკითხი დგებოდა გილანის ხელში ჩასაგდებად ახალი ექსპედიციის მოწყობაზე. თუმცა საგარეო საქმეთა კოლეგიამ იმჯერად თავი შეიკავა რადიკალური ნაბიჯისაგან, მაგრამ საგანგებო ღონისძიებები დასახა, რეგიონ-ში თურქეთის მოსალოდნელი აქციების შემთხვევაში, საბრძოლო მზადყოფნის შესახებ.

ამრიგად, დასუსტებული ირანის მიმართ თურქეთსაც და რუსეთსაც სერიოზული პრეტენზიები გააჩნდათ, მაგრამ ერთმანეთის შიშით მათი გამოააშკარავებისა და განხორციელებისგან თავს იკავებდნენ.

ამგვარი ვითარების დაუსრულებლად გაგრძელება არ შეიძლებოდა. იგი ასე თუ ისე უნდა გადაწყვეტილიყო. ქართველების გეგმა ირანში სა-სურველი კანდიდატის დასმას ისახავდა მიზნად, რომელიც მის მეურვეთა მორჩილი და მადლიერი იქნებოდა. მაგრამ დამოუკიდებლად ქართველებს ამის გაკეთება გაუჭირდებოდათ; თუმცა, როგორც ქვევით დავინახავთ, მთელს ირანის იმპერიაში ტახტისთვის ბრძოლაში ორი შესაძლო დაპირის-პირებული ძალა განიხილებოდა ქართველები და ავღანელები.

მაგრამ ჩამოთვლილთა გარდა კიდევ იყო ერთი პრობლემა, რომლითაც ქართველი მეფეები სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებული და რომლის გადაწყვეტა მაშინ მხოლოდ რუსეთის მეშვეობით შეიძლებოდა, ეს იყო ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების ოფიციალური, იურიდიული ცნობა თეიმურაზ II-ის მეთაურობით და მის მემკვიდრედ ერეკლე II-ის აღიარებით.

რუსეთის მდგომარეობა და განწყობა ამიერკავკასიის საქმეების მიმართ. 50-იანი წლების დასაწყისში ევროპაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და იქ რუსეთის სახელმწიფოს ადგილი და მიზნები ირანის საქმეებში აქტიური ჩარევის შესაძლებლობას გამორიცხავდა. ამიტომ რუსეთის ხელისუფალთა მთელი გულისყური იქითკენ იყო მიმართული, რომ არ დაეშვათ ირანის საქმეებში თურქეთის ჩარევა და თავისი მოქმედებით ასეთი ჩარევის საბაბი არ მიეცათ.

იმჟამად საქართველოსთვის დახმარების არგაწევა, ანუ ირანის საქმეებში ჩაურევლობა, რუსეთის პოლიტიკის ხაზი იყო. მართალი არიან ის მკვლევარები, რომლებიც კრიტიკულად უდგებოდნენ და მიუღებლად მიიჩ-ნევდნენ პაპუნა ორბელიანის ცნობას იმის შესახებ, რომ ელჩობის წარუმატებლობა რუსეთში მყოფი ქართველების ინტრიგებმა განაპირობეს.

წინააღმდეგობა ელჩობაში. ამის მიუხედავად, როგორც ჩანს, ინტრიგებს მაინც ჰქონდა ადგილი. იმავე პაპუნას ცნობით, რუსეთის ხელმწიფეს ქართველებისთვის, “იმედი ებრძანა, ჯარი კი არ მოეცათ შურითა ვი-სიმე და ეჩხუბა ისევ ქართველთა შვილსა, თორემ დიდი მოხმარებისა და ჯარის იმედი გვქონდა...” და შემდეგ “მას აქეთ (პეტრე პირველის გარდაცვალების მომდევნო ხანაში — ავტ.) ვინცა ხელმწიფენი დასხდნენ რუსეთისა მპყრობელად, იმათაც მოინდომეს რომ პეტრე ხელმწიფის ანდერძს ვერ მოშლიდნენ, მაგრამ ვინა

ქართველთა შვილნი რუსეთსა შინა იმყოფებოდნენ, იმათ ერთმანეთის მტრობა და შური არ მოშალეს და ამათის მიზეზით ქართლში მოხმარება რუსთა აღარ ინებეს".

რუსეთში მყოფ "ქართველთა შვილთა" ელჩობის საწინააღმდეგო ღო-ნისძიებებზე დოკუმენტური მასალა ჩვენ დღესდღეობით არაფერი გვაქვს, მაგრამ თვით ელჩებს შორის არაერთსულოვნება, შემდეგ კი დაპირისპირებაც რომ იყო, რამაც უარყოფითად იმოქმედა მისიის საქმიანობაზე, სრულიად აშკარაა.

როგორც ირკვევა, ათანასე თბილელი ოფიციალურად ქართლის სამეფოს წარმომადგენელი იყო, სვიმონ მაყაშვილი კახეთისა. დელეგაციის ხელმძღვანელად ათანასე თბილელი ჩანს. მაშასადამე ქართველ მეფეთა დავალების შესრულება ძირითადად მას ეკისრებოდა. მაგრამ, როგორც მაყა-შვილს შეუმჩნევია, იგი ამ მისიის განხორციელებას არ ჩქარობდა. მიზანი: რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის ტახტზე თეიმურაზ II-ის ცნობა, რაც ფაქტობრივად აღნიშნული დიასპორის წარმომადგენელის ქართლის ტახტზე ლეგიტიმური უფლებების აღკვეთას მოასწავებდა. ბუნებრივია, ისინი შეეცდებოდნენ ელჩობას დასახული მიზნები ვერ განეხორციელებინა. რაკი ელჩობის მეთაური ათანასე თბილელი მათი ინტერესების დამცველი იყო, ელჩობის ჩასაშლელად მათ მიერ მიღებულმა ზომებმა სათანადო შედეგი გამოიღეს.

ამრიგად ქართლ-კახეთის იურიდიული ცნობის საკითხი კვლავ ღია დარჩა და მისი მოგვარება ახალ ძალისხმევას მოითხოვდა. ეს საკითხი კიდევ უფრო გაართულა თამარ დედოფლის, ვახტანგ VI ასულის და თე-იმურაზის მეუღლის, გარდაცვალებამ, რომელიც როგორც ითქვა, ვახტანგ V ქალიშვილი იყო და, ამდენად, ქართლის ტახტთან გარკვეული კავშირი ჰქონდა.

ქართლ-კახეთის გაერთიანების იურიდიული აღიარების და მემკვიდრეობის საკითხი. 1752 წლის ელჩობის მსვლელობის გასარკვევად და მის არსში სინათლის შესატანად საჭიროა ზოგიერთი ფაქტის გათვალისწინება: 1744 წლის აქტით ქართლ-კახეთი ფაქტობრივად გაერთიანდა, მაგრამ იურიდიულად ისინი ცალკე სამეფოებად დარჩნენ, მთელი თავისი სამოხელეო აპარატით და სხვა ატრიბუტით. ეს, ცხადია, შემთხვევით არ მომხდარა. ნადირ შაჰმა კარგად იცოდა თუ რას აკეთებდა, როცა თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფეებად დაამტკიცა. გარდა იმისა, რომ ეს დამპყრობელი, რომელიც შექმნილი მდგომარეობის გამო იძულებული იყო თავისი ქრისტიანი ქვეშევრდომებისადმი ლმობიერება გამოეჩინა, და დათმობებზე წასულიყო, იმასაც ითვალისწი-ნებდა, რომ შეცვლილ ვითარებაში, შესაძლოა სრულიად საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარება დასჭირვებოდა. ამდენად მას ქართლისა და კახეთის გაძლიერება მხოლოდ გარკვეულ დროს და გარკვეულ ვითარებაში აინტერესებდა. ნადირ შაჰი ისე გარდაიცვალა, რომ ქართველებისათვის ეს საჭირბოროტო საკითხი გადაუჭრელი დატოვა. ამ დროს თეიმურაზ II ირანში იყო და ტახტისათვის გაჩაღებული ბრძოლის არეულობაში, სხვადასხვა პრეტენდენტებთან ცდილობდა საქართველოსთვის საინტერესო საკითხების მოგვარებას, რომელთა შორის ქართლ-კახეთის გაერთიანების და მისი საერთო მემკვიდრის ოფიციალური ცნობის საკითხი მთავარი იყო. უკანასკნელი, ვისთანაც თეიმურაზს აღნიშნულ საკითხზე შეთანხმება ჰქონდა შაჰრუხ-შაჰი იყო. ამასობაში თეიმურაზიც სამშობლოში დაბრუ-ნდა, ახალმა შაჰმა კი კვლავ დაადასტურა თეიმურაზის პირველობა ამიერ-კავკასიაში და,

რაც მთავარია, ერეკლე მეფის მისი მოადგილეობა და, უნდა ვიგულისხმოთ, მემკვიდრეობა: “მოვიდა ჩაფარი შაჰრუხ-შახ ყაენისა-გან და ებოძა რაყამი და ებოძა მეფის თეიმურაზისთვის, ერაყისა და ადრიბეჟანის სპასალარობა და მეფის ერეკლესთვის ამის ნაიბობისა და დიდის წყალობისა...” ეს დიდი წარმატება იყო, მაგრამ ჯერ არ იყო გაერთიანების ოფიციალური აღიარება. ამის მეტს კი მეფეებმა ყაენისაგან ვერაფერს მიაღწიეს, რადგან ამასობაში ირანის საქმეები ისევ აირია, იქ ფაქტობრივად შაჰი არ იჯდა და ქართველებისთვის არავის ეცალა.

ქართლ-კახეთმა, საუკუნეში მეორედ, თავი ირანისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ირანს ყოველგვარი გადასახადი (სიმბოლურიც კი) შეუწყვიტა და საქართველოს ციხეებში ირანული გარნიზონები ქართულით შეცვალა.

ასეთ ვითარებაში, თეიმურაზმა და ერეკლემ კიდევ ერთი მეტად მნი-შვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს — ქართლი და კახეთი ერთ სამეფოდ გააერთიანეს: (1750 წ.) “მას ჟამსა გააერთნეს ქართლი და კახეთი, იურვიდნენ საქმესა ორსავ ქვეყნისას ერთად. ვითაც მამაშვილნი იყვნეს მეფენი ჩვენნი, სახელმწიფოც გააერთნეს. დაადგინა მეფემ ერეკლემ დედოფალი დარეჯან სახლსა მამისა თვისისა”.

ქართლისა და კახეთის გაერთიანება ერთბაშად უარყოფითად წყვეტდა ქართლის ტახტის რუსეთში მყოფ პრეტენდენტთა უფლებებს და, შე-საბამისად, ამტკიცებდა ერთიანი ქართლ-კახეთის სამეფოს მემკვიდრეობის საკითხს. რაკი ქართლის სამეფო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული აღარ არსებობდა, მაშასადამე ავტომატურად იხსნებოდა ვახტანგის სახლი-სშვილთა პრეტენზიებიც. ამ ღონისძიების ბოლომდე წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ერეკლეს შეეძლო ქართლ-კახეთის მომავალ მფლობელობის საკითხი გადაწყვეტილად მიეჩნია და ყურადღება სხვა მნიშვნელოვან (ქვეყნის ფარგლების შემდგომი გაფართოება) საკითხებზე გადა-ეტანა.

მაგრამ ამ გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება მეტად გართულდა. ამგვარი ვითარებით იყო განპირობებული განხილული 1752 წლის ელ-ჩობა, რომელიც ფაქტობრივად ჩაიშალა და ქართლ-კახეთის გაერთიანების იურიდიული ცნობის საკითხი კვლავ გადაუწყვეტი დარჩა.

ბაქარ ვახტანგის ძის ცდები ქართლის სამეფოს მემკვიდრეობის აღსადგენად. ჯერ კიდევ 1748 წელს ბაქარ ვახტანგის ძემ რომელიც ვახტანგ VI მომხრე სხვა ემიგრანტებთან ერთად რუსეთში ცხოვრობდა ქართლის ტახტის დასაბრუნებლად ენერგიული ბრძოლის დაწყება მოინდომა. იმპერატრიცა ელიზავეტასადმი მიწერილ წერილში, იგი მეფობის მისაღებად ირანში წასვლის სურვილს გამოთქვამდა. გასათვალისწინებალია, რომ არსებული ინფორმაციით 1744 წელს გივი ამილახვარმა, მაშინ ყაბარდოში მყოფ ბაქარს, თეიმურაზის წინააღმდეგ, საქართველოში მოუხმო, მაგრამ ტახტის პრეტენდენტი დარწმუნდა, რომ წარმატებას ვერ მიაღწევდა, ხოლო მისი გამოჩენა სამშობლოს მეტ ზიანს მოუტა-ნდა ვიდრე სიკეთეს და განზრახვისაგან თავი შეიკავა.

ოთხიოდე წელიწადში მისი განწყობილება რადიკალურად შეიცვალა და გულმა სამშობლოსაკენ გამოუწია. ამგვარი გადაწყვეტილების საფუძველი ამ ხანებში მომხდარ რამდენიმე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტშია საძებნი: თამარ დედოფლის გარდაცვალება,

ნადირ შაჰის სიკვდილი, დიდებულთა ქართლ-კახეთის მეფეების წინააღმდეგ შეთქმულების სავარაუდო მომზადება, და, რაც მთავარია, თეიმურაზისა და ერეკლეს გააქტიურება ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების მიმართულებით, რასაც შეიძლება საქმე იქამდე მიეყვანა, რომ ბაქარს ტახტზე ყოველგვარი იურიდიული უფლება დაეკარგა.

როგორც ჩანს, ქართლის ტახტის მაძიებლის, ბაქარის სურვილს აქ რაღაც ძალები ამაგრებდა, რომელთაც რეშტისა და განჯის ხელშეკრულებებში ხსენებული მუხლების ამოქმედება სურდათ. მით უმეტეს, რომ ირა-ნის კარმა ქართლის სამეფო კი ჩააბარა, მაგრამ იურიდიულად ერეკლე II ქართლის მეფედ არ აღიარა. საინტერესოა, რომ ელიზავეტასადმი მიწერილ წერილში ბაქარი შენიშნავდა, რომ თუ მისი ირანში გამგზავრება რაიმე მიზეზის გამო რუსეთის კარისთვის მიუღებელი იქნებოდა, იგი მზად იყო პირდაპირ საქართველოში ჩასასვლელად.

იმჟამად რუსეთის ხელისუფლება საქართველოს საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას ადგა. ბაქარის გაშვება კი სწორედ ამგვარ ჩარევად შეიძლებოდა შეფასებულიყო. ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, მომავალი გეგმების თვალსაზრისით რა უფრო აწყობდა რუსეთის დიპლომატიას, ის, რომ ქართლის ტახტი "კანონიერ" მემკვიდრეს სჭეროდა თუ საქართველოს გამგებლებს ეს საკითხი გადაუწყვეტელი დარჩენოდათ, და მათზე ზემოქმედებისთვის მემკვიდრე პრეტენდენტი, ყოველი შემთხვევისთვის, რუსეთს თავისთან ჰყოლოდა. როგორც ქვევით დავინახავთ, საჭირო ვითარებაში, მან მეტად მოხერხებულად და ეფექტიანად გამოიყენა ქართველ მეფეზე ზემოქმედების ეს საშუალება. მართალია მაშინ აღარც თეიმურაზი იყო ცოცხალი და აღარც მისი ცოლისძმა ბაქარი, მაგრამ ქართლის ტახტის პრეტენდენტის როლში ახლა ალექსანდრე ბაქარის ძე გამოდიოდა, რომლის მოქმედებამ რადიკალური ზემოქმედება მოახდინა ერეკლე II პოლიტიკაზე.

ეს გვიან მოხდა, მანამდე კი რუსეთის კარისაგან მიღებული უარის მიუხედავად, ბაქარ ვახტანგის ძე ჯიუტად ცდილობდა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანას, მას შემდეგაც კი, რაც რუსეთის გამგებლები დაემუქრნენ: თუ შენსას არ დაიშლი, რაც ჩვენგან წყალობა მიიღე, მამულების თუ სხვა სახით, ყველაფერს ჩამოგართმევთო. არ დაიშალა. ჩამოართვეს. მერე შეჰპირდნენ: თუ ჩვენს სიტყვას დაიჯერებ და საქართველოში დაბრუნებაზე ხელს აიღებ, ყველაფერს უკან დაგიბრუნებთო. კვლავ არ დაიშალა და ძნელი განსასაზღვრავია, რა ამბავი შეიძლება დატრიალებულიყო საქართველოში, რომ მოულოდნელად, 1750 წლის 1 თებერვალს ბაქარი არ გარდაცვლილიყო.

შემთხვევითი იყო თუ არა ბაქარის მოულოდნელი გარდაცვალება არავინ იცის, მაგრამ დამაფიქრებელია, ბაქარის ამგვარი სიჯიუტე და სწრაფვა. როგორც აღვნიშნეთ, თავის დროზე თეიმურაზი თვითონ ეპატიჟებოდა მას რათა კუთვნილი ტახტი დაეკავებია, მაგრამ უარი თქვა. ახლა, როცა ქართლ-კახეთის გაერთიანება რეალური შეიქმნა, სავარაუდოა, რომ, ქართლის განაწყენებული დიდებულების ჩარევით, აქ რაღაც შეთქმულების სამზადისი იყო, რომელსაც ბაქარი უნდა ჩადგომოდა სათავეში. ასე იყო თუ ისე, იმჯერად საშიშროებამ ჩაიარა.

ბაქარის სახით თეიმურაზს და ერეკლეს ერთ-ერთი მთავარი მოცილე ჩამოსცილდა.

მაგრამ თეიმურაზს და ერეკლეს გაუჭირდათ ქართლისა და კახეთის გაერთიანების ცხოვრებაში გატარება. ყოველ შემთხვევაში, არსებული მასალების მიხედვით არ ჩანს, რომ გარდა აღნიშნული გადაწყვეტილების გამოცხადებისა, მათ ამ მიმართულებით სათანადო ღონისძიებების გატარების პოლიტიკა გაეგრძელებინათ. (სახელმწიფო აპარატის შეერთება, გარდაქმნა და სხვა). ამას თვით ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ერეკლე და თეიმურაზი ორივე მეფედ იხსენიება თანაც ერთი ქართლისა, მეორე კი კახეთისა.

ქართლ-კახეთის გაერთიანების სამართლებრივი ცნობის პრობლემა. ამრიგად, ქართლისა და კახეთის გაერთიანების იურიდიული გაფორმების საკითხი გართულდა. ადგილზე მისი გადაწყვეტა შეუძლებელი შეიქნა. საჭირო იყო გარეშე ძალა, დიდი ავტორიტეტული სახელმწიფო, რომელიც ამ პოლიტიკურ აქტს ცნობდა და ვახტანგის სახლისშვილთა პრეტენზიებს მოხსნიდა.

იქ არსებული მდგომარეობა და, განსაკუთრებით, თეიმურაზისა და ერეკლეს შემდგომი გეგმების განხორციელების პერსპექტივები, ირანის, სა-კითხს უკანა პლანზე აყენებდა და ერთადერთ სასურველ გამოსავალად ზემოხსენებული აქტის, რაღაც ფორმით, რუსეთის მიერ ცნობა და დამტ-კიცება რჩებოდა. მით უმეტეს, რომ ქართლის ტახტის ძირითადი პრეტენდენტები რუსეთში ცხოვრობდნენ და თავიანთი სურვილების განხორიცლებაში ძირითადად რუსეთზე იყვნენ ორიენტირებულნი.

მაგრამ რთული საერთაშორისო ვითარებისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკის განსხვავებული მიმართულების გამო, რუსეთის მხრიდან რაიმე რეალური დახმარების იმედი იმჯერად უპერსპექტივო იყო.

ურთიერთობა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებთან. რუსეთი და თურქეთი, ერთმანეთის შიშით არ ერეოდნენ ირანის და მისი ყოფილი ქვეშევრდომების საქმეებში, ირანში ცენტრალური ხელისუფლების, ფაქტობრივი არარსებობის პირობებში, მის ხელდებულ კავკასიაში ჩვეული თანაფარდობა და ნომინალური წესრიგიც დაირღვა. ირანის ფორმალური ქვეშევრდომები თავისი თავის იმედზეღა რჩებოდნენ. ასეთ ვითარებაში აზერბაიჯანის ხანები ძრწოლით შეჰყურებდნენ, თუ როგორ აფართოებდნენ თავის გავლენის სფეროს ქრისტიანი მეფეები — თეიმურაზი და ერეკლე და მათ დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნიდნენ.

მეფეები აშკარად შეცდნენ, თუ მართლაც გაამჟღავნეს თავიანთი გულისნადები (როგორც რუსი ისტორიკოსი პ. ბუტკოვი ირწმუნება), კერძოდ, განზრახვები ირანის ტახტის დაკავების თაობაზე.

ყოველ შემთხვევაში 1752 ელჩობის საიდმულო პუნქტები, ირანში შე-ჭრისა და იქ სასურველი შაჰის ტახტზე აყვანის თაობაზე, გავრცელდა და ამ ხმებმა ამიერკავკასიის სახანოებამდე თავისებური შეფერილობით მიაღწია: ქართველებს თვითონ სურთ ირანის ტახტის ხელში ჩაგდება, ირანის და მისი ქვეშევრდომი მოსახლეობის გაქრისტიანება და ა. შ.

სახანოების ანტიქართული და ანტი ქრისტიანული სულისკვეთება, ასეთ ვითარებაში, კიდევ უფრო მწვავდებოდა. “დამპყრობი” გურჯისტანის განადგურება გარემომცველ სამყაროს თავის გადარჩენის ერთადერთ საშუ-ალებად ესახებოდა. ამ განწყობილებას მოხერხებულად ნერგავდა

და აღვივებდა თურქეთის აგენტურა, რომელიც მიუხედავად დიდი სურვილისა, საქმეში აშკარა ჩარევისაგან, რუსეთის გამო, თავს იკავებდა.

ამ ხმებს ევროპელი თანამედროვენიც ადასტურებდნენ. მაგალითად ინგლისელ მოგზაურს, ჰანვეისაც მიაჩნდა, რომ ერეკლე შაჰის ტახტისთვის იბრძოდა, თუმცა ქრისტიანობის და, აგრეთვე, თურქეთთან მოსალოდნელი დაპირისპირების გამო, ამ მიმართულებით მის წარმატებას ერთობ სა-ეჭვოდ თვლიდა.

ერეკლე რეალისტი პოლიტიკოსი იყო და, ძნელი დასაჯერებელია, ირანის ტახტის დაკავების თვალსაზრისით რაიმე ილუზიები გასჩენოდა. სხვა საკითხია, ამ პატივის მისაღები კანდიდატურისთვის მინიჭება, რის სურვილსაც იგი არ მალავდა და არაუსაფუძვლოდაც თვლიდა, რომ იმპერიაში თავის მდგომარეობის (გურჯისტანის ვალი) გამო იგი ამ საქმეში სერიოზულ ძალას წარმოადგენდა.

ისე იყო თუ ასე, ირანის ცენტრალური ხელისუფლების სისუსტემ ამიერკავკასიის საქმეები კიდევ უფრო არია და ამის მოწესრიგებაში ერე-კლე და თეიმურაზი მართლაც სასიცოცხლოდ იყვნენ დაინტერესებულნი. წესრიგის აღსადგენად კი თავისი ძალაუფლების დამტკიცება იყო საჭირო.

ლეკთა შემოსევების ხასიათი, მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები. საქართველოს მრავალრიცხოვან მტერთაგან 1750-1760 წლებში, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებით ლეკები მძვინვარებდნენ. მათი თავდასხმის ტრადიციული და ნაცადი მეთოდი ის იყო, რომ მთებიდან ჩამო-სულები და წვრილწვრილ გუნდებად დანაწილებულები, ბარში უღრან, მიუვალ ადგილებში იბუდებდნენ და მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვას და ტაცებას ეწეოდნენ. ამასთან სამოქმედოდ ძირითადად ისეთ დროს ირ-ჩევდნენ, როცა ბარის მცხოვრებნი გაცხოველებულ სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში იყვნენ ჩაბმულნი. ამ დროს მინდვრად მშრომელ მიწის მოქმედთა წინააღმდეგ ბრძოლაც ადვილი იყო და ოჯახში უმამაკაცებოდ დარჩენილ ქალბალღებისაც. ისინი იტაცებდნენ ყველაფერს: ადამიანებს, საქონელს, იარაღს, ჭურჭელს, სურსათს და ა. შ. იყო შემთხვევა, როცა მათ კერაზე ქვაბით მდუღარე ლობიოც კი წაუღიათ. უკან კვლავ მიუვალი უღრანი ხევ- ხუვებით ბრუნდებოდნენ და ჭარს რომ მიაღწევდნენ სამშვიდობოს იყვნენ გასული. აქ შეეძლოთ დაესვენათ, ნაძარცვი შეენახათ და, ახალი რბევისთვის, უკან დაბრუნებულიყვნენ.

მოტაცებულ ტყვეებს ძირითადად ყირიმელ ვაჭრებზე ასაღებდნენ.

ქართველებს, წლების განმავლობაში მათ წინააღმდეგ ბრძოლის არა-ერთი მეთოდი ჰქონდათ შემუშავებული: მდევრის დაუყოვნებლივ შეკრება და მისი მატერიალური დაინტერესება, სიგნალიზაცია და ხალხის სასწრაფოდ ციხეებსა და მიუვალ ადგილებში გახიზვნა, ბოლოს ჭარისა და დაღესტნის სოფლებზე საპასუხო თავდასხმები, მაგრამ განსაკუთრებულ ეფექტს მაინც ვერ აღწევდნენ.

ლეკების წინააღმდეგ ბრძოლას უშუალოდ ერეკლე ხელმძღვანელობდა. არსებული ცნობებით იგი, ფაქტობრივად, ზოგჯერ 2-3 დღის განმავლობაში უნაგირზე იჯდა და ლეკთა ურდოებს ებრძოდა კახეთში, საგურამოში თუ ქართლის სოფლებში.

ძნელი არ არის იმის წარმოდგენა თუ რა ფიზიკურ და მატერიალურ ზარალს აყენებდა ეს შემოსევები ქვეყანას. ლეკების შიშით ხშირად მთელი სოფლები იცლებოდა.

იმ ხანებში გათამამებულმა ავაზაკებმა მოქმედების გეგმა შეცვალეს და წვრილწვრილი ძარცვების პარალელურად ქართლ-კახეთის ერთიანი განადგურება გადაწყვიტეს.

ქართლ-კახეთის განადგურების გეგმის ჩაშლა. მჭადიჯვრის ბრძოლა. 1754 წელს ხუნძახის ბატონმა დიდ ლაშქარს მოუყარა თავი და ალაზანი გადმოლახა. გზადაგზა მას ლეკთა ახალი რაზმები ემატებოდა.

კახეთის მოსახლეობა ერეკლემ ციხეებში და მიუვალ ადგილებში შე-იყვანა. ქართლის გახიზვნას თეიმურაზი ჩაუდგა სათავეში. მტერი კახეთს მიადგა, იქაურობა დაარბია, შემდეგ არაგვის ხეობაში გადავიდა და მჭადიჯვრის ციხეს შემოარტყა ალყა, რათა იქ შეხიზნული ხალხი დაეტყვევებინა.

ჯარის სიმცირის მიუხედავად, ერეკლე მხნედ შეეგება რიცხვმრავალ მომხდურს. სასტიკი ბრძოლა 16 აგვისტოს დუშეთის მიდამოებში გაიმართა. ლეკთა ქვეითი ლაშქარი ქართველებისას მნიშვნელოვნად აჭარბებდა “მაგრამ ერეკლეს სიმხნემ და სამხედრო ნიჭმა”, ომის ბედი ქართველთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. ბრძოლის ერთ-ერთი მონაწილის სიტყვებით რომ ვთქვათ “რა გასჭირდა ომი, ბრძანა ბატონმა (ე. ი. ერეკლემ) დაქვეითება ჯარისა. გადახდა თვით მეფე ერეკლე ცხენისაგან და უბრძანა გადახდომა ყოველთა: — “ეს არის დღე ვაჟკაცობისაო და სიყვარული სჯული-საო” — დაიქვეითეს ქართველთა და კახთა, შეიქნა სროლა თოფთა, რომ კომლისაგან კაცი აღარა ჩანდა. მეფე ერეკლე ხან იქით, ხან აქა აძლიერებდა ჯარსა და პირდებოდა წყალობასა. შეუტიეს ქართველთა და კახთა გულსრულად, დაუშინეს ზამბურაკნი და ზარბაზანნი. გააქციეს ერთი დასი ჯარი ლეკისა, ჰკრეს ეს გაქცეული ჯარი მეორისა ჯარსა, აირივა ეს საშინელი ჯარი ლეკისა. გაიქცნენ, შეუტივეს ხმალდახმალ (ქართველთა), დაერივნენ შიგ, რომ ვითა კატა ეგრე ხოცდნენ ლეკთა. თვითონ მეფემ, ერეკლემ, ჩამოკაფა ლეკი ხმალდახმალ, მიყვეს ხოცვით არაგვამდის”... მაგრამ ლეკთა უბედურება ამით არ დამთავრებულა “წავიდა ეს დამარცხებული ჯარი, გაიარა, დახვდნენ კახნი და დაუმრცხეს. მივიდა ხუნძახის ბატონი სირცხვილეული დაღისტანში”.

ქართველები ზეიმობდნენ, მაგრამ ლეკთა წვრილწვრილი, ქურდული თარეშები გრძელდებოდა.

ყვარლის ციხის გმირული დაცვა. მჭადიჯვართან განცდილმა მარცხმა, ნურსალ ბეგს ჭკუა ვერ ასწავლა. სირცხვილი რომ გამოესყიდა ქართლ-კახეთის განადგურებისთვის მზადებას გულმოდგინედ შეუდგა. მთელი დაღესტანი და ჭარბელაქანი ფეხზე დააყენა. ოციათასიანი ლაშქარი შეჰყარა და ყვარლის ციხესთან დადგა. აქედან იგი მოციქულებს აგზავნიდა განჯას, შაქს და ა. შ. და მებრძოლებს იმატებდა.

ქართველებმა წინასწარ მიიღეს ზომები და მოსახლეობა ციხეებსა და სხვა გაუვალ ადგილებში გახიზნეს. გაღმა მხრის მოსახლეობა ყვარლის ციხეში იყო თავშეფარებული. გახიზნულებს ოთხი თვის სურსათი ჰქო-ნდათ. სწორედ ყვარლის ციხეს შემოადგა შაქის ხანი ოციათასიანი ლა-შქრით.

იმის გამო, რომ ლეკის ჯარი რიცხობრივად ჭარბობდა ქართველებს (ერეკლეს არ შეეძლო სხვა ციხეები უგარნიზონოდ დაეტოვებინა და მთელი ძალები ყვარელთან მოეყვანა), ამიტომ ლეკებთან პირდაპირ შებმა მიზანშეწონილი არ იყო, მტრის დამარცხება მხოლოდ მოქნილი ტაქტიკით შეიძლებოდა.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ დამცველები, რადგან მოალყეებმა მოახერხეს ისეთი მაღალი საფრების შეკვრა, რომ შიგ ციხეში ჩაისროდნენ თოფს.

ერეკლემ მეციხოვნეთა გასამხნევებლად და გასაძლიერებლად ციხეში დამხმარე რაზმის შეგზავნა გადაწყვიტა. მოხალისეებს თუ თავადი ან აზ-ნაური იქნებოდა მეფემ თანამდებობები აღუთქვა, გლეხებს კი გააზატება (ბატონყმობისგან განთავისუფლება). საგმირო საქმეზე 206 ვაჟკაცი შეიკრიბა: 6 თავადიშვილი, 2 აზნაური, ერთი მღვდელი და დანარჩენი გლეხები, რომელთაგან ასსამი ქიზიყელი იყო.

თავდადებულმა პატრიოტებმა მოქმედება ღამით დაიწყეს, გადალახეს ალაზანი და ციხისკენ ხმალდახმალ გაიკაფეს გზა. ლეკთა ყარაულების ხელჩართულ ბრძოლაში დამარცხებით ციხეს მიაღწიეს და შიგ თოფისწამლის მარაგი შეიტანეს. გამხნევებულმა ციხისელებმა გაათამაგებული ენერგიით გაშალეს ბრძოლა და მოალყეთა გალავნის გარშემო აგებული საფრების დაწვა მოახერხეს. მტრის ბანაკში მერყეობა დაიწყო.

ამასობაში ერეკლემ მამაც მეომართა რაზმი ჭარის დასარბევად გაგზავნა. ქართველებმა დაუცველად დატოვებული ჭარიდან დიდძალი საქონელი და ტყვე გამორეკეს. ყვარელთან მდგარი ჭარლელები შეშფოთდნენ და სახლში წასვლა დააპირეს, ერთხანს ნურსალ ბეგმა მოახერხა მათი შეკავება, მაგრამ, როცა ქართველებმა ამ ოპერაციის უფრო დიდი მასშტაბით გამეორება სცადეს, მოალყეთა შემადგენლობა აირია. ჭარელები სახლებს დაუბრუნდნენ. ერეკლემ ხერხი იხმარა ჯარს მათთან შებმა კი არ უბრძანა, არამედ ალაზნის პირას გაჩერება, რომ ჭარელ ჯარს სახლების მიტოვება არ შეძლებოდა.

ერეკლეს ხერხმა გაჭრა. ჭარელებმა ციხე მიატოვეს და მთლიანად უკან დაბრუნება განიზრახეს, ამის გამო მათსა და ლეკებს შორის დაპირი-სპირება ჩამოვარდა და ერთმანეთს დაერივნენ.

ჭარელებს კაკის სულთანიც მიჰყვა, რადგან ქართველთა თავდასხმა მის სამფლობელოს ემუქრებოდა, ამის შემდეგ ნუხის ხანმაც თავის ქვეყა-ნას მიაშურა. მარტოდ დარჩენილ დაღესტნელებს ციხის აღების იმედი გადაეწურათ და თანდათან ისინიც ჩამოსცილდნენ მას. ბოლოს ნურსალ ბეგმა და შამხალმაც მიატოვეს პოზიციები.

ნურსალბეგმა შურისძიების ნაცვლად ახალი მარცხი იწვნია. საქართველოს აოხრების გეგმა ჩაიშალა. თუმცა ლეკთა წვრილი შემოტევები არ წყდებოდა, ცხადია, ნაკლები ინტენსივობით.

1756 წელს დაღესტნელებს ახალი ორგანიზატორი კოხტა ბელადი გამოუჩნდათ და ზემო ქართლს შეესივნენ, 1757 წელს კი ლიახვის ხეობას მოედვნენ. ქართველებმა ეს შემოსევებიც წარმატებით მოიგერიეს და დაღესტნელთა ჟინი მნიშვნელოვნად დააშოშმინეს. მაგრამ ეს დროებითი შესვენება იყო.

მტრული პოლიტიკური ერთეულებით გარშემორტყმული ქართლ-კახეთის სამეფო მოკავშირის და დამხმარე ძალის ძიების აუცილებლობის წინაშე იდგა.

თავი XXXVI. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა 60-70-იან წლებში

ქართლ-კახეთის მემკვიდრეობის საკითხი. მიუხედავად მთელი რიგი საგარეო თუ საშინაო წარმატებებისა, ქართლ-კახეთის გაერთიანების იურიდიული ცნობის და მისი საერთო მემკვიდრის აღიარების საკითხი კვლავ გადაუჭრელი რჩებოდა.

ამ საკითხის მოსაგვარებლად ქართველმა პოლიტიკოსებმა თავდაპირველად ჭკვიანური გამოსავალი მოძებნეს. თეიმურაზმა და ერეკლემ ორივე სამეფოს ტახტი ერთ უფლისწულს, ერეკლეს პირმშოს, ვახტანგს უანდერძეს: “მეფეს თეიმურაზს მეფის ერეკლეს მეტი ძე არ ესვა და ორთავ მეფეთა სასურველი ვახტანგი იყო ძე მეფის ერეკლესი; მშვენიერი და ხელმწიფობასა მათისა საკადრი ძე ყოვლისა სიკეთითა შეპყრობილი. ასაკითა იყო მცირე, მაგრამ ამას იტყოდა მისი მნახველი “ეხლავ ხელმწიფობა შეეფერებაო”. ამას უბოძეს მეფეთა რაც ქართლში ან კახეთში საბატონი-შვილო მამული იყო, სოფელი ან ციხე და ალაგი, აგრეთვე, არაგვს ერისთავის მამული, მთლივ მთა და ბარი საუფლისწულო მამულად გაურიგეს” გვაუწყებს წყარო.

ქართლის თავადური ოპოზიციისთვის ამგვარი ნაბიჯი ადვილად მი-საღები არ იქნებოდა. მეფეებმა ეს გაითვალისწინეს და უფლისწულის რე-გენტობა ქართლის გავლენიან თავადთა წარმომადგენლებს უბოძეს.

პარალელურად ახალგაზრდა მემკვიდრე სახელმწიფო საქმეებში ჩართეს, სამხედრო ოპერაციებშიც თავის გამოჩენის ასპარეზი გაუხსნეს.

მაგრამ მეფეთა ჭკვიანური გადაწყვეტილება უბედურმა შემთხვევამ შეიწირა. 1759 წელს ვახტანგ ბატონიშვილს ყვავილი შეეყარა. მორჩა და 40 დღის გასვლის (ეს ვადა საბოლოო გამოჯანმრთელებას ადასტურებდა) შემდეგ აბანოში წაიყვანეს. მაგრამ მოხდა მოულოდნელი, ბატონიშვილს ავადმყოფობა შეუბრუნდა და ორი ტახტის მემკვიდრე და იმედი — გარდაიცვალა. თეიმურაზისა და ერეკლესთვის, განსაკუთრებით კი ქართლ-კახეთისთვის ეს იყო აუნაზღაურებელი ტრაგედია.

ქვეყანაში კი დაძაბული ვითარება გრძელდებოდა.

მაჰმადიანური გარემოცვა გარეგნულად, ნაწილობრივ მაინც თუ ინარ-ჩუნებდა ერთგვარ მორჩილებას და თავშეკავებას, გულში საპირისპიროს ოცნებობდა. ლეკების საკითხი ვერა და ვერ გადაწყდა. რაც მთავარია, ირანისაგან ფაქტობრივი თავისუფლება იქ არსებული არეულობით იყო გამაგრებული. ამ ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესების პირობებში, რაც დღეს თუ ხვალ გარდაუვალი იყო, საქართველოს დამოუკიდებლობა არც დადასტურდებოდა და არც მიიღებოდა.

მთლიანად საქართველოს, როგორც სახელმწიფოს გადარჩენის საკითხი მის გაერთიანებაზე იყო დამყარებული. ეს უფრო რთული პრობლემა იყო, ვიდრე ირანთან საქმის მოგვარება და, გარეშე ძალის გამოუყენებლად, გადაუწყვეტელი ჩანდა.

მეფე თეიმურაზის რუსეთში ელჩობის საკითხი. დაახლოებით 6 წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც მეფეებს რუსეთიდან ხელმოცარული ელჩობა არასრული შემადგენლობით დაუბრუნდათ და ქართლ-კახეთის გამგებლებმა, თვით თეიმურაზ II-ის მეთაურობით, რუსეთში ახალი ელ-ჩობის გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღეს.

ნადირ შაჰის მიერ შექმნილი იმპერია მისი სიკვდილის შემდეგ დაი-შალა. ამ ფაქტით ბევრმა მისმა სატელიტმა ისარგებლა და სპარსეთის მორჩილებას თავი აარიდა. იმპერიის პოლიტიკურ სისუსტეს ემყარებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს ფაქტობრივი დამოუკიდებლობაც. ამიტომ ქართველობამ, რაკი იცოდა, დღეს თუ ხვალ სპარსეთი წელში გასწორდებოდა, ბუნებრივია უნდა ცდილიყო იქ ძალაუფლება მათთვის სასურველ პიროვ-ნებას აეღო. შექმნილი ვითარება, ამიერკავკასიაში ქართველთა მაღალი ავტორიტეტი, სამხედრო პოტენციალი და მეზობელ სახანოებზე ზეგავლენა, ამასთან იმპერიის სტრუქტურაში საქართველოს ვალის (შაჰის მოადგილის) უდაო პრიორიტეტი, თეიმურაზს და ერეკლეს საფუძველს უქმნიდა აქტი-ურად ჩარეულიყვნენ ირანის გამგებლობისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში. როგორც აღვნიშნეთ, ის აზრიც აქტიურად მუსირებდა, რომ მეფეებს თვითონ სურდათ ირანის იმპერიაში ძალაუფლების აღება. ამგვარი შეხედულება თუ შიში, იმ დროის როგორც წინა აზიის, ისე ევროპის პოლიტი-კოსებში ინტენსიურად ვრცელდებოდა.

მაგრამ მეფე მამა-შვილს ამგვარი მისწრაფება არ ჰქონდათ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მაჰმადიანური იმპერია ქრისტიან ხელმწიფეს არ იგუებდა, თეიმურაზის და ერეკლეს მხრიდან რელიგიური კომპრომისი კი გამორიცხული იყო.

ის კი აშკარაა, რომ ქართლ-კახეთის მეფეები შექმნილი ვითარების თავისი გეგმების სასარგებლოდ გამოყენებაზე ფიქრობდნენ და მზად იყვნენ, თუკი საამისოდ ფიზიკური და მორალური მხარდაჭერა ექნებოდათ, აქტიურად ჩართულიყვნენ ირანის საქმეებში და იქ სასურველი მბრძანებლის გაბატონებისთვის მიეღწიათ. მეტიც, ისინი ამგვარ მხარდაჭერას ეძი-ებდნენ და ამ როლში რუსეთს მოიაზრებდნენ.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი მთიელი აგრესიული თემების, საერთო სახელწოდებით, ლეკების, მოთვინიერება იყო. რაშიც ისტორიულად ქართული, შემდეგ კი მთიელთა გავლენაში მოქცეული რეგიონის, ჭარბელაქანის, როგორც ლეკების შემოტევათა დასაყრდენის, დაკავების მისწრაფებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ირანმა და საქართველომ ეს პრობლემა ერთობლივად ვერ მოაგვარეს. სპარსეთის დასუსტების შემდეგ, ლეკებმა მეტი თავისუფლება იგრძნეს და თავისი მტრული მოქმედება გააძლიერეს. ახლა მეფეები ვარაუდობდნენ, რომ თუ ლეკებზე ზეწოლა ჩრდილოეთიდანაც განხორციელდებოდა, ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნებოდა.

მესამე უმნიშვნელოვანესი პრობლემა ქართლისა და კახეთის სამეფოების იურიდიული გაერთიანება იყო. ამ საკითხის გადაწყვეტა, ორივე სამეფოსთვის ერთი მემკვიდრის

გამოცხადება, ამ მიმართულებით გადადგმული ერთი ნაბიჯი იყო, მაგრამ ვახტანგ ბატონიშვილის უდროოდ გარდაცვალებამ, ესეც გააუფასურა. თეიმურაზი მოხუცებულობაში შედიოდა, ქართლის ტახტის მემკვიდრეობის საკითხი ჰაერში გამოკიდებული რჩებოდა. პეტერბურგში ამ ტახტის ლეგიტიმური პრეტენდენტების (ვახტანგის სახლისშვილთა) ყოფნა საკითხს კიდევ უფრო ამწვავებდა.

საქართველოს საშინაო სირთულეები ელჩობის წინ. რაკი ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ იგულისხმებოდა მას, ერთი მმართველი უნდა ჰყოლოდა. ბუნებრივია, იგი ახალგაზრდა, ენერგიული და უკვე სახელოვანი, ერეკლე II იქნებოდა. ეს აზრი არ შეიძლება მისაღები არ ყოფილიყო ისეთი მაღალი რანგის პოლიტიკოსისთვის, როგორადაც თეიმურაზ II ვიცნობთ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა ზემოდასახელებულ პრობლემათა მოგვარების კვალობაზე, ელჩობის მიზანი არ გამორიცხავდა, თუ ამის შესაძლებლობა და ორმხრივი სურვილი იქნებოდა, ქართლის მეფე საცხოვრებლად რუსეთში დარჩენილიყო. იქ თავისი ოჯახის წევრის ყოფნას ერეკლე მოგვიანებითაც ესწრაფვოდა და ცდილობდა, რათა საიმ-პერატორო კარზე წარმომადგენელი და ინტერესთა დამცველი ჰყოლოდა. რუსეთში მყოფი ვახტანგ VI-ის სახლიშვილთა პარტია, კახეთის ბაგრატიო-ნთა მიერ ქართლის ტახტის დაკავებას, არაუსაფუძვლოდ, თავისი ლეგიტიმური უფლებების ხელყოფად მიიჩნევდა და სასტიკად ეწინააღმდეგებოდა (მოვიგონოთ ათანასე თბილელის ელჩობის ისტორია).

ეს ფაქტორი გვირგვინოსან მამა-შვილს მეტად მნიშვნელოვნად მია-ჩნდათ და მის გასანეიტრალებლად ელჩობის მომზადების პერიოდშიც ენერგიული ღონისძიებები გაატარეს. ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ამ მიზანს ემსახურებოდა თეიმურაზისა და ერეკლეს წერილები რუსეთში მცხოვრები ბატონიშვილებისა თუ სხვა ქართველი გავლენიანი პირებისადმი ელჩობისთვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე. ამავე მიზანს ემსახურებოდა პაპუნა გაბაშვილის წერილიც ალექსანდრე ბაქარის ძისადმი — თეიმურაზმა და ერეკლემ დამავალეს გაცნობო, რომ თუ სურვილი გაქვს, ჩამოდი საქართველოში და ქართლის ტახტს დაეპატრონეო, თუკი რუსის ხელმწიფე დაგეხმარება და მხარს დაგიჭერსო. აშკარაა, რომ მეფეებს ამით ვახტანგის სახლისშვილთა ყურადღების მოდუნება უნდოდათ, თორემ ქართლის ტახტის დათმობას არავისთვის არ აპირებდნენ.

ამავე მიზანს, და ამავე დროს ქართლის თავადური ოპოზიციისადმი ანგარიშის გაწევას, უკავშირდება ერთი გარემოებაც. რუსეთში წასასვლელად გამზადებულმა თეიმურაზმა ქართლის გამგებლობა ოფიციალურად ერეკლეს კი არა, გიორგი ბატონიშვილს დაუტოვა. პლატონ იოსელიანის ცნობით: "ოდეს დროთა გარემოებათა გამო წარვიდა რუსეთად (1760 წელსა) მეფე თეიმურაზ, მაშინ მეფისა ძესა გიორგის, ვითარცა შვილიშვილსა, უბოძა სკიპტრა ქართლისა მეფობისა, გარემოსდვა მას თავისი სამეფო ხრმალი, დაჰკიდა მას ძალი მორწმუნეთა ჯვარი ძელ-ჭეშმარიტითა ცმული, ოქროსა ჯაჭვითა საკიდარი და თვალიმარგალიტით შემკული, მცხეთის ეკლესიასა შინა, თანადასწრებითა იოსებ კათალიკოსისა და ეპის-კოპოსისთა, თავადთა აზნაურთა და კარისკაცთა იგი ღვთისმშობლის მცირედითა ხატითა"... და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად თეიმურაზის საქართველოდან წა-სვლა (რა თქმა უნდა სულ სხვა მოტივით), ავტომატურად წყვეტდა ქართლის ტახტის მემკვიდრეობის საკითხს.

გიორგი ბატონიშვილისთვის უფლებების გადაცემა მტრისთვის თვალის ასახვევი მანევრი იყო და მემ-კვიდრეობას ერეკლე დაეუფლებოდა, რასაც ქართლისა და კახეთის სამეფოების ფაქტობრივი, ნაწილობრივ იურიდიული, გაერთიანება მოჰყვებოდა (რაც კიდეც მოხდა).

ამრიგად, თეიმურაზის რუსეთში გამგზავრების გავრცელებული ზემოთმოტანილი ვერსიები სინამდვილეს ზუსტად არ შეეფერება, მაგრამ მათ გაჩენას გარკვეული საფუძველი ჰქონდა. ქართლ-კახეთის ფაქტობრივი და იურიდიული გაერთიანების ინტერესებიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ თუ რუსეთის მხარის სათანადო ნებაც იქნებოდა, თეიმურაზი მზად იყო საცხოვრებლად რუსეთში დარჩენილიყო.

ელჩობის გამგზავრება და რუსეთის პოზიცია. ელჩობა საქართველოდან 1760 წლის აპრილის შუა რიცხვებში გაემგზავრა. რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა იმ დროს ისეთი იყო, რომ ქართული წარმომად-გენლობის მიღება მას მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნიდა. რუსეთის იმ-პერია ევროპის საქმეებში იყო ჩაფლული. იგულისხმება ომი ერთი მხრივ პრუსია ინგლისსა და მეორე მხრივ საფრანგეთ-ავსტრიარუსეთს შორის. მოკავშირეების უნიათობის გამო ომის მთელი სიმძიმე რუსეთს დააწვა მხრებზე, რაც მას დიდ მატერიალურ და ფიზიკურ ზიანს აყენებდა. დაიძაბა ქვეყნის ეკონომიკა, შეფერხდა ვაჭრობა, დაცარიელდა ხაზინა. თურქეთი, რომელსაც ინგლისი რუსეთის წინააღმდეგ ენერგიულად აქეზებდა, ომის-გან მხოლოდ იმისთვის იკავებდა თავს, რომ ეშინოდა, ამით ირანსა და ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების გამტკიცება არ გამოეწვია. ამავე დროს, იგი ფხიზლად ადევნებდა თვალს რეგიონში რუსეთის ყველა ნაბიჯს და მზად იყო საპასუხო აქციებისთვის. ერთი სიტყვით, ირანსა და ამიერკავკასიის საქმეებში ჩარევა, თურქეთთან ურთიერთობას უკიდურე-სად გაამწვავებდა. ერთდროულად ორი ომის წარმოება რუსეთს არ შეეძლო. ამიტომ გასაგებია ის დიდი შეშფოთება, რაც საიმპერატორო კარზე თეიმურაზის ელჩობის საზღვართან გამოჩენამ გამოიწვია. სავარაუდოა, რომ ერეკლე და თეიმურაზი ანგარიშს უწევდნენ რუსეთის მძიმე მდგომარეობას, შიშობდნენ, რომ წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში რუ-სეთის დიპლომატია ელჩობის გამოგზავნას არ ისურვებდა და, სწორედ ამიტომ, განახორციელეს იგი წინასწარ ყოველგვარი შეთანხმების გარეშე და არ უნდა იყვნენ მართალი ის მკვლევარები, რომლებიც აღნიშნული ელჩობის მოწყობის საფუძველზე, თეიმურაზს და ერეკლეს საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში გაურკვევლობას სწამებენ.

როგორც ითქვა, ელჩობის დაჩქარება თვით ქართლ-კახეთის გადაუდებელი საგარეო პრობლემებით იყო გამოწვეული, ხოლო, რომ იგი რუ-სეთში გარკვეულ სირთულეებს წააწყდებოდა, თეიმურაზი და ერეკლე ამას არ გამორიცხავდნენ. მათ ელჩობის შესაძლო მარცხიც გაითვალისწი-ნეს და საქმე ისე მოაწყვეს, რომ ასეთი არასასურველი შედეგის შემთხვევაში, ირანის სავარაუდო გაძლიერებული მფლობელების წინაშე ურთიერთობა არ გართულებოდათ. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ, თუმცა ელჩობა ქართლისა და კახეთის სახელით მიდიოდა, კახეთის მეფეს არც ერთ დოკუმენტზე ხელი არ მოუწერია, ხოლო, საჭირო შემთხვევაში, ერეკლე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართლის მეფე რუსეთში თავისი ინიციატივით, თავისი სურვილით, წავიდა.

არც ის შეხედულება უნდა იყოს მართალი, თითქოს ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ელჩობის გაგზავნის გადაწყვეტილება წინასწარი მომზადების გარეშე მიეღოთ. გარდა იმისა, რომ

საქართველოსა და რუსეთს შორის სისტემატურად მიმოდიოდნენ ვაჭართა ქარავნები, რომელთაც ზეპირი ინფორმაციების მიწოდების გარდა, შეეძლოთ გარკვეული კორესპონდენციებიც ეტარებინათ, ელჩობას წინ უფრო სერიოზული და ნახევრად ოფიციალური კონტაქტებიც უსწრებდა, მოსკოვის ქართული კოლონიის წევრის, თომა ბარათაშვილის ვოიაჟის სახით, რომელიც ოფიციალურად საქართველოში რუსეთის კარის მიერ ძვირფასი ჯიშის ცხენების შესაძენად იყო გამოგზავნილი. პაპუნა ორბელიანის თხრობიდან (რომელიც ამ ფაქტს გვაწვდის) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს პიროვნება სხვა პოლიტიკური სა-კითხებითაც იყო დაინტერესებული. ისეა თუ ასე, საქართველოში რუსეთის ფაქტობრივი ვითარების შესახებ ინფორმაციები არ აკლდათ.

მიუხედავად ამისა, ელჩობა მაინც შედგა და საზღვართან მისმა გამო-ჩენამ რუსი პოლიტიკოსები საგონებელში ჩააგდო. ამ ფაქტს შეიძლება თურქეთთან ურთიერთობის გართულება გამოეწვია. მაგრამ მათ არც თეიმურაზისა და ერეკლეს განაწყენება სურდათ, ქართლ-კახეთის სამეფო ხომ ამიერკავკასიასა და წინა აზიაში მათი პოლიტიკის დასაყრდენად ითვლებოდა და, თუ იმჯერად მასთან ურთიერთობა, პოლიტიკური თვალსაზრი-სით, რამდენადმე სახიფათო იყო, შეცვლილ ვითარებაში, რაც შორეული მომავლის საქმედ არ ჩანდა, ქართველ პოლიტიკოსთა განწყობაზე ბევრი რამ იქნებოდა დამოკიდებელი. ამიტომ რუსეთის საგარეო საქმეთა განმგებლებმა სხვა ვერაფერი მოიფიქრეს გარდა იმისა, რომ ვითარების შეცვლის მოლოდინში თეიმურაზის პეტერბურგში მიღების საკითხი გააჭიანურეს და მეფემ საქართველოდან წამოსვლიდან ერთი წლის შემდეგ ძლივს მოახერხა იმპერატრიცა ელისაბედთან შეხვედრა.

ელჩობის ჭეშმარიტი მიზნები. ოფიციალური ვერსიით ქართლის მეფე, დიდი ამალით, პეტერბურგში მხოლოდ იმპერატრიცას თაყვანსაცემად და ტახტზე ასვლის მისალოცად მიდიოდა. ამ მიზნით ასეთი ხანგრძლივი, სახიფათო და ძვირი მოგზაურობის მოწყობა, თანაც საკმაოდ დაგვიანებით (ელისაბედ პეტრეს ასულმა რუსეთის ტახტი 1741 წლის ნოემბერში დაიკავა) ერთობ არადამაჯერებლად მოჩანდა და სერიოზულად არც არავინ იღებდა.

საიმპერატორო კარი ელჩობას მომზადებული უნდა შეხვედროდა, ამიტომ მისი ჭეშმარიტი მიზნების გარკვევას თავის მოხელეებს დაბეჯითებით ავალებდა. მიზნების ამგვარი გასაიდუმლება იმის შიშით იყო გან-პირობებული, ვაი თუ ნაადრევად გამჟღავნების შემთხვევაში, რუსეთის დიპლომატიას მისი მიღება შეუძლებლად მიეჩნია. ამასთან მოსალოდნელი იყო ბლოკირება იმ ძალების მიერ, რომელთა ინტერესებსაც ეს მიზნები, ასე თუ ისე, შეეხებოდა (ირანი, თურქეთი, სახანოები, ვახტანგის სახლიშვილები).

მართალია თეიმურაზი ყველგან ხაზგასმით და სიამაყით აცხადებდა ქართლ-კახეთი არავისგან დამოკიდებული არ არისო და ეს ფაქტობრივად სიმართლეს შეეფერებოდა, მაგრამ ამგვარი დამოუკიდებლობა ირანში შექმნილი ვითარებით იყო განპირობებული. ირანში კი მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა. თვით ელჩობის სასწრაფოდ გამგზავრება სწორედ ამითაც იყო გამოწვეული.

თეიმურაზი ლეკთა ასალაგმავად დახმარებას ითხოვდა. ლეკების გათავხედება კი რეგიონში ძლიერი ხელისუფლების არ არსებობითაც იყო გაადვილებული.

ქართლ-კახეთის სამეფო ამ პერიოდში რეგიონის ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ერთეულად იყო მიჩნეული. მისი სამხედრო პოტენციალი, ეკო-ნომიკური წყობა, სოციალური ურთიერთობის ხასიათი თუ გეოგრაფიული მდებარეობა, ხელსაყრელ პირობას ჰქმნიდა ამიერკავკასიის გაერთიანებისა და მეთაურობისთვის, მაგრამ რეგიონის არც ერთი პოლიტიკური ერთეული ამ მისწრაფებას მხარს არ დაუჭერდა, პირიქით, სასტიკად ეწინააღმდე-გებოდა. მაჰმადიანური საზოგადოება ქრისტიან მეფეებს არ ენდობოდა, რადგან შიშობდა, ძალებს რომ მოიკრებდნენ, ისინი მათ ხელისუფლებას გაქრობით დაემუქრებოდნენ. ანტიქართულ განწყობილებას სახანოების მა-ჰმადიანური მოსახლეობაც აქტიურად უჭერდა მხარს, რადგან რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილთ, შთააგონებდნენ, რომ ქართველები ამიერკავკა-სიაში ქრისტიანობის გავრცელებას ესწრაფვიან, რაც მათ დიდ უბედურებად მიაჩნდათ.

ასეთ ვითარებაში ქართული სამეფო საერთო კავკასიური, ანტიდაღესტნური ფრონტის მეთაურად ვერ გამოვიდოდა.

ამრიგად, როცა თეიმურაზი რუსეთს ლეკების წინააღმდეგ, ჯარით ან სახსრებით, დახმარებას თხოვდა და ამასთან ირანში სასურველი კანდიადტურის გამეფებაში კავშირს სთავაზობდა, ეს ფაქტობრივად ერთი საკითხის ორი მხარე იყო. ქართველი გვირგვინოსნები რეალურად მოაზროვნე გამჭრიახი პიროვნებები იყვნენ და მათი გეგმები ირანის თაობაზე სრულად რეალური ჩანდა. ქართული დიპლომატია რესეთს ირანის ტახტზე ნადირ შაჰის უფროსი შვილიშვილის შაჰროჰის მხარდაჭერას სთავაზობდა. მეტიც, იგი მზადყოფნას გამოთქვამდა ქართლისა და კახეთის ჯარით შეჭრილიყო იქ და, მშვიდობიანობის დამყარებასთან ერთად, ტახტზე შაჰრო-ჰი აეყვანა, რა თქმა უნდა, თუ ეს რუსეთისთვის მისაღებად იქნებოდა მი-ჩნეული. ამ მხრივაც, როგორც ჩანს, მეფეებს ყველაფერი გათვლილი ჰქო-ნდათ.

ქართველი დიპლომატები არაფერს აჭარბებდნენ: შაჰროჰი იმ დროს ხორასანს ფლობდა და საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. იგი ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ეს პოპულარობა კი იმის გარანტია იქნებოდა, რომ ირანელი ხალხი მის მხარეს დადგებოდა, მით უმეტეს, რომ ეს პიროვნება, ერთ დროს ირანის შაჰადაც იყო გამოცხადებული და ამ ტიტულს ჯერაც ატარებდა. როგორც ითქვა, მამით იგი დიდი ნადირ შაჰის შვილიშვილი, დედით კი ასევე სახელგანთქმული სეფია-ნთა დინასტიის წარმომადგენელი იყო. ამასთან თუ გავითვალისწინებთ ირანში ქართული ლაშქრის ავტორიტეტს, ქართველი მხედართმთავრების სამხედრო ნიჭს და მეფეების მიერ ირანის საქმეებში ჩახედულობას, აგრეთვე იმას, რომ იქ ქართული კოლონია ჯერ კიდევ ძლიერი იყო და, ცხადია, სომხური დიასპორის აქტიური დახმარების იმედიც უნდა ჰქონოდა, ამავე დროს იმას, რომ ირანში მცხოვრები ქართულ და სომხურ კოლონი-ათა წარმომადგენლები აქტიურად ერეოდნენ ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში, აშკარა გახდება, რომ ქართული ელჩობის გეგმა კარგად მოფიქრებული და არც ძნელად განსახორციელებელი უნდა ყოფილიყო. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი შესაბამის დახმარებას და მხარდაჭერას აღმოუჩენდა.

ქართველი გვირგვინოსნის დასაბუთებულმა მსჯელობამ, ეტყობა დააფიქრა რუსეთის საგარეო საქმეთა გამგებლები. საგანგებო შეხვედრისას კა-ნცლერმა ვორონცოვმა მას ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა. იგი აზუსტებდა რა ძალები ჰყავდა შაჰროჰს, რას წარმოადგენდა მის მომხრეთა პარტია, რა დახმარება იყო საჭირო საქართველოს დასაცავად თუ მეფეები ირანში ლაშქრობას წამოიწყებდნენ და ა. შ.

თეიმურაზმა ამომწურავი პასუხი გასცა მ. ვორონცოვის კითხვებს და იქვე დაუმატა, რომ თუ რუსეთის კარი სხვა შესაფერის კანდიდატურას დაუჭერს მხარს, იგი აქაც მზად არის დახმარებისთვის. ეს აშკარად დიპლომატიური ნაბიჯი იყო. ცხადია, შაჰროჰის კანდიდატურა ქართველებს მარტო კეთილი თვისებების გამო არ წამოუყენებიათ. იგი ქრისტიანებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებით იყო ცნობილი. მთავარი მნიშვ-ნელობა კი იმას ენიჭებოდა, რომ ჯერ კიდევ 1750 წელს, ირანის ტახტის ამ კანდიდატმა მისი ირანის შაჰად გამოცხადებისთანავე (რაც სამწუხაროდ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა), თეიმურაზს "ერაყისა და ადრიბეჟანის სპასალარობა", ხოლო ერეკლეს მისი ნაიბობა უბოძა". ამრიგად, შაჰროჰის ირანში ხელმეორედ გაბატონების შემთხვევაში, ეს ფორმალური და ძალადაკარგული აქტი რეალურ მნიშვნელობას იძენდა და ქართველი მეფეები ამიერკავკასიის ირანული ნაწილის ფაქტობრივი ბატონ-პატრონები ხდებოდნენ, ერეკლე კი ასევე, ავტომატურად, თეიმურაზის მემკვიდრედ ცხადდებოდა და რეალურად გადაწყდებოდა ქართლ-კახეთის იურიდიული გა-ერთიანების მწვავე და გაჭიანურებული საკითხი.

ერთი შეხედვით, ამ გეგმის სუსტი მხარე თურქეთის მოსალოდნელი რეაქციის გაუთვალისწინებლობა იყო. მართალია თეიმურაზი აცხადებდა, რომ ხონთქარი არავის "საქმეებში არ ერევის" და სხვ. მაგრამ დიპლომატებს არ შეეძლოთ თურქეთის ნეგატიური რეაქციის მოსალოდნელობა არ გაეთვალისწინებინათ. მართალია იურიდიულად თურქეთს საქმეებში ჩართვის უფლება არ ჰქონდათ, რადგან თეიმურაზი ირანის ვალი და, მაშა-სადამე, ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი იყო ასე, რომ, მისი მოქმედება ირანის ტახტის საკითხში, ირანის შინაური საქმეების ფარგლებში რჩებოდა. მაგრამ თუ სულთნის კარი ამ იურიდიულ არგუმენტს არ დასჯერდებოდა, მისი ნეიტრალიზება რუსეთს უნდა ეკისრა. მეფეთა გე-გმით სწორედ ამაშიც გამოიხატებოდა მისი ფუნქცია. ამისთვის ელოდებოდა თეიმურაზი საიმპერატორო კარამდე მისვლის ხანგრძლივი პროცედურისას შესაფერისი საერთაშორისო ამინდის დადგომას.

როგორც ჩანს, სათანადო წრეებმა ელჩების მიერ შეთავაზებული გე-გმა დაწვრილებით განიხილეს და, უნდა ვიფიქროთ, ჭკუაში დაუჯდათ. მაგრამ მისი განხორციელება მხოლოდ შესაფერის საერთაშორისო სიტუაციაში მოხერხდებოდა. შვიდწლიანი ომის პირობებში ეს შეუძლებელი იყო. მაგრამ ეს ომი დასასრულს უახლოვდებოდა და ამის მოლოდინში ელჩობას პასუხს უგვიანებდნენ. მოსალოდნელია, რომ ამის შესახებ ქართველები საქმის კურსში ჩააყენეს. ამითაც უნდა იყოს განპირობებული ის გარემოება, რომ 8 თვის განმავლობაში ქართლის მეფე მოთმინებით და უდრტვინველად ელოდა თავისი წინადადების შედეგს და არც ერთხელ ამ ხნის განმავლობაში არ გამოუთქვამს პროტესტი, საჩივარი, გაკვირვება, ან თუნდაც უბრალო შეკითხვა. აღნიშნული გარემოება, მით უმეტეს, გასა-გები იქნება თუ გავიზიარებთ ჩვენს მიერ გამოთქმულ

ვარაუდს, რომ ელ-ჩობის წარუმატებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელია მეფეები შეთანხმებულნი იყვნენ თეიმურაზის საცხოვრებლად რუსეთში დარჩენაზე.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ელჩობის მეთაური დარწმუ-ნებული იყო, რომ თავის წინადადებაზე დადებით პასუხს მიიღებდა, ოღონდ საჭირო იყო გარკვეული დრო და ისიც ელოდა. არაა გამორიცხული რომ თეიმურაზის მოთმინებას სხვა გარემოებაც აძლიერებდა.

როგორც ჩანს, რუსეთის ბრწყინვალე დედაქალაქში ჩასულ ჭარმაგ გვირგვინოსანს ამურული გრძნობები დაეუფლა. მისი გატაცების ობიექტი მზეთუნახავი რუსი ქალიშვილი (როგორც ირკვევა იგი გაუთხოვარი იყო) ბარბარე ალექსანდროვნა გახლდათ. ამ ასულს მეფემ რამდენიმე ლექსი უძღვნა, რომლებშიც იგი გამოყვანილია, როგორც კეკლუცი, შეუდარებლად ლამაზი, რომლის ბადალი ევროპაშიც არავინაა. მან ზედმიწევნით იცის გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენები, არის ბრწყინვალე ოჯახის შვილი; მეფე პოეტი მისთვის საქებარ სიტყვებს არ იშურებს სიყვარულის გამოსახატავად, ადარებს ორ მნათობს და გაგიჟებულია იმ აზრით, რომ ოდესმე მას უნდა დაშორდეს და სხვ. თეიმურაზის პოეზიიდან ისე ჩანს, რომ მისი ურთიერთობა რუს მზეთუნახავთან პლატონურ სიყვარულს არ გასცილებია, მაგრამ ცხადია პოეტურ შემოქმედებაში მეტის თქმა მას არ ეკადრებოდა; ისე კი ვინ განსჭვრეტს სიყვარულისაგან გაგი-ჟებული ქართველი გვირგვინოსნისა და რუსი მზეთუნახავის ურთიერთობის ხარისხს. ფაქტი ის არის, რომ მოჭარბებულმა გრძნობებმა თეიმურაზს გაუადვილა მის შეთავაზებებზე რუსეთის ხელისუფალთა პასუხის ლოდი-ნი.

მაგრამ რაკი ამ არაოფიციალურ თემას შევეხეთ ერთი პიკანტური ამბავიც უნდა გავიხსენოთ. თავდაპირველად, როცა საქართველოში ელჩობა მზადდებოდა, რუსული მხარე ითხოვდა დედაქალაქში იგი თავისი სახ-სრებით ჩამოსულიყო და საკუთარი ხარჯით ეცხოვრა, შესაბამისად, მას იმ დროისთვის უზარმაზარი თანხა 100000 ოქროს მანეთი მიჰქონდა. მგზავრობის დაწყებისთანავე რუსულმა ხელისუფლებამ თავისი დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა და ელჩობა უმაღლეს დონეზე დააფი-ნანსა. პეტერბურგში სასახლე, ეკიპაჟები, უმაღლეს დონეზე სურსათი, მსახურები, ფურაჟი და ა. შ., ე. ი. მას ფულის დახარჯვის არავითარი აუცილებლობა არ ჰქონდა. და აი, როცა მეფის გარდაცვალების შემდეგ ელჩობის შემადგენლობა საქართველოში გამოსამგზავრებლად ემზადებოდა, გამოირკვა, რომ ელჩობას არავითარი მატერიალური სახსრები არ გააჩნდა, ამიტომ მისი წევრები იძულებული შეიქნენ რუსეთის ხელისუფალთა მიერ მეფისთვის საჩუქრად მიძღვნილი ნივთები გაეყიდათ. იქ მყოფი ქართველი (სომეხი) ვაჭრებისაგან ვალად მნიშვნელოვანი სახსრები აეღოთ და ისე დაეფარათ ხარჯები.

ამ ვითარებაში, ვფიქრობთ, ლოგიკურია კითხვა: სად გაფლანგა ჭარმაგმა გვირგვინოსანმა ამოდენა თანხა და იქვე იკვეთება სავარაუდო პასუხი: მზეთუნახავი ბარბარა ალექსანდროვნას საჩუქრებზე ხომ არა? თუმცა, რაც აქ ითქვა მთავარი თემიდან აშკარა გადახვევაა.

როგორც აღინიშნა, ელჩობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთების ცნობა და მისი მემკვიდრეობის საკითხის მოგვარება იყო. მაგრამ ელჩობის მომზადებისას ეს საკითხი საგულდაგულოდ შენიღბეს და არც ერთ საბუთში დასმული არ

ყოფილა. ეს ადვილი გასაგებია. ამ საკითხის დაყენების თვით ფაქტი, მისდამი დაეჭვების, ერთგვარად, სადავოობის აღიარებად შეიძლება გაგებულიყო. ამგვარი რამის დაშვება გვირგვინოსან მამა-შვილს არ შეეძლოთ, რადგან ამით ელჩობის სტატუსი და ავტორიტეტი საიმპერატორო კარზე მნიშვნელოვნად დაეცემოდა. საყურადღებოა, რომ ყველა ოფიციალურ დოკუმენტში თეიმურაზი შემთხვევას არ უშვებდა ხაზი გაესვა ქართლის ტახტის მის მიერ მემკვიდრეობით ფლობისთვის. მაგალითად, იმპერატრიცასთან აუდიენციის დროს ქართლის მეფე ელისაბედს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: "ყოვლად მოწყალე ხელმწიფევ, მე მიმღები მემკვიდრეობით საქართველოს მპყრობელობისა ვერ შევძელი არ აღმესრულებინა თაყვანისცემა ჩამომავლობისა ჩემისამებრ" და სხვ. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ თეიმურაზი მის სამფლობელოდ საქართველოს ასახელებს, რაც სულ ცოტა ქართლ-კახეთს მაინც ნიშნავს, და მის ერთ სამეფოდ წარმოდგენის ინტერესს ემსახურება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქმე გვაქვს საბუთის დედანთან, იგი საქართველოში, დუშეთშია შედგენილი, ამის თაობაზე ჩვენ უტყუარი მოწმე გვყავს მისი გადამწერის იოსებ ოსესძის სახით. მაშასადამე, იგი მთარგმნელის შეცდომასთან, ან სხვა რაიმე შემთხვევით გარემოებასთან, არ შეიძლება იყოს დაკავშირებული და აქ ყველა სიტყვა დიდი პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია. ტახტის მემკვიდრეობით ფლობას თეიმურაზი ხაზს უსვამდა კანცლერ ვორონცოვთან გამართულ თათბირზეც, რომლის ჩანაწერშიც ვკითხულობთ: "ეს მფლობელი ამჟამად არის სპარსეთის სახელმწიფოს უპირველესი წევრი, პყრობს რა მემკვიდრეობითი უფლებით ქართლს და კახეთს"... როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდაა წარმოდგენილი, რისი აღიარებაც ელჩობის ერთ-ერთ მთავარ, თუმცა შენიღბულ, მიზანს წარმოადგენდა.

1761 წლის 21 ივნისს თეიმურაზს პეტერბურგში აკადემიის სტამბა დაათვალიერებინეს. სტამბის გრავიორებმა მის პატივსაცემად სპილენძის დაფაზე ცნობილი რუსი მხატვრის ა. ანდროპოვის მიერ შესრულებული პორტრეტი ამოჭრეს, რომელსაც ქართულად ასეთი წარწერა ამშვენებს: "თეიმურაზ ნიკოლოზის ძე მემკვიდრე მეფე საქართველოსი, კახეთისა და ქართლისა". და რუსულად "Теймураз Николаевич наследный царь Грузинской, Кахетинской и Картлииской". ყოველივე ეს, ცხადია, თეიმურაზის და ელჩობის სხვა წევრთა მეცადინეობის შედე-გი იყო. მათივე ძალისხმევის შედეგად ჩანს ისიც, რომ ერეკლეს მიერ თეიმურაზთან გამოგზავნილი წერილის მთარგმნელმა ასეთი თავსათაური დაურთო: "Письмо к Грузинскому царю Теймуразу Николаевичу от сына его, кахетинского царя и Грузинского престола наследственного правителя Ираклия"... და სხვ.

ამრიგად, ელჩობამ ისე მოახერხა, რომ ქართლ-კახეთის შეერთების და მისი მემკვიდრეობის საკითხის ფაქტობრივი აღიარება რუსეთის საიმ-პერატორო კარზე ამ საკითხის ოფიციალური დაყენების გარეშე მოხდა. ელჩობის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ეს საკითხიც ავტომატურად გადაწყვეტილი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ თეიმურაზს თან მიჰქო-ნდა მისი მამის — ერეკლე I-სადმი რუსეთის ხელმწიფის წყალობის სიგელი, რომლის თეიმურაზის სახელზე განახლების შემთხვევაში, რაც აგრეთვე ელჩობის ერთ-ერთი ამოცანა იყო, თეიმურაზი ქართ-კახეთის გაერთი-ანებული სამეფოს მეფედ, ხოლო ერეკლე მის მემკვიდრედ ცხადდებოდა. მაგრამ ელჩობა შეიძლებოდა უშედეგოდ დამთავრებულიყო; მსგავსი მაგალითი ქართველებს ჰქონდათ და ამგვარ სავალალო დასასრულს, როგორც ითქვა, ისინი ითვალისწინებდნენ, როცა

საკითხის საბოლოო გადაწყვეტა გარეშე ფაქტორზე იქნებოდა დამოკიდებული. იმ მძიმე, რთულ დროში საქართველოს გარშემო ყველაფერი ისე სწრაფად იცვლებოდა, რომ წინა-სწარ რაიმეს განჭვრეტა შეუძლებელი იყო. მეფეები, უეჭველია, იმასაც ანგარიშობდნენ, რომ ელჩობის წარუმატებლობის შემთხვევაში, დღეს თუ ხვალ, მათ ირანის შაჰთანაც მოუწევდათ პასუხის გაცემა. აქეთკენ კი ქერიმ ხანი დაბეჯითებით იკაფავდა გზას, რომელთანაც, ქართველ მეფე-ებს სასურველი ურთიერთობა არ ჰქონდათ. ბოლოს ერეკლეს მართლაც მოუხდა ქერიმხანისთვის ახსნა-გამარტების მიცემა, მაგრამ მან აქ თავი ადვილად გაიმართლა, რადგან საამისო ზომები წინასწარ ჰქონდა მიღებული. ირანის შაჰმა მის მიერ წამოყენებული ვერსია ადვილად "დაიჯერა" რადგან ქართლ-კახეთის ძლიერ გამგებელთან ურთიერთობის გართულებას მოერიდა. მით უმეტეს, რომ, როგორც ითქვა, ელჩობის არც ერთ დოკუმენტზე ერეკლეს ხელმოწერა და ბეჭედი არ იყო დასმული. მაგრამ როგორღა გაიმართლებდა თავს თვით თეიმურაზი, ამ დღეს რომ მოსწრებოდა? მას ხომ ერეკლეს მსგავსი სათადარიგო გამოსავალი დატოვებული არ ჰქო-ნოდა. ასე, რომ ირანის ხელმწიფეს სრული საფუძველი ექნებოდა ქართლის ვალზე განრისხებულიყო და არავინ იცის რა ფორმით და რა ზომით გამოიხატებოდა ეს რისხვა. ყოველივე ეს ვფიქრობთ, კიდევ უფრო ამაგრებს ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს, რომ ელჩობის დასრულების და, მით უმეტეს, მარცხის შემთხვევაში ნავარაუდევი იყო თეიმურაზის რუსეთში დარჩენა.

ამ აზრის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ ელჩობის წინა პერიოდში თეიმურაზი გულდასმით ეცნობოდა ვახტანგ VI-ის რუსეთში ცხოვრების დეტალებს: რა პირობებში ამყოფებდა საიმპერატორო კარი, რა მატერიალური სახსრები ჰქონდა და ა. შ. ერთი სიტყვით თითქოს იგი წინასწარ სწავლობდა და ითვალისწინებდა მდგომარეობას, რო-გორიც შესაძლებელია თვითონ შექმნოდა.

თუ თეიმურაზ II-ის რუსეთში შესაძლო დარჩენის წამოყენებული ვარაუდი სწორია, მაშინ უეჭველია, რომ ამგვარი გადაწყვეტილება საერთო ეროვნული საქმის ინტერესებით იქნებოდა ნაკარნახევი. ემიგრაციაში მყოფი გვირგვინოსანი კვლავ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივ სამსახურში დარჩებოდა, იგი იქ გაანეიტრალებდა ვახტანგის სახლისშვილთა, ერეკლეს გამაერთიანებელი პოლიტიკის საწინააღმდეგო, საქმიანობას და საიმპერატორო კარზე ამ პოლიტიკის დამცველი და ქვეყნის წარმომადგენელი იქნებოდა. ყოველივე ეს ერეკლე II-ს ხელს შეუწყობდა უფრო საქმიანი კონტაქტები ჰქონოდა რუსეთის ხელისუფლებასთან, განმტკიცებულიყო ქართლ-კახეთის ტახტზე და ღვაწლმოსილ მამასთან ერთად შემუშავებული გეგმები განეხორციელებინა.

მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი სხვაგვარად შეტრიალდა.

თეიმურაზის გარდაცვალება. ელჩობის შედეგები. 1761 წლის 25 დეკემბერს დედოფალი ელისაბედ პეტრეს ასული გარდაიცვალა და საბოლოოდ გააქარწყლა ქართველი მეფეების იმედები დახმარების თაობაზე. ახალი იმპერატორი პეტრე III მეტად ახირებული ხასიათისა და უგუნური საგარეო პოლიტიკის გამტარებელი გამოდგა. მან არა თუ ელჩობის მიერ დასმული საკითხების დადებითად გადაწყვეტა, თეიმურაზის რუსეთში საცხოვრებლად დარჩენაც კი არ ისურვა (ცხადია თუ ამგვარი გეგმა ნამდვილად არსებობდა).

დედოფლის გარდაცვალების მესამე დღეს, 1761 წლის 27 დეკემბერს საიმპერატორო კარმა ქართული ელჩობის სამშობლოში ფაქტობრივად ხელცარიელი გამოსტუმრების გადაწყვეტილება მიიღო. დახმარებაზე იმედ-გაცრუებული, ხანდაზმული გვირგვინოსნისთვის ეს აუტანელი დარტყმა გამოდგა. რამდენიმე დღის შემდეგ, 1762 წლის 8 იანვარს, იგი გარდაიცვალა.

ნაშუადღევის 6 საათზე მეფე შეუძლოდ შექმნილა, სასწრაფოდ ზიარება მიუღია; მერე მარჯვენა გვერდზე მიწოლილა და გაურკვეველ ბუტბუტს მოჰყოლია. როცა დააკვირდნენ გაარჩიეს – ლოცვას ამბობდა. შემდეგ რაღაცის თქმა დაუპირებია. როცა რამდენჯერმე ჩაეკითხნენ, გარკვევით წარმოუთქვამს: “კათოლიკებს ხომ შეიწყნარებენო” მღვდელმა უპასუხა, დიახ შეიწყნარებენო. მეფემ მეორედ წარმოთქვა: მე ხომ აღმოსავლეთის კათოლიკე ვარო და მიიძინა”.

ელჩობის წევრები უკან დაბრუნების სამზადისს შეუდგნენ და სათა-ნადო საკითხების მოგვარების შემდეგ, საშობლოსკენ აიღეს გეზი. გვირგვინოსანი და მირონცხებული მეფის ცხედარი, დიდი სიცხეების და სახიფათო გზის შიშით, თუ საბაბით, საქართველომდე ვერ ატარეს და ასტრახანის მიძინების ტაძარში, მისი სიმამრის, დიდი ვახტუნგ VI-ის გვერდით მიაბარეს მიწას. არსებობს არაუსაფუძვლო მოსაზრება, რომ სიცხემ და გზის სირთულემ ელჩობის ამგვარი გადაწყვეტილებაში მეორე ხარისხოვა-ნი როლი ითამაშა და ასტრახანში დასაფლავების გადაწყვეტილება ელჩობამ ერეკლეს სათანადო მითითებით მიიღო, რათა კიდევ ერთხელ დაეფიქსირებია თეიმურაზის ვახტანგ მეექვსის მემკვიდრეობა და მის მიერ ქართლის ტახტის ფლობის ლეგიტიმურობა.

1762 წლის 20 აგვისტოს ელჩობის წევრები თბილისში ჩამოვიდნენ და ერეკლეს წარუდგნენ, ვითარება გააცნეს და ერთობ მოკრძალებული გზავნილები გადასცეს. ერეკლე მეფისადმი საიმპერატორო კარის დახმარების ცარიელი დაიმედება, წმინდა ანდრიას ორდენი, კანცლერ ვორონცოვის წერილი და მის მიერ გამოგზავნილი ბრილიანტისთვლიანი ოქროს საათი. ამ ამბების მომსწრის გადმოცემით, ერეკლემ თურმე ერთხანს ზიზღით უყურა კანცლერ ვორონცოვის მიერ გამოგზავნილ სა-ათს, რომელიც მას მამის სიცოცხლედ და ასი ათას მანეთად დაუჯდა და ისე ანიშნა მსახურს შეენახა, რომ ხელითაც კი არ შეხებია.

საერთო წარუმატებლობის მიუხედავად, ელჩობას ერთი მეტად მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი მაინც ჰქონდა: კანცლერმა ვორონცოვმა წერილში ერეკლე II-ეს იმპერატორის წყალობა და მფარველობა დაუდასტურა და, რაც მთავარია, იგი ქართლ-კახეთის მეფედ მოიხსენია. ქართველი მეფისთვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მასაც და შესაბამის წრეებსაც, ეს ფაქტი რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების და აღნიშნული სამეფოს მემკვიდრე მეფედ ერე-კლეს აღიარებად უნდა მიეჩნიათ. ეს დიდი წარმატება იყო და ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმაც ასე შეაფასა. საგულისხმოა, რომ იმ ხანებში რუსეთში ექსორიაში მყოფმა კათალიკოსყოფილმა ანტონმა, ერეკლეს კვი-ნტოს კურციუსის, მის მიერ თარგმნილი, ალექსანდრე მაკედონელის ისტორია უძღვნა, რომლის მთარგმნელისეულ წინასიტყვაობაში გვირგვინო-სან მეგობარს, თანამოაზრესა და თანამებრძოლს მხურვალედ მიულოცა ეს წარმატება: “გილოცავ ახალსა წინაპართა ჩუენთა ადრით განჭრილისა საყდრისა შეერთებულად მიღებასა, შენ, გონიერსა მხნესა მეფესა, ვითა კვიროსს და მემკვიდრეს, ვითა ქსერქსესს”.

ელჩობის წარუმატებელი დასრულების შემდეგ ერეკლეს პირველი რიგის საკითხად ირანთან ურთიერთობის მოგვარების ამოცანა დაუდგა (თურქეთი რუსეთთან შეთანხმებებს იცავდა და ქართლ-კახეთის საქმეებში ჩარევის აშკარა პრეტენზიას არ აცხადებდა), სადაც ამასობაში თითქმის მთლიანად ქერიმ ხანი გაბატონებულიყო.

ირანის ახალმა მბრძანებელმა ერეკლეს, რუსეთში შემდგარ ელჩობა-სთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ამასთან იგი თავისთან დაიბარა და თავრიზისა და მისი აქეთა ტერიტორიების ბოძებას დაჰპირდა. ერეკლემ ამ მიწვევაში მტრული ძალების მაქინაციები დაინახა და არ წავიდა. მიზეზად კი ლეკების წინააღმდეგ ლაშქრობა დაასახელა. შემდეგ ვექილთან (ქირიმ ხანთან) დიდებული ელჩობა გაგზავნა საპასუხო წერილით, რომელშიც აცნობებდა; მამაჩემი რუსეთს ჩემი სურვილის საწი-ნააღმდეგოდ წავიდა. ვერაფერს მიაღწია, მე კი დიდი ზარალი მომაყენაო. ერთგულების ნიშნად ელჩობას ირანის ტახტის ერთ-ერთი საშიში პრეტენდენტი აზატ ხანი გაატანა, რომელიც ერეკლემ ჯერ კიდევ 1760 წელს ჩაი-გდო ხელთ და აქამდე თავისთან ჰყავდა.

ძნელი სათქმელია, ასე ადვილად დაიჯერა თუ არა ქერიმმა ქართველთა განმარტება. ფაქტია, რომ ქართლ-კახეთის ძლიერ მფლობელთან მას ურთიერთობის გამწვავება არ აწყობდა. ამიტომ დელეგაცია ლმობიერად მიიღო და დიდებული საჩუქრებით და ხალათებით გამოისტუმრა. ამით იარნის ხელისუფლებამ ფაქტობრივად სცნო ერთ სამეფოდ ქართლ-კახეთის გაერთიანება. შესაბამისად ერეკლეს მიერ აღნიშნული სამეფოს მემკვიდრეობით ფლობა, აგრეთვე მისი უფლებები განჯისა და ერევნის სახანოზე.

ამრიგად ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობა მნიშვნელოვნად განმტკიცდა და შედარებით სტაბილური გახდა.

რუსეთთან ურთიერთობა რამდენიმე წლით ერთგვარად შენელდა. ორივე მხარე ჯერჯერობით სხვა საშინაო თუ საგარეო პრობლემებით იყო დაკავებული.

თავი XXXVII. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათი XVIII საუკუნეში

ტრადიციები. XIII საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოს ოქროს ხანაში ჩასახული, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენცია მკვეთრად დამუხრუჭდა. მონღოლთა შემოსევების უარყოფითი შედე-გები პირდაპირპროპორციული იყო დაპყრობილი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული განვითარების დონისა.

თითქმის სამასწლიანი ძნელბედობის მანძილზე, საქართველომ დიდი ძალისხმევით მაინც მოახერხა თავისთავადობის შენარჩუნება. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი საფუძველი იმისა, რომ თუმცა რთული ვითარება საქართველოში XIX საუკუნემდე და მის შემდეგაც გაგრძელდა, რამაც სამეფოს სამეურნეო ცხოვრება მნიშვნელოვნად შეაფერხა და ხშირად სოციალური ურთიერთობის მახინჯი ფორმების გაჩენასაც შეუწყო ხელი, მაგრამ ქვეყა-ნაში საწარმოო ძალთა განვითარება არ შეწყვეტილა, რასაც მოწმობს წარმოების საშუალებათა არსებული, საკმაოდ

მაღალი, დონე და შრომის ტექ-ნიკური დანაწილების გაღრმავება, როგორც ხელოსნურ და საოჯახო წარმოებაში, ისე სოფლის მეურნეობაში.

ვაჭრობა. ქვეყნის მოხერხებული, მსოფლიო მნიშვნელობის გზაჯვარედინზე მდებარეობა, დიდი სამეურნეო ტრადიციები, ქართველთა ტოლერანტული ბუნება და ქართველ ხელისუფალთა შორსმჭვრეტელი პოლიტიკა, განსაზღვრავდა ვაჭრობის განვითარების მაღალ დონეს. აღმოსავლეთში არსებული ტრადიციის თანახმად, ვაჭრები გარკვეული იმუნიტეტით სარგებლობდნენ, ამის გამო კომერციები არ წყდებოდა თვით მეომარ ქვეყნებს შორისაც. ეს იყო იმის საფუძველი, რომ საქართველოს ვაჭრობის მაღალი განვითარება ფიქსირდება სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე მძიმე წლებშიც კი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ვაჭრობას შუა საუკუნეებშიც და ე. წ. ახალ ეპოქაშიც, წამყვა-ნი ადგილი ეკავა წინა აზიის, და არა მარტო მის, საქონელგაცვლაში.

საქართველოს ვაჭართა კომერციები შორს სცილდებოდა ქვეყნის საზღვრებს და საშუამავლო ფუნქციას ასრულებდა მახლობელი, თუ საერთოდ აღმოსავლეთის, რუსეთის და ზოგჯერ ევროპის ქვეყნებს შორისაც.

ქვეყნის მნიშვნელოვანი სამეურნეო ტრადიციები და საქონლის მრავალფეროვნება ვაჭრობის მაღალი განვითარების საფუძველი იყო. თავის მხრივ, ვაჭრობის განვითარება გარკვეულად განსაზღვრავდა ქართულ სამეფო სამთავროთა შემდგომი განვითარების ხასიათს.

საქართველოს ვაჭართა ხელში დიდი კაპიტალი ტრიალდებოდა, რაც თავის მხრივ ქვეყნის მატერიალურ კეთილდღეობას უწყობდა ხელს.

ქართლ-კახეთის (ისევე, როგორც საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულთა), ხელისუფლება ახალისებდა და ეხმარებოდა საგარეო თუ საში-ნაო ვაჭრობის განვითარებას, რადგან იგი, გარკვეული აზრით, სავაჭრო მოგებაში მონაწილეობდა. სახელმწიფო ენერგიულად იცავდა სავაჭრო-საქარავნო გზებს, ზრუნავდა მათ კეთილდღეობაზე, ასე თუ ისე აწესრიგებდა საბაჟო სისტემას, მფარველობდა თავის ვაჭრებს ქვეყნის გარეთ და ა. შ.

საბაჟო შემოსავლები, როგორც სახელმწიფო შემოსავლის სხვა მუხლები, იჯარა შესყიდვის წესით გაიცემოდა და ხაზინის მნშვნელოვან შევ-სებას ემსახურებოდა.

ვაჭრობის განვითარების მაღალმა დონემ გადამწყვეტი როლი ითამაშა ქვეყნის სამრეწველო განვითარებაში. ამ პროცესს საფუძველი დაუდო სა-შინაო საქონელგაცვლაში სავაჭრო კაპიტალის ჩაბმამ (მანამდე ეს გაცვლა უშუალოდ მწარმოებელთა დონეზე ხდებოდა) ამან განაპირობა ერთიანი ქართული სასაქონლო ბაზრის ჩამოყალიბების დაწყება, რაც დაახლოებით XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე ისახება და ვაჭართა ბურჟუაზიული კლასის ჩამოყალიბებას უკავშირდება.

ამ ფაქტორს არსებითი მნიშვნელობა აქვს. საშინაო ვაჭრობაში სპეციალისტი ვაჭრის ჩართვა ხელოსნურ თუ საოჯახო წარმოებას სასაქონლო ხა-სიათს ანიჭებს, სისტემატურს ხდის მის გასაღებას, აფართოებს არეალს და ამით საფუძველს უყრის ერთიანი ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებას, რაც სხვადასხვა რეგიონების ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველია, ეს კი თავის მხრივ ხელს უწყობს რეგიონების პოლიტიკურ დაახლოვებას.

აღნიშნული მოვლენა, ანუ შინა ვაჭრობებში სპეციალისტ ვაჭართა ჩაბმა, საქართველოს სინამდვილეში, XVII საუკუნეში მაინც დასტურდება ე. ი. სულ ცოტა აქედან შეიძლება ვივარაუდოთ ერთიანი, ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბების დასაწყისი.

XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, ქალაქის მოსახლეობაში მიმდინარე ქონებრივი დიფერენციაციის საფუძველზე, გამოიყოფა შეძლებულ ვაჭართა ძლიერი ფენა, რომელიც თავისი, ქონებრივი თვალსაზრისით, პრივილეგი-ური მდგომარეობის იურიდიულ გაფორმებას ესწრაფვის. ამ მისწრაფების განხორციელებას მან მხოლოდ XVIII საუკუნის დასაწყისში მიაღწია, რამაც ასახვა ჰპოვა ვახტანგ VI-ის სამართალში. აქ დაფიქსირებულ ვაჭართა ოთხი კატეგორიიდან (რომელიც ქონებრივი ცენზით არის განპირობებული) პირველი ორი აზნაურულ წოდებას უთანაბრდება. საქართველოს ინტელექტუალური დონის ამსახველი ეს უმნიშვნელოვანესი ნაშრომი XVII საუკუნის რეალობას ასახავს.

მანუფაქტურის ტიპის საწარმოების გაჩენა. XVIII საუკუნეში და-სტურდება ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის თვალსაზრისით გადამწყვეტი მოვლენა, როცა ვაჭარი მარტო მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის შუამავლის როლს არ სჯერდება და უშუალოდ ერევა წარმოებაში. პროცესი თანდათანობით ვითარდება: ნაწარმის შესყიდვა, პროდუქციის ნედლეულზე გაცვლა და უშუალო მწარმოებლის მიერ საქონლის ვაჭრის შეკვეთით დამზადება... ყოველივე ამის შემდეგ კი უკანასკნელი პირდაპირ ურიგებს ნედლეულს მწარმოებელს განსაზღვრულ ფასად დასამუშავებლად, ფაქტობრივად მას თავის დაქირავებულ მუშად აქცევს. ეს კი მრეწველობის თვისობრივად ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმის ჩამოყალიბების საფუძველია, რომელსაც “გაფანტული მანუფაქტურა” ეწოდება. “გაფანტული” იმიტომ, რომ დაქირავებულ მუშათა მასა მეპატრონის (მრეწველის) დაკვეთით მუშაობს არა ერთ შენობაში, არამედ საკუთარ ქოხებში. ეს პროცესი უპირატესად სოფლის სარეწებში მიმდინარეობს.

მეორე მხრივ, განვითარების პროცესი აშკარაა ქალაქის ხელოსნობა-შიც. აქ შეკვეთით წარმოებას თანდათან ბაზრისთვის წარმოება ენაცვლება. შემდეგ ეტაპზე კი სახელოსნო სასაქონლო პროდუქციას ვაჭრის დავალებით ამზადებს, ანუ ფაქტობრივად, იქცევა მის დაქირავებულ მუშად. ის ფაქტი, რომ ხშირად თვითონ მოხერხებული ოსტატიხელოსანი იწყებს ვა-ჭრობას და თანდათანობით იქვემდებარებს თავის მოძმე ხელოსნებს, პროცესის არსს არ ცვლის. ასეთ შემთხვევაში უპირატესად ხდება სახელოსნოს თანდათანობით გაფართოება, ანუ ყალიბდება ცენტრალიზებული მანუფაქტურა. წყაროების ცნობით საქართველოს სინამდვილეში, განსაკუთრებით ქალაქებში, ამ პროცესსაც ინტენსიურად აქვს ადგილი.

მართალია, საკვლევ ეპოქაში ამ გზით დამზადებული პროდუქციის მოცულობის ზუსტად განსაზღვრა, მასალების სიმწირის გამო, არ ხერხდება, მაგრამ შეგვიძლია მიახლოვებით დავადგინოთ XIX საუკუნის დასაწყი-სში რუსეთის მიმართულებით ოფიციალურად (ანუ ამაში არ შედის კონტრაბანდული საქონელი, რომლის რაოდენობა სავარაუდოდ ოფიციალურს კიდეც აჭარბებდა) ესქპორტირებული საქონლის მოცულობა, რაც საშუალებას გვაძლევს რეტროსპექტულად წარმოვიდგინოთ მისი ოდენობა და გავრცელება XVIII საუკუნეში.

სხვადასხვა გამოანგარიშებებით დგინდება, რომ XIX საუკუნის დასაწყისში, ან XVIII საუკუნის მიწურულს, საქართველოდან მხოლოდ რუსეთის მიმართულებით გატანილი საფეიქრო ნაწარმის მოცულობა 3-4 მილიონ არშინს შეადგენდა. როგორც აღვნიშნეთ, აქ არ იგულისხმება შემოვლითი გზებით, საბაჟოს გვერდის ავლით, ასევე სხვა მიმართულებით გატანილი საქონელი, რადგან აღრიცხვა რუსეთის საბაჟოებში ხდებოდა.

საქართელოდან რუსეთში ექსპორტირებული საქონლის საგულისხმო მოცულობაზე ისიც მიანიშნებს, რომ მან ასახვა ჰპოვა XIX საუკუნის I ნახევრის ისეთ ფუნდამენტურ გამოკვლევაში, როგორიცაა გ. ჩულკოვის ნაშრომი “Историческое описание россииской комерции”.

შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ “XVIII საუკუნის 60-იან წლებში გარდა რუსეთისა ყოველდღე თბილისიდან სხვადასხვა სავაჭრო საქონლით დატვირთული 150-200 ურემი გადიოდა ერევანს, თავრიზს, არზრუმს და სხვ. კიდევ უფრო გაფართოვდა თბლისის საგარეო და საშინაო ვაჭრობა მომდევნო წლებში” საქართველოს ვაჭრები და, სავარაუდოა, ქართული საქონელი, გარდა რუსეთისა, რომელზეც უკვე იყო საუბარი, ჩანან, ბაღდადში, ინდოეთისა და ირანის ქალაქებში, სტამბულში, რომ არაფერი ვთქვათ ამიერკავკასიის სახანოებზე.

რაც შეეხება ცენტრალიზებულ საწარმოებს, XVIII საუკუნის ერთობ ყურადღებიანი და სანდო დამკვირვებელი ს, დ. ბურნაშოვი თბილისში მეტად დიდი რაოდენობით პატარა ხელის ფაბრიკებს აფიქსირებს. სავარა-უდოა, რომ აქ უბრალო სახელოსნოები არ იგულისხმება.

როგორც წესი, გაფანტული მანუფაქტურის სათავეში დგას მისი მეთაურის ცენტრალური სახელოსნო, სადაც, უმეტეს შემთხვევაში, საქო-ნლის დამზადების დამასრულებელი ოპერაციები ხორციელდება (მისთვის სასაქონლო სახის მიცემა, გაწმენდა, შეღებვა შეფუთვა და ა. შ.). როგორც ჩანს, საქართველოს საფეიქრო წარმოებაში ამ ფუნქციას სამღებროები ასრულებდნენ, რომელთა რაოდენობა აქ საკმაოდ ბევრი იყო. ისინი ფუნქციონირებდნენ თითქმის ყველა სოფელში და ბევრი მათგანი სოლიდური მოცულობებით გამოირჩეოდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი პროცესები, ანუ ცენტრალური მანუფაქტურების ჩამოყალიბება, მიდიოდა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს შედარებით მცირე ქალაქებში (ცხინვალი, სურამი, გორი, თელავი და ა. შ.).

მართალია დასავლეთ საქართველოს სარეწებზე ჩვენ ცნობები ამ ხანებისთვის ნაკლები გვაქვს, მაგრამ საყურადღებოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან ქვეყნის გარეთ გატანილ პროდუქციაში ჩანს დასავლეთ საქართველოში დამზადებული საქონელიც, მაგ. იმერული თავთა, ნახევართავთა, ჩითი და სხვ.

სახელმწიფო და კერძო, შედარებით მსხვილი, საწარმოების მოწყობის ტენდენცია. სტიქიურად აღმოცენებულ საწარმოთა გვერდით სახელმწიფო ახალისებდა, ზოგჯერ კი საკუთარი სახსრებითაც აწყობდა, შედარებით მსხვილ, ისეთ საწარმოებს, რომლებიც აუცილებელი იყვნენ ქვეყნის სტრატეგიული, თუ სხვა ინტერესებისთვის.

ერეკლე და მისი დასი დაბეჯითებით აგრძელებდა, თავისი დიდი -პაპის, ვახტანგ VI-ის კურსს ქვეყნის პოლიტიკური, სტრატეგიული თუ ეკონომიკური გაძლიერებისკენ რომ იყო

მიმართული: აგებდა და აღადგე-ნდა ციხესიმაგრეებს და თავშესაფრებს, გაჰყავდა არხები, აწყობდა სხვადა-სხვა დარგის ფაბრიკაქარხნებს, ზრუნავდა წიაღისეულის მოპოვებადამუ-შავების ორგანიზაციაზე.

სამრეწველო საწარმოების სიმრავლეს მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ქვეყანაში ძველთაგანვე დამკვიდრებული წესი: ქართველი თავადაზნაურობა, ეკლესია, მდიდარი ვაჭრები, ხელოსნები და თვით სამეფო ოჯახის წევრებიც კი, ფლობდნენ სხვადასხვა სამრეწველო და სავაჭრო დანიშნულების ობიექტებს: სამღებროებს, დაბახანებს, ზეთსახდელებს, აბანოებს, ქარვასლებს და ა. შ. რომელთაც, უპირატესად, მომწყობები კი არ უწევდნენ ექსპლუატაციას, არამედ მთლიანად ან ნაწილობრივ (ნაწილ-ნაწილ) იჯარით აძლევდნენ ვაჭრებს, ან უშუალო მწარმოებლებს. უკანასკნელნი კი ამ საწარმოებს დაქირავებული შრომის გამოყენებით ამუშავებდნენ, რაც მათ ახლებურ (კაპიტალისტურ) ხასიათს აძლევდა.

უპირველესი მნიშვნელობა სამთამადნო მრეწველობას ენიჭებოდა. ამ დარგის განვითარება ქართლ-კახეთის მეფეს ქვეყნის ეკონომიკური სიძლი-ერის ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად მიაჩნდა და, ამის გამო, მასზე ზრუნვა მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე არ შეუნებელებია.

XVIII საუკუნის ისტორიკოსის ომან ხერხეულიძის თქმით “არა აქვნდა (ქართლ-კახეთის მეფეს – ავტ.) პირდაპირი ძალი არც ჯარითა და არც ხაზინითა და თვინიერ სიმხნისა კიდევ არა რაი აქვნდა პირისპირი თანასწორობა. მაშინ ფრიადისა ღონისძიებითა და შრომითა ეძება მამულსა თვისსა მიწა ოქროსა და ვერცხლისა, რომელმანცა იპოვა... და მოიყვანა საბერძნეთით ბერძენნი მცირედნი, გამომდნობელნი ოქროსა და ვერცხლისა მიწისანი. ვითარცა დაიწყო მადნისა მის მუშაკობა ისარგებლა ფრიად”.

საქართველოში ამ საქმის ოსტატები არ იყვნენ. ამიტომ, ერეკლე რუ-სეთთან თუ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობაში ერთ-ერთ პირობად ყოველთვის მადნების მოწესრიგების საქმეს აყენებდა. მაგრამ სათანადო გამოხმაურებამდე (რაც, სხვათა შორის, რეალურ შედეგამდე არასდროს მი-სულა) თვითონ, დამოუკიდებლად შეუდგა საქმის ფეხზე დაყენებას. დიდი გაჭირვებით, დაპირებებით და ა. შ. მან მოახერხა გადმოებირებინა და გადმოეყვანა ბერძენ მემადნე სპეციალისტთა რამდენიმე ოჯახი. მათ საქმე წამოიწყეს, შეგირდები და დამხმარე მუშები კი ხაზინიდან მიიღეს. წარმოება 1763 წლიდან დაიძრა. ბერძენი ოსტატები ჯერ ახტალის მიდამოებში შეუდგნენ საძიებო სამუშაოებს და პირველ წამრატებასაც მიაღწი-ეს. ჩქარა ალავერდის მიდამოებში სპილენძის მადანიც აღმოჩნდა და სპეციალისტების დამატებითი ჯგუფის შემოყვანა გახდა საჭირო. ეს შედარებით ადვილად მოხერხდა და მუშაობაც გაჩაღდა. ბერძენ სპეციალისტთა რიცხვმა რვაას კომლს მიაღწია. აშენდა ვერცხლისა და სპილენძის სადნობი ქარხნები ახტალასა და შამბლუღში. რამდენიმე წლის შემდეგ (1770 წელს) ამას კიდევ ორი ქარხანა დაემატა. ვერცხლის მადანი ოქროს მინარევებს შეიცავდა და სპეციალისტები ოქროს გამოცალკევებასაც ეწეოდნენ.

მადნებიდან მეფეს წელიწადში 60 000 მანეთი შემოდიოდა, რაც იმ დროს საქართველოსთვის ერთობ დიდი ოდენობა იყო. ამის გამო ხელი-სუფლება არსებულის ექსპლოატაციასთან ერთად,

ახალ საბადოების ათვისებასაც აქტიურად ახალისებდა. ხელისუფლება ბეჯითად ზრუნავდა მემადნეთა ადგილობრივი კადრების მოსამზადებლადაც.

ქვეყნის სტრატეგიული პოტენციალის გაძლიერება, ბუნებრივია, ერე-კლეს ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო. ამის გამო იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თბილისის თოფ-იარაღის ქარხანას, სადაც XVIII სა-უკუნეში ზარბაზნებსაც ამზადებდნენ.

დიდი პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვა შეიძინა სტამბამ, რომელიც ვახტანგ VI მიერ 1707 წელს გამართული და შემდეგ დაქცეული, ერეკლემ XVIII ს. მეორე ნახევარში აღადგინა და გააუმჯობესა; ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ზარაფხანასაც, რომელიც იჯარით გაიცემოდა და მნიშვნელოვან შემოსავალსაც აძლევდა ხაზინას (საშუალოდ 5000 მან. წელიწადში).

სერიოზული სახელმწიფო ფუნქცია ჰქონდა ისაია თაყუაშვილის თოფის წამლის ქარხანას, რომელიც მან 1770 წელს მოაწყო. თოფის წამალს საქართველოში არაერთ ადგილას ამზადებდნენ (საშინაო წესითაც კი), მა-გრამ მისი ხარისხი სათანადოდ დონისა არ იყო. ჩქარა ეს ქარხანა სახელმწიფომ შეისყიდა. 1795 წელს იგი სპარსელებმა გაანადგურეს, მაგრამ 1796 წელს თაყუაშვილს მისი აღდგენა მოუხერხებია.

აღნიშნული ტიპის (ზევიდან მოწყობილი) საწარმოები თბილისში და საქართველოში არა ერთი იყო: მაგალითად: ი. პანტელაშვილის თიხის ჭურჭლის, გლახა გაბაშვილის აგურის ქარხნები, დაარსდა მინის, შაქრის სარეწები, არაერთი ზეთსახდელი საწარმო და ა. შ.

როგორც ითქვა, ეს და მრავალი სხვა საწარმოც საგანგებოდ მოწყობილი იყო, მაგრამ ისინი უპირატესად დაქირავებულ შრომას იყენებდნენ, შესაბამისად ბურჟუაზიულ ხასიათს ატარებდნენ და ამდენად ქვეყნის საერთო სოციალურ-ეკონომიკურ მიმართულებას შეესაბამებოდნენ.

საქართველოში განვითარებული იყო ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი.

ზრუნვა სოფლის მეურნეობის და გლეხთა მდგომარეობის გა-უმჯობესებაზე. ვახტანგ VI-ის მიერ გატარებული უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები, სოფლის მეურნეობის აღმავლობას რომ განაპირობებდა, ჯერ ოსმალების შემდეგ კი ყიზილბაშთა სასტიკი ბატონობის დროს ფაქტობრივად გაქარწყლდა.

მტერთა შემოსევების მძიმე ეკონომიკურმა შედეგებმა, ფაქტობრივად განუკითხაობამ, საკუთარი მებატონეების მხრიდან ექსპლუატაციის უსაზღვრო გაზრდამ და მთიელთა პერმანენტულმა, გამანადგურებელმა შემო-სევებმა, მოსახლეობის არნახული ამოძრავება გამოიწვია. განსაკუთრებით ქვეყნის განაპირა რაონებში სოფლები დაიცალა და გავერანდა. სამეურნეო გამოცოცხლებაზე საუბარიც შეუძლებელი იყო, თუ არ გატარდებოდა სა-განგებო და ენერგიული ზომები, ამ პროცესის შესასუსტებლად, გავერანებული სოფლებისა და ადგილების აღსადგენად და მოსაშენებლად. ქართლ-კახეთის ხელისუფლების ძირითადი ყურადღება ახლა ამ პრობლემების გადაწყვეტისაკენ იყო მიმართული, რისთვისაც სამეფოს თავადაზნა-ურთაგან შეიქმნა საგანგებო რაზმები, რომლებიც სხვადასხვა მხარეს დაგზავნეს, რათა მშობლიურ ადგილებიდან გაქცეული მოსახლეობა, თავის ძველ სამყოფელზე დაებრუნებინათ. ეს

ღონისძიება “მყრელობის” სახელით არის ცნობილი. ამოცანა მარტივი არ იყო. ამიტომ, კომპენსაციის სახით, დაბრუნებულებს რამდენიმე წლით სახელმწიფო გადასახადებისგან და ვალდებულებებისგან ათავისუფლებდნენ. მიღებულმა ზომებმა შედეგი გამოიღო. გახშირდა მოსახლეობის გადმოსვლა სამცხე-ჯავახეთიდან. ვინაიდან ქართლიდან გახიზვნა უპირატესად კახეთისკენ ხდებოდა, მეფეებმა გამოსცეს საგანგებო ბრძანება ამ მხრიდან მათი უკან დაბრუნების შესახებ.

უკაცრიელი ადგილების აღდგენის მიზნით ხელისუფლება ახალისებდა მთის მოსახლეობის ბარში ჩამოწოლის პროცესს. ვინაიდან ეს მოვლე-ნა განსაკუთრებით აქტუალური ოსეთში იყო, უკანასკნელთ ამის ნებას აძლევდნენ მხოლოდ გაქრისტიანების პირობით, რაც ჩამოსახლებულთა ასიმილაციას და გაქართველებას უწყობდა ხელს.

გადმოსახლება, ზოგჯერ ძალდატანებითაც კი, მეზობელი სახანოებიდანაც ხდებოდა, მაგალითად სომხებისა. გაითვალისწინა რა ინგუშებსა და რუსულ ადმინისტრაციას შორის გამწვავებული ურთიერთობა, ერეკლემ ინგუშთა საქართველოში ჩამოსახლება გადაწყვიტა, რასაც რუსულმა ხეი-სუფლებამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია; რითაც გაამჟღავნა, რომ საქართველოს სამხედრო-ეკონომიკური გაძლიერება მის გეგმებში არ შედიოდა.

ქართულ ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ ფეოდალური სახელმწიფოს სიმტკიცის საფუძველი გლეხია, ამიტომ იგი გულდასმით აკონტროლებდა ბატონყმობის რიგის დაცვას, მკაცრად იბრძოდა მებატონეთა მიერ “უდების დადების” აღსაკვეთად, ყიზილბაშებისა და ოსმალების მიერ შემოღებული ახალი ბეგარა-გადასახადების გასაუქმებლად.

ყმა-გლეხები ქართველ მეფეებს თავის დამცველად და ჭირისუფლად მიიჩნევდნენ, ამიტომ, თავადებთან დაპირისპირებაში, ისინი მეფის მხარეს იჭერდნენ, როგორც ეს მოხდა არაგვის ხეობაში, ქსნის ხეობის გაუქმების დროს და ა.შ. რის საფუძველზეც ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას და ქართლში თეიმურაზისა და ერეკლეს გაბატონებას შეეწყო ხელი.

მეფის ხელისუფლების პოლიტიკური გაჯანსაღების საფუძველი მატერიალური სიძლიერე იყო. ამ თვალსაზრისით, ერეკლეს მიერ 1765 წელს გამოცემული კანონი, რომელიც “ტყვის მოსულის გარიგებად და წიგნად იწერება” ორმაგ დატვირთვას ატარებდა: ტყვეობიდან თავდახსნილი ყმა, თავისი ბატონისაგან თავისუფალი იყო და ვისთანაც სურდა იმასთან მივიდოდა. ჩვეულებრივად, ისინი სახასოდ ან საეკლესიოდ იწერებოდნენ. ეს კი ერთი მხრით გლეხობის ინტერესებს ემსახურებოდა, მეორე მხრივ კი სახელმწიფო და საეკლესიო მატერიალური შესაძლებლობების ზრდას.

ქვეყნის სამეურნეო გაძლიერების და მოსახლეობის მატების ინტერე-სებით იყო ნაკარნახევი 1770 წელს გამოცემული კანონი ყმების უმამულოდ გაყიდვის აკრძალვის თაობაზე.

ჩატარებული ღონისძიებების საფუძველზე და შექმნილი, შედარებით უკეთესი ვითარების გამო, ქვეყანაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა: თუ 1770 წლის ცნობით ქართლ-კახეთის მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 210 000 სულს შეადგენდა, 80-იანი წლების მონაცემებით ეს რიცხვი 400 000მდეა გაზრდილი. არ არის გამორიცხული რომ

უკანასკნელ შემთხვევაში ქართლ-კახეთის ქვეშევრდომი პოლიტიკური ერთეულებიც (განჯა და სხვ.) იგულისხმებოდნენ, მაგრამ ფაქტი მაინც ერთობ შთამბეჭდავია.

მეურნეობის ტექნიკური ორგანიზაციის თვალსაზრისით გატარებულმა ღონისძიებებმა (ახალი სარწყავი არხების გაყვანა, ძველის აღდგენა და ა. შ.), სოფლის მეურნეობის გარკვეულ დარგებში დაქირავებული შრომის გამოყენების პრაქტიკამ, რაც ქონებრივი დიფერენციაციის არსებობით იყო განპირობებული და მის გაღრმავებას უწყობდა ხელს; ამასთან სასაქონლო ურთიერთობის საგულისხმო დონემ; შედარებით მშვიდობიანი ვითარების დამყარებამ და სახელმწიფოს მიერ მეურნეობის გაუმჯობესების და მწარმოებელთა ინტერესების დაცვის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა, სა-სოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესამჩნევი ზრდა გამოიწვია. ამის საფუძველი, ყველაფერთან ერთად, მეურნეობის ტრადიციული მაღალი კულტურაც იყო.

ცვლილებები სამხედრო და სახელმწიფო წყობაში. სამხედრო რეფორმის გატარება ერეკლეს ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო.

რუსეთის სამხედრო სისტემის მიბაძვით, რასაც ქართველები ევროპული წყობის ნიმუშად განიხილავდნენ, ქართულ ლაშქარში გაჩნდა შენაერთების დაყოფის თანმიმდევრობა შესაბამისი სამეთაურო ტერმინებით: კაპრალი, უნტეროფიცერი, ოფიცერი, კაპიტანი, მაიორი, პოლკოვნიკი, ღენერალი.

რუსულ ყაიდაზე იქნა გადაკეთებული სამოხელეო თანამდებობები და მათი დასახელებები: კანცლერი, ვიცეკანცლერი, სენატორი, ღუბერნატორი და ა. შ. მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მოხელეთა გასამრჯელო სარგოების ნაცვლად ჯამაგირით შეიცვალა. თუმცა ეს სიახლე, ისევე როგორც ბევრი სხვაც, შექმნილი სირთულეების გამო ბოლომდე არ განხორციელებულა.

მნიშვნელოვნად დაიხვეწა სასამართლო სისტემა. იმატა მდივანბეგთა რაოდენობამ. 1778 წელს შემოღებულ იქნა მსაჯულთა ინსტიტუტი. განმტ-კიცდა და გამრავლდა საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატი.

ერეკლე შეეცადა აღედგინა ქვეყნის მართვის დარგობრივი სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ თამარის ეპოქაში მოქმედებდა.

მეფე დიდ ყურადღებას უთმობდა ქვეყნის მმართველობის სისტემის გაუმჯობესებას, აქ ევროპული ელმენტების დანეგრვას. ქვეყნის ერთიანობისა და განმტკიცების უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებად მოჩანს საერისთავოების გაუქმება, ყაზახში ხანობის მოსპობა და იქ სახელმწიფო მოხელის, მოურავის, ინსტიტუტის დამკვიდრება და ა. შ.

შესამჩნევად იცვალა სახე დარბაზმა და იგი ქვეყნის ავტორიტეტულ, რეგულარულ ორგანოდ იქცა, რომელსაც, მართალია, სათათბირო მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მეფე მას დიდ ყურადღებას უთმობდა. 1773 წელს სწორედ დარბაზში განხილვისა და მოწონების საფუძველზე შეიქმნა რე-გულარული ლაშქარი “მორიგე ჯარი”, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქვეყნის მოთარეშე ბარბაროსული ბრბოებისგან დაცვაში.

ქართველებისთვის რეგულარული სამხედრო შენაერთების სიკეთე კარგა ხანია ცნობილი იყო. შესაბამისი ცდები ვახტანგ VI-საც ჰქონდა და თეიმურაზ II-საც; მაგრამ მათ განკარგულებაში მყოფი მცირერიცხოვანი რაზმები უპირატესად დაცვის ფუნქციას ასრულებდნენ და ქვეყნის სამხედრო პოტენციალს არსებითად ვერ ცვლიდნენ.

რეგულარული ჯარის ნაწილის შექმნა ჩვენში ბევრ დაბრკოლებას უკავშირდებოდა: საჭირო იყო აღმოსავლეთის ქვეყნების მაგალითის და ქართული ტრადიციების გათვალისწინება.

ამ დიდი საქმის ინიციატორად გამოვიდა, ერეკლეს სახელოვანი ვაჟი და ძირითადი დასაყრდენი ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეში ლევან ბატონიშვილი. ანტონ კათალიკოსთან ერთად რუსეთში ელჩობას რომ ხელმძღვანელობდა, იგი გულდასმით ეცნობოდა რეგულარული ჯარის ორგანიზების საკითხებს.

1773 წლის ბოლოს თბილისში შეიკრიბნენ ეპისკოპოსები და დიდი თავადები, რათა მუდმივი სამხედრო ძალის მოწყობის შესახებ ეთათბირათ. ამის შედეგად 1774 წლის 4 იანვარს გამოქვეყნდა განჩინება მორიგე ჯარის თაობაზე, სადაც დაწვრილებით იყო ჩამოყალიბებული ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების განხორციელების წესები.

სამეფოს მამრობითი სქესის იარაღის ტარების შემძლე მოსახლეობა 12 ნაწილად დაიყო. შესაბამისად, ყოველი ჯანმრთელი მამაკაცი ვალდებული იყო დათქმულ დროს და დათქმულ ადგილზე თავისი იარაღით და სურ-სათით გამოცხადებულიყო, რათა ერთი თვის განმავლობაში ქვეყნის დასაცავად ემსახურა. მათ ძირითადად სასაზღვრო ზონებში, ლეკთა განსაკუთრებით ინტენსიური შემოტევის ადგილებში ამწესებდნენ.

თავდაპირველად მორიგი ლაშქარი 4-5 ათას მებრძოლს აგროვებდა. შემდეგ ქვეყანაში შექმნილი სირთულეების კვალობაზე, განსაკუთრებით ლევან ბატონიშვილის დაღუპვის მომდევნო ხანებში, მისმა რიცხვმა თანდათან იკლო და 2 ათასამდე დავიდა.

მიუხედავად ამისა, რეგულარული ნაწილების შექმნა მეტად მნიშვნელოვანი პროგრესული ნაბიჯი იყო და, პირველ ხანებში მაინც, დიდი როლი შეასრულა ლეკთა თარეშის ალაგმვაში.

დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება განსახილველ ხანაში ძირითადად ერთი მიმართულებით მიედინებოდა, თუმცა გარკვეულ ნიუანსებში თავისებურებებიც იჩენდა თავს.

გეოგრაფიული, კლიმატური პირობებით, საგარეო ურთიერთობის, თუ შიდაპოლიტიკურ თავისებურებათა გამო, დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთთან შედარებით, რამდენადმე განსხვავებული ვითარება სუფევდა.

საგარეო საფრთხე და მეზობელი არაქრისტიანი ხალხების გაუთავებელი თავდასხმა-შემოსევები მნიშვნელოვნად აფერხებდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. აძნელებდა ქვეყნის ში-გნით სავაჭრო კავშირურთიერთობებს, სხვადასხვა კუთხეთა ეკონომიკურ ინტეგრაციას. განვითარებას მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს რეგიონში შემორჩენილი, ფეოდალური ურთიერთობის არაპროგრესული ფორმები, შიდა ომების სიხშირე

და სიმწვავე, დამპყრობთა და ფეოდალთა ქვეშევრდომთა მიმართ სისასტიკე, ძალადობა, უსამართლობა, და ა. შ.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სოციალ-ეკონომიკური განვითარება მა-ინც არ წყდებოდა და სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ინტენსივობით პერმანენტულად იჩენდა თავს.

დასავლეთ საქართველოს ბარის რბილი კლიმატი და ნიადაგის სტრუქტურა საწარმოო ძალთა ნაკლები განვითარების პირობებშიც იძლეოდა გარკვეული სამეურნეო წარმატებების მიღწევის საშუალებას. რაც სასაქო-ნლო მეურნეობის განვითარების საფუძველი ხდებოდა.

წამყვანი მნიშვნელობა მარცვლეული კულტურების მეურნეობას ეჭირა. ამის გამო, მიუხედავად აღნიშნული სიძნელეებისა, ამ დარგის პროდუქცია არა თუ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას, არამედ მნიშვნელოვანი მარაგის შექმნის საფუძველსაც იძლეოდა.

ამ ხანებში გავრცელებულმა სიმინდის კულტურამ შეავიწროვა ტრადიციული პურის, მჭადისა და ღომის მეურნეობა. მართალია, მოსავლია-ნობით სიმინდი გაცილებით ჩამორჩებოდა ღომს, მაგრამ შედარებით ადვილი მოსავლელი იყო და ჩქარა მისი მოყვანა იმდენად განვითარდა, რომ პროდუქციის შთამბეჭდავი მოცულობა საქართველოს გარეთ, თურქეთსა და ევროპაშიც გადიოდა. სასაქონლო წარმოების ნიადაგზე ფართო ექსპორტის საგანი იყო დასავლეთ საქართველოში მოყვანილი და დამზადებული აბრეშუმის და ბამბის ქსოვილები, ღვინო, ხილი და ა. შ. საკუთარი მოხმარებისა და საშინაო ბაზრისთვის კი წარმატებით მოჰყავდათ წინა აზიაში გავრცელებული თითქმის ყველა კულტურა, მათ შორის ზეთის ხილი, ციტრუსები და ა. შ.

ქვეყნის განვითარების წინააღმდეგობრიობა. განსახილველი ხა-ნის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ერთგვარი წინააღმდეგობრიობით ხასიათდება: ერთი მხრივ სახეზეა პოლიტიკური ცხოვრების გართულება, რომელიც ხშირად უკიდურეს დონეზე ადიოდა; მეზობელი, გაბატონებული სახელმწიფოების (ირანი, ოსმალეთი) დაპყრობაძალადობები, რასაც თან სდევდა მოსახლეობის ცხოვრების უკიდურესი დამძიმება; კულტურული მეურნეობის მოშლა, ქრისტიანული რელიგიის შევიწროვება; ყოველივე ამას ემატებოდა და უარყოფითი შედეგების მიხედვით კიდეც აჭარბებდა, მთის განვითარების შედარებით დაბალ დონეზე მდგომ ტომთა წარმომადგენლების პერმანენტული შემოსევა-აოხრებები, რომლებიც ხშირად დიდ, გამანადგურებელ ომების ხასიათსაც კი ატარებდნენ; ადგილობრივი ფეოდალების მხრიდან ექსპლუატაციის გაძლიერება, “ტყვის სყიდვის” ბარბაროსული პროცესი. ყოველივე ამას კი თან სდევდა მშრომელი ფენების სოციალური პროტესტები, მოსახლეობის აყრა-გადასახლება, მთელი სოფლებისა და ზოგჯერ კუთხეების მოსპობა-გავერანება და ა. შ.

მეორე მხრივ, ვაჭრობის მაღალი განვითარების საფუძველზე ხელოს-ნობის და შინამრეწველობის საგრძნობი განვითარება და მაღალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმის წარმოშობა კავკასიის პოლიტიკური, კულტურულ-ეკონომიკური ცენტრის როლის შენარჩუნება და ამის საფუძველზე სავაჭრო-ეკონომიკური ექსპანსია კავკასიის მთისა და ხშირად ბარის

ხალხებში. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო მაგისტრალის გარკვეული ფუნქციონირება და ამის პოზიტიური შედეგები. მაღალი სასოფლო-სამეურნეო ტრადიციები, მეურნეობის დარგების სიმრავლე და ხშირად რეგიონებისთვის უნიკალურობა, მათი სასაქონლო ხასიათი. დიდი შინაგანი სამეურნეო კულტურისა და პოტენციის შენარჩუნება და ა. შ. აგრეთვე დამახასიათებელია განსახილველი ხანის დასავლეთ საქართველოსთვის.

ხშირ შემთხვევაში, განვითარების დონით, საქართველოს მეურნეობა არა თუ უსწრებდა მეზობელ ხალხებს, არამედ ზოგჯერ მოწინავე ქვეყნებსაც კი უტოლდებოდა.

საუკუნის მიწურულს დასავლეთ საქართველოში შექმნილმა ხანგრძლივმა საგარეო თუ საშინაო გართულებებმა, აოხრებებმა, ფეოდალური ექ-სპლოატაციის ზრდამ და სხვ. დაამძიმეს იმერეთში მშრომელი მოსახლეობის, ისედაც დუხჭირი, მდგომაროება. ეს გართულება კი დაემთხვა ქვეყა-ნაში ახალი სოციალური ურთიერთობის დასაწყისს.

საწარმოო ურთიერთობათა განვითარებამ, შრომის გეოგრაფიული და ტექნიკური დანაწილების ჩასახვა-განვითარებამ, ერთიანი ეროვნული შე-გნების განმტკიცებასთან ერთად, მშრომელი ადამიანების პირადი თვითდამკვიდრების სწრაფვა განაპირობა. გლეხობა თანდათან გამოდიოდა მო-ნური სულისკვეთების ტყვეობიდან და ქვეყნის, სახელმწიფოს, სამშობლოს სრულუფლებიანი წევრობის პრეტენზიას აყენებდა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო იდეოლოგიურად დახვეწილი და ჩამოყალიბებული ბრძოლა დამოუ-კიდებლობისა და სოციალური თავისუფლებისთვის, მაგრამ ამის ჩანასახები აშკარად იკვეთებოდა. მშრომელმა ნაწილმა გააცნობიერა საკუთარი როლი და მნიშვნელობა ეროვნულ ცხოვრებაში და შესაბამისი ადგილის და-კავების პრეტენზია წამოაყენა (ან იწყებდა წამოყენებას). ის ამბავი, რომ იმერელ ფეოდალთა თხოვნაში საქართველოს გაერთიანების შესახებ, რო-გორც ქვევით დავინახავთ, იმერელ გლეხთა პოზიციაცაა დაფიქსირებული, აშკარად ამ კლასის როლისა და ავტორიტეტის ზრდაზე მიუთითებს.

ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის საფუძველზე, მშრომელი მასების მდგომარეობის დამძიმება საბაბი გახდა იმისთვის, რომ ქართველ (იმერელ) გლეხობას ხმა აემაღლებინა და სოციალური შეღავათებისთვის ბრძოლა დაეწყო.

სახელმწფიო გადასახადის მატებამ გლეხთა მოთმინების ფიალა აავსო. საქმე შეიარაღებულ აჯანყებამდე მივიდა. აჯანყებულებმა ერთიანი გადასახადის დადგენა და მისი ფულადი განსაზღვრა მოითხოვეს. ამგვარი გამოსვლები იმერეთში 80-იან წლებში რამდენჯერმე განმეორდა, რაც მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მაჩვენებელია გლეხთა ეკონომიკურ ცხოვრებაში სასაქონლო ურთიერთობის შეჭრისა, ფულის ინტენსიური მოძრაობის (განსა-კუთრებით შინა ვაჭრობის) მაღალი განვითარებისა. დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიის შეუსწავლებლობა (რომელიც მომავალ მკვლევარს ელის) ამ საკითხებზე ვრცელი მსჯელობის საშუალებას გვისპობს.

აშკარაა, რომ ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარება არაა მისი პოლიტიკური მდგომარეობის იდენტური.

წარმოების მაღალი კულტურა და ტრადიციები იყო ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ საქართველომ პოლიტიკურად მძიმე მდგომარეობაში ეკონომიკური თვითმყოფადობა შეინარჩუნა.

თავი XXXVIII. რუსეთ-თურქეთის 1769-1774 წწ. ომი და საქართველო

სოლომონ I. 1752 წელს ალექსანდრე V გარდაიცვალა და იმერეთის ტახტზე მისი 17 წლის ვაჟი ავიდა.

ახალგაზრდა სოლომონ პირველმა მოღვაწეობა ქვეყანაში პოზიციების გაძლიერებით დაიწყო; იგი მეთოდურად აწინაურებდა თავის მომხრე ფე-ოდალებს. ამავე დროს, გლეხთა მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებას ცდილობდა: მან გლეხთა დიდი ნაწილი გაანთავისუფლა სამეფო გადასახადებისაგან, ზუსტად განსაზღვრა გამოსაღებთა მოცულობა, აკრძალა გლეხთა უდანაშაულოდ გაყიდვა...

“ტყვეთა სყიდვის” აკრძალვა. ყველაფერი რეაქციული და ჩამორ-ჩენილი, რაც კი XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს ახასიათებდა, თავს იყრიდა “ეპოქის ყველაზე ბრაბაროსულ და დამღუპველ სენში “ტყვეთა სყიდვაში”. საუკუნის შუა ხანებში ამ მოვლენამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ იგი ქვეყნის ყველა სოციალური ფენისთვის აუტანელი და მიუღებელი შეიქნა. “ტყვეთა სყიდვის” და მშრომელი მოსახლეობის საპასუხო ღონისძიებების: — გაქცევის, გადაკარგვის, გავრცელების გამო, ქვეყანაში საწარმოო ძალთა ნაკლებობა კატასტროფულ მასშტაბებს აღწევდა.

ქვეყანაში არ იყო კლასი, რომელიც “ტყვის სყიდვის” გამანადგურებელ შედეგს საკუთარი ინტერესების მაგალითზე არ ხედავდა. ამ პროცე-სის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა, რომელიც ახალგაზრდა მეფემ თავისი საშინაო პოლიტიკის ძირითად ამოცანად დაისახა, არა მარტო პროგრესული, არამედ მომწიფებული და შემზადებული იყო. ამის გამო, ამ ბრძოლას მიემხრნენ სეპარატისტ ფეოდალთა ის წარმომადგენლებიც კი, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მოწინააღმდეგენი იყვნენ. ნიჭიერმა პოლიტიკოსმა სოლომონ I ამ ბრძოლას საყოველთაო ხა-სიათი მისცა და მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია.

“ტყვეთა სყიდვის” წინააღმდეგ ბრძოლას იმერეთის მეფე მაჰმადიანობის გავრცელების საპირისპიროდ და ქართული ეკლესიის განსამტკიცებელ ღონისძიებებთან კავშირში აწარმოებდა. ეს ბრძოლა მას მთელი დასავლეთი საქართველოს აღიარებულ ლიდერად აქცევდა. ამას მოწმობს 1759 წლის დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება. ამ კრებამ, რომელიც დეკემბრის თვეში ორ სხდომად ჩატარდა, გარდა საეკლესიო საკითხების მოგვარებისა, რომელთა შორის უმთავრესი იყო “აფხაზ იმერთა” კათალი-კოსის უფლებების დამტკიცება და ტყვის სყიდვის აკრძალვისთვის მიმართული ღონისძიების შემუშავება, დაადასტურა სოლომონ I უმაღლესი პოზიციები დასავლეთ საქართველოში. საერო თავკაცებმა, იმერეთის, სამეგრელოს და გურიის გამგებლებმა პირობა დადეს, რომ დაემორჩილებოდნენ იმერეთის მეფეს და იბრძოლებდნენ “ტყვის სყიდვის” წინააღმდეგ.

ამ კრების ჩატარება და მიღებული პროგრესული გადაწყვეტილებები, შეუძლებელი იქნებოდა სათანადო პოლიტიკურ-სტრატეგიული მომზადების გარეშე. 1757 წელს სოლომონმა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩა-ატარა იმერეთის ციხეებში ჩამდგარი თურქული გარნიზონების განსადევნად. ხრესილის მინდორზე განლაგებული თურქული რაზმების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც დეკემბერში მოხდა, მის ლაშქარში გურიელის და დადიანის რაზმებიც იბრძოდნენ, სამეგრელოს ლაშქარში კი სამურზაყანოელებიც მონაწილეობდნენ. კარგად გააზრებული მოსამზადებული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ქართველთა ძალები 14 დეკემბერს თავს დაესხნენ ხრესილის მინდორზე განლაგებულ თურქთა რაზმებს და სასტიკად დაამარცხეს. ახალგაზრდა მეფემ ხმლით პირადად მოკლა თურქთა სარდალი. ხრესილის გამარჯვება, დასავლეთ საქართველოს გაერთია-ნების და თურქთაგან თავდახსნის თვალსაზრისით, ახალი ეტაპის დასაწყისი იყო.

სოლომონმა იცოდა, რომ თურქეთი ხრესილის მინდორზე ნაჭამ სირცხვილს ასე ადვილად არ დაივიწყებდა. სულთანმა ლაშქარში სასტიკი რეპრესიები ჩაატარა და ახალი თავდასხმისთვის მზადებას შეუდგა. იმერეთის და ქართლ-კახეთის მეფეებმა მეგობრობის და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს.

1758 წელს თურქებმა იმერეთში ორი დამსჯელი ექსპედიცია მოაწყვეს, რაშიც ლეკთა ჯარებიც გამოიყენეს, მაგრამ იმერეთის ენერგიულმა მეფემ დიდი შემართებით შეძლო მათი მოგერიება. თუმცა მტერი არ ისვენებდა. 1760 წელს ახალციხის ფაშამ სოლომონს ტყვის სყიდვის აღდგენა მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. სულთანმა იმერეთზე გალაშქრება ბრძანა. იმავე წელს იმერეთის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს შემოჭრილ თურქთა 20 ათასიანი ლაშქარი, 1763 წელს კი მათი 13 ათასიანი ჯარი მოიგერიეს, რომელსაც სათავეში ერზრუმის ფაშა ედგა. იმავე წლის შემოდგომაზე თურქთა კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ძალები შემოესია იმერეთს, მა-გრამ აქაც ქართველებმა იმარჯვეს და მტერი უკუაგდეს. ამის შემდეგ დამ-პყრობლებმა აღმოსავლეთიდან დააპირეს შემოტევა, მაგრამ აქ ქართლ-კახეთის ლაშქარმა გზა გადაუკეტა და იმერეთისაკენ არ გაატარა.

აგრესორი არ ისვენებდა. 1764-1766 წლებში თურქებმა რამდენიმე ხალხმრავალი ძლევამოსილი ლაშქრობა მოაწყვეს იმერეთში. მედგარი წინააღმდეგობების მიუხედავად, ბოლოს ქუთაისსაც მიაღწიეს და მოდინახეს ციხეში თავშეფარებული სოლომონის მაგივრად, ტახტზე მისი ბიძაშვილი თეიმურაზ მამუკას ძე აიყვანეს. სოლომონმა რუსთა ავტორიტეტის გამოყე-ნება სცადა და, შესაბამისი წერილით ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებულ რუსების სარდლობას მიმართა, მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ. მიუხედავად ამისა, თურქეთმა არ დააყოვნა რუსეთი იმერეთის საქმეებში ჩარევაში დაედანაშაულებინა. იმერთში კი ახალციხის ფაშამ 4000-იანი მოლაშქრე ჩა-აყენა და უკან გაბრუნდა. სოლომონი, ცხადია, ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებდა. თავისი მომხრეები შემოიკრიბა, ლეკის ჯარიც მოიშველია და იმერეთში თავისი პოზიცია აღიდგინა. მოღალატე თეიმურაზი თურქებმა შეიფარეს. მათი მეციხოვნეები მძიმე დღეში ჩავარდნენ. ქართველები მათ ციხიდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ.

თურქეთი გრძნობდა, რომ იმერეთის საქმეებში ღრმად შეტოპვა მატერიალური და მორალური ზარალის მეტს არაფერს აძლევდა. ამიტომ იგი სიამოვნებით დათანხმდა ერეკლეს

შუამდგომლობას, რომელსაც თითქოს სოლომონის თხოვნის საფუძველზე ახორიცელებდა, რომ ეღიარებინა იმერეთი არა ქვეშევრდომ, არამედ მფარველობაში მყოფ ქვეყნად და დათანხმდა იმერეთიდან ყოველწლიური ხარკის სახით გაგზავნილი 60 გოგონა აუცილებლად ქართველი არ ყოფილიყო. მაგრამ მალე გაირკვა, რომ სოლომონს ამგვარი გადაწყვეილება არ აწყობდა. მან ადამიანებით ხარკის გადახდაზე გადაჭრით თქვა უარი. თურქეთის საშინაო მდგომარე-ობა ამაზე მკაცრი რეაქციის მოხდენის შესაძლებლობას არ იძლეოდა. მან თითქოს შეაკოწიწა 4500-იანი დამსჯელი რაზმი, მაგრამ იმერეთზე გალაშქრებას აჭიანურებდა და ჩქარა უსახსროდ დარჩენილი მარბიელები დაიშალნენ.

სამაგიეროდ თურქეთის სასარგებლოდ იმერეთის მეფეყოფილი თეიმურაზი მოქმედებდა, რომელიც თითქოს სოლომონს შეურიგდა და ქუთა-ისი დატოვა. ჩქარა კი აგრესიული მოქმედება განაახლა. 1768 წელს მასა და სოლომონს შორის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა. დამარცხებული თეიმურაზი მუხურის ციხეში გამოკეტეს, საიდანაც მას გამოსვლა არ ეწერა.

რუსეთთან ურთიერთობის განახლება. იმერეთის მეფეს შესანიშ-ნავად ესმოდა, რომ თურქეთის უკანდახევა დროებითი მოვლენა იყო და, როგორც კი სათანადო ძალებს მოიკრებდა, იგი შემოტევებს გააგრძელებდა. ამიტომ სოლომონს დამხმარე ძალა უნდა ეძებნა, როგორადაც მას რუსეთი ესახებოდა. მაგრამ უკანასკნელი თურქეთთან მშვიდობიანობას უფრთხილდებოდა და იმერეთის საქმეებში ჩარევას თავს არიდებდა. ამიტომ, იმერეთის ელჩობას მიანიშნა, რომ მხოლოდ თურქეთთან ურთიერთობის შეცვლა მისცემდა მას საშუალებას იმერეთისთვის მიეხედა.

60-იანი წლების მიწურულს იმერეთში იგრძნეს საერთაშორისო ვითარების შეცვლა და რუსეთთურქეთის ომის მომწიფება, რის საფუძველზეც, 1768 წელს იქ ახალი ელჩობა გააგზავნეს მაქსიმე ქუთათელის მეთაურობით.

იმერეთის ელჩობა ოქტომბრის პირველ რიცხვებში ყიზლარში ჩავიდა და იქაური კომენდანტის პოტაპოვის დიდი შეშფოთება გამოიწვია. საქმე ის არის, რომ წლინახევრით ადრე, მან პეტერბურგიდან საგანგებო ინსტრუქცია მიიღო იმის თაობაზე, რომ რადგან საქართველოსთან, და განსა-კუთრებით იმერეთთან, რუსეთის ურთიერთობა ოსმალეთის დიდ გულისწყრომას იწვევს, ხოლო ჩვენ მასთან მშვიდობიანი დამოკიდებულება გვაქვს, იმერეთიდან დედაქალაქში არავითარი ელჩობა არ გამოატაროთო. გენერალი ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედებდა და მაქსიმე მიტროპოლიტის დელიკატურად უკან გაბრუნება დააპირა. მაგრამ იმერელი მღვდელმთავარი მტკიცე ხასიათის კაცი გამოდგა და პოტაპოვს განზრახვის შესრულება გაუჭირდა. ამიტომ იძულებული შეიქნა ყველაფერი ცენტრისთვის ეცნობებინა.

პეტერბურგში კი ამ დროს სულ სხვა განწყობა სუფევდა. ამასობაში თურქეთთან ომი დაწყებულიყო და საქართველოს მიმართ საიმპერატორო კარზე ახალი დიდი გეგმები ისახებოდა. ცარიზმი ამ ომს (ისევე, როგორც თურქეთის წინააღმდეგ სხვა ომებსაც), შავი ზღვის აუზში თავისი ტერიტორიების გაფართოებისა და მფლობელობის განმტკიცებისთვის აწარმოებდა. მაგრამ თავისი ნამდვილი მიზნები რომ შეენიღბა და პოლიტიკა გაემართლებინა, იგი ამჯერად თურქეთის მფლობელობაში მოქცეული ქრისტიანი ხალხების ინტერესების დაცვის

დროშით გამოდიოდა. ასეთ ვითარებაში ომის მეთოდების და ფორმების შერჩევას განსაკუთრებული მნიშვ-ნელობა ენიჭებოდა და ამ საკითხთან დაკავშირებით საიმპერატორო კარზე სხვადასხვა პროექტები იხილებოდა. სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ პირველ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, თურქეთთან ბრძოლაში მის მფლობელობაში მყოფი მართლმადიდებელი ხალხების ჩაბმის შესახებ. მათ შორის, ერთ-ერთი მთავარი როლი ქართველებს უნდა ეთამაშათ. რუ-სეთი თურქეთის წინააღმდეგ ერთგვარ “ჯვაროსნულ ომს” ამზადებდა.

ერთი სიტყვით, როგორც კი შესაბამისი შეტყობინება მიიღო, საიმპერატორო კარმა ყიზლარის კომენდანტს სასწრაფოდ მიტროპოლიტის პეტერბურგში პატივით გამომგზავრება უბრძანა, ამავე დროს დაავალა, ელჩობის ერთ-ერთი წევრი უკან იმერეთში გაებრუნებინა, რათა სოლომონ მეფე რუსეთის კარის კეთილგანწყობაში დაერწმუნებინა და შესაბამისი წერილების მოშველიებით თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად კიდევ უფრო მეტად განეწყო.

საიმპერატორო კარს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სოლომონი თურქეთის წინააღმდეგ ომში აქტიურად ჩაებმებოდა. მაქსიმე მიტროპოლიტის ელჩობამ მას ეს რწმენა განუმტკიცა; მაგრამ წამოწყების წარმატებით განხორცი-ელებისთვის პეტერბურგში ერეკლეს მონაწილეობაც აუცილებლად ჩათვალეს. ხოლო მისი თურქეთის წინააააღმდეგ აშკარა ამხედრება, რთულ და თითქმის შეუძლებელ საქმედ მიიჩნიეს. რუსი პოლიტიკოსები მხოლოდ იმედოვნებდნენ, რომ ერეკლე თუ თვითონ არ ჩაებმებოდა ომში, სარწმუ-ნოების დაცვისა და ღირსების ძალით, იმას მაინც მიაღწევდნენ, რომ მას იმერეთის მეფისთვის მაინც არ დაეშალა ამგვარი მოქმედება.

ქართლ-კახეთის ღონისძიებები საქართველოს გაერთიანების მოსამზადებლად. XVIII საუკუნის 60-იან წლებში ქართლ-კახეთში პოლიტიკური ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა. მართალია, მთიელთა შემოსევები არ წყდებოდა, მაგრამ ქვეყანა მათ წინააღმდეგ მეტ-ნაკლებად წარმატებულ ბრძოლას განაგრძობდა და გამანადგურებელ ეფექტს ანელებდა. ამ საქმეში ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება ციხე-სიმაგრეების მშე-ნებლობა იყო. თეიმურაზის რუსეთში ელჩობის ტრაგიკული დამთავრების შემდეგ ერეკლემ ადვილად მოაგვარა ურთიერთობა ირანის გამგებელთან — ქერიმ ხანთან და ამის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე ეს შარაგზის ყა-ჩაღი (სიტყვის არა გადატანითი არამედ პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან ახალგაზრდობაში, ვიდრე ირანის ტახტის დასაკავებლად ბრძოლაში ჩაებმებოდა, იგი ყაჩაღთა რაზმს მეთაურობდა, გზებზე დათარეშობდა და იქაურობას შიშის ზარს სცემდა), რომელიც ირანის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი და ლმობიერი მმართველი გამოდგა, სწორად აფასებდა ძალთა თანაფარდობას, ერეკლესაგან ირანის კარის უმაღლესობის ფორმალურ აღიარებას სჯერდებოდა და ამით კმაყოფილდებოდა. ქართლ-კახეთის მეფე ამიერკავკასიაში თავის გავლენას აძლიერებდა; ქვეყნის საზღვარი მდინარე არაქსამდე გადასწია და ადვილად ახერხებდა დაეთრგუნა ცალ-კეული ხანების, ქართველთა საწინააღმდეგო მისწრაფებანი. მაგრამ ქართველ ხელისუფალთ არ ავიწყდებოდათ, რომ ქვეყანაში შექმნილი სტაბილურობა დიდხანს არ გასტანდა. აუცილებელი იყო რადიკალური გარდატეხა, რაც საქართველოს გაერთიანებაში უნდა გამოხატულიყო.

ქვეყნის ხელისუფალთ ესმოდათ, რომ ამ მიმართულებით მეტად ფრთხილად და თანდათანობით უნდა ემოქმედათ. მოცემულ მომენტში მათ წინაშე ორი ძირითადი ამოცანა იდგა: როგორმე გადაეწყვიტათ ჭარბელაქნის საკითხი (შემოერთება), რომელიც მთიელთა პერმანენტული შემოსევების დასაყრდენს წარმოადგენდა და დაებრუნებინათ საქართველოს კუთვნილი ძირეული ტერიტორიები, ახალციხის, ანუ ჩილდირის საფაშოს სახელით რომ იყო ცნობილი. უკანასკნელი ამოცანა ორმხრივ უმნიშვნელოვანესი იყო: ჯერ ერთი იმიტომ, რომ აქედან ხორციელდებოდა მაჰმადია-ნთა შემოსევები, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოზე და, ამავე დროს, მისი შემოერთებით ქართლ-კახეთის სამეფოს საშუალება ეძლეოდა სტრატეგიულად განმსაზღვრელი პოზიცია დაეკავებინა მთელი დასავლეთ საქართველოს მიმართ, რაც მომავალში ამ რეგიონის შემოერთების საფუძველი უნდა გამხდარიყო, ქართლ-კახეთის ხელისუფალნი, რო-გორც ჩანს, პრაქტიკულად რომ გეგმავდნენ.

ასეთი იყო ვითარება ქართლ-კახეთის სამეფოში, როდესაც 60-იანი წლების მიწურულს რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის მორიგი გამწვავება აღინიშნა და ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში საქართველოსადმი დამოკიდებულების გაცხოველება დღის წესრიგში დადგა.

მაგრამ, როდესაც ქართლ-კახეთის ხელისუფალთა დიდ პრესტიჟულ გეგმებზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, კიდევ ერთი გადაუჭრელი პრობლემა, რომელსაც ყოველ მომენტში შეიძლებოდა შეეხსენებინა თავი და რომლის იურიდიული გადაწყვეტა, აგრეთვე, ძლიერი გარეშე ძალის დახმარებასთან იყო დაკავშირებული. ეს იყო ქართლისა და კახეთის იურიდიული, მემკვიდრეობითი და საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული გაერთიანება, რომლის სიმწვავემ ჯერ კიდევ 1765 წელს პაატა ბატონიშვილის აჯანყებაში იჩინა თავი.

პაატა ბატონიშვილის შეთქმულება. ვახტანგ VI-ის უკანონო შვილის მცდელობა, რეაქციონერ თავადთა მხარდაჭერით, რომელთა უმრავლესობას პირადი ანგარიშები ჰქონდა ერელკე II-სთან, ქართლის ტახტის დაპატრონებისა “პატარა კახმა” შედარებით ადვილად აღკვეთა, თუმცა ამ საქმეში მას ასე თუ ისე შემთხვევითმა გარემოებებმა შეუწყვეს ხელი. დათუნა ფეიქარს შეთქმულები რომ არ გაეცა, ერეკლეს შესაძლოა დიდი გართულებები შექმნოდა*.

პაატას მამასთან და სხვა ემიგრანტებთან ერთად დაუტოვებია სამშობლო, რუსეთში სამხედრო განათლება მიუღია და არტილერიის საქმეს დაუფლებია. თუმცა რა დონის სპეციალისტი იყო არ დგინდება, რადგან სხვადასხვა წყარო ამაზე საპირისპირო ცნობებს გვაწვდის. იგი, თავისი ამბიციურობის კვალობაზე, რუსეთში მისი მდგომარეობით უკმაყოფილი ყოფილა. 1752 წელს პროტესტის ნიშნად რუსეთი მიატოვა და შემოვლითი გზებით საქართველოში ჩამოაღწია. ქართლ-კახეთის მესვეურებმა იგი საკადრისად მიიღეს, როგორც მეფის ბიძას შეეფერებოდა. ერთხანს თითქოს კმაყოფილებასაც ამჟღავნებდა, მაგრამ ერეკლე, როგორც ჩანს, მას ბოლომდე არ ენდობოდა, რაც მალე კიდეც დადასტურდა, პაატა ქართლ-კახეთიდან გაიქცა, იმერეთში გადავიდა და რეაქციულ ძალებს (ლევან აბაშიძე) დაუკავშირდა. ლევან აბაშიძის ხრესილის ომში დაღუპვის შემდეგ, ისევ ქართლში დაბრუნდა და ერეკლეს მოწინააღმდეგე თავადებთან გამონახა საერთო ენა.

ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებას, რომელიც ქართლის სამეფოს გამოყოფასა და მეფედ პაატას დასმას გეგმავდა, დიმიტრი ამილახვარი ხელმძღვანელობდა. მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ქართლის თავადები: გლახა ციციშვილი, ელიზბარ თაქთაქიშვილი, დიმიტრის ვაჟი, შემდგომ "გეორგიანული ისტორიის" ავტორი, 15 წლის ალექსანდრე ამილახვარი და სხვ. შეთქმულება გამჟღავნდა. მეფემ სასამართლო დანიშნა, სადაც დიდებულებთან ერთად გლეხთა წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ (რაც თავისთავად მრავალმნიშვნელოვანი ფაქტია) და შეთქმულები სასტიკად დასაჯა.

ამ წარმატებამ ქართლ-კახეთის მეფის საერთო მდგომარეობა მნიშვნელოვნად განამტკიცა.

ასეთი იყო ვითარება ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებში, როდესაც საიმპერატორო კარი თურქეთის წინააღმდეგ ომში მათ მოზიდვას ცდილობდა.

ქართლ-კახეთის პოზიცია რუსეთთურქეთის ომში მონაწილე-ობასთან დაკავშირებით. განმდგარი სოლომონ I-ის დამორჩილებისთვის წარუმატებელ ბრძოლაში ჩაბმულ სულთნის კარს და, მის დასაყრდენს ამიერკავკასიის საქმეებში, — ახალციხის ფაშას, ერეკლესთან დამოკიდებულების გამწვავება არ აწყობდათ. ამიტომ ქართველ მეფეს დიდ ანგარიშს უწევდნენ და შესაფერის პატივს არ აკლებდნენ. ნიშანდობლივია, რომ როდესაც ახალციხის ფაშამ, თურქეთის ჯარის იმერეთის დასალაშქრავად ქართლის ტერიტორიაზე გატარების თხოვნაზე ერეკლესაგან უარი მიიღო, იგი იძულებული შეიქმნა ამას უდრტვინველად შერიგებოდა...

ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთის სამეფოში იმგვარი ვითარება სუფევდა, სულ ათიოდე წლის წინ სანატრელი რომ ჰქონდათ. ერეკლე ამგვარი ვითარების შენარჩუნებას ყოველმხრივ უნდა ცდილიყო. ერთი შეხედვით ეს, თითქოს ასეც იყო.

აქვე ისიც იყო აღნიშნული, რომ თუკი ერეკლეს გადმოსაბირებლად ერეკლეს გადმოსაბირებლად რუსეთის წარმომადგენლის მეცადინეობა საკმარისი არ იქნებოდა, მას ყოველი ღონე უნდა გამოეყენებინა, რათა ერე-კლეს დაყოლიებისთვის სოლომონის დახმარებით მაინც მიეღწია.

რუს პოლიტიკოსთა გასაკვირად და გასახარად, ყველაფერი პირიქით მოხდა: ერეკლეს არავითარი დაყოლიება და შთაგონება არ დასჭირვებია, მან არათუ სოლომონს არ დაუშალა ომში ჩაბმა, თვითონ საოცარი აქტივობა გამოიჩინა და ოსმალეთის საწინააღმდეგო სამხედრო მოქმედებაში დამხმარის კი არა, ძირითადი შემსრულებლის როლი იკისრა და შესაბამი-სი გეგმებიც წამოაყენა.

ქართლ-კახეთის მეფის ამგვარი "ალოგიკური" მოქმედება მხოლოდ იმ გეგმების არსით შეიძლება აიხსნას, რომელიც ერეკლემ, თეიმურაზ II-სთან ერთად, ჯერ კიდევ 50-იან წლებში შეიმუშავა, რომლის განხორციელება, ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, შესაფერი პოლიტიკური ამინდის დადგომასთანაც იყო დაკავშირებული. მას შემდეგ, რაც 1762 წლისთვის მან ქართლ-კახეთის ფაქტობრივი გაერთიანება განახორციელა, ირანის ჰე-გემონიაში მყოფი, ქართული ტერიტორიები შემოიმტკიცა და ბევრადაც გასცდა მას, ქვეყნის გაერთიანების დიდი ეროვნული საქმე ახლა თურქეთის "წილხვედრი" ქართული მიწების თანდათანობით შემოერთების გზით უნდა წასულიყო, ე. ი. ქართლ-კახეთის მეფე თუკი მიღწეულით დაკმაყოფილებას და

აღმოსავლეთ საქართველოს ჩარჩოებში დარჩენას არ აპირებდა, დღეს თუ ხვალ ოსმალეთს უნდა დაპირისპირებოდა.

ამ დაპირისპირებაში, როგორც ეროვნული, ისე იდეოლოგიური და სტრატეგიული თვალსაზრისით ყურადღების ცენტრში, პირველ რიგში, სამხრეთ დასავლეთ საქართველო ანუ ახალციხის (ჩილდირის) საფაშო მოიაზრებოდა.

ამრიგად, რუსეთთურქეთის ომში რუსეთის მხარეს ჩაბმის გადაწყვეტილებას რომ იღებდა, ერეკლე იმედოვნებდა, რომ ომის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, მას საშუალება ექნებოდა საქართველოს ეს ძირძველი ტერიტორია დაეკავებინა, რათა მომავალში უფრო შორსმიმავალი (საქართველოს გაერთიანების) საკითხის გადაწყვეტის საფუძველი შეექმნა.

ძნელი გასარკვევია, რამდენად იყვნენ ინფორმირებული ერეკლეს გეგმებით დასავლეთ საქართველოს ხელისუფალნი, მაგრამ საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე ფარული (არ გამხელილი) პრეტენზია მათაც ჰქონდათ.

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს მესვეურთა გეგმებში რუსეთთურქეთის ომს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მინიჭებოდა.

რუსეთთურქეთის 1769-1774 წწ. ომი და ქართველ პოლიტი-კოსთა გეგმები.
რუსეთთურქეთის 1769-1774 წწ. ომი შავ ზღვაზე გაბატონების, ჯერ კიდევ პეტრე პირველის მიერ დასახული, გეგმის განხორციელებას ისახავდა მიზნად. ამ გზაზე რუსეთის პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი ყირიმის ნახევარკუნძულის დაუფლების საკითხს ეჭირა. ამიტომ ომში საქართველოს ჩაბმას, რომ ესწრაფვოდა, რუსეთის დიპლომატიას ძირითადი აქცენტი დასავლეთ საქართველოზე გადაჰქონდა, სადაც მისი დასაყრდენი იმერეთის სამეფო უნდა ყოფილიყო. ამის გამო, სოლომონ I-ს ძირითადი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო ერეკლეს მისი დამხმარის და ხელშემწყობის მეორეხარისხოვანი როლი.

ფუნქციების ამგვარი განაწილება ქართლ-კახეთის მეფისთვის მიუღებელი იყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი ამიერკავკასიაში ყველაზე გავლე-ნიანი პოლიტიკოსი იყო და მეორეხარისხოვანი როლი არ შეეფერებოდა და, რაც მთავარია, ვინც პირველ პოზიციაზე იქნებოდა, ომის შემდეგ უკეთეს შედეგსაც ის მოიმკიდა, შედეგად კი მას ახალციხის საფაშოს და-უფლება მიაჩნდა.

1769 წლის მარტში რუსეთის წარმომადგენელი საქართელოში შემოვიდა. იგი ჯერ სოლომონ პირველს ეახლა, რაც ერეკლეს არ ესიამოვნა, მა-გრამ რუსეთის წარმომადგენელი, ქობულაშვილი უფროსების ბრძანებას ასრულებდა და რას გააწყობდა. უკანასკნელმა იმერეთში ჩქარა გაარკვია სა-კითხები და უკვე 14 აპრილს ერეკლეს შეხვდა. როგორც ითქვა, ქართლ-კახეთის მეფემ დადებითად მიიღო მისი შემოთავაზება და თავის მხრივ, თურქეთის ქალაქების, თვით კონსტანტინოპოლამდე, დაკავება ივალდებულა. მხოლოდ მცირერიცხოვანი რუსული რაზმის და იმპერატრიცასაგან შესაბამისი მოწერილობის გამოგზავნა ითხოვა.

21 მაისს თბილისში სოლომონი ჩამოვიდა. იგი აქ 4 ივნისამდე დარჩა. როგორც ჩანს, მეფეები ურთიერთდამოკიდებულების და ომში მონაწილეობის დეტალებს ათანხმებდნენ. უნდა

ვიფიქროთ, რომ ყველაფერზე ვერ შეთანხმდნენ. აზრთა სხვადასხვაობა იყო მტერზე პირველი დარტყმის მიმართულების თაობაზე. ერეკლე ახალციხეზე შეტევას გეგმავდა, სოლომონს იმერეთის ციხეების და შავიზღვისპირეთის დაკავება აინტერესებდა. საკითხის საბოლოო გადაწყვეტა, ალბათ, რუსეთის წარმომადგენელს მია-ნდვეს.

სოლომონთან მოლაპარაკების შემდეგ, ერეკლემ რუსეთისადმი მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაზარდა და 5-7 პოლკის გამოგზავნა ითხოვა.

ეტყობა, ორივე სამეფო კარზე ვითარების გარკვევის შემდეგ ქობულაშვილმა ქართლ-კახეთის სამხედრო და პოლიტიკური უპირატესობა და-ინახა და მიიჩნია, რომ დასახულ ღონისძიებაში ძირითადი როლი ქართლ-კახეთს უნდა შეესრულებინა. ეს შთაბეჭდილება ერეკლეს ხელისუფლებამ, დიპლომატიური სვლებით, რუსეთის ჯარის პირველი ნაწილების შემოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გააღრმავა.

1769 წლის აგვისტოს ბოლოს 480 კაციანი რუსული რაზმი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით საქართველოს საზღვრებში შემოვიდა და რაღაც საიდუმლო ცნობის გასაზიარებლად ერეკლესთან შეხვედრა ითხოვა.

ერეკლესა და ტოტლებენის შეხვედრა. რუსთა პირველი ღონი-სძიებები. შეხვედრა, რომელიც ხოდასთან შედგა ერეკლემ განსაკუთრებული დიდებულებით მოაწყო. რაზე ისაუბრეს რუსმა გენერალმა და მეფემ, საბუთები ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან. მაგრამ რაც შემდეგ მოხდა, ხოდასთან დაგეგმილს ჰგავს.

მოვლენები კი ასე განვითარდა: 26 სექტემბერს ტოტლებენი იმერეთში ჩავიდა. 27 სექტემბერს სოლომონს შეხვდა და ქედმაღალი განცხადებები გააკეთა თავისი მისიის, თურქთაგან იმერეთის ციხეების განთავისუფლების და სხვ. შესახებ. შემდეგ დიდხანს არ შეყოვნებულა და რუსქართველთა ლაშქარით შორაპნის ციხისკენ გაეშურა, სადაც თურქული გარნიზონი იდგა. სოლომონმა საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტა სცადა და გარნიზონს, უსაფრთხოების გარანტიით, ციხის დაცლა შესთავაზა. ვიდრე მოლაპარაკებები გრძელდებოდა, იმერეთის მეფემ საგანგაშო ცნობა მიიღო იმერეთის დასავლეთ საზღვარზე შექმნილი გართულების შესახებ: დადია-ნი და თურქული რაზმი ქვეყანაში შემოჭრილიყვნენ. ამიტომ რუსები შორაპანთან დატოვა, თვით კი მტრის მოსაგერიებლად გაეშურა. შორაპნის 23 კაციანი გარნიზონის წინააღმდეგ ბრძოლა, ცხადია, მეფის უშუალო მონაწილეობას არ მოითხოვდა. მაგრამ ტოტლებენი არ ჩქარობდა, იგი ოთხი-ოდე დღეს შორაპანთან იდგა, 13 ოქტომბერს კი ალყა მოხსნა და იმერეთის საზღვრები დატოვა.

29 ოქტომბერს ტოტლებენი და მოურავოვი, რუსული რაზმებით, ცხინვალში არიან და ახალციხის მიმართულებით გალაშქრების სამზადისს იწყებენ, რისთვისაც, პირველ რიგში, რუსეთიდან დამატებითი ძალების გამოგზავნას ითხოვენ. დეკემბერში საკითხის მოსაგვარებლად ტოტლებენი მოზდოკს გაემგზავრა და 1770 წ. 3 თებერვლისთვის საქართველოში რუ-სის ჯარი 1228 კაცამდე გაიზარდა. მარტისთვის, ქართული ჯარიც მზად იყო ახალციხის მიმართულებით გასალაშქრებლად. 17 აპრილს მოკავშირეები აწყურის ციხეს მიადგნენ. ტოტლებენს ციხის აღება სურდა, ერეკლემ მიიჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა

ციხისთვის გვერდი აევლოთ, საფაშოს ტერიტოიაზე ღრმად შეჭრილიყვნენ და აწყურის გარნიზონი კომუნიკაციებისაგან მოეწყვიტათ. ტოტლებენმა შეტევა დაიჟინა. ერეკლე მის ნებას დაჰყვა. როგორც ჩქარა, გამოირკვა, ეს რუსი გენერლის სტრატეგიული შეცდომა იყო. აწყურზე შეტევა ალყის გარეშე წამოიწყეს. ამან მტერს დამხმარე რაზმების და სურსათის უპრობლემოდ მიღების საშუალება მისცა.

ორი დღის ბრძოლამ შედეგი არ გამოიღო. 19 აპრილს კი ტოტლებე-ნმა ბრძოლა შეწყვიტა და რაზმებით უკან გამობრუნდა.

ქართველები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რაკი რუსეთის რე-გულარული ჯარები მოიშორა, ახალციხის ფაშას შეეძლო არახელსაყრელ პოზიციაზე მდგომი ქართველებისთვის მთელი ძალებით შეეტია. ერეკლემ ასპინძის მიმართულებით დაძრა ლაშქარი. ფაშამ მისთვის გზის გადაჭრა განიზრახა და აქ მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა, სადაც ერთდროულად გამოჩნდა ერეკლეს ბრწყინვალე სამხედრო ნიჭიც და ქართული მხედრობის მამაცობაც. მტერი სასტიკად დამარცხდა. მათი სისხლით მტკვარი შეიღება. ეს ბრძოლა 1770 წლის 20 აპრილს მოხდა.

ქართველები გამარჯვებას ზეიმობდნენ, მაგრამ ძირითადი ამოცანა სამცხე-საათაბაგოს დაკავება, მიუღწეველი დარჩა.

ასპინძის ბრძოლას და ტოტლებენის ღალატზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი სტრიქონი დაიწერა. მაგრამ მთელი ამ ეპოპეის ახსნა ტოტლებენის ახირებული ხასიათით, მიუხედავად რუსის გენერლის ოდი-ოზურობისა, არ იქნებოდა სამართლიანი.

რუსის ჯარს საქართველოში, რომ აგზავნიდნენ ამოცანად დაუსახეს იმერეთში მოქმედება და ზღვისპირეთის დაკავება. ხოდასთან ტოტლებე-ნის და ერეკლეს შეხვედრისას, როგორც ჩანს, ერეკლემ მოახერხა დაეყოლიებინა გენერალი, რომ მას მიღებული ინსტრუქციისთვის გადაეხვია და ქართველებთან ერთად ახალციხეზე ლაშქრობა განეხორციელებინა. ეს ლა-შქრობა სხვადასხვა გარემოებათა გამო დაგვიანდა. ამასობაში, უნდა ვიფიქროთ, ტოტლებენმა ცენტრიდან გაკიცხვის ბარათი (ბარათი მან აწყურიდან გამოსვლის წინ მართლაც მიიღო თუმცა არ ვიცით რა ეწერა ამ ბარათში) და ბრძანება მიიღო: თავდაპირველი გეგმის შესაბამისად ემოქმედა და იმერეთში გადასულიყო. ტოტლებენის გადაწყვეტიოლება, როგორც ჩანს, იმანაც დააჩქარა, რომ ქართველებმა დაპირებულზე ნაკლები რაოდენობის ლაშქარი გამოიყვანეს.

სწორედ ეს უნდა იყვეს იმის მიზეზი, რომ რუსის გენერალმა მოკავ-შირე არა მარტო მოღალატურად მიატოვა მტრის პირისპირ, არამედ, ამის შემდეგ სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა ერეკლეს, რითაც რუსული დიპლომატიის სამომავლო პერსპექტიული გეგმებიც გამოააშკარავა.

რუსეთის იმპერიის საბოლოო მიზნების გამჟღავნება. ქართველებთან ურთიერთობის გაფუჭების შემდეგ ტოტლებენს თავისივე ოფიცრები აუმხედრდნენ, რომლებიც ხედავდნენ, რომ გენერალი აქ რუსულ იარაღს მხოლოდ ლაფს ასხამდა.

გაჭირვებაში ჩავარდნილმა გენერალმა იხტიბარი არ გაიტეხა და ერთდროულად ჩაება ერეკლესა და საკუთარი ოფიცრების წინააღმდეგ დაპირისპირებაში.

როგორც ჩანს, იცოდა რა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის პერსპექტიული გეგმა, თურქეთის საწინააღმდეგო ოპერაციებში თავისი წარუმატებლობა რომ გაემართლებინა, გადაწყვიტა, იმპერატორისთვის საჩუქრად ჯერ ქართლ-კახეთი, შემდეგ ალბათ, მთელი საქართველო მიერთმია.

იგი დაუკავშირდა ოპოზიციონერ თავადებს და მეფის წინააღმდეგ აჯანყების ორგანიზება დაიწყო. ამასთან ქართული ციხექალაქების დაკავებას და მოსახლეობის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცებას შეუდგა.

მხოლოდ ქვეშევრდომთა ერთგულების და გონიერების გამო, ხოლო მეორე მხრივ, ენერგიული და სწრაფი მოქმედების წყალობით, ერეკლემ შეძლო საფრთხის თავიდან აცილება. როგორც არსებული საბუთებიდან ირკვევა, რუსეთის საიმპერატორო კარი დიდ უკმაყოფილებას არ გამოთქვამდა, თუკი ტოტლებენი განზრახვას განახორციელებდა და ქართლ-კახეთის მეფეს ტახტიდან გადააყენებდა. ამრიგად უკვე 60-იან წლებში აშკარა გახდა საქართველოსთან რუსეთის დამოკიდებულების ჭეშმარიტი მიზნები.

ამასობაში საქართველოში რუსეთიდან ადრევე შეპირებული ტომსკის პოლკი ჩამოვიდა, რითაც ტოტლებენის ლაშქარი 4000 კაცამდე გაიზარდა და გენერალი ლაშქრით კვლავ იმერეთში გაეშურა.

სოლომონმა ისარგებლა ახალციხის ფაშის სისუსტით (ასპინძასთან გა-ნცდილი მარცხის შედეგად) ცუცხვათის და შორაპნის ციხეები გაათავისუფლა. 2 ივლისს ტოტლებენის და იმერეთის მეფის ლაშქარი ბაღდადის ციხეს შემოადგა. გარნიზონი მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და სიმაგრე უბრძოლველად დათმო. ამის შემდეგ გაერთიანებულმა ჯარმა ქუთაისის ციხეს შეუტია და 6 აგვისტოს ამ ციხის გარნიზონმაც დატოვა სიმაგრე. ერთხანს სოლომონ მეფესა და ტოტლებენს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა. ერეკლეზე განაწყენებული სოლომონი რუსის ჯარების იმერეთის ტერიტორიაზე მოქმედებით კმაყოფილებას ვერ მალავდა. მაგრამ ჩქარა ეს იდილია დაირღვა. ტოტლებენმა აქაც გამო-ამჟღავნა თავისი მძიმე ხასიათი. დაპირისპირების მთავარი ობიექტი სამეგრელოს სამთავრო გახდა. იმერეთის მეფე ამ სამთავროზე უფლებების დათმობას არ აპირებდა და მის დამორჩილების გეგმებს სახავდა. დადიანი კი უშუალოდ რუსის გენერალთან ამყარებდა კონტაქტებს და თურქეთის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას სთავაზობდა. დასავლეთ საქართველოში ვითარება დაიძაბა.

1770 წ. 3 ოქტომბერს ტოტლებენმა სრულიად თვითნებურად ფოთის აღება გადაწყვიტა და ალყა დაიწყო. ამის შესახებ, იგი იმერეთის ციხეების აღებასთან ერთად, რუსის იმპერატორს აცნობებდა, რომ ჩქარა ფოთსაც დავიკავებ და მას შენს სახელს დავარქმევო. მაგრამ ეს განზრახვა ტრაბახა გენერალმა ვერ შეასრულა.

მეტიც, მხოლოდ სოლომონის ენერგიულმა მოქმედებამ იხსნა იგი გამოუსწორებელი მარცხისგან: იმერეთის მეფისთვის ცნობილი გახდა, რომ თურქები ბათუმში დიდ ძალებს უყრიან თავს, ფოთის გარნიზონის დასახმარებლად, ტოტლებენმა მის გაფრთხილებას არ დაუჯერა და ჩქარა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა. ნ. იაზიკოვის და ი. ლვოვის თხოვნით ისევ

სოლომონის ლაშქარმა თურქებს გურიაში გადაუკეტა გზა და რუსთა ჯარი განადგურებისაგან იხსნა.

მანამდე, ტოტლებენის საქციელზე შემაშფოთებელი ცნობების მიღების საფუძველზე, საიმპერატორო კარმა ვითარების შესასწავლად საქართველოში ნ. იაზიკოვი გამოაგზავნა.

პეტერბურგში იაზიკოვის მოხსენების საფუძველზე დაასკვნეს, რომ საქართველოში ტოტლებენი "რუსეთის უფრო სირცხვილს უხვეჭდა, ვიდრე სახელს". გენერალი რუსეთში გაიწვიეს და მის ნაცვლად სუხოტინი გამოამწესეს.

ახალ სარდალს, ძირითად ამოცანად თურქეთის წინააღმდეგ ქართველთა ძალებით "დივერსიების" მოწყობა დაავალეს და აუხსნეს, რომ ქართული მიწების შემოერთება რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა. ე. ი. ფაქტობრივად აუკრძალეს ერეკლეს სურვილების გათვალისწინება. ამიტომ გასაკვირია არ არის, ერეკლეს არავითარმა მცდელობამ არ გაჭრა, რათა იგი ახალციხის მიმართულებით შეტევაზე დაეთანხმებინა. აქ კიდევ ერთხელ გამომჟღავნდა რუსების ჭეშმარიტი ინტერესები. მაგრამ ეს ინტერესები საბოლოოდ გახსნილად მაშინ წარმოჩნდა, როცა სუხოტინს ცენტრიდან ურჩიეს ქართველი ხალხის რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცების ტოტლებენის მიერ წამოწყებული ოპერაცია გაეგრძელებინა. თუ, რა თქმა უნდა, ეს თურქეთის წინააღმდეგ ომში რუსთა წარმატებას შეეხიდებოდა. ასე რომ, როგორც ერეკლეს, ისე სოლომონის მცდელობა რუსეთის ჯარის მეშვეობით საქართველოში თავისი პოლიტიკა გაეტარებინათ, თავიდანვე განწირული იყო და ამას ვერავითარი მატერიალური დაინტერესება, თუ სხვა ზომები, რასაც ადგილი ჰქონდა ვერ შეცვლიდა.

სუხოტინი, ადამიანური და პიროვნული თვისებებით, თავის წინამორბედზე გაცილებით მაღლა იდგა, მაგრამ სამხედრო წარმატებების თვალ-საზრისით მასზე ბედნიერი არ გამოდგა. მან, მხოლოდ ის "მოახერხა", რომ ფოთის უაზრო გარემოცვას ასობით რუსი ჯარისკაცის სიცოცხლე შე-სწირა და, რამდენიმე თვის უშედეგო ბრძოლის შემდეგ, ალყა მოხსნა (1771 წლის ოქტომბერში).

რუსეთთურქეთის ომი კი დასასრულს უახლოვდებოდა და, ასეთ ვითარებაში ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკის გამგებლებმა გადადგეს მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც საიმპერატორო კარზე "უცნაურად" და "სრულიად არადროულად" იქნა მონათლული და შეფასებული, ხოლო ისტორიოგრაფიაში მისი ახსნა მთლად ნათლად არ გამოიყურება: 1771 წლის დეკემბერში, ანტონ კათალიკოსის და ლევან ბატონიშვილის მეთაურობით, პეტერბურგში გაემგზავრა ქართლ-კახეთის სამეფოს საგანგებო ელჩობა, რომელმაც ეკატერინე II-ს საქართველოს რუსეთის მფარველობაში მიღება თხოვა. ერთი შეხედვით მათი ეს, თითქოსდა მოუმზადებელი ნაბიჯი, საგანგებო ახსნას მოითხოვს.

1772 წლის ელჩობა რუსეთში. ინტერესთა შეუსაბამობის, საერთო საქმეში შეუთანხმებლობისა და, ზოგჯერ დაპირისპირებულობის გამო რუსეთთურქეთის ომის დროს, მოკავშირეთაგან საქართველოში ვერც ერთმა ვერ მიაღწია დასახულ მიზანს: რუსეთმა კავკასიის ფრონტზე ვერ შეძლო თურქეთისთვის არსებითი ზიანის მიყენება. ათასობით რუსი ჯარისკაცის

სიცოცხლის ფასადაც კი. მან ვერ მოახერხა ხელში ჩაეგდო შავიზღვისპირეთის ციხეები, პირიქით, გურიაში მოწინააღმდეგემ რიგი ახალი სოფელიც კი დაიკავა.

სოლომონმა გაათავისუფლა იმერეთის ციხეები თურქული (ფაქტობრივად მაჰმადიანი ქართველების) გარნიზონებისაგან, მაგრამ, რამდენად არამყარი იყო ეს წარმატება იქიდან ჩანს, რომ მან კი არ გაამაგრა ისინი, არამედ დაანგრია, რათა კვლავ თურქებს არ ჩაეგდო ხელთ. მართალია მან ასე თუ ისე მოაგვარა ურთიერთობა გურიელთან, მაგრამ გადაუჭრელი რჩებოდა დადიანის საკითხი.

მოკავშირეებთაგან ყველაზე დიდი სირთულე მაინც ქართლ-კახეთის მეფეს შეექმნა. ერეკლემ არა თუ ახალციხის შემოერთება და იმერეთში გავლენის გაძლიერება ვერ შეძლო, არამედ ყველა მეზობელი სახანო თუ სამეფო მოიმდურა. სოლომონისთვის არ შეიძლებოდა მისი განზრახვები ცნობილი არ ყოფილიყო და ამიერიდან განსაკუთრებული სიფრთხილით და ეჭვით მოკიდებოდა მასთან ყოველგვარ ურთიერთობას (მართალია 1772 წელს ერეკლემ და სოლომონმა დაგეგმეს ახალციხეზე ერთობლივი ლაშქრობა, მაგრამ ეს სულ სხვა გარემოებებთან იყო დაკავშირებული და საბოლოოდ მაინც ჩვენი ვარაუდით, ამ უნდობლობის გამო ჩაიშალა).

ერეკლემ მოიმდურა ირანიც (ჯერჯერობით მაინც მისი ფორმალური სიუზერენი), რადგან ყურად არ იღო ქერიმ ხანის თხოვნა, არ გაეჩერებინა მის სამეფოში რუსის ჯარი ოსმალთა ინტერესების საზიანოდ.

რუსეთთურქეთის ომს და მასში ქართველთა პოზიციას შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს ქართლ-კახეთის დამორჩილებული თუ “შეკავშირებული” ამიერკავკასიის სახანოები, რომელთა საქართველოს წინააღმდეგ წა-საქეზებლად ოტომანთა პორტა ძალღონეს არ იშურებდა.

ვიდრე თურქეთი რუსეთთან ომში იყო ჩაბმული, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე რუსული რაზმები მოქმედებდნენ, ერეკლე ამ სირთულეებს აგვარებდა, მაგრამ რა მოხდებოდა მდგომარეობის შეცვლის შემდეგ ძნელი სათქმელია. ერეკლე ხომ მარტო რჩებოდა გაავებული მტრებით გარემოცული. მას იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ სულთნის კარი უპასუხოდ დატოვებდა მისი არაერთი თხოვნის იგნორირებას, ზავის დარღვევას და მის წინააღმდეგ იარაღით გამოსვლას, იმ სირცხვილს რომელიც მას ქართლ-კახეთის მეფემ ასპინძასთან აჭამა.

შექმნილ ვითარებაში ერთადერთ იმედად “მფარველი” და “მოკავშირე” საიმპერატორო კარი უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ, საქმეც ის იყო, ქართლ-კახეთის მეფეს მასთან ურთიერთობა გაფუჭებული ჰქონდა:

ტოტლებენთან დაპირისპირებაში, ორივე მხარე საიმპერატორო კარზე თავისი სიმართლის დასაბუთებას ცდილობდა. მაგრამ ტოტლებენი ცარიზმის ინტერესების დამცველი და გამომხატველი იყო, ამიტომ მხარიც მას დაუჭირეს, ერეკლეს ტოტლებენის საწინააღმდეგო ღონისძიებები კი “მოწყალე იმპერატორისადმი” უმადურებად და მოღალატურ საქციელად ჩაუთვალეს. მთავარი ის კი არაა, რომ ქართლ-კახეთის მეფეს, მისი ასაკისა და მდგომარეობისთვის სრულიად შეუფერებელი დატუქსვა აკადრეს, არამედ ის, რომ საიმპერატორო კარმა სრულიად ნორმალურად და უდრტვინველად მიიღო ერეკლეს ტოტლებენისაგან შესაძლო გადაყენების ცნობა. ტოტლებენის ქმედებებზე რეაქციით ცარიზმის

ხელისუფლებამ გაამჟღავნა, რომ შესაფერის მომენტში იგი ქართლ-კახეთის მიმართ ორ შესაძლო ვარი-ანტს ამუშავებდა: 1. ერეკლეს ტახტიდან გადაყენებას და მისი სხვა სასურველი კანდიდატით შეცვლას და 2. საქართველოს ოკუპაციას (მეფობის გა-უქმებას).

ეს ამბავი, ცხადია, ერეკლესთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. მართალია, ტოტლებენი სუხოტინით რომ შეიცვალა, პანინმა ერეკლეს მი-ულოცა, იმპერატრიცამ შეცდომები გაპატია და აბა შენ იცი, როგორ გაამართლებ მის ნდობასო, მაგრამ ეს თურქეთის წინააღმდეგ ქართველების მეტად წაქეზებისთვის იყო გაკეთებული. ცარიზმის პოლიტიკის მესვეურნი შემდგომშიც ხშირად აღნიშნავდნენ ქართლ-კახეთის მეფის მხრიდან რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებას, რაც მას არაერთხელ დააყვედრეს.

ამრიგად, ერეკლეს მდგომარეობა თითქოს გამოუვალი ჩანდა: თურქეთის გამარჯვების ან თუნდაც ამიერკავკასიაში მისი მდგომარეობის შენარ-ჩუნების შემთხვევაში, მას პასუხის გაცემა მოუწევდა გარემომცველ მაჰმადიანურ სამყაროსთან, ხოლო თუ რუსეთი გაიმარჯვებდა ქართლ-კახეთის მეფის ტახტზე ყოფნის საკითხი გაურკვეველი რჩებოდა.

ქართლ-კახეთის დიპლომატიური ნაბიჯის არსი. ამგვარ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ქართლ-კახეთის მეფე, როდესაც ანტონ კათალიკოსისა და ლევან ბატონიშვილის ელჩობა პეტერბურგში გაგზავნა და რუსეთის მფარველობაში შესვლა ითხოვა. შექმნილ ვითარებაში ეს ნაბიჯი ერთადერთ გამოსავლად მოჩანდა. თუკი რუსეთი ერეკლეს საზეიმოდ მიიღებდა მფარველობაში, ეს ქართლ-კახეთის ტახტზე მის იურიდი-ულ აღიარებას ნიშნავდა და ე. ი. საიმპერატორო კარის მხრიდან საში-შროება მექანიკურად იხსნებოდა. გარდა ამისა, მისი აზრით, რუსეთი ვალდებული იქნებოდა პროტექ მაჰმადიან მეზობელთა შემოტევებისაგან დაეცვა.

1772 წლის იანვარში ქართლ-კახეთის ელჩობა უკვე ასტრახანში იყო, მაგრამ პეტერბურგში გამგზავრების უფლება მას არ მისცეს. ამ ნებართვას, ერთი წელი ელოდნენ ქართველი მღვდელმთავარი და ლევან ბატონიშვილი. საქმის ამგვარი გაჭიანურება ისტორიოგრაფიაში რუსეთთურქეთის მიმდინარე ომით და რუსეთის საერთაშორისო ვითარებით არის ახსნილი. ამგვარი შეფასება სწორი, მაგრამ არასრულია. საქმე ის არის, რომ როდესაც პეტერბურგში ქართული ელჩობის და მისი მიზნების ამბავი შეიტყვეს, იქ უკვე ჰქონდათ გადაწყვეტილი მფარველობაში მიღებაზე უარის თქმა; მაგრამ რუსეთთურქეთის ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და ამ ომში ქართლ-კახეთს კიდევ შეეძლო რუსეთისთვის სასარგებლო როლი ეთამაშა. ნ. პანინის განცხადებით, “ამჟამად მთავარი საჭიროებაა ქართველები ამ ომში მოგვეხმარონ”. თუ საიმპერატორო კარი ელჩობას პეტერბურგში მიიღებდა, მისთვის გარკვეული პასუხი უნდა მიეცა. ეს პასუხი ნათელი, გარკვეული და უარყოფითი იყო. რუსეთის დიპლომატია შიშობდა, და არც უსაფუძვლოდ, რომ უარის მიღების შემთხვევაში ქართლ-კახეთის მეფე თურქეთთან ურთიერთობის მოგვარებას შეეცდებოდა და მი-სი საქმეში გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ ცარიზმის პოლიტიკოსები ამჯობინებდნენ სხვადასხვა არგუმენტების მომიზეზებით საქმე გაეჭიანურებინათ, რათა შერისხული მთხოვნელისთვის დრო მიეცათ, თავისი “დანაშაული” საერთო მტრის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლით გამოესყიდა და “მფარველის” გული მოელბო.

მაშინაც კი, როდესაც საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანას აც-ნობებდა, პანინი იქვე ერეკლეს თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას ავალებდა. მართლაც, მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, ვიდრე რუსეთიდან თავის თხოვნაზე უარი არ მიიღო, ეს კი 1773 წელს მოხდა, ერეკლე ენერგიას არ იშურებდა, რათა საიმპერატორო კარისთვის ერთგულება და თავდადება დაემტკიცებინა.

1772 წელს რუსეთმა საქართველოდან ჯარი გაიყვანა და ქვეყნის ბედ-იღბლის განმგებლები თავის თავის იმედზე დატოვა. ისინი დიდი განსაცდელის მოლოდინში იყვნენ და ამას დროებით მაინც უნდა დაევიწყებინა ურთიერთ პრეტენზიები, თუ საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის მისწრაფებები და ამ საქმეში ერთგვარი დაპირისპირება.

სოლომონი, ყველაფერთან ერთად, იმითაც უნდა ყოფილიყო შეფიქრიანებული, რომ ერეკლეს განზრახვები იმერეთის მიმართ ამ ომის განმავლობაში გამოაშკარავდა. მომდურებულ ქართლ-კახეთის მეფეს, მართალია, სხვა საზრუნავიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ ჩანს სოლომონი არც მის საწინააღმდეგო აქციებს გამორიცხავდა. ამ საშიშროებას ისიც ამწვავებდა, რომ დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფეს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, როგორც სამეფოში, ისე მის გარეთ. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ იმ ხა-ნებში მას საკუთარი ძმები კათალიკოსი მაქსიმე და არჩილ ბატონიშვილი აეშალნენ. არსებული საბუთებით არ ჩანს, ერია თუ არა ამ საქმეში ქართლ-კახეთის მეფის ხელი, გარდა იმისა, რომ არჩილ ბატონიშვილი ერეკლე მეფის სიძე და მასთან დაახლოებული (ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მის კარზე ცხოვრობდა) პიროვნება იყო.

შექმნილ ვითარებაში სოლომონმა, გარკვეული დათმობებით და სხვა ღონისძიებების მოშველიებით, მოახერხა განმდგართა დაშოშმინება და სა-იმპერატორო კარის წარმომადგენლის, კაპიტან ლვოვის მეშვეობით, რომელიც რუსეთმა ჯარის გაყვანის შემდეგ საქართველოში თავის წარმომადგე-ნლად დატოვა, ერეკლესთან შერიგება ითხოვა. ამ წინადადებით მაშინვე ისარგებლა ქართლ-კახეთის მეფემ და იმერეთს ახალციხეზე ერთობლივი ლაშქრობის განხორციელება შესთავაზა.

ერეკლესა და სოლომონის შეთანხმება და ახალციხეზე გალა-შქრების ცდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ლაშქრობით ერეკლე რამდენიმე საკითხის გადაწყვეტას გეგმავდა: ჯერ ერთი, რუსეთს ერთგულებას დაუმტკიცებდა რითაც იქ გაგზავნილი ელჩობის წარმატება გაადვილდებოდა (მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ საიმპერატორო კარმა მფარველობაში მიღებაზე უკვე უთხრა უარი), მეორე, თურქეთს ძალას დაანახვებდა და მისდამი ანგარიშის გაწევის აუცილებლობაში დაარწმუნებდა; და მესამე, წარმატების შემთხვევაში რუსეთთურქეთის მოლაპარაკებაში შესაძლოა ახალციხის საფაშოს საკითხი დამდგარიყო და მთლიანად თუ არა მისი ნაწილი მაინც მიეღო.

1773 წლის ივნისის ბოლოს ერეკლე და სოლომონი ერთმანეთს შეხვდნენ და მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულება გააფორმეს. გარდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ურთიერთდახმარებისა, შეთანხმება ითვალისწინებდა განმდგარი ქვეშევრდომების დაბრუნებას, შინააშლილობის აღკვეთაში ურთიერთდახმარებას და სხვ. ამ ხელშეკრულების ძალით, აღ-ნიშნულ შეხვედრაზე გადაწყდა ახალციხის საფაშოზე ერთობლივი შეტევაც.

იმავე წლის ოქტომბერში მოკავშირეთა ძალები გორთან შეერთდნენ, აქედან კი 11 ათასიანი ლაშქრით თრიალეთიდან ჯავახეთში შეიჭრნენ. რო-გორი საომარი გეგმა შეიმუშავეს მეფეებმა უცნობია. სავარაუდოა, რომ ოპერაცია ერეკლეს იმ გეგმით ხორციელდებოდა, რომელიც მან ტოტლებენს შესთავაზა და რომელიც უკანასკნელმა უარყო. გეგმის არსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ მოკავშირეები შეჭრილიყვნენ მტრის ტერიტორიაზე, დაეკავებინათ რაც შეიძლება მეტი სოფლები, აეღოთ სურსათი და შემდეგ შედგომოდნენ ციხეების გარემოცვას. მართლაც პირველ ეტაპზე ქართველები თარეშის ხასიათის ოპერაციებს ატარებდნენ და ართვინამდეც კი მივიდნენ. როგორ წარიმართებოდა შემდგომ პროცესი ძნელი სათქმელია, მა-გრამ მოულოდნელად, სოლომონ მეფის ავადმყოფობის გამო, ლაშქრობა შეწყდა.

არავინ იცის, რამდენად სერიოზული და გულწრფელი იყო სოლომო-ნის ავადმყოფობა, თუ მოკავშირეები ახალციხის საფაშოს ან მისი ნაწილის დაკავებას სერიოზულად გეგმავდნენ, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ სოლომონი ლაშქრობის წარმატებაში დაინტერესებული ყოფილიყო. ლაშქრობის ინიციატივა და გეგმა, ერეკლეს ეკუთვნოდა, სოლომონი თითქოს დამხმარის როლში გამოდიოდა. თუ ეს ასე იყო, მაშასადამე, ტერიტორიებსაც ერეკლე დაიკავებდა, ამ ტერიტორიებზე კი პრეტენზია (აშკარად თუ ფარულად) სოლომონსაც ჰქონდა.

ქართლ-კახეთის და იმერეთის კავშირმა დადიანის მდგომარეობა, რომელიც იმერეთის მეფეს არ ემორჩილებოდა, გაართულა და აქ მას ერეკლეს იმედი ჰქონდა, რომლის მხარდაჭერის გარეშე იგი იმერეთის მეფეს ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომ ერეკლეს რჩევით და, უნდა ვიფიქროთ, საკუთარი სურვილითაც, მან მიუხედავად თურქეთის მხრიდან სათანადო მოწოდებისა, მონაწილეობა არ მიიღო ახალციხის ფაშის იმერეთის საწინა-აღმდეგო დამსჯელ ექსპედიციაში, რამაც სოლომონს დიდად შეუწყო ხელი, რომ 3700 კაციანი დამსჯელი რაზმი სასტიკად გაენადგურებინა.

მალე ამის შემდეგ, ერეკლეს რუსეთიდან მფარველობაში მიღებაზე უარი მოუვიდა. ამასობაში საქართველოში რუსეთსა და თურქეთს შორის გაფორმებული საზავო ხელშეკრულების ამბავიც შეიტყვეს. მართალია ამ ხელშეკრულებაში ერეკლეს ინტერესები გათვალისწინებული არ ყოფილა, მაგრამ წამხდარ საქმეზე ისიც დიდი შვება იყო, რომ ქუჩუკ კაინარჯის ზავის XXIII მუხლი მას საშუალებას აძლევდა თურქეთთან ურთიერთობა მოეგვარებინა. კერძოდ მოცემულ მუხლში აღნიშნული იყო, რომ “ბრწყინვალე პორტა თავის მხრივ ვალდებულებას კისრულობს, პირველი არტიკულის შინაარსის მსგავსად, მისცეს სრული ამნისტია ყველა იმას, ვინც იმ მხარეში ამ ომის მსვლელობაში იგი შეურაცხყო”.

არსებობს ცნობა, რომ როდესაც რუსეთის წარმომადგენლებმა ერე-კლეს ქუჩუკ კაინარჯის ხელშეკრულების შინაარსი გააცნეს, მეფემ კმაყოფილება გამოხატა. რაკი ამ დოკუმენტში საქართველო ნახსენები არ არის, კმაყოფილების საფუძველი, თითქოს, არ უნდა ჰქონოდა. ამის გამო ჩვენს მეცნიერებში გამოითქვა ვარაუდი, რომ მას ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად არ გააცნეს და რაღაც შეცვლილი ვარიანტი შეაჩეჩეს. საქმე კი ის არის, რომ მართალია იმ მიზნების თვალსაზრისით, რომლებისთვისაც ერე-კლე ომში ჩაება, ხელშეკრულება კმაყოფილების საფუძველს მართლაც არ იძლეოდა, მაგრამ თუ იმ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, რომელშიც ქართლ-კახეთი ომის შედეგად ჩავარდა და იმ საშიშროებებს რომელიც მას დაემუქრა

(რაზეც ზევით გვქონდა საუბარი), ამ დოკუმენტის გაცნობით არ შეიძლებოდა მას ერთგვარი შვება არ ეგრძნო. ერთი მხრივ მართალია საიმპერატორო კარმა იგი მფარველობაში არ მიიღო, მაგრამ ლმობიერად მოექცა და საჩუქრები გამოუგზავნა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას "შეცდომები" აპატიეს და ტახტიდან ჯერჯერობით გადაყენებას აღარ უპირებდნენ. მეორე მხრივ, აღნიშნული ხელშეკრულების ძალით იგი პორტას-განაც შეწყნარებული იქნა და მასთან შერიგების გზა ეხსნებოდა.

ამრიგად, რუსეთთურქეთის ომმა არსებითად ვერ შეცვალა ძალთა განლაგება და მონაწილეთა პოლიტიკური და სტრატეგიული მდგომარეობა ამიერკავკასიაში. თუ იმ გარემოებას არ ჩავთვლით, რომ რუსული რე-გულარული ნაწილების მოქმედებამ ქართველებს თვალნათლივ დაანახა საკუთარი სამხედრო ჩამორჩენილობა და ამის გამო შესაბამისი საკითხების მოგვარება და ლაშქრის ევროპული ყაიდისთვის მიახლოება ქართველთა პოლიტიკაში კიდევ უფრო გააქტიურდა.

თავი XXXIX. ვითარება საქართველოში რუსეთთურქეთის ომის დამთავრების შემდეგ. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების ცდა

თურქეთის და ირანის მდგომარეობა. რუსეთთურქეთის ომმა გამოამჟღავნა და გაამწვავა თურქეთის სახელმწიფოს დიდი ხნით ადრე დაწყებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. ეს ომი ოტომანთა პორტამ საფრანგეთის წაქეზებით წამოიწყო, რათა რუსეთის მხრიდან შავ ზღვაზე თურქეთის მონოპოლიური მდგომარეობის ხელყოფა არ დაეშვა; მაგრამ სულთნის კარმა, სისუსტის გამო, საომარი მოქმედებების დაწყება, დაგეგმილზე ერთი წლის დაგვიანებით შეძლო. რუსეთი თურქეთზე ძლი-ერი იყო როგორც ეკონომიკურად, ისე სტრატეგიულად და, ამის გამო, უკანასკნელს ვერც საფრანგეთის ფინანსურმა და ვერც სხვა ქვეყნების მორალურმა მხარდაჭერამ უშველა. მართალია, ამიერკავკასიის ფრონტზე რუ-სეთმა წარმატება ვერ მოიპოვა, მაგრამ სამხრეთ (ყირიმში) და სამხრეთ დასავლეთში (დუნაი) მიღწეულმა ბრწყინვალე გამარჯვებებმა, აგრეთვე ხმელთაშუა ზღვაში რუსეთის ფლოტის ძლევამოსილმა მოქმედებამ, თურქეთის სრული მარცხი განაპირობა. საქმეში ავსტრიის და პრუსიის ჩარევამ და რუსეთში გლეხთა ომის დაწყებამ, გადაარჩინა ოტომანთა პორტა სრულ კატასტროფას.

რუსეთმა, გარდა მნიშვნელოვანი ტერიტორიებისა, სოლიდური (4,5 მილიონი მანეთი) კონტრიბუციაც მიიღო, მაგრამ უმთავრესი გამარჯვება ყირიმის დამოუკიდებლობის აღიარება იყო, რაც რუსეთის მიერ მის მომავალ შეერთებას უდებდა საფუძველს.

1774 წელს თურქეთის ტახტზე აბდულ ჰამიდი ავიდა, სუსტი და უპრინციპო ადამიანი, რომელსაც სახელმწიფო მართვის არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა, ამიტომ თურქეთი არსებული მდგომარეობის შენარ-ჩუნებაზე ოცნებობდა და ყოველგვარი აგრესიის ხალისი დაკარგული ჰქონდა. ბუნებრივია, იგი განმდგარი ქვეშევრდომების დასჯას არც ფიქრობდა და თუ ამ მიმართულებით დასავლეთ საქართველოში რაიმე აქცია მაინც განხორციელდა, ეს მხოლოდ ახალციხის ფაშის ინიციატივით მოხდა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ქართლ-კახეთის სამეფოს პორტასთან ურთიერთობის მოგვარება არ გასჭირვებია და ახლა შეეძლო სახანოებთან და ირანთან დამოკიდებულებისთვის მიეხედა.

თავის მხრივ, პოლიტიკური ძალაუფლების სისუსტე და მოსალოდნელი შინააშლილობის შიში, ქერიმ ხანს ამიერკავკასიის საქმეებში ლოიალობის გამოჩენას კარნახობდა. ბევრი სახანო საერთოდ გამოვიდა მისი მორ-ჩილებიდან. ერეკლე დიპლომატიურად მოიქცა: ფორმალურად სიუზერენის განაწყენება რომ არ გამოეწვია, თავიდანვე რუსეთს ირანზე ზემოქმედება მოსთხოვა, რათა საქართველოში რუსის ჯარის შემოსვლა მას თავის საწინააღმდეგო აქციად არ მიეღო. თავის მხრივ, შაჰის გული რომ მო-ეგო, ერეკლემ გაიხსენა მისი არაერთგზისი თხოვნა და “60 მეომარი და 3 ოფიცერი გაუგზავნა”, რითაც ირანის გამგებელი დიდად გაახარა. ქართველი მეომრები ქერიმმა პირად გვარდიაში ჩარიცხა და მათ გამორჩეული პატივით ექცეოდა. თუკი ქართლ-კახეთის საწინააღმდეგო რაიმე ღონისძიებაზე მაინც შეიძლება საუბარი ისაა, რომ შაჰი თავშესაფარს აძლევდა ალექსანდრე ბაქარის ძეს, რომელიც ქართლის ტახტის დაბრუნებაზე ოცნებას ვერ ელეოდა, რაშიც, როგორც ქვევით დავინახავთ, მას შეფარვით, უფრო გვიან კი აშკარად, რუსეთი აქეზებდა.

საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის გაციება. ქართლ-კახეთის მესვეურებს საშუალება მიეცათ საშინაო საქმეების მოგვარებაზე ეზრუნათ და მთელი გულისყური აქეთკენ გადაიტანეს. მაგრამ ქართველ პროგრესულ მოღვაწეებს კარგად ესმოდათ, რომ საშინაო საქმეებში მოპოვებული წარმატებები, შედარებით ხელსაყრელი საგარეო ფაქტორებით იყო გაადვილებული. მათ შეცვლას, რაც ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი, შეეძლო ამ წარმატებების მნიშვნელობა ნულამდე დაეყვანა. დაშლილი, დაქუცმაცებული საქართველო ყოველი მხრიდან შემომდგარ მტერს ვერ გაუმკლავდებოდა, ამიტომ ერთი წუთითაც კი არ აკლებდნენ ზრუნვას ქვეყნის გაერთიანების დასახულ პროგრამას. რუსეთთურქეთის ომში მონაწილეობამ მათ, ამ თვალსაზრისით, ვერავითარი წარმატება ვერ მოუტანა. თუმცა ტოტლებენის, ერეკლეს საწინააღმდეგო, მოქმედებამ და მისი გადაწყვეტილებებისადმი რუსეთის ხელისუფალთა დამოკიდებულებამ, რომლებიც, როგორც ვნახეთ, სრულიად უდრტვინველად შეხვდნენ ტახტიდან ერეკლეს გადაყენების ცნობას. ქართლ-კახეთისთვის აშკარა გახადა საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულების ჭეშმარიტი არსი. მიუხედავად ამისა, იგი ყოფილი მო-კავშირის ქვეყნის აღორძინების საქმეში გამოყენების იმედს არ ჰკარგავდა, მაგრამ თვით რუსეთი საქართველოსადმი ყურადღებას აღარ იჩენდა. მან ომის დამთავრების შემდეგ, მისთვის ერთხანს სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგა, მისი შემოერთების საკითხი კი მომწიფებული არ იყო. მოკავ-შირეებს შორის, ომის მსვლელობაში წარმოშობილი გაუგებრობის გამო, ურთიერთობა გაგრილდა; მეტიც, ძველი თანამებრძოლები ერთმანეთზე უმზრახად იყვნენ. როდესაც ერეკლემ სცადა ირანის მიმართულებით რუ-სეთის მოძრაობის პერსპექტივა საერთო ინტერესებისთვის გამოეყენებინა და რუსეთის ჯარის სარდალს, გენერალ მედემს, ერთობლივი მოქმედება, შირვანისაკენ გამოლაშქრება შესთავაზა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობის შესაძლებლობა დაუმტკიცა, რაც გენერალს ჭკუაში დაუჯდა და ქართველების გეგმა რუსეთისთვის სასარგებლოდ ჩათვალა (ერეკლეს ნამდვილი მიზანი

დაღესტნის შევიწროვება და ამის შემდეგ ჭარბელაქნის შემოერთების საკითხის გადაწყვეტა იყო), პეტერბურგში მედემის მოქმედება თვითნებობად მიიჩნიეს და მას სასწრაფოდ დარუბანდის დატოვება უბრძანეს. საიმპერატორო კარის დამოკიდებულება ქართლ-კახეთის მეფი-სადმი სრულიად გარკვეველი იყო: “ირაკლი დღესაც იმას ცდილობს, რომ აქაური (იგულისხმება რუსული – ავტ.) დახმარებით, საკუთარი ძალაუფლების მოყვარეობა დაიკმაყოფილოს, რაც ჯერ კიდევ, ნაწილობრივ, ჩვენი ჯარების საქართველოში ყოფნის დროსაც გამომჟღავნდა, უკვე არავითარ ყურადღებას არ იმსახურებს”, — აცხადებდა რუსეთის იმპერატრიცა.

ქართლ-კახეთის საგარეო ორიენტაციის კორექტირების ცდა. ამასობაში ირანსა და თურქეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ორივე მხარე საომრად ემზადებოდა. მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ამ დაპირისპირებაში ქართლ-კახეთის მეფე.

საკუთარი ინტერესების, მოწინააღმდეგეთა ძალების და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ერეკლეს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი უნდა დაეზუსტებინა. ირანიც და თურქეთიც დესპანების, საჩუქრებისა და დაპირებების საშუალებით თავგამოდებით ცდილობდნენ ქართლ-კახეთის გაძლიერებული მეფის მიმხრობას.

ერეკლემ ოსმალეთის მხარის დაჭერა გადაწყვიტა.

ეს ნაბიჯი იმდროინდელ ვითარებაში თითქოს არალოგიკური იყო: ირანის შაჰი ოფიციალურად ჯერ კიდევ აღმოსავლეთ საქართველოს ხელმწიფედ ითვლებოდა. ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობის შედეგად, ქართველებმა იცოდნენ, რომ მათთვის ირანის ბატონობა უფრო ადვილი ასატანი იყო, ვიდრე ოსმალეთისა. მაჰმადიანობის სუნიტური სექტა გაცილებით შემტევი და სხვა კონფესიებისადმი შეურიგებლობით გამოირჩეოდა. ირანი, ჯერ კიდევ მის გავლენაში მყოფი სახანოების მეშვეობით, უშუალოდ ესაზღვრებოდა ქართლ-კახეთს და ამდენად, მათზე დაყრდნობით თუ საკუთარი ძალებით, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება შეეძლო.

ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ ქართლ-კახეთის მეფე ძალთა დაპირისპირებაში უპირატესობას ოსმალეთს ანიჭებდა, რამაც მისი შესაბამისი გადაწყვეტილება განაპირობა. ვფიქრობთ, ამგვარი ახსნა საფუძველს მოკლებულია, რადგან რუსეთთურქეთის ომმა გამოააშკარავა, თუ რას წარმოადგენდა თურქეთის სამხედრო ძალა. საომარი ოპერაციების დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ დასუსტებული ირანის ლაშქარი, ყოველ შემთხვევაში ოსმალეთს არაფრით ჩამორჩებოდა. არც ის მოსაზრება უნდა იყოს მართალი, თითქოს ერეკლეს გადაწყვეტილება ირანის გავლე-ნის სფეროდან გამოსვლის მისწრაფებით იყო ნაკარნახევი. ამგვარი მისწრაფება, ცხადია არსებობდა, მაგრამ სათანადო შედეგს მაშინ ექნებოდა აზრი, თუ ქვეყნის სრული განთავისუფლებით, ან თუნდაც უფრო პროგრესული ქვეყნის მფარველობაში შესვლით დაგვირგვინდებოდა. ყველა მო-ნაცემი კი იმას მიგვანიშნებს, რომ ერეკლე არა მარტო გამოდიოდა ირანის ქვეშევრდომობიდან და მის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა ოსმალეთს, არამედ ფორმალურად მაინც, სულთნის კარის უზენაესობასაც აღი-არებდა.

დაბოლოს, ერეკლეს არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორისთვის, როგორიც ალექსანდრე ბატონიშვილი იყო. ქართლის ტახტის, ეს უკვე რეაქციონერი

პრეტენდენტი, ირანის კარზე იმყოფებოდა, ქართლის მეფობის დაბრუნების იმედს არ ჰკარგავდა, გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებოდა და საქართველოს პარტიკულარისტულ წრეებში მომხრეებს იკრებდა. ალექსანდრე ბაქარის ძის ნეიტრალიზება მარტივი საქმე არ იყო. ერეკლემ კარგად იცოდა და ჩქარა ამაში თვალნათლივ დარწმუნდა, რომ ირანის დახმარებით და მხარდაჭერით მას დიდი ზიანის მოტანა შეეძლო.

მიუხედავად ყოველივე ამისა ქართლ-კახეთის მეფემ მაინც მიიღო ეს, თითქოსდა არალოგიკური გადაწყვეტილება. ჩანს, ეს საკითხი მას უფრო ღრმად და შორს გამიზნულად ჰქონდა მოფიქრებული.

ცვლილებები დასავლეთ საქართველოსადმი თურქეთის დამოკიდებულებაში. დასავლეთ საქართველოს დამორჩილების მრავალწლიანმა ცდებმა თურქეთი დაარწმუნა, რომ ამ საქმეში არსებითი წარმატების იმედი არ შეიძლება ჰქონოდა; მას შეეძლო იმერეთი დაელაშქრა, შეეძლო ცალკეულ შეტაკებებში გამარჯვებისთვისაც მიეღწია (რაც მას ბოლო ხანებში, სოლომონ მეფის ჭკვიანური ტაქტიკისა და შემართების გამო, სულ უფრო უჭირდა), შეეძლო დროებით ციხეები და ქალაქებიც და-ეკავებინა, მაგრამ აქედან ვერავითარ სარგებელს ვერ ნახულობდა. იმერელები, თავისი მამაცი მეფის მეთაურობით, დამორჩილებას არ აპირებდნენ.

რუსეთის წინააღმდეგ ხანგრძლივი ომის გამოცდილებამ ოტომანთა პორტა იმაშიც დაარწმუნა, რომ დაპირისპირებული მხარე (რუსეთი) გაცილებით ძლიერი იყო და თურქეთს ევროპის ქვეყნების დახმარებაც ხშირად ვერაფერს შველოდა. რუსეთი შავ ზღვაზე გაბატონებისთვის იბრძოდა, ამ მიმართულებით მეთოდურად მიიწევდა წინ და საბოლოოდ თურქეთის სრულ დამხობას გეგმავდა. რამდენად სუსტიც არ უნდა ყოფილიყო თურქეთის დიპლომატია, იმას მაინც აშკარად ხედავდა, რომ მოწინააღმდეგეს საქართველოს სახით მის საპირისპიროდ მტკიცე დასაყრდენი ჰყავდა, რომლის მნიშვნელობა რუსეთის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში წინსვლის შესაბამისად, თანდათან იზრდებოდა. მაშასადამე, საქართველოს საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარებით თურქეთი ორმაგად ზარალდებოდა: ერთი მხრივ, მატერიალურ და ფიზიკურ სახსრებს უშედე-გოდ ხარჯავდა, მეორე მხრივ, რუსეთს რეგიონში ფეხის მოკიდების საშუ-ალებას აძლევდა. ასეთ ვითარებაში, ცხადია, პორტას ერჩია ამიერკავკასია-ში მეზობლად ჰყოლოდა ძლიერი ქართული სახელმწიფო, რომელიც მისდამი რაიმე ტერიტორიულ პრეტენზიას ვერ წამოაყენებდა, ხოლო თავის მხრივ რუსეთსა და თურქეთს შორის ბუფერის ფუნქციას შეასრულებდა და თურქეთის საზღვარზე რუსეთის ფეხის მოკიდებას შეაფერხებდა.

ჩვენი აზრით, ამგვარი ლოგიკით უნდა ყოფილიყო განპირობებული ქართლ-კახეთისა და ოსმალეთის დაახლოებისაკენ გადადგმული ნაბიჯები 70-იანი წლების II ნახევარში.

მხარეთა ინტერესები. 1776 წელს ქართლ-კახეთის ელჩობა სტამბულში ჩადის. დიდმა ვეზირმა საქართველოს წარგზავნილები მიიღო "და დიდი პატივი სცა: თუცა აქვნდა მრავალი წყენა მეფის ირაკლისაგან გარნა დიდად მხიარულ იქმნა ვეზირი მისვლისათვის ირაკლის ელჩისა, ცნობილ იყო მეფე ირაკლი, ფრიად წინა აღმდგომ ყოველსა ხვანთქრისა საბრძანებელთა შორის და ამის გამო ესე ვითარითა პატივითა შეიწყნარეს, რომელ უმეტესისა წადილი არღა რა

აქვნდა ელჩსა მეფისა ირაკლისასა” — გადმოგვცემს მდივანბეგი ომან ხერხეულიძე. მემატიანე იმას კი გვამცნობს, რომ ელჩმა “ყოველივე დაბარებული მეფისა ირაკლის მიერ განუცხადა ვეზირსა ხვანთქრისასა”, მაგრამ არ გვეუბნება, კერძოდ რა დააბარა მას ქართლ-კახეთის მეფემ და იძულებულს გვხდის, ეს საკითხი ვარაუდებითა და არაპირდაპირი მასალის მოშველიებით გავარკვიოთ.

პირველი ელჩობა სტამბოლში 1777 წლის იანვრამდე დარჩა და ჩანს, ამ ხნის განმავლობაში ურთიერთობის დეტალების დაზუსტება ხდებოდა. 1777 წლის აგვისტოში (5 თვის შემდეგ) ერეკლე სულთნის კარზე უფრო მრავალრიცხოვანსა და წარმომადგენლობით ელჩობას აგზავნის. ეტყობა ამჯერად ხელშეკრულებაც გაფორმდა, რომლის ტექსტი ქართველი ისტორიკოსებისთვის ცნობილი არაა. ამიტომ მის შესახებ ზუსტი საუბარი შეუძლებელია. მეორადი წყაროებით ის კი უეჭველი უნდა იყოს, რომ ერე-კლე, გარკვეული ფორმით სულთნის უზენაესობას აღიარებდა. ამ დაშვების სისწორეს ისიც მიგვანიშნებს, რომ მემატიენე ზემოთ მოყვანილ ციტატში ქართლ-კახეთს სულთნის საბრძანებელში შემავალ რეგიონად ასახელებს, რაც ცხადია შეცდომაა, რადგან საერთაშორისო სამართლის ძალით, ეს ასე არ იყო და ამგვარი შეცდომა ერეკლეს მდივანბეგს შეუძლებელია შემთხვევით მოსვლოდა. ამაზევე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის (1783 წ.) მომზადების პერიოდში, პორტა ხსენებულ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, პრეტენზიას აცხადებდა ქართლ-კახეთის მისდამი დაქვემდებარებაზე.

ამავე დროს, ერეკლეს თურქეთისადმი დამოკიდებულება ერთობ პირობითი იყო. რაც იქიდან ჩანს, რომ მისი ძალით ქართლ-კახეთის მეფეს ოდნავადაც არ შეუზღუდავს თავისი უფლებამოსილება და საკუთარ პოლიტიკას სრულიად თავისუფლად ატარებდა. მაგალითად, როდესაც ირანთურქეთის საზღვარზე ჯარების მთავარსარდლად დანიშნულმა ტრაპიზუ-ნის ცნობილმა ჯანიკლი ალი ფაშამ, ერეკლეს ქართლ-კახეთის ტერიტორი-აზე, მის მიერ მიწვეულ ლეკთა რაზმების გატარება მოსთხოვა, მტკიცე უარი მიიღო, ხოლო როდესაც ლეკებმა ქართველთა ნებართვის გარეშე დააპირეს გასვლა, ერეკლე მათ თავს დაესხა და გაანადგურა. თურქეთმა ეს ინცინდენტი უპასუხოდ დატოვა.

ქართლ-კახეთის მეფემ თავის ტერიტორიაზე ასევე არ გაატარა თურქეთის ორი ფაშა, რომლებიც ლაშქრით ქერიმ ხანის წინააღმდეგ მიდი-ოდნენ.

ნათქვამის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ თურქეთი კმაყოფილდებოდა ერეკლეს მიერ სულთნის უზენაესობის ფორმალური აღიარებით და, რაც მთავარია, იმით, რომ ერეკლე საშუალებას არ მისცემდა საიმპერატორო კარს, საქართველოს მხრიდან თურქეთის საწინა-აღმდეგო სამხედრო ოპერაციები ეწარემოებია და ქვეყანაში რუსული ჯარის შენაერთები გაეჩერებია.

მაგრამ რას იღებდა სამაგიეროდ ქართლ-კახეთის მეფე? ამის შესახებ წყაროები საერთოდ სდუმან, ის კი ცხადია, რომ ერეკლემ მეტად სერიოზული და სარისკო ნაბიჯი გადადგა. აღნიშნული გადაწყვეტილებით მან მოიმდურა, როგორც, ჯერ კიდევ მისი ოფიციალური სიუზერენი, სპარსეთი, ისე გაცილებით ძლიერი და საშიში, რუსეთი (ერთმაც და მეორემაც არ დააყოვნეს მისთვის სამაგიეროს გადახდა). ერეკლე ისეთი პოლიტიკო-სი არ იყო, ამგვარი

მნიშვნელოვანი ნაბიჯი ასჯერ გაზომვისა და განსჯის გარეშე გადაედგა. მისი გადაწყვეტილება იმდენად სერიოზული იყო, რომ ეჭვი არ არის, იგი ამით რაღაც უმნიშვნელოვანესი პრობლემატური საკითხის გადაწყვეტას გეგმავდა.

ისტორიკოსები, რომლებიც აღნიშნულ საკითხს ეხებიან, უპირატესად იმ აზრს იზიარებენ, თითქოს ოტომანთა პორტა აღნიშნული გარიგებით ქართველებს ახალციხის საფაშოს უთმობდა. ეს ვერსია ძნელი დასაჯერებელია. ახალციხის საფაშო თურქეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა, იგი ძირითადად გამაჰმადიანებული იყო, ამიტომ თურქეთის სახელმწიფოს საიმედო სანაპირო ფორპოსტს წარმოადგენდა. დაუჯერებულია პორტას იგი, საკუთარი ნებით, ვინმესთვის დაეთმო. ის გარემოება, რომ ახალციხის სულეიმან ფაშა ორ მხარეს შორის მოლაპარაკებაში აქტი-ურ როლს ასრულებდა, კი არ უარყოფს, პირიქით, ამტკიცებს მოტანილ არგუმენტს. ნაკლებად დამაჯერებელია გამოთქმული დებულება იმის შე-სახებ, თითქოს აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება განაპირობა სულეიმან ფაშას მისწრაფებამ, ერეკლეს თურქეთის მფარველობაში შესვლით თავი დაეღწია ძველი სიუზერენისაგან.

იმ ხანებში საქართველოსა და მის გარშემო ქვეყნებში შექმნილი სიტუაცია გვიკარნახებს ვივარაუდოთ, რომ ქართლ-კახეთის პოლიტიკოსთა მხრივ დათმობების სამაგიეროდ სულთნის კარი ერეკლეს დასავლეთ საქართველოზე გაბატონების სანქციას აძლევდა. ამგვარი "მსხვერპლი" პორტას შეეძლო უმტკივნეულოდ გაეღო, რადგან ლიხთიმერეთი მისი გავლენიდან გამოსული იყო და მასზე უფლებების ფაქტობრივი აღდგენის პერსპექტივა თითქმის არ ჩანდა.

ქართლ-კახეთის მეფეს თავისი მაგისტრალური გეგმის განხორციელებისთვის მომენტი დაუდგა: რუსეთი საქართველოს საქმეებით დაინტერესებას აღარ იჩენდა. სოლომონს დასავლეთ საქართველოში ძლიერი ოპოზიცია ჰყავდა სამეგრელოსა და გურიის სამთავროების სახით. ოპოზიცია იყო თვით იმერეთშიც. ბევრი ძლიერი თავადი ერეკლეს ემხრობოდა. მართალია, ერთხანს სოლომონმა მდგომარეობა განიმტკიცა, ზოგი განდგომილი ქვეშევრდომი დაიმორჩილა და პორტასთანაც თითქოს მის ურთიერთობას გამოსწორების პირი უჩანდა, მაგრამ შემდეგ ეს ურთიერთობა მკვეთრად გამწვავდა, რაც სრულიად აშკარად, ქართლ-კახეთის მეფესა და სულთნის კარს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას უკავშირდება.

რუსეთის, იმერეთის და ირანის პოლიტიკოსთა კონტრზომები ქართლ-კახეთისა და ოსმალეთის შეთანხმების საპასუხოდ. ამ ხელ-შეკრულებაში სოლომონმა, აშკარად, მის წინააღმდეგ მიმართული აქცია დაინახა და სამკვდრო-სასიცოცხლო წინააღმდეგობისთვის განეწყო.

როგორც ითქვა, ოსმალეთის კართან ქართლ-კახეთის სამეფოს ხელშე-კრულების ტექსტი ქართველი ისტორიკოსებისთვის ხელმიუწვდომელია, მაგრამ აღნიშნულ ხანაში განვითარებული ისტორიული მოვლენები ნათელს ხდის, რომ ხელშეკრულება პირველ რიგში სოლომონ I-ის (იმერეთის სამეფოს) წინააღმდეგ იყო მიმართული, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ იმერეთის და მთელი დასავლეთი საქართველოს შემოერთებას ითვალისწინებდა.

მოვლენები კი ასე განვითარდა:

ქუჩუკ კაინარჯის ზავის შემდეგ, რუსეთმა იმერეთისადმიც დაკარგა ინტერესი. შექმნილი ვითარების საფუძველზე, იმერეთსა და პორტას შორის დამოკიდებულების მოწესრიგების პერსპექტივები დაისახა და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა: 1776 წელს იმერეთს თურქეთის დიდი ელ-ჩობა ეწვია. იმავე წლის მიწურულში თურქეთის კარზე აქტიურ მოქმედებას იწყებენ ერეკლეს ელჩები, ხოლო 1777 წელს იმერეთსა და თურქეთს შორის სამშვიდობო სიტუაცია მოულოდნელად დაირღვა. იმავე წელს იმერეთის და ქართლ-კახეთის სამეფო წრეებს შორის უკმაყოფილოება ჩამოვარდა. ამ ფაქტის შესახებ წყაროების ბუნდოვანი მინიშნება საშუალებას არ იძლევა იგი რომელიმე სხვა ისტორიულ მოვლენას დავუკავშიროთ. სამა-გიეროდ იმავე წელს გიორგი ყულარაღა-სის (ქსნის ერისთავის) გამოსვლა ერეკლე II-ის წინააღმდეგ აშკარად იმერეთქართლ-კახეთის ურთიერთობის გამწვავებას უნდა უკავშირდებოდეს. გიორგი სოლომონ პირველის მძახალი იყო. მარცხის შემდეგ მისმა ვაჟმა იმერეთს შეაფარა თავი. მოსალოდ-ნელია, ამ საკითხსვე უკავშირდებოდეს იმერელი ბატონიშვილის ალექსა-ნდრე სოლომონის ძის გამოსვლა მამის წინააღმდეგ, რომელიც თავადების შეთქმულების მონაწილეთა შორის აღმოჩნდა. ამგვარი დაკავშირება კიდევ უფრო გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ალექსანდრე სოლომონის ძე ერეკლეს სიძე იყო და მის კარზე ცხოვრობდა. იგი ცნობილი იყო, როგორც ერეკლეს ორიენტაციის მომხრე, რომ მარცხის შემდეგ მან ქართლ-კახეთის სამეფოს მიაშურა, სადაც სიამოვნებით შეიფარეს.

მიუხედავად ყოველივე თქმულისა, ჯერჯერობით ერეკლესა და სოლომონს შორის უკმაყოფილება (უთანხმოება) ერთგვარად ფარულ, შენიღბულ ხასიათს ატარებდა. მხარეები თავის მიზნებს და მისწრაფებებს არ ამჟღავნებდნენ.

მაგრამ 1778 წლის გაზაფხულზე, სავარაუდოა, თურქეთსა და ქართლ-კახეთს შორის ხელშეკრულება საბოლოოდ გაფორმდა. ჩქარა ალბათ მისი შინაარსი სოლომონისთვისაც ცნობილი გახდა და აშკარად გამოიკვეთა, რომ თუ იგი სასწრაფო კონტრზომებს არ მიიღებდა, ტახტის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დადგებოდა.

ორ ქართულ სამეფოს შორის ურთიერთობის უკიდურესი გამწვავება. გ. ქიქოძე ასე ახასიათებს იმ დროს საქართველოში შექმნილ ვითარებას: “ქართლ-კახეთის მოწინავე მოღვაწეები კარგად გრძნობდნენ რა დამღუპველი იყო ქართველი ერისთვის მისი დაყოფა ორ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ, ამიტომ მათ შორის თავი იჩინა ეროვნული გაერთიანების იდეამ. ამ იდეას დასავლეთ საქართველოს მოწინავე წრეებშიც აღმოუჩნდნენ აღფრთოვანებული მიმდევრები. ერეკლე მეფე მზად იყო პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგა საქართველოს გასაერთიანებლად, მაგრამ ის მედგარ წინააღმდეგობას წააწყდა სოლომონ პირველის სახით”.

დრო არ ითმენდა: საჭირო იყო გადამჭრელი მოქმედება და, რო-გორც ჩანს, ერეკლეც დაყოვნებას არ აპირებდა. იესე ოსეს ძის მოწმობით იგი “იყო დიდს მზადებაში, და ჰყვა ჯარი დაბარებული ლეკისა, ოსისა, ქისტისა, ქართლისა, კახეთისა და არავინ იცოდა თუ სად ნებავდა წასვლა და იყო დიდს საქმეებში შესული”. ძნელი სათქმელია, მართლა არ იცოდა ერეკლეს მდივანმა რისთვის ემზადებოდა მეფე თუ განგებ არ ამხელდა ამას. ცხადია, ერეკლე თავის განზრახვას უკანასკნელ მომენტამდე საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ ჩანს სოლომონისთვის ეს

საიდუმლოება დაფარული არ ყოფილა, და საფუძველი ჰქონდა ერეკლეს სამზადისი თავის საწი-ნააღმდეგო ღონისძიებად მიეჩნია.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, სოლომონმა კარგად იცოდა ქართლ-კახეთის და თურქეთის შეთანხმების შინაარსი, რაც, როგორც ჩვენ გვგონია, იმაში მდგომარეობდა, რომ ერეკლე უარს ამბობდა ირანის ქვეშევრდომობაზე, აღიარებდა სულთნის უზენაესობას, კისრულობდა თავის სამფლობელოში არ დაეშვა რუსეთის ფეხის მოკიდება, სამაგიეროდ სულთნის კარი მას "უთმობდა" თავის უფლებებს დასავლეთ საქართველოზე, პირველ რი-გში, იმერეთის სამეფოზე. ე. ი. დასტურს აძლევდა ქართლ-კახეთის მეთა-ურობით საქართველოს გაერთიანებას.

მთელი ეს პროექტი დამყარებული იყო ირანის სისუსტეზე, საქართველოს საქმეებისადმი რუსეთის გულგრილობაზე, იმერეთში ოპოზიციურ განწყობილებასა და პროგრესულ ძალებში გაერთიანების მისწრაფების მომწიფებაზე.

რა უნდა მოემოქმედა ასეთ ვითარებაში იმერეთის მეფეს რათა ტახტი გადაერჩინა? ცხადია, პირველ რიგში იმ ძალებს უნდა დაკავშირებოდა, რომელთა ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული აღნიშნული კავ-შირი (ასეთები იყვნენ ირანი და რუსეთი). ამასთან უნდა ცდილიყო ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო სიმტკიცე შეერყია, რათა ერეკლეს დიდი, შორსმიმავალი პრობლემების გადაწყვეტის სურვილი დაკარგოდა.

ბესარიონ გაბაშვილის ელჩობა ირანში. კოალიცია ერეკლეს გამაერთიანებელი ღონისძიებების წინააღმდეგ. და აი იმავე 1778 წლის აგვისტოში (ფაქტობრვად დაუყოვნებლივ) იმერეთის სამეფოდან რუსეთის გავლით ირანში გაიგზავნა ელჩობა, რომელსაც ბესარიონ გაბაშვილი მეთაურობდა. საინტერესოა, რომ თითქმის ამ ელჩობის გაგზავნისთანავე (1778 წლის აგვისტოს ბოლოს), ქართლ-კახეთში იწყება გაცხარებული საომარი სამზადისი.

ელჩობის ოფიციალური მიზანი ჩანს იმ წერილიდან, რომელიც სოლომონ პირველმა ასტრახანის გუბერნატორს გაუგზავნა. იგი ადრესატს ორ რამეს სთხოვს: 1) საიმპერატორო კარზე ელჩობის გაგზავნის ნებართვას და 2) ბესარიონ გაბაშვილის დაუყოვნებლივ ირანში გამგზავრებას.

სრულიად უეჭველად მოსჩანს, რომ სოლომონს უნდოდა რუსეთი-სთვის ქართლ-კახეთის და თურქეთის, ფაქტობრივად ანტირუსული და ანტიიმერული შეთანხმების შინაარსი ეცნობებინა, საპასუხო ღონისძიებათა გეგმა შეეთავაზებია და საიმპერატორო კართან ერთობლივი მოქმედების პროგრამა შეეთანხმებია.

1778 წლის 11-14 ოქტომბერს იმერეთის ელჩობა ასტრახანიდან გაემგზავრა, 21-23 ნოემბერს კი ენზელში იყო, ხოლო 1778 წლის დეკემბრის ბოლოს შირაზში ჩავიდა.

ავტორთა უმრავლესობა, რომლებიც ბ. გაბაშვილის ირანში ელჩობის საკითხს ეხება, პირდაპირ, თუ არაპირდაპირ, ამ მისიას, ალექსანდრე ბაქარის ძის იმერეთში ჩამოყვანის საკითხს უკავშირებს.

როგორც აღნიშნული იყო, ვახტანგ VI-ის შვილიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე, რომელიც რუსეთში იმპერატორის სამსახურში იმყოფებოდა, 1766 წელს ერთობ საეჭვო ვითარებაში

რუსეთიდან გამოაძევეს. იგი თავს ქართლის ტახტის მემკვიდრედ თვლიდა და ამის იურიდიული საფუძველიც ჰქონდა: ერეკლე მეორე, რომელმაც ფაქტობრივად მოახერხა ქართლ-კახეთის შეერთება, ოფიციალურად მხოლოდ სანახევროდ იყო აღიარებული ამ სამეფოს მეფედ. ამის გამო, იგი მიღებული წესით კურთხეული არ ყოფილა.

თავისი მიზნების განხორციელებაში პირველი წარუმატებელი ნაბი-ჯების შემდეგ, ალექსანდრემ ირანს შეაფარა თავი და ქართლის დაბრუნების იმედს არ ჰკარგავდა, რაშიც მას ერეკლესადმი უკმაყოფილო ქართლელი თავადების მხარდაჭერაც აქეზებდა.

ლოგიკურია, რაკი სოლომონი ხედავდა ერეკლესა და თურქეთის კარის მის საწინააღმდეგო ალიანსს, შეეცდებოდა, ქართლის ტახტის ასეთი სერიოზული და აღიარებული პრეტენდენტი ერეკლესთვის დაეპირისპირებინა.

სრულიად აშკარაა, რომ სოლომონმა თავისი ელჩობის ნამდვილი მიზნები, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელს გაუმხილა. თვით ის ფაქტი, რომ საიმპერატორო კარმა ამგვარი მისია არ დააბრკოლა და ხელიც კი შეუწყო, იმის მაჩვენებელია, რომ ეს ელჩობა რუსეთის ინტერე-სებს ემთხვეოდა. ეს ინტერესები მოითხოვდა არ დაეშვა ქართლ-კახეთის და თურქეთის დაკავშირება, რომელიც საქართველოს გაერთიანებასთან ერთად რეგიონში თურქეთის გავლენის გაძლიერებას ითვალისწინებდა.

სოლომონმა, როგორც ჭკვიანმა პოლიტიკოსმა ყველაფერი გათვალა. იგი დარწმუნებული იყო თავისი მისიის წარმატებაში. არც იმაში ეპარებოდა ეჭვი, რომ, როგორც რუსეთი, ისე ირანი, ყოველმხრივ შეეცდებოდა ქართლ-კახეთის და თურექთის შეთანმხების ჩაშლას სწორედ ამიტომ, სწერდა იგი ასტრახანის გუბერნატორს ქარაგმულად და დაბეჯითებით: “ადა-იადხანს ზოგიერთი რამ ვთხოვე და წიგნი მაგ ჩვენს კნიაზს გამოვატანე იმასთან და, რაც მითხოვნია, ვიცი გამომიგზავნის (სეჭვო არაა, რომ აქ სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილის გამოგზავნაზეა საუბარი, რომელიც უნდა ვიფიქროთ, იმჟამად გილანის ხანის კარზე იმყოფებოდა — ავტ.) და გევედრები სიყვარულისა და მეგობრობისთვის წყლით იყოს თუ ხმელით, გაისტუმროთ და მშვიდობით იქამდე მივიდეს და, როდესაც რომ იქიდამ მანდ გიახლებათ, აქეთაც კეთილის გზით წყალობა უყოთ, რომ რაც წამოიღოს აქ, ჩემამდინ მოაწევინოთ, დიდად გმადლობელი და მოსამსახურე მამყოფეთ მეც”.

ალექსანდრე ბაქარის ძე იმერეთში და ერეკლეს საწინააღმდე-გო ბრძოლის დაწყება. 1779 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე ბესიკი იმერეთში დაბრუნდა. ამავე დროს ასპარეზზე ჩნდება ალექსანდრე ბაქარის ძეც, რაც მათ ერთად ჩამოსვლაზე მიუთითებს.

ალექსანდრეს გამოჩენამ და ერეკლეს საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩაბმამ მოსალოდნელი შედეგი გამოიღო. ერევნის ხანის დასასჯელად გამგზავრებული მეფე იძულებული შეიქმნა, საომარი საქმეები ნაჩქარევად მოე-გვარებინა და თბილისში დაბრუნებულიყო.

თუკი ერეკლე იმერეთის საწინააღმდეგო აქციას გეგმავდა, რით უნდა აიხსნას მისი გალაშქრება საპირისპირო, ერევნის მიმართულებით?

ჩვენი აზრით, საქმე შემდეგშია: ან ერეკლე ელოდა იმერეთში თავისი მომხრე ბანაკის ანტისოლომონისტურ გამოსვლას, რის შედეგადაც სასწრაფოდ საქმეში ჩაერეოდა, რისთვისაც მას ჯარი გამზადებული უნდა ჰყოლოდა. ხოლო შეკრებილი ლაშქრის უმოქმედოდ გაჩერება, საქართველოში არსებული სამხედრო წყობის გამო, შეუძლებელი იყო, რადგან მისი სურ-სათით მომარაგება ძნელდებოდა, ლაშქარი სწრაფად იშლებოდა. შეტევაზე გადასული ლაშქარი ტერიტორიების ძარცვით ირჩენდა თავს. თუ ერეკლე იმერეთში შეჭრას გეგმავდა, ქართულ რეგიონში მსგავსი საქციელის დაშვება შეუძლებელი იყო. მაშასადამე უნდა ვივარაუდოთ ერევანზე ლაშქრობით ჯარი სურსათისა და აღალის მნიშვნელოვან მარაგს შეივსებდა და ამის შემდეგ იმერეთში გალაშქრებაც ზემოთნახსენებ სირთულეებთან არ იქნებოდა დაკავშირებული.

შეიძლება სხვა ლოგიკური ახსნაც გამოიძებნოს, მაგრამ ფაქტია, რომ ერევანზე ლაშქრობა სოლომონმა თავის საწინააღმდეგო ოპერაციად ჩათვალა (სხვა ვერსიის შემთხვევაში მათი მოქმედება სრულიად გაუგებარი იქ-ნებოდა). ერეკლეს საწინააღმდეგოდ ალექსანდრე ჩამოიყვანა და მეფეს ქართლში პრობლემები შეუქმნა, შეთქმულების თუ ამბოხების სახით, ეს აქცია კი იმდენად ძლიერი იყო, რომ ერეკლე სასწრაფოდ დაბრუნდა სამეფოში და იმერეთზე დაგეგმილი მარშიც მოშალა.

რუსეთის გააქტიურება. ყოველივე ამაში მეტად მნიშვნელოვანი ჩანს რუსული დიპლომატიის ძალისხმევა. რაკი დაინახა, რომ ქართლ-კახეთი ხელიდან ეცლებოდა და მთელი დასავლეთ საქართველოც მას მიჰყვებოდა, საქართველოს მიმართ რუსეთის ერთგვარი ინდიფერენტულობა მო-ჩვენებითი აღმოჩნდა. ცხადია, რუსეთი, რომელიც წინა აზიაში და შავ ზღვაზე გაბატონების პროგრამის განხორციელებაზე ფიქრობდა, ამიერკავკ-კასიაში მისი პოზიციების ხელყოფას არ დაუშვებდა. ამიტომ საიმპერატორო კარი, ზომების მიღებას არ აყოვნებს: ცდილობს შეასუსტოს ქართლ-კახეთის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი, რათა მან იმერეთთან შედარებით გადამწყვეტი უპირატესობა არ მიიღოს. ყოველ მხრივ ხელს უწყობს სპარსეთში ბესიკის ელჩობის წარმატებას. ყოფილმა მოკავშირემ დაუყოვნებლად აჩვენა ქართლ-კახეთს თავისი ძალა და განწყობილება და მოხერხებულად ჩაუკეტა დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების გზები: როგორც ითქვა ნება არ დართო მედემის კორპუსს ჩრდილოეთ კავკასიაში ერეკლეს ინტერესების სასარგებლოდ ემოქმედა, ხოლო იმპერატრიცამ ქართლ-კახეთის მეფის არასანდოობაზე და რუსეთის ძალების თავის სასარგებლოდ გამოყენების მისწრაფებაზე მიუთითა; ორჯერ ჩა-შალა ერეკლეს შორსგამიზნული ღონისძიება საქართველოში ყაბარდოელთა გადმოსახლებას რომ ისახავდა მიზნად; აკრძალა ქართველების მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში ჯარების დაქირავება, რითაც არსებითი დარტყმა მიაყენა ქვეყნის სამხედრო პოტენციალს და ა. შ.

როგორც ჩანს, სოლომონ პირველის ბანაკმა დასავლეთ საქართველოს მთავრებშიაც აქტიურად გააჩაღა ერეკლე მეორის პოლიტიკის საწინააღმდეგო პროპაგანდა. მათ არწმუნებდნენ, რომ ერეკლეს და თურქეთის გარიგება მათ წინააღმდეგ არის მიმართული და რომ ქართლ-კახეთის მეფე მარტო იმერეთის შემოერთებით არ დაკმაყოფილდებოდა. ჩანს ამ პროპა-განდამ შედეგი გამოიღო და გურია-სამეგრელოს მთავრები ერეკლეს პოლიტიკას, დროებით მაინც ჩამოაცილა.

ამგვარ ვითარებაში იმერეთის შემოერთების გეგმა ფაქტობრივად ჩაი-შალა.

იგი ჩაშალა სოლომონ პირველის მედგარმა წინააღმდეგობამ; დასავლეთ საქართველოს მთავრების ნეგატიურმა პოზიციამ, ერეკლეს საწინააღმდეგო ალიანსთან რუსეთისა და ირანის დაკავშირებამ, სახანოების ანტიქართულმა განწყობილებამ და ალექსანდრე ბაქარის ძის ფაქტორმა, რომელსაც ასე მოხერხებულად იყენებდნენ პროგრესის მოწინააღმდეგე ძალები.

სულ ორიოდე წლის განმავლობაში ერეკლეს პოლიტიკამ რამდენიმე მნიშვნელოვანი მარცხი განიცადა. 1781 წელს კი მოხდა ქართლ-კახეთის მეფის პირადი ტრაგედია და მთელი ქართული პროგრესული პოლიტიკის დიდი დანაკლისი. დღემდე გაურკვეველ ვითარებაში, გარდაიცვალა ერე-კლეს რჩეული ვაჟი და იმედი ქვეყნის "აღდგომისა და გამოხსნის გზაზე" — ლევან ბატონიშვილი. მემატიანის გადმოცემით ეს ტრაგედია მით უმეტეს მნიშვნელოვანი და აუნაზღაურებელი იყო, რომ მრავალ შვილთაგან ერეკლეს საქმის გამგრძელებელი, ბურჯი და იმედი ლევანი იყო: "არამედ მოჰსცა ღმერთმან მეფესა ირაკლის ძე ერთი სახელად ლევან, რომელიც ემსგავსებოდა მამასა თვისსა სიმხნითა"...

შეუძლებელია ლევან ბატონიშვილის ტრაგედია ზემოთაღწერილ ამბებს დავუკავშიროთ, მაგრამ ამ ფაქტმა ერეკლეს დიდი გეგმების ჩაშლა-ში რომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ეს აშკარაა. ლევანი, როგორც ითქვა, ერეკლეს პოლიტიკის დასაყრდენი იყო და ერთი ცნობით, მისი გეგმის განხორციელების შემთხვევაში, ქართლ-კახეთის მეფეს იგი იმერეთის გამგებლად ჰყავდა გათვალისწინებული. ყველაფერმა ამან 61 წლის მეფეზე დამთრგუნველად იმოქმედა. ომან ხერხეულიძის გადმოცემით "მეფე მგლოვიარე ძისთვის ლეონისა დამცხრალ იყო ომებისთვის და აღარ ნებავდა არცა ერთსა მხარესა".

ერეკლეს უბედურების ამბავი რომ გაუგია, ახალციხის ფაშას სინანულით უთქვამს: "მოხუცების ჟამს მეფეს ირაკლისსა ერთი ფარდა აქვნდა საქართველოს, რომელიცა ოთხკერძოვე იგურდივ იფარებდა და აწ დიდი შემწე, მოეშალა ირაკლი მეფესაო".

ასე შეფერხდა საქართველოს გაერთიანების კარგად მოფიქრებული გეგმა, მაგრამ იდეა არ გამქრალა საბედნიეროდ და მოგვიანებით იჩინა თავი (XVIII ს. ბოლო ოცეულში).

ამასობაში საქართველოს ირგვლივ საერთაშორისო ძალთა განლაგება კიდევ ერთხელ შეიცვალა. საიმპერატორო კარის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ტაქტიკური ხასიათის კორექტივები მოხდა. საქართველოს საკითხი იქ ახლა სხვაგვარად დაისვა, რამაც ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა და დასახული ისტორიული პერსპექტივის მოახლოვება დააჩქარა.

თავი XXXX. საქართველოში რუსეთის ექსპანსიის გაძლიერება. 1783 წ. ხელშეკრულება

რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის გამწვავება. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ყირიმი დამოუკიდებლად გამოცხადდა, მაგრამ მის გარშემო ვნებათღელვები მაინც გრძელდებოდა. რუსეთიც და თურქეთიც, ნახევარკუნძულის თავის გავლენაში მოქცევას ცდილობდა. ამ ნიადაგზე 1778-1779 წლებში საქმე მათ შორის კინაღამ ომამდე მივიდა. მა-შინ თითქოს ვითარება

დამშვიდდა, მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ კვლავ მწვავე ურთიერთდაპირისპირება აღინიშნა. რუსეთისთვის აშკარა გახდა, რომ თუ იგი ყირიმს არ შემოიერთებდა, იქ ძველებურად თურქული გავლენა აღდგებოდა, რის გამოც, რუსეთის პოლიტიკაში ეს საკითხი გადაუდებლად დაისვა.

იმ ხანებში რუსეთის საგარეო უწყებაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. 1781 წელს პანინი საგარეო საქმეთა საგანგიოს ჩამოსცილდა და იქ გადამწყვეტი პოზიცია გ. პოტიომკინმა და ა. ბეზბოროდკომ დაიკავეს, რომლებიც თურქების მიმართ აქტიური, შემტევი, პოლიტიკის მომხრეებად ითვლებოდნენ. ამასთან დაკავშირებით, წინა პლანზე წამოიწია საქართველოს საკითხმაც, რაც ერეკლეს და თურქეთის ურთიერთობის გაცხოველებამ და საქართველოს გაერთიანების დასახულმა პერსპექტივამ კიდევ უფრო დააჩქარა. რუსეთს, ცხადია, საქართველოს მთლიანი დაპატრონება სურდა; გაძლიერებული საქართველოს მიმართ მისი შანსები მცირდებოდა, მით უმეტეს, თუ საქართველო თურქეთის მფარველობისკენ გადაიხრებოდა. რაკი თურქეთთან ურთიერთობის გართულება კარზე იყო მომდგარი, რუსეთს შეეძლო მისთვის ყველა არსებული და მომწიფებული პრეტენზია ერთად წაეყენებია. მართალია, რაკი სოლომონის კონტრღონისძიებების, ცარიზმის აქტიური ნეგატიური პოლიტიკის, სახანოებთან ურთიერთობების გართულების და ალექსანდრე ბაქარის ძის ფაქტორის გამო, ერეკლემ იმერეთის შემოერთება ვერ შეძლო, თურქეთთან გაფორმებულ მის ხელშე-კრულებას ძალა დაეკარგა, მაგრამ ამასობაში ქართლ-კახეთის მეფემ ევრო-პასთან ურთიერთობის განახლება და იქიდან შესაძლებელი დახმარების ძიება დაიწყო.

ყირიმის გამო, თურქეთთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში, რუსეთისთვის საქართველოს მხრიდან მატერიალური და ფიზიკური მხარდაჭერა სასურველი ჩანდა. განსაკუთრებული იყო ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობაც, რადგან რუსეთის გენერალიტეტი, გ. პოტიომკინის მეთაურობით, ფრონტის გახსნას ამიერკავკასიაშიც ვარაუდობდა; მაგრამ, რო-გორც ჩანს, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა საკითხის მორალურ მხარესაც.

თურქეთი სუსტი იყო. ეს არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგე-ნდა. ამიტომ მოსალოდნელ ომში გამარჯვების სიძნელე იმაზე იყო დამო-კიდებული, თუ რამდენად დაუჭერდნენ მას მხარს და რა დახმარებას აღმოუჩენდნენ ევროპის სახელმწიფოები. მაჰმადიანური ყირიმისთვის ბრძოლაში რუსეთს ევროპის საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონოდა. სულ სხვა იყო ქრისტიანული საქართველო, რომელსაც (განსაკუთრებით მის თავდადებულ ბრძოლებს მაჰმადიანურ სამყაროსთან), ევროპაში კარგად იცნობდნენ. ე. ი. თუკი რუსეთი თურქეთთან მოსალოდნელ ომში მაჰმადიანთაგან შევიწროვებული საქართველოს დახმარებისა და თავდახსნის ლოზუნგით გამოვიდოდა, იგი ამით ევროპის საზოგადო-ებრივი აზრის კეთილგანწყობას მოიპოვებდა და თურქეთისთვის იქედან დახმარების მიღების შანსებს მნიშვნელოვნად შეამცირებდა.

რუსეთის ინიციატივა მფარველობითი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. ასეთ ვითარებაში, საიმპერატორო კარმა სასწრაფოდ “დაივიწყა” ერეკლეს “უმადურობა”, “საკუთარი ინტერესებისადმი რუსეთის იმპერიის მიზნების დაქვემდებარების” სურვილი, თუ სხვა ურჩი მოქმედებები (რაც საქართველოში ტოტლებენის ყოფნის პერიოდში ბრალად წაუყენეს) და ახლა მასთან ურთიერთობის აღდგენას განსაკუთრებული მონდომებით ცდილობდა.

1781 წელს, კავკასიის ხაზის ჯარების სარდლად რომ ნიშნავდნენ, გე-ნერალ პავლე პოტიომკინს უპირველეს ამოცანად, ძირითადად ერეკლე-სთან, აგრეთვე ამიერკავკასიის სხვა ქრისტიან მფლობელებთან ურთიერთობების მოწესრიგებას უსახავდნენ მიზნად და საამისოდ მეთოდებსაც კარნახობდნენ. “სხვადასხვა საბაბით ხშირი ურთიერთობა იქონიეთ მათთან, თავი გააცანით, რის მეშვეობითაც მოემზადეთ კიდეც მომავლი-სთვის გათვალისწინებული მიზნებისა და წამოწყებებისთვის”.

რუსეთის ხელისუფლება ჩქარობდა, დაძაბული ვითარება დაყოვნებას არ ითმენდა და ამიტომ პ. პოტიომკინმა შერიგებისაკენ პირველი ნაბიჯიც გადადგა. რუსეთის დიპლომატიას როგორც ყოველთვის განსაკუთრებით აწყობდა ერეკლეს თვითონ ეთხოვა მფარველობაში მიღება.

გ. პოტიომკინი ერეკლესთან მისასვლელ გზებს ეძებდა და ამიტომ საქართველოში მყოფი ი. რეინეგსი, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში აქ კარის ექიმის ფუნქციას ასრულებდა და გარკვეული გავლენითაც სარგებლობდა, თავისთან გამოიძახა და 1782 წლის შემოდგომაზე, რუსეთის არმიის პოლკოვნიკის ჩინით, კვლავ საქართველოში გამოისტუმრა, ვითარცა კომისიონერი და დაავალა, რომ “წაექეზებინა ერეკლე, ფორმალურად ეთხოვა რუსეთის თვითმპყრობელის მფარველობა, რაზედაც უმაღლესი სურვილი გამოითქვა”. უფრო მეტიც, თვით გრიგოლ პოტიომკინის მონდომებით, ერეკლეს გადმობირებისა და მის მიერ მფარველობაში მიღების შე-სახებ თხოვნის გაგზავნაზე დიდად გარჯილა სომეხი არქიეპისკოპოსი იო-სებ არღუთინსკი.

მიზნის მისაღწევად რუსული დიპლომატია პირდაპირ თუ შემოვლით გზებს ეძებდა. ამგვარ საშუალებად კი იგი, ერთი მხრივ, ფათალი ხანის, მეორე მხრივ კი ალექსანდრე ბაქარის ძის ნაცადი ფაქტორის გამოყენებასაც იმედით უყურებდა.

1781 წელს ერეკლესა და სოლომონის შეთანხმების საფუძველზე, ალექსანდრე ბაქარის ძემ იმერეთი დატოვა.

მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილს აქტივობისაგან ხელი არ აუღია. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი, თავის სურვილთან ერთად ბეჯითად ასრულებდა რუსეთში მიღებულ ინსტრუქციას. 1782 წლის ზაფხულში იგი თავი-სთან შეიფარა დარუბანდის ფათ ალი ხანმა. ამრიგად ერეკლეს ორი დაუძინებელი მტერი შეკავშირდა და მას სერიოზული საფრთხე შეუქმნა.

ერეკლე მეორისთვის ალექსანდრე ბატონიშვილისა და ფათალიხანის კავშირის დარღვევა სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენდა და ამ საქმეში მი-სთვის რეალური დახმარების აღმოჩენა, იმ შემთხვევაში, მხოლოდ რუ-სეთს შეეძლო.

ამას კი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემდგომი განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქართლ-კახეთის იმდრო-ინდელი პოლიტიკური მდგომარეობა და ის გამოცდილება, რაც 1769-74 წლებში საქართველოში რუსის ჯარების ყოფნისას ერეკლემ შეიძინა და მომავალი სიუზერენის განზრახვებში გარკვევა, მას ამჯერად რუსეთთან მფარველობითი ხელშეურულების გაფორმებისთვის არ განაწყობდა. ქართლ-კახეთის მეფე არ ჩქარობდა.

მაგრამ ალექსანდრე ბაქარის ძის ფაქტორის გარდა, რუსებს ქართვ-ელი მეფის მოსათვინიერებლად სხვა ბერკეტებიც გააჩნდათ. ნ. ბერძენიშვილი, განიხილავს რა, ამ ხანებში, საქართველოში შექმნილ ვითარებას, ლაპიდარულად აჯამებს: "რუსეთის მთავრობამ სწრაფად და ენერგიულად სცადა საქმის (შეცდომის) გამოსწორება. მან ორმხრივი იერიში მიიტანა ერეკლეზე. თავადები, აშვებული ალექსანდრეები, ფათალ-ალი ხანი, ჩერქეზთა გადმოსახლებისთვის ხელის შეშლა, იმიერკავკასიაში ჯარების დაქირავების შესაძლებლობის მოსპობა ერთი მხრივ, მეორე მხრივ, აგენტები მრავლად ამოქმედდნენ ერეკლეს კარზე ("ბროდიაგა" რაინეგსიც კი) უხვი დაპირებებით...

და ერეკლემ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება". ვთქვათ პირდა-პირ, ერეკლე აიძულეს მიეღო ისტორიული გადაწყვეტილება: ქართლ-კახეთის მეფემ რუსეთის მფარველობაში მიღება ითხოვა.

ყურადსაღებია, რომ მკვლევართა გარკვეული ნაწილი (მათ შორის რუსებიც) ერეკლეს ამ ნაბიჯს ალექსანდრე ბატონიშვილის ფაქტორით ხსნის. ეს ახსნა რომ საფუძვლიანია, თვით ერეკლეს მიერ 1782 წლის 21 დეკემბერს რუსეთისადმი მიწერილ სათხოვარი პუნქტებიდანაც ჩანს: ასაბუთებს რა თავისი სახლის კანონიერ უფლებებს ქართლის ტახტზე, აგრეთვე იმ ღვაწლს, რაც მან ამ სამეფოს აღდგენასა და მტრისგან დაცვას და-სდო, ერეკლე უყურადღებოდ არ ტოვებს ალექსანდრე ბაქარის ძის იმერეთში მისვლას და იქიდან ქართლის ტახტის დაუფლების განზრახვას, რაც მან, ერეკლეს რწმუნებით, მის მიერ გატარებული ენერგიული ღონისძიებების გამო ვერ გაბედა, ფათალი ხანთან გადაიხვეწა და თავის განზრახვაზე ხელის აღება არ უნდოდა. ამგვარი პრეამბულის შემდეგ ერეკლე მკაფიოდ აცხადებს: "მე ჩემის ყ.დ. მოწყალის ხელმწიფისაგან (იგულისხმება ეკატერინე II – ავტ.) ამ წყალობას ვითხოვ: ჩემი ძველთაგან პაპების სამკვიდრო და ჩემგან ამდენის გარჯით და ღვაწლის დადებით აშენებული ქუეყანა ჩემს შვილებს და შთამომავლობას არ დაეკარგოს და არ მოეშალოს და საბოლოოთ ისე დაუმტკიცდესთ, და ყოველნი ჩემნი ჩამომავალნი რუსეთის მონარხის ერთგულნი მონანი და მოსამსახურენი იყვნენ. და ეს მათის დიდის ჩვენზე და ჩვენს ჩამომავლობაზედ მოწყალება გამოცხადებული იყოს, რომ უჭკუოს ბაქარის შვილს ალექსანდრესავით გამოჩნდეს ვინმე უმეცარი ხალხი არ აჰყუეს" (ხაზი ჩვენია – ავტ.).

რა თქმა უნდა, ალექსანდრე ბატონიშვილისა და ქართლის ტახტის იურიდიულად დამტკიცების საკითხი ერეკლეს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ერთადერთი არ ყოფილა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სირთულეთა კომპლექსში, რაზედაც ზევითაც ითქვა, ამ ფაქტმა ერთობ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ერეკლეს მფარველობაში შესვლის გადაწყვეტილება მიაღებინა.

ხელშეკრულების საბოლოო ტექსტის შეჯერება. რუსეთის დიპლომატია ერეკლეს სთავაზობდა, გაემეორებინა 1772 წელს გაგზავნილი თხოვნა, მფარველობაში მიღების შესახებ, რათა მის საფუძველზე მათთვის სასურველი პირობების პროექტი შეემუშავებინა. ქართლ-კახეთის სამეფოს იმჟამინდელი მდგომარეობა და რუსული მხარის პოზიცია, აღნიშნული, ქართული მხარისთვის საკმაოდ მძიმე, პირობების გამეორების საფუძველს არ იძლეოდა.

საკითხის შესათანხმებლად საკმაოდ ხანგრძლივი და მწვავე მიმოწერა გაიმართა.

ერეკლე ცდილობდა რუსეთის მფარველობა და შესაბამისი გარანტიები რაც შეიძლება ნაკლები უკუგების, თავისი სამეფოს სუვერენული უფლებების ნაკლები შელახვის ფასად მიეღო.

რუსულ მხარეს მიზნები საპირისპირო ჰქონდა. დიპლომატიურ ბრძოლაში ძალთა თანაფარდობა ერთობ განსხვავებული იყო. რუსეთი პარტ-ნიორზე ზეწოლის, ზემოქმედების თუ შანტაჟის არაერთ მნიშვნელოვან იარაღს ფლობდა და მოხერხებულად იყენებდა. ამ გარემოებამ განსაზღვრა 1783 წლის ხელშეკრულების ტექსტის საბოლოო შინაარსი.

გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიცირებული ტექსტის პრეამბულაში ნათქვთამია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულება გაფორმებულია ქართული მხარის თხოვნით. ფორმალურად ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ, ფაქტობრივად საქართველოს სამეფო კარზე მფარველობაში მიღების თხოვნა, რუსული დიპლომატიის კარნახისა და ზეწოლის საფუძველზე დაიწერა.

ქართული მხარის ძირითადი მოთხოვნები იყო, რომ ერეკლეს და მის შთამომავლებს შენარჩუნებოდათ ქართლ-კახეთის მეფობა რუსეთს ეკი-სრებოდა დაკარგული ქართული ტერიტორიების, პირველ რიგში ახალციხისა და ჭარბელაქნის, დაბრუნება. თუმცა ამ დებულების გაშიფვრა მრავალნაირად შეიძლება და დასაბრუნებელ ტერიტორიებში შესაძლებელია დასავლეთ საქართველოც იგულისხმებოდეს.

რუსეთი კისრულობდა გარკვეული სამხედრო ძალის შემოყვანას და ქვეყნის დაცვას დამპყრობთა და მოთარეშეთაგან. ეს იყო, საქართველოს თვალსაზრისით ის პოზიტიური, რასაც აღნიშნული ხელშეკრულება შეიცავდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აქედან ფაქტობრივად, მხოლოდ ორმა: ქართლის შემომტკიცების და მეფობის ტიტულის მინიჭების მუხლებმა იმუშავა. სხვა მუხლები კი ქართლ-კახეთის სამეფოს სუვერენიტეტის შემცირებისა და რუსეთზე დამოკიდებულებისკენ იყვნენ მიმართულნი. მა-გალითად ტრაქტატის IV არტიკულით, საგარეო ურთიერთობის თვალსაზრისით, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის სრულ დამოკიდებულებაში ექცეოდა. ყველა მეზობელთან ურთიერთობის საკითხი სათანადო რუს რწმუნებულთან უნდა ყოფილიყო შეთანხმებული.

თითქოს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ საშინაო საქმეებში, ტრაქტატის მიხედვით, ქვეყანა სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ტახტის მემკვიდრე მეფობას, ქართული წე-სით, ავტომატურად იკავებდა, მაგრამ ამის შემდეგ იგი რუსეთის საიმპერატორო კარს უნდა დაემტკიცებინა და ინვესტიტურის ნიშნები (ტახტი, კვერთხი, გვირგვინი და ა. შ.) გამოეგზავნა. როდესაც საქმე საქმეზე მიდგა, ერეკლეს სიკვდილის შემდეგ, რუსეთმა გიორგი კი დაამტკიცა შეთა-ნხმებული წესით მეფედ, მაგრამ გიორგის შემდეგ დავითს ამაზე უარი უთხრა და მეფობაც გააუქმა.

ამის გარდა საშინაო საქმეების შეზღუდვად უნდა იქნას მიჩნეული ის მოთხოვნა, რომ მეფეს ცალკეულ პიროვნებათა თანამდებობებზე დანი-შვნის დროს მისი რუსული ორიენტაცია უნდა გაეთვალისწინებინა.

ტრაქტატში შეტანილი იყო ისეთი მუხლებიც, რომელთა შესახებ რუ-სეთისთვის არავის არ უთხოვია. მაგალითად ქართველი თავადაზნაურობა რუსეთისას გაუთანაბრდა, ხოლო ქართველ ვაჭრებს იგივე პრივილეგიები მიენიჭათ, რითაც რუსი ვაჭრები სარგებლობდნენ. ეს, ერთი შეხედვით მე-გობრული და ჰუმანური ჟესტი, საქართველოს მომავალი, დაგეგმილი, ინ-კორპორაციის გაადვილებისთვის იყო გამიზნული, რათა ქვეყნის ელიტარულ ნაწილს ამ აქტით თავი დაჩაგრულად არ ეგრძნო.

საქართველოს უფლებების ყველაზე მეტი ხელყოფა და მისი მომავალი შეერთების მომზადება, გამომჟღავნდა ქართული ეკლესიისადმი დამო-კიდებულებაში. როდესაც რუსეთთან კავშირის ძირითად პირობად ქართული მხარე მეფობის უცვლელად შენარჩუნებას ითხოვდა, იქვე მკაფიოდ აცხადებდა: “მსგავსადვე კათალიკოზიცა წესსავე თავისსა ეგოს მოუშლელად”. ეს კი ნიშნავდა, რომ ქართულ ეკლესიას ავტოკეფალიას უტოვებდნენ, და სამეფოს დამოუკიდებლობის მთავარი ბურჯი უნარჩუნდებოდა.

გაფორმებულ ტრაქტატში ეს მოთხოვნა ცინიკურად იქნა უგულვებელყოფილი. პროექტით ქართველ მღვდელმთავარს, რუსული ეკლესიის იერარქიაში IV ხარისხი ენიჭებოდა, ხოლო რატიფიცირებულ ტექსტში კი, მისი პატივი VIII ხარისხამდე იქნა ჩამოქვეითებული.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ გე-ორგიევსკის ტრაქტატი ლიტერატურაში ურთიერთობის სამართლიან და სასურველ ფორმადაა მიჩნეული, და XVIII-XIX სს. ქართული ეროვნული მოძრაობა ამ ტრაქტატის პრინციპების დამკვიდრებაზე ოცნებობდა, ფაქტობრივად ეს იყო არათანასწორი, დოკუმენტი, რომელიც საქართველოს რუსეთთან მომავალი შეერთების მომზადებას ისახავდა მიზნად.

ტრაქტატის გაფორმება. მისი მნიშვნელობა. 1783 წლის 24 ივლისს რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში ერთი მხრივ გენერალმა პ. პოტიომკინმა, ხოლო მეორე მხრივ თავადებმა ი. მუხრან ბატონმა და გ. ჭავჭავაძემ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ისტორიაში “გეორგიევსკის ტრაქტატის” სახელით შევიდა და რომელმაც საქართველოს ცხოვრებაში ახალ ეტაპს დაუდო საფუძველი.

თანამედროვეთა რწმუნებით მაჰმადიანურ სახელმწიფოთა ოკეანეში ჩაძირული ქართლ-კახეთის სამეფოს სახელოვანი მეფე არაფრისკენ ისე არ მიისწრაფვოდა, როგორც თავისი ქვეყნის ევროპეიზაციისაკენ.

ერეკლეს და მასთან ერთად, მის ირგვლივ შემოკრებილ პროგრესისტთა დასს შესანიშნავად ესმოდა, რომ აგრესორებით გარშემორტყმულ პატარა ქვეყანას გადარჩენა არ ეწერა, თუ იგი არ გაერთიანდებოდა, თავის წიაღში განახლების ძალებს არ გამოავლენდა და მოწინავე, ევროპის კულტურას, განათლებას, პოლიტიკურ წყობას, ეკონომიკას არ ეზიარებოდა, ანუ თავს არ დააღწევდა რეგრესის, ჩამორჩენილობის, სიბნელის ჭაობს, რომელიც მას ერტყა.

აქ არ შეიძლება ხაზგასმით არ აღვნიშნოთ, რომ XVIII საუკუნეში რუსეთის იმპერიამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხელი შეეშალა საქართველოს ხელისუფალთა იმ ძალისხმევისთვის, აღნიშნული ამოცანების, რუსეთის გვერდის ავლით გადაწვეტისაკენ რომ იყო მიმართული, რამაც საბოლოოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვა განაპირობა.

რუსეთის მხრიდან ეს იყო დიდი ხნის ჩაფიქრებული და კარგად გათვლილი ვერაგული გეგმა. მაგრამ, ამასთან ერთად, რამდენად დაუნდობელი და ეგოისტურად განწყობილი არ უნდა ყოფილიყო რუსეთის იმპერია, იგი მაინც ევროპა, ან ევროპისაკენ მიმავალი ხიდი იყო, საიდანაც საქართველოში განათლებისა და განახლების სიო უნდა შემოჭრილიყო. ამდენად თუმცა გაფორმებული ტრაქტატი საქართველოს სახელმწიფოებრიობის და-კარგვის გზაზე გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ ამავე დროს, ნებით თუ უნებლიედ, ობიექტურად, იგი საქართველოს გზას უხსნიდა მისთვის მშობლიური ცივილიზაციისაკენ. სანამ ამ დიდი საქმის დადებით შედეგს იგრძნობდა საქართველოს წინ საუკუნოვანი, მძიმე და ტანჯული არათავი-სუფალი გზა ედო, მაგრამ ეს მაინც პროგრესული ნაბიჯი იყო, რადგან ყველა სხვა ნაბიჯი გაცილებით უარესი ჩანდა, რადგან იგი, ჩამორჩენილობასთან ერთად, საქართველოს გათიშულობის საბოლოო დამკვიდრებით ემუქრებოდა. ეს კი ვყელაზე დიდი უბედურება იქნებოდა.

ამრიგად ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით ამ აქტის ზოგადი პროგრესული მნიშვნელობა თვალსაჩინოა. მაგრამ როგორი იყო ამ მოვლენის კონკრეტული ისტორიული შედეგი?

1783 წლის 2 ნოემბერს თბილისში ტრაქტატით გათვალისწინებული ორი რუსული ბატალიონი შემოვიდა, რომელსაც საქართველოში რუსეთის წარმომადგენელი (სრულუფლებიანი მინისტრი) პოლკოვნიკი ბურნაშოვი მოუძღოდა. თბილისელები რუსულ რაზმებს აღფრთოვანებული სიხარულით შეხვდნენ, რადგან მათში მშვიდი ცხოვრების, თავდასხმებისაგან დაცვის და სამართლიანობის გარანტიას ხედავდნენ. მალე ამის შემდეგ, თბილისში ტრაქტატის საბოლოო დამტკიცებისთვის, რუსეთის წარმომად-გენელი პოდპოლკოვნიკი ტამარა ეწვია. თბილისი ზეიმობდა. რუსული ზარბაზნების 101მა ბათქმა ქვეყანას უკეთესი ცხოვრების იმედი ჩაუსახა. მეორე დღეს ერეკლეს და სამეფო სახლის წარმომადგენლებს სამეფო რეგალიები, მფარველობის სიგელი და გულუხვი საჩუქრები ჩამოურიგეს. ამას კვლავ ზარბაზნების ზალპი, შემდეგ კი სიონის ტაძარში ჩატარებული საზეიმო ცერემონია მოჰყვა.

მაგრამ ზეიმი ჩქარა დამთავრდა და ქართველებმა იგრძნეს თავისი არჩევანის საზღაურად რა განსაცდელის გადატანა ელოდათ წინ.

თავი XXXXI. ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის "მფარველობაში" (1784-1787 წწ.)

იმერეთის სამეფოს საკითხი. ქართლ-კახეთთან მფარველობითი ტრაქტატის გაფორმების პერიოდში ამგვარივე სურვილი იმერეთის სამეფო-საც ჰქონდა. არსებული მასალები მიგვანიშნებენ, რომ თავდაპირველ ვარი-ანტში, საიმპერატორო კარიც ორივე სამეფოსთან ერთგვარი ხელშეკურელების გაფორმებას ერთდროულად გეგმავდა. მაგრამ რუსეთის მხრიდან თურქეთთან ურთიერთობის გართულების რიდით, ზუსტად იდენტური დო-კუმენტების შედგენის პრაქტიკულად შეუძლებლობით, ორივე ქართული მხარის ერთგვაროვანი

პრეტენზიების (მაგალითად ახალციხის საფაშოს შემოერთების და სხვ.), აგრეთვე ერეკლესა და სოლომონს შორის დაპირის-პირების და ა. შ. გამო, იმერეთთან ტრაქტატის გაფორმება არ მოხერხდა.

ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთი დასავლეთ საქართველოზე ხელის აღებას აპირებდა. ამიტომ საქართველოში რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს ს. დ. ბურნაშოვს ცენტრი ავალებდა, რომ ყურადღება არ მოეკლო სოლომონ პირველისთვის და იმასაც კი ურჩევდა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში თავისი ადგილსამყოფელი იმერეთში გადაეტანა.

რუსეთთურქეთის ურთიერთობა ყირიმსა და, ნაწილობრივ ქართლ-კახეთის გამო (ნაწილობრივ იმიტომ, რომ ეს ქართული რეგიონი პორტას გავლენის სფეროში არ შედიოდა), დაძაბული იყო. სულთნის კარზე ორი დაჯგუფება, რუსეთთან ომის გამოცხადების თაობაზე, ურთიერთსაწი-ნააღმდეგო მოთხოვნებს აყენებდა. რუსეთს, ცხადია, ომი არ სურდა, თუ იგი ყირიმის საკითხს უსისხლოდ გადაწყვეტდა, ეს დიდი გამარჯვება იქ-ნებოდა. მაგრამ რა მოხდებოდა არავინ იცოდა. ამიტომ რუსეთი იმერეთთან ურთიერთობის გააქტიურებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. მისი სურვილი იყო, რომ თურქეთს სცოდნოდა, თუ ომს წამოიწყებდა, ყირიმთან ერთად, მას დასავლეთ საქართველოს დაკარგვაც მოელოდა. ხოლო ეს შესაძლებლობა რომ რეალური ყოფილიყო, საჭიროდ მოსჩანდა რუსეთის დიპლომატიას ხელთ ჰქონოდა იმერეთის მფარველობაში მიღების ოფიციალური დოკუმენტი.

1783 წლის 6 სექტემბერს პ. პ. პოტიომკინმა სოლომონის თხოვნა მი-იღო: ჩემთანაც ისეთი ხელშეკრულება გააფორმეთ, როგორც ერეკლესთანო. ხოლო როდესაც პოტიომკინისაგან პასუხი მიუვიდა, მოლაპარაკებისთვის წარმომადგენლები გამოაგზავნეო, სოლომონმა პირობა წაუყენა: მანამდე ერეკლესთან შემარიგეთო. მეფეების ურთიერთობა 70-იანი წლების ბოლოს იმერეთში ალექსანდრე ბაქარისძის მოწვევისა და სავარაუდოა, ერეკლეს გამაერთიანებელი განზრახვების გამჟღავნების გამო, საკმაოდ დაძაბული იყო. თავის მხრივ, ერეკლეს წინადადებით, სოლომონი კისრულობდა თავის მემკვიდრედ დაენიშნა ერეკლეს შვილიშვილი და სოლომონის ძმისშვილი დავით არჩილის ძე. როგორც ქვევით დავინახეთ, ეს იყო მეტად ბრძნული, პატრიოტული და შორსმჭვრეტელური ნაბიჯი.

საბოლოოდ, საკითხის გადაწყვეტას თითქმის ორნახევარი თვე დას-ჭირდა და მანამდე ვერ მოგვარდა, ვიდრე საქმეში თვითონ გრიგოლ პოტიომკინი არ ჩაერია.

1783 წლის მიწურულისთვის რუსეთთურქეთის მოსალოდნელი ომის საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილი არ იყო. მაშასადამე, რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმერეთიდან მფარველობაში მიღების თხოვნას.

ყოველივე ზემოთქმულის და ცენტრიდან მიღებული ინსტრუქციის საფუძველზე პ. პოტიომკინმა სოლომონის სათხოვარი ტექსტის ფორმა შეადგინა და პოლკოვნიკ ტამარას ხელით იმერეთში გამოაგზავნა. ტამარას სოლომონი უნდა დაერწმუნებინა, რომ უკანასკნელს მისი, აგრეთვე ყველა მთავრისა და ახლობლების სახელით საიმპერატორო კარზე გამოეგზავნა წერილი, რომელშიაც აღნიშნავდა თავის სიბერეს და ავადმყოფობას, უმდაბლესად ითხოვდა

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მფარველობას და მის დაქვემდებარებაში იმერეთის სამეფოს მიღებას.

1784 წლის თებერვალში იმერეთში ჩასულ ტამარასთვის სოლომონს რუსეთის დიდი ერთგულება დაუდასტურებია, მაგრამ წერილის შედგენილი ფორმის ხელის მოწერაზე უარი უთქვამს. იგი თანახმა იყო დაეწერა ისეთი თხოვნა, რომელიც მხოლოდ მის სურვილზე იქნებოდა დამყარებული და ხელსაც თვითონ მოაწერდა. დიდი შთაგონებისა და ზეწოლის შედეგად, 1784 წლის 4 მარტს სოლომონმა ბოლოს მაინც მოაწერა ხელი დოკუმენტს, თუმცა მასში არაფერი იყო ნათქვამი მეფის სიბერესა და უძლურებაზე და ასევე არ იყო გურიისა და სამეგრელოს მთავრების ხელმოწერები. მაგრამ ამასობაში ვითარება რადიკალურად შეიცვალა: 1784 წლის 1 მარტს სულთანის კარმა დაამტკიცა შეთანხმება რუსეთთან, რომლის ძალითაც ორ სახელმწიფოს შორის სასაზღვრო ხაზი მდინარე ყუბანზე დადგინდა. თურქეთმა აღიარა რუსეთის მიერ ყირიმისა და ყუბანის შეერთება. შესაბამისად, მასთან ომის საშიშროება მოიხსნა, მაშასადამე მოიხსნა იმერეთთან ტრაქტატის გაფორმების საკითხიც.

გეორგიევსკის ტრაქტატი და თურქეთი. რუსეთ-საქართველოს შორის გაფორმებული ტრაქტატით ოტომანთა პორტამ აშკარად დაინახა, რომ მას შემდეგ, რაც ყირიმი და ყუბანი დაკარგა, რუსეთის პირისპირ კიდევ ერთი ბარიერი — ქართლ-კახეთი (საქართველო) ეცლებოდა ხელიდან. ეს ამიერკავკასიაზე მისი გავლენის მოსპობასთან ერთად, თვით თურქეთში მშვიდობიან არსებობასაც ეჭვის ქვეშ აყენებდა. მას აგრეთვე არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ “საბერძნეთის პროექტით”, რომელიც ყირიმსა და ყუბანის შემოერთების წინა ხანებში რუსეთში მუშავდებოდა, წინა აზიის ამ აგრესიული ქვეყნის მოსპობა და მის ნანგრევებზე დიდი საბერძნეთის და სომხეთის სახელმწიფოების აღდგენა იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, ნახსენები ბარიერის შენარჩუნებისთვის ოსმალეთის კარზე გზების ძიებაში იყვნენ. ერთი პირობა სულთანის დიდმოხელეებს მიუჩნევიათ, რომ შექმნილ ვითარებაში, საქართველოსთან კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარება უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, რათა შეწუხებულ მეზობელს ძლიერ რუსეთთან კავშირი მეტად არ განემტკიცებინა და ამით თურქეთისთვის რეალური საფრთხე არ შეექმნა. იმ ხანებში (ყირიმის კონვენციის გაფორმების შემდეგ) ახალციხის სულეიმან ფაშას სულთანის ფირმანი მისვლია, რომ მას საქართველოსთვის არავითარი ზიანი არ მიეყე-ნებინა. მაგრამ ახალციხის ფაშა, რომელიც დიდი გავლენით და საკმაოდ თავისუფალი პოლიტიკის გატარების უფლებით სარგებლობდა, საქმეს სხვაგვარად მიუდგა. მას მიაჩნდა, რომ ამიერკავკასიაში თურქეთის პოზიცი-ის შენარჩუნების მთავარი გარანტია საქართველოს დასუსტება იყო, რომელსაც საშუალება მოესპობოდა მხარდაჭერა აღმოეჩინა ძლიერი მფარველი-სთვის, ურომლისოდაც ამ რეგიონში რუსეთის ფეხის მოკიდება მეტად რთული განსახორციელებელი იქნებოდა. “საქართველოს რაც შეიძლება მეტი უნდა ვავნოთ, რათა მისი გაძლიერება არ დავუშვათო”, უპასუხია სულეიმან ფაშას სულთნის აღნიშნულ ფირმანზე. ამის შემდეგ თურქეთის კარმა საქართველოსთან ურთიერთობის საკითხი ძირითადად სულეიმან ჯაყელის კომპეტენიაში მოაქცია და ისიც, თავის შეხედულებისამებრ, საქართველოს საწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზებას შეუდგა.

ახალციხის ფაშას, გარდა საერთო საიმპერიო ინტერესებისა, ქართლ-კახეთის მიმართ საკუთარი ანგარიშიც ჰქონდა, რადგან ქართველი პოლიტიკოსები ამ რეგიონს ისე უყურებდნენ, როგორც დროებით ჩამოცილებულ სამფლობელოს. ამ შეხედულებამ 1783 წლის ტრაქტატშიც ჰპოვა ასახვა და პრაქტიკულ გადაწყვეტასაც გულისხმობდა. ქართლ-კახეთის მეფეთა ტიტულატურით სამცხე საათაბაგო მათ დაქვემდებარებულად ითვლებოდა.

ყოველივე ეს სულეიმან ჯაყელს ქრისტიანთა წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისთვის განაწყობდა; მაგრამ იყო მეორე ანგარიშგასაწევი გარემოებაც: ფაშამ რუსეთის ძალა კარგად იცოდა და არც იმ შესაძლებლობას უშვებდა მხედველობიდან, რომ რუსებს მისი საფაშო თურქეთისთვის წაერთმიათ. ყოველივე ამის გამო იგი ფრთხილ პოლიტიკას აწაროებდა: კავკასიელი ტომების წაქეზებით ცდილობდა ქართლ-კახეთის დაძაბუნებას ისე, რომ თვითონ ოფიციალურად ხელი არაფერში გაესვარა.

ტრაქტატი და მაჰმადიანური გარემოცვა. მაშასადამე, ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ბრძოლა გარემომცველი მაჰმადიანური სამყაროს საერთო ინტერესს შეადგენდა; ამიტომ სახანოები მეტ-ნაკლები ინტენსივობით უერთდებოდნენ ახალციხის წამოწყებას, იმის შესაბამისად, თუ რო-გორი პრაქტიკული კონტაქტები ჰქონდათ მოახლოებულ რუსეთთან და რა უშუალო საშიშროების წინაშე აყენებდა მათ ამგვარი მისწრაფება.

ამდენად, ანტიქართული მოძრაობის მედროშე სულთანის კარი იყო, მისი ცენტრი და ორგანიზატორი კი ახალციხის საფაშო.

ტრაქტატის გაფორმებისთანავე პორტამ არ დააყოვნა მოწოდებების გაგზავნა აზერბაიჯანის და დაღესტნის ყველა მფლობელთან, რათა გაერთიანებულიყვნენ და რუსები ამიერკავკასიაში არ შემოეშვათ. “დაწყევლილმა რუსებმა – თურქეთის სახელით იწერებოდა ახალციხის ფაშა — გზა გაიყვანეს კავკასიაზე, ახლა წამოვა არტილერია და ჯარები, შეიჭრებიან სპარსეთში და თურქეთში და ყველაფერს ჩაყლაპავენ”.

ახალციხის საფაშოდან ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ფარული მოქმედებები უკვე 1783 წლის მაისიდან დაიწყო. ამ თვალსაზრისით, იმჯერად, ყველაზე “ეფექტიანი” ღონისძიება ლეკების წაქეზება იყო. გამოცდილ მძარცველებს, ახალციხის საფაშოს სახით საიმედო დასაყრდენი გაუჩნდათ. აქ ქრისტიანულ სამეფოზე გამანადგურებელი თავდასხმებისთვის ლეკთა ურდოებს აძლევდნენ თავშესაფარს, სურსათს, იარაღს და ჯამაგირსაც კი.

იმ დროს, როდესაც ლეკთა თავდასხმები ახალციხიდან თანდათან ინტენსიური ხდებოდა, გაიძვერა ფაშა ერეკლეს აქეთ ადანაშაულებდა: ლეკები ჩემს სამფლობელოში შენი ქვეყნის გავლით გადმოდიან და მაწუხებენ, ზომები მიიღეო.

დაღესტნიდან ახალციხისკენ განუწყვეტლივ მიედინებოდნენ ლეკთა გუნდები, აქ მარაგდებოდნენ სურსათით, იარაღით, ფულით, ინსტრუქციებით და საქართველოზე გეგმაზომიერ, სისტემატურ თავდასხმებს აწყობდნენ. არღვევდნენ ქვეყნის ცხოვრების ნორმალურ რიტმს, შეუძლებელს ხდიდნენ გზებზე უსაფრთხო მოძრაობას, ყანებსა და ბაღვენახებში შრომას, ოჯახში ძილსა და მოსვენებას. ამგვარი ვითარება თითქმის 4 წელიწადს გაგრძელდა და ქვეყანას აუნაზღაურებელ ზიანს აყენებდა.

ქართული რაზმები, მცირერიცხოვან რუსულ შენაერთებთან ერთად, თავგამოდებით ებრძოდნენ მომხვდურებს. ერეკლე თვითონ ედგა სათავე-ში ამ ბრძოლას, მაგრამ წვრილწვრილი პარტიების გაკონტროლება შეუძლებელი იყო და ქართველთა წინააღმდეგობა დიდი ეფექტით არ გამოირჩეოდა.

მზადება გენერალური შეტევისთვის. ლეკთა შემოსევების ორგა-ნიზება, თურქთა ანტიქართული ბრძოლის მხოლოდ ერთ-ერთი ფორმა იყო. პორტას მიზანს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის მოშლა-გა-ნადგურება შეადგენდა, ხოლო ქვეყნის სრულ განადგურებას ეს აგრესორი საქართველოს მეზობელი მაჰმადიანური სახანოების ერთობლივი ამხედრებით გეგმავდა. მხოლოდ სასაზღვრო უფროსების და პირადად პ. პოტიომ-კინის, საქმეში ჩარევამ დროებით შეაჩერა მათი ანტიქართული სამხედრო კავშირის შეკვრა. სამაგიეროდ მტრებმა ერეკლეს მაჰმადიანი ქვეშევრდომები გაუორგულეს, ჩამოაშორეს მისი ხელდებული სახანოები განჯა და ერევანი, რითაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ზარალი მიაყენეს.

1784 წლიდან პორტა კიდევ უფრო აძლიერებს თავის ანტიქართულ საქმიანობას. ამიერკავკასიაში 61 კაციანი ელჩობა ჩამოვიდა და რუსეთისა და საქართველოს წინააღმდეგ "წმინდა ომის" პროპაგანდა და ორგანიზება გააჩაღა. ამ მისიის აქტიური მოქმედების შედეგად, 1785 წელს საბოლოოდ ფორმდება ახალციხის, აზერბაიჯანის სახანოების და დაღესტნის მფლობელთა სამხედრო კავშირი საქართველოს წინააღმდეგ.

საქართველოში რუსეთის რაზმების მეთაური და სრულუფლებიანი მინისტრი ბურნაშოვიც კი ვერ ფარავდა აღშფოთებას და გაკვირვებას რუ-სეთის გულგრილობის გამო.

ცარიზმის დიპლომატიამ ქართლ-კახეთთან გაფორმებული ტრაქტატით მიმდინარე ხასიათის ამოცანები გადაწყვიტა. ვიდრე თურქეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა, ხოლო ირანისკენ წინსვლის პერსპექტივები კარგა ხნით გადაიდო, საქართველომ მისთვის, იმ მომენტში, არსებითი მნიშვნელობა დაკარგა. რეგიონისადმი რუსეთის მმართველი წრეების ინტერესები არსებითად შენელდა.

რუსეთს საქართველოში იმ მცირერიცხოვანი რაზმის ყოფნაც აღარ უნდოდა და მისი გაყვანისთვის საბაბს ეძებდა.

ომარ ხანის შემოსევა საქართველოში. სრულიად აშკარა იყო, რომ ცარიზმის წარმომადგენლები ტრაქტატით ნაკისრ პირველსავე ვალდებულებას, საქართველოს მტრისგან დაცვის შესახებ, არ ასრულებდა და ამაზე არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობდა.

1785 წლის ზაფხულისთვის ცხადი შეიქნა, რომ მაჰმადიან პოლიტი-კურ ერთეულთა გაერთიანებული ლაშქრობა, რომელსაც ისინი ორი წელი ამზადებდნენ, კარს იყო მომდგარი. მას ავართა ომარ ხანი მეთაუროობდა.

ერთდროულად დიდი სამხედრო მზადება იყო ახალციხის საფაშო-შიც, რაც აქედან მოსალოდნელი შემოსევის საშიშროებაზე მიუთითებდა. ამდენად, ქვეყანა ორმხრივი დარტყმის ქვეშ ექცეოდა და ერეკლე იძულებული იყო ძალები დაექსაქსა.

18 აგვისტოს მიიღეს ცნობა რომ ომარ ხანის რაზმები ალაზნისკენ დაიძრნენ. მეფემ ლაშქრის შესაკრებად 4 ადგილი დანიშნა: თბილისი, გორი, თელავი და სიღნაღი. ამრიგად ისეთი ტაქტიკა შეიმუშავა, რომ მტერს ქვეყნის მთავარ პუნქტებში შემოჭრის შესაძლებლობა მოუსპო.

13 სექტემბერს რუსული ასეულები ბურნაშოვის მეთაურობით და ერეკლე ქართველ ცხენოსანთა რაზმით, სიღნაღში შეიყარნენ. აქ შედგა დიდი ბჭობა მტრის წინააღმდეგ შემდგომი მოქმედების გეგმის შესამუშავებლად. მაგრამ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ წყაროები საპირისპირო ცნობებს გვაწვდიან. მაგალითად რუსული რაზმების სარდალი ს. ბურნაშოვი ცენტრში გაგზავნილ პატაკში აღნიშნავდა, რომ იგი მეფეს არწმუნებდა მტრისთვის ალაზნის ფონთან შეეტიათ, ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით კი "ომარ ხანი ალაზანს გამოვიდა. მეფეს მისი შებმა ენება. ყორ-ჩიბაშიშვილმა ივანე ნაზირიმან მეფე არ შეაბა. მას ჟამსა ეს იყო დიდად მისანდო". ერთი სიტყვით ალაზანთან გენერალური ბრძოლა არ შედგა.

პირდაპირი შეტევა ვერც ომარ ხანმა გაბედა, თუმცა მისი ლაშქარი რაოდენობით (20000) დიდად აღემატებოდა დამხვდურებს (150 რუსი სალდათი და 5000 ქართველი მოლაშქრე). ქართული მხარეც არ ჩქარობდა. ერეკლეს თავშეკავება წინდახედულობით იყო ნაკარნახევი. მან ქართლიდან ჯარი არ შეკრიბა, რათა მხარე მომხვდურთათვის არ გაეშიშვლებინა და, როგორც ჩანს, სწორად მოიქცა, რადგან გამოსალაშქრებლად გამზადებულმა მტერმა, რეგიონის დამცველთა შიშით, ახალციხიდან შემოტევა ვერ გაბედა.

რაც შეეხება ომარ ხანს, მან 17 სექტემბერს ალაზანი გადმოლახა, მა-გრამ რუსქართველთა ლაშქარზე თავდასხმას თავი აარიდა და ისეთი გეზი აიღო, თითქოს თბილისზე აპირებდა შეტევას.

მეფის ლაშქარი რუსულ რაზმთან ერთად დედაქალაქისაკენ გამოეშურა.

ხანმა მოულოდნელად მიმართულება შეცვალა, მტკვრის მარჯვენა ნა-პირზე გადავიდა, მარნეულის ქვევით ალგეთი გადალახა და ბორჩალო-სკენ აიღო გეზი. ახტალას მიაღწია, ააფეთქა დიდებული ციხე, გაძარცვა და გაანადგურა ვერცხლისა და ოქროს ქარხნები, დაანგრია ეკლესია, ვინც კი რაიმე წინააღმდეგობა გაუწია, უწყალოდ დახოცა (640 სული), 860 სული ტყვე წაასხა; ამის შემდეგ გაანადგურა ლორეს მახლობელი სოფლები.

3 ოქტომბერს ლეკთა ლაშქარი ფარავნის ტბასთან იყო, აქედან კი ახალციხისკენ გაეშურა.

ერეკლემ ცნობა მიიღო, რომ ახალციხეში მტერი ზარბაზნებით გაძლიერდა და თბილისზე შეტევისთვის ემზადებოდა. მეფემ სათანადო ზომები მიიღო.

ოქტომბრის ბოლოს გაირკვა, რომ ომარ ხანი იმერეთზე აპირებდა შეტევას. რუსქართველთა ჯარი იმერეთის დასახმარებლად მოემზადა და სურამში მივიდა. აქვე გამოცხადდა დავით მეფე (რომელმაც სოლომონ პირველის შემდეგ იმერეთის ტახტი დაიკავა) 12000-იანი ლაშქრით. ქართველთა დიდი ძალების შიშით ომარ ხანი უკან, ახალციხისკენ, გაბრუ-ნდა და ახალქალაქის ახლომახლო სოფლებში განლაგდა, სადაც მან სულთნის კარისა და ახალციხის ფაშისაგან 100 ქისა ოქრო, ჯარის გამოსაზამთრებლად სურსათ-სანოვაგე მიიღო და შემდგომი მოქმედებისთვის

თურქეთიდან ბრძანებას დაელოდა. ამდენად, ომარ ხანის შემოსევის საშიშროება გრძელდებოდა. თანაც არავინ იცოდა რომელ მხარეს აიღებდა იგი გეზს.

ზამთრის განმავლობაში შენელებული ლეკთა შემოსევები 1786 წლის გაზაფხულზე ახალი ძალით განახლდა.

ზამთარში ერეკლე ომარ ხანთან მოლაპარაკებას ცდილობდა, მაგრამ ამ მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან თვით ომარ ხანის განცხადებით, ვიდრე რუსის ჯარი საქართველოში იმყოფებოდა, მას პორტა-სგან აკრძალული ჰქონდა ყოველგვარი მოლაპარაკების წარმოება.

ასეთი მძიმე ვითარება შეიქმნა საქართველოში 1785-86 წლებში. ქვეყა-ნა დასუსტდა, ხაზინა დაიცალა; ვერცხლის ქარხნების განადგურება და, განსაკუთრებით, იქ მომუშავე სპეციალისტი ბერძნების დახოცვადატყვევება, აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო. ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა, რადგან რუსეთთან კავშირმა მათი მდგომარეობა კი არ გააუმჯობესა, უკიდურესად დაამძიმა. ერეკლეს შინაურები თუ დიდებულები მისი პოლიტიკით უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ.

რუსეთთურქეთის ომი და ვითარების რამდენადმე განმუხტვა. ამასობაში რუსეთსა და თურქეთს შორის ახალი ომი მომწიფდა. ასეთ ვითარებაში, თურქეთის მხარე, რომელსაც ძალიან არ უნდოდა ომის ფრონტი კავკასიაშიც გახსნოდა, საქართველოს დაუტკბა. ახალციხის ფაშა ერეკლეს კარზე ელჩებს-ელჩებზე აგზავნიდა სხვადასხვა პირობებით და თხოვნებით, რომელთაგან მთავარი რუსის ჯარის ნეიტრალიზება ან საერთოდ გაყვანა იყო.

საბოლოო გადაწყვეტილების მოლოდინში, თურქეთი სასაზღვრო პუ-ნქტებში ჯარებს და საომარ საჭურველს უყრიდა თავს. ამასთან ახალციხის ფაშას პირით აცნობებდა, რომ თუ საქართველო არ გაზრდიდა რუსეთის რაზმების რაოდენობას, არ მიიღებდა ეკატერინეს მიერ ნაბოძებ არტილერიას და რუსის ჯარს არ გამოიყენებდა საზღვრებზე სამოქმედოდ, თურქეთი არ იყოლიებდა ახალციხეში ლეკებს, თურქეთის კარი ერეკლეს გან-ჯისა და ერევნის სახანოებს მფლობელობაში დაუმტკიცებდა; ხოლო თუ მეფე საერთოდ უარს იტყოდა რუსეთთან კავშირზე მას უამრავ საჩუქრებს და სამფლობელოდ ბევრი მეზობელი მიწების მიცემას ჰპირდებოდა.

ეს უკანასკნელი წინადადება განსაკუთრებით საყურადღებოა და, ჩვე-ნი აზრით, დასავლეთ საქართველოზე ერეკლეს უფლებების აღიარებაზე უნდა მიანიშნებდეს.

მაგრამ ერეკლე რუსეთთან საუკუნო ხელშეკრულებით იყო დაკავშირებული და მისი შეცვლა, სურვილიც რომ ჰქონოდა, არ შეეძლო, რადგან რუსეთს მისი საწინააღმდეგო ბერკეტები კვლავ ხელთ ეპყრა და ქართლ-კახეთის მეფემ ძალიან კარგად იცოდა რა შესაძლებლობას ფლობდა მისი “მფარველი”.

ასეთ ვითარებაში ერთადერთ გამოსავლად ახალციხის ფაშასთან სამშვიდობო შეთანხმების დადებაღა რჩებოდა. სულეიმან ჯაყელი მშვიდობია-ნობის გარანტიად მძევლების გაცვლას აყენებდა. მძევლების გაცვლას კი რუსეთის წარმომადგენელი ეწინააღმდეგებოდა. თუმც საბოლოოდ ისიც დათანხმდა და ერეკლემ ახალციხეში ორი თავადი გააგზავნა, თუმცა არც ისე

გამოჩენილი გვარებისა, როგორსაც ფაშა ითხოვდა, თანაც უწოდა მათ არა მძევლები არამედ კომისრები, რომელთაც სასაზღვრო მოსახლეობის ურთიერთდავა და პრეტენზიები უნდა გაერჩიათ და მოეგვარებინათ.

მაგრამ საკითხი მარტო ახალციხის ფაშასთან გარიგებით არ დასრულებულა: ომარ ხანის დაშოშმინებას და ამოდენა ლაშქრის გასტუმრებას დიდი ხარჯი სჭირდებოდა, ამიტომ გარდა იმისა რაც ლეკების ლაშქარმა, საქართველოს რბევით მოიხვეჭა და გარდა იმ 1000 ჩერვონეცისა, რაც პ. პოტიომკინმა ომარ ხანს იმის სანაცვლოდ გაუგზავნა, რომ მას ხელი აეღო საქართველოს აოხრებაზე, ერეკლე იძულებული შეიქმნა ომარ ხანის სასარგებლოდ ყოველწლიური ხარკი ეკისრა, თუმცა ამ ხარკს მან ჯამაგირი უწოდა (ამ ხარკის მოცულობა ნ. დუბროვინის ცნობით 1786 წელს 6500 მანეთს შეადგენდა).

რუსეთთურქეთის 1787-1789 წწ. ომის საბაბით რუსეთმა თავისი დასუსტებული რაზმები საქართველოდან გაიწვია.

ამრიგად, გეორგიევსკის ტრაქტატი, ფაქტობრივად უკვე დარღვეული იყო, რადგან გარდა მტერთაგან დაცვისა და სხვ. ომის შემთხვევაში რუსეთი ახალციხის საფაშოს და ჭარბელაქნის ქართლ-კახეთის შემადგენლობაში დაბრუნებას კისრულობდა. ეს ვალდებულება კი უკვე მოხსნილი იყო.

თავი XXXXII. დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო 80-90-იან წლებში. ქვეყნის გაერთიანების საკითხის დაყენების არსი

ერეკლესა და ფათალიხანის კავშირი. 1787 წ. სექტემბერში რუსულმა რაზმებმა საქართველო დატოვეს. მათმა ყოფნამ ქვეყნის მდგომარე-ობა არ გააუმჯობესა. უფრო პირიქით. მათი წასვლის შემდეგ ქართველები საკუთარი თავის იმედად დარჩნენ და თვითონვე უნდა ეპოვნათ რთული ვითარებიდან გამოსავლის გზები. გეორგიევსკის ტრაქტატმა ფაქტობრივად ძალა დაკარგა. თუმც რუსები კვლავ უტიფრად მოუწოდებდნენ ერეკლეს, ემოქმედა თურქეთის წინააღმდეგ, მათ დასახმარებლად, მაგრამ, ცხადია, ერეკლე ამ მოწოდებას არ აყვა.

ამასობაში ამიერკავკასიაში ძალთა თანაფარდობა რამდენადმე გადანაწილდა: ავარიის ომარ ხანი ფათალი ხანს დაუპირისპირდა, რამაც უკანასკ-ნელი გარკვეულად ქართლ-კახეთის მეფეს დააახლოვა.

1787 წლის ოქტომბერში, ომარ ხანმა არაფრად ჩააგდო ერეკლესთან დადებული კეთილმეზობლობის პირობა, ჯამაგირი და დიდი ლაშქრით, რომელშიც დაღესტნელთა სხვა ბელადებიც მონაწილეობდნენ, ალაზანს მოადგა, მაგრამ იმის გამო, რომ ქართველები მზად დაუხვდნენ, იძულებული გახდა ნუხისკენ გაბრუნებულიყო. იქიდან კი ფათალი ხანს დაემუქრა. ყარაბაღის ხანს, ომარ ხანის და ფათალი ხანის მორიგება და ერთობლივად საქართველოს წინააღმდეგ გამოლაშქრება უცდია, მაგრამ საბედნიეროდ აქედან არაფერი გამოუვიდა.

რუსეთიც და თურქეთიც ურთიერთ ომში ერეკლეს გამოყენებას ცდილობდნენ, მაგრამ ერეკლემ დიპლომატიურად ნეიტრალიტეტის შენარ-ჩუნება მოახერხა და, საბოლოოდ, ამით

თურქეთის კეთილგანწყობა დაიმ-სახურა. ხოლო ფათალი ხანის დახმარებით მან განჯაზე თავისი ძველი უფლებებიც აღიდგინა.

სოლომონის და ერეკლეს 1784 წლის შეთანხმება. 1784 წლის იანვარში ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეთა შორის შერიგება და დიდი შეთანხმება მოხდა. როგორც ზევით აღინიშნა იმერეთის მეფემ თავის მემკვიდრედ ძმისშვილი და ერეკლე II-ის შვილიშვილი დავით არჩილის ძე გამოაცხადა. ეს რიგითი მოვლენა არ ყოფილა, თუნდაც იმიტომ, რომ უშვილოდ დარჩენილი სოლომონ I-ის მემკვიდრეობის პრეტენზია ბევრს შეიძლება გასჩენოდა. მაგრამ მთავარი და ლეგიტიმური პრეტენდენტი სოლომონისვე შვილიშვილი, გიორგი ალექსანდრეს ძე იყო. მართალია იგი კანონიერი ქორწინების შედეგად არ მოვლენია ქვეყანას, მაგრამ ისტორიამ იმის მაგალითებიც იცის, რომ ამგვარად დაბადებულ ვაჟს ტახტის მემკვიდრეობა მიეღოს; მნიშვნელოვანია ისიც, რომ დედამისი წარმოშობით აზ-ნაური ჟღენტის ქალი იყო და, თუ გავითვალისწინებთ, რომ თვითონ სოლომონს ცოლად აზნაური ქაჯაიას ქვრივი ყავდა, შთამომავლობის გამო იგი მას ვერ დაიწუნებდა. მით უმეტეს, რომ ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ, რომელიც მამისაგან განმდგარი იყო და ერეკლეს კარზე ცხოვრობდა, სოლომონმა მისი ერთადერთი ვაჟი გიორგი თავად იშვილა და აღსაზრდელად იმერეთს წაიყვანა. ამდენად სოლომონის გადაწყვეტილება მემკვიდრედ გიორგის მაგივრად დავით არჩილის ძის გამოცხადებისა დამაფიქრებელია და მის უკან რაღაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური პერსპექტივა უნდა ვივარაუდოთ. ერეკლესთან შეთანხმების შემდეგ, აჭარაში ლაშქრობა წარმატებით რომ დაასრულა, სოლომონმა ქართლ-კახეთის მეფის მდივანს, ბეგთაბეგოვს, ერეკლესთან შეხვედრის სურვილი აცნობა, რაღაც მნიშვნელოვანი საკითხის შესათანხმებლად. შეხვედრა არ შედგა, რადგან იმავე წლის 23 აპრილს სოლომონი მოულოდნელად გარდაიცვალა. იმერეთის მეფე რომ ავად იყო, ცნობილია; აჭარლებთან ომში იგი დაიჭრა, მა-გრამ გამოკეთდა. სიკვდილის წინ კი მას თითქოს არაფერი ემუქრებოდა, თავს ჯანმრთელად გრძნობდა და ცხენზე ამხედრებას რომ აპირებდა, მა-შინ მოესწრაფა სიცოცხლე. სიკვდილის ჭეშმარიტი მიზეზი ცნობილი არ არის და ამიტომ, ტოვებს გარკვეული ეჭვის საფუძველს, რომ ეს ფაქტი ერეკლესთან მის შეთანხმებას და დაგეგმილ შეხვედრას უკავშირდებოდა.

ვითარება იმერეთში სოლომონ პირველის გარდაცვალების შემდეგ. სოლომნ I-ის გარდაცვალებიდან მერვე დღეს, 1784 წლის 30 აპრილს, დიდებულებმა იმერეთის ტახტზე გარდაცვლილი მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე აიყვანეს. ეს სოლომონის ანდერძის უგულვებელყოფას ნიშნავდა.

პირველ ხანებში გავრცელებული ხმების მიხედვით, მემკვიდრის შეცვლა თვით სოლომონის ახალი ანდერძის საფუძველზე მოხდა.

ტახტზე ასვლის პირველსავე დღეს, კავკასიის ხაზის უფროსისადმი იმერეთიდან გაგზავნილ ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ იმერეთის ფეოდალებმა დავით გიორგის ძე აირჩიეს მეფედ სოლომონის ანდერძის შესაბამისად. ასე რომ, აქ დავით არჩილის ძე ნახსენებიც არ ყოფილა. იმავე ადრესატისადმი მიწერილ იმერელ წარჩინებულთა წერილში და-საბუთებულია, აღნიშნული კანდიდატის გამეფება: “ამის შე[მდგომად] ღ[ვთ]ის მინდობილს, განზრახვით, ჩვენ მეფის ანდერძის მსგავსად აღვირ-ჩიეთ და მემკვიდრე, რომელიც უფროსი იყო და მოსწრებული

ბრძანდებოდა, რომ ჩვენი შემოვლა და პატრონობა და მეფობა ამას შეუძლიან”. რომ სოლომონის მიერ ანდერძის შეცვლა მოგონილი არგუმენტია, ეს აღ-ნიშნული კონტექსტიდანაც ჩანს.

აშკარაა, რომ დავით გიორგის ძის იმერეთში გამეფება სოლომონის ანდერძის მიხედვით არ მომხდარა. იგი იმერეთის გარკვეული ძალების მიერ იყო ორგანიზებული. მაგრამ გადამწყვეტი როლი ამ საქმეში ეტყობა პაპუნა წერეთელმა და ბერი წულუკიძემ შეასრულეს. დავით გიორგის ძის სიტყვებით რომ ვთქვათ “რომელთა აწცა ინებეს და იწადეს სამეფოსა კათედრასა ზედა დაწიაღება ჩუენი და ყოვლისა საქმისა ჩუენისა წარმმართებელნი და ქუეყანისა ამის გამგებელნი მხოლოდ ესენი გვივის”. მოცემული ამონაწერიდანაც ნათელია აღნიშნული დიდებულების წონა და ძალა იმერეთის სამეფოში და მათგან იმის განცხადება, დავით გიორგის ძე იმისთვის ვარჩიეთ დავით არჩილის ძეს, მოწიფულია და ჩვენი მოვლა უკეთ შეეძლებაო აშკარად არა გულწრფელია.

აღნიშნულ პიროვნებებს თავის გადაწყვეტილებაში, როგორც ჩანს, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები ამოძრავებდათ. რაც შეეხება ეკონომიკურ ინტერესებს ეს ადვილი გასაშიფრია: არსებობს საბუთი, თუ რა მატერიალურ წახალისებას ჰპირდება ახალგაზრდა მეფე თავის მფარველ დიდებულებს.

პოლიტიკურ ინტერესებზე პირდაპირი საბუთები ჯერჯერობით არ ჩანს და მხოლოდ ვარაუდით შეიძლება შემოვიფარგლოთ. კერძოდ დავით არჩილის ძის გამეფება უეჭველად იმერეთზე ერეკლე II-ის გავლენის გაძლიერებას გამოიწვევდა. ამავე დროს აღნიშნულმა პირებმა კარგად იცოდნენ ერეკლეს თვითმპყრობელური სტატუსი, ამიტომ არ აწყობდათ იმერეთში მსგავსი პოლიტიკის გამტარებლის გაბატონება.

უეჭველია, რომ აღნიშნულმა ფეოდალებმა კარგად იცოდნენ დასავლეთ საქართველოს შემოერთების ერეკლესეული პროგრამა, რომელიც თავდაპირველად სოლომონის ძალისხმევით და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა აქტივობით ჩაიშალა (1779-1781 წწ.).

სოლომონის და ერეკლეს შეთანხმება საქართველოს მომავალი გამგებლის თაობაზე. ჩვენი მსჯელობა, რომ უფრო დამაჯერებელი გახდეს, საჭიროა ზოგი გარემოება მოვიგონოთ და თვალი გადავავლოთ.

ბატონიშვილი ვახტანგის სიკვდილის შემდეგ, რომელიც თავის დროზე ერეკლემაც და თეიმურაზმაც ცალცალკე მემკვიდრედ გამოაცხადეს, ქართლ-კახეთის სამეფოების გაერთიანების და ერთი მემკვიდრის დანი-შვნის საკითხი რამდენადმე გართულდა. საქმე იმაშია, რომ ერეკლეს მომდევნო ვაჟი — გიორგი, ხასიათის, რბილი თვისებების და სუსტი ჯანმრთელობის გამო, ისეთი ქვეყნის მეფედ, რომელიც გამუდმებულ ბრძოლებში და უშეღავათო პოლიტიკურ ჭიდილში უნდა ყოფილიყო, აშკარად შეუფერებლად ჩანდა. იგი მეტად ღვთისმოსავი და თეოლოგიაში ერთობ განსწავლილი პიროვნება გახლდათ და მას საქართველოს კათოლიკოსობა (რომელსაც უწინასწარმეტყველებდნენ) უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მეფობა.

გიორგისგან სრულიად განსხვავებული იყო ერეკლეს მომდევნო ვაჟი, ლევანი, მამის მარჯვენა ხელი, ჭკვიანი, ენერგიული, საქმიანი, დაუღალავი, უბადლო მებრძოლი და დიპლომატი, სამეფოში ყველა დიდი წამოწყების თავიდათავი, ქვეყნის ჭეშმარიტი და საყოველთაოდ აღიარებული ბურჯი. ასეთ ვითარებაში სამეფოში ვრცელდებოდა ხმები, რომ

ერეკლე მეფობისთვის სწორედ ლევანს ამზადებს, ხოლო გიორგისთვის კათოლი-კოსის ტახტი აქვს განკუთვნილიო. ლევანის სასარგებლოდ ერეკლესა და საზოგადოებრივი აზრის განწყობას ისიც აძლიერებდა, რომ იგი დარეჯა-ნის ღვიძლი შვილი იყო (გიორგისგან განსხვავებით), ენერგიული და პატივმოყვარე დედოფალი კი ქართლ-კახეთის სამეფოში თანდათან სულ უფრო მეტ ძალას იძენდა.

არსებობს ცნობა, რომ იმერეთის შემოერთების შემთხვევაში, ერეკლეს გადაწყვეტილი ჰქონდა იქ ტახტზე ლევანი აეყვანა. კაცმა რომ თქვას, მეფის ოჯახში ის ერთადერთი წევრი იყო, რომელიც ასეთ ვითარებაში იმერეთის მოვლას შეძლებდა. რაკი ერეკლეს და მის პროგრესულ მოღვაწეთა დასის მაგისტრალური მიზანი საქართველოს გაერთიანება იყო, ერეკლე ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრეობასაც, უნდა ვიფიქროთ, მას დაუტოვებდა და ეს ურთულესი, მაგრამ აუცილებელი საკითხი შედარებით უმტ-კივნეულოდ გადაწყდებოდა.

მაგრამ სრულიად მოულოდნელად (!), საეჭვო ვითარებაში, ლევან ბატონიშვილი გარდაიცვალა, მისი შემცვლელი კი მეფის სახლობაში არავინ ჩანდა.

XVIII საუკუნის ქართველი პროგრესული საზოგადოების ძირითადი მიზანი საქართველოს გაერთიანება იყო. ეს ამოცანა ამოძრავებდა როგორც ერეკლე II-ს, ისე სოლომონ პირველს, მაგრამ ამ პრობლემის გადაწყვეტის გზები მათ სხვადასხვაგვარად ესახებოდათ. ჩვენ ვნახეთ, რომ როდესაც ერეკლემ იმერეთის შემოერთების საკითხი პრაქტიკულად დააყენა, სოლომონის ენერგიული ღონისძიებების და რუსეთის ძალისხმევის შედეგად მან მარცხი განიცადა.

ამასობაში საქართველოში რუსთა ყოფნამ და ქვეყნის გაერთიანების აუცილებლობის შეგნებამ, ორი დიდი მეფე — სოლომონი და ერეკლე, ერთმანეთს დააახლოვა. ისინი დარწმუნდნენ და საერთოდაც ნათელია, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში სახელმწიფოების შერწყმის ყველაზე ცნობილი და მისაღები ფორმა დინასტიური გაერთიანებაა. ამის შეგნება უნდა ყოფილიყო იმის საფუძველი, რომ მეფეთა შორის გაჩნდა იდეა, რაკი ლევან ბატონიშვილი ცოცხალი აღარ იყო, ორივე სამეფოს მემკვიდრედ დავით არ-ჩილის ძის გამოცხადებისა.

მთელი ეს სქემა სათანადო იდეოლოგიური მომზადების შედეგად უნდა ამოქმედებულიყო, მას შემდეგ, რაც დავით არჩილის ძე მოწიფულობის ასაკს მიაღწევდა, ანუ ქვეყნის (მით უმეტეს გაერთიანებული საქართველოს) მართვას დამოუკიდებლად შეძლებდა. ცხადია, იგულისხმებოდა, რომ ამ რთულ საქმეში იგი ერეკლესა და სოლომონის ენერგიულ მხარდაჭერას უნდა დაყრდნობოდა. ანუ დავით არჩილის ძე უნდა გამოცხადებულიყო ორივე სამეფოს მემკვიდრედ.

ჩვენ არ ვიცით, რაზე სურდა ერეკლესთან მოლაპარაკება სიკვდილის წინ სოლომონ პირველს, მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ იგი აღნიშნულ შეთანხმებას ეხებოდა. გაჟონილმა ინფორმაციამ უპირატესად ნეგატიური რეაქცია (როგორც მოსალოდნელი იყო) გამოიწვია ერთი მხრივ ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახში, მეორე მხრივ კი იმერეთის დიდებულთა გარკვეულ წრეში.

ამ გეგმის განხორციელებას ორივე მეფის აქტიური და ენერგიული მხარდაჭერა სჭირდებოდა. სოლომონ პირველის მოულოდნელმა გარდაცვალებამ ყველაფერი არია. 11 წლის

დავით არჩილის ძეს დამოუკიდებლად იმერეთის მართვაც არ შეეძლო და გაერთიანებულ ქვეყანაზე ხომ ლაპარა-კიც ზედმეტია.

არავინ იცის, რას მოიმოქმედებდა ერეკლე II მას სოლომონის გარდაცვალება რომ დროულად შეეტყო და იმერეთის მეფის არჩევაში მონაწილეობის საშუალება ჰქონოდა. მაგრამ მომხდარი ფაქტის შემდეგ, როცა იმერეთის ტახტზე უკვე დავით გიორგის ძე იჯდა, იგი იძულებული იყო ვითარებას შეგუებოდა და მოვლენების განვითარებას დალოდებოდა.

დავით გიორგის ძე იმერეთის სამეფოს სათავეში. 1784 წლის 8 მაისს პ. პოტიომკინისადმი მიწერილ წერილში, ერეკლემ დავით გიორგის ძე იმერეთის მეფედ აღიარა, თუმცა გარკვეული პირობით: "... ახლა იმერეთის მეფეთ მეფის სოლომონის ბიძაშვილი დავით გიორგის შვილი და-უსვამთ. რადგან ჩემი შვილიშვილი დავითი ჯერ ყმაწვილი არის და ქვეყნის მოვლა არ შეუძლია, მეც ეს ვიფიქრე, რომ იმერეთში თარაფობა არ შეიქმნას და ოსმალთ მხარისაკენ არ მიიწიონ, ამისთვის ეს უმაღლესი კარის საერთგულოთ დავინახე და დავით გიორგის შვილის მეფობას თანახმა ვექმენ. და ღ[მრ]თის ნებით, როცა ჩემი შვილიშვილი დავით გაიზარდოს, მაშინ რომელიც რუსე[თის] უმაღლესი კარის ნება იყოს, ასე აღსრულდეს".

ამრიგად, იმერეთის საკითხი ქართლ-კახეთის პოლიტიკაში დროებით მოიხსნა.

იმერეთის თავადებმა მალე დაინახეს, რომ მათი იმედები ახალი მეფის მიმართ საეჭვო გამოდგა. ტახტზე ასვლის შემდეგ ჯერ ერთი თვეც არ იყო გასული, რომ დავით მეფესა და წერეთლების ოჯახს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა. მოგვიანებით მეფეს წულუკიძეთა ოჯახიც დაუპირისპირდა.

იმერეთში ვითარება დაიძაბა. მეფის მდგომარეობა არამყარი იყო. ამ-გვარი ვითარება, მეტნაკლები სიმწვავით, თითქმის 5 წელი გრძელდებოდა. დავით გიორგის ძის წინააღმდეგ ძლიერი ოპოზიცია შეიქმნა, რომელიც ერეკლეს შვილიშვილს დავით არჩილის ძეს დაუკავშირდა და ახლა მის გამეფებას ცდილობდა.

დავით გიორგის ძემაც მოახერხა გარკვეული ძალების შემოკრება და უბრძოლველად პოზიციის დათმობას არ აპირებდა.

მოწინააღმდეგენი მცირე ხნით რიგდებოდნენ, მაგრამ ურთიერთ უნდობლობის გამო, ეს შერიგება ყოველთვის არამყარი და ხანმოკლე იყო. ამ არეულობით ხელის მოთბობას შედარებით წვრილი თავად-აზნაურობაც ცდილობდა: იკავებდნენ და იტაცებდნენ, ერთ დროს ჩამორთმეულ, თავისავე სოფლებს, თუ სხვის ადგილმამულებს. გაძლიერდა ძარცვა-გლე-ჯა; ქვეყნის საგზაო მაგისტრალებზე საფრთხემ იმატა. ყველაფერ ამას კი გლეხთა დიდი სოციალური მოძრაობაც დაერთო. რაზეც ზევით უკვე გვქონდა საუბარი.

ამჟამად კი იმას მივაქცევთ ყურადღებას, რომ დავით არჩილის ძის ბანაკელები მოხერხებულად დაუკავშირდნენ სოციალურ ბრძოლას და იგი თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელებისთვის გამოიყენეს.

იმერეთის მდგომარეობა და დაინტერესებულ საგარეო ძალთა პოზიცია. იმერეთის ტახტის საბოლოო ბედის გადაწყვეტის საკითხში, როგორც ფიქრობდნენ, მთავარი მნიშვნელობა

რუსეთის პოზიციას ეკავა. ამიტომ ტახტზე ასვლისთანავე, დავით გიორგის ძე საქართველოში რუსეთის წარმომადგენელს დაუკავშირდა, ერთგულებაში დაარწმუნა და დახმარება სთხოვა.

ეს მცდელობა შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა. მთელი თავისი ხანმოკლე მეფობის მანძილზე დავით გიორგის ძე ამაოდ ეძიებდა რუსეთის ხელისუფალთა რეალურ დახმარებას, მაგრამ რუსეთი დახმარების აღმოჩენას არც აპირებდა.

თურქეთის პოზიცია სრულიად განსხვავებული იყო, მას იმერეთში არეულობა აწყობდა და დაპირისპირებულ მხარეთაგან რომელიც მიმართავდა, მას ეხმარებოდა და მხარს უჭერდა.

რუსეთი, მიუხედავად მისდამი აშკარა ერთგულებისა, დავით გიორგის ძისადმი არავითარ გულისხმიერებას არ იჩენდა. იმერეთის მეფე ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე რჩებოდა და იძულებული იყო მორიგი დათმობებისა და ახალი დაპირებების საფუძველზე, ისევ ფეოდალებთან გამოენახა საერთო ენა.

გარდა დავით გიორგის ძის მიერ განხორციელებული დათმობებისა, მეფესა და იმერელ დიდებულთა შორის დამყარებული ერთგვარი კონსენ-სუსის საფუძველი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ამ ხანებში, ორივე მხარი-სთვის არასასურველი ფაქტი მოხდა: თავისი შვილიშვილის, დავით არჩილის ძის ინტერესების დასაცავად ერეკლემაც აიმაღლა ხმა.

მეფე ერეკლეს აქტიური პოლიტიკა იმერეთში. 1786 წლის იანვარში იმერეთში კვლავ დაირღვა მშვიდობა. წერეთელი და წულუკიძე ლეკთა და თურქთა 1500-იანი ჯარით, ხოლო ტახტის მემკვიდრე ბორჩალოელთა რაზმით, დავით გიორგის ძის ტახტიდან ჩამოსაგდებად იმერეთში შემოვიდა. ბორჩალოელთა რაზმის დავით არჩილის ძის გვერდით გამოჩენა აშკარად, საქმეში ერეკლე II-ის არაპირდაპირ ჩარევას მიანიშნებდა. ამ აქციამ, როგორც ჩანს, იმერელ დიდებულთა დიდი ნაწილი დავით გი-ორგის ძის სასარგებლოდ განაწყო. ამიტომ ამ წამოწყებიდან არაფერი გამოვიდა. დავით არჩილის ძის მომხრეები დამარცხდნენ. ციხეებში შეკეტილმა მეამბოხეებმა დავით გიორგის ძეს მორჩილება გამოუცხადეს.

როგორც ადრევე აღინიშნა, რუსეთთურქეთის ომის დაწყების და საქართველოდან რუსეთის რაზმების გაყვანის შემდეგ, თურქეთთან ურთიერთობა ერთგვარად დათბა. 1786 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, ოტომა-ნთა პორტასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის, ურთიერთ თავდა-უსხმელობის შესახებ. თურქეთმა შესანიშნავად იცოდა ერეკლეს პრეტენზიები იმერეთის სამეფოს მიმართ და რუსის ჯარის საქართველოდან გაყვანის საფასურად, მას ამ მიმართულებით არაოფიციალურად კარტბლანში მისცა. ე. ი. როგორც რუსეთის ისე თურქეთის მხრიდან ერეკლემ დასავლეთ საქართველოში ერთი შეხედვით მოქმედების თავისუფლება მოიპოვა.

ასეთ ვითარებაში, ქართლ-კახეთის მეფემ გამოიყენა სამეგრელოს ახალგაზრდა მთავრის, გრიგოლ დადიანის თხოვნა, რომელსაც იმერეთის მეფესთან ბრძოლა ჰქონდა. იმერეთის ტახტის პრეტენდენტი დავით არჩილის ძე, რომელიც იმ დროს თბილისში იმყოფებოდა მასთან გაგზავნა და ლაშქარიც მიაშველა.

დავით გიორგის ძე ახალციხეში გაიქცა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ მან იმერეთის ტახტის დაბრუნება მოახერხა. სოლომონ მეორემ ქართლ-კახეთის სამეფო კარს მიაშურა. ერეკლე შვილიშვილის დასახმარებლად საომარ სამზადისს შეუდგა...

ასეთ ვითარებაში მოხდა ფაქტი, რომელიც ხსენებული მოვლენების კონტექსტში უნდა იქნას განხილული.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების საკითხის დაყენება. იმავე 1790 წელს ქართლ-კახეთის მეფეს იმერელ დიდებულთა დელეგაცია ეწვია და ორივე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება შესთავაზა.

ერეკლემ დარბაზის სხდომა მოიწვია და იმერელ დიდებულთა წინადადება განსახილველად დააყენა. ორ დღეს გრძელდებოდა ცხარე მსჯელობა და კამათი ამ მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო. დარბაზის წევრთა დიდი ნაწილი გაერთიანების მომხრე იყო, ნაწილი წინააღმდეგი. ერეკლემ ყველას გულდასმით მოუსმინა, დიდხანს იფიქრა და ბოლოს მესამე დღეს მეორედ მოწვეულ სხდომაზე დარბაზის წევრებს და იმერელ დელეგატებს თავისი უარყოფითი გადაწყვეტილება აუწყა. იმერეთის სამეფოს შემოერთება მან შეუძლებლად ჩათვალა.

ისტორიოგრაფიაში ქართლ-კახეთის მეფის ამგვარი გადაწყვეტილება დიდ შეცდომადაა მიჩნეული. ჩვენს მიერ განხილული საკითხების ფონზე ერეკლეს არჩევანი სრულიად ლოგიკური და ბუნებრივია.

როგორც ვვარაუდობთ, სოლომონ პირველის უდროოდ გარდაცვალების შემდეგ ორი სამეფოს გაერთიანების საკითხი მნიშვნელოვნად გართულდა. ამ გართულების მთავარი მიზეზი საკითხისადმი სამთავროების დამოკიდებულება იყო. მართალია, როგორც სავარაუდოა, პირველ ეტაპზე მხოლოდ ქართლ-კახეთის და იმერეთის დინასტიური გაერთიანება იგეგმებოდა, მაგრამ, ცხადია, არავინ არ ფიქრობდა, რომ პროცესი აქ შე-ჩერდებოდა და გურია, სამეგრელო და აფხაზეთი დამოუკიდებლად დარ-ჩებოდნენ. მით უმეტეს, რომ ეს დამოუკიდებლობა მანამდეც არ იყო მყარი და იმერეთის მეფე მათ თავის ქვეშევრდომებად თვლიდა. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, წინააღმდეგობა იმერელი ფეოდალების მხრიდან იყო მოსალოდნელი. მათი პარტიკულარისტული სელისკვეთება სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას ვერ შეეგუებოდა.

აღნიშნული მსჯელობის ფონზე გასაანალიზებელია იმერელი დიდებულების თხოვნა შეერთების თაობაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ პროგრე-სულ წრეებში ქართლ-კახეთის და იმერეთის შეერთების არსებული გეგმა იმერელ დიდებულებს ამა თუ იმ ფორმით გაგებული ჰქონდათ.

იმერელ ფეოდალთა ჭეშმარიტი მიზნები. როგორც ირკვევა, სოლომონის გარდაცვალების შემდეგ იმერეთში შექმნილი მდგომარეობა დიდებულებს არ აკმაყოფილებდათ.

აღნიშნული იყო, რომ დავით გიორგის ძე დიდმა ფეოდალებმა იმერეთის ტახტზე გარკვეული პირობით და შესაბამის წერილობითი გარანტიების მიღების შემდეგ აიყვანეს. ამ აქტში მთავარი მნიშვნელობა იმას ჰქონდა, რომ დავით არჩილის ძე მცირეწლოვანი იყო და მისი გამეფება იმერეთში მისი პაპის გავლენას უსაზღვროდ გაზრდიდა, რაც, ფაქტობრივად, იმერეთის

ქართლ-კახეთთან შეერთებას მოასწავებდა. შემდგომი მოვლენები კი სავარაუდოდ შეიძლება ისე განვითარებულიყო, რომ თავის მემკვიდრედ ერეკლე დავით არჩილის ძეს გამოაცხადებდა (რასაც დარეჯა-ნის ძლიერი პარტია აქტიურად არ შეეწინააღმდეგებოდა) და ფაქტობრივად განხორციელდებოდა სოლომონ პირველთან ერთად შემუშავებული ერეკლეს გეგმა. უკიდურეს შემთხვევაში კი თავდაპირველად სამეფოების კონფედერაციულ გაერთიანებას დასჯერდებოდნენ, პრობლემის შემდგომი დასრულების და გადაწყვეტის პერსპექტივით.

ცხადია იმერეთის ძლევამოსილ დიდებულებს ამგვარი პერსპექტივა არ აწყობდათ.

თავადური ოპოზიცია ვარაუდობდა, რომ იმერეთში დავით გიორგის ძის გამეფებით, რომელსაც ქვეყანაში ძლიერი დასაყრდენი არ გააჩნდა და არც გარეშე ძალები უმაგრებდნენ ზურგს, თავის პოლიტიკურ გამარჯვებას იზეიმებდა. ფეოდალები იმედოვნებდნენ, რომ მათ მიერ უკანონოდ გამეფებული, პრეტენდენტი დამჯერე და მათი პოლიტიკის გამტარებელი იქნებოდა. ყოველ შემთხვევისთვის მას საამისოდ შესაბამისი გარანტიები მო-სთხოვეს და მიიღეს კიდეც, მათ შორის გელათში ერთგულებაზე ფიცის დადების სახითაც.

მაგრამ დავით გიორგის ძემ, მის გამამეფებელ იმერელ დიდებულებს იმედები გაუცრუა. ის არ გამოდგა ისეთი დამჯერე და სხვის ჭკუაზე მო-სიარულე, როგორც უკანასკნელნი ელოდნენ. ჩქარა ახალგაზრდა მეფესა და დიდ თავადებს შორის ურთიერთობა დაიძაბა და გამწვავდა. ასეთი ვითარება თითქმის 5 წელიწადი გაგრძელდა. ფეოდალები ახლა საწინააღმდეგო ბანაკისაკენ გადაიხარნენ და დავით არჩილის ძის გამეფებისთვის დაიწყეს ბრძოლა. დავით გიორგი ძე რუსეთისაგან ელოდა მხარდაჭერას ტახტზე განმტკიცებისათვის მაგრამ ამაოდ.

რაკი გამოსავალი არსაიდან ჩანდა იმერეთის ახალი მეფე კვლავ ფეოდალებს დაუტკბა და მათი მოთხოვნილებების სრულად დაკმაყოფილება იკისრა. მორიგება შედგა და 2 წლის განმავლობაში (1788-1789) იმერეთში შედარებითმა მშვიდობამ დაისადგურა. თუმცა დავით არჩილის ძის მომხრეები, ფეოდალთა პროგრესული ფრთა დანებებას არ აპირებდა.

1789 წლის 14 ივლისს ქართლ-კახეთის და სამეგრელოს ჯარებმა სოფელ მათხოჯთან დავით გიორგის ძე დაამარცხეს და იმერეთის ტახტი სოლომონ II-ის სახელით დავით არჩილის ძემ დაიკავა.

დავით გიორგის ძე ახალციხეში გაიქცა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ მან ტახტის დაბრუნება მოახერხა. დავით არჩილის ძემ (სოლომონ II) ქართლ-კახეთის სამეფო კარს მიაშურა. ერეკლე ტახტზე შვილიშვილის დასაბრუნებლად სამზადისს შეუდგა. სწორედ ამ მომენტში, გამოცხადდა იმერელ დიდებულთა დელეგაცია ერეკლე მეფესთან და იმერეთის შეერთება შესთავაზა.

ამ დელეგაციის მთავარი მიზანი რომ სოლომონ II-ის მიერ ტახტის ხელმეორედ დაკავების ბლოკირება იყო, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. დასაფიქრებელია დიდებულთა საწინააღმდეგო რა ღონისძიებები შეიძლება გაეტარებინა 15-16 წლის ჭაბუკს ერთი წლის განმავლობაში, რომ მათი საწინააღმდეგო განწყობილება გაეღვივებინა? ისიც საფიქრებელია, რატომ ერჩივნათ იმერელ დიდკაცებს ერეკლეს გაერთიანებულ სახელმწიფოს სათავეში ყოფნა, დავით არჩილის ძის ქვეშევრდომობას?

ამ კითხვაზე პასუხი იმ ვითარების გააზრებით შეიძლება მივიღოთ, რაც ქართლ-კახეთის სამეფოში 80-იანი წლების მიწურულს და 90-იანი წლების დასაწისში დამყარდა: ეს იყო ბატონიშვილების და მათი გარემოცვის, რომელიც, ფაქტობრივად, მთელ აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულთა ოჯახებს მოიცავდა, თავნებობა და თავაშვებულობა, დარეჯან დედოფლის ძალაუფლების განუსაზღვრელი ზრდა და მეფის ავტორიტეტისა და ძალაუფლების შესუსტება, რაც ათასგვარ შეთქმულებებსა თუ ინსინუაციებში გამოიხატებოდა. თუკი ერეკლე ქართლ-კახეთში ვერ ახერხებდა სათანადო წესრიგის დამყარებას, მით უმეტეს ამას ვერ მოახერხებდა იმერეთში. სადაც იგი მემკვიდრეობით კი არ იქნებოდა ხელდასმული, არამედ ფეოდალების მიერ, მაშასადამე მათი მოიმედე, ხელის შემყურე და მათი პოლიტიკის გამტარებელი უნდა ყოფილიყო. თუ იგი ფეოდალების მიერ განსაზღვრული გზით არ ივლიდა, იმავე ფეოდალების მიერ შემოთავაზებული პროექტით, მას იმერეთი უნდა დაეტოვებინა და იმავე ფეოდალებისთვის უნდა მიეცა უფლება, მათთვის სასურველი კანდიდატი აერჩიათ მეფედ. ამ აზრს იმერელი ფეოდალები შემდეგი სიტყვებით გამოხატავდნენ: “უკეთუ ვერ დამტკიცდება ერთობა და შეუდგება უწესობა, სავნო ქართლისთვის და მეფობისა თქვენისთვის მაშინ თქვენც უბოძეთ იმერთა ნება იყოლიონ თვისად მეფე თვისი” (ხაზი ჩემია – ავტ.).

მთელი ეს წამოწყება რომ დავით არჩილის ძის გამეფების საწინააღმდეგო აქცია იყო, ამას იმერელთა დელეგაცია ფაქტობრივად ღია შიფრით აფიქსირებდა. პლატონ იოსელიანის სიტყვებით: “ესენი ითხოვდნენ, რადგანაც არ ჰსურს მეფეს ირაკლის მეფედ დავით მიმტაცებელი ტახტისა, ინებოს და შეიერთოს თვისად სამეფოდ იმერეთი, ვითარცა იყო ერთმთავრობისა დროსა”. ერთი სიტყვით, იმერლები წინააღმდეგნი არიან დავით არჩილის ძისა და მეფედ ითხოვენ დავით გიორგის ძეს. მაგრამ იციან ერეკლეს ძალა და სურვილები, ამიტომ დგანან რა დილემის წინაშე ისევ მოხუცი ერეკლე ურჩევნიათ ახალგაზრდა, ენერგიულ და შემტევ დავით არჩილის ძეს. მათი არჩევანი მით უფრო გამართლებული იქნებოდა თუ, როგორც ვივარაუდეთ, დავით არჩილის ძე მომავალში თავის ძალაუფლებას აღმოსავლეთ საქართაველოზეც გაავრცელებდა და, შესაბამისად, მეტ ძალას მოიკრებდა ფეოდალური პარტიკულარიზმის წი-ნააღმდეგ საბრძოლველად.

ერეკლეს გადაწყვეტილება და დოკუმენტი საქართველოს კო-ნფედერაციული გაერთიანების შესახებ. გამოცდილმა ერეკლემ ყველაფერი ეს შესანიშნავად იცოდა და ამიტომ განაცხადა უარი ორპირულად შემოთავაზებულ წინადადებაზე: “თხოვასა ამას ვერ მივიღებ: მტერი მადგას კარსა: ვერ გავიხდი ახალსა მტერსა, რომელიცა უნდა იყოს შვილიშვილი ჩემი იმერთა ტახტისთვის განმზადებული, — დესპანნო წარვედით და იმერთა ერს გამოუცხადეთ, რომ დავსვამ იმერეთისა ტახტზედ შვილიშვილს ჩემსა და ესრეთისა კავშირითა თავითთვისით იქმნება ერთობა იმერეთისა ქართლისა თანა” (ხაზი ჩვენია — ავტ.)

ამ სიტყვებიდან შეიძლება შეფარვით ის აზრიც ვიგულისხმოთ, რომ ერეკლეს კვლავ ჰქონდა იმედი, რომ იმერეთის ტახტზე თავისი შვილიშვილის დასმით, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანების საკითხს გადაწყვეტდა. მკითხაობა არ არის ისტორიკოსის საქმე, რა იქნებოდა შემდეგ ძნელი სავარაუდოა, ხოლო იმჟამად იმერეთის ტახტზე დავით არჩილის ძის განმტკიცებისთანავე შეიქმნა საქართველოს ისტორიი-სთვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი —

ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება, რომელიც საქართველოს კონფედერაციულ საფუძველზე ფაქტობრივ გაერთიანებას ნიშნავდა და რომელზე დაყრდნობით, მისი შემდგენლების მიერ ივარაუდებოდა საქართველოს უფრო მყარი და მტკიცე დაკავშირება.

მაგრამ ამ საქმეს შემდგომი განვითარება არ ეწერა. საქართველო ახალი უმძიმესი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

თავი XXXXIII. აღა მაჰმად ხანის 1795 წ. თავდასხმა

ქართლ-კახეთის საშინაო მდგომარეობა შემოსევის წინ. როდე-საც ქართლ-კახეთის და იმერეთის გაერთიანებაზე უარის თქმის არგუმე-ნტად ერეკლემ ის მოიყვანა, რომ "თხოვასა ამას ვერ მივიღებ: მტერი მადგას კარსაო", აღა მაჰმად ხანს გულისხმობდა, რომელიც იმ ხანებში, ირანის ტახტისაკენ მიიწევდა. მისგან მოსალოდნელი საფრთხე ქართლ-კახეთის გამოცდილმა მეფემ ადრევე განჭვრიტა; თუმცა თავდაპირველად ხანი ქართველებს მეგობრობას სთავაზობდა და რუსეთთან შუამავლობასაც კი თხოვდა, მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა სანუკვარ მიზანს, სპარსეთის ტახტს, მისი პოლიტიკა სულ უფრო მკაცრი და შეურიგებელი ხდებოდა.

ერეკლემ, როგორც კი მისი მხრიდან საშიშროება იგრძნო მაშინვე რუსეთს მიმართა, მაგრამ ყურიც არავინ შეიბერტყა.

ამასობაში ქართლ-კახეთის მეფის საშინაო მდგომარეობა დამძიმდა.

1791 წელს ერეკლემ შეადგინა დოკუმენტი, რომელსაც ანდერძის მნიშვნელობას ანიჭებდა. "განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისანი ძეთათვისდამი სამეფოსათვის საქართველოისა". ამ დოკუმენტით მთელი სამეფო საუფლისწულოებად იყოფოდა და ბატონიშვილებს მემკვიდრეობით ურიგდებოდა.

მეორე მხრივ ქართლ-კახეთის მეფემ შეცვალა მემკვიდრეობის ძველი წესი, რომლის მიხედვითაც მეფობა მამიდან შვილზე გადადიოდა. ახალი კანონმდებლობით მეფობა გვარში უფროსობით გადავიდოდა: ანუ თუ ერეკლეს შემდეგ ტახტს გიორგი დაიკავებდა, იგი მემკვიდრეობით კი არ გადასცემდა მეფობას (ამ შემთხვევაში დავით ბატონიშვილს), არამედ გი-ორგის მომდევნო ძმას იულონს და ა. შ. მაგრამ დოკუმენტმა ერეკლეს მი-ერ ნაგულისხმევი შედეგი არ გამოიღო. ამ გადაწყვეტილებით მეფეს ბატონიშვილებში თანხმობისა და სიყვარულის, ქვეყანაში სიმშვიდისა და კეთილდღეობის დანერგვა სურდა. ყველაფრი კი პირიქით გამოვიდა: ძმები მართალია აშკარად ერთმანეთს არ ეომებოდნენ, მაგრამ ყველა უკამყოფილო და ამრეზილი იყო. გიორგი ვერ ურიგდებოდა ტახტს მემკვიდრეობით, რომ ვერ გადასცემდა, უმცროსი ძმები კი დედოფლის მხარდაჭერით გიორგის მეფობას საერთოდ მიუღებლად თვლიდნენ.

საუფლისწულოებად ქვეყნის დაყოფამ, ბატონიშვილებში ქიშპი შეასუსტა, მაგრამ, ამავე დროს, ისინი საერთო ეროვნულ საქმეს ჩამოაცილა და ყველა საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტა.

ამასთან, მეფე განმდგარი თავად-აზნაურობის გულის მოგებასაც შე-ეცადა. დიდი უკმაყოფილება სუფევდა სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგე-ნლებში, რომლებიც დაწყნარებულ გზებს, უხიფათო მიმოსვლას, საქონლის უკანონო შეწერის აღკვეთას ითხოვდნენ.

მთავარი ის იყო, რომ ქართლ-კახეთის დიდი მეფე აშკარად მოხუცდა და მოტყდა. მას ისეთ რამეებს უბედავდნენ, რაც ათიოდე წლის წინ წარმოუდგენელი იყო. ქვეყანაში დარეჯანის უფლებები გაიზარდა და ამ უფლებებს იგი ყოველთვის სახელმწიფოს სასარგებლოდ ვერ იყენებდა.

იმავე ხანებში (1791 წ.), ერეკლემ ბრძანება გამოსცა მორიგე ჯარის აღდგენის შესახებ, მაგრამ დაქუცმაცებულ ქვეყანაში ამ დიდი საქმის თავის მომბმელი არავინ ჩანდა.

მერყეობის ტენდენცია საგარეო ორიენტაციაში. მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა საგარეო ორიენტაციის თვალსაზრისით. რუსეთის მომხრეები თანდათან შემცირდნენ. ამაში არაფერია გასაკვირი. ამდენმა ცრუ დაპირებამ და ვერაგობებმა თავისი შედეგი გამოიღო. ეჭვის ქვეშ დადგა ქვეყნის მომავლის და, საამისოდ, საჭირო პოლიტიკის ჩამოყალიბების საკითხი.

ქართულ მმართველ წრეებში ორიენტაციის თვალსაზრისით გარკვეული მეტამორფოზა აშკარა იყო. ამ მხრივ ტიპიურია სოლომონ ლეონიძის განწყობილება: მხურვალე რუსოფილი, რუსეთთან დამაკავშირებელი არაერთი დოკუმენტის ავტორი, როგორც ჩანს, 90-იან წლებში დარწმუნდა, რომ ამ "მფარველის" მეშვეობით ქართველები დასახულ და ნავარაუდევ შედეგს ვერ მიიღებდნენ, იგი რუსეთის პოლიტიკაში გათვიცნობიერებული მოღვაწე იყო და კარგად ხედავდა, როგორ მეთოდურად ბოჭავდა რუსეთი მის სამშობლოს, რათა საბოლოოდ გაეუქმებინა იგი, როგორც პოლიტიკური ერთეული.

ანტირუსულად განწყობილთა დასს მიეკუთვნებოდა სახლთუხუცესი და მთავარსარდალი, ერეკლეს სიძე, დავით ორბელიანი. გონიერი და მამაცი მებრძოლი.

ამ დასის ერთ-ერთი ძირითადი ფიგურა დარეჯან დედოფალი იყო, რომელსაც საკუთარი შვილების ინტერესებიც ამოძრავებდა (იმედი ჰქო-ნდა, რომ სპარსელთა ბატონობის პირობებში, ადვილად განხორციელდებოდა ერეკლეს კანონი ტახტის ძმიდან ძმაზე გადასვლის შესახებ). ჩვენ არავითარი პირდაპირი მითითება არ გვაქვს, დედოფლის საგარეო ორიენტაციის შესახებ, მაგრამ შემთხვევით თუ კანონზომიერად, სპარსელთა შემოსევის დროს ყველაზე ნაკლებად დარეჯან დედოფლის ქონება დაზარალდა.

ქვეყნის ხელისუფალთა უფრო დიდი ჯგუფი რუსეთის ერთგულებას ინარჩუნებდა. მათში მთავარი ადგილი ქართლ-კახეთის მეფეს ეჭირა. ზო-გიერთი მკვლევარი აქ გადამწყვეტ მნიშვნელობას, მეფის ღვთისმოსაობას და მართლმადიდებლური კონფესიის ერთობას მიიჩნევდა. აღნიშნული არ-გუმენტი ცხადია, არსებობდა, მაგრამ მთავარი ალბათ იყო ერეკლეს მაგისტრალური პოლიტიკა ქვეყნის გაერთიანებისა, რომელიც მისი საბოლოო განთავისუფლების საფუძველი უნდა გამხდარიყო და რომელიც რუსეთის გარეშე ვერ განხორციელდებოდა.

სპარსოფილობა ქართლ-კახეთს მუდმივ ქვეშევრდომობას უქადდა და ამ უღლის სიმძიმე სპარსეთის მორიგი შაჰის პიროვნებასა და განწყობილებაზე იქნებოდა დამოკიდებული.

რუსეთის ორიენტაციაზე მყარად იდგა ბატონიშვილი გიორგი, რომელიც თავის ოჯახის კეთილდღეობას სწორედ ამ ორიენტაციასთან აკავშირებდა.

აქ იყვნენ აგრეთვე გარსევან ჭავჭავაძე, ქაიხოსრო ავალიშვილი და სხვ. ამ ორიენტაციაზე მყარად იდგნენ სომხური დიასპორის გავლენიანი წარმომადგენლები (სახელმწიფო მოხელეები და სხვ.). ეს სრულიად ბუნებრივია. ამ კატეგორიის ხალხი, თავისი დაქვემდებარებული ეროვნული მდგომარეობის გამო, თითქმის ყოველთვის პირდაპირ თუ შეფარვით დამ-პყრობლის მხარეს იჭერდა. ამ შემთხვევაში, მათი რუსული ორიენტაციის სიმტკიცეს მეტი საფუძველი ჰქონდა, რადგან გეორგიევსკის ტრაქტატით რუსეთის ხელისუფლებამ ქართველი (სომეხი) ვაჭრები რუს ვაჭრებს გაუთანაბრა და მათზე გაავრცელა ყველა შეღავათები, რითაც რუსი ვაჭრები სარგებლობდნენ.

ესეც არ იყოს, რუსეთი კავკასიაში სომხების მთავარი მფარველი და სომხური სახელმწიფოს შექმნის მთავარი იმედი იყო.

ამრიგად, მოახლოებული დიდი უბედურების წინ ქართლ-კახეთის მეფის მდგომარეობა სასურველ სიმტკიცეს მოკლებული იყო.

დღეს თუ ხვალ აღა მაჰმად ხანის თავდასხმა უეჭველი ჩანდა. საქართველოს ოფიციალური მფარველი და დამცველი ამ საშინელებას თითქოს არ აღიარებდა, მის საწინააღმდეგოდ არაფერს აკეთებდა და, როგორც აღინიშნა, ფარულად კიდეც აქეზებდა.

თურქეთთან ერეკლეს ურთიერთობა გაფუჭებული ჰქონდა იმის გამო, იმერეთის შემოერთების პირობით, მფარველობაში შესვლაზე რომ შე-უთანხმდა, შემდეგ კი, რუსეთის მაქინაციების შედეგად, იძულებული იყო, სიტყვა გაეტეხა.

ქართლ-კახეთში ერეკლეს პოლიტიკისადმი უკამყოფილების ზრდა. 90-იანი წლების ახალი კანონმდებლობის მიღების შემდეგ ქვეყანა-ში მეფის პოზიცია მნიშვნელოვნად შესუსტდა. ერეკლეს პოლიტიკას ქართლ-კახეთში მოწინააღმდეგენი ადრეც ჰყავდა, მაგრამ თვითმპყრობელი მონარქის მტკიცე და ძლიერი ბატონობისადმი უკმაყოფილების გამოთქმას იშვიათად თუ ვინმე ბედავდა. როგორც ვნახეთ, პაატა ბატონიშვილის შეთქმულება უსასტიკესად დაისაჯა. ამან უკმაყოფილო ელემენტთა ანტისახემწიფოებრივი გამოსვლები ვერ აღკვეთა.

70-იან წლებში შეთქმულნი ჩანან დავით ერისთავი, ზაალ ორბელია-ნი და ძმები მაჩაბლები. ეს შეთქმულება იესე ოსესძემ გახსნა. სასამართლოც ჩატარდა, მაგრამ ოქმი არ დარჩენილა. შეთქმულება თითქოს რუ-სეთის ინტერესების სასარგებლოდ იყო მოწყობილი. ყოველ შემთხვევაში, სასჯელი საკმაოდ მსუბუქი გამოიტანეს.

1778 წელს ქსნის ერისთავი გიორგი განუდგა მეფეს. ერეკლემ სასწრაფო ზომები მიიღო, საერისთავო ბრძოლით აიღო და გააუქმა, სხვა მხრივ ერისთავს ცოდვები მიუტევეს.

გიორგი ბატონიშვილთან ერეკლეს ყოველთვის რთული დამოკიდებულება ჰქონდა. ახალგაზრდა ბატონიშვილი გრძნობდა მამის უნდობლობას, რაც მას უარყოფითად განაწყობდა. აშკარა უკმაყოფილება არ გამოუხატავს, მაგრამ ერეკლეს სხვადასხვა გადაწყვეტილებებზე ფარულ წინააღმდეგობას ხშირად ამჟღავნებდა. მაგალითად, პაატა ბატონიშვილის შეთქმულების დროს, იგი არ დაეთანხმა სასჯელის იმ სასტიკ ზომებს, რომელიც საგანგებო სამსჯავრომ შეთქმულთა მიმართ განახორციელა.

ნიშანდობლივია, რომ ერეკლეს პოლიტიკით ბევრი უკმაყოფილო გი-ორგისკენ იწევდა და მასთან ეძებდა საერთო ენას.

ფარული უკმაყოფილება და დრტვინვა, ერეკლეს პოზიციის შესუსტების შესაბამისად მატულობდა ქართლის თავადებშიც, რომლებიც საბოლოოდ მაინც ვერ შეურიგდნენ ქართლში კახელი ბაგრატიონის მეფობას.

პრეტენზიები არ წყდებოდა სომხურ ბურჟუაზიულ წრეებიდანაც (ეს განწყობილება მათში ჯერ კიდევ XVII საუკუნეში და უფრო ადრინდელ ხანებშიც შეიმჩნეოდა). ვაჭრული ბურჟუაზია უკმაყოფილო იყო მისდამი თვითმპყრობელი მეფის პოლიტიკით. იგი მეტ პატივს, დაფასებას და მოვლას მოითხოვდა. ეს განწყობა კარგად გამოჩნდა გორელი ქეთხუდების საჩივარში: “ახლა ამ შენის ქვეყნის გაფუჭებას მოვსულა(ვ)ართ და სამართ(ა)ლთ(ა)ნ ვჩივით... ამისთვის თქვენს უმაღლესობას ბევრჯერ უბრძანებია: “მე თქვენი მოვლის ვალი მაქვს და თქვენ სამსახურისა”-ო და ამ სიტყვებში მათი აშკარა პრეტენზია გამოსჭვივის: თუ ჩვენი პატრონობა იკი-სრე კიდეც გვიპატრონეო.

ბურჟუაზია ფსონს ძირითადად გიორგი ბატონიშვილზე აკეთებდა, რისი საფუძველიც ალბათ მისი მემკვიდრეობის ლეგიტიმურობა და ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთგვარი დაპირისპირება იყო. მის წარმომად-გენლებს მიაჩნიათ, რომ სუსტი ხასიათის და ქვეყანაში საიმედო დასაყრდენის არმქონე ბატონიშვილი, გამეფების შემთხვევაში, მათ ხელში ადვილი სამართავი იქნებოდა.

არის ცნობა, რომ 90-იან წლებში დიდვაჭართა წარმომადგენლებს შეთქმულების მოწყობა, ერეკლეს გადაყენება, გიორგის ტახტზე აყვანა უცდიათ: “ადგნენ ეს ორნი (მისკარბაში იოსები, ბასტამაშვილი სტეფანე — ავტ.) და მივიდნენ გიორგი ბატონიშვილის კარზედ და თავის ამხანაგებით შევიდნენ და დასხდნენ. ხანი გამოვიდა და ბასტამაშვილმა თქვა გვი-პატრონეთო ამ დაღუპულთაო, დიამც მამა-შენმა მიგვატოვა და ასე დაგვღუპა და შენ მაინც მოგვიარეო” და სხვ. ამ ცდიდან არაფერი გამოვიდა. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა.

რამდენიმე ხნის შემდეგ შეთქმულების სათავეში მელიქი დარჩია და კვლავ იოსებ მისკარბაში ჩანან. ამჯერად ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება სოლომონ ლეონიძემ ამხილა, მაგრამ ხელისუფლების უმაღლეს წრე-ებთან დაახლოებულ, დიდი წონის პიროვნებებს, ვერაფერი დაუმტკიცა და თვითონვე დაისაჯა. მეფის უახლესი პირი სამეფოდან გააძევეს. იგი ერთხანს იმერეთს აფარებდა თავს, ვიდრე ერეკლემ კვლავ არ შემოირიგა.

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ გიორგი XII თვითონ წერდა რუსეთის ხელისუფალთ, რომ იგი არ ეთანხმებოდა ერეკლეს პოლიტიკას და მის სიცოცხლეში სურდა საქართველოს რუსეთთან ფაქტობრივი შეერთება. მეფობის ინსტიტუტის ფორმალური შენარჩუნებით. ქართლ-კახეთში შექმნილმა გართულებებმა, პოლიტიკური ვითარების დამძიმებამ, ყაჩაღური შემოსევების სიმრავლემ, მათ დასაშოშმინებლად მატერიალურ ღონისძიებ-ების აუცილებლობამ, სამთამადნო ქარხნების მტერთაგან განადგურებამ, რასაც სახელმწიფო შემოსავლის მკვეთრი დაცემა მოჰყვა, თავდაცვითი მშენებლობის გააქტიურებამ, რუსის ჯარის საქართველოში ყოფნამ, სამეფო კარის დასუსტებით გათამამებულ ფეოდალთა თავაშვებულობამ და სხვ. გლეხთა ექსპლუატაციის

გაძლიერება განაპირობა. 70-80-იან წლებში აღინიშნა გლეხთა მღელვარებები: გაქცევა გადაკარგვები და ზოგჯერ ფეოდალთა წინააღმდეგ გამოსვლებიც. ამგვარი გამოსვლები უფრო მეტი და მწვავე იყო დასავლეთ საქართველოში.

ასეთი აწეწილი იყო ქვეყნის საშინაო ვითარება დიდი განსაცდელის მოლოდინში.

ზომები მოახლოებული საფრთხის წინ. სპარსელთა შემოსევის საშიშროება სრულიად რეალური იყო და თანდათან ახლოვდებოდა.

ქართლ-კახეთის დიპლომატია, ლოგიკურად, ძალაუნებურად იმედს კვლავ რუსეთის დახმარებაზე ამყარებდა; საამისოდ შეშფოთებულ წერილებს გზავნიდა, როგორც კავკასიის ხაზზე გუდოვიჩთან, ისე პეტერბურგის სხვადასხვა ინსტანციებში. ენერგიულად მუშაობდა საქართველოს ელჩი რუსეთში გარსევან ჭავჭავაძე და იქვე მყოფი მირიან ბატონიშვილი, მაგრამ შედეგი ნულის ტოლი იყო. უფრო პირიქით, მხოლოდ ერთხელ, მირიან ბატონიშვილის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, გააფრთხილა გუდოვიჩმა აღა მაჰმად ხანი თითქოს საქართველოს დაცვის მიზნით, მა-გრამ ეს გაფრთხილებაც, თვით რუსი ისტორიკოსის, ბუტკოვის სიტყვით, ისეთი ტონით იყო გაკეთებული, რომ მან თავდასხმის აღკვეთა კი არა, პროვოცირება გამოიწვია.

ქართველი დიპლომატების, თუ პოლიტიკოსების რუსეთთან მიმოწერას ჩვენს ისტორიოგრაფიაში იმდენი ადგილი აქვს დათმობილი, რომ ამ საკითხზე რაიმეს თქმა უაზრობაა. ფაქტი ისაა, რომ ქართველებს სურდათ რუსეთის ძალით, თუ დიპლომატიური გზით აღეკვეთათ სპარსელთა თავდასხმა, რუსეთი კი ამას არ აკეთებდა და არ აკეთებდა არა იმიტომ, რომ არ შეეძლო (გასამართლებლად მოჰყავდათ შეიხ მანსურის მოძრაობა კავკა-სიაში, ვითარება ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში, სადაც ნაპოლეონი მიიწევდა ტახტისაკენ და სხვ.) არამედ იმიტომ, რომ არ სურდა. ახლა ჩვე-ნთვის სრულიად ნათელია, რომ რუსეთი, რომლის დიპლომატიურ წრეებში საქართველოს ინკორპორაციის საკითხი მომწიფდა, დაინტერესებული იყო აღას შემოსევით, რაც საქართველოს დაუძლურებას გამოიწვევდა და მის ოკუპაციას გააადვილებდა. ამავე დროს საფუძველი მიეცემოდა აღა მა-ჰმად ხანის დასჯისა, რომელსაც რუსეთი კარგა ხანია ესწრაფვოდა.

ერეკლეს კი არსებული რეალობის შეგუება არაფრით არ სურდა და რუსთაგან დახმარების მიღების მცდელობას განაგრძობდა.

რაკი აქედან დახმარების იმედი ერთობ შემცირდა, “პატარა კახმა”, როგორც ვნახეთ, თავი დაიმცირა და თურქეთს მიმართა, შემდეგ ავსტრია-სთან სცადა ბედი, მაგრამ კვლავ უშედეგოდ.

როცა ამ გაუთავებელ და, ცოტა არ იყოს მომაბეზრებელ მიმოწერას ეცნობი, შეიძლება კაცს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ თვითონ ქართველები თავდაცვისთვის არაფერს აკეთებდნენ.

ეს შეხედულება მცდარია.

უკვე 1791 წელს, ანუ როცა მტრის თავდასხმა რეალური გახდა, მეფემ გამოსცა ბრძანება მორიგე ჯარის განახლების შესახებ. ამავე დროს დაიწყო ზრუნვა არტილერიის პარკის

მოწესრიგების თაობაზე. მთელს სამეფოში მიმდინარეობდა იმ მოლაშქრეების აღრიცხვა, რომლის გამოყვანაც, საჭიროების შემთხვევაში, რეალური ჩანდა: ქართლ-კახეთიდან 36 ათასი მოლაშქრე, ბორჩალოდან და შამშადილიდან 10 ათასი, ამდენივე იმერეთიდან და ამას უნდა დამატებოდა დაქირავებული ჯარი დაღესტნიდან, რომლის ბელადებთან მოლაპარაკება წარმოებდა.

ყოველივე ამაო გამოდგა.

როგორც ჩანს, თავდასხმის წინა ხანებში დიდი მუშაობა ჩატარდა საფორტიფიკაციო ნაგებობების მოსაწყობად. მართალია საამისო დოკუმენტური ცნობა არ გვაქვს, მაგრამ ვიცით, რომ ომის მსვლელობაში მტერს რამდენიმე ეშელონად მოწყობილი გამაგრების გადალახვა უხდებოდა. ცხადია ერეკლეს ძალისხმევით თბილისის მისადგომებთან მნიშვნელოვანი სანგრები მოეწყო.

გულგრილობა და ღალატი ქართლ-კახეთში. მოხუცი მეფე ბევრს და თავგამოდებით იღვწოდა თავდაცვის ორგანიზებისთვის, მაგრამ სასურველი შედეგი არ ჩანდა. ყველაზე დიდი უბედურება (თუ გაუგებრობა) ის იყო, რომ ერეკლეს გვერდზე არ ჰყავდა საიმედო, ერთგული თანაშემწე, რომელიც მისი ბრძანებების განხორციელებას უზრუნველყოფდა. განაწყენებული ტახტის მემკვიდრე ჯარით ქიზიყში იდგა და არ იძროდა, ქვეყნის სარდალი, ჭკვიანი და სახელოვანი ვაჟკაცი, დავით ორბელიანი მძიმედ ავად იყო, ლოგინს მიჯაჭვული და მეფეს ვერაფრით და-ეხმარებოდა. სხვა შვილები ან თავის საუფლისწულოებში იყვნენ თავშეფარებულნი და ყურს არ იბერტყავდნენ ან თავის საშველად მთიულეთისკენ გარბოდნენ. ერეკლეს მეტნაკლებად მხოლოდ შვილიშვილების დავითის და იოანეს იმედი შეიძლება ჰქონოდა. მაგრამ მათ არავითარი ძალაუფლება არ გააჩნდათ, ყველაზე დიდი სამსახური და თავდადება ერეკლეს იმერელმა შვილიშვილმა, დავით არჩილის ძემ გამოიჩინა, მაგრამ მასაც, იმის გამო რომ გურიელთან და დადიანთან დაპირისპირებული იყო, თავის ქვეყანაში ყველაფერი მოწესრიგებული არ ჰქონდა, ამიტომ არსებითი დახმარება არ შეეძლო. ერთადერთი შვილი, ვახტანგი ერთგულებდა მამას, მამის ბრძანებებს უსიტყვოდ ასრულებდა ალექსანდრეც.

ჩაიშალა დაღესტნიდან ჯარის მოწვევის საკითხი, რაშიც მთავარი ბრალი კვლავ რუსეთს უნდა მიუძღოდეს.

საბედნიეროდ, კავკასიის მთიელებმა ის მაინც გააკეთეს საქართველოსთვის, რომ აღა მაჰმად ხანის ჯარში არ მიიღეს მონაწილეობა, თუმცა მათ მეტად სოლიდური გასამრჯელოს — კაცზე 100 მანეთს სთავაზობდნენ (ჩვეულებრივი 30 მანეთს უდრიდა), ეს დიდი ვაჟკაცობა იყო, მაგრამ ქართველებს ამან ვერ უშველა.

მძიმე ვითარება რომ დაიგულვეს, ქართლ-კახეთის მეფის უკმაყოფილო, განაწყენებულმა და საერთოდ მტრულმა ელემენტებმაც წამოყვეს თავი და ერეკლე II-ესთან ანგარიშსწორების სურვილით სამშობლოს დაღუ-პვასაც კი არად მიიჩნევდნენ.

რომ საქართველოს მთავარ ქალაქში ათასი ურჯულო, მსტოვარი, მოღალატე, მტერი თუ გარეწარი დაძრწოდა და მის განადგურებას ესწრაფვოდა გასაგებია, უბედურება ის არის, რომ მოღალატე ელემენტი ხელისუფლებასთან დაახლოებულ წრეებშიც არაერთი იყო:

სოლომონ II-სთან მოწვეულ თათბირზე, სადაც ქართლ-კახეთისთვის ლაშქრით დახმარების საკითხი იხილებოდა, საგანგებოდ წაუკითხავთ ზაქარია ანდრონიკაშვილის საგულისხმო წერილი: "მეფე ერეკლეს მოღალატეები გაუჩნდნენ, აქ ხელს უშლიან, გააფრთხილეთ სოლომონ მეფე, რომ ამ პირთ მანდაც ხელი არ მიაწვდინონ და საქართველო არ დაიღუპოსო". მეფის ეს მამაცი და ერთგული შვილიშვილი გაფრთხილებული იყო, და იმასაც კი აკეთებდა, სახელოვანი პაპის დასახმარებლად რაც მის ძალებს აღემატებოდა. აი, ქართლ-კახეთში კი როგორც ჩანს სხვა ვითარება იყო.

ალექსანდრე ორბელიანის ცნობით: "მეფე ერეკლეს მტრები მთელს საქართველოში ჩუმად დაწანწალებდნენ და ხალხს აშინებდნენ: აღა მა-ჰმად ხანი ორასი ათასი მეომრით მოდის, გაიხიზნეთ თორემ სულ ერთია-ნად წაგლეკამთო" და სხვ. ავტორი საკუთარ მამასაც არ პატიობს არაპატრიოტულ საქციელს: "ამ ამბავში სად იყო მამაჩემი, მეფის ირაკლის ქალს თეკლაზედ დანიშნული?" — კითხვას სვამს იგი და იქვე პასუხობს: — "რაღა სად, თავის დას ეკატერინესთან იყო ს. ყარაბულახს, იმის სახლში და ჭამდა, არ ფიქრობდა, დღეს თუ ხვალ მეფის ირაკლის ქალზედ ჯვარი უნდა დავიწერო და მეც იქ იმასთან უნდა მოვკვდეო". შემდეგ კი აგრძელებს: "ირანელების საქართველოში შემოსვლამდე, რევაზ ანდრონიკაშვილმა საიდუმლოდ კაცი გამოუგზავნა მამაჩემს ყარაბულახში: ხომ იცი ბატონიშვილ გიორგის შენთვის რამდენი კარგი უნდა, ან როგორი ბედნიერება, ამიტომ ამას გითვლის ბატონიშვილი გიორგის ბრძანებით, რომ თუ ჯარში ემზადები წასასვლელად, არ წახვიდე, ეს იმის ნება არის"... და სხვ. ალექსანდრე ორბელიანი ცდილობს გიორგი ბატონიშვილს ნამუსი მოწმი-ნდოს: რევაზ ანდრონიკაშვილი ამას გიორგის გარეშე აკეთებდაო: "ის სნე-ული კაცი იყო და რევაზი, იმის მაგივრად ჩუმად საქმიანობდა და რო-გორც უნდოდა ისე შვრებოდა, ასე მინდობილი იყო ბატონიშვილი გიორგი რევაზ ანდრონიკაშვილზე". რასაკვირველია, ა. ორბელიანთან კამათს აზრი არა აქვს, მაგრამ ის ფაქტი, რომ გამოჩენილი მეომარი და თავადი, მეფის სასიძო ბრძოლას თავს არიდებდა და იმალებოდა თავისთავად ბევრის მთქმელია.

რაც შეეხება გიორგის და მის 2000-იან ლაშქარს, რომელიც ქიზიყში იდგა, არაერთი ცნობა არსებობს, რომ ერეკლე გამუდმებით უბრძანებდა, ბოლოს კი თხოვდა კიდეც, ჯარი მოეშველებია, მაგრამ უშედეგოდ. მეფე იმასაც უთვლიდა შენ თუ არ შეგიძლია დარჩი და ლაშქარი გამოაგზავ-ნეო, მაგრამ იქიდან მხოლოდ დუმილი ისმოდა.

გიორგის ყბადაღებული ავადმყოფობა, რომ თითქოს ლოგინიდან ვერ დგებოდა და სხვ. შეიძლება მართლაც დასაჯერებელი და საპატიო არგუმენტია, მაგრამ გაუგებარი ის არის, როგორ მოახერხა ამ "სნეულმა" კაცმა, რომელიც თითქოს ცხენზე ვერ ჯდებოდა, ერეკლეს გარდაცვალება რომ შეიტყო, 40 დღის განმავლობაში თითქმის მთელი ქართლის შემოვლა და ქვეშევრდომების თავის ერთგულებაზე დაფიცება?

მაგრამ საქმე მარტო გიორგიში არ ყოფილა. ასეთივე გულცივობას და სრულ ინდიფერენტულობას იჩენდნენ დანარჩენი ბატონიშვილებიც გარდა ვახტანგისა (ალმასხანი) და ალექსანდრესი.

ბატონიშვილთა ამ სრულიად უპრეცენდენტო საქციელს აღმწერები ერთგვარ ახსნასაც კი უძებნიდნენ, თითქოს თუ ბრძოლაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ, გამარჯვებული საჭურისი ხანი მათდამი ლმობიერებას გამოიჩენდა. ამის თაობაზე იცოდა რა ბატონიშვილთა განწყობა, აღამ თბილისში საგანგებო ემისრები გამოაგზავნა, რომლებიც ტახტს ჰპირდებოდნენ იმ ბატონიშვილს, რომელიც მის მხარეს დაიჭერდა. მაგრამ აქ გაუგებარი ის იყო, როგორ განაწილდებოდა ტახტი თუკი ამგვარი მოღალატე რამდენიმე აღმოჩნდებოდა?

პ. ბუტკოვი კი ირწმუნება: დარეჯან დედოფალი ერეკლეს ხელს უშლიდა თავდაცვის ორგანიზებაში, რადგან იმედოვნებდა, რომ სპარსელები მეფობას მის საყვარელ შვილს, იულიონს მისცემდნენო.

ახლა ძნელია იმის გარკვევა, ამ გადმოცემებში სად არის სიმართლე და სად გამონაგონი. მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ნავარაუდევი 56 ათასის ნაცვლად, მტრის 45000-იანი ლაშქრის წინააღმდეგ ერეკლემ 5000 მებრძოლს ძლივს მოუყარა თავი და ამათგან 3000 მაინც იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის, მოყვანილი იყო.

აღა მაჰმად ხანის გეგმები. აღა მაჰმად ხანის მიზანი აზერბაიჯა-ნის სახანოების სრული დამორჩილება და საქართველოს დაპყრობა იყო. ამ ამოცანის შესასრულებლად, 1795 წლის გაზაფხულზე, მან არდებილში ჯარების შეკრება დაიწყო. არსებობს ცნობა, რომ ზაფხულისთვის 70 ათას კაციან ლაშქარს მოუყარა თავი და საქართველოსკენ გამოეშურა.

ერეკლე საპასუხო ღონისძიებების მზადებაში იყო და ჯარის შეკრებას ცდილობდა. პირველი დარტყმა მას მისმა მოხარკემ, განჯის გამგებელმა, ჯავად ხანმა მიაყენა. იგი ერეკლეს განუდგა, აღა მაჰმად ხანის ლა-შქარს მდ. არეზთან შეეგება და ყარაბაღში მიაცილა. განჯის ხანის განდ-გომა ერეკლესა და შუშის იბრომ ხანის შეთანხმებას უკავშირდებოდა, რა-შიც საკუთარი მმართველობის საფრთხე დაინახა. იგი შამაშადილის მხარეზე ერეკლეს უფლებების დაკანონებას ვერ ურიგდებოდა. იბრეიმ ხანთან კავშირი ერეკლესთვის აუცილებელი იყო, რათა თავისი სამეფოს უშუალო მისადგომებთან, განჯასა და ერევანში, ისე თუ ასე, საიმედო ვითარება შე-ენარჩუნებინა.

იბრეიმ ხანისა და ერეკლეს კავშირი მარტო ჯავად ხანს არ აშფოთებდა; ამ კავშირს ყარაბაღის და ერევნის სახანოს სომხური მოსახლეობაც მტრულად უყურებდა. თავის მხრივ ყარაბაღელი მელიქების და აზერბაი-ჯანელი სომხების პოზიციამ გავლენა იქონია თბილისის სომეხ დიდკაცობაზე და ისიც ერეკლეს საწინააღმდეგოდ განაწყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ “თბილისის სომხობის გავლენიანი წრეები გულგრილად შეხვდნენ აღა მაჰმად ხანის შემოსევას და ზოგი მათგანი თბილისის დაცვის ინტერესების წინააღმდეგაც კი მოქმედებდა”.

ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთის მრავალჭირგადატანილ მეფეს ყოველი მხრიდან მოეჭრა გზა. ერთადერთი ნათელი სხივი, რომელიც იმედის ნაპერწკალს უღვივებდა იმერეთის მეფე, მისი შვილიშვილი, სოლომონ II იყო. თუმცა შეფერხება აქაც ვერ იქნა აცილებული: სოლომონი

მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ამზადებდა და დაპირისპირებული იყო სამეგრელოს და გურიის მთავრებთან. ამის გამო, ნავარაუდევი 8-10 ათასიანი ლაშქრის ნაცვლად, მან დიდი პაპის მისაშველებლად 5000 მეომარი ძლივს გადმოიყვანა. სურსათით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით იმერელთა მთელი შემადგენლობა ქალაქში არ შემოსულა. დაახლოებით 2000 მებრძოლი ქართლში დარჩა.

გადმოცემით, ერეკლე შვილიშვილს მთელი ამალით და წარჩინებულებით ქალაქგარეთ შეხვდა. მოხუცი მეფე, ცხენიდან ჩამოხტა და ისე მოეხვია მოსულს. ქალაქში ამ ამბის აღსანიშნავად ზარბაზნებიც კი გაისროლეს. თავისთავად იმერელთა ჩამოსვლას დიდი იდეოლოგიური მნიშვ-ნელობა ჰქონდა. ფაქტობრივად აღა მაჰმად ხანის წინააღმდეგ მთელი საქართველო ირაზმებოდა. მაგრამ ქართველთა საწინააღმდეგო მოვლენები ისე წარმატებულად ვითარდებოდა, იქმნება შთაბეჭდილება რომ ეს ყველაფერი მართული იყო.

ივნისში (1795 წ.) შუშისა და ერევნის დასამორჩილებლად გამოგზავნილ სპარსელთა 8 ათასიან ლაშქარს ვიწროებებში ალექსანდრე ბატონიშვილის და შუშის გაერთიანებული რაზმი დაუხვდა და სასტიკად დაამარცხა.

ქართველთა ავტორიტეტი ჯერ კიდევ დიდი იყო და სპარსელთაგან გადასარჩენად ამიერკავკასიელი მაჰმადიანებიც კი, ოჯახებით, საქართველოში თავის შეფარებას ცდილობდნენ.

ივლისის შუა რიცხვებში აღა მაჰმად ხანმა საომარი მზადება დაასრულა, 4 აგვისტოს არაქსი გადმოლახა და სამი მიმართულებით წამოვიდა (ბაქოყუბის, ერევნისა და შუშის) მთავარი ძალები ყაჯარის მეთაურობით შუშას შემოერტყა, მაგრამ ვერაფერი დააკლო. აქედან კიდევ ერთხელ სცადა ერეკლესთან მორიგება: მისი რუსეთისგან ჩამოცილება და კვლავ სპარ-სელთა ქვეშევრდომობაში დაბრუნება; რისთვისაც, ამიერკავკასიის სახანოებზე ბატონობა შესთავაზა. ერეკლემ თითქოს ყოყმანი დაიწყო (რაკი არსა-იდან დახმარება არ ჩანდა) მაგრამ ბოლოს ცბიერ საჭურისს ვერ ენდო და უარი შეუთვალა.

იმისთვის რომ საქართველოში მტრის შემოსვლა შეეფერხებია და ად-გილზე მდგარი ლაშქარი მოძრაობაში მოეყვანა, ერეკლემ ყაზახზე შეტევა და იქ მტერთან შებმა გადაწყვიტა; განზრახული იყო აგრეთვე ელების საქართველოში გადმოყვანა, რომლებიც შესანიშნავ მეომრებად ითვლებოდნენ.

მეფე 5000-იანი ლაშქრით ყაზახისკენ გაემართა, ელები (ტომი), თავი-ანთი ლაშქრით აყარა, რათა სამეფოში გადმოეყვანა, მაგრამ მოხდა სრულიად აღმაშფოთებელი და, როგორც ჩანს, არა შემთხვევითი, მოღალატური ფაქტი. 9 სექტემბერს ყაზახიდან მომავალ ელებს თავს ქიზიყელი მოლაშქრეები დაესხნენ, რევაზ ანდრონიკაშვილის მეთაურობით; მთელი საქონელი მოსტაცეს და ქიზიყში გაბრუნდნენ. ამგვარი თვითნებობა უმაღლესი ხელისუფლების დაუმორჩილებლობა და მისი საწინააღმდეგო აქტი იყო. ამის შემდეგ, ცხადია, დამწუხრებულმა ერეკლემ ყაზახში შესვლა და იქ მტერთან შებმა ვეღარ გაბედა.

აღა მაჰმად ხანი 2 თვე იდგა შუშის ციხესთან და ერეკლე იმედოვ-ნებდა, რომ საქართველოზე გამოლაშქრებისთვის მას ჯერ კიდევ დრო დასჭირდებოდა, მაგრამ სპარსელი ასე არ ფიქრობდა; მან შუშასთან მცირე რაზმი დატოვა, თვითონ კი 35 ათასიანი მსუბუქად შეიარაღებული ლა-

შქრით, მხოლოდ აქლემებზე აკიდებული ზამბურაკებით, თბილისისკენ გამოეშურა. ეს ამბავი ერეკლემ 4 სექტემბერს გაიგო, ყაზახიდან ისიც თბილისისკენ დაიძრა და 6 სექტემბერს სოღანლუღში დაბანაკდა. მტრის მოწინავე ლაშქარი ფეხდაფეხ მოსდევდა. გატეხილ ხიდთან ქართველთა რაზმმა მას გზა გადაუღობა და გმირული ბრძოლით, ძირითადი ნაწილების მოსვლამდე შეაჩერა. უთანასწორო ბრძოლაში 50 გმირი ქართველი დაიღუპა.

5 სექტემბერს სპარსელთა ჯარი სოღანლუღისკენ წამოვიდა. მას, მოულოდნელად, ერეკლეს 12 კაციანი მზვერავი რაზმი შეეჩეხა. ქართველები უთანასწორო ბრძოლას არ გაექცნენ და თითქმის მთლიანად შეაკვდნენ მტერს. დაღუპულთა შორის იყო ერეკლეს მუდმივი თანმხლები, გმირი მეომარი, დავით თარაშვილი. გადარჩა მხოლოდ მეთაური გორჯასპი ნათალაშვილი, რომელმაც მის მიერვე მოკლული თურქმენის ცხენით გაეცალა ბრძოლის ველს და მეფეს აუცილებელი ცნობები მიუტანა.

ქართველთა წინასაბრძოლო თათბირი სტრატეგიის კორექტირებისთვის. როცა მტერი თითქმის ქალაქთან იყო, ერეკლემ სამხედრო თათბირი მოიწვია. იგი 8 სექტემბერს შეიკრიბა, რათა ომის სტრატეგია შეემუშავებინა. შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ ისეთ გამოცდილ სარდალს, როგორიც ქართლ-კახეთის მეფე იყო, რომელმაც, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე თვით ადრე იცოდა მტრის მოსალოდნელი თავდასხმისა და მისი ლაშქრის შემადგენლობის ამბავი, ომის სტრატეგია წინასწარვე საფუძვლიანად დამუშავებული არ ჰქონოდა. მაშასადამე, ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ბოლო მომენტში მოხდა რაღაც მნიშვნელოვანი, რამაც დამუშავებულ გეგმაში ცვლილებების შეტანა მოითხოვა.

ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც იმ ხანებში მოხდა, ის იყო რომ 4 სექტემბერს თითქოს გუდოვიჩმა ქართველების დასახმარებლად 2 ბატალიონი მხედრობა გამოუშვა. სპარსელთა არმიის სიმრავლეს თუ გავითვალისწინებთ, ეს დიდ რიცხვად არ მოგვეჩვენება, მაგრამ თვითონ ფაქტს დიდი მორალურფსიქოლოგიური მნიშვნელობა ექ-ნებოდა. შემთხვევით როდი აზუსტებდა საჭურისი დაეხმარებოდა თუ არა რუსეთი საქართველოს, რადგან ამგვარ, თუნდაც მცირე, დახმარებას შეეძლო მთლიანად შეეცვალა ომის სურათი, მაშინ ლაშქარში ქართველების მონაწილეობაც გაიზრდებოდა და ბევრი სხვა რამეც გამოსწორდებოდა (ბოლოს გამოირკვა, რომ რუსეთის ეს სვლაც მოჩვენებითი იყო).

თათბირზე, როგორც გადმოგვცემენ, აზრები გაიყო: ერთნი (უმრავლესობა) მიიჩნევდა, რომ ჯარი თბილისში უნდა ჩაკეტილიყო და აქედან ეწარმოებინა თავდაცვითი ბრძოლა; მეორე ნაწილი, რომელსაც ერეკლეც ემხრობოდა, თვლიდა, რომ პირველი ბრძოლა თბილისის მისადგომებთან უნდა გაემართათ და დამარცხების შემთხვევაში (რაშიც დაეჭვება მეტად ძნელია, თუ გავითვალისწინებთ მტრის ძალების შვიდჯერ მრავალრიცხოვნობას და შეიარაღების დონეს) შემდეგ შემოსულიყვნენ ქალაქში და აქ გაეგრძელებინათ თავდაცვა.

არავითარი სტრატეგიული ნიჭი არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ თავდაცვითი ომის წარმოებისას, როცა შენი ძალები მტრისაზე გაცილებით ნაკლებია, მასთან გაშლილ მინდორზე დაპირისპირებას საიმედოდ გამაგრებულ ციხეში ჩაკეტვა და აქედან თავდაცვა სჯობს. ცხადია,

გამოჩენილ სტრატეგს — ქართლ-კახეთის მეფეს, ეს არ ესწავლებოდა. მაშასადამე იყო რაღაც გარემოებები, რომელმაც იგი აიძულა ასეთი გადაწყვეტილება მიეღო.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი დროის გაწელვა იყო, რათა რუსებს საქმე-ში ჩაბმა მოესწროთ (თუმცა თავისთავად საეჭვოა, რამდენად სურდათ თვით რუსებს მისწრება და საქმეში ჩაბმა, ეტყობა მათი ეს მანევრი საერთოდ ერეკლეს გეგმების ასარევად, საზოგადოებრივი აზრის დასაშოშმი-ნებლად და რუსთა ვერაგული მიზნების გასაადვილებლად იყო მოფიქრებული).

არ არის გამორიცხული, რომ ჩაკეტილ და ალყაშემორტყმულ ქალაქში ერეკლეს ღალატის და V კოლონიის ამოქმედების ეშინოდა.

ცნობილია, რომ თბილისელთა ერთი ნაწილი ხელისუფლებას ქალაქის დაცვას ევედრებოდა, ყოველგვარ მხარდაჭერას ჰპირდებოდა და დამცველთა 1500 კაციანი რაზმიც კი შეკრიბეს; ქალაქელთა ერთი გუნდი (მ-სახიობები, მუსიკოსები, მათთან 300 მებრძოლი) ცნობილი მებარბითე მა-ჩაბელას მეთაურობით, თავდადებით იბრძოდა კრწანისის ველზე და ერთიანად შეაწყდა მტერს; მოქალაქეთა 1200 კაციანი რაზმი კოჯრის გზიდან სოლოლაკის შემოსასვლელს იცავდა. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ მოქალაქეთა ერთი ნაწილის დელეგაცია ირანის შაჰს საჩუქრებით შეეგება და ერთგულება დაუდასტურა; მტრის ლაშქარში არაერთი სომეხი ჯარისკაცი და ოფიცერი იბრძოდა, მსტოვრებზე და პროვოკატორებზე რომ არაფერი ვთქვათ. მომხვდურებს გზის მაჩვენებლად სომხები მოუძღოდნენ, მათ შორის ყარაბაღელი მელიქები და სხვ. ასე რომ, ამგვარი საშიშროება გამორიცხული არ ყოფილა.

თუმცა ვერაგმა საჭურისმა სომხებს ღალატი არაფრად დაუფასა და სპარსი მეომრები მათ ისევე გააფრთებით და მონდომებით არბევდნენ და ანადგურებდნენ, როგორც ქართველებს.

დაბოლოს, სავარაუდოა, რომ მეფეს ქალაქში დაბანაკების შემთხვევა-ში, თავისივე ლაშქრის წევრების იმედი ბოლომდე არ ჰქონდა: საყოველთაო უდისციპლინობის, განუკითხაობის და სურსათის სინაკლულის პირობებში არ იყო გამორიცხული რომ ბევრი მათგანი ქალაქელებს დარეოდა და მათი ძარცვა ეკადრა.

ასეთი იყო მწარე სიმართლე, რომლისთვისაც მოხუც და უნდა ვაღი-აროთ, ავტორიტეტშელახულ, მეფეს ანგარიში უნდა გაეწია.

პანიკა ქალაქში. ფაქტი ის არის, რომ ქალაქის დაცლა არც მანამდე და არც აღნიშნული თათბირის შემდეგ, გათვალისწინებული არ ყოფილა. იგი დარეჯან დედოფლის, შემდეგ კი წარჩინებულთა და მათი ოჯახის წევრების უღირსმა საქციელმა გამოიწვია: ჯერ დარეჯანმა მიაღებინა დარბაზს მისი და მისი ახლობლების მიერ ქალაქის დატოვების გადაწყვეტილება, მას წარჩინებულთა ოჯახებმა მიბაძეს, შემდეგ კი ყველაფერი აირია და სტიქიური ხასიათი მიიღო. ქალაქის დატოვება მცხოვრებთა ნაწილის მიერ (ვინც მოახერხა და ვისაც წასასვლელი და თავის შესაფარი ეგულებოდა) უშუალოდ მტრის შემოსვლის წინ განხორციელდა. ამიტომ ვერ მოხერხდა თავშესაფრად ბირთვისის მიუვალი ციხის გამოყენება. ამავე მიზეზისა და ტრანსპორტის ნაკლებობის გამო, ევაკუირებულებმა თითქმის ხელცარიელებმა დატოვეს ქალაქი ისე, რომ თვით მეფის სალაროც კი მტერს ჩაუვარდა, უბრალო ხალხზე რომ არაფერი ვთქვათ.

დაპირისპირებულ მხარეთა განლაგება. შექმნილ ვითარებაში, ერეკლეს ისღა დარჩენოდა, რომ თავისი კატასტროფულად მცირერიცხოვა-ნი ლაშქარი ისე განელაგებინა, რომ მტერზე მეტი ზემოქმედება მოეხდი-ნა, მისთვის მაქსიმალურად მეტი ზიანი მიეყენებინა და ღმერთისა და სასწაულის იმედით, მომხვდურთათვის ქართველთა მამაცობა და ძალა ეჩვენებინა.

სპარსელთა ჯარი მდინარე ხრამიდან ორი მიმართულებით გამოემართა: მთავარი 20 000-იანი ნაწილი პირდაპირი გზით, მტკვრის აღმა, იაღლუჯის გორების გვერდის ავლით სოღანლუღისკენ წამოვიდა; მეორე, შედარებით მცირე და უპირატესად ქვეითი მებრძოლებით დაკომპლექტებული რაზმები კუმისზე გავლით, შავნაბადას მთის დასავლეთისაკენ, საიდა-ნაც ისინი აბანოებიდან პირდაპირ თბილისს წამოადგებოდნენ თავზე. ეს ნაწილი შედარებით ნელა მოძრაობდა და შავნაბადას მთის მისადგომებს მხოლოდ 10 სექტემბრის მეორე ნახევარში მიაღწია.

აქ ქართველებს არავითარი ძალა არ ჰქონდათ გათვალისწინებული. ეს დიდ საშიშროებას შეიცავდა. ამიტომ პირადად ვახტანგ ბატონიშვილის და არტილერიის ერთ-ერთი მეთაურის გაბრიელ მაიორის დაჟინებით იქ 4 (სხვა ცნობით 6) ზარბაზნისაგან შემდგარი არტილერია გაიგზავნა, მაგრამ, ქართველთა ლაშქრის მცირერიცხოვნობის გამო, მის დასაცავად მხოლოდ 400 კაციანი რაზმის გამწესება მოხერხდა, მეფის შვილიშვილის, დავით ბატონიშვილის მეთაურობით, რომელსაც პოზიცია თაბორის მთის სამხრეთდასავლეთით უნდა დაეკავებინა.

მტრის ძირითადი, მსუბაქად შეიარაღებული, ნაწილი უფრო სწრაფად მოძრაობდა, უკვე 9 სექტემბერს სოღანლუღს მოადგა და დაბანაკდა.

ერეკლეს თავისი ლაშქარი სეიდაბადის ბოლოს გაუშლია და იგი ხუთ ნაწილად დაუყვია. როგორც აღვნიშნეთ მარჯვენა ფრთას, რომელიც თაბორის მთის სამხრეთდასავლეთით განლაგდა და თბილისის მისასვლელის დაცვა დაევალა, დავით გიორგის ძე სარდლობდა.

ბრძოლის მარცხენა ფრთაზე იოანე მუხრანბატონი იდგა ლაშქრით, ცენტრს კი თვითონ ერეკლე ედგა სათავეში. ცხადია საერთო ხელმძღვანელობასაც ის ანხორციელებდა. ცენტრის მეომართა უკან ერეკლემ რეზერვად ორი რაზმი დაიტოვა. ერთს მეფის ძე ვახტანგ ბატონიშვილი მეთა-ურობდა, მეორეს — ოთარ ამილახვარი. იმერელთა ჯარები ზურაბ წერეთელის ხელმძღვანელობით ბრძოლის ცენტრში ყოფილა განლაგებული, მთავარსარდლის მარჯვენა მხარეს. ცალკე შენაერთს შეადგენდა მოწინავე რაზმი მეფის შვილიშვილის იოანე გიორგის ძის მეთაურობით.

ერეკლეს ცდები ჯარის შესამატებლად. კატასტროფულ მდგომარეობაში მყოფი ქართველთა სარდალი ჯარის შემატებას ბოლო მომენტამდე ცდილობდა. რაკი გიორგი ბატონიშვილის მხრიდან დახმარების იმედი საბოლოოდ გადაეწურა, იგი უშუალოდ იმ კუთხის მებრძოლებთან დაკავშირებას შეეცადა, რომელთა მონაწილეობა თავდაპირველად გიორგი ბატონიშვილის ლაშქარში ივარაუდებოდა. ამან განაპირობა ერეკლეს დაგვიანებული, 8 სექტემბრის, ბრძანება თუშეთის მოურავისადმი, სადაც იგი თუშთა რაზმის ჩამოსვლას 11 სექტემბრისთვის ითხოვდა (მანამდე პრაქტი-კულად უკვე შეუძლებელი იყო). თუშეთის მოურავისადმი მიწერილი ბრძანება ერთადერთი საბუთია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. ეჭვი არ არის ამგვარი ბრძანებები სხვა

მიმართულებითაც დაიგზავნა. ზოგიერთი ქალაქელი, რომ ბოლო მომენტში ჩაება საქმეში, ამას მოწმობს მ. თუმანიშვილის მაგალითი: მას შემდეგ, რაც ბიძამისისაგან დამოძღვრის წერილი მიიღო, იგი ერეკლეს ლაშქარს შეუერთდა, ასეთი შემთხვევა ალბათ სხვაც არაერთი იყო; სავარაუდოა, რომ ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო ქვეყნის მშრომელ მოსახლეობაში ერეკლეს ავტორიტეტი ჯერ კიდევ დიდი იყო, ასევე დიდი იყო მათში ჩამოყალიბებული პატრიოტიზმის და სამშობლოს ბედისადმი პასუხისმგებლობის გრძნობა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ დიდებულთა უმრავლესობის და თვით მეფის ოჯახის წევრთა გულგრილობის და ღალატის საპირისპიროდ ხალხმა (უბრალო ხალხმა), მათ შორის თბილისის მცხოვრებლებმაც, დიდი თავდადება გამოიჩინა და სულ რაღაც 2 დღის განმავლობაში მეფის ლაშქრის შემადგენლობა 2000-2300 კაცით გაიზარდა. ე. ი. თუ იმერელთა რაოდენობას არ ჩავთვლით თითქმის გაორმაგდა.

თუმცა ამას ძალთა შეფარდებაზე გადამწყვეტი გავლენა არ მოუხდე-ნია, რადგან აღა მაჰმად ხანის მხედრობა ბოლო შეტევისას 40000 მებრძოლს მაინც ითვლიდა; თუმცა, არსებობს ისეთი ცნობაც რომელიც მიი-ჩნევს, რომ ამ დროს სპარსელები 80000-ს შეადგენდნენ.

მათში უნდა ივარაუდებოდეს ყარაბაღელი მეჯნუნ მელიქის 2000 და განჯის ჯავად ხანის ამდენივე მებრძოლიც.

სპარსთა შეტევა. აღა მაჰმად ხანს თავისი რაზმები კრწანისის მოპირდაპირე მხარეს დაუწყვია. ორშაბათს, 10 ოქტომბერს სპარსთა მოწინავე შენაერთებმა ქართველთა გამაგრებულ ხაზს შემოუტია. ამ შენაერთს მტრის მხარეს გადასული მელიქი მეჯნუნი (ყარაბაღელი სომეხი) მოუძღოდა. მას დავით ბატონიშვილი, ოთარ ამილახვარი, იოანე მუხრანის ბატო-ნი, იმერთა რაზმის მეთაური ზურაბ წერეთელი და ქიზიყის მოურავი ზაქარია ანდრონიკაშვილი შეება თავისი რაზმებით.

ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს. ამას გადამწყვეტი როლი არ შეიძლებოდა ჰქონოდა, მაგრამ ქართველთა გასამხნევებლად მაინც მნიშვ-ნელოვანი იყო. მელიქი მეჯნუნი პირადად დავით ბატონიშვილმა გამოასალმა სიცოცხლეს.

10 სექტემბერს ყაჯარმა დაწვრილებით შეისწავლა მოწინააღმდეგის ძალების განლაგება. დარწმუნდა, რომ ქართველებს ერთობ მცირერიცხოვა-ნი ლაშქარი ჰყავდათ, მაგრამ მეტად მტკიცე პოზიცია ეჭირათ. ამიტომ მან მტრის ზურგისკენ გაჭრა განიზრახა.

11 სექტემბერს სპარსელებმა უთენია მთელი ძალებით შეტევა დაიწყეს. მათმა მრავალრიცხოვანმა რაზმებმა ვერაფერი დააკლეს ქართველთა ცენტრალურ პოზიციას და რამდენჯერმე უკუიქცნენ.

ერეკლეს ცნობით (მირიან ბატონიშვილისადმი მიწერილ წერილში) სპარსელთა ჯარები დღის განმავლობაში სამჯერ ეკვეთნენ ქართველთა სიმაგრეებს, მაგრამ სამჯერვე სასტიკად დამარცხებული უკუიქცნენ.

მაშინ ყაჯარმა ძირითადი ყურადღება ქართველთა დაცვის მარჯვენა ფრთაზე გადაიტანა, სადაც ზარბაზნები და დავით ბატონიშვილის 400 კაციანი რაზმი იდგა. მათ წინააღმდეგ 3000

კაციანი რჩეული ლაშქარი იქნა გაგზავნილი. ამინდმაც სპარსელთა სასარგებლოდ იმუშავა და ბურუსის გამო მტერი არტილერიას ფარულად მიუახლოვდა. ბურუსი რომ გაიფანტა ქართველების პირდაპირ 10-ჯერ ჭარბი ძალები აღმოჩნდნენ. წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, ზარბაზნები სასწრაფოდ ხევში გადაყარეს და პოზიციები მიატოვეს.

ამასობაში მოსაღამოვდა. სპარსელთა ჯარებმა ჩანს სალალაკის ხევში ჩამოაღწიეს და ქალაქს ზურგში მოექცნენ. ცენტრალური პოზიციის მებრძოლებმა ვეღარ გაუძლეს ჭარბი ძალების გამუდმებით დაწოლას და უკან დახევა დაიწყეს.

აბანოს კართან ჩამოსულ მეფეს, რომელსაც მცირე რაზმი ახლდა მტერი წამოეწია. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. მეფის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა, იგი შეიძლება ტყვედაც ჩავარდნილიყო. ამ დროს უებრო გმირობა გამოიჩინეს იოანე ბატონიშვილმა და სხვა ვაჟკაცებმა და ერეკლე საშიშროებას გამოაშორეს.

მარცხი. ულმობელ ბრძოლაში კრწანისის ველზე ზედიზედ ეცემოდნენ გმირი ვაჟკაცები: 300 არაგველი პატრიოტი, მთლიანად გაწყდა მემუ-სიკეთა რაზმი მაჩაბელას ხელმძღვანელობით, სახელოვანი მეზარბაზნეები დავით გურამიშვილი, გაბრიელ არეშიშვილი (მაიორი) და სხვ.

სისხლით შეიღება კრწანისის ველი; მართალია მტერმა სამჯერ მეტი (13000) მებრძოლი დაკარგა, მაგრამ ერეკლეს 150 მხედარიღა დარჩა, იგი ბრძოლას თავს მაინც არ ანებებდა. და მხოლოდ შვილიშვილებმა ძალისძალად მოაშორეს ხელჩართულ სისხლისღვრას.

როცა ავლაბრის ხიდზე შედგნენ, რათა ბრძოლის ველისთვის გაეცილებინათ გმირი მოხუცი მეფე, ერეკლემ ცხენი შეაჩერა და უკან სისხლით მორწყულ ქართველთა სანგრები და თანამებრძოლთა გვამები რომ დაინახა, უცებ ცხენი მოატრიალა, რათა კვლავ ბრძოლაში შეჭრილიყო. “რომ მივდივარ, სად მივდივარ, როცა ჩემი ქართველები აქ იხოცებიანო”. ეს არ ყოფილა უეცარი ფსიქოლოგიური დარტყმა, მრავალტანჯულ მეფეს თავის თანამებრძოლებთან ერთად სიკვდილი ენატრებოდა. “მაშინ ივანე მუხრა-ნის ბატონმა მეფის ირაკლის ცხენის ჯილავს ხელი უტაცა, გამოატრიალა, ერთი მხრივ ბატონიშვილი ალმასხან (იგივე ვახტანგ) მივარდა, მეორე მხრით ბატონიშვილი იოვანე, უკან ცხენსაც ქიზიყის მოურავმა მათრახი დაკრა და საჩქაროდ გაარბენინეს საცოდავი ერეკლე”.

ქართულმა ნაწილებმა დაქსაქსვა დაიწყეს. ქალაქის დატოვებას შეუდგნენ იმერელი მებრძოლებიც, თავისი მამაცი მეფის სოლომონ მეორესთან ერთად. ქართლ-კახეთის ილაჯგამოცლილი და სულიერად განად-გურებული მეფე, მხლებლებმა თიანეთისკენ გააქანეს: გადავიდნენ გლდანზედ, გადაიარეს ცხვარიჭამია, ბიწმენდი და იმ ღამეს დუშეთში მივიდნენ, რათა მეორე დღეს ანანურისკენ გაეგრძელებინათ გზა.

თბილისის აოხრება. დაღამდა და ნათლად გამოჩნდა ცეცხლის ალში გახვეული დედაქალაქი, რომლის მისადგომებთან 20000მდე გასისხლიანებული მებრძოლის გვამი უპატრონოდ ეყარა და რომლის ქუ-ჩებში გაავებული მტრის ველური ბანდები სიხარულით ნავარდობდნენ და ყველგან უბედურებას თესდნენ. მომხვდურთა სისასტიკე ყოველგვარ წარმოდგენას ჩრდილავდა. გამხეცებული გამარჯვებულები არავის ინდობდნენ, თვით მაჰმადიან მოსახლეობასაც კი, რომლის წარმომადგენლები მტერს ყურანითა და ლოცვით

შეეგებნენ. განსაკუთრებული ველური ჟი-ნით უსწორდებოდნენ ქართული და სომხური ეკლესიის მსახურებს. არ ინდობდნენ არავის, დიდსა თუ მცირეს, თვით ჩვილ ბავშვებსაც კი. გაუძარცვავი და აუოხრებელი არც ერთი სახლი არ დარჩენიათ. ეძებდნენ და პოულობდნენ სამალავებს, სადაც მოსახლეობას უკანასკნელი სარჩო-საბადებელი დაეტოვებინა. განსაკუთრებით დიდი სიმდიდრე იშოვეს მეფის ოჯახის და დიდებულთა სასახლეებში, საიდანაც პატრონებმა თითქმის ვერაფრის გატანა ვერ მოასწრეს. მტერი მარტო თბილისით არ დაკმაყოფილდა. შაჰმა 8000 მძარცველი ახლომახლო სოფლებს მიუსია, თუმცა აქ სა-შოვარი ნაკლები იყო, რადგან მოსახლეობამ უკეთ მოახერხა თავის და ქონების გადამალვა.

მეფემ 300 კაციანი რაზმით მთიულეთისაკენ აიღო გეზი. მის შესაპყრობად საჭურისმა 4000 კაციანი რაზმი გამოჰყო, დაადევნა და არაგვის ხე-ობას შეუსია. ჟინვალთან მისულ მდევრებს ერეკლეს დასახმარებლად წამოსული 300 ხევსური გადაეყარა, მათ იქვე მახლობლად საზღვარზე მყოფი შამშადილელი მწყემსები შეუერთდნენ და, რიცხობრივი სიმცირის მი-უხედავად, ისე მამაცურად შეუტიეს მტერს, რომ ირანელები იძულებულნი გახდნენ გაქცევით გადაერჩინათ თავი.

აშკარა გახდა, რომ სპარსელებმა თავიანთი ენერგიის რესურსები ამოწურეს, ქვეყანაში რაც შეიძლებოდა მოივერაგეს და უკან უნდა გაბრუნებულიყვნენ.

ერეკლე მთიულეთში გულხელდაკრეფილი არ მჯდარა და ძალებს იკრებდა. როგორც მოსალოდნელი იყო უშედეგოდ დამთავრდა აღა მა-ჰმად ხანის ცდა ერეკლესთან ყოფილი ურთიერთობა აღედგინა და მძევლად ერთ-ერთი ბატონიშვილი მიეღო.

სპარსელთა უკუქცევა. 1795 წლის 20-21 სექტემბერს სპარელთა ლა-შქრის გადარჩენილმა ნაწილმა უამრავი ნაძარცვითა და 15000მდე ტყვით, საქართველო დატოვა.

დადგა მომხდარი კატასტროფების შეფასების დრო.

რუსეთის სხვადასხვა დონის ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართულ მიმოწერაში, ქართველები მომხდარს თვითკრიტიკულად აფასებდნენ, მაგრამ ამასთან ერთად, ძირითად ბრალს საიმპერატორო კარს დებდნენ: თქვენგან დაიმედებულნი რომ არ ვყოფილიყავით, ჩვენ სხვაგვარად მოვიქცეოდით და ამ უბედურებას ავიცდენდითო; რაც, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებაა, მაგრამ თუ ამ ჭეშმარიტებას უფრო ღრმად შევხედავთ, დავინახავთ, რომ საქართველოს თავზე დატეხილი ტრაგედია განა-პირობა აქ რუსეთის პოლიტიკის გატარების შედეგად წარმოშობილმა შიდა დაპირისპირებებმა; სხვადასხვა საგარეო ორიენტაციების მატარებელი ჯგუფების ჩამოყალიბებამ; სამეფო ხელისუფლების მიერ შემუშავებული სწორი, პროგრესული, პოლიტიკის გატარების სირთულემ, განხორციელების სიძნელემ, ხელისუფლების ავტორიტეტის დაცემამ და ქვეყანაში შექმ-ნილმა უდისციპლინობის და განუკითხაობის ატმოსფერომ; რაც მთავარია, რუსეთის ვერაგულმა, გამიზნულმა პოლიტიკამ.

დიდი პატრიოტი და პროგრესული მოღვაწე, უკვე მოხუცი, “პატარა კახი” მხოლოდ უანგარო შვილიშვილებში და ზოგიერთ ფეოდალში, აგრეთვე ხალხის ფართო მასებში ინარჩუნებდა ძველებურ პატივს და ავტორიტეტს, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა მთელი სამეფოს, მისი ყველა მოქალაქის, ერთ მუშტად შესაკრავად და მტრის წინააღმდეგ დასარაზმავად. თუმცა ის

წინააღმდეგობა, რაც ქართველობამ მრავალჯერ რიცხობრივად და შეიარაღებით აღმატებულ მტერს გაუწია, ძირითადად ქართლ-კახეთის მეფის და ქვეყნის მშრომელი ხალხის დამსახურებაა.

რუსეთის გამიზნული პოლიტიკის წარმატებული განხორციელება იყო იმის მიზეზი, რომ საქართველოს წინააღმდეგ განეწყო და დაირაზმა თითქმის ყველა მეზობელი. რუსეთმა წარმატებით შეასრულა ის რასაც გე-გმავდა. იგი თავის პოლიტიკის გამარჯვებას ზეიმობდა, რადგან, ხელის გაუსვრელად, ქართლ-კახეთის სამეფო დაცემის პირას მიიყვანა და მცირე-ოდენი ძალისხმევა სჭირდებოდა, რათა იგი საბოლოოდ განადგურებულიყო და უსისხლოდ რუსეთის ავტორიტეტის არა მარტო შენარჩუნების, არამედ განმტკიცების პირობებში, მწიფე ნაყოფივით ჩავარდნოდა ხელში. რუსეთი ახლა სწორედ ამას ელოდა.

რუსი ხელისუფლების ცდები სპარსელთა “დასასჯელად”. 1795 წლის დეკემბერში ჩამოაღწია ორმა რუსულმა ბატალიონმა, რომელთა გამოგზავნის თაობაზე გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 4 სექტემბერს მიიღეს. როგორც ჩაფიქრებული იყო, ჩამოვიდა მაშინ, როცა მტერს თავისი ვერაგი საქმე დიდი ხნის დამთავრებული ჰქონდა. სპარსელთა უკუქცევის შემდეგ, მეფე დაბრუნდა და განადგურებული დედაქალაქის აღდგენას შეუდგა. ამ საქმეში მას გვერდით ალექსანდრე ბატონიშვილი ედგა.

ერეკლეს გული ჯერ კიდევ ძველებურად ერჩოდა, ამიერკავკასიაში თავისი სამეფოს პოზიციის დათმობას არ აპირებდა და ყარაბაღის ხანთან ერთად განჯაზე ბატონობა კვლავ აღადგინა.

დედოფალმა ეკატერინემ, რაკი ერთი კურდღლის (საქართველოს დაძაბუნების) საკითხი მოხერხებულად და, რაც მთავარია, “უმწიკვლოდ” გადაწყვიტა, ახლა მეორე კურდღელზე გადაიტანა ყურადღება. მიზეზად საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია გამოიყენა და აღა მაჰმად ხანის (სპარსეთის) დასჯის კარგა ხნის წინ მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებას შეუდგა — მის წინააღმდეგ ლაშქრობა წამოიწყო.

საბაბი ერთია, რუსეთის ნამდვილი მიზანი კი ირანსა და ინდოეთში რუსეთის სავაჭრო ინტერესების დაცვა იყო. ამისთვის პირველ ამოცანად ამიერკავკასიიდან ირანის მთლიანი განდევნა დაიგეგმა, რაშიც ერეკლეს სანახევროდ საბატონო მხარე — განჯა მნიშვნელოვან დასაყრდენად გამოადგებოდა.

ვითარებაც ხელსაყრელი დაუდგა საიმპერატორო კარს. ამასობაში ხორასანში აჯანყება დაიწყო და აღა მაჰმად ხანი იძულებული შეიქმნა სასწრაფოდ იქით წასულიყო. ისე, რომ 700მდე დაჭრილი მებრძოლი უპატრონოდ მიატოვა და ყარაბაღელებს საშუალება მიეცათ მისი გაბრუნებული ლაშქრისთვის გვარიანი ზიანი მიეყენებინათ.

1796 წლის აპრილში დაიწყო რუსეთის დიდი ლაშქრობა ამიერკავკა-სიაში, რომელსაც 66 წლის ეკატერინეს 28 წლის ფავორიტის და რუსეთის ფაქტობრივი გამგებლის პლატონ ზუბოვის ძმა, გენერალი ვალერიან ზუბოვი წინამძღოლობდა. რუსებმა ქართველების და ზოგი სხვა ადგილობრივი ხალხების მხარდაჭერით. ადვილად დაიკავეს დარუბანდი და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ცენტრალური ქალაქები. ამასთან ერეკლეს ამხნევებდნენ და ჰპირდებოდნენ, რომ მის სამფლობელოს მდ. არაქსიდან ოსმალეთის საზღვრებამდე გააფართოვებდნენ. დაპირებით კი

ჰპირდებოდნენ, მაგრამ კარგად იცოდნენ, რომ საკუთარი საზღვრების გაფართოებაზე ფიქრობდნენ, რადგან დასუსტებულ საქართველოს ბებერ ლომს — “პატარა კახს”, დიდი დღე არ ეწერა, ხოლო მის შემდეგ საქართველო-ში რა პოლიტიკას გაატარებდნენ, რუსებმა წინასწარ იცოდნენ.მაგრამ დიდებულად დაწყობილი გეგმები საპნის ბუშტივით გასკდა. მოულოდნელად 1796 წ. 6 ნოემბერს რუსეთის დიდი დედოფალი ეკატერინა გარდაიცვალა, ხოლო მისმა შვილმა (პავლე I), რომელიც დედამისის კომპლექსით იყო შეპყრობილი და ყველაფერს მის საწინააღმდეგოდ აკეთებდა, ირანში ლაშქრობა აღკვეთა.

რუსის ჯარის უკან გაწვევა. თოვლის გამო ჩრდილოეთ კავკასია-ში გადასასვლელი გზები ჩაკეტილი იყო და ჯარების გაყვანა ყოვნდებოდა. ეს დრო ერეკლემ იმისთვის გამოიყენა, რომ დიპლომატიური სვლებით, რუსეთი დაეყოლიებინა, რათა 4000-იანი ლაშქარი მაინც დაეტოვებინა საქართველოში, ვიდრე ქვეყანა მომაგრდებოდა და თავის დაცვას შეძლებდა. თავის თხოვნას იგი აღა მაჰმად ხანის მიერ გამოგზავნილი მუქარის წერილით ამაგრებდა, სადაც საჭურისი ყველა უბედურების მიზეზად ერეკლეს აცხადებდა და ქართველთაგან კვლავ მორჩილებას ითხოვდა. მა-გრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსთაგან უარი მიიღო.

ვიდრე რუსეთის ჯარები შეტევით ოპერაციებს ანხორციელებდნენ და ტერიტორიებს ზედიზედ იპყრობდნენ, აღა მაჰმად ხანი მეშხედში ფეხმოუცვლელად იჯდა და მხოლოდ რუსეთის საწინააღმდეგო ფირმანების გაგზავნით კმაყოფილდებოდა.

როგორც კი პავლე პირველის მიერ ლაშქრობის შეწყვეტის ცნობა მი-იღო, მან ხორასანი დატოვა და საქართველოზე თავდასხმისთვის მოემზადა, რათა იგი საბოლოოდ მიწასთან გაესწორებინა.

სპარსელთა ხელმეორედ თავდასხმის საშიშროება. საქართველოს გარშემო ვითარება სწრაფად შეიცვალა. იბრაჰიმ ხანმა შუშა მიატოვა და თავი დაღესტანს შეაფარა, აღას კი არაქსთან შუშის მოსახლეობის დელეგაცია (სომხები) შეხვდა და ქალაქში მოიწვია. გახარებულმა შაჰმა ადიდებული არაქსი სწრაფად გადმოლახა და ერთ კვირაში შუშასთან იყო, სადაც მას პურით და მარილით შეხვდნენ.

აქ იგი იბრეიმ ხანის უფროსი შვილის სასახლეში დაბანაკდა და საქართველოზე ლაშქრობისთვის მზადებას შეუდგა; მაგრამ ახალი ბოროტების ჩადენა მას აღარ ეწერა.

ერთ პარასკევ ღამით, როცა ტირანს უშფოთველად ეძინა, მისმა ორმა ნუკერმა, რომელთაც შაჰი რაღაც უმნიშვნელო შეცდომის გამო დილისთვის სიკვდილით დასჯას შეჰპირდა, იგი ხანჯლებით სიცოცხლეს გამოასალმეს. როგორც გადმოგვცემენ, მკერდში ხანჯალგაყრილმა საჭური-სმა უკანასკნელად წამოიწია და წრმოთქვა: “უბედურო შენ ირანი მოჰკალი”. მკვლელ ნუკერებს აბასბეკი და საფარ-ალი ერქვათ. ამბობენ, თითქოს ერთ-ერთი მათგანი ქართველი იყო, რაც არაფრით არ დასტურდება და საეჭვოა. უფრო მოსალოდნელია, რომ ირანის შაჰის წინააღმდეგ მოეწყო შეთქმულება, რომელსაც კავალერიის სარდალი სადიყბეგი მეთაურობდა.

ასე იყო თუ ისე, ირანელთა ჯარი დაიშალა და ქართლ-კახეთი ახალ უბედურებას გადაურჩა.

ქართლ-კახეთის სულით გაუტეხელ მეფეს, კიდევ ერთხელ გაეღვიძა თავისი სამეფოს ფეხზე წამოყენების და კავკასიაში ძველი (ჩვეული) გავლენის აღდგენის იმედი. მას უფლებაც ჰქონდა მოეთხოვა და კიდეც ელოდა, რომ "მფარველი", რუსეთი, ახლა მაინც გაუწევდა დახმარებას მი-სი გამოისობით ასე განადგურებულ და გაპარტახებულ სამეფოს. მაგრამ სადაც რუსული ხელისუფლების გაუმაძღარი, დამპყრობლური ინტერესები დაიბუდებს, იქ ადამიანური დამოკიდებულების, პატიოსნების, მორალისა და ღირსებისთვის ადგილი აღარ რჩება.

ამის გამო, მან არა თუ თვითონ არ აღმოუჩინა მასზე მინდობილ, მისთვის მოწამებრივად განადგურებულ, საქართველოს ფიზიკური თუ მატერიალური დახმარება, არამედ ენერგიული ზომები განახორციელა, რათა ამგვარი დახმარება სხვაგან არ მიეღო: "ყველანაირად შეეცადეთ, რომ მან ეს სესხი სხვისგან არ მიიღოს; დააიმედეთ, რომ რუსეთი ყველაფერს გაა-კეთებს მის სასარგებლოდ" — ავალებდნენ რუსი ხელისუფალნი რიმსკი კორსაკოვს, რომელიც 1796 წ. განჯისკენ მიემართებოდა.

ქართლ-კახეთის მეფის სიკვდილი. 1797 წლის ივლისში ქართველ ხალხს უსაყვარლესი წინამძღოლი, რკინისებური ჯანმრთელობით და უშრეტი ენერგიით გამორჩეული, 54 წლის მანძილზე შეუსვენებლივ, არწივივით რომ დასტრიალებდა თავის სამშობლოს, დღეობით უნაგირიდან არ ჩამოდიოდა, კვირაობით სასთუმალზე არ იძინებდა, მრავალჯერ ჩაბმულა ხელჩართულ ომში და ქვეშევრდომებს გმირობისა და მამაცობის მაგალითს უჩვენებდა, ლოგინად ჩავარდა. მას ფეხზე წამოდგომა არ შეეძლო, თორემ სრულად შეინარჩუნა გონების სიმკვირცხლე, აზროვნების სიღრმე და ანალიზის უნარი.

6 თვის განმავლობაში არეულ ქვეყანას დარეჯანი განაგებდა.

1798 წლის 11 იანვარს ასპინძის გმირმა, დიდმა მეფემ, ქართველთა საფიცარმა, "პატარა კახმა", უკანასკნელად მოავლო თვალი თელავის მშობლიური სასახლის პატარა ოთახს, სადაც იგი 78 წლის წინ ქვეყანას მოევლინა, უკანასკნელად ჩაისუნთქა ტკბილი მშობლიური ჰაერი და ქვეყნის აღდგენის, გამთლიანების, ქრისტიანობის განმტკიცების მოიმედე უდრეკი სული ღმერთს მიაბარა.

საქართველოს დედაბოძი ჩამოექცა.

ერეკლე II ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიულ მოღვაწეთა მრავალრიცხოვან გალერეაში. მისი სახელი მოიხსე-ნიება ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ვახტანგ VI-ის და სხვა დიდი სახელების გვერდით.

იგი ფეოდალური, მაგრამ, ამავე დროს, ყველაზე სახალხო მეფე იყო საქართველოში, ჭეშმარიტი სახალხო გმირი, რომელიც მშობლიური ხალხის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა, ჯერ კიდევ სიყმაწვილეში, თავდადებით და მამაცობით დაიმსახურა. ამიტომ ხალხმა მოფერებით "პატარა კახი" შეარქვა და ეს სახელი სიბერემდე შერჩა. იშვიათია პიროვ-ნება, რომლისთვისაც ხალხს ამდენი ლექსი, მოგონება, ლეგენდა, თუ თქმულება მიეძღვნას.

თანამედროვენი, ქართველებიც, უცხოელებიც, ერთხმად აღნიშნავდნენ, ხოლო სასახელო საქმეები ამტკიცებენ, რომ ის იყო ბრწყინვალე პოლიტიკოსი, არაჩვეულებრივი ნათელი გონების

პიროვნება, აღმოსავლეთის და დასავლეთის საქმეებში გაწაფული მოქნილი დიპლომატი, დიდი სტრატეგი, უნიჭიერესი სარდალი და უებრო მებრძოლი.

აგრესორის ქვეშევრდომობაში, მოქცეულ პატარა ერს მხოლოდ მაშინ შეუძლია მოსპობა-გათქვეფისაგან თავი გადაირჩინოს, თუ იგი კულტურულად დამპყრობზე მაღლა იდგება. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ამის მაგალითია. ამიტომ იყო "პატარა კახის" ზრუნვის ერთ-ერთი მთავარი საგანი ქვეყანაში კულტურის, განათლების, მეცნიერების დანერგვა-განვითარება.

ბრძენი პოლიტიკოსი სამართლიანად მიიჩნევდა, რომ თუ საქართველოს გადარჩენა ეწერა, ეს მხოლოდ მისი გაერთიანების შედეგად შეიძლებოდა. ამ პრობლემის გადაწყვეტას მან მთელი სიცოცხლე შეალია. ამან გა-ნაპირობა მისი საგარეო ორიენტაციის არჩევანი: როცა დარწმუნდა, რომ ევროპა საქართველოთი იმდენ დაინტერესებას არ იჩენდა, რომ მისთვის თავი გამოედო, ერთადერთ შესაძლო პარტნიორად, რომლის მეშვეობითაც იგი ორი სასტიკი აგრესორის ბრჭყალებიდან თავის დაღწევას და ქვეყნის გაერთიანებას გეგმავდა, რუსეთი იყო. ეს არ ყოფილა საუკეთესო არჩევანი, მაგრამ მას ალტერნატივა არ გააჩნდა, იგი ფატალური აუცილებლობა იყო. ერეკლეს რუსეთთან დამოკიდებულების მთელი ისტორია, ესაა ფარული დიპლომატიური ბრძოლა, რათა ნაკლები დათმობებისა და მორ-ჩილების ფასად ქვეყნისთვის მეტი სარგებლობა მოეტანა.

რუსეთის თანდათან გაძლიერებამ, კავკასიაში მყარად ფეხის მოკიდებამ, ქვეყნის ურთულესმა საგარეო გარემოცვამ და მფარველის (პარტნიორის) ვერაგულმა პოლიტიკამ ერეკლეს არჩევანი ერთგვარად გაახუნა, მა-გრამ, საბოლოო ანგარიშით, იგი მაინც სწორი გამოდგა, რადგან ერის გადარჩენისთვის დაქუცმაცებულ, მოჩვენებით თავისუფლებას, გაერთიანებული ქვეშევრდომობა სჯობდა.

60 წლიანი დაუღალავი შრომის და ბრძოლის შემდეგ დიდმა მეფემ ეს წუთისოფელი დამარცხებულმა და გულდაწყვეტილმა დატოვა, მაგრამ შთამომავლობამ ღირსეულად დააფასა მისი ღვაწლი და შემართება, რადგან მან ერს დაუტოვა გაერთიანების, განთავისუფლების იმედი, პერსპექტივა და მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს და როგორ უნდა ემსახურო სამშობლოს.

პატრიოტიზმი მარტო იმით არ იზომება თუ როგორ გიყვარს შენი სამშობლო, პატრიოტიზმი იმით იზომება თუ რა მსხვერპლი შეგიძლია გაიღო შენი სამშობლოსთვის.

პატარა კახი დიდი პატრიოტი იყო. მან პირადი სურვილები ოჯახის ბედნიერება, შვილების ინტერესებიც კი, უშურველად საქართველოს მტერთაგან გამოხსნას და გაერთიანებას უძღვნა. იგი მზად იყო ყველაფერი, რაც გააჩნდა, სამშობლოს დიდებისა და ბედნიერების სამსხვერპლოზე მი-ეტანა.

შეგნებულმა შთამომავლობამ ღირსეულად დააფასა მისი ღვაწლი.

დასაფლავება. დარეჯან დედოფალმა თავი გამოიდო და სიცოცხლეში გულმოკლული თავისი 60 წლიანი თავდაუზოგავი შრომის, ბრძოლის შედეგით უკმაყოფილო, მისი ღვაწლისა და

ამაგის შესაფერისად არდაფასებულ მონარქს დიდებული, შეიძლება ითქვას, პომპეზური გლოვა მოუწყო.

დედოფლისა და კათალიკოს ანტონ II დავალებით, გარდაცვალების დღესვე, სემინარიის რექტორს, დავით მესხიშვილს, მეფის დასაფლავების საგანგებო ცერემონიალი შეუდგენია.

იმავე დღეს დარეჯანმა ეს სამწუხარო ამბავი წერილებით საქართველოს ყველა კუთხის მცხოვრებლებს აცნობა და თავადაზნაურობა გლოვაზე, თელავში მოიწვია.

მოსულნი დედოფლის ხარჯზე იმყოფებოდნენ, მათ ყველას შავი ნარმისაგან შეკერილი სამგლოვიარო ტანსაცმელი დაურიგდათ. ძაძებით იყო დაფარული თელავის სასახლეც. ქალაქში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ორმაგი ხისგან შეკრული, შავი ხავერდით მორთული კუბო ტაძარში იყო დასვენებული; სასახლის ეზოში ბოძებზე ღია გალერეა გაემართათ. აქ უძვირფასეს სპარსულ ხალიჩაზე მეფის ტანსაცმელი და მორთულობა — სამ-კაულები ეწყო. იქვე იყო მეფის იარაღი და საქართველოს სამი დროშა.

წარჩინებული სტუმრების ჩამოსვლისას, მდიდრულად მორთული და შავი საფარით დაბურული მეფის ორი საყვარელი ცხენი გამოჰყავდათ. დედოფალი და ბატონიშვილები სასახლეში იღებდნენ სამძიმარზე მოსულ ხალხს. ისინი რიგის მიხედვით ისხდნენ. ქალები თეთრ სამოსში იყვნენ.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთიდან 1784 წელს წასული მირიან ბატონიშვილის დაბრუნებამ, აგრეთვე ოთხმოცი წლის თავადის — ციციშვილის მოსვლამ, რომელიც მეფეს ნადირ შაჰის ინდოეთის ლაშქრობაში ახლდა და ტირილის დროს იმ ლაშქრობის თავგადასავლებს იგონებდა.

გამომსვლელთა შორის დამსწრეებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მსაჯულ სოლომონ ლეონიძის სიტყვამ, რომელიც ქართული მჭერმეტყველების შესანიშნავი ნიმუშია. აგრეთვე ერთი სოფლელი დედაკაცის გლოვით ტირილმა, რომელიც ხალხური მთქმელის მადლიანი სიტყვით აღწერდა მიცვალებულის საგმირო საქმეებს.

ისედაც მძიმე სამგლოვიარო ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა და დაძაბა გიორგი ბატონიშვილის საქციელმა.

მეფის გარდაცვალების დროს იგი ბორჩალოსა და ყაზახში იმყოფებოდა. იქ მიუღია მეფობის პირველი მილოცვები. შემდეგ ქართლი შემოი-არა და თელავში მხოლოდ 22 თებერვალს გამოჩნდა (გარდაცვალებიდან ორმოცდამეერთე დღეს) 130 ქართლელი და კახელი თავადისა და აზნა-ურის თანხლებით. მას შემდეგ, რაც პანაშვიდი გადაახდევინა, იგი დედოფალთან შევიდა მისასამძიმრებლად, ამის შემდეგ კი მღვდელმთავრებს და კარისკაცებს უბრძანა, ეკლესიაში, სადაც მეფის ცხედარი ესვენა, დაედოთ ფიცის წიგნი ჯვრით და სახარებით, იქვე კი ფიცის ფურცელი, რათა მიმ-სვლელებს მისთვის წერილობით შეეფიცათ, როგორც პირმშოსა და რუსეთის მიერ დამტკიცებული მემკვიდრისთვის.

ამან ვითარება გაამწვავა, დარეჯანმა ფიცის მიცემა არ ისურვა, ფარნა-ოზ ბატონიშვილმა ხმალზე გაივლო ხელი, მაგრამ დააშოშმინეს.

მეფის ცხედარი ზარბაზნებისა და თოფების სროლით გამოასვენეს. მას 20 ათასამდე ცხენოსანი და ქვეითი ჯარისკაცი მიაცილებდა (კრწა-ნისის ტრაგედიის დროს მას ამის ნახევარი რაოდენობის მებრძოლი მაინც რომ ჰყოლოდა იქნებ ასე გულმოკლულს არ დაეტოვებინა წუთისოფელი). ჟამიანობის გამო პროცესია თბილისში ვერ შევიდა, ცხვარიჭამიის გზით იარეს და სამი დღის შემდეგ მცხეთას მიაღწიეს. აქ ეპიდემიის შიშით, კახელებმა არაგვზე გადასვლა ვეღარ გაბედეს, არაგვში შესულებმა კუბო მცხეთელებს გადასცეს, თვითონ კი უკან გამობრუნდნენ.

მადლიერმა მცხეთელებმა, სვეტიცხოვლის “დიდ ტაძარში” მიუჩინეს საუკუნო განსასვენებელი საქართველოს დიდ მეფეს.

თავი XXXXIV. ქართული კულტურა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში

ქართველი ხალხის კულტურული შემოქმედება XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალ, მაღალ ფაზაში შედიოდა. საქართველოს პოლიტიკური დაშლილობის მიუხედავად, ქართულ სამეფო-სამთავროებში მიმდინარე კულტურულ-შემოქმედებითი პროცესი ამავე დროს ერთიანი ქართული კულტურის განვითარების პროცესი იყო. ქართული კულტურის ხელახალი აღორძინება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ისტორიულ მემკვიდრეობას ემყარებოდა. კულტურული განვითარების სფეროში ამ პერიოდის დამახა-სიათებელ ნიშანს შეადგენდა მზარდი შემობრუნება პროგრესული ევროპი-საკენ. ამისდაკვალად, ახალი დროის შესაბამისად, სულ უფრო გამოიკვეთა ქართული კულტურის მიმართულება – ეროვნული ტრადიციების განვითარებისა და შენარჩუნების გზით ზიარებულიყო რუსეთისა და ევროპის მიღწევებს. ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში სულ უფრო მეტად მკვიდრდებოდა პრაქტიკული ღირებულებების ცნებები: “ევროპა”, “ფრანცია”, “საბერძნეთი”, “რესპუბლიკა”, “საზოგადოება”, “დემოკრატია” და სხვა. ცნობილია, რომ აღმავალმა ევროპის ბურჟუაზიამ შეიმუშავა საკუთარი ფილოსოფია, რომლის მიხედვით ახლებურად უნდა გარკვეულიყო ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების კანონები. ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა ამ პლეადას ეწოდა “განმანათლებლები”. საქართველოშიც გამოჩნდნენ განმანათლებელთა თაყვანისმცემლები, “ვოლტერის სწავლის მიმდევარნი”, განახლდა სკოლა, დაიწყეს ზრუნვა მეცნიერების სხვადასხვა დარგების გნვითარებასა და თავმოყრაზე.

იმდროინდელი ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული წარმომადგენლები (ერეკლე II, სოლომონ I, ანტონ I კათალიკოსი, დავით და გაიოზ რექტორები, დავით და იოანე ბატონიშვილები, სოლომონ ლი-ონიძე და სხვები) დაუღალავად იღწვოდნენ, რათა ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის შეთვისებისა და ქართველთა ევროპიზაციის გზით მომხდარიყო “დაძველებული” სახელმწიფო ცხოვრების განახლება და რეორგანიზაცია. ანტონი, ევროპეიზმის მედროშე და მქადაგებელი, ქვეყნის განახლების მთავარ პირობად თავისი ხალხის კულტურულ-გონებრივ დაწინაურებას თვლიდა.

ეპოქის მოწინავე იდეები მეტ-ნაკლებად მოქმედებდა მაშინდელი საზოგადოების სხვადასხვა ფენასა და წარმომადგენელზე. დიდი პოლიტი-კური მოღვაწე, თავისი ქვეყნის ბრძენი

გამგებელი, ერეკლე II თვითონ იყო მეცნიერებასა და ფილოსოფიაში ღრმად განსწავლული და ყოველგვარ მნიშვნელოვან წამოწყებათა ინიციატორი. ერის სულიერი მოძღვარი ანტონ კათალიკოსი კი ღრმა ოპტიმიზმით შეჰყურებდა მომავალს და იგი გულით შენატროდა იმ დროის დადგომას, როცა ერეკლეს "იხილავდნენ მე-ორე დავით აღმაშენებლად ყოველი საქართველოსა".

განათლება. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში სახელმწიფო სასწავლებლები არსდება და, ამდენად, სწავლა-აღზრდა პროფესიულ, ორგანიზებულ და გეგმიან ხასიათს იღებს. როგორც აღნიშნული იყო, ანტონ კათალიკოსის ინიციატივით 1755 წლის იანვარში თბილისში, ანჩისხატის ტაძრის ეზოში დაარსდა საღვთისმეტყველოფილოსოფიური სემინარია, რომლის რექტორად დანიშნულ იქნა იმ დროისათვის ცნობილი ფილოსოფოსი ფილიპე ყაითმაზაშვილი, რომელსაც "დოქტორის" სახელით და "ზედმიწევნილ ფილოსოფოსად" იხსენიებდნენ. იგი თბილისიდან ერეკლე მეფის ინიციატივით გადასულა 1758 წელს თელავში გახსნილი სა-სულიეროფილოსოფიური სასწავლებლის რექტორად. 1782 წელს ზემოაღ-ნიშნული სასწავლებელი ფილოსოფიურ სემინარიად გადაკეთდა, რომლის რექტორად დანიშნული იქნა გაიოზ არქიმანდრიტი (1746-1821 წწ.), რომელსაც მხოლოდ ერთი წლის ხელმძღვანელობის მიუხედავად საკმაოდ ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა ჩაუტარებია. 1790-1801 წლებში თელავის სემინარიას ხელმძღვანელობდა ცნობილი სწავლული დავით მესხიშვილი. სემინარიებში ისწავლებოდა: გრამატიკა, პოეტიკა, რიტორიკა, ლოგიკა, კატეღორია, მეტაფიზიკა, ფიზიკა, ფილოსოფია, საღვთო სჯული, მშობლიური ენა, არითმეტიკა, სამოქალაქო ისტორია. დავით ბატონიშვილის ცნობით, თელავის სემინარიაში ყველა წოდების წარმომადგენელი სწავლობდა.

განათლების ორგანიზაციაში, ისე როგორც სულიერი ცხოვრების სხვა სფეროში, დიდი დამსახურება მიუძღვოდა ანტონ კათალიკოსს (1720-1788), ანტონი რუსეთში ყოფნისას უშუალოდ გაეცნო ორიგინალურ და ევრო-პულ სასწავლო პროგრამებს, სწავლების პრინციპებს და პრაქტიკას. ამ და-უღალავმა მამულიშვილმა სამშობლოში დაბრუნებისთანავე (1762 წ.) მთელი თავისი ცოდნა და განათლება საქართველოს სასწავლებელთა რეორგა-ნიზაციას მოახმარა.

აღნიშნული სემინარიების გარდა ქართლ-კახეთისა და დასავლეთ საქართველოს ცენტრებში არსებობდა პირველდაწყებითი სკოლები, სახელოსნო სკოლები და კერძო სასწავლებლები – სიონის, კალა-უბნის, ქაშუ-ეთის, მეტეხის, ანჩისხატის, ვარძიის, გორის, გელათის, სიღნაღის სასწავლებლები.

სკოლებისა და სემინარიებისათვის იქმნებოდა ორიგინალური და ნათარგმნი სახელმძღვანელოები. ანტონ Iმა* 1753-1760 წლებში შეადგინა "ქართული ენის გრამატიკა". სასკოლო განათლების საქმეში დიდი როლი ეკუთვნოდა მის სახელმძღვანელოს "მოკლე ისტორია საქართველოსი" (1763 წ.); 1757 წელს მან დაამთავრა ე. წ. "კატეხიზისი", ხოლო 1780 წელს სკოლის სახელმძღვანელოდ შეადგინა "ღვთისმეტყველების" 4 ტომი, რომელიც ძირითადად ფრანგული ენციკლოპედიის პრინციპზე იყო აგებული.

XVIII საუკუნის მიწურულს დიდი ქართველი განმანათლებლის, იოა-ნე ბაგრატიონის მიერ შედგენილ სახელმწიფო გარდაქმნის პროექტში, თბილისში, გორსა და თელავში უმაღლესი სასწავლებლების გახსნა იყო ნავარაუდევი. ეს და სხვა მსგავსი პროექტები იმ დროს შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა და სპეციფიკური ისტორიული პირობების გამო, არ განხორციელებულა.

მეცნიერება. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ერეკლე II გრძნობდა იმ დიდ საჭიროებას, რასაც ახალი ეპოქა აყენებდა მეცნიერული ცოდ-ნის წინაშე. ამიტომ იყო, რომ იგი ყოველ ღონეს ხმარობდა მეცნიერების ცალკეულ დარგთა განვითარებისათვის.

იმდროინდელი მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა დარგები საქართველოში წამოდგენილი იყო როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი ლიტერატურის სახით. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ცხოველი ინტერესი, რასაც მაშინდელი საზოგადოება იჩენდა ზუსტი და ტექნიკური მეცნიერებებისადმი (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, სამხედრო-ტექნიკური საქმე და ა. შ.).

შესანიშნავი თარგმანები და ორიგინალები გვაქვს სამხედრო-ტექნიკურ მეცნიერებაში და საბუნებისმეტყველო დარგში. გაიოზ რექტორმა ერეკლე II-ეს განკარგულებით თარგმნა კრებული, რომელიც შეიცავს უმდიდრეს ცოდნას არტილერიის შესახებ. დავით ბატონიშვილმა და იოანე ბაზლიძემ თარგმნეს "რაკეტის ანუ შუშხუნების გაკეთების წიგნი", რომლის პირველი ქართული თარგმანი შეუსრულებიათ 1729 წელს. გაიოზ რექტორს ეკუთვნის აგრეთვე თარგმანი, საკუთარი აკადემიური კომენტარებით, წიგნისა "სწავლა ხილულთა და უხილავთა ნივთთა", რომელშიდაც მკითხველი ეცნობა საბუნებისმეტყველო ცოდნის არაერთ დარგს.

საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა სამედიცინო აზროვნება და განათლება. XVIII საუკუნის შუა წლებში (60-იანი წლები) შეუდგენიათ სამედიცი-ნო ხასიათის ნაშრომი "სწავლა ერისა სიმრთელისათვის მისისა". ცოტა გვიან, იოანე და დავით ბატონიშვილების ინიციატივით შეუდგენიათ ე. წ. "სამკურნალო რეცეპტები". ერეკლე მეორეს მითითებითა და ინიციატივით ქართული წამლების ნუსხებთან ერთად რუსული და ლათინური რეცეპტებიც არის წარმოდგენილი.

XVIII საუკუნის გამოჩენილი მეცნიერი გეოგრაფებია ტიმოთე გაბაშვილი, იონა გედევანიშვილი და რაფიელ დანიბეგაშვილი. ტ. გაბაშვილის მოღვაწეობა XVIII საუკუნის შუა წლებს ემთხვევა. 1755 წ. ერეკლე მეორი-სა და თეიმურაზის მხარდაჭერით ტიმოთემ იმოგზაურა თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთში. მისთვის მიუციათ "საბოძვარი კმა საყოფელი და ქარტა სამგზავრო". განათლებული მოგზაური და იშვიათი კალმოსანი ორ მიზანს ისახავდა: თურქეთის სამხედრო-პოლიტიკურ დაზვერვას და ახლო აღმოსავლეთში ძველი ქართული კულტურული კერების შესწავლადათვალიერებას. მოგზაურობის შედეგად შედგენილი მისი ნაშრომი "მიმოსვლა" შეიცავს საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის გეოგრაფიის მდიდარ და სანდო მასალებს.

იონა გედევანიშვილმა საკუთარი სურვილით მოიარა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, ევროპა და დაწერა სასწავლო-გეოგრაფიული ხასიათის შრომა "მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისისა

მიტროპოლიტისა”, რომელიც შეიცავს მვირფას ცნობებს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების, საბერძნეთის, იტალიის, ავსტრიის, მოლდავეთისა და რუსეთის შესახებ.

საქართველოსა და ინდოეთს შორის ეკონომიკურ, დიპლომატიურ და კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ დაცულ ძეგლთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია რაფიელ დანიბეგაშვილის შრომა “მოგზაურობა ინდოეთში”. ამ შესანიშნავი მკვლევარ-გეოგრაფის და მოგზაურის დაბადები-სა და გარდაცვალების თარიღები ჩვენთვის უცნობია. მან მოგზაურობაში საერთოდ დაჰყო 18 წელი (პირველად 1795-1798, ხოლო მეორედ 1799-1813 წლებში). რაფიელ დანიბეგაშვილის აზიაში და ინდოეთში მოგზაურობის პოლიტიკური ასპექტის მიუხედავად (ერეკლესა და გიორგის ურთიერთობა ინდოეთის სომეხ ბურჟუაზიასთან და სხვა) მის წიგნს უდიდესი მეც-ნიერული ღირებულება გააჩნია, როგორც წმინდა გეოგრაფიულ ნაშრომს. წიგნის შემადგენელი მთელი მასალა დალაგებულია მარშრუტული აღწერის წესით. ნარკვევი მრავალ გეოგრაფიულ ცნობას შეიცავს მოგზაურის მიერ ნახული ქვეყნების ქალაქებისა და ხალხების შესახებ.

ადრინდელი ტრადიციის შესაბამისად წარმატებით გრძელდებოდა მუშაობა ისტორიული მეცნიერების დარგშიც. XVIII საუკუნის I მეოთხედის საქართველოში ფართოდ გაშლილ სამეცნიერო მუშაობაში წამყვანი ადგილი ისტორიულ მეცნიერებებს მიენიჭა. როდესაც ვახტანგ VIზე ვსა-უბრობდით, აღვნიშნეთ იმ ფართო ძალისხმევის მნიშვნელობა, რაც ვახტანგის მიერ შექმნილმა სწავლულ კაცთა კომისიამ შეასრულა ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია სეხნია ჩხეიძის მოღვაწეობა ისტორიის დარგში. საბოლოოდ კი ქვეყნისათვის ეს უმნიშვნელო მიმართულება დაამუშავა და თანადროულ ევროპულ დონემდე აიყვანა, ვახტან-გის უმცროსმა ვაჟმა ვახუშტი ბატონიშვილმა თავისი საქართველოს ისტორია მან 1745 წელს დაამთავრა. საამისოდ მისი გამართვისათვის გამოიყენა სხვადასხვა დამხმარე დისციპლინები. კვლევის ისეთი მასშტაბი, რომელიც იმ დროისათვის დამახასიათებელი იყო დაწინაურებული ევროპის ისტორიისათვის, და ამ მხრივ ვახუშტი XVIII ს. მეცნიერული ისტორიოგრაფი-ის მოთხოვნილებების სიმაღლეზე იდგა. ამ მხრივ ვახუშტის დიდი საქმის გამგრძელებლად შეიძლება მიჩნეულ იქნან ზემოთ უკვე დასახელებული ისტორიკოსები პაპუნა ორბელიანი და ომან მდივანბეგიხერხეულიძე, დავით დეკანოზისძე (პაპუნას ისტორიის გადამწერი) პაპუნას ნაშრომს “მცირე ქართლის ცხოვრებას” უწოდებს. ისტორიკოსი სამეფო კართან დაახლოებული პირი ჩანს, ის უნდა ყოფილიყო მონაწილე მის მიერ აღწერილი არაერთი სამხედრო და პოლიტიკური ამბებისა. ხშირად იმეორებს: “რომელიმე ვიხილე თვალითა ჩემითა, და რომელიმე მომეთხრნეს სარწმუ-ნოთა კაცთაგან”, ან კიდევ, “შევუდექ ამბავს ქართლისასა პაპუნა ორბელი-ანი, განმაძლიერა მეფემან, ვინ არის გვირგვინიანი”... “სარწმუნო კაცთაგან თხრობა”, “თანადამხდურობა”. აი, ის ყურადსაღები მეთოდოლოგიური პრინციპები, რასაც ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ყოველთვის ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა. ქართულ ისტორიულ აზროვნებას აღორძინების ხანაშიც კვლავ მიუქცევია ყურადღება ამ მეთოდოლოგიური მოთხოვნილებისათვის. საინტერესოა, რომ პაპუნა მარტო პოლიტიკურ ისტორიას, ან “მეფეთა ცხოვრებას” კი არ გადმოსცემს, არამედ მის ნაშრომში ვხვდებით მასალებს ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური, სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული და საეკლესიო ცხოვრების შესახებ. მას

ოსტატურად აქვს აღწერილი “იწროებანი ქართლისანი და სიო ცხოვრების შესახებ” “...დამ-პყრობელთანი და განმგეთა ქვეყნისა ჩვენისანი, მწარენი, ძნიადი მოხარკე-ობანი”. პაპუნა აქვე განმარტავს, რომ მის ნაშრომს პატრიოტულ-აღმზრდელობითი და შემეცნებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მომავალი თაობებისათვის. ის ისტორიას წერდა იმ მიზნით, რომ “მოზარდულთა” (ე. ი. ახალგაზრდა, მომავალმა თაობამ) შეისწავლოს თავისი ქვეყნისა და ხალხის მიერ გადატანილი “ჭირნი და იწროებანი” და ფხიზელ გუშაგად ედ-გეს მას მომავალში.

ქართველ სწავლულებს უყურადღებოდ არ რჩებოდათ რუსული და მსოფლიო ისტორიული აზრის მიღწევები. XVIII საუკუნის მეორე ნახევარ-ში (1763) გადაწერილ იქნა მსოფლიო ისტორიის კურსი. მისი ავტორია ლევან ბაქარის ძე ბატონიშვილი.

ბეჭდვითი საქმის განახლება. 1749 წ. ერეკლემ პირველად განაახლა გაუქმებული ვახტანგისეული სტამბა, რომელიც არსებულა “საპატრი-არქო პალატასა შინა”; 1762-63 წლებში სტამბა მეორედ განახლებულა, ამას ადასტურებს 1767 წელს დაბეჭდილი ერთ-ერთი წიგნი, სადაც ვკითხულობთ: “სამებას წმიდას ადიდე ბეჭდისა ამის მეორედ განმაახლებელი ირაკლი”, როგორც ვხედავთ, ერეკლე მეორეს დროს ისევ განახლდა და გაცხოველდა საგამომცემლო საქმიანობა: შეუდგნენ წიგნების “გასწორებას” და “ღრამატიკის კანონთა ზედა გამართვას”. აღსანიშნავია ისიც, რომ ერეკლეს დროს იქმნება საგამომცემლო და სტამბის მუშაკთა მთელი იერარქია. წიგნები იბეჭდებოდა “ბრძანებითა მეფისა და კურთხევითა კათალიკოზი-სა”. შემდეგ კი ბეჭდვის საქმე გადადის “პირობის მართველის”, “მესტამბეთუხუცესის” და “ბეჭდვის ზედამხედველის” ხელში. ერეკლეს ჰქონია “სურვილი ფრიადი”, ახალი სტამბის გაკეთებისა. ამიტომ მას ვინმე “ბერძენთა ნათესავის” მელიტონისათვის შეუთავაზებია დახმარება და გაგზავნა კონსტანტინოპოლს, საიდანაც ჩამოყვანილმა ხელოსნებმა 1781-1782 წლებში დააარსეს ახალი ტექნიკით აღჭურვილი სტამბა თბილისში, რაც მეფეს 20-ათასი მანეთი დასჯდომია. ამ დროს ჩამოასხეს სტამბისათვის ნუსხური და მხედრული შრიფტი. სასტამბო საქმიანობას თბილისში ხელმძღვანელობდა ცნობილი მბეჭდავ-გამომცემელი ქრისტეფორე კეჟერაშვილი. სასტამბო საქმიანობას დიდი ყურადღება ექცეოდა დასავლეთ საქართველო-შიც. ქუთაისში “პალატსა სამეფოსა” მოწყობილ სტამბაში ნაყოფიერად მოღვაწეობდა მესტამბე გიორგი პაიჭაძე. ამას გარდა, ქართული წიგნი იბეჭდებოდა პეტერბურგში, მოზდოკში და სხვაგან.

ფილოსოფიური და სამართლებრივ-პოლიტიკური აზრი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ფილოსოფიური აზრონება, ისე რო-გორც ბევრი სხვა რამ, უწინარეს ყოვლისა, ანტონ ბაგრატიონის (კათალი-კოსის) სახელთანაა დაკავშირებული. “ყოველი საქართველოს” კათალიკოს-პატრიარქი, ევროპული ორიენტაციის პიროვნება ანტონი თავისი დროი-სათვის ღრმად განათლებული მოაზროვნეფილოსოფოსი იყო. მან პირველმა ქართველ მოაზროვნეთა შორის წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ “ფილოსოფიისა შინა აღრევად ღვთისმეტყველება არა სათანადო არ-სო”. თუ მთლად არა, ანტონმა საკმარისად დაძლია სქოლასტიკური აზროვნება, რომლის ერთ-ერთ მთავარ ნაკლად იმას თვლიდა, რომ ამ ტრადიციის მიხედვით, ლოგიკა ისწავლებოდა “ღვთისმეტყველურებ და არა ფილოსოფოსურებრ”. ანტონმა მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა ფილო-სოფიური აზროვნება საქართველოში, ხელი შეუწყო კლასიკური ხანის ტრადიციების (რუსთაველი, პეტრიწი) აღორძინებას. ანტონის ფილოსოფი-ური ნააზრევი სამ

იდეურ წყაროს ეფუძნებოდა, ესაა: “ქართული ფილო-სოფიური ტრადიცია, დასავლეთის ფილოსოფია — “ლათინთა სიბრძნე” და რუსული წყაროებით შეთვისებული ზოგიერთი მოგვიანო ფილოსოფიური იდეა.

ანტონმა ქართულად გადმოიღო არისტოტელეს “კატეგორიები”, ლა-იბნიცის, სვიმონ ჯულფელის, პორფირიოსის, ბაუმაისტერის, მხითარ სუბასტიელის და სხვათა ფილოსოფიური ტრაქტატები და შესაფერისი კომენტარები დაურთო მათ.

ამავე პერიოდში ფილოსოფიურ თხზულებათა კრებულებზე მუშაობდნენ დოსითეოს ნეკრესელი, ფილიპე ყაითმაზაშვილი, ანტონ ცაგარელდადიანი; 1798 წელს გაიოზ რექტორმა ყიზლარში თარგმნა თალესის, დემოკრიტეს, სოკრატეს და არისტოტელეს ბიოგრაფიები.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოლიტიკური აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენელია ალ. ამილახვარი (1750-1802 წწ.). მას ეკუთვნის გახმაურებული პოლიტიკური ტრაქტატი “ბრძენი აღმოსავლეთი-სა”, რომელიც იმ პერიოდის ფრანგი განმანათლებლების (მონტესკიე, დიდრო, რუსო...) იდეური გავლენითაა დაწერილი. გარდა ამ პოლიტიკური ტრაქტატისა ალექსანდრეს ეკუთვნის “გეორგიანული ისტორია” და “მოქმედება ასტრახანში”.

ევროპულად განსწავლული დავით და იოანე ბატონიშვილები თავი-ანთ სიტყვას სამართლის დარგშიც ამბობენ. 1799 წელს გიორგი მეფეს იო-ანემ წარუდგინა პროექტი “სახელმწიფო მართვა-გამგეობის მოწესრიგების შესახებ” (“სჯულდება”). იოანე კარგად იცნობდა და იყენებდა ძველ ქართულ სამართალს, ევროპულ და რუსულ (პეტრეს რეფორმები, ეკატერინე II-ის “ნაკაზი”, ალექსის “მეგლისდება” და ა. შ.) სამართლებრივ-პოლიტი-კური ხასიათის ლიტერატურას, მაგრამ არცერთ მათგანს იგი ბრმად არ მისდევდა, პირიქით შექმნა უაღრესად ორიგინალური ხასიათის პოლიტი-კური ტრაქტატი, რომელშიც გადმოცემულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგი: სამხედრო-ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და კულტურული.

ამ პერიოდის ქართული საზოგადოებრივი აზროვნება მდიდრდებოდა აგრეთვე ნათარგმნი სამართლებრივ-პოლიტიკური და განმანათლებლური ხასიათის ლიტერატურით.

მხატვრული ლიტერატურა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მხატვრული სიტყვა უმჭიდროესად იყო დაკავშირებული იმდრო-ინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილესთან, ქართველი ხალხის ეროვნულ ტკივილებთან. დიდი მწერლის და დიდაქტიკოსის დავით გურამიშვილის (1705-1792 წწ.) პოეტური შემოქმედება მისი ტრაგიკული ცხოვრების მეორე ნახევარს ემთხვევა, როცა მრავალჭირნახულ პატრიოტს პორუჩიკის ჩინით თავი დაუნებებია სამხედრო სამსახურისათვის და საბოლოოდ დამკვიდრებულა უკრაინაში. მწერალმა თავის ლიტერატურულ მემკვიდრეობას თავი მოუყარა ერთ კრებულში და 1787 წელს საკუთარი ხელით გადაწერილი “დავითიანი” პოტიომკინის კარზე მყოფ მირიან ერეკლეს ძეს გამოატანა საქართველოში, რითაც უდიდესი ზნეობრივი ვალი მოიხადა მშობლიური ქვეყნის წინაშე. “დავითიანი” სამშობლოს უზომოდ მოყვარული კაცის ტრაგიკული სულის წრფელი ლირიკული აღსარებაა და ავტობიოგრაფიული იერის მქონე ეპიკურმხატვრული დოკუმენტიც. “დავითიანი” მრავალფეროვანია შინაარსობრივად და თემატიკურადაც. იგი შედგება ოთხი

პოემისა და მრავალი ლირიკული ლექსისგან, რომელთაგან უმთავრესი ნაწარმოებია საისტორიო პოემა “ქართლის ჭირი”. მთელი პოემა გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულის შთამაგონებელი კეთილშობილური იდეით. “მართლის თქმა” გურამიშვილს შემოქმედებით მეთოდად გაუხდია. პოეტი ღრმად სწვდება იმ მიზეზებს, რამაც მისი ქვეყანა უფსკრულის პირას მიიყვანა. მისი ღრმა რწმენით, ქართლ-კახეთის თავზე დატეხილი უბედურების მთავარი მიზეზი იყო ქვეყნის შინაგანი ვითარება, თავადაზნაურობისა და სამღვდელოების ზნეობრივი დაცემა, ვიწრო წოდებრივი ინტერესების საზოგადოებრივზე მაღლა დაყენება, “რაც მოგახსენე, მოგგვარა ჩვენ ერთმანეთის ბრძოლამაო”, ამბობს პოეტი და გულისმომკვლელად გადმოსცემს მთელ ამბავს იმის შესახებ, თუ “ვით დავკარგეთ ჩვენ ქვეყანა ჩვენ და გარშემო მტრებით”. პოეტი მართლაც, რომ ფიზიკური უშუალობით განიცდიდა იმდროინდელი მოვლენების შემაძრწუნებელ საშინელებას. “მეტად მწარედ გული მტკივა მაჟრჟოლებს და ტანში მზარავსო”, გურამიშვილი მკაცრად და დაუნდობლად ამხელს მახინჯ მხარეებს, რადგან “ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების”.

“დავითიანში” ჩართული მეორე პოემა “ქაცვია მწყემსი” პირველი საყოფაცხოვრებო თხზულებაა ქართულ ლიტერატურაში. პოეტმა აქ შთამა-გონებლად უმღერა მდაბიო ხალხის, გლეხებისა და მწყემსების ზნეობრივი ცხოვრების სიწმინდეს, მის უბრალოებას. “დავითიანს” უძღვის შესავალი თავებიც, რომელშიც გადმოცეულია პოეტის დიდაქტიკურ-განმანათლებლური იდეები: “ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო” — წმინდა ანდერძად უბარებს შთამომავლობას რეალისტი პოეტი.

სამშობლოს ბედზე მეოცნებე დიდი მწერალი, დავით გურამიშვილი, ამავე დროს, ხალხთა ძმობის უებრო მომღერალიც იყო, მან გულით შეიყვარა რუსი და უკრაინელი ხალხები, რომელთა მიწაზე დაიდო თავისი სამუდამო, მყუდრო სავანე.

ამავე პერიოდში მოღვაწეობდა პოეტი და პოლიტიკური მოღვაწე, თეიმურაზ მეორის კარის მოძღვრის ზაქარია გაბაშვილის ვაჟი, ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) (1750-1791 წწ.). 1777 წლიდან ბესიკი იმერეთის მეფის სოლომონ I-ის კარზეა, დიპლომატიურ დავალებებს ასრულებდა სპარსეთ-სა და რუსეთში. ბესიკის პოეზია მრავალფეროვანია, პირველ რიგში, აღსა-ნიშანვია რომანტიკული განწყობილების შემცველი ლირიკული ლექსები “სევდის ბაღს შეველ შენაღონები”, “ტანო ტატანო”, “ცრემლთა მდინარე”, “მე შენზე ფიქრმა მიმარინდა” და სხვ. ბესიკი თავისი სატრფიალო ლირი-კით, პირველ ყოვლისა, ამქვეყნიურ ადამიანურ გრძნობებს უმღერის. ბესი-კის ლექსის შინაგანმა მელოდიურობამ განაპირობა ის, რომ მისი პოეზიის ნიმუშები მომდევნო ხანაში სიმღერებად და საგალობლებად ვრცელდებოდა. ბესიკის შემოქმედების მეორე მხარე ეძღვნება ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. პოემაში “ასპინძისათვის” და “რუხის ომი” გადმოცემულია ოსმალოლეკთა ჯარებზე ქართველთა ძლევამოსილი გამარჯვების მაღალმხატვრული სურათი. პოეტი წარმტაცი ფერებით მოსავს ერეკლე II-ის, დავით სარდლის, სოლომონ მეფის და სხვათა გმირულ სახეებს ბრძოლის ველზე.

ბესიკს ეკუთვნის აგრეთვე სამგლოვიარო ოდა “სამძიმარი”, რომელიც მან ლევან ბატონიშვილის უდროოდ გარდაცვალებას უძღვნა და საყოფაცხოვრებო სატირული პოემა “რძალდედამთილიანი”.

XVIII ს-ის II ნახევარში საქართველოში განვითარდა აშუღური (სახალხო მგოსანი, მომღერალმიჯნური) პოეზია. მისი ყველაზე კოლორიტული წარმომადგენელია დიდი სახალხო პოეტი, “საქართველოს სომეხთაგა-ნი” საიათნოვა (დაახლ. 1712-1801 წწ.), რომელიც ლექსებს თხზავდა და მღეროდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. თავის შემოქმედებით საიათნოვა ეკუთვნის ამიერკავკასიის სამივე ხალხს, ხოლო მოღვაწეობით და ცხოვრებით იგი ქართულ სინამდვილეს, თბილისს უკავშირდება. “ჩემი სამშობლო თბილისიაო”, — ამბობს პოეტი. საიათნოვა წიგნიერი კაცი ყოფილა (“ანაბანა ვიცი სიტყვით წინა ვარო”), მისი სახელი მალე ცნობილი გმხდარა ქართული არისტოკრატიული საზოგადოების წრე-შიც და იგი მგოსნად მოუწვევია ერეკლე II-ს.

საიათნოვა არ ინდობდა და კიცხავდა მაღალი სოციალური ფენების ავზნიან და ავხორცეულ მოდგმას. “ავ კაცს რაში უნდა გვარიშვილობა, შეაგინებენ კაი მამასა”... პოეტის მძაფრი სოციალური, პოეტური განწყობილებანი განაპირობა მისმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ. მგოსანი დიდ თანაგრძნობას უცხადებდა თავის კლასობრივ თანამოძმეთ: “ღარიბი და მდიდარიცა არსებობს, სხვადასხვაა მათი სუფრა მაგიდა”. ერეკლესა და მისი აშუღის ლამაზი ურთიერთობა დღემდე უცნობი მიზეზების გამო იმით დამთავრდა, რომ საიათნოვა სასახლიდან გააძევეს.

აღნიშნულ პერიოდში მოღვაწეობდნენ ქართველი პოეტები და მწერლები: თვით მეფე თეიმურაზ II (“დღისა და ღამის გაბაასება”, “ხილთა ქება”, თარგმნა იგავ-არაკთა კრებული “თიმსარიანი” და სხვ.), მამუკა გურამიშვილი (“მზეთამზე”), მამუკა ბარათაშვილი (“ჭაშნიკი”) და სხვები.

ვითარდებოდა ეროვნულ-ჰაგიოგრაფიული ლიტერატურაც. ამ მხრივ აღსანიშანვია ანტონ ბაგრატიონის ორიგინალური ჰაგიოგრაფიული თხზულებათა კრებული “მარტირიკა” და “მზამეტყველება”, რომლებშიც საღვთისმეტყველო პოლემიკური საკითხების გვერდით გაისმის მხურვალე მოწოდება მტრული მაჰმადიანური გარემოცვის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ხელოვნება. XVIII ს-ის II ნახევარში საქართველოში მხატვრულ აზროვნებას წინანდელთან შედარებით არსებითი წინსვლა არ დატყობია, მაგრამ ტრადიციულობის შენარჩუნებისა და, ამასთან, ხელოვნების სხვადასხვა დარგში ახალი ნიშნების განვითარების თვალსაზრისით გარკვეულ შემოქმედებით ძიებებს ჰქონდა ადგილი.

დღემდე შემორჩენილია იმდროინდელი საცხოვრებელი შენობები, ციხე-გალავნები, კოშკები და ა. შ. ყურადღებას იქცევს ქ. სიღნაღის მონუმენტური გალავანი, თელავის ციხე და სამეფო რეზიდენცია, დარეჯან დედოფლის ციხე-კოშკი (“საჩინო”, თბილისი), ქოლაგირის ციხე და სხვ. გვიანფეოდალური ხანის სასახლის ნიმუშს წარმოადგენს ნინოწმინდის (სა-გარეჯო) ტაძრის ეზოში დაცული სასახლე, რომელიც აგებული უნდა იყოს 1774-1776 წლებში ეპისკოპოს საბა ტუსისშვილის მიერ. სასახლეს ევროპული არქიტექტურის სტილი და გავლენა ეტყობა. ირანის

გარემოცვის პირობებში ქართულ სამშენებლო ხელოვნებაში თავი იჩინა სპარსულმა გავლენამ. ეს იმაში გამოიხატებოდა რომ თლილი ქვის ნაცვლად ნაგებობას ამკობს უფრო ნაკლები ეფექტის მქონე აგურის პერანგი (მაგალითად, “თეკლას ქარვასლა”, აბანოები და სხვ.).

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობდა ნაგებობათა როგორც განახლება-შეკეთება, ისე ახლის შექმნა. 1752 წელს რაჭის ერისთავმა როსტომმა, სოფელ წესში ააშენა ბარა-კონის ტაძარი, რომელიც მდიდრულადაა მოჩუქურთმებული თლილი ქვის პერანგით. 1777 წელს აღდგენილ იქნა ცაიშის ტაძარი. XVIII ს-ის შუა წლებში აღადგინეს ბაილეთის ციხე და ვარძიის მონასტერი (იმერეთში), XVIII ს-ის მიწურულს აღდგენილ იქნა გელათის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია და შემოქმედის ციხე. საეკლესიო სამონასტრო მშენებლობა წარმო-ებდა ლეჩხუმში და სამეგრელოში, თბილისში ჩატარდა მნიშვნელოვანი მუშაობა დედაციხის, ნარიყალას და მეტეხის გალავან-კოშკთა აღსადგე-ნად. კახეთში ერეკლეს დროს გაშენდა და განახლდა ციხეები და ციხე-გალავნები – ბატონის ციხე, ვახვახიშვილის ციხე, ბოჭორმა, ახმეტა, რუის-პირი, საბუე, ალავერდი, ყვარელი, ლალისყური, ნაფარეული, შილდა, იყალთო და ბევრი სხვა.

ახალ ნიშნებს იძენდა იმდროინდელი მონუმენტური ფერწერა და მხატვრობა. ცნობილმა მხატვარმა ნიკოლოზ აფხაზმა მოხატა ანანურის ეკლესია და “განაახლა” ცამეტ ასურელ მამათა ხატი. XVIII ს-ის შუა წლებ-ში იხსენიებიან იოსებ გენათელი, იობ მხატვარი და მხატვარი გრიგოლი. ნიკოლოზ აფხაზი ცნობილია აგრეთვე როგორც პორტრეტისტიც. მან შეასრულა ერეკლეს ასულის თეკლეს, დარეჯან დედოფლის, გარსევან ჭავჭავაძის და მისი მეუღლის პორტრეტები. აქვე უნდა აღინიშნოს მესხიშვილების გვარის საქმიანობაც. ამ გვარმა ანჩისხატის ტაძარში ორსაუკუნოვანი სამსახურის დროს თვალსაჩინო ოსტატები მისცა ქართულ ფერწერას, რომელიც უკვე ვეღარ კმაყოფილდებოდა ძველი ორიგინალების ასლებით. დასავლეთის ხელოვნების გავლენით, ზეთის საღებავების დაუფლებამ საბოლოოდ გააძევა მოხატვის ძველი ფერწერული ტექნიკა. ქართული მონუმენტური ფერწერის პირველი ძეგლი, რომელზეც აღიბეჭდა ახალი მიმდი-ნარეობა, არის ანჩისხატის მოხატულობა (“სულიწმინდის მოფენა”, რომელიც სტილით იმეორებს დასავლური წარმოშობის შაბლონურ ნიმუშებს).

ხელსაყრელი პირობები და განვითარების შესაძლებლობანი შეექმნა ეროვნულ სამსახიობო და თეატრალურ ხელოვნებას. აღნიშნული პერიოდის წყაროებში ხშირად მოიხსენიება “მსახიობელთა”, “მროკველთა”, “მეთიატრონეთა”, “მასხარახუმარათა” და “კომედიანტთა” მთელი დასები. ერეკლე II-ის დროს სასახლის სამსახიობო დასს მეთაურობდა ცნობილი მსახიობი მაჩაბელა, რომელიც იყო “უფროსი მსახიობთა, მეთიატრონეთა და კომედიანტთა”.

XVIII ს-ში ახალი დრამატული მწერლობაც შეიქმნა და ამავე დროს ჩამოყალიბდა სცენისმოყვარულთა დასიც. გიორგი ავალიშვილის თაოსნობით დაარსდა კლასიცისტური მიმართულების ქართული თეატრი, რომელიც სუმაროკოვის კომედიებთან ერთად ახორციელებდა ქართული კომედიის ნიმუშების დადგმებსაც. ამ პერიოდშივე დავით ჩოლოყაშვილმა თარგმნა რასინის “იფიღენია” და 1795 წლის მარტში თბილისში განხორცი-ელდა მისი წარმოდგენა.

XVIII ს-ის II ნახევარში ბევრი ქართველი მომღერალი გადასახლებულა პეტერბურგსა და მოსკოვში. ასეთები იყვნენ – ვარლამ ერისთავი, “მუ-სიკთა შინა მეცნიერი და მშვენიერი მუსიკოსი”, ისააკ კანდელაკი და სხვები.

მუსიკალური კულტურის მსოფლიო საგანძურში ქართული მუსიკალური ხელოვნება შედის როგორც ორიგინალური, საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული თვითმყოფადი ნაკადი.

თავი XXXXV. გიორგი XII მეფობა

გიორგი მეფე მფარველის ძიებაში. გიორგის გამეფებამდე, რო-გორც ვნახეთ, სამეფო ოჯახში უთანხმოება და დაპირისპირება სუფევდა. ერთ მხარეს დარეჯან დედოფალი და თითქმის ყველა ბატონიშვილი იყო, ყოველ შემთხვევაში, მამაკაცები. მეორე მხარეს, გიორგი XII და მისი შვილები.

გიორგი გრძნობდა, რომ მოწინააღმდეგე ბანაკის აღიარების გარეშე ტახტის სრულფასოვანი მფლობელი ვერ იქნებოდა, ამიტომ იძულებული შეიქნა წერილობითი პირობა დაედო, რომ არ გადაუხვევდა ტახტის მემ-კვიდრეობის, ერეკლეს მიერ დადგენილ, წესს.

ეს ნაბიჯი ახალმა მეფემ რომ იძულებით გადადგა და შესაფერის ვითარებაში მის შეცვლას შეეცდებოდა, აშკარა იყო; ამიტომ მოქიშპე ბატო-ნიშვილებმა მეფის საწინააღმდეგო კამპანია გააჩაღეს და გავლენიანი თავადების მიმხრობა დაიწყეს.

ასეთ ვითარებაში, გიორგი XII თავს კომფორტულად ვერ გრძნობდა და, თავისი მმართველობის უსაფრთხოების მიზნით, ლეკთა 1200 კაციანი რაზმი დაიქირავა, რომელთაც თითოეულს თვეში 30 მანეთს უხდიდა, რაც ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვა.

ამ ყოფაში მეფეს თითქოს შველად მოევლინა ირანის ახალი შაჰის, ბაბა ხანის (ფათ-ალ-შაჰი), ელჩის მოსვლა (1798 წ. ივლისი), რომლის პირითაც, ირანის მბრძანებელი ქართლ-კახეთის სამეფოს ძველი ურთიერთობის აღდგენას თავაზობდა, სამაგიეროდ კი განჯა-ერევნისა და შაქი შირვა-ნის მისდამი დამორჩილებას ჰპირდებოდა.

რთულ სიტუაციაში, როდესაც რუსეთიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, გიორგი სწრაფად დაეთანხმა შაჰის შემოთავაზებას, თან აღამაჰმად ხანის მიერ თბილისიდან წაყვანილი ტყვეების დაბრუნება ითხოვა, მაგრამ ამა-სობაში ბაბა ხანს ქვეყანაში ვითარება გაურთულდა: მას, ძმა უსეინ ყული ხანი, აუჯანყდა, ამიტომ ხოიდან, სადაც საქართველოდან პასუხის მოლოდინში იმყოფებოდა, ერაყს გაეშურა აჯანყების ჩასაქრობად. მეფის ელჩი, გიორგი ციციშვილი, ერევნიდან უკან გამობრუნდა; შაჰს კი შეუთვალა, გიორგის დადებითი პასუხი და პირობები, მაგრამ მოლაპარაკება გარკვეული დროით შეფერხდა; მეფის მდგომარეობა კი გადადებას არ ითმენდა. ამიტომ გიორგიმ ახლა ოსმალეთთან სცადა დაკავშირება და, ამ მიზნით იქ ელჩობაც კი გააგზავნა (ასლან ორბელიანი), მაგრამ ვიდრე ელჩობა მოქმედებას შეუდგებოდა, რუსეთიდან დაბრუნდა ბატონიშვილი დავით გიორგის ძე და მეფისთვის დამაიმედებლი ცნობები ჩამოიტანა. თურქეთიდან ელჩობა სასწრაფოდ უკან გამოიწვიეს, რუსეთში კი, წარმომადგენლად, გარსევან ჭავჭავაძე გააგზავნეს.

რუსეთის ისტორიოგრაფია, თავისი დიპლომატიის საქართველოს სა-კითხებისადმი ერთგვარ გულგრილობას, ხელისუფლების ევროპის საქმეებ-ში გააქტიურებით (უფრო სწორედ გაბლანდვით) ხსნის.

პავლე პირველი, რომელმაც ტახტზე ასვლისას თავისი პოლიტიკის ძირითად პრინციპად მშვიდობა გამოაცხადა, ვერაფრით ვერ ურიგდებოდა დედამიწაზე რესპუბლიკური წყობის არსებობას და "გამძვინვარებული" საფრანგეთის წინააღმდეგ ბრძოლას აუცილებლობად მიიჩნევდა. ნაპოლეო-ნის აგრესიულმა გეგმებმა, რომელიც ახლო და შუა აღმოსავლეთსაც მოიცავდა, რუსეთი თურქეთს, შემდეგ კი, ინგლისსაც დაუახლოვა.

ნაპოლეონის ბრწყინვალე დიპლომატია თურქეთის ნეიტრალიზებას იმით ცდილობდა, რომ მას არწმუნებდა, ჩვენს მიერ ეგვიპტის დაკავება, თურქეთის ინტერესებს და ლევანტის ვაჭრობის გაფართოებას ემსახურებაო. თურქეთი ერთხანს ყოყმანობდა, მაგრამ ინგლისის და რუსეთის ერთობლივი დაწოლის შედეგად, მაინც გამოუცხადა ომი საფრანგეთს (1798 წლის 23 აგვისტო). რუსეთმა და თურქეთმა 8 წლიანი ზავი დადეს, რომელსაც ჩქარა ინგლისიც შეუერთდა (1798 წლის დეკემბერი). 1798-1799 წლის ზამთარში უშაკოვის ფლოტმა იონიის კუნძულები დაიკავა, ხოლო 1799 წლის სუვოროვის ბრწყინვალე გამარჯვებებმა იტალიაში, რუსულ იარაღს ახალი დიდება შესძინა, რომლის ერთ-ერთი მთავარი გმირი და გამარჯვების თანამონაწილე პეტრე ბაგრატიონი იყო.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ინგლისმა მახლობელ და შუა აღმოსავლეთ-ში გაბატონების გეგმა გამოამჟღავნა, ხოლო საფრანგეთში 18 ბრიუმერის გადატრიალება განხორციელდა და ახალი მონარქია დამყარდა, რუსეთში საგარეო გეზის შეცვლის სიმპტომები გამოჩნდა, ხოლო ინგლისის მიერ კუნძული მალტის დაკავებამ, რასაც რუსეთი თავის დასაყრდენად თვლიდა, ორ სახელწმიფოს შორის ურთიერთობა დაძაბა, შემდეგ კი საერთოდ გაწყვიტა.

პარალელურად ხელახლა მომწიფდა საფრანგეთთან კავშირი და ინდოეთში ერთობლივი ლაშქრობის მომზადებაც კი დაიწყო (1800-1801 წ. მიჯნა).

პავლე I ვარაუდობდა, რომ ეგვიპტის დალაშქვრის შედეგად, იგი თურქეთს უნდა გადასცემოდა, მაგრამ აქ მოკავშირეთა ინტერესები გაითი-შა და მათი ურთიერთობა ხელახლა შეირყა. საქმეში ინგლისის დიპლომატიაც ჩაერია. საბოლოოდ პავლე I მკვლელობამ (1801 წლის 11 (22) მარტს) რუსეთისა და საფრანგეთის დაახლოებას ზღვარი დაუდო და პირველის საგარეო კურსი კიდევ ერთხელ შეიცვალა.

ასეთი იყო ქარგა საუკუნის მიწურულს, რომლის ფონზეც რუსეთ-საქართველოს მყისიერი დამოკიდებულება იკვეთებოდა.

ევროპის სახელმწიფოებს, მახლობელ და შუა აღმოსავლეთში გაბატონებას რომ ესწრაფოდნენ, საქართველო მუდამ მხედველობის არეში ჰყავდათ.

რუსეთის გეგმები საქართველოს მიმართ. მფარველობის ახალი ტრაქტატი. რუსეთი კი, რომელსაც ჩამოყალიბებული საგარეო ურთიერთობების გამო დაჩიხული საქართველო

უპირატესობას ანიჭებდა, მის საბოლოო გადაყლაპვას გეგმავდა და საამისოდ ვითარების შედარებით მომწიფებას ელოდა.

აშკარა იყო, რომ მიუხედავად უდიდესი ფიზიკური და მორალური ზიანისა, აღა მაჰმად ხანის შემოსევამ საქართველო და მისი მოხუცი წი-ნამძღოლი საბოლოოდ წელში ვერ გაწყვიტა, ამიტომ მისი დაუყოვნებელი ანექსია, გართულებებს და, მოსალოდნელია, საქმეში სხვა დაინტერე-სებული ქვეყნის ჩარევის საშიშროებას შექმნიდა, რასაც რუსეთი ერიდებოდა.

ერეკლე II სიკვდილმა ეს საქმე რამდენადმე გაამარტივა. გიორგი XII არც ნიჭით, არც ავტორიტეტით და გავლენით, არც პატრიოტული გეგმებით, მამის აჩრდილსაც არ ჰგავდა. თუმცა პირადი ამბიციები კი დიდი ჰქონდა. ტახტზე ასვლისას მან ძმებს წერილობითი პირობა კი მისცა, რომ ტახტის მემკვიდრეობის ახალ წესს უცილობლად დაიცავდა, მაგრამ მის შესრულებას არ აპირებდა და სათანადო დასაყრდენს ეძებდა. ამით იყო გამოწვეული მისი ქანაობა სპარსეთსა და თურქეთს შორის.

მაგრამ ამასობაში რუსეთის დიპლომატია დარწმუნდა, რომ ერეკლეს სიკვდილის შემდეგ, საქართველოს ანექსიისთვის ნიადაგი თანდათან მწიფდებოდა. დიდ აგრესორ სახელმწიფოთა მისწრაფებები კი დაყოვნების სა-შუალებას არ აძლევდა.

გიორგის უფროსი ვაჟი, დავითი, რუსეთში სამხედრო უწყებაში პოლკოვნიკის ჩინით რომ მსახურობდა, საიმპერატორო კარს ბაბა ხანის გიორგისადმი მიწერილი წერილების შინაარსს აწვდიდა და იქვე აცნობებდა, რომ ახალი მეფე მზადაა მიიღოს სპარსელთა წინადადება, რისთვისაც ელჩობასაც აგზავნის. ამავე პერიოდში, მეფემ გიორგი ავალიშვილი პეტერბურგში გააგზავნა იმისთვის, რათა რეგიონში სპარსელთა გაბატონების სა-შიშროება აღეკვეთათ, სასწრაფოდ მიიღეს საქართველოს მფარველობაში (მეორედ) მიღების გადაწყვეტილება და დაუყოვნებლივ შესაბამისი ცნობა გამოაგზავნეს.

რუსეთი ახლა გიორგისგან სათანადო ოფიციალური თხოვნის მიღებას ელოდა, რათა ინვესტიტურის ნიშნები გამოეგზავნა. თან ქართულ მხარეს მიანიშნეს, რომ მფარველობის ხარისხი დამოკიდებული იქნებოდა გი-ორგისგან გამოჩენილ ერთგულებაზე და საერთოდ, მის მოქმედებაზე.

ახალმა მეფემ შესაბამისი თხოვნის გაგზავნა არ დააყოვნა, სადაც მადლობას უხდიდა პავლე პირველს, თხოვდა ტახტზე დამტკიცებას, მემ-კვიდრედ დავით ბატონიშვილის აღიარებას და, ამასთან ერთად, საქართველოში მუდმივად 3000 კაციანი რაზმის გამოგზავნას, რომელსაც, მეზობლებთან რაიმე გართულების შემთხვევაში გარკვეული პერიოდით, 7000-იანი კორპუსი უნდა დამატებოდა.

1798 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ელჩმა გარსევან ჭავჭავაძემ საიმპერატორო კარს წარუდგინა ნოტა, არა მფარველობის, არამედ პროტექტორატის თაობაზე, ხელშეკრულების განახლების შესახებ. საგარეო საქმეთა კოლეგიამ ამაზე დაუყოვნებლივ დადებითი პასუხი გასცა და საქართველოში ნათხოვნი 3000 კაციანი კორპუსი გამოაგზავნა არტილერიით. თავის სრულუფლებიან წარმომადგენლად კი პ. ი. კოვალენსკი დანიშნა.

საიმპერატორო კარის ასეთი უჩვეულო ხელგაშლილობა იმაზე მიუთითებს, რომ იქ საქართველოს უკვე საკუთარ შემადგენლობაში განიხილავდნენ.

1799 წლის 18 აპრილს პავლე I სიგელით აღიარა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება. გიორგი დამტკიცებული იქნა მეფედ, ხოლო დავით გიორგის ძე — მემკვიდრედ.

1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში შემოვიდა რუსული პოლკი გენერალ ლაზარევის მეთაურობით. მასთან ერთად მოვიდა პ. კოვალენსკიც, რომელმაც მეფეს გადასცა ინვესტიტურის ნიშნები: დროშა, ხმალი, სკიპტრა, სამეფო ტახტი და მანტია. იმავე წლის 5 დეკემბერს გიორგი XII რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა.

ამრიგად, გამართლდა ალექსანდრე ბატონიშვილის და სხვა სკეპტი-კოსთა მოლოდინი, რომ გიორგი XII არ დაიცავდა მიღებულ ფიცს, მემ-კვიდრეობის თაობაზე ერეკლეს ბრძანების შესრულების შესახებ. რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულებით ეს ფიცი დარღვეული იყო.

საქართველოსა და რუსეთს შორის ხელახლა გაფორმდა მფარველობითი ტრაქტატი, რომელიც 1783 წლის შესაბამისი დოკუმენტის ანალოგი-ური იყო, ერთი კია, რომ ეს ტრაქტატი თითქოს საქართველოსთვის გარ-კვეულად უკეთეს პირობებსაც კი ითვალისწინებდა (მაგ. შემოყვანილი რუ-სის ჯარის რაოდენობა და სხვ.) რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი მის შესრულებაში საკუთარ ინტერესებს ხედავდა და, მაშასადამე, საქართველოსთვის საბოლოო ანგარიშით იგი სახიფათო უნდა გამოსულიყო. ასეც მოხდა.

ვითარება ახალი ტრაქტატის გაფორმების შემდეგ. ქართლ-კახეთში თითქოს 1783 წლის ვითარება დატრიალდა. მაგრამ ეს შთაბეჭდილება მოჩვენებითი იყო. მაშინ ერეკლე კავკასიაში უძლიერესი მმართველი იყო, ტრაქტატის გაფორმებას იგი არც ეშურებოდა, შეიძლება ითქვას, გე-ორგიევსკის ტრაქტატი მას თავს მოახვიეს, სხვადასხვა ბერკეტების ამოქმედებით, სადაც ალექსანდრე ბაქარის ძის ქართლის ტახტზე პრეტენზიას, წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ამდენად ერეკლეს შეეძლო ტრაქტატის პირობები გარკვეულად ემართა, ყოველ შემთხვევაში, დიპლომატიური ბრძოლა ეწარმოებინა. მაშინ ერეკლეს ავტორიტეტი ქვეყანაში ურყევი იყო და, მოსწონდა თუ არა, მის გადაწყვეტილებებს ყველა ემორჩილებოდა. მის აზრს მნიშვნელობას უწევდნენ ამიერკავკასიის სახანოები და იმერეთი. ქართლ-კახეთის მეფე მნიშვნელოვან მატერიალურ და სტრატეგიულ სახ-სრებს ფლობდა, იგი მთელ სამეფოში საკუთარ პოლიტიკას ატარებდა და ურჩებს სასტიკად სჯიდა.

გიორგის, ფაქტობრივად, თითქმის არაფერი არ გააჩნდა: არც ფული, არც ჯარი (თუ არ ჩავთვლით ლეკთა დაქირავებულ რაზმებს, რომლებიც ქვეყანას უფრო მეტ ზიანს აყენებდა ვიდრე სიკეთე მოჰქონდა), არც მომხრეები, გარდა თავისი ოჯახის წევრთა მონათესავე თავადთა მცირე ჯგუფისა; იგი მთლიანად რუსის ძალას ეყრდნობოდა და სურდა თუ არა რუ-სეთის მინისტრის ჭკუაზე უნდა ევლო. ქვეყანას არნახული დაშლა და გა-უკაცრიელება სპობდა.

ერეკლეს მიერ შემოღებული მემკვიდრეობის კანონის ახალი მეფის მიერ თვითნებურმა შეცვლამ მთელი პოლიტიკური ელიტა აღაშფოთა.

თავისთავად ეს კანონი საქართველოს გაერთიანების პერსპექტივას უკავშირდებოდა და შესაბამის დატვირთვას ატარებდა; მაგრამ თუ დამო-უკიდებლად განვიხილავთ, იურიდიული თვალსაზრისით, იგი იდეალური არ ყოფილა. ამდენად, მის შეცვლას რეგრესიულს ვერ ვუწოდებთ. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ერეკლეს მიერ შემოღებული კანონი, ქვეყნის (მათ შორის დასავლეთ საქართველოს) პოლიტიკურმა ელიტამ მიიღო და გაითავისა; ახლა კი, გიორგი XII-ის და რუსეთის ხელისუფლების ალიანსის საფუძველზე, ეს კანონი ფაქტობრივად ახალი კანონით კი არა, უკანონობით შეიცვალა, რადგან მას არავინ არ იზიარებდა და, შესაბამისად, მის გატარებას დიდი წინააღმდეგობა ელოდა.

ისედაც გაღიზიანებული ბატონიშვილები, თავისი მომხრეებით და მხარდამჭერებით თავიანთ საუფლისწულოებში ჩაიკეტნენ და გიორგის მეფედ და ბატონად არ მიიჩნევდნენ; დარეჯანი, ხომ ყოველგვარ ანტიგიორ-გისტურ მოქმედებათა ცენტრში იდგა.

ერთხელ ვთქვით და ეხლაც გვინდა გავიმეოროთ, რომ რუსეთის დიპლომატია შემთხვევით არაფერს აკეთებდა. იგი არც ერთ ნაბიჯს გაუ-აზრებლად არ დგამდა. როცა მემკვიდრეობის საკითხს წყვეტდა, მან კარ-გად იცოდა, ამას ქვეყანაში რა დაპირისპირება და არეულობა მოჰყვებოდა. ამგვარი ფინალი მის გეგმაში შედიოდა და მას აწყობდა. თუმცა, რო-გორც მოსალოდნელი იყო, თვითონ მემკვიდრეობის თაობაზე მიღებული თავისივე გადაწყვეტილების შესრულაბას არც აპირებდა.

ურთიერთობა ბატონიშვილებს შორის. სპარსეთის პოზიცია. ბატონიშვილები ყველანი ერთად გიორგის ებრძოდნენ, მაგრამ არც ერთმა-ნეთში ჰქონდათ სიამტკბილობა. ფარნაოზმა მირიანის (რომელიც რუსეთში იმყოფებოდა) წილხვედრი საუფლო მიითვისა და სურამში გამაგრდა; იულონი, რომელიც, ერეკლეს კანონით გიორგის მემკვიდრედ ითვლებოდა, შიდა ქართლში ბატონობდა და მომხრეებს იკრებდა, თუმცა სუსტი და უინიციატივო, იგი გიორგის ბევრად არ აღემატებოდა. სამაგიეროდ ენერ-გიით, ნიჭით, და ინიციატივით ხასიათდებოდა ვახტანგ ბატონიშვილი. იგი ძმებში, ალექსანდრე ბატონიშვილთან ერთად, არა მარტო ენთუზიაზმით, არამედ პატრიოტიზმით და თავდადებით გამოირჩეოდა. კრწანისის ომში შვილთაგან მხოლოდ ის ედგა გვერდით მოხუც ერეკლეს და გმირობას და მამაცობას ამჟღავნებდა. ახლა კი, დარეჯანთან ერთად, ის იყო გიორგის საწინააღმდეგო ოპოზიციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა.

საუფლისწულოების განაწილებით, ყველაზე მეტ უკმაყოფილებას ალექსანდრე გამოთქვამდა. მან ყაზახის გადაცემა მოითხოვა, რაზეც, სრულიად ბუნებრივია, უარი მიიღო. ეს უარი გახდა მიზეზი მის მიერ საქართველოს დატოვებისა, სპარსეთის საზღვრებში გადასვლისა, სადაც არეზის გაღმა აზერბაიჯანში მყოფმა ტახტის მემკვიდრემ, აბას მირზამ, ხელგაშლით მიიღო.

სპარსელთა თავდასხმის საშიშროება. ალექსანდრემ სპარსელები დაარწმუნა საქართველოში თავის დიდ გავლენაზე და, მომხრეთა ძლიერი პარტიის ყოლაზე, რაც სინამდვილესთან ახლოს იყო. ქვეშევრდომის საბოლოო დაკარგვის და აგრესორი მეზობლის გაჩენის საშიშროებით შეშფოთებულმა სპარსეთის შაჰმა ბაბა ხანმა, ალექსანდრე ბატონიშვილის მასთან ყოფნა

გამოიყენა და მისი თხოვნით საქართველოს საზღვარზე, გოგჩის ტბასთან ჯარების შეკრება ბრძანა, რათა შემდგომი მოქმედების თაობაზე მოეთათბირათ.

ივლისში ალექსანდრემ, შაჰის აქტივობით გულმოცემულმა, დარე-ჯანს აცნობა, რამდენიმე დღეში სპარსელთა ჯარი გოგჩასთან შეიკრიბება და, ღვთის დახმარებით, თბილისისკენ წამოვალთო.

ყველა პროირანული ძალა ამოქმედდა, რათა ქართლ-კახეთის მეფეს ზურგი შეექცია რუსებისთვის.

ფაქტობრივად, მთელი ეს მოძრაობა უფრო მუქარის და პანიკის დათესვის მიზანს ისახავდა, რადგან იმ დროს ბაბახანის ძალები საქართველოზე გამოლაშქრებისთვის მზად არ იყო. ამიტომ ირანის მბრძანებელმა ადვილად "დაიჯერა" რუსეთის დიპლომატიის რწმუნება, რომ მათი მცირერიცხოვანი რაზმი საქართველოში სპარსეთის საწინააღმდეგო აქციებს არ ითვალისწინებდა, თან ეს რწმუნება მდიდრული საჩუქრებით განამტკიცა.

მიუხედავად ამისა, თბილისში მაინც ჩამოვიდა სპარსეთის წარმომად-გენელი, რომელმაც შაჰის ფირმანები ჩამოიტანა, ხოლო ზეპირად, კოვალენსკის თანდასწრებით, მეფეს მორჩილება ურჩია და რეპრესიებითაც და-ემუქრა. კოვალენსკიმ სიტყვები არ დაიშურა იმის საჩვენებლად, რომ რუ-სული მხედრობა მზადაა მისი პროტექტს დასაცავად. მაგრამ გიორგი მა-ინც იძულებული იყო ომისთვის მზადება დაეწყო.

რაც მთავარია, აქციამ ის შედეგი გამოიღო, რომ მოსალოდნელი შემოსევის ცნობამ ხალხი შეაშფოთა და პანიკა დათესა. მოსახლეობას ქალაქის დატოვებაც კი უნდოდა, მაგრამ ლაზარევის რაზმებმა მათ გზა გადა-უკეტეს.

თავის მხრივ, სამეფოს დაცვის ორგანიზაციისთვის, რუსებმა საგანგებო საბჭო შექმნეს, რომელშიც იოანე ბატონიშვილიც შეიყვანეს.

გიორგიც და კოვალენსკიც დამატებითი ძალების გამოგზავნას ითხოვდნენ. პეტერბურგმა რეაქცია არ დააყოვნა, კავკასიის ხაზის უფროსს — კნორინგს შესაბამისი ინსტრუქცია გაეგზავნა და, საჭიროების შემთხვევაში, ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა დაევალა.

საბოლოოდ გაირკვა, რომ არაქსთან სპარსელებს 12000-იანი ცუდად შეიარაღებული, ჯარი ჰყავდათ, რომლის იმედითაც საქართველოზე შემოტევა შეუძლებელი იყო. მართალია, მათ დასახმარებლად ბატონიშვილები ემზადებოდნენ თავისი რაზმებით, იმერლები, ახალციხელებთან ერთად და სხვ. მაგრამ ცნობამ იმის შესახებ, რომ ხაზზე გულიაკოვის პოლკი მზადაა მოსალოდნელი ომის თეატრისკენ წამოსასვლელად, ყველაფერი, დროებით მაინც, დააშოშმინა.

რუსეთთან კავშირის გაღრმავება. სუვერენიტეტის დათმობა. როგორც აღვნიშნეთ, გიორგი XII, თავისივე სიტყვით, ჯერ კიდევ ერეკლეს სიცოცხლეში, იყო უკმაყოფილო 1783 წლის ტრაქტატის პირობებით და საჭიროდ მიიჩნევდა რუსეთისადმი მეტი მორჩილების და მეტი დამო-კიდებულებითი ურთიერთობის დამყარებას.

ახლა, როცა იგი მეფე გახდა, ეს განწყობილება მნიშვნელოვანწილად გაუძლიერდა, რადგან ყოველ წუთს და ყოველ ნაბიჯზე, გრძნობდა თავის ფიზიკურ უძლურებას და ხელისუფლების უსუსურობას. საქართველოში მყოფი რუსის ჯარის მეთაურის სიტყვით "მას არავინ ყურს არ უგდებდა და მის განკარგულებას არავინ ასრულებდა".

გიორგი თავისი ბუნებით, ცხადია, ქვეყნისთვის შეუფერებელი მო-ნარქი იყო, მაგრამ თუკი მის შემდეგ ტახტის გადაცემა, ერეკლეს ანდერძის მიხედვით მოხდებოდა, ქვეყნისთვის უკეთესობისაკენ ცოტა რამ თუ შეიცვლებოდა, რადგან დედის კალთას გამოკერებული, სუსტი და უუნარო იულონი, რომელსაც გიორგის ადგილი უნდა დაეჭირა, არაფრით მას არ სჯობდა.

გიორგის ვაჟიშვილები, დავით და იოანე, შეიძლება დროთა განმავლობაში, ღირსეულ მმართველებად ჩამოყალიბებულიყვნენ, მაგრამ ამ შეცვლას, რუსების ძალდატანების გარეშე არავინ არ მიიღებდა, რუსები კი ამას არ დაუშვებდნენ, რადგან იგი მათ გეგმებს ეწინააღმდეგებოდა. არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა, ან შეიძლება გარკვეულად სახეს უცვლიდა (კონფედერაცია, უნიტარული საქართველოს მაგიერ) ერეკლეს გეგმას.

უბედურება ის არის, რომ არც გიორგი და არც მისი პერსპექტიული შემცვლელი იულონი, სახელმწიფოებრივი აზროვნების პიროვნებები არ ყოფილან, რომ ქვეყნის ინტერესების სასიკეთოდ საკუთარი სურვილები შეეზღუდათ (როგორც ეს ერეკლემ და სოლომონმა გააკეთეს, როცა გაერთიანებული საქართველოს მეთაურობა ახალგაზრდა დავით არჩილის ძეს განუწესეს).

ახლა, ქვეყანაში დამყარებული ურთულესი ვითარების გამო, საჭირო იყო გარკვეული ხნით გაძლება, პოლიტიკური ერთეულის, სამეფოს, შე-ნარჩუნება იმ იმედით, რომ მომავალში გამოჩნდებოდა პიროვნება, ქართულ გენში ასეთი პოტენცია არსებობდა, რომელიც მოახერხებდა ქვეყნის სადავეების ხელში აღებას და მის ფეხზე წამოყენებას.

ასეთ იმედებს ისევ დავით არჩილის ძე (სოლომონ II) იძლეოდა, იგი ამისთვის ნიადაგსაც ამზადებდა (დასავლეთ საქართველოს გაერთიანების ცდა, აღმოსავლეთ საქართველოში პოზიციის გაძლიერება).

როგორც აღნიშნული იყო, საფიქრებელია, რომ ტახტის მემკვიდრეობის კანონი, ისევე როგორც კანონი საუფლისწულოების შესახებ ერეკლემ იმისთვისაც შემოიღო რომ მის შვილიშვილს, — დავით არჩილის ძეს ორი სამეფოს გაერთიანება გაადვილებოდა.

მართალია მოვლენათა განვითარების გამო, სადაც გადამწყვეტი როლი რუსეთის ვერაგულმა პოლიტიკამ შეასრულა, ერეკლეს გეგმა ვერ განხორციელდა, მაგრამ არსებობდა მეორე ვარიანტიც, უნიტარული საქართველოს მაგივრად დასაწყისისთვის ფედერაციული საქართველოს სამეფოს შექმნისა.

მაგრამ ასეთ დასასრულს რუსეთი, რომელიც თავისი დადგმული სპექტაკლის უკანასკნელი აქტის გასათამაშებლად ემზადებოდა, არ დაუშვებდა.

ასეთი პერსპექტივა მიუღებელი იყო გიორგისთვისაც, რასაც იგი ხვდებოდა თუ გრძნობდა. ამით უნდა აიხსნას მისი აშკარად, გამორჩეულად, ნეგატიური დამოკიდებულება იმერეთის მეფისადმი.

არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი გეგმის არსებობის ცოდნაც იყო ერთ-ერთი საფუძველი იმ სრულიად დამღუპველი ნაბიჯისა, რომელიც ქართულმა დიპლომატიამ, ცხადია გიორგი XII კარნახით გადადგა.

ახალი ხელშეკრულება რუსეთსა და საქართველოს შორის. 1799 წლის 7 სექტემბერს გიორგიმ თავის ელჩს რუსეთთან ახალი ურთი-ერთობის დამყარება დაავალა, რომლის ძალითაც სამეფო მთლიანად უნდა გადასცემოდა რუსეთის იმპერატორს, საქართველო კი მასში გუბერნიის უფლებებით შესულიყო ერთადერთი მოთხოვნით, რომ პავლე პირველს მიეცა წერილობითი გარანტია გიორგის და მისი შთამომავლებისთვის მეფის ტიტულის შენარჩუნებაზე. თუმცა გიორგი XII შესაბამის ნოტაში ირწმუნებოდა, რომ ამგვარი განზრახვა მას ჯერ კიდევ ერეკლეს სიცოცხლე-ში ჰქონდა, მაგრამ ამას ვერ ამჟღავნებდა, ვიდრე მეფობა არ მიიღო, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც გვაეჭვებს რომ ეს ნაბიჯი ახალმა მეფემ რუსეთის უშუალო კარნახით გადადგა მტრის მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში რუსეთიდან ჯარების მიღების გარანტიით. ამგვარი ეჭვის საფუძველს ის ჰქმნის, რომ 7 ნოემბერს დაწერილი ნოტის საფუძველზე, იმავე წლის 23 ნოემბერს უკვე შემუშავებული იყო პავლე იმპერატორისა და გიორგი მეფეს შორის ახალი ტრაქტატი. ასეთი ელვისებური სისწრაფე იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთში შესაბამისი დოკუმენტის ტექ-სტი უკვე გამზადებული ჰქონდათ და მხოლოდ გიორგის მიერ ნოტის ხელმოწერას ელოდნენ.

ახალი ტრაქტატით, რუსეთის იმპერატორი იღებდა საქართველოს მეფის ტიტულს. სამეფოს მმართველად ინიშნებოდა სამეფო სახლის ერთი წევრთაგანი, იმპერატორის მოადგილის ხარისხით, ადგილობრივ საქართველოში კი მეფის ტიტულით, რომელიც მემკვიდრეობით გიორგი XII გვარეულობაში უნდა დარჩენილიყო. დავითი ცხადდებოდა მემკვიდრედ. საქართველოს მმართველთან (მეფესთან) თანაშემწედ უნდა განწესებულიყო რუსეთის დიდი მოხელე, რომელიც ქვეყნის მართვა-გამგეობას რუსეთის კანონების და პეტერბურგიდან მიღებული ბრძანებების მიხედვით მოაწყობდა. მეფეს ენიშნებოდა ჯამაგირი და რუსეთში გამოეყოფოდა სოფლები, სამეფოს მთელი შემოსავალი კი გადადიოდა რუსეთის განკარგულება-ში. მოსახლეობა 12 წლის განმავლობაში თავისუფლდებოდა გადასახადებისგან, ქართლ-კახეთში დადგებოდა 6000-იანი რუსის ჯარი. თბილისში მოიჭრებოდა ფული რომელიც ერთ მხარეს რუსული ნიშნებით იქნებოდა შემკული, მეორე მხარეს, ქართულით და სხვ.

აღნიშნული ტრაქტატის მუხლების სრული კომენტირება აუცილებელი არ არის. ფაქტია, რომ საქართველო ყველა თავის სახელმწიფოებრივ პრეროგატივას, ფაქტობრივად, ჰკარგავდა, იტოვებდა მხოლოდ სამეფო ოჯახის მატერიალური და მორალური ამბიციების ზოგიერთ კომპონენტს.

ახალი ხელშეკრულება რუსეთთან და საზოგადოებრივი აზრი. სამეფო კარზე შემუშავებულ ნოტაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთთან ახლებური დამოკიდებულების მსურველია ქვეყნის

როგორც სასულიერო, ისე საერო ნაწილი. ეს განცხადება აშკარად არასწორია, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მომზადება უმკაცრესად გასაიდუმლოებული არ იქნებოდა, ისე რომ, თვით ტახტის მემკვიდრის დავით გიორგისძისთვისაც იგი ბოლო წუთამდე უცნობი იყო. გადმოგვცემენ, როცა მას აღნიშნული დოკუმენტები გააცნეს, გაოგნებულმა ესღა წამოიძახა "მამაჩვენმა ყელში დანა გამოგვისვაო".

ერთადერთი, ვინც გულწრფელად მიესალმებოდა რუსეთთან მჭიდრო კავშირს, ქართული სუვერენიტეტის სრულ მოსპობას, ქვეყნის ძლიერი სომხური (ვაჭრული) დიასპორა იყო. მას ამგვარი მისწრაფების ობიექტური მიზეზი ჰქონდა, თუნდაც ის, რომ რუსი და საქართველოს ვაჭრები (ისევე როგორც სხვა წოდებებიც) უფლებრივად თანასწორდებოდნენ, ამ მუხლის მოქმედება ვაჭართა ფენას მნიშვნელოვან შეღავათებს უქმნიდა.

ქართლ-კახეთის ახალი მეფის გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული, ეგოისტური ნაბიჯი იყო. მაგრამ იგი ვითარების შემოტრიალების თუნდაც უმცირეს შანსს მაინც ტოვებდა. ამის ნიშნად შეიძლება გამოდგეს მეფის ტიტულისა და ინვესტიტურის ნიშნების შენარჩუნება, ფულის მოჭრის უფლება, თუმცა ორმაგი ნიშნებით და, რაც მთავარია, უფლებების შენარჩუნების მოთხოვნა განჯისა და ერევ-ნის სახანოებზე.

სხვა საკითხია, რომ რუსეთს ამგვარი ხვრელების დატოვება გეგმაში არ ჰქონდა, იგი აღნიშნულ ტრაქტატს განიხილავდა, როგორც უკანასკნელ ნაბიჯს საქართველოს სრული ინკორპორაციის გზაზე.

ქვეყანაში შექმნილი ვითარება. ამასობაში საქართველოში დაძაბული ურთიერთობა სუფევდა და შეშფოთებული ხალხი 1795 წლის განმეორებას ელოდა. ცნობილი გახდა, რომ ირანის ახალი შაჰი, ბაბა ხანი, მასთან შეფარებული ალექსანდრე ბატონიშვილის წაქეზებით, გეგმავდა გამო-ეყენებინა საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარება, მოსახლეობის უკმაყოფილება და აქ სპარსთა ბატონობა აღედგინა.

შექმნილ სირთულეებს კიდევ უფრო აძლიერებდა ლეკთა და სხვა მთიელ ფეოდალთა შემოტევები, რომლებიც, აღმკვეთი ღონისძიებების სი-სუსტის გამო, კიდევ უფრო გათავხედდნენ. ქვეყანაში სოციალური ბალან-სი აირია: ბატონიშვილები თავიანთ საუფლისწულოებში თავადებსა და აზნაურებს ავიწროვებდნენ, მამულებს სტაცებდნენ და სხვ. უკანასკნელნი დაკარგულის ანაზღაურებას გლეხების ხარჯზე ცდილობდნენ და ყველაფერს მათ აზღვევინებდნენ. ამის გამო, სოციალური ბრძოლები გახშირდა და გამრავალფეროვანდა: ამბოხება, აყრა, გადაკარგვა და ა. შ. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ქვეყანა მშრომელი მოსახლეობისაგან თანდათან იცლებოდა. ხალხს სამშობლოში ცხოვრების უფლება დაეხშო.

შექმნილ ვითარებას ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები განაპირობებდა, მაგრამ ამ ფაქტორებში, რუსების მიერ გატარებულ პოლიტიკა-საც მნიშვნელოვანი წვლილი ედო. ფაქტი ის არის, რომ რუსებს საქართველოში ეს ვითარება აწყობდათ, ამას ისინი წლების განმავლობაში მეთოდურად ჰქმნდნენ და, როგორც ვნახავთ, თავისი საბოლოო მიზნის მიღწევაში მოხერხებულად გამოიყენეს.

რუსის ჯარის აქტიურმა მოძრაობამ და თავისი მდგომარეობის სი-სუსტემ ბაბა ხანს საქართველოზე თავდასხმაზე ხელი ააღებინა, მაგრამ ეს დროებითი შეფერხება იყო. ქართველებს დიდი ხნით მოსვენება არ ეწერათ.

მჭადიჯვრის (ნიახურას) ომი. ბაბა ხანის ორგანიზებულ თავდასხმაში ომარ ხანის ლაშქრის მონაწილეობაც იგეგმებოდა. სპარსელებმა რუ-სებთან დაპირისპირებას თავი რომ აარიდეს, ამით საქმე არ დაუმთავრები-ათ. ისინი ახლა ომარ ხანს ამზადებდნენ და შესაბამის დახმარებას აღუთქვამდნენ.

საქართველოში შექმნილი უმძიმესი ვითარება ავარიის ხანმა ზედმიწევნით ხელსაყრელ დროდ მიიჩნია მისი ძველთაძველი ოცნების, ქართლ-კახეთის სამეფოს საბოლოოდ დასამარცხებლად. ამჯერად მისი შანსები გაცილებით მეტი იყო, რადგან გარდა სპარსეთის, ოსმალეთის ხელისუფლების მხარდაჭერისა და აზერბაიჯანის ბევრი სახანოს აშკარა თანაგრძნობისა, მას ქართველი ბატონიშვილების ერთი ნაწილიც ეხმარებოდა, ხოლო დაღესტნის ხალხები მას წინამძღოლად მიიჩნევდნენ და თითქმის ბრმად ემორჩილებოდნენ.

საბუთების უქონლობის გამო ძნელი წარმოსადგენია რაზე ამყარებდნენ იმედებს ეს ძალები. ბაბა ხანის საქმიდან გასვლა ცხადია შემთხვევით არ მომხდარა. მან წამოწყების უპერსპექტივობა გათვალა.

რაკი დანარჩენმა მონაწილეებმა ბრძოლის შეწყვეტა არ ისურვეს, ჩანს, მათ რაღაც საპირისპირო მოსაზრება ჰქონდათ. იქნებ ისინი ვარაუდობდნენ რომ რუსეთის არცთუ მრავალრიცხოვანი ძალები, ყოველი მხრიდან შემოსევების შიშით ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში გაფანტულები, რომ იყვნენ, საქართველოს ბედის მიმართ ისეთივე გულგრილობას გამოიჩენდნენ, როგორიც ადრეც არაერთხელ გამოუჩენიათ.

მაგრამ რუსულ უფროსობაში ახლა სულ სხვა განწყობილება სუფევდა. ცენტრში საქართველოს საკითხი გადაწყვეტილი იყო, მას თავისად მი-იჩნევდნენ და მის განადგურებას აღარ დაუშვებდნენ. ამ ხანებში ბაბა ხა-ნის მოსალოდნელი შემოსევის პასუხად თბილისში (1800 წ. 23 სექტემბერს) კიდევ ერთი პოლკი შემოვიდა გენერალ გულიაკოვის მეთაურობით.

ომარ ხანმა, სწორედ ამ ხანებში, რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო და მისი მოქმედება თითქოს გაუგებარი ჩანდა, მაგრამ აშკარაა, რომ მიღებული ქვეშევრდომობა მოჩვენებითი იყო. რუსეთის ხელმძღვანელობასთან კი თავის მოქმედებას იმით ამართლებდა, რომ ალექსანდრე მისი სტუმარია, ხოლო სტუმრის დახმარება კავკასიელთა კანონიაო. სხვა ადგილს იგი ალექსანდრეს თავის მფარველობაში მყოფად ასახელებდა, რასაკვირველია, ამგვარი ახსნის არავის სჯეროდა, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლიდა.

ავართა ხანი ენერგიულად მოქმედებდა, ჩქარა იგი ალაზანს მოადგა, სადაც მას ალექსანდრე ბატონიშვილიც შეუერთდა, რომელმაც შუშაში ბაბა ხანის ბანაკი დატოვა. არ არის გამორიცხული, რომ მოკავშირეთა შეთანხმებით პირველი წარმატების შემთხვევაში, ბაბა ხანი კვლავ საქმეში ჩაერეოდა.

რუსთა ლაშქარი 3000 მდე მებრძოლს ითვლიდა, რომელთაგან 1000ზე ცოტა მეტი რუსი იყო, დანარჩენი ქართველი (კახელები). მათ იოანე და ბაგრატ ბატონიშვილები და გენერალი ლაზარევი მეთაურობდა.

მოწინააღმდეგეთა რაოდენობის დადგენა ძნელდება, რადგან წყაროები სხვადასხვა რიცხვს ასახელებენ: 10, 15, 17 და მეტი ათასიც კი.

ომარ ხანის რაზმებმა ალაზანი გადალახეს, ერთხანს ყარაღაჯში შე-ჩერდნენ. მერე კი საგარეჯოსკენ აიღეს გეზი, სადაც მათ ვახტანგ და იულონ ბატონიშვილები უნდა შეერთებოდნენ.

რუსქართველთა ლაშქარი მტერს უკან დაედევნა და კაკაბეთთან და-ეწია. უცნობია, მოასწრეს თუ არა კოალიციურ ლაშქართან შეერთება ვახტანგ და იულონ ბატონიშვილმა. ფაქტი ისაა, რომ კაკაბეთთან, ნიახურას ველზე გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელიც 3 საათს გაგრძელდა და ომარ ხანის კოალიციის სრული მარცხით დამთავრდა.

დამარცხებულმა ლეკებმა ბრძოლის ველზე უამრავი თანამოძმე დატოვეს და გაქცევით უშველეს თავს. მათმა ერთმა ნაწილმა განჯის დალაშქვრა განიზრახა, მაგრამ ჯავად ხანისაგან, აქაც სერიოზული წინააღმდეგობა იწვნია და ყარაბაღში გადავიდა.

ომარ ხანი კი თავის მხლებლებით დაღესტანში დაბრუნდა, სადაც ჩქარა, საქართველოს ამ მოსისხლე მტერმა სული განუტევა (1801 წლის მარტში).

ამ კოალიციური ლაშქრობის დამარცხება მომაკვდინებელი დარტყმა იყო საქართველოს ანტირუსულ მოძრაობაზე. აშკარად გამოჩნდა, რომ გი-ორგის საწინააღმდეგო მოძრაობას, რომელიც ობიექტურად, რუსეთს დაუ-პირისპირდა, ფაქტობრივად არავითარი სერიოზული ძალა არ გააჩნდა.

გიორგი მეფის უკანასკნელი დღეები. ნოემბრის დასაწისში საქართველოს წარმომადგენლები გ. ავალიშვილი, ე. ფალავანდიშვილი და გ. ჭავჭავაძე პეტერბურგში ჩავიდნენ. ამ დროს გიორგის მდგომარეობა იმდე-ნად მძიმე იყო, რომ მისი გამოჯანმრთელების იმედი ექიმებს დიდი ხნის დაკარგული ჰქონდათ. ხოლო მუსინ პუშკინი, რომელმაც ავადმყოფი მეფე მოინახულა, მიიჩნევდა, რომ იგი გაზაფხულამდე ვერ გაატანდა.

საქართველოს ყველა ძალა თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას რუსეთში ცდილობდა. მეფის ძმები, მაგალითად შიშობდნენ, რომ გიორგი მანამდე არ მომკვდარიყო, ვიდრე არ მიიღებდნენ პასუხს იმპერატორისადმი გაგზავნილ წერილებზე, რომელშიც ისინი თავიანთ უფლებებს ასაბუთებდნენ და ითხოვდნენ ტახტზე არ დაეშვათ დავით გიორგის ძე. რო-გორც ქვევით დავინახავთ იმპერატორმა შეასრულა ბატონიშვილების ეს თხოვნა, მაგრამ არა მათი, არამედ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით.

საიმპერატორო კარის განწყობა მნიშვნელოვნად განამტკიცა საქართველოში მადნების შესწავლისთვის მოვლინებულმა მუსინ პუშკინმა; იგი იმ-პერატორისადმი მიწერილ თავის პატაკში ასაბუთებდა, საქართველოს უაღრესად დიდ მნიშვნელობას, პოლიტიკური, სტრატეგიული და მატერიალური თვალსაზრისით და ურჩევდა მისი შემოერთების საქმე მეფის

სიცოცხლეში გადაეწყვიტა. “ის, რაც მის სიცოცხლეში კალმის ერთი მოსმით შეიძლება გადაწყდეს, მის მემკვიდრეთა დროს უეჭველად შრომად და სისხლად დაჯდება” — წერდა იგი.

საქართველოს წარმომადგენლებს რუსეთში ყველა საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლება ჰქონდათ მინიჭებული, გიორგი XII ოჯახში მეფის ტიტულის შენარჩუნების პირობით.

ქართველ ელჩებთან მოლაპარაკება გრაფ როსტოფჩინს და ს. ლაშქრიოვს დაევალა. როგორც ჩანს, ქართველთა პირობები, რომელიც ზოგადად თითქოს მოიწონეს, რუსეთის დიპლომატიას ბოლომდე მაინც არ აწყობდა. ამის გამო, მიუხედავად სიჩქარისა (ყველაფერი რომ მეფის სიცოცხლეში გადაწყვეტილიყო), ლაშქარიოვის მეშვეობით ქართველ წარმომად-გენლებს გამოუცხადეს, რომ მეფის ყველა თხოვნას მხოლოდ მაშინ დააკმაყოფილებდნენ, როდესაც მათი ორი წარმომადგენელი საქართველოში დაბრუნდება, მეფეს და ხალხს რუსეთის თანხმობას გააცნობს და ქართველები სიგელით, მეორედ დაადასტურებენ თავიანთ სურვილს, შევიდნენ რუსეთის ქვეშევრდომობაში. ახალ პროექტში ერთი “პატარა” ცვლილება მაინც იყო: იქ, გვერდი ჰქონდა ავლილი დავითის ტახტზე ასვლას და გი-ორგის გვარში მეფობის ტიტულის შენარჩუნებას.

ამავე დროს, კნორინგმა (კავკასიის ხაზის უფროსმა) მიიღო ბრძანება, რომ მეფის სიკვდილის შემთხვევაში არ დაეშვა ტახტის ვინმეს მიერ დაკავება. გენერალი ბრძანების შესაბამისად იქცეოდა და საქართველოში ახალი სამხედრო ძალები გააგზავნა.

ავალიშვილი და ფალავანდიშვილი სასწრაფოდ საქართველოსკენ გამოეშურნენ, რათა მეფისგან ახალი თხოვნის სიგელი მიეღოთ, რომელიც, რუსეთის პირობების მოწონების შემთხვევაში, თავის ხელმოწერით უნდა დაემტკიცებინა და მათივე ხელით, რომლებიც ელჩებად უნდა წოდებულიყვნენ, პეტერბურგში გაეგზავნა.

კავკასიის ხაზზე ელჩები ჯერ კიდევ 23 დეკემბერს, გიორგის სიცოცხლეში მოვიდნენ, მაგრამ ლარსს რომ მიაღწიეს, მეფის გარდაცვალების ამბავი შეიტყვეს და იქვე აცნობეს, რომ ვახტანგ ბატონიშვილს დარიალის გზა გადაეკეტა და არცერთ ქართველს თბილისში არ უშვებდა. ელჩები იძულებულნი იყვნენ კნორინგთან დაბრუნებულიყვნენ.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების დასრულება. მანამდე, 22 დეკემბერს პეტერბურგში შეიკრიბა სახელმწიფო საბჭო, რომელმაც საქართველოს შეერთების გადაწყვეტილება მიიღო. პავლე არ დაელოდა ელჩების ჩამოსვლას, კნორინგს გაუგზავნა ბრძანება, რომლითაც მიღებულ გადაწყვეტილებას აცნობებდა და თან აფრთხილებდა, რომ იგი მხოლოდ მეფის გარდაცვალების შემდეგ გამოექვეყნებინა.

გენერალმა ლაზარევმა მეფის გარდაცვალებისთანავე ენერგიული ღონისძიებები განახორციელა: დავითის მეშვეობით თბილისში ყველა იქ მყოფი დიდებული შეკრიბა და გამოუცხადა პავლეს მითითება, რომ ტახტზე, პეტერბურგიდან ბრძანების მიღებამდე, არავინ არ აეყვანათ. შემდეგ შეად-გინა ქვეყნის დროებითი მმართველობა, რომელშიც ქიშპის თავიდან აცილების მიზნით მეფობის არც ერთი პრეტენდენტი არც დავითი და არც იულონი არ შეიყვანა

და მიიწვია იოანე ბატონიშვილი. თუმცა მოგვიანებით დავითმა მაინც მოახერხა არა თუ მმართველობაში შესვლა, არამედ გამგებლობის მიღებაც.

პეტერბურგში უხერხული სიტუაცია შეიქმნა, დაწყობილი გეგმის მიხედვით, შეერთების გადაწყვეტილება მას შემდეგ უნდა მიღებულიყო, როცა გიორგისგან ცენტრიდან შეთავაზებული პროექტის მიხედვით შედ-გენილ თხოვნას მიიღებდნენ; ახლა კი საკითხი ყოველგვარი დოკუმენტის გარშე გადაწყვიტეს, რადგან ძველი დაწუნებული იყო, ახალი კი არ არსებობდა და არც არასოდეს იარსებებდა, რადგან ხელის მომწერი ცოცხალი აღარ იყო.

კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა კნორინგი: მას ცენტრიდან მიღებული მითითების შესაბამისად, მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების თაობაზე მაშინ უნდა გამოექვეყნებინა, როცა ელჩები დაბრუნდებოდნენ და პავლეს მანიფესტს ჩამოიტანდნენ. ელჩები კი ჯერ თბილისში უნდა ჩამოსულიყვნენ, შესაბამისი თხოვნა პეტერბურგში მიეტანათ და მხოლოდ შემდეგ დაბრუნებულიყვნენ მანიფესტით.

კნორინგი, ერთგვარად, მდგომარეობიდან გამოიყვანა პეტერბურგის კაბინეტის გადაწყვეტილებამ იმის შესახებ, რომ ვინაიდან, საკითხის გადადება აღარ შეიძლებოდა მანიფესტი წინაწარ დაგეგმილ ყოველგვარ ფორმალობათა გარეშე უნდა გამოქვეყნებულიყო. მართლაც 1801 წლის 18 იანვარს რუსეთის დედაქალაქში გამოქვეყნდა მანიფესტი საქართველოს შეერთების თაობაზე.

ამასთან პავლემ, რაკი მეფე ცოცხალი აღარ იყო, საჭიროდ მიიჩნია თბილისიდან, თუნდაც დაგვიანებით, ჩამოსულიყო დელეგაცია ან დეპუტაცია, რომელიც ჩამოიტანდა დოკუმენტს, სადაც დაფიქსირებული იქნებოდა ქართველთა რუსეთისადმი კეთილგანწყობა და შეერთების სურვილი.

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების თაობაზე პავლე I მა-ნიფესტის გამოცხადება. 1801 წლის 16 თებერვალს, ლაზარევის მოწოდებით, თბილისის მცხოვრებნი საღმრთო ლიტურგიის მოსასმენად სიონის ტაძარში შეიკრიბნენ. ლიტურგიის დამთავრების შემდეგ ლაზარევმა გამო-აცხადა მათი შეკრების ნამდვილი მიზეზი — წაკითხული იქნა საქართველოს რუსეთთან შეერთების 18 დეკემბრის მანიფესტი, როგორც ჩანს, აქ მეფობის ფორმალური შენარჩუნების უარყოფაზე არაფერი თქმულა, წინა-აღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი იქნებოდა მომდევნო ხანებში დავით ბატონიშვილის აქტივობა რუსეთის სასარგებლოდ. ბედის ირონიით თუ კა-ნონზომიერად, თავადაზნაურთა ამ თავყრილობას გიორგი XII ცხედარიც ესწრებოდა, რომელიც სიონის ტაძარში იყო დასვენებული და დედოფალი მარიამის სურვილის შესაბამისად მხოლოდ 20 თებერვალს მიაბარეს მიწას.

დავით ბატონიშვილი რუსთა საქციელში რაღაც ცვლილებებს კი გრძნობდა, მაგრამ მას არასწორ ახსნას აძლევდა. მაგალითად იგი შიშობდა, რომ შეიძლება რუსებს განზრახვა ჰქონოდათ, ტახტი იულონისთვის მიეცათ, ამიტომ პირად საუბარში იგი ლაზარევს აფრთხილებდა თუ ასე მოხდა მე თურქეთში გადავალო.

ამავე დროს პავლე პირველმა, შეიძლება როსტოფჩინისა და ლაშქარიოვის რჩევით, მიიღო მეტად ვერაგული და ჭკვიანური გადაწყვეტილება: საიმპერატორო ხელისუფლებამ

მიზანშეწონილად ჩათვალა ქვეყანაში თავის ძირითად დასაყრდენად დავით გიორგის ძე გამოეყენებინა, ამიტომ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ მას ტახტის მიღების იმედი არ განელებოდა.

იმპერატორის სახელით გარსევან ჭავჭავაძეს, რომელიც პეტერბურგში დარჩა, და, ცხადია, გამოქვეყნებული მანიფეტის შინაარსს იცნობდა, გრაფმა როსტოფჩინმა განუცხადა, რომ იმპერატორი მოწყალების სახით მზადაა მეფის სახლის ერთი უფროსი წარმომადგენელი დანიშნოს საქართველოს მმართველად ან მეფედ, იმ პირობით, რომ იგი მუდმივ წარმომადგენლად იყოლიებს რუსეთის ერთ დიდმოხელეს.

სხვა პროექტით, რომელიც პირადად პავლეს აპარტამენტში დაიწერა გათვალისწინებული იყო საქართველო გამოცხადებულიყო გუბერნიად, ხოლო გუბერნატორად სამეფო სახლის ერთ-ერთი წარმომადგენელი და-ნიშნულიყო.

მაგრამ ყველაფერ ამას აბათილებდა აქვე მიღებული გადაწყვეტილება, სამეფო სახლის ყველა წარმომადგენლის რუსეთში გადასახლების შესახებ.

იმპერატორი შემთხვევას არ უშვებდა, თავისი კეთილი დამოკიდებულება ეჩვენებინა ქართველებისთვის, ჯილდოებით თუ სხვა სახით. დავით ბატონიშვილმა პირადად მიიღო პავლე პირველის წერილი მფარველობის შესახებ.

დავითი ისე იქცეოდა, როგორც მომავალი მეფე, და ძალებს არ ზო-გავდა ქართველ დიდებულთა რუსთა სასარგებლოდ განსაწყობად. უკანას-კნელნი კი ჯილდოებს და წოდებებს ჰპირდებოდა იმ წარჩინებულებს, რომლებიც საიმპერატორო კარის ერთგულებას დაადასტურებდნენ.

დავით ბატონიშვილი დამპყრობთა სამსახურში. ასეთ ვითარებაში, რუსეთის და დავით ბატონიშვილის პარტიის ინტერესები გაერთიანდნენ და საკმაოდ საგულისხმო ძალა შექმნეს. მათ კვლავ გიორგის ძმების — ბატონიშვილების და დარეჯან დედოფლის მომხრეები უპირისპირდებოდნენ. ორივე მხარე დროს არ კარგავდა და ყველა საშუალებით: მოსყიდვით, დაშინებით, შთაგონებით, თუ სხვა ზომებით, მომხრეებს იმრავლებდა.

ამრიგად, რუსეთის დიპლომატიამ მოახერხა დაპირისპირება და ბრძოლა ქართულ უმაღლეს წრეებში კიდევ უფრო გაეღრმავებინა და ერის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, მოტყუებით და ცბიერებით, საკუთარ სამსახურში ჩაეყენებინა.

იანვარში ელჩები, როგორც იქნა, თბილისში ჩამოვიდნენ. მათ ჩამოსვლასთან დაკავშირებით, გეგმისამებრ, იმართებოდა ყველა წოდებისა და ფენის წარმომადგენლების შეკრებები რუსეთთან შეერთების მხარდასაჭერად. ოპოზიციურმა ძალებმა, არა თუ თვითონ არ მიიღეს მონაწილეობა ამ თათბირებში, არამედ ყველა საშუალება იხმარეს, მათ გავლენაში მყოფი ფეოდალები იქ არ გამოჩენილიყვნენ. ამ ძალისხმევამ მათთვის უარყოფითი შედეგი გამოიღო, რადგან თათბირებს მხოლოდ დავით ბატონიშვილის (და შესაბამისად რუსეთის) მომხრეები ესწრებოდნენ და, ვინაიდან არავითარი ქვორუმის პრობლემა იქ არ შეიძლება მდგარიყო, გადაწყვეტილებებიც

მათთვის სასურველი ფიქსირდებოდა. ამის შედეგად, თბილისში თავადაზნაურობამ, სასულიერო წოდებამ და ხალხის წარმომადგენლებმა მიიღეს ერთსულოვანი გადაწყვეტილება, რომ გაეგზავნათ პეტერბურგში გ. ავალიშვილი და ე. ფალავანდიშვილი ერთადერთი უწყებით (განცხადებით), რომ სურვილი აქვთ შევიდნენ რუსეთის ქვეშევრდომობაში (რო-გორც ვხედავთ მეფობის გაუქმებაზე და სხვა შეზღუდვებზე საუბარი არ ყოფილა).

ლაზარევის სახლში კი სისტემატურად იკრიბებოდნენ სასულიერო წოდების წარმომადგენლები, თავადები და მოქალაქეები, და ხელს აწერდნენ მადლობის წერილს იმპერატორ პავლესადმი (თუმცა ფაქტობრივად არც კი იცოდნენ რისთვის უხდიდნენ მადლობას ამ პიროვნებას).

18 იანვარს, ელჩები თბილისიდან გავიდნენ. 7 თებერვალს კი მოზდოკიდან კურსი პეტერბურგისაკენ აიღეს. მათ მიჰქონდათ სხვადასხვა წოდებების მადლობის წერილები და აგრეთვე დავით ბატონიშვილის განცხადებაც, რომ იგი თვითონ და თავისი სამეფოს სახელით ერთხელ და სამუდამოდ იღებდა რუსეთის ქვეშევრდომობას. მოტყუებულ, მიამიტ, ბატონიშვილს ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ იგი სამეფოს მფლობელი იყო.

წერილების გაგზავნას და საერთოდ დასახულ განწყობილებას, სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ დაპირისპირებული ბანაკის წარმომადგენლები. მათ მიიჩნიეს, რომ დადგა გადამწყვეტი მომენტი და შეეცადნენ ანტირუსული, კოალიციური აჯანყება მოეწყოთ, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიეღო სპარსეთის წარმომადგენლებს, ალექსანდრე ბატონიშვილის მომხრეებს, განჯის და შამახიის ხანებს, იმერეთს, ახალციხის საფაშოს და, რა თქმა უნდა, ერეკლეს ანდერძის, უკანასკნელი ბრძანებულებების ერთგულთ, ანუ ბატონიშვილთა მრავალრიცხოვან მომხრეებს. მაგრამ რუსის ჯარის სიმრავლემ და ორგანიზებულობამ, აგრეთვე ოპოზიციის დაქსაქსულობამ და შეუთანმხებლობამ, ეს წამოწყება ჩაშალა. ბატონიშვილებს რუ-სების მხრიდან დაპატიმრების საშიშროება დაემუქრათ და ისინი იმერეთ-ში გადავიდნენ.

ამასობაში პავლე პირველი გულმოდგინედ ემზადებოდა დეპუტაცი-ის მისაღებად. მას სურდა ეს სპექტაკლი განსაკუთრებული პომპეზურობით მოეწყო და მთელი სამყაროსთვის ეჩვენებინა საქართველოს შეერთების “ნებაყოფლობითობა”. მაგრამ, ბედის ირონიით, იგი მანმდე გამოა-სალმეს სიცოცხლეს, ვიდრე ელჩები პეტერბურგს მიაღწევდნენ.

მიუხედავად ყველაფრისა, რუსული ბიუროკრატია დროს არ კარგავდა: სენატის 1801 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით, საქართველო გუბერ-ნიად გამოაცხადეს და ამ სახით შეიყვანეს რუსეთის შემადგენლობაში.

ახალი იმპერატორის მოჩვენეითი ლიბერალიზმი და “სამართლიანობა”. 1801 წლის 12 მაისს ქართველი ელჩები, სოლიდურ დეპუტაციასთან ერთად, პეტერბურგში ჩავიდნენ. იმპერიას უკვე ახალი იმპერატორი განაგებდა.

საქართველოს საკითხი იყო ერთ-ერთი პირველი დიდი გადაწყვეტილება, რომელიც ახალმა ხელმწიფემ მიიღო.

სახელოვანი დიდედის, ეკატერინე II კარზე გაზრდილი ახალგაზრდა ალექსანდრე, სახელმწიფოს მეთაურად ახირებული და დესპოტი მამის წი-ნააღმდეგ სასახლის გადატრიალების შედეგად, ლიბერლიზმის და რეფორმების ტალღაზე მოვიდა, და ცდილობდა ეს იმიჯი საქართველოსთან დამოკიდებულებაშიც ეჩვენებინა.

ქართლ-კახეთის სამეფო მას რუსეთთან შეერთებული დახვდა, თუმცა აშკარად ეს აქტი ორივე მხარის ინტერესების შესაბამისად არ განხორციელებულა. საქართველოს მხრიდან მას არავითარი ოფიციალური დოკუმენტი არ ამაგრებდა, თუ არ ჩავთვლით დეპუტაციის მიერ ჩატანილ თხოვ-ნებს, სხვადასხვა წოდებათა სახელით, რომელშიც მართალია ქვეშევრდომობაზე იყო საუბარი, მაგრამ რა ქვეშევრდომობა იგულისხმებოდა აქ, ვერავინ გაიგებდა (თუმცა ეს თხოვნები საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებას არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობდა).

ჯერ კიდევ დეპუტაციის ჩამოსვლამდე, ალექსანდრემ პირველად სა-კითხი განსახილველად, ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფო საბჭოს გადასცა.

11 აპრილს საბჭომ იმსჯელა და დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. იგი, სრულიად უსაბუთოდ, ამტკიცებდა ქართველების რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლის სურვილს და ამასთან ყოველმხრივ ცდილობდა ლამაზი ფერებით დაეხატა სარგებელი, რომელსაც ამის შედეგად ორივე მხარე ნახავდა.

იმპერატორი საბჭოს აღნიშნული სხდომის არგუმენტაციამ არ დააკმაყოფილა.

4 დღის შემდეგ, ანუ 15 აპრილს, საბჭო კვლავ შეუდგა იმავე საკითხის განხილვას. ამჯერად მოსაზრებები უფრო დასაბუთებული და მკაფიო იყო, მაგრამ არგუმენტაცია არ იცვლებოდა და ზოგადად იმაში მდგომარეობდა, რომ შეერთება ორივე მხარისთვის აუცილებელია.

რუსეთის ხელისუფლების “ლოგიკისთვის” დამახასიათებელი იყო სა-კითხის დაყენება: ან საქართველოს საერთოდ მიტოვება ბედის ანაბრად, ან მისი სრული ინკორპორაცია. მაგრამ არავის, არ სურდა გაეხსენებინა, რომ არსებობდა 1783 წლის ხელშეკრულება, როცა რუსეთი დახმარებას და ყოველგვარ სიკეთეს, თავაზობდა საქართველოს მაშინ, როცა იგი დახმარებას დიდად არც საჭიროებდა და არც თხოულობდა (ჩვენ ვნახეთ, რომ ამგვარი თხოვნის შედგენა ერეკლე II ფაქტიურად აიძულეს), არსებობდა 1799 წლის განახლებული ვარიანტი, რომელიც საქართველოსთვის გაცილებით მძიმე ვითარებაში გაფორმდა, მაგრამ სახელმწიფოებრიობის გაუქმებაზე (ინკორპორაციაზე) მასში საერთოდ არ ყოფილა საუბარი. არაფერ ამას ყურადღება არ ექცეოდა. საბჭო საკითხს კატეგორიულად აყენებდა ან-ან.

მაგრამ აქაც არსებობდა სამართლიანობის თვალსაზრისით, ერთი მეტად რთული და განსაკუთრებით ახალგაზრდა იმპერატორის იმიჯისთვის მიუღებელი გარემოება. იგი საქართველოს შეერთების სამართლიანობას გა-ნიხილავდა. იმით, თუ რამდენად კანონიერი იქნებოდა, ეს სამეფო დინასტიასთან მიმართებაში. რადგან არ არსებობდა საბუთი, რომ რომელიმე ქართველ მონარქს ხელი აეღო თავის უფლებებზე, რუსეთის იმპერიის სა-სარგებლოდ. პირიქით, ალექსანდრეს ხელთ ჰქონდა ორი წერილი: ერთი დავით

ბატონიშვილისა, მეორე კი დარეჯან დედოფლის. პირველი ქართლ-კახეთის ტახტზე თავისი უფლებების დაცვას მოითხოვდა, მეორე კი იულონ ბატონიშვილისას.

და აქ გამოჩნდა რამდენად მყიფე იყო რუსეთის იმპერატორის ლიბერალობაც და სამართლიანობაც. მან დაუშვა, რომ სახელმწიფო საბჭოს და-ევალებინა კნორინგისთვის, რათა ადგილზე შეესწავლა: 1. შეუძლია თუ არა საქართველოს სამეფოს იყოს დამოუკიდებელი, თავისი ძალებით დაუ-პირისპირდეს მტრებს და არეულობებს და 2. თხოვნა ქვეშევრდომობის შესახებ მართლაც მთელი ხალხის სურვილს ემყარებოდა თუ არა. და აქაც ალოგიკურობა, რომელიც საბჭოს ცალმხრივობას და ზედაპირულობას მი-უთითებს: ა) არაფერია ნათქვამი რა ქვეშევრდომობაზეა საუბარი, განა ყველა ქვეშევრდომობა სახელმწიფოებრიობის გაუქმებას ნიშნავს? და ბ) რამდენად ობიექტური იქნებოდა დასკვნა პიროვნებისა, რომელიც შეერთების შემთხვევაში ამ მხარის მთავარსარდლად მოიაზრებოდა? ამასთან შეიძლებოდა კი მთელი ხალხის განწყობილების დადგენა სულ ორიოდ დღეში?

და ბოლოს, რა საჭირო იყო კნორინგისთვის დაევალებინათ ხალხის განწყობილების შესწავლა, რომელთა დეპუტაცია შესაბამისი გადაწყვეტილებებით უკვე პეტერბურგში იყო (ან ჩქარა იქნებოდა). ამიტომ ხომ არა, რომ ეს დეპუტაცია საკითხის გადაწყვეტას თავისი მონაწილეობით მოითხოვდა, რაც, სავარაუდოა, მეფობის გაუქმების საკითხს გაართულებდა?

საქართველოს დელეგაცია პეტერურგში და მისი აზრის სრული იგნორირება. 28 ივლისს იმპერატორს წარუდგინეს კნორინგის მოხ-სენება. იგი ისეთი იყო, როგორსაც მოელოდნენ. ამრიგად საკითხის გადაწყვეტას რუსეთისთვის წინ არაფერი ეღობებოდა. მაგრამ გამოჩნდა ახალი პროექტი, რომელიც ვორონცოვს და კოჩუბეის ეკუთვნოდა და საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის პირობებში დატოვებას გულისხმობდა. სახელმწიფო საბჭომ ეს პროექტი უარყო, მაგრამ საკითხი გაიწელა, ამან საქართველოში გაუგებარი ვითარება, ქაოსი და დაპირისპირება კიდევ უფრო გააღრმავა და უკიდურეს დონემდე გაამწვავა.

საკითხის განხილვის მთელ პერიოდში ქართული დელეგაცია ცდილობდა, რომ მისი აზრი მოესმინათ; რომ საქართველო მიეღოთ ნებაყოფლობით ქვეშევრდომობაში, მათთვის დაენიშნათ მეფე, რომელიც საქართველოში იმპერატორის ნაცვალი იქნებოდა. რომ საქართველოს საკითხების განხილვაში მათაც მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ უშედეგოდ. მათი აზრი არავის აინტერესებდა.

მანიფესტის გამოქვეყნება. ალექსანდრე პირველის მანიფესტი გამოქვეყნდა 1801 წ. 12 სექტემბერს მოსკოვში (იგი დაწერილი იყო პლატონ ზუბოვის მიერ) ალექსანდრეს კორონაციის (15 სექტემბერს) წინ.

შვიდი თვის შემდეგ 1802 წლის 12 აპრილს, ეს მანიფესტი თბილის-ში, სიონის რუსულ ჯარებით გარშემორტყმულ ტაძარშიც იქნა წაკითხული. ხალხით გაჭედილ დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ბევრმა ხმალზეც კი შეივლო ხელი, მაგრამ წინააღმდგობას აზრი არ ჰქონდა საბოლოოდ ამას ტაძარში მყოფი ბატონიშვილების, კათალიკოსის და დიდებულების დაფიცება მოჰყვა.

მეორე დღეს იგივე მანიფესტი, სომხურ ტაძარში ადგილობრივი დი-ასპორის წარმომადგენლებს წაუკითხეს. აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, იგი აღფრთოვანებულ შეძახილებში და ტაშის გრიალში ჩატარდა...

ასე დასრულდა საქართველოს ინკორპორაცია რუსეთის მიერ, რომელმაც მისი ანექსია გაცილებით ადრე განახორციელა.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო.

* * *

ამრიგად საქართველო (ქართლ-კახეთის სამეფო) XIX საუკუნეში სახელმწიფოებრიობა დაკარგული შევიდა. ქართული მთავარი პოლიტიკური ერთეულის და საქართველოს გაერთიანების მედროშის გაუქმებამ ფრთები შეაკვეცა სხვა სამეფო-სამთავროების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. მხოლოდ იმერეთის სამეფო მისი ენერგიული და პატრიოტი მეფის, ორი დიდი პიროვნების გენეტიკური და პოლიტიკური მემკვიდრის, სოლომონ მეფის — მედგარმა ბრძოლამ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ქართლ-კახეთის სამეფოს 1783 წლის ხელშეკრულებით ჩამოყალიბებული ლეგიტიმური ურთიერთობის აღდგენისათვის, როგორც მოსალოდნელი იყო, შედეგი არ გამოიღო. XIX საუკუნის I ნახევარში რუსეთმა განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე თავისი კონტროლი მთელ საქართველოზე განხორციელდა, შემდეგ კი თანდათანობით მოახდინა მისი ცალკეული ნაწილების ანექსია.

ეს არ იყო თავისუფლების დაკარგვა, რადგან საქართველოს სამეფო სამთავროებს უპირობო დამოუკიდებლობა არ ჰქონიათ. ეს იყო ფაქტობრივი დამოუკიდებლობის და მისი მოპოვების პერსპექტივის ხანგრძლივი დროით დაკარგვა. ცხადია, ეს დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ ყოველ მოვლენას ორი მხარე აქვს და ამ პოლიტიკური აქტის მეორე მხარე იმაში მდგომარეობდა, რომ ქართულმა სამეფო სამთავროებმა ერთი სახელმწიფოს (იმპერიის) შემადგენლობაში მოიყარეს თავი, რასაც მათი კულტურულ-ეკონომიკური კიდევ უფრო მეტი დაახლოების, შეკავშირების და საერთო მიზნისთვის ერთიანი ბრძოლის დასახვა მოჰყვა, ეს მიზანი ერთიანი საქართველოს სრული იურიდიული და ფაქტობრივი დამოუკიდებლობის მოპოვება იყო.